



© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი
თბილისი 2013

The Autobiographies of the Writers
Literature Museum, Tbilisi 2013

www. literaturemuseum.ge
ტელ.: +995 32 293-20-45
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორი	თეა თვალავაძე
ნიგნზე მუშაობდნენ	მარინა ხუბულური, ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი, ნანა კობალაძე, ნინო გოგუა

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ნიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის

დაიბეჭდა სტამბაში კოლორპაკი

ISBN 978-99940-28-82-5 (ყველა ნიგნი)
ISBN 978-99940-28-84-9 (პირველი ნიგნი)

მწერალთა ავტობიოგრაფიები

პირველი წიგნი

ლიტერატურის მუზეუმი
Literature Museum

თბილისი

2013

ილიას ავტობიოგრაფია¹

(დანერვილი ბროგკაუზის ლექსიკონისთვის 1903 წ.)

მე დავიბადე 27 ოქტომბერს, 1837 წელს, სოფელ ყვარელში. ყვარელი თელავის მაზრის სოფელია, ტფილისის გუბერნიისა და მთლად ადგილს სიღნაღის მაზრასთან ერთად კახეთი ეწოდება საერთო სახელად. მამა ჩემი რამოდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურებდა დრაგუნთა ნიჟე-გოროდის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედა ჩემმა შვენიერად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც-კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელთ-ნაწერი. სალამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს, ნაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღეს სალამოზედ გვიკითხავდა, აბა, ვინ უფრო კარგად მიაშობს, რაც გუშინ გაიგონაო. ვინც კარგად უამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით. სწავლა 8 წლიდამ დავინწყე, ჩვენის სოფლისავე მთავართან, ქართულის წერა-კითხვით. მთავარმა კარგად იცოდა ქართული ენა და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურის და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით, უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოექმედებინა, ვის რა ფალავნობა გაენია, ვის რა ღვანლი და სიკეთე დაეთესა. სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდა და დასაცველად. ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ; ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნამბობში“ ზოგი ერთს ადგილს ცხადად აჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა.

მთავართან ვსწავლობდი იმავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხ-კაცების შვილებთან ერთად. რამდენათაც მახსოვს, ხუთნი-თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდგან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთს საათს არ ვანდომებდით, დანარჩენი დრო შუადღემდე სულ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელებით, უმთავრესად კი ვისმენდით იმის საამურს ამბებს.

მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და ჰაკკეს და რაევსკის პანსიონში მიმცა. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო.

15-ის წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში მიველი; მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინად-კი ისევ პანსიონში ვიყავი.

პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო,

1. გრიგოლ (გიგო) ყიფშიძის ხელნაწერი (გამომცემლის შენიშვნა).

ყოველ მხრივ განათლებული კაცი. ის გერმანიიდან დაებარებინა მაშინდელს კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირს – ნეიდგარტს თავის შვილების აღსაზრდელად. ხოლო ნეიდგარტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან ერთად პანსიონი დაარსა. ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მხურვალებას იჩენდა თავის შვილების მიმართ, იმდენად სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივს განვითარებას, რომ თითქმის მთელ თავისუფალ დროს კლასში მეცადინეობის შემდეგ იმათ ანდომედა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და ჰმართავდა სახელ-და-ხელო კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოვოდ იცოდა.

გავათავე მერვე კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი აღარ დავიჭირე და 1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევედი იურიდიულ ფაკულტეტის მაშინდელ კამერალურს განყოფილებაზედ. 1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავ, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით.

1863 წელს დავაარსე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სულ ერთ წელიწადს იცოცხლა. ამავე 1863 წელს შევირთე ცოლად ოლგა, თავად თადეოზ გურამიშვილის ასული.

1864-ის წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხთა განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, მე გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მონდობილებათა მოხელედ და დამავალეს, გამომერკვია, თუ რა ურთი-ერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხთა შორის ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი.

ამავე წლის ნოემბერში ბატონ-ყმობა უკვე გადავარდა თბილისის გუბერნიაში და მე დანიშნულ ვიქმენ მომრიგებელ შუა-კაცად დუშეთის მაზრაში. იქ მომრიგებელ შუა-კაცად დავყავ 1868 წლამდე; ხოლო ამ წელს შემოიღეს სასამართლოს რეფორმა კავკასიაში და მე მომანდეს ასრულება მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისა დუშეთსავე. მომრიგებელ მოსამართლედ ვიყავ 1874 წლამდე.

აქ მეტი არ იქნება ვსთქვა, რომ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ნაწილი გლეხთა განთავისუფლებისთვის უმაღლესად ნაბოძების ფულისა გადასდო ისეთის ბანკის დასაარსებლად, რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად, უფრო-კი ისეთის ბანკისა, რომლის მოგება მოჰხმარებოდა განსაკუთრებით თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შვილთა აღზრდა-განათლებას.

ბევრი ყოყმანისა და კვლევა-ძიების შემდეგ – თუ რა გვარი საკრედიტო დაწესებულება დავიარსოთო, თავად-აზნაურობამ 1874 წელს გადასწყვიტა, ჩემი რჩევისამებრ, დაარსება საადგილ-მამულო ბანკისა და წესდების შესადგენად აირჩია კომისია, რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა. წესდება, მთავრობის მიერ სახელმძღვანელოდ ნაჩვენებ წესდებათა ნიმუშების მიხედვით შედგენილი, თავად-აზნაურობამ მოიწონა იმავე 1874 წელს. მისი ნიშნობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილ-მამულო ბანკების

ნესდებისგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც კი სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს, ჰხმარდება თბილისის გუბერნიის არა მარტო მინად-მფლობელთა, ესე იგი თავად-აზნაურთა, არამედ მინად-მომქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი თითქმის ერთად-ერთი დაწესებულებაა მთელს რუსეთში საადგილ-მამულო კრედიტისა, რომლის ნესდებაც მალა აყენებს უფრო საზოგადო სიკეთესა და სარგებლობას, ვიდრე გამდიდრების კერძო ინტერესს.

ამავე 1874 წელს თავად-აზნაურობამ დამავალა წავსულიყავ პეტერბურგს და გამომეთხოვნა დამტკიცება მის მიერ მონონებულის ნესდებისა. მეც ამ საქმის გულისთვის სახელმწიფო სამსახურს თავი დავანებე.

ნესდება ზემოხსენებულის განსაკუთრებულის თვისებით დაამტკიცა მთავრობამ 1875 წელს. ამ წლიდგან დაიწყო ბანკმა მოქმედება და, თუმცა ძირის თანხად ჰქონდა მხოლოდ 240,000 მან., დღეს იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ყოველ წლივ 360,000 მანეთზედ მეტს მოგებას იძლევა. იმისდა მიუხედავად, რომ ძირის თანხა თავად-აზნაურობისგან შემოტანილი ბანკის დასაფუძნებლად, უკვე უკან დაუბრუნდათ თითოეულს დამფუძნებელს წევრს,¹ ბანკის დაარსებიდგან დღემდე გამგეობის თავმჯდომარედ ვიმყოფები. ეს თანამდებობა არჩევნით არის და არჩევანი ყოველ სამს წელიწადში ერთხელ სწარმოებს.

1877 წელს დავაარსე ქართული ყოველ-კვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც შემდეგ ყოველ-თვიურ ჟურნალად იქმნა გადაკეთებული, ხოლო 1885 წლიდგან² – ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად. 1902 წელს გაზეთი სხვას გადავეცი და იმის რედაქტორობით გამოდის დღესაც.

ჩემ თხზულებათა შორის რუსულად ითარგმნა სხვადასხვა პირთაგან რამდენიმე წვრილი ლექსი და ერთი პოემა „განდეგილი“ სთარგმნა ბ-მა ტხორუევსკიმ. რუსული თარგმანი ჩემის ლექსებისა ზოგი ჩართული იქმნა ცალკე კრებულში, რომელიც ტფილისში დაიბეჭდა, ნაწილი კიდევ იბეჭდებოდა „Русская мысль“-ში, „Живописное обозрѣніе“-ში, „Вѣстникъ Европы“-ში და აღარ მახსოვს, კიდევ რომელშიდაც.

ჩემი პოემა „განდეგილი“ გადათარგმნილია ინგლისურად M. Wortrop-ის მიერ და პროზად ფრანგულს ენაზედ. გერმანულად ნათარგმნი რამდენიმე ჩემი წვრილი ლექსი ჩართულ იქმნა იმ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა პირველად 1886 წელს ლეიფციხს. ის ლექსები სთარგმნა არტურ ლეისტმა. კრებულს სათაურად ერქვა „Georgische Dichter“. მეორედ ეს კრებული დაიბეჭდა 1900 წელს დრეზდენში. რეცენზიები დაიბეჭდა თავის დროზედ ტფილისის რუსულ გაზეთებში: „კავკასუსა“ და „ნოვო ობოზრენიეში“, ხოლო სატახტო ქა-

1. ამ უამად ბანკის მოგებით ინახება ერთი კერძო გიმნაზია და თუმცა გიმნაზიაში პანსიონიც არის უღარიბეს თავად-აზნაურთა შვილებსათვის, მაინც ამ სკოლაში ყველა წოდების ბავშვებიცა სწავლობენ. ამას გარდა, ამ მოგებით ინახება ერთი სამეურნეო სკოლა, რომელშიაც იღებენ აგრედვე ბავშვებს წოდების განურჩევლად.

2. 1886 წლიდგან გადაკეთდა „ივერია“ ყოველ-დღიურ გაზეთად. ეს წვრილი გადავიწყებია ავტორს. გ. ყ.

ლაქებისაში, რამდენათაც მახსოვს, „Русская Мысль“-ში, „Живописное обоз.“-ში და მოსკოვის ერთს გაზეთში, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. საზღვარ-გარედ-კი რეცენზიები დაიბეჭდა რამდენსამე გერმანულს გაზეთში და სხვათა შორის „Litterarisches Echo“-ში, 1898 წელს და „ასადეტ“-ში, აგრედვე იტალიურ ჟურნალში „Nuova Antologia“-ში VI, 1900 წელს. განხილვა ჩემის საზოგადოებრივისა და სალტერატურო მოღვაწეობისა დაბეჭდილი იყო ფრანგულ ჟურნალ „Caucase Illustré“-ში 1902 წელს.

1877 წელს ამომირჩიეს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად და რამდენსამე ხანს მეჭირა ეს თანამდებობა. ვიყავ აგრედვე არჩეული ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ და ეს თანამდებობა მეჭირა 1881 წლიდან 1884 წლამდე. 1880 წლიდან, ე. ი. დაარსებიდან, დღემდე ვიმყოფები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ; ვიყავ აგრედვე სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის წევრად. ვიღებდი მონაწილეობას ხან მოწვევით, ხან არჩევნით თითქმის ყოველ კომისიაში, რომელიც არკვევდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობისა და სხვა საჭიროებათა საგნებსა.

ჩემი სალიტერატურო მუშაობა დაიწყო 1857 წლიდან, როცა „ცისკარ-ში“ მივეცი დასაბეჭდად რამდენიმე წვრილი ლექსი. ხოლო შემდეგ ჩემი თხზულებანი იბეჭდებოდა „დროებაში“, „კრებულში“, ჩემ მიერ დაარსებულ „საქართველოს მოამბე“-ში და „ივერია“-ში, აგრედვე ჟურნალ „მოამბეში“, რომელიც დღესაც გამოდის.

წვრილ ლექსებს გარდა, დავსწერე რამდენიმე პოემა, სახელდობრ: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“ და დრამატიული ეპიზოდი „დედა და შვილი“. მოთხრობათა შორის შემიძლია დავასახელო: 1) „კაცია ადამიანი?“, დაბეჭდილი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ და შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემული პეტერბურგში ქართველ სტუდენტებისაგან; 2) „გლახის ნამბობი“, იქვე და იმავე წელს დაბეჭდილი, მერე აგრედვე ცალკე წიგნად დაბეჭდილი; 3) „სცენები გლეხთა განთავისუფლების პირველ დროისა“, დაბეჭდილი 1865 წელს „კრებულში“ და მერე ცალკე წიგნად; 4) „მგზავრის წერილები“, დაბეჭდილი 1864 წელს „კრებულში“; 5) „ოთარაანთ ქვრივი“ 1888 წელს; 6) „უცნაური ამბავი“ – „მოამბეში“; 7) „საშობაო მოთხრობა“; 8) „სახრჩობელაზედ“ – „ივერიაში“ და სხვ.

ვთარგმნე ლექსები: პუშკინისა „წინასწარმეტყველი“, ლერმონტოვისა „წინასწარმეტყველივე“, „ჰაჯი აბრეკი“ და „მწირი“ და ტურგენიევისა „ლექსნი პროზად“. აგრედვე რამდენიმე ლექსი ჰეინესი და გიოტესი. გადავთარგმნე აგრედვე თ. ივანე მანაბელთან ერთად „მეფე ლირი“ შექსპირისა. ვიღებდი მონაწილეობას ცნობილ ქართულ პოემის „ვეფხვის ტყაოსნის“ ტექსტის აღმდგენელ კომისიაში. აგრედვე შემდეგთა თხზულებათა რედაქტორობასა და გამოცემაში: ლექსნი აღ. ჭავჭავაძისა, ლექსნი ვ. ორბელიანისა. ამ ლექსებს დართული აქვს ჩემი წინასიტყვაობა და ერთი ძველი ქართული მოთხრობა „ვისრამიანი“.

ამას გარდა კიდევ ბევრი წვრილი წერილებია ჩემ მიერ დაწერილი საპო-

ლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრედვე წერილები საპედაგოგიო საგნების შესახებ. უფრო მოზრდილ საპუბლიცისტო წერილებ შორის შეიძლება დავასახელო: „ხიზნების საქმე“, „ცხოვრება და კანონი“ და „ყაჩაღობა ამიერ კავკასიაში“. საკრიტიკო და საპოლემიკო წერილებს ეკუთვნის სხვათა შორის აგრედვე გაზ. „ივერიაში“ ფელეტონებად დაბეჭდილი წერილები: „აი, ისტორია“ და „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ეს უკანასკნელი წერილი ამას წინად დაიბეჭდა რუსულად და დიდი ალიაქოთი ასტეხა სომხურ მწერლობაში.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობამ დაიწყო ბეჭვდა ჩემის ნაწერებისა და დაბეჭდა მხოლოდ 4 ტომი, ვარაუდით კი, ათი-თორმეტი ტომი უნდა დაბეჭდილიყო. დაბეჭდილს ოთხ ტომში მოჰყვა ლექსები, მოთხრობები, ამბები და სცენები.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი

როგორც ოჯახის სახარებაზე აღნიშნული, მე დავიბადე 1850 წელს. მამა-ჩემი – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი ცნობილია, როგორც ქართველი მწერალი, მთარგმნელი და გლეხების განთავისუფლებაში დიდი, თითქმის უპირატესი საქმის წამძღოლი. საზოგადოთ ჩვენი ჩამომავლობა მეფის დროს დიდ მონაწილეობას იღებდა, მეფის კარის კაცათ იხსენიებდნენ, მდივნათ იყვნენ და ამბობდენ: „თუმანიშვილები კალმით არიან დაბადებულები“. დედა ჩემი, სოფიო სომხის ქალი იყო, პოლკოვნიკი ენიკოლოფოვისა, ნამესნიკათან თარჯიმნად მსახურობდა.

მე 15 წლის არ ვიყავი, რომ სწავლა დავამთავრე ქალების ინსტიტუტში. ჩემი ყმანვილობა არ მახსოვს და არც არაფრით აღინიშნება, თუმცა ხუთი წელიწადი ვიყავი ინსტიტუტში ოთხ კედელ შუა დამწყვედი – სწავლის გათავების დროს არც რუსული, აღარც ქართული ვიცოდი. კარგა ხანი მოვუწიდი სახლში თვით განვითარებას მამის ხელმძღვანელობით, რომელმაც ზედ მიწვევით იცოდა ქართული და რუსული ლიტერატურა. უმფროსი და, ბაბაღე, რომელიც მეტათ ნიჭიერი და განვითარებული იყო, მისი ხელმძღვანელობით მეც დავადექი იმ გზას, რომ ხალხს საჭიროა ხელი შევუწყოთ, რითიც შესაძლო იქნება, დავეხმაროთ მათ. ამ მიზნით, ჩემმა დამ შეადგინა სხვადასხვა წიგნებიდან სტეფენსონის ბიოგრაფია, მაგრამ გამოცემას ვერ მოესწრო და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.¹ მის სიკვდილს მოჰყვა მამა ჩემის – მიხეილის სიკვდილი 1870 წ. და მაშინ მე გადავწყვიტე, წავსულიყავ სასწავლებლათ სამზღვარ გარეთ. მე ველოდი მხოლოდ ჩემი ძმის – გიორგის დაბრუნებას ოდესის უნივერსიტეტიდან, რომ საბრალო დედა მართო არ დამეტოვებინა. ამოდენა შინ და გარეთ მოულოდნელმა უბედურებამ, მითქმა-მოთქმამ ძარღვები ამიშალეს, საერთო სისუსტე ვიგრძენ, გული გამიტყდა და როდესაც მიველ ჟენევაში, ვიგრძენი, რომ საქმეს ვერ გავიტან, მიზანს ბოლომდე ვერ მივალწევ. ვშიშობდი, ვაი თუ ვერ შევსძლო უმაღლესი სწავლის მიღება და სხვებივით დაუმთავრებელი სწავლით დავბრუნდე. ნაღვლიანი და მწუხარე დედის მიტოვებაც რამდენიმე წლობით ცოდვით მივიჩინე და ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ, 1877 წ. ოჯახს დავუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების მიზანი: მუშაობა შეუწყვეტილად, მუშაობა ხალხისათვის, თვით განვითარებით მივშველებოდი ყველას, რაც შემეძლო, მეტი სარგებლობა მამეტანა...

სამზღვარ გარეთიდან მოსვლისას სახლში დამიხვდა ჩემი ძმა გიორგი, რომელიც საუკეთესო ქართველ ახალ თაობასთან ერთად მუშაობდა. ჟურნალი „ივერიის“ სულის ჩამდგმელები იყვნენ: ვანო მაჩაბელი, ქანანოვი, ალ. სარაჯიშვილი. მას აქეთ მეც შევუდექე მუშაობას. შევერთდით სამი-ოთხი ქალი: ელ. ყიფიანი (ალ. ლორთქიფანიძის მეუღლე), ეკ. მესხისა, ეკ. ღვინიაშვილი (ფურცელაძისა), ნიკოლაძის ქალები და გამოვეცით ორი წიგნი. მეორე წიგნი სახელათ „მოთხრობანი“ დაიბეჭდა ქუთაისში და იქ იყო ჩემი ფრან-

1. სტეფენსონის ბიოგრაფია მერე მე დავბეჭდე.

გულიდან ნათარგმნი „ირლანდიელი ქვრივი“, 1879 წ., ვალტერ სკოტისა. მას მოჰყვა შეუწყვეტლივ მუდმივ მუშაობა გაზეთ „დროებაში“ (1880 წ.), სადაც დაიბეჭდა სამიოდე ჩემი საკუთარი მოთხრობა. პირველი ნათარგმნი დროებაში: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოენევა“ დაიბეჭდა 1880 წ. (ნომბერი, 139). ისეც, სანამ არ შეჩერდა დროების გამოცემა, ყოველთვის ხან ფრანგულიდან და ხან რუსულიდან პატარ-პატარა ამბების ბეჭვდა. ამავე დროს წერა-კითხვის გამ. საზ. დაბეჭდა „ხატაური“ და მერე „რობიზონ კრუზო“. როგორც სხვა და სხვა გამოცემებში, მაგალითათ, ჟურნალ „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი ჩემი მოთხრობა „რძალ-მული“, ისეც თანდათანობით მე თვითონ გამოვეცი საყმანვილო წიგნი „მოლალური“, „ხუთი ამბავი“, „გუსტავ ვაზა“, „ცხოველების გამჭრიახობა“, „საბავშო თეატრი“, „დრონი“. ამავე დროს 1886 წ. დავაარსე მასწავლებელ ქალთა საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეთ ვიყავი 30 წელიწადზე მეტი.

1884 წ. ჩემ მამაპაპურ სოფელში, ხელთუბანში გავხსენი სკოლა წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით. 1887 წ. ამორჩეული ვიყავი წერა-კითხვის საზ. გამგეობაში და ცხრა წელიწადზე მეტი ვმუშაობდი იქ. ტფილისშივე წერა-კითხ. საზოგადოების საშუალებით დავაარსე პირველი ბიბლიოთეკა 1894 წ. და მეორე 1895 წ. ამავე დროს ფრანგულიდან ვთარგმნე ლაბაშის პიესები: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“ და „ბაქი-ბუქობა“. ჩემთანვე დაარსდა პატარა საზოგადოება „სხივი“. 1890 წ. დავაარსე საყმანვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის გამომცემელ რედაქტორათ აქამდის ვითვლები (1921 წ.). ამ ჟურნალის სვინდისიერათ წასაყვანათ არც გადამეტებით ჯაფას და არც ხარჯს არა ვზოგავდი. წერა-კითხვის საზოგადოებამ ამომირჩია საპატიო წევრათ 1913 წ. და საქველმოქმედო საზოგადოებამ 1915 წ.

ბოლო დროს დავბეჭდე ოთხი ფელეტონი: 1) თეატრი და ცხოვრება – სინამდვილესთან დაახლოვებით, 2) კანდიდატები ვართ (სახალხო საქმე), 3) წამართვეს და 4) ესეც ჩვენი სპეკულიანტები (საქართველო). (ჩემი საყმანვილო მოთხრობები, პირველი ნაწილი ჯეჯილში დაბეჭდილი გამოვეცი 1922 წ. იანვარში სათაურით „თაიგული“). მე გავთხოვდი გ. წერეთელზე 1892 წ. და დავქვრივიდი 1900 წ.

ეკატერინე გაბაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1851 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. გორში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	თავადიშვილი
6. სოციალური მდგომარეობა	ქვრივი
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1870 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	კერძო პანსიონი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ფრანგული (ნაკლებად), ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>სამი თვე ვიყავი ევროპის ქალაქების სანახავად და სიყრუის წამლობისათვის, 1904 წელს</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>ჩემი უმცროსი ვაჟიშვილი რევაზ ალექსანდრეს-ძე გაბაშვილი</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>წერა-კითხვის საზოგადოების წევრი სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეებისა და საქმიანობის მონაწილე</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალია რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გაბაშვილის ქ. №3</p>

* — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე ნ. თოფჩიშვილი.

ეკატერინე გაბაშვილის ნაწარმოებთა დასახელება

1884 წელს წერა-კითხვის საზოგადოების გამომცემლობამ გამოსცა – საყმანვილო მოთხრობები.

1911 წელს გამოვიდა ჩემი მოთხრობები (საიუბილეო გამოცემა).

1936 წელს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი საუკეთესო მოთხრობები.

ჩემი კრიტიკოსები იყვნენ პროფ. ზანდუკელი, კ. აბაშიძე, ალ. ხახანაშვილი.

შენიშვნა: სხვა მასალები ეკატერინე გაბაშვილის შესახებ მწერ. კავშირის არქივში არ აღმოჩნდა.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

1936 წ., მარტი 28.

ეკატერინე გაბაშვილის ავტობიოგრაფიული ცნობები

დავიბადე ქალაქ გორში 1851 წელს, 16 ივნისს. დედა ჩემი, სოფიო, ქალი იყო ქართლელი თავადის, ვახტანგ ბაგრატიონ-დავითიშვილის, მამაც ქართლელი თავადი, რევაზ თარხნიშვილი. დედა ჩემი გადაიცვალა, როცა მე მხოლოდ 5 წლისა ვიყავი. ბებიაჩემისაგან გამიგონია: პაპა შენს ვაჟი შვილი არა ჰყავდა და სოფიო ვაჟკაცურად აღზარდაო. ჩინებული ცხენოსანი იყოვო, იარაღს დიდის გაბედულობით ხმარობდა და მამულს, როგორც მემკვიდრეს შეეფერება, დიდის მოხერხებით ჰპატრონობდაო.

მამა ჩემი, რევაზი, სულ სხვა ტიპის კაცი იყო. მამულის და ოჯახის პატრონობა არ ეხალისებოდა, რადგან მთელი იმის ყურადღება წიგნებზედ იყო მოქცეული. ბევრს კითხულობდა, იცნობდა კარგათ მეთვრამეტე საუკუნის ევროპიელთა და რუსთა კლასიკებს, აგრეთვე ცნობილ მაშინდელ მწერლებს და პოლიტიკურ ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა. იმ დროის შესაფერად ფრიად განათლებულ კაცათ ითვლებოდა, რადგან სწავლა დაემთავრებინა თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში, სადაც იურიდიული განყოფილება სასწავლებლისა წარჩინებით შეესწავლა. იყო კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი და შვილების აღზდაზე დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა.

პირველი ცოდნა მივიღე ძველ ქართულ ენათმცოდნე ოჯახში, რომელშიაც ქალები დიდათ დახელოვნებულნი იყვნენ სამხთო რჯულის წიგნების კითხვაში. „ვეფხვის ტყაოსანი“ ხომ თითქმის ყოველმა ოჯახის უმფროსმა ქალმა ზეპირათ იცოდა და შხირათ მოჰყავდა საუკეთესო ალაგები პოემისა, ლაპარაკის დასამშვენებლად.

1864 წელს, მამა ჩემი სამუდამოთ თბილისში დასახლდა და ჩვენც, შვილები, მაშინვე აქაურ სკოლებში დაგვაბინავა. მე ვსწავლობდი კერძო პან-

სიონში ფრანგი ქალის, ფავრისა, რომელიც საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა. მაშინ თბილისი სავსე იყო პოლიტიკური გადმოსახლებულებით და ემიგრანტები სახემწიფო გიმნაზიაში ვერ შოვებოდნენ გაკვეთილებს და კერძო პანსიონებში ძალიან ცოტა ჯილდოს სჯერდებოდნენ, რაც საშუალებას აძლევდა ფავრს, ყველა საგნის მასწავლებლად მოეწვია პოლშელი პროფესორი, უკრაინელი მეცნიერი და რუსეთიდან განდევნილი, დახელოვნებული მასწავლებლები.

ზემოხსენებულნი პედაგოგნი, ჩვენ ძრიელ მცირედ შეგნებულებს და ჯერ მცირე წლოვანებს, საგნებს გვიკითხავდნენ, როგორც სტუდენტებს. რასაკვირველია, მომატებული ნაწილი ქალებისა, ვერ ერკვეოდნენ იმათ ნათქვამში, მაგრამ თითო ოროლა გაფაციცებით ვისმენდით იმათ მცნებას და ვითვისებდით კიდევ. მეტადრე რუსული ენის მასწავლებელი, ყოფილი კიევის უნივერსიტეტის პროფესორი იუშკოვი გატაცებით გვიკითხავდა რუსულ ლიტერატურას და არტისტულად კითხულობდა გოგოლს, პუშკინს, ლერმონტოვს და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელებზედ. გზა და გზა მკაცრად გაჰკრამდა ხოლმე იმ დროინდელ სიბნელით მოცულ პოლიტიკას, მეტადრე სწავლების სისტემას აკრიტიკებდა დაუზოგავად...

უკანასკნელი გამოცდილებისთვის მე დავწერე პატარა ესკიზი „რამდენიმე დღე სოფლად“, სრულიად მდაბიურად, ნანახი და გაგონილი ერთ ქართველ თავადიშვილის სახლში. იუშკოვმა ჩემს რვეულს წაანერა: „უეჭველი ნიჭი სჩანს მწერლობის, თუ, რასაკვირველია, ავტორი შეეცდება თვითგანათლებას, პროგრესიული ლიტერატურის კითხვას, ცხოვრების დაკვირვებას...“

მე არამც თუ ვკითხულობდი ბევრს, ვემზადებოდი კიდევ პეტერბურგში წასასვლელად, სადაც ქალთა საექიმო კურსები იზიდავდნენ აუარებელ მსმენელთ. მით უფრო მიზიდავდა საექიმო სწავლა, რომ მაშინ იქ მასწავლებლად და, თუ არ ვცდები, თვით საექიმო კურსების დამაარსებელ ინიციატორათაც, ირიცხებოდა ჩემი ნათესავი, ცნობილი ფიზიოლოგი, ივანე თარხნიშვილი, მაგრამ... „სიყვარულმა“ გზა გადამიღობა და სიყვარულის შედეგმა დედაკაცის ხვედრმა: ოჯახმა და შვილოსნობამ, მთელი ოცის წლით მამწყვიტა წარჩინებას, მაგრამ დაწყებულ მწერლობაზე კი ხელი ვერ ამაღებინა.

1870 წ. ახალწლის პირველ ნომერში, დაიბეჭდა ჩემი პირველი ნაცადი ესკიზი: „გლეხკაცის აზრი სოფლის სკოლაზედ“. როგორც პირველი ნაბიჯი მწერლობაში და თვით დროული ტემა ნაწერისა, საზოგადოებამ თანაგრძნობით აღნიშნა და ზოგიერთმა ცნობილმა პირებმა პირადის გაცნობით და დარიგებით ისე წამახალისეს, რომ მასაქეთ წერაზე ხელი აღარ ამიღია და დღემდე, როდესაც ღრმად მოხუცებული ვარ, ვცდილობ, კვლავ „მოგონებათა“ საშუალებით მაინც, ჩემი წვლილი შევიტანო მწერლობის საღაროში.

ვეკუთნოდი, როგორც ჩემი ნაწერების კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, „ხალხოსნურ დაჯგუფებას“ და „ტეტიათა მოტრფიალეთა“ იდიალოგიურ პლატფორმის მიმდევრად.

ჩემი ნაწერების კრებული პირველად, ქართ. ქალთა ჯგუფის მეცადინეო-

ბით და წერა-კითხ-საზოგ. ხარჯით, გამოიცა 1911 წ., მეორე გამოცემად – 1932 სახელგამის გამოცემით და მესამე გამოვა ამ ცოტახნის განმავლობაში.

გარდა საერთო ტემებზე წერის, მე ვწერდი 1890 წლიდგან საყმაწვილო ჟურნალებში: „ჯეჯილში“, „ნობათში“, „ნაკადულში“ და ეს ჩემი საყმაწვილო მოთხრობანი უფრო ადრე დაიბეჭდნენ ცალკე წიგნებათ: 1895 წ. წერა-კითხ-საზოგ. გამოსცა სამ წიგნად; ცნობილმა მესტამბემ, ჩარკვიანმა და იაფფასიან ბიბლიოთეკის დამაარსებელთ. რა წლებში, არ მახსოვს.

ხნიერების გამო, მეხსიერება ხანდახან მეკარგება და შესაძლებელია, ვიმეორებდე ერთსა და იგივეს. გარდა ამისა, თუ გრძლად არის გაჭიანურებული ბიოგრაფია, რედაქტორს სრული უფლება აქვს შეამოკლოს, შეასწოროს.

სოფრომ მგალობლიშვილი

ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 20 ივლისს, 1851 წელს, ს. დირბში, რომელიც მდებარეობს გორის მაზრაში, მდინარე ფრონის ხეობაზე, თვით მდ. ფრონის პირად. ჩემი წინაპრები მეთვრამეტე საუკუნეში, ასე დაახლოვებით 1785 წელს, კათალიკოზ ანტონ II დროს, გადმოსულან ქართლში. გამოუწვევიათ ს. ერეთიდან, გურიიდან გოგია მგალობლიშვილი. ამას ჰყოლია ცოლად გუნცაძის ქალი და ამიტომ ვინემ პირველ გვარს დაიმტკიცებდენ, ორგვარად ინერებოდენ – გუნცაძე-მგალობლიშვილად. მამა ჩემმა – ზაქარიამ გაათავა ათასრვაასს ორმოცეში ტფილისის სემენარია, იყო ორი-სამი წელიწადი ქ. გორში სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, შემდეგ ეკურთხა მღვდლად და გაიგზავნა მღვდლად-მისიონერად ს. ნარას, გადაღმა ოსეთში. დედაჩემი, მარიამი იყო გორიჯვრის მღვდლის ანდრია ბიბილურის ქალიშვილი. მე ექვსი კვირისა ვყოფილვარ, როცა ს. ნარას წავეყვანივართ მშობლებსა. ექვს წლამდე ნარაში დავყავ. მახსოვს ჰარიარად იქაური მთები, მთისკრიახები; მახსოვს, ოსის ბიჭებთან ერთად ციყვივით დავრბოდი მთის ფრიალებზედ. 1857 წ. მამა ჩემი გადმოიყვანეს ს. დირბში; მე ქართულს ოდნავ ვლაპარაკობდი, ისე საყველპუროდ, როცა ჩამომიყვანეს ოსეთიდან. სოფლის პატარა ბიჭები „ოსის ლაპუას“ მეძახდნენ („ლაპუა“ – ბიჭი), მაზიზლიანებდენ, მე ძალიან მწყინდა ეს სახელი. მალე დამავიწყდა ოსური. შვიდი წლის შევსრულდი, რომ მამა ჩემმა ანბანის სწავლა დამანყებინა ხარის დიდ ბეჭზე; ჩვენ ოჯახში, მახსოვს, ორი დიდი ბეჭი ეკიდა დარბაზის ბოძზე. თუმცა ქალაღლიც გვექონდა სახლში, მაგრამ მაინც ბეჭს ამჯობინებდენ. სახლში არც ერთი ქართული დაბეჭდილი წიგნი არ მოგვეპოვებოდა. მამა ჩემს ჰქონდა ხელთნაწერი „ვეფხის ტყაოსანი“. ანბანის სწავლის შემდეგ ხუცური ანბანიც შემასწავლეს და დავითნი მომცეს ხელში. მალე ისე გავიწაფე, რომ დიაკვანს გადავაჭარბე საეკლესიო წიგნების კითხვაში. როცა მამა ჩემთან სტუმრად მოვიდოდნენ ხოლმე მღვდლები, კარგი ფალავანივით გამომიძახებდენ წიგნის წასაკითხად და მეც გადავაბულბულელებდი რომელიმე ფსალმუნსა. დიდს დღესასწაულებში ხომ მუდამ მე მაკითხებდენ წირვაზედ სამოციქულოსა. ყველაზე ძალიან უხაროდა ასეთი ჩემი გამეცნიერება პაპა ჩემს, სვიმონს. „ჩვენ გვარში სამღვდელიო კაცი არ განყდებაო“, ამაყად იტყოდა ხოლმე პაპა სვიმონი.

1860 წ. ენკენისთევში მიმბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში. მამა ჩემი მალე გარდაიცვალა – 1863 წ. აპრილში; მე მაშინ მეორე კლასს ვათავებდი, ჩემმა ძმამ ილიამ, რომელიც ამჟამად მღვდლობს ქართლში, მეოთხე გაათავა 1863 წ. დავრჩით ორნი ძმანი ობლად ღრმად მოხუცებულ პაპის და დედის ანაბარად. გარემოება ისე მოეწყო, რომ უსწავლელად უნდა დავრჩენილიყავით. ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობაში მონაწილეობა მიიღო, პაპი ჩემის თხოვნით, ცნობილმა კონსტანტინე ქრისტეფორეს ძემ მამაცაშვილმა,

რომელიც შორეულ ნათესავად მოგვხვდებოდა. კონსტანტინეს მეცადინეობით ჩემი ძმა ილია ტფილისის სასულიერო სემენარიაში სახელმწიფო ხარჯზედ მიიღეს; მე კი დეიდა ჩემმა მართამ, იასე თოიძის ცოლმა, შემვივრდომა; შემდეგ ბიძა ჩემმა – ტარას მაგლობლიშვილმა გადამიყვანა თავისთან და როგორც იყო, გავათავე გორში ოთხი კლასი 1867 წ. ამ წელში, 6 მარიაშობის თვეს, ფეხი მოვიტეხე და სემენარიაში წასვლა დამიგვიანდა; ჩავედი ტფილისის ნოემბრის პირველ რიცხვებში; რადგან ჯოხით დავდიოდი, რექტორი უარზე შედგა, არ მიღებდნენ, მაგრამ აქაც კ. მ-ლი და აკადემიიდან ახლად ჩამოსული მასწავლებლად – ბ. თომა ტურიშვილი დამეხმარნენ და მიმიღეს სემენარიაში სახელმწიფო ხარჯზე.

სემენარიაში ყოფნის დროს ქართველ მოწინავე საზოგადოებას, მწერალთა გუნდს, სხვათაშორის, მეც დავუახლოვდი. ამ დაახლოვებამ გავლენა იქონია და შევეუდეგ მწერლობასა. პირველად გადავთარგმნე კომმუნარის „როსსელის დღიური“, რომელიც დაიბეჭდა გვარის მიუწერლად ჟურნალ „მნათობში“, 1870 წ. მერე შევეუდეგ შილერის „ორლეანის ქალწულის“ თარგმნას ჟუკოვსკიდან. თითო მოქმედებას ვაძლევდი სემენარიის ხელთნაწერ ჟურნალში. თარგმანი, რასაკვირველია, როგორც პირველი ცდა და ნაკლებულობით სავსე დასაბეჭდათ არ მიმიცია და მაშინდელი გადანერილი ისევ სახლში მაქვს.

პირველი სახალხო მოთხრობა დავწერე სემენარიის ხელთნაწერ ჟურნალისათვის ამ სათაურით: „რა მიზეზია!“ მომქმედ პირად მყავდა დედა მათა და ცეცო. ეს მოთხრობა დომხალს წარმოადგენდა, მაგრამ მაინც მოეწონა მაშინდელ სემენარიის მასწავლებელს – გ. იოსელიანს (წყალტუბოელს) და მირჩია დამემუშავებინა. შემდეგში შევიმუშავე თემა მოთხრობისა „რა მიზეზია!“ და ორი მოთხრობა დავწერე: „დედა მათა“ და „ლამის მეხრე ცეცო“. სემენარიაშივე დავწერე წერილი „ძველ-ახალი ამბები“ ძველი ენების შემოღების გამო სემენარიაში, რომელიც დაიბეჭდა 1872 წ. „დროების“ №41-ში, ზაქარაძის ფსევდონიმით. სემენარიაშივე ვიღებდი მონაწილეობას პ. უმიკაშვილის სასოფლო გაზეთში, ვთარგმნიდი პატარ-პატარა წერილებსა და კორექტურაშიც ვშველოდი ბ. ი. ნათაძეს. ცოტა რამეს მაძლევდნ და ამ ფულით, რაც შემეძლო, წიგნებს ვიძენდი. ჩემს დროს სემენარიის მზრუნველად იყო ზაქარია სარაჯიშვილი, მამა დავით სარაჯიშვილისა, რომელიც ერთის წლის განმავლობაში, ვინემ კურსს გავათავებდი, თვეში ექვს მანეთს მაძლევდა. სემენარიაშივე სხვებთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი ქართულ წარმოდგენებში, გლეხების როლებს ვთამაშობდი; მონაწილეობას იღებდნენ ჩემს გარდა ან განსვენებული ი. ბაქრაძე, შ. შიუკაშვილი, ი. ნათაძე. ზაფხულობით სოფელში მიმქონდა წიგნები და შინ ვუკითხავდი. ძალიან მოსწონდათ „სიბრძნე-სიცრუის ზღაპრები“. მომეტებულს დროს ზაფხულობით ვატარებდი ჭალა-მინდვრებში, ტყე-ღრეში მწყემსებთან, ლამის მეხრეებთან. სიამოვნებით მაგონდება ის წამები, რომელიც გამიტარებია ლამის მეხრეებთან ჭალაში, ცეცხლის პირას, განსაკუთრებით წვიმა-ქარიშხალში, ჭექა-ქუხილის დროს.

კურსი გავათავე სემენარიაში 1873 წ. ივლისში და იმავე წლის ენკენის-თვიდან მასწავლებლად შევედი გორის სასულიერო სასწავლებელში; 16 იანვარს, 1874 წ. დამამტკიცეს მასწავლებლად. განსაკუთრებითად ვასწავლიდი ქართულს ენას და სხვა საგნებსაც. გორში დავინყე უმაღლესს სასწავლებელში წასასვლელად მზადება, მაგრამ 1874 წ. ენკენისთვეში დედა მომიკვდა. ამავე წელშივე გორში შესდგა საიდუმლო რევოლუციონერული წრე; ვთარგმნიდით სხვა და სხვა წიგნაკებსა და ხელთანანერად ვავრცელებდით ხალხში. ისე გამიტაცა და გამიყოლია ამ საქმემ, რომ ბოლოს გამშინჯეს. როგორც იყო, თავდებობით დავაღწიე თავი, მერე ციხეშიაც ამომაციფინეს თავი, რუსეთში სწავლის გასაგრძობად წასვლას თავი დავანებე და ცოლ-შვილობას მოვეკიდე.

ს. მგალობლიძეილი

ნიკო ლომოური¹

ნიკ. იოსების ძე ლომოური დაიბადა 1852 წელს, თებერვლის 19-ს ს. არბოში. ეს სოფელი მდებარეობს შუა ქართლში, კავკასიონის მთის ძირას დიდი და პატარა ლიახვების შუა და გადასცქერის ამ უკანასკნელი მდინარის სოფლებითა და ვენახ-ბალებით სავსე ხეობასა. ჩრდილოეთით და დასავლეთით სოფელს მოსდგომია ვრცელი ტრიალი სახნავ-სათესი მიწები, ხოლო სამხრეთის მხრივ ისამზღვრება ვენახებითა და ბალებით. ზედ შუა სოფელზე მომდინარეობს პანია ცივი და ანკარა დიცურა, ტოტი პატარა ლიახვისა. ამჟამად ს. არბოში ირიცხება არა უმეტეს ოცდაათი კომლისა, ხოლო სამოცი წლის წინათ, როცა დაიბადა ნიკო, იგი შესდგებოდა სულ ოციოდი კომლი გლეხებისა და ორი კომლი აზნაურშვილებისგან. მამა ნიკოსი, იოსები, აქაური ბინადარი მცხოვრებელი იყო, შინაურულად მომზადებული და აქვე მღვდლობდა. დედა – ეფემიაც – იყო არბოელი გვიმრადის ქალი. როგორც მამას, ისე დედას ჰყამდნენ ნათესავებ-ნათელმირონნი და ამნაირად მთელი სოფელი მამა იოსების ოჯახთან დაკავშირებული იყო ნათესაური გრძობითა და ურთიერთობითა. მთელი თავისი სიყმაწვილე ნიკომ გაატარა ამ სოფელში მოსიყვარულე ნაცნობ-ნათესავთა შორის. ყოველი გლეხის კარი მისთვის მუდამ ღია იყო და, როცა ამ კარებში შედიოდა, ყველგან ხვდებოდა გულწრფელი სიყვარული და ალერსი. მთელ დღეს და ხშირად ღამეებსაც ატარებდა გლეხების ოჯახში თავის ტოლ-ამხანაგებთან. მის წინ პატარაობითვე გადაშლილი იყო მთელი ცხოვრება გლეხკაცისა, მისი ზღაპრები და არაკები, შაირ-ანდაზები და გამოცანეები, მისი უმეცრება და ამაოდ მორწმუნეობა, სიღარიბე, ტანჯვა და მწუხარება. პატარა ბავშვის გულზე ყოველივე ესე ცხოველ შთაბეჭდილებას ახდენდა და ამნაირად ნელნელ და შეუმჩნეველად მზადდებოდა მის სულში ნიადაგი მომავალი ლიტერატურული მოღვაწეობისა. წერა-კითხვა დედისაგან ისწავლა. როცა რვა წლისა შესრულდა, იგი გორში ჩაიყვანეს და აქ სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ამ დროს, მაშინდელი ექსარხოსის განკარგულებით მამა იოსებს სამრევლო ჩამოართვეს... უდანაშაულოდ დასჯილმა უწ. სინოდში უჩივლა ექსარხოსს და სამრევლო უკანვე დაიბრუნა, მაგრამ ამ ჩამორთმევასა და დაბრუნების შუა რამდენსამე წელიწადმა განვლო და ამ დროს მამა იოსების კარგა მოზრდილი ოჯახი დიდ სიღარიბეში ჩავარდა. ნიკო ამისგამო ნამდვილად უსწავლელი დარჩებოდა, თუ რომ არ მიშველებოდა უფროსი ძმა, მასწავლებელი თბ. სას. სასწავლებლისა, ამჟამად სამხედრო უწყების დეკანოზი, მამა ივანე ლომოური. ამან თავისთან გადაიყვანა ნიკო თბილისში და მანვე გაგზავნა, შემდეგ სემინარიის დასრულებისა, რუსეთში უმაღლესი სწავლა-განათლების მისაღებათ. სას. სასწავლებლის მეოთხე კლასში ნიკო გახდა აწ განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის მოწაფეთ. „მამა მთავარ მათუსალასაც

1. ავტობიოგრაფია მესამე პირობი დაწერილია ნიკო ლომოურის მიერ (გამომცემლის შენიშვნა).

რომ გადავაჭარბო დღევანდელით, მაშინაც არ დამავინწყდება ბავშვობის გაკვეთილების ზეგავლენა და ის ცხოველი შთაბეჭდილებანი, რომელთაც ახდენდნენ ჩემ სულზე ეს გაკვეთილები“ – ხშირად იტყვის ხოლმე ამჟამად ნ. ლ-რი. იაკობის რჩევით, ამ დროს მან იწყო კითხვა-შესწავლა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს მასზედ. ამ გავლენას ზედ დაერთო შემდეგ ხანებში გლებ უსპენსკის, ნეკრასოვის, ტურგენევის და დობროლიუბოვის ზეგავლენაც და ამგვარად გამოირკვა და გამტკიცდა მასში ხალხოსნური მიმართულება (ნაროდნიჩესტვო), რომელსაც დაადგა იგი მოსწავლეობის დროს და დღევანდლამდე ერთგულად ემსახურება ამ მიმართულების დედაზრთა. პირველად ლექსებით იწყო მან წერა. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იქნებოდა, როდესაც განსვენებულმა სერგეი მესხმა თავის „დროებაში“ პირველად დაუბეჭდა პატარა ლექსი „სიონის ტაძარს“. ამას მოჰყვა მთელი რიგი კორესპონდენციებისა საერთო სათაურით „ხმა პროვინციიდან“. ამაზე ცოტა შემდეგ ჟურნალ „მნათობშიაც“ დაიბეჭდა რამდენიმე მისი ლექსი. სემინარიაში მყოფობის დროს მან დასწერა ისტორიული პოემა „იულონ ბატონიშვილი“ და სთარგმნა ბაირონის ცნობილი პოემა „შილიონის პატიმარი“. ყველა ამ ნაწერებმა ახალგაზრდა მოსწავლე მწერალს სახელი გაუთქვეს მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში... განსვენებული ნიკო ცხვედაძე და პატივცემული გიორგი იოსელიანი ამდროს იყვნენ სემინარიაში მის მოსწავლელები. ისინი მფარველობდნენ და ექცეოდნენ მას ნამდვილ მამაშვილურის გრძნობითა. 1875 წელს გაათავა სემინარია და უმაღლესი სწავლის მისაღებათ წავიდა კიევის სას. აკადემიაში. ნიკოს გულით უნდოდა უნივერსიტეტში შესვლა, რათა განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის ნატვრა – ბავშვების ექიმობის შესწავლა, მაგრამ ძველი ენების უცოდინრობამ ფრთები შეწყვიტა მის განზრახვას. სას. აკადემიაში იგი ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაენერა. კიევში მყოფობის დროს ხშირად იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში“ მისი კორესპონდენციები საერთო სათაურით „ხმა მონასტრიდან“ (აკადემია მოთავსებული იყო „ძმათა მონასტრის“ სახლებში). აქვე დასწერა თავისი პირველი მოთხრობა „ალი“ და გადმოსთარგმნა ბალოროსიულიდან შევჩენკოს პოემა „მუშა ქალი“. 1881 წელს გაათავა აკადემია და სამშობლოში დაბრუნებისას მიწვეულ იქმნა გამგეთ სათავადაზნაურო სასწავლებლისა. ამდროს დასწერა „პატარა ქაჯანა“ სამი წლის შემდეგ იგი განწესებული იქმნა ქართული ენის მოსწავლეებად გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც მოღვაწეობს დღევანდლამდე. ქართულ ენას ასწავლის გორის საქალო გიმნაზიაშიც.

მარიამ ორბელიანი

ავტობიოგრაფია

მე ვარ პოეტ ვახტანგ ორბელიანის ასული მარიამი (ქვრივი ალექსანდრე ორბელიანისა) 88 წლის (დავიბადე 1852 წ.).

1. 1882 წ. არჩეულ ვიქმენ ქართულ ვაჟთა (სათავადაზნაურო) სკოლის კომიტეტის წევრად. ცოტა ხნის მერმე თავმჯდომარის ამხანაგად და შემდეგ თვით თავმჯდომარედ.

1) ერთადერთი ქალი ვიყავი კომიტეტში.

2) ყოველთვის ხელს ვუწყობდი გლეხის შვილების მიღებას სკოლაში.

3) ვემსახურე ამ სკოლას 35 წელს, 1917 წლამდე.

4) თვით ამ სკოლის (ამჟამად ტფ. ს.ს.ს. უნივერსიტეტის) შენობის გეგმაც მე ჩამოვიტანე შვეციიდან.

2. ჩემი ინიციატივით სასწავლებელთან გაიხსნა ღარიბ მონაფეთათვის უფასო სასადილო, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავი უცვლელად მის დახურვამდის (1917 წლამდის).

3. მხურვალე მონაწილეობა მივიღე ორკესტრის შექმნაში და სკოლის მუსიკის მასწავლებლად ზაქარია ფალიაშვილის მონწევვაში.

4. ჩემი ინიციატივით, ჩემ მიერ შეკრებილი თანხით, 1906 წ. გაიხსნა პირველი ქართული ქალთა სკოლა, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავი 1917 წ-დე.

5. 1894 წ-დან 1901 წ-დე ვიყავი „ტფილისის მასწავლებელთა და აღმზრდელთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ. ამ საზოგადოებას ჰქონდა სკოლა სამი განყოფილებით: ქართულით, რუსულით და სომხურით.

6. 1894 წ. საკუთარი ხარჯით, პეტრე უმიკაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის დახმარებით, გამოვეცი ჩემი მამის – პოეტი ვახტანგ ორბელიანის ლექსები, ილია ჭავჭავაძის წინასიტყვაობით.

7. რამდენიმე წელიწადი ვთავმჯდომარეობდი სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტს მ. იპოლიტოვ-ივანოვის დირექტორობის დროს, რასაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს თავის „მოგონებებში“ (გამოც. 1934 წ., გვ. 93).

8. 1906 წელს მოვახერხე ნებართვის აღება, რათა დაგვეარსებინა „საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელიც ფაქტიურად არალეგალურად დახმარებას უწევდა რევოლუციონერებს და მათ დაობლებულ ოჯახებს (გ. ლასხიშვილის მემუარები, გამ. 1934, გვ. 223-224).

9. რამდენჯერმე ვიყავი არჩეული წმ. ნინოს სასწავლებელში საბჭოს წევრად.

10. ვიყავი წ. კ. გამ. საზ. საპატიო წევრი.

11. ვიყავი ქართ. უნივერსიტეტის დამხმარე საზ. წევრი (1914–1918).

12. სოფ. ატენში და სოფ. ლამისყანაში (ყოფ. გორის მაზრაში) ჩემ ქმართან ერთად გავიყვანე წყაროს წყლები, დავაარსე კოოპერატივი, ვაჩუქე გლეხებს ატენში 100 დესეტინა ტყე და ლამისყანაში – 80 დესეტინა. სოფ. ატენში გავახსნე ვინე სკოლა, რომლის ხარჯები სანახევროდ გავიზიარე წ. კ. გამ.

საზ.-თან. გლეხებს მუდამ დახმარებას ვუწევდით როგორც ექიმით და წამლებით, ისე ნივთიერად.

13. მყავდა რამდენიმე სტიპენდიანტი ქართულ ვაჟთა სკოლაში, რუსეთის და სამზღვარ გარეთულ უნივერსიტეტებში.

14. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ვაძლევდი ფრანგული ენის კერძო გაკვეთილებს და დროდადრო ვთარგმნიდი სხ. და სხ. პირებისა და ორგანიზაციების დავალებით ფრანგული ენიდან ქართულად და ქართულიდან ფრანგულად.

იონა მეუნარგია

ბიოგრაფია¹

მეუნარგია იონა მიხაილის ძე დაიბადა 1852 წ. სოფ. ცაიშს, ზუგდიდის მაზრაში. პირველ-დანეებითი სწავლა მიიღო მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. 1874 წ. დაამთავრა მეექვსე კლასი – ფილოსოფიური განყოფილება – თბილისის სასულიერო სემინარიისა და იმავე წელს გაემგზავრა სწავლის გასაგრძობად სამზღვარს-გარეთ, შვეიცარიაში, საცა ამ დროს ბევრი ქართველი ახალ-გაზდობა სცხოვრებდა და ორი წელი სწავლობდა ჟენევის აკადემიაში. 1876 წ. გადავიდა პარიზს, საცა გაეცნო ნაციონალურს და ჟენევიევის ბიბლიოტეკებში საქართველოზე ნაწერს ფრანგულს მწერლობას და ქართულ ხელ-ნაწერებს, რომელიც სხვა და სხვა დროს იყო საქართველოდამ გატანილი და ამ ბიბლიოტეკებში მოთავსებული. ნაციონალური ბიბლიოტეკიდან იმან, სხვათა შორის, გადმოსწერა ნაწურა ციციშვილისგან დანერილი „ვეფხისტყაოსნის“ დამატება, 396 ხანა. 1878 წელს დაბრუნდა საქართველოს და მოკლე დროში, შემდეგ ალექსანდრე სარაჯიშვილისა, იქმნა არჩეული წ. კ. საზოგადოების წევრად და მდივანთ. იმისი აქ მსახურების დროიდან არის აღსანიშნავი იმისი ინიციატივით დაფუძნებული ძველი ხელით-ნაწერი ქართული წიგნების ბიბლიოტეკა. ამ საქმეში იმას ეხმარებოდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და გრ. ჩარკვიანი. შემდეგში, როცა ამ ბიბლიოტეკას სამეგრელოს თავადმა შემოსწირა მთავრის – დავით დადიანის მდიდარი ხელით-ნაწერი ბიბლიოტეკა, ი. მ. იყო გაგზავნილი გორდს ამ წიგნების ჩამოსატანად. იმ კამისიაში, რომელიც მაშინ იქ იყო გაგზავნილი გორდის სასახლეში, მონაწილეობას იღებდენ: ილია ჭავჭავაძე, ვასო მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, სიმონ ლოლობერიძე და სამსონ ყიფიანი.

1879 წლიდან დაწყებული ი. მ. დიდხანს იღებდა მონაწილეობას თბილისის რუსულ-ქართულ გაზეთებში, როგორც მოამბე, კორესპონდენტი და ფელეტონისტი. ის სწერდა „Тифл. Вѣстник“-ში, როცა გაზეთს ფაქტიურად განაგებდა გიორგი წერეთელი; „დროებაში“ სერგი მესხის დროს, რომლის ავადმყოფობის გამო ის ხშირად ასრულებდა რედაქტორის მოვალეობას და შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობის დროს; „Кавказ“-ში 1882–1884 წლებში დავით ერისთავის რედაქტორობის დროს; „ივერია“-ში ილია ჭავჭავაძის დროს. ამ უკანასკნელს გაზეთში ის დიდხანს ბეჭდავდა საქართველოს ისტორიულ პირთა მოსწრებულ სიტყვებს „ლელო“-ს ფსევდონიმით.

ქართულ მწერლობაში ი. მ.-ს საკმაოდ დასატევი ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც საქართველოს მწერლების და ისტორიულ პირთა ცხოვრების ამწერს. სამოცდაათიან წლებში, ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ თანამედროვენი ჩვენის მწერლებისა – ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკო ბარათაშვილის და გიორგი ერისთავის და მათთა თანამედროვეთაგან განაგონი და მოწვედნილი მასალებით ი. მ.-მ შეადგინა:

ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავი.

1. ავტობიოგრაფია იონა მეუნარგიას მიერ მესამე პირობა დანერილი (გამომცემლის შენიშვნა).

ნიკო ბარათაშვილის ცხოვრება, დაბეჭდილი გაზეთს „დროება“-ში. ეს ცხოვრების აღწერა იყო წაკითხული საჯაროდ ჯერ თბილისში და მერე ქუთაისში.

გიორგი ერისთავის ცხოვრება, დაბეჭდილი მელიქიშვილის სტამბაში 1884 წელს.

შემდეგ ი. მ-მ დასწერა:

„ცხოვრება და ღვანლი გრ. ორბელიანისა“, დაბეჭდილი ჯერ ჟურნალს „მომამბეში“, ალექსანდრე ჭყონიასგან და მერე ცალკე წიგნათ 1905 წელში. რამდენიმე თავი ამ თხზულებისა იყო საჯაროდ წაკითხული ჯერ თბილისში და მერე ქუთაისს.

მამია გურიელის ცხოვრება, დაბეჭდილი ქუთაისის ამხანაგობისგან 1897 წელს.

ნიკო გიორგის ძე დადიანის ცხოვრება, დაბეჭდილი მთავრის – ლევან დადიანის სამოძღვროდ დაწერილის დასტურლამის წინასიტყვაობაში 1897 წელს.

გიორგი ქორაქიძის ცხოვრება, დაბეჭდილი 1913 წელს კილაძის სტამბაში, ქ. ქუთაისს.

დავით ერისთავის ცხოვრება, წინასიტყვაობად დართული მის ნაწერებთა კრებისადმი.

სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავი. რამდენიმე თავი ამ ცხოვრების აღწერისა იყო წაკითხული საჯაროდ ზუგდიდის სამეგრელოს თავადის სასახლეში.

თ. გრიგოლ დადიანის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავი.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება სათაურით „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ“, ჯერ დაუბეჭდავი. ეს მოკლე ცხოვრების აღწერა წაკითხული იყო ილიას დღეობაზე ჯერ ფოთს და მერე ქუთაისს.

ი. მ-ს ბევრი შრომა დაუდევს რუსთველის ქმნილების გარშემო. მისმა პარიჟში გადმონერვილმა ნანუჩასგან დამახინჯებულმა „ვეფხ. ტყაოსანმა“ დასვა მის წინაშე საკითხი: რომელია არის დაუმახინჯებელი, ყველაზე უფრო ნამდვილთან სწორი პოემა რუსთაველისა, არის თუ არა სადმე თუ არ რუსთაველის ხელით, იმის დროის მახლობელი პირისგან ნაწერი ქმნილება დიდის პოეტისა და ამის გამო იმან განიზრახა ესარგებლნა წ. კ. საზოგადოების მდივნის ადგილით და გაეწერა სხვა და სხვა საქართველოს კუთხეებში, საცა მისგან შეკრებული ცნობებით ეგულვებოდა ვ. ტ., მაგრამ როცა უთხრეს ვ. ტ.-ს, როგორც განძს, გამოსაგზავნად ვერ ვინ შეეღვევაო, იმან მიმართა თხოვნით თ. გრიგოლ ორბელიანს და „ვეფხის ტყაოსანის“ კუთხე-კუთხე ჩამოთხოვა გახდა გრიგოლ ორბელიანის ხელით მონერილი წერილით. სულ შეიკრიბა ათიოდე ვ. ტ., რომელთაგან ერთი – ნესტორ წერეთლისა – იყო ილლიუსტრაციით. შეკრებილი წიგნების ერთმანერთთან შედარება და შესწორება მოხდა თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში, საცა მუშაობა გაგრძელდა რამდენიმე კვირა. მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ: გრიგ. ორბელიანი (ამისი რჩევით, პირველსავე კრებაზე იქმნა მიღებული სიტყვა „ვეფხი“ ნაცვლად „ვეფხვი“-ს), ილია ჭავჭავაძე, ნიკო დადიანი, რაფ. ერისთავი, ვანო მანაბელი, დავით ერისთავი და სხვანი მრავალნი. მთავარი განზრახვა ხელთნაწერების შეკრებისა, მოემწყვდიათ თბილისში უძველესი ვ. ტ., დარჩა მიუწვდენელი, რადგანაც მეთექვსმეტე საუკუნეზე

ადრე დაწერილი ეკზემპლიარი არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტთა შედარებამ კი რამდენიმე გადამწერთაგან დამახინჯებული ადგილი რუსთველის ქმნილებისა გამოასწორა და გასწორებული ეკზემპლიარით დაიბეჭდა გ. ქართველიშვილის ძვირფასი გამოცემა, ზიჩის ილლიუსტრაციით.

ბევრის ხნით ადრე, ვიდრე ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა ი. მ-მ სთარგმნა ვ. ტ. ფრანგულს ენაზე, ფრანგის – ჟიულ-მურიეს და ბარონესსა ბერტა სუტნერის შემწეობით და ზიჩიმ ამ თარგმანის წაკითხვით შეადგინა თვისი ცნობილი ილლიუსტრაცია რუსთველის ქმნილებისა. ეს თარგმანი, ხელით ნაწერი, შემდეგში გადასცა მთარგმნელმა რუსის მგოსანს – კ. ბალმონტს.

1888 წელს, როდესაც ხელმწიფე ალექსადრე მესამე იყო ქალაქს, ქართველიშვილმა და ი. მ. მიათვეს დედოფალს – მარიამ თეოდორეს ასულს – პირველმა თვის გამოცემა ძვირფასის ყდით და მეორემ ამ შემთხვევისთვის მისგან შედგენილი რუსულს ენაზე: Барсова кожа в рассказъ И. Мейнаргія, типогр. Либрмана, 1888 г. ამ მირთმევისათვის ორთავემ მიიღეს ძვირფასის თვლებით შემკული ოქროს ბეჭდები.

ი. მ-ს კალამს ეკუთვნის ორი არხეოლოგიური მოგზაურობის აღწერა: ერთი სვანეთს, სათაურით: Поѣздка въ Сванетію, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლისა და მეორე – მოგზაურობა აჭარას და ქობულეთს. უკანასკნელი მოგზაურობა იყო მომხდარი მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მონდობილებით. პირველი დაბეჭდილია ცალკე წიგნათ ფოთში და მეორე საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბეში.

ი. მ. მსახურებდა ფოთის ქალაქის გამგეობის წევრად – ქალაქის თავის ნაცვლად 1891 წლიდან 1895 წლამდის და 1907 წლიდან 1913 წლამდის, სულ 10 წლის განმავლობაში. მომრიგებელ შუამავალად მსახურებდა სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხომის მაზრაში 1898 წლიდან 1907 წლამდე. ამ ადგილებში მსახურების დროს ის არა ერთგზის იყო გაგზავნილი კავკასიის მთავარ-სამმართველოში, როგორც წარმომადგენელი. ქუთ. გუბერნიის, როცა იქ ირჩეოდა საკითხი გლეხთა დროებით ვალდებულების გაუქმებაზე და ერობის შემოღებაზე.

ბოლო ხანებში ი. მ. მსახურებდა შავი ზღვის განაპირა რკინის გზის სამმართველოში ქ. ზუგდიდის.¹

უკანასკნელ დღეებში აირჩიეს სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ. თავისი ძალ-ღონე ხალხის სინდისიერ სამსახურს შესწირა. თუმცა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეს სწყენოდა, მაგრამ ვინრო პარტიულობაზე იმდენად მაღლა იდგა, რომ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. გარდაიცვალა მაისის 15, 1919 წ., ქ. ახალსენაკში სიდამბლით, რაიც სამეგრელოს მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარეობის დროს დაემართა. დაიკრძალა ცაიშის ძველ ეკლესიის გალავანში საკუთარი საოჯახო ეკლესიის ჭერქვეშ.

1. აქ თავდება იონას ნაწერი. შემდეგ დამატებულია (უცნობი პირის შენიშვნა).

ჩემი ბიოგრაფია (ივანე პავლეს ძე როსტომაშვილისა)

დავიბადე 25 დეკემბერს, 1852 წელს სოფელ კურდღელაურში, რომელიც სავსეა ბალ-ვენახებით და ისეა გადაბმული თელავთან, რომ ვერ გაარჩევ, სად იწყება სოფელი და სად თავდება ქალაქი.

მამაჩემი, პავლე იყო იოსებ მღვდლის შვილი, იღებდა მონაწილეობას ლეკებთან ომებში, დაიმსახურა ობერ-აფიცრობა და შემდეგ დასახლდა ს. კურდღელაურში მამისაგან მოცემულ პატარა ერთ დღიურ ბალ-ვენახში. ბალი სავსე იყო ბლის, ჭანჭურისა და ატმის ხეხილით, ხოლო ვენახი – ვაზით. მთელს დღეს მამაჩემი ამ ბალ-ვენახში მუშაობდა და, რამდენადაც მახსოვს, სანამ სკოლაში მიმბარებდნენ, ხშირად მეც მიშველიებდა. მაგალითად, ვენახში ქვების აკრეფაში და გადაყრაში. დედაჩემი, ბარბარე, იყო თელაველი ქალი, ზაქარია კურდღელაშვილის ასული, წყნარი და გამრჯე ადამიანი. ჰყვანდათ ხუთი შვილი, მათში ერთი ქალი და დანარჩენი – ვაჟები, რომელთაგან, ერთი, სახელად დავითი, სულ ადრე მოუკვდათ. და-ძმებში მე მცირე ვიყავ, უფროსი და, მაიკო, იყო. სწავლა დავიწყე თელავის სამაზრო სკოლაში, მაგრამ იქ დიდს ხანს არ მისწავლია და არც მახსოვს, რას და როგორ მასწავლიდნენ. მალე ჩემმა მშობლებმა მიიღეს ქალაქი, რომ მიღებული ვარ სახელმწიფო ხარჯზე თუქურ-მიშის (იგივე დედოფლის-წყარო, სიღნაღის მაზრაში) სამხედრო სკოლაში. მახსოვს, როგორ გაუბარდა დედაჩემს, როცა ვილაც მოხელემ ქალაქი ჩამოუტანა თელავიდან ჩემს მიღებაზე. ამ დროს მე, დაახლოვებით, უკვე 10-11 წლისა ვიქნებოდი. მამაჩემმა იშოვნა სადღაც ცხენი, შეკაზმა, შემომისო უკან და დილა ადრიან, ღამიანათ, გაუდექით შორი გზას, საით, არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რომ სკოლაში მივყვანდი მისაბარებლად. გზაში სიბნელის გამო, გზაზე მამაჩემს ცხენი ჩაეფლა სადღაც არხში და მე კინალამ გადმოვარდი, მაგრამ მამამ შემაკავა.

მეორე თუ მესამე დღეს, როცა ის იყო, მივუახლოვდით თუქურ-მიშას, მამაჩემმა მოისურვა ცხენის შესვენება, ჩამოვხტით და მიუშვა იქვე გზის პირად ბალახის მოსაძოვნად. მაგრამ უეცრად გაჩნდა საიდლანდაც რუსის სალდათი, წაავლო ცხენს ხელი სადავეში და უნდა წაერთმია. მამაჩემი გაუძალიანდა სალდათს და ზოგი დამტვრეული რუსულით და ზოგიც ქართული ლაპარაკით ძლივს გააგდებინა სალდათს ცხენი ხელიდან, მაგრამ აღვირი მაინც წაგვართვა და წაიღო. ამ ამბავმა დიდად გააბოროტა ჩემი გული და მხოლოდ დიდი ხნის ცხოვრებამ სალდათებს შორის თუქურ-მიშის სამხედრო სკოლაში, სადაც მოსამსახურებად სულ სალდათები იყვნენ, გაანელა იგი... სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ პედაგოგის მოთხოვნილებას: ხელის თითებზე ცემა სახაზავისა იყო მათი საყვარელი საშუალება ჩვენი მორჯულებისა, როგორც თვითონ ამბობდნენ.

სკოლაში მისვლისას მამაჩემმა წარუდგინა სკოლის უფროსს, მიხეილ გრიგოლის ძეს ჩიჩულის ქალაქი ჩემს მიღებაზე. უფროსმა წაიკითხა ქალაქი, წაგვიყვანა სადღაც გრძელ-გრძელ საძილე ოთახში, სადაც გამწკრივებული

იდგა ქვეშაგებგაშლილი და სუფთად გადაფარებული მრავალზე მრავალი კრაოტი, ხელი დაადო ერთს და სთქვა რუსულად: ეს იქნება შენი დასაძინებელი ადგილიო. მე კი იწიცი არ ვიცოდი რუსულისა... ჩიჩულინის სკოლა აღმოჩნდა ყოვლად ანტიპედაგოგიური: იმის გარდა, რომ მასში სრულიად ადგილი არა ჰქონდა სამშობლო ენის სწავლებასა, თვით მასწავლებლები მთლად უვიცი იუნკრებისა და ზარმაცი აფიცრებისაგან შესდგებოდნენ, რომელთაც ჭირივით ეჯავრებოდათ სწავლაზე მეცადინეობა, უგულოდ შედიოდნენ კლასში და უფრო სახაზავით ხელებზე ცემას უნდებოდნენ, ვიდრე სწავლას... ეს ცოტაა, სკოლაში არა თუ არ ასწავლიდნენ სამშობლო ენას, პირიქით, მიღებული იყო ყოველი საშუალება, რომ სრულიად დაგვიწყებოდა ქართული ლაპარაკი. ასეთი იყო, მაგალითად, უსადილობის ფირფიტა, რომელსაც აჩრიდნენ ხელში ყველას, ვინც გაბედავდა სამშობლო ენაზე დალაპარაკებას. ეს იყო მიზეზი, რომ მე ტკბილი მშობლიური ენა შეუმჩნევლად მთლად დამვიწყებოდა?! ამ სასწავლებლის გათავებისას, სადაც მე ფეხმოუცვლელად ვიყავი სკოლაში ზამთარ-ზაფხულ ექვსი წელიწადი, რადგანაც მშობლები დამეხოცა, წამომყვანი არავინ მყვანდა, მე სრულიად აღარ ვიცოდი ქართული, საუბარი რა არის, ისიც კი დამვიწყებოდა.

და განა მართო ეს? პატარა შეგირდებს მოსვენება არა გვქონდა დიდებისგან, დაკეტილნი სასწავლებელში, ესენი ქალების ადგილას გვაყენებდნენ ჩვენ და ვინც კი ცოტათი ლამაზი და სუსტი ხასიათისა იყო, გარყვნილების მორევეში აცურებდნენ. წრეს გადასული იყო მათი ქცევა, მეტადრე ლამით, როცა დაიმწყვავდნენ ვირებსავით ასოს და ხან ერთს შეგირდს მიუშვერდნენ და ხან მეორეს. ბუნებით მე დიდად მეჯავრებოდა მათი ასეთი ქცევა და გულ-ჩაკეტილი შორს ვედექ მათ. ამ ზნეობრივ სიფაქიზეს ხელს უწყობდა კიდევ ერთი გარემოება: სკოლაში თუ საავათმყოფოში, წერა-კითხვის არ მცოდნე სალდათები ხშირად მთხოვდნენ წამეკითხა მათთვის სახარება. მეც სიამოვნებით ვუსრულებდი მათ ამ თხოვნას და ამ გარემოებამ დიდად დაიცვა ჩემში ზნეობრივი სისპეტაკე. ესევე გარემოება იყო მიზეზი, რომ შედარებით სხვებთან კარგად ვისწავლე კითხვა და წაკითხულის გაგება. გმადლობთ, ათასჯერ გმადლობთ, სალდათებო! თქვენ მასწავლეთ კითხვა, თქვენ, წაკითხულის დაკავშირება და გაგება. თქვენ უფრო გეკუთვნით ჩემი მასწავლებლის წოდება.

სასწავლებელში აღმოჩნდა ზოგიერთი ჩვენი მეზობელი თავადიშვილები, მაგალითად, ვახვახიშვილები. როცა მოახლოვდა ზაფხულის არდადეგები, მათმა მშობლებმა, მამიჩემის თხოვნით, თავიანთ შვილებთან ერთად, მეც წამომიყვანეს სახლში და ამ რიგად კვლავ გამახსენეს სამშობლო. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი ნახვა ჩემგან მშობლებისა. ამ ზაფხულს იყო, რომ გარდაიცვალა ჩემი ძმა დათიკო და მას მალე მიჰყვა დედაჩემი, ხოლო შემოდგომას, როცა მე უკვე სკოლაში ვიყავი დაბრუნებული, გარდაცვლილიყო მამაჩემიც. მახსოვს, ბევრი ვიტყვით, როცა მითხრეს, რომ მამა მომკვდომიაო. რა დაემართათ ჩემს და-ძმებს, ვინ უცვლიდა და ინახავდა მათ, არაფერი არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნათესავებს გაეთხოვებინათ ჩემი და მაიკო სოფელ შალაურში მცხოვრებ აზნაურ ილიკო

გველესიანზე, მისთვისვე გადაეცათ მამიჩემის ბალ-ვენახი თუ სახლი და დაევალებინათ, რომ ობლებისთვისაც ყური ეგდო და შეენახა. რამდენად პირნათლად შეასრულა სიძემ ეს დავალება, არ ვიცი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი თუ ჩემი დის მეცადინეობით, იმავე სკოლაში, სადაც მე ვიყავ მიღებული და უკვე ვსწავლობდი, მიიღეს ჩემი მეორე ძმაც, შაქრო. იგი ჩამოიყვანა თუქურ-მიშას თვით სიძემ და მაშინ ვნახე იგი პირველად. ამ გვარად სიძის შესანახი ახლა დარჩა მხოლოდ ჩვენი მესამე ძმა, გიორგი...

ერთად-ერთი ღირსება ჩიჩულინის სკოლისა იყო ის, რომ ზაფხულის არდადეგებში ნებას გვაძლევდა, გვევლო შეგირდებს მახლობლად მდებარე ტყე-მინდვრებში, წმიდა ელიას გორისკენ და ყოფილ ხორნაბუჯის ქალაქის ნანგრევებისკენ, სადაც ხშირად ვპოულობდით გაველურებულ ყურძენს, ლელვს, ბროწეულებს და თან შეუგნებლად ვსწავლობდით, თან ვსტკებოდით უძველესი ქალაქისა და მისი მიუდგომელი ციხის ნაშთებით. ახლა ამ ციხეს უვიცნი ეძახიან თამარის ციხეს, მაგრამ ეს შეცდომაა. ხორნაბუჯნი და მისი ციხე არსებობდა გაცილებით ადრე თამარზე. იგი აიღო ... ხანმა და მინასთან გაასწორა, მას შემდეგ მივიწყებულ იქმნა იგი და ალბათ, ამიტომ ეწოდა ქოეთის ციხე, ე. ი. ქოტებისა. 15... წელს კახეთის მეფისა ძე გიორგის ბრძანებლობამ ამ ციხის კლდოვან თხემიდან გადმოყარეს ... კაცნი...

თუქურმიშის მიდამოები სავსეა გველებითა, მაგრამ ჩვენ მაინც დაურიდეზლად დავნავარდობდით ყველგან. მახსოვს, ერთხელ ფეხი დავადგი დაკუმბებულს გველს. როცა გაშლა დაიწყო, უნდა გენახათ ჩემი შიში და გაქცევა.

შვიდი თუ ექვსი წლის, ავად თუ კარგად სწავლობის შემდეგ თუქურმიშის სამხედრო სასწავლებელი გარდააკეთეს ეგრედ-წოდებულ ნორმალურ სკოლად და გადაიყვანეს კახეთის გაუქმებულ საცხენისის ციხეში. გადაგვიყვანეს ჩვენც (შეგირდები).

გადაყვანა მოხდა ზაფხულს. აი, დაუდეს „პავოზკებზე“ სკოლის ყოველი ბარგი-ბურხანა თუ სანოვაგე და გაუდექით ფეხით შორეულ გზას. გზა მეტის-მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ვნახეთ ის, რაც თავის დღეში არ გვენახა: მდინარე ალაზანი და მასზე გამართული უშველებელი ხიდი, ჭიაურის მშვენიერი ტყე, ლაგოდეხი თავისი მშვენიერი მიდამოებით და კავკასიის მთებიდან გამომდინარე ხეხეები – კაბალისა და სხვა.

საცხენისში დიდხანს არ დავრჩენილვარ: სწავლა გავათავე, მაგრამ, რადგანაც შინ წამყვანი არავინა მყვანდა, ჯერ ჯერობით კვლავ სასწავლებელში ვიყავი იმ სხვა შეგირდებთან ერთად. ზაფხულში ვინც შეგირდები დარჩნენ სასწავლებელში, ალბათ, ჩემსავით უპატრონონი, ყველანი ლაგოდეხში წავიყვანეს და იქ ვცხოვრობდით. აქ მე შევიტყე, რომ სოფელ ოჟიოში მცხოვრები აბელიშვილები აფიცრებდნენ არიან აქაურ ჯარში, შევიტყე ისიც, რომ ესენი „პავოზკებს“ გზავნიან ოჟიოში. ვიახელ მათ და ვსთხოვე, მეც გამაყოლონ „პავოზკებს“. უარი არ მითხრეს, ხვალ მოდით და წავიყვანენო. ამ დროს მე 16-17 წლისა თუ ვიქნებოდი. დავფაცურდი სწავლის მოწმობისთვის, დამინერეს, მომცეს, მაგრამ დამავიანეს და როცა მიველ აბელიშვილებთან, მითხრეს, რომ „პავოზკები“ დიდი ხანია წავიდნენო. დავლონდი, კინალამ ვიტირე, მაგრამ გადავწყვიტე, დავწეოდი, გადავიკიდე მხარზე აბგა

ორიოდე წიგნით შიგ და გაუდექ გზას... მივდიოდი და თან შიში მივლიდა მთელს არსებაში, გზა არ ამერიოს და ან სხვა რამემ არ მავნოს-მეთქი...

მივდიოდი გამალებით, რადგანაც ვიცოდი, რომ კაბალი დიდი წყალია, ფეხით ვერ გავალ და ამიტომ ვცდილობდი, მალე მივწვდოდი „პავოზკებს“. ღვთით, სწორეთ კაბალთან დავენიე კიდეც მათ! გაეხარდათ თვით მეპავოზკეებსაც, რომ დროზე დავენიე და მარტოკა არ მომიხდა სიარული უცნობ გზაზე. „პავოზკებთან“ ერთად წყლის პირად იდგა რამდენიმე ცხენოსანი მგზავრიც. პირველად ესენი შევიდნენ წყალში, მაგრამ წყალმა ერთს მათგანს ცხენი წაუქცია, მხედარი ქვეშ მოჰყვა და წყალმა წაიღო ცხენიც და მხედარიც. გულისტკივილით და ფანცქალით ვუცქერდი ამ ამბავს, მაგრამ დანარჩენები რომ გავიდნენ წყალს, ნაპირით გამოუდგნენ წალეზულს და როგორც შემდეგში შევიტყვეთ, მხედარიც და ცხენიც გადაერჩინათ, თხელ ადგილზე გამოერიყა წყალს ორნივე.

რამდენი დღე ვიარეთ ტაბატით ოჟიოს ალაზნის ფონამდე, აღარ მახსოვს, მაგრამ, როცა ოჟიოს ბოლოში ალაზანს გავედით, მზე უკვე ჩასვენებას ღამობდა. მადლობით გამოვეთხოვე კეთილ „მეპავოზკეებს“ და შევუდექი თელავის გზას. ბევრს ვცდილობდი, ჩქარა ავსულიყავ თელავში, მაგრამ მაინც დამიღამდა, გზა სრულიად უცნობი იყო ჩემთვის და ამიტომ ბევრი წვალეზა და შიში გამოვიარე. აქაც გზის აქეთ-იქით მინდვრებში ცხვრების ფარები მხვდებოდა და ის მაშინებდა, რომ ძალღებმა ან ახლო-მახლო მოხეტიალე მგლებმა არ დამგლიჯონ-მეთქი.

ავედი თელავს. მივედი ქვრივ ძალუებთან. გაეხარდათ, მიმიღეს, მომი-ალერსეს, მკითხეს ხან რა, ხან რა, მაგრამ მე მათი ლაპარაკისა არაფერი მესმოდა, მე უცხო ვიყავი იმჟამათ მათთვის და ისინი ჩემთვის, რუსულის მო-ლაპარაკეც მაშინ იმეიათი იყო და აი, აქ ვიგრძენ პირველად, თუ რა მიყო გადაგვარებულმა სკოლამ და შემძულდა იგი...

ძალუებმა კარგად მიმიღეს-მეთქი. მაგრამ ეს მათი კარგად მიღება მხოლოდ ერთი წამით იყო. გათენდა თუ არა, პელაგია-ძალუამ გამომიძახა მეორე ოთახიდან: „შვილო ვანო, ჩაირბინე ბატონის წყაროზე და ერთი კოკა წყალი ამოიტანეო“... ამოვიტანე. „შვილო ვანო: დღეს ვენახში მივდივარ (ამათაც კურდღელაურში ჰქონდათ ვენახი, ჩვენი ვენახის გვერდით), წადი მჭედლიან-თსა და კეკელას დამიძახე, ვენახში მივდივარ და ჩემთან გადმოდიო“. დაუ-ძახე, მოვიდა, აგვკიდა კალათები და ვენახს ჩავედით. მიამა ჩვენი ბალ-ვენახისა და სახლის ნახვა, მაგრამ სახლში ჩემი და-ძმები უკვე ველარა ვნახე: აქ, მხოლოდ მონახევრე იმერელი მეზალები იდგნენ და და-ძმა კი თურმე სიძეს გადაესახლა შალაურში თავის სახლში. შევუდექით საქმეს: ძალუამ დაგვაკრე-ფინა ბლომათ ლობიო, კიტრი, ხახვი, სხვა და სხვა მწვანილი, რომელიც შრო-მის-მოყვარე იმერლებს ბლომად მოეყვანათ. შუადღისთვის აგვკიდა ყველა ეს მე და კეკელას და გამოვწიეთ თელავისკენ... „შვილო ვანო! წაიღე კოჭობი (პატარა ქილა), აი, ეს ფული, მიდი მელიქასთან და უთხარი: ორი შაურის ერბო გამომიგზავნეთქო“. წაველ და მოვიტანე... „შვილო ვანო! კოკა აიღე და წყალი ამოიტანე, აღარ გვიდგა“ და ესე გაუთავებლად ვტრიალებდი დღე და ღამ, სანამ ძალუები და მათთან ერთად მეც ძილს მივეცემოდით...

ბიძა მყვანდა. ჩიკრო ერქვა მეტსახელად. ომებში იყო განრთობილი მაჩემთან ერთად. კეთილი და კაი კაცი, იგი მოურავად იყო ერთ ქვრივ კნი-ნასთან. მითხრა: ვანო, რუსული არ დაივიწყო, ნიგნიაც ჩაიხედე ხოლმე ზოგჯერაო, ქალაქს წაგიყვან, სხვა დიდ სკოლაში უნდა მიგაბაროო. მაგრამ ძალუბთან მცხოვრებს განა შემეძლო-ლა ნიგნში ჩახედვა, რომლებიც მე სკოლიდამ აბგით ვატარე თან, როგორც ნმინდა ნანილები?! ჭკვაში და-მიჯდა ბიძის სიტყვები, ხუმრობაში, მართლა, არ დამავიწყდეს რაც მისწავ-ლია-მეთქი და მეც, მოვიცლიდი ხოლმე თუ არა, მაშინვე ნიგნს მივატანდი და ვკითხულობდი, თუმცა სულ ზეპირად ვიცოდი, რადგანაც სკოლაში რომ სწავლა თავიდანვე უცხო (რუსულ) ენაზე სწარმოებდა და ამის გამო არაფე-რი მესმოდა, მეც და სხვებიც, ვისაც კი ცოტაოდენი ხალისი და სურვილი ჰქონდა რამე ესწავლათ, ყველაფერს იმდენს ხანს ვსწავლობდით და ვკით-ხულობდით, სანამ სიტყვა-სიტყვით არ გავიზეპირებდით გაკვეთილს... ერ-თი სიტყვაც არ გამომპარვოდა შესწავლილიდამ... ძალუბი, თითქოს ჯიბ-რზე, განაგრძობდნენ ჩემს წვალუბას და გაუთავებელს დასაქმებას, თითქოს რვა-ცხრა წლის უსწავლელი ბიჭი ვყოფილიყავ. ერთხელ, ვეღარ ავიტანე მათი ასეთი მოქცევა ჩემდამი და საღამო ჟამს სახლში აღარ მიველ, წაველ ვენახში, იქ ცარიელი ოთახები მეგულეობდა. მალლა სართულში თახჩა იყო და შიგ ესვენა ძველის-ძველი ხატები. ბნელოდა. აველ მალლა, დავიჩოქე და ერთი მაგრად ვილოცე, ვსთხოვედი ღმერთს, ეშველა ჩემთვის და ამ გა-რემოებიდამ დაეხსნა ჩემი თავი. ახლა ღმერთისა და ხატებისა აღარაფერი მნამს, მაგრამ მაშინ კი დიდი და დიდი ამაგი გამიჩიეს მათ: შემინახეს, გა-მამხნევეს, ძალა და მოთმინება მომცეს უპატრონოს და უილაჯოს. მაგრამ მაინც ვაი ობოლს და ღარიბს!

ბიძაჩემმა თავისი სიტყვა შეასრულა, დაიქირავა ერთხელ ახტალელი თათრისსაპალნიანი ცხენები, შევსხედით და გავწიეთ ქალაქისკენ. ჩავედით. ბიძაჩემი, ეტყობა, ზედ-მინეწვით მიხვდა ჩემს იმ დროინდელს მისწრაფებას და რომ ჩავედით ქალაქს თუ არა, ინახულა სასწავლებლის (იუნკრების) უფ-როსი და სთხოვა მიველე, მაგრამ უფროსმა უთხრა, რომ ახლა დაგვიანებუ-ლია, მომავალ წელს მოიყვანე და მივიღებო. დავბრუნდით დალონებულები უკან თელავს... მაგრამ, ეტყობა, სულ სხვა სწადდა ჩემს ბედს. თელავში მე გავიცან ვინმე კოტე მაყაშვილი, ჩემსავითვე სწავლის გაგრძელების მოტ-რფიალე და ფრიად კეთილი გულის ყმაწვილი. დიდი რამ ყოფილა ახალგაზ-დისთვის გულითადი ამხანაგი: დღე ისე არ გავიდოდა, რომ სადმე არ გვე-ნახა ერთმანერთი და სულ იმაზე ვლაპარაკობდით და ვოცნებობდით, თუ როდის წავალთ თბილისში სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მე განვაგრძობდი ოცნებას სუვოროვად გახდომაზე (თუქურ-მიშის სკოლის ნიგნ-საცავი შესდგებოდა უმეტეს წილად სამხედრო ნიგნებისგან და მა-თი კითხვით თითონაც სამხედრო სულით ვიჟღინთებოდით), ყარსის ციხეზე იერიშით მისვლაზე და მის აღებულ კედლებზე გამარჯვების ბაირალის აფ-რიალებაზე. მაგრამ ნაწყენმა თუ გაჯავრებულმა, რომ სამხედრო სასწავ-ლებლის უფროსმა მაშინვე არ მიმიღო სკოლაში, ბიძამ მეორე წელს აღარ გამგზავნა, არამედ მიმიწერა წერილი იმ ხანებში ახლად გახსნილ საოსტატო

სემინარიის მღვდელთან ნავთლულში პროკლე იოსელიანთან, სადაც შესვლას აპირებდა ჩემი მეგობარი – კოტე მაცაშვილი. მაგრამ უყურეთ უსამართლობას! მე მიმიღეს (კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სტიპენდიანტად 1870 წ.) და მეგობარი კი – არა! დავლონდი ძალიან, მაგრამ რას ვიზამდი. მაცაშვილი წავიდა ლოჭინის მინად-მოქმედების სკოლაში და იქ მიიღეს, ხოლო ამის გათავების შემდეგ გადავიდა უბანის სამეურნეო სასწავლებელში და როცა გაათავა, შევიდა სატყეო უწყების სამსახურში.

გავათავე მეც საოსტატო სემინარია, რომელიც იმ ხანებში გადააკეთეს საოსტატო ინსტიტუტად და შიგ ქალაქის შუაგულში, მიხეილის, ახლანდელ პლენანოვის, პროსპექტზე მოათავსეს იგი.

სულ სხვანაირი იყო სწავლა აქ, სხვანაირი იყვნენ თვით შეგირდებიც, რომლებიც აქ სხვადასხვა სასწავლებლებიდან და ამიტომ სხვა და სხვა სული და მიმართულებაც შემოჰქონდათ მასში, მეტადრე კი ყოფილ სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს. ოცნებანი სუვოროვზე და ყარსზე ძირ-ფესვიანად დამეკარგა. მათი ადგილი დაიკავა აქ ხალხის სამსახურმა და მათი შვილების სწავლებამ. დაიკარგა უკვალოდ სამშობლო ენის მივიწყებაც. თუმცა სასწავლებელში სრულიად არ გვასწავლიდნენ ქართულს, მე თითონ ვიწყე მისი შესწავლა, არ ვიცი, ამხანაგების გავლენით, თუ პედაგოგისა, სადაც პირდაპირ არის აღიარებული, რომ პირველდანიებითი სწავლა მოსწავლეთა უთუოდ მათ დედა ენაზე უნდა ხდებოდესო... სასწავლებლის უფროსი (ზახაროვი) სასტიკად სდევნიდა ქართულს ენას, ქართულს წიგნს არ აჭაჭანებდა სასწავლებელში (ერთხელ გამჩხრიკეს კიდეც და ჩამომართვეს გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელსაც თავისუფალ დროს ვკითხულობდი ხოლმე). მაგრამ ტყუილად კი არ უთქვამთ ქართველებს, რომ „აღკრძალული ხილი გემრიელია“. მე უარესად ვეტანებოდი „ქართულს“, ხოლო გავათავე სწავლა თუ არა და გამოველ მასწავლებლად, მაშინვე გავინერე ქართული გაზეთი „დროება“, კვირეული „ივერია“ და მისი მარადი კითხვით იმდენად შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ თითონაც დავიწყე პატარ-პატარა ამბების აღწერა და გაზეთებში გზავნა დასაბეჭდად...

ინსტიტუტი მე გავათავე 1874 წელს და როგორც სტიპენდიანტი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა, დამნიშნეს მასწავლებლად ინგილოებში, სოფელ კახში. მე დიდის სიამოვნებით მივიღე ეს ცნობა და გავეშურე იქითკენ. თუ სადამდის მონადინებული ვიყავ მესწავლებინა ხალხის შვილებისათვის, სჩანს იქიდან, რომ ინსტიტუტის გათავებისას, მე შეველი ფოტოგრაფიაში, შევიყვანე თან ერთი საწყალი, ფეხ-მიშველა და დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით ბიჭი, დავიყენე გვერდით და გადაშლილი წიგნით ხელში გადავალებინე ფოტოგრაფს სურათი. სურათი ჩინებული გამოვიდა.

კახის სკოლას ჰქონდა დიდი საბაღე ადგილი, შემოვლებული გალავნით. მე დაუყოვნებლივ გამოვიწერე ხეხილები და დავრგევი. ხეხილმა იხარა და იქაურობას დიდი შნო და ლაზათი დასდო. ვსთხოვე მცხოვრებლებს, გამოეგზავნათ შეგირდების ხელით თითო-ოროლა ძირიანი ვაზი. გამომიგზავნეს. დავრგევი და ხელად პატარა ვენახიც გავაშენე. რამდენიმე მოზრდილმა ახალგაზრდამ მოისურვა ქართული წერა-კითხვის შესწავლა, გავხსენი მათ-

თვის საღამოს უფასო კურსები. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები საზოგადო მოღვაწეობაში. მთავრობა ცდილობდა მთლად რუსულ ენაზე მოეწყო სწავლა, მაგრამ მე სრულიად წინააღმდეგ ვაკეთებდი და თან ქართულსაც ვასწავლიდი, რისგამოც დიდი ბრძოლა იმართებოდა ჩემსა და ინსპექტორებს შორის, რომლებიც წელიწადში ორჯელ-სამჯერ გვეწვეოდნენ ხოლმე სკოლის დასათვალისწინებლად. რადგანაც მღვდლები სამღვთო სჯულის გაკვეთილებზე წესიერად არ დადიოდნენ და ხშირად აკლდებოდნენ, მთავრობამ გადააყენა ისინი და მათი გაკვეთილები მასწავლებლებს გაგვინანილეს. ეწყინა ეს ბლალორჩინს და დაბეზღება გაგზავნა ჩემზე მაზრის სამოქალაქო უფროსთან, დაბეზღება, რომ მე უარისმყოფელი ვარ ღვთისა და მეფისა. აცნობეს ჩემს უფროსებს, გაიმართა, როგორც იციან ასეთ შემთხვევაში, ერთი მიწერ-მოწერა, დაბარება, დაკითხვა და, ბოლოს, როგორც იყო, გამამართლეს... გადამიყვანეს ზაქათალის სამაზრო სკოლაში. სხვათა შორის, აქ იყო მასწავლებლად ამაყი ინგილო, ბაირამაშვილი. იგი თანამშრომლობდა მაშინდელ რუსულ გაზეთებში და თავისი წერილებით ზარსა სცემდა ადგილობრივ ბობოლებს. შეუტყეს, მოვიდნენ და აღმოაჩინეს, რომ, ვითომც მე, ბაირამაშვილს და სიღნაღში – კოტე ბალაშვილს კავშირი შეგვეკრას – ვსდევნოთ მწერლობის საშუალებით ყოველივე ბოროტება... დავაარსე ქ. თელავშიაც, რომელშიაც სხვათა შორის მხურვალე მონაწილეობას იღებდა სოსიკო მერკვილაძე და საუკეთესო კორესპონდენტებისა აწვდიდა კავშირს და შემდეგ გაზეთებს...

1878 წელს გადამიყვანეს თელავში, გადაყვანა ჩემი და თელავის საზოგადოების ამოძრავება და ღრმა ძილიდამ გამოყვანა ერთი იყო. დავაარსე წიგნთ-საცავი და სამკითხველო, რომელსაც შევწირე, რაც მანამდე წიგნები მქონდა ქართულს ენაზე შექენილი. 1882 წელს დავაარსე „დეპო“ (საზოგადო დუქანი), რომელმაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია ადგილობრივ სომხებში და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ, დაემხოთ იგი. მაგრამ ექვსასი მანეთით დაწყებული „დეპო“ საათობით იზრდებოდა და ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ თვისი დახლიდარი, ილიკო იმერლიშვილი, თვით ოდესაში გაგვზავნეთ საქონლის სასყიდლად და მოსატანად. დავაარსე თელავში და კურდღელთაში სახალხო ბანკები. ამათ, მართალია, ვერ გაშალეს ფრთები, მაგრამ მაინც შესამჩნევი კვალი კი დასტოვეს ხალხის ხსოვნაში. დავაარსე ღარიბი ხალხის შვილებისათვის იაფ-ფასიანი (თვეში ათ შაურიანი) საქალებო სკოლა, რომელშიაც სწავლობდა ასზე მეტი მოსწავლე-ქალი და სხვა და სხვა. ყველა ამან გამოიწვია დიდი შეხლა-შემოხლა თელავის საზოგადოებაში, გვეწინააღმდეგებოდნენ კრებებზე მეტადრე სასულიერო სასწავლებლის ქართველი მასწავლებლები და მათ შორის განსვენებული კათალიკოსი კირიონი, რომელიც მასწავლებლად იყო იმ დროს იქ.

სულ სხვა გვარად მოქმედებდნენ სომხები. ესენი დაბეზღებებს გზავნიდნენ ჩემზე მთავრობასთან. მთავრობის წარმომადგენელი არ ჰმალავდა ამას და, რომ ბოლო მოელო ამაებისთვის, წინადადება მომცა, გადავსულიყავ ინსპექტორად ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში (ჯავახეთში). მე დავთანხმდი და 1888 წელს ახალქალაქს გადამიყვანეს.

ჯავახეთის ნახვამ დამარწმუნა, რომ საქართველოს ეს კუთხე მდიდარია ბევრი უცნობი ნაშთებით, რომ მათ შესწავლას შეუძლიან, ნათელი მოჰფინოს ჩვენი ისტორიის ზოგიერთ მხარეს და ამიტომ მოვისურვე ყველა ავწერო ნახული. რადგანაც მე სრულიად არ ვიცოდი ხუცური, მეტადრე ასო-მთავრული, რომლითაც ასრულებული იყო ეს ნაშთები, ხელი მივყავი ხუცურის შესწავლას და როცა ეს შევისწავლე, ახლა საჭირო გახდა ფოტოგრაფიის შესწავლა, რომ თან დამესურათებინა ნაშთები: შევისწავლე იგიც, თუმცა ზედ ვალევედი მთელს ჩემს მცირე ჯამაგირს...

ახლა საჭირო იყო ყოველი ნაშთის ადგილობრივი ნახვა. ხელი მივყავ მოგზაურობას. ხუთი წელიწადი ვიყავ მე ჯავახეთს სამოქალაქო სკოლის ინსპექტორად, რადგანაც სამოგზაუროდ საუკეთესო დრო აქ ზაფხულის არდადეგები იყო, მეც ზაფხულში ვმოგზაურობდი. დავიარე ყოველი კუთხე ამ მხარის, ყველა მთები და ბორცვები, რაზედაც კი მოჩანდა მცირედიც არის რამე შენობა, დავწერე და დავასურათე ყველა. შედეგი ჩემი ამ მიზნით მოგზაურობისა იყო სრული ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა და დასურათება ჯავახეთის, ანუ იგივე ახალქალაქის მაზრის, დაბეჭდილი ყოფილი კავკასიის სამოსწავლო უწყების მეორე კრებულში 1903 წელს (?).

მეხუთე წელს ჩემის სამსახურისა ახალქალაქის სამოქალაქო სკოლაში მოხდა ერთი ამბავი, რომელიც მომყავს აქ სავსებით, რათა ნახოს მკითხველმა, თუ რისთვის მივატოვე ესე ადრე სამსახური, თუ ვისთან მიხდებოდა სამსახური. სხვა მასწავლებელთ შორის იყო ერთი რუსი-მალორუსი ვინმე ხანიჩკოვი. ჯამაგირს იგი მთლად ინახავდა და ცხოვრობდა შეგირდებში მათხოვრობით. სთხოვდა მოეტანათ მისთვის ყველი, პური, ერბო...

მოსე ჯანაშვილი

ჩემი ცხოვრების წრე ანუ მოკლე ავტობიოგრაფია

დავიბადე კახში 19 მარტს, 1855 წელს გიორგი ჯანაშვილის ოჯახში. ღარიბ ინგილო გლეხის შვილს, რომელიც 6 წლიდან დედ-მამას შველოდა სოფლის საქმეში, რომელიც ხშირად ფეხშიშველი მწყსიდა ხბორებს და რომელსაც მახლობელ ტყიდან ზურგით შემის მოტანაც უხდებოდა სანათად, ვგონებ, კვებნად არ ჩამოერთმევა, რომ გაითვალისწინოს ქვევმორე აღნიშნული თვისი მიღწევები, ისიც მარტო საკუთარი რუდუნებით და თავმონონებით თქვას: „მოგზუცდი შრომაში არა ურგოდ მოძმეთა და კვლავაც ვშრომობ დღეში 6–10 საათს დაუღალავად, სიყვარულით“.

1. სწავლის კურსი (1865 წლიდან) გავიარე კახის სამრევლო სკოლაში, მერე ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში (IV კლასის¹).

2. მივიღე სამასწავლებლო მოწმობა 1-ელ სექტენბერს.

3. ვმსახურობდი: ა. ქუთაისის პროგიმნაზიაში 1876–1878 წ. ბ. გამგედ მინა პეტრიაშვილის პანსიონისა 1875-6 წლ. გ. ტფილისის სას. სასწავლებელში 1878–1900 წლ. დ. რეალ. სასწავლებელში 1892–1918 წლ. ე. განათლების ოლქში საგამოცდო კომიტეტის წევრად – ეგზამენატორად 1895 წლიდან 1914 წლ. ვ. სიონთან დ. ბაქრაძის მიერ დაარსებულ სიძველეთ-საცავის გამგედ 1898 წლიდან და მის გადაცემიდან სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დღესამომდე – მის ასისტენტად. ზ. ქართული ენის მასწავლებლად: წმ. ნინოს სასწავლებელში 1909 წ. ქალთა მეხუთე გიმნაზიაში 1910–1916 წლ. ვაჟთა მეხუთე გემნაზიაში 1914 წ. მინის მზომელთა სასწავლებელში, 1918-1919. ლექტორად პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1920 წლიდან.

4. ჩემი სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა იწყება 1870 წლიდან დღიურების წერით. მას აქეთ ჩემი ნაკალმარია 800 თხზულება: დაბეჭდილები ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო გამოცემებში – 662, ცალკე წიგნებად 71, დაუბეჭდავები – 67.

შინაარსის მხრივ მთელი ამ მწერლობის საგანია: მეურნეობა, ისტორია, მწერლობა, ენათმეცნიერება, ნუმიზმატიკა, ბიბლიოლოგია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ეთნოგრაფია. მოკლე სია ჩემ დაბეჭდილ ნაშრომთა ვიდრე 1895 წლამდე შეტანილია 1895 წლის „Кавказский Календарь“-ში. დავასახელებ ზოგიერთს.

ჩემი „საქართველოს მოკლე ისტორია“ და მერე „საქართველოს ისტორია“ (გამოც. 1884 და 1894 წლ.) იყო პირველი ქართული სახელმძღვანელო ამ დარგში.

1904 წელს ვახუშტის ხელნაწერ დედნიდან მისი „საქართველოს ლეონრაფია“ გამოვეცით ვრცელის ჩვენის წინასიტყვაობითა და 530 შენიშვნით. იმავე წელიწადს იგივე გეოგრაფია იმავე წინასიტყვაობითა და შენიშვნე-

1. სემინარიის მე-5-6 კლასების ღვთისმეტყველების კურსი არ მიზიდავდა მე, რომელსაც უკვე შეყვარებული მქონდა ჩერნიშევსკის „Что делать?“, ნაწერები Дидриხსონისა, ბაკუნინისა, დარვინისა, ტელიორისა, და სხ. აგრედ-წოდებული „ალკრძალული ლიტერატურა“, რომელსაც უხვად გვანვდიდა დაუვინყარი მოღვაწე – ეგნატე იოსელიანი.

ბით გადავთარგმნეთ რუსულად და იგი გამოსცა ტფილისის გეოგრაფიულ საზოგადოებამ სათაურით: „Царевич Вахушти. География Грузии. Введение, перевод и примечания М. Т. Джанашвили“, სულ XLX+241 გვ.

1897 წელს ცნობილ „Сборник материалов“-ში ცალკე ნაკვეთად დაიბეჭდა ჩვენი შრომა „Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России“ დართვით „ალღუზიანის“ რუსულ თარგმანისა და ოსეთის რუქისა (სულ გვ. 206). მის შესახებ ცნობილ ვსევოლოდ მილლერმა დაბეჭდა თვისი ვრცელი შეხედულება (იხ. კავკ. სასწ. ოლქის მზრუნველის ცირკულიარში, 1892 წ., №13 (გვ. 4–31). quasi – ისტორიული ცნობები კავკასიის შესახებ, მაღლობელი იქნება ჯანაშვილისა ამ კომპილიატიურ შრომისთვის. შენიშვნები, რომელნიც მიუძღვის ტექსტს, უდავოდ ნაიკითხებიან სასარგებლოდ. ამნაირივე ხასიათისაა ჩვენი „Известия груз. летоп. и историков о Херсонисе, Готии, Осетии, Хазарии, Дидоэтии и России“, რომელიც დაიბეჭდა იმავე Сбор. мат.-ში, 1899 წელს, ნაკვ. 26.

1912 წელს გამოვეცით კრებული „К материалам по истории и древностей Грузии и России“. ამ ნიგნმა ფრიად დააინტერესა ზოგიერთი რუსთა მეცნიერი, განსაკუთრებით პრ. უვაროვისა და სხვები.

ჩემი ნიგნაკი „Абхазия и Абхазцы“, დაწერილი პეტრე კარაიანის და სხვა ავტორების შრომათა შემწეობით, კარ. დაიბეჭდა აქაურ გეოგრ. საზ. записокების (кн. XVI) და მერე ზედლიცმა გადათარგმნა გერმანულად და დაბეჭდა ჟურნალ „Globus“-ში 1894 წელს.

ჩემი „Кавказский фазан“, დაბეჭდილი ჟურნ. „Кавказское сельское хозяйство“-ში (№45, 1894), ტფილისის ინგლისის ელჩმა გამოიყენა ლონდონის ერთ სამეცნიერო გამოცემისთვის.

ჩემ-მიერ შეკრებილი მასალა მთლიანად, თუმცა მრავალ კორექტურულ შეცდომებით, შევიდა ერკერტის გამოცემაში „Die Sprachen des Kaukasischen Stammes“ (Wien, 1895).

ჩემ-მიერ გამოცემულ ნიგნაკმა „შოთა რუსთაველი“ და ჩემივე დაბეჭდილ სხვა ნიგნებმა გამოიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფეს. მორფილის სიტყვები: „დაულალავი არქეოლოგი მ. ჯანაშვილი, რომელმაც თავის შრომით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს... ამგვარად, ღირსეული გამგე მუზეუმისა (ჯანაშვილი) იკვლევდა თავის ქვეყნის ისტორიას. ეთნოლოგიას და ლიტერატურას... ვუსურვებთ ჯანაშვილს წარმატებას მისს სასარგებლო სამეცნიერო შრომაში“ („Georgische dichter, übersetzt von Arthur Leist; M. G. Janashvili. Tsaritsa Tamara“, კრებული გვ-ები 562–566. ეს თხზულება გვითარგმნა რუსულად ბოგდან ანტონისძე ციონგლისკიმ).

ჩემ-მიერ რუსულად თარგმნილი ეპოპეა „ალღუზიანი“ გიორგი ბაევმა გამოსცა ბერლინში, მგონი, სათაურით „Осетинская песнь“ (ჩემთვის არ გამოუგზავნია). ჩემ-მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ზარზმელის ცხოვრება“ ცნობილ პეტერსმა გადათარგმნა ლათინურად და დაბეჭდა (ჩემთვის არ გამოუგზავნია არც ერთი ცალი!). ასეთივე უთავაზიანობა გამოიჩინა ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ლეჰმან-ჰაუპტმა, რომელიც 1899 წელს ვანის ლურსმურ წარწერების შესასწავლად მიმავალი, გზად ტფილისში დარჩა, ექვსიოდე თვე ჩემთან ეცნობებოდა ქართულ გრამატიკის ფორმებს და მპირდებოდა, რანამს ჩემი ნიგნი ლურსმურ წარწერების შესახებ გამოვა, დაუყოვნებლივ

მოგართმევო, მაგრამ 1900 წელს დაბეჭდა პირველი ტომი, მასში მე მიძღვნა სიტყვები (გვ. 104): „1899 წელს, ზაფხულში, თავაზიან დახმარებას მიწვედა მ. ჯანაშვილი ჩემს ცდაში, შემეგნო ქართული ენის დასაბამი კანონები, ის ჯანაშვილი, რომელსაც თავის ერის ენისა და ისტორიის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის“. ეს არის და ეს. მას დაავიწყდა, რომ უნდა გამოეგზავნა ჩემთვის 1900 წელს გამოცემული მისი „Armenien Einst und Jetzt.“

ჩემი საქმე სიონის და მერე სახ. უნივერსიტეტის ხელნაწერთსაცავში მცირე არ იყო: ყველა წიგნის შესწავლასთან ერთად მათი კაბადონ-ფურცლების რაოდენობის აღნიშვნა და დანომრვა, შესწავლა და დანომრვა სიგელ-გუჯრებისა და სხვა ნივთებისა და ამის შედეგად დაბეჭდვა წიგნებისა:

1. Тифлисское ц. Дрввлехранилище (შინაარსი: Устав, история, каталог книг, реестр сигелей и гуджар). დაიბეჭდა 1898 წელს (წიგნაკში 106 კაბად).

2. Каталог (პატარა წიგნაკი).

3. Описание рукописей. ამაში (სულ 332 გვ.) შევიდა აღწერილობა ხელნაწერების №800–1040 (წინა №-ები აღწერა თედო ჟორდანიამ ორ წიგნად).

4. აღწერა ხელნაწერებისა, წიგნი IV. ამაში შევიდა №-ები 1041–1600. ეს ჯერ რჩება ხელნაწერად, თუმცა უნივერსიტეტის გამგეობის-მიერ გადამწყვეტილია მისი დაბეჭდვა.

5. სიგელ-გუჯართა მოკლე აღწერა შეტანილია 1-ელ გამოცემაში.

6. ათონის 1074 წლ. ხელნაწერი (1901, 368 კაბად).

7. ქართული მწერლობა, ორი წიგნი (მეორეში დაიბეჭდა ზარზმელის ცხოვრება).

8. აბდულ-მესიანი, წინასიტყვაობითა და განმარტებით (ორჯერ დაიბეჭდა).

9. „თამარიანი“ ჩახრუხადისა (ცდაა მის ტექსტის დალაგებისა ისე, როგორც უნდა დალაგებულიყო მის ჩანერისას. დაუბეჭდელია).

10. აღწერა ყოფილი წერა კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა, რომელიც 1926 წელს შემოუერთდა სიონ-უნივერსიტეტის განყოფილებას. უკვე აღწერილია №1-დან №4530-მდე და კიდევ რჩება ასანერად №-ები 4531–6500-მდე.

1914 წელს სიონთა მუზეუმი დაათვალიერა და შეისწავლა მსოფლიო მოგზაურმა ვიაჩესლავ პანტელემონის ძე ვრადიმ და მას უძღვნა სიტყვები (გაზ. „Кавказ“, 1914, №257): „სიონის სიძველეთ-საცავის 1040 ხელნაწერის აღწერა წარმოადგენს უძვირფასეს შრომას, რომელიც ამ მუზეუმს შეჰმატებს ევროპიულ ცოდნის საერთო საგანძურს“ („приобщает к общеевропейской урне знания“). მას აქეთ ამ დანესებულებას კიდევ შეემატა მრავალი ხელნაწერი და თვით წერა კ. განყოფილებაც და დღეს ამ მილიარდებითაც ძნელად შესაფასებელ დანესებულების საზოგადო გამგედ ითვლება პროფ. კ. კეკელიძე და მის ასისტენტებად მე და ალ. ბარამიძე, რომელიც აწარმოებს ხელნაწერების უფრო ვრცელ მონოგრაფიულ შესწავლა-აღწერას.

ჩემ-მიერ დაწერილია:

История Оссетинского народа (300 კაბად.).

მონოგრაფიები შესახებ ჩერქეზებისა, აბაზინებისა, ჩაჩნებისა, ლეკებისა და მათი გმირებისა, უდინებისა, ჩრდილო კავკასიისა საზოგადოდ (№-ები 96,97, 98 („საქართ“, №631).

„მესხეთი“ (ნიგნაკი 23, კაბ. რუს.), от Ново-сенак до сел. Дихазурия, отчет по командировке в Самурзакано (изв. к. от. м. арх. отд. вып II).

„საინგილო“ (გეოგრაფიულ-ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა, ამონაკვეთი „ძველი საქართველოს“ №11-დამ, 51-276.

„მონგოლები საქართველოში“ (დაუბეჭდ. ხელნაწ. გვ. 67), „ჰოთამა ბუღდა და ეფთვიმე მთაწმინდელი“ (დაუბეჭდ. ხელნაწ.).

„Тигран Эрвандович“ (დაიბ. „Тифл. листок“-ში).

„Грузины и армяне на российской службе“ (დაიბეჭდა „Сборн. матер.“-ში).

„Историко-археолог. очерк Гурии, Чорохского бассейна и Чанетии“ (დ. „Батуми и его окрестности“-ში, 1906 წელს).

„Грузины и магометане“ (материалы для истории Грузии, Адирбейжана и др. ханств Кавказа с приложением: а) Дагестанских летописей Мухаммеда-Рафи и б) „Дербент-Наме“. ხელნაწერში 1000-მდე კაბ. იქნება).

„ნაშრომი“ (სამი ნიგნი, რომელთაგან ერთში დაბეჭდილი ჩემ-მიერ წერა-კითხვისთვის შეწერიულ ქართლის ცხოვრების ნუსხის ჯერ უცნობი მასალა.

ბარალაღს საგალობელი მე-X ს. (ტექსტი 5 ფოტოგრაფიით გაეგზავნა აკად. ნ. მარსს, 12 ივლ., 1928 წ.).

„მზე და აკაკი“ (ნიგნაკი, გვ. 36).

„Драгоценные камни, их названия и свойства“ (ტექსტი ამოღებულია შატბერდის კრებულიდან. ნ. მარმა უძღვნა მას თავისი აზრი. სამეურნეო კულტურა რსა в Зак. округе (Труды Об. сель. хоз. 1887, №12), Виноградовство в Зак. округе (там же, №11-12). Рис, как осушитель болот в Зак. окр. в сельско. хоз. отношении (მისგანვე ამონაკვეთი). Кавк. С. Л., 1895, №60. ბამბა და მისი შემუშავება (ნიგნაკი დაიბ. 1889 წ. Хоз. на Кавказе, იქვე, №60. კიდევ მრავალი წერილი დაიბეჭდა „მოსავალში“, „მეურნეში“, რომელსაც ერთხანს ჩვენ განვაგებდით). По культуре риса (იქვე, №64).

კრებებზე: Доклад о Ксанской евангелии, Изв., вып. XII. Доклад об участии Ираклия II в индийск. походе, набор. და მასთან მრ. ზოგი დაიბეჭდა, ზოგი დაუბეჭდ. ქართული ლეგენდები დაიბეჭდა გ. „საქართველოში“. სასარგებლო მცენარენი („მეურნე“, 1889, №13, 19, 20, 22, 24, 25, 26, 29, 31, 32).

ნეკროლოგები: გიორგი ქოჩაკიძე (ჭალადიდელი), ივ. 1898, №84; ალ. როინაშვილი, №101; თამარ ქართველიშვილი, №138; თედო ყორდანი, საქ., 1916, №240, 241; ვაჟა ფშ., თეატრ. და ცხ., 1916, №34; დ. ჯანაშვილი, განათლება, 1917, №1, 4, 6; ისტ. ბაქრაძე, განათ., 1916, №4 და №5.

ჩვენი შრომა დიალექტოლოგიაში (დაუბეჭდავები):

1. ქართველური ფონეტიკა. 2. ქართული გრამატიკა შინაარსით – უფრო ქართველური. 3. ქართული სიტყვარი (12,300 სიტყვა, უფრო ხალხური). 4. ქართული ლექსიკონი (104,000 სიტყვა). 5. შოთას ლექსიკონი (7000 სიტყვა). 6. პეტრინის ლექსიკონი (3,900 სიტყ.) 7. ქართველური ლექსიკონი (4,000 სიტყ.) 8. სახისმეტყველი და მისი ლექსიკონი (1000 სიტყვა), 9. ინგილოური ლექსიკონი (1100 სიტყ.), 10. „Картвельский язык и его сравнительная грамматика“, შეიძინა სამეცნიერო აკადემიამ 1896 წელს (იხ. ჩვენდამი მოწერილი ქალაქი №1520, 1896 წ., 4 ივნ.). 11. ქართველები და ქართველური ენა (1000-მდე კაბად.). 12. „სახისმეტყველი“ (ტექსტი და ლექსიკონი – 1000

სიტყვა). О родстве груз. языка индоевропейским (376 კაბად.) და მის შემდეგ მოხსენება 18 ივ., 1913 წელს „В западной индоевр. этнографии“, დაიბეჭდა ნიგნში „Труды XIII съезда русск...“, т. VII, 1913, სულ 25 კაბ.

ჩვენი შრომა პრა-ისტორიაში:

ა. ძველი დროის ისტორია ქართველ მოდგმისა [აზოს] გადმოსახლებაზე მცხეთას: ა. სახლი თარგამოქსა დასასრულისაგან ჩრდილოქსა (კაბ. 30).

ბ. პირვანდელი ბინა კაცობრიობისა საზოგადოთ და ქართველებისა კერძოდ (კაბ. 30). გ. ა) სუმერე (შუამერე) და ქალდია, მისი გეოგრაფიული სახელები და ბ)ქალდური ძეგლწერანი ქართულ სიტყვით იკითხებიან (სულ 100 გვ.). დ. ბაბილონიდან მცხეთამდე (ისტორიული განხილვა) (38).

ბ. ხეთა (ხატი), მისი ენა და ისტორია (საისით) (168 კაბ.).

გ. კრეტა-მიკენის მსოფლიო და ქართველები (87 კაბად.).

დ. დამწერლობის ისტორია საზოგადოდ და ქართული ანბანი (კაბად. 32).

ე. სუმერები და სუმერული ლექსიკონი (71 კაბად.).

ვ. ჰამბურაბის სამართალი (1858–1916 წ. ჩვენი ერის წინა დროისა), ჩვენი წინასიტყვაობით (სულ 61 კაბად.).

დღევანდელი ჩვენი გამოკვლევები:

1. პოეტთა აკადემია და შოთა რუსთაველი. 2. ვინ იყვნენ წანარნი? 3. „Польный Российско-грузинский словарь“. კითხვა შეეხება იმას, თუ ვინ იყო რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსული მელექსიკონეთა მამათმთავარი.

ჯერ ისევ 1899 წელს, როდესაც აღნიშნულ შრომათა ნახევარიც არა მქონდა შესრულებული, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე მწერდა (4 ივნისს, 1899, №881): „Моск. арх. общество считает своим приятным долгом уведомить Вас, что во внимание к трудам вашим по изучению древности Востока, оно, в заседании своем, 19 сего мая, единогласно избрало Вас в число своих членов корреспондентов“ (ხელს აწერს დ. ანუჩინი). იმავე საზოგადოებაზე თავის საიუბილეო გამოცემაში მოათავსა მოკლე სია ჩემი ნაწერებისა. მის-მიერვე შეკვეთით ჩემ-მიერ გადანერილი „ურბნისის სახარების“ ტექსტი ჩემის წინასიტყვაობით – ძველ სახარებათა განხილვით წარმოადგენს 800 კაბადონიან უზარმაზარ ნიგნს.

1909 წელს ირაკლი მეფის გასამართლებაში მეც ვერეი და გამმართველის თხოვნით გამოველ პროკურორად. გასამართლებას დაესწრო აუარებელი მაცურებელი. 1910. ქართველ ქალთა თხოვნით შვიდასი წლის ქალის (თ. მ.) იუბილეზე წავიკითხე მოხსენება „თამარ მეფის დრო“. ხალხი დაესწრო მრავალი.

აქ აღარ ვიხსენიებ კიდევ რავედენ სხვა საზოგადოებათა წევრი ვიყავ, ან რავედენ სტუდენტს მივანოდე სადისერტაციო მასალა, რავედენმა ჩემგან შეისწავლა ეტრატზე ნაწერ ნიგნების წაკითხვა, და ანუ რადარა დროგამოშვებით გამოცემებში რა წერილები თუ გამოკვლევანი მომითავსებია, რა ხასიათის მიწერ-მოწერა მქონდა ჩემ სიცოცხლეში – სხვა და სხვა მეცნიერებთანა თუ მოღვაწეებთან; ყველა ასეთი კითხვების შესახები მასალა დალაგებული მაქვს IX დარგად და ვრცლად აღნიშნული მაქვს ხელნაწერში, რომელიც შევადგინე 1926 წელს, სათაურით „ჩემი ამბვედი“.

მ. ჯანაშვილი
30 ოკტ., 1929

**კონსტანტინე იაკობის ძის ნიკოლაძის
ავტობიოგრაფიული ცნობები და მისი ნაწერების სია
(შემოკლებით)**

მე დავიბადე 1860 წელს ქ. ქუთაისში. პირველდაწყებითი სწავლა მივიღე ქუთაისში, უცხოელის – ივანე ტაიგელის ოჯახში, სადაც მამამ მიმაბარა უმთავრესად უცხო ენების – ფრანგულისა და გერმანულის შესასწავლად. ჩემმა ძმამ – ნიკო ნიკოლაძემ 1872 წ. იანვარში სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მეც წამიყვანა ევროპაში, მაშინ დიდი გატაცება იყო ევროპაში გამგზავრება. გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი აქეზებდნენ ქართველ ახალგაზრდობას ევროპაში წასასვლელად და ოცნებად უსახავდნენ ევროპის განათლებას და მოწინავე სოციალურ აზრებს. მე შენევაში მიმაბარეს ცნობილ ფრ. ბეისტის სკოლაში. ჩემი სწავლის შესახებ ამ სასწავლებელში მოხსენებული აქვს ივანე მესხს თავის წერილში „ყმანვილების აღზრდა შვეიცარიაში“ („კრებული“, 1873 წ., №10). ასე რომ, მეცხრამეტე საუკუნეში, შეიძლება, მე ვიყო ერთი პირველი ქართველთაგანი, რომელმაც პირველმა მიიღო საშუალო ცოდნა ევროპაში.

შენევაში ყოფნის დროს მე მაკითხებდნენ ლექსებს ქართველ ახალგაზრდობის საზოგადოებაში „უღელში“. ამ დროის ამბები და საერთოდ მთელი ჩემი თავგადასავალი დანვრილებით მაქვს აღწერილი „ჩემს მემუარებში“, რომელიც საქ. სახ. ლიტერატურულ მუზეუმში ინახება (№2308/4).

შვეიცარიიდან საქართველოში დავბრუნდი 1876 წ. და შევედი თბილისის რეალურ სასწავლებელში, სადაც ვცემდი მოწაფეთა ჟურნალს, რომელშიც ვალერიან გუნია, ოსკარ შემერლინგი და სხვ. თანამშრომლობდნენ.

1883 წ. დავასრულე რეალური სასწავლებელი და იმავე წელს წავედი პეტერბურგს და მოვეწყვე მაზინგის უმაღლეს კურსებზე, რომელიც უკანასკნელ კურსზე დავტოვე და სამშობლოში დავბრუნდი 1886 წელს. მის შემდეგ 1925 წლამდე ვმსახურებდი ქუთაისში და ტფილისში ჯერ ფრანგული და გერმანული ენების მასწავლებლად, ხოლო შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში.

მწერლობას ვეწევი 90-იანი წლებიდან. ვთანამშრომლობდი „ივერიაში“, „მოამბეში“, „ნიშადური“, „საქართველოში“ და სხვა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. მაქვს დაბეჭდილი რუსი და ევროპიელი კლასიკოსების თარგმანები (პუშკინი, ნეკრასოვი, დიკენსი და სხ.).

აქვე ვადგენ არა სრულ სიას ჩემი ნაწერებისას, უმთავრესად იმ ნაწერებისას, რომლებიც ხელთ შემრჩა.

1. „Сванетия“ (историко-экономический очерк), ფელეტონების სერია, „Новое обозрение“, 1897 წ., №4719–4752.
2. „მგოსანს“, ლექსი, „მოამბე“, 1901 წ., №9.
3. პუშკინიდან „მე ქუჩა-ქუჩა როცა დავდივარ“, „მოამბე“, 1902 წ., №1.
4. „რამია ბედნიერება“ (მოთხრობა დიკენსისა), „მოამბე“, 1905 წ., №1.
5. ნეკრასოვიდან (ლექსი) „ნიშადური“, 1905 წ., №27.

6. ლექსი, „ივერია“, 1904 წ., №279.
 7. „დიდებულ მგოსანს“ (ლექსი), „საქართველო“, 1908 წ., №7.
 8. ლექსი, „ნიშადური“, 1908 წ., №37.
 9. „ქართველი ქალი“ (ისტ. შედარებითი მიმოხილვა), ფელეტონების სერია, „სამშობლო“, 1916 წ., №272–277.
- ვთანამშრომლობდი აგრეთვე სისტემატიურად რუსულ გაზეთებში: „Завкавказье“, „Обзор“, „Новое обозрение“, „Тифлисский листок“.

*კონსტანტინე იაკობის-ძე ნიკოლაძე
1940 წ., 3/17, თბილისი*

ალექსი მირიანაშვილი ჩემი ავტობიოგრაფია¹

დიდად პატივცემულო ბ-ნო იოსებ!² მეტად მეჩოთირება ჩემი ავტობიოგრაფიის წერა: რისთვის და ვისთვის? მაგრამ მაინც ვასრულებ თქვენს თხოვნას და მოკლედ მოგიყვებით ჩემ ვინაობას და თავ-გადასავალს.

მე დავიბადე სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში, 1860 წელს, გლეხის ოჯახში. მამა ჩემი, ივანე, რომელიც გარდაიცვალა 75 წლისა, 1910 წ., იყო ძველებურ სოფლის სკოლაში ნასწავლი, იცოდა ხუცურისა და მხედრულისა კარგი კითხვა და ლამაზი წერა. იყო დიდი შრომის-მოყვარე, მიმდევარი და მცოდნე ყოველგვარ სოფლურ საქმისა და მეურნეობისა. ამასთან მრისხანე, სასტიკი და ბრაზიანი ხასიათი ჰქონდა. იმის ლექსიკონში საალერსო სიტყვებს სრულიად ადგილი არ ჰქონდა. ალერსს ვინა ჩვიის, იმის ბაგეთაგან ჩემს ყურებს სიტყვა „შვილო“ არასდროს გაუგია. იმისმა ბრძანებითმა და მკაცრმა კილომ ჩემ არსებას ღრმა დალი დააჩნია, ისეთი დალი, რომელიც დღესაც საკმაოდ ჩრდილავს ჩემს სულებრივ თვისებებს და მამბრკოლებს და წინ მეღობება ათასგვარ საქმეში. მთელ ჩემ ბალღობაში იმის წინაშე ხმის ამოღების ნება არ მქონებია; ასე წარმოიდგინეთ, ბავშური თამაშობაც-კი აკრძალული მქონდა. იმის რწმენით შვილი უნდა იყოს მშობლის უსაზღვრო მორჩილი, ყურმოჭრილი ყმა. „ჩუმად“, „დიდებთან ლაპარაკს როგორ ჰბედავ!“ – აი, ის ბრძანება, რომელიც ჩემს ყურებში მუდამ დღე გაისმოდა. რასაკვირველია, აღზრდის ასეთმა პრინციპებმა თავისი ჯეროვანი ნაყოფი გამოიღეს – ნაყოფი დამახინჯებული, მწარე, უგემური. სამაგიეროდ, დედა, რომელიც დღესაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, ცოცხალი მყავს, მეტად ღვთისნიერი, ღმობიერი და მოსიყვარულე მყავს, ჩემ ნორჩ, მგრძნობიარე გულში მამისაგან ანთებულს ცხარე კოცონს მუდამ დედის ტკბილი ალერსი ანელებდა, აგრილებდა. ალბად, ეს არის მიზეზი, რომ მიუხედავ ჩემის ხნისა, დღესაც დედისადმი ნამდვილი ბავშვურის გრძნობითა ვარ გამსჭვალული და მისი სახე ჩემთვის თვით ღვთაების გამომსახველი და მაჩვენებელია.

მამას თავის მკაცრ თვისებებთან დადებითი მხარეც ბევრი ჰქონდა: უზომოდ აფასებდა სწავლას, რაც იმ დროინდელ სოფლელ გლეხისათვის, საკვირველი იყო, და, როგორც თვითონვე არა ერთხელ უთქვამს, უცოლობაშივე ჰქონია გადანყვეტილი შვილების სკოლებში მიბარება და მათი აღზრდა.

ასეც მოხდა: 6-7 წლისა მიმაბარა სოფ. ვაქირის სკოლაში, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელ-ბლალორჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა მთლად ღვთის ანაბრობაზედ ჰქონდა მიტოვებული. ბავშვები მოვიდოდნენ დილით ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას სტოვებდნენ სკოლას. მასწავლებლის როლს ამ ხნის განმავლობაში თამაშობდნენ უფროსი და მკლავ-ლო-

1. ალექსი მირიანაშვილის ძმის – ბაგრატ მირიანაშვილის ხელნაწერი (გამომცემლის შენიშვნა).

2. ავტობიოგრაფია დაწერილია იოსებ იმედაშვილის თხოვნით (გამომცემლის შენიშვნა).

ნიერი მოწაფენი, რომელთაც უზნეო გავლენა მცირე-წლოვან ამხანაგებზედ კალამით არ აინერება. ამ სკოლაში ყველაფერ საძაგლობას ჰქონდა ადგილი: არ იყო მხოლოდ წიგნის სწავლა. ბლადოჩინ ხატიაშვილს თვალს მოვკრავდით მხოლოდ თვეში ერთხელ ორიოდ წამით, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სკოლის მოწაფეთათვის, რომელთა რიცხვი 50–60 აღემატებოდა, ებრძანებინა მინდორ-ვენახებში წასვლა და იმის სადილისათვის სატაცურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს გადასწორება, ან მატყლის წვნვა, ან ქათმის ბუმბულის რჩევა და სხვა ამ გვარივე.

ამ სკოლაში მამამ დამტოვა მხოლოდ ორი წელიწადი. ამის შემდეგ მიმიყვანა ქ. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში, რომლის პირობები გაცილებით უკეთესი იყო; მხოლოდ სწავლა, ეხლანდელთან შედარებით, ძალიან დახმავებულ მეთოდებით სწარმოებდა. აქედანაც ორიოდ წლის შემდეგ წამიყვანა სოფ. საცხენისის (თელავის მაზრა) სკოლაში, სადაც მხოლოდ რამდენიმე თვე დავყავ. შემდეგ გადამიყვანა თელავში. აქ ერთ მღვდელს უნდა მოვემზადებინე აქაურ სასულიერო სასწავლებელში შესასვლელად. ყველა ეს ჩემი გადასვლა-გადმოსვლა იმით აიხსნება, რომ მამაჩემმა, როგორც გამოუცდელმა გლეხმა კაცმა, არ იცოდა, სად უფრო უკეთესი იყო, რომ მივეყვანე; ის სულ იმის ცდაში იყო, რომ „დიდ“ სკოლაში მივებარებინე, საცა „კაი“ სწავლა იქნებოდა; მაგრამ სად იყო და რომელი იყო ასეთი დიდი სკოლა კაი სწავლით, ის-კი აღარ იცოდა, ამიტომ, ვინც შემთხვევით სად ურჩევდა, მეც იქითკენ მიმარბენინებდა.

ბოლოს, 1873 წ. ერთ შორეულ ახალგაზრდა ნათესავის რჩევით, რომელიც თვითონაც ჯერ ისევ მოსწავლე იყო, მამამ ჩამომიყვანა თბილისში და მიმბარა საქალაქო სასწავლებელში (ახლანდელი უმაღლესი პირველდანიე-ბითი სკოლა), რომელიც თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტს ეკუთვნოდა. ეს სასწავლებელი დავამთავრე 1877 წ. და ამავე წელს შევედი თვით სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც სახელმწიფო ხარჯზედ ვიქმენ მიღებული და ვცხოვრობდი პანსიონში. ინსტიტუტის კურსი დავამთავრე ოთხი წლის შემდეგ, 1881 წელსა, საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებით; ხოლო 1914 წ., უკვე ხანში შესულმა, გამოცდის ჩაბარებით შევიძინე საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის ხარისხი.

ინსტიტუტში ჯერ სრულად არ მქონდა უკანასკნელი ეგზამენები ჩაბარებული, რომ 1881 წლის გაზაფხულზედვე თავისთან დამიბარა მაშინდელმა სათავად-აზნაურო სკოლის (ახლანდელი ქართული გიმნაზია) ინსპექტორმა, ცნობილმა ქართველმა ბელეტრისტმა – ნიკო ლომოურმა და წინადადება მომცა, სკოლაში მასწავლებლად შევსულიყავ. მე აღტაცებით მივიღე ეს წინადადება, მხოლოდ ვაცნობე, რომ მე, როგორც სახელმწიფო ხარჯზედ აღზრდილი, ვალდებული ვიყავ, უეჭველად სახელმწიფო სამსახურშივე შევსულიყავ და რომ სათავად-აზნაურო სკოლაში შესასვლელად საჭირო იყო ჩემი განთავისუფლება ამ სავალდებულო სამსახურისაგან საოლქო მზრუნველის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძვრით. ნიკო ლომოურმა სკოლის მაშინდელ გამგეობის წევრთა – იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის – დახმარებით მზრუნველთან საქმე მომიწყვეს და მე შევედი სკოლაში მასწავ-

ლებლად. ამ სკოლაში ყოფნა, ნიკო ლომოურის წყალობით, შეიქმნა მთელი ჩემი სიცოცხლის უტკებეს ხანად.

სათავად-აზნაურო სკოლაში დაეყავ მხოლოდ ორი წელიწადი. მას შემდეგ, 1883 წ. გადავედი თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში მასთან არსებულ საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად და აქედან 17 წლის შემდეგ, 1900 წელს, თბილისის პირველ კომერციულ სასწავლებლის დაარსების დღიდან მიწვეულ ვიქმენ ამ სასწავლებლის აღმზრდელ-მასწავლებლად, რასაც დღეს თავი დავაღწიე საშინელ ავადმყოფობის გამო.

ქართულ ლიტერატურისადმი და, საზოგადოდ, ქართულ ენისადმი სიყვარული აღმედრა საკმაოდ ადრე, შეგირდობაშივე, როდესაც ჯერ ისევ საქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი, ინსტიტუტის უფროსი კლასის ქართველ მონაფეთა გავლენით. ამ მონაფეთა შორის ბევრი იყო კაი მიმართულებისა და სამშობლო ერის სიყვარულით გამსჭვალული. იგინი სცხოვრობდნენ პანსიონში. მაშინ თითქმის ყველგან სასწავლებელში ქართული წიგნების და ნამეტნავად გაზეთების კითხვისთვის მონაფეთ სასტიკად სდევნიდნენ. იმხანებში გამოდიოდა მხოლოდ ერთად-ერთი ქართული ყოველდღიური გაზეთი „დროება“ სერგეი მესხის რედაქტორობით. ამ გაზეთს ინერდნენ ინსტიტუტის ქართველი პანსიონერები (მათ შორის იყო კარგათ ცნობილი მოღვაწე ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი და ინგილო აბელ ბაირამაშვილი – ან გარდაცვალებულები). რადგანაც გაზეთის დამტარებელს არ შეეძლო პანსიონში თავისუფლად შამოეტანა ქართული გაზეთი, ამიტომ მონაფეთებმა ამისთანა ხერხს მიმართეს: როგორც სასწავლებელში გარედგან მოსიარულეს, მე იმათაგან დავალებული მქონდა, ნასადილევს ბინიდან წავსულიყავ თვით „დროების“ რედაქციაში, გამომერთმია გაზეთის ნომერი და მეორე დღეს, სასწავლებელში მოსვლის დროს, გადამეცა მათთვის, ამრიგად, გაზეთი მთელი საღამო ჩემ ხელში რჩებოდა. თუმცა წაკითხულისა მაშინ ნახევარიც არ მესმოდა, მაგრამ მაინც მენახისებოდა კითხვა და იმ პატარა გაზეთში (ეხლანდელი გაზეთის ნასამედი თუ იქნებოდა) უკანასკნელი განცხადებაც-კი არ გადამრჩებოდა წაუკითხველი.

ეხლანდელ ქართულ გაზეთის რედაქციაში რომ შედიხარ, შიგ 10–15 კაცს ჰხედავ თანამშრომლის ანუ სხვა რამ მოსაქმის სახელ-წოდებით; მაშინ რედაქციაში ნეტარხსენებულის სერგეი მესხის მეტს სხვას იშვიათად მოჰკრავდით თვალს.

„დროების“ გარდა ჩემს ეროვნულ თვითცნობიერების გაღვიძებაში არა-უკანასკნელი ადგილი უკავია იმ ქართულ ენის უბადრუკ გაკვეთილებს საქალაქო სასწავლებელში, რომელშიც სწარმოებდნენ ინსტიტუტისავე უფროს მონაფეთა ხელმძღვანელობით და მეცადინეობით, განსაკუთრებით-კი ინგილო აბელ ბაირამაშვილის მეთავეობით. „უბადრუკს“ ვუნოდებ იმიტომ, რომ ქართულ ენას, თუმცა იგი ხელმწიფის ნაცვლის-მიერ დამტკიცებულ სასწავლებლის პროგრამაში შედიოდა, როგორც სწავლების საგანი, მაგრამ ჯამაგირიანი მასწავლებელი მაინც არ ჰყავდა და სრულიად უპატრონოდ იყო დატოვებული. კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ (ისიც მუდამ წელიწადს არა) ქართულ ენას გვასწავლიდა ინსტიტუტის უფროსი კლასის

რომელიმე მოწაფე, ისიც თავის საკუთარ ინიციატივით, სურვილით და გემოვნებით, რადგან მას მბრძანებელი, ხელმძღვანელი, მრჩეველი და მეთვალყურე არავინ ჰყავდა: ინსტიტუტის მთავრობისათვის ქართული ენა არ არსებობდა. აი, სწორედ ამ გაკვეთილებზედ პირველად მოესმა ჩემ ყურებს ჩვენი უკვდავი ბარათაშვილის „მერანი“ და „ბედი ქართლისა“ და დიდებულ ილიას „კაცია-ადამიანი“. დასახელებულ ნაწარმოებთა განმარტებისა-კი რა მოგახსენოთ და წაკითხვით-კი ჩინებულად, მეტის გრძნობით გვიკითხავდა აბელ ბაირამაშვილი, რითაც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემს ჯერ ისევ ნორჩ გულზე. თამამათ შემიძლიან ვსთქვა, რომ სწორედ ამ ჩვენი ლიტერატურის მარგალიტების მხატვრულმა კითხვამ შემაყვარა საბოლოოდ ქართული წიგნი და, ვგონებ, ყველაფერი ეროვნული.

პირველად კალამი ხელში ავიღე 1879 წ. ინსტიტუტის პანსიონში ყოფნის დროს, როდესაც კორესპონდენციის სახით მოვათავსე გაზეთ „დროებაში“ ჰსევდონიმიტ „ანაგელი“ ხელ-მონერილი წერილი ქ. სიღნაღის ავ-კარგიანობაზედ. კარგად მახსოვს, რა გულის ფანცქალით შევდგი რედაქციაში ფეხი; მახსოვს, რა თავაზიანის კილოთი და ალერსიანის სახით მომიდგა სერგეი მესხმა სკამი და მთხოვა დაჯდომა: „ეს წერილი უეჭველად დაიბეჭდება; კარგი იქნება, შემდეგშიც არ დაგვივიწყოთ და, თუ კი დროს ჩაიხელებთ, დაგვიწეროთ რამე გაზეთისთვის; ხოლოთ გაკვეთილებს არასდროს არ უღალატოთ“. ვიდრე ინსტიტუტში სწავლას დავამთავრებდი, კიდევ მოვასწარ რამდენიმე კორესპონდენციის დაბეჭვდა ქიზიყის სოფლების ცხოვრებიდან, ხოლო ნამდვილი ლიტერატურული ხასიათის წერილების ბეჭვდა იმავე „დროებაში“ დავიწყე შემდეგ კურსის გათავებისა, ასე 1881 წლიდგან.

ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენებურ საერთო დაუდევრობის მიზეზით ზოგიც გამოუცდელიობის გამო, თავის დროზე ფიქრად არ მომსვლია ან დამენიშნა, ან შესანახად მეგროვებინა ყველა ის ნომრები ჟურნალ-გაზეთებისა, სადაც მე რაიმე წერილი მომითავსებია. ამ ჟამად კი ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია, ნამეტნავად ავადმყოფობის გამო, 40 წლის განმავლობაში გამოსულ ჟურნალ-გაზეთების ხელში ჩაგდება და მათში გაფანტულ ჩემი ნაწერების ძიება. აქ ავწუხსხავ მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რაც შემთხვევით ხელში შემრჩენია, ანუ რასაც მეხსიერება მიკარნახებს.

დავასახელებ მხოლოდ უმთავრეს ნაწერებს: მოთხრობები:

1) „უცნაური მუხუდო“, გაზ. „ივერია“, №№51-67 (1888 წ.), 2) „რა ვარ მე“, „ივერია“, №18 (1887 წ.), 3) „ფუჭაძე“, „ივერია“, №№49-50 (1887 წ.), 4) „ჩიტის გვრიტი“, გაზ. „ივერია“ №№104, 105, 106, 108 (1887 წ.), 5) „იუდის კერძი“, გაზ. „ივერია“, №№74, 75 (1898 წ.), 6) „ბედ-უკუღმართი ჯალაბობა“, ჟურნ. „ივერია“, №9 (1882 წ.), 7) „ორი დობილი“, გაზ. „ივერია“, №№157, 158 (1888 წ.), 8) „სეირი“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №29 (1916 წ.), 9) „ომის მსხვერპლი“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №34 (1916 წ.), 10) „ასული ლევან მეფისა“, გაზ. „ივერია“, №203 (1888 წ.), 11) პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობები საერთო სახელით „იგავ-არაკნი“ (1912 წ.).

წერილები:

1) „ჩვენი საერო პოეზიის შესახებ“, გაზ. „ივერია“, №75 (1886 წ.), 2) „ჩვე-

ნი ხალხური სიმღერების გამო“, გაზ. „დროება“, №94 (1886 წ.), 3) „ქალის მშვენიერების იდეალი ქართულ საერო ლექსებში“, გაზ. „ივერია“, №№106, 109, 112 (1886 წ.), 4) „ცოლის იდეალი, გამოხატული ქართულ სახალხო პოეზიაში“, ჟურნ. „მოამბე“, №10 (1901 წ.), 5) „ქართული ფრთოვანი სიტყვები“, ჟურნ. „მოამბე“, №4 (1903 წ.), 6) „ქართულ სახალხო პოეზიის მოყვარეთა მიმართ“, გაზ. „ივერია“, №176 (1887 წ.), 7) „რამდენიმე სიტყვა ქართულ საერო საკითხზე წიგნების თაობაზე“, გაზ. „ივერია“, №281 (1886 წ.), 8) „ეს-ლა აკლდათ ქართველ ქალებს“, გაზ. „ივერია“, №24 (1886 წ.), 9) „რა მოეთხოვება ქართულ ლიტერატურას?“ გაზ. „ივერია“, №6 (1886 წ.), 10) „როგორ ვრცელდება ჩვენში ქართული წიგნები“, გაზ. „ივერია“, №226 (1886 წ.), 11) „სწავლის საქმეზე“, გაზ. „დროება“ (ივ. მაჩაბლის გაზეთის), №141 (1884 წ.), 12) „ფიქრი და შენიშვნა“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1658 (1901 წ.), 13) „მასწავლებელი და მისი მოვალეობანი“, გაზ. „დროება“, №№13–15 (1883 წ.), 14) „ერთი წიგნის გამო – ძღვნად ჩვენ დედებს“, გაზ. „დროება“, №61 (1885 წ.), 15) „შვიათი საღამო“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №21 (1916 წ.), 16) „გლოვა“ („აკაკის გარდაცვალების გამო“), გაზ. „თემი“, №206 (1915 წ.).

გამოცემანი:

1. „პატარა მოამბე“, მოთხრობათა კრებული ბავშვებისათვის I ნაწ., გამოც. გრ. ჩარკვიანისა (1886 წ.), 2) „პატარა მოამბე“, მოთხრობათა კრებული ბავშვებისათვის, II ნაწ., გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, 3) „ასული ლევან მეფისა“, ისტორ. მოთხრობა, გამოც. ქართველ ქალთა საზოგადოებისა (1897 წ.), 4) „ბედუკულმართი ჯალაბობა“, მოთხრობა, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, 1883 წ., 5) ჰაერი, წყალი და მათი თვისებანი (ფიზიკა), გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1897 წ. 6) დასურათებული ქართული მოძრავი ანბანი, სკოლებში სახმარებელი, პირველი გამოც. გრ. ჩარკვიანისა, 7) იგივე – მეორე გამოცემა ი. ს. ზედგინიძისა, 8) „სრული ქართული წერის დედანი“, გამოც. იოს. მერკვილაძისა, 1907 წ., 9) „იგავ-არაკნი“, გამოც. (პირველი) რედაქც. „ნაკადულისა“, 1912 წ., 10) იგივე გამოც. (მეორე) სახალხო განათლების კომისარიატისა, 1922 წ.

1881 წლიდან დაწყებული პრესას არ ჩამოვშორებულვარ. ნაწერის ქვეშ ხელის მოსაწერად, ჩემის გვარის და სახელის გარდა, მიხმარია პსევდონიმები: „ანაგელი“, „ლილიპუტი“, „ანმანი“ და სხ. სერგი მესხის გაზეთის „დროების“ გარდა, ვწერდი ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“, მისსავე და ივ. მაჩაბლის ჟურნ. „ივერიაში“, გაზ. „ცნობის ფურცელში“, გაზ. „სახალხო ფურცელში“, ალ. ჭყონიას და შემდეგ ალ. ჯაბადარის ჟურნ. „მოამბეში“, გრ. დიასამიძის გაზ. „თემში“, ალ. ნებიერიძის ჟურნ. „თეატრში“, იოსებ იმედაშვილის ჟურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“; საბავშვო ჟურნალებში: ანდრია ლულაძის „ნობათში“, ანასტასია წერეთლის „ჯეჯილში“, მარიამ დემურიას და შემდეგ ნინო ნაკაშიძის ჟურნ. „ნაკადულში“. წერილები მიწერია სხვა-და-სხვა ხასიათისა: მოთხრობები, პუბლიცისტური, კრიტიკული, ბიბლიოგრაფიული, სალიტერატურო, საისტორიო და სხვ. მას შემდეგ, რაც დაგვიპირდა საბავშვო ჟურნალები – „ჯეჯილი“ და „ნაკადული“, უმთავრეს დარგად გავიხადე და ყურადღება მივაპყარ პატარ-პატარა საბავშვო მოთხრობების წერას, რასაც ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ჩვენ მოზარდ თაობისათვის.

ვიმეორებ, თავიდანვე ფიქრად არ მომსვლია ან დამენიშნა, ან შესანახად მომეგროვებინა ყველა ის ნომრები ჟურნალ-გაზეთებისა, საცა მე რაიმე წერილი მომითავსებია, დღეს კი ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელია 40 წლის განმავლობაში გამოსულ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ წერილების ხელში ჩაგდება. რამოდენადაც შევიძელ, მაინც შევავსოვ და ჩემი ნაწერები გამოვარჩიე და ავსუსხე.

ბოლოს, 14-ს დეკემბერს, 1924 წ., ღამით, ძილის დროს უცბად, მოულოდნელად დამემართა საშინელი გულის ავადმყოფობა, რამაც ბოლო მოულო ყოველს ჩემს შრომას, მეცადინეობას, ზრუნვას და საქმიანობას; მას შემდეგ დავკარგე ყოველი უნარი როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური შრომისა, დავკარგე ხალისი სიცოცხლისადმი და ასე უგემურად და უფერულად მივაჩანჩალებ დანარჩენ ჩემ დღეებს, თუმცა უკანასკნელ დღესაც კი, 14-ს დეკემბერს ძალ-ღონით სავსეს ვგრძნობდი თავს და ვერას გზით ვერ წარმოვიდგენდი, თუ უბედურება იქვე, წინ, მელოდებოდა.

ალ. მირიანაშვილი

უნდა ავლნიშნო, რომ ალექსი უკვე უკანასკნელი 4 წელი ავადმყოფობას გულის მხრივ (გულის ასთმა) განიცდიდა. ძლივს (ფიზიკურად უძნელდებოდა) დანერა ეს ავტობიოგრაფია: დაიწყო 25 აგვისტოს, 1922 წ. და დაამთავრა 23 თებერვალს, 1925 წ.

გარდაიცვალა 1925 წ. 24 აპრილს, საღამოს 8¹/₂ საათზე.

დაიკრძალა 27/IV, ორშაბათს დიდუბის მწერალთა პანთეონში.

ბაგრატ მირიანაშვილი

დავით კლდიაშვილი

დიდათ პატივცემულო ბატონო ივანე მიხაილის ძვე!¹

ბოდიშს ვითხოვ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ავასრულე თქვენი თხოვნა. სინიდის გეფიცებით, მუდამ ამაზედ ჩემს თავს ვესაყვედურებოდი მაგრამ ჩემი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ საშვალეებს მაკლებდა ამესრულებინა თქვენი სურვილი. ნოემბრიდან დაწყებული მე ავათა ვარ და ეხლა ცოტათი უკვეთ შევიქენი, თუმცა ისეთნაირათა ვარ, რომ მტერსაც არ ვუნატრებ ამგვარ მდგომარეობას. კაცი გამზადებული ახალი ცხოვრებისათვის, – რადგან მე ვაპირობდი სამსახურიდან გამოსვლას, – ისეთნაირი უძლური, ავადმყოფი შევიქენი, რომ ახლაც მგონია, რომ ჩემი სიცოცხლე გათავებულია და რაიმე გამობრუნება არ მეღირსება; შიში მკლავს, იმისა რომ არ მომესპოს უნარი შრომისა, განსაკუთრებით იმ ჩემთვის ძვირფას შრომისათვის, რომლისათვის მე მასალაც შემზადებული მაქვს და ერთგვარი გეგმაც შედგენილი. ნუ თუ ბედი ჩემი ისეთია, რომ იძულებული ვიქნები შევსწყვიტო შრომა იმ დროს და იმ ადგილას, როცა იგი უფრო საინტერესო და საყურადღებო ხდებოდა?! აი, ამის შიში სისხლს მიშრობს და ტვინს მიღალავს. უკანასკნელმა წლებმა იმდენი არყიეს ჩემი ნერვები, ისეთი შრომა ხვდებოდა მათ, რომ ჩემმა სუსტმა აგებულობამ მეტი ველარ შეიძლო და უძლური შემქნა. ოჰ, ღმერთო, ნეტავი თუ კიდევ ერთრიგათ მაინც გამოვბრუნდები და მეღირსება დაწყებულ შრომის გაგრძელება!

სანამ ეს ბედნიერი წამი მოახლოვდებოდეს, შეიძლება კიდევ ბევრმა დრომ გაიაროს, ახლა კი შევეცდები, ავასრულო თქვენი თხოვნა. აი, მოკლეთ ჩემი ბიოგრაფია.²

მე დავიბადე იანვრის 1-ს, 1863 წელს, როგორც ოფიციალურად სწერია, ნამდვილი კი – 1862 წელში სექტემბრის 28. მამა ჩემი წერილი მემამულე აზნაურია. იგი მსახურობდა ქუთაისში, ოჯახს კი განაგებდა დედა ჩემი, ლოლობერიძის ქალი. პატარაობიდან მე ვიდექი ერთი რუსის ოჯახში, სადაც ვსწავლობდი რუსულს და ვემზადებოდი სასწავლებელში შესასვლელათ. ერთი წელიწადი ვიყავი ქუთაისში ერთდროს ცნობილ მრევლოვის კლასში. 1872 წელს ჩვეულებისამებრ 42 ბავში ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებიდან ნაგვიყვანეს რუსეთში კიევის სამხედრო გიმნაზიაში; იქ გამოცდის შემდეგ დაგვტოვეს მხოლოდ 25 ბავში და ამათგან გიმნაზია გავათავეთ 6-7, დანარჩენები ზოგი სხვაგან პროგიმნაზიებში გადაიყვანეს, ზოგნი სულ დაითხოვეს, რამოდენიმე კი ვერ აიტანეს იქაური ჰაერი და გამოესალმნენ ამ ნუთისოფელს. გიმნაზია შვენივრათ იყო დაყენებული. საოცრათ შერჩეული იყვნენ როგორც აღმზრდელები, თითქმის ყველანი უნივერსიტეტ დასრულებულნი.

1. დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფია დანერილია ივანე გომართელის თხოვნით (გამომცემლის შენიშვნა).

2. გრიქუროვის მაღაზიაში იყიდება სომხური თარგმანი ჩემი „მრევლში“-ს. თარგმანია ყაზარ კარაპეტინცისა. მას აქვს დართული ჩემი ავტობიოგრაფია, მოკლე. რომ გაისარჯებოდეთ და გადაართგმინებდეთ მას, მე მგონია, ძრიელ გამოსადეგი იქნებოდა თქვენთვის.

ბულნი პირები, – ისე სამაგალითო მასწავლებლები, პირველ წლისავე დამლევს ბევრს მიგვაწინყდა ქართული ენა. ჩვენ ბავშვები ხშირად ვიკრიბებოდით ერთათ, ვცთილობდით ერთმანეთში ლაპარაკით, მშობლიური ენა არ დაგვეწინყნა, მაგრამ ბევრს ვერას ვხედებოდით. მეორე წელიწადს ძლივს ვახერხებდით ქართულს. ვინც ჩვენზედ წინად იყვნენ მოსულები და იმყოფებოდნენ უფროს კლასებში, იმათ უკვე სრულად ქონდათ მივიწყებული მშობლიური ენა, სამშობლოც და არავითარი ინტერესი მისი მათში აღარ მოიპოვებოდა. პირადად, ჩემდა ბედისათ, მე სხვა ბედი მერგო. მესამე წელიწადზედ ჩემმა მშობლებმა მე სახლში წამიყვანეს საზაფხულოთ. რასაკვირველია, მე იწიცი არა გამეგებოდა ქართულისა. სოფელში მისვლის დროს ჩვენს ეზოში თლათ ჩვენს კუთხეს თავი მოეყარა. ჩვენ ყოველთვის მეზობლობაში და გლესკაცებთან კეთილი განწყობილება გვქონებია და გადაკარგული ბავშვის შესაგებებლათ და მშობლების სიხარულის გასანანილებლად აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ეს სურათი მე არაოდეს არ დამავიწყდება. ყველანი მეხვევოდნენ, მკოცნიდნენ, სიხარულისაგან თავსაც დამტიროდნენ. ერთმა გლესმა კიდეც იოხუნჯა: „ამ დალოცვილებს თუ ბავშვის დამუნჯება განათლებათ მიაჩნიათ, რალა გადასაკარგავში აგზავნიდნენ, – აქვე ოთახში დეემწყვდიათ, ამითაც დამუნჯდებოდა“. ეს იმაზედ სთქვა, რომ მე ქართულათ ლაპარაკი არ შემეძლო. გაბრუნებისას მე წავილე თან ქართული წიგნები, ორთვეში ერთრიგათ ლაპარაკიც დავიწყე. შემდეგ წლებში კი ყოველ ზაფხულობით მოვდიოდი ხოლმე სახლში. ამასთანვე კიევში ისეთი პირები აღმომიჩნდნენ მფარველ ანგელოზებათ როგორც ჩვენი ცნობილი მწერალი – ნიკო ლომოური, რომელი იმ ხანებში კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა; აქვე იყვნენ გიორგი საძაგლოშვილი, დღეს ეპისკოპოზი კირიონი, გიორგი ალადაშვიდი, დღეს ეპისკოპოზი გიორგი და მიხაილ ილურიძე. ამათ წყალობით მე ვეცნობებოდი ქართულ ლიტერატურას, ისტორიას, ამათ წყალობით გამეღვიძა ინტერესი სამშობლოსადმი და საზოგადოთ მათი გავლენა ჩემზედ მეტად დიდი იყო, რასაც მე მუდამ მადლობით ვიხსენიებ.

1880, გავათავე რა გიმნაზია, გადავედი სამხედრო სასწავლებელში მოსკოვში, რომელი გავათავე 1882 წელს და გამოველ აფიცრათ ბათუმში. სრული ათი წელიწადი ჩემს თავს ვებრძოდი, რომ ჩემი მშობლიური ენა შემემსწავლა, შემემსწავლა მისი წარსული და თანამედროვე ცხოვრება გამეგო. დიდი შრომისა და მაცადინობის შემდეგ, როგორც იყო, გავბედე და ავილე კალამი ხელში. 1894 წელს „მოამბეში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი ორიგინალური მოთხრობა. მას მოჰყვა ზედი-ზედ „მსხვერპლი“ და „სოლომონ მორბელაძე“. 1892 წელს მე შევირთე ცოლი – მემამულე პავლე მაჭავარიანის ასული. ხშირად სოფლად ყოფნა, სოფლებში მისვლა-მოსვლა რომ მხვდებოდა, ეს მაძლედა იმოდენ მასალას, რომ შესაძლებელი იყო გაცილებით მეტი დაეწერა კაცს იმაზედ, რაც მე შევიძელი. რაც შემეძლო, მე გატაცებით ვმუშაობდი და სამსახურში მაინც ვშოულობდი დროს და ვმუშაობდი. თავის თავად თითქმის შესდგა გეგმა მუშაობისა და დღევანდელ ჩემს მწუხარებას ის შეადგენს, რომ უძლორობა ჩემი ხელს მიშლის, ქალაღზედ გადავილო და სხვებს გავუზიარო ის შთაბეჭდილებანი, რაც მე გამომიტანია ცხოვრებიდან; ვწუხვარ, რომ უკვე შედგენილი

მოთხრობების სხემები მირჩება განუხორციელებლათ, დრო კი მიდის, მირბის, მირიხინობს, როგორც იმერეთში ამბობენ.

ერთს რამეს მოგახსენებთ კიდევ. ბევრ მკითხველს უცინია ჩემი მოთხრობების ნაკითხვაზე, მე კი, მათი დამწერი, გეფიცებით, არა ერთხელ გულამღვრეული მოვშორებვარ მაგიდას და ზედ მიტოვებულ ნაწერს. მე მუდამ იმას ვცთილობდი, რომ, რაც შეიძლებოდა, უტყუარი მასალა მიმეწვდინა საზოგადოებისათვის, რომ მასაც ეგრძნო ის უნუგეშობა და უიმედობა, რომელი გარს გვახვევია. რამდენათ შევიძელი ეს, სხვებმა იციან, მე კი მხოლოდ ის შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემს შრომაში მე ვცთილობდი, მუდამ გულწრფელი ვყოფილვყავი.

დანარჩენში ჩემი ცხოვრება მეტად მკრთალი ყოფილა. ბევრი წვრილმანები მეც შემხვედრია და მათთან ბრძოლაში ბევრი ღონე დამიკარგავს, მაგრამ ამათხედ არ ღირს ლაპარაკი.

აი, ეს არის, რაც შემიძლია, სიჩქარით მოგწეროთ, ბატონო ივანე მიხაილის ძე! ვიცი, რომ გწერთ უხეიროთ, მაგრამ რა ვქნა. ავადმყოფი, დავარდნილი ამხანად უფრო დალაგებულ წერილს ვერ მოგწერთ. და მასთანვე ჩემი ცხოვრების შესახებ თუ საინტერესო რამ ითქმის, ეს სწორეთ იქნება აღწერა და დასურათება იმ ხანისა, როცა მთავრობას ყოველწლივით საქართველოდან მიჰყავდა შიდა რუსეთში, სამხედრო გიმნაზიებში მისაცემათ, 40-40 ბავში. ამათი აღზრდა, ამათი გონების დაყენება, გადაგვარება – ეს მეტად საინტერესო რამ არის და შემდეგ შეიძლება გაგიზიაროთ ამაზედ ცნობები; დანარჩენში კი ჩემი ცხოვრება მეტად ერთფეროვანია – გარდა დუელისა, პალმთან რომ უნდა მომხდარიყო, ამაზედ ჯაყელიც მოგიყვებათ, და იმ საზიზღარ ინტრიგებისა, რომელიც გარს შემომახვიეს ჩემმა უფროსებმა და მოსვენებას არ მაძლევენ ეს მესამე წელიწადი. ამ უკანასკნელმა ბრძოლამ კიდევ მომქანცა და ავადმყოფათ შემქნა.

კიდევ ბოდიშს ვიხდი დაულაგებელ წერილისათვის და თან კიდევ გირჩევთ, გაისარჯოთ, მოიკითხოთ გრიქუროვის მაღაზიაში ჩემი „მრევლში“-ს თარგმანი სომხურათ ყაზარ კარაპეტიანცისაგან და ისარგებლოთ მასში დატანებული ჩემი ავტობიოგრაფიით. იგი მოკლეთაა შედგენილი და მეტად საჭიროც აღარ იქნება. შეგიძლიათ, მონახოთ თავათ კარაპეტიანცი. მაღაზიაში მოგახსენებენ და იგი ერთწამდი გადიგთარგმნისთ კიდევ თუ ჩემი წერილი აღარა აქვს ხელთ.

გთხოვთ, მაპატიოთ ასეთი წერილი. უკვეთ ყოფნის დროს ვეცთები, გაცილებით უკვეთ და რიგიანათ შევასრულო თქვენი სურვილი, თუ კიდევ საჭირო იქნება.

დავშთები თქვენი ერთგული.

დავ. კლდიაშვილი
პიატიგორსკი – 5 ივლისს/1907 წ.

ივანე მაჭავარიანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1943 წელს 10 მარტს მაჭავარიანი ივანე ნიკოლოზის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1863 თვე იანვრის დღე 23
	(ძველი თუ ახალი სტილი) თბილისში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	პენსიონერი
7. ლიტერატურული ჟანრი	მთარგმნელობა
8. რა ენაზე წერს	ქართულად, რუსულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1885 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1937 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო 1883 წლიდან 87 წლამდე ქენევაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არაფერი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გორკის 31</p>

იხ. ანკეტა.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მაჭავარიანი ივანე ნიკოლოზის-ძე

დავიბადე 1863 წელს, 23 იანვარს ქალ. თბილისი.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1885 წელს.

32 წელიწადი ვემსახურე რკინიგზას და 180 მან. მივიღე პენსია. 53 წელიწადია ვემსახურები ჩვენს მწერლობას. 1885 წელს გამოვიდა ჩემი თარგმანი „ქალების განათლება“, პროფ. ტარასოვისა.

შვეიცარიიდან რომ დავბრუნდი, ჩინოვნიკობა არ ვიკადრე და ქართ. ნიგნების გამოცემელ-ამხანაგობის და „მოამბის“ სარედაქციო კომისიის მდივნად და სტამბის გამგედ ვიყავი 1899 წლამდე. ჰონორარს თითქმის არავის ვაძლევდით და თითქმის მე მანვა ნომრების შედგენა. „მოამბეში“ იბეჭდებოდა ჩემი თარგმანები და მევე ვადგენდი შინაურ ქრონიკას.

მწერლობა მე ხალხის განათლების და რევოლუციის გამარჯვების უმთავრეს საშუალებად მიმაჩნდა და ამ მხრივ მნიშვნელობას არ ვაძლევდი პირად ჩემ ნაწერს, რადგან ჩვენსას არაფერს გვათქმევინებდა ცენზურა, და თარგმანს კი, თუ თარგმანი გაშვებული იყო რუსეთის ცენზურის მიერ. ჩვენი ცენზორი აღარც კი სინჯავდა. ამიტომ იყო, რომ შეუმჩნევლად დარჩა ცენზურას ჩემი შენიშვნები „გლეხი კაცის ისტორიაში“, რომელიც მოამბეში იბეჭდებოდა, ცალკე წიგნად გამოვიდა მეორე, 1905 გადილიამ გამოსცა და 1931 წ. კიდევ სახელგამმა. 1906 წ. დაიბეჭდა ჩემი შაურიანი ბროშურა „სამი სიტყვა – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა“, და შიგვე „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ და ათიათასობით გავრცელდა ხალხში.

ერთგულად ვემსახურებოდი მწერლობას, მაგრამ ცენზურამ ისე გაგვიჭირა საქმე, რომ იძულებული გავხდი 1899 წ. დამდეგს რკინიგზაზე გადასულიყავი და მაინც განვაგრძობდი ჟურნალში და დღიურ პრესაში მონაწილეობას. მაშინ ჰონორარი არ არსებობდა (მაშინ არდგენდა ჩვენი თეატრი ჩემ თარგმანს „უდანაშაულოს დასჯილნი“ ასტროვსკისა და ახლა კი, როცა ჰონორარი დაარსდა, ელ. ანდრონიკაშვილის თარგმანს არდგენდნენ. ასეთივე ბედი ეწვია ჩემ „ტარტიუფს“), ჩვენ ლექსად ნათარგმნი გვინდაო – და უკვე აღექსვინებდნენ. ჩემი ნაწერების სიას აქვე ვასახელებ, რაც დარჩება ჩვენს მწერლობაში და უნაყოფოდ არ ჩაივლის ჩვენი ხალხის თაობათა რევოლუციურად მომზადებისათვის. რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

თარგმანები: „გლეხიკაცის ისტორია“ – ერკმან შატრიანისა, 4 გამოცემა; სამი სიტყვა – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა და შიგვე „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ – რამდენიმე ათი ათასი, ფასი 5 კაპ.; „ტარტარენ ტარასკონელი“ ალფონს დოდესი, „ოთხმოცდა ცამეტი“ ვიქტორ ჰიუგოსი, „პეტრე პირველი“ ალ. ტოლსტოისა, მაქსიმ გორკის „ზღაპრები“, „განწირულნი“ ვიქტორ ჰიუგოსი, სრული თარგმანი ჩავაბარე 37 წ.; „უდანაშაულო დამნაშავენი“ ასტროვსკისა, ყოფ. დრამსაზოგადოებისა; „ტყე“ ასტროვსკისა, „ქმართა სკოლა“ მოლიერისა, „ივდითა“ ჯაიკომეტისა, „კაი გრაჟი“ ვინჩესტო მონტისა, „სასწაული წმ. ანტონისა“ ოქტავ მირბო, „ბრჭყალები“ პოლ. ერვიესი, „მოამბეში“, „ტარტიუფი“ მოლიერისა „მოამბეში“, „მწვანე თუთიყუში“ არტურ შნიცერისა, ღამე კაფეში ბატილიის ალების შემდეგ, 1 მოქმ.; „ამ ფანდურა“ – ანატოლ ფრანსისა კომედია 2 მოქ.

სწორია: 6 კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შოი მღვიმელი – ქუჩუკაშვილი

ჩემი ბიოგრაფია

დავიბადე 1866 წელს, ტფილ. გუბ. გორის მაზრის სოფ. ბრეთში, დედაჩემის გადმოცემით, თებერვალში, ყველიერის ხუთშაბათს, ზედ შიოობა დღეს და ამიტომაც დამარქვეს შოი.

გვარად გახლავართ ქუჩუკაშვილი, მხოლოდ მამა-პაპათა გადმოცემით, ძველად ჩვენი გვარი ყოფილა ბობნაძე. ჩვენი წინაპარი გადმოსულა ახალციხის მაზრიდან.

მაშინ ჩვენს სოფელში, ბრეთში, ჩვენს საგვარეულოში ყოფილა ერთი მეტად პატარა და მომცრო კაცი, რომელიც ბრეთზე გამოვლილ აქლემების ქარავანში სანაძლეოზე ერთ-ერთ აქლემს ფერდზე ერთის ხელის დაკვრით ზედ ზურგზე მოქცევია და მეორე მხარეს გადაფრენილა.

მოქარავენებს გაკვირვების აღსანიშნავად, გამოსათქმელად უხმარიათ სიტყვა „ქუჩი“ და იმ დღიდან ამ კაცსაც დარქმევია ხალხის პირით „ქუჩი“ და ჩვენი გვარიც თანდათანობით გადაქცეულა ქუჩუკაშვილად.

პატარობა გავატარე სოფ. ბრეთსა და ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სოფელში.

ბრეთი იყო სამშობლო სოფელი, ხოლო ვარიანი მამიჩემის სამღვდლო. მამაჩემი იყო შინაურულად წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი – მღვდელი. ვიყავი საშინელი ცელქი და მოუსვენარი; ჩიტის ბუდე არსად დამემალე-ბოდა. ბევრჯერ გავაბი საბრალო ჩიტი ცხენის ძუისაგან გაკეთებულ მახეში. ერთხელ მამაჩემს მარიამობისთვის მარხვაში ჩიტებთან ერთად მოხარშული ჭიჭყინები ვაჭამე.

დიდი მოყვარული იყო ახალი თევზისა, ალბად, სულმა წასძლია და ველარ მოითმინა. ჯერ კი არა მკითხა, როცა შეექცა, მაშინლა გაახსენდა, თუ როგორ წყალში იყო მოხარშული და რომ მიიღო აშკარა პასუხი, კარგები მომარტყა – რად შემაცდინეო.

ვიცოდი აუცდენელი კოჭის თამაში და სალაობა.

ჩემ ტოლ გლეხის ბიჭებში ძალიან ხშირად ვცვლიდი გამტკიცულ თონის პურს ერთ პატარა მჭადის ნაჭერში. მიყვარდა ძალზე მჭადი და გლეხებიც იმ დროს იშვიათად აცხობდნენ მას. მაშინ ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო გლეხი, რომ მუდამ მჭადი გამოეცხო. ისე კი მჭადს ხილად თუ ვინმე გამოაცხობდა კეცებში.

ანბანი და წერა-კითხვა ვისწავლე კახეთში, სოფ. შილდაში, სადაც ჩემი უფროსი ძმა – გიორგი იყო მასწავლებლად.

ძმამ ქართლიდან წამიყვანა კახეთისაკენ მარიამობისთვის მიწურულეებში.

პირველად ჩავჯექი მატარებელში გორის სადგურზე. არც მენახა მანამდე. ავლაბარში ჩამოვხტით ეგრედ წოდებულ „კისერას ბაკში“, მაშინ ის იყო კახეთისაკენ გასამგზავრებელი სადგური.

სოფელში არ ვიცოდი, რა იყო ბაღლინჯო, კისერას ბაკში კი მთელი ღამე თეთრად გავათენე ამ მწერების წყალობით.

დილით ჩემი მამის ნაცნობმა – „ყონალმა“ – თათარმა მოგვაცენა ბინაზე ორი შეკაზმული ცხენი.

მაშინ ცხენებით და „ტარანტასებით“ იყო კახეთისაკენ მიმოსვლა.

შემომისვა გამყოლმა თათარმა ცხენის უკან და გაუდექით სავალს.

მონყენას რომ შემატყობდა ძმა, ახლა თავისთან გადამიყვანდა ხოლმე გასამხნეველად.

გომბორის აღმართს რომ შევუდექით და შევედით ხშირსა და დაბურულ ტყიან გზაზე, მთელი ღამის უძილოს ჩამთვლემოდა, ძმის კალთების, თუ წელზე შემოხვეული ხელი გამეშვა და ძირს, ცხენის უკან ბრავგანი მომადინა.

ბედად ფხვიერ ადგილზე დავცემულიყავი და არაფერი მტკენოდა.

გადმოხტა თათარი ამიყვანა და მითხრა: ნუ იტირებ და მალე ბევრ ვაშლეს გაჭმევო.

მართლაც, ცოტახნის უკან შეგვიყვანა, გაგვატარა ისეთ ალაგას ტყეში, სადაც ბევრი მსხმოიარე ვაშლის ხეები იდგა.

– აბა, მოგლიჯე, რომელიც და რავდენიც გინდაო, და თვითვე ამანვდინა ტოტებისაკენ, მებაღემ კი არ დაგინახოს, თორემ გაჯავრდებაო.

აბა, იქ მებაღეს რა უნდოდა. ძმამაც კი მითხრა: გეხუმრება, არ შეკრთეო.

რასაკვირველია, ხუმრობამ ხუმრობად ჩაიარა, ყონალმა კი ბევრი მშვენიერი, ტყის ლოყა წითელი, მომცრო ვაშლები მომიკრიფა და ცხენიდან გადმოვარდნა სრულიად დამავინცა.

თელავში გავათიეთ ღამე რიყის მახლობლად დუქანში, მემგონი, მაშინ სრულებითაც არ ყოფილა სასტუმრო, და დილით გაუდექით შილდისაკენ გზას.

ალაზნის ხიდზე რომ შევდექით, ხიდი მეტისმეტი დიდი და გრძელი მეჩვენა. დიდი მეჩვენა უეჭველად იმიტომ, რომ ბრეთსა და ვარიანს შუა პატარა პატარა რუები ჩამოდიოდა და იქ ბოგირების მეტს ვერაფერსა ვხედავდი.

გზა და გზა ძმა მეუბნებოდა (ეს უეჭველად იმიტომ, რომ გავერთე): ეს შაქრიანია, ეს საბუე, ის ენისელიო და ამ თქმით შილდაშიაც მივედით.

აი, ეხლა კი სულ დავისვენებთო – მითხრა ძმამ, მაგრამ თქვენს მტერს ისეთი დასვენება!

თურმე ლეკები მოდიოდნენ შილდაზე დასაცემად და მთელი მოსახლეობა იქაურ სიმაგრეში, „გალავანში“ შეხიზნულიყო და ჩემი ძმაც თავისი პატარა სტუმრით გალავანში შეინვიეს.

ჩემი ძმის მონაფეების მშობლებმა და მოზრდილთ ნევრებმა, როგორც პატარას, მით უმეტეს, და უცხოს, ისე მომიალერსეს და ისე მომექცნენ, რომ სრულებით არ მიგრძვინა, თუ რას მოასწავებდა ციხე-გალავანში შეხიზვნა.

გამიჩნდნენ პატარა ძმობილ-დობილებიც.

მთელი ერთი თვის განმავლობაში გალავანში ვიყავით. ჩემი ძმა იშვიათად შემოდიოდა ჩემს დასახედად. სულ ხალხთან იყო სადარაჯო-საყარაულოზე. მე კი უდარდელად ვერთობოდი ჩემ ტოლებთან და სრულებით არ ვფიქრობდი არც მტრის დაცემაზე და არც ომის საშიშროებაზე. და ან კი რა უნდა მეფიქრნა მეტადრე მაშინდელ ბაღს და ისიც ქართლელს. ბრეთსა და ვარიანში წელიწადში ერთხელ თუ ვინმე გაისვრიდა თოფს. ამ სოფლებს ტყე და

მთები არსაიდან ეკრა და ვინ უნდა გასულიყო ან სანადიროდ და ან მტრის ჩასასაფრებლად. მაშინდელი თავად-აზნაურობა მელა-კურდღლებზე ნევრე-ბით ნადირობდნენ.

ვარიანში იყო მხოლოდ ერთად ერთი წეროებზე მონადირე ურჯუმე-ლაანთ გლახა და ჩემი შუათანა ძმა სანდრო, რომელიც მტრედებსა დასდევ-და. მამაჩემი მას დაცინვით პანკრუტა რუსს ეძახდა.

რამდენადაც მახსოვს, ხალხი გალავანშიაც არ იშლიდა ღვინსა და ოხუნ-ჯობას. დღისით ეძინათ, ღამეს ათევდნენ დიდრონები. დროდადრო ხალხში ჩოჩქოლი ჩავარდებოდა ხოლმე და იტყოდნენ, ბაქრაძე გვიახლოვდება თა-ვის ჯართათაო და ეხლა კი არა გვიშავსრაო. ხმები გამართლდა. ხალხი დამ-შვიდდა და ყველა თავთავის ბინაზე დაბრუნდა.

სას. სკოლა იყო მოთავსებული ჩახტაურის (ბუაგანთ ეძახდნენ მეტ სა-ხელად) შენობაში და ჩემი ძმაც იქ იყო მოთავსებული ერთ ოთახში.

ჩემდა სამწუხაროდ, დამავინყდა იმ დიდი და ჩემთვის მეტად ტკბი-ლი ადამიანის, სოლიკო ჩახტაურის დიდიდედას სახელი, რომელმაც ისეთის სიყვარულით მიმილო, ისე მომხიბლა და ისე მოინადირა ჩემი გული მისმა უსაზღვრო აღერსმა, რომ სრულიად გადამივინყდა უდედობა. ისეთი დედო-ბა გამინია და ისე ამატანინა ბავშვური ნაღველი, რომ ძალიან მალე შევეჩ-ვიე უდედმამოთ ყოფნას მისი მეოხებით.

მშვენიერი კახური ლელვი და თეთრად დაშაქრული ჩურჩხელა რაკი ულეველი მქონდა, რალა მიშავდა!

ჩვენები მაინც დედის ჯიბის თავგს მეძახდნენ და აქაც უფრო უკეთეს ქერის ორმოში ჩავვარდი.

მალე წითელით გავხდი ავად. რადგან ჩემ ძმას არ შეეძლო ერთ და იმავე დროს ჩემთანაც ყოფილიყო და სკოლაშიც ევლო, ამიტომ დასტოვა ოთახი და გადავიდა სხვა ბინაზე, მოშორებით, გაკა ჭანკვეტაძის სახლში.

მე კი ჩემმა ძვირფასმა დიდიდედამ გადამიყვანა თავისთან და ისეთის სიფაქიზით და ყურადღებით მომიარა, რომ სრულებით არ გამიგია, როგორ მოვიხადე წითელა.

ხალხური ლექსები, შაირები და გამოცანები ბევრი ვიცოდი და აქაც ამ ავადმყოფობის დროს იმდენი რამ მიაბო დიდიდედამ და მნახველებმა, რომ ჩემი მახსოვრობის სალარო მთლად აივსო.

მეხსიერება კარგი მქონდა, მალე ვიხსომებდი, მეტადრე შაირებსა და ლექსებს. ერთხელ დედაჩემი ვარიანში სოფლის გოგოებს ბუმბულს არჩევი-ნებდა. ჩემი ძმა გიორგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან იყო მოსული სააღდგომოდ.

ქებაძიანთ ღამაზე ქერა გოგონა სიდას აუტყდნენ მრჩეველი გოგოები, ზღაპარი გვითხარიო.

რამ გაგაგიჟაო, ამ შუადღისას რა დროს ზღაპარიო!

მაშ, ლექსი გვითხარიო. და დაიწყო სიდამ „ავთანდილ გადინადირა“ და ისე მადლიანად გაათავა, რომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა.

ახლა მე ვიტყვი მეთქი, უთხარი ჩემ ძმას, რომელიც იქვე იყო და მთელი ლექსი თავიდან ბოლომდის უყოყმანოდ და შეუცდომლად ვთქვი.

ძმამ დამკოცნა, შემისვა მხრებზე და ნიშნად სიამოვნებისა ოთახში გამატარ-გამომატარა.

ერთ დღეს ჩემ ძმას რაღაც ქალაქი მოუვიდა და თელავში წავიდა. დაბრუნებისას დამისვა მუხლზე, დამკოცნა და მითხრა, ხომ არ იტირებ?

თურმე მქონდა სატირალი, მაგრამ დიდიდედას ნებიერს რა ამატირებდა. მამა მომკვდომოდა და ეს იყო მიზეზი, რომ ჩემი ძმა მალ-მალე წამოდგებოდა და ბოლთასა სცემდა ოთახში მოწყენილი.

ჩემმა ძმამ მცირე ჯამაგირისა თუ ცოლის სურვილის გამო სხვა სამსახურს დაუნყო ძებნა.

ჩემი რძალი ჭავჭავაძიანთ ნათლული იყო და მალე უმოვნეს ჩემ ძმას სამსახური განჯაში, გუბერნატორის კანცელარიაში.

ვიდრე ჩემი ძმა მობრუნდებოდა ცოლშვილის წასაყვანად, ყველანი ყვარელში დაგვტოვა სიმამრისას, დეკან. ხუციშვილთან.

გავეცანი ყვარლის მთებსაც და მდინარეებსაც – შურსას და სეფორას. იქაც შევიძინე ამხანაგები. იქაც დავინყე სიარული თხილსა, ზღმარტლსა და ნაბლზე მათთან ერთად.

დეკანოზი რომ ცხვირიდან პაპიროსის ბოლს ორ ტოტად გამოუშვებდა ხოლმე, ეს ძალიან მომწონდა და მიკვირდა, როგორ ახერხებს მეთქი.

ერთხელ, ჩემ თვალწინ რომ აბრეშუმით თამბაქო შეახვია კოხტად ქალაქში, მოუკიდა, მოსწია და ღონივრად შეისუნთქა, ეს კარგად დავინახე.

ცოტახნის უკან მეც იგივე ჩავიძინე, მხოლოდ ჩუმად სახლის უკან. ბოლის შესუნთქვა და ჩემი გულალმა დაცემა ერთი იყო. დიდხანს ვეგდე მიწაზე და როდის-როდის ფერწასული წამოვდექი ზეზე და შევედი სახლში ძახილზე.

ეგ რა მოგსვლიაო – მკითხეს გაყვითლებულს, მაგრამ გიჟი ვიყავი, მეთქვა?!
1879-ში ჩემი ძმა ჩამოვიდა განჯიდან ცოლშვილის წასაყვანად. წამოვედით თბილისისკენ ყვეარიანი ურმით სიღნაღზე. სიღნაღის აღმართს რომ შეუდექით, დაგვიღამდა. მთვარიანი ღამე იყო. მე საშინლად მაკვირვებდა, რომ მთვარე ხან წინ მოგვექცეოდა და ხან უკან.

ვკითხე ჩემ ძმას, ე მთვარე რას სჩადის მეთქი?
გზა ხვეულია, ბიჭო, და იმიტომ გეჩვენება მაგრეო.
რომ ამოვივაკეთ მთვარეც გასწორდა და ჩვენცა.

თბილისში ჩემმა ძმამ ჩემი თავი ჩააბარა თავის სიმამრის დიაკვანს, რომელმაც გამომიყვანა რკინის გზის სადგურზე და გამომისტუმრა გორისაკენ.

გორიდან ვარიანისაკენ საჩქაროდ ვქენი პირი ერთი თანამგზავრით. მგზავრი თედონმინდელი იყო, რომელმაც ხელის მოკიდებით გამიყვანა ოთარშენის პირდაპირ ლიახვში.

თედონმინდიდან სოფ. ახალდაბამდე არაფერი გზა იყო. ახალდაბიდან ვარიანამდე კი გზა სულ ზეპირად ვიცოდი, რომ იტყვიან, თვალდახუჭული მივიდოდი. ბევრჯერ წამოუყვანივარ დედაჩემს ახალდაბელ გაქნილ მკით-

ხავთან. ერთხელ პირველად მისვლისას უთხრა დედაჩემს – ეს მეტის მეტი გულკუჭეჭა და ორცოლიანი იქნება. თავზე რომ ორი საქორჩე მქონდა, ეს იმან ათქმევინა და საბრალო დედაჩემი კი გაკვირდა.

ვარიანის ბოლოში ათასნაირის ტკბილის ოცნებით და ფიქრებით შევედი. კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. ხელში არაფერი მეჭირა და გინდაც მჭეროდა, არ დამამძიმებდა ფიქრებში გატაცებულს და გართულს.

გულის ბაგი-ბუგით უახლოვდები ჩვენს სახლს, მაგრამ გარედ ვერავის ვამჩნევ. მივედი კიდეც, მაგრამ სახტად დავრჩი, როცა იქ ჩვენების მაგიერ კლიტი დაუდებელი, ცარიელი სახლი დამხვდა.

მხოლოდ მოურავიანთგან გავიგე, რომ ჩვენები ბრეთში არიან.

დავიძარ ბრეთისაკენ. ისე გავიარე საქაშეთის ბოლოზე, რომ სოფლისკენ არ მიმიხედნია. მივედი ბრეთში ბიძაჩემ მახარობლისას, მაგრამ იქაც სიცალიერე – არც ბიძაჩემია იქ და არც ჩვენები.

იმავე სოფელში მყავდა დეიდა. მჭედელ ბესო თედემვილს ჰყავდა ცოლად. დამინახა თუ არა, დამკოცნა და დაიწყო ტირილი.

დეიდა, რა გატირებს მეთქი?

რაკი შემატყო, რომ მამიჩემის სიკვდილისა არაფერი ვიცოდი, მიპასუხა – სიხარული, შვილოო.

ჩვენების მოკითხვაზე – მითხრა, ჯავაში არიან ყველანიო, ბიძა შენი კი დირბში გადასახლდაო.

დილით ბევრს მეხვეწა დედაჩემი, ერთი-ორი დღე დავრჩენილიყავი მასთან, მაგრამ ვერაფრით ვერ დამიჭირა.

ჩვენი სიძე – ბესო გამომეცა და გაუდევით გზას. ისე მეჩქარებოდა, რომ ერთი ჯამი რძე ძლივ-ძლივობისას დამახვრიპეს.

ვარიან ზემოდან სოფ. შინდისში მამიდაშვილი მყავდა გათხოვილი. ვერც იმ სოფელს ავცდებოდით და ვერც მათ ახლოს გავლას. იმ მიზნით, რომ იქ არაფერი გამეგო მამიჩემის სიკვდილისა ამ სოფლის ბოლოზე გამატარა – გზას მოვჭრითო და ქვემო ნიქოზის პირდაპირ გამიყვანა ლიახვში და მიმიყვანა სოფ. მელრეკისში დედაჩემისას, ანანო ბახტაძისას. მელრეკისიდან მეორე დღეს, დილით, ცხინვალის მიმართულებით გაუდევით ჯავისაკენ გზას.

ჩემს მოგზაურობას მიეცა დასასრული. გორიდან ჯავამდე სულ ფეხით ვიარე და ისიც სოფლებიდან სოფელში გადასვლა-გადმოსვლით.

ჯავაში რომ მივედი, მზე ეწვერებოდა. ჩემი ორი და – სონა და დუსა, ძმა – სანდრო და დედაჩემი რომ დავინახე, სიხარულით სუნთქვა შემეკრა და მუხლებიდან მოვწყდი.

სიხარულს უცბად სიმწუხარეც ზედ დაერთო. დედაჩემი შავებში დავინახე. მივხვდი, მამაჩემი აღარ იყო.

არც ჩემმა ძმამ და არც სხვებმა მამის სიკვდილი აღბად იმიტომ არ მითხრეს, რომ დედასთან ყველაფერს ადვილად ავიტანდი.

ჩემი შუათანა ძმა ხელობით დურგალი (სტოლიარი) იყო და მას და მის ამხანაგ კურცხალიას ყარსში აეღოთ ნარდად ერთი დიდი საქმე, მაგრამ მამიჩემის მოულოდნელ სიკვდილს ხელი შეუშლია და ვედარ წასულიყო. უკაცოდ

დარჩენილ ოჯახს და ქვრივ-ობლებს თან ვერ ატარებდა. ბრეთშიაც, ბიძაჩემის წყალობით, ბინა და სახლ-კარი სულ მოშლილიყო. დავარაშვილი ურისა ბიძაჩემისაგან მიცემული ვექსილის ძალით გაუყოფელი არე-მარე ნახევრად მას დარჩენოდა და ბიძაჩემიც და ჩვენც გარედ დავრჩენილიყავით.

მეტი ჯანი არ იყო. მაშინ დურგლობას მაინცა და მაინც დიდი გასავალი არა ჰქონდა და სხვა რამ საშუალება უნდა ენახა.

ეს საშუალება იყო ძალა-უნებურად დიაკვნად წასვლა. აი, რად იყვნენ ყველა ჩვენები ჯავაში. იქ მიეცათ დიაკვნობა ჩემი ძმისთვის.

რამდენადაც ჩემს სიპატარავეს ახსოვს, ჩემი ძმა მამაჩემს დასცინოდა ხოლმე: სოფლის გლახა და მყვლეფელი ხარო.

მახსოვს ისიც, რომ ჩემს ძმას თბილისიდან მოჰყავდა ხოლმე ვარიანში ვიღაც პირები და იქ ინახავდა, როგორც სტუმრად მოსულ მასწავლებლებს. ერთხელ მთელი ორი თვე ჰყავდა ცოლ-ქმარი, როგორც მისი მასწავლებლის, „უჩიტლის“ ნათესავეები.

როცა წამოვიზარდე, მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ყველა ის პირები მაშინდელი სოციალისტები იყვნენ, მთავრობისგან დევნილები და მამის ოჯახში მალავდა მათ.

მაშინ მღვდლებს, უეჭველია, დიდი ნდობა ჰქონდათ და ალბად ამითი სარგებლობდა ჩემი ძმაც.

უეჭველია, დიდმა უკიდურმა გარემოებამ აიძულა ჩემი ძმა, წასულიყო დიაკვნად.

ერთხელ სანდრო უეცრად სადღაც გაჰქრა. ჩვენსას ვიღაც ზიზილ-პიპილებიანი (პაგონებიანი) კაცები მოსულიყვნენ სოფელში და ჩემს ძმებსა კითხულობდნენ. მაშინ კანიკულები იყო.

სანამ მოვიდოდნენ ჩვენსა, მამაჩემმა შემსვა ჩვენ უბელო ბრუციან ცხენზე, რომელიც ძალიან შეჩვეული მყავდა, და გამგზავნა უფროს ძმა გიორგისთან ბრეთში, ერთი სიტყვის დაბარებით „გეძებნო“.

მისვლა ჩემი და მისი ბრეთიდან დაძვრა ერთი იყო. ქარელის სადგურიდან ჩავარდნილიყო თბილისში და იქიდან კი შილდაში გაქცეულიყო.

ლვთისა და ხემნიფის მოყვარული მამაჩემი, ცხადია, სოციალისტი არ იყო, მაგრამ ყველა ამას სჩადიოდა შვილების სიყვარულით.

რადგან ჩემ დიაკვან ძმას იმდენი საშუალება არა ჰქონდა, რომ სკოლაში მივებარებინე და უფროსი ძმაც თავის ერთად ერთი ჯამაგირით ვერაფერს დამეხმარებოდა, ამიტომ სანდრომ გადასწყვიტა ჩემი კახეთში, შუამთის მონასტერში ბერებთან წაყვანა, რომ სასულიერო პირად, ჯერ დიაკვნად და მერე მღვდლად გამოვსულიყავი.

მამაჩემსაც ჩემი მღვდლობის იმედი ჰქონდა, ამას ჩემს კვალზე გავზრდიო. ესენიო, უფროსი ძმები, სხვა ჯურის ხალხიაო, ღმერთი ამათ არა სწამთ და ხატო. თუ მაცხონებს, ისევ ჩემი შიოშიო, ეს გვიკურთხებს ხოლმე საფლავსო – ეტყოდა ხოლმე დედაჩემს.

კინალამ ასრულდა მამიჩემის თქმა და ნატვრა!

ჯავიდან გორში ჩამომიყვანა ძმამ. ბინად შიო დავითიშვილისას ჩამოვხტით.

1881 წ. გაზაფხული იყო. ამ დროს მოჰკლეს სწორედ ალექსანდრე მეორე. აკაკი წერეთლის ლექსს „დღეს მერცხალი შემოფრინდა“-ს დიდის აღტაცებით კითხულობდნენ გაზ. „დროება“-ში. მაშინ მე ამ ლექსის მნიშვნელობა არ მესმოდა.

შიო დავითაშვილთან დაიარებოდა ბევრი ახალგაზრდობა და, მათ შორის თედო გოლიევიც, ტომით ოსი, ჩემი უფროსი ძმის ნაამხანაგარი სემინარიიდან.

შიო დავითაშვილმა, შიოს ცოლმა – ქეთევანმა და თედომ ბევრი ურჩიეს ჩემს ძმას, რომ არ წავეყვანე მონასტერში, მაგრამ არ იშლიდა. მხოლოდ ერთში კი დაუჯერა მათ: რად გინდა, ბავშვი წაიყვანო თან. ორი ადამიანის ხარჯის განევას ერთისა სჯობიაო. შენ წადი, გაიგე, თუ ალაგი იქნება მორჩილისა და მიიღებენ, მაშინ წაიყვანეო.

ჩემს ბედზე, მართლა უარი ეთქვათ ბერებს: კაინობამდის ალაგი არ გვექნებაო.

მომინდომა ისევ უკან, სოფელში წაყვანა, მაგრამ შიომ, შიოს ცოლმა და თედომ აღარ დაანებეს ჩემი თავი.

ვიდრე ჩემი ძმა მობრუნდებოდა, სულ წიგნებს ჩავციცინებდი, მაშინ პირველად (ჩემთვის დედაენის ანბანს იქით ეს იყო პირველი წიგნი) წავიკითხე „ბანჯგვლიანი ფუტკარი“ აბაზაძისა, მომეწონა და ძალიანაც მესიამოვნა, რომ მთელი წიგნი გავათავე.

წიგნების თვალთვალში – წაკითხვაში ქეთევანი თვალყურს მადევნებდა, რომ ტყუილად არა ვფურცლავდი და მეტყოდა ხოლმე, სწავლა გინდაო. დასტურს რომ მიიღებდა, თავს გააქნევდა, გაიცინებდა და მეტყოდა, კარგო. ჩემ ძმას უთხრეს: შენ წადი და ამ ბავშვს ჩვენ მოუვლითო.

მართლაც, შიომ და თედომ მომამზადეს და იმავე შემოდგომაზე მიმაბარეს გორის საოსტატო-სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში.

წლოვანობით სამაგალითო სკოლისათვის დიდი ვიყავი, მხოლოდ ჩემი ტანის სიპატარავე მფარავდა, თორემ უფრო მეტად ამიგდებდნენ უცნობი ამხანაგები.

პირველად რომ მიმიყვანეს კლასში, მეხუთე პარტაში დამსვეს უცხო ამხანაგის გვერდზე, და ყველანიც უცხოები იყვნენ მაშინ ჩემთვის.

როგორც სოფელმა, ვიუცხოვე მოუსვენარ ამხანაგის გვერდზე ჯდომა და ავიფშრუქე.

უცნობმა ამხანაგმა არც აცივა, არც აცხელა შემომბლვირა და მითხრა, ე მანდ შენთვის ეგდე, თორემ რაც სიგრძე გაქვს, იმ სიბრტყეს მოგცემო.

ეს უცნაური მუქარა შეიტყო მასწავლებელმა – ფარნაოზ ნათიშვილმა, იფიქრა, რომ ამ ამხანაგს ვერ შევეთვისებოდი და გადამიყვანა სხვა პარტაში.

მე და ახალი ამხანაგი – მიხეილ გიორგაძე ერთ კვირაში ძალიან დავმეგობრდით.

ერთხელ პარტაში ჩუმად ცელქობისათვის ერთმანეთს დაგვაშორეს. ისეთი ძნელი აღმოჩნდა ეს დაშორება, რომ არც ერთი არ დავჯექით სხვა ალაგას და ჩვენის ტირილით იძულებული გავხადეთ მასწავლებელი, რომ ისევ ერთად დავესხით და ასეც მოხდა.

ჭალო (ვითომ ჭალარა) – ასე ეძახდნენ მიხას, რადგან თმებში თეთრი ჰქონდა გამორეული, გვარეულობით მოსდგამდა თურმე – რა გაჭამა შიომ, ან შენ რა აჭამე, რომ ერთმანეთს ვერა შორდებითო.

შიო დავითაშვილისაგან მიშო ყიფიანმა გადამიყვანა თავისთან. მე ახლა სამოქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი და ეს სასწავლებელი უფრო ახლოს იყო მიშოს ბინასთან, გარდა ამისა, ის შეეშველა ჩემს რჩენაში შიოს.

1883 წ. მიშო ყიფიანი დაიჭირეს ბევრ სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად და გადაასახლეს რუსეთში.

მაშინ გორის სემინარიის გამგედ, დირექტორად იყო სემიონოვი. მიშოს სანახავად გამოსამშვიდობებლად რომ მივედი, რკინის გზის სადგურზე ეთხოვნა, ამა და ამ გვარის ჩემთან შემოხიზნული ობოლ-ღარიბი მონაფე სრულიად უმნეოდ დარჩა და როგორმე უპატრონეთო.

სემიონოვმა სემინარიის საავადმყოფოში მომცა დაძინების ნება. სადილობითაც იქა ვსადილობდი, ხან კუხნაში მარტოკა, როცა ყველანი მორჩებოდნენ სადილს და ხან მოსამსახურებთან ერთად პანსიონერების სადილობის შემდეგ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სემიონოვი გადაიყვანეს სხვა სამსახურში, პეტროგრადში. სამოქალაქოს რომ გავათავებდი, სემიონოვი სემინარიაში მიპირებდა მიღებას.

სემიონოვის ადგილას დანიშნეს ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორი – სტრელეცკი, რომელმაც მოსვლისთანავე ამომკრა პანღური და გამომისტუმრა გარედ. სამოქალაქო სასწავლებელში მოსწავლეს აქ რა უნდაო.

დავრჩი ქუჩაში ცისა და მინის ანაბარა. შიო დავითაშვილიც აღარა ცხოვრობდა იქ, თბილისში გადმოვიდა.

ორი დღე სასწავლებელში აღარ მივსულვარ. სემინარიას ხომ რაღას მივეკარებოდი ერთხელ გულმოკლული და შეურაცყოფილი.

მესამე დღეს სკოლის ამხანაგი – ლადო ხმალაძე შემხვდა სასწავლებელში მიმავალი და მკითხა, რატომ სკოლაში არ დაიარებიო?

მიზეზი რომ გაიგო, მითხრა, დღეს სადილად უეჭველად ჩვენსა მოდიო.

ძმანი ხმალაძეები: ლადო, დათა და გოლა ცხოვრობდნენ ერთ დიდ ოთახში და სანოვანე ყოველ სამ დღეში ერთხელ ჩამოსდიოდათ სოფ. აძვიდან მშობლებისაგან.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მე მათთან მივედი, მამაც ჩამოსვლოდათ, მაგრამ შინ არ იყო. როდესაც ოთახში შემოვიდა ჩემთვის სრულიად უცხო კაცი, დარცხვენილი წამოვხტი და გავარდი კარში. ბევრი მიყვირეს, მაგრამ ველარ მიმაბრუნეს.

როცა აუხსნეს მამას, ვინც ვიყავი და ვისთანაც ვსცხოვრობდი, ეთქვა, თუ არაფერს დაგიშლით და არ მოგაცდენთ უხეირო ქცევით, აცხოვრეთ თქვენთან და რაც თქვენა გქონდეთ, იმასაც ის აჭამეთო.

იმ დღესვე მიპოვნა ლადომ, დიდის ხეწნით და მუდარით მიმიყვანა თავის ბინაზე და იმ დღიდან ვიდრე 1887 წლის მკათათვის ნახევრობამდე აღარ მოვცილებივარ მათ ოჯახს არც გორში და არც სოფელში. დედასთან თუ ნავიდოდი ერთი ორი კვირით კანიკულებში, თორემ დანარჩენი დრო, როგორც ზემოთაცა ვთქვი, სულ მათთან გავატარე.

ხმალაძეებს, ალექსანდრეს და ქეთევანს, ჰყავდათ სამი ვაჟი და ერთი ქალი. მე გავხდი მათი მეხუთე შვილი, რომლებიც მართლა ლეიძლ შვილებში არ მარჩევდნენ.

რაკი ძალიან მიყვარდა სიარული, დედა ქეთევანმა „სოფელა“ დამარქვა, ალექსანდრემ კიდეც „ფანდურა“ – მეფანდურესავით დადისო.

ნელ-ნელა მე, ლადო და გოლა ნადირობასაც შევეჩვიეთ. ერთხელ ალექსანდრემ სხვებთან ერთად ირმებზე სანადიროთ ჩვენც წაგვიყვანა ხმალაანთ ტყეში. მე საფისტონოდ გადაკეთებული საზიანო თოფი შემხვდა საფანტთან ერთად ზემოდან ტყვია დატენილი. მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა გასროლა. და აი, სწორედ ამ პატარა ტყვიით ალალებდზე გონჩებისაგან დამფრთხალი ირემი შემომაკვდა. ისე სამწუხაროდ იმოქმედა ჩემზე იმ ირმის მოკვლამ, რომ არც მისი ხორცი მიჭამია და მას შემდეგ აღარც ამიღია თოფი ხელში.

ჩემს შექებას საზღვარი აღარა ჰქონდა დედა ქეთევანისგან: ძაან ბიჭი გამოდგა ჩვენი შიუკელაო.

ეს კეთილი ხალხი რომ არ შემხვედროდა, მე ვერც გორის სამოქალაქო სასწავლებელს გავათავებდი და ისეთ გუნებაზე ვიყავი დამდგარი, რომ ჩემს თავს უეჭველად აუტეხავდი რამეს.

დიდის პატივისცემით ვიგონებ მუდამ ამ ოჯახს იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც მათ გამინიეს.

სამოქალაქო სასწავლებელში შეძენილი რუსულით შორს ვერ მივდიოდი, მაგრამ რაც ვიცოდი, იმითიცა ვგრძნობდი, რომ ყველაზე მეტად ლერმონტოვი მიყვარდა და მეთვისებოდა. როგორც ობლის გულზე მისი სევდიანი ლექსები უფრო ღრმად იჭრებოდა ჩემში. მისი „Скажи мне, вѣтка Палестины“ ახლაც, 63 წლის კაცს, ზეპირად მახსოვს.

თუ რუსული ვერ ვისწავლე და ვერ განვითარდი, ამის მიზეზი იყო ჯერ აკაკის ლექსი „ხანჯალი“ და მერე კიდეც ჩემი ყმანვილური უვიცობა. ენის სწავლა თუ არაფერს შემძენდა, რას დამაკლებდა. „ხანჯლის“ წაკითხვა და ჩემი გულიდან რუსული სწავლის ამოფხვრა ერთი იყო. რომ არ მესწავლა, შემდეგში იმ აზრისა კი არ დავრჩი, მაგრამ როცა მივხვდი, ჩემი წლოვანობისთვის გვიანი იყო.

1887 წელს გავათავე გორის ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი და წავედი ჩემს უფროს ძმასთან ახალ-სენაკში, სადაც ის იმ ჟამად იყო იქ სახელმწიფო მამულების გამგედ – აგენტად.

მალე სენაკიდან გავემგზავრეთ სვანეთისაკენ ლეჩხუმის გზით. ჩემი ძმა მიდიოდა იქ სახელმწიფო მამულების თაობაზე.

გავიარეთ რამდენიმე სოფელი და სხვათა შორის ორბელი, სადაც უკან გამოვლისას ერთმა ლამაზმა გოგომ – ირინემ დაიტოვა ჩემი გული.

ორბელიდან ჩავედით ცაგერში, იქიდან კი შეუდევით საუცხოო ხეობას.

სვანეთის მშვენიერმა ბუნებამ და უზარმაზარმა მთებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

თვალწარმტაცი ხეობა შიგა და შიგ მაგონებდა ჯავის ლამაზ ხეობას, გავლილს სოფელ ხვინიდან სოფ. ედისამდე.

დალესტნის ცამდის აწვდილი შილდა-ყვარლის, ჯავის ხეობის და სვანეთის მთების სურათები მძლავრად შთაიბეჭდნენ ჩემს გონებაში და დღესაც ნათლად მიდგია თვალწინ მათი ულამაზესი სურათები.

საოცნებოდ დამრჩა უნახავი დარიალის ხეობა და აჭარა-გურუის მთები. როგორც იყო, ზღვაც, შავი ზღვა, დავით კასრადის და ბათომის დიდად პატივცემულ საზოგადოების მეოხებით ვიხილე საბერის დროს, სადაც მაღლიერმა ხალხმა გადამიხადა ჩემი მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე 1922 წელს.

რაკი იუბილე ვახსენე, უნდა აღვნიშნო, ბათომზე ადრე, ოცდაათი წლის მოღვაწეობის გამო, 1916 წელს გადამიხადეს იუბილე თბილისში, ქუთაისში, ყიათურაში და სამტრედიიაში.

1887 წლის შემოდგომაზე ჩამოვედი თბილისში და ლადო აღნიაშვილის და შიო დავითაშვილის დახმარებით ვიშოვე ადგილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა მდივანმა, რომელსაც ცხვირი მართლა გადღინულ გიდელას უგავდა და ერთთავად სურდოთი ჰქონდა გამოჭედილი, დამინუნა გასათხოვარი ქალივით: ინტელიგენტური, მონიტელიგენტო სახე არა აქვსო. ეს იმიტომ აღვნიშნე აქ, რომ, რაც შეეხებოდა სახეს, ძალიან ფურმა დამწიხლა.

წ.კითხვის საზოგადოებაში ვიმსახურე 1909 წლამდე. ვითვლებოდი მდივნის თანაშემწედ და წიგნის მალაზიის გამგედ.

წერა-კითხვის საზოგადოებაში არ შემეძლო იქ მიმსვლელთ სხვა და სხვანაირად დავხვედროდი. იქ მოდიოდნენ სხვა და სხვა მიმართულების და პარტიის ხალხი. ერთისთვის ცხვირი ამენია და მეორესთვის კი შუბლი გამეხსნა, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩემი სათუთი ხასიათი ამის ნებას არ მადლევდა.

ეს იყო ერთად ერთი შესახვედრი და დასასვენებელი ადგილი, სადაც შეიძლებოდა პროვინციებიდან ჩამოსულთა შეხვედრა და ავისა თუ კარგის გაგება.

ამიტომაც იყო, რომ მიუდგომელ პირად დავრჩი და ყველას თავის შიოდ მივაჩნდი. ჯერ მეძახდნენ პატარა შიოს, როცა შიო არაგვისპირელი გამოვიდა საზოგადოებაში მწერლობის ასპარეზზე, რომ ეცნოთ რომელ შიოზე იყო ლაპარაკი, ამიტომ მე გავხდი თეთრი შიო, რადგან არაგვისპირელი შავი იყო. დღეს კი ძია შიოს მეძახიან.

ახლა უკვე 63 წლისა ვარ. ჩემი თვალეები კორექტურისთვის (1909 წ. 23 წლამდე ვკორექტორობდი) აღარ ვარგანან, შავ ასოებთან ბრძოლაში დამიზიანდა.

მიუხედავად ნივთიერად ხელმოკლეობის, ბავშვების სამსახურისათვის გული ისევ ხალისიანი მაქვს და განვაგრძობ მუშაობას საბავშვო ჟურნალ „ოქტომბრელში“.

მყავს ცოლი და სამი ქალიშვილი, ორი უმაღლეს სასწავლებელშია, ერთი მსახურობს.

მყავდა ვაჟიშვილიც, რომლის სიკვდილმაც ერთხანად ძალიან დამწია ხასიათებით უკან.

ვიჯექი მეტეხის ციხეში როტმისტრ რუნიჩის დროს, როგორც პოლიტიკური დამნაშავე, 1904 წ.

ვიღებ პენსიას 80 მანეთის რაოდენობით.

დღევანდლამდე გამოსულია ცალკე საყმანვილო წიგნებად:

1. ცვარი.
 2. სამი ცელქი.
 3. ოქროს თავთავი – 1892 წ.
 4. ძუნწი და ნატვრა.
 5. ჩემი ყვავილები.
 6. საყმანვილო ლექსები, მოზ. წიგნი – 1920, წ. წერა-კითხ. გამოც.
 7. რჩეული ლექსები, ქუთაისი – 1916, ოცხელების გამოც.
 8. სამი ამბავი. სახელმ. გამომც. – 1921.
 9. ტყის სურათები – 1922.
 10. ჩემი ყვავილებით, საიუბილეო გამოც. – 1916 წ.
 11. რჩეული ლექსთა კრებული – 1925, ცეკავშირის გამოც.
 12. ცელქები – 1926, სახელმწიფო.
 13. ჩემი ყვავილები.
 14. მერცხლები – 1927.
 15. ნობათი – 1930, ქართული წიგნის.
- ზოგიერთი ამათგანი რამდენჯერმეა გამოცემული.

შოო მღვიმელი

არტემ ახნაზაროვი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1942 წლის 28 მარტს ახნაზაროვი არტემ მიხეილის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	იხ. ავტობიოგრაფია
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1866 თვე თქტომბრის დღე 1
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, პროზა, მთარგმნელობა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1885 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1940 წლიდან
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	–
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, იურიდიული, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული და გერმანული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ვმუშაობდი ქართულ თეატრში, განათლების სახ. კომისარიატში იურისტკონსულტად, ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>–</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა ძნელაძის ქ. 4-ში საკუთარ სახლში</p>

„ — “ 1940 წ. 195 წ. სწორია ნ. კ. 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

არტემ მიხეილის-ძე ახნაზაროვის ავტობიოგრაფია

მე, არტემ მიხეილის-ძე ახნაზაროვი დავიბადე ქ. თბილისში, 1866 წელს, 1-ლ ოქტომბერს (ძვ. სტ.), ხელოსნის ოჯახში. შთამომავლობით გლეხი, ქართველი. ვსწავლობდი ოდესის უნივერსიტეტში, რომელიც არ დამიმთავრებია. 1888 წ. დათხოვნილი ვიქენი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, რის შემდეგ იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი სამშობლოში. სამშობლოში ყოფნის დროსაც კი სამი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ.

რაც შეეხება ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობას 1885 წ. ივლისში დავიწყე თანამშრომლობა გაზ. „თეატრში“, რომელიც ვასილ აბაშიძის რედაქტორობით გამოდიოდა. 1886 წ. თებერვლის თვიდან მიმინვიეს თანამშრომლად ილია ჭავჭავაძის ყოველდღიურ გაზეთ „ივერია“-ში და ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი ვიყავი 1903 წლამდე. აგრეთვე ჩემს წერილებსა და ლექსებს სისტემატურად ვათავსებდი სხვადასხვა თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებში შემდეგი ფსევდონიმით: „ჩიორა“, „ორ-ანი“, „მანოელიძე“, „კენტი“, „დუშიკო“, „ალფა“, „დიოგენი“, „ფარნაოზი“, „კენჭოსანი“, „პატრიციუსი“, „ნიორი“, ა. ახნაზაროვი და სხვ. ეს ჟურნალ-გაზეთებია: „ნობათი“, „სახალხო გაზეთი“, „საქართველო“, „თეატრი და ცხოვრება“, „ხათაბალა“, „ხელოვნება“, „ქართული სიტყვა“, „მომბე“, ჟურნალი რელიგიის საწინააღმდეგო – „მებრძოლი უღმერთო“, „ნიანგი“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“, „მნათობი“, „ახალი თაობა“, „სალიტერატურო გაზეთი“ და სხვ. ზოგიერთი ჩემი ნაწარმოებები გადათარგმნილია რუსულ და სომხურ ენაზე.

1912 წელს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა ჩემი ლექსების კრებული. ამას გარდა ცალკე წიგნებად გამოცემულია ჩემს მიერ ნათარგმნი: ერშოვის „კუზიანი ცხენი“, პუშკინის „მებაღური და ოქროს თევზი“ და „მეფის მკვდარი ასული“, მისივე რომანი ლექსად „ვეგენი ონეგინი“, რომელიც ეხლა იბეჭდება, ვოლტერის მოთხრობა „ზადიგი“ და კუპერის რომანი „მერსედეს კასტილიელი“.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვმსახურობდი განათლების სახალხო კომისარიატში იურისტკონსულტად 8 წლის განმავლობაში, ვიდრე თვალის ავადმყოფობა დამემართებოდა.

ამჟამად პერსონალური პენსიონერი ვარ.

1940 წ.

სწორია: ნ. კ. 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე ნ. თოფჩიშვილი

ვასილ კობტონაშვილი

ავტობიოგრაფია

დავიბადე ახალქალაქის მაზრაში (ჯავახეთი) სოფ. კოთელიაში 1866 წ., გლეხის ოჯახში. მამაჩემი სოლომანი სოფელში ერთ მშრომელ და საშუალო შეძლების გლეხათ ითვლებოდა იმდროს, ხოლო როცა წამოვიზარდე და მეზრეობა შემეძლო, მამაჩემს 3-4 ულელი ხარი ჰყავდა და საკუთარ გუთანსაც ამუშავებდა, რის გამო პურის მოსავალმა დიდათ ხელი შეუწყო და ბოლოს, თუმცა მარტო ხელა კაცი იყო, შეძლებულ გლეხებსაც გადააჭარბა. ვიქნებოდი 8-9 წლისა, რომ მშობლებმა მიმაბარეს მეზობელ სოფ. ბარალეთის სკოლაში. მშობლებს ვაჟიშვილი არა რჩებოდათ თურმე და მე ნებიერად მზრდიდნენ და ძაან უყვარდი. იმხანებში ჯავახეთის ქართველ სოფლებში სკოლები იშვიათი იყო და ხალხი მიყრუებით ცხოვრებდა, რის გამო გამეფებული იყო ყოველგვარი სიბნელე და უვიცობა – ცრუმორწმუნეობა; მისვლა-მოსვლა ქართლ-კახეთ-იმერეთთან თითქმის არ არსებობდა უგზო-უკვლობის გამო, თუ იყო, ერთი-ორი გზა ახალციხისკენ და ბორჯომის ხეობისკენ – მთა-გორიან უღელტეხილზე, ისიც მეტად უხეირო, ასე რომ, ცხენით, თუ ფეხით ძლივს შეეძლო მგზავრს გავლა-გამოვლა ზაფხულობით, ხოლო შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულის პერიოდებში, როცა ეს უღელტეხილი დაფარული იყო თოვლით და იცოდა ქარ-ბუქი, მგზავრობის ჭაჭანება არ იყო. მასხოვს კარგათ, ვიქნებოდი 11-12 წლისა, როცა 1878 წ. რუს-ოსმალის ომი იყო ყარს-არდაგანისა, ზემოხსენებულ ბორჯომის – ჯავახეთის უღელტეხილმა – ოქტომბრის შუა რიცხვებში 60 კაცი თავიანთი ურმებით და ხარ-კამეჩით იმსხვერპლა: ბორჯომიდან ჯავახეთის ახალქალაქამდე გზა ახალი გაყვანილი იყო ომიანობის მიზნებით. ამ გზით სოფ. ოლავერდიდან მცხოვრებმა სომხებმა ქირა წამოიღეს ახალქალაქიდან ბორჯომს თუ ხაშურს, როცა დაბრუნდნენ უკან, გზაში წვიმამ ეს ხალხი დაასველა; დასველებული ხალხი თავიანთი ურემ ხარ-კამეჩით შეუდგა გზას და უნდა გადასულიყო თავიანთ სოფელში ხსენებული უღელტეხილით, მაგრამ უბედურებს ამოუვარდათ სასტიკი ქარ-ბუქი, გზა ველარ გაიგნეს, აქა-იქ ხევ-ხუეში გადაცვივდნენ და დაიცივნენ–დაიხრჩვნენ... იყო გზა წალკაზედაც მიმავალი თბილისისაკენ – თრიალეთის მთებს შორის, მაგრამ ესეც უარესი პირველზედ. ჯავახეთი იმდროს და უფრო წინედაც დაახლოვებული იყო თათრებთან, როგორც მოსაზღვრებთან და მასთან ეს კუთხე ხშირად გადადიოდა ოსმალების მფლობელობაში; აგრეთვე დიდი კავშირი და მეზობლობა ჰქონდათ მათ (ჯავახელ ქართველებს) სომხებთან და დღესაც აქვთ. როგორც ვიცი, სომხები აზრუმიდან გადმოსახლბული რუსის გენერალმა პასკევიჩმა ჯავახეთში, როდესაც მან 1828 წელს ეს მხარე აიღო თათრებიდან. ძველის დროიდგანვე თათრის მრავალი სოფელია დარჩენილი ჯავახეთში; მათ დაემატა პასკევიჩის მიერ აზრუმიდან გადმოსახლბული სომხები, რის გამო ამ ორი ტომის ხალხს (თათრებს და სომხებს) გავლენა უქონიებია და თითქმის ყველა ქართველის ოჯახის წევრებმა ჩინებულათ იციან თათრულ-სომხური ლაპარაკი, ეგრეთ-

ვე მიღებული აქვს ხალხს ყოველგვარი მათი ზნე-ჩვეულებანი, ხასიათები და ადათები. ამიტომაც არის, რომ ჯავახელი ქართველი ლაპარაკში ძალიან ბორძიკობს და ხშირად ურევს ქართულ ლაპარაკში თათრულ-სომხურ სიტყვებს და ფრაზებს; ბევრს სოფელში, როგორც, მაგალითად, ვარევანში, თოკში და სხ. კილო და წარმოთქმა დღესაც სომხური-თათრული აქვთ და ზოგიერთ ოჯახებში ოჯახის წევრები ერთმანეთში თათრულ-სომხურად გააბმენ ხოლმე საუბარს...

უკაცრავად მკითხველთან, რომ ჩემს ავტობიოგრაფიას ცოტა გადაუხვიევი. სკოლაში რომ მიმაბარეს მშობლებმა, მე ხშირად ვურევდი ქართულ ლაპარაკში თათრულ-სომხურ სიტყვებს და ფრაზებს, რის გამო მასწავლებელი – კოტე გარაყანიძე დამცინოდა და მასთან მიკრძალავდა ამგვარი სიტყვების არევას. უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინდელი აქაური სკოლები საკმაო სწავლას აძლევდნენ მოზარდ თაობას: მასწავლებლებათ ამ სკოლებში იმ დროს გზავნიდნენ სამასწავლებლო სემინარიაში და ინსტიტუტში კურს დამთავრებულ პირებს (საქართველოში იმ დროს სამასწავლებლო სემინარია და ინსტიტუტი მხოლოდ გორში და თბილისში არსებობდნენ) და წარმოიდგინეთ აქაურ სოფლების სკოლებში უფრო რუსის მასწავლებლები იგზავნებოდნენ დამტვრეული ქართულის ლაპარაკით!! თუ ეს სასწავლებლები არ ჰქონდათ დამთავრებული, სხვა პირები მასწავლებლობას ამ სოფლის სკოლებში ვერ ეღირებოდნენ; ეგრეთვე ხელმძღვანელი პირები: დირექტორები და ინსპექტორები სულ რუსები იყვნენ უნივერსიტეტებში და აკადემიებში კურს დამთავრებულები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მიიღებდნენ და სცდილობდნენ, რომ სკოლებში შესვლისთანავე მოზარდი თაობისათვის რუსული ენა ჩაენერგად, რის გამო ბავშს სწავლა ფრიად უძნელდებოდა და ტვინი და გონება უჩლუნგდებოდა...

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელი მასწავლებლები, გარდა სწავლა-აღზრდისა, თავიანთ სკოლებში იცავდნენ სამაგალითო სისუფთავეს დისციპლინურ წესებს: მონაფეს არ შეეძლო ჭუჭყიანი-გაზუნზლული ტანისამოსით გამოცხადებულიყო სკოლაში, ან დაეგვიანა გაკვეთილებზედ უმიზეზოთ; თვით მასწავლებლებიც სამაგალითოდ იქცეოდნენ თავიანთი კეთილი ყოფა-ქცევით როგორც სკოლების ცხოვრებაში, ისრე გარეთ – ხალხში: მონაფეებს სკოლებში და ხალხს გარეთ არას დროს არ დაენახებოდენ ფეხშიშველა, საცვლების ანაბარა, თავდაუბარცხნავი და პირდაუბანავი. გაკვეთილების დროს და ხალხში სტუმრიანობის ჟამს უსათუოდ უნდა სცმოდა სუფთა „სერთუკი“, ან „ტუჟურკა“, ისიც გაკრახმალეზულ პერანგზედ „გალსტუკით“ და სხ. ესეთი სისუფთავე-სიფაქიზის დამნახი მონაფე მაგალითს იღებდა თვისი მასწავლებლიდან და თვითონაც ასრე იქცეოდა. თუ სკოლების რომელიმე მეთაური-ინსპექტორი, ან დირექტორი მოასწრებდა მასწავლებელს გაკვეთილების გათავებამდე სკოლაში უსუფთაო ფეხსაცმლებში და ან სხვა შეუფერებელ – არა დაწესებულ ტანისამოსში – „უსერთუკოთ“, ან „უტუჟურკოთ“, ან თავ-ტან დაუბარცხნელათ, ან განენილს – შენი მტერი, რაც ამ გვარ მასწავლებელს დღე დაადგებოდა: პირში არას ეტყოდა ბ. ინსპექტორი, ხოლო როცა წავიდოდა ქალაქიდან, ოფიციალურ ქალაქს გამოუგზავნიდა

დიდის საყვედურით და მუქარა-გაფრთხილებით, რომ თუ შემდეგში კიდევ იქნებოდა შენიშნული ამგვარ დაუდევრობაში – იგი დათხოვნილ იქნებოდა სამსახურიდან.

ბარალეთის სკოლაში სწავლის დროს (ეს იყო დაახლოვებით 1877, 1878, 1879, 1880, 1881 და 1882 წ.) გამეფებული იყო „ბილეთის“ ტრიალი მონაფეთა შორის, ე. ი. მონაფეს თუ ქართულათ დაელაპარაკნა, მას მიაჩნებდნენ ხელში „ბილეთს“, რომლითაც დაიმსახურებდა ხელის გულელებზე (მარჯვენაზე და მარცხენაზე) ბრტყელი სახაზავით დარტყმას ხუთჯერ, ათჯერ და მეტსაც; შემდეგში ესეთი მონაფე სცდილობდა ესეთი „ბილეთი“ მიეჩნებინა სხვა მონაფისთვის, ვინც არა რუსულათ დაილაპარაკებდა და ასრე შემდეგ, რის გამო მონაფეები ვცდილობდით, ქართული სიტყვა არ წარმოგვეთქვა, ან უნდა დავმუნჯეულიყავით, ან და ძალა-უნებურათ – ვიცოდით თუ არავიცოდით რა – რუსულათ უნდა გველაპარაკნა, რომ სახაზავის ცხარე დარტყმებს ავცილებულიყავით. ასეთი სასტიკი სასჯელი გამეფებული იყო ბარალეთის სოფლის სკოლაში რუსი მასწავლებლების ვინმე მალიშკოვის და ონისიმოვის დროს (1878, 1879, და 1880-1881 წლებში), რომელ წლებშიც თქვენს უმორჩილეს მონას, ამ სტრიქონების დამწერს, არა ერთხელ მიგემია ცხარე პრტყელი სახაზავის დარტყმა და მრავალი ცრემლი სიმწვავისა დამიღვრია...

ქართველი მასწავლებლები კი: გარაყანიძე, წითლანაძე, ხმალაძე, მატარაძე, ბენდელიანი, პეტრიაშვილი და სხ. კი მუდამ ერიდებოდნენ სკოლებში მოსწავლეების ასრეთ სასჯელს.

სოფლის სკოლა დავასრულე 1882 წ., მაშინ ვიქნებოდი 15-16 წლისა. მოვიწადინე სწავლის განგრძობა, მაგრამ მშობლები ამას არ მიწადინებდნენ: „ისიც გეყოფა, შვილო, რაც იცი, სარჩო-საცხოვრებელი ბევრი გვაქვს, მარტოხელები ვართ, სახლში არავინა გვყავს, ჩვენ უკვე მოხუცებაში შევდივართ, უნდა დაგასახლოთ, ცოლი შეგერთოთ, საცოლედ უკვე ამორჩეული გვყავს კარგი ოჯახიდანაო“ მე ძალიან შორს დავიჭირე დედ-მამის ასეთი განძრახა და ერთ მშვენიერ დღეს, 1882 წლის აგვისტოს მინურულელებში, მშობლების წინააღმდეგ, გავეყვი მაშინდელს ჩემს მასწავლებელს – ტიმ. ხმალაძეს თბილისში, სადაც მომიხერხდა შესვლა ავლაბრის ეგრეთწოდებულ ნიკოლოზის სახელობის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში. აქ მეორე კლასში მიმიღეს.

მეტად არ მიმაჩნია, ამ სასწავლებლის ცხოვრებიდან მოკლედ არ მოვიხსენიო ორიოდე სტრიქონით შემდეგი: სასწავლებლის ზედამხედველათ იყო ავლაბრელივე პავლე კატანიანცი, ტანით პატარა კაცი, მაგრამ ჭკვა-გონებით მეტად განვითარებული და თავისი პედაგოგიური სპეციალისტობით ყოვლად დახელოვნებული. ბევრი კარგი რამ მახსოვს ამ სასწავლებლის, ამ კატანიანცის და სხვა მისი ამხანაგი მასწავლებლების ცხოვრებიდან: მაშინ სახალხო სკოლების დირექტორად იყო ვინმე დარსკი, კაცი მშვენიერი მიმზიდველობის სახისა, ტკბილი და ალერსიანი ენისა, მუდამ პირმოცინარი, რომელიც ხშირად დაიარებოდა ამ სასწავლებლის დასათვარიელებლად და ჩვენ, ყველა მონაფეებს მისი მოსვლა ღხინათ და დიდ დღესასწაულათ მიგვანჩნდა; ისე არ მოვიდოდა სასწავლებელში ის, რომ ჩვენთვის რაიმე სასარგებლო წიგნები და ბროშურები არ დაესაჩუქრებინოს, ალერსიანათ და

მამაშვილური მზრუნველობით არ დაეწყოს საუბარი და ჩვენც ვცდილობდით დღედაღამე, რომ კარგათ გვესწავლა საგნები და ამ კეთილი ადამიანის უფრო დიდი მზრუნველობა დაგვემსახურებინა. ეგრეთვე გვესტუმრებოდა ხოლმე კავკასიის ოლქის სასწავლებლების მზრუნველი სენატორი კ. პ. იანოვსკი, მაშინ ცნობილი მღვწელი ქართული ენისა, კაცი ჭალარა, ტანად დაბალი, მაგრამ ჩასხმული მომსხმო, რომელიც, როგორც მაშინ ყველა მაღალხარისხოვანი პირები, წვერ-ულვაშს მთლად იპარსავდა და ერთი შეხედულობით ჩემზედ, როგორც მიყრუებულ ჯავახეთის შვილზე, რაღაც გაოცებას და საშიშარ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც უფრო, შედარებით დირექტორი დარსკისა, სასტიკ და ფიცხ კაცათ მეჩვენებოდა და ვფიქრობდი ხოლმე ჩემს გულში: „განა ულვაშებს კაცი მოიპარსავს მეთქი?!“ ეს იანოვსკი ერთხელ შემოვიდა ჩვენს კლასში, როდესაც „სამამულო ისტორიის“ (отечественная история) გაკვეთილი გვექონდა. მან მოწაფეებს ამ საგანში ზოგიერთი კითხვები მისცა; სხვათაშორის მეც, რომელიც სულ წინა მერხზე ვიჯექი, მკითხა რომელიღაც დროის რუსეთის მეფეზე და მის მოღვაწეობაზე, როგორც მახსოვს, ვლადიმერზე, რომელმაც რუსეთის ხალხს ქრისტიანობა მიალეგინა მერვე-მეცხრე საუკუნეში და მე ჩინებულათ ვუპასუხე. მაშინ ჩემთან მოვიდა ეს სენატორი, მხარზე ხელი დამადო, შემაქო, რაღაც წიგნაკი მაჩუქა და მკითხა: „სადაური ხარო?“ მიუგე: „ჯავახეთიდან მეთქი“. „სად არის ეგ ჯავახეთი?“ – განაგრძო მზრუნველმა. კვლავ მიუგე: „ჯავახეთი ახალქალაქის მაზრაშია მეთქი“. „რას ნიშნავს „ჯავახეთი“, პირველათ მესმის მე ეს სიტყვაო“ – დამაჟინდა ბ. იანოვსკი. აუხსენი: „ჯავახეთი არის ისტორიული სახელწოდება აწინდელი ახალქალაქის მაზრისა“-მეთქი, რადგანაც ეს კუთხე ძველ დროში რომელიღაც მეფის შვილს – ჯავახოსს წილად რგებია და აქედან დარქმევია ეხლანდელ ახალქალაქის მაზრას თვისი მფლობელის სახელი „ჯავახეთი“. ბ. მზრუნველი ფრიად გაჰკვირდა ამ ჩემი ახსნით და ჰკითხა იქვე მდგომ სჯულის მასწავლებელს – დეკანოზს დავით გურგენიძეს (ესეც ჯავახეთიდან – სოფელ საროდან იყო – სოლომან გურგენიძის მღვდლის შვილი), მართლა ასეაო და მანაც დაუდასტურა ჩემი ასეთი ახსნა-განმარტება. მე ფრიად გამიკვირდა – გამიოცდა, რომ მთელი კავკასიის სასწავლებლების მზრუნველი იყო, ისიც უმადლესი სწავლით აღჭურვილი, სენატორი და არ იცოდა ჯავახეთის ისტორიული სახელი აწინდელი ახალქალაქის მაზრისა!!.

მზრუნველმა ბოლოს მკითხა დედ-მამის ვინაობა, მათი შეძლება და რომ გაიგო, გლეხის ოჯახიდან ვარ, მშობლების წინააღმდეგ თბილისში წამოსული სწავლის განგრძობისთვის, ამოიღო ჯიბიდან საფულე და ხუთ მანათიანი ქალაღდის ფული მაჩუქა და მითხრა: „აი, შენ ეს საჩუქარი სასწავლო ნივთების შესაძენათ, რადგან შენი სამშობლო ჯავახეთზედ კარგი პასუხი მომიგეო“ და ამავე დროს თავის უბის წიგნაკში რაღაც ჩაიწერა. წიგნაკში ჩაწერას თვალს ადევნებდა სასწავლებლის ზედამხედველი პავლე კატანიანცი და როდესაც მზრუნველი წავიდა, ამან მითხრა: „ყოჩაღ, შენმა პასუხმა მზრუნველი განცვიფრებაში მოიყვანა და წიგნაკში ჩაიწერა, რომ ახალქალაქის მაზრის ისტორიული სახელი არის „ჯავახეთი“, მეფისწულის, ჯავახოსისაგან წარმოშობილიო“.

ეს სასწავლებელი დავასრულე 1883 წ. და მომავალი სასწავლო წლისათვის განვიძრახე შესვლა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც ამავე წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომიხდა ჩემი ამხანაგებით ერთად გამოცდა, რომელშიაც ჩაგვჭრეს, ე. ი. უნდა დაგვეწერა „ლოცვა უფლისა“ ახსნით, რაც ვერ გამოგვივიდა კარგათ და დანარჩენ საგნებში აღარ დაგვიშვეს, რომელი საგნებიც შეგვეძლო ფრიადებზე ჩაგვებარებინა; ბევრი ვემუდარეთ, ვეხვეწეთ ამ სემინარიის მაშინდელ დირექტორს – თავრაცრაცა სტრელეცკის¹ – დავეშვით სხვა საგნების გამოცდებზე, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ შეინყნარა და გულნატკენები დავბრუნდით თბილისში. აქ მე მივმართე მაშინდელ მთის ხალხში დაარსებულ სკოლების ინსპექტორს – ნ. ლიხაჩოვს, რომელსაც დაახლოვებით ვიცნობდი, რადგანაც თბილისის ნიკოლოზის სასწავლებელში სწავლის დროს მის ოჯახში ვცხოვრობდი „ნახლებნიკათ“ და ვსთხოვე მასწავლებლობის ადგილი დროებით მის ხელქვეშ ერთ-ერთ სკოლაში, რადგანაც სხვა სასწავლებლებში შესვლისათვის დაგვიანებული იყო. მაშინ ჩემი ფიქრი და განზრახვა იყო ასეთი: ერთი წლის სამსახურით აღებული ჯამაგირით საშუალება მექნება, შესაფერად მოვემზადო და მომავალი წლისათვის კვლავ შევცდილიყავი სამასწავლებლო სემინარიაში შესვლისთვის, ვინაიდან დიდი სურვილი მქონდა, სოფლის მასწავლებელი გავმხდარიყავი.

ინსპექტორმა ლიხაჩოვმა მე მაშინ (1883 წ. 1 სექტემბერს) დამნიშნა თიანეთის მაზრის სოფ. ტოლათ-სოფლის (ამტნისხევის) სკოლის მასწავლებლათ ნაცვლად ვაჟა-ფშაველასი (ლუკა რაზიკაშვილის), რომელიც ინსპექტორს დაეთხოვნა ადგილობრივი მღვდლის საჩივრით, რომ ღმერთი არასწამს, სამღვდელოებას მასხარათ გვიგდებს და სხვაო (მაშინ „სულის მამებს“ დიდი გავლენა ჰქონდათ და საქმე, როგორც მოინადინებდნენ, ისრე დააბოლოვებდნენ).

ვიმასწავლე ხსენებულ სოფელში 1884 წლის მაისის გასვლამდე, ე. ი. საზაფხულო არდადეგებამდე. ამის შემდეგ გამოვეშურე მშობლებისკენ – სამშობლო სოფ. კოთელიისკენ – და დასასვენებლათ. მასთან ახალქალაქში მეგულებოდა მასწავლებელი ვინმე პაპანდაპულო (ტომით ბერძენი), რომელიც მპირდებოდა მომზადებას სამასწავლებლო სემინარიაში შესასვლელად, მაგრამ დახე ბედსა, დედ-მამას მე უკვე დავენიშნე ერთი ოჯახიშვილის ქალზე და წინადადება მომცეს, შემომჩვილეს-შემომტირეს: „დავბერდით, შვილო, თვალთ აღარ გვიჭრის და მუხლს, სახლი-ოჯახი უდიასახლისოთ გვიგდია, შემცვლელი არავინა გვყავს, დასახლდი, ცოლი მოგგვაროთ და მოხუცებულობის უამს გაგვახარე და უპატრონოთ ნუ ამოგვართმევ სულსაო“. დიდის უარის შემდეგ, როგორც იყო, ძალაუნებურათ დამითანხმეს და იმავე ზაფხულს ჯვარი დამანერინეს დანიშნულ ქალზედ და ცოლშვილის უღელი დამადეს კისერზედ... ჩემის მხრივ ურჩობის განევა მშობლებისათვის იმ დროსაც და ახლაც ჯავახეთში დიდ სირცხვილათ ითვლებოდა და ითვლება. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ვეღარ მოვემზადე სემინარიაში შესასვლელად

1. ეს ის სტრელეცკი იყო, რომელმაც ხონში მაშინ 14 წლის ვილაც თავადიშვილის გოგონა შეირთო ცოლათ, თვითონ კი 65 წლის კაცი იყო. ალბათ, მშობლები ქალისა წახარბდნენ სტრელეცკის დიდ-კაცობას, თვით გოგონას არა სურდა მისი ცოლობა...

და ყოველივე ჩემი ნატვრა-სურვილი სწავლის განგრძობისა მანაცვალებინეს ცოლ-შვილისა და ოჯახის მოვალეობას.

სწავლის დაწყების დრო რომ მოვიდა, მეტი ღონე არ იყო, კვლავ გავემგზავრე თბილისისაკენ და ტოლათ-სოფელში ხელმეორედ მასწავლებლის ადგილი დავიკავე. ამ სკოლაში ვიმასწავლებლე 1 სექტემბრიდან 1883 წ. ვიდრე დეკემბრის გასვლამდე 1889 წ., ე. ი. 6 წელი და 4 თვე. ამ ხნის განმავლობაში მე ზედ მიწვევით გავეცანი და დაუახლოვდი ადგილობრივ მკვიდრთა: ხევსურებს, ფშავლებს, გუდამაყარ-მთიულებს და სხ. და მათ ყოფა-ცხოვრებას, რითაც დავიმსახურე მათი პატივი, ნდობა და სიყვარული. ჩემი წინამოადგილე მასწავლებლები თურმე ერთ წელზედ მეტს არ ჩერდებოდნენ აქ. როცა 1889 წ. დასასრულს ახალციხის მაზრის, სოფელს მესხში გადმომიყვანეს მასწავლებლათ და გამოვემშვიდობე ხალხს და მოწაფეებს, ორივე მხარეს გულები ამოგვიჯდა და ტირილი დავინწყეთ, ორივე მხარეს გვენანებოდა ერთუროთის დამორება.

ტოლათ-სოფელში ყოფნის დროს მე ხშირად ვკითხულობდი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და ქართველი მწერლების ნაწერებს, გაგიჟებით მიყვარდა ბელეტრისტული თხზულებების კითხვა, როგორც მაგ.: ალექ. ყაზბეგისა, ვაჟა-ფშაველასი, ი. ჭავჭავაძისი და სხ. იმ ხანებში გამოდიოდა გაზ. „დროება“ ივ. მაჩაბლის რედაქციით და ჟურნალი „ივერია“ ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით, სადაც იბეჭდებოდა ჩემი კორესპონდენციები და წერილები. გაზეთი „დროება“ იმ ხანებში დაიხურა და მისი რედაქტორი – ი. მაჩაბელი, როგორც ყველას მოეხსენება, უკვალოდ დაიკარგა და მის ნაცვლად ჟურნალი „ივერია“ გაზეთად გამოვიდა ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით. მაშინ გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: ა. ნანეიშვილი, გრ. ყიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე), არტემ ახნაზაროვი (მამით სომეხი, დედით ქართველი, იგივე „ჩიორა“), გრიგოლ ვოლსკი (რუს-იმერელი: დედით ქართველი, მამით რუსი). ვაჟა-ფშაველა, თუმცა „ივერიის“ თანამშრომელი იყო, მაგრამ თბილისში მუდმივად არა ცხოვრობდა: ხან დიდ თონეთში მსახურებდა მასწავლებლათ, ხან თვის სამშობლო სოფელ ჩარგალში ცხოვრობდა და ხშირად დაბა თიანეთში ვხედავდი ხოლმე და იქიდან აწვდიდა ხოლმე რედაქციას თვის ლიტერატურულ მასალებს და როცა თბილისისკენ მოუხდებოდა წასვლა, ესეთი მასალები თავისი პატარა ხურჯინით თან ჩაჰქონდა. მახსოვს ერთი შემთხვევა მისი ცხოვრებიდან: ვგონებ, 1887 წლის მარტი იყო. მან ჩამოიარა ჩემთან – სოფ. ტოლათ-სოფელში და ღამე ჩემთან გაათევა (თბილისისკენ მიემგზავრებოდა). ეს რო ხევსურებმა და მის ყოფილ მოწაფეებმა შეიტყეს, ძალიან გაეხარდათ და მოვიდნენ მასთან, მოიკითხეს ჩვეულებრივ მთის წესით და ვახშმათ მოართვეს ახალ-ახალი ხმიანდები, ხაჭა-პურები, ხაბიზგინები, ხინკალი (ვაჟას ერთადერთი ხინკალი უყვარდა და მე და მას მრავალჯერ ჩვენი ხელით გაგვიკეთებია და ხევსურული ლუდით და არაყით გვიქეიფია, რომელ ქეიფის დროსაც ფშაურ სიმღერებს შემოსძახებდა ხოლმე, უფრო თავის გამოთქმულებს, და იქ დამსწრე ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა). მეორე დღეს რო თბილისისკენ წასვლა დააპირა, თანამგზავრ ფშაველმა ცხენი მოუყვანა. ამ დროს დაინახა ვაჟამ ცაში მიმფრინავი წეროების ჯგუფი, რომელიც მწკრივით მიფრინავდა ორ ტოტათ ჩრდილოეთისაკენ, გამოართვა თავის თანამგზავრ ფშაველს

მხარზე ჩამოკიდებული ბერდენკის თოფი, დაუმიზნა მიმფრინავ წეროების ჯგუფს და, არა მიხედვით იმისა, რომ ისინი ძაან მაღლა იყვნენ, ერთი წერო ჩამოაგდო მოკლული.

ხევსურებს და ფშაველებს დიდი ხალისი ჰქონდათ ვაჟას ნაწერ ლექსების, პოემების და მოთხრობების კითხვისა, ვინაიდან იგი მათი სისხლი-ხორცი იყო და ახლო ნათესავი და დაახლოებული კაცი: ისინი მუდამ მის ქებაში იყვნენ. 1889 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი „ყვენობა“ ჯავახეთში, ზღაპარი „ომალ-ხან ჩოფანი“ და „აღდგომა დღეს“ (სურათი ჯავახელების ცხოვრებიდან). ამ უკანასკნელში მოთხრობილია ის, თუ როგორ აღდგომა დღეს წითელი კვერცხის გატეხისათვის როგორ მოჰკლეს კაცი. როდესაც ეს მოთხრობა ნაუკითხე ხევსურებს და ფშაველებს, თავები გაიქნიეს და სთქვეს: „ჰე! ჰე! ჯავახელებიც ძალუმ გულფიცხი ხალხი ყოფილაო, გულმოსულიო, რომ კვერცხის გულისაით აღდგომი დღეს სისხლი დაღვარეს ადამიანისაო“.

1889 წ. დამლევს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ახალციხის მაზრის სოფ. მესხის სკოლაში გადმომიყვანეს. აქედანაც ხშირათ ვთანამშრომლობდი „ივერიაში“ და ვანვდიდი მას ჩემს ნაწერებს მესხეთ-ჯავახეთის ხალხის ცხოვრებიდან. ჩემი ნაწერები „მგზავრის დღიურიდან“ (ქართველი მგზავრი არდაჭანის სანჯახში), „კაკო დიაკვანი“ (მოთხრობა), „შენიშვნები ახალციხის მაზრის ხალხის შესახებ“ (ეტიმოგრაფიული შინაარსისა), „ლეგენდა სოფ. რუსთავის – შოთა რუსთაველის შესახებ“ და სხვა ჩემს-მიერ დაწერილია 1894 წ.

იმავე ხანებში სურვილი მქონდა, ჩემი მოთხრობა „კაკო დიაკვანი“ პატარა ბროშურათ გამომეცა, მაგრამ მაშინდელმა ცენზორამ, რომელიც დიდი გავლენისქვეშ იმყოფებოდა მაშინდელი ბიუროკრატი-ბოხოლა სამღვდელოების (ექსარხოზების, ეპისკოპოზების, გაბლენძილ-გარყვნილ არხიმანდრიტების და მექრთამე ბლალოჩინ-დეკანოზებისა), რომლებიც მხოლოთ და მხოლოთ თავმოყვარეობით, ანგართმოყვარეობით, ჯილდოების მიღებით და განცხრობითი ცხოვრებით იყვნენ გამსჭვალულნი და საცოდავი „კაკო დიაკვნის“ (მოთხრობის მთავარი გმირის) მსგავსის გაჭირებული მდგომარეობა მათ არ ანალვლებდათ და პირიქით ამისთანა დაჩაგრულ-უბედურებს ხელში შესცქეროდნენ, რაიმე სასუსნი ჩამოგვიტანოს სოფლიდანაო, ნება არ მომცა და მავნებლად დაინახა მან (ცენზორმა) მისი ცალკე წიგნაკად გამოცემა და ასე მიპასუხა: „ისიც დიდი შეცდენა შეგვეპარა, რომ გაზ. „ივერიაში“ დაბეჭვდის ნება მივეცით, თქვენ თქვენს მოთხრობაში სამღვდელოების პატიოსან სახელს ჩირქსა სცხებთ და ვილაც „კაკო დიაკვანი“ თავის მღვდლის მიერ დაჩაგრულ პიროვნებათ გამოგყავთ და ექომბგებითო, ეს ამხედრებაა დიაკვნებისა მღვდლების წინააღმდეგო!“... უნდა მოვიგონოთ, რომ ამ პატარა მოთხრობის დაბეჭვდისა გაზეთში, მაშინ ბევრმა ადგილობრივმა ბოხოლა და გაუმადლარმა „სულის მამებმა“ დიდის შურით და მტრულის თვალით დამინყეს ცქერა; მუდამ ცდილობდნენ და კრიჭაში მიდგნენ, რაიმე ხიფათი და მახე მოეგოთ ჩემთვის, მაბეზღებდნენ სკოლის ინსპექტორებთან, რომლებიც მათებრ ან მღვდელთაგანი ან არხიმანდრიტები იყვნენ, რომ როგორმე მარცხი მოეგოთ ჩემთვის და სამსახურიდან დავეთხოვე და ვინაიდან არავითარი დამნაშავე არ ვიყავი, სკოლის საქმე კარგათ მიმყავდა და გლახებთან

დიდი პატივისცემა და სიყვარული მქონდა დამსახურებული, ასეთი მათი ბოროტი ზრახვები უშედეგოთ რჩებოდა და კევი ნაგავში უვარდებოდათ... ან რას იზავდნენ და რას დამაკლებდნენ ესეთი „ბნელეთის მოციქულები“, როდესაც ხალხის კეთილდღეობისთვის მე არას ვზოგავდი: 1889 წ. მესხის მინგრეულ-მონგრეული ძველი სკოლა ჩემის დაუღალავი შრომით-მეცადინეობით გავახსნე, ახალი საკლასო ფართე შენობა ავაშენებინე, ყველაფრით მოვანყე, გარეშე სოფლებიდან მოსიარულე მონაფეებისთვის ღამე თავშესაფარი ბინა გაუმართე, სკოლასთან კარგი სამკითხველო-ბიბლიოთეკა დავაარსე და სხ.

რადგან დღემდე ჯავახეთიდან და მესხეთიდან, როგორც მივარდნილ-მიყრუებულ კუთხიდან, არავითარი ნაწერები არ ყოფილა დაბეჭდილი ცალკე წიგნათ აქაური ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან, სასარგებლოთ და საჭიროთ ვცანი, შემეკრიბნა ყველა ჩემი ნაწერები, რომლებიც იყო დაბეჭდილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნათ გამომეცა, მაგრამ, სამწუხაროთ, ვინაიდან ჩემი ნაწერების შეკრება ვერასგზით ვერ მოვახერხე (დღენები – შავები მათი კი თათართა 1918 წლის შემოსევამ მესხეთ-ჯავახეთის მიდამოებში სხვა ჩემი ოჯახის ქონებასთან და მდიდარ წიგნთსაცავთან ერთად შთანთქა სოფ. წითელ საყდარში, გორის მაზ., სადაც მთელი ჯავახეთის ლტოლვილები შეფარებულნი ვიყავით და სადაც მოულოდნელათ თათართა ურდოები კვლავ დაგვესხნენ თავს და ძლივს სულელები გადავარჩინეთ, ქონებას და საცხოვრებელს ვინლა სჩიოდა...). ჩემი სურვილი – ჩემი ნაწერების ცალკე კრებულათ გამოცემის შესახებ დღემდე განუხორციელებელი რჩება.

ჩემი ნაწერების ზოგიერთი მასალები მე მოვძებნე 1923-24 წლებში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავში, რომელიც ინახება ცენტრო არქივში და რემინქტონის მანქანაზედ გადმოვაბეჭდინე, ხოლო სხვა მრავალი ნაწერების მოძებნა და შეკრება ვერასგზით ვერ შევძელი. მე გარდა „ივერიისა“, „დროებისა“ და „ცნობის ფურცელ“-„კვალისა“, ვთანამშრომლობდი სასულიერო ჟურ.-გაზეთებშიც: „მწყემსში“ და „საეპარქიო საქსარხოსოს მოამბეში“, სადაც დრო გამოშვებით იბეჭდებოდა ჩემი წერილები ჯავახეთიდან, ბევრი „სულის მამების“ ყოფა-ცხოვრებიდან ავ-კარგი, მათ შორის გაქრისტიანებულ ქურთების შესახებ.

ჩემი ნაწერების კრებულში, რომელიც მე ცენტრო არქივში არსებული გაზეთებიდან გადმოვაბეჭდინე, მოთავსებულია ჯავახეთ-მესხეთის ხალხის ცხოვრების სურათები, იმ ხალხისა, რომელიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში – ოსმალთა მფლობელობის ჟამს – ბარბაროსულ ტანჯვა-ვაებაში ყოფილა და, იმედია, ამით ცოტათ თუ ბევრათ მკითხველი გაეცნობა ამ კუთხის მიყრუებულ-უვიც ხალხის ყოფა-ცხოვრებას, რაც ძან იშვიათი იყო და მრავალი საქართველოს შვილი დღესაც არ იცნობს ამ ხალხს როგორც ისტორიული წარსულით, ისრე დღევანდელი ეკონომიური მდგომიარეობით, რაც მიენერება უფრო უგზო-უკვალობას, მეტადრე რკინის გზის უქონლობას, და რიგიანი სკოლების უქონლობას.

ვიმასწავლებლე კიდევ სამშობლო ჯავახეთში, სოფ. ჩუნჩხაში, 10 წელი. შემდეგ ჩემგან დამოუკიდებელი გარემოების გამო მღვდლათ ვეკურთხე. მღვდე-

ლობის პერიოდში – 1905 წ. ვიდრე 1923 წლამდე ჩათვლით – ვმასწავლებლობდი და ქართულს ვასწავლიდი სოფ. თოკის, ხერთვისის, ვარევენის „საქველმოქმედო საზოგადოების“ და სახალხო სადირექციო სკოლებში და ბოლოს სოფ. საკირის სკოლაშიც ვიყავ მასწავლებლად ყველა საგნებისა, ეგრეთვე 1918 წ. ვიდრე 1922 წ. მსახურები მანგლისის ახლად გახსნილ პროგიმნაზიაში და ვასწავლიდი ქართულ ენას.

1922 წლიდან ვიდრე 1932 წლამდე ვცხოვრობდი ჩემი მამა-პაპის კერაზედ სოფ. კოთელიაში, ახალქალაქის რაიონში და ვენეოდი მეურნეობას. 1932 წ. ბორჯომში გადმოვსახლდი, სადაც დღეს ვცხოვრობ და ვატარებ უკანასკნელ წუთებს ღრმად მოხუცებული.

*ვასილ კობტონაშვილი
2 სექტემბერი, 1937 წ.
ქ. ბორჯომი*

ამ ჩემი ბიოგრაფიის დაწერის დროს ვიყავი 71 წლ., ხოლო ამ უამათ ვარ 89 წლისა.

20 ივლისი, 1955 წ.

იაკობ ფანცხავა

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1867 წლის 14 მაისს, დილით, სოფელ ხომულში, რომელიც მდებარეობს წყალტუბოს თემში, ქუთაისის ყოფილ მაზრასა და გუბერნიაში. მამაჩემი იყო სოფელ წყალტუბოს წმინდის გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი და წყალტუბოს საზოგადოებისავე მონესრიგეს (благочинный) თანაშემწე. დედაჩემი კი იყო ოჯახის დიასახლისი. დავიწყე სწავლა ქართულ ენაზე ექვსი წლისამ. ზაფხულის თვეებში, არდადეგების დროს, ამოსაღები შემასწავლა ჩემმა უფროსმა ძმამ – რომანოზმა (ხომლემა) და ამის შემდეგ ზამთარში ქართულ ენაში გამწაფა დედაჩემმა. თვლაც ამან შემასწავლა. ცხრა წლისა შევედი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც შესდგებოდა სამის მოსამზადებელი კლასისგან და ოთხის ძირითადი კლასისგან. ამ სასწავლებელში დაყვავი სრული შვიდი წელიწადი 1876 წლის პირველი სექტემბრიდან 1883 წლის პირველ ივნისამდე და ამით აქ კურსი დავასრულე. არც ერთ კლასში არ დავრჩენილვარ, ყოველ წელიწადს ერთი კლასიდან მეორეში გადავდიოდი, რადგან კარგად ვსწავლობდი. ჩვენს მაშინდელ მასწავლებელთაგან უნდა მოვიგონო ნიკო მალრაძე, რომელიც არითმეტიკას გვასწავლიდა და, უნდა ვსთქვა, ძალიან კარგადაც გვასწავლიდა, რადგან არითმეტიკის თითოეულ წესს კი არ გვაზეპირებინებდა, არამედ ამ წესს ჯერ პრაქტიკულად, ამოცანების საშუალებით შეგვათვისებებდა და თვით წესს მხოლოდ ამის შემდეგ აგვიხსნიდა და განგვიმარტებდა. მიტომ არითმეტიკის თითოეულ წესს ისე ბეჯითად ვითვისებდით, რომ ეს წესი მერმე თავიდან აღარ გამოგვშორდებოდა, ის მტკიცედ იჭერდა ადგილს მეხსიერებაში. მეოთხე კლასში რუსული ენის მასწავლებლად გვყავდა ივანე გაფრინდაშვილი, მამა ჩვენი მგოსნის ვალერიან გაფრინდაშვილისა, რომელიც ამასთანავე სასწავლებლის ზედამხედველის (смотритель) თანაშემწეც იყო. როგორც მასწავლებელიცა და ზედამხედველის თანაშემწეც, ის ყოველად გამოუსადეგარი პიროვნება იყო.

ერთხელ თანდებულების მნიშვნელობას გვიხსნიდა. ამის განმარტება ვერაფლით ვერ მოახერხა, ეს კი არა, უფროც დაგვაბნია. ვერ გაგვაგებია კი იმიტომ, რომ მან ლაპარაკი და აზრის გადმოცემა, გამოთქმა გარკვევით არ იცოდა: ფრაზას ისე ვერ გამოსთქვამდა, რომ რუსულ-ქართული სიტყვები ერთმანეთში დომხალივით არ აერია. იმიტომ ეს, იმის მიერ ნათქვამი, ფრაზა და წინადადება უფრო გაუგებარიც კი ხდებოდა. ფრაზაში შიგადაშიგ „ძმაო, კაცო!“-ს აურევდა ხოლმე ძალიან ხშირად. ამავე დროს ყოველი ცალკეული სიტყვის დროს ფრუტუნებდა ცხვირით. როგორც ზედამხედველის თანაშემწე კიდევ უარესი იყო. ერთხელ, როცა მეორე კლასში ვიყავით, იგი ეზოში ჩამოსასვლელი კობის ზედა საფეხურზედ იყო გადმომდგარი და მონაფეებს გვიყვიროდა, ახლავე, საჩქაროდ კლასში შედითო და თოულობიას თავი დაანებეთო. რასაკვირველია, ჩვენ თოულობიას თანდათან თავს ვანებებდით და

კლასისკენ მივესწრაფებოდით. ერთს, ჩამორჩენილს, სხვების უკან მომავალ მონაფეთაგანს ივანე გაფრინდაშვილი გამოედევნა, კლასში შესვლაში კი მაინც ვერ დაენია. მოსწავლემაც, რაკი კლასში შესვლა მოასწრო, ნაბიჯს მოუკლო, სიარული შეანელა და თავის პარტისკენ არხეინად გასწია, იფიქრა რა, რომ გაფრინდაშვილი აღარ მისდევდა. ივანე გაფრინდაშვილი აკი კლასშიც შემოყვა, მონაფეს პარტასთან მიუსწრო და მას უკანიდან ზურგში კალოშებიანი ფეხი სდრუზა, მიარტყა. მონაფე თვალის დახამხამებაში ანაზდად ნაიქცა, იატაკზედ გაიშხლართა. ივანე შეჰკრთა და მონაფეს მოფერება დაუწყო. მონაფე კი მას ყურს არ უგდებდა, სწუხდა და „ვაი-ვაიო!“ გაიძახოდა, ვითომ დარტყმული ადგილი სტკივოდა. ამ დროს ამ სცენას მასწავლებელმაც შემოუსწრო. ივანე კლასიდან კუდ-ამოძუებული გაიპარა. მოსწავლე სწრაფად წამოდგა და თავის პარტაზედ ადგილი დაიჭირა. ამ გაკვეთილის შემდეგ, როცა ამხანაგს შევეკითხეთ, მართლა სტკივოდა თუ არა დარტყმული ადგილი, გვიპასუხა: გაგონილა!.. რის ტკივილი, რა ტკივილიო!.. თითქოს ბუზიც კი არ დამფრენოდეს, რომელსაც არ კი უკბენიაო!.. გაშხლართვა კი განგებ მოვიგონეო. ეს ამბავი იმავე დღეს ყველა მონაფეებმაც და მასწავლებელმაც გაიგეს. ამ დღიდან ივანე გაფრინდაშვილი ყველას თვალში სასაცილო გახდა.

1883 წლის აგვისტოში ექსტერნად ეგზამენი დავიჭირე ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასისთვის. გამოცდის შემდეგ იმავე დღეს ვიქენი მიღებული ამავე კლასში. გიმნაზიაში ექვს წელიწადს ვსწავლობდი, 1883 წლიდან 1889 წლამდე, როცა გიმნაზიის კურსი გავათავე ივნისის შუა რიცხვებში და სიმნიფის მონაზობა მივიღე. გიმნაზიაშიც კლასიდან კლასში ყოველწლიურად გადავდიოდი, არც ერთ კლასში არ დავჩენილვარ, რადგან ყოველ საგანს საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. უნდა აღვნიშნო, რომ გიმნაზიაში სწავლა ჩემთვის არც თუ საშინელი საქმე იყო, რადგან აქ ჩემი სწავლა მხოლოდ განმეორება იყო იმ საგნებისა, რომელნიც სასულიერო სასწავლებელში მქონდა გავლილი. სასულიერო სასწავლებელში ყოველი საგანი კარგადა და ბეჯითად გვექონდა გავლილი და შესწავლული. ბარაქალა და ქება ამ სასწავლებლის მასწავლებლებს! ამიტომ გიმნაზიაში არხეინად ვგრძნობდი თავს და სრულებით იოლად ვსწავლობდი. სავალდებულო საგნების სწავლას ცოტა დროს ვანდომებდი. ამიტომ ბევრი თავისუფალი დროც მქონდა, რომელსაც ვანდომებდი სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოების გარეშე წიგნების კითხვას და კიდევაც ვრეპეტიტორობდი მეოთხე კლასიდან, ვიდრე გიმნაზიის კურსს დავასრულებდი. რეპეტიტორობაში აღებული ფულით გარეშე წიგნებს ვყიდულობდი და ამათ გულმოდგინედ ვკითხულობდი. ამავე ფულებით თეატრის ბილეთსაც ვყიდულობდი. ამ დროს ქუთაისში მოქმედებდა ქართველ არტისტების ჯგუფი, რომელსაც კოტე მესხი ხელმძღვანელობდა. წარმოდგენები ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა. მე თითქმის ყოველ წარმოდგენას ვესწრებოდი. გიმნაზიის მართებლობა ნებართვას დაუბრკოლებლივ მაძლევდა, რადგან იცოდა, რომ კარგად ვსწავლობდი. წარმოდგენების ანტრაქტების დროს დიდ „ბრაზა-ბრუხსა“ და ყვირილს ავსტეხდით ხოლმე. ამა თუ იმ არტისტისა,

მსახიობის გამოძახილს დიდი ხნობით არ შევწყვეტდით ხოლმე. ამ ყვირილსა და ბრახა-ბრუხში ძალიან ყურადღებას იქცევდა ნიკო თავდგირიძე. ბრახა-ბრუხით სკამებს ამტვრევდა, მსახიობების გამოძახილს კი ყველაზე გვიან ის შესწყვეტდა. ერთ ზამთარში ქუთაისში ჩამოვიდა რუს მსახიობთა დასი, რომელმაც რამდენიმე რუსული პიესა დასდგა. ამ დასში მონაწილეობას იღებდა ლადო ალექსიევი-მესხიევი, ალექსი-მესხიშვილი. ამან, ქართული საზოგადოების თხოვნით, მონაწილეობა მიიღო აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერის“ ქართულ წარმოდგენაში. ლადომ იმ ხანად თურმე ქართული სრულებითაც არ იცოდა. „თამარ ცბიერში“ იგი ასრულებდა გოჩას როლს. ამბობდენ, რომ ტეკსტი რუსული ასოებით ჰქონდა დაწერილიო. ამ როლის ასრულებით ლადომ ძალიან გამიტაცა და დიდად მასიამოვნა. ამ გარემოებამ ისეთი გადატეხილება იქონია ჩემზე, რომ იმდღიდანვე კოტე მესხის თამაშს ვეღარ ვიტანდი. ეს როლი კოტე მესხმა ამის წინად რამდენჯერმე შეასრულა. ამიტომ მე საშუალება და შესაძლებლობა მომეცა, შემედარებია ლადოსა და კოტეს თამაში. პირველმა დასძლია მეორე. პირველი შემიყვარდა, ხოლო მეორე შემძულდა, ამის თამაშს ვეღარ ვიტანდი ვერც ერთ როლში, მხოლოდ ნაპოლეონ პირველის როლში ვარგოდა კოტე მესხი. ნამეტურ კარგი იყო ეს იმ დროს, როცა ნაპოლეონი, ძილ-ბურანით გაოგნებული, თავის აღმაფრენაში წარმოიდგენს, რომ ბრძანებლობით მეთაურობს თავის ჯარის კაცებს და ამ უკანასკნელთ შეტევაზედ აქეზებს.

1889 წლის სექტემბრიდან შევედი ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, რომელიც ქალ. ოდესაში იყო. შევედი მათემატიკის ფაკულტეტზედ, ბუნების მეტყველების განყოფილებაზედ. სპეციალობად ავირჩიე ფიზიოლოგია, რომლისთვის სპეციალური ცალკე დისერტაცია დავსწერე და რომლის ღირსება პროფესორმა შეაფასა ხუთის ნიშნით. უნივერსიტეტშიც კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით, გარდა ჩემი სპეციალობისა, ფიზიოლოგიისა, ზოოლოგიას (შედარებითი ანატომიას), ბოტანიკასა და ორგანიულ ქიმიას. რეპეტიტორობას აქაც განვაგრძობდი, სანამ უნივერსიტეტში ვიყავი. 1893 წლის ივნისის შუა რიცხვებში დავასრულე უნივერსიტეტის კურსი, გავათავე სახელმწიფო ეგზამენები და მივიღე პირველი ხარისხის დიპლომი. რეპეტიტორობაში მქონდა მხოლოდ სადილი, ორი კერძისგან შემდგარი, ხოლო კვირის უქმე დღეებში და ხუთშაბათობით მესამე კერძიც იყო. სადილი გემრიელი და [მანწიერი] იყო. ამიტომ კუჭი არ დამსნეულებია, არ დაამვადებია. ეს კი ფრიად სარფა და სასარგებლო საქმე იყო ჩემზე, ხელმოკლე სტუდენტის მდგომარეობის პირისთვის. უნივერსიტეტში მეორე კურსიდან სტიპენდია მიძლეოდა ყოველ თვიურად ოცი მანეთის რაოდენობით. ამავე დროს თავისუფალი ვიყავი სწავლის ფულის შეტანისგან, რომელიც წლიურად 150–200 მანეთის ნაკლები არ იყო. შესაძლებლობა მქონდა, უნივერსიტეტში ჩემი სპეციალობის საგანზედ ასისტენტად დავრჩენილვიყავი, ფიზიოლოგიის კათედრაზედ, რადგან პროფესორი სპირო დაჟინებით მთხოვდა, მეხვეწებოდა, მაგრამ არ ვისურვე, რადგან მტკიცედ გადაწყვეტილი მქონდა, სამშობლოში

დავბრუნებულ ვიყავი და ჩემი სუსტი ძალ-ლონე ამის სამსახურად შემენირა, მიმედღვნა. უნივერსიტეტში მათემატიკას გვასწავლიდა პროფესორი შვედო-ვი და მცირე სიდიდის (о малых величинах) თეორიას გვიხსნიდა. პროფესორი შვედოვი ძალიან დაბალი ხმით კითხულობდა ლექციას. ამ დარგში რუსულ ენაზე არცერთი სახელმძღვანელო არ მოიპოვებოდა იმ დროს. პროფესორ შვედოვის ლექციების ლითოგრაფიის შოვნა ძალიან ძნელი იყო: მთელ უნივერსიტეტში ერთადერთი ცალი იყო; ლექციების ეს ლითოგრაფიული ცალი ხელთ ჩამეგდო, უნდა წლობით მეცადა. ამიტომ მე მცირე სიდიდის შესახებ ფრანგული სახელმძღვანელო გამოვიწერე პირდაპირ პარიზიდან. ეს ჩემთვის საპრიანი იყო და გამოსადეგი. ფრანგული ენა იმდენად კარგად ვიცოდი, რომ ამ სახელმძღვანელოს სრულებით ადვილად ვკითხულობდი. აქ ფრანგულ ენაზე განმარტება ძალიან ადვილი იყო და გასაგებიც, რადგან ფრანგული ენის ფრაზეოლოგია წარმოადგენს ქართული ენის სრულ მსგავსებას. ამავე ფრანგულზე წავიკითხე დარვინის „სახეობათა წარმოშობა“, რადგან მაშინ ეს თხზულება და დარვინის არც ერთი სხვა თხზულება რუსულად გადმოთარგმნილი არ იყო. იყო ვინმე რაჩინსკის მიერ ეს თხზულება გადმოთარგმნილი სამოციან წლებში. მაგრამ ეს თარგმანი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა, რადგან შემდეგი წლებისთვის ამის გამოცემა ცენზურის მიერ აკრძალული იყო. დარვინის თხზულებანი რუსულ ენაზედ გადმოთარგმნა მხოლოდ 1896 წელს, სეჩენოვის რედაქტორობით. დარვინის ამ თხზულების ეს ეგზემპლიარი მაქვს ახლაც, რომელშიც ფერადის ფანქრით ესა თუ ის ადგილი მაქვს აღნიშნული და მხოლოდ აქიდან ვსარგებლობ, როცა რაიმე ცნობა მჭირდება, თუმცა ახლა რუსული თარგმანიც მაქვს.

უნივერსიტეტიდანაც ისე, როგორც გიმნაზიაში, განსაზღვრულის სავალდებულო საგნების გარდა, თავისუფალ დროს ვახმარდი სხვა დარგის მეცნიერებასაც და ვკითხულობდი – სოციოლოგიას სპენსერისას, პოლიტიკურ ეკონომიას ადამ სმიტისას, რიკარდოსას, მარქსისას და სხ. და ჯონ სტუარტ მილის თხზულებას, ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ გადმოთარგმნილს და ამისივე შენიშვნებით თან დართულს. ვკითხულობდი და ვსწავლობდი მხატვრულს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას, რუსულსა და საერთაშორისოსას, თვალ-ყურს ვადევნებდი მიმდინარე რუსულ ჟურნალ-გაზეთებს და ჩემ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა პუბლიცისტური და კრიტიკული სტატიები. გიმნაზიაში, მეხუთე კლასში რომ ვიყავი, სწორედ ამ დროს გახსნა ბიბლიოთეკა გიმნაზიისავე მასწავლებელმა – პეტროვმა. ამ ბიბლიოთეკიდან სისტემატურად გამომქონდა რუსულისა და საერთაშორისო სიტყვა-კაზმული ლიტერატურის ესა თუ ის თხზულება, ესა თუ ის ავტორი. მაშინ ეს ლიტერატურა თითქმის სულ გადავიკითხე. ამავე დროს მომთაფლა აკაკის რჩეული ლექსების კრებულმა, რომელიც ცალკე წიგნაკად გამოსცა კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძემ. ეს წიგნაკი და ნ. ბარათაშვილის ლექსები წავიღე ოდესაში და იქ ვზეპირობდი.

1893 სექტემბრიდან ბათუმში გერასიმე ცაგარეიშვილმა გახსნა სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა ბავშვებს მისაღებად სხვადასხვა სასწავლე-

ბელში. ამ გერასიმემ ქ. ოდესაში დაასრულა უნივერსიტეტი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩემზე წინ სამი წლით ადრე. შემდეგ იგი იყო მასწავლებლად ქუთაისში ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. მან მე მიმიწვია თავის შკოლაში მასწავლებლად. ამას საკმაოდ დიდი რიცხვი ბავშვებისა მიბარებოდა, მარტოდ-მარტო ველარ სწვდებოდა და ამიტომ მე მომმართა თხოვნით. მეც დიდი სიამოვნებით დავსთანხმდი, რადგან ადგილი არა მქონდა, სოფელში უსაქმოდ ვიყავი, დედ-მამას კისერზედ ვაწვევი და გარდა ამისა, მახალისებდა, რომ ქ. ბათუმსა და აჭარას გავეცნობოდი. აქ ვმასწავლებლობდი შემდეგი წლის, 1894 წლის, აპრილამდის. გერასიმე ჯამაგირად მაძლევდა თვიურად სამ თუმანს. მთელი ხარჯები კი ამისა იყო – ბინის ქირა, ავეჯის შეძენა, სასმელ-საჭმელი და სხ. მაგიერად მთელი შემოსავალიც ამას ეკუთვნოდა. ამით საკმაოდ ფული შემოდიოდა. ბათუმში გახსნილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიც მიწვეული იყო ორი მასწავლებელი. სასწავლებელი აქ იმ მიზნით იყო გახსნილი, რომ აჭარის მცხოვრებთა ბავშვები ქართველობასთან დაეახლოვებია, მათს შორის ქართული წერა-კითხვა გაეცნობინათ და მცხოვრებთა შორისაც კეთილი დამოკიდებულება გაემტკიცებია საქართველოსადმი. მაგრამ ეს სინამდვილეში ასე არ იყო, რადგან აქ მიბარებული იყო მხოლოდ ორი თუ სამი ბავში ნამდვილი აჭარელი, დანარჩენი ბავშვები კი სულ ბათუმის პორტის მუშების შვილები იყვნენ. ამ აჭარელ ბავშვთაგანი იყო ვინმე ბეგის შვილი. ეს ყმანვილი ნამდვილ ახალგაზრდას წარმოადგენდა და არა ბავშს. მშვენიერი ნაქვითიანი პირისახე ჰქონდა, ლამაზი და მოყვანილი ტანადობისა იყო. ქართული კარგად იცოდა, თათრული კი არც კი ეხერხებოდა. ერთხელ შკოლის მასწავლებლებმა ღვინო მოატანიეს, როცა ჩვენ მივედით. ეს ყმანვილიც აქ იყო. ღვინოს ეს ყმანვილიც შეექცეოდა. უცაბედად ღვინის რამდენიმე წვეთი ჩოხის კალთაზედ დაესხა. ყმანვილი უცბად წამოხტა, გაჰკრა კალთას სატევარი და ნაიჭრა კალთა იმ მიზნით, რომ ეს ვითომ დიდი დანაშაული და ცოდვა თავიდან აეშორებია მაჰმადიანობის სარწმუნოების წინაშე და ცოდვაც მოენანიებია. ამავე შკოლაში მესამე მასწავლებლად, ვითომ რჯულის მასწავლებლად, მიწვეული იყო აქაური ხოჯა, მოლა, რასაკვირველია, უმთავრესად იმ მიზნით, რომ ამას ეთავა და მოეხერხებია, რაც შეიძლება, მეტი აჭარელი ბავში მიეზარებია. მაგრამ, როგორც ვსთქვი, მიბარებული იყო მხოლოდ სამიოდე ბავში. სამაგიეროდ ამ ხოჯას საკუთარი სასწავლებელი ჰქონდა გახსნილი, სადაც ძალიან ბევრი ბავშვები ჰყავდა მიბარებული, განსაკუთრებით ქალიშვილები. ერთხელ ამ ხოჯამ თავის სასწავლებელში მიგვიწვია და წაგვიყვანა დასათვალიერებლად. შკოლაში მოსწავლე ქალიშვილები ლამაზი სახისანი, ნაქვითიანი, ფართო და ღია შავი თვალბიანი და ნაზი და მოყვანილი ტანადობისა იყვნენ. ქართულს ენას სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ. ამათი გვარები ნამდვილი ქართველების გვარებისა იყო: აბაშიძე, ნიჭარაძე და სხვა ამისთანები. ქალიშვილებს ჩადრი არა ჰქონდათ ჩამოფარებული. ამის მიზეზი ვკითხე ხოჯას. მან მიპასუხა: ჩვენში ქალიშვილები ქალიშვილობაში ჩადრს არ ატარებდნენ, ჩადრის წამოპურვა

და ტარება სავალდებულოაო მხოლოდ გათხოვების შემდეგ და ცოლობის დროსაო. სასწავლებელში ხოჯას კლასის იქვე კუთხეში დაწყობილი ჰქონდა სხვადასხვა ხელსაწყო, ვითომ სწავლისთვის საჭირო საგანი, იარაღი და საშუალება: სახაზავები და ხუნდები. სახაზავით ხელის გულს დაუსივებდა თურმე, ხოლო ხუნდით ხელ-ფეხს შეუკრავდა, შებორკავდა ისე, როგორც ცხენსა ან ჯორს დაბორკავენ ხოლმე ბორკვით, იმ ბავშს, რომელიც კარგად პასუხს ვერ იძლეოდა, ან კარგად ვერ სწავლობდა. ბათუმის შკოლის მასწავლებლებთან, სწავლის შემდეგ, თითქმის ყოველ დღეს, ვიკრიბებოდით. იქ თავს ვიქცევდით ნარდის თამაშითა და სჯა-ბაასით.¹ ერთმა მასწავლებელმა, გვარად მიხა შარაშიძემ, გურულმა საუცხოვოდ იცოდა ლიტარის დაჰკვრა და ზედ დამღერება. როცა ეს აკაკის არიას – ჩონგურს სიმები გავუბი... დაამღერებდა, ტანში მხნეობისა, გალალეებისა და იერიშის მიტანის წარმტაცი და ნეტარი ჟრუანტელი გაუვლიდა ხოლმე მსმენელს.

როგორც ვსთქვი, 1894 წლის მარტის მიწურულში ბათუმს გამოვეთხოვე და ტფილისში ამოვყავი თავი. აქ ჩემი ძმის რომანოზ (ხომლელის) თხოვნითა და რეკომენდაციით ჩემთვის ადგილი აღმოეჩინა საფილოქსერო პარტიის ექსპერტს – ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილს, რომელთანაც ამისავე პარტიაში ვმსახურობდი 1892 წელსაც. ზაფხულის თვეები აქ სამსახურში გავატარე. ჩემი თანამდებობა იყო *расследователь*-ობა (ფილოქსერის მაძიებლობა). ჯამაგირად მქონდა ყოველთვიურად სამოცი მანეთი. ჩემსავე პარტიაში ჩემთან ამავე სამსახურზედ იყო მეორე პირი. გვყავდა ათიოდე მუშა. ჩვენი მოვალეობა იყო, ფილოქსერა აღმოგვეჩინა გორის მაზრის ვენახებში. ეს ასე სრულდებოდა: მუშა ზერელედ შემოუბარავდა ვაზის ძირს, აიღებდა მიწის მცირე ბელტს და მოგვანვდიდა. ჩვენ ამ ბელტს ან ბელტის ამ ნაფჩხვენებს გავმიჯნავდით მთელი დაკვირვებითა და გულისყურით ლუპითა, გამადიდებელი შუშით. მთელ გორის მაზრაში ჩვენისავე მსგავსი მეორე ჯგუფი მუშაობდა ასეთსავე სამუშაოზედ. მთელი ზაფხულის განმავლობაში აქვე, ამ მაზრაში, ფილოქსერა არ აღმოჩნდა. ერთი მუშათაგანი ჩვენს ბინაზედ რჩებოდა და იგი სადილსა, სამხარსა და ვახშამს გვიმზადებდა. ერთი სოფლის ვენახების გასინჯვას რომ გავათავებდით, ახლა მეორეში გადავდიოდით და ასე. ამნაირად, იმ წელიწადს გორის მაზრის სოფლები შემოვიარე, რომელნიც დავათვალიერე, ნანახი არა მქონდა. 1892 წელს ამ გადასვლა-გადმოსვლით, ადგილიდან ადგილზე გადასვლებით მთელი გორის მაზრა შემოვიარე, მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას გავეცანი, ამა ზნე-ჩვეულებას ვაკვირდებოდი, ქალისა და კაცის, ბავშების ლაპარაკს ყურს ვუგდებდი. ქართლელი საზოგადოდ მძიმე ხასიათის ადა-

1. ან ქალაქს ვეცნობოდით. ბათუმში საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს თვითონ ზღვა. ასეთი წარმტაცი სანახაობა შავი ზღვის ნაპირს არსად არა აქვს, მთელ ყირიმში, არც იალტაშიც კი. ასეთივე წარმტაცია ამ ზღვის პირად გაშენებული საზოგადო ბაღი. აქვე ცნობილი და მდიდარი ბოტანიკური ბაღია ბათუმის სამხრეთით აჭარის მთაგრეხილის მწვერვალები, რომელთა თხემი წელიწადში ათი თვის განმავლობაში მაინც თოვლით არის თავნაკრული, როგორც გურულის თავზე კონთად შემოხვეული ყაბალახი.

მიანია, ის ისე სუბუქადა, კობტადა და მარდად ვერ მიინძრევა-მოინძრევა, როგორადაც იმერელი. მძიმედ იძლევა პასუხს, ამბავს მოგიყვებათ ხოლმე მძიმედა და გაბრტყელებულად. ამბის მოყოლა, გადმოცემა და საზოგადოდ ლაპარაკი დინჯი იცის: ყოველი სიტყვა, ყოველი სიტყვის თითოეული ბგერა მკაფიოდ აქვს გამომჟღავნებული. ლაპარაკის კილო მშვენიერი ტემბრით იცის. ამ კილოთი გაირჩევა ჩვენი ენის სხვა კილოკავებისაგან ნამდვილი ქართლურ-კახური, და აგრეთვე სხვა ერების ლაპარაკის კილოსგან შესამჩნევად, თვალსაჩინოდ განსხვავდება. იმერული გამოთქმა ისეთი კილოთი სწარმოებს, რომ ამ კილოთი ლაპარაკი ყოველ უცხოელს შეუძლია იმდენად კარგად, რომ, თუ კარგად არ დაუკვირდი, ვერც კი გაარჩევ, იმერელი ლაპარაკობს, თუ უცხო ქვეყნის შვილიო. ქართლ-კახური ლაპარაკის კილო კი თითქმის მიუწოდომელია იმერლებისთვისა და უცხოელებისთვის, თუ ამათმა დიდხანს არ დაჰყვეს ქართლ-კახეთში, რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც. ეს კილო სასიამოვნო სასმენია, ამიტომ გხიზლავს იგი. კილოს ტემბრი ტკბილი, დაბალი ტენორის დარია, თანაბარია და გამყივანი ხმისაა. ქართლელი აქამდი მიწურიდან ვერ ამოსულა, თუმცა აქ-იქ თითოოროლა სახლს, უმეტესად აგურისას, მიწიდან თავი ამოუყვია. ეს კი იმის კარგი ნიშანია და წინამორბედი, რომ ქართლელი ახლო მომავალში მიწურებს თავს მიანებებს და ზევით, მიწის ზედაპირზედ ამოვა. ეს კი ძალიან გააფაქიზებს ქართლელის სანიტარულსა და ჰიგიენურ მდგომარეობას, რადგან ეს აქ ძალიან საჭიროა: ქართლის სოფლები შეჯგუფულია, სახლები ახლო-ახლოს არის თავმოყრილი; იქვე თავმოყრილი ნაგავი და პატივი, ნაკელი, პირუტყვის განავალი, ზამთარ-ზაფხულ. რასაკვირველია, პატივი დიდად ბევრფასიანია – ამის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის, ხოლო კი ეს პატივი ჰაერს ძალზე აფუჭებს. თავის ბინაში, მიწურში ქართლელს ზამთრობით იქვე ჰყავს მსხვილი საქონელი, მსხვილი ოთხფეხი. ეს სანიტარიის წესით სრულებით დაუშვებელია, ვინაიდან ეს ყოველი მოთავსებულია მიწაში, სადაც ვენტილაცია არ ხერხდება. იმერელიც ასევე ცხოვრობს ზამთრობით პირუტყვებთან ერთად, მაგრამ აქ ამას ისე დიდი უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბინა ხისაა და ვენტილაცია გამუდმებით ხდება, სწარმოებს. გარდა ამისა იმერეთში ზამთრობით გვარიანად ტფილა, ამიტომ საქონელი მეტ ხანს არის გარე გამოსული და ამ დროს ბინის კარები გაღებულია და შიგ ხარბად შედის ჰაერი. ქართლელი უფრო შეძლებული და დოვლათიანია, ვიდრე იმერელი. სახლი, ქვეშსაგები სუფთა აქვს და სხ. მაგრამ ქართლელს კეთილშობილური თავმოყვარეობა ნაკლები აქვს, იგი შეგნებული და შემეცნილი არა აქვს. ამის დამადასტურებელია შემდეგი ფაქტი.

ერთხელ სოფელ სამთავისში ვიყავით. აქ არის საუცხოვო ხუროთმოძღვრების ტაძარი აგებული, თლილი ქვისაგან და საკმაოდ დიდი გარემოცულობისა. უქმი დღე იყო, რაღაც დღეობა ტაძრის დღესასწაულისა. ერთ წრეში ქალიშვილები და ახალგაზრდა ვაჟები სიმღერითა, ჩონგურსა, დაირასა და გარმონკაზედ დაკვრითა და ცეკვა-თამაშით თავისთვის თავს ირთობდენ, ხალისიანი ალერსით ერთმანეთთან კურკურობდენ და ეკეკლუცებოდენ. ამ

დროს, სად იყო და სად არა, საიდგანლაც გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა ამილახვარი, აქვე, სოფელ ქვემოჭალის მცხოვრები, რომელმაც ერთი ახალგაზრდა ვაჟთაგანი ძალზე გაამათრახა. გალახულმა მხოლოდ ღრიალი და ტირილი დაიწყო. თავისთავს ვერც თვითონ გამოეყომა და არც არავინ მიეშველა, არავინ დახმარება არ აღუთქვა, რომ ამით ის ნაექებებია თავგამოდებაზედ, საპასუხო შეტევაზედ, იმისთვის არავინ, იქ დამსწრეთაგანმა, თავი არ გამოიღო. ახალგაზრდა ამილახვარს ეს ყოლიფერი ხახვივით შერჩა და არხეინად წაბრძანდა. ამ მოვლენამ ძალიან გამაკვირვა და კიდევაც, სამწუხაროდ, დამალონა. კარგად ვიცი, რომ ჩვენში, იმერეთში, ეს ყოვლად შეუძლებელი რამ არის. ჩვენს სოფელში, სოფელ ხომულში, დღეობად მიმჩნეულია ამაღლების დღესასწაული – ამ დროს ტაძრის გალავანში ქალი და ვაჟი, დიდი და პატარა მხიარულებასა და გართობაშია. გარმონკა და დაირა გაჩაღებულია, ცეკვა და ტაშის დაკვრა. ერთხელ, ასეთი დღესასწაულის დროს, ჩვენებური ალექსია ფანცხავა გართული იყო ქალიშვილებთან ცეკვასა და სიმღერაში, ქალიშვილებთან კურკურითა, ქათინაურებითა და გადაკრული სიტყვა-პასუხით. სჩანდა, რომ ისიც და ქალიშვილებიც ერთმანეთს თანაუგრძნობდენ და ამით მხიარულები იყვნენ. ამათ ამ დროს ჩამოუარეს ავალიანებმა, სტუმრად მოსულებმა მეორე სოფლიდან, სოფ. გუმათიდან, რომელიც ხომულთან ახლოს მდებარეობს (სულ ორი ვერსტიც არ იქნება) აღმოსავლეთის მხარეზე და გლესს ალექსია ფანცხავას მათრახი გადაჰკრეს. ალექსიამ ეს იწყინა და გააფრთხილა: ამას ნუ კადრულობთ, თორემ არ შეგარჩენთო. ავალიანები ორი ძმა იყო. აბა, ამის შიში როგორ-ღა ექნებოდათ? ესენი ყოველგან და ყველასთან ყოველთვის ჩხუბის თავი იყვნენ, ჩხუბის, აყალ-მაცალის ამტენნი და გამომწვევნი. ამიტომ ალექსიას ასეთი პასუხი არ იამათ, არ ეჭაშნიკათ და გლესს კიდევ მეორეთ მათრახი გაანწეს. ალექსიამ უკან დაიხია სატევარი იმიშველა და შეუტია. ავალიანებსაც ეს უნდოდათ. ამათაც სატევარი ქარქაშიდან, ბუდიდან ამოიძვრეს და ალექსიას დაუშინეს. დასჭრეს კიდევაც. ავალიანებმა სატევრის ხმარება ისეთი არტისტიული მოხერხებულობით იცოდენ, რომ ადამიანს დაკეპდენ, ტანზედ ერთ ცოცხალ ადგილსაც არ შეარჩენდენ, მაგრამ არც ერთს სასიკვდილო ჭრილობას არ მიაყენებდენ. ალექსია თავგამოდებით შეება ამათ. მაგრამ თანდათან ეტყობოდა, რომ ავალიანები ამას ერეოდენ, სძლევდენ, ეს კი თანდათან იღლებოდა და სუსტდებოდა. ამ დროს ალექსიას მეზობელმა ყმანვილებმა, იხილეს რა ალექსიას ასეთი მდგომარეობა და ავალიანებიც აღარ შორდებოდენ, ალექსიას მიეხმარენ, შეუტიეს ავალიანებს და ისე მიღავრად დაბეგვეს და კიდევაც დასჭრეს, რომ იძულებული შეიქნენ ეს უკანასკნელნი, გაქცეულიყვნენ და თავი შეეფარებიათ მასპინძელთან. აი, ასე სხვადასხვანაირად იქცევა იმერელი და ქართლელი თავის თავმოყვარეობის დასაცავადა და თავის პირადობის ღირსების შესანარჩუნებლად. ქართლელი გლესის სიბეჩავემა და ღრიალმა, უსიტყვოდ დამორჩილებულმა გამაოცა და იქვე ჩემი მწუხარება გამოვთქვი ამის გამო. ეს ჩემი აზრი ჩემ ამხანაგს – ივანე ახალმენიშვილს არ მოეწონა და მიპასუხა, რომ შენ მხოლოდ ადგილობ-

რვის მჟავე და ყალბი პატრიოტიზმით ხარ შეპყრობილიო. ამ პასუხმა კიდევ მეტად გამაკვირვა და მხოლოდ-ლა მხრები ავიჩიჩე.

1895 წელში საფილოქსერო კომიტეტის სამსახურს თავი დავანებე. ამის მიზეზი, აი, რა იყო. 1894 წლის სექტემბერში მე და თვითონ ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი კომიტეტის მიერ გაგზავნილი ვიყავით ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელთა ერთ-ერთ სოფელში, რომელიც მდებარეობდა სადგურ Кавказская-სთან ახლობლად, ასე სამოცდა ათი ვერსტის მანძილით. სადგური Кавказская კი არის როსტოვ-ვლადიკავკავის ერთ-ერთი სადგურთაგანი. ამ სოფელში, სახლი აღარ მახსოვს, გერმანელებს ვენახი ჰქონდათ გაშენებული, რომელიც უნდა გაგვეშინჯა, ფილოქსერიტ ხომ არ იყვნენ დაზიანებული. ეს დავალება პირნმინდათ შევასრულეთ. ვენახებში ფილოქსერა აღმოვაჩინეთ. ვენახებს ვუნამლეთ серо-водородною житкостью, რომელიც კომიტეტს საფრანგეთიდან ქონდა გამოწერილი. და რომელიც მარაგათ გვქონდა წამოღებული. დეკემბრის შუა რიცხვებში სამუშეოვარი გავათავეთ და ტფილისში დავბრუნდით. ამ თვიდან, თანახმად ანდრონიკაშვილის მოხსენებისა, საფილოქსერო კომიტეტმა დამნიშნა ფილოქსერის უფროს მაძიებლად (старшийследователь) და ფოთში მიმავლინა. ჯამაგირად 75 მანეთი დამენიშნა. ჩემ მოვალეობას შეადგენდა: ყოველ დღე რამდენჯერმე ნავსაყუდელში თბომა-ვალის შემოსვლის დროს პორტში გავსულვიყავი და გემები გამესინჯა, ხომ არ შემოქონდათ საზღვარ გარეთიდან ესა თუ ის საწერგე მცენარე, რადგან ამ მხრით სასტიკი კარანტინი იყო დანიშნული, ვინაიდან საფრანგეთში ფილოქსერა უკვე მძვინვარებდა და ვენახებს ანადგურებდა, მუსრს ავლებდა. ეს სამსახური ჩემთვის სრულებით იოლი და ადვილი იყო. ამიტომ ბევრი თავისუფალი დრო მქონდა. ეს თავისუფლება გამოვიყენე იმით, რომ ლეტურნოს სოციოლოგია ფრანგულ ენაზედ ნავიკითხე, ვინაიდან იმ ჟამად ლეტურნოს არც ერთი თხზულება გადმოთარგმნილი არ იყო რუსულ ენაზედ. აქ თებერვალში, 1895 წელში, ლამით თავს დამესხა ჟანდარმერია, რომელმაც გამჩხრიკა და თან წაიღო ზოგი ჩემი ამხანაგის სურათი და მიწერ-მოწერა. ლეტურნოს სოციოლოგიაც ჩამომართვა, რომელიც რვა თვის შემდეგ დამიბრუნდა პეტერბურგიდან. ჟანდარმის აფიცურმა მიბრძანა, მას თან გავყოლოდი ქუთაისში, რომ ჟანდარმთა სამართველოში ჟანდარმის უფროსის, დებოლის წინაშე წარვმდარვიყავი ან მას დავეკითხე. ასედაც მოვიქეცი. დებოლმა მე მეორესა და მესამე დღეს დამკითხა და ამის შემდეგ განმათავისუფლა. ამ ორი-სამი დღის განმავლობაში კი იქვე სამართველოში ერთ ოთახში ვიყავი გამომწყვდეული. იქვე მქონდა სასამელ-საჭმელი. ამ დაკითხვის შედეგი ის იყო, რომ მიცემულ ვიქენი პოლიციის ღია თვალყურის ქვეშ, რაიც გამომეცხადა 1896 წელში ქ. ნიკოლაევში და რომელიც მომეხადა მხოლოდ 1905 წლიდან, რადგან ამ წლის რევოლუციამ და 19 ოკტომბრის მანიფესტმა ქარსა და ნიავს გაატანა მოქალაქის ასეთი დამამცირებელი საზიზღრობა. ამ დაკითხვის შესახებ ქვეით ვიტყვი.

1895 წლის გაზაფხულზე ტფილისში გამოვცხადდით საფილოქსერო კომიტეტის исследовательები. აქიდან კომიტეტი გვიპირობდა გაგზავნას ფი-

ლოქსერის საძიებლად სხვადასხვა ადგილას და გვინანილებდა სხვადასხვა კუთხეებს სამუშაოდ. ამის ფაცა-ფუცში რომ იყო კომიტეტი, ამ დროს მინად-მოქმედების მინისტრის ა/კ რწმუნებულმა მედვედევმა პეტერბურგიდან მიიღო წინადადება, რომ მის განკარგულებაში იხსნებოდა ახალი თანამდებობა – ექსპერტის თანაშემწისა იმ რაოდენობით, რამდენადაც რაიონებად იყო დაყოფილი სამუშაოები. ეს განკარგულება გამონვეული იყო ფილოქსერის კვლევა-ძიების გასაძლიერებლად და გასაღრმავებლად. ამ თანამდებობაზე ჩვენმა ექსპერტმა – ანდრონიკაშვილმა მე წარმადგინა. მაგრამ მედვედევმა არ დამამტკიცა, რადგან ამისთვის უკვე მოუხსენებია ქუთაისის უნდარმერიას ჩემი გაჩხრეკის შესახებ. ეს მე გადმომცა შემდეგ რამდენიმე თვისა მედვედევის თანაშემწემ – გაევსკიმ. ეს ჩემი დაუმტკიცებლობა არ მიამა. ამიტომ საფილოქსერო კომიტეტში სამსახურს თავი დავანებე, რადგან აქ მე წარმატება აღარ მეღირსებოდა, მით უფრო, თავი მიზეზი ამ დაუმტკიცებლობისა მაშინ მე არ ვიცოდი.

დავრჩი ტფილისში იმ იმედით, რომ აქ რაიმე სამსახურს ვიშოვიდი. უჯამაგიროდ ცხოვრება კი აღარ შემეძლო. ამ დროს, ერთ საღამოს, გიორგი წერეთელმა, რომელიც საკვირაო გაზეთის – „კვალის“ რედაქტორი იყო, მთხოვა, „კვალის“ გამოცემისა და წარმოების საქმე მეკისრნა მოკლე ხნის განმავლობაში, რადგან კერძო პირადი საქმეებისა გამო მე საჩხერეში უნდა წავიდეთ. მე დავთანხმდი. ამაზედ ქვევით ვიტყვი.

ტფილისში ვერაფელი ადგილი ვიშოვე, თუმცა, რაც კი შემეძლო, ვცდილობდი, სხვადასხვა დანესებულების უფროსებსა და გამგეებს ვთხოვდი. ამ ხანში კი ვრეპეტიტორობდი. ამავე დროს ცნობა მივიღე, ჩემი თხოვნის პასუხად, რომელიც წინა თვეებში გავუგზავნე ფინანსთა მინისტრს, რომ მე მივლინებული ვიყავი სახბანკის ტფილისის კანტორისადმი საბანკო ოპერაციებთან გასაცნობად. აქ დავინყე სიარული და ამ ოპერაციებს ვეცნობოდი. სეკტემბრის ბოლო რიცხვებში ფინანსთა მინისტრის განკარგულება მიიღო ტფილისის სახბანკის კანტორის გამგემ ჩემ შესახებ, რომელიც მან იმდღესვე მაცნობა: წინადადება მეძლეოდა, წავსულვიყავ ქ. პერმში ბანკის ბუხლალტრის მეორე ხარისხის ბუხლალტრის თანამდებობაზედ. ეს წინადადება არ მივიღე, ხოლო ბანკის გამგეს წერილობითი განმარტება მივეცი ფინანსთა მინისტრისადმი წარსადგენად. განცხადებაში ვამბობდი, რომ პერმში წასვლა არ შემეძლო სასტიკი ჰავისა გამო და, თუ მომეცემოდა ასეთივე ადგილი სადმე სამხრეთში, თანახმა ვიყავი. ამ ჩემმა თხოვნამ გასჭრა და 1896 წლის იანვრის ბოლოს მივიღე განკარგულება, რომ დანიშნული ვიყავი ნიკოლაევის განყოფილებაში ამ თანამდებობაზედ. დავთანხმდი, მეტი ჯანი აღარ მქონდა, რადგან მატერიალური მხრით ძალიან გაჭირვებას ვიტანდი: ჩემი საქმე იქამდე მივიდა, რომ „პურ-ღვინოს“ პატრონი ნისიად მარჩენდა ოთხი თვის განმავლობაში. ამ სასადილოს პატრონი იყო ალექსანდრე თოიძე. მას იჯარად აღებული ჰქონდა კონსტანტინე ივანეს ძის მუხრანსკის სახლი, რომელიც იდგა გოლოვინის (ახლა რუსთაველის) გამზირზე სწორედ იქ, სადაც ახლა აშე-

ნებულია მთავარი ფოშტის სამართველოს ბინა. მე მარადის მადლობელი და მადლიერი ვიყავი ამ ალექსანდრე თოიძისა, ვინაიდან მან ასეთი დიდი ნდობა გამოიჩინა ჩემდამი და ასეთი დახმარება გამიწია. 1896 წლის აპრილის პირველ რიცხვებში წარვუდექი სახბანკის ნიკოლაევის განყოფილების გამგეს, რომელმაც მაშინვე მომიჩინა ჩემი სამუშევარი. გავიდა თითქმის ერთი წელიწადი, რომ მოულოდნელადა და ანაზღაოთ მივიღე ცნობა ჩემი ნაცნობის სანდრო გუგუშვილისგან, რომ ფოთის, ჩვენი ქალაქის თავი გთხოვთ, მიიღოთ სამსახური ქალაქის თვითმმართველობაშიო. პირობებს არ მწერდა. მე ეს ამბავი ძალიან მესიამოვნა, რადგან სამშობლოში დაბრუნება მეღირსებოდა. მართლაც, მეორე დღესვე ბანკის გამგეს ჩემი განცხადება გადავეცი, რომ სამსახურს თავს ვანებებდი. მან ბევრი მეხვეწა დარჩენას, თან გადმომცა ფინანსთა მინისტრის განკარგულება, რომელიც იმ დილას მიეცათ, ჩემ შესახებ – ვინიშნებოდი ქ. თეოდოსიის სახბანკის განყოფილების კონტროლიორის თანაშემწედ. ეს ჩემთვის დიდი წარმატება იყო. ბანკის განყოფილებაში მთავარი ადგილებია – გამგისა, კონტროლიორისა, უფროსის ბუხლალტერისა და კონტროლიორის თანაშემწისა. მამასადამე, მე მეძლეოდა მეოთხე ადგილი მაშინ, როდესაც მე მქონდა მეექვსე ადგილი. ამით მე ერთბაშად ვახტებოდი ორ თანამდებობას და ამით დიდად ვწინაურდებოდი. მაგრამ ამან ვერ მომხიბლა, გამგის გულწრფელმა თხოვნამ ვერ გასჭრა. ამ გამგის ოჯახში ძალიან მიღებული ვიყავი და მე ცხადად ვამჩნევდი, რომ გამგესაცა და მის მეუღლესაც გულწრფელად ვუყვარდი და პატივსა მცემდენ. მესამე დღესვე გამოვეთხოვე თანამოსამსახურეებს, გუგუშვილს წერილით ჩემი თანხმობა ვაცნობე და, ჰაიგიდი! – გამოვსწიე ფოთისკენ. აპრილის 27, 1897 წელს წარვუდექი ნ. ი. ნიკოლაძეს. ამან დამნიშნა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს მდივნად, ხოლო მეორე წელს ქალაქის გამგეობის უფროს ბუხლალტრად. 1900 წელში, შემოდგომაზე არჩეულ ვიქენი ქალაქის თავის მოადგილეთ. ამ თანამდებობაზედ დავყავი 1906 წლის დასასრულამდე.

1907 წლის პირველი იანვრიდან გადავედი ქ. ქუთაისში ამავე თანამდებობაზედ. აქ დავყავი 1910 წლის დეკემბრამდე, როცა აქ ნოემბერში ქალაქის თავად ვიქენი არჩეული, მაგრამ მეფის ნაცვალმა ვირონცოვ-დაშკოვმა ამ თანამდებობაზედ არ დამამტკიცა. მიზეზი, მგონია, ის იყო, რომ ამა წლის მაისში ჟანდარმერიის მიერ ხელმეორედ გაჩხრეკილი ვიქენი. წაიღეს უამრავი წიგნი, რომლებიც ჟანდარმთა სამმართველომ მესამე დღეს დამიბრუნა უკლებლივ, რადგან დარწმუნდა, მე უფლება მქონდა, მქონიყო ყოველნაირი წიგნის ერთი ცალი, რაც უნდა აკრძალული ყოფილიყო იგი სხვებისთვის. მგონია, ჟანდარმის უფროსმა ჩემი გაჩხრეკის შესახებ მოხსენება გაუკეთა მეფის ნაცვალს ჩემის არა-კეთილიმედიანობის შესახებ, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთი ვერაფელიც მინახა. გარდა ამისა, ჩემ შესახებ ჟანდარმერიასა, გუბერნატორსა და თვით მეფის ნაცვალსაც მიდიოდა აუარება საზიზლარი ბეზღება. მაგრამ ამათ საზიზლარსა და არა-საკადრის საქციელზედ ცალკე მაქვს ვრცლად მოხსენებული (იხ. ჩემი ვრცელი მოხსენება: ქუთაისის ქალა-

ქის თვითმმართველობა). 1911 წლის მაისში არჩეულ ვიქენი ქუთაისის მიხეილის სახელობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრად, ხოლო ამავე წლის შუა აგვისტოდან წარგზავნილ ვიქენი გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მიერ ამავე ბანკის ტფილისის განყოფილების გამგედ. ამ ბანკში ამავე თანამდებობაზედ ვიმსახურე საქართველოს გასაბჭოებამდე, ე. ი. 1921 წლის მარტამდე, როცა ქუთაისის რევკომის მიერ მიწვეულ ვიქენი სამფინგანის კოლეგიის წევრად. დამეკისრა ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის ბანკების სრული ლიკვიდაცია, რაიც პირნათლად და ზუსტად შევასრულე. 1921 წლის დეკემბერში დამნიშნეს სახბანკის ქუთაისის განყოფილების გამგედ, მმართველად. 1924 წლის მარტის 31-დე დავყავი ამ თანამდებობაზედ, ხოლო ამ რიცხვიდან საცხოვრებლად ქ. ტფილისში გადავედი, ვინაიდან სახსაბჭოს მიერ არჩეულ შევიქენი ფინსახკომის მოადგილედ 19/III-ს. ამ თანამდებობას ვასრულებდი 1929 წლის 12/III-დი, როცა პენსიაში გამოვედი და სამსახურს სრულებითაც თავი დავანებე. პენსიად თვითსახსაბჭომ დამინიშნა, შემინარჩუნა ჩემი ჯამაგირის მთელი ოდენობა, რაიც მაშინ შეადგენდა 210 მანეთს. ამასთანავე დადგენილ იქნა, თუ კი პასუხისმგებელი მუშაკის ჯამაგირი შეიცვლებოდა, იმის თანაბრად შეიცვლებოდა ჩემი ჯამაგირიც: დაიკლებდა, დამაკლებოდა, მოიმატებდა, მეც ამდენადვე მომემატებოდა. მაგრამ სინამდვილეში ეს არ გამიმართლა: ახლა ჩემი პენსია შეადგენს 350 მან., რომელიც შეადგენს არა უმეტეს ერთი მანეთისას, რადგან ამ თანხას თუ მე ვუდარებ იმ თანხას, რომელსაც ვიღებდი პენსიაში გამოსვლის დროს, ე. ი. 210 მანეთს, რომელიც მთლად ერთიანად აკმაყოფილებდა ჩემ ხარჯებს ყოველი მხრით – ჩაცმა-დახურვითა, სასმელ-საჭმლითა, ბინის ქირითა და სხვა რაიმე მოთხოვნილებას და ამით საშუალო შეძლებულს პირის მდგომარეობაში ვიყავი. ახლა კი ჩემი პენსია 350 მანეთისა არა თუ ამ ყოველგვარს, სულ უმცირეს მოთხოვნილებას მიკმაყოფილებს, არამედ სამი დღით ერთი თავის, ერთი კერძის საშუალებასაც არ მინაზღაურებს. ამიტომ საშინელია ჩემი ყოფა. ვიცი, რომ სასტიკი და შეუხდობელი ომი მოულოდნელად თავს დაგვატყდა. ამას გაძლება და ატანა უნდა. საშვილისშვილო ომს უნდა შეეწიროს ყოველი მოქალაქის სული და გული, რადგან კარგად ვიცი დიდი აკაკის დიდებული თქმა:

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო!

ახლა ისევ უკან უნდა დავბრუნდე. ჯერ გიმნაზიაში ყოფნის დროს ჩემ ყურადღებას იქცევდა საზოგადოებრივისა და პოლიტიკური მდგომარეობის ყველა მოვლენა. ამ მიზნით რამდენიმე ამხანაგისგან მცირე ჯგუფი შევადგინე, რომელზეც შაბათ საღამოობით ერთმანეთს ვუკითხავდით ამა თუ იმ საგულისხმო და თვალსაჩინო მომენტის შესახებ მოხსენებას. სხვათა შორის, ამ ჯგუფს წავუკითხე მოხსენება – „В вихре современности“ – რომელშიც ალექსანდრე მესამის დროის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას ვახა-

სიათებდი. ეს მოხსენება წაკითხვის შემდეგ იმავე საღამოს დავსწვი, რადგან ამის შენახვა საფათარაკო იქნებოდა. ეს მოხსენება დავწერე იმის გამო, რომ იმ წელიწადს ქუთაისს ეწვია ალექსანდრე მესამე თავისი ოჯახობით. მოხსენება საკმაოდ ვრცელი იყო. იგი დავწერე შჩედრინის „Мелочи жизни“-ს მიბაძვით. უნივერსიტეტში წასვლისას ჩემი ლექსების ვრცელი ცალკე კრებული დავსწვი. ეს ლექსები დანერილი იყო ილია ჭავჭავაძის მიბაძვით. ამ ლექსთა კრებულში სხვა ლექსთა შორის მქონდა ერთი ლექსი, ალექსანდრე მესამის დამახასიათებლად. ამ ლექსის მხოლოდ პირველი ტაეპი მახსოვს:

ყველა ამბობს, კარგი ვარ!
მშვენიერი, ნაზი ვარ!
ტანად კანტო, მოსული,
ბეჭეებში სქელი ვარ.
რალად უნდა ამას თქმა,
სახელმწიფო კაცი ვარ!..

ეს ლექსი მათქმევინა ალექსანდრე მესამის სურათმა, რომელიც მაშინ გავრცელებული იყო. ამ სურათზე აღბეჭდილი იყო ახმახი, უზარმაზარი ტანის კაცი, რომელიც საღებავებით ძალზე შეზავებული და შელამაზებული იყო, ხოლო რომლის თვალებში სრულებით არა სჩანდა ადამიანის ჭკუის სიმახვილისა და გამჭრიახობის ნიშნის ნატამალიც. ეს წარმოდგენდა მხოლოდ უნიშატო ლეშს. ამავე გიმნაზიაში ჩემ ბინაზედ 1888 წელს შემოდგომაზედ ჩემ მიერ შედგენილ მცირე წრეს ლექციებს, ჩემი თხოვნით, გვიკითხავდა ვასილ წერეთელი, რომელიც იმ ხანად ქუთაისში ცხოვრობდა და რომელიც ოდესის უნივერსიტეტიდან გამორიცხული იყო იმიტომ, რომ ასეთსავე ლექციებს თურმე უკითხავდა პორტის მუშებს. ოდესიდან ვასილ წერეთელი ეტაპით იქნა გადმოგზავნილი საქართველოში. ამ წრეში იყო ვალოდია ლორთქიფანიძე, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების შემდეგ გერმანიაში წავიდა, რამდენიმე წელი იქ გაატარა და შემდეგ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში იყო მასწავლებლად, რომელიც ამავე დროს თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელსა“ და ამის მიმდევნოსა და სამაგიერო გაზეთებში და რომელმაც სთარგმნა პირდაპირ გერმანულიდან ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორია. იგი გარდაიცვალა აგარაკ აბასთუმანში 1909 წელში, აგვისტოში. ამავე წრეში იყო ვალოდიას კლასის ამხანაგი ივანე ლუზინი, ძალიან ცოცხალი, მკვირცხლი და ნიჭიერი ყმანვილი იყო. შემდეგ ეს ლუზინი თვალთავან გადამეკარგა. ვიცოდი კი, რომ იგი ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა, აქიდან გამორიცხული ტფილისში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი შეიქნა. ეს ის ლუზინი უნდა იყოს, რომელიც ლ. ბერიას მოხსენებული ჰყავს თავის წიგნაკში – „ამიერკავკასიის ორგანიზაციის ისტორიის საკითხისათვის“ (გვ. 22). ამ წრეში შედიოდა კიდევ სამი ყმანვილი. ერთ საღამოს, როცა ვასილ წერეთელმა ლექციის კითხვა გაათავა, წავიდა. აგრეთვე წავიდენ ვალოდია და ლუზინი, თუმცა წინად

ლამ-ლამობით ჩემსას რჩებოდენ, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდათ, ვინაიდან ორივენი გიმნაზიის პანსიონერები იყვნენ და ამიტომ პანსიონში ასე დაგვიანებულებს ხომ არავინ შეუშვებდა. მაგრამ იმ სალამოს იღბლად მაინც წავიდენ. მე კი მივუჯექი სამეცადინო მაგიდას და ფიზიკის სახელმძღვანელოს კითხვა დავიწყე, რადგან არ მეძინებოდა და არც სხვა რისიმეს კითხვა არ მსურდა, რადგან ნერვები ოდნავ ათამაშებული მქონდა. ამ ხანში უკვე ლამის ორი საათი გასულიყო. მულოდნელადა და სრულებით უცაბედად ჩემი ოთახის კარები შემოაღეს ჩემი კლასის დამრიგებელმა (классный наставник) კინშინმა, რომელიც ფიზიკას გვასწავლიდა, და მეთვალყურემ (надзиратель) გუსევმა. ალერსითა და თავაზიანად მივიღე, მაგრამ ძალიან კი გამიკვირდა ამათი ასე გვიანი სტუმრობა. ეტყობა, ამათ მე შემატყვევს ეს ჩემი გაოცება და გაურკვეველობა და მობოდიშებით მითხრეს: გზად მივდიოდით, თქვენი ოთახის სინათლემ მოგვანათა და შემოვიარეთო. ამ დროს გუსევმა ჩემ წიგნებს, რომლებიც თაროებზედ (ეტაჟერი) იყო, თვალიერება დაუწყო. აქ შენიშნა ნ. კ. მიხაილოვსკის თხზულება, ორი ტომი. გამოიღო და მითხრა: ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება, წავიკითხო მიხაილოვსკის ნაწერები. იგი ჩემი ამხანაგი იყო. არ ვიცოდი, თუ მწერლობდაო. წავიკითხავ და დაგიბრუნებო. რალა მეთქმოდა, მივხვდი კი, რომ ჩემდა საკეთილოდ არ გამოიყენებდენ ამ წიგნებს. მართლაც, ეს წიგნები მეორე დღესვე პედაგოგიურ საბჭოსთვის წარედგინათ, დირექტორისთვის ეჩვენებინათ და განეცხადებინათ: ხომ ხედავთ, ხომ ამჩნევთ, რომ ეს ყოვლად დაუშვებელი რამ არისო? როგორ შეიძლება, რომ გიმნაზიის მოწაფე საეჭვო მწერლის საშიშარსა და მავნებელ სტატიებს კითხულობდესო! მიხაილოვსკი ხომ Отечественные записки-ების მთავარი თანამშრომელი არის და უკიდურესად პროგრესიული აზროვნებისა, თავისუფალი მოაზროვნე არის. ამიტომ გუსევიცა და კინშინიც მოითხოვდენ სასტიკად ჩემ დასჯას, ე. ი. გიმნაზიიდან გამორიცხვას. დირექტორს წიგნები თუ რამე გადაეფურცლა და შეენიშნა, რომ ეს წიგნები ცენზურის მიერ ნებადართული იყო. ამიტომ განეცხადებია: ხომ ხედავთ, რომ წიგნები ცენზურის მიერ ნებადართულია; ამიტომ ფანცხავას შეეძლო იმათი ყიდვაო და წაკითხვაც; მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ფანცხავა ამ წიგნების ვერც თავსა და ვერც ბოლოს გაიგებს, ტყუილად დროს დაკარგავს; ამიტომ წინადადებას ვაძლევ და ვავალეშ შესასრულებლად კლასის დამრიგებელს კინშინს, ფანცხავა დაარიგოს და მას განუმარტოს ყოველივე ამ წიგნების შინაარსის მხარე, ხოლო წიგნები კი დაუყონებლივ დაუბრუნდესო და მას ამის გამო არავითარი საყვედურიც კი არ მიეცემაო. გუსევმა, მართლაც, წიგნები დამიბრუნა, ხოლო დიდი ხნის შემდეგ. აი, ასე გათავდა ამ ვაჟბატონების ეს ოინები. მე ეს ამბავი, რომ ასეთ ლაპარაკს ჩემ შესახებ ადგილი ჰქონდა პედაგოგიურ საბჭოში, გადმომცა ჩვენმა მასწავლებელმა სოსო ლოლობერიძემ. იგი მეექვსე კლასიდან მსოფლიო ისტორიას გვასწავლიდა; ამ საგანს მე ძალიან კარგადა და შეგნებულად ვსწავლობდი. მეხუთე კლასში კი ამავე საგანს გვასწავლიდა თვითონ დირექტორი სტოიანოვი, ესევე მესამე კლასში გვასწავლიდა ბერ-

ძნულ ენას. ორივე საგანს კარგად და ზედმინევენით ვსწავლობდი. რაკი ამ ორისავე შეხედულებით ამ ორსავე საგანში მე მოსაწონი მოწაფე ვიყავი, ამიტომ მგონია, რომ აღარ გამიმეტეს და დასჯილი აღარ შევიქენი.

მოსკოვის ქართველ სტუდენტების მეთაურობით წამოყენებულ იქნა საკითხი, რომ ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის ქართველი სტუდენტობის დელეგატები ერთად შეკრებილიყვნენ და გამოერკვიათ თავის საჭირობოროტო საკითხები. მოსკოვის სტუდენტობის ეს წინადადება სხვა უნივერსიტეტის სტუდენტობამაც გაიზიარა, მოინონა და დანიშნა დელეგატთა ყრილობა ქალაქ ქუთაისში. 1892 წლის ზაფხულის აგვისტოში ყრილობა შესდგა. აქ იყვნენ ყოველის საუნივერსიტეტო ქალაქიდან ქართველი სტუდენტობის დელეგატები, რომელნიც არჩეულ იყვნენ ადგილობრივ და რომელთ მიცემული ჰქონდათ სათანადო მანდატები. მე ოდესიდან ვიყავი. მეორეც იყო არჩეული, მაგრამ ის არ გამოცხადდა. ყრილობა შეიკრიბა და იკრიბებოდა პეტერბურგის სტუდენტის, ჩემი ამხანაგის იოსებ ჩარექოვის სახლში, რომელიც რიონის მარცხენა მხარეზედ იყო და გიმნაზიის შენობის გვერდით სამხრეთით. ყრილობამ თავმჯდომარედ აირჩია მიხეილ ხელთუფლიშვილი, მოსკოვის ნასტუდენტარი. გაირჩა სხვადასხვა კითხვა, რომელნიც ერთხმად იქნენ მიღებული. ბოლოს დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება და განწყობილება გვექონოდა სომეხ სტუდენტობასთან. საკითხი გრძელ სჯა-ბაასში საბოლოოდ გამოირკვა და უარყოფითად გადაწყდა. ყრილობის სჯა-ბაასის ოქმები შესდგა. ამ ოქმების ერთი ცალი შემდეგ ყოველს საუნივერსიტეტო ქალაქის ქართველ სტუდენტობას გაეგზავნა, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერათ ყველას და მოსკოვის სტუდენტობისთვის დაებრუნებიათ. ასეთი ოქმის ერთი ცალი, რასაკვირველია, ვარშავის სტუდენტებსაც გაეგზავნა. აქ საბეითალო ინსტიტუტში სწავლობდა ფილიპე მახარაძე. მას ეს ოქმი შინ წაეღო. ფილიპე მახარაძე ამავე დროს იქაურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრიც იყო თურმე. ამ ორგანიზაციას ამისთვის მიენდო დღისით ფოშტიდან გამოეტანა არა-ლეგალური ლიტერატურა. მას ეს გამოეტანა და ბინაზე მიეტანა. მას უკანიდან დადევნებოდა მალულად შპიკი, რომელმაც იმავე ღამით ფილიპეს ჟანდარმერია წააყენა. ჟანდარმერიამ ნაილო ყოველი საბუთი, რაც კი ნახა. სხვათა შორის წაეღო ქართველ სტუდენტობის ოქმიც. ამ უკანასკნელის შესახებ გამოძიება დაიწყო, რომელიც მიენდო გამოცდილსა, უალრესად ცბიერ ჟანდარმს – დებოლს და რომელიც დაწვრილებით გამოსაძიებლად გადმოტანილ იქნა ქ. ქუთაისში. ფილიპე მახარაძე ციხეში იქმნა გამომწყვდეული. გამოძიებაზედ დებოლისათვის ვილაცა სტუდენტთაგანს ჩემი გვარიც დაესახელებია. ამიტომ, როგორც ზევითაც აღვნიშნე, 1895 წლის თებერვალში გამჩხრიკეს და დამკითხეს. შედეგი ამ დაკითხვისა ის იყო, რომ მე პოლიციის ღია მეთვალყურეობას ვიქენი მიცემული. ეს სასჯელი ყოვლად უწესო და ძალიან შემანუხებელი იყო. ფეხს ისე ვერსად გადავდგამდი ფოთიდან, რომ პოლიციის ბოქაული არ მისულიყო ჩემ ბინაზედ და არ გამოეკითხა, თუ სად, როდის და ვისთან წავიდა

იაკობ ფანცხავაო. ახლა ეს აცნობებდა იმ ბოქაულს, სადაც ვიყავი მისული და გამოიძიებდა, გამოიკითხავდა, ჩავედი თუ არა და რა გავაკეთე. ეს გარემოება ძალიან აწუხებდა იმას, ვისთანაც ან ლამეს გავათევედი ან სანახავად მივიდოდი. ზაფხულობით ნ. ნიკოლაძის ოჯახობა სოფელ ჯიხაისში ცხოვრობდა. ხანდახან ან ნ. ნიკოლაძეს წავეყვებოდი ამის ოჯახის წევრების სანახავად, ან მე და კონია მიქაბერიძე ავიდოდით. ორიოდე დღით თუ დავრჩებოდი, მეტი არა. ერთხელ ნ. ნიკოლაძის მოურავი დაებარებია ადგილობრივ ბოქაულს და დაეკითხა ჩემ შესახებ. მოურავს ძალიან შეშინებოდა. ამიტომ, როცა მეორედ ავედი, ამან შემომჩვილა, ასე და ასე იყო. მე იგი ვანუგეშე და დავარწმუნე, არაფერიათქო. მეორეჯელ ბოქაულს თვალის აქიმივე, ტარსაიძე დაეკითხა. ტარსაიძესთან თვალეზს ვაქიმობდი, რადგან კაკალი თვალი განითლებული მქონდა. ამნაირივე შემთხვევა იყო ჩემ სოფელში. როცა იქ ავედი, ორი-სამი დღე-ღამე დავყავი. ამ დროს ღამით, შუალამისას ჩემ ბიძაშვილს, მღვდელს კალისტრატეს მივარდნოდა მთელი ამალა მამასახლისის, ქუთაისის ბოქაული, ჟანდარმის ოფიცერი და სოფლის მამასახლისის მწერალი. გამოეკითხათ, აქ არის თუ არა იაკობ ფანცხავაო. კალისტრატეს ეპასუხნა, წასულიაო, ყოფნით კი იყო, რადგან არ უნდოდა სიმართლის თქმა, რომ მე არ გამოველვიძებიეთ. ასეთი ვითარებისა გამო მე, თუკი ფოთიდან სადმე წავიდოდი, არავისთან ნაცნობთაგანისას ღამის გასათევად არ ვრჩებოდი, ყოველთვის სასტუმროში ჩამოვხტებოდი. სანახავათაც თითქმის არავისთან შევდიოდი. ეს კი ჩემში ჰქმნიდა ძალიან ნერვიულობას, ზაფრიანობას, რადგან ჩემი მეოხებით სწუხდებოდა ყოველი ჩემი ნაცნობი ან ნათესავი.

ფოთში ყოფნის დროს, რასაკვირველია, პირდაპირსა და დამოუკიდებელ მონაწილეობას ვიღებდი ყველა იმ სამუშაოთა საქმეში, რომელიც იმ ჟამად წარმოებდა ფოთის პორტის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად და ქალაქის კეთილმოსაწყობლად. მაგრამ ამას გარდა, მხოლოდ ჩემი ინიციატივით დაარსდა ფოთში გიმნაზია და აშენდა ამ გიმნაზიისთვის ცალკე დიდი ორსართულიანი შენობა, თითქმის მხოლოდ საზოგადოებაში შეკრებილი ფულით, რომლის შეკრებას მევე ვხელმძღვანელობდი და ვანარმოებდი. ჩემივე ინიციატივით დაარსდა ფოთში საჯარო ბიბლიოთეკა, რომელმაც ბევრი ჭაპანწყვეტა და უსიამოვნება მომაცენა გუბერნატორის კანცელიარიის მმართველისგან, ვინმე სიპოვიჩისგან. რაკი ფოთში საშუალო სასწავლებელი, გიმნაზია არ იყო, ამიტომ მცხოვრებლები იძულებული იყვნენ, თავისი შვილები სასწავლოდ ქუთაისის გიმნაზიას ან რეალურ სასწავლებელში მიებარებიათ. ამიტომაც იძულებული იყვნენ, შვილებს დედები თან გაყოლოდენ, ქუთაისში ეცხოვრათ, ხოლო ფოთში კერა ჩაეჭროთ და გაენელებიათ. აქ ამათი ქმრებიძალღურად ცხოვრობდენ და კლუბში კარტის თამაშით ერთობოდენ. აი, ეს მიზანი მქონდა, როცა ჩემი დაჟინებით ქალაქის თვითმმართველობა გიმნაზიის დაარსებას მოითხოვდა. ქ. ქუთაისში ყოფნის დროსაც იმ სამუშაოთა გარდა, რომელთა შესრულება დაკისრებული აქვს ქალაქის

გამგეობას, მხოლოდ ჩემი ინიციატივით აშენდა ქალაქის საავადმყოფოს შენობა სალორიაში, ორსართულიანი ქვითკირის სახლი ქალაქის შკოლისთვის (გოგებაშვილის ქუჩაზე) და სამსართულიანი ქვითკირის სახლი, რომელშიც იმ ხანად მოთავსებული იქნა ფოშტა-ტელეგრაფი. ჩემივე ინიციატივით დაარსდა ლაბორატორია სანოვაცის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიზნით და სავეტერინარო-სამიკროსკოპო სადგურით. ჩემივე ინიციატივით დაიწყო მუშაობა ქალაქის გეგმის შესადგენად, რომელი გეგმაც ქალაქს თავიდანვე არ ჰქონდა. ჩემივე ინიციატივით გაშენდა სალორიის ტყეში აკაციის ხე რამდენიმე დღიურზედ, რომელსაც უნდა შეეცვალა მოხნარი აკაციის ტყედ, რადგან ეს ასამკეცებდა სალორიის ტყის შემოსავალს (მუხა რომ საშეშეთა და შპალად გამხდარიყო, ამისთვის მუხის ხეს სჭირდებოდა 30–40 წელიწადი, აკაციას კი ამავე ზომისას ყოფნიდა 15 წელიწადი და ამასთანავე აკაციის მერქანი ბევრად უფრო მტკიცე და მაგარია, ვიდრე მუხისა) და ამავე დროს ქუთაისისა და ამის ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებთ აკაცია მისცემდა მდიდარს მუქთა წყაროს მეფუტკრეობისთვის (ფუტკარი ხარბად ეტანება აკაციის ყვავილს და ამით ამზადებს უფრო ტკბილ თაფლს კობრუჭს, ნამდვილ კანფეტს). ქუთაისის ქუჩები შოსეებად იყო გაკეთებული. ზენაქარის (რაიც აქ ხშირია) დროს ამ ქუჩებზე ავარდებოდა მტვრის კორიანტელი, რომელიც მთელ ქუთაისს ამ სქელ მტვერში ბურავდა, ხოლო წვიმებისას დადგებოდა და გუბდებოდა ნუშე წყალი. ეს გარემოება ქალაქს აბინძურებდა სანიტარული მხრით. ამის მოსასპობლად და ასაშორებლად ჩემის ინიციატივით პირველსავე წელს ქუთაისში ჩემი გადასვლიდან სასწრაფოდ ჩატარებულ იქნა ქუჩების მოკენჭვა, „მოსტოვის“ გაკეთება.

ფოთში ყოფნის დროს ვიყავი ქართველთა შორის წერა-კითხვისა და დრამატული საზოგადოებათა წევრი და, როგორც ასეთი, ვწარმოებდი წევრთა შემოკრებას და ამათგან სანევრო ფულებს ვკრეფდი, რომელსაც ვაგზავნიდი წესიერად დანიშნულებისამებრ. ქუთაისშიც ამ საზოგადოებათა წევრი ვიყავი და შემდეგ კი ამ საზოგადოებათა გამგეობის თავმჯდომარეც. ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი ვიყავი „სინათლის“ საზოგადოებისა, რომელსაც ცალკე შკოლა ჰქონდა, სადაც სწავლა ახალ საფუძველზე სწარმოებდა. ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი ვიყავი ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოებისა, რომელმაც ქუთაისში შექმნა სიძველეთა მუზეუმი. 1909 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში დიდი სიცხეებისა გამო (დიდი გვალვა) დიდი მოუსავლიანობა იყო, ამიტომ გუბერნატორი, პრესის გავლენისა გამო, იძულებული შეიქნა მეურნეთა ყრილობა შემოდგომაზედ მოენჭია. ამ ყრილობის დღიური წეს-რიგი წინდანინვე შემუშავებული იყო, თვითონ გუბერნატორთან შეთანხმებით, ამის კანცელარიის გამგესთან. ამ ყრილობის თავმჯდომარედ მე ვიქენი არჩეული. ჩემი გაკვირვება დიდი იყო, როცა დაწვრილებით გავეცანი განსახილველ კითხვათა სიას, იქ არ აღმოჩნდა საკითხი, თუ რა გზითა და რა ღონისძიებათა მიღებით საჭირო იქნებოდა, რომ მცხოვრებლებს შიმშილობა აცდენოდა საშინელი მოუსავლიანობის გამო. ეს საკითხი ჩემი ნებითა და

ინიციატივით, გასარჩევად ყრილობას დავუსვი. ყრილობამ აღნიშნა საჭირო ღონისძიებანი და საშუალებანი, რაც კი იმ დროს, იმ რეჟიმის დროს, შესაძლებელი იყო. ოქმები გუბერნატორს წარვუდგინე და განსაკუთრებული მოხსენებაც კი მოუსავლიანობის შესახებ. გუბერნატორმა სლავოჩისკიმ ყოველი ეს მასალა მეფის-ნაცვალს წარუდგინა. იქიდან ფიცხლავ მომთხოვეს პასუხი, თუ რა უფლებით დასვით ეს საკითხიო. ბევრი ოინობითა და მოხერხებით ძლივს-ლა ავიცდინე თავიდან პასუხისმგებლობა. თებერვალის რევოლიუციის შემდეგ არჩეულ ვიყავი ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრათა და თავმჯდომარის ამხანაგად. აღმასრულებელმა კომიტეტმა ამასთანავე დამაკისრა ქუთაისის სახაზინო პალატისა და ამის ქვემდებარე ხაზინების კომისრობა. ვიყავი ქალაქისა და ერობის საბჭოების წევრად. 1922 წ. არჩეულ ვიქენი ქუთაისის ქალაქისა და მაზრის საბჭოების წევრად. 17 თებერვალს, 1922 წ. ამ საბჭოების ყრილობის პრეზიდიუმის წევრად ვიყავი. ვიყავი ქუთაისის აღმასკომის წევრად არჩეული. არჩეულ ვიქენი ა/კ საბჭოთა ყრილობის დელეგატად ბაქოში 5 დეკემბერს, 1922 წ. ვიყავი დელეგატად ქალ. ტფილისში საქართველოსა და ა/კ. მეორე ყრილობაზედ 3/7/1, 1924 წ. ხელახლად არჩეული ვიქენი ქუთაისის ქალაქისა და მაზრის საბჭოებისა და აღმასკომის წევრად. როგორც აღმასკომის წევრი ვიღებდი მონაწილეობას პრეზიდიუმის სხდომაზედ და გარდა ამისა ვანარმოებდი მუშაობას აღმასკომის სხვადასხვა კომისიებში, განსაკუთრებით საალმშენებლო, კომუნალურ მეურნეობათა და საფინანსო დარგებში და იმ კომისიაში, რომელმაც გამოიმუშავა საადგილმამულო რეფორმის გატარების წესები ქალაქის ფარგლებში.

როგორც ზევით აღვნიშნე, 1895 წ. აგვისტოდან „კვალში“ სამუშაოდ მიმინვია გ. წერეთელმა. მეძლეოდა ოცი მანეთი. ასე მითხრა, მე კი არ შევვაჭრებივარ, ამაში დავეთანხმე უსიტყვოდ. ჩემი მოვალეობა იყო გახეთის კორექტურა, კორესპონდენციების გადაკითხვა და გადასწორება, თუ კი დასტამბის ღირსად ვპოვებდი, და სხვა სტატიების გადაკითხვა და შესწორება. ამასთანავე ყოველ ნომერში ჩემივე სტატია უნდა ყოფილიყო ან მეთაურად ან ამის მაგიერად. ცალკე ჩემი სტატია სხვა თუ რამე იქნებოდა, ეს ხომ კარგი იყო. გ. წერეთელი წავიდა, მაგრამ სექტემბერსა და ოკტომბერში მანაც ხანდახან ჩამოდიოდა. ოკტომბრის ბოლოდან კი აღარ ჩამოსულა. მე ისე დავტოვე და გამოვეთხოვე „კვალსა“ და ამის რედაქციას, ისე წავედი ტფილისიდან, რომ გიორგის არ გამოვეთხოვებივარ, რადგან იგი ტფილისში არ იყო. გაზეთ „კვალში“ თანამშრომლობის დროს გავიცანი აკაკი. აკაკიზედ აქ არაფელს ვამბობ, რადგან აკაკის შესახებ ჩემი მოკლე მოგონება დაიბეჭდა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის გამოცემაში „ლიტერატურული მატრიანეს“ №3-4-ში, ხოლო აკაკიზედ უფრო ვრცელი მოგონება მაქვს ჩემ თავგადასავალში. ამას აქ აღარ განვიმეორებ. თუ „ჩემი თავგადასავალი“ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ იქ გაეცნობა მკითხველი საზოგადოება ჩემ გულითადასა და გულწრფელ შეხედულებას აკაკის შესახებ. ამიტომაც და ამავე მიზეზისა გამო არრას ვამბობ გიორგი წერეთლისა, იმის მეუღლის – ანასტასია თუმანოვ-წერეთლისა, ამის

„ჯეჯილისა“ და „კვალის“ ერთგულ თანამშრომლებისა და მარიამ დემურისა, გრ. დიასამიძისა და ამის დედ-მამისა, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა შესახებ, რადგან ამათ შესახებ აღნიშნული მაქვს „ჩემ თავგადასავალში“ ყოველივე ის, რაც კი ამ პირების შესახებ ვიცოდი ან ვიცი.

ჩემი სტატიების შესახებ არრას ვამბობ, რადგან ამისი უფლება არცა მაქვს. ამ სტატიების ღირსებისა და ნაკლოვანების შეფასება ეკუთვნის მომავალ თაობათ. ამათ, როგორც სურდეთ, ისე შეაფასონ. ჩემდა თავად ვიტყვი კი, რომ ჩემ მოღვაწეობაში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებასა, ისე მწერლობაშიც ვიქცეოდი სრულებით გულწრფელადა და ქართველი საზოგადოებისადმი უღრმესი და გულითადი სიყვარულით განმსჭვალული. ამ მიზნის შესრულებაში არ ვიცოდი არც მორიდება არავის წინაშე და არც არაფლის შიში ჩემ გულ-მკერდს არ მიჰკარებია. მხოლოდ გულში ჭეჭად ის მაქვს ჩარჩენილი, რომ მთელის ჩემი ძალ-ღონით მწერლობაში არ ვიყავი ჩაფლული და ამ მწერლობაში დაძაბული ენერგიით განუწყვეტილად გართული, რადგან, უნდა ამკარად ვსთქვა, მწერლობას ნამდვილად თითქმის გარეშე ვემსახურებოდი. მაგრამ ამის მიუხედავად ჩემი ნაწერები, თუ ოდესმე იგი დაიბეჭდება და ცალკე გამოიცემება, სრულსა და ვრცელს, დიდ კაბადონიან რვა ტომს შეიცავს. გულითა და სულით მიძღვნილი მცირეც კი შეინირება. მხოლოდ იმას შეუძლია მიხვდეს ჩემ გულის ბოლმას, ჩემი სულის უკმარისობის გრძნობას, ვინც ნამდვილადა და მთელი არსებით ემსახურება მწერლობას. ამიტომ ასეთი გრძნობის დასახასიათებლად მოვიტან ვასილ წერეთლის აზრს ამის შესახებ, რომელი შეხედულებაც ცხადადა და ნათლად გამოხატავს, გამოამკარავებს ჩემს სულის სწრაფის ძირითად თვისებას. ვასილ წერეთელი სწერს: „როგორც ტარიელი იტანჯებოდა ნესტან-დარეჯანის უნახაობით, ისე ჩვენი მწერალი იტანჯება სულიერად, რომ თავის სატრფოს, ლიტერატურას, შორიდან ემსახურება და არ შეუძლია, მთლად თავისი სული, გული, თავისი განუზომელი სიყვარული ანაცვალოს. ამ დიდს სულიერ ტანჯვას გაიგებს მხოლოდ ის, ვინც მოწოდებით მწერალია“... – ვსთქვი და ამით სული და გული დავინწყნარე, დავიმშვიდე. *Dixi et animum levavi!*

1903–1918 წ. ვიყავი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. ფოთში ყოფნის დროს ვიყავი ამ პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო ქუთაისში ყოფნისას ვიყავი საგუბერნიო კომიტეტის წევრად, მერმე კი – თავმჯდომარე. 1918 წ. ერთ ჯგუფთან ერთად ამ პარტიას გამოვეყავი და შევადგინეთ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია. ამ პარტიის მანიფესტი, რომელშიც აღნიშნულია ამ პარტიის დამახასიათებელ ნიშნობლივ თვისებათა საფუძველი, ჩემ მიერ არის დაწერილი და იგი მოთავსებულია გაზეთ „ახალ ნაკადში“. საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე ვიყავი წევრი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიისა, ამავე დროს ამ პარტიის ქუთაისის კომიტეტისა და მთელი კომიტეტის თავმჯდომარე, ამავე პარტიის იმ დამფუძნებელი ყრილობის თავმჯდომარეც, რომელიც შესდგა ტფილისში 30/X–3/XI, 1921 წლისა. ამ პარტიის

ლიკვიდაციის შემდეგ, რომელიც მოხდა 7/XI, 1923 წ., გავხდი კანდიდატი საქართველოს კომუნისტური პარტიისა 28/XII, 1924 წ. ამ პარტიის წევრად ვარ 1924 წლის პირველი იანვრიდან.

დავსძენ, რომ შემუშავებული და შედგენილი მაქვს კალენდარი. ამის შესახებ ყოლიფერი მოთხრობილი მაქვს ცალკე საქმეში. ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ. მაგრამ კი ძალიან მინდა, რომ ამ ჩემ გამოკვლევას განსაკუთრებული ყურადღება ექნეს მიქცეული მკითხველი საზოგადოების მიერ. ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ ეს ჩემი გამოკვლევა დაიბეჭდა, ცალკე წიგნაკად გამოიცა და გავრცელდა საზოგადოებაში ქართულსა, რუსულსა, ფრანგულსა და ინგლისურში. დაე, ეს იქნეს ჩემი ანდერძი!..

P. S. 1893 წ. დავასრულე თარგმანი ფერიერის დარვინიზმისა, რომელიც გამოიცა ივ. როსტომაშვილის მიერ 1896 წ. მეორეთ ეს გამოიცა წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიერ 1912 წელში. [...] ვოლტერის [...] თარგმანი დავასრულე 1894 წელში. ეს დაიბეჭდა ჟურნალ „მომამბეში“ 1902 წელში და იმავე ჟურნალის მიერ ცალკე წიგნაკიც გამოიცა იმავე წელში. შემდეგ, 1936–1940 წლებში გადმოვთარგმნე მედიცინის მეცნიერების სხვადასხვა სახელმძღვანელო, რომელნიც ყველა გამოცემულია ჯანმრთელობის მედ. გამოცემის მიერ. ასეთებია: 1. აცრის საქმე. დამცველი (განმარინებელი) ვაქცინები და სამკურნალო შრატები; 2. ფსიქიატრიის სახელმძღვანელო ფერშალთათვის; 3. პათოლოგიის სახელმძღვანელო; 4. ფიზიოთერაპიის მოკლე სახელმძღვანელო. პირველი ჩემი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“ 1893 წლის ხუთ სექტემბერს. ამ წლიდან დაწყებული ვწერდი სტატიებს სამეცნიეროსა (რომელიც ცალკე წიგნაკად გამოიცა სახელგამის მიერ 1927 წელში), პუბლიცისტიკურსა, ეკონომიურსა, სოციოლოგიურსა და სიტყვა-კაზმულის, მხატვრული ლიტერატურის კრიტიკული შინაარსისას – თავდაპირველად გაზეთ „კვალში“, შემდეგ უმთავრესად სოციალ-ფედერალისტთა ჟურნალ-გაზეთობაში („ცნობის ფურცელში“ და ამის მომდევნოსა ან სამაგიერო გაზეთებში), აგრეთვე მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის გაზეთში „სახალხო გაზეთში“ და მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა გაზეთში „ტრიბუნაში“.

ი. ფანცხავა
21.VI – 1943 წ.

დუტუ მეგრელი – დიმიტრი ხომტარია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1938 წ. 13 მარტს ხომტარია დიმიტრი თომას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	დუტუ მეგრელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1867</u> თვე _____ დღე ____
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური შვილი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1892 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არა</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ერისთავ-ხოშტარიას 8</p>

ანკეტური მონაცემები არ არის მისი მუშაობის შესახებ. იხ. ან. ერისთავ-ხოშტარიას ანკეტა.

* — “ _____ 195 წ. წ. კლ., 1957 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დუტუ მეგრელის ნაწარმოებთა სია

1. „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, მოთხრობა, 1892 წ.
2. „ცრემლები“, ლექსი, 1893 წ.
3. „პირველი ტალღები“, მოთხრობა, 1895 წ.
4. „მწარე ფიქრები“, ლექსები, 1897 წ.
5. „ლექსები“, 1909 წ.
6. მოთხრობები, 1910 წ.
7. „მწირი სარდალი“, დრამატიული პოემა, 1915 წ.
8. „საყმანვილო მოთხრობები“, 1919 წ.
9. „პრომეთე“, დრამატ. პოემა, 1919 წ.
10. „მოთხრობები“, 1921 წ.
11. „მოთხრობები“, 1930 წ.
12. „ჩემი სიტყვა“, 1932 წ.
13. „მუშები საქართველოში და შრომის გმირი ხოშტარია“, 1933 წ.

ამონერილია ანკეტიდან, რომელიც შევსებულია 1937 წელს.

სწორია: ნ. კ. 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დუტუ მეგრელი (დ. ხოშტარია)

ავტობიოგრაფიული შენიშვნები

მამა ჩემი, როგორც მისი ნამსახურობითი სია ამბობს, იყო „სამღვდელო დიაკონი სუჯუნის წ-ის გიორგის ეკლესიისა თომა, მღვდლის შიოს ძე ხოშტარია, სასულიერო წოდებისა აზნაურთაგანი“, დედა – აზნაურ გაგუას ქალი სოფელ კოტიანეთიდან.

„დედუ“, „დედუნა“ – ასე უძახოდენ მახლობლები დედა ჩემს. მეც ასე ვუძახოდი, რაც, ვინც ამბავი არ იცოდა, ჩემგან გადაკეთებული „დედა“ ეგონა.

დედუს დედას, ჯერ კიდევ მის დაბადებამდის, გაუზრდია მეზობელ დადიანის ქალის, ნულუკიძის ცოლის, შვილი, რომელიც გათხოვილა აბაშიძეზე. დადიანის ქალს თავის მხრით პატარაობიდანვე ნაუყვანია დედუ და ამა-საც მთელი ბავშობა და ყმანვილქალობა გაუტარებია ჯერ ნულუკიძიანთსა და შემდეგ ნულუკიძის ქალის ქმრის, აბაშიძის, სახლში სოფელ ლაშეში. ამიტომაც დედუმ კარგად იცოდა, როგორც საღმრთო წერილი, ისე საზოგადოდ ქართული მწერლობა, განსაკუთრებით „ვეფხვის ტყაოსანი“; აგრეთვე ხელსაქმეც: ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა და სხვა.

მამა ჩემს, ეტყობა, აგრე რიგად არ იზიდავდა ანაფორა, რომ, თუმცა, როგორც იგივე ნამსახურობითი სია მონიშნავს, „უსწავლიეს ნამარწვეის მონასტერში მისვე მონასტრის წინამძღვრის ილუმენ ვენედიქტესაგან საეკლესიო წიგნი, წერა, გალობა და ტიბიკონი კარგად, ხოლო კატეხისმო და ციფ-

რი – მარტვირის საკათედრო სობოროს კანდელაკის ეპიფანე განერელოვი-საგან“. მხოლოდ 1859 წელს, როცა უკვე 26 წლის არის, ხდება „პირიჩეტნი-კად“ და „დიაკვნად ხელდასხმულ არს 1866 წლის მარტის 15-ს“. სჩანს, ამავე მიზეზით ცოლსაც გვიან ირთავს თომა. მის ნაქონ „ჟამნ“-ზე, სხვათა შორის, შემდეგი მინაწერებია: „წელსა 1866-ს, 24 იანვარს იკურთხა გვირგვინი თომა ხოშტარიათ. 1867-სა წელსა ოქტომბრის 26-ს შეეძინა ძე მისი დიმიტრი, ხოლო თვითონ გარდაიცვალა 1868 წელს, იანვრის 13-ს დღით შაბათს“.

ამ ნაირად ორი თვისა და ნახევრისას მიკვდება მამა და ძირიან-ფესვიანად იცვლება ჩემი მომავალი ცხოვრება. ასე მოულოდნელად დაქვრივებული ახალგაზრდა დედუ გადასწყვეტს, გახდეს მონაზვნად, შვილობილად უხდება ერთ სუჯუნის ეკლესიის ეზოში მცხოვრებ მონაზონს და გადადის საცხოვრებლად მის სენაკში, სადაც, ცოტა ხნით ძიძასთან გაბარების შემდეგ, მივყავარ მეც.

ამ გვარად თითქმის დაბადებიდანვე მშობელ ნიადაგიდან ამოგლეჯილი მე ვიზრდებოდი ხან მონაზვნის სენაკში, სადაც, ახლად ფეხადგმულს, მომდის მარცხენა ფეხის სიდამბლე, რომელიც სამუდამოდ მაკოჭლებს, ხანაც აბაშიძის სახლში, თუ სხვა ნათესავ-მოკეთებთან და

„...ობოლს, მოკლებულს მშობლიურ კერას
კარიდან კარზე მოხეტიალეს,
მუდამ შიშმა და სხვის თვალში ცქერამ
გული ადრევე გამიტიალეს!..“

პირველი ჩემი მასწავლებელი თვითონ დედუ იყო. მას უნდოდა, ბერად ან მღვდლად მაინც გამოვეზარდე. ამიტომ თავიდანვე ქართულ-მხედრულთან ხუცურად კითხვაც მასწავლა და გამუდმებით „დავითნ“-ს მაკითხებდა. შემდეგ ვსწავლობდი ხან აბაშიძის შვილებთან, რომელთაც ყავდათ ხოლმე შინ მასწავლებლებად რუსები და ხან სოფლის სკოლებში: სუჯუნაში და ლაშის მახლობლად ძირულაში. დედუ ცდილობს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩემ მიღებინებას პანსიონერად, მაგრამ უარს ეუბნებიან და ცნობილ მნიგნობარ-მოღვანის – ნ. დადიანის რჩევით (შალვა დადიანის მამა), რომელიც, როგორც ნათესავი, ხშირად იყო აბაშიძისას, თხოულობს, მიმიღონ გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯით. თხოვნას აკმაყოფილებენ და მნიშნავენ ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში კანდიდატად.

1877 წელს ვიჭერ გამოცდას გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში და ჩვენ ვინყებთ მუდმივად ცხოვრებას ქუთაისში. პირველ ხანებში ნ. დადიანის ბინაზე, რომლის ავადმყოფ ცოლის და შემდეგ შვილების მომვლელად ჰხდება დედუ. 1878 წელს გადავდივარ პირველ კლასში და 1879 წლის გაზაფხულზე ვხდები მძიმედ ავად ყვავილით. ამიტომ ვეღარ ვესწრები გამოცდებს და მტოვებენ იმავე კლასში მეორე წელიწადს. შემდეგში აღარ დავრჩენილვარ და საზოგადოდ ერთ-ერთ უკეთეს შეგირდთაგანად ვითვლებოდი.

1881 წელს მღებულობენ პანსიონში და ძლივს კმაყოფილად ვგრძნობ

თავს, რომ სამადლოდ კი აღარა ვცხოვრობ სხვისა და სხვის კარზე, არამედ მეც სხვების თანასწორ უფლებიანი წევრი ვარ, როგორც ყველა პანსიონერი ამ კმაყოფილებას ჩრდილავს მხოლოდ, ერთის მხრით, ჩემი სიკოჭლე და მეორე მხრით, ჯირყვლების სიმსივნით დაავადება, რომელიც დამეწყო ყვავილის შემდეგ, და იძულებული გამხადა, თითქმის გიმნაზიის დასრულებამდის მუდამ კისერ შეხვეული ვყოფილყავი.

მახსოვს, რა ცხარის ცრემლით ვევედრებოდი ღმერთს ყოველ დაძინების წინ, რომ ამ სენისაგან გავეკურნე და მეორე დილით, გაღვიძებისათანავე, საჩქაროდ ხელს მოვისვამდი კისერზე, მაგრამ სასონარკვეთილება მიორკვეცდებოდა, როცა ვრწმუნდებოდი, რომ არამც თუ არ გავკურნებულვარ, პირიქით, წყლულებსა და სიმსივნეს კიდევ უფრო მოუმატნია! ამ გარემოებამ ადრე ამიცრუა გული სარწმუნოებაზე საზოგადოდ და ღმერთზე და მის სამართლიანობაზე კერძოდ...

წერა ადრე დავინყე, რაზედაც, სხვათა შორის, ხელის შემწყობი გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ პანსიონში დავუახლოვდი გრ. აბაშიძეს, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და, როგორც ნიჭიერმა პოეტმა, მალე იჩინა თავი: მისი ლექსები მალე დაიბეჭდნენ კიდევაც ჟურნალ-გაზეთებში „გრ. თირელი“-ს პსევდონიმით. ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1886 წლის შემოდგომაზე გაზეთ „თეატრ“-ში „ოტია“-ს პსევდონიმით. გიმნაზიაში ყოფნის დროს ჩემთვის მისაბამ მაგალითებს წარმოადგენდნენ ნ. მარი და გ. ლასხიშვილი, რომლებიც პანსიონში საერთო ყურადღებას იქცევდნენ, როგორც ნიჭიერი შეგირდები.

1887 წელს დავასრულე გიმნაზიის კურსი და მე და დედუ წავედით ქ. ოდე-საში, სადაც შევედი უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

ოდესაში ხალისით ჩავები ქართველ სტუდენტების წრის მუშაობაში. ეს ის დრო იყო, როცა ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ გამეფებულმა რეაქციამ უკიდურესობამდის მიაღწია და ინსპექტორ-პედელების სასტიკ მხედველობის ქვეშ მყოფი, ორთავიან არწივებიან ფოლაქებით დამშვენებულ სერთუკ-მუნდირებში გამოწყობილი სტუდენტობა საშუალო სასწავლებლების შეგირდებისაგან ბევრით აღარაფრით განირჩეოდა. ჩვენმა წრემ დაიწყო მეცადინეობა ლავროვ-მიხაილოვსკ-ჩერნიშევსკის შესწავლით და რამდენსამე ხანს წარმატებით ვმუშაობდით: ნავიკითხეთ ლავროვის „ისტორიული წერილები“, მიხაილოვსკის „რა არის პროგრესი?“, ჯონ სტიუარტ მილის „პოლიტიკური ეკონომია“, ჩერნიშევსკის შენიშვნებით და გადავედით რიკარდოს შესწავლაზე, რის შემდეგაც აზრად გვექონდა, შევდგომოდით კარლ მარქსის „კაპიტალ“-ის პირველ ტომს, რომლის რუსული თარგმანიც უკვე ეყიდა მაშინ იურიდიულ ფაკულტეტზე მყოფ ვასილ წერეთელს, მაგრამ ამ დროს გიორგი ლასხიშვილს მოსდის წერილი მოსკოვიდან თავის ამხანაგ მიხეილ ხელთუფლიშვილისგან, რომ მოსკოვში მოხდა სტუდენტების არეულობა, რასაც მოჰყვა უნივერსიტეტის დახურვა და რომ საჭიროა, მხარი დაუჭირონ სხვებმაც, და ჩვენი წრის მუშაობა სწყდება, რადგან ოდესის უნივერსიტეტშიაც ხდება არეულობა, რომელიც აგრეთვე დამთავრდა

უნივერსიტეტის დახურვით და გ. ლასხიშვილის, ვ. წერეთლის და კ. მესხის (ქართველი სტუდენტებიდან) დატუსაღებით.

ამ არეულობასთან დაკავშირებით, რომელშიაც თითქმის ყველა ქართველი სტუდენტები ვლებულობდით მონაწილეობას, მომდის მეტად ცხარე ლაპარაკი დედუსთან, რომელიც, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა ჩემგან არეულობაში მონაწილეობის მიღებას. ამ ცხარე ლაპარაკსა და ჩემ ძლიერ აღელვებას მოსდევს ის შედეგი, რომ მანყებინებს სისხლის ხველებას და, თანახმად ექიმის რჩევისა, მე და დედუ ვბრუნდებით საქართველოში. აქ კიდევ უფრო მწვავედება ჩვენი უთანხმოება. დედუს გაგონებაც-კი არ უნდა იმისი, რომ მე ისევ წავალ ოდესაში, როცა უნივერსიტეტი გაიხსნება, და იმას აღარ წავიყვან. საშინელია ჩემი მდგომარეობა, რადგან დედუ პირდაპირ თავის მოკვლით მაშინებს, თუ ასე მოვიქცევი. საქმე იქამდის მიდის, რომ ჩვენ ერთმანეთთან დალაპარაკებასაც-კი ვეღარ ვახერხებთ და მხოლოდ მიწერ-მონერას ვანარმოებთ. მე ძლიერ ვიტანჯები და აღარ ვიცი, რა ვქნა, რადგან დედუც, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მე შემომწირა, მეცოდება და არც მინდა, დავემორჩილო.

კიდევ კარგი, რომ სწორედ მაშინ ვამთავრებ ჩემ მოთხრობას „საცოდავნი“, რომელსაც ვუკითხავ, სხვათა შორის, ზემოდ დასახელებულ ნ. დადიანს და ვუამბობ ჩემ და დედუს დამოკიდებულების შესახებ. ისიც მამხნეებს და მპირდება, მოელაპარაკოს დედუს. ეს ცოტათი მიმშვიდებს გულს; 1888 წლის იანვარში მივიღვარ თბილისში და თან მიმაქვს „საცოდავნი“, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ჩემი მომავალი. მე ხომ უკვე ინვალიდი ვარ და, თუ არ კალმით, სხვაფრივ აღარ შემიძლია ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა!.. ამ ხანად ბედი მილიმის: მოთხრობას იწონებს „ივერი“-ის რედაქცია და, გახარებული, რომ ჩემი მიზანი, ვემსახურო ხალხს, როგორც მწერალმა ხორცს ისხამს, მივეჩქარები ოდესაში, რადგან ლექციების კითხვა უნივერსიტეტში უკვე დანყებულია. ახლა დედუ საქართველოში რჩება და მე ამ მხრივ თავისუფალი ვარ, მაგრამ სამაგიეროდ ამ თავისუფლების მოხმარება, ჩემი სურვილისამებრ, აღარ შემიძლია, რადგან ავად კვლავაც ხშირად ვხდები და, არამც თუ წრეებში მუშაობას ვეღარ ვაგრძელებ, სისტემატიურად ლექციებზედაც ვეღარ დავდივარ. მიუხედავად ამისა, სემესტრების ჩათვლას მაინც ვახერხებ და, როცა მეორე კურსზე გადავდივარ, მინიშნავენ სახელმწიფო სტიპენდიას 20 მანეთის რაოდენობით თვეში.

ეს მძალევს საშუალებას, ოდესაში მხოლოდ რამდენიმე ხნით ჩავიდე ხოლმე შემოდგომაზე და გაზაფხულზე სემესტრების ჩასათვლელად და კურსიდან კურსზე გადასასვლელად საჭირო ფორმალობის შესასრულებლად, ზამთარსა და ზაფხულს-კი საქართველოში (აბასთუმანში, სოხუმში და სხვაგან) ვატარებ, რასაც, ასე თუ ისე, ურიგდება დედუც.

1891 წელს ვასრულებ უნივერსიტეტის კურსს, მაგრამ სწორედ სახელმწიფო გამოცდების დროს ვხდები ავად და დიპლომს ვეღარ ვლებულობ.

დედუ კვლავ იმ აზრისაა, რომ ახლა მაინც თავი დავანებო დიპლომის მიღებაზე ფიქრს, მაგრამ მე არ ვეთანხმები და შემდგომაზე ისევ მივდივარ ოდესაში.

მხოლოდ იძულებული ვარ, რომ ისიც თან წავიყვანო, რადგან მთელი ზამთარი იქ უნდა გავატარო, აგრეთვე გაზაფხულიც და ამდენ ხანს უჩემოდ გაძლება მას არ შეუძლია და ჩემთვისაც, ვინცობაა, ავად გავხდე, მომვლელი იქნება საჭირო.

ახლა შესადარად კარგადა ვარ, ვქირავობ უნივერსიტეტის ახლოს გვარიან ოთახს და ვემზადები გამოცდებისათვის, მაგრამ ვაი, რომ დედუ ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მასპინძლები ებრაელებია, ჩვენ ოთახს-კი თუმცა დერეფნიდან შემოსასვლელი კარი ცალკე აქვს, სხვა ყოველ გვარ საჭიროებისათვის მათ ოთახებში გვიხდება გავლა, და მოითხოვს ბინის გამოცვლას!

მე ვიჭერ სხვა ოთახს და, თუმცა ახალ დიასახლისს ვუმჟღავნებ, რისთვისაც ვიცვლით ბინას, მაგრამ ის არ ამხელს, რომ თვითონაც ებრაელია და ჩვენ ვვარდებით იმავე მდგომარეობაში. როცა დედუ გაიგებს, რომ ისევე ებრაელებთან მოვხვდით, კვლავ უკმაყოფილოა. მეტადრე ვერ ინელებს იმას, რომ დიდი მარხვა ახლოვდება, როცა უნდა ეზიაროს, და ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა დარჩეს ებრაელებთან. მე ჯერ ყურადღებას არ ვაქცევ მის უკმაყოფილობას, მაგრამ, როცა დგება დიდი მარხვა და უკიდურესობამდის მიდის მისი აღშფოთება, იძულებული ვხდები, კვლავ შევუსრულო სურვილი. ახლა ოთახის სიავკარგზე კი აღარ ვფიქრობ, ვემბე ქრისტიან მასპინძლებს და თითქმის ქალაქის განაპირას ძლივს ვპოულობ რუსის ქალს, რომელიც აქირავებს ოთახს.

ჩვენ გადავდივართ ახალ ბინაზე. დედუ კმაყოფილია, მაგრამ სამაგიეროდ მალე მე ვხდები მძიმე ავად და გვმწარდება ყველაფერი: არამც თუ გამოცდებს ველარ ვაბარებ, ძლივს ვრჩები ცოცხალი.

გადის კიდევ ერთი წელიწადი და 1893 წლის გაზაფხულზე ისევე მივდივარ ოდესსაში, ახლა მარტო, და ვაბარებ გამოცდებს.

ამ ნაირად ექვსი წლის განმავლობაში ჩემ საქართველოსა და ოდესსას შუა სიარულს ძლივს ბოლო ედება და მე და დედუ ვბინავდებით ქუთაისში.

ამ დროს მე უკვე ცნობილი მწერალი ვარ: გამოცემულია ჩემი ლექსების და მოთხრობების კრებულები. ლექსები სათაურით „ცრემლები“ გამოაცემინა თბილისის გამომცემელ ამხანაგობას პეტრე გელეიშვილმა, რომელსაც მაშინ ნიგნის მალაზია ქონდა სამტრედიისში, და მოთხრობები სათაურით „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ გამოსცა თავის გამოცემათა პირველი ნომრით ქუთაისის გამომცემელმა ამხანაგობამ. გამოცემულია აგრეთვე ჩემი მოთხრობა „პირველი ტალღები“. ამათ გარდა მაქვს დაწერილი კომედია „ემმაკების ბუდე“ და დრამა „ძიძიშვილი“. პირველი გადაცემული მქონდა დასაბეჭდად კრებულ „ცდა“-ში, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. ამ კრებულის მეორე ნიგნში გამოცხადებული იყო კიდევაც, დუტუ მეგრელის კომედია „ემმაკების ბუდე“, რომელიც ამ ნიგნში უნდა დაბეჭდილიყო, უადგილობისა გამო შემდეგი ნიგნისთვის გადაიდოვო, მაგრამ მესამე ნიგნში ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა და შემდეგი ნიგნები-კი აღარ გამოსულა. ეს კომედია სხვათა შორის წაუფიქრებე ცნობილ არტისტ-რეჟისსორ-დრამატურგს – კოტე მესხს, რომელმაც მითხრა, კარგი ლიტერატურული ნაწარმოებია, მაგრამ წარმოსადგენად არ გამოდგება, რადგან შიგ მოქმედება არ არისო. ესვე მომწერა ვალერიან გუნიამაც დრამა

„ძიძიშვილი“-ს შესახებ, რომელიც მას გავუგზავნე თბილისში და ეს პიესები ხელნაწერებად დარჩენ. მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა იმ ხნის განმავლობაში ვწერდი სხვა და სხვა პსევდონიმებით პუბლიცისტურ წერილებსა და კორრესპონდენციებსაც ყველა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო „კვალ“-ს დაარსებიდან უმთავრესად ამ ჟურნალში. პსევდონიმით „დუტუ მეგრელი“ პირველად დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა „საცოდავნი“, „ივერი“-ის 1888 წლის მაისის №№-ში.

ინიციალებით „დ. ხ.“ გარდა კორრესპონდენციებისა ვწერდი წერილებს ჯერ „ივერია“-ში საერთო სათაურით „ხმა შორიდან“ და შემდეგ „კვალ“-ში საერთო სათაურით „ფიქრი და შენიშვნა“. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (იხ. მისი „ნაწერების სრული კრებული“, „ქართული წიგნი“-ს გამოცემა, 1927 წ., ტ. IV, გვ. 215 და სხვა) გამონვეულია სწორედ ჩემი წერილით, რომელიც დაიბეჭდა 1892 წლის „ივერი“-ის №20-ში. 1893 წლის „ივერი“-ის 9 იანვრის №5-ში მოწინავე წერილად დაიბეჭდა ჩემი წერილი რედაქციის მიმართ „დროა!..“ – სალიტერატურო ფონდის დაარსების შესახებ, რომელსაც გამოეხმაურენ ეკ. გაბაშვილისა და სხვები. ეს ფონდი მალე დაარსდა. ასე რომ, იქიდან მე თვითონ მივიღე სესხად ასი მანეთი 1894 წლის იანვარში, როცა ჯერ კიდევ უადგილოდ ვიყავი და მე და დედუდი დიდა გაჭირვებას განვიცდიდით ქუთაისში.

ამ ნაირად დიპლომაც ვერ მოულო ბოლო ჩემ და დედუს გაჭირვებას. მართალია, გარდა მახლობელ ნათესავებისა ბევრ სხვისგანაც¹ მიგვიღია ზნეობრივი, თუ ნივთიერი დახმარება, მაგრამ რაიმე მუდმივ წყაროს გამოძებნა, რომელიც შესაძლებლად გახდოდა ჩვენ ნივთიერად უზრუნველ ცხოვრებას, მიუხედავად ყოველ გვარ ცდისა ქუთაისში, თუ თბილისში, არ მოხერხდა. არამც თუ სხვა რამე ადგილი ვერ ვიშოვე, ზედამხედველობაზედაც-კი („ნადზირატელ“) უარი მითხრეს ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც სწორედ მაშინ განთავისუფლდა ეს თანამდებობა. მხოლოდ გიორგი წერეთელმა აღმთქვა „კვალ“-ში მუდმივ სარედაქციო მუშაობისთვის 40 მანეთი თვეში, მაგრამ ეს მოვალეობა მე თვითონ ველარ ვიკისრე, რადგან იმედი არ მქონდა, რომ ავადმყოფობის გამო შევიძლებდი მის შესრულებას და ამ ფულით ვერც ვიცხოვრებდით ორი სული თბილისში. ასე, როცა ვერც ქუთაისში და ვერც თბილისში ველარაფერს გავხდი, პეტრე გელეიშვილის დახმარებით, რომელიც იცნობდა ქუთაისის გადასახადთა ინსპექტორს („პოდატნოი ინსპექტორ“) და მიიღო მისგან საჭირო ცნობები (სწორედ მაშინ გაზეთებში იყო გამოცხადებული, რომ ბევრი ახალი გადასახადთა ინსპექტორი დაინიშნებოდა რუსეთში და კერძოდ ამიერკავკასიაში), გავგზავნე შესაფერი თხოვნა პეტერბურგში. ცოტა ხნის შემდეგ შევიტყვე, რომ ქუთაისის ინსპექტორს მოსვლია პეტერბურგიდან შეკითხვა ჩემი ვინაობის შესახებ. ინსპექტორს, როგორც თვითონ მითხრა, როცა გავიცანი, უკითხავს ცნობილ საზოგადო მოღვაწის გ. ზდანოვიჩისთვის,

1. დავასახელებ, მაგალითად ევგენი (განო) კორძაიას ცოლს, რომელსაც კაბების სამკერვალო ქონდა ქუთაისში და რომელთანაც მუშაობდა ხოლმე დედუ, როცა ქუთაისში იყო.

რომელსაც შემთხვევით შეხვედრია, ჩემი ვინაობა და, როცა გაუგია, რომ მე ახალგაზრდა ქართველი მწერალი ვარ, უყიღია ჩემი მოთხრობების კრებული და გაუგზავნია. პეტერბურგში, ეტყობა, მოსწონებიათ ჩემი კანდიდატურა, რომ მალე მომდის წინადადება, გამოვცხადდე თბილისის სახაზინო პალატაში გადასახადთა ინსპექტორის მოვალეობათა გასაცნობად. მეც მაშინვე მივდივარ თბილისში და 1894 წლის მაისში მნიშვნევენ კიდევაც ყოფილ ყარსის ოლქის, ოლთისის მაზრის გადასახადთა ინსპექტორად.

ასე თავდება ჩემი და დედუს მეოთხედ საუკუნეზე მეტს მომთაბარეობა და ჩვენ მივდივართ ოლთისში. დედუს თან მოჰყავს თავისი გარდაცვალებულ ძმის პატარა ვაჟი, რომლის აღზრდასაც კისრულობს. ჩვენთან მოდის აგრეთვე პეტრე გელეიშვილი, როგორც ბავშვის მასწავლებელი და ჩემი საკანცელარიო მუშაობაში მომხმარე.

რასაკვირველია, პეტრე დიდხანს ვერ სძლებს ოლთისში და მალე გეტოვებს, მე-კი ექვსი წელიწადი გავატარე იქ, საიდანაც 1900 წელს გადამიყვანეს ერევნის გუბერნიის ნახიჩევანის მაზრაში. იქიდან 1903 წლის 1 იანვარს გადამიყვანეს ელიზავეტპოლის (განჯა) გუბერნიის ყაზახის მაზრაში და ამავე წლის 5 დეკემბერს დამნიშნეს ერევნიის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად.

ერევანში დავრჩი 1917 წლის რევოლიუციამდის და მხოლოდ იმ წლის 1 სექტემბერს მელირსა გადმოსვლა თბილისში. აქ ვმსახურობდი საქართველოს გასაბჭოებამდის ჯერ ცენტრალურ დაწესებულებებში და მერე ოლქის სასამართლოს წევრად, ხოლო გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1926 წლის დეკემბრამდის, როცა ავადმყოფობის გამო გამოვედი სამსახურიდან და მას აქეთ ვღებულობ პენსიას.

1897 წელს ცოლად შევირთე ცნობილი მწერალი ანასტასია ერისთავი, რომელიც, როცა შვილები წამოგვეზარდენ, ერევნიდან ჯერ თბილისში გადმოვიდა და შემდეგ გორში დაბინავდა, სადაც სწავლობდენ ბავშვები, ხოლო, როცა მე თბილისში გადმოვედი, ისიც შვილებიანა აქ გადმოსახლდა.

დედუ 1913 წელს გარდაიცვალა გორში და იქვეა დასაფლავებული.

გარდა ზემოდ დასახელებულ წიგნებისა ცალკე გამოცემულია კიდევ ჩემი ლექსები სათაურით: „მწარე ფიქრები“, 1897 წ.; „ლექსები“, 1909 წ.; „მოთხრობები“, 1910, 1921 და 1930 წლებში; დრამატიული პოემები: „მწირი სარდალი“, 1916 წელს და „პრომეთე“, 1919 წელს და „საყმანვილო მოთხრობები აგრეთვე 1919 წელს.

ჩემი ნაწერები გარჩეული აქვთ „სანო“-ს (სტ. ჭრელაშვილი), პ. ჭარაიას, ივ. გომართელს, იპ. ვართაგავას, ხომლელს (რ. ფანცხავა), ალ. გარსევანიშვილს, ი. ნაკაშიძეს, ალ. ხახანაშვილს თავის წიგნში „Очерки по истории груз. словесности“ და სხვებს.

ჯერ კიდევ ოდესსაში ვიყავი, რომ ერთ ჩემ მოთხრობას ალ. გარსევანიშვილმა ვრცელი წერილი უძღვნა რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში სათაურით: „Тип дворянина кулака в груз. литературе“.

მეც ვისარგებლე შემთხვევით და, რომ რითმე გადამეხადა სამაგიერო ცნობილ ექიმ იაკობ ბარდახისთვის (ახლა პროფესორი-ბაქტერიოლოგია ოდესსაში), რომელიც ძალიან დაახლოვებული იყო ქართველ სტუდენტებთან და არა ერთი საათი შემოუწირავს ჩვენთვის ავადმყოფობის დროს, მივუტანე ერთად აკინძული ჩემი ნაწერები ამ წერილის ზედ დართვით, როგორც ერთადერთი მისი შრომის საფასური, რომლის გაღებაც მაშინ მე შემეძლო. აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ მაშინ, როცა დედუ თავგამოდებით გაუბრბოდა ოდესსაში ებრაელებს, სწორედ ამ ებრაელმა ექიმმა გადამარჩინა სიკვდილს 1892 წელს და თვითონ დედუც საუკუნოდ მოიმაღლიერა თავისი უანგარობით და დაუზარებლობით.

რამდენიმე ჩემი მოთხრობა გადათარგმნილია რუსულად გრ. ვოლსკის, ალ. გარსევანიშვილის და პოლუმორდვინოვისგან; აგრეთვე სომხურად ლ. კარაპეტციანისგან. ლექსები გადათარგმნილია რუსულად ცნობილ მთარგმნელებ „ივან და მარისაგან“, ს. ამირაჯიბისგან და სხვებისგან და გერმანულად არტურ ლეისტისგან.

ამით ვათავებ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის 27 გასულ მაისის რიცხვით, №244, მომართვის გამო დაწერილ ჩემ ავტობიოგრაფიულ შენიშვნებს და დავსძენ, რომ თითქმის ყველა ჩემი მოთხრობა და გამოქვეყნებული, თუ გამოუქვეყნებელი პიესა (მე-90 წლების ჟურნალ „მომამბე“-ში დაბეჭდილია ჩემი კომედია „სიკვდილი და სიცოცხლე“ და დრამა „გაქსუებული“) დაწერილია სამსახურში შესვლამდის ან მის პირველ წლებში, შემდეგ-კი მხოლოდ ორიოდ დრამატიული პოემა და ძალიან ცოტა ლექსები მაქვს დაწერილი. ეს ლექსებიც უმეტესად ჩემ პირად განცდის ერთგვარ დღიურებს წარმოადგენენ... რა ვქნა? 1894 წლის მაისიდან, როცა 26 წლის ვიყავი, საქართველოდან გადაკარგულს და ოლთის-ნახიჩევან-ყაზახ-ერევანში მოხელის მაგიდასთან მიჯაჭვულს, ის კიდევ იმ თანამდებობებზე, რომლებიც მე მქონდა და რომლებსაც იმ დავალებათა ასრულებასთან დაკავშირებით, რაც აღნუსხულია ჩემ ნამსახურობით სიაში (მისი დედანია ჩემ პირად საქმეში, რომელიც ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივის იუსტიციის კომისარიატის განყოფილებაში), მე ვუძღვნიდი თითქმის მთელ ჩემ დროს, რადგან ხშირად სიზმარშიაც-კი ჩამყოლია ამა თუ იმ დაკისრებულ, თუ ჩემგანვე ნაკისრ საქმის სასურველად მოგვარებაზე ფიქრი, ძალიანაც რომ მსურვებოდა, აღარ შემეძლო ვრცელ ნაწარმოების დამუშავება და დაწერა.

რაიცა შეეხება ჩემ მოხელეობას დაახლოვებით მაინც იმის წარმოსადგენად, თუ რას ვაკეთებდი, ან როგორ ვაკეთებდი მე, როგორც მოხელე, შემიძლია ვიმონმო ამხანაგები რ. ნაჯაფოვისა და არშ. მელიქიანის ჩემი მუშაობის ნახიჩევანსა და ერევანში დახასიათება, რომელიც სხვა საჭირო საბუთებთან ერთად მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა 20–22 სექტემბრის რიცხვით 1928 წლის, №298, გაუგზავნა საქ. პროფკავშირების საბჭოს ჩემთვის „შრომის გმირობის“ წოდების მონიჭების შესახებ შუამდგომლობით. მართალია, ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა პროფსაბჭომ, მაგრამ ამ

დახასიათებამ ის მაინც ქნა, რომ, როცა შარშან საზოგადოდ პენსიონერთა წმენდის დროს პენსიის მოცემა მეც შემინყვიტეს (იხ. გაზ. „Заря Востока“, 6/X, 1929 წ., №230), აკ. სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ, სადაც გავსაჩივრე ეს დადგენილება, კვლავ აღმიდგინა იგი.

დასასრულ, ნებას მივცემ ჩემ თავს, აქვე მოვიყვანო ის მოკლე დახასიათება, რომელიც გაუკეთა ამხ. ფ. მახარაძემ ჩემ წარსულ მოღვაწეობას ამხ. ალამალი-ოღლისადმი მიმართვაში 1926 წელს, როცა ამიერკავკასიის ცაკს მივმართე შუამდგომლობით, სათანადოდ შეფასებულიყო ჩემი ამიერკავკასიის მასშტაბის დამსახურება და დამნიშვნოდა შესაფერი პერსონალური პენსია:

„Тов. Агамали-Огли!

В виду того, что вы интересовались личностью и прошлой деятельностью гр. Хоштария (псевдоним – Дуту Мегрели), то могу сообщить Вам об этом в двух словах следующее: в прошлом гр. Хоштария известен и как прогрессивный общественный деятель и как писатель (поэт-беллетрист), сочувствовавший главным образом крестьянству. Безусловно, у него имеются довольно большие заслуги перед всем крестьянством Закавказья, ибо, как на литературном, так и служебном поприще, он всегда защищал интересы крестьянства.

Ваши Ф. Махарадзе“

10/VI. 30 წ., ქ. თბილისი

შოი არაგვისპირელი – დედაბრიშვილი

დუშეთის მაზრაში, ანანურის ახლოს, ს. ქარისხევი თავის მთიანი ადგილებით არის ჩემი სამშობლო. მამა ჩემი აქ იყო მაშინ მღვდლად. ღარიბი მღვდელი, რომელიც ერთი მრევლიდგან მეორეში ემწესება, რასაკვირველია, განსაკუთრებით შვილებს ვერ აღზრდის. მე მეექვსე შვილი ვიყავი. მამასა-დამე, ჩემზე უფროსები და მეც ისე ვიზრდებოდით, როგორც იმის მრევლის შვილები და იმათთან ერთად. ექვს წლამდის დავრჩი ამ სოფელში და მახსოვს ბევრი რამ, უპირველეს ყოვლისა, პაპა-მახარე. ეს ბრვე ადამიანი სულ გათეთრებული, უცოლშვილო მარტოდ-მარტო თავის საფუტკრეში, ეხლაც თვალწინ წარმომიდგება ხოლმე. მერე რა ტკბილად მიაბოდა ხოლმე სხვა და სხვა ამბებს?! იმის საფუტკრის თაფლის უტკუბესად... მახსოვს, პატარა ჩვენი ბიჭი აბელა, რომელმაც შიში ჩამინერგა. ამ დროს ჩემი სოფლმხედველობა ძალიან მარტივი იყო... ხეს, ქვას, ბალახს, პირუტყვს, თუ მეტყველს ერთის თვალს საზრით ვუცქერდი. იმათ, როგორც მე, ტანჯვაც შეეძლოთ და სიმხიარულეც...

მამა ს. წილკანში გაამწესეს ღვდლად და ჩვენც თან წაგვიყვანა. აქ თუმცა საკუთარი ორი ოთახი გვექონდა, მაგრამ მამამ ველარ მოასწრო რისამეს მიმატება... ჩქარა გარდაიცვალა და დასტოვა რვა შვილი. უმცროსი ძუძუთა იყო.

მამამ სიცოცხლეშივე მე და ჩემზე უფროსი შვილი დუშეთში აგვიყვანა სასწავლებელში და თავის დისწულის – ხაზინის ბუღალტერის სახლში მოგვათავსა. საშინელის სიმკაცრით გვექცეოდა მამიდაშვილი და თან მშიერმწყურვალს გვამყოფებდა. მამა ჩქარა გარდაიცვალა და ჩვენც სხვა ვერა ვარჩიეთ-რა, რომ ერთ გაზაფხულის დღეს გამოვიპარენით. უგზო-უკვლოდ ვიარეთ და საღამოთიღა მიველით სახლში... დედას გაუხარდა... გაუხარდათ ჩვენ და-ძმებსაც... იმავე წლის შემოდგომას თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიგვაბარა.

ვტიროდი, როცა დედას ვშორდებოდი, მეგონა, თბილისშიაც ისეთივე სისაძაგლე მომელოდა, როგორიც დუშეთში... დუშეთში რუსული ანბანით დაგვანყობინეს და იმისი ვერა გავიგერა... თბილისში ისეთი მასწავლებელი მხვდა, რომელმაც მშობლიურად შემაყვარა სწავლა. ეს მასწავლებელი გახლდათ ვ. ბარნოვი, შემდეგში – ჯანაშვილი. ამის შემდეგ მე სწავლაში აღარ წამიბორძიკნია...

მამას ძალიან ვუყვარდი... ის ძალიან ღვთის მოყვარე იყო და მეც გადამედო ეს თვისება... საშინელი ღვთის მოყვარე ვიყავი. ვოცნებობდი ღვდლობას...

როცაკი უსამართლობას რამეს ჩაიდენდნენ ჩემ წინააღმდეგ ამხანაგები ან მასწავლებლები, მაშინვე საღმე განმარტოვებით თვალ ცრემლიანი ღმერთს ვევედრებოდი...

ზაფხულობით ყოველთვის სოფელში მივდიოდით სიხარულით. წილკანიდგან ურმებით გლეხებს გასასყიდათ მუდამ დაჰქონდათ და ჩვენც ამ ურმებს მივსდევდით. დედამ ამავე სასწავლებელში მესამე, ჩემი მომდევნო ძმაც მოიყვანა. რა კი ორნი ვიყავით პანსიონში, ეს აღარ მიიღეს შიგ; ამის გამო ნათესავთან დააყენა და გარედგან დადიოდა.

ჯერ მამის სიცოცხლეში გაჭირვებას განვიცდიდით და, აბა, იმის შემდეგ რა იქმნებოდა. გარედ მოსიარულე ძმა (ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო) მოვიდოდა თუ არა, მე უკვე მზად მქონდა წინა ლამეს ჩემი ნავახშმევი პური და ხორცი. ჩემ ვახშამს შუაზე ვყოფთი და იმას ვუნახავდი. აგრედვე ვიქცევოდი სადილის დროსაც, პური და ხორცი ჯიბით ამომქონდა, იმას ვაძლევდი. სალამომდის ერთად ვიყავით და შემდეგ კი თავის ბინაზე მიდიოდა. ძალიან მიყვარდა. ლუკმა ყელში არ ჩამდიოდა, თუ ჯერ იმისთვის ჩემი კერძიდგან არ გადავდებდი. ასეთი ერთი კერძით რამდენიმე წელიწადს ორნი ვიკვებებოდით... და გავათავე კიდევაც სასულიერო სასწავლებელი და სემინარიაში გამოცდის შემდეგ მიმიღეს.

ღვთის მოყვარეობა ამ სასწავლებამდის მომყვა. აქი ძარიან ფესვიანად იმშხვრევა... პირველ კლასში 98 მონაფე მიგვიღეს. მთელ საქართველოდგან ყველა სასულიერო სასწავლებლებიდგან აქ მოდიოდნენ. ყველაზე მეტი ქუთაისიდგან იყო.

რალაც ჯოჯოხეთური პირობა იყო, მაშინ მასწავლებლები მხეცებს ჰგვანდნენ. ბერძნული, ლათინური კვირაში ცხრა-ცხა გაკვეთილი გვქონდა... ამ ენების მასწავლებლები ყოვლად შეუწყნარებელნი, ნამეტნავად ბერძნულისა, მტკნარი გიჟი იყო. ენები კარგად ვიცოდი. მაგრამ ბერძნული ენის მასწავლებელმა გამიხშირა ორები. ერთ დღეს დავჯექი და სულ გავიმეორე გრამატიკა და ამხანაგებს ვუთხარი, თუ ხვალ ხუთი არ მივიღე, კაცი არ ვიქმნები მეთქი. მეორე დღეს კარები შემოალო თუ არა, მაშინვე მე გამომიძახა. რაც კი მკითხა ყველაფერი კარგად ავუხსენი. დარწმუნებული ვიყავ, თუ ხუთი არა, ოთხს მაინც დამისობს მეთქი. თავისებურად ჩაიცინა, აითრია თავისი დამბლა ფეხი (ჯალი მხარე დამბლა ჰქონდა) და ორი დამისო... მეორე დღეს კიდევ გამომიძახა... არც ერთ კითხვაზე არ ვუპასუხე... ნავიდა და ოთხი დამისვა. ისე გავათავე სემინარია, რომ ბერძნული ხელში აღარ ამიღია. და ოთხზე ნაკლები ნიშანი არა მქონია. კითხვა დამავინწყდა. პროგრამა ფართო იყო, მაგრამ სწავლა ისე მახინჯურად სწარმოებდა, რომ ყოველი საგანი გძულდებოდა. ღვთის მოყვარე ვიყავ, მაგრამ სამლო საგნების სწავლება მახინჯად იყო დაყენებული. წირვა-ლოცვა ისე უნესო და ძალ-დატანებითი, რო თან და თან საღმრთო სჯულის, მღვდლის და საყდრის ხსენება ზიზღსა მგვრიდა...

გაჩალებული იყო სემინარიაში ყოველი საზიზღრობა: ჯაშუშობა, ფლიდობა, ძალ-მომრეობა, უსამართლობა, ავხელობა და სხვა მრავალი. ამას ჰქმნიდნენ უფროსები და შიგ მონაფეები იღრჩებოდნენ... თითქოს გარეშე ვიდექი. ყოველივე ამას სიმწვავეთ განვიცდიდი, მაგრამ მაინც არ ვცურავდი შიგ... აქაც გამომიჩნდა ისევ ის პიროვნება ვ. ბარნოვი. ეხლა აღმზრდელის სახით. მესამე კლასში ვიყავი, ის რო აღმზრდელად მოგვივიდა. მონაფეთა ბიბლიოთეკა ჩამაბარა და ამით ვსულ-მდგმულობდი. ვმუშაობდი. ჩუმი წრეებიც გვქონდა, სადაც ქართულს და აღკრძალულ წიგნებს ვკითხულობდით.

მესამე კლასში ვიყავ, როდესაც ჩვენმა ნაამხანაგარმა – ლალიაშვილმა რექტორი ჩვენ თვალ-წინ გამოფაშვა... არავის დაჰნანებია. ყველას საყვარელი სოსო ებრალებოდა... ჩვენი კლასი ძალიან გაათხელეს. სულ 22 კაცილა დაგვტოვეს. მე ვ. ბარნოვმა გადამარჩინა...

მაინც გამორიცხვა არ ამცდა. მეექვსე კლასში ვიყავ, რომ რექტორმა პანსიონიდგან შუა ზამთარში გარედ გამომისროლა. ეს იმას ჰნიშნავდა, რომ სულ მიმენებებინა სწავლისთვის თავი. მაგრამ მოვახერხე მაინც გათავება გაკვეთილები ვიშოვე. თანაც სემინარიდგან თვეში ექვსი მანეთის ძლევა დამიწყეს. არ ვიცი კი, რად?!. უთუოდ იგძნო თავისი უსამართლობა პაისიმ. ვიდრე ამ ექვს მანეთს დამიწყებდნენ ძლევას, ხუთჯერ მომიგზავნა რექტორმა ხან ამხანაგები, ხან მასწავლებელი, რომ ბოდიში მომეხადნა და ისევ უკან მილებას მპირდებოდა, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევი: „მითხრას, რა დავაშავე და მაშინ მოვიხდი ბოდიშს... ნუთუ დანაშაულად მითვლის, რომ მე ამხანაგების დავალებით მოწინებით წარვდექე წინ და საქმის გარემოება გავუმარტე?!.“

დიდი ვაება განვიცადე, როცა სემინარია გავათავე და ცხოვრების წინ დავდექე... არაფრისთვის მომზადებული... თითქოს მღვდლად უნდა წავსულიყავი, მაგრამ როგორ, როდესაც სულიერად შიშველი მყვეს, მამის გადმონაცემიც კი წამიშალეს და ეხლა ღვდლად?!. შინაური გარემოება კი მიკარნახებდა ანაფორას... არასდროს?!. რა ღვდელი უნდა ვყოფილიყავ, როდესაც ნატამალი რწმენისა აღარა დამრჩენიყო რა. არა, ეს უსინდისობა იქმნებოდა ჩემ მხრივ. ისევ სიკვდილი მერჩივნა, ვიდრე ასეთი საზიზღრობა ჩამედინა. მეტყუებინა სხვები და ჩემი თავიც. თუმცა შინაური გარემოება მიკარნახებდა, რომ უეჭველად ღვდლობა მეკისრნა.

სწავლის გაგრძელება მსურდა. ვგრძნობდი ცხოვრებისთვის სრულებით მოუმზადებელი ვიყავი.

გაუბედავი, ბავშვობიდგანვე მოკრძალებული და მორიდებული რას გავხდებოდი. ვიფიქრე, ვიფიქრე რაიმე სამსახურს, ცოტაოდენ ფულს შევავროვებ და შემდეგ კი გავუდგები გზას... ამავე ჩემმა თვისებამ ვერა მაშოვნინა რა... მასწავლებლობა მინდოდა სამრევლო სკოლაში მაინც, მაგრამ ვერას გავხდი... ჩემზე იქმნება უფრო ნაკლებად მომზადებულებმა მიიღეს... მეკი გარეშე დავრჩი... სათავად აზნაურო სკოლაში აღმზრდელის ადგილი იყო. იქ მივმართე, მაგრამ იქაც უარი მითხრეს. მიიღეს ჩემი ამხანაგი... იმან ჩემთან ერთად გაათავა და ნიშნებით მე უკეთეს მონაფთე ვითვლებოდი... იმან ჩემ შემდეგ ითხოვა. წერილიც მიეტანა ბიძისაგან და მიიღეს... ბოლოს ძლივას ერთი ჩემი ამხანაგის წყალობით რკინის გზის კონტორაში პატარა მოხელის თანამდებობა მომცეს. ისაც დროებით... ვმუშაობდი და ვხედავდი, რომ უეჭველად როგორმე მოვშორებულყავი ამ ჰაერს. რკინის გზის მოხელეთა ცხოვრება სემინარიის ცხოვრებაზე უარესი ჭაობი აღმოჩნდა... უნდა მოვშორებულყავი, მაგრამ როგორ?..

სწორედ ამ დროს შემხვდა ჩემი ამხანაგი, რომელმაც საფრანგეთი და თითქმის მთელი ევროპაც შემოიარა. იმან ისე გამიადვილა მგზავრობა, რომ მალე გადავწყვიტე გამგზავრება. ვარშავა ვარჩიე, რადგანაც იქ სემინარიელებს ილებდნენ და იქ კიდევ ნაცნობიცა მყვანდა სემინარიელივე მრევლიშვილი. გზის ფული, როგორც იყო, მოვახერხე და 1890 წ. ღვინობისთვის გასულს უკვე გემით ოდესისკენ მიმაქანებდა. ზღვა!.. ეს რალაც ოცნება იყო ჩემთვის... დღე და ღამ გემის ბაქანს არ ვშორდებოდი.

საშინელი ლელვა იყო. ბაქანზე ადამიანის მგზავსი არავინ მოჰჩანდა. ვიდექ მარტოკა, მოაჯირზე მაგრად ხელ ჩაჭერილი და გავყურებდი აგორებულ ტალღებს და ვისმენდი ჯოჯოხეთურ ღრიალს... ამ დროს ვიღამაც კისერში ხელი ჩამავლო და ყურში ჩამყვირა: „გაჰვიჟდი, თუ რა არისო?!“ მივიხედე და დავინახე, კაპიტანი სასტიკად მწეოდა. ძალით შემიყვანა თავის ოთახში და დამჭყვივლა: „ეხლავე ვუბრძანებ მეზღვაურებს და ზღვაში გადაგადგებ“... უკაცრავად, არ ვიცოდი, თუ ბაქანზე დგომა აღკრძალულია, თორემ არ გავიდოდი!..

– სულელო, რა აკრძალვა გინდა?.. თითონ ბუნება გიკრძალავს გარედ გამოსვლას და შენ რაღაც არ ცოდნას მეუბნები...

– თქვენო კეთილშობილებავ, ბუნება პირიქით ნებას მაძლევს... მეუბნება: მო, მნახე, რა ძლიერი ვარ შენთან შედარებით და მეც ვეახელ...

– საიდგან მოსდინხარ?! – თვალე გაშტერებით შემეკითხა კაპიტანი.

– თბილისიდან... პირველად მიხდება ზღვით მგზავრობა და მინდა, ზღვის ყოველი ცვლილება ვნახო...

– პირველად?! – გაკვირვებით დამეკითხა და თვალეები გაუგანიერდა, – დიდი მეზღვაური გამოხვალ, თუკი ამ ხელობას დაინყოფ... პირველად და შენზე სრულებით არ მოქმედობს...

– რას მიბრძანებთ მაგას?!. მთლად ჩემი გონება წარიტაცა ზღვამ და თქვენ მეუბნებით ზღვა არ მოქმედობსო...

– ჰა... ჰაჰჰა-ახაა! – კინალამ დაიხრჩო ხარხარით კაპიტანი, – მაგას კი არ გეუბნები!.. არც გული გერევა, არც თავბრუ გესხმის?

– პირიქით, ასე ჯანმრთელად არასდროს არ მიგრძენია თავი და ასეთი მადა არას დროს არ მქონია. მართლაც, ჭამად გადავიქექცი.

– მერე ეგ განუხებს?..

– როგორ არ მანუხებს?! ოთხი დღის საგრძალი უკვე გავათავე... ძალზე მშინ... – კიდეც ხარხარი!.. წამს ხელი წამავლო და წავბარბაცდით... ბარბაცით ჩამიყვანა პირველი კლასის სასადილოში. სადილის დრო იყო. სასადილოში არავინ იყო. ჰკითხა, რატომ არ სადილობენო? უპასუხეს: ზარი დავრეკეთ, მაგრამ არავინ მოდისო... ღმერთი ასადილებსო. – როგორ, თუ ღმერთი?!. – აი, წავიდეთ და თითონ შენ ჰნახავ!.. გავიარეთ კაიუტების გვერდით და... რა ვნახე?!. მომაკვდავებისავით უსირცხვილოდ ქალი თუ კაცი ერთმანეთს არწყევდნენ... კვნესა... გმინვა... წყევლა... ერთმანეთში ირეოდა.

– ბატონო კაპიტანო, წავიდეთ აქედგან... ეს განაზებული ხალხია... პირველ, მეორე კლასით მოგზაურობენ... ეტყობათ, ბევრი ცოდოები აქვთ, რომ ამისთანა ბუნების სიდიადე ასე მოქმედობს..

– ხაა... ხაა... ხაა! – კიდეც გადიხარხარა კაპიტანმა, გგონია, მესამე კლასში უკეთესი სურათია?!

– დარწმუნებული ვარ, კაპიტანო!..

ჩამკვიდა მკლავში ხელი და ბარბაცით გავედით... გემი საშინლად ირყეოდა... ამისთვის ძნელი იყო სიარული. ორ სართულიან ტახტებზე ისეთივე სურათი იყო. ჩემი ტახტი მოვნახე და რა ვნახე?!. პორუჩიკი მ-ძე, რომელიც ბათუმში ჩემთან ერთად გემში ჩაჯდა და რაკი გაიგო, რომ მე მესამე კლა-

სით ვმგზავრობ, აღარ მჩვენებია, ჩემ ადგილზე იწვა. გავიკვირვე და შევეკითხე, თუ რამ აიძულა აქ მოსვლა... ძლივას მიპასუხა: მითხრეს, მესამე კლასში ნაკლებ ირყევა გემიო. მეც აქეთ გამოვეშურე. რაკი ტახტები გაჭედილი იყო, ვეძებდი თავისუფალ ადგილს და ეს ადგილი ვპოვე. მითხრეს: დაჭერილიაო... ბარგიც მაჩვენეს თავით... მაგრამ არ შემეძლო, დროებით მაინც არ მივწოლილიყავიო...

– ეს ჩემი ადგილია, თუ აქ უკეთ ჰგრძნობ თავს, გეთაყვა, ნუ მომერიდეები...

გაუხარდა. ეგონა, ეხლავე ავაგდებდი და...

– გეთაყვა, შემომვედრა, აი, ჩემი ბილეთი... შენ ჩემ მაგივრად იქ იყავიო. – წამს ავენთე. გამონვდილი ბილეთი მინდოდა წამეგლიჯა ხელიდგან და ძირს მეტყორცნა, მაგრამ რა შევატყე შეკრთომა და საშინელი ტანის კანკალი, ალერსით ვუთხარ: ნურას იფიქრებ, ინეე აქ და ბილეთიც გამოვართვი, ჩემი კი იმას გარდავეცი... მხოლოდ ამ ჩემ ბარგს მოუარე, არავინ ნაილოს. მეკი იქ შენსას მოუყული.

ტყუილი გაცვლა იყო მ-ძის მხრივ, რადგანაც თანაბრივ არყევდა ღელვა სამივე კლასს, რადგანაც ტალღები გვერდიდგან მოდიოდა... ცხვირიდგან, ან კუდიდგან რომ ყოფილიყოს ტალღები, მართლაც, დიდი განსხვავება იქმნებოდა. მესამე კლასი მოთავსებული იყო სწორედ გემის შუაგულში...

– აბა, ეხლა კი ვისადილოთო, – მითხრა კაპიტანმა და ისევე უკან დამაბრუნა სასადილოსკენ, – ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ მესამე კლასის მგზავრებსაც ისეთივე ნერვები აქვთ...

– დავრწმუნდი, მაგრამ იმაშიაც დავრწმუნდი, რომ გაჭირვების დროს მესამე კლასის მგზავრი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე პირველ და მეორისა...

– როგორ?!

– ხომ ჰწახეთ, რო ველაპარაკებოდი... იმას ჩემი ადგილი ეჭირა. აქიდგან არის გადასული... უეჭველია, იმისთანეები ბევრი იქმნებიან... ხომ ჰწახეთ, ტახტის გარედ ბევრი იატაკზე ეყარა... ესენი უთუოდ გადმოყრილები არიან ტახტებიდგან... ტახტებზე სამხედროები გორაობდნენ. ისენი სულ აქიდგან იქმნებიან გადასულები, როგორც ჩემი ნაცნობი სამხედრო ჩემ ადგილზე.

– ეჰ, ჩემო მეგობარო, – ნალვლიანად წარმოსთქვა კაპიტანმა, – სამხედროებს ვერას მოვთხოვთ... სჯობს, ვისადილოთ, – დაუმატა კაპიტანმა... და უბრძანა მოეტანათ სადილი.

სად ვნახამდი ამისთანა სადილს. რა მოუნდებოდა სულსა, გულს, რომ იქ არ მოეტანათ... ირყეოდა გემი, მაგრამ ისე მოჰქონდათ, რომ არც ჰღვრიდნენ, და არც ჰყრიდნენ. ჩვენც ისე ვჭამდით. ბულიონი ღრმა ჯამებით ნახევრად ისე მშვენივრად მოიტანეს, რომ ერთი წვეთიც არ დაქცეულა. ჩვენც ისე დავლიეთ, რო არც ერთი წვეთი არ დაგვიგდია...

შემდეგ ოდესა... გზა... ვარშავა...

პირველმა მგზავრობამ უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება მომცა, ვიდრე სემინარიაში ექვსი წლის სწავლამ.

თ. სახოკიამ პირნათლად შეასრულა თავის დანაპირები. პირველ თვეებში მომანოდა თავისი წვლილი, არც შემდეგში მტოვებდა უყურადღებოდ.

ვარშავაში რო მიველი, სულ ერთი თუმანი მქონდა ჯიბეში, ისიც მ-ძემ გამომართვა... დავრჩი სულ უფულოდ. აქ მრევლიშვილი დამეხმარა. მიშოვა ისეთი ბინა, სადაც წინდანიწვე არ უნდოდა გარდახდა. ნდობაზე იყო დამყარებული...

ვარშავაშიაც სწავლამ კი არა, დაკვირვებამ გააფართოვა აზროვნება. სამშობლოს სიყვარული ვარშავაში სიგიჟემდის მიმივიდა... იქ შევიქმენი ერთგვარი წრე ქართველებ შორის. შევიმუშავეთ „ლიგა საქართველოს თავისუფლებისა“ და შევეუდექით ამის გავრცელებას და სწორედ ამ დროს, ერთი ჩვენი წრის წევრის (ფ. მახარაძე) უტაქტო მოქმედების წყალობით, ჩვენ ყველანი ციხეში ამოგვამწყვდიეს... ცხრა თვე ვიყავი მარტოობაში. მხოლოდ ათ მცნებასავით კედელზე გაკრული ტუსალების მოვალეობის ათი მუხლი მეჩხირებოდა თვალებში. ამ მცნებაში პიროვნება ნომრად იყო გარდაქცეული... მაშინ ბევრი ხელ-ნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხები მქონდა. ყველა დამეკარგა. 1894 წელმა ჩანთქა 1886 წლიდან განზრახული და ჩონჩხად ჩამოსხმული მოთხრობები...

წერა დავიწყე ადრე. მაგრამ მოკრძაღე ვიყავი და ვერ ვამჟღავნებდი. 1889 წ. ერთ ჩემ ნაცნობს მივეცი და ვსთხოვე, მიეტანა რედაქციებში და თუ სცნობდნენ ღირსად, დაებეჭდათ. ფსევდონიმიც მხოლოდ იმისთვის გამოვიგონე, რომ ვინაობის გამომჟღავნება არ მინდოდა. მარტო „ჯეჯილში“ დაიბეჭდა თითქმის ერთი წლის შემდეგ „მოგონება“. ეს უკვე 1890 წ... ის ორი კი დაიკარგა... მქონდა კიდევ რამდენიმე ეტიუდი 1889 წ. დაწერილი და სხვისავე ხელით გადავეცი... დაიბეჭდა მხოლოდ „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“ „ჩემო შვინდავ!..“ „ჯეჯილმა“ უკან დამიბრუნა, როგორც უვარგისი. როგორც უვარგისი რო გადაეგდოთ, ისიც დამეკარგებოდა, რადგანაც შავი არასდროს არ მქონია... ჩემი გვარის გამომჟღავნება არ მინდოდა და ისე გულ-უბყვრილო ვიყავი, თითქოს მუდმის ასე დარჩებოდა... ძალიან მეწყინა, როდესაც ერთ ადგილას ჩემი გვარი არაგვისპირელს დაუკავშირეს. ვჯავრობდი იმათზე, ვისაც გული ვანდე და იმათი ხელით ვგზავნიდი ნაწერებს რედაქციაში...

ველარ ვათავებ...¹

[1910-იანი წლები]

1. შიო არაგვისპირელის ავტობიოგრაფია დაწერილია კოტე მაცაშვილის თხოვნით (მინანური ავტობიოგრაფზე).

ნინო ტატიშვილი-ყიფიანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1948 წლის 1 იანვარს ყიფიანი ნინო ბეჟანის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1867</u> თვე _____ დღე ____
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა, მთარგმნელობა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1895 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	–
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>წკ. გ. საზ-ბის წევრი და ამავე საზ-ბის ქალთა წრის თავმჯდომარე; 1922 წ. ქვიშხეთში მოვანყე სათეატრო დარბაზი; დავაარსე დრამ. წრე და ვლებულობდი მონაწილეობას წარმოდგენებში</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>პ/გებაში არ ყოფილა მიცემული</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა-ლიტერატურა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა თბილისში ყორგანოვის 25-ში საკუთარი სახლი ქონდა ქვიშხეთში, რომელიც შემდეგ გადასცა მწერალთა კავშირს</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ანკ. შევსებულია 1937 წ.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
ნ. ყიფიანის წაწარმოებები:				
	1.	„სიზმარი“, მოთხრობა, 1916 წ.		
	2.	„სპარტაკი“ ჯიოვანიოლისა, თარგმანი, 1901 წ.		
	3.	„სპარტაკი“ „-“, 1922 წ.		
	4.	<p>დანერვილი მაქვს მრავალი წერილები და მოთხრობები, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებში: „კვალში“, „მომამბე“, „ჯეჯვილი“, „ნაკადული“ და სხვა. აგრეთვე საგაზეთო წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა გაზ. „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „საქართველო“.</p> <p>აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ჩემი თარგმანები ამ ნაწერებიდან მნიშვნელოვანი არიან: „საბრალლო დარეჯანი“, „პირველი ნაბიჯი“, „სოფელს დაუბრუნდით“ და სხვა.</p> <p>თარგმანებიდან მოთხრობები ფრანკოსი: „ნაძირალნი“, „ავი სენი“ და სხვა.</p> <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ.</p> <p>ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>		

ლუარსაბ ხელაძე ჩემი ავტობიოგრაფია

1881 წ. 14 წლისამ დავსტოვე ჩემი სამშობლო სოფელი ძულუხი და მოვაშურე ქალაქ ტფილისს. ჩემი სწავლის „ბაგაჟით“ არ შემეძლო რაიმე სახარბიელო ადგილი მიმელო, ბიჭათ ან ხელზე მოსამსახურედ-კი არ მინდოდა დავმდგარიყავ და ისევ ვარჩიე რაიმე ხელობის შესწავლა. ბოლოს გადავსწყვიტე სტამბის ხელობის შესწავლა. მივებარე ექვთიმე ხელაძეს სტამბაში, რომელიც სამი წლით იყვანდა შეგირდებს უჯამაგიროდ. მე სამი წლით ვერ გავბედე დადგომა და ვსთხოვე ჩემი ხარჯით მესწავლა უვადოთ, რამდენ ხანსაც მოუნდებოდი. ასეთაც მოვახერხე.

სტამბაში ჩქარა გავეცანი ამხანაგებს, რომელნიც მიზიარებდნენ თავიანთ გულისნადებს და მიმართულებას. ამ მხრივ თუ შეიძლებოდა მაშინდელი სარდაფში მოქცეული სტამბების შეგირდები შერჩენილიყვნენ თავიანთ ადგილს. სხვანაირად მაშინდელი აუტანელი მუშაობა ბნელ და ჭუჭყიან ბინებში განუსაზღვრელ სამუშაო დროით ეხლანდელ შეგირდებისათვის ზღაპარი იქნებოდა.

ბინა მქონდა მთანმინდაში, სადაც სხვა მუშებთა შორის მომეტებულად ცხოვრობდნენ სტამბის მუშები. აგრეთვე ცხოვრობდნენ სოფლიდან ჩამოსული სემინარიაში მოსწავლე ახალგაზრდობა.

არ დამავიწყდება ჩემ სიცოცხლეში მეზობლად მცხოვრებ სემინარიელის ის ცეცხლის მრფქვეველი და სიცოცხლით სავსე თვალები, რომელმაც პირველად გამაცნო იმ მოძღვრებას, რომელსაც ეწოდება სოციალიზმი.

ეს იყო ისიდორე რამიშვილი. მე ის გავიცანი 1883-4 წ. რამდენიმე ხნის შემდეგ მითხრა: „მე შენ უნდა წაგიყვანო ერთ „წმინდა“ ოჯახში, სადაც ჩვენ გვექნება საუბარი და ლექციები ხალხის თვითგაცნობიერებაზე და შეგნებაზე. გმართებს სიფრთხილე, რომ არა საიმედო ვინმე არ შემოგვერიოს“.

ვინ იყო ამ წმინდა ოჯახის პატრონი?

ეს იყო მიხა ჩოდრიშვილის ოჯახი, რომელიც მაშინ ცხოვრობდა რკინის გზის ლიანდაგთან ახლო, კვირაცხოვლის გორაკთან, ასახვევში.

მიხა ჩოდრიშვილის ოჯახში ხშირად იმართებოდა კრებები, რომელსაც სხვა მუშებთან ერთად ესწრებოდა მთელი ოჯახი მიხასი. ამ კრებებს ხელმძღვანელობდნენ სხვათა შორის: ისიდორე რამიშვილი, გოლა ჩიტაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ბართლომე მოსეშვილი და ვინმე „ნიკოლაი“, გვარი არ ვიცი. ხშირად კამათი დიდ აღშფოთებას იწვევდა, მაგ., როდესაც სისხლის მწოვარა მეფეების პოლიტიკას ააშკარავებდნენ ლექციებში – ზაქარია ჩოდრიშვილი აღელვებული წამოიძახებდა: „დანა, დანა მაგათ“. ხშირად დიდ კამათს იწვევდა აგრეთვე რუსეთის ზოგიერთი ორგანიზაციის მოქმედება, მაგ., როგორც იყო ხელმწიფე ალექსანდრე პირველის მოკვლა და სხ. ტერორისტული მოქმედებანი. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებთაგანი სიკვდილის წინააღმდეგნი იყვნენ. ასე, ამნაირად მიხას ოჯახიდან გამოსული მონანილე ამხანაგები თავიანთ ინიციატივით სხვა ცალკე ოჯახებში მუშაობდნენ.

დაახლოებით 1885-6 წ. მოეწყო პატარა სტამბა „ჩემოდანში“.

რას წარმოადგენდა ეს სტამბა? ის იყო გაკეთებული დიდ ყუთში, ანუ ჩემოდანში. რომ გაიღებოდა, თქვენ წარმოგიდგებოდათ საწყობი კასა, ჰქონდა სახურავი ასე, რომ დაკეტვის დროს შრიფტი არ გადარეულიყო ერთმანეთში. მეორე მხარეს ჰქონდა გაკეთებული სწორი ფიცარი საღებავის გასალესად ნაწყობის დასაბეჭდათ. ნაწყობი იბეჭდებოდა ვალიკის საშუალებით დასველებულ ქალაღზე. ასე რომ, გარეგნობით ეს წარმოადგენდა „ჩემოდანს“, მაგრამ სახელდახელო პატარა სტამბა-კი იყო გამართული. ქართულ-რუსული შრიფტი იყო გაზიდული ჩემ მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბიდან. ჩქარა მოვანყვეთ ეს პატარა სტამბა და ეხლა ადგილი უნდა გვეპოვნა, სადაც ვიმუშავებდით. გოლამ სტამბის სამუშაო ადგილად ამოგვიჩნია „ჩიტოს“ საპარიკმახერო. ხსენებული საპარიკმახერო გამართული იყო მუხრან-სკის სახლებში, ბაყალი ანუ მენილე „გიგოს“ გვერდზე. „ჩიტო“ შესანიშნავი გულმრნფელი ადამიანი იყო და თავდადებული რევოლიუციონერი. თითქმის ორი წელიწადი ვმუშაობდით „ჩიტოს“-თან. შემდეგ-კი უნდა გამოგვეცვალა ადგილი და მუშაობაც შევანერეთ. ჩქარა გოლაც გამოჩნდა და მითხრა მუშაობის განახლება.

ეგ ზარხის მოედანზე ჩიხში, მე-7 № სახლში, მეორე სართულში არის ერთი პატარა ოთახი, შუშაბანდიანი; იქ იდგა ბინად გოლა. ოთახს ჰქონდა განჯინასავით ამოჭრილი ადგილი, სადაც მოვათავსეთ „სტამბა“. ოთახის მონყობილობას შეადგენდა: ერთი პატარა ფეხმოტეხილი მაგიდა და სკამი. მაგიდაზე იდგა თუნუქის საჩაიე მუდამ ცხელი წყლით და ნატეხი პური. გოლასაც სხვა არაფერი გააჩნდა. ცხოვრობდა ძალიან ხელმოკლედ. იმის შეხედულება და სახის გამომეტყველება ამტკიცებდა იმის დიდ შრომას და მატერიალურად დიდ განცდას. მისი მაღალი ტანადობა და გამხდარი ყვითელი სახე, ჩაცვივნილი თვალები და სხ. წარმოადგენდა მის უზომო შრომას. ხშირად მოვარდებოდა ალელვებული და მომცემდა ასანყობად, ან მიკარნახებდა რკინის გზის მუშების შესახებ პროკლამაციებს და გააქანებდა მაშინვე.

ერთ ღამეს, როდესაც გაცხარებულ მუშაობაში ვიყავით, მე ვანყობდი და გოლა ბეჭდავდა, უეცრად კარებს მოადგა ვილაც და დაუნყო ბრახუნი. ჩვენ ფერი გვეცვალა, მაგრამ რალას ვიზამდით. მაშინვე მივმართეთ ზომებს. სტამბის ყუთი ისეთ ადგილას გვექონდა მონყობილი, რომ ერთი ფიცარი რომ ამოგველო, ყუთი კედლებში ჩავარდებოდა, ასე რომ, ყუთი იმალებოდა და განჯინა-კი ცარიელი რჩებოდა, არაფერ საეჭვო შეხედულებას არ სტოვებდა. ეს „რეპეტიცია“ რომ გავათავეთ, იქვე ჩაისა და პურს შევექეცით. შემდეგ კარებიც გაულო გოლამ და შემოვიდა ვილაც უბნის ზედამხედველი (околоточный надзиратель). თურმე ეს ზედამხედველი გოლას ნათესავი იყო და რო იცნო, ერთი კარგათ შეუკურთხა და მიაყოლა: „...რას დახეტილობ შე ოხერო, ამ შუალამისასო“.

ამ პატარა „ტრევეგამ“ გოლა ძალიან ააღელვა, მაგრამ, მეორე მხრით, გამოცდა მოხდა, რამდენად შეგვეძლო გადაგვემალა პატარა „სტამბა“.

გავიდა ხანი. გოლა სადღაც წავიდა. მოახლოებული იყო 1888 წელი, როდესაც უნდა მოსულიყო ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე III და ვინც-კი პოლიტიკურად საეჭვო პირები იყვნენ ზოგი გადაასახლეს, ზოგი დაატუ-

საღეს და ზოგნიც მიიმაღნენ. ამ დროს აღარც გოლა გამოჩნდა და სტამბაც დაიკარგა. არ ვიცი, რა ბედი ეწვია.

რამდენიმე თვის შემდეგ გოლაც გამოჩნდა, მაგრამ ის გოლა უკვე აღარ იყო. ის ჭკუიღამ შემლილიყო

ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ჩემი რამოდენიმე

შენიშვნები და მოგონებები:

1. „ტფილისის ასოთ-ამწყობთა საქიროებანი“ – სარდაფებში მუშაობის დროს, „ივერია“, 15 აგვისტოს 1887 წ., 2/2 სვეტი.

2. „მუსიკალური საღ. სიტყვები და მნიშვნელობა“, „ივერია“, დეკ. 20, 1891 წ., 4 კაღონა.

3. „ამგროსი დავითის ძე ხელაშვილი“ (ნეკროლოგი), „ივერია“, №38, 4 კაღ.

4. „ობისა და ნაცრის ნამღობის შესახებ“, „ივერია“, №56, 1892 წ., 2 კაღ.

5. „სამოქალაქო სკოლის დამხმარე საზოგადოება“ – თელავიღამ მონერილი ამბავი, 1892 წ., „ივერია“, №73.

6. ქართული თეატრი ქუთაისში, „ივერია“, №218.

7. „იმერეთი. მონერილი ამბავი რიონზე ხიდეების უქონღობის გამო“ – მკაცრი წერილი, „ივერია“, №241, 2 კაღ.

8. „ახაღვაზდათა საყურადღებოდ საზაფხუღოდ გასღლისას“, „კვალი“, №29.

9. „განსვენებული აღექსანდრე ყაზბეგი“. „კვალი“, №7.

10. „ქრისტი აღსდგა“ – თხზული ველიჩკოსი, აღებული გურიის ცხოვრებიღან და მიღღვნილი პროფ. ხახანაშვილისაღმი, ჩემ მიერ თარგმნილი.

11. „ნაბეჭდ საქმეთა გამოფენის შესახებ პეტროგრაღში“, „ივერია“, №227 (შენიშვნა ასოთ-ამწყობისა).

12. „აღექსანდრე ყაზბეგი სტამბებში – მისი განუწყვეტელი მუშაობისა და მისი ავტორობის შესახებ“.

13. მთავრობის განკარგუღების გამო აკრძალული „ელგუჯა“ ჩაბარდა საცუზურო კომიტეტს, საღაც იგი დასწვეს.

14. საიღუმლო სტამბებში მუშაობღენ გოღლა ჩიღაძე, სიღიბისტრო ჯიბღაძე, და სხ. და სხ.

15. იღია ჭავჭავაღის მკვეღღობის მოთავე და დიმიტრი ჯაში – მისივე ნაამბობი.

ღუარსაბ დიმიტრის-ძე ხელაძე

თედო სახოკია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1956 წლის 17 თებერვალს სახოკია თედო ტიმოთეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	თედო სახოკია
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1868</u> თვე <u>მარტის</u> დღე <u>2</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი) სოფ. ხეთა (სამეგრელო)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ეტნოგრაფი, მთარგმნელი
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1888
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური კოორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	ვიყავი 1902 წლიდან სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში, 1919 წლამდე

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ვსწავლობდი პარიზის უმაღლეს საანტროპოლოგიო სკოლაში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური და ინგლისური
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული ასაკის გამო</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო შვეიცარიაში, იტალიაში, პარიზში, ლონდონში, ბელგიაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მოსკოვის შეს. 4</p>

„ ___ “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თედო ტიმოთეს ძე სახოკიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1868 წლის მარტის 2, სამეგრელოს სოფელ ხეთაში, ზუგდიდის მაზრა. მამა – ტიმოთე მღვდელი იყო, დედა – ელისაბედ, იგივე ელისა, ხეთის მღვდელ დავით კუტავას ქალი. პატარა ვიზრდებოდი ჩემი მამა-ძუძე გლეხ უთუთია იოსავას სახლში, სამეგრელოსავე სოფ. ბიაში (უკეთ კიტია-ნოხოროში), ხობის მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრზე. სამი წლისა სოხუმში გადაუყვანივართ, სადაც მამაჩემი ღვდლად იყო სოხუმის სასაფლაოს ეკლესიაში. სწავლა ხუთი წლისას დამაწყებინეს რუსულად და შემეყვანეს ე. წ. მთიელთა სკოლაში, რომელიც აფხაზთა ბავშვებისათვის იყო გახსნილი. იქ მხოლოდ რუსულად ასწავლიდნენ. 1876 წელს, რუს-ოსმალის ომი რომ ატყდა, მოსახლეობამ სოხუმი დასცალა და მამაჩემი სამეგრელოში გადავიდა, სადაც მღვდლობა მისცეს ხეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ბიძაჩემი მღვდელ გიორგი კუტავას ადგილას, რომელიც ის იყო გარდაიცვალა.

სანამ ცხრა წლის არ შევსრულდი, ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდი. ამიტომ როცა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში უნდა შევეყვანეთ, ჩემი მომზადების (რუსულად) მიხედვით მეორე მოსამზადებელში უნდა მიველეთ, მაგრამ ქართულის უცოდინარობის გამო პირველ მოსამზადებელ კლასში დამსვეს. განათლება მივიღე პირველ დაწყებითი სამეგრელოს 4-კლასიან სასულიერო სასწავლებელში. თბილისის სასულიერო სემინარიაში მივიღე საშუალო ცოდნა, შემდეგ უმაღლესი პარიზის საანტროპოლოგიო სკოლაში.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოველ თარგმანებით. ჩემი პირველი თარგმანი დაბეჭდილია „ივერიის“ 1888 წლის 164 ნომერში, 1891 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა ფრანგულთ თარგმნილი ვიქტორ ჰიუგოს „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“.

ნათარგმნები: ფრანგულიდანა მაქვს: გიუდე მოპასანისა ოთხი წიგნი, ვიქტორ ჰიუგოს, ვოლტერისა, ოკტავ მირბოსი, ბარბიუსისა; იტალიურით: ბოკაჩიოსი „დეკამირონი“, გარიბალდის „კლელია“, დე-ამიჩის „მატილდა სერაოსი“, პატარ-პატარა მოთხრობები.

მითანამშრომლია შემდეგ პერიოდულ ორგანოებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“ (პარიზში გამომავალი), ჟურნალი „მოამბე“, „ჯეჯილი“. 1921 წლიდან თბილისში გამომავალ სალიტერატურო გაზეთებში, ჟურნალ „მნათობში“. ნაწერები მაქვს: რუსულად საეტნოგრაფიო წერილები სამეგრელოზე (ზოგი დაბეჭდილი, ზოგიც დასაბეჭდი მარის სახელობის ინსტიტუტში).

ცალკე გამოცემული მაქვს 37 სათაურის წიგნი – დიდი თუ პატარა. დასაბეჭდად გამზადებული მაქვს: 1. გურია, აჭარა, სამურზაყანო, 2. „ციმბირში“, 3. „ძველად“ (მოგონება სამეგრელოში სწავლა-აღზრდის საქმის შესახებ), 4. საქართველოში საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა 1905 წელი, 5. ქართულ ფიგურალურ თქმათა და სიტყვათა ლექსიკონი, 6. გიდე მოპასანის მეოთხე წიგნი, 7. ანდაზები (სრული კრებული).

მონაწილეობას ვიღებდი საზღვარგარეთიდან 1905 წ. აჯანყებისათვის საქართველოში იარაღის შემოტანისათვის. ამისათვის 1907 წელს გამასამართლეს და ციმბირში (ირკუტსკის გუბერნია) საუკუნო საცხოვრებლად ვიქენ

გადასახლებული. ჩემი ნებით თუ უნებურად ციმბირიდან ლტოლვის შემდეგ საზღვარგარეთ (შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი) მიცხოვრია 15 წელიწადს.

ქართულსა და რუსულს გარდა ვიცი სამი ევროპული ენა – ფრანგული, იტალიური და ინგლისური.

1904 წლიდან ვითვლები პარიზის საანტროპოლოგიო საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპონდენტად.

საქართველოს სოცუზრუნველყოფის კომისარიატიდან პერსონალურად მეძლევა თვეში 30 თუმანი.

ოჯახს მოვეკიდე 1906 წ. მეუღლეთა მყავდა დეკანოზ ანტონ კეკელიძის ქალი. გარდამეცვალა 1918 წ. მყავს ქალ-ვაჟი. ჩემი შესანახი არავინაა, გამიზრდია სამი ძმისწული. 1917–1924 წლებში ფრანგულისა და ქართულის მასწავლებლადაც ვიყავი ჯერ სასულიერო სემინარიაში, მერე ქართულ გიმნაზიაში.

განსვენებულ მამაჩემს დიდი სურვილი ჰქონდა ტრაპეზის მსახური გამოვსულიყავი, დარწმუნებულიც იყო, რომ მამას წინ არაფერი დაუდგებოდა. ხუთმეტ წლამდე, სანამ სემინარიაში შევიდოდი და გავსოციალისტდებოდი, ეს სურვილი მეცა მქონდა. იმ დროს ანაფორა ყველასათვის და ისიც სასულიეროთა შვილთათვის დიდათ სახარბიელო და საპატიო სამოსლათ ითვლებოდა, საყოველთაო პატივი და ცხოვრებაში სუფრის თავში ჯდომა მხოლოდ მღვდლის წინმხდომი იყო. ამ კარიერისათვის ყველაფერი ხელს მიწყობდა: უაღრესად სასულიერო შთამომავლობა, სპეციალური სასულიერო აღზრდა, სასულიერო ატმოსფეროში ტრიალი. მაგრამ ჩემმა ბედმა ალბათ სხვანაირად იმუშავა და მაჯერა მხოლოდ ჩემს პაპასთან – დიდ შიო მღვდელთან, პატარობაში მოკრძალებულ მღვდელ დიაკვნისას და საკურთხების მჭამლისას (იხ. „მნათობი“, 1938, №111).

სალიტერატურო მუშაობას თითქმის ძველებურის ენერგიით განვაგრძობ.

თ. სახოკიას ნაწარმოებთა სია:

1. ეთნოგრაფიული წერილები სამეგრელოზე.
2. თარგმანები ფრანგულიდან, იტალიურიდან, რუსულიდან.
3. მოპასანი, ბოკაჩიო და სხვები – თარგმანები ფრანგულით.
4. მოგზაურობანი – გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, 1950 წ.
5. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1950-51 წ.
6. მზადა მაქვს მეორე ტომი და მესამე ხატოვანი სიტყვა-თქმანისა (ხატოვანობა ძველად, ანუ მოგონებანი სწავლა-აღზრდაზე).
7. ციმბირში – მოგონებანი ციმბირში გადასახლების დროსა.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჩემი ავტობიოგრაფია

დავიბადე 1868 წლის მარტის 2 (15) სამეგრელოს სოფელ ხეთაში (ზუგდიდის მაზრა). მამა, ტიმოთე მარკოზის ძე, მღვდელი იყო, დაბადებული 1832 წელს სოფ. შხეფში (ძველსა და ახალ სენაკს შუა), სადაც დღესაცა სახლობს ას კომლამდე ჩვენის გვარის ხალხი. დედა-ჩემი ელისაბედ (იგივე ელისა), სოფელ ხეთის დეკანოზ დავით კუკავას ქალი იყო. პაპა-ჩემი (მამით) მარკოზ სახოკია, ოქრომჭედელი ყოფილა. მისს ხელობას დიდი გასავალი და პატივი ჰქონია იმ დროს და მისი ოჯახი, სხვებთან შედარებით, სულმოდგმულ ოჯახად ითვლებოდა თურმე. ხოლო ჩემი პაპის მამა დადიანის კარის მღვდლად ყოფილა და ბატონს მღვდლის და სულიერ მოძღვრის ხარისხისათვის სრულებით სათაკილოდ არ მიაჩნდა თურმე, კვირაობით, ნაწირვევს, ამ მოძღვრისათვის ზურგით შეშა მოეტანინებინა ტყიდან. გარდა ამისა, ჩვენს გვარს ბატონისაგან ვალადა სდებია, სხვათა შორის, დიდმარხვაში ბატონისა და მის სასახლის მომარხულე წევრებისათვის საქმელად ჭინჭარი ეკრიფნა. სხვა გვარის მეზობლები სულ ბოლო ხანამდე წიგნის გვარს მეტსახელად დაცინვით „მეჭინჭრე“ („მეჭუჭყლე“) სახოკიებს გვეძახდნენ.

გადმოცემაა დარჩენილი, რომ ჩვენი შორეული წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილა. თავის სოფელში კაცი შემოკვდომია. სასჯელისაგან თავის გადასარჩენად გამოქცეულა გორდში (ლენხუმში). აქ ცოლი შეურთავს და ჰყოლია ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. წინაპრის შვილებსაც არ ასცდენიათ კაცის კვლა. მათს ლამაზ დას შემოსჩვევია დადიანის მოურავი ჩიქოვანი. ძმებს გარედ სამუშაოდ გასულებს რომ გაიგულებდა, ჩიქოვანი თავის ჯარით მოდიოდა მათს სახლში და სატრფოსთან დროს ატარებდა თურმე. ერთხელ ძმებმა ზედ წაასწრეს ჩიქოვანს, არ შეარჩინეს ოჯახის განზილება, მოჰკლეს და ხრამში გადააგდეს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ლენხუმში არ ედგომებოდათ და გამოქცეულან სამეგელოში. აქ ჯერ მისულან მარტვილის ტაძართან და ნიშნად მონობისა კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე. ამის შემდეგ ესენი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად და არავის, თვით მთავარსაც კი, არ შეეძლო მათთვის დანაშაულისათვის პასუხი მოეთხოვნა და ხელი ეხლო. გვარებიც გამოიცვალეს. ორმა ძმამ სახოკიები დაირქვა და შხეფში დარჩა, და ორმა ძმამ გახოკია დაირქვა. ერთი დარჩა ამ გვარით სოფ. ბანძაში, ხოლო მეორე მდ. ტეხურზე გავიდა და მარანში (აბაშას ახლო) დასახლდა, სადაც დღესაც არიან ამ გვარისანი, მხოლოდ იწოდებიან გახოკიძეებად.

როგორ და ვის მიერ ვიზრდებოდით მაშინდელი ყრმები? – შეიძლება ახლანდელს ეუცხოვოს ასეთი კითხვა და პასუხად ეს გვითხრას: რა თქმა უნდა, დედა ზრდიდაო! მაგრამ ასე არ გახლდათ!

სამეგრელოში იმ დროს ასეთი ჩვეულება იყო, ძველის-ძველთაგან დაკანონებული, მცხოვრებთა მიერ შესისხლხორცებული და სრულებით ბუნებრივად მიჩნეული. სახელდობ: პრივილეგიურ კლასის (თავადის, აზნაურის, სამღვდელთა) დედა თავის შვილს თავის ძუძუთი არა ზრდიდა. საკუთარის ბავშვის გაზრდა „კეთილშობილის“ ოჯახის ქალის მიერ ითვლებოდა სამურეხო, სააუგო, საძრახ, ქვეყნის ყბადასალებ, თავისმოძქრელ საქმედ. ასე-

თის დედის ბავშვის გაზრდისათვის უნდა ეზრუნა სოციალურ საფეხურზე ყველაზე დაბლა მდგომს – გლეხის დედაკაცს – „ძიძას“ და მისს ქმარს – მამამძუძეს ან, როგორც სამეგრელოში ეძახდნენ, მორდუს (გამზრდელს).

მეც, როგორც მღვდლის, ე. ი. „კეთილშობილთა“ ოჯახის შვილი, უნდა გავეზარდნე ძიძას. ასეთი მოიყვანეს ჩვენის სახლიდან 14 კილომეტრის მანძილიდან, სოფ. ბიადან (უკეთ – კიტიანოხორიდან) ხობის მონასტრიდან 12 კილომეტრის მოშორებით). ძიძას ერქვა ირინე, ლატარიას ქალი იყო. მას მოჰყვებოდა თურმე ჩემი მამამძუძე – უთუთია იოსავა.

ძიძასთან დარჩენილვარ სამ წლამდე, იმავე გარემოში და იმავე პირობებში, როგორშიც იყო მაშინდელი გლეხის შვილი. ერთის წლისა ყოფილვარ. ერთხელ კერის პირას აკვანში მარტო დარჩენილვარ. შემოსულა დედა-ლორი და სხვა რომ ვერაფერი უპოვნია საკბილო, დინგი ამოუკრავს აკვნისათვის, რომ გაეგო – შიგ რა სულიერი ინვა. არტახები შეჭხსნოდა და თვითონ აკვანი შიგ ცეცხლში ჩავარდნილა. ჩემ ბედზე, ამ დროს შემოსულან და გულგახეთქილი ყრმა ნაადრევ ცეცხლში დანვას გადაუზრჩენივართ. დამწვოდა მხოლოდ მარჯვენა ხელის მაჯა, რომელსაც, ამ ინციდენტის მოსაგონებლად და გასათვალისწინებლად, დღესაც ატყვია ძველებურ კოპიტის სიფართე ნანვის კვალი.

მეორეჯელ მძიმედ ავად გამხდარვარ რალაც კუჭნანლავის სატკივრით. გადადებული ავადმყოფი ყოფილვარ და ჩემის მორჩენის იმედი ყველას დაჰკარგოდა. რაკი მოუნათლავი ყოფილვარ, გადაუწყვეტიათ მონათლული მაინც დავეშორებოდი ამ წუთი სოფელს, რომელსაც, ის-ის იყო, დაუწყე ცქერა. ძველად ბავშვის მშობლები მიმრქმელად ან ნათლიად ეძებდნენ უეჭველად თავიანთის ნოდების ადამიანს და მატერიალურად, შედარებით, უზრუნველს, რომ თავის ნათლულისათვის უხვი საჩუქრების მიტანა არ გასჭირებოდა. ალბად, ჩემი მდგომარეობა იმდენად უიმედო იყო, რომ ასეთი კაცი არავინ აღმოჩენილა და ამიტომ მიმრქმელად გამმხდომია ჩემი მამამძუძე უთუთია. ხოლო საიდუმლო ნათლისღება შეუსრულებია ჩემის ბებიის (მამით) ძმას სახელოვან მღვდელს ჩემის მამამძუძის სოფლისას, შიო იოსავას. შიოს თავი ექებოდა, სხვათა შორის, იმითაც, რომ იშვიათი იყო, მის მიერ მონათლული მომაკვდავი ბავშვი არ გადარჩენილიყო. შიო სერიოზადაც იკვებნიდა თურმე: ხელი მაქვს ასეთი ბედნიერი-კაი, არა აქვს შიოს? – რომ ვისაც ის მიეკარება, რაც უნდა მომაკვდავი იყოს, მორჩებაო! განა ყველა მღვდელსა აქვს ასეთი ხელიო?! მე, როგორც ნათესავი მისი და ისიც მღვდლის შვილი, ხომ უნდა გადარჩენილვიყავ! და, აკი, გადავრჩი კიდევცა!..

სამისა თუ ოთხის წლისა წაუყვანივართ სოხუმში, სადაც მამა-ჩემი, 1867 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი, წმ. გიორგის ეკლესიაზე მღვდლად იდგა. 1874 წ. დედა გადამეცვალა. მამა-ჩემს, 41 წლისას, 6 შვილში (4 ქალი და ორი ვაჟი) ორი ვაჟილა შევრჩით.

სწავლა მამა-ჩემმა 5 წლისას დამაწყებინა. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ერთი პოლონელი ქალი, ინდოეთის ტელეგრაფზე მოსამსახურის ცოლი. მასწავლიდა, რა თქმა უნდა, რუსულად. პოლონელის შემდეგ რუსულ წერა-კითხვის სწავლებას განაგრძობდა ერთის რუს პოლკოვნიკის – ალექსანდროვიჩის, დად. როცა წერა-კითხვა ვისწავლე, შემიყვანეს სოხუმში არსებულ ეგრეთ წოდებულ „მთიელთა სკოლაში“ („Горская школа“), აქ აფხაზთა ბავშვები-

სათვის გახსნილში, სადაც პანსიონიც იყო და შიგ შემოსულ აფხაზთა ბავშვებს სახელმწიფო ხარჯითა ზრდიდნენ. სწავლება, რა თქმა უნდა, რუსულად სწარმოებდა. ქართულის ხსენებაც კი არ იყო. მაშინ ვერც-კი წარმოედგინათ, თუ არ რუსულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ყოფილიყო. მეცა ვსწავლობდი რუსულად, მით უფრო, რომ მეზობლის ბავშვები, ჩემი ტოლები, სულ რუსები იყვნენ. მახსოვს, სკოლიდან გამოსული, ნასადილევს, ამ ბავშვებს სამხედრო ვარჯიშობას ვუმართავდი, ხის თოფს მხარზე გადავიდებდი, ვუფროსობდი, ენა, რა თქმა უნდა, რუსული იყო.

მამა-ჩემს უფიქრია: კარგია, რომ ჩემი შვილი რუსულად სწავლობსო, მაგრამ ცუდი არ იქნება, ჩვენებურიც (ქართული) ისწავლოს, საყველპუროდ, შინაურულადო. ჩემი მასწავლებლობა თურმე მიანდო თავისს დიაკვანს, ვინმე ჭალაგანიძეს. რის ვაი-ვაგლახით იშოვნეს ფურცლის მეოთხედზე დაბეჭდილი ქართული ანბანი (რამდენადაც შემიძლია მივხვდე, უნდა ყოფილიყო პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი ქართული ანბანი). დიაკვანმა გვერდით მომისვა და მითხრა: ეს არის ანი, ეს არის ბანი და ესეც განიო, ისწავლე და მე რომ დავბრუნდები, გკითხავ და თითოეულ ანბანის სახელები უნდა მითხრაო. მე დუმულით ვუპასუხევი. დიაკვანი რომ წავიდა, ცოტა ხანს ვათვალიერე ქართულის ანბანის სამი პირველი ასო, გავუზომე სიმაღლე-სიგრძე, მერე მომბეზრდა, უსაქმურ კაცის მოგონილად ჩავთვალე, რაკი რუსული ვიცოდი, ეს „ან-ბან-გან“ სრულებით ზედმეტად მივიჩნიე და არც ვაცეი, არც ვაცხელე და დავხიე და ნაფლეთები ქარს გავატანე. სამს საათს უკან ჩემი მასწავლებელი რო დაბრუნდა და მკითხა: აბა, რა ისწავლეო, მე თამამად ვუთხარი: ანბანი კატამ დამიხია მეთქი!.. იმან კიდევ მამას უთხრა, ასე ყოფილაო. მამას გაეცინა და ეტყობოდა, ბევრი არ უნალვლია ჩემი უქართულოდ დარჩენა. მგონი, „ანბანიც“ ადვილი საშოვარი არ იყო. გადავურჩი, გადავურჩი ქართული ანბანის სწავლასა. ერთი გარემოება რომ არა, შეიძლება ისე დარჩენილვიყავ, რომ სულაც არ მცოდნოდა ქართული ანბანი... ეს გახლდათ რუს-ოსმალოს ომი, რომელიც გამოცხადდა 1876 წელს.

ამ ომის გამოცხადებასთან ერთად დაიცალა სოხუმი და დაბები ამ მხრისა: ოჩამჩირე და გუდაუთა, და რათგან ამ ადგილებში უნდა მომხდარიყო ფრონტი ოსმალო ჯარისა, სოხუმის მოსახლეობა უმთავრესად მეგრელებისაგან შესდგებოდა, და ამათაც მიაშურის თავიანთ პირველ სამშობლოს, რომელთანაც კავშირი შერჩენილი ჰქონდათ. მამაჩემი წამოვიდა ზღვით ფოთამდე, გემ „მახვილით“. აქ ზღვაში შემოგვეგება ორთქლმავალი, ბორბლებით მომუშავე პატარა გემი „ბაბუშკა“, რომელმაც მდ. რიონით ამოგვიყვანა ძველ ქალაქ ფოთში, მაშინდელი ფოთი ძალიან შორს ჩამოუვარდებოდა აწინდელ ფოთს. ფოთიდან ტფილისამდე მაშინ გაყვანილი იყო რკინისგზის ლიანდაგი და 1873 წ. გაეხსნათ მატარებლების მიმოსვლა. მატარებელმა ფოთიდან სენაკში ამოგვიყვანა, ხოლო სენაკიდან ფურგონით ჩავედით დედი-ჩემის სოფელ ხეთაში, სადაც სახლ-კარი გვექონდა და ამ სახლში ცხოვრობდა ჩემი ბიძა ექვთიმე. ჩვენი სახლი იდგა უდაბურ ტყეში. სულ 600–700 წლის მუხებით იყო სავსე იქაურობა. შიგა ბუდობდა ათასგვარი ნადირი: გარეული ღორი, დათვი, მგელი, შველი, ტურა, აუარებელი ფრინველი, განსაკუთრებით ხობობი. ტყეში ჰქონდათ მწყემსებს კარები, ზამთარ-ზაფხულ შიგა ცხოვრობდნენ

და უვლიდნენ ძროხებს. მცხოვრებთა სახლები ერთი-მეორისაგან ნახევარ და მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. აქაურ ტყეს მეგრელის ფანტაზია ავსებდა ყოველგვარ მანვან სულებით და ჩემს ნორჩს ფანტაზიასაც აუარებელი მასალა ეძლეოდა საზრდოდ. აქ ჩაეყარა ჩემს გონებას წარმოდგენა ოჩოკოჩებზე, ტყის მეფეებზე, ჭინკებზე... ერთიც, მეორეც, მესამეც შეადგენდა ყოველ დღიური ბაასის საგანს და იმდენადაც იყო ჩვენის, პატარების, გონება შეპყრობილი, რომ მზის ჩასვლის შემდეგ სამზარეულოდან სახლში შემოსვლა გვიჭირდა. და დღესაც, უკვე მესამოცდამეთექვსმეტე წელში ფეხგადადგმულს, თითქმის მთელ ქვეყნიერება შემოვლილს და ამდენი ვლისას ბევრის მნახველს, გულწრფელად არ შემიძლია იმისი თქმა – ბავშვობის შთაბეჭდილებათა გავლენისაგან სრულებით თავისუფალი ვარ-მეთქი, იმდენად შეეწოვა ჩემს ნორჩს სისხლსა და ხორცს ეს შთაბეჭდილება, იმდენად შეჰპოჭა ჩემი ფსიხიკა იმ შიშმა და ზარმა.

ჩვენ რომ ჩამოვედით სოხუმიდან, მაისი იყო. ჩვენის სახლიდან სამი-ოთხის კილომეტრის მანძილზე სასოფლო სკოლა იდგა, სამ განყოფილებიანი. მასწავლებლად ვინმე ზოსიმე ჩაჩუა იყო. მამამ ჩემი თავი ჩააბარა, იქნება ქართული წერა-კითხვა ასწავლოთ როგორმეო. ყველანი ერთგვარის პატივისცემით და შურით მიყურებდნენ როგორც რუსულის წერა-კითხვის მცოდნესა და ამ ენაზე მოლაპარაკეს... მასწავლებელს ერთგვარი პანსიონი ჰქონდა იმათთვის, ვისაც მშობლები სკოლის მოშორებითა ჰყავდა. ჩემს გარდა პანსიონში ორი სხვა იყო. ერთი მოზრდილი ყმანვილი იყო, ასე 14-15 წლისა. ამას დაკისრებული ჰქონდა ჩვენი მზარეულობა. ისიც კეთილ სინიდისიერად ასრულებდა თავის თანამდებობას: გვიკეთებდა ფქვილის ლომს და გვიცხობდა მჭადს. ყველი და მისი ჯანი! მე სხვებს ვასწავლიდი რუსულს, ხოლო ყველას ავიწყებოდა, რომ ჩემთვის „ჩქინიბური“ – ჩვენებური, ე. ი. ქართული, უნდა ესწავლებინათ. ერთი თვე მეტი გავატარე ლარჩვის სკოლაში, მაგრამ ქართული მაინც არავინ მასწავლა და მე მით უფრო ნაკლებ მადარდებდა ეს გარემოება. შემოდგომაზე მომიკვდა ბიძა (დედით), ხეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გიორგი კუკავა, და მისს ადგილზე დაინიშნა სოხუმიდან ლტოლვილი მამა-ჩემი. ასე რომ, ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა გამოკეთდა, რათგან წმ. გიორგის ეკლესია დიდ შემოსავლიან და მღვდელთათვის მეტად სახარბიელო ეკლესიად ითვლებოდა.

ჩქარა მერვე წელში გადავდგებოდი, უნდა შევეყვანეთ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რომელიც მაშინ ახლად გადმოტანილი იყო ქუთაისიდან მარტვილში. ამ სასწავლებელში შესასვლელად იმ დროს საჭირო იყო ქართულ წერა-კითხვის ცოდნა მაინც. ამიტომ მამა-ჩემმა ჩემი თავი ჩააბარა თავისს ბიძას, სამეგრელოში გავლენიან მღვდელს, შიო იოსავას და მისს შვილებს, რომ როგორმე ესწავლებინათ ქართული წერა-კითხვა.

თითქმის ერთ წელიწადს დავეყავი შიო იოსავას სახლში. ჩემმა პაპამ გამოიყენა ჩემი ცოდნა რუსულის ლოცვებისა, რუსულის გალობისა, და გამიხადა პატარა დიაკვნად, დავეყავი გლეხებთან ტაბლების საკურთხებლად; სადილ-ვახშმის დროს სტუმრებთან „მამაო ჩვენოს“ რუსულად მათქმევიწებდა და თავი ექებოდა, რომ მის სუფრაზე რუსულად იცოდნენ ლოცვების თქმა; შიოს თანამეცხედრე კიდენ მიშველიებდა როგორც მორბედსა მეზობლებთან,

სალამობით ქათმების დაბინავებაში და სხვა წვრილ საოჯახო საქმეებში. მაგრამ ის, რისთვისაც ვიყავი აქ მოყვანილი – ქართული წერაკითხვის სწავლება ყველას დავინყებულები ჰქონდა და მით უფრო მე არა ვცდილობდი აუტიკივარი თავი ამეტიკივებინა და მომეგონებინა მათთვის – ქართული მასწავლეთ-მეთქი.¹

ამასობაში მარიამობაც მოახლოვდა. მამამ ზაფხული ჩემ მამამძუძესთან მამყოფა და მარიამობისთვის გასულს მარტვილში ჩამიყვანა და წარმადგინა სასწავლებელში, იმ იმედით, რომ რაკი რუსული ვიცოდი და უშინსკის „Родное Слово“ მესწავლა სოხუმის მთიელთა სკოლაში, მეორე მოსამზადებელში ჩემს მიღებას წინ არა დაუდგებოდა რა. მკითხეს, რა იციო. „Родное Слово“ წამაკითხეს. ჯერ კიდევ არ დამეინყნოდა. ქართულიცა მკითხეს, მაგრამ შევრცხვი – არ მისწავლია-მეთქი. დამსვეს პირველ მოსამზადებელში. აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ მამა-ჩემმა, რათა უფრო აენია „რუსულის მცოდნე“ შვილის ფასი მასწავლებელთა (და აგრეთვე ჩემს გარეშემო მყოფთა) თვალში, სოხუმიდან წამოღებული და ახლა უკვე დაპატარავებული „მთიელთა სკოლაში“ ნახმარი მუნდირი ჩამაცვა და ისე წამომიყვანა სახლიდან. ეს მუნდირი კოპიო იყო მაშინდელ სოლდათურ, შავის მაუდის, ყვითელ ლითონის ბრჭყვიალა ლილებით ერთპირად შემოკვრულ და წითელ საყელიოან მუნდირისა. ადვილი წარმოსადგენია, რა სასაცილო უნდა ყოფილიყავ მოწაფეთა თვალში ამ ჩემს ორიგინალურს და აქაურ თითქმის უნახავ სამოსელში! ხელად მეტი სახელიც შემართქვეს: „მებატე რუსიო!“ და ეს, მათის აზრით, მეტად დამამცირებელი სახელი მანამ მიძახეს, სანამ ხელი არ ამაღებინეს მათის დაცინვის მიზეზ მუნდირზე და მათებურად ხალათი არ ჩამაცმევინეს შინ მოქსოვილ შალისა.

ბინა მამამ დამიდო ერთ გლეხის, ივანე ოდიშარის სახლში. აქვე იდგნენ ძმები ბესარიონ (ბოლოს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი) და გიორგი ხელაიები, უკვე მესამე კლასის მოწაფენი. ბესარიონმა ხელი მოჰკიდა ჩემს სწავლებას და ორ კვირაზე ქართული კითხვაც შემასწავლა და წერიტაც, სრულებით უმტკივნეულოდ, გაუნყრომლად. ჩემი პირველი წერილი, ქართულად დაწერილი, მამაჩემს ნოემბერში გავუგზავნე, ჩემი კარგათყოფნას და სწავლაში წარმატებას ვატყობინებდი და თან ვსთხოვდი სამის აბაზის გამოგზავნას. ისე გახარებოდა მამაჩემს ჩემის წერილის მიღება, რომ საგანგებოდ გამოგზავნილის კაცის ხელით სამი აბაზიც მომანოდა და ათიოდ სულგუნიც საგზოდად.

პირველ მოსამზადებელში რუსულის ენისათვის სახელმძღვანელო წიგნად გვექონდა რუს პედაგოგის უშინსკის „Родное Слово“ ქართულისათვის სახელმძღვანელო არა გვექონია და არც მოიპოვებოდა რამე ასეთი. უმთავრესად წერასა ვსწავლობდით. მასწავლებელი, გვარად ნათაძე, დაფაზე დაგვიწერავდა, რამდენიმე ფრაზას და იქიდან ჩვენ ჩვენს ბზის სავარცხლით დახაზულ რვეულებში უნდა გადაგვეწერნა. ტარასი არქიმანდრიტის დედნის მრისხანება, მხოლოდ მეორე მოსამზადებელში რო გადამიყვანეს, მაშინ გამოვიდა ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და ქართულის მასწავლებლადაც მოგვევლინა პოლივეკტ

1. შიო იოსავა და მასთან ჩემი ცხოვრება აწერილი მაქვს „შიო მღვდელში“ (იხ. „მნათობი“, 1939 წ., №VII).

ყვიცარიძე, ეს უებრო პედაგოგი, რომელმაც დაუვინყრად შეგვაყვარა როგორც თავისი თავი, ისე ის საგანი, რომელსაც გვასწავლიდა. მე-III კლასში ვიყავ, როცა ჩვენს სასწავლებელში, უკვე მარტვილიდან დაბა ახალსენაკში გადატანილში, ზედამხედველის თანაშემწედ გაამწესეს ვასილ ბარნოვი, გვიანრელიე ჩვენი სწორუპოვარი ბელეტრისტი. სასწავლებელში შვიდის წლის განმავლობაში, სწავლის მიმზიდველობისა და გემოსი თუ რამე განვიცადეთ მოწაფეებმა, ეს იყო სამის მასწავლებლის – პ. ყვიცარიძისა, ვას. ბარნოვისა და ამბროსი ხელაშვილის წყალობით; ან და, თუ მასწავლებლები მგლებად რომ გვყავდა წარმოდგენილი, ეს სამი კაცი სრულებით გვაწინყებდა ამ გრძნობასა და გვიტყობდა იმ ტანჯვას, რომელსაც მაშინ სწავლას ვეძახდით და რომელიც, გვისპობდა ყოველგვარს ადამიანურს სახიერებას,¹ გვიხშობდა გონებას და გვაძულებდა საერთოთ სწავლას, გვაძულებდა სასწავლებელის, როცა ყველა საგანს რუსულის საშუალებით გვასწავლიდნენ, ე. ი. უცნობს უცნობით გვათვისებინებდნენ, და რათგან რუსული იმდენად არ ვიცოდით (და არც შეიძლება გვცოდნოდა), ყველაფერს ვზეპირობდით და ისე გავდიოდით ფონს.

ეს ცოდნის შეძენის საქმე ანუ გონებრივი განვითარება ამ სასწავლებლის შემყურე ბავშვებისა.

თქვენ იკითხეთ პირობები ამ ბავშვების ფიზიკურ არსებობისა.

უმრავლესობა უბინაო, ტანთჩაუცმელები და, თავი და თავი, მშვირები. გვშოოდა დღეში 24 საათის განმავლობაში: გვშოოდა კლასში, გვშოოდა ბინებზე. საქმლით გაძლომა გვეღირსებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საშობაოთ, სააღდგომოთ და საზაფხულო არდადეგებზე შინ წამოგვიყვანდნენ ან და შემოდგომაზე ჩვენ-ჩვენი მამები ქორწილებში მოგროვილ ხორცს ან ნაკურთხს ტაბლების საწოვავეს ჩამოგვიტანდნენ მარტვილში. ისიც თითოეულს ჩვენგანს ერთს დღეს თუ გვეღირსებოდა გაძლომა, რათგან ჩამოტანილის სურსათის შეჭმაში აკტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ როგორც ჩვენი შიმშილისაგან დაყმენდილი ამხანაგი „დიაკვნები“², ისე მასპინძლის³ ოჯახის წევრები, რომლებიც ჩვენზე უარესად იყვნენ დამშეულები. ასე რომ, გადაჭარბებული სრულებით არ იქმნება, თუ ვიტყვით, რომ მომავალ სულიერ მამათა მოზარდი ორგანიზმი განიცდიდა ქრონიკულს შიმშილს ამ შვიდი წლის განმავლობაში, რაც სასწავლებელში ვიყავით, დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა.

და რაკი სამყოფ საზრდოს კანონიერის გზით ვერა ვშოულობდით, ხოლო ბუნება თავისას თხოულობდა და მუცელი ვალალას გვაყრიდა, რაკი სხვა გზა არა გვქონდა, მივმართავდით ქურდობას. ვქურდობდით გაზაფხულზე გლეხების ხილს, შემოდგომაზე ჭყლინტ სიმინდსა და ყურძენს; ვქურდობდით ქათამს, ინდოურს, გოჭს; ვქურდობდით დიდი, პატარა; ვქურდობდით მასპინძლისას,

1. ამ სასწავლებელში ყოფნისა და შიგ სწავლების აღწერა ვრცლად იხილე ჩემს „წარსულიდან“-ში, რომელიც ინახება „ლიტერატურულ მუზეუმის“ არქივში (გადავეცი საბლიტგამს, 1952, 24/XII).

2. მარტვილში სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთ „დიაკვნებს“ გვეძახდნენ, რათგან სასწავლებლის გათავებისას ღვედლობის ხარისხის მიღება ყოველ ეჭვს გარეშე იყო.

3. გლეხებს, ვის სახლშიაც „დიაკვნები“ ვიდექით, მასპინძელს (მეინძელს) ვეძახდით.

ექურდობდით სხვებისას. ქურდობას იმდენი მომხრე და მიმდევარი ჰყავდა, რომ ბოლოსა და ბოლოს სირცხვილად, აუგად არ ითვლებოდა. პირიქით, მარჯვე, მოხერხებულ ქურდ-დიაკვანს, გარდა იმისა, რომ, სხვებთან შედარებით კარგათა სცხოვრობდა, მოწაფეთა თვალში ერთგვარი პატივისცემა და რიდი ჰქონდა. თვითონ სიტყვა „დიაკვანი“ ქურდობის სინონიმად იყო გადაქცეული.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დავასრულე მეორე მოწაფედ 1883/4 სასწავლო წელს. ვემზადებოდი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად, მეორე კლასში, მაგრამ წლოვანებამ ხელი შემიშალა. მამაჩემს თუმცა ჩემს გიმნაზიაში შესვლაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, საიმისოდ არა სწყენია, რათგან გზა ტფილისის სასულიერო სემინარიისაკენა მქონდა. სასულიერო მთავრობის იმ წელიწადს გამოსულ ბრძანების თანახმად, სასულიერო სასწავლებელი ვისაც პირველის ხარისხითა ჰქონდა გათავებული, სემინარიის პირველ კლასში, უგამოცდებოდ ლებულობდნენ. მამასადამე, ქუთაისიდან, სადაც გიმნაზიაში შესაყვანად ჩამომიყვანა მამამ, ვახსენეთ ღმერთი და გამოვსწიეთ ტფილისში.

სემინარიაში რეკტორად დაგვიხვდა ამ თანამდებობაზე ამ ერთ წელს წინად დანიშნული დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, 1886 წელს სემინარიის ნამონაფარ იოსებ ლალიაშვილის მიერ სატევრით მოკლული ყველას ალერსიანად ჩამოგვართვა ატესტატები და გამოგვიცხადა: ახლა სემინარიის მოწაფეებად ითვლებითო. რადგან ტფილისში ხამად ვიყავით, მამამ არჩია ჩემი შეყვანა სემინარიის ბურსაში ჩვენს ხარჯზე. საქმე ის გახლავს, რომ სასულიერო წოდების (მღდელ-დიაკვნების) შვილებს, ვინც ობლები იყვნენ, სამღვდლოების ხარჯზე ლებულობდნენ სემინარიისავე შენობაში მოთავსებულ პანსიონში ანუ საერთო საცხოვრებელში, რომელსაც ბურსას ეძახდნენ. ბურსაში მოწაფეს ეძლეოდა საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, ბინა, თვეში სამი გირვანქა შაქარი და სახელმძღვანელო წიგნები. რუსეთში ამ ბურსიდან დაერქვა ძველად სემინარიაში მოსწავლეთ ბურსაკები, ხოლო რუსეთიდან საქართველოს სემინარიაშიაც გადმოვიდა ეს სახელწოდება. მერე გადატანითად, ხატოვანად, ეს სახელი უჭვივოდათ ყველა უხეშ, ტლანქ, ნატიფ ქცევაზე მწყრალად მყოფ მოწაფისათვის. მართლაც, მაშინდელი სემინარიელები ყველანი სოფლები იყვნენ. გაუთლებლები, მოუხეშავნი როგორც ქცევასა, ასე ლაპარაკში და ამგვარად განირჩევიდნენ ამ მხრით გიმნაზიაში მოსწავლეთაგან. თქვენ მაგათი მარტო გრძელი, შავი მაუდის საზამთრო გვაბანაკები ბრძანეთ, მათს მატარებელ მოწაფეთ შავ ყორნებს რომ ამსგავსებდა!.. ასე რომ, ყველასაგან ყბად-ასალები, დასაცინი და საქირდავნი სემინარიელები იყვნენ.

სამოსწავლო წლის პირველი ნახევარი ისე გავიდა, რომ თვინიერ გაკვეთილების სწავლისა სხვა საზრუნავი, სხვა საფიქრებელი, აზროვნების გამაღვიძებელი, ჩვენთვის არ არსებობდა. პროვინციიდან ჩამოსვლისას მქონდა: სარწმუნოება, უფროსების, განსაკუთრებით მასწავლებელთა, პატივისცემა და რიდი, შეგნება მთავრობის მოქმედების წამებისა უკრიტიკოდ. ერთის სიტყვით, 15-16 წლის ყმანვილი ვიყავი, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ყველა იმდროინდელი მოქალაქე დიდის რუსეთის იმპერიისა და ამ იმპერიის იმპერატორი ალექსანდრე მე-III-ს ერთგული ქვეშევრდომი.

იმავე წლის მეორე ნახევრიდან კი სემინარიის ზღუდეთა შორის ცხოვრებამ გამომითხოვა და ხელი ამაღებინა ყოველსავე მასზე, რაც მანამდე მწამდა და რაც ურყევლად ჭეშმარიტებად მიმაჩნდა, ძირიან-ფესვიანად შემირყია მსოფლმხედველობა, ახალ გზაზე დამაყენა, ზურგი მაქცევინა ყოველისავე ძველებურისათვის.

რა პირობებში ვისი მეშვეობით მოხდა ყოველივე ესა?

ტფილისში ქუთაისის გუბერნიიდან იმერეთის (ქუთაისიდან), გურიის (ოზურგეთის) და სამეგრელოს (ახალსენაკის) სასულიერო სასწავლებლებიდან ჩამოსულ მონაფეხებთან შედარებით ქართლ-კახეთის სასწავლებლებიდან (თელავის, გორის, ტფილისის) ჩამოსულები შავგვრემანები იყვნენ და საშინელებად გვეჩვენებოდნენ და კარგა ხანმა განვლო, სანამ ამხანაგებს ასე თუ ისე თვალს შევაჩვევდით. განსაკუთრებით ირჩეოდა თავის გარეგნულის სიშავით შიო დედაბრიშვილი ანუ დედაბეროვი.¹ ძალზე შავი, ლოყებაკვერილი ჩემზე, მაგალითად, საბთხურის შთაბეჭდილებასა სტოვებდა... პირველში გავეუბრდი კიდევცა. წარმოვიდგენდი კი, რომ ეს ადამიანი – ჩუმი, გულჩათხრობილი, ერთავად განმარტოვებული, სულ მოკლე ხანში ჩემ მეგობრად გახდებოდა. მე პირველ კლასში ვიყავ, ის-კი – მეორეში. ორივე სემინარიის ბურსაში ვიმყოფებოდით: მე – ჩემის ხარჯითა და შიო კი – სამღვდელთაგან.

შიო დედაბრიშვილი ამხანაგთა შორის ყველაზე მეტად ჰკერძავდა იოსებ (სოსო) ლალიაშვილისა, შემდეგში, როგორცა ვსთქვით, სემინარიის რეკტორ დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელს. შიოს საშუალებით გავიცანი და დავეუახლოვდი სოსოსაც (იოსებ ლალიაშვილს). ამ უკანასკნელთან დამაახლოვა აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ ჩამოსული ვიყავ სამეგრელოდან, რომლის მკვიდრად სანახევროდ თავის თავსა სთვლიდა იოსებ ლალიაშვილი, რათგან მამა-მისი, რომელიც ახალგაზდობაში მასწავლებლად ყოფილა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში (სოფ. მარტვილში), იქვე ოჯახს მოჰკიდებოდა და ცოლად შეერთო ბანძელ დანელიას² ქალი. მერე მღვდლადაც კურთხეულა.

შიო დედაბრიშვილიცა და იოსებ ლალიაშვილიცა, როგორც ჩემზე ერთის წლით ადრე შესულები სემინარიაში და უკვე გაცნობილები „ახალს მიმარულებას“ – სოციალისტობას, ამ მიმართულებასთან ჩემს გასაცნობად მაძლევდნენ „აკრძალულ წიგნებს“, უმთავრესად იმდროინდელ მონინავე აზრების მატარებელ რუსულ ყოველთვიურ ჟურნალებს – „Современник“-სა და „Отечественныя записки“ და ქართულ ჟურნალებს – „კრებულს“ ნ. ნიკოლაძისას და „იმედს“ მიხ. გურგენიძისას. ეს იყო მომზადება ჩემი და ჩემის ამხანაგებისა შემდეგს წელს სემინარიასთან არსებულ თვითგანვითარების წრეებში მონაწილეობის მისაღებად.

აღდგომის კვირაა. ბურსაში მყოფი სემინარიელები მეტწილად თავიანთ მშობლებთან არიან წასულნი. შიგ დარჩენილნი არიან ისეთნი, ვისაც ან სახლი ან დედ-მამა არ გააჩნიათ, როგორც იყო, მაგალითად, სოსო, ან და სამგზავ-

1. ქართლ-კახეთის სასწავლებლებიდან ჩამოსულ შავგვრემან შვილ-ზე დაბოლოვებული გვარები ყველას რუსულ დაბოლოვება OB-ებად ჰქონდა გადაკეთებული.

2. იოს. ლალიაშვილის ბიძა (დედითა) მღვდელი კირილე დანელია ამ რამდენისა-მე წლის წინად გარდაიცვალა სოფ. ბანძაში.

რო ფული არ აბადიათ. ასე იყო თუ ისე, შიომ, სოსომ და მათთან მეც, აღდგომის ბედნიერ დღეებში ბურსაში დარჩენილებმა, გადავსწყვიტეთ, სემინარიის ბურსისათვის დილიდან საღამომდინ თავი მოგვერიდებინა და ბუნების წიაღზე სუფთა ჰაერი გვესუნთქნა. სასეირნო ადგილად არჩეულიყო, დღევანდელ ღრმა-ღელეს თავს რომ დასცქერის და სადაც მაშინ მეცხვარეების ფარეხები იყო. საგზლად წავილეთ პური და ორ-ორი სააღდგომოდ ნითლად შეღებილი კვერცხი. იმედი გვექონდა, წყალს ალაგობრივ ვიშოვნოდით.

რკინის გზის სადგურს გავცდით თუ არა, დაიწყო უხვედრი და უდაბური ადგილები. ახლანდელ ძალისუბანისა (ნაძალადევის) მაშინ (1885 წ.) ნასახიც არ იყო. მივდივართ თავისუფლად, ლალად. გვიხარის, რომ „მერაბის“¹ მზირი თვალები არა გვხვერავენ, მისი ჯაშუშები კუდში არა გვდევენ. შიოს ლაპარაკი საერთოდ ემძიმებოდა, თითოეული სიტყვა ჭაპანწყვეტით ამოხდებოდა ხოლმე პირიდან. ასე იყო ახალგაზდობაში, ასევე დარჩა სიკვდილამდე. ასე რომ „მქადაგებლობა“, ჩემი „დამოძღვრა“ თავთ იდო სოსო ლალიაშვილმა. ჯერ დამიხატა სემინარიის მთავრობა და საპედაგოგო პერსონალი – ეს ადამიანის სახით მოვლენილი ჯალათები მონაფეთა სატანჯველად, უსულგულო მასწავლებლები, რომლებიც მონაფეებს ისე უყურებდნენ, როგორც მგლები ცხვრებს. დაუსრულებელი ლოცვა-ვედრება სემინარიის ეკლესიაში, გულის განვრილებელი, ყოველისავე სასოების წამრთმევი; მერე დამიხასიათა ამაზე ზემდგომი მთავრობა, რომელიც სემინარიის მთავრობის ხელში ჰყრიდა ამდენ ახალგაზდობის ბედ-იღბალსა... შიო სოსოს ნათქვამში შიგადაშიგ ჩაურთავდა თითო-ორ-ორ სიტყვას, კორექტივის ხასიათისას.

გაზაფხულის თბილი მზის სხივები უსაზღვროდ გვეალერსებოდა, ეს ჩემთვის ახალი და ჩემის სიცოცხლის გაზაფხულის სიტყვები ახალს და ახალს ჰორიზონტებსა ჰშლიდა ჩემს წინაშე, გულს საამოდ მიტოკებდა... ჩვენის ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლისათვის მამზადებდა ახალს მეზრდოლს, „ახალის მიმართულების“ ჭეშმარიტებითა ჟღინთავდა ჩემს ნორჩს არსებას. წარმომიდგა, ვითომ ახლა ამეხილა აქამდე დახუჭული თვალები, ყოველისავე ნათელისა და პროგრესულის გასაგონად დახშულ ყურებს ახლა მოშორდა საცობი, ფათურით მოსიარულე ახლა გამოვედი გაკვერილ, ნათლით გაკვერილ გზაზედაო...

მივაგენით წყაროსაც. მის პირას მოვიკალათეთ და მუცელს ბოძი შეეფუყენეთ ბურსიდან წამოღებულ მწირ, მაგრამ შაქარზე უტკბილესად მოჩვენებულ სანოვაგითა... ერთს საათს კიდევ ვგორაობდით ხავერდისებურ მწვანეზე და საათის ორზე ისევ უკან დავეშვით.

ამ ექსკურსიამ ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი ჩემს იოსებ ლალიაშვილთან და განსაკუთრებით, შიო დედაბრიშვილთან დაახლოვებას, რომელიც, ბოლოსა და ბოლოს, გადაიქცა მტკიცე, ურყეველ, სამარის კარამდე გაყოლილ მეგობრობად და ძმურ, დაუფინყარ სიყვარულად.

სასწავლო წლის გასულისათვის უკვე მომზადებულად ვითვლებოდით „ახალი მიმართულების“ მოძღვრების სხვადასხვა დარგების შესათვისებლად. მახსოვს ერთს დღეს, როგორ ჩავვიდგა შუაში პირველ კლასის მონაფეებს მეექვსე

1. მეტისახელი სემინარიის ინსპექტორისა – იაკობ სტეფანეს ძის სტეპანოვისა.

კლასის მონაფე ალექსანდრე ჟორდანია და დაგვიწყო „თვალების ახელინება“ სხვა და სხვა სარწმუნოებრივ კითხვების შესახებ. ჩვენი წარმოდგენა ქრისტიანთა, ღვთის მშობელსა, სხვადასხვა წმინდანებზე. ერთის მოსმით გაგვიბათილა, დაცინვით, მასხარად ავღებით იმ საგნებისა, რაც აქამდე ხელშეუხებლად, ჩვენის გონებისთვის მიუწვდომელად მიგვაჩნდა... პირველი შთაბეჭდილება, უნდა გამოვტყდე, მეტად მძიმე იყო. თან ავტორიტეტი მე-VI კლასელ მონაფისა მეტად დიდი იყო, რომ ვინმე ჩვენთაგანი გაკადნიერებულყო და გაებუნა პირში შებმა, შეკამათება, ეჭვის შეტანა მის ნათქვამში. ასე იყო თუ ისე, პირველი ყუმბარა გასქდა, შეანგრია კედლები ჩვენის მსოფლმხედველობის შენობისა და გამოგვინვია ჩვენის აზროვნების ასამუშავებლად, კრიტიკულად შევხებოდით ყველაფერს, რაც აქამდე ურყველ ქეშმარიტებადა გვწამდა, ყოველი კრიტიკის და ეჭვს გარეშე მედგარად მიგვაჩნდა.

მეორე კლასში რომ გადაველ, ბურსას თავი დავანებე და ამხანაგებთან ერთად კერძო ბინაზე დავინყე ცხოვრება. უკვე თვითგანვითარების და „ახალი მიმართულების“ უფრო საფუძვლიანად შესათვისებელ წრეში ვარ, რომელსაც ხელმძღვანელობს მეოთხე კლასის მონაფე ივ. ბარნაბიშვილი. გავიცანი ალ. ჯაბადარი, რომელსაც ივანოვთან ერთად გოლოვინის (ანინდელ რუსთაველის) პროსპექტზე, იქ, სადაც დღეს კავშირგაბმულობის სამმართველოა, კერძო ბიბლიოთეკა ჰქონდა და ქირით იძლეოდნენ სემინარიელთათვის აკრძალულ ნიგნებს (პისარევის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის და სხვათა ნაწერებს). გავიცანი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც მაშინ თავის დედასთან ერთად მთაწმინდაში ცხოვრობდა, ჭავჭავაძის ქუჩის თავში. „აკრძალული“ ნიგნების პატრონად ითვლებოდა და სემინარიელი ვინც მიდიოდა, სანათხოვროდ აძლევდა ბოკლის, პისარევის, ჩერნიშევსკის ნაწერებს, ერთის სიტყვით, შემეძლო მეტეჯა – უკვე ვეზიარე სოციალისტობას, კარგ გზს დავადექი და ახლა ჩემს სიმარჯვეზე იქნება დამოკიდებული, მალე ამოსვლა ჭაობიდან, რომელშიაც ჩაფლული იყო იმ დროინდელ სემინარიელთა უმეტესობა-მეტეჯი.

სემინარიაში დროდადრო ერთი მოსიარულე ფოტოგრაფი შემოდიოდა, თან მოჰქონდა „აკრძალულ“ მწერლების სურათები და სემინარიელთა შორის ჩუმად ჰყიდდა. დიდი გასავალი ჰქონდა დარვინის, ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის ავტორის – ბოკლის, პრუდონის, ლასალის, დობროლიუბოვის და სხვათა სურათებს. ყველა სურათები შევიძინე და საშობაოთ სოხუმში რომ წავიდი მამასთან, თან წავიღე. მამის სამლოცველოს ოთახში მთავარი ადგილი ეჭირა ერთ დიდ მღვთის მშობლის ვერცხლის ხატს, იქით-აქეთ გვერდებზე შემორიგებული ჰქონდა სხვადასხვა წმინდანების სურათები, პატარა ჩარჩოებში ჩასმულები. მე უფრო საფერად ბუნებრივად დავსახე ამ ჩარჩოებიდან მამიჩემის შინარყოფნაში წმინდანების სურათები ამომელო და მათს მაგიერ ტფილისიდან ჩამოტანილი „სოციალისტების“ სურათები ჩამესო. ასეც მოვიქეცი. ჩარჩოები თავ-თავის ალაგას დავტოვე-კი, მთავარ ხატის გვერდებზე.

ადვილად წარმოსადგენია მამიჩემის განცვიფრება, როცა შინმოსულმა ხატის იქით-აქეთ ჩარჩოებში თავისი წმინდანები ამოღებულები და მათს ალაგას სხვები დაუხვდა ჩასმულები, რომელთაც წმინდანებთან ცოტა მსგავსება ჰქონდათ. მკითხა: ეგ ვინ ჩაგისვამსო? ნასწავლი ხალხის სურათებია-მეტეჯი,

ვუპასუხე მამა-ჩემს. გაჩუმდა. მიკვირს, თავი როგორ შეიკავა, თავისი გულის-წყრომა როგორ არ გამოხატა უფრო ენერგიულის ჟესტით! ზევდან ჩვენის სახლის მდგმურის ცოლი ჩამოიყვანა, რომელსაც რაიმე სერიოზ მდგომარეობის დროს ყოველთვის მიჰმართავდა ხოლმე რჩევის საკითხავად... ჩამოსულს მეზობელს ელდა ეცა, როცა დაინახა წმიდანების ალაგას – ჯვარი აქაურობას! – „ვილაცებიც“ ჩასმული... მერე ამის ჩამდენი ვინ იყო? ვინა და მღვდლის შვილი, სემინარიის მოსწავლე, მომავალი მღვდელი... დაასკვნეს, რომ ჩემს „თავს კარგი რაღაც არ იყო“, ეს სულ „სოცისტების“, ხელმწიფის მოლაღატეების, სულწაწყმედილების მანქანებაა, ღმერთო, შენ დაგვიფარე ეშმაკისაგან! მირჩიეს, წმიდანების სურათები მევე თავის წინანდელ ალაგას ჩამესვა. ბედი ჩემი, რომ არ დამიხევია და არ გადამიყრია. მეგონა, კარგს ვშვრებოდი, ოთახს ვამშვენებდი დიდებულ ადამიანთა სახეებითა – ისიც ღვთისმშობლის ხატს გვერდით, მღვდლის სამლოცველო ოთახში!..

შედარებით ადვილად შემრჩა ეს ჩემი პირველი „სოციალისტური“ გამოსვლა...

წანათლილებევს დაბრუნებული ბინაზე დავდექი მიხა ცხაკაიასთან, რომელიც მაშინ მეექვსე კლასში იყო და, ის იყო, ბურსიდან დაეთხოვნათ „არაკეთილსაიმედოობისათვის“. ჩვენი ბინა წარმოადგენდა ერთ ოთახს ეგრედ წოდებულ ნომრებისას, რომელიც ეჭირა ვინმე ვანო ადამიას, საპიორთა (ან ძნელადის) ქუჩის დასაწყისის ჩიხში, თითქმის ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში. ოთახსა და ჭამა-სმამში სახლის პატრონისათვის თვეში თითოეულს უნდა გვეძლია თითო თუმანი. მე მამა თვეში 12 მანეთს მიგზავნიდა, ხოლო მიხას მამა (მღვდელი) მართალია, ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ უკიდურესი ღარიბი იყო, იმდენად ღარიბი და უქონელი, რომ შვილისთვის არასდროს რა გამოუგზავნიდა.

მიხას ბინაზე დაუდიოდა სემინარიელები და ყველას ტემებს აძლევდა სხვადასხვა კითხვების შესახებ რეფერატების დასაწერად და მერე ფარულ წრეებში წასაკითხად. სხვათა შორის, ტემები ასეთი იყო: „Влияние Н. Добролюбова на Русскую молодежь“, „Писарев как мыслитель“ და სხ. მაშინ გატაცებულები ვიყავით რობერტ ოუენის კოოპერაციით, სმაილსის „თვითმოქმედებით“, კომუნიზმით, კომუნისტურ ცხოვრებით. მეც გულწრფელად მიმაჩნდა ჩემი თავი კომუნისტად, განსაკუთრებით, როცა ისეთი უებრო მასწავლებელი და ხელმძღვანელი მყავდა ამ მოძღვრებისა, როგორადაც მიგვაჩნდა ყველას მიხა ცხაკაია. მალე პრაქტიკამ, ცხოვრების სინამდვილემ, ცოტა არ იყოს, გული გაგვიტეხა და უფრო კრიტიკულად დაგვანყებინა ამ დიდი მოძღვრების მქადაგებლებისათვის ცქერა.

როგორცა ვსთქვი, მიხას ერთი მანყული რა არის, არსაიდან შემოსდიოდა, მაშასადამე, მთელი სიმძიმე ორისავე ხარჯისა და ვანო ადამიას გასტუმრებისა მე მარტოს მანვა კისერზე. არ მომწონდა ასეთი ცალმხრივი კომუნიზმი... მიხა ცხაკაიასა და ჩემს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

მე. ვანო ფულსა გვთხოვს.

მიხა. მიეცი.

მე. მე ვაძლევ, მაგრამ, ხომ იცი, მამა 12 მანეთს მიგზავნის.

მიხა. მისწერე, მეტი გამოგზავნოს.

მე. მეტის გამოგზავნა არ შეუძლია და ჩემი ფული ორსავე არა გვყოფნის.
მიხა. შენ ხომ არ გაგიჟდი? ჩემი და შენი ფული სადაურია? განა ეს გას-
ნავლე?..

მე. მართალია, ჩემი და შენი არ უნდა იყოს, მაგრამ მე იმას გეუბნები,
რომ შენც უნდა იშოვო ცოტა რამ, თორემ ვანოს ხომ ხედავ, ცარიელა პუ-
რის მეტს არას გვაძლევს და თან გვემუქრება, ამ პურსაც ვერ მოგცემთ,
რათგან ფული ღირს და თქვენ კი არ იძლევიტო...

მიხა. არა, შენ ნამდვილად გაგიჟდი... ტყუილად დამეკარგა შენზე გა-
ნეული შრომა... შენგან კაცი არ გამოვა!..

სწორე მოგახსენოთ, მიხას სიტყვებმა ძალიან დამაშინა, ვაი თუ მართლა
სიგიჟით მომივიდა მისთვის ფულის თხოვნა-მეთქი. არანაკლებ შემაშინა მისმა
წინასწარმეტყველებამ – შენგან კაცი არ გამოვაო!.. სოციალისტობა ვისნავლე,
კომუნისტობაც... ვოცნებობ დაჩაგრულ კაცობრიობის შველას, მტრებისაგან
მისთა განმათავისუფლებელთა რიგებში ჩადგომას და ამ დროს ისეთი ავტორი-
ტეტი, როგორც მიხა ცხაკაიაა, მეუბნება – შენგან თავის დღეში კაცი არ გა-
მოვაო... ოღონდაც, რომ ჰღირდა, რომ მისს ნათქვამს გულისხმაში ჩავეგდე-კი.

ასე იყო თუ ისე, იძულებული ვიყავ, „კომუნას“ გავსცლოდი, გავშორე-
ბოდი ჩემს მასწავლებელს და თავისთვის მეშველნა.

გვიანრელე, როცა თმა-წვერ-ულვაში მთლად გამითეთრდა და ბევრი ახალ-
გაზდობის ოცნება ასე თუ ისე გამეცხრილა, ჩემი მეგობარი გერონტი ქიქოძე
შემხვდა. ვუამბე ზემოაღწერილი ეპიზოდი ჩემის ცხოვრებისა. თან დაგსძინე
ჩემის აწინდელის ყოფით უკმაყოფილება. ახედ-დახედა ჩემს შებერტყილს, უს-
ტილო სამოსელს, ჩემს გადაფითრებულს სახეს და მითხრა: რას ერჩი მიხას,
სწორედ უწინასწარმეტყველებია: იმას არაფერი აკლია და შენ-კი ყველაფრის
მონატრული ხარო...

სემინარიაში სოციალისტური მოძრაობა თანდათან იზრდება. ამ მოძრა-
ობას აღუებენ უფრო დაბალი კლასის მონაფენი. მაღალის კლასის, მაგალი-
თად, მეექვსის, თითქო განზე სდგანანო, თავს უფრთხილდებოდნენ, სემინა-
რიის გათავებისა და ცხოვრებაში უხიფათოდ გამოსვლის მოლოდინში. იოსებ
ლაღიაშვილს ინსპექტორმა უპოვნა „დღიური“, რომელშიაც დაგმობილი იყო
სემინარიის ბატონ-პატრონნი, მათი მტრული განწყობილება მონაფებთან,
მათს მიერ დამყარებული სასტიკი რეჟიმი სემინარიელთა ცხოვრებისა. ბო-
ლოს, ჩამონერილი იყო სია თავის საყვარელ ამხანაგებისა, მათი უმწეო მდგო-
მარეობა სემინარიაში გამეფებულ წესების წყალობით... ამ დღიურის აღმოჩე-
ნას მოჰყვა დღიურის ავტორის – იოსებ ლაღიაშვილის გარიცხვა სასწავლებლი-
დან, ხოლო მისი ამხანაგების დატოვება სემინარიის პანსიონის გარეშე.

ჯერ ისევ მიხა ცხაკაიას „კომუნაში“ ყოფნის დროს ინსპექტორმა დაათ-
ვალაიერა ჩემი ბინა, ლეიბ ქვეშ დამალული პფეიფერის „კოოპერაცია“ აღმო-
აჩინა, ამაზე ააგო ჩემი „არაკეთილსაიმედობის“ ბრალდება და მირჩია, ჩემის
ნებით გასულვიყავ სემინარიიდან, თუ მინდოდა მონაშობაში ყოფაქცევაში 5
გამომყოლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სემინარიის მმართველობა ჩემუ-
ნებურად დამითხოვდა და ყოფაქცევაშიაც „4“-ს გამომყოლებდა ნიშნად,
რაც საშუალებას მართმევდა, სხვა სასწავლებელში შესულვიყავ სადმე. ჩათ-

რევას ჩაყოლა ვარჩიე და საუკუნოდ გამოვეთხოვე სემინარიის ამხანაგებსა და ამ სემინარიის კედლებსა.

ადვილი წარმოსადგენია მამა-ჩემის მდგომარეობა, როცა სააღდგომოდ მიუვლე, უკვე „თავისუფალი“, სემინარიის გარეშე მყოფი, სამღვდლო გზისათვის სამუდამოდ ზურგმექცეული. მამა-ჩემი შესრულებულ ფაქტის წინაშე დავაყენე და ისიც, ძალა-უნებურად, შეურიგდა თავის მდგომარეობას. საქმე ის იყო, სად და რა ხასიათის სასწავლებელი მეძებნა ცოდნის შესაძენად, რომ ცხოვრებაში გარიყული არ დარჩენილიყავ და მამის გულიც დამემშვიდებინა.

იმ დროს „ახალის მიმართულების“ მიმდევართა, „მოსოციალისტების“ თვალში დიდი მოწონება ჰქონდა აგრონომიას, საკუთარის ოფლით, ფიზიკურის მუშაობით თავის რჩენას, უშუალოდ გლეხთან, ამ ყველასაგან გათელილ, ყველას მიერ აბუჩად აგდებულ პირის გვერდით ამოდგომას, მისი შრომის გაზიარებას, მისს ნუგეშინისცემას...

ამ გაჭირების დროს მრჩეველად, გზაზე დამაყენებლად სოხუმში გამოიჩინდა ანთიმოზ ჯუღელი, თვითონ ძველი „სოციალისტი“, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, ურომლოდ არავითარი პროგრესიული საქმე კეთდებოდა სოხუმში და რომელიც სოხუმელ ქართველობას ნამდვილ პატრონობას უწევდა. მისი ავტორიტეტი დიდი იყო და მისი ნათქვამი მამიჩემისთვის კანონი იყო. გადაწყდა ჩემი გამგზავრება საზღვარგარეთ და ჩემთვის სააგრონომიო ცოდნის მიღებინება.

მამაჩემმა საგზაო ფული მომიგროვა, გზა დამილოცა და მეც გავუდექი ევროპის გზას. პირველად თავი ამოვყავ შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, სადაც დამხვდა იქ ახლადჩასული ივანე მაჭავარიანი, შემდეგში ჩვენი მწერალი და ცნობილი მთარგმნელი და ჩემი მეგობარი. იმის რჩევით, თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ ქალაქში დავრჩი. მოვემზადე ფრანგულს ენაში და შემოდგომაზე იქაურ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ნაწილზე შევედი. პროფესორთა შორის ვუსმენდი გამოჩენილ ბუნებისმეტყველ კარლ ფოხტის¹ ზოოლოგიისა, თეოლოგიისა და შედარებითის ანატომიის გამოჩენილისავე ქიმიკოსის გრეზეს ლექციებს.

სამწუხაროდ, ცოტა ხანს შევრჩი იქაურობას: 1887 წლის მარტში მამის სიკვდილმა იძულებულმყო მანდაურობისათვის თავი დამენებებინა, დაბრუნებულვიყავ სახლში, გამომეძებნა ნივთიერი საშუალება და ისევ დავბრუნებოდი შვეიცარიას. ეს მოვახერხე, მხოლოდ შვეიცარიიდან პარიზში ჩავედი და სორბონში საისტორიო ნაწილზე შევედი, რადგან ამ დარგზე სწავლის ფულის გადახდა არა მჭიროდა. სამწუხაროდ, უსახსრობისა გამო ველარც პარიზს შევრჩი დიდსახანს და 1889 წლის დასაწყისში დავბრუნდი სამშობლოში.

ერთს წელიწადს სოფლის მასწავლებლად მივედი ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანებოდი და მეგონა, სხვებთან შედარებით, ეს ენა ასე თუ ისე ვიცი მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართლელების ლაპარაკმა დამარწმუნა, რომ დიდი მუშაობა მჭიროდა ამ ენის იმდენად

1. კ. ფოხტის სახელი, ისე როგორც მოლემოტისა, გოლანდიელ ბუნებისმეტყველ და მატერიალიზმის მოძღვრების, ჯერ ისევ სემინარიაში მქონდა გაგონილი. ორისავ ნაწერების კითხვა სოციალისტობის მაჩვენებლად ითვლებიან.

შესათვისებლად, რომ არ შემრცხვენოდა, საზოგადოებაში გამოჩენილი ჩემი ქართულის ცოდნა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვაობამ, ამ ამოუწურავმა და მრავალფეროვანმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ. აქვე ჩაეყარა საძირკველი ჩემ მიერ ქართულ ფიგურალურ თქმების, სალექსიკონო მასალების და ანდაზების შეკრების საქმეს. ქართულ მეტყველების მასალების შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად. ამ ათის წლის წინად შეეუდექი ჩემის ახალგაზდობის დროის ნაღვანის დალაგებას, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ საშვილოშვილო საქმე გამიკეთებია, თუ ვიტყვი, რომ იმედი მაქვს – როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა ლოცვა-კურთხევით მომიხსენიებს-მეთქი.

ქართლში მასწავლებლობის შემდეგ, 1890–1894, წლებში საარსებო სახსრის მოსაპოვებლად ვმსახურობდი ბორჯომში დიდის მთავრის მიხეილის მამულში მეტყვევის თანამდებობაზე „ნიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში“, ზესტაფონში ცნობილ შავიქვის მრეწველ ნიკ. ლოლობერიძის მრეწველობაში უცხოეთთან კორესპონდენტად, ბოლოს, 1894 წ. ეგრედ წოდებულ „ფილოქსერიის პარტიაში“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იძიებდა ვენახებს და როცა სადმე ვაზებზე საშინელ მავნებელ მწერს – ფილოქსერას აღმოაჩენდა, იმ ვენახებსა სპობდა ცეცხლის და ნავთის საშუალებით.

1891 წ. ქალაქ ვარშავაში იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველობამ შეადგინა წესდება ეგრედ წოდებულ „საქართველოს განთავისუფლების (რუსთ ხელმწიფის ხელიდან) ლიგისა“. ამ ლიგის დამაარსებელნი ვარშავაში შეიპყრეს 1894 წ. შეპყრობილთა შორის იყო ჩემი მეგობარი – შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), სავეტერინარო ინსტიტუტის მე-IV კურსის სტუდენტი. შიოსთან მიწერ-მოწერა მქონდა და სხვათა შორის, ამ ლიგის შესახებაცა მწერდა და მთხოვდა, ნაცნობ-მეგობრებისათვის გამეცნო მისი წესდების მუხლები და საერთოთ მეზრუნა ამ ლიგის აკტიურ თუ თანამგრძნობ წევრების გამრავლებისათვის. როცა შიო შეიპყრეს, ჟანდარმერია იწილ მთელი ჩემი წერილებიც, შიოსთან მიწერილები, და ისინიც, სადაც ხსენებულ ლიგის შესახებ იყო ლაპარაკი, რათგან ლიგის მონაწილენი ქართველები იყვნენ და მათი საქმის შესახები დოკუმენტებიც ქართულად იყო დაწერილი, მთელი საქმე ვარშავიდან ქუთაისში გადმოუგზავნეს წინად ვარშავაში ნამსახურს და აწ ქუთაისის საგუბერნიო-საჟანდარმო მმართველობის უფროსს, პოდპოლკოვნიკ დე-ბილს. როცა ქართული დოკუმენტები რუსულად გადათარგმნეს, ჩემი გვარიც წამოტივტივებულა და 1894 წლის ენკენისთთვის 20-ს მეც შემიპყრეს ტფილისში და მეორე დღეს ქუთაისში ჩამიყვანეს. ქუთაისის ციხეში სამი თთვე მამყოფეს. აქვე იყვნენ ჩამოყვანილნი: ნიკ. მელიქიშვილი, ანტ. გელაზარაშვილი, შიო დედაბრიშვილი. გამოიძიეს საქმე და ბოლოს თავდებით გამოგვიშვეს ყველანი და საქმეც მოსასპობად წარადგინეს, რათგან ლიგისა მხოლოდ წესდება იყო შედგენილი და ამ წესდების განხორციელებისათვის მუშაობის დაწყება ჯერ ვერ მოესწროთ.

1895 წლის დასაწყისიდან დავტრიალდი ტფილისში. ამა თუ იმ „სამსახურს“ აღარ გამოვდგომივარ და გადავწყვიტე, ლიტერატურულ მუშაობით, თუ ნიგნების გამომცემლობით გავსულვიყავ ცხოვრების ფონს. 1896 წ., რო-

ცა განსვენებულ ვალ. გუნიას „ცნობის ფურცელმა“ იწყო გამოსვლა, მიწვეულ ვიქმენ ამ გაზეთის თანამშრომლად. ამ გაზეთში მუშაობის დროს დამებადა აზრად შემოვლა ჩვენის ქვეყნის განაპირა ადგილებისა და ყოველმხრივი, განსაკუთრებით ეტნოგრაფიული აღწერა მათი იმდენად, რამდენად ეს შესაძლებელი იქნებოდა მოკლე ხნით სტუმრებულისა, სამგზავროდ მეტად მოკრძალებულის თანხის პატრონისათვის. ამ ხანებში მოვასწარ „სამურზაყანოში“ გამგზავრება და ამ მოგზაურობის აღწერა და დაბეჭდვა „მოამბეში“. სამურზაყანოს მოწყვა მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ამ ორის მხარის აღწერა იბეჭდებოდა „მოამბეში“ 1897 წლიდან 1901 წლის დასასრულამდე. 1898 წ. ზაფხულს ვიმგზავრე რაჭაში. დიდძალი მასალა შევკრიბე ამ მხარის აღსაწერად. მაგრამ ამ მოგზაურობის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, რათგან როცა მოგზაურობა დავასრულე და უკან ვბრუნდებოდი, ნიკორწმინდაში შემოსვლისას აღმოვაჩინე, რომ ჩემი რვეული, რომელშიაც შემქონდა ყოველგვარი ცნობა თუ შთაბეჭდილება, რომლებიც ჩემს მომავალს წერილებს საფუძვლად უნდა დასდებოდა, საუბედუროდ, როგორღაც დამკარგვოდა. ბევრი ვეცადე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაწერების აღდგენა ვერ მოვახერხე. მართალი უნდა ვსთქვა, რომ ძალიან დამწყდა გული, რათგან მეტად საინტერესო მასალა მქონდა დაგროვილი.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ 1889 წლის ზაფხულს ხარკოვიდან საექსკურსიოდ ჩამოსულ ბუნებისმეტყველ სტუდენტებთან ერთად ვიმგზავრე აფხაზეთის მთებზე. ამ მოგზაურობის აღწერის რვეული, სხვა წიგნებთან ერთად ერთ ნაცნობისათვის მიბარებული, 1916 წ. დაიკარგა. მოგზაურობის რვეულს როგორღაც სასწაულებრივ თავი ამოუყვია საქართველოს მუზეუმში და ეს ამბავი 1936 წელს მაცნობა პატივცემულმა გიორგი ნათიძემ, რომელსაც მაშინ მუზეუმის არქივი ებარა. ვერაფერი გამოირკვა – ვისგან, როდის და როგორ შეიძინა მუზეუმმა ეს ხელნაწერი. დღესაც შიგ ინახება.

ამ ხანებში იბეჭდებოდა ჩემი უმთავრესი თარგმანები. ვცდილობდი მეთარგმნა ქართულად ისეთი წიგნები, რომლებიც მკითხველს დაანახებდა თავის პოლიტიკურად დაშინებულ მდგომარეობას, მთელს სიმძიმესა და გაუსაძლისობას ამ მდგომარეობისას და დაუბადებდა კირთებისაგან თავის დაღწევის ძებნის და კისრიდან მონობის უღლის გადაგდების აზრს. ასეთი წიგნები იყო ცნობილ პოლონელ მწერალ-პატრიოტის – ეჟის (მილკოვსკის) „განთიადი“, ივანოვიჩის „მებრძოლნი და წამებულნი ბოლგარეთის თავისუფლებისათვის“, ბოლგარეთის ცნობილ რომანისტის – ივანე ვაზოვის „დამონებულნი“. ეს წიგნები ჯერ „მოამბეში“ დაიბეჭდა და მერე ცალკეც. სამსავეში აწერილია ბოლგარეთის ხალხის დამონება ოსმალთა მიერ და ამ ქვეყნის შეგნებულ და მონინავე შვილების თავგანწირული და უანგარო ბრძოლა ოსმალ მტარვალეების წინააღმდეგ. ამ წიგნების კითხვას თავის დროზე დიდი აღმზრდელობითი, გამათვითმცნობიერებელი და ეროვნული შეგნების გამაღვიძებელი გავლენა ჰქონდა ქართველ მკითხველზე, რასაც, რა თქმა უნდა, დიდ და ზნეობრივად დამაკმაყოფილებელ სახელადა ვთვლიდი ჩემთვის.

1898–1900 წლები სოხუმში გავატარე. ის წლები ჩემს სიცოცხლეში ითვლება იმ ხანად, როცა, მართლაც რომ, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამინა ქალამნად. თავი სრულებით არ მეზოგებოდა და მთელს ახალგაზდურის აღ-

ფრთოვანებით და თავდავინწყებით ვებრძოდი რუსის იმპერიალიზმის მიერ ჩვენი ქვეყნისა და ქართველ ხალხის გამარუხებელ პოლიტიკის გატარების საქმეს.

მეგრელობა და საერთოთ ქართველობა იმ დროს შეადგენდა 80% ქ. სოხუმის მცხოვრებლებისას. უძრავი ქონება სოხუმისა მათს ხელში იყო. ვაჭრობის ტონის მიმცემნიც მეგრელები იყვნენ. სამაგიეროდ, ადმინისტრაციაში, სულ მდბალ მოსამსახურიდან მოკიდებული ოლქის უფროსამდე, სულ უფიც, ტლანქ და მექრთამე რუსის ჩინოვნიკებს ნახავდით. სასულიერო უწყებაც რუსებისაგან შესდგებოდა. ეპისკოპოსი რუსი იყო, გარშემოც რუსის მღვდლები ეხვია. მთლად ოლქშიაც მეგრელობა შეადგენდა მცხოვრებლების 80%.

საუკეთესო საშუალებად ამა თუ იმ ერის გადაგვარებისა, ეროვნულ სახის წართმევისა ითვლებოდა სკოლა. და აჰა, საქართველოს ამ განაპირას მცხოვრებთა გარუსების მისიონერები როგორც სახორციელო, ისე სასულიერო უწყებისანი ხსნიან სკოლებს მეგრელობისათვის იმ ანგარიშით, რომ ამ სკოლებში მოსწავლეთ არ გაიგონ, რომ ისინი ქართველები არიან, რომ სკოლაში სწავლობენ, საგნების სასწავლო ენა უნდა იყოს ქართული, ხოლო რუსული უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი, როგორც სახელმწიფო ენა. სასულიერო უწყების მეთაურსაც არამცთუ სკოლებიდან ჰქონდა ქართული განდევნილი, არამედ ცდილობდა ეკლესიებიდანაც განედევნა. ყოველსავე შემთხვევაში, სოხუმის საკრებულო ტაძარში სრულებით ბუნებრივად მიაჩნდა ეპისკოპოზს სლაფურის უცოდინარ მორწმუნე ქართველებისთვის მისს გასაგებ სამშობლო ქართულ ენაზე არ მოესმენინებინა წირვა-ლოცვა. ამ აღსაშფოთებ ფაქტის წინააღმდეგ არა-ერთისა და ორის წერილის დაბეჭდვა დამჭირდა თავად უსტომსკის გაზეთ „С.-Петербургскія Вѣдомости“-ში.

ჩემს წერილებს მხარს უჭერდა და სოხუმის ოლქის მორწმუნე ქართველობის სასარგებლოდ ამხელდა სოხუმის ეპისკოპოსის თავხედობას რუსეთში გავლენიანი პირი და ცნობილი ქომაგი საქართველოს ეკლესიისა – ნიკ. დურნოვი, მაგრამ ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა და დაჩაგრულნი მკვიდრნი გულზე მოწოლილ ბოლმას და ბრახს, ასეთის უხემის უსამართლობით გამოწვეულს, გულშივე იკლავდნენ.

მთელს ოლქში მეგრელებს ეძახდნენ „ტუზემეცებს“. მათის აზრით, ტუზემეცი ბუნების შეცთომით იყო გაჩენილი; იძახდნენ: „ტუზემეცს“ არც წარსული აქვს, არც აწმყო და აღარც მომავალი ექნებათ, „ტუზემეცი“ უნიჭოა, გამოთაყვანებული, დაბალი ღობეა და ყველას შეუძლია ზედ გადაალაჯოს, სუფრაზე არამცთუ ბოლოს მოისვას, არამედ სულაც გაადგოს ამ სუფრიდანო... ჩემის თვალთა ვნახე, როგორ ერეკებოდა სოხუმის ბულვარიდან ამ ბულვარში შეცთომით შემოსულ მეგრელ გლეხს, ჩოხიანს, რუსი დარაჯი ამ ბულვარისა... და ეს საქციელი დარაჯისა გარეშე მაყურებელ მაშინდელ სოხუმელ რუსებს სრულებით ბუნებრივად და კანონიერად მიაჩნდათ... და დარაჯს აქეზებდნენ – ყოჩაღ! კვლავაც ასე მოიქეციო!..

1899 წლამდე ქ. სოხუმში ქალაქის მეურნეობა პოლიცემისტერის ანუ, უკეთ, გოროდნიჩის ხელში იყო. მხოლოდ ამ წელს გაიმეტა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სოხუმისათვის თვითმართველობის შემოღება. შედგენილ იქმნა სია ხმოსნების ამომრჩეველთა. კარგა ხანმა განვლო, სანამ ეს ამომრჩეველთა სია დამტკიცდებოდა. ამას მოჰყვა ხმოსნების არჩევნები. აირჩიეს ხმოსნები-

ცა. 33 ხმოსანში, ქართველი იყო 20-ზე მეტი. დანარჩენი იყო რუსი და ბერძენი. ეს სიაც დაამტკიცა გუბერნატორმა. ახლა მთავარი საქმე იყო: ქალაქის თავად არჩეულიყო ადამიანი ნასწავლი, საქმის მცოდნე და პატიოსნების მხრივ უყვედრელი. რამდენსამე კაცს, რომელიც ხელმძღვანელობდა საქალაქო არჩევნებს, გადანყვეტილი გვექონდა, ასეთი კაცი მოგვეძებნა ქართველთა შორის. კითხვის-კითხვით და ყველა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებთან (პროფ. ვ. პეტრიაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, იაკ. გოგებაშვილი, ალ. ხახანაშვილი) ამ საგნის თაობაზე მიწერ-მოწერის შემდეგ ქართველ ამომრჩევლების მიერ წამოყენებულ იქმნა ჩვენის ცნობილ საზოგადო-მოღვაწის და მწერლის – ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურა. ხოლო რუსებმა წამოაყენეს კანდიდატურა ვინმე ბერენსისა, რუსეთში რომელიღაც ერობის უფროსად წამყოფისა და, როგორც ამბობდნენ, იქ საერობო თანხების გაფლანგვისათვის იქიდან ლტოლვილისა და სოხუმში თავშეფარებულისა. როცა ორმავე კანდიდატმა ყუთი დაიდგეს, დიდის ხმის უმეტესობით ქალაქის თავად არჩეულ იქმნა ალექსანდრე სარაჯიშვილი, ხოლო რუს ხმოსნების კანდიდატი ბერენსი დიდის ხმის უმეტესობით გაშაგებულ იქმნა. დატრიალდნენ რუსი ამომრჩევლები, და მათში ერივნენ მოსკოველი პროფესორი ასტრონომი, სამსახურიდან გამოსული გენერალი ლომკინი, ათასგვარი დაბეზლების ქალაქდები გაუგზავნეს გუბერნატორს, რომელზედაც, საქალაქო დებულების ძალით, დამოკიდებული იყო ხმოსნების არჩევნების დამტკიცება თუ დაუმტკიცებლობა, და სთხოვეს სოხუმის ხმოსნების არჩევნები არ დაემტკიცებინა. გუბერნატორს ბევრი ხვეწნა არ დასჭირებია, ეს არჩევნები არ დაემტკიცებინა, მიუხედავად ყოველგვარ უპირატესობისა, როგორიცაა ალ. სარაჯიშვილსა ჰქონდა.

დანიშნულ იქმნა მეორე არჩევანი. ქალაქის თავის ადგილზე წამოყენებულ იქმნა კანდიდატურა განჯის საოლქო სასამართლო წევრის – ვასილ აბულაძისა, იურისტისა და რუსის სამსახურში დიდად დანიშნურებულისა. ქართველი ხმოსნები ყველანი შეთანხმდნენ მის ასარჩევად და აირჩიეს კიდევცა. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა აღარც აბულაძის დამტკიცება სცნო საჭიროდ.

საქალაქო დებულების თანახმად, როცა ორ არჩევანს არ ამტკიცებს გუბერნატორი, მესამეჯერ არჩევანი არა ხდება და თვითონა ჰნიშნავს ქალაქის თავად, ვინაც უნდა. ხმოსნები ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდით, რომ გუბერნატორი ჩაიდენდა ისეთს საქმეს, როგორსაც ადგილი არა ჰქონია მთელს რუსეთში მას აქეთ, რაც მის ქალაქებში საქალაქო დებულება იქმნა შემოღებული: დაგვინიშნავდა ქალაქის თავად ისეთს კაცს, რომელიც ხმოსნებმა პირველ არჩევნებზე ისე დემონსტრატულად გააშაგვეს, საჯაროდ უნდობლობა გამოუცხადეს და ლაფდასხმული გაუშვეს. ბერენსის ალაგას სხვა თავმოყვარე ადამიანი არამცთუ არ იკისრებდა სოხუმელების ქალაქის თაობას, არამედ სრულიადაც სამუდამოდ გაეცლებოდა სოხუმს და გადიკარგებოდა ისეთ ადგილს, სადაც მისი მცნობი არავინ იქნებოდა. ეს ვაჭბატონი კი თანახმა გახდა ქალაქის თაობისა, ხოლო სოხუმელ ქართველობას შერჩა გუბერნატორის მიერ ასე უბოდიშოდ ნათავაზევი ნიხლი...

ასეთი უხეში ქცევა ადმინისტრაციისა იმით იყო საყურადღებო, რომ თვალი აუხილა თვით ბრმასაც კი და დაანახვა რუსის ადმინისტრაციის მთელი საზიზლარი ბუნება და აქამდე ერთგულიც გაუორგულა. და აბა, სწორედ ამასა

ვსცდილობდით ამ არჩევნების სათავეში მდგომნი და მისი ხელმძღვანელები!.. იქ, სადაც 100% რუსი ხელმწიფის მლოცავთა და მაქებელთაგან შესდგებოდა, იქ, სადაც სწამდათ, რომ რაც ქონება და სიმდიდრე შეგვიძინია, სულ ხელმწიფის ბრძნული და სამართლიანი კანონების წყალობააო, რუსი და არარუსი ამ კანონის წინაშე სწორია, ერთსაც და მეორესაც მისი წყალობის კალთა ერთნაირად მოეფინებისო, დღეს ეჭვი შეუვიდათ ამ რწმენის სისწორეში; არა, ჩვენ, ქართველები, უკანონო შვილები ვართ, კანონიერ შვილებთან არადასადარებელნი, კანონს გარეშე მდგარნი, სამართალს მოკლებულნი... დიალაც რომ, ტკბილი იყო ეს ნაყოფი ჩემის გარჯისა, დიალაც რომმ მემამ-მეტკბილებოდა, რომ ჩემიანების გამოდგომისთვის შრომამ და თავგამოდებამ ფუჭად არ ჩამიარა, რომ ჩავგაგონე, თქვენთვის უნაგაროთა მსურს სიკეთე-მეთქი.

ამის შემდეგ გადავწყვიტე, ცოტა დამესვენებინა, ცოტა ხნით შემეჩერებინა ჩემი მუშაობა ჩვენის სამშობლოს ამ კუთხის რუსიფიკატორთა წინააღმდეგ. მით უფრო, რომ გამომიჩნდნენ თითო-ოროლა გამგრძობნი ჩემს მიერ დანყებულის საქმისა. გადავსწყვიტე აგრეთვე, დავბრუნებოდი საფრანგეთის დედა-ქალაქს, და ათიოდე წლის წინად დანყებული საქმე უმაღლესის სწავლის მიღებისა განმეგრძო და დამემთავრებინა.

და აჰა, 1900 წლის ზაფხულში ჩამოვდივარ ტფილისში, „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბის“ რედაქციებს თვეში სამის თუმნის გამოგზავნის პირობის ვართმევ, სამაგიეროდ ვპირდები უცხოეთიდან თანამშრომლობას; თთვეში ამდენისავე თანხის გამოგზავნას მპირდება ეპისკოპოსი, და ბოლოს კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, კირიონი. და 1900 წლის მკათათვეში მივდივარ პირდაპირ პარიზში, სადაც, სხვათა შორის, მომელოდა პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვაცა, რამაც ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში და ასე რელიეფურად წარმომიდგენია თვალწინ ის კოლოსალური, სასწაულებრივი და განსაცვიფრებელი პროგრესი, რომელისთვის კოლოსალურისავე გარჯისა და შეუნყვეტელისავე რუდუნების წყალობით მიუღწევია ადამიანის გონების ყველა დარგში მთელის სამყაროს თანამედროვე კაცობრიობას.

იმავ თავითვე ძალიან მაინტერესებდა ბიოლოგია, ყოველ ორგანულ არსის და, უმთავრესად, ადამიანის წარმოშობის ისტორია, მისი პირველყოფილი მდგომარეობა და კულტურა, თანდათან პროგრესი, ვიდრე დღევანდელ მდგომარეობამდე მიაღწევდა. ჩემი გული მიინევდა კერძოდ ეტნოგრაფიისაკენ, რომელიც, დაბოლოს, ჩემს სალიტერატურო მუშაობაში, ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადნა.

და აჰა, 1900 წლის ზაფხულში ჩამოსული პარიზში, პარიზის მსოფლიო გამოფენის დათვალიერების შემდეგ, შემოდგომაზე შევდივარ პარიზის საანტროპოლოგიო საზოგადოებასთან ცნობილ ანტროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ საანტროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში, სადაც პროფესორებად იყვნენ მაშინდელნი ისეთნი მნათობნი საანტროპოლოგიო მეცნიერებათა, როგორებადაც ითვლებოდნენ შარლ ლეტურნო (სოციოლოგია), ანდრე ლეფევერი (რელიგია), ლ. მანუერიე (ფიზიოლოგიური ანტროპოლოგია), მორტიე (პრეისტორია), ლაბორდი და სხ. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უუტკბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი, ამ ადამიანთა მიერ ჩვენთა სულ უძველეს წინაპართა, ნახევრად ადამიანთა

და ნახევრად მაიმუნთა, ყოფა-ცხოვრების თვალწინ დაყენების, ცხოვლად წარმოდგენის მოსმენაში; ოდეს ყოველს მათს ნათქვამს კაცი პირდაპირ ჰყლაპავ დაყმენდილ ადამიანით; ოდეს ხედავ, თუ რამდენს ათსა და ასს ათასს წელს გაუვლია ჩვენის წინაპრის ტაატით სიარულში, ტაატით ქეშმარიტების ძიებაში, ურთიერთ ცხოვრების კანონების, მორალის ამა თუ იმ პირველყოფილ სახის პრინციპების შემუშავებაში, სანამ დღევანდელ ადამიანს დაემსგავსებოდა, მისის ცოდნით და გონებრივის ავლა-დიდებით შეიმოსებოდა...

საანტროპოლოგიო სკოლაში სწავლის დროს მოვახერხე საანტროპოლოგიო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე მოხსენებად წამეკითხნა ჩვენის ხალხის სახალხო მკურნალობის ერთ-ერთ სახის – ბატონები (ყვავილი) და მისი მოვლა – აღწერა. ადვილი წარმოსადგენია, რა რიგ ველეაფდი, რომ გავკადნიერდი და ცხრა მთას იქიდან მოსული ქართველი გამოველი და ასეთ მეცნიერთა წინაშე ქართველების შესახებ ჩამოვუგდე ლაპარაკი. მოხსენება დიდის ყურადღებით და ფრანგულის თავზიანობით მომისმინეს. მერე საზოგადოებამ პატივი მცა და ერთ-ერთ თავის სხდომაზე საზღვარგარეთულ წევრ-კორესპონდენტად ამირჩია. ხსენებული მოხსენებაც ცალკე იქმნა გამოშვებული. ამ ხანებში ფრანგულად დავბეჭდე ქართული ანდაზები და ამ ნაირად შევიძელი ერთგვარი მოკრძალებული წვლილი შემეტანა ფრანგთა მიერ ჩვენის ქალაქის გონებრივის მდგომარეობის გაცნობის საქმეში.

„ცნობის-ფურცელი“ და „მოამბე“ დაპირებულ საგზალს მიგზავნიდნენ, სამაგიეროდ მეც პირნათლად ვასრულებდი ჩემს დაპირებას: თვეში ოთხჯერ მაინც ვუგზავნიდი თითო ფელეტონს და ვაცნობდი ქართველ მკითხველს საფრანგეთის ცხოვრების ამა თუ ღირსანიშნავ ამბავს, ან საქართველოს შესახებ ვინმე თუ რასმე იტყოდა ევროპაში, ჩემს წმიდა მოვალეობად მიმაჩნდა, ქართველ მკითხველისათვის გამეზიარებინა.

ევროპის ქვეყნები თითქმის ყველა მომივლია. საფრანგეთს გარდა ყოფილვარ ინგლისსა, შვეიცარიასა, ბელგიასა, იტალიაში. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩემზე იტალიამ დასტოვა თვისის ჩამორჩენილობით, რა თქმა უნდა, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, და ამასთან გასაოცარის მსგავსებით ჩვენს ქვეყანასთან როგორც ბუნებით, ისე ეკონომიურის ყოფითა და მკვიდრთა ზნეჩვეულებით.

იტალია პირველად ვინახულე 1901 წლის ზაფხულში. ჩვენმა საეკლესიო ისტორიკოსმა, განსვენებულმა კათოლიკე მღვდელმა – მამა მიქელ თამარაშვილმა მომიწვია რომში, რომ მის ნაწერების დასაბეჭდად დამზადებაში მივშველებოდი. საქმეს რომ მოვრჩი, გადავსწყვიტე შემოდგომამდე, ე. ი. პარიზში სწავლის განახლებაამდე, ორი თვე გამეტარებინა იტალიის ისეთ მხარეში, სადაც ყველაზე წმინდათ ლაპარაკობდნენ იტალიურსა, აქ ენაც მესწავლნა და ზაფხულის თვეებიც სოფლის წმინდა ჰაერზე გამეტარებინა.

ასეთ ადგილად ავირჩიე ტოსკანა, ფლორენციის ახლო, სახელდობ ძველებურ ქალაქ პისტოიას მეზობელ სოფელ კაპოსტრადაში. ისე შემეყვარდა აქაურობა და თვით ხალხმაც, ვისთანაც ურთიერთობა მქონდა, ისე შემეყვარა თავი და იმდენი მსგავსება აღმოაჩნდა ჩვენებურ ხალხთან, რომ შემდეგის წლების ზაფხულის თვეებსაც აქეთკენ ვატარებდი და თან მათს, უებრო მშვენიერების, მუსიკალურ ენასაც ვსწავლობდი.

პარიზში დაბრუნებულს დამხვდა არჩილ ჯორჯაძე, რომელსაც პირველ გიმნაზიაში მოსწავლეს ვიცნობდი და გიმნაზიის გათავების შემდეგ თვალთაგან მიმეფარა. ყოფილა პეტერბურგში, ყოფილა ვარშავაში, ბოლოს პარიზში ჩამოსულა. პოლემიკური მისი მიმართულება მერყევი იყო, ერთს გარკვეულ რასმე გზაზე ვერ შემდგარიყო; თითქო კოსმოპოლიტობდაო. ყოველსავე შემთხვევაში, ეროვნულ მსოფლმხედველობას გაურბოდა, „ჩამორჩენილობად“ მიაჩნდა ეროვნულ იდეის წამება, მისგან განზე იდგა. შორს იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი გაეზიარებინა. ეეჭვებოდა, ქართველ ხალხს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება შესძლებოდა... ერთი პირობა, ლევ ტოლსტოის მოძღვრებას, იმ დროის რუს არისტოკრატიის გასატაცებელ მოდურ მოძღვრებას, ესეც გაეტაცებინა და ტოლსტოველ ჩერტკოვთან, მაშინ რუსეთიდან ლონდონში გადახიზნულთან, ურთიერთობა ჰქონდა. და აჰა, სწორედ, ეს არჩილ ჯორჯაძე დღეს მოვიდა და მთხოვა მის მიერ „ცნობის ფურცლისათვის“ რუსულად დანერილი წერილი (რამდენადაც მახსოვს, ეროვნულ კითხვაზე) ქართულად მეთარგმნა. მითხრა: აზრად მაქვს, ამ წერილს მოვაცოლო მთელი რიგი წერილებისა და შენ უნდა მიშველო მაგათს გაქართულებაშიო, რათგან ქართული თითქმის დავინწყებული მაქვსო. საქართველოში დაბრუნება მინდა, მაგრამ სანამ აქედან წავიდოდე, მინდა, რამდენიმე წერილი გავგზავნო და დავბეჭდო წინასწარ, რომ ჩემი თავი გავაცნო ქართველ მკითხველსაო. გამეხარდა არჩილ ჯორჯაძის, ქართველთათვის ამ ზურგშექცეულ ადამიანის, როგორადაც ის მაშინ მიგვაჩნდა, ასეთი მეტამორფოზა. სიამოვნებით შევეუსრულე თხოვნა, მხოლოდ რუსულად დანერილი და ქართულად სათარგმნი წერილი ორმავე ერთად ვთარგნევით. ამ ნაირად მოვექეციით მეორე წერილსაც, სანამ თვითონ არ ვაიძულე ქართულად დაენერნა, რაც დასაწერი ჰქონდა და მერე ქართული ნაწერი შეგვასწორებინა. ქართულის წერის ტექნიკა რამდენჯერმე მე ასე ვასწავლე და მერე ისე გაინვრთნა, რომ მის „ქართულს“ შედარებით ნაკლები შალაშინი სჭირდებოდა.

არჩ. ჯორჯაძის წერილები „ცნობის ფურცელში“, რა თქმა უნდა, სიამოვნებით იბეჭდებოდა და მოკლე ხანში ავტორი ამ წერილებისა თვით გამოემგზავრა სამშობლოში და აკტიურად ჩაება მომავალ „საქართველოს სოც.-ფედერალისტთა“ პარტიის ორგანიზაციასა და მომავალსავე (1905 წ.) რევოლუციის მოწყობის საქმეში.

1902 წ. „საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად გადაწყდა პარიზში არალეგალურ ორგანოს „საქართველოს“ ბეჭდვა. ამ გადაწყვეტილების შემსრულებლად პარტიამ ტფილისიდან გამოგზავნა გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე, პირველი – როგორც ტექნიკური მომწყობი გაზეთის გამოცემისა, ხოლო მეორე – როგორც ხელმძღვანელი სარედაქციო საქმეებისა. ამავე საქმისათვის, სრულიად ბუნებრივად, მეც შევეურთდი მესამედ. ერთს ცნობილს ასოთჩამომსხმელს შევეუკვეთეთ ჩვენის მომავალ ორგანოსათვის ასოების ჩამოსხმა. იმანაც დაგვიმზადა ქართული შრიფტი, რომელიც, გარეგნულ სილამაზეს გარდა, არსებულ შრიფტებისაგან დიდად განირჩეოდა ეკონომიურობით და ჩამტეობით. ამ შრიფტს შემდეგში სახელად დაერქვა „პარიზის“ შრიფტი, ისევე, როგორც

საქართველოს მესტამბე სტეფანე მელიქიშვილის მიერ 1870-იან წლებში ვენაში ჩამოსხმულ შრიფტს ერქვა „ვენური“ და იხმარებოდა ჩვენში სულ უკანასკნელ ხანამდე.

პირველი № „საქართველოსი“ და მის პარალელურად ფრანგული „La Géorgie“ გამოვიდა 1903 წლის აპრილში. ამავე წლის მაისში მე დროებით მომიხდა სამშობლოში დაბრუნება და იმავე გემით, რომლითაც გამოვედი მარსელიდან, მოგვექონდა ერთის ამ გემის მეზღვაურის საშუალებით გაზეთის (ფრანგულ-ქართულის) პირველი ნომერი საქართველოში გასაავრცელებლად. მაგრამ ბათომში მეზღვაური შედრკა, ვერ მოახერხა ნაპირად გატანა ჩაბარებულ გაზეთისა და ისევ უკან წაიღო მარსელში. ასე რომ, ტფილისში უნდა დასჯერებიყვნენ იმ რამდენსამე №-ს, რაც ჯიბით წამოვიღევი. შემდეგი №№ „საქართველოსი“ მარსელიდან ფრანგულ გემით გამოგზავნილი, სრულებით უხიფათოდ და უკლებლივ ჩავიბარე გემზე. ვითომ გემის დასათვალიერებლად შევედი პორტში. თან მახლდა ერთი ლამაზი ქალი, რომელსაც გარს შემოეხვივნენ კაპიტანი და მისნი თანაშემწენი და იმდენად გაიტაცნენ მისი სილამაზით, რომ ისიც კი დაავიწყდათ, რომ ქალს კავალრად მე ვახლდი. ამით ვისარგებლე, ქალი ხელში ჩავატოვე და მოვსძებნე ის მოსამსახურე გემისა, რომელსაც გ. დეკანოზიშვილმა „საქართველოს“ №№ და სხვა პარტიული გამოცემები გამოატანა. საჩქაროდ ყველაფერი უბეში და პერანგის ამხანაგში შემოვილაგე სხეულზე და რამდენად შეიძლებოდა, დამშვიდებულის სახით ამოვედი გემის ერდოზე, სადაც ჩემი დამა მუნჯურად (იმან ფრანგული არ იცოდა, ხოლო ფრანგებმა რუსული და მით უფრო – ქართული) ელაპარაკებოდა ხელების საშუალებით თავის თანამოსაუბრეთ. გამოვეთხოვე ფრანგებს და ნაპირის ზღვაში შეკეთებულ ხიდზე ისე გამოვიარე ჩემს დამასთან ხელი-ხელს გაყრილმა, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედნიათ საბაჟოს მოხელეებს, ისე გაიტაცა ახალგაზდა ქალის სილამაზემ ყველანი.

ეს პირველი „ეშმაკობა“ იყო ჩემი მომვალ 1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით, ჩადენილი დღისით-მზისით, ყველას თვალწინ, მერე ისეთის კადნიერებით! შემერჩა ისე, რომ ბუზიც არ ამფრენია! ეს მონაგონია იმასთან შედარებით, რის ჩადენაც შემდეგში მარგუნა რევოლუციამ, მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი ვიტყვი, რომ ასეთს სარისკო საქმეში მთავარს როლს თამაშობს თურმე სითამამე, პირდაპირ მიტანა იერიშისა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩაცმულობასაც არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც პარიზიდან ახლად ჩამოსული, სხვებში ვერჩეოდი სამოსელით, რაც „კეთილსაიმედო“ ადამიანის სახეს მაძლევდა.

ამ ხანებში სოხუმის შავრაზმელმა რუსებმა¹ და საოლქო ადმინისტრაციამ პირდაპირ მოიტანეს იერიში ჩემზე. სოხუმიდან მთელი სია წარმოუდგინეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, ადმინისტრაციულ წესით ხუთის წლით სამშობლოდან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასასახლებლად იმ პირთა, რომლებიც „ადმინისტრაციას ხელს ვუშლიდით ამ ოლქის მცხოვრებთა გარუსების საქმეში“. ჩემს გარდა გადასასახლებლად წარმოდგენილნი იყვნენ: ანთიმოზ

1. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაშინ რუსობა სოხუმისა უკლებლივ შავრაზმელებისაგან შესდგებოდა.

ჯუღელი, სპირ. ნორაკიძე, ივანე გეგია, ფარნა დავითაია, ივანე ბურჭულაძე. ჩვენის გადასახლების შესახებ უკვე დაედგინათ მეფის ნაცვლის კანცელიარიში, მხოლოდ თვით დადგენილება ჯერ არ მიეღოთ სოხუმში. რა თქმა უნდა, ლოდინი არ შეიძლებოდა. თავისთვის უნდა მეშველნა. საზღვარგარეთის პასპორტის მისაღებად საჭირო იყო პოლიცემისტერის ცნობა ჩემის კეთილსაიმედოების შესახებ. პოლიცემისტრად მაშინ იყო ანდრია ლაკირბაია, ყოველგვარ ადამიანობაზე ხელაღებული. რა თქმა უნდა, ასეთი მონაწილე არ მომცა. მაშინ გადავსწყვიტე, პირველის გემით ნასულვიყავ ნოვოროსიისკში, იქ მომხერხებინა პასპორტის აღება და გამგზავრებულვიყავ პარიზში. სოხუმელებმა ბათომიდან გემის მოსვლამდე ერთის საათით ადრე შეაგროვეს ჩემს საგზაოდ ორმოცდაათი თუმანი, დამილოცეს გზა, მეც ჩავჯექი გემში და ჩემს სამშობლო ქალაქს და ჩემს თანამოქალაქეთ შორიდან სალამი მივეცი, ხოლო გული-გულში ვეუბნებოდი: მომავალ რევოლუციამდე-მეთქი.

მეორე დღეს უკვე ნოვოროსიისკს მიგვიყვანა გემმა, სადაც საბაჟოს უფროსად მსახურებდა პეტრე ლლონტი, მამა ჩემის მეგობარი. პ. ლლონტს ბათომიდან ვიცნობდი. ნოვოროსიისკში თავისის თანამდებობით გუბერნატორის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა და ჩემთვის საზღვარგარეთის პასპორტის აღებინებისათვის ორიოდ სიტყვის დახარჯვის მეტი არაფერი დასჭირდებოდა. მართლაც, რომ ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, სადარბაზო ბარათზე მისწერა გუბერნატორის კანცელიარიში, ვისაც პასპორტის გაცემის საქმე ებარა; ამ ჩემს ნათესავს კაცს ძალიან ეჩქარება საზღვარგარედ წასვლა და იმედი მაქვს, მოუხერხებთ პასპორტის მალე აღებასაო. ბარათი რომ ვაჩვენე მოხელეს, დაბრძანდით და ახლავე მოგართმევთო. განგებ საათი დავინიშნე და არ გასულა ნახევარი საათი, რომ საზღვარგარეთის პასპორტი ხელში მეჭირა. დავბრუნდი ჩემს საყვარელ მასპინძელთან; აქ სუფრა გაემაღათ, ჩემს გარდა ექვსი სხვა უსხდა სტუმარი სადილს, რაიცა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა მის ოჯახში. ორს საათს უკან მეორე კლასის ვაგონში ვიჯექი. მშვიდობით გადავლახე რუსეთის და სხვა ქვეყნების საზღვრები და ნოვოროსიისკიდან გასვლის მეხუთე დღეზე უკვე საფრანგეთის დედაქალაქში ვიყავ, სადაც ვერ მომწვდებოდა სუსხი ვერც სოხუმის საოლქო ადმინისტრაციისა, ვერც ქუთაისის გუბერნატორისა და ველარც მეფის ნაცვლისა. ასე რომ, მე-კი გადავირჩინე თავი რუსეთის შიდა გუბერნიების რომელსამე ქალაქში იძულებით ცხოვრებისაგან, მაგრამ ჩემი ამხანაგები რევოლუციამდე მოსწყდნენ თავიანთს ცოლშვილსა და სახლკარსა.

სკოლაში დროებით შეჩერებული მეცადინეობა ისევ განვაახლე. „საქართველოს“ რედაქციას ახალი მასალები ჩამოვუტანე და ისევ ხალისით შევები სარედაქციო მუშაობის უღელში. ამასობაში, რუს-იაპონიის ომი ახალსა და ახალს სანუგეშო პერსპექტივებს გადმოგვიშლის თვალწინ; გვიქადის რევოლუციის მოახლოვებას, მეფის მონობის უღლის გადაგდებას კისრიდან, თავისუფალ მოქალაქეებად გახდომას, თავისუფლად ამოსუნთქვას...

1904 წლის მიწურულებია. რუსეთში სხვადასხვა ორგანიზაციები და საზოგადოებანი კრებებსა ჰმართავენ, სხვადასხვა დადგენილებანი და რეზოლუციები გამოაქვსთ, მოითხოვენ ცხოვრების გაუმჯობესებას, მოითხოვენ ცხოვრების მახინჯ პირობების შეცვლას ადამიანურ პირობებად. ამას ხელს

უნყოფს შორეულ აღმოსავლეთში რუსის მხედრობის დამარცხება იაპონელთა მიერ. ერთის სიტყვით, რუსეთის ცხოვრების ფონზე ისახება მომავალი რევოლუცია, შეცვლა დრო-მოჭმულ რეჟიმისა – პროგრესულ რეჟიმად, მონობისა – თავისუფლებად, იმპერიისა – დემოკრატიულ კანონებზე დამყარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც უნდა მოჰყვეს თავისუფლება, ძმობა, ერთობა და ურთიერთი სიყვარული, რაც სიყრმითგანვე ყველა ჩვენთაგანის, სოციალისტობასა და რევოლუციონერობას ზიარებულის ოცნებასა და ნატვრის საგანს შეადგენდა.

არჩილ ჯორჯაძეს ქლექი მოერია და შვეიცარიაშია სამკურნალოდ, „საქართველოს“ რედაქციას ჩამოშორებულია, შეიძლება ითქვას, სამუდამოდ. ალექსანდრე გაბუნიას გამოაჩნდა ნიშნები უკურნებელის სენის – პარანოიასი. ასე რომ, გაზეთის რედაქციაში მარტოდ-მარტო ვარ დარჩენილი. გიორგი დეკანოზიშვილი გულს მაინც არ იტეხავს, მომავალის იმედით აღფრთოვანებულია და ეძიებს ახალ-ახალ გზებს, ახალ-ახალ საშუალებებს, მომავალ რევოლუციაში მისმა პატარა სამშობლომაც მიიღოს მონაწილეობა, საერთო მოძრაობაში ისიც ჩაებას, დიდს, საშვილიშვილო საქმეში იმანაც შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი. ამ აზრით ცდილობს კავშირი გააბას რუსეთში შემავალ ქვეყნების სარევოლუციო კომიტეტების წარმომადგენლებთან, ცდილობს, დაუკავშირდეს თვით წარმომადგენელს იაპონიისას, რომელიც ხელს უწყობდა ყველა რუსეთის რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტს, ეხმარებოდა მატერიალურათ რევოლუციისათვის მოსამზადებლად. გადაწყდა, ფინლანდიის სარევოლუციო კომიტეტთან ერთად, შექმნა იარაღისა მომავალ რევოლუციისათვის.

1905 წლის გაზაფხულზე გიორგი დეკანოზიშვილმა პარიზიდან თითქმის ყველა იქ მყოფი ქართველი გამოისტუმრა – ზოგს რა დაავალა და ზოგს რა. ბოლოს, ჯერი ჩემზედაც მიდგა. სამშობლოში ჩამოსულს უნდა მეკისრნა, პარტიის მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით, საზღვარ-გარეთიდან წამოსულ იარაღის მისაღებად დახვედრება ხალხისა, ამ იარაღის გადმოცლა შავი ზღვის პირის სხვადასხვა პუნქტებში. ეს ჩემი გასაკეთებელი საქმე ჩემთვის უნდა გაეადვილებინა იმ გარემოებასაც, რომ შავიზღვისპირის (სოხუმის) მცხოვრები ვიყავ და ამ ზღვის სანაპირო ადგილები და მკვიდრნი ჩემთვის ნაცნობნი და შინაურნი იყვნენ.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გემის მოსვლისა და მის მიერ წამოღებულ იარაღის მისაღებად მზადების ამბავი გავუზიარე ჩვენის პარტიის ფოთის კომიტეტის თავმჯდომარესა და ჩემს სკოლის ამხანაგს – მიხეილ ესაკიას, რომელსაც ფოთის პორტის მუშათა შორის დიდი გავლენა და სახელი ჰქონდა. სწორედ ფოთის პორტის მუშებსა და ფოთში მოტრიალე მეგრულ მენავეთ უნდა მიეღოთ ამ საქმეში უშუალო და მხურვალე მონაწილეობა, იმათის მეშვეობით უნდა გადმოტვირთულიყო საზღვარგარეთიდან მოსული იარაღი და დაპრიგებოდა ხალხს რევოლუციისათვის.

დავვარსე კომიტეტები ჩვენის პარტიისა ფოთს გარდა ბათომსა და სოხუმში. მჭიდრო კავშირი დავაჭერინე კომიტეტებს ქართულ ეს-ერების კომიტეტებთან. ბათომში მოენყო „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სტამბაში პარტიულ არალეგალურ გამოცემათა ბეჭდვა, იქიდან გავრცელება ხალხში. მოენყო სხვადასხვა

ქალაქებში საჯაროდ მიტინგებზე გამოსვლა, აშკარად, საყოველთაოდ დაგმობა არსებულ წესწყობილებისა და მოთხოვნა ამ წესწყობილების შეცვლისა.

ამასობაში პარტიის მიერ საზღვარგარედ შექცნილმა სამ ანძიანმა ორ-თქლმავალმა გემმა „სირიუსმა“ საქართველოს ნაპირებს მოაყენა პარტიის მიერ შვეიცარიაში ნაყიდი თოფები. მიგებებულმა სანდლებმა ნაწილი გადმოტვირთეს შავიზღვისპირის სხვადასხვა ადგილას. გადმოტვირთული იარაღის ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში, სხვა ხალხს დაურიგდა.

1905 წლის „დროებით გალიმებას“, „ბედნიერ დღეებს“ მოჰყვა 1906 წლის შავზნელი რეაქცია, გენერალ ალიხანოვის დამსჯელ რაზმების აღვირაშვებული თარეში ჩვენის სამშობლოს დასავლეთ ნაწილში და დევნა-შეპყრობა რევოლუციაში მონაწილეთა.

ყველანი, ვისაც სად და როგორ შეეძლო, თავს შველიდნენ. მე იარაღის შემოტანისა თუ გადმოტვირთვის მომენტში იარაღის დაბინავების ადგილას არსადა ყოფილვარ, არსადა ვჩანდი. მაგრამ ბრალდებისაგან მე მაინც ვერ განვთავისუფლდი. შემიპყრეს სოხუმში 1906 წლის თებერვალში. ციხეში მამყოფეს მაისამდე. თავმდებით გამომიშვეს. შემოდგომაზე ოჯახს მოვეკიდე. ქალაქის თვითმართველობის მდივნობა ვიკისრე. ქალაქის თავად ნ. თავდგირიძე იყო, სოხუმის ოლქის უფროსად – ლევან ჯანდიერი, აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად – კირიონი. ადვილი წარმოსადგენია, რუსის შავრაზმელები რა ყოფაში იქნებოდნენ!.. ქვეყნის დაქცევას იფიქრებდნენ, მაგრამ სოხუმში ყველა დანესებულებათა სათავეში ქართველების დადგომას ვერასდროს წარმოიდგენდნენ!..

1907 წლის თებერვალში კვლავ შემიპყრეს. იმავე წლის ენკენისთთვეში ჩემი საქმე გაარჩია ტფილისიდან ჩამოსულმა ოლქის სასამართლოს პალატის სესიამ (თავმჯდომარე: ბოგაროდსკი, წევრები: იონინი, ორლოვსკი; წოდებათა წარმომადგენელი: ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე, ქალაქის ექიმი პ. ბარსკი, ესტონელთა სოფლის მამასახლისი). დამცველებად მყავდა: პეტერბურგიდან მოწვეული ნაფიცი ვექილები – ლ. ანდრონიკაშვილი და ერისთავი, ტფილისიდან პარტიის დავალებით წამოსულები: იოსებ ბარათაშვილი და გ. გვაზავა. გამასამართლეს. მომისაჯეს ყოველგვარ ღირსების აყრა და საუკუნოდ გადასახლება ციმბირის შორეულ გუბერნიაში. სანამ სენატი განიხილავდა ჩემის საქმის განსაჩივრებას, თავმდებით გამომიშვეს.

თავმდებით გამოშვებულმა, პეტერბურგის ალექსანდრე III სახელობის საეტნოგრაფიო მუზეუმის, კავკასიის მუზეუმის და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მონდობელობით, მოვიარე სამეგრელო და სამისთვისვე შევავროვე სამეგრელოს საეტნოგრაფიო კოლექციები.

1908 წლის ენკენისთთვეში მოვიდა სენატის მიერ დამტკიცება ტფილისის სასამართლო პალატის განჩინებისა ჩემს შესახებ. შემიპყრეს, ჯერ ქუთაისის ციხეში მომათავსეს და გიორგობის თთვის 20-ს ეტაპით გამამგზავრეს ირკუტსკის გუბერნიაში. იქ დაადგინეს, ჩემს საცხოვრებელ ადგილად მიეჩინათ ვერხოლენსკის მაზრაში, ტუტურის ვოლოსტში, სოფ. ჟიგალოვოში. ჩემს სოფელში ჩამიყვანეს 1909 წლის მარტის 2-ს. დავრჩი აქ აპრილის 29-მდე. გადავსწყვიტე, აქედან ლტოლვილვიყავ და მაისის 3-ს ჯერ ქალ. ირკუტსკში ჩამოვედი, ხოლო იქიდან რკინის გზით, გამოვსწყე ჯერ სამშობლოსაკენ.

მეორე კლასით მოვდიოდი სიზრანამდე. თანამგზავრებადა მყავდა რუსის ჯარის ოფიცრები. ძალზე მომეწონა მე ისინი და იმათ – მე, ერთმანეთს დავმორდით, როგორც დიდის ხნის მეგობრები და საყვარელი ძმები. გზაში არ უკითხავთ არც პროფესია, არც საიდან მომავლობა ან საით მიმავლობა. იცოდნენ მხოლოდ ჩემი ქართველობა, სახელი და მამის სახელი. ერთ-ერთის მეუღლესთან პარიზში ნამყოფთან, ფრანგულადაც კი ვბაასობდი, ქმრის-და სასიამოვნოდ.

უვნებლად ჩამოვედი ტფილისში. მეგობრების ნახვის შემდეგ უვნებლადვე ჩავედი ბათომში. სამტრედიიდან ბათომამდე ჩემს თანამგზავრად ისევ რუსის ჯარის გენერალი შემოჯდა ჩემს კუბეში. ლაპარაკის ტემა იყო: მდიდარი, სუბტროპიკული ბუნება დასავლეთ საქართველოსი, განსაკუთრებით ბათომის მიდამოსი, მომავალი პერსპექტივები ამ მხარესი, როგორც ჩაის კულტურისა, ისე საერთოდ სუბტროპიკულ მცენარეთა სამშობლოსი. ისე დავმეგობრდით, რომ რამდენიმე დღით თავის სახლში მეპატიჟებოდა ბათომში. ჩემის მხრით დიდი ხვეწნა, მის სტუმართმოყვარეობისათვის დიდის მადლობის გადახდა დამჭირდა, სანამ ერთმანეთს გავმორდებოდით...

ბათომში დამხვდა ჩემი ტანჯული მეუღლე, სოხუმიდან ჩამოსული. თან ჩამოეყვანა ჩემი პატარა, 2 წლის, ქალი. ვინახულე მეგობრები. მეგობარმა ბეგებმა ჩემი თავი ჩააბარეს საზღვარზე გადასაყვანად ერთ ლაზს, ნავის პატრონს. ამან ეტლით გონიომდე მიმიყვანა, იქ საზღვარზე დაყენებულ დარაჯების (კორდონი) ცხვირწინ ჩამსვა ნავში, წამყვანად ორი ლაზი მენავე მახლა და ხოფისაკენ გამიყენა გზას.

ჩემი ციმბირიდან „მგზავრობა“ ბევრს სასაცილო ელემენტს შეიცავდა, მაგრამ ის, რაც გონიოდან ხოფამდე განვიცადე, არ შემიძლია, თუნდა მოკლეთ, ამ ჩემს ავტობიოგრაფიაში არ აღვნიშნო.

ნავი ხოპების საშუალებით უკვე 200 მეტრის მანძილზე შეაცურეს ზღვაში ჩემმა წამყვანმა ლაზებმა, რომელთაც ქართულად ველაპარაკები და რომელთაც ვერ წარმოედგინათ, თუ მე მეგრული ვიცი და, მაშასადამე, მესმის მათი ლაზური ლაპარაკი, რომელიც იგივე მეგრულია, გასაგები ყველა მეგრულად მოლაპარაკესათვის. ეს იქნება ერთგვარი დამტკიცება იმისი, თუ ბედი იმთავითვე როგორ მოწყალე თვალთ მიცქეროდა და სულ კრიტიკულ მომენტში, როცა, ის იყო, უნდა დაღუპულვიყავ, ხელს გამომიწოდებდა და დასაცემად განმზადებულს ზეზე გამამაგრებდა.

ზურგქარმა რო დაბერა, მენავეებმა იალქანი გაშალეს, ხოპები თავის ალაგას დაანყვეს, ერთმა საჭე დაიჭირა, მეორე შორი-ახლო მოუჯდა. ორმავე პაპიროსები გაიკეთეს, მეც შემომთავაზეს, მაგრამ მადლობელი, არა ვსწევ-მეთქი. საჭესთან რომ იჯდა, ერთი თვალი შემავლო, ამხედ-დამხედა მუშტრის თვალთ, მერე ამხანაგს მიუბრუნდა და დაიწყო ლაპარაკი ლაზურად.

პირველი მენავე: ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

მეორე მენავე: ვილაც გამოქცეულია, იქნება ყაჩაღია, ვინ იცის.

პირველი (რომელსაც ჩემი კომპლექცია მაინცდამაინც თვალში არ მოუვიდა და ამხანაგის მიერ ჩემს „ყაჩაღობას“ ეჭვის თვალთ შეხედა): ამის ნაყაჩაღარი რა უნდა იყოსო!

მეორე: იქნება კაცის მკვლეელია!

პირველი (რომელმაც მეტად ცუდი აზრი შეადგინა ჩემის ფიზიკურის ღონის შესახებ): შენც ერთი! ახლა კაცი მოაკვლევინე!.. ამის მოკლული მეორე-ჯელ მოსაკლავი იქნება.

მეორე (ცოტა დაფიქრების შემდეგ): ასეა თუ ისეა, რაკი გამოქცეულია, ფული იქნება, შეიძლება, ბევრიც. ნავართვათ და ზღვაში გადავაგდოთ. შეგვრჩება.

პირველი: რას ამბობ, კაცო, ეს როგორ შეიძლება?!. რა პასუხი უნდა გავსცეთ ან იმას, ვინც ამის თავი ჩვენ ჩაგვაბარა, ან იმათ, ვინც ამ სანდლის პატრონს ამ კაცის თავი ჩააბარა?! ხომ თავი მოგვეჭრა!..

სულ დიდის პაუზის შემდეგ:

პირველი: მაშ, შენის აზრით, ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

მეორე: ამბობენ, მოსკოვის ფადიშაჰს ფუხარა ხალხი აუჯანყდა, გეყოფა, რაც იმეფეო, ახლა ხალხი უნდა ჩაუდგეს ყველა საქმეს სათავეშიო, შენ ტახტიდან უნდა ჩამოგაგდოთო. ეს კაციც დუშმანი იქნება ფადიშაჰისა... შენ რას იტყვი?!

პირველი (რომელსაც ფადიშაჰის დუშმანად (მტერად) ვერ წარმოედგინა თუ არ სამ მეტრიანი ბუმბერაზი ვინმე და არა ჩემის საშუალოზე ნაკლების ტანის კაცი): ვაი, რა ვუთხრა იმ ფადიშაჰს, ვისაც ამისი შეეშინდება ან ვისაც ეს კაცი რასმე დააკლებს!..

კიდევ პაუზა. ვერც ერთ ხელობის ადამიანს ვერ მიმაკუთნეს და ეტყობოდათ, სწუხდნენ, რომ ეს გამოსაცნობად ურჩებოდათ. ისევ მე მივეშველე. ნავი ახლოს მიდიოდა ნაპირიდან. სოფელი დავინახე, ფერდობზე შეფენილი, სამეგრელოს მთაადგილის სოფელივით. მეგრულადა ვკითხე: ხოფამდე კიდევ ბევრი გვაკლია ან ეს რა სოფელია-მეთქი?

უშველებელი განცვიფრების ნიშანი გამოეხატა როგორც ერთს, ისე მეორეს, ხან მე შემომხედავენ და ხან ერთმანეთს დააკვირდებიან, ე რა მოგივიდა, ამ კაცთან როგორ შევრცხვითო!.. კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოეღოთ. ბოლოს ისევ პირველმა დაარღვია დუმილი.

პირველი: საიდან იცი შენ ჩვენი ენა?

მე: საიდანა და, მეგრული ვარ. მეგრული და ლაზური ხომ ერთი და იგივეა-მეთქი.

პირველი: მართალია, ერთი და იგივეა... მაშ, ჩვენი ნათქვამი ყველაფერი გაიგონე?

მე: ერთი სიტყვა არ გამომპარვია.

პირველი: მერე?!.

მე: მერე და არაფერი. განა არ ვიცოდი, რომ იმ კაცისთვის, ვისაც, თქვენის აზრით, არც ყაჩაღობა შემეძლო, არც კაცის კვლა, აღარც მოსკოვის ფადიშაჰის დუშმანება, ხელს არ გაისვრიდით... განა არა ვხედავდი, ხუმრობდით. და მართალია, რომ ფული მოგეთხოვნათ ჩემთვის, სულ 15 მანეთი მაქვს, ამოვიღებდი და გიჩვენებდით. დარწმუნებული ვიყავი, დამიჯერებდით, შეგეძლოთ, გაგეჩხრიკეთ და დარწმუნდებოდით, რომ მართალს გეუბნებოდით. იმედი მქონდა, ფულს აქეთ მომცემდით, არამცთუ ჩემსას წამართმევდით... ჩემის საცოდავობით აივსებოდით. ვხედავდი, ძალიან გინდოდათ ჩემის ვინაობის გაგება. კაცი ჩემს დღეში არ მომიკლავს, სხვისთვის არაფერი წამართმევია, მაგრამ

მოსკოვის ფადიშაჰის მტრობა მქონდა, მაქვს და მექნება, სანამ პირში სული მიდგას. აბა, სწორად ჩემისთანებია, ფადიშაჰს მტრებად რომ ჰყავს და იმათია, რომ ეშინიან...

პირველი: თქვენი ჭირიმეთ, ბეგებს არაფერი უთხრათ, თორემ თავი მოგვეჭრება. თქვენი ჭირიმეთ, პატიოსანი სიტყვა მოგვეცით.

შეფიცე ყველა საფიცარით, არავისთვის მეთქვა, განსაკუთრებით ბათუმის ბეგებისათვის. მაპატივონ ჩემმა მხსნელმა მენავე ლაზებმა, რომ ამ ჩემის ავტობიოგრაფიის გვერდებს გავანდევი ამ 34 წლის წინანდელი ამბავი. შეიძლება, არც ის ბეგები იყვნენ ცოცხლები, ვინც ამ მენავეების საშუალებით გამაპარეს ოსმალეთში ციმბირიდან ლტოლვილი და აღარც ის მენავენი ერივნენ ცოცხლებში, ვინც იკისრეს თავიანთის ნავით რუსეთის საზღვრებისათვის მოვეშორებინეთ... აქ საჯაროთა ვფიცავ, რომ ტკბილად, მეტად ტკბილად ვიგონებ ამათს სახელსაც და ჩემის შფოთიან ცხოვრების ამ მცირე ეპიზოდსაც, რომელმაც ელვის სისწრაფით მომანათა და ელვის სისწრაფითვე გამიბრინა...

მომაყენეს ერთს ლაზურ სოფელს, ხოფაზე ორის კილომეტრით დაშორებით, გამიყვანეს ნაპირად, თან ხოფა თითით მანიშნეს: აჰა, შენი ხოფა, რაც გინდა, ისა ჰქენიო.

ხოფაში ჩასვლამდე ერთი სოფელი დავათვალიერე აქაური. ერთის წამით გურიაში ან სამეგრელოში მეგონა ჩემი თავი, ისეთი გასაშტერებელი მსგავსება იყო ამ ორ მხარის სოფლებს შორის! ახლა აქაური მცხოვრებნი იკითხეთ! იმნაირივე ზიდვა ქალებისა მიერ წყაროდან კოკებით წყლისა, იმნაირივე განწყობა მათს მიერ ბავშვებისა. ხეებზე აშვებული ვაზები... ჩემდა სამწუხაროდ, ვერ შევიძიელ მათს სახლებშიაც შემეხედნა, მენახნა, როგორა ცხოვრობდნენ ჩვენი ძმები – ლაზები შინ, კერის პირას... ვწყევლიდი ჩვენს უბედობას, რომელიც იმავ თავითვე გვდევნიდა, იმავ თავითვე სდევნიდა იგივე უბედო ბედი მოსისხლე მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს განაპირა ადგილებს. ამ ადგილებს მტრების სათარეშოდა ხდიდა, ჩვენს გულიდანა გვგლეჯავდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნებას უცვლიდა და გუშინდელ ქართულს დღეს ამ ქართველისათვის უცხოთა და მტრად გადაკიდებულ ადამიანდა ხდიდა... ოცნებამ გამიტაცა: იქნება მოვესწროთ იმ დღეს, როცა უკუღმა დატრიალებული ჩარხი ბედისა წალმა დატრიალდეს და ეს გულიდან მოწყვეტილი სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და განამებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრას თავის მშობელ დედას გულში-მეთქი!.. ისევ ხელი-ხელს ჩაკიდებული, ერთმანეთს მხარში ამომდგარნი შევებრძოლოთ ცხოვრების უკუღმართობას, რომ ოდნავაც არის, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი. მაგრამ... ოცნება მყისვე გაქრა, როცა გამოვფხიზლდი და დავინახე ფეხით გასავლელი მანძილი ხოფამდე...

ხოფიდან – ტრაბიზონდში. აქ ერთი თვე გავატარე, ვითომ ადგილი რამე უნდა მეშვნა, მაგრამ ამაოდ. შემრჩალა საქართველოდან ლტოლვილ იმერეთის მეფე სოლომონის საფლავის ქვის დათვალიერება. ტრაბიზონიდან სტამბოლში ორის კვირით, სტამბოლიდან – მარსელ-პარიზი-ბრუსელი. ბელგიის დედაქალაქში დავიდევი სამუდამო ემიგრანტული ბინა, სადაც როგორც პოლიტიკური დამნაშავე, აქაურის კანონის ძალით რუსის მთავრობის მხრით ხელუხლებელი ვიყავი.

საზღვარგარეთ ნებსით თუ უნებლიეთ ყოფნის დროს, სხვათა შორის, იმასაც ვცდილობდი, გამეცნო ესა თუ ის გავლენიანი პიროვნებანი ან მეცნიერები-სა თუ სალიტერატურო დარგში მომუშავენი. გამეცნო მათთვის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი გაჭირება, პოლიტიკური ჩაგვრა რუსეთის იმპერიალიზმის მიერ, ჩვენი თავგანწირული ბრძოლა ამ მდგომარეობისაგან თავის ხსნისათვის. ყოველი მათგანის თუნდ უბრალო თანაგრძნობის სიტყვა მაღამოდ ხვდებოდა ქართველის დაკოდილს გულს და შიგ იმედს უსახავდა, რომ პოპულარული გახდებოდა სახელი საქართველოსი, მის სვებედის თანამგრძნობთა რიცხვი თანდათან გაიზრდებოდა და შეიქმნებოდა ერთგვარი მიმდინარეობა აზრისა, აღიმაღლებოდა ერთგვარი ხმა უკმაყოფილებისა და პროტესტისა, რომლისთვის ძალაუწებურად ანგარიში უნდა გაენია რუსეთის მთავრობას, დასაბამიდანვე საქართველოს დაუძინებელს მოსისხლე მტერსა და ავისმდომს.

საქართველოს ასეთ თანამგრძნობთა და მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდენ და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპები. როცა (1910) ინგლისში გადაველ, როგორც წარმომადგენელი ჭიათურის ერთ-ერთ შავის ქვის მრეწველისა, დაე მარჯორი უორდროპი გადაცვლილიყო. ოლივერ უორდროპმა თავის სოფელში, სევენოკში, ლონდონიდან რკინისგზით 2¹/₂ საათის სავალზე, დაგვპატიჟა მაშინ ლონდონში მყოფი ქართველები. აქ გავიცან ეს ადამიანი, რომელსაც საქართველო და ქართველები ისე უყვარდა უანგარო სიყვარულით, როგორც თავისი სამშობლო და მშობელი ერი. ოლ. უორდროპის დას მარჯორის უკვე თარგმნილი ჰქონდა ქართული ზღაპრები ვლ. ალნიაშვილისა, განდევილი ილ. ჭავჭავაძისა, „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო ოლივერ უორდროპს დაწერილი ჰქონდა „საქართველოს სამეფო“, თარგმნილი ჰქონდა საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუე“ და სხვები. ბოლოს სთარგმნა „ვისრამიანი“.

ინგლისიდან ბრუსელში დაბრუნებულს საინტერესო მინერ-მონერა მქონდა ამ ადამიანთან მთელის ოთხის თუ ხუთის წლის განმავლობაში. ყოველი წერილი მისი თავს დასტრიალებდა საქართველოს, ქართველი ერის კეთილდღეობას, მისს წარმატებას; ყოველი, თუნდ სულ მცირედი, ფაქტი ქართველ ხალხის თუ მის ლიტერატურის წინსვლისა უორდროპს ახარებდა, ხოლო ყოველი სამწუხარო ამბავი ანუხებდა და ანალვლებდა ისევე, როგორც ნამდვილს ქართველს.

უცხოეთში დავრჩი ემიგრანტად, სანამ ნიკოლოზის ტახტს საბოლოოდ არ გამოეცალა ლიბო ქვეშიდან. 1917 წელს დაბრუნებული სამშობლოში ერთს ხანს ვიყავ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ფრანგულის მასწავლებლად, მერე მე-VIII გიმნაზიაში (სემინარია და ქართული გიმნაზია ერთად შეერთებული) – ქართულის და ფრანგულის მასწავლებლად ვიდრე 1924 წლამდე. 1924 პედაგოგობას თავი დავანებე და მხოლოდ და მხოლოდ, ლიტერატურა გავიხადე არსებობისა და შემოსავლის წყაროდ.

რა დროიდან შევიქენი მსახური ქართულის მწერლობისა?

1888 წლიდან. ამ წელიწადს ილ. ჭავჭავაძის „ივერიის“ №164-ში დაიბეჭდა ჩემი თარგმანი ფრანგ მწერლის ჟიულ ლემეტრის მოთხრობისა – „მეფის ასული და მისნი მიჯნურნი“. ამას შემდეგ ხანგამოშვებით იბეჭდებოდა იმავე „ივერიაში“ ჩემი თარგმანები გი დე-მოპასანისა და ფრანგთა სხვა გაჩენილ მწერალთა მოთხრობებისა. ამავე დროს „ივერიაშივე“ ვბეჭდავდი პროვინცი-

ის ცხოვრების ამბებს. განსაკუთრებით სანერად დიდ მასალას მაძლევდა ის პერიოდი, როცა (1899) სოხუმში საქალაქო თვითმმართველობა უნდა შემოელოთ და რუს შავრაზმელმა აგენტებმა ხელმწიფის მთავრობისამ დაუნდობელი და უბოდიშო იერიში მოიტანეს ჩვენის ქვეყნის ამ განაპირას დამკვიდრებულ ქართველობაზე. რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო ჩემი გალაშქრება ჩვენის ხალხის რუსიფიკატორების წინააღმდეგ, მივმართე პეტერბურგისა („Петербургския Вѣдомости“) და ტფილისის („Новое Обозрѣніе“ და „Кавказъ“) რუსულ გაზეთებს. შიგ ვათავსებდი წერილებს იმ საზიზარ დევნის შესახებ, რომელსაც განიცდიდნენ აფხაზეთში გადმოსახლებული მეგრელები რუს უფიც და ტლანქ მოხელეებისაგან.

საზღვარ-გარედ ყოფნის დროს განვაგრძობდი ჩვენს პერიოდულს პრესაში თანამშრომლობას და ვცდილობდი, ჩვენის მკითხველისათვის გამეცნო ევროპის კულტურულ ხალხის ცხოვრების ესა თუ ის მისაბაძი მხარეები, თუ მათის ცხოვრების დადებითი თუ უარყოფითი გამოხატულებანი.

ყველაზე მეტი ჩემის თარგმანებისა თუ ორიგინალ ნაწერებისა მოთავსებულია 1894 წ. ალ. ჭყონიას რედაქტორობით დაარსებულ სალიტერატურო-საპოლიტიკო ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბეში“. ამ ჟურნალში დაიბეჭდა თარგმანები: „განთიადი“ (ეჟისა), „ამირანის შვილნი“ (მარდოვცევისა), „დამინებულნი“ (ივ. ვაზოვისა) და სხ. ამათსავე გვერდით 1897–1901 წ.წ. №№-ში იბეჭდებოდა ჩემი მოგზაურობანი „სამურზაყანო-გურია-აჭარაში“, ანუ ეტნოგრაფო-საისტორიო-საგეოგრაფიო აღწერანი ამ მხარეთა. ეს უკანასკნელი „აფხაზეთში“ მოგზაურობის დამატებით გადაცემული აქვს „საბლიტს“ ცალკე გამოსაცემად.

ცალკე ჩემი თარგმანები გამოვიდა პირველად 1891 წ. ვიკტორ ჰიუგოს „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. ამას მოჰყვა ვოლტერის „უმანკო“ (1892 წ.). ჩემის თარგმანების გამოცემით ყველაზე ხვავიანი წელიწადებად შეიქმნა 1924–1936 წლები. ამ პერიოდში მოხერხდა ჯ. ბოკაროს „დეკამერონის“ ორ წიგნად გამოცემა, გი დე-მოპასანის პატარა-პატარა მოთხრობების სამის წიგნის დაბეჭდვა. მისივე მეოთხე წიგნი დასაბეჭდად დამზადებულია.

ქართულად გამოცემულ წიგნებს გარდა ფრანგულადაა გამოცემული ჩემი „ქართული ანდაზები“ და „ბატონები“ (ყვავილი) საქართველოში“.

სულ ცალკე გამოცემულია ჩემი 38 სათაურის წიგნი.

ლიტერატურულ მუზეუმის არქივში ინახება ჩემი დასაბეჭდად დამზადებული ნაწერები: 1) საზღვარგარეთიდან 1905 წ. იარალის შემოტანა საქართველოში გემ Sirius-ით; 2) „ციმბირში“ ანუ ჩემი გამგზავრება ციმბირში, როგორც საუკუნოდ გადასახლებული ამ მხარეში სასჯელის მოსახდელად 1905 წ. რევოლიუციისაში მონაწილეობის მიღებისათვის (მე-VII, VIII და IX თავები დაბეჭდილია 1939 წ. №10-11 „მნათობში“); 3) „ძველად“ – მოგონება სამეგრელოს წარსულ ცხოვრებიდან, ანუ აღწერა სწავლა-განათლების საქმისა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში (ერთი თავი – „შიო მღვდელი“ – დაბეჭდილია „მნათობში“, 1938, №7) და სხვები.

1936 წ. დავიწყე დალაგება ანბანზე ჩემის „ხატოვან (ფიგურალურ) თქმათა“ მასალებისა და სათითაოდ მათის შინაარსის ახსნა და ჩართვა მათის წარმოშობის ისტორიათა. ეს სამუშაო დავასრულე და, დადებულ ხელშეკრულების ძალით, ჩავაბარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას (მარის

სახელობის ისტორიისა და ენის ინსტიტუტს) დასაბეჭდად. მაგრამ დაბეჭდვა მისი შეჩერდა დაწყებულ მსოფლიო ომის მიზეზით.

მეორე წიგნი, რომელზედაც ახლა ვმუშაობ, არის ქართული ანდაზები, როგორც ჩემამდე სხვების, ისე ჩემი შეკრებილები. განზრახული მაქვს, ყოველის ანდაზის მნიშვნელობა ავხსნა, ტემატურად დავალაგო და ყოველს ანდაზას, შესაძლებლობის ფარგალში, მივუწერო შიგ ნახმარი სიტყვების ახსნა და თითოეულს მათგანის წარმომშობის ისტორია. პირველი ლექსიკონი, ჩემის ანგარიშით, უნდა გამოვიდეს დიდის ფორმატის წიგნისა 4 ტომი, თითოეული ტომი 500 გვერდის მოცულობით. ხოლო ანდაზების კრებული უნდა გამოვიდეს 20–25 ფორმამდე. მათს დასამუშავებლად საჭიროა სულ უკანასკნელი 2 წელიწადი.

ამათთან პარალელურად ვამზადებ ქართულს ლექსიკონს, რომელშიაც შევა ისეთი სიტყვები, რომელიც შემთავრებულია ჩემის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მთა-ბარობის დროს და რაც არ შესულა ჩვენის ლექსიკოგრაფიის მამათმთავრების საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. ხალხური ზეპირსიტყვაობა, როგორც ცნობილია, ხალხის კულტურასთან, მის გონებრივად წინსვლასთან ერთადა ჰქრება. ის ხალხი, ვისაც ეს ზეპირსიტყვაობა სჭიროდა, ვინც მასა ხმარობდა მეტყველებაში, რაკი გადავა, ეს ზეპირსიტყვაობაც თან გაჰყვება, როგორც მისთვის გადმოცემული მამაპაპათაგან შთამომავლობისათვის გადასაცემად და შესანახად, ხოლო მის ადგილს დაიჭერს მწერლობა, ქალაღზე გადატანილი ნააზრი და ნაფიქრი ადამიანის გონებისა. ზეპირსიტყვაობაში ამ მხრივ ყველაზე მეტი და სწრაფი საბრთხე, ყველაზე მეტი შიში მოელის ხატოვან თქმათა და ანდაზებს, რომლებიც შეადგენენ ჩვენის მეტყველების ლაზათსა და სიმდიდრეს და აგრეთვე ჩვენის წარსულ ცხოვრების ისტორიას. ერთიცა და მეორეც ან ზოგჯერ სულაც გვაგინყდება და აღარა ვხმარობთ ხოლმე, ან და თუ კიდევ გვაგონდება და ვხმარობთ, ვხმარობთ უალაგო ალაგას, რათგან მათი შინაარსი და მნიშვნელობა აღარ გვესმის, დავინწყებული გვაქვს ან კიდევ, რაკი შინაარსი აღარ გვესმის, უკეთეს შემთხვევაში, უაზრობად, მოცლილ ადამიანის მოგონილად მიგვაჩნია და ამიტომ აღარც ვურთავთ ხოლმე ლაპარაკში. „ქართულ ხატოვან თქმათა ლექსიკონი“ და „ქართული ანდაზები“, ჩემის აზრით, აბა, სწორედ ამიტომ უნდა გახდეს ჩემთა სალიტერატურო ნაშრომთა ბენიამინე.

როცა ამ სტრიქონებსა ვსწერ, სამოცდამეთექვსმეტე წელში ვარ გადამდგარი. ჩემ ბედად, ხალისი სალიტერატურო მუშაობისა არა მაქვს იმაზე ნაკლები, რაცა მქონდა ამ ორმოც, ორმოცდახუთის წლის წინად.

არ მინდა, სააქაოს გავშორდე, სანამ „ანდაზებს“ ჩემის სურვილისამებრ არ დავამუშავებ და ისე არ დავტოვებ გამოსაცემად. იმედი მაქვს, შთამომავლობამ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თვისი წინაპარი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელ ერის საკეთილდღეოდ გარჯა და შრომა და გააკეთა ის, რის გაკეთებაც ძალედვა.

თ. სახოკია
1943, მაისის 16 დღესა
ტფილისი

სიმონ ქვარიანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1946 წ. 15 იანვარს ქვარიანი სიმონ ალექსის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა აქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1868 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1890 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1938 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი, აგრონომიული საფრანგეთში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>–</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო საფრანგეთში – ლიონში, მონპელიეში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„შრომის გმირი“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p></p>

მუშაობის ადგილი არ არის მოცემული.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სიმონ ალექსის-ძე ქვარიანის ავტობიოგრაფია

დავობადე 1868 წლის აპრილის 13-ს, ქ. ქუთაისში ღარიბ ოჯახში. მამაჩემი იყო მებაღე, დედა კი – ოჯახის დიასახლისი. საშუალო განათლება მივიღე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ ერთხანს ვსწავლობდი ოდესის უნივერსიტეტში ბუნების მეცნიერებების ფაკულტეტზე, შემდეგ ვმსახურობდი ორი წელი წინანდლის საუფლისწულო მამულში, სადაც საფუძვლიანად გავეცანი ევროპულ მევენახეობა-მელვინეობას. თანაც მეტად ვენეოდი თვითგანვითარებას, აგრეთვე ვსწავლობდი ფრანგულ ენასა და სპეც საგნებს. 1894–96 წლებში ვმსახურობდი თბილისში ა/კ რკინიგზის სამმართველოში. ამავე დროს ვათავსებდი წერილებს ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. აგრეთვე დავაარსე ფარული წრე, სადაც ვუკითხავდი რეფერატებს თბილ. უფრ. კლასის მონაფეებს სოც.-პოლიტ. საკითხებზე. ამ წრეში ხანდახან მოდიოდა და კამათში მონაწილეობას იღებდა 16 წლის ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილი. მე იმ დროს ვემზადებოდი საფრანგეთში წასასვლელად, უმაღლესი აგრონომიული ცოდნის მისაღებად. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კიდეც 1887 წ. მე პირველმა აღმოვაჩინე საქართველოს კავკასიაში ვაზის გამანადგურებელი ფილექსერა, აგრეთვე მე პირველმა შემოვიღე ამერიკ. ვაზებზე ნამყენებით აღდგენა ფილექსერიტ განადგურებულ ვენახებისა, რითაც დიდი სარგებლობა მიეცა სავენახე რაიონებს. 1897 წ. აგვისტოში გავემგზავრე საფრანგეთს, პირველად ვსწავლობდი ქ. ლიონში, შემდეგ – მონპელიეში, ბოლოს კი – პარიზში.

ვცხოვრობდი საკუთარი შრომით, ვაძლევედი რუსული ენის გაკვეთილებს, ვათავსებდი წერილებს ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში.

მონპელიეში 1899 წელს ჩავაბარე უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის გამოცდები. აგრეთვე დამთავრების გამოცდები უნივერსიტეტში მწერლობის ფაკულტეტზე, ხოლო პარიზში ვმეცადინეობდი აგრ. ინსტიტუტში, სადაც აღმოვაჩინე საქართველოსათვის საგულისხმო მასალები, ამით კი მომეცა საშუალება დამეწერა: ა) „ქართველი ერის უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“), ბ) „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, დაიბ. ჟ. „მოამბეში“, 1903 წ. ხოლო 1914 წელს გამოიცა ცალკე წიგნად. გ) „ხეთი და ნაირი“, დაიბეჭდა 1909 წელს ჟ. „განათლებაში“. აგრეთვე მონპელიეში ყოფნის დროს დავწერე ნაშრომი ფრანგულ ენაზე „კავკასიის მევენახეობა-მელვინეობის სურათები“. იგი გამოიცა ცალკე წიგნადაც, რამაც ევროპის მკითხველის ყურადღება მიიქცია.

1900 წელს დავბრუნდი საქართველოში, მაშინვე დავაარსე ქუთაისში ამხანაგობა „ზვარი“, თანაც შევექენი ამერიკული ვაზებისა და ნამყენთა საჩქოლე (საკუთარი ეზო დავუთმე). ამერიკულ ვაზთა ლერწები გამოვიწერე მონპელიედან, მათზე დამყნა და ნამყენთა კულტურა უფასოდ შევასწავლე იმერეთის გლეხებს და ქუთაისის საშ. სკოლის მონაფეებს.

1900 წელს ფეხი შევსდგი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში (მიმინვია ერთმა მსხვილმა მრეწველმა). იქ მალე გავეცანი მარგანეცის მრეწველობის

ავკარგს და ძლიერი ოპოზიცია შეექმნა მადნის მუშა-მზიდავთა და წვრილ მრეწველთა ინტერესების დასაცავად მსხვილ მრეწველთა მიერ ძარცვა-ყვლეფისაგან. ეს ოპოზიცია მედგრად იცავდა მუშების ინტერესებს, რის გამოც მოკვლაც კი დამიპირეს.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა ბელადმა – ი. სტალინმა, ფ. მახარაძემ და ორდენოსანმა მწერალმა – შალვა დადიანმა.

1900–903 წ. დაიბეჭდა წიგნებად, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შემდეგი ჩემი ნაწარმოებები: ა) „ანჟელინა“, მოთხრობა საფრანგ. პროლეტ. ცხოვრებიდან, ბ) „სუმბული“, გ) „ევროპის მეაბრეშუმეობა“, დ) „შავი ქვის საქმე“, ე) „სამი გმირი“, ვ) „ვიზიტი“. ამას გარდა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში უხვად ვათავსებდი პუბლიცისტურ და პოლიტიკურ ხასიათის წერილებს და სხვ.

1907 წელს გამიღიმა ბედმა – ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორმა, იოსებ ოცხელმა მიმიწვია მასწავლებლად და სამი საგანი ჩამაბარა: ფრანგული ენა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია.

1908 წელს შევადგინე სკოლებისათვის სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“. ეს წიგნი პოპულარული გახდა და ყოველწლივ იბეჭდებოდა 10 და 20 ათას ცალამდე.

1910 წელს დავწერე ისტორიული მონოგრაფია დიდ მოურავი გიორგი სააკაძის ეპოქის შესახებ, სათაურით „ქართული ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში“ (გ. სააკაძე და მისი დრო). წიგნი დაიბეჭდა 1911 წელს.

1913 წელს მარტში ამირჩიეს ქუთ. ქალაქის გამგეობის წევრად. 1915-16 წლებში შევადგინე ნაშრომი, სათაურით „ქართული ერის ისტორია“, ტ. 1. დაიბეჭდა 19 წ.

1916 წელს გადმოვსახლდი მთელი ოჯახით თბილისში. აქ ამირჩიეს კოოპერატიულ „შრომას“ გამგეობის თავმჯდომარედ. ამავე დროს ვათავსებდი წერილებს ქართულ-რუსულ გაზეთებში.

1918 წელს ივნისში მენშევიკურ მთავრობამ მიმიწვია მდივნად ფინანსთა სამინისტროში. ორი თვის შემდეგ გადავსახლდი ქალ. სოხუმში, მომცეს საბჭოს უფროსობა. იქვე ამირჩიეს აფხაზეთის საბჭოს წევრად, საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად, დავრჩი სოხუმში 2 ნახ. წელიწადი.

1921–23 წ. ვცხოვრობდი ბათუმში, ვმსახურობდი საგარეო ვაჭრობის განყოფილებაში საქმეთა მმართველად, შემდეგ კი მიმიწვიეს სამხ. საზღ. სასწავლებელში ქართულ-ფრანგულ ენის ლექტორად. იმავე დროს ბეჯითად ვთანამშრომლობდი ბათუმის ქართულ-რუსულ გაზეთებში.

1923 წ. ისევ დავბრუნდი მთელი ოჯახით თბილისში, ვმსახურობდი პ-დ ა/კ ფინსახკომში სავალაუტო განყ. ინსპექტორად, შემდეგ მესამე შემნახველ სალაროს გამგედ, 1925–30 წლებში კი – ა) შინვაჭრობის კომისარიატში, ბ) საქ. ფინსახკომში, გ) საქ. წყალთა სამმართველოში და დ) საქ. მინსახკომში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

1930 წელს, მრავალ დამსახურებათა გამო მშრომელი მასების წინაშე, მომენიჭა „შრომის გმირის“ სახელწოდება.

ერთ დროს მწერალთა კავშირიდან გარიცხული ვიყავი, თითქოს მე არაფერი გამეკეთებინოს მხატვრულ ლიტერატურაში საქართველოს გასაბჭოების დროიდან.

1924–34 წლებში ნივთიერად მძიმე პირობებში მყოფმა დავწერე ორი ისტორიული რომანი: „დიდი მოურავი“ და „შოთა რუსთაველი“, აგრეთვე პოემა „ბუმბერაზები“ (ლენინ-სტალინი). დიდი წვალეზა განვიცადე ამათ დაბეჭდვის საქმეში. მათში მხოლოდ ერთია დაბეჭდილი წიგნად „დიდი მოურავი“, მეორე, „შოთა რუსთაველი“, რამდენიმე თავი დაიბეჭდა ჟ. „მნათობში“, მთლიანად კი დღემდე არ გამოსულა თითქოს უქალაქობის გამო.

ვარ პენსიონერი, მაქვს პერს. პენსია 400 მანეთი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

თედო კიკვაძე ავტობიოგრაფიული მოკლე ცნობები

დავიბადე გურიაში, სოფ. მაკვანეთში, 1868 წ. მამაჩემი ღარიბი, მშრომელი გლეხი იყო, დედაჩემი – ძლიერ მშრომელი. თვით წერაკითხვის უცოდინარი, მაგრამ სწავლა-განათლების მოყვარული იყო. მისი თავგამოდებით მე 1878 წ. შევედი ოზურგეთის სასულიერო 4-კლასიან სასწავლებელში, რომელიც წარჩინებულად გავათავე 1884 წ. ამავე წელს შევედი სწავლის განსაგრძობად ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1890 წ. დავასრულე.

როგორც ღარიბი გლეხის შვილს, სემინარიაში თავის შენახვა ძლიერ მიჭირდა. იძულებული ვიყავი, კერძო გაკვეთილებისათვის მომეკიდა ხელი, თვითონ მესწავლა თავისი გაკვეთილები და მოსამზადებელი ბავშვებისათვისაც მესწავლება მათი შესაფერი მასალა. ეს ცოტას მშველოდა. ბოლო წელს მე-6 კლასში გადასვლისას, სემინარიაში გათავისუფლდა გორის ეპისკოპოსის – ალექსანდრეს ნახევარ-ხარჯიანი სტიპენდია, რომელზედაც მე ვიქენი მიღებული.

სემენარიაში, როგორც ცნობილია, სასტიკი რეჟიმი მძვინვარებდა. მონაფეს უფლება არ ჰქონდა წიგნი წაეკითხა, თუ ის სემენარიის ბიბლიოთეკიდან არ იყო გამოტანილი.

აქ კი ყველა კარგი წიგნი აკრძალული იყო. აკრძალული იყო აგრეთვე გაზეთების კითხვაც.

ასეთი წესრიგის საწინააღმდეგოდ საიმედო მონაფეებს დაარსებული ჰქონდათ არალეგალური წრეები, სადაც სწორედ აკრძალულ წიგნებს კითხულობდნენ. ჰქონდათ არალეგალური, ხელნაწერი ჟურნალებიც.

როცა მესამე კლასში ვიყავი (1887 წ.) ერთი ასეთი ჟურნალი, სახელდობრ „ლაშქარი“, ჩემი რედაქტორობით გამოდიოდა (ფსევდონიმით „ხლაფორთაძე“). ეს ძლიერ კონსპირატიული ჟურნალი იყო და მასში მხოლოდ რამდენიმე ამხანაგი იღებდა მონაწილეობას. ამათში პირველთაგანი ფ. მახარაძე (ფსევდონიმი – ფ. ჯვარელი) და ნ. ჟორდანიას (ფსევდონიმი – „წითე ფერაძე“) იყვნენ.

მონაფეთა არალეგალურ წრეში ვიღებდი მონაწილეობას მეორე კლასში გადასვლის შემდეგ (1885 წ.). ჩვენ ვკითხულობდით: ბოკლს, დობროლიუბოვს, პისარევს, ჩერნიშევსკის, ლავროვს, შელგუნოვს და სხვ. ასეთებს.

ეს გარემოება იცოდა სემინარიის ადმინისტრაციამ და უსასტიკეს ზომებს ხმარობდა მის ამოსაფხვრელად. ინსპექცია მოულოდნელად ესხმებოდა თავს მონაფეთა ბინებს. ახდენდა ჩხრეკას და, თუ აღმოაჩენდა აკრძალულ წიგნს, მონაფეს მეორე დღესვე რიცხავდნენ სასწავლებლიდან ე. წ. „მგლის მონაწილეთ“.

ერთხელ ასეთი მდგომარეობისაგან გამომიყვანა მაშინდელმა ჩვენმა მეთვალყურემ (Надзиратель) ვასილ ბარნოვმა. ღამის 9 საათი იყო, როცა ბინაზე მოვიდა ბარნოვის თანხლებით სემ. ინსპექტორი სტეპანოვი – სასტიკი და ულმობელი პიროვნება. ვ. ბარნოვმა კარებში შემოსვლისას წელი ხმით ჩაილაპარაკა: „თუ რამე გაქვს, დამალე“-ო.

მე მაშინ მაგიდაზე ვიყავი მიმჯდარი და წრეში წასაკითხავ რეფერატს ვწერდი თემაზე: „როჩდამელ მუშათა აჯანყება“ (Восстание рочдамких рабо-

ყიხ). ამის დასაწერად ვსარგებლობდი ფეიფერის ამავე სათაურიანი წიგნით. ინსპექტორმა სტეპანოვმა მე ყურადღება არ მომაქცია და განჯინას, რომელშიაც წიგნები ელაგა, მიაშურა გასაჩხრეკად. ამ მომენტით ვისარგებლე და წიგნი ტახტის ქვეშ შევაგდე შეუმჩნეველად.

ამ ნიადაგზე იყო ისეთი შემთხვევა, რომ მოწაფის საწოლი ტახტი გამოაბრუნეს ჩხრეკის დროს და ამოაჩინეს ქვემოდან ამოკრული აკრძალული წიგნი. ასეთი სისასტიკისა და სხვა მიზეზთა ნიადაგზე სემინარიაში 1890 წ. მარტში ადგილი ჰქონდა მოწაფეთა დიდ მღელვარებას. ამ მღელვარების ხელმძღვანელობის როლი ვიკისრეთ ფ. მახარაძემ, ნ. ჟორდანიამ და მე. სემინარიის მთავრობას მივმართეთ უკმაყოფილო მოწაფეთა სახელით 18-19 მუხლიანი განცხადებით, რომელითაც მოვითხოვეთ ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების შემოღება სემინარიაში, ჟურნალ-გაზეთების თავისუფლად კითხვის უფლება, ინსპექციის ზოგიერთი უბეში წევრის გადაყენება და სხვა.

ამ დოკუმენტის ზოგადი შინაარსი გამომუშავებული იყო მოწაფეთა დელეგატების თათბირის მიერ, ხოლო შედგენა გაფორმება და ჩამოყალიბება მე მქონდა დავალებული.

ბრძოლა დამთავრდა მოწაფეთა გამარჯვებით: 1890/1891 სასწავლო წლიდან სემინარიაში დაარსდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის კათედრა, მაგრამ ამ საგნებს ასწავლიდნენ რუსული ენის საშუალებით.

სემინარიის რექტორმა – არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა, რომელიც შემდეგ ვარშავის არქიეპისკოპოსად გახდა და სახელმწიფო საბჭოს წევრად იყო, ჩვენზე, აჯანყების ხელმძღვანელებზე, შური იძია მით, რომ სემინარიის დასრულებისას ყოფაქცევაში ნიშანი ოთხი (4) მოგვცა, რაც იმ დროს დიდი უბედურობა იყო.

ფ. მახარაძე და ნ. ჟორდანიას სწავლის განსაგრძობლად ვარშავის საბითლო ინსტიტუტში შევიდნენ. იმათ იქ არ მიიღებდნენ, რომ რექტორ ნიკოლოზს ვარშავის საბ. ინსტიტუტისათვის არ მიეწერა განმარტება, რომ მათ ყოფაქცევაში აქვთ ნიშანი ოთხი (4) სამეცნიერო წიგნების კითხვის გამო.

რექტორი ნიკოლოზი საზოგადოდ არ იყო სასტიკი (ეს დოკუმენტი უნდა ინახებოდეს ცენტრო-არქივში სემინარიის ფონდში) ადმინისტრატორი, თორემ ვინ შეუშლიდა ხელს, რომ აჯანყების მეთაურები სრულიად გაერიცხა სემინარიიდან. მან კი მხოლოდ ყოფაქცევაში მისცა მათ ცუდი ნიშნები და საჭიროების დროს ისიც გაასწორა. პირადად მე, თუმცა გარეგნულად ყველაზე უფრო სასტიკად მეპყრობოდა (ამის შესახებ აქ საუბარს არ გავაგრძელებ), წინადადება მომცა, წავსულიყავ კიევის უნივერსიტეტში, სადაც რექტორად მისი მეგობარი იყო და რომელთანაც ის გამატანდა სარეკომენდაციო წერილს. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ მეზრდოლ და შედარებით განვითარებულ მოწაფეებში ის, უთუოდ, რაღაცა განსაკუთრებულს ხედავდა და აფასებდა.

სემინარიის გათავების შემდეგ მე სოფელში დავბრუნდი. ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს ვოცნებობდი ჩემ სოფელში სკოლის გახსნის შესახებ.

თემში თუმცა არსებობდა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, მაგრამ ჩემი სოფლელები მით ვერ სარგებლობდნენ სიშორის გამო, სასკოლო გადასახადს კი იხდიდნენ.

სოფელში ჩასვლისთანავე (1890 წ. ივნისი) შეეუდექი ამ საქმის განხორციელებას. ჯერ მოწინავე პირებს აუხსენი სკოლის მნიშვნელობა, საკუთარი სკოლის დაარსების საჭიროება და სხვ. ჩემი წინადადებით სოფელმა ერთხმად მიიღო დადგენილება საკუთარი სკოლის დაარსების შესახებ და საქმის წარმოება მე მომანდო. შევადგინე შესაფერი თხოვნა და ოქმთან ერთად გავუგზავნე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

იმ დროს, ცხადია, ასე ადვილად არ მოგვცემდა მთავრობა სკოლის გახსნის ნებართვას, ამიტომ, ფაქტის წინაშე რომ დამეყენებია სასკოლო დირექცია, 1890 წ. სექტემბერში მოვაგროვე 60-მდე ბავშვი და ასე ვთქვათ, რევოლიუციონური გზით, დავინყე მეცადინეობა. ამით ნახალისებული სოფელი, ჩემი წინადადებით და გეგმით, მაშინვე შეუდგა სასკოლო შენობის სამზადისს. 1891 წ. აპრილში უკვე მზად იყო სასკოლო კარგი შენობა და საჭირო სასკოლო მოწყობილობაც.

სკოლის დამტკიცებისათვის საჭირო შეიქნა შემოქმედის თემის („საზოგადოების“) წინასწარი თანხმობა, რადგან არსებულ სკოლას ინახავდა მთელი საზოგადოება და მე ყურადღებას ვაქცევდი მოსაზღვრე ქობულეთლების განათლება-განვითარების საქმესაც.

ახლა კი ამ საქმეში ჩვენი სოფელი უნდა გამოშორებოდა. ასეთი თანხმობის მიღება შეუძლებელი გახდა საზოგადოების შეუგნებლობის გამო. მიუხედავად ამისა, მაკვანეთში სასკოლო მეცადინეობა შეუჩერებლად წარმოებდა.

მე სოფელში დავრჩი მხოლოდ ერთ სასწავლო (1890/91) წელს, შემდეგ იძულებული შევიქენი, მოვშორებოდი ამ ჩემ საყვარელ საქმეს. მიზეზი ის იყო, რომ მე ვალი მქონდა გადასახადი 500–600 მანეთის რაოდენობით, რაც მაშინ მძიმე საქმე იყო.

მოვიწვიეთ ახალი მასწავლებელი, სკოლა მას გადავეცი, სოფელმა აღუთქვა 300 მანეთის მიცემა წლიურად და მე გავემგზავრე ზესტაფონში, სადაც შავი ქვის მწარმოებელ ცნობილ ნიკოლოზ ლოლობერიძესთან დავინყე მუშაობა. ლოლობერიძემ გამაგზავნა ამ. კავკ. რკინის გზის სადგურ გომში (ზემო ქართლი) შავი ქვის კანტორის გამგედ. აქ ზაფხულზე ჭიათურიდან გადმოქონდათ მადანი ურმებით და აქედან ფოთს იგზავნებოდა ვაგონებით. კანტორა სამიკიტნოს ერთ პატარა ოთახში იყო მოთავსებული და საცხოვრებლად (ბინაც ამ ოთახში გვექონდა მე და შავი ქვის მიმღებ მწონელს), რა თქმა უნდა, ცუდი და აუტანელი იყო, მაგრამ რას იზამდი, როცა სხვა გზა და საშუალება არ იყო. ეს იყო 1891 წ. ზაფხულზე.

შემდეგ წელს, 1892 წ., ამავე კანტორაში მსახურობდა ეგნატე ინგოროყვა (ე. ნინოშვილი), რომელიც ვერ ურიგდებოდა ასეთ პირობებში მუშაობას და თ. სახოკიას შესჩიოდა ერთ კერძო წერილში. სხვათა შორის, ამ წერილში ის ეკითხებოდა სახოკიას: „მაკვირვებს, როგორ გასძლო შარშან კ-ქემ (კიკვაძემ) ამ საშინელ მდგომარეობაში“-ო (ნახე ე. ნინოშვილის თხზულებათა 2 ტომის 407 გვერდი, სახელგამის გამოც., 1924 წ.).

1892 წ. მე ვმართავდი ამავე ფირმის ს. ჯოყუთის კანტორას (ზემო იმერეთში, ჭიათურა-ზესტაფონის გზაზე, ზესტაფონიდან 22 კილომეტრის მანძილზე). შემდეგ 1893 წ. გადავედი ამავე ფირმის ჭიათურის მთავარი საწარმოო კანტორის გამგედ. ამავე კანტორაში მსახურობდენ, როგორც მადნის

დამუშავების ტექნიკური ხელმძღვანელები, სამთამადნო ინჟინერი გიორგი დეკანოზიშვილი და მისი ბიძაშვილი, ტექნიკი ირაკლი დეკანოზიშვილი.

ჭიათურაში ნაცნობთა შორის ვაგროვებდი ფულებს მაკვანეთის სკოლის სასარგებლოდ და ამით ვაწყობდი მას საჭირო ავეჯით და ხელსაწყოებით. აქედანვე დავდიოდი ხშირად ქუთაისს, შევდიოდი სახალხო სკოლების დირექციაში და დაჟინებით მოვითხოვდი დირექტორ ლევიცკისაგან მაკვანეთის სკოლის დამტკიცებას. ასეთმა დაჟინებით მოთხოვნამ ბოლოს გაჭრა – 1894 წ. იანვარში დირექტორმა დაამტკიცა სკოლა და მისი მასწავლებელი – ნიკო ჯანაშია.

1903 წ. მაკვანეთის სკოლა, სახალხო სკოლების ინსპექტორის კონია მაჭავარიანის დახმარებით, დავამტკიცებინე დირექციას ორკლასიან სამინისტრო სკოლად.

აქედან სოფელი გათავისუფლდა მასწავლებლის ჯამაგირის გადახდისაგან და ყველა მასწავლებელს (სამს) ხაზინიდან დაენიშნა ჯამაგირი. დღეს ეს სკოლა მაკვანეთის თემის 7-წლედადაა გადაკეთებული.

ჭიათურაში ჩემთან სხვა და სხვა შემთხვევის დროს და სხვა და სხვა საკითხის განსახილველად თავს იყრიდა მთელი დემოკრატიული ინტელიგენცია.

საჩხერისაკენ გავლა-გამოვლისას ჩემთან ხშირად თითო-ორი დღით ჩერდებოდნენ აკაკი და გიორგი წერეთლები. ზოგჯერ ესენი ერთად მესტუმრებოდნენ. ასეთი შემთხვევების გამო ჩემთან თავს იყრიდა ჭიათურის მთელი დემოკრატიული ინტელიგენცია. იმართებოდა ცხოველი სჯაბაასი სხვა და სხვა პოლიტიკურ, კულტურულ და ლიტერატურულ საკითხებზე. აქ ამ ინტელიგენციამ მოჰკიდა ხელი ჭიათურის კულტურული განვითარების საქმეს: დაარსა სამკითხველო-ბიბლიოთეკა, თეატრი, საკვირაო სკოლა და სხვა. ყოველივე ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდი პირადი მუშაობით და პროპაგანდას ვენეოდი პრესის საშუალებით.

ერთად-ერთი მე ვიყავი, რომ ჭიათურიდან წერილებს ვათავსებდი გაზ. „ივერიაში“ და ჟურ. „კვალში“ შავი ქვის მუშების ინტერესების დასაცავად და კაპიტალისტური ყველეფის წინააღმდეგ. ვცდილობდი, რომ ჩემი მიდგომა ამ საკითხებისადმი, რამდენადაც იმ დროს ეს ჩვენთვის შესაძლებელი იყო, მარქსისტული ყოფილიყო. მარქსის მოძღვრებას სხვ. ავტორთა წიგნების საშუალებით უკვე 1889-1890 წლებიდან ვიცნობდი, 1893-1894 წწ. კი თვით „კაპიტალის“ 1 ნაწილი მქონდა ასე თუ ისე გაცნობილი.

კაპიტალისტების მკაცრი მხილება, ცხადია, პირადად ჩემთვის, როგორც ამ მრეწველობაში დაქირავებული მოსამსახურისათვის, საზარალო და საშიშარიც იყო, მაგრამ ამას არ ვუნევი ანგარიშს. ჯერ კიდევ სემინარიაში მონაფეობის დროსაც არ ვერიდებოდი გამორიცხვის საშიშროებას და ვასურათებდი მშრომელი გლეხობის ტანჯულ ყოფა-ცხოვრებას კლასობრივი თვალსაზრისით, იქვე თავგამოდებით ვესარჩლებოდი ქალთა ემანსიპაციას, საღ პედაგოგიკურ პრინციპებს, კულტურის გავრცელების საქმეს და სხვ. ამის შემდეგ ბუნებრივია ის, რომ 1895 წ. მე, ნ. ნიკოლაძის საწინააღმდეგოდ, კლასობრივი თვალსაზრისით განვითარებ აზრს ჩვენი თავად-აზნაურობის საკითხის შესახებ.

აქ მე არ მოვიხსენებ ასეთი საკითხების შესახებ ჩემ მერმინდელ წერილებს, რომლებიც გაპნეულია სოც. დემოკრ. სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემაში. აქ მოკლედ მოვიხსენებ მხოლოდ ის, რაც ახასიათებს ჩემი მუშაობის

პირველ, დაწყებით პერიოდს, როცა ჩვენში მარქსიზმი მხოლოდ იწყებოდა. მთელი ჩემი თავგადასავალი ერთ წიგნს მოინდომებს და აქ ყველაფრის თქმა არცაა საჭირო.

1896 წ. ვიყავი ქ. ფოთში ლოლობერიძის ფირმის საექსპორტო კანტორის გამგედ. აქ ჩემი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ქალაქს სამკითხველო-ბიბლიოთეკა არ ჰქონდა. ახალშეძენილ ნაცნობ-მეგობრებთან თათბირის შემდეგ პირადად მივმართე ქალაქის თავს ნ. ნიკოლაძეს და მოველაპარაკე სამკითხველო ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. ნიკოლაძე თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს და საჭირო რჩევა-დარიგებაც მომცა. სამი-ოთხი დღის განმავლობაში შევიტანე ნიკოლაძის სახელზე 20-30 მოქალაქის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა ამ საკითხის შესახებ. ნიკოლაძემ უახლოეს სხდომაზე საბჭოს წარუდგინა იგი თავისი დასკვნით და მიაღებინა კიდევ. ამნაირად ფოთში გაიხსნა სამკითხველო-ბიბლიოთეკა (ამის შესახებ გაზეთში მაქვს წერილი).

1896 წ. დეკემბერში თავი გავანებე შავი ქვის მრეწველობაში მუშაობას. 1897 წ. აკაკი წერეთელმა მიმიწვია თავისი ჟურნალი „კრებული“-ს რედაქციის გამგედ. ეს ჟურნალი აკაკიმ დააარსა სპეციალურად ჩვენი ზეპირსიტყვაობის შესაკრებად, რასაც ის დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მე რედაქციის საადმინისტრაციო-სამწეო ნაწილის გამგეც ვიყავი, მდივანიც და სტილისტიც. აკაკი დიდი ნდობით მეპყრობოდა და მეც ვცდილობდი, ეს ნდობა გამემართლებია. ზეპირსიტყვაობის მასალის რედაქცია დიდ დაკვირვებას და სიფრთხილეს მოითხოვს. აკაკი მხოლოდ კითხულობდა მასალას და შემდეგ მე გადმომცემდა.

ამავე დროს ვთანამშრომლობდი ჟურნალ „კვალში“. ვათავსებდი ხელმოწერილ წერილებს „კვირიდან-კვირამდე“ და ხელმოწერილს ფსევდონიმებით: „ჭალარა“, „ფანდი“ და სხვა.

აკაკიმ განიზრახა, ვახტანგ ლამბაშიძის რჩევით, თავისი ჟურნალის გადატანა დ. ზესტაფონს, ამიტომ მე გავანებე თავი აკაკისთან მუშაობას და ისევ გურიაში დავბრუნდი (1898 წ. ბოლოს). რადგან სახელმწიფო სამსახურში შესვლა არ მინდოდა, ამიტომ კერძო გაკვეთილებს მოვკიდე ხელი ჯერ ოზურგეთში და შემდეგ, 1899 წ., გავხსენი ქ. ბათომში ოლქის მზრუნველის მიერ ნებადართული კერძო სასწავლებელი, რომელიც 1901 წ. ოზურგეთში გადავიტანე.

აქ 8-12 წლის ბავშვებს ვამზადებდი სხვადასხვა სასწავლებელში მისაღებად. სალამოობით დამატებით ვამზადებდი მოზრდილ ახალგაზრდებს სხვადასხვა საშუალო სასწავლებლისათვის მე-6-7 კლასამდე. ვამზადებდი აგრეთვე ორკლასიანი სამინისტრო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებად და აფთიაქის მონაფეებს.

მოზრდილ მონაფეთა შორის ბევრი გამონარიცხი იყო სასწავლებლიდან უნიჭობისა და სხვა მიზეზების გამო. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩემთან მომზადებულს მიზნისათვის არ მიეღწიოს, არ გამოსწორებულიყოს.

ბევრი ჩემთან მომზადებულთაგანი ახლა ღირსეულად მუშაობს სოც. მშენებლობის სხვადასხვა ფრონტზე.

ოზურგეთში იმ დროს (1901 წ.) არსებობდა „სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, რომლის წევრი მეც ვიყავი. ეს ამხანაგობა უმთავ-

რესად აბრეშუმის პარკის ყიდვა-გაყიდვას აწარმოებდა. წევრთა საზოგადო კრებამ ამირჩია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

ჩემი მოხსენების საფუძველზე, დიდი ბრძოლის შემდეგ, რაც გამგემ ს. ჭ-შვილმა გამართა, გადაყენებულ იქნა ხსენებული გამგე, რომელიც ბოროტად ხმარობდა თავის უფლებას.

1904 წ. გურიაში დიდი მღელვარება იყო აგრარულ ნიადაგზე. ხშირი იყო ტერორისტული აქტები. მთავრობა იძულებული გახდა, გაეგზავნა თავისი სპეციალური წარმომადგენელი – მეფის ნაცვლის თანაშემწე კრიმ-გირეი, რომელმაც შემოიარა მთელი გურია და მოისმინა გლეხკაცობის მოთხოვნები. საჭირო იყო ხალხის მოთხოვნების ორგანიზაციულად მოწყობა, მუხლების ჩამოყალიბება სოც. დემოკრატიული პროგრამის საფუძველზე. ყოველივე ამის შესახებ წინასწარი თათბირი ხდებოდა ჩემ ბინაზე, სადაც იკრიბებოდა ახალდაარსებული სოც. დემოკრატიული ბიურო, რომლის წევრი მეც ვიყავი. ეს ბიურო ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას, აძლევდა დირექტივებს სხვადასხვა რაიონებს და სხვ. გურიის სოც. დემოკრატ. კომიტეტი მაშინ კიდევ არ იყო ბათომიდან გურიაში გადმოსული.

კრიმ-გირეი ლიბერალი იყო და ხალხს ბევრი დაპირება მისცა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავრობამ მაინც გაგზავნა მღელვარების ჩასაქრობად და მთელი ხალხის დასამორჩილებლად დამსჯელი ჯარი, რიცხვით 8000-მდე, გენ. ალიხანოვ-ავარიელის მეთაურობით.

გენ. ალიხანოვმა მთელ მაზრაში გამოაცხადა სამხედრო და საალყო წესები. რევოლუციონერების წინააღმდეგ მიიღო უსასტიკესი ზომები, გაიჩინა ადგილობრივი მაბეზღარები, ხალხის მოლალატეები და სხვ.

მე პირადად მემტერებოდენ ცნობილი დიდი ხულიგნები, მაბეზღარები: ტივო ნაკაშიძე, ნიკოკი თაყაიშვილი, გრიგოლ და ივანე ჯაყელები, თაყა ლლონტი, თომა კალანდარიშვილი და სხვები. ამათი დაბეზღებით 1904 წ., ჟანდარმების დავალებით, პოლიციამ (ბოქ. სალაყაია) ბინა გამიჩხრიკა. შემდეგ მაზრის უფროსმა – ვანო ჯაფარიძემ, რომელიც უსასტიკესი პოლიციელი იყო, ამიერ კავკასიიდან გადასახლებულად წარმადგინა ქუთაისის გუბერნატორ სმაგინთან. მისმა წარდგენამ არ გასჭრა, რადგან მე პირადად ვინახულე გუბერნატორი და ამომწურავი ახსნა-განმარტება მივეცი, რაც გუბერნატორმა სარწმუნოდ და საფუძვლიანად მიიღო.

1905 წელს, როცა ხალხის მოძრაობა, რეპრესიების მიუხედავად, უმწვერვალესად განვითარდა, მარტში, ალიხანოვის განკარგულებით, ჩემი ბინა ღამის 10-საათზე ჯარებით შემოკრეს და დამატუსაღეს. ამას ხელმძღვანელობდა ბათომიდან სპეციალურად ამოსული ჟანდარმთა პოლკოვნიკი ჯაყელი. იმ ღამესვე დაიჭირეს ექიმი გიორგი ჭოლოშვილი, რომელიც სოც. დემ. ბიუროს წევრი იყო, ალიომა წუნუნავა (რეჟისორი), რომელიც არ იყო ბიუროს წევრი და სხვები.

მეორე დღესვე გაგვგზავნეს, 200 ცხენოსანი ყაზახი რუსის და 50 სტრაჟნიკის თანხლებით (მთავრობას ეშინოდა გზაში თავდასხმის რევოლუციონერების მხრივ) რკინისგზის სადგურ ნატანებამდე, აქედან ტფილისის მეტეხის ციხეში. გაზეთ „კავკაზ“-ში გამოცხადდა, რომ დაჭერილია გურიის სოც. დემოკრ. კომიტეტი. მეტეხის ციხეში გამოგვიცხადეს და ხელიც მოგვა-

წერინეს, რომ ჩვენ მოსჯილი გვექონდა რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიაში გადასახლება ორ ჯგუფად. ჩემი ჯგუფი გადასახლებული იყო ყაზანის გუბერნიაში. ეს განკარგულება სისრულეში არ მოუყვანიათ, რადგან სწორედ მაშინ ჩამოვიდა ტფილისის მეფის ნამცვლად დანიშნული ვორონცოვ-დაშკოვი, რომელმაც ჩვენ ამნისტია მოგვცა. ეს, სხვათა შორის მოხდა, კრიმ-გირეის რჩევით, რომელსაც უნდოდა მის მიერ გურულებისადმი მიცემულ დაპირებათა რეალიზაცია.

1905 წ. სექტემბერში გურიაში მოხდა რწმუნებულთა არჩევნები ქუთაისის საგუბერნიო საერობო თათბირზე გასაგზავნად. არჩეულთა რიცხვში მეც ვიყავი. თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ თავად-აზნაურობა, ფედერალისტების და სოც. დემოკრატების პარტიები და სხვა. საგუბერნიო თათბირს უნდა აერჩია დელეგაცია და ტფილისს გაეგზავნა მეფის ნაცვალთან და მის მაღალ მოხელეებთან მოსალაპარაკებლად. სოც. დემოკრატიული ფრაქცია უარს ჰყოფდა ასეთი დელეგაციის გაგზავნას, სხვები კი აუცილებლად თვლიდნენ. ამ საკითხის გამო ფედერალისტების ცნობილი ბელადი – გიორგი ზდანევიჩი მკაცრი (გენ. ალიხანოვის შტაბის ქალაქები ცენტრო არქივში არ არის. როგორც მითხრეს, იქ დაღუპულია) კრიტიკით გამოვიდა სოც. დემოკრატების წინააღმდეგ: აქ, ქუთაისის თათბირზე რისთვის მოხვედით, თუ მეფის ნაცვალთან გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობას არ მიიღებდითო. ამაზე მე ვუპასუხე: აქ მოვედით, რომ საგუბერნიო თათბირის ტრიბუნა გამოგვეყენებია ჩვენი აზრების გამოსათქმელად ფართო აუდიტორიის წინაშე, მეფის-ნაცვალთან, მის კანცელარიაში ჩვენს დელეგატს არ გაგზავნით, რადგან ჩვენ მეფის-ნაცვლის და მისი მოხელეების მორჯულებას არ ვფიქრობთ, ამიტომ იქ წავალთ იარაღით ხელში, რომ მისი სასახლე ავიღოთ მეთქი (ყოველივე ეს სტენოგრაფიულად იყო შეტანილი ოქმში თათბირის მდივნის იონა მუუნარგიას მიერ). შემდეგ ჩვენ ობსტრუქცია მოვახდინეთ და თათბირი დავტოვეთ (ამ თათბირის ოქმები ცენტრო-არქივში არაა).

ამ თათბირის დასრულების შემდეგ ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ტფილისში ჩამოვედი და გაზეთ „Возрождение“-ში კორექტორად დავინყე მუშაობა. დეკემბერში მიმინვიეს ახალ-დაარსებულ სოცდემ. გაზეთ „სხივი“ მდივნის თანამდებობაზე. „სხივი“ ადრე დახურა პოლიციამ, მაგრამ მის სამაგიეროდ, ჩემი რედაქტორობით, გამოვიდა გაზეთი „განთიადი“.

ამ გაზეთის ირგვლივ ბოლშევიკ-მემშვიკების დროებითი შეერთება მოხდა. ბოლშევიკების მხრით რედაქტორები ი. ჯულაშვილი (სტალინი) და ფ. მახარაძე იყვნენ, მენშევიკების მხრით – ნ. ჟორდანი და ს. ჯულელი. მე მდივნად ვიყავი. „განთიადი“ მეხუთე ნომერზე დაკეტა პოლიციამ, მაგრამ მის ადგილას გაზ. „ელვა“ გამოვუშვი. „ელვის“ არსებობის დროს ავლაბარში პოლიციამ ამოაჩინა, 1906 წ. 15/IV, საიდუმლო სტამბა. სტამბაში არავინ დაუხვდათ, მხოლოდ გატენილი ბომბები, პროკლამაციები, შრიფტი და სხვა ნახეს. ამის გამო მეორე დღეს, 16/4, პოლიცია თავს დაესხა „ელვის“ რედაქციას, სადაც იმ დროს (დელის 9 საათზე) თავმოყრილი იყვნენ ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც.

პირველად მე შევამჩნიე კარებში შემომავალი ხიშტიანი რუსი. გავიქეცი მეორე ოთახში, სადაც ფ. მახარაძე იყო, გავაგებე ეს ამბავი და, სიფრთხილის გულისათვის, ჯიბიდან ამოღებული ქალაქები გადავყარე. ეს შემამ-

ჩნია პოლიციის ბოქაულმა გურგენიძემ, მომვარდა, გამჩხრიკა და ჯიბიდან ამომართვა დოკუმენტი, რომელზედაც ვერის რაიონის ორგანიზაციის ბეჭედი იყო დაკრული და რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მე ცნობილი გენ. გრიაზნოვის მკვლელის – ჯორჯიაშვილის – მამას გადავეცი ფულადი დახმარება. ეს მიქაძედა კატორლაში გაგზავნას. პოლიციამ რედაქცია გაჩხრიკა, მაგრამ ციხეში ჩვენს აყვანას არ ჩქარობდა. რედაქციაში სხვადასხვა საქმისათვის ვინც შემოდოდა, მათ უკან გაბრუნების ნებას აღარ აძლევდენ. ასე გასტანა სალამოს ხუთ საათამდე. ხუთ საათზე გადაგვარჩიეს ორ ჯგუფად: 80 კაცი, როგორც შემთხვევით შემოსულები, საპოლიციო უბანში გაგზავნეს, ხოლო ოცდა ოთხი, რედაქციის თანამშრომლები და გარეშე საეჭვო პირები, მეტეხის ციხეში წაგვიყვანეს.

მეტეხის ციხეში ვილაც ორ ქალს ჯერ ჭურჭრუტანებიდან საიდუმლოდ დააზვერინეს ჩვენი თავი, რისთვისაც კანცელიარიაში გაგვიყვანეს, ვითომ დასაკითხავად. მეორე დღეს იგივე მონმეები მოიწვიეს, ჩვენ კანცელარიაში გაგვიყვანეს, მწკრივად გაგვაჩერეს და ქალები შემოიყვანეს. ქალებმა ხელი დაადვეს, ვითომ იცნეს, კაცს, მათ შორის პირველად მე, რადგან დამახსოვებული ჰქონდათ ჩემი შეჭალარავებული თავი. ამ საბუთით ჩვენ წამოგვიყენეს ბრალდება სისხ. სამართ. 226 მუხ. შემდეგ ციხიდან გაათავისუფლეს ფ. მახარაძე, შ. ელიავა, მ. ცხაკაია და სხვები, რომლებსაც მონმე ქალებმა ხელი არ დაადვეს.

ჩემთან ერთად მონმეებმა ხელი დაადვეს მიხა ბოჭორიძეს, რომელიც რედაქციაში მოხვდა ჩხრეკვის დროს. ეს მიხა იყო საიდუმლო სტამბის მომწყობი, დ. როსტომაშვილის სახლში, და ხელმძღვანელი, მაგრამ ციხეში ოთაროვის გვართი იჯდა. პოლიციამ იცოდა, რომ ბოჭორიძე იყო სტამბის ხელმძღვანელი, მას გარეთ გულმოდგინედ ეძებდენ, მაგრამ პირადად არ იცნობდენ. ის, როგორც ოთაროვი, სხვათა შორის იყო დაჭერილი.

მე, როგორც რედაქციის მდივანს, ძლიერ მაგრად მკიდებდენ ხელს. როცა გამოძიება დასრულდა, ოთაროვს (მ. ბოჭორიძეს) თავებზე ქვეშ ათავისუფლებდენ 400 მ. უზრუნველყოფით, მე კი 2000 მანეთი მომთხოვეს. მეტეხის ციხეში ჯდომის დროს ქ. ოზურგეთმა ამირჩია პირველი სახელმწიფო „დუმის“ დეპუტატთა ამრჩეველად, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მივიღე, რადგან მთავრობამ ციხიდან დროებით არ გამათავისუფლა. ასეთი დიდი ბრალდების მიუხედავად, მე გავთავისუფლდი პალატის საგანგებო გამომძიებლის, ვინმე ლიახოვიჩის დახმარებით. ეს ლიახოვიჩი პოლიტიკური რწმენის კადეტი იყო. გათავისუფლების შემდეგ ისევ სოფელში წავედი, მაგრამ მთავრობამ აქაც არ მომასვენა. 1907 წ. დანიშნული იყო მეორე სახელმწიფო „დუმის“ რწმუნებულთა არჩევნები. გურიაში მაშინ მძვინვარებდა გენ. ტოლმაჩევი.

ოზურგეთის მაზრიდან „დუმის“ რწმუნებულთა არჩევნების წინ, გენ. ტოლმაჩევის განკარგულებით, დიდთოვლიან იანვარში ღამით თავს დამესხა სოფელში დარაჯების ინგუშთა რაზმი, სახლი გაჩხრიკა, დამიჭირა და ოზურგეთში წამიყვანა. ვიჯექი ერთხანს ინგუშ დარაჯების „პოსტზე“, შემდეგ ციხეში. როგორც იყო, აქედანაც შედარებით ადვილად დავალწიე თავი, კვლავ ოზურგეთში დავრჩი და კერძო გაკვეთილებს, გაჭირვების ამ ჩემ ტალკვესს, მოვკიდე ხელი. ამასთანავე განვაგრძე მუშაობა გურიის სოც. დემოკრატ. კომიტეტში, მონაწილეობა მივიღე მეორე დუმისათვის დეპუ-

ტატთა ამრჩევი სოც. დემოკრ. არალეგალური საგუბერნიო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც შეიკრიბა ს. ნიგოეთში. ამ კონფერენციაზე იყვნენ ბოლშევიკებიც. მაგ. ბუდუ მდივანი, პოლიკო კიკალიშვილი და სხვები (ბოლშევიკებმა პირველ „დუმას“ ბოიკოტი გამოუცხადეს, მეორე „დუმაში“ კი დეპუტატები გაგზავნეს). დეპუტატების არჩევნები ჩატარდა ჩემი ხელმძღვანელობით, რადგან პრეზიდუმის ორი წევრი – კაკი წერეთელი და გრიმა ლორთქიფანიძე ასარჩევი კანდიდატები იყვნენ.

ამავე 1907 წ. მოულოდნელად იძულებული შევიქენი, მონაფეები მიმეტოვებია და ოზურგეთიდან გავქცეულიყავი. იმ დროს, აპრილში, ოზურგეთში რევოლუციის ტყვიებით დასჭრეს „სტრაჟნიკების“ პრაპორჩიკი, სისასტიკიც განთქმული, დიმიტრი მგელაძე. პოლიცია, რასაკვირველია, ფეხზე დადგა და ამ შემთხვევის ხელმძღვანელის ძებნას შეუდგა. იმ დროს სოფელში ვიყავი. ერთ დღეს მოულოდნელად ბარათი მივიღე ზვანის (ოზურგეთში) ჩაის პლანტაციის გამგის – აგრონომი ერმილე ნაკაშიძისაგან, რომლითაც მწერდა, რომ დაუყოვნებლივ მასთან ჩავსულიყავი. ჩავედი. – შენი საქმე ცუდადაა – მითხრა ერ. ნაკაშიძემ (აგრ. ერმილე ნაკაშიძე ამჟამად სცხოვრობს ტფილისში, შატინოვის ქ. №3), – დღეს ჩემთან ქალაქები მოიტანა „სტრაჟნიკების ურიადნიკმა“ ივანე ნინიძემ, რომელსაც, სხვათა შორის, ვკითხე დიმიტრი მელაძის დაჭრის შესახებ. „ტერორისტების ხელმძღვანელი ამოაჩინა პოლიციამაო, მიპასუხა ნინიძემ. ეს ვიღაცა მასწავლებელი კიკვაძე ყოფილა. მას დაიჭერენ, ღამით ციხეში გაგზავნიან და გზაზე მოკლავენ, ვითომ გაქცევის ცდისათვის – ასე აქვს ტოლმაჩევს გადანყვეტილიო, რომ ვიცნობდე, გავაფრთხილებო“. – დააბოლოვა საუბარი ნინიძემო.

ცხადია, უნდა გავშორებოდი ოზურგეთს. გამოვიქეცი ტფილისს, სადაც ერთხანს არა-ლეგალურად ვცხოვრობდი და კერძო გაკვეთილებით ვირჩენდი თავს. შემდეგ ლეგალობაზე გადავედი და ერთი ჯგუფის თხოვნით ვიკისრე იუმორისტული ჟურნალი „ეკალის“ ხელმძღვანელობა. ამ ჟურნალის ნომინალური რედაქტორი იყო ასოთ-ამწყობი პლატონ გაჩეჩილაძე.

სხენებულ ჟურნალში იყო „პოპულიარული განყოფილება“, რომლითაც დემოკრატის მარქსიზმს ვაცნობდით პოპულიარული წერილების საშუალებით. ჟურნალის იუმორისტულ ნაწილში ბრძოლას ვანარმოებდით ყველა არამარქსისტულ პარტიასთან და მიმართულებასთან. მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის ჟურნალი დაგვიხურეს და რედაქტორს ორი თვის ციხე მიუსაჯეს, რაც მან მოიხადა. რედაქტორის ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ განვაახლეთ ჟურნალის გამოცემა 1908 წ.

1909 წ. სექტემბერში ისევ ოზურგეთს გადავსახლდი. იმ დროს ქალაქის საბჭო შუამდგომლობდა სასწავლო ოლქის წინაშე ოზურგეთში რეალური სასწავლებლის დაარსების შესახებ. კომისიამ, რომელიც სათავეში ედგა ამ საქმეს, მიმინვია ოზურგეთში, რომ მეც მიმელო მონაწილეობა დაწყებული საქმის განხორციელებაში, წინასწარ მომემზადებია ბავშვები სასწავლებლისათვის და სხვ.

იმ დროს გურიამი მაზრის უფროსად იყო ადგილობრივი ხალხის მოძულე ზაკუსოვი, რომლის მეცადინეობით და წარდგენით ქალაქს უარი უთხრეს შუამდგომლობაზე. ოზურგეთში დავრჩი 1912 წ. მაისამდე, აქ ჩვეუ-

ლებრივ, ბავშებს ვამზადებდი. პირველ მაისს მოულოდნელად შემატყობინეს, რომ ქუთაისიდან ორი ჟანდარმი ჩამოვიდა და შენი დაჭერა უნდათო. ეს გამაგებია ქალაქის პოლიციის ბოქაულმა – იპოლიტე გრიგოლაშვილმა. სხვა რა გზა მქონდა. ახლაც, როგორც 1907 წ., სასწრაფოდ უნდა მიმეტოვებია მონაფეები, ოზურგეთი და ტფილისისათვის მომეშურებია. ამნაირად გამოვასწარი და ჟანდარმებმა მხოლოდ ბინა გაჩხრიკეს ჩემი. ერთხანს კვლავ არალეგალური ცხოვრება...

1912 წ. ლ. პეტრაშევსკის 8-კლასიან კერძო კომერციულ სასწავლებელში მიმინვიეს ქართული ენის მასწავლებლად. 1918/19 სასწავლო წელს ვიყავი აგრეთვე ქალთა მეოთხე გიმნაზიაში ამავე საგნის მასწავლებლად. ამავე დროს თანავმშრომლობდი სოც. დემოკ. გაზეთებში. 1914 წ. ამირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრად. 1918 წლიდან აქ ვიყავი თავმჯდომარის ამხანაგად. თავიდანვე მონდობილი მქონდა წიგნების გამოცემის ხელმძღვანელობა, ვიყავი საგამომცემლო სექციის თავმჯდომარე. ქართული წიგნის ასი-ათასი ტირაჟი პირველად ამ საზოგადოებამ გამოუშვა 1920 წ. ეს იყო ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“.

სსენებულ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა გამწვავებულ პარტიულ ბრძოლას. საზოგადოების გამგეობაში წარმოდგენილი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიები, ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატ. (მენშევიკ-ბოლშევიკები). 13 წევრიდან ოთხი სოც. დემოკრატი ვიყავით, მათ შორის ბოლშევიკი პ. კიკალიშვილი.

მსოფლიო ომის დროს გამგეობის თავმჯდომარე გენ. ყაზბეგის ინიციატივით ნ. კ. საზოგადოებამ დიდუბის ეკლესიის გალავანში დააარსა „პანთეონი“. ყაზბეგის აზრით, აქ უნდა დაესაფლავებიათ ომში დახოცილი უმაღლესი სამხედრო პირები. „პანთეონისათვის“ ადგილი იყიდეს 5000 მან. ეგზარქოსი პითირიმისაგან. გენ. ყაზბეგმა წინადადება შემოიტანა გამგეობაში, რომ ეგზარქოსი პითირიმი ასეთი ჩვენდამი ყურადღებისათვის საზოგადოებას ერთხმად აერჩია თავის საპატივო წევრად. ამ წინადადებას გამგეობის სხდომაზე ყველამ მისცა ხმა, გარდა სოც. დემოკრატებისა. პირადად მე სხდომის ოქმის ბოლოს მივანერე: „ვიტოვებ მოქმედების თავისუფლებას, რადგან გამგეობის დადგენილებას პითირიმის საპატივო წევრად არჩევის შესახებ არ ვეთანხმები“ (ეს ოქმი არ აღმოჩნდა ნ. კ. საზოგადოების ფონდში. იგი გენ. ყაზბეგმა უთუოდ სრულიად მოსპო, რადგან თავის მიზანს ვერ მიაღწია).

ეს ძლიერ ეწყინა გენ. ყაზბეგს და მითხრა: „თქვენ დისციპლინის კაცი არ ყოფილხართ“. „დიახ, ჯარისკაცი არ ვარ“ – ვუპასუხე.

თავიდანვე საჭირო ზომები მივიღე ამ საკითხის ჩასაშლელად. წევრთა საზოგადო კრებისათვის, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაენწყვიტა ეს საკითხი, მომხრე წევრთა მობილიზაცია მოვახდინეთ.

დიდი ზეიმით გაიხსნა მრავალრიცხოვანი კრება. გენ. ყაზბეგმა, გამონყობილმა სრული საზეიმო ფორმით, მოახსენა კრებას ეგზარქოსი პითირიმის დამსახურების შესახებ და მოითხოვა მისი კენჭის უყრელად, ერთხმად არჩევა საზოგადოების საპ. წევრად. ჩვენ მოვითხოვეთ, წესდების სათანადო მუხლის ძალით, ყუთის დადგმა და კენჭისყრა.

ყაზბეგმა შეატყო, რომ საქმე ცუდად იყო, უკან დაიხია და საკითხი მოხსნა. ამნაირად განიცადა მან დიდი დამარცხება (წევრთა საზოგადო კრების ეს ოქმიც არ აღმოჩნდა ნ. კ. საზ. ფონდში).

1917 წ. თებერვლის რევოლიუციამ ჩვენი დაწყებითი სკოლებისათვის წამოაყენა ახალი სახელმძღვანელო წიგნების შედგენის საკითხი. ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა განახლებული სკოლის მოთხოვნილებას. ამიტომ აუცილებელი შეიქნა მათი საფუძვლიანი გადაკეთება. ამისათვის გამგეობამ დამავალა „დედა-ენის“ ორივე ნაწილის შესწორება-გადაკეთების საქმის ხელმძღვანელობა. სპეციალურმა კომისიამ, ჩემი თავმჯდომარეობით, 4-5 თვეში შეასრულა ეს დავალება. „დედა-ენიდან“ სრულიად ამოიფხვრა რელიგიური ელემენტები. ახალი მასალები ჩაერთო, ენა შესწორდა და სხვა. შესწორებული გამოცემა (ასი ათასი ცალი თითოეული ნაწილი) მიღებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ და იხმარებოდა სკოლებში 1921, 1922 წწ.

1920 წ. დაისვა საკითხი ქართული „მხედრული“ შრიფტის შესწორების შესახებ. გამგეობამ ამ საქმის ხელმძღვანელობაც მე დამაკისრა. 5-6 თვეს მუშაობდა ამ საკითხზე სპეციალური კომისია, ჩემი თავმჯდომარეობით. კომისიის დირექტივებს ტექნიკურად ამუშავებდა ამისათვის მოწვეული მხატვარი დ. შევარდნაძე. ეს შრიფტი დღეს ცნობილია შევარდნაძის სახელით და იმყოფება ჩამოსხმისა და ცდის პროცესში.

კომისიის მიერ დამუშავებული შრიფტის ნიმუში წარვადგინეთ განათლების მაშინდელ სამინისტროსთან არსებულ „სასკოლო კომიტეტში“ სახელმძღვანელო წიგნებისათვის მისაღებად. ამისათვის გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ არ მოიწონა შრიფტი და უარჰყო მისი ხმარება სასკოლო წიგნებისათვის. ნ. კ. საზოგადოებას თავი გავანებე 1921 წ. ივლისში, როცა სალიკვიდაციო გამგეობა იქნა არჩეული. ტფილისში არსებობდა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“. 1914 წლიდან ვიყავი ამ საზოგადოების მუდმივი წევრი და მონაწილეობას ვიღებდი მის მუშაობაში. 1917 წლ. მაისში ტფილისში დაარსდა განათლების მუშაკთა პროფ. კავშირი. თავიდანვე ვარ ამ კავშირის წევრი. 1918 წ. მაშინდელი მთავრობის განათლების სამინისტროსთან დაარსდა ე. წ. „სასკოლო კომიტეტი“, რომლის წევრი მეც ვიყავი. საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან ეს კომიტეტი უცვლელად განაგრძობდა მუშაობას „სამეცნიერო საბჭოს“ სახელწოდებით. აქაც ვმუშაობდი 1921 წ. ივლისამდე, როცა ამ საბჭოს რეორგანიზაცია მოხდა.

1921 წ. ივლისიდან მივლინებული ვიყავი განათლების სახალხო კომისარიატთან სამუშაოდ.

1917 წ. ვიყავი არჩეული „ტფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის“ გამგეობის წევრად. ეს კომიტეტი მუშაობდა 1917, 1918 და 1919 წწ. ამ ორგანიზაციაში ვხელმძღვანელობდი ტყავეულობა-ფეხსაცმელის და სარევიზიო განყოფილებას. ამ მუშაობაში აღსანიშნავია ის, რომ 18 კაპიტალისტმა (სომხებმა და თათრებმა) მიჩივლეს მაშინდელ სეიმში (ამ. კავკ.) მილიონერი გამბრიელიანცის მეთაურობით. ეს საჩივარი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მათ არ მიეცეოდა სპეკულიაციის საშუალება ტყავეულობაზე და სამართლიანი ნიხრი დავანესე. საჩივარი გათავდა, რასაკვირველია, მათ სანინააღმდეგოდ.

1917 წ. რევოლუციის შემდეგ ნაძალადევის (ახლა ლენინის რაიონის) მუშათა თეატრში რკინისგზის მთავარი სახელოსნოების, დამტვირთავ-გადამტვირთავ და სხვ. დარგის მუშებს ნაფუკითხე მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე 10 ლექცია. ეს მუშები ახლა კომ. პარტიის წევრები არიან, ჩემთან შეხვედრისას დღესაც მადლობით იხსენიებენ აღნიშნულ ლექციებს (გაზ. „Нов. Огон.“).

1918 წ. ვიყავი საქ. დემ. რესპ. „პარლამენტის“ წევრად. 1919 წ. არჩეული ვიყავი „დაფუძნებელი“ კრების წევრად. აქ ვმუშაობდი განათლების სახალხო ჯანმრთელობის და სარედაქციო კომისიებში.

1921 წელს ამხანაგებთან ერთად შევადგინე განახლებული საბჭოთა სკოლისთვის ქართული ენის სახელმძღვანელო წიგნები: „ჩვენი სკოლა“, ნაწ. 1, 2, 3, და „მეგობარი“. ეს სახელმძღვანელოები პირველი მაგალითია ჩვენში ფერადსურათებიანი (ექვსი ფერით) გამოცემის და, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარის დიდად გაუმჯობესობისა. ყველა წიგნი ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დაიბეჭდა. დასახელებული წიგნები „სამეცნიერო საბჭოს“ მიერ მონონებული იყო, III ნაწ. „ჩვენი სკოლა“ კი პრემია მისჯილი, რაც პირველი მაგალითი იყო ამ დარგში ჩვენში (ეს სახელმძღვანელოები გასინჯული და მონონებული იყო პირადად მამია ორახელაშვილის მიერ). ეგრეთ წოდებული კომპლექსური მეთოდის შემოღებამდე (ერთხანს შემდეგაც) ხსენებული წიგნები (1927 წლამდე) მეტოქობის გარეშე ემსახურებოდა საბჭოთა დაწყებით სკოლას (დაიბეჭდა ჩემი ხარჯით და „სახელგამის“ ფორმით, დ. №25, 26).

1922 წ. ვმუშაობდი ინფორმატორის თანამდებობაზე ახლად დაარსებულ სამხედრო კოოპერატივში („Евкоопуз“).

1923 წ. ამავე, ინფორმატორის, თანამდებობაზე ვმუშაობდი სასურსათო კომისარიატში, რომლის რწმუნებული იყო ალექსანდრე ერქომაიშვილი. ამასთან ერთად ამ ხანებში ვმუშაობდი საბავშვო ლიტერატურის დარგში, რასაც ახლაც განვაგრძობ.

1926 წ. გამოვეცი საბავშვო წიგნები – „ჩვენი მეგობარი“, 1, 2 და 3 ნაწილი. ეს გამოცემაც, როგორც ზემოხსენებული ჩემი სახელმძღვანელოები, ფერადი სურათებით (4 ფერით) არის დაბეჭდილი და დღემდის საბავშვო წიგნების გამოცემის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (ამ წიგნების პირველი გამოცემა მთლიანად შეიძინა ჩემგან „წერა-კითხვის“ საზოგადოებამ. ამიტომ იმავე 1921 წ. იგივე წიგნები მეორე გამოცემად დაიბეჭდა).

1927 წელს განათლების სახალხო კომისარმა დავით კანდელაკმა გამგზავნა „საქ. სამხატვრო აკადემიაში“ ქართული ლიტერატურის ლექტორად (ნახე ჟურნალი „ოქტომბრელი“, 1931 წ., №4, „ფუნქიკულიორი“ – ზღვისპირელი. მაქვს ნებადართული 5-6 რვეული და სხვა. თუ საჭიროა, თვით წიგნებს წარმოვადგენ). ეს სასწავლებელი 1930 წ. შეუერთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, როგორც ერთი ფაკულტეტი – „სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი“, ამ ფაკულტეტზე განვაგრძობდი ქართული ახალი ლიტერატურის კითხვას დოცენტის ხარისხით.

1931 წლიდან პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ დარგზე ვასწავლიდი რუსულ ენას. ამ ჟამად პედინსტიტუტის ქუთაისის გადასვლის შემდეგ, განვაგრძობ რუსული ენის სწავლებას ტფილისის სახ. უნი-

ვერსიტეტში. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის გამოყოფის და ტფილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების შემდეგ განვაგრძობ აქ ქართული ახალი ლიტერატურის კითხვას.

თუ როგორ აფასებს ჩემ მუშაობას სასწავლებლის გამგეობა, ეს ჩანს იქიდან, რომ სახვითი ხელოვნების ფაკულტეტმა 1931 წელს შუამდგომლობა აღძრა ჩემი კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროფესორობაზე. თუ როგორ მიყურებს სასწავლებლის ორგანიზაცია, როგორც საბჭოთა მოქალაქეს და პოლიტიკურ პიროვნებას, ეს ჩანს პოლიტ.-ბიუროს შეფასებიდან.

1931 წლიდან ვარ საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის წევრი.

ჩემი ნაწერებიდან დაბეჭდილია მხოლოდ შემდეგი წიგნები:

1. „პატარა მოთხრობა“ – მონაფეობის დროს დაწერილი, 1887 წ. და 1889 წ. გამოცემული. ამ ბროშურას პირველად სხვა სათაური („ოთხი საუბარი“) ჰქონდა. ცენზორმა ლ. ისარლიშვილმა იგი აკრძალა. შემდეგ სათაური შევუცვალე („პატარა მოთხრობა“) და ცენზორ რაფ. ერისთავს (მწერალს), რომელიც ისარლიშვილის დათხოვნის შემდეგ დანიშნეს, წარუდგინე. მან მოიწონა და ნება დართო.

2. „მუშათა საკითხი“ – რამესბერგის – თარგმანი 1900 წ.

3. „საბრალო კრიტიკოსი“ – 1901 წ.

4. „ჩვენი მეგობარი“ 1 – ნ. (საბავშვო მოთ. და ლექსები), 1926 წ.

5. „ჩვენი მეგობარი“ 2 – ნ. „–“, 1926 წ.

6. „ჩვენი მეგობარი“ 3 – ნ. „–“, 1926 წ.

7. „ლენინი და ლენინიზმი“ სტალინის – თარგმანი (1924 წ.)

8. ე. ნინოშვილის თხზულებათა“ პროვინციალური სიტყვების ახსნა-განმარტება (გლოსარი), რომელიც მოთავსებულია სახელგამის 1924 წლის გამოცემის 1 და 2 ტომში.

ეგვე ლექსიკონი შესწორებული სახით მოთავსებულია ე. ნინოშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის I და II ტომში, გამოცემა „ფედერაციის“ 1932 წ.

ეს ლექსიკონი 1932 წ. დეკემბერში განიხილა აკადემიკოსმა ნ. მარმა, შემდეგ, მისი დავალებით საკავშირო სამეცნიერო აკადემიის, ამ. კავკ. ფილიალის სპეციალურმა კომისიამ. როგორც აკადემიკოსმა მარმა, სპეციალისტთა კომისიამ შეაფასეს იგი სამეცნიერო ნაშრომად. ამჟამად მე ვარ „საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის“ წევრი (1931 წლიდან) და ამ ხანით ვმუშაობ აკადემიკოს მართან.

[1933–1938 წლები]

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1951 წლის 1 მაისს ერისთავი-ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1869 თვე თებერვლის დღე 3
	(ძველი თუ ახალი სტილი) გორში (თბილისის გუბერნია)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, რომანი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1886 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	–

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დავამთავრე გორის პროგიმნაზია
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„შრომის წითელი დროშის ორდენი“. მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“. დამსახურებული მწერალი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ერისთავ-ხოშტარას ქ. 8</p>

* — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
		<p>არსად არ უმუშავებია, გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა</p> <p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>		

ანასტასია გიორგის ასული ერისთავი-ხოშტარიას

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1868 წლის 3 თებერვალს ქ. გორში. ჩემი მშობლები გიორგი და ელისაბედ თავადაზნაურ წოდებისა იყვნენ, ენეოდნენ სოფლის მეურნეობას სოფ. მეჯვრისხევში, ქვემო ქართლში.

მე სკოლის ასაკამდე აღვიზარდე დეიდა ეკატერინესა და პაპა ზაალ ბაგრატიონი-დავითიშვილებთან (დედის მხრივ) სოფელ ფცაში, სადაც დავყავი 1897 წლამდე. მთელ ამ ხნის განმავლობაში ვასწავლიდი ადგილობრივ ლარიბ-გლეხის ბავშვებს და ამავე დროს ვწერდი. სწორედ იმ დროს დავწერე ყველა ჩემი საბავშვო მოთხრობები, რომლებიც იბეჭდებოდნენ: „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ – მოთხრობები: „ბატონებმა არ დაინუნეს“, „ლაზარემ გადააჭარბა“, „კერა“, „დედები“, „დარისპან თარაშვილი“, „კამისია“, და რომანი „მოლიპულ გზაზე“.

1897 წელს გავთხოვდი პოეტ დუტუ მეგრელზე (დიმიტრი ხოშტარიაზე) და მასთან ერთად ერევანს და შემდეგ ყარს-ოლთისის მხარეებისაკენ გავემგზავრე, სადაც მსახურობდა ჩემი მეუღლე – დუტუ მეგრელი. 1909 წელს შვილებით სამუდამოდ გადმოვსახლდით საქართველოში, ვცხოვრობდი ჯერ თბილისში, შემდეგ ქ. გორში.

1917 წ., როგორც იქნა, მოხერხდა დუტუ მეგრელის თბილისში გადმოყვანა, სადაც ჩვენი მთელი ოჯახი გადმოვიდით საცხოვრებლად, 1897 წლიდან დღემდე დავწერე რომანი „ბედის ტრიალი“, მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“, „მინა“, „უბედური მკურნალი“, „სიკვდილის აჩრდილი“, „განთიადი“, რომანი „სალი“.

ჩემი პირველი ნაწარმოები „ბესო“, გადმოკეთებული ლეგენდა მიჯაჭულ ამირანზე, დაიბეჭდა 1885 წ. საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“, მოთხრობა „დაუფინყარი სალამო“ 1887 წ. გაზეთ „ივერიაში“, 1893 წ. მოთხრობა „ბატონებმა არ დაინუნეს“ და ეტიუდი „მეტი ღონე არ არის“ ჟურნ. „კვალში“, 1896-97 წლებში მოთხრობა „ლაზარემ გადააჭარბა“ და რომანი „მოლიპულ გზაზე“ ჟურნალ „მოამბეში“. 1897 წელსვე ჟურნალ „მოამბის“ რედაქციამ გამოსცა ჩემი რომანი „მოლიპულ გზაზე“ ცალკე ნიგნად. 1931 წ. რომანი „ბედის ტრიალი“, მოთხრობა „ლაზარემ გადააჭარბა“ და „მოლიპულ გზაზე“ გამოვეცი ქალ. გორში ხელის მოწერით: „ბედისტრიალი“ და „ეკლესიის გარშემო“, გამოსცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

1924 წელს ჩემი სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავად იუბილე გამიმართა მთავრობამ და მომენიჭა დამსახურებული მწერლის სახელწოდება, აგრეთვე იმ ქუჩას, სადაც ვცხოვრობ, ეწოდა ჩემი სახელი; სახელგამმა გამოსცა მოთხრობათა კრებული სახელწოდებით „მინა“.

1934 წელს იგივე მოთხრობები მეორეჯერ გამოსცა სახელგამმა. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა რომანი „ბედის ტრიალი“ რუსულ ენაზე. 1938 წ. რომანი „ბედის ტრიალი“ და მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“ გამოსცა სახელგამმა. რომანი „მოლიპულ გზაზე“ გამოსცა გამომცემლობა „ფედერაცია“. რომანი „სალი“-ს პირველი ნაწილი იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ 1927 წელს.

1946 წელს გადახდილი იქნა ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავი იუბილე.

1946 წელს დაჯილდოვებული ვიქენი „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

დაჯილდოვებული ვარ მედლებით „მამაცური შრომისათვის“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

სწორია: ნ. კ., 1956.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

ჩემის ცხოვრებიდან

მე დავიბადე 1868 წ. თებერვლის 3-ს ქალაქ გორში. მამაჩემი გიორგი ერისთავი, რაკი პეტერბურგის კადეტების კორპუსში სწავლობდა, „რუსეთუმედ“ იყო ცნობილი. დედა ბაგრატიონ-დავითიშვილის ქალი ელისაბედი შინაურულად იყო აღზრდილი. იმათ მრავალ შვილებში მერვე მე ვიყავი, ისიც ტყუპისცალი, რომელიც ჯერ ლატაკთა ქოხში გავჩნდი გაბარებული, შემდეგ დედიჩემის მშობლებმა წამიყვანეს აღსაზრდელად თავიანთ სოფელში, სადაც გლეხის ქალები რიგრიგობით ძუძუს მაჭმევდნენ, სასიცოცხლოდ ჯანსა და ღონეს მინარჩუნებდნენ. დრო მიდიოდა, ვიზრდებოდი, გონებაში ვვარდებოდი, ნათლად ვარკვევდი, რასაც ეს ჩემი მკვებავი ხალხი დაებეჩავებინა. ჯერ კიდევ ბავშვმა გონებიდან ამოვიფხიკე ყოველნაირი წოდებრივი უპირატესობა და გადავწყვიტე, ამ ორი ქვეყნის შორის გავლებულ ხაზზე მდგომს, როგორც ჯამბაზს, ფრთხილად გადამედვა ნაბიჯი. დასკვნა ჩემგან გამოტანილ განაჩენისა მარწმუნებდა, რომ ნამდვილი სახიერება ადამიანისა ის იქნებოდა, ვინც ამ ორ ქვეყანაზე მალლა დადგებოდა. მეჯავრებოდა პირველი, როგორც თავგასული ბატონი, მებრალბებოდა მეორე, როგორც თავდახრილი მონა, რომელიც თავის ბედს მოთმინებით ურიგდებოდა. გადავწყვიტე, მე თვითონ მეშენებინა ჩემთვის სრულიად ახალი ქვეყანა, სადაც სათაყვანო ღვთაებად თავისუფალ ადამიანის პატიოსანი შრომა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ქვეყნის შენება მძიმე და ღორღით მოფენილ შარაზე მიხდებოდა, მაგრამ წმიდა რწმენის ზეგავლენით არ ვუშინდებოდი მაშინაც კი, როდესაც ბრძოლა მიხდებოდა თვით უახლოეს პირებთანაც. შეძლებული, განათლებული მამა, თან უუკიდურესი ლიბერალი, კეთილი, რომელიც მზად იყო უკანასკნელი პერანგი გაეხადა, გაჭირებულისთვის მიეცა, თან ამასთანავე უნებისყოფო, ფლანგია, ქალაღდის მოთამაშე და მუდამ ყელამდე ვალში ჩაფლული, უსწავლელი დედა, მრავალის შვილებით დატვირთული, უკვე მამაპაპიდან განმტკიცებულ ზნეწვეულებების მონა, ჩემ ახალ ქვეყნის მშენებლობისთვის არ გამოდგებოდნენ. მაგიერად პაპაჩემი ზაალ დავითიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე უფრო ახლო იდგნენ. ხასიათით მტკიცე, შეუპოვარი ზაალი გაჭირებაში ყოველთვის ხმლად და ფარად მემშველებოდა. ასეთივე იყო დიდედაც, მაგრამ მისი მორჩილი ნებისყოფა თავისადმი ნდობას მისუსტებდა და ისევ პაპასკენ ვინევდი. პაპაჩემი არ იყო ხარბი, ცხოვ-

რობდა ანგარიშინად და ზომიერად და რაკი გლეხებს ლმობიერად ეკიდებოდა, მეც ვსარგებლობდი შემთხვევებით და მისი ლმობიერება, რაც შეიძლებოდა, უფრო სასარგებლო ნაყოფს იძლეოდა. მაგალითად, ხშირად შუამავალად ვდგებოდი გლეხებსა და მის შორის, მტკიცედ ვიცავდი უკანასკნელების სურვილს, რომ, რაც შეიძლებოდა, სულ მცირე ფასში შეესყიდათ ესა თუ ის ნაფუზარი. – აბა, ჩემო ტასო, დატრიალდი შენებურად და პაპაშენთან მომიხერხე ჩემი ვენახის ნახევარის შესყიდვის ფასი ან მაპატიოს, ან შემიმცროს. მაშინ ნახე, რთველში რა ბუდეშურების აკიდოებით გაგიმსო კაბის კალთები! – მეტყოდა თვალჭრელა, წელში მოხრილი მოხუცი ზაქარა ხორგუაშვილი. მეც თავგამეტებით მივრბოდი პაპასკენ და, სანამ მისგან გადაჭრილ პასუხს არ მივიღებდი, არ მოვეშვებოდი, კისერზე ვებვოდი და კატასავით შევკრუტუნებდი. როდესაც ჩამოვირბენდი ჩვენი სახლის კიბეზე, დავინახავდი ზაქარას, განგებ იქვე ტორღილებდა და თვალეში შემომყურებდა, თითქო უნდოდა, წინდანინ ამოეკითხა, თუ როგორის პასუხით მივრბოდი მისკენ. – ზაქარო, ჩემო ზაქარ, ვენახის ნახევარი სრულებით შენია, შენია... ერთ კაპეიკსაც არ გადაიხდი, გესმიის?... – ვუყვიროდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, თან სირბილისგან აქოშინებულს სული ყელში მანვებოდა. თუ ზაქარო იმ დროს ბედნიერი იყო, მაზე უფრო ბედნიერი მე ვიყავი, რადგან ვგრძნობდი, სასარგებლო საქმეს ვაკეთებდი. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. ზაქარას მოსდევდა პავლე, სტეფანე, ქიტესა... მაგრამ ყველა ეს წვეთი იყო ზღვაში ჩავარდნილი, მაგრამ ეს წვეთიც მახარებდა, როგორც უდაბნოში მოხეტიალე მწირს.

ცამეტი წლისა ვიყავი, როდესაც პაპამ გორის პროგიმნაზიაში მიმაბარა. ჩემდა საბედნიეროდ, იქ ქართული ენის მასწავლებლად დამხვდა ცნობილი რევოლიუციონერ-ხალხოსანი – მიხეილ ყიფიანი, რომელმაც ჩემი ბუნდოვანი მისწრაფებანი დღის სიცხადეში გამოიტანა და მაგარის უროთი ჩამკვრივა. მეც, რაკი ჩემ მოხუცებულებისგან ქართულში კარგად ვიყავი განაფული, მიხეილის წინაშე თავი ქუდში მქონდა და მიხეილსაც ვუყვარდი. სამწუხაროდ, მიხეილმა ჩვენ სასწავლებელში მარტო ექვსი თვე დაჰყო, რადგან ციმბირში გაგზავნეს. მის მაგიერ წლისთავზე მოვიდა ჩვენი საყვარელი პედაგოგ-ბელეტრისტი – ნიკო ლომოური და ოთხი წელიწადიც მასთან ვსწავლობდი.

ამ ორმა ადამიანმა რკინის ფრთები შეასხეს ჩემს გარდანყვეტილებას, უსათუოდ ქვეყნის სამსახურისთვის თავი შემენირა. პროგიმნაზიაში ყოფნის დროსვე გადმოვაკეთე რუსულიდან ლეგენდა მიჯაჭვულ ამირანზე – „ბესო“, რომელიც 1885 წელს დაიბეჭდა საყმანვილო ჟურნალ „ნობათში“. 1886 წ. გავათავე პროგიმნაზია, მაგრამ სწავლის გაგრძობა ველარ მომიხდა. დაბრმავდა პაპაჩემი, დიდებაც დაკუთდა და, რაკი მათი ყურის მგდებელი ჩემს გარდა არავინ ჩანდა, თუმცა შვილიც ჰყავდათ, ექვსი შვილიშვილიც და, რაკი თვითონ მეც თავს მოვალედა ვგრძნობდი მოხუცებულებისთვის სამაგიერო გადამეხადა, მათთან სოფელში დავრჩი. თორმეტი წლის განმავლობაში სოფელ ფცაში გამომწყვდეული ვიყავი ორ მოხუცებულებთან. ორი სამი კომლი მეზობელი, სამოც კომლამდე შემდგარი სოფელი ჩემი გონების და თვალთახედვის სავარჯიშო ასპარეზი იყო, მაგრამ არც მაშინ დამიყრია ბრძოლის იარაღი. ჯერ შევეუდექი ჩემი თავის შესწავლას, ვარკვევდი, რისი უნარი მქონდა, რომ

შეუმცდარად მიმეგდო მისკენ ჩემი ძალღონე, რომ ამ შრომის შედეგათ დარჩენილიყო სასარგებლო სალი ხვაი და არა ტყუილი როდინში წყალის ნაყვა. ამ მიზნის მისაღწევად ჩავუჯექი წიგნების კითხვას, ხალხის ცხოვრების შესწავლას, თავი მოვუყარე სოფლის ბავშვებს სასწავლებლად და დღეებსაც ასე ვლევდი. გარდა ამისა, რაკი თანამოაზროვნეებთან პირისპირ შეხვედრას მოკლებული ვიყავი, დავინყე გულში ნადების ქალაღდის ფურცლებზე ნელნელა შლა, ეგებ, როგორმე სტამბადის მიმენვდინა და ეს სურვილიც ამისრულდა.

ჩვენ სოფელში ხშირად დადიოდა დიდებული მგოსანი აკაკი ნერეთელი და, რომ მისი სიარული სოფლისთვის უმნიშვნელოდ არ დარჩენილიყო, თავი მოვუყარე ჩემ შეგირდებს, ათი-თორმეტი ბავშვი წყვილებად დავამწკრიე (მეტის აყვანის უფლება არა მქონდა მასწავლებლობის მონმობის უქონლობის გამო) და ნავიყვანე აკაკისთან, ქალები გამონყობილნი ყავისფერ კაბებში, ბიჭები ხალათებში. აკაკის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ბავშვები დინჯად და შეუმლელად უგებდნენ პასუხს ყოველ საკითხებზე და მღეროდნენ მის უკვდავ ლექსებს, თან მონინებით შეჰყურებდნენ საამაყო მგოსანს. აკაკიმ მადლობა გადამიხადა ასეთის შრომისთვის და, როდესაც ჩემი ნაწერებიც წაიკითხა, დაჰკრა თავისი უტყუარი ბეჭედი და თვითონვე ითავა მათი ჟურნალ-გაზეთებში გაშვება. მართლათაც, არ გასულა მას აქეთ დიდი ხანი, რომ „ბატონებმა არ დაინუნეს“, მის დახმარებით „კვალში“ დაიბეჭდა. მიხეილ ყიფიანი, ნიკო ლომოური, აკაკი და შემდეგ გიორგი ნერეთელი, რომელმაც „კვალის“ რედაქციის კარები ფართედ გამიღო და მითხრა: – გჯეროდეთ ჩემგან, „კვალის“ რედაქცია თქვენი საკუთარი სახლიაო, და მეც ხანდისხან, როდესაც, მთის ნადირივით, სოფლიდან ქალაქში ჩამოვარდნილი სიამოვნებით ვესტუმრებოდი ხოლმე ამ „საკუთარ სახლს“, სადაც გულღიად მხვდებოდნენ გიორგი და ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთლისა, მათის მხურვალე თანაგრძნობით გამხნეებული, უფრო ხალისიანად ვწერდი 1895–1897 წლებში. ამ დროს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ მოთხრობა „ლაზარემ გადააქარბა“ და რომანი „მოლიპულ გზაზე“, რომელმაც მკითხველ საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

1896 წ. მოხუცებულები დაიხოცნენ, 1897 წ. გავთხოვდი დუტუ მეგრელზე. არც ქმარ-შვილის მძიმე ტვირთის მოკიდებამ დამაგდებინა კალამი ძირს და გათხოვების შემდეგ დავწერე: „კერა“, „ბედის ტრიალი“, „ეკლესიის გარშემო“, „მინა“ და სხვები. ცალკე წიგნებად გამოსულ ნაწარმოებთა გარდა კიდევ გაბნეულები არიან წვრილი ნაწარმოებნი, როგორც „ივერიაში“ და „კვალში“, ისე საყმანვილო ჟურნალების: „ნაკადულსა“ და „ნობათის“ ნომრებში: „პატარა ნუცას სათხოვარი“, „ნებიერი“, „ბესო“, „უებარი მკურნალი“, „ფელამუში“, „ლუკმა პურისთვის“, „ციციო“, „ბარონის ასული“, „დაუფინყარი საღამო“, „მეტი ღონე არ არის“ და „სიკვდილის აჩრდილი“.

გათხოვების პირველ დღეებიდანვე მომიხდა წიალი ყარსის ოლქსა, ერევნის გუბერნიასა და აზარბეიჯანის მინა-წყალზე, რაკი დუტუ მეგრელი ამ ადგილებში მსახურობდა, მაგრამ მერე, როდესაც ბავშვები წამოგვეზარდნენ, გადავწყვიტეთ მათი საქართველოში აღზრდა და წამოვედი იქიდან წვრილის შვილებით. ჯერ თბილისში ვცხოვრობდი, შემდეგ ქ. გორში, სადაც ისევ შევხვდი უკვე მხცოვან ძვირფას მასწავლებელს – ნიკო ლომოურს და შვილები

იქაურ სასწავლებელში მივაბარეთ. 1913-ს წელს დავაარსე ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომლის მიზანი იყო გაჭირებულ ქალის, განურჩევლად ეროვნებისა, დახმარება, როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერად. ამ საზოგადოებამ შეგვკავშირა მთელი გორის მაზრის ქალები. პურის მცხოვრელი ლატაკი დედაკაცი და თვით ბობოლა კნენინა უფლებით გათანასწორებულები ვიყავით და დიდის ხალისით ვშრომობდით. გვყავდა სამასზე მეტი წევრი. „მანდილოსნის“ მოქმედებას შეადგენდა მოწყობა განმანათლებელ ხასიათის დაწესებულებებისა: სკოლების, საბავშვო ბალების, წიგნთსაცავების, სამკითხველოების, წიგნების გამოცემის და სხვა. უნდა გაემართა ლექციები, რეფერატები, საზოგადო კითხვები; გაჭირებულებისთვის ეძლია ფულით შემწეობა, გაეხსნა სხვა და სხვა სახელოსნოები, დაეფუძნა არტელები, საურთიერთო დამხმარე კასები, თავშესაფარები, საავადმყოფოები და სხვა. დასახულ მიზნის მისაღწევად მანდილოსანს უნდა გაეხსნა მალაზიები, ფერმები, საკანდიტროები, ყავახანები, სასტუმროები, სხვა და სხვა სანოვაგის საწყობები და სხვა... უნდა გაემართა წარმოდგენები, კონცერტები, საღამოები, ბაზრები და სეირნობა; ხელი მიეყო მეფუტკრეობისთვის, მეაბრეშუმეობისთვის, ფრინველის მოშენებისთვის, მებოსტნეობისთვის და საზოგადოდ ყოველგვარ მეურნეობისთვის. შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება და, თუ საჭიროება მოითხოვდა, გაეცა იჯარით. „მანდილოსანი“ მოქმედებას იწყებდა ჯერ ქალაქ გორში, შემდეგ გაეხსნა განყოფილებანი გორის მაზრაში ყველგან, სადაც საჭიროდ დაინახავდა. ერთი წლის განმავლობაში უკვე გვექონდა უფასო სკოლა ქუჩაში დარჩენილ ლატაკთა შვილებისთვის, რომელთა რიცხვი ოთხმოცამდე აღწევდა, საკვირაო სკოლა დიდებისთვის, ქალთა თავშესაფარი... ყველა ამის საარსებოთ გაეხსენით საკანდიტრო, სასადილო, ვმართავდით წარმოდგენებს, გვექონდა განყოფილებები სურამში, მეჯვრისხევში და სხვა... ამ დროს გაჩაღდა ომი რუსეთსა და გერმანიას შორის, ამ ომს მოჰყვა რევოლუცია და ჩვენი საზოგადოებაც დაზარალდა. რაკი შიმშილობა ჩამოვარდა, სურსათ-სანოვაგის მოწოდება გაჭირდა. 1917 წ. დუტუ მეგრელი გადმოიყვანეს ერევნიდან თბილისში და 1918 წლიდან მეც შვილებით აქ გადმოვედი. 1921 წ. დამკვიდრდა საბჭოთა მთავრობა და 1924 წ. 9 მარტს სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭოს გამგეობამ, მთავრობის სურვილთან შეთანხმებით, გამიმართა იუბილური ოცდათხუთმეტი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. სახელგამმა საიუბილეოდ გამოსცა მთელი კრებული ჩემის ნაწარმოებისა სახელწოდებით: „მინა“. მთავრობამ მომანიჭა დამსახურებულ მწერლის სახელი და იმ ქუჩას, რომელზედაც ვცხოვრობთ, უწოდა ჩემი სახელი. შემდეგშიაც სახელგამმა 1925 წ. გამოსცა რომანი „მოლიპულ გზაზე“, ჟურნალ „მნათობში“ დამიბეჭდა ახალი რომანის „სალის“ პირველი ტომი. ასეთის თანაგრძნობით გულგამთბარი დღესაც განვავგრძობ შრომას, რამდენადაც მოქანცულობა და ხანდაზმულობა ნებას მაძლევს.

ანასტასია ერისთავ-ხომტარია
1930 წ. 8-ს ივნისს

დავით გაბრუაშვილი – ვეძელი

ჩემი ბიოგრაფიული ცნობა

მე დავიბადე სოფ. თოხლიაურს (გარე კახეთში), 1869 წელს, 9 აპრილს. მამა ხელმოკლე საბატონო გლეხი იყო. დედა მე არ მასსოვს, მამაც 1877 წელს გარდამეცვალა. ობლად შთენილი, ჩემ გათხოვილ დამ სოფელ მანავში თავის მეზობელთან მოჯამაგირეთ დამაყენა. ამან ლამის მეხრედ გუთანზე გამგზავნა. შემოდგომის სუსხიანი ღამეები იყო. ჩემს ტიტველა სხეულს მწარედ ემუქრებოდა, მაგრამ მის იერიშებს კამეჩის თბილი ზურგით ვიგერიებდი და მასზედ განოლით ხან ერთ მხარეს ვითბობდი და ხან მეორეს.

1878 წელს, გაზაფხულზე ყარაიაში დიდი ძალი კალია გაჩნდა. მოსავალს განადგურებით ემუქრებოდა. მეფის მთავრობამ მის გასამუსრავად ყველა სოფლებიდან ქუდზე კაცი გამოიხმო, აქაც მე გამგზავნა, მსურვალე დღეები იყო. დახოცილ კალიების ცუდი სუნი ჰაერსა სწამლავდა. მე ავად გავხდი და ხალხი ვიდრე შინ დაბრუნდებოდნენ, ბინაზე ვინეყ.

კალიამ მალე ფრთები შეისხა და დასავლეთით გაფრინდა. ეს ისე მრავალი იყო, რომ მსურვალე მზით ოქროს ფრად დაფერილი დედამინა დაბნელდა, დღე ღამეთ იქცა. ხალხი ისევ თავის სოფლებში დაბრუნდა.

ჩემ დას ჩემი მისვლა ძალიან გაეხარდა, რადგან ტფილისიდან ბიძაჩემი ჩამოსულიყო და იმისათვის ეთხოვნა, რომ მეც თბილისში წავეყვანე, რაც ეს თხოვნა შეასრულა და მალე ერთად წამოვედით.

ეს იყო, დედა ჩემის ძმა სოფ. ჩაილურიდამ, საბატონო გლეხი, საბა დურიშვილი. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ბატონის მძიმე იერიშებს ვეღარ შეუძლო და თავის მცირე წლოვანი დებით თბილისს შეაფარა თავი და ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა.

მე ამასთან სამი წელიწადი დავრჩი, მაგრამ ჩემს წერა-კითხვის სწავლაზე ან ხელობაზე აღზრდას არა ფიქრობდა. სხვების შთაგონებით მე დეიდაჩემთან გავრბივარ, სადაც მალე ცოტა წერა-კითხვას ვსწავლობ და სამი წლით დალაქთან ხელობაზე შაგირდათ მაყენებს. ეს ძალიან მოუხეშავი კაცი იყო, ხელში წიგნის აღებას არ მიშვებს, მაგრამ ისე მონყურებული ვიყავ სწავლაზე, რომ წიგნების კითხვას მაინც ვახერხებდი.

1885 წელს გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში შეველ და ვსთხოვე, რომ კარგი წასაკითხი წიგნი მოეცა და მანეთიანი გადავანოდე. ბევრი ხალხი იყო ერთი იმათგანი შემეკითხა:

- პატარავ! ძალიან გიყვარს კითხვა?
- დიალ. – მივუგე მე.
- რა და რა წიგნები წაგიკითხავს?
- ყარამნიანი, ვისრამიანი, ბარამიანი, ალექსიანი, ალღუზიანი, შვიდ ვეზირიანი. – სხაპასხუპით მივაყოლე.

მერე ჩარკვიანს გადახედა და მოწყენით წამოიძახა:

– ჩვენ მეტი წიგნებიც არ მოგვეპოება.

ჩარკვიანს გაეცინა და სიხარულით წამოიძახა:

– ეხლა არა გვიშავსრა. ათი თუმნისა სხვა და სხვა სახელწოდების წიგნები მოგვეპოება.

ბოლოს ჩემმა მობაასემ ერთი ბარათი მომცა და მითხრა: „ამ ბარათით ქართულ თეატრში მიკითხე და წიგნსაც მოგცემ და თეატრის ბილეთსაც“.

ეს აღმოჩნდა სულმნათი ალექსანდრე ყაზბეგი და მისი მოცემული წიგნი დღესაც ჩემთან ინახება.

1886 წელს, 6 იანვარს პარიკმახერთან გადაველ. აქ უფრო კარგად დავენაფე თვით განვითარების გზას და მალე ლექსების წერვაც დავიწყე. მხოლოდ სადაც პირველად თვალი გავახილე და აღვიზარდე, მისი ნახვაც გულს ძალიან ეწყურებოდა. აი, მომეცა საშუალება და ცოტა ხნით სოფელში წაველ. მაგრამ სად არის მამაჩემის ყოფილი სახლი?! – ვეკითხები ჩემს თავს და გოცემებით აქეთ-იქით ვიყურები, მინდა, ვკითხო ვისმე, მაგრამ არავინ მოსჩანს. შემდეგში ასე გამოირკვა: ჩემი თბილისში წასვლის შემდეგ ჩემს ბატონს სახლიც გაეყიდა, სასახლე ალაგი და ვენახიც. ფული თვითონ მიეთვისებინა. ამაზე გულში ნალველ ჩანვეთებული მებატონეს საქმის გამოსარკვევად ვეახელ და შხამიანი პასუხებით მხვდება: „შენც ჩემი ხარ და შენი მამულიც“.

დავბრუნდი თბილისში და საჩივარი საგლეხო პრისუსტვიაში შევიტანე. საქმე ალაგობრივ გამოსაძიებლად მიროვიპოსრედნიკს – სიმონ ანდრონიკაშვილს გადასცეს. ეს იყო ჩემი მებატონის ნათესავი და საქმის დაგვიანებით ძალიან ცდილობდა, რომ ჩივილი მომბეზრებოდა და თავი გამენებებინა, მაგრამ სადაც ჩემი მშობლების ოფლი და ცრემლი იღვრებოდა, არ ვლაღობდი და მასზე საჩივრებს ვგზავნიდი, რადგან უწყებას მიგზავნიდა, მე მივდიოდი და საქმის გასარჩევად თითონ არ მოდიოდა. ასე მომიგროვდა ხელში რვა უწყება.

1889 წელს სასახლის ქუჩაზე ბერლიმონთან გადაველ. ეს იყო თბილისში განთქმული საპარიკმახერო. რაც დიდრონი ხალხი იყო, სულ აქ დადიოდნენ. აქ ჩემი ნამუშავით ბევრ დიდრონ პირს თავი შევყავარე, მათ შორის თვით გუბერნატორ შერვაშიძეს და მეფის მოადგილე შერემეტოვს. ამათ ჩემზე დიდი მფარველობა გამოიჩინეს და ანდრონიკაშვილს წინადადებას აძლევდნენ, რომ საქმე მალე დებოლოვებინა.

1890 წელს, 20 თებერვლისათვის უწყება მომდის. მე მივდივარ, მაგრამ ის კიდევ არ მოდის. მე გადავწყვიტე, მასთან მე თვითონ წავიდე, მივდივარ კითხვით, ყველას თავს ვაბეზრებ და როგორც იყო, გურჯაანში ვიპოვნე.

ვსთხოვე, რომ ჩემი საქმე მალე გეერჩია, რადგან საქმის ასე გაჭიანურება მე დიდ ზარალს მაცენებდა და ამ ჩემ სამართლიან თხოვნაზე ის მწარე სიტყვებით მიპასუხებს:

– შენი თხოვნებით საგლეხო პრისუსტვიას რა თავს აბეზრებ?! განა შენი საქმის მეტი სხვა საქმე არა მაქვს? როცა მოვიცლი, შენს საქმეს მაშინ გავარჩევ.

ამ პასუხებზე ძალიან დავლონდი, რადგანაც საქმის დასასრულს ბოლო არ უჩანდა. მე ვსთხოვე:

– რადგან თქვენ დრო ხელს არ გინყობთ, გთხოვთ, საქმე უკან დააბრუნოთ, რომ გასარჩევად სხვას გარდასცენ. ეს ძალიან იუკადრისა და მკვახედ შემომიღრიალა:

– შენ, რადგან ეგრე თავს მაბეზრებ, თუ შენი საქმე გავარჩიო, მე კაცი არ ვიყო.

ამაზე ცეცხლივით ანთებული თვალები ზედ შევანათე, მრისხანებით ვუპასუხე:

– მერე, მიცნობთ თქვენ, მე ვინა ვარ?

– გიცნობთ, ერთი ვილაცა გლახი. – ეს სიტყვები ისეთი ზიზლით წამოიძახა, რომ გულში ლახვარივით მომხვდა. ამაზე ვიძერ ლევერველი და შიგ გულში დავუმიზნე და შევეუძახე:

– მე შენს თავადობას არა გსთხვოვ, შენი ტიტულები ჯიბეში შეინახე. გეყოფა გლახობის სისხლის წოვა. – ვლანძღე: ცოლი, დედა, ღმერთი და რჯული არ შევარჩინე. ის ქანდაკებასავით უსიტყვოდ იდგა, ამან ჩემს თავს შეკავებაზედ ძალიან იმოქმედა და აღარ ვესროლე, მხოლოდ ერთი თვე ვადა მივეცი, რომ საქმე გაეთავებინა, თორემ მერე უარეს დღეს დავანევდი.

თბილისში ჩამოველ თუ არა, გუბერნატორმა სახლში თავის გასაკრეჭად დამიბარა. ამით ვისარგებლე და ეს მომხდარი ამბავი მოვახსენე, ამით მე ზურგი გავიმაგრე, რადგან ვიცოდი, მისი დანოსებით დატყვევებას ვერ ავცდებოდი.

აი, აქედამ ჩამწვდა მებატონებზედ შხამ-გესლის მწარე წვეთები, რადგან მუშა ხალხის ტანჯვა-წამებით ვერ ძლებოდენ. მათ ამ უტაკტიკო ბრძოლას მეც ბრძოლით ვხვდებოდი და ვწერდი მათ საწინააღმდეგო ლექსებს (იხილე „ჩემი ქნარი“, კაეშანი, მე-9-ე გვ.), პოემებს.

1893 წელს სამი მომუშავე (ხუთნი ვმუშაობდით) ბერლიმონს გავეფიცეთ და გვერდქე გავუღეთ, რითაც მას დიდი ზარალი მივეცით, რადგან ჩვენი მუშტრები სულ ჩვენთან წამოვიდნენ, მაგრამ ამხანაგურად ხელი ვერ შემიწყვეს და მე ბულვარზე საკუთრად მოვეწყვე 1894 წელს.

აი, ეხლა უფრო მეტი საშუალება მომეცა, რომ მეტი ენერგიით მემუშავნა კალამზე. 1897 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ჩემი პირველი წერილი, რომელიც ჩვენ – ხელოსანთა საჭირ-ბოროტო საკითხს შეეხებოდა. 1901 წელს დაიბეჭდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი. 1905 წელს დაიბეჭდა ჩემი დრამატიული პოემა და სხვა პოემები და ლექსები „ბრძოლა არსებობისთვის“, სადაც ფაქტიურად ვამხელ მებატონეთა სიავეს. ეს დრამატიული პოემა მუშა ხალხის საყვარელ პიესად გახდა და სცენაზედ მალ-მალ იდგმებოდა.

აი, ამ წიგნის გამოთ მებატონებმა ჩემზე როგორ გამოილაშქრეს: ღამის თერთმეტი საათია. გაღმიდამ სახლში მივეჩქარები. ხიდზე ილიკო ანდრონიკაშვილი თავის მეგობრებით მხვდება და მრისხანეთ მიღრიალებს:

– შე მამაძაღლო, ეგ რა დაგინერია? შენ ხომ არ გინდა, მტკვარში გადაგისროლო. ფეხებში ხელი მტაცა და ვინ იცის, რით გათავდებოდა, რომ ერთ მის ამხანაგს ხელი არ შეეშალა.

– ილიკო! ეს ჩვენია, ნყალში გადასაგდები კაცი არ არის. ამ გამომხაურებით ხელი გამიშო და მას მიაჩერდა. ამ დროს ცარიელ ფაიტონმა გამოირბინა. შიგ შევხტი და აკანკალებულმა და ფერ წასულმა სახლისაკენ გავექანე.

შეშინებული მეორე დღეს სახელოსნოში გვიან მივდივარ, რადგან თავ დაცემისა მეშინოდა. სახელოსნოში შეველ თუ არა, თავშიშველა ისევ კარებისაკენ მივბრუნდი და აქეთ-იქით ცქერა დავიწყე. ჩემ შორიახლო ვანო ზედგინიძემ ფაიტონი შეაყურა და ჩემსკენ გამოექანა. მოსვლის უმალ მთხოვს:

– დათიკო! ცოტა ხანს ჩემთან წამოდი. – მე უარი უთხარი და ათასი რამ

მოვიგონე, რომ თავიდან ავცდენოდი, მაგრამ იმასთან არაფერი არ გასჭრა და კატეგორიულად ასე მითხრა:

– მე მინდოდა, რომ შენი ნებით წამოსულიყავ, თორემ ძალით ისედაც წავიყვან. – ამიყვანა ხელში და თავშიშველა ფაიტონში ჩამსო, თითონაც გვერძე მომიჯდა და ფაიტონი ხიდისკენ გააქანა.

ეს იყო მსხვილი და ჯან-ლონით სავსე ვაშკაცი, მეგონა, ხიდიდან წყალში გადამისროდა და ამით გაათავებდა ჩემ სიცოცხლეს. ათასი ფიქრები თავში მიტრიალებდა, სახლში დაბრუნების იმედი აღარა მქონდა. ვფიქრობ, დავიყვირო, თავ მოყვარეობა ნებას არ მაძლევს, ისევ ბედს მივენდე. ხიდი მშვიდობით გავიარეთ. ფაიტონი პლენანოვის გამზირზე მიქრის. გულში ელვასავით გამკრა: ალბათ ანდრონიკაშვილის გამოგზავნილი იქნება და იმასთან მივყევარ. ვიცი, თუ იმის ხელში ჩავვარდები, რა ბედიც მომელის. ფაიტონში ისე ვსხედვართ, თითქოს ერთმანეთის დიდი ხნის მწყრალები ვყოფილიყვნეთ. ის თავისთვის ფიქრობს და მე ჩემთვის.

ფაიტონი ნოეოტელოს წინ გაჩერდა. გადავედით. მე ფეხები უკან მრჩება, რადგან ჩემი მტრები აქ მეგულებიან. დარბაზში შევდივართ. მე შეშინებული თვლებით აქეთ-იქით ვიციქრები, მაგრამ ჩვენ ორის მეტი არავინ მოსჩანს. შეკვეთის შემდეგ სუფრა ხელად გაშალეს. ჩვენ დავსხედით და პირველად ჩემ სადღეგრძელოს სვამს და ამბობს:

– მე შენ აქამდინ ისე გიცნობდი, როგორც კარგ ხელოსანს, და დღეს კი როგორც მწერალს. წამოდგა და შუბლზე მაკოცა. ეს როგორ უნდა ავხსნად?! ამას ჩემი პატივის-ცემა უნდოდა თუ სულიერად დასჯა? რასაკვირველია, სულიერი დასჯა, თორემ ამოდენა მანძილზე ერთხელ ტკბილ სიტყვას მაინც გამაგონებდა.

1904 და 5 წელს თუმცა გაძლიერებული ჩხრეკა იყო, ფურცლების გაპარებას მაინც ვახერხებდი და გარე კახეთის სოფლებში ვავრცელებდი. ფურცლებში დასაბეჭდათ სარეგოლუციო ლექსებსაც ვაწვდიდი.

აი, ერთი ნიმუში, რომელიც 1904 წელს იყო გადაცემული:

მუშავ, მუშავ, გაიღვიძე, გაახილე თვალი,
დრო მოითხოვს, მოიხადო შენი მტკიცე ვალი,
თორემ მეფის შავ რეჟიმზე, ფრთა ესხმება ყველას
ჩვენკი მწარედ ცეცხლში ვინვით, ვერვისა ვსთხოვთ შველას!
მდიდრები და ბურჟუები შეთქმულია ჩვენზე,
მეფეც რისხვით შემოგვცქერის, გადმომდგარა სერზე,
ჩვენი სისხლით ვერ ძლებიან, სურთ, გვაქციონ მონად!
ჩვენც ვეცადნეთ, რომ დავუსვად ეს მათ თავის წონად.
მუშავ, მუშავ, გაიღვიძე, გაახილე თვალი,
დრო მოითხოვს, მოიხადო შენი მტკიცე ვალი,
ხმა სიმედგრით აიმაღლე, მხარს დაგიჭერთ ყველა!
დაჰკა ფეხი, გადათელე, როგორც ჭიაყელა!

ამავე წლებში სოფელ თოხლიაურის მონინავე მიწის მუშებთან მჭიდრო კავშირი მქონდა, სადაც მუშა ხალხის მოძრაობის ნიადაგზე ყველა საჭირო-

როტო საკითხები სწყდებოდა და რეაქციის გამარჯვების შემდეგ წერილს ვღებულობ, სადაც მეკითხებიან: „დათიკო, ნუთუ ჩვენი გამარჯვების იმედი ქრება?!“ მე პასუხი ლექსად მივწერე (იხილე „ჩემი ქნარი“, „წერილი სოფლის მუშას“, მე-10 გვერდი).

1905 წელს პაგრომის დროს ყაზახებმა სახელოსნო მიმიღენეს (იხილეთ „ვაზრაჟდენიე“ ოქტომბრისა). ქონებრივად დაქვეითებული და ნერვებ მოშლილი სახელოსნოს ველარ ვუძღვები და ვკეტამ, შემდეგ ვხსნით „არტელს“ პირველ კავკასიურ პარიკმახერებისას, საიდანაც 1911 წელს ყარსის გარნიზონის საკრებულოში გამიწვიეს და 1916 წელს ისევ თბილისში ვბრუნდები, სადაც ცოტა დასვენების შემდეგ იუნკერთა სასწავლებლის საპარიკმახეროში გადავდივარ. 1921 წელს, 25 თებერვალს, მუშათა გამარჯვების ისტორიულ დღეს, გადავდივარ მე-11-ტე წითელ არმიაში. 1926 წელს სურამში ლაგირის დროს თაფლით მიძიმეთ მოვიწამლე, საიდანაც ავადმყოფობით დაძაბუნებული სტრახკასამ პენსიაზე ამიყვანა.

დავით გაბრუაშვილი
[1932 წელი]

ალექსანდრე მიქაბერიძე

სახკომსაბჭოსთან არსებულ საპენსიო კომისიის თავმჯდომარეს

სამი წელიწადია, რაც გულის სიგანივრით და რევმატიზმით ვარ დაავადებული, ჩემი პენსია 200 მანეთი საცხოვრებლად და სანამლებლად არ მყოფნის.

ამიტომ, თუ შესაძლებლად დაინახავთ, გთხოვთ, გამიდილოთ პენსია, რაიცა შესაძლებლობას მომცემს, კიდევაც ვინამლო.

თქვენდამი საყურადღებოდ მოგახსენებთ შემდეგს:

1. 1905 წელს, შეიარაღებული გამოსვლების სამზადისის ხანებში, ამხ. სტალინი, იმ დროს გამეფებულ შავი რეაქციის დროს, ჩემ საკუთარ ბინაზე იმალებოდა რამდენიმე ხნის განმავლობაში. ჩემი ვრცელი მოგონება ამ ამბის შესახებ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა მოიწონა და დასაბუთებლად ამზადებს.

2. მონაწილეობას ვიღებდი ცნობილ „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ წესდების შედგენაში ვარშავის ყოფილ სტუდენტებთან ერთად, რის გამო საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ, 1917 წლამდე, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი და სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლება არ მქონდა. ცნობები ამ საქმის შესახებ ჩემ ფოტოგრაფიულ სურათთან ერთად დაცულია საქართველოს მუზეუმში.

3. 35 წლის განმავლობაში სკოლებსა და განათლების სახალხო კომისარიატში მოზარდი ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეს დაუღალავად ვემსახურებოდი და ჩემი შესაძლისი წვლილი შემქონდა იმ სალაროში, რომელსაც ჩვენი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ეძახიან.

4. 35 წლის განმავლობაში ვენეოდი სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობას. მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი ჩვენში არსებულ ყველა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებში. ვათავსებდი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პედაგოგიური ხასიათის წერილებს, რომლებიც დღესაც ინტერესს მოკლებული არაა. შევადგინე ოთხი, დიდად მოზრდილი ტანის, წიგნი: „ტროადის ომი“, „ოდისეა“, ოვიდიუსის „რჩეული მეტამორფოზები“ და „ანტიური მითები“, რომლებიც დიდ სამსახურს გაუწევინ ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას ძველი საბერძნეთის კულტურის შესწავლის დროს. „ტროადის ომი“ და „მეტამორფოზები“ სახელგამის მიერ უკვე გამოცემულია და „ოდისეი“ და „ანტიური მითები“ მიღებულია და უეჭველია, მოკლე ხანში გამოიცემა.

პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე

ქ. ტფილისი

10 ივლისი, 1936 წ.

ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმს

1928 წლის პირველ ოქტომბერს შესრულდა 35 წელიწადი, რაც სამოღვაწო ასპარეზზე გამოვიდა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე.

ალექსანდრე მიქაბერიძე დაიბადა 1869 წელს ქუთაისის მაზრის სოფ.

ყუმისთავში. განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიასა და ვარშავის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1893 წელს.

აქედან მოყოლებული დღემდე ალექსანდრე დაუცხრომელ მუშაობას ეწევა განათლების ასპარეზზე და დღიდან უნივერსიტეტში შესვლისა ეტანება საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობას, რომლისათვისაც მას დღესაც არ გაუწეებია თავი.

თავდაპირველად უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის წერა-კითხვის საზოგადოების მდივანადაა მიწვეული და გარდა ძირითად საქმიანობისა, აწარმოებს „საზოგადოების“ სკოლათა სისტემატიურ რევიზიას. ამავე დროს იგი თანამშრომლობს იმდროინდელ პერიოდულ გამოცემაშიც.

1898 წლიდან ალ. მიქაბერიძე უკვე ქართულ გიმნაზიაშია, ჯერ – გამგის თანაშემწეთ, ხოლო უკანასკნელად – რევოლუციის წინა ხანაში გიმნაზიის გამგედ. ეს არის ხანა დამოუკიდებელი სკოლის მშენებლობისა თვითმპყრობელობის პირობებში.

სტუდენტობის დროს ვარშავაში ყოფნისას ალ. მიქაბერიძემ მონაწილეობა მიიღო დღეს უკვე კარგად ცნობილს „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ წესდების შემუშავებაში, რისთვისაც იგი დააპატიმრეს (უკვე ტფილისში ყოფნისას) და ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

1905 წლის დასაწყისში იმ დროინდელ სკოლათაგან, ქართული გიმნაზია პირველი იყო, რომელმაც შიო ჩიტაძის და ალ. მიქაბერიძის ინიციატივით ტფ. მასწავლებელთა პირველი არალეგალური ყრილობა მოაწყო, ამ ყრილობამ დაჰგმო სწავლების ძველი სისტემა.

ამავე დროს მიეკუთვნა ალ. მიქაბერიძის მიერ (კვალად შიო ჩიტაძესთან ერთად) შედგენილი პროექტი ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც, თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინდელ პირობებს, უთუოდ რევოლუციონურ და მეტად გაბედულ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს.

გერმანეთიდან დაბრუნებისას, სადაც იგი გაემგზავრა იქაურ პირველდანიეებითი სწავლების სისტემის გასაცნობად, მან დასწერა შემდეგი საყურადღებო წერილები:

1. პრუსიის პირველდანიეებითი სასწავლებელი.
2. გერმანიის მასწავლებელთა კავშირი.
3. ბერლინის მეთოდით სწავლების შედეგები (უკანასკნელი წერილი მიმართულია ცნობილ ლევიცკის მუნჯურ მეთოდის წინააღმდეგ).
4. წერილები ვოსტორგოვის წინააღმდეგ და სხვა.

ამ ხნის განმავლობაში ალ. მიქაბერიძე მუშაობს სახალხო უნივერსიტეტში, სადაც მსმენელთა ყურადღებას იპყრობს მისი ლექციები რომის ისტორიიდან, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეტად პოპულარულად გადმოცემული სერია: დაუცხრომელი ბრძოლა პლებეებსა და პატრიციების შორის.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ალ. მიქაბერიძის მოღვაწეობა ბეჭდვითი სიტყვის ასპარეზზე; იგი იმთავიდანვე მუდმივი თანამშრომელი იყო ჯერ „კვალისა“ და შემდეგ „ჯეჯილისა“ და „ნაკადულისა“; ორს უკანასკნელში მას მოთავსებული აქვს მრავალი საბავშვო მოთხრობა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი პოლონურიდან, გერმანულიდან და რუსულიდან.

მასვე, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს, მიეკუთვნება ბევრი სა-
ყურადღებო წერილის რედაქციაც.

ცალკე შრომათაგან აღსანიშნავია მისი მეტად პოპულარულად და იმ-
ვითად მხატვრულად დაწერილი „ილიადა“ და ოვიდიუსის „რჩეული მეტა-
მორფოზები“, რაც განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მოწონებუ-
ლია, როგორც დამხმარე წიგნი სკოლებისათვის (მოკლე ხნის განმავლობაში
უკვე მეორედ დაიბეჭდა).

მასვე დამზადებული აქვს და წარმოდგენილი დასაბეჭდად ჰომეროსის
„ოდისეა“.

1918 წლ. აღ. მიქაბერიძე მოწვეულია განათლების უწყების ცენტრა-
ლურ სამმართველოში დირექტორის მოადგილედ.

საქართველოს გასაბჭოებისას, როდესაც განათლების სამინისტროს შე-
მადგენლობა გაიქცა, ალექსანდრე მიქაბერიძე ერთი პირველთაგანი იყო,
რომელიც დარჩა ტფილისში, მიანოდა განათლების სახალხო კომისარიატს
მისთვის საჭირო ცნობები ყოფ. სამინისტროს მუშაობის შესახებ და რო-
გორც განათლების კომისარიატის საქმეთა მმართველი ენერგიულად შეუდ-
გა დანგრეულ საქმის მოგვარებას.

ამრიგად, განათლების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციისა და მისი
ადმინისტრაციულ მმართველობის საქმეში ალექსანდრე მიქაბერიძე უშუა-
ლო აქტიურ მონაწილეობას იღებდა და მიუხედავად ხანშიშესულობისა,
დაუსვენებელივ ენეოდა მუშაობას, ყოველთვის მშვიდი, წყნარი, აუღელვებე-
ლი, იშვიათი მიმღები მთხოვნელთა და საზოგადოთ საქმის არაჩვეულებრივი
გამომკითხველი და მომწყობი.

სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს ამხ. აღ. მიქაბერიძეს ავადმყოფობა
დასჩემდა და ვინაიდან ძველი ენერგიითა და ხალისით ვეღარ ახერხებს მუ-
შაობას, ითხოვს თანამდებობიდან განთავისუფლებას.

განათლების სახალხო კომისარიატი ასრულებს მის თხოვნას, ათავი-
სუფლებს მას თანამდებობიდან და შუამდგომლობს ს.ს.რ. ცაკის წინაშე,
რათა თავდადებულ მუშაობისათვის კულტურულ ასპარეზზე დაენიშნოს მას
სრულიად საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის და კომისართა საბჭოს
მიერ დამტკიცებულ დებულების (ნაწილი III, მე-7 მუხლი) თანახმად უმაღ-
ლესი პერსონალური პენსია 210 მან. და გამოეცხადოს მადლობა.

განათლების სახალხო კომისარი: ხელს აწერს ორახელაშვილი.

სწორია: ხელს აწერს ი. რუხაძე.

ელისაბედ ორბელიანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1942 წელს ორბელიანი ელისაბედ
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1870</u> თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	ყოფ. თავადი
6. სოციალური მდგომარეობა	მწერალი
7. ლიტერატურული ჟანრი	(არ აღინიშნება ანკეტაში)
8. რა ენაზე წერს	ქართულ-ფრანგული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1907 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1942 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, საფრანგეთში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, ფრანგული, ინგლისური, იტალიანური და ცოტა გერმანული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო, გაზრდილია პარიზში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>ანკეტაში აღნიშნულია, რომ შვილი ჰყავს პიანისტი ნიუიორკში</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p></p>

1942 წ., 23 მაისი.

ხელმოწერა: ვადასტურებ სამიღვიწის გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ელისაბედ ორბელიანის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. თბილისში, სადაც გავატარე პირველი წლები ჩემი ბავშვობისა. მამაჩემი გარდაიცვალა, როცა მე ვიყავი 11 წლისა. დედაჩემმა წაგვიყვანა მე და ჩემი და საზღვარგარეთ, სადაც მიგვაბარა პარიზის ერთ-ერთ დახურულ პანსიონში. ამ პანსიონის დამთავრების შემდეგ მე დავინყე სწავლის გაგრძელება. დავდიოდი უნივერსიტეტში.

ბავშვიბიდანვე მქონდა ტენდენცია და სიყვარული ლიტერატურის და წერილსა. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, საზღვარგარეთ არც კი ვიყავი წასული, რომ ორი გაზეთი მქონდა დაარსებული – ერთი ფრანგულ ენაზე, მეორე ინგლისურ ენაზე.

ყველა ჩემი პატარა ამხანაგები, ნათესავები და მეგობრები ლეზულობდნენ მონაწილეობას ამ გაზეთის მასალების მონოდებაში. რა თქმა უნდა, მთავარ მონაწილეობას მე ვღებულობდი. მონინავე წერილი, ფელეტონი, ლექსები შეადგენდნენ ჩემს მოვალეობას, რასაც მე სიყვარულით ვასრულებდი და მისი გაფორმებამაც მე მეკისრებოდა.

1895 წელს დავბრუნდი თბილისში და 1898 წ. გავთხოვდი მამუკა ორბელიანზე, რომელიც იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი. უკვე გათხოვილი ვიყავი, როცა გამოვეცი ფრანგულ ენაზე ლექსების წიგნი ფსევდონიმით.

1907 წ. ალფონს ლიუმერმა გამოსცა პარიზში ფრანგულ ლექსად ჩემი თარგმანი – ლერმონტოვის „დემონი“. ამის შემდეგ ვთარგმნე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „აბესალომ და ეთერი“, ქართული ფოლკლორი და ბევრი რამე სამეცნიერო აკადემიისათვის.

შევადგინე სახელმძღვანელო ფრანგულ-ქართულ ენაზე სოლომონ იორდანიშვილის დახმარებით, რომელიც იყო მიღებული, მონონებული და ნახმარი რამდენიმე წლების განმავლობაში უნივერსიტეტში. ვწერ აგრეთვე ჩემ მემუარებს.

1942 წ.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ელისაბედ ორბელიანის ნაწარმოებთა სია:

გამოცემული მაქვს თბილისში ფრანგული პირადი ლექსები ფსევდონიმით. მოსკოვის შეკვეთით გავაკეთე რეცენზია „ვეფხისტყაოსნისა“ ინგლისურ ენაზე.

მაქვს ფრანგულად „აბესალომ და ეთერი“.

შევადგინე ფრანგული სახელმძღვანელო.

თარგმნილი მაქვს ბევრი სამეცნიერო საკვლევე ნაშრომები აკადემიისათვის, სხვადასხვა სამეცნიერო შრომები და სხვ.

ვწერ ჩემ მემუარებს.

შენიშვნა: ეს ცნობები შეკრებილია მისი სიკვდილის უკანასკნელ დღეებში, როცა მან შეავსო ანკეტა, 23 მაისს, 1942 წელს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნიკო შიუკაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1938 წელს შიუკაშვილი ნიკო ივანეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1870</u> თვე _____ დღე ____
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სამღვდელოება – გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე – ცოლიანი
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგია, მინიატიურები
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1887
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა საბჭო
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი – პედაგოგიური
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრი, დრამ. საზ. წევრი, მასწავლებლობა, კავშირის მდივანი, ადგილკ. თავმჯდომარე</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ფილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>—</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა კალინინის 21</p>

ანკეტა შევსებულია 1937 წ.

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

ნ. შიუკაშვილის ნაწარმოებთა სია

1. „გამხმარი ფოთოლი“, პიესა.
2. „მეგობრობა“, „-“.
3. „სიმახინჯე“, „-“, 1909 წ.
4. „სულელი“, „-“, 1912 წ.
5. „ნაგავი“, „-“, 1912
6. „აბესალომის თმები“, „-“.
7. „მთის ზღაპარი“, „-“, 1926 წ.
8. „ციცინათელა“, „-“.
9. „მადლობა“, „-“.
10. „ჯაშუში“, „-“.
11. „ბეკეკა“, „-“.
12. „ამერიკელი ძია“, „-“, 1926 წ.
13. „გვირგვინი“, „-“.
14. „ბერიკაობა“, „-“.
15. „მთვრალი მშველები“, ლექსი.
16. „სამი სურათი“, „დედის პორტრეტი“ და სხვ. მინიატიურა.
პუბლიცისტურ-კრიტიკული, პოლიტიკური წერილები.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

შიუკაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (ავტობიოგრაფია)

დავიბადე კახეთში – სოფ. ხოდაშენში 1870 წ. მაისის 17.

1885 წ. ქ. თელავში დავამთავრე სასულიერო სასწავლებელი; იმავე წელს შემეყვანეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის ატმოსფერაც ვერ ავიტანე წლის ბოლომდისაც და მივანებე თავი (რექტორ ჩუდეცკის მოკვლა ლალიძის მიერ, არქიელ პავლეს საქართველოსადმი მიძღვნილი წყევლა-კრულვის საზეიმო სიტყვა ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს, დიმიტრი ყიფიანის საპროტესტო წერილი, მისი გადასახლება და მოკვლა).

1892 წ. დავამთავრე სამასწავლებლო ინსტიტუტი; ამ წლიდან განუწყვეტლივ ვმოღვაწეობ, როგორც პედაგოგი, და დღესაც განვაგრძობ ლექციების კითხვას.

პირველი ჩემი ბავშვობის ნაწარმოები (მოთხრობა „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“) დაიბეჭდა 1886 წ. ვალერიან გუნიას სათეატრო ჟურნალში. ამის შემდეგ, სწავლაში გართულს, დიდ ხანს აღარა მიცდია-რა მხატვრული შემოქმედების სფეროში, იშვიათად მხოლოდ გაზეთებში იბეჭდებოდა წერილმანი წერილები.

პირველი დრამა („გამხმარი ფოთოლი“) დავწერე 1906 წ., რომელიც წარ-

მოადგინეს ქ. ახალციხეში (ადგილობრივ სცენის მოყვარულთ შემოაკლდათ პიესები. მე გამოვჩემრე: სამ კვირაში დავწერე „გამხმარი ფოთოლი“ და გადავეცი მათ, როგორც ვითომ-და ტფილისიდან მიღებული ვილაც უცნობი ავტორის ნაწარმოები. პიესა მოეწონათ და წარმოადგინეს. ავტორის ვინაობა გაიგეს შემდეგ).

ამის შემდეგ დავწერე პიესები: „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „სულელი“, „მთის ზღაპარი“, „ციცინათელა“, „აბესალომის თმები“, „ნაგავი“, „მხოლოდ ერთხელ...“, „როსტევანი“, „ჯაშუში“. გასაბჭოების შემდეგ დავწერე: „მადლობა“, „ბეკეკა“, „ამერიკელი ძია“, „ამერიკელი ძიის გასაბჭოება“, „ბერიკობა“, „გვირგვინი“, „დირექტორი სურმაძე“ და კიდევ რამდენიმე, ჯერ გამოუქვეყნებელი.

გარდა პიესებისა, დაწერილი მაქვს რამდენიმე მინიატურა, ნოველა, ლექსი, კრიტიკული, პოლემიკური, პუბლიცისტური წერილები, რომლებიც დაიბეჭდა სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთში. ჩამოვთვლი, რომლებიც მახსოვს:

პირველი ჩემი პიესა („გამხმარი ფოთოლი“) გამოსცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1910 წ. ამავე 1910 წ. ჟურნალ „ერში“ დაიბეჭდა „სიმახინჯე“. „მეგობრობა“ დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ ლიტერატურულ დამატებებში 1911 წ. და ამავე რედაქციის მიერ გამოიცა ცალკე წიგნადაც. ერთმოქმედებიანი ხუმრობა „აბესალომის თმები“ დაიბეჭდა ვალ. გუნიას სათეატრო ჟურნალში (თარიღი არ მახსოვს). საბავშვო პიესა „ჯაშუში“ დაიბეჭდა „ნაკადულში“ 1914 წ. „სულელი“ გამოსცა ცალკე წიგნად მთავარპოლიტ განათლებამ 1921 წ. „მთის ზღაპარი“ დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ 1926 წ. ამავე წელს სახელგამმა გამოსცა ჩემი „დიქცია და მხატვრული მეტყველება“. საბავშვო პიესა „ბეკეკა“ დაიბეჭდა საბავ. ჟურნალში მინიატურა „სამი სურათი“ დაიბეჭდა „თემში“ 1914 წ. და შემდეგ იგივე დაიბეჭდა „ჩანგში“. „თემ“-შივე დაიბეჭდა „დედის სურათი“, გრიშაშვილის „ლეილაში“ – ლექსი „მთვრალი მშვენებით“.

ბევრი სხვა კრიტიკული, პუბლიცისტ., პოლემიკური წერილი დაიბეჭდა: ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“-ში, „სახალხო გაზეთში“, „კავკასიონში“, „ტრიბუნაში“, „ქართულ სიტყვაში“, „საბჭოთა ხელოვნებაში“ და სხ.

ქართველ კლასიკოსების (ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის) ნაწყვეტების ჩემი თარგმნები დაიბეჭდა რუსულ ჟურნ. „პლამია“-ში 1923 წ.

არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებასთან ორგანიული კავშირი, როგორც მწერალს, არ მქონია.

ნ. შიუკაშვილი
28/III, 36
კალინინის ქ., №21

ლადო ბზვანელი (ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი)
საქ. სსრ. სკოლის დამსახურებული მასწავლებელი და ძველი
ჟურნალისტ-ლიტერატორი
ავტობიოგრაფია (შემოკლებით)

დავიბადე 1871 წლის აპრილის 11-ს, ქუთაისის მაზრის ს. ბზვანში, ნიკო ჩხე-იძისეულ ოჯახში, სადაც მამაჩემი ქრისტეფორე თედორეს ძე ნაცვლიშვილი, ამავე მაზრის ს. ბაშიდან გადმოსული, ზედსიძეთ იყო (დასიძებული). იგი იყო პირველად გახსნილი ბატონ-ყმობის შემდეგ დაწყებითი საერო სკოლების მასწავლებელი. იმსახურა 40 წელიწადს, გარდაიცვალა 1926 წ. მარტში... 8 წლამდე ს. ბზვანში დედ-მამასთან ვიზრდებოდი; მამა მასწავლიდა და მამზადებდა სასწავლებლისათვის. მამაჩემის სურვილი იყო სასულიერო სასწავლებელში მივებარებინე, შემდეგ სემინარიაში მოვხვედროდი და მღვდელი გამხდარიყავი, მაგრამ რადგანაც დედაჩემი წინააღმდეგი იყო, იმიტომაც 1880 წ. აგვისტოში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უმცროს მოსამზადებელ კლასში ჩავაბარე გამოცდები და მიმიღეს. დედაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ მე მოვეწყე „სათავადო“ და „არისტოკრატების“ სასწავლებელში. 1880 წლის ნოემბერში დედამ მინახულა ქუთაისში და შემდეგ ის აღარ მინახავს: დეკემბერში ყელის ტკივილით ავად გამხდარიყო და 5 დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა; შობის არდადეგებზე, როდესაც წამიყვანეს შინ, დედა დასაფლავებული დამხვდა, 24 წლის ქალი. ჩემს გარდა მამაჩემს დარჩა კიდევ ორი ობოლი, 3 წლით ჩემზე უმცროსი და და მასზე უმცროსი 3 წლით ძმა, ძიძასთან გაბარებული. მამა 32 წლის იყო, როდესაც დაქვრივდა; მეორე ცოლი აღარ შეირთო, რადგანაც ეშინოდა, დედინაცვალი შეიღებოს დამიჩაგრავსო. თვეში ორჯერ მომინახულებდა ქუთაისში და მიზიდავდა ხარჯს... გიმნაზიაში დავრჩი 1888 წლამდე. ოჯახურმა პირობებმა შემიშალა ხელი სწავლა გამეგრძელებინა. იძულებული შევიქენი გიმნაზია მიმეტოვებინა, სამსახური მომეძებნა და ოჯახს დავხმარებოდი. ავირჩიე მამაჩემის პროფესია. ერთი წლის განმავლობაში გიმნაზიის 6 კლასის მონაწილეთ, მომზადების შემდეგ ჩავაბარე სპეციალური გამოცდები იმავე გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში საქალაქო სკოლების მასწავლებლის ნოდებაზე, მივიღე სათანადო მონაწილეობა საგამოცდო კომისიის 10 პირის ხელის მონერით და 1890 წლის აგვისტოდან ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა გამაგზავნა შორაპრის მაზრის ს. მერვეის სახალხო სამინისტრო სკოლაში მასწავლებლად; იმ დროს სახალხო სკოლები იყო სამგანყოფილებიანი და მასწავლებელს უხდებოდა ერთსა და იმავე დროს სამ განყოფილებასთან მუშაობა. შორაპრის მაზრაში დავრჩი 3 წელიწადს, შემდეგ გადამიყვანეს რაჭის მაზრის სოფ. ნიკორწმინდა-ხოტევის დაწყებით სასწავლებელში, სადაც დავრჩი 2 წელიწადს. რაჭის მაზრიდან ჩემი თხოვნით გადაყვანილ ვიყავი 1895 წლის სექტემბრიდან ქუთაისის მაზრის ს. ენერის სასწავლებელში, რომელშიაც ვიმსახურე 2 წელიწადს. დირექტორმა დაათვალიერა სასწავლებელი ინსპექტორის თანადასწრებით და რადგანაც ჩემს სკოლაში კარგი წარმატება ნახა, 1897 წლის პირველ სექტემბრიდან დამნიშნეს ქუთაისის მაზრის ს. ტობანიერის ორაკლასიანი სამინისტრო სას-

წავლებლის ზედამხედველათ, სადაც ჩემთან მსახურებდნენ კიდევ საღვთო სჯულისა და სამი სხვა საგნების მასწავლებელი. ამ სასწავლებელში დავრჩი 10 წელიწადს, 1907 წლის სექტემბრამდე. აქაც ვიმუშავე ნაყოფიერად, აღვზარდე 2 ათასამდე ახალგაზდა და დავიმსახურე საზოგადოების პატივისცემა. ჩემს სასწავლებელს ათვალისწინებდნენ, როგორც გუბერნიის დირექტორ-ინსპექტორები, ისე ოლქის მზრუნველის ინსპექტორებიც, გუბერნატორები და სხვა საპატიო სტუმრებიც. იმ დროს ჯამაგირი მეძლეოდა ერთკლასიანებში წლიურად 240 მან. ორკლასიანებში – 400 მან. ბინითა და გათბობა-მსახურით. ცხოვრება იაფი იყო. ორკლასიანი სასწავლებლიდან ნიჭიერ მოსწავლეებს ვაგზავნიდი ქალაქების სხვადასხვა სასწავლებლებში. სახალხო განათლების სამინისტროდან კარგი წარმატებისათვის ხშირად მეგზავნებოდა დახმარების სახით ჯილდო 125–150–200 მანეთი ერთდროულად; ვიყავი დაჯილდოებული ორდენითაც. ამავე დროს მაზრებში ჩავები საზოგადოებრივ მუშაობაშიაც.

II

1907 წლის სექტემბრიდან იწყება ჩემი მუშაობა-მოღვაწეობის მეორე ხანა ქალაქის ფარგლებში. ტობანიერში მშობლებს შეგვეძინა ვაჟი და როდესაც იგი გახდა 8 წლის, საჭირო შეიქნა ჩემი გადასვლა ქუთაისში, რათა ეს ერთადერთი ვაჟი მშობლებს ალგვეზარდა გიმნაზიაში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში. გავუცხადე დირექტორს ჩემი სურვილი და შევიტანე განცხადება, ქუთაისის საქალაქო სკოლებში გადავეყვანეთ. იმ დროს ქუთაისში არსებობდა 5-6 საქალაქო სკოლა. ერთ-ერთ სასწავლებელში გაიხსნა ორი ადგილი მასწავლებლის. მთხოვნელი იყო 38. დირექციამ და ქალაქის სასკოლო კომისიამ კანდიდატების შესარჩევად დაადგინა საკონკურსო გაკვეთილების მიცემა ქართულ ენასა და არითმეტიკაში. ასეთმა დადგენილებამ დააფრთხო მთხოვნელები და ბევრი ჩამოგვეშორდა, დავრჩით მხოლოდ 12 კანდიდატი. დავანერიეს თემები, კონსპექტები და მივეცით საკონკურსო გაკვეთილები, რაც გაგრძელდა ერთ კვირას. შეფასების შემდეგ გავვით ორი, ერთი მე და მეორე ანტ. ოდიშარია. ჯამაგირი იყო წლიურად 500 მ. და სამ-სამი წლის შემდეგ პერიოდული მომატებანი სულ სამჯერ წლიურად 100-100 მანეთი. შევუდექით მუშაობას. ქალაქის სკოლებში გავატარე 10 წელიწადი. საქმე კარგად წავიყვანე. 1918 წლიდან მოხდა სკოლების ნაციონალიზაცია და საქალაქო სასწავლებელი გადააკეთეს უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად ოთხი კლასის კურსით. ქართული ენაც დამტკიცებულ იქნა შტატის საგნად. სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ გადამიყვანეს I-ლ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში ეროვნული საგნების მასწავლებლად. მალე დამნიშნეს გამგედ. 1921 წლიდან უმაღლესი დაწყებითი სკოლები გადაკეთდა 7 წლიან შრომის სკოლებად. დამნიშნეს ქართული ლიტერატურისა და ენის მასწავლებლად მე-3 შრომის სკოლაში, საიდანაც მალე გადამიყვანეს მე-4 სკოლაში გამგედ (ბაგრატის ტაძართან). 1924 წლიდან, ჩემი თხოვნით, გადამიყვანეს ჯერ მე-7 შვიდწლედში, ქალაქის ცენტრში, შემდეგ კი, 1925 წლიდან, ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 ათწლედში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად (ყოფილი ქართული გიმნაზია). ამ სასწავლებელში გავატარე 11 წელიწადი.

დი; 1936 წლის 1 სექტემბრიდან გადავედი ჩემი სახლის მახლობლად ახლად გახსნილ ამხ. ს. ორჯონიკიძის 25-ე სრულ საშუალო სკოლაში ამავე საგნის მასწავლებლად, სადაც დავამთავრე 50 წლის სამსახური პედაგოგიურ ასპარეზზე. შემდეგ მთავრობამ, თანახმად ჩემი განცხადებისა, გამათავისუფლა მოვალეობისაგან. დამინიშნეს რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია თვიურად 250 მან. სხვადასხვა შეღავათებით.

III

პედაგოგიურ მუშაობის გარდა ჩავეები ამავე დროს კულტ-საზოგადოებრივ საქმიანობაში: 1894 წლის მარტიდან, ქვემო რაჭიდან და შემდეგ იმერეთიდან, ვიყავი მუდმივი თანამშრომელი ილია ჭავჭავაძის ყოველდღიური გაზეთის „ივერიისა“ სრული 10 წლის განმავლობაში, შემდეგ განახლებული „ივერიისა“, რომელიც გამოდიოდა ფილ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით 1905-6 წლებში.

1915 წლის დეკემბრიდან, როდესაც დავაარსეთ ქუთაისში „დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოება“ (კავშირების ხსენება იმ დროს არ შეიძლებოდა), ვიმუშავე ქუთაისის განყოფილების დაწყებითი, შემდეგ საქალაქო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა ამ საზოგადოების გამგეობაში 4 წელიწადს თავმჯდომარეთ... გასაბჭოების შემდეგ განახლებული და გადახალისებული კავშირების გამგეობის წევრად... გაზ. „ივერიის“ დახურვის შემდეგ გავაგრძელე თანამშრომლობა სოც-ფედერალისტების გაზ. „სახალხო გაზეთში“ 1909 წლიდან 1920 წლამდე, იმავე დროს ვთანამშრომლობდი თბილისის დიდ გაზეთ „თემში“ 5 წლის განმავლობაში (რედ. გიგო დიასამიძე). აგრეთვე პედაგოგიურ და სალიტ.-სამეცნიერო ჟურნალ „განათლებაში“ (რედ. ლ. ბოცვაძე), 1910-1919 წწ; იბეჭდებოდა აგრეთვე ჩემი ნერილები ქუთაისის გაზეთებ „კოლხიდა-მეგობარში“, „სამშობლო – ჩვენს ქვეყანაში“, გასაბჭოების შემდეგ კი – „მუშა და გლეხში“, „მუშა და კოლმეურნეში“, „წითელ ვარსკვლავში“, „ლენინელში“, ჟურნალ „გრდელში“, „ინდუსტრიულ ქუთაისში“, „მუშა-კომუნისტში“, „საქართველოს განათლების მუშაკში“, „საბჭოთა ხელოვნებაში“, „ტარტაროზში“ და სხ., როგორც საზ. ხასიათისა, აგრეთვე პედაგოგიური, პუბლიცისტური, ისტორიული, ბიბლიოგრაფიული „ესკიზები“, „ეტიუდეები“, „ლექსები პროზად“, პატარა მოთხრობები და სხ... ფსევდონიმები ჩემი იყო გამოაშკარავებული „ლაღო ბზვანელი“, ფარული – „ლას-ნარიძე, ქიტესაძე, ბაშელიძე, მარინეშვილი, ქიტეს-ოლი“. 1916 წელში ჩემი რედაქტორობით გამოდიოდა ქუთაისში ერთი წლის განმავლობაში „დასავ. საქ. სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების“ ჟურნალი „სკოლა და ოჯახი“. იმ დროს არსებობდა სამხედრო ცენზურა, რომელიც სასტიკად გვდევნიდა, რის გამო შემდეგ შევეუერთდით ბოცვაძის ჟურნალს „განათლებას“.

1917-18-19-20 წლებში ვიმუშავე ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებაში გამგეობის წევრად; 1915-21 წლამდე ვიყავი არჩეული ვაჟა-ფშაველას სახ. სამკითხველო-ბიბლიოთეკაში პასუხისმგებელ გამგედ და სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარეთ. 1921 წ. ვიყავი დანიშნული ქუთ. გუბერნიის წით.-არმიელთა განსაკუთრებული რაზმის სკოლის გამგედ.

1918-19-23 წლებში მთავრობის მიერ მიწვეული ვიყავი ქუთაისში სახ. მას-ნავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე ქართული ენის მეთოდის ლექტორად და სანიმუშო გაკვეთილების ხელმძღვანელად. 1925-26-27 წლებში არჩეული ვიყავი წევრად ქუთაისის მუშათა, გლეხთა და ნით.-არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრად.

IV

1905 წლის რევოლუციის დროს აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სახალხო მასწავლებელთა მოძრაობაში: ვმუშაობდი გაფიცვის მომწყობ კომისიაში, აღმასრ. კომიტეტში; ვებრძოდი სიტყვით, საქმით, კალმით ცარიზმის მოხელეების თავ-გასულობას, ეროვნულ მწაგვრელებს, პოლიტიკანებს, „მუნჯური მეთოდის“ აგენტებს, მოზარდი თაობის გადამგვარებლებს. ყოველივე ამისათვის განვიცადე დევნა ცარიზმის მოხელეებისა და ალიხანოვ-ავარსკის პლასტუნებისაგან. რამდენჯერმე გადავრჩი დაპატიმრებას, ოჯახის ანიოკებას, გადანვას... 1913 წლის თებერვლიდან 8 თვის განმავლობაში გუბერნიის დირექტორის – შავრაზმელი კრუპსკის მოხსენებით სასწავლო ოლქის მზრუნველის – რუდოლფის მიერ მოხსნილი ვიყავი მასწავლებლის თანამდებობიდან შემდეგი მიზეზებისა გამო: მეფის ნაცვლების მიერ რამდენჯერმე დამტკიცებული დაწყებითი სახალხო სკოლებისათვის 1881 წლის სასწავლო გეგმა ძალაში რჩებოდა და მით ვხელმძღვანელობდით. დირექტორის სემიონოვის შემდეგ, როგორც კი დანიშნეს ნ. კრუპსკი ქუთაისის გუბ. სკოლების დირექტორად, მოსვლისათანავე გაილაშქრა ამ გეგმის წინააღმდეგ: შეამცირა ქართული ენის საათები პირველი წლიდანვე და მოითხოვა დაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლების დაწყება ერთად სამშობლო ენასთან, მუნჯური „ლევიცკის“ მეთოდით. რომელი სკოლის გამგეც ამას არ შეასრულებდა, მოხსნილი იქნებოდა თანამდებობიდან. ამ განკარგულების გამო ქუთაისის გაზეთ „იმერეთში“ მე მოვათავსე საპროტესტო წერილი, ვგმობდი კრუპსკის განკარგულებას და ვიცავდი 81 წლის სასწავლო გეგმას. ჩემი წერილი ინსპექტორებმა გადაათარგმნიეს და მიართვეს კრუპსკის, რომელმაც მოხსენება გაუგზავნა ოლქის მზრუნველს რუდოლფს. მე მხარს მიჭერდა 1-ლი სკოლის გამგე ა. ოდიშარია. რუდოლფმა ორივე მოგვხსნა თანამდებობიდან. ამის გამო გაჩაღდა დიდი ბრძოლა, ინტელიგენციამ და რედაქციებმა თანაგრძნობა გამოგვიცხადეს. წერილები ჩემი იბეჭდებოდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. გამოგვეხმაურა ქალაქის გამგეობა, ქალაქის თავი ი. ჩიქოვანი და სხვანი... მე-4 სათათბიროში დაისვა საკითხი ამის გამო. დაიბეჭდა შეკითხვა მიმართული მეფის ნაცვლისა და მზრუნველისადმი პეტერბურგის პედაგოგიურ ჟურნალ „შკოლა ი ჟიზნი“. ბოლოს რუდოლფმა დაგვიბარა მე და ოდიშარია თბილისში, მოისმინა ჩვენი ახსნა-განმარტება, მოახდინა სხდომა და აღგვადგინა ჩვენ ჩვენს ადგილზე. კრუპსკი მისი ინსპექტორებით გაძევებულ იქნენ კავკასიიდან. 1917 წლის რევოლუციამ რუდოლფიც მალე განდევნა... 1881 წლის სასწავლო გეგმა ისევ აღდგენილ იქნა და ძალაში დარჩა სამუდამოთ...

მიმიძღვის აგრეთვე პატარა მოღვაწეობა მწერლობაშიაც: 1922 წლიდან ქუთაისში დავაარსეთ მცირე-რიცხოვანმა ჯგუფმა მწერალთა კავშირის განყოფილება. მეც ჩავები კავშირის მუშაობაში და ამ წლიდან დანეჭეული 1939 წლამდე ვმუშაობდი შეძლებისადაგვარად. გავდიოდი სამუშაოდ ბრიგადებში, განათლების მუშაკთა სახლში, წით. არმიელთა კლუბებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სტამბებში და სხ...

საბჭოთა დღესასწაულების დღეებში გამოვდიოდი ჩემი მხატვრული ნაწარმოებებით. ეს ნაწარმოებები მოთავსებული და გაბნეულია ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში...

1940 წლიდან ცეცხოვრობ თბილისში ერთად ჩემ ვაჟთან მხატვარ „დონთან“... 1926 წ. აპრილის 24-ში ქუთაისის აკადემიურ თეატრში მწერალთა და განათლების მუშაკთა კავშირებმა მომიწყვეს იუბილე მოღვაწეობის 35 წლის თავზე. 1940 წლიდან პედაგოგიურ მუშაობას თუმცა დავანებე თავი, მაგრამ კულტ.-განმანათლებელ წრეებში მაინც გავაგრძელე მოღვაწეობა ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში; 41-42 წლებში ვიმუშავე პედაგოგიკის კვლევა-ძიების ინსტიტუტში, როგორც კორესპონდენტმა (იხილეთ ამ ინსტიტუტის მუშაობის ანგარიში, დაბეჭდილი წიგნაკებად). ამას გარდა ვიმუშავე და მივეცი მასალები განათლების მუზეუმს 1943 წ., ლიტერატურულ მუზეუმს, განათლების პოლიტ-განყოფილებას, საბჭოთა მასწავლებელს 43-44 წ.წ. უნივერსიტეტის კრებულებს და სხ... 1945 წ. სალექციო ბიუროს დავალებით წავიკითხე ლექციები (ლიტ.) ჭიათურა-სხვიტორ-საჩხერეში, ცხაკაია, აბაშა, სამტრედიასში.

1912 წ. ვიმოგზაურე აკაკისთან რაჭა-ლეჩხუმში და „სახ. გაზეთის“ დავალებით ავწერე ეს მოგზაურობა, რომელიც დაიბეჭდა ქუთაისში 3,000 ცალი.

აკაკის, ილიას, ვაჟას, ი. გოგებაშვილს პირადად ახლოს ვიცნობდი; მივიღე მონაწილეობა მათ საიუბილეო ზეიმებში და მოვათავსე მათ შესახებ მოგონებანი. 1944-5 წ.წ. დავწერე მემუარები „40 წლის მანძილზე“ (1880-1920 წ.წ.), რეცენზიით გადაეცა საბლიტგამს გამოსაცემად (პროფ. გ. თავზიშვილის რეცენზიით).

ამგვარად დღეს შემისრულდა 55 წ. მოღვაწეობის და დაბადებიდან 75 წელი.

P. S. ჩემი ნაწერები სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის, აგრეთვე პედაგოგიური წერილები ძველი და განახლებული სკოლების გარშემო, მხატვრული ნაწარმოებიდან ლექსები და ესკიზ-ეტიუდ-მოთხრობები მოთავსებული და გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაახლოებით 1600-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოებით:

პროზა:

1. მღელავ ზღვაში. 2. სიკო ერთგულაძე. 3. უქიმერიონზე. 4. ძველი და ახალი ქვეყანა. 5. გაუმარჯოს კომუნას! 6. წითელი ყვავილი. 7. ბუნების ნიაღში. 8. ბედნიერი ცხოვრების მოლოდინში. 9. უენოა, საცოდავია! 10. ყვავილთა უბანში. 11. მუშის დღიურიდან. 12. ზღაპარი და სინამდვილე. 13. სამი სურათი. 14. დამწვარი გული. 15. ილიკო როდინაშვილი. 16. რონის გამოძახილი. 17. განაპირა უბანში. 18. სანუგეშო სიმღერა. 19. ბრენოულა. 20. აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

საუბრები ქართული ენის მეთოდიკიდან.

ეროვნული ჩაგვრა საქართველოში თვით მპყრობელობის დროს და რუსიფიკატ. პოლიტიკა.

სწავლა-აღზრდის საქმის განვითარება კავკასიასა და საქ. ყოფილ. სამეფოში მე-19 საუკ. განმავლობაში.

40 წლის მანძილზე (მემუარები 1880–1920).

პოეზია:

1. აკაკის (70 წ. შესრულების გამო). 2. აკაკის (50 წ. იუბილეზე). 3. სალამი ვაჟა-ფშაველას. 4. თავისუფლება. 5. ქუთაისის მაუდის ფაბრიკა. 6. გამარჯვებული ყვავილი. 7. ჩემს შვილს და შვილიშვილს (დიდაქტ.). 8. მეომრის საფლავი – ლერმონტოვი – თარგ. 9. აკაკის სახლში (სხვიტორში). 10. საპირველმანისო. 11. დ. კლდიაშვილს. 12. ზ. ჭიჭინაძეს. 13. შავ ქალაქში. 14. ქუთაისის ებრაელებს. 15. მშრომელ ქალებს. 16. აკაკის ხსოვნას. 17. ჩემი ნატვრა. 18. ვუძღვნი ზოგიერთებს. 19. 9 და 21 (იანვარი). 20. საქართველოს ოქტომბერი. 21. ჩემი სიმღერა. 22. ოქტომბრის ზარი. 23. პუშკინს 100 წლისთავზე. 24. მისივე ლექსი „ცხოვრებამ თუ გაგაცუროს“. 25. ილია ჭავჭავაძეს. 26. ნეკრასოვს, I. 27. მასვე, II. 28. ი. გოგებაშვილს. 29. ტუსალი – ლერმონტოვს. 30. გ. ქუჩიშვილს. 31. გ. ტაბიძეს. 32. ორი სიმღერა (ჩემი). 33. დიდ სტალინს. 34. ქუთაისს. 35. ვაჟას (30 წლისთავზე გარდაცვალებიდან).

ზოგი დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურ-გაზეთებში.

[1946 წელი]

ვარლამ ჩიხლაძე

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1871 წელს ზესტაფონის რაიონის, შროშის თემის ქალის უბანში, ლარიბი გლეხის ოჯახში. მამაჩემი ნიკო ჩიხლაძე იყო მედავითნედ მახლობელი სოფლის (წევა) ეკლესიაში.

ბავშვობიდან მქონდა დიდი სურვილი სწავლისა, მიმაბარეს კიდეც წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებელში (საგურამოში), მაგრამ, ვინაიდან ჩემი უფროსი ძმები ყველა სწავლობდნენ, ოჯახმა ვეღარ შეძლო ჩემი გამოზრდაც. ამავე დროს საჭირო ვიყავი ოჯახში. ხსენებულ სასწავლებელში დავრჩი სამიოდე წელი. ბინის ქირის და სწავლის ფულის გადახდის შეუძლებლობის გამო დავბრუნდი სახლში. წიგნის უსაზღვრო სიყვარულით და უფროსი ძმების საშუალებით შევიძინე ქართული და უცხო (ქართულ თარგმანებში) ლიტერატურა, რომელსაც განუწყვეტილ ინტერესით ვკითხულობდი დასვენების დროს. ამიტომ ძალიან კარგად გავეცანი მწერლებს. წიგნების გავლენით აღმეძრა სურვილი მეც გამომეხატა ჩემი აზრი ლექსებში არსებული მთავრობის უხეში კანონების წინააღმდეგ. ამასთან მწერა ხალხის ცხოვრების ავკარგიანობაზე.

პირველი ლექსი დავწერე 1890 წელს 18 წლისამ. „ამბავი იმ დროისა, როდესაც საქართველოდან მუდმივი ჯარი პირველად გაიწვიეს“.

ამავე დროს ჩამოყალიბდა ჩემში გარკვეული მიზანი: ჩემი შეძლებისდაგვარად მებრძოლა თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ.

(ჩემს ლექსებს ხშირად ვკითხულობდი ხალხში). სულით და გულით უარყოფდი მთავრობის კანონთა აღმასრულებლების ბოროტ მოქმედებას, რისთვისაც ბევრჯერ ვყოფილვარ დასჯილი, დატყვევებულიც (ხალხის ინტერესების დაცვისათვის ერთხელ პრისტავი ლავრენტი მახარაძე ფიზიკურად შემეხო და დამატყვევა კიდეც).

უარყოფდი ეკლესიის წარმომადგენელთა ბნელ საქმეებს. დავწერე ლექსი „უსარგებლო ძველი ჩვეულება“. ხალხის სააგიტაციოდ მთელი ოჯახით ხშირად ვმუშაობდი უქმე დღეებში, რისთვისაც ყოველთვის ვიყავი დასჯილი.

მენშევიკური მთავრობის დროს არაერთხელ გამოუცხადებიათ ბოლშევიკად და კრებიდან გაუძევებივართ კომუნისტური პარტიის ინტერესების დაცვისათვის. მაგ.: ძირულა-შროშის ხალხთა გაერთიანებულ კრებაზე აშკარად გამოვედი მენშევიკების წინააღმდეგ და გამაძვეეს იქედანაც.

1918 წელს გამოცხადებული იყო თავისუფალი ხმის მიცემა პარტიებისა (ბოლშევიკური, მენშევიკური, ფედერალისტური და სხვა). არსებული მთავრობის მოხელეებმა განზრახ არ მოიტანეს ბოლშევიკური მთავრობის პროგრამა. მე თვითონ წავედი ქუთაისში, მოვიტანე კომუნისტური პარტიის ხმისმისაცემი ბილეთი №5 – 2 ცალი და მე და ჩემმა ცოლმა მივეცით ხმა კომ. პარტიას.

ხალხისაგან ხშირად ვიყავი არჩეული სხვადასხვა სახალხო დაწესებულებებში და თუ რამე ასეთი არსებობდა მაშინ (სახალხო ბანკი და სხვა, ბანკში 7 წელი ვიმსახურე უჯამაგიროდ).

საქართველოს გასაბჭოების დღეს შროშის თემის ხალხი ჩემი ხელმძღვანელობით ზემოთ შეხვდა წითელი არმიის მე-11-ე ნაწილს. იმ დღიდანვე ამირჩიეს რევ-კომის თავ-რედ, რომელსაც პირნათლად ვასრულებდი, მაგრამ ფიზიკური შეუძლებლობის გამო იძულებული გავხდი, თავი დამენებებია. შემდეგ ხალხი ხშირად მირჩევდა სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმეების მოთავედ (სურამ-ძირულის გზატკეცილის საქმეზე დელეგატად, სასურსათო კომიტეტში და სხვ.).

ყოველთვის ვითვლებოდი მოწინავე გლეხად, როგორც მეურნეობაში, ისე მთავრობის დავალებების შესრულებაში, როგ. მაგ.: ყოველგვარი ჩაბარება, სესხის განაღდება, არტელური მეურნეობის ხელის შეწყობა და სხვა.

კოლექტივიზაციის დროს პირველმა მე გავაერთიანე საკუთარი ქონება კოლექტივში. 1923 წელს რაიონმა მე და ჩემი ცოლი სახელმწიფო ხარჯით გაგვაგზავნა მოსკოვში სას.-სამეურნეო გამოფენაზე.

მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვწერდი და ვაქვეყნებდი ლექსებს. თვით-მპყრობელობის დროსაც (რომელიც კი გაეპარებოდა ცენზურას) და შემდეგაც.

1916 წელს გამოქვეყნდა ჩემი ლექსი: „კოოპერაციის მნიშვნელობა“ ჟურნალ „კოოპერაცია“-ს №3-ში.

ყველა ჩემი ლექსები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში, რასაც აგიტაციის მნიშვნელობა ქონდა.

ვითვლებოდი და ვითვლები ადგილობრივი კედლის გაზეთის, რაიონული გაზეთის და ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტად.

მოუხედავად მაგნე ელემენტების ჩემს წინააღმდეგ გალაშქრებისა, არ ვერიდებოდი და არც ვერიდები წინააღმდეგობას. ვაკრიტიკებ და ვამხელ ზოგიერთების უარყოფით მხარეებს. ამით ხელს ვუწყობ საბჭოთა მთავრობას. ამ მიზნებს ასაბუთებს ჩემი ლექსები. მოუთმენლად ველი კომუნიზმს მთელ მსოფლიოში.

ყოველთვის მიყვარდა კოლმეურნეობაში ერთგულად მუშაობა. ვყოფილვარ ბრიგადირადაც. ეხლა 77 წლის მოხუცი ვარ, მაგრამ ვმუშაობ შეუსვენებლივ ფიზიკურად. ჩემზე გაპიროვნებულია მოსავლელად 8000 მ² ვენახიანი ფართობი.

აგრეთვე გაპიროვნებულია ვენახის საცდელი სანიმუშო ნერგი. კოლმეურნეობის გამგეობას სრული ნდობა აქვს ჩემდამი, რომ მე მას კარგად გავახარებ გადასარგავად.

ახალშენი ვენახის კარგად გახარებისა და მოვლისათვის მრავალჯერ მიმიღია ჯილდო წინადაც.

ამას გარდა სანიმუშოდ ვუვლი ჩემ საკარმიდამო ვენახის ნაკვეთს და ბალ-ბოსტანსაც.

შენიშვნა: სიღარიბის გამო არ მქონდა პირობები და დრო (არ მქონდა საკუთარი ოთახი) თავისუფლად მეაზროვნა და ხშირად მიხდებოდა მუშაობის დროს წერა.

ავტორი: ვარლამ ნიკოს ძე ჩიხლაძე
1948 წლის 25 ივნისი

ნინო ანთაძე-ნაკაშიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ნაკაშიძე ნინო იოსების ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1872</u> თვე <u>იანვარი</u> დღე <u>1</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბახვი (ოზურგეთის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1902
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	1920 წლამდე ვიყავი ფედერალისტთა პარტიაში

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალღესი, ისტორიისა და ფილოსოფიის კურსები მოსკოვში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, საბავშვო ჟიურის ლიტერატურის წევრი, საბავშვო ჟურნალის რედაქციის წევრი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „საპატიო ნიშნისა“, მედალები „მამაცური შრომისათვის“, ჩემი დაბადების 75 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავთან დაკავშირებით მომეცა წოდება „სახალხო განათლების ფრიადოსანი“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>რუსთაველის 8</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1921	28	განყ. გამგე	„გრუკავროსტა“- სი	თბილისი
1928	33	რედაქტ. მოადგ.	სახელგამი საბავშ- ვო გამომცემლობა	
1933	37	მდივანი	მწერალთა კავში- რის საბავშვო სექ- ციისა	
1937		კოლეგიის წევრი	განათლების სა- მინისტროსი და სხვ.	
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

ნინო იოსების ასული ნაკაშიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1872 წ. გურიაში, სოფელ ბახვში მახარაძის (ოზურგეთის) რაიონში. მამაჩემი იყო მინის მუშა. შემდეგ მამაჩემი გადასახლდა სამაზრო ქალაქ ოზურგეთში. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შევედი თბილისის საბებიო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ შევედი კერძო ერთნობიან საფერშლო სკოლაში, დავასრულე 1893 წ. ამავე წელს შევედი სამსახურში ქუთაისში ექ. ს. თოფურიას სამკურნალოში ფერშლად. ქუთაისში სამსახურის გარდა ვენეოდი საკვირაო სკოლაში მასწავლებლობას, ვასწავლიდი არითმეტიკას და ქართულ ენას.

1894 წ. გავთხოვდი. მივთხოვდი სტუდენტ, შემდეგში ჟურნალისტ და მწერალს ილია პეტრეს-ძე ნაკაშიძეს, რომელიც იმ დროს სწავლობდა ლენინგრადის (მაშინდელ პეტერბურგის) უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1895 წ. დავბრუნდით თბილისში და ვენეოდი სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეობას მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში, ვმასწავლებლობდი საკვირაო სკოლებში, ვმუშაობდი სახალხო კითხვების მომწყობი წრის ქართული განყოფილების მდივნად, ვიყავი სახალხო თეატრის გამგეობის წევრი და ამასთანავე ვასრულებდი სხვადასხვა როლებს მაშინდელ სახალხო თეატრში – ავჭალის აუდიტორიაში, ვთარგმნიდი რუსულიდან ქართულად მოთხრობებს და ზღაპრებს.

1897 წ. მეფის მთავრობამ გადასახლა ამიერკავკასიის ფარგლებიდან ჩემი მეუღლე ლ. ტოლსტოის აზრების გავრცელებისათვის და დუხაბორების დახმარებისათვის. ჩემი მეუღლე ლ. ტოლსტოის დახმარებით მოეწყო მოსკოვში სამსახურში და 1898 წელს მეც პატარა ბავშვით გადავსახლდი მოსკოვში.

მოსკოვში შევედი ქალთა უმაღლეს კურსებზე ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და ვსწავლობდი ორი წლის განმავლობაში. ავადმყოფობის გამო კურსი ვერ დავამთავრე.

1902 წლიდან დავიწყე თბილისის ჟურნალ-გაზეთებში ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებების ბეჭდვა, გაზეთებში ვაგზავნიდი მოსკოვიდან მასალებს: „კვალში“, „სახალხო გაზეთში“ და სხვა პერიოდულ გამოცემაში. მას შემდეგ ვენევი მწერლობას.

1903 წ. დავბრუნდით თბილისში და განვაგრძობდი ლიტერატურისა და აგრეთვე საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1904 წ. ქართვ. ანარქისტულ კომუნისტებთან ერთად ჩავენერე სოც. ფედერალისტების პარტიაში, სადაც ვითვლებოდი 1920 წლამდის. 1905 წ. „სახ. გაზეთის“ რედაქციის მიერ ვიყავი მივლინებული კორესპონდენტად გურიაში, სადაც ვიყავი 1906 წლამდის და ვაგზავნიდი კორესპონდენციებს „დამსწრე“-ს პსევდონიმით. 1905 წ. გურიაში რევოლუციონური მოძრაობის დროს, როდესაც სრულიად გაუქმებული იყო მეფის მთავრობის გამგებლობა მონაწილეობას ვღებულობდი მცხოვრებლების აღწერაში და ქალ. ოზურგეთის რევოლუციონურ გამგეობის არჩევნებში. არჩეული ვიყავი გამგეობის წევრად. არჩეული ვიყავი აგრეთვე ოზურგეთის სკოლის სარევოლუციო ბიუროს მდივნად.

1905 წ. ნოემბერში გურიაში „ნასაკირალის“ თავდასხმის დროს, როდესაც

საც კაზაკებმა გადაწვეს სოფლები გზადაგზა ნასაკირალიდან ოზურგეთამდის, მე ვიყავი არჩეული გამამწვარ სოფლების მცხოვრებლების მიერ დამწვართა დამხმარე კომიტეტის წევრ-ხაზინადრად.

1906 წ. იანვარში, როდესაც მთელ ქალაქში, ოზურგეთი და აგრეთვე სადგურ ნატანებიდან დაწყებული მთელი რიგი სოფლები გადასწვა დამსჯელმა რაზმმა, დამსჯელი რაზმის უფროსის პოლკოვნიკი კირილოვის განკარგულებით, დატუსაღებული ვიყავი, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ ისევ განვაგრძობდი დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნას (დამწვრების დახმარების შესახებ დოკუმენტები შემდეგ გადავეცი სარევოლუციო მუზეუმს). განვაგრძობდი აგრეთვე კორესპოდენციების გზავნასაც. ოზურგეთის ქალაქის დაწვის დროს გადასწვეს აგრეთვე ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოც, არც ერთი წიგნი აღარ გადარჩენილა და ჩემი მეცადინეობით შეძენილ იქნა წიგნები და ბიბლიოთეკა განახლებული.

1906 წ. ახალი დამსჯელი რაზმის უფროსის – პოლკოვნიკი ტოლმაჩევის განკარგულებით დამატუსაღეს და ერთი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ გამომასახლეს გურიიდან, როგორც რევოლუციონერი. გამომასახლეს ჩემთან ერთად ჩემი მეუღლე ილია ნაკაშიძე, როგორც ტოლსტოის მოძღვრების გამავრცელებელი. ისევ დავბრუნდით თბილისში.

1904 წლიდან თბილისში გამოდიოდა საბავშვო ჟურნალი, სადაც დღიდან დაარსებისა ვლებულობდი უახლოეს თანამშრომლობას. თბილისში დაბრუნების შემდეგაც განვაგრძობდი წერას ბავშვებისათვის.

1908 წ. მე დავწერე პიესა „ვინ არის დამნაშავე“, რომელიც 1910 წლიდან იდგმება საქართველოს თეატრებში დღემდე. ეს პიესა იყო გადაღებული კინოშიაც და იდგმებოდა, სანამ მუხჯი კინოების დადგმა არ მოისპო.

ამავე 1908 წ. თბილისში დამატუსაღეს და გადამასახლეს ერთი წლით ვიატკის გუბერნიაში.

1910 წ. ქართველ ქალთა ერთმა ჯგუფმა ჩემი მეცადინეობით გავხსენით ქართული საბავშვო ბაღი, რომელმაც იარსება 4 წელიწადი.

1910 წ. „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგიამ ამირჩია ამ ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორად და ამ თანამდებობაზე ვიყავი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1921 წლის 25 თებერვლამდე.

1914 წლიდან ამირჩია „კავკასიელ ქალთა საზოგადოებამ“ თავმჯდომარედ. ამ საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული, ქალთა თანასწორუფლებიანობის მოპოება და პროპაგანდას სწევდა მუშა ქალებში, ებრძოლათ ამისათვის. საზოგადოებას ჰქონდა მუშა ქალებისათვის კლუბი, სადაც სწავლობდნენ წერა-კითხვას, სხვადასხვა ხელობას, სხვადასხვა საგნებს და ეცნობოდნენ სხვადასხვა ხალხების ყოფა-ცხოვრებას, მუშათა საკითხს და მწერლობას.

ჩემი ინიციატივით ამ საზოგადოების გამგეობამ გახსნა 20 ქალისათვის ასოთამწყობთა შკოლა და შკოლის დამთავრების შემდეგ ყველანი მუშაობდნენ სტამბაში. ჩემი მეცადინეობით, 1917 წ. ამ საზოგადოების მიერ მოწვეულ იქნა საერთო კრება, რომელმაც დაარსა კოოპერატიული სასადილო. სასადილომ იარსება 1922 წლამდის, არჩეული ვიყავი კოოპერატ. სასადილოს წევრ-ხაზინადრად და ვმუშაობდი 1922 წლამდის.

1914–1918 წლებში ჩემივე მეთაურობით გაიხსნა ქალთა საზოგადოების მიერ ომში განწეულთა და ლტოლვილ 500 ბავშვისათვის სამი სასადილო – ვერაზე, სადგურის ახლოს და შუა ბაზარში.

1918 წელს არჩეული ვიყავი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წევრად. ვმუშაობდი 1927 წლამდის. უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში ვასრულებდი თავმჯდომარის მოვალეობას. 1927 წ. მთელი ფუნქციები, ე. ი. შკოლები, ბიბლიოთეკები, ხელნაწერები და მთელი ქონება გადაეცა განათლების სახალხო კომისარიატს.

1918 წ. მე ვიყავი არჩეული საქართველოს „წითელი ჯვრის“ გამგეობის წევრად. მონდობილი მქონდა თურქეთ-საქართველოს ომის დროს ლტოლვილ ობოლ ბავშვების თავშესაფარის ორგანიზაციის მოწყობა თბილისში, რაც შევასრულე და ვხელმძღვანელობდი მისი სწავლისა და საქმეების წარმოებას 1921 წლამდის, როდესაც მთელი სახლი გადავიდა განათლების სახკომისარიატის განკარგულებაში.

1925 წ. 15 თებერვალს არჩეული ვიყავი სრულიად საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ყრილობის მიერ ცენტრალური კომიტეტის წევრად ერთი წლით.

1924 წ. არჩეული ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად.

1925-1926 წლებში არჩეული ვიყავი ქალაქ თბილისის აღმასკომის წევრად და ვმუშაობდი განათლების ხაზით.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1 მარტიდან მიმინვია „გრუკავროსტა“-მ საბავშვო ლიტერატურის განყოფილების გამგედ, განყოფილებას გავუკეთე ორგანიზაცია და შევუდექი საბავშვო ჟურნალების და წიგნების გამოშვების საქმეს. „გრუკავროსტაში“ ვმუშაობდი 1921 წლის 1 ივნისამდე, როდესაც მთელი საბავშვო ლიტერატურის განყოფილება გადაყვანილი იქნა განათლების სახ. კომისარიატის სოცალზრდის განყოფილებაში. იქ ჩამოვაცალიბე უფრო გაფართოებული სექცია, „სამხატვრო-სალიტერატურო“ სექცია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის გარდა საბავშვო თეატრის საქმესაც მთელ რესპუბლიკაში – ამ სექციის გამგედ ვიყავი დანიშნული განსახკომის მიერ და ვმუშაობდი 1928 წლამდის. 1928 წ. საბავშვო გამომცემლობა გადავიდა სახელმწიფო გამომცემლობის განკარგულებაში და გადავიდა სახელგამში საბავშვო ლიტერატურის სექტორის გამგის მოადგილედ და მთავარ რედაქტორად.

1933 წ. 15 აპრილიდან ავადმყოფობის გამო იძულებული ვიყავი დამეტოვებინა სამსახური. სახელგამში სამსახურის დროს სამჯერ ვიყავი არჩეული ადგილკომის წევრად. ვენედი აგრეთვე როგორც განსახკომში, ისე სახგამომცემლობაში საზოგადოებრივ მუშაობას – რემედასში, პროფკავშირში, კედლის გაზეთებში და სხვ. რამდენჯერმე ვიყავი წითელ დაფაზე გაკრული და დაჯლდოვებული. სამსახურიდან გამოსვლის დროს საერთო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა მომეცეს პერსონალური პენსია და 1933 წლიდან ვარ პერსონალური პენსიონერი.

1902 წლიდან მე განუწყვეტლად ვენევი მწერლობას და კულტურის

დარგში საქმიანობას. 1933 წ. სექტემბერში მე ვიყავი არჩეული საქართველოს მწერლების კავშირის ლიტსექციის თავმჯდომარედ, ამ თანამდებობაზე ვმუშაობდი უსასყიდლოდ 1937 წლამდის. 1937 წ. მოსკოვში ქართული საბავშვო წიგნების გამოფენაზე ვიყავი მივლინებული კავშირისაგან. იქ წავიკითხე მოხსენება საბავშვო წიგნებისა და ჟურნალების მიმართულებისა და წარმოების შესახებ. სექციამ ჩემი მუშაობის დროს შეკრიბა საბავშვო წიგნები და ძველი და ახალი მასალა მწერლებისათვის საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად. იყო 3000-მდე წიგნი, რომელიც გადაეცა საბავშვო ცენტრალურ ბიბლიოთეკას. ამჟამად მე ვარ წევრი მწერლების კავშირის გამგეობის. ვმუშაობ საბავშვო ჟურნალ „პიონერში“, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი. ვწერ მოთხრობებს, როგორც ჟურნალ „პიონერში“, ისე ჟურნალ „დილაში“ და ვათავსებ ჟურნ. „მნათობში“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ სტატიებს და მოგონებებს.

1919 წ. მე დავწერე პიესა „კაცის სამართალი“, რომელიც იდგმებოდა, როგორც რაიონებში, ისე თბილისში.

1939 წ. დავწერე პიესა „ჩვენ გავიმარჯვებთ“.

ვმუშაობ განათლების სახ. კომისარიატის საბავშვო ლიტერატურის კოლეგიაში და წევრი ვარ აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებთა გამოვლინების ჟიურისა.

1948 წ. თებერვალში მწერლების კავშირის გამგეობის ინიციატივით გამართა ჩემი 75 წლის და 45 წლის მოღვაწეობის საიუბილეო საღამო. მივიღე შემდეგი ორდენები:

1946 წ. საპატიო ნიშანი.

1948 წ. მედალი „სახალხო განათლების წარჩინებული“.

მაქვს გამოცემული საბავშვო წიგნები და სხვ.

ნ. ი. ნაკაშიძის ნაწარმოებები:

1. შობა.
2. საყმანვილო მოთხრობები (დანერილია რევოლუციამდე).
3. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი გრძელია“, 1921 წ.
4. „კომბლე“ (ზღაპარი), 1924 წ.
5. „ჩემი პირველი წიგნი“, 1928 წ.
6. „პატარა მშენებლები“, 1928 წ.
7. „ეზოში“, 1931 წ.
8. „ტყეში“, „-“.
9. „მინდორში“, „-“.
10. „ოთახში“, „-“.
11. „პატარა ეთერის დღე“, 1932 წ.
12. „ნავთსადგური“, „-“.
13. „ვინ არის დამნაშავე“, პიესა, 1933 წ.
14. „ოქტომბრელები ბათუმში“ (პიესა), 1933 წ.

15. ზღაპრების კრებული, 1935 წ.
16. მოთხრობების კრებული, 1936 წ.
17. საბავშვო მოთხრობების კრებული, 1937 წ.
18. ზღაპრების კრებული, 1937 წ.

თარგმანები:

19. ლ. ტოლსტოის „ბავშვობა და სიყვარული“.
20. დიკენსი „სკიუჯი და მარლეი“.
21. ანდერსონის ზღაპრები 3 წიგნი.
22. ლენინის ბავშვობა ულიანოვკაში.
23. ლიდინის „რევოლუციონერი ბავშვები“.
24. ფიჩ. ბერკინზისა „პატარა ჰოლანდიელები“.
25. „ჩვენი მდინარე“, 1942 წ.
26. „რთველი“ (მოთხრობა), 1946 წ.
27. „ულა და თეო“, 1947 წ.
28. „მოგონებები“, 1948 წ.
29. „კომბლე“, 1950 წ.
30. „მის. ლომონოსოვი“, 1950 წ.
31. „მოგონებები“, 1950 წ.
32. მოთხრობები და პიესები, 1950 წ.
33. საბავშვო მოთხრობები, 1952 წ.
34. „ლევ ტოლსტოის ახლოს“, მოგონებები, 1954 წ.
35. „კოჯრის პიონერთა სახლი“.
36. „მონადირის დღიურიდან“, 1955 წ.
37. მოთხრობები, 1955 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

იპოლიტე ვართაგავა მოკლე ბიოგრაფია და ნაწერთა სია

ამ ხელნაწერს ვანდობ ჩემს ძვირფასს
შვილს – თინას – საშვილიშვილოდ შესანახად

იპ. ვართაგავა, 1933 წ., 8/12

მე დავიბადე 1872 წელს, 30 იანვარს, სოფ. ხეთაში (ყოფ. ზუგდიდის მაზრა), ლარიბ მედავითნეს ოჯახში. ხუთი წლის დედ-მამით დავობლდი. მზრდიდა მამითგან ბიძა, შემდეგ, როცა ეს ბიძაც გარდაიცვალა – დედიდგან ბიძა.

სწავლა დამაწყებინეს ჯერ სოფლის სკოლაში, შემდეგ სენაკის სასულიერო სასწავლებელში. უკანასკნელში სწავლა დავამთავრე 1888 წ. იმავე წელში შევედი თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ კურსი უნდა დამემთავრებინა 1893 წ., მაგრამ 1892 წლის დეკემბერში მომხდარ სემინარიის მონაფეების აჯანყების გამო, სემინარია ერთი წლით დაიხურა და მეც სემინარია დავამთავრე 1895 წელს. როგორც პირველი მონაფე, სემინარიაში მიღებულ წესისამებრ, მე უნდა გავეგზავნეთ სახელმწიფო ხარჯზე რომელიმე აკადემიაში, მაგრამ 1893 წელში, ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილი ჩემი მოწინავე წერილის გამო („სამეგრელოს ვითარება“), მე უარი მითხრეს გაგზავნაზე. ამ წერილში მე ვგმობდი აშორდიას და აშორდიზმს და მის მომხრე მასწავლებლებს სამეგრელოში (ისინი მოითხოვდნენ ქართული ენის განდევნას სამეგრელოს სკოლებში და მეგრულის შემოღებას). სწორედ უკანასკნელმა გადმოთარგმნა ეს ჩემი წერილი და კავკ. მზრუნველს – იანოვსკის გაუგზავნეს. უკანასკნელმა გადაუგზავრა ეგზარხოსს; ეგზარხოსმა – სემინარიის პედაგოგიურ საბჭოს. ამ ნიადაგზე ჩემი კანდიდატურა მოხსნილ იქნა, და აკადემიაში გააგზავნეს მეორე და მესამე მონაფეები (კაჭახიძე, ქუთაისის მიტროპოლიტი ამჟამად და ნიკ. თალაკვაძე, ყოფ. დეკანოზი). მე მაინც „ვოლონტიორად“ წავედი ყაზანის აკადემიაში, სადაც გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ჩამრიცხეს სტუდენტად (უნივერსიტეტში ან საბეითლო ინსტიტუტში მაშინ სემინარიელებს არ იღებდნენ).

ყაზანის აკადემია დავამთავრე 1899 წელს. გათავების შემდეგ მინდოდა საქართველოში მემსახურნა, ვცადე კიდევ, მაგრამ ეს არ მოხერხდა, და 1899 წ. 15 ოქტომბერს მე დამნიშნეს ყოფ. ტავრიდის გუბერნიაში, ქ. სიმფეროპოლში, სამინარიის ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობაზე, სადაც ვმსახურობდი 1907 წ. 12 დეკემბრამდე.

1907 წლის 12 დეკემბრიდან მე გადმომიყვანეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში რუსული სიტყვიერების მასწავლებლად, სადაც ვმსახურობდი 1918 წლამდე. 1918 წელს თბილისის სასულიერო სემინარია გადაკეთდა მე-8 გიმნაზიად. ამ გადაკეთებულ გიმნაზიაში ვმსახურობდი 1919 წლამდე რუსულ სიტყვიერების მასწავლებლად.

1919 წელს იმავე საგნების მასწავლებლად დამნიშნეს მე-14 ტექნიკუმში, სადაც ვმსახურობდი 1921 წლამდე. 1921 წლიდან 1926 წლის 15 სექტემბრამდე ვმსახურობდი ქიათურაში, ჯერ ქიათურის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში – ქარ-

თულ და რუსულ ენების მასწავლებლად, უკანასკნელ ორ წელს კი ჭიათურის 9-წლედის გამგეთ. 1925 წლ. 15 სექტემბრიდან 1927 წ. 15 სექტ. ვიყავი ხეთის 9-წლედის გამგეთ. 1927 წლის 15 სექტ. 1928 წ. მაისამდე ვიყავი ფინსახკომის გამგებლობაში მყოფ უმაღლეს ეკონომიურ-ფინანსურ ორწლიან კურსების სასწავლო ნაწილის გამგედ.

უფროსი ვაჟის სიკვდილის შემდეგ, მე ვერ შევძელი სამსახური, და ერთი წლის განმავლობაში (1929) ვცხოვრობდი სოფ. ბჟინეში. 1930 წ. მე მიმინვიეს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში სტილისტ-კორექტორად, ამავე წლის მარტში მე დამნიშნეს საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების საინფორმაციო სექტორის გამგეთ.

1931 წ. მებრძოლ უღმერთოთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმმა მიმინვია ჟურნ. „რელიგიის წინააღმდეგის“ პ/მ მდივნად და ცენტრალ. საბჭოს გამოცემათა რედაქტორად. აქ ვმსახურობდი 1932 წ. 29 რიცხვიდან. თანახმად ჩემი თხოვნისა, მე განთავისუფლებულ ვიქენ სამსახურიდან.

1936 წელს მე ვმსახურობდი ქ. სოხუმში, ქართულ მესამე სკოლაში, მასწავლებლად. 1937 წლიდან დღემდის ვმუშაობ ქ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექტორად. გორში პარალელურად ვმუშაობდი ქართულ ლიტერატურის მასწავლებლად გორის 1 და 4 საშუალო სკოლებში. შეთავსებით ვმუშაობდი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1939–1946 წწ.). 1945 წელს მომეცა დოცენტის წოდება. 1946 წ. მომენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ამავე დროს მე ვენეოდი საქართველოში სამსახურის დროს, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებრივ მუშაობას:

ვიყავი: 1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 2. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭოს წევრი. 3. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე. 4. აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის ჯერ გამგეობის წევრი, შემდეგ – თავმჯდომარე. 5. სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის წევრი. 6. საქართველოს მწერალთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 7. მებრძოლ უღმერთოთა საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 8. ჭიათურის მასწავლებელთა ადგილკომის თავმჯდომარედ. 9. ჭიათურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და სხ.

სია ჩემი ნაწერების ქრონოლოგიურად (ეს სია ჩემი ნაწერებისა არ არის სრული) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის:

1. პირველი ჩემი ორიგინალური წერილი (მეთაურად) დაიბეჭდა ჟურ. „კვალის“ 1894 წლის ივლისის ნომერში, სათაურით „სამეგრელოს ვითარება“, იპო ხეთელის ფსევდონიმით. აქვე დაიბეჭდა აგვისტოს ნომერში იმავე სათაურით (მეთაურად) მეორე წერილი. მაშინ მე ტფილისის სემინარიის მეექვსე კლასის მოწაფე ვიყავი.

1897 წელში (მაშინ მე ყაზანის აკადემიის სტუდენტი ვიყავი) გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა შემდეგი ჩემი წერილები: 1. „პროფ. ისაევის რეფერატი სოციოლოგ კიდის ევოლიუციონურ თეორიის შესახებ“ (№5). 2. „ერის განმანათლე-

ბელნი (მასწავლებლები) და მათი მდგომარეობა“ (№№34 და 35). 3. „ოქროს მთები და ბირჟის მეფენი“ (№№101 და 151). 4. „თვითმკვლევლობა და მისი გამომწვევი მიზეზები“ (№№150 და 151). 1898 წელში იმავე „ივერიაში“ დაიბეჭდა: 1. „რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას?!“ (№№222 და 230). 2. „ძალა სიყვარულისა“ (№12). 1899 წელში იმავე „ივერიაში“ დაიბეჭდა (მაშინ აკადემიის უკანასკნელ კურსზე ვიყავი) შემდეგი პოლემიკური წერილები: 1. „ბაზრობა“ „კვალისტების“ – რიხიანობა-ამპარტავნობა-ფანატიკოსობისა“ (№17). 2. „ნიმუშები „კვალისტების“ – რიხიანობა-ამპარტავნობა-ფანატიკოსობისა“ (№№53 და 54). 3. „დაუღლელთა“ ფრაზიორობა და შაბლონური ქადაგება“ (№№79 და 80). 4. „ბ. ნ. ჟორდანიას და „მისთა ძმათა“ რეალური მამულისშვილობა“ (№№252, 253 და 254). 5. „უტილიტარისტები და მათი მოძღვრება“ (№194 და 198).

სტუდენტობის დროსვე ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა ერთად-ერთი ჩემი მოთხრობა „ვინ არის მართალი“. ამის მეტი ჩემს დღეში არც ლექსი და არც მოთხრობა არ დამინერია.

1899 წ., როგორც ზემოდ მოვიხსენიე, ოქტომბრიდან მე დამნიშნეს ქ. სიმფოროპოლის სას. სემინარიაში ინსპექტ. თანაშემწედ და მასწავლებლად (ვასწავლიდი სამოქალაქო ისტორიას და ლათინურ ენას), სადაც ვმსახურობდი 1908 წლამდის. ამ მდგომარეობამ მე დროებით მომწყვიტა ქართულ ლიტერატურას, მაგრამ მწერლობას მაინც მივსდევდი რუსულ ენაზე. ამ ხნის განმავლობაში მე ვიღებდი მონაწილეობას ადგილობრივ გაზეთში „სალგირ“, „ნეზდემნის“ ფსევდონიმით, ვათავსებდი წერილებს „ეპარქიალურ უწყებაში“.

სიმფოროპოლშივე დაიბეჭდა სამი ჩემი წიგნი (მონოგრაფია) რუსულ ენაზე: 1. Свят-отец. учение о духовно-нравственном образовании и воспитании детей. Симферополь, 1904 г. 2. Истинный пастырь. Свят. от. идеал христианского пастыря, Симферополь, 1906 г. 3. Грузинская духовная переводная и оригинальная литература с VI по XVIII в., Симферополь, 1907 г.

1908 წლიდან (ამ წელში მე გადმომიყვანეს თფილისის სემინარიაში რუსულ სიტყვიერების მასწავლებლად) დღემდის, 1961 წლამდე, დაიბეჭდა შემდეგი ჩემი პუბლიცისტური, კრიტიკული და მეცნიერული ხასიათის სტატიები და წიგნები: 1. ჟურ. „საქართველოს მოამბეში“ (1909 წელს). „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველეს დროიდან“ (№№1, 2, 4, 7, 8 და სხვა). 2. ჟურ. „ერში“ 1910 წ. „მოკლე მიმოხ. ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდან“ (№№1, 2, 13, 14, 17 და სხ.), სულ 14 წერილი. ეს გაგრძელებაა „საქ. მოამბეში“ დაბეჭდილ წერილებისა. ჟურ. „საქართველოს მოამბეში“ და „ერში“, „ცხოვრება და ხელოვნებაშიც“, მე ვიყავი მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის მიერ მიწვეული „კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის“ რედაქტორად.

ჟურ. „ცხოვრება და ხელოვნებაში“ 1910 წ. დაიბეჭდა ჩემი წერილები: 1. „პროზა და პოეზია“ (№1). 2. „დრამატული პოეზია“ (№3). 3. „ლიტერატურული შენიშვნები“ (1911 წ., №№8, 9, 10 და 11).

გაზ. „სახალხო გაზეთში“ 1912 წელს დაიბეჭდა: 1. „ჩვენი ბელეტრისტები, მოთხრობები დუტუ მეგრელისა“ (№№560, 561, 562, 564, 565, 567). 2. „ჩვენი ბელეტრისტები, ია ეკალაძის შემოქმედება“ (№№728, 730, 731, 733, 734, 739, 740 და 744).

ჟურ. „განათლებაში“ 1911-დან 1914-მდე დაიბეჭდა შემდეგი ჩემი წერილები: 1. „რ. ერისთავის შემოქმედება“ (კრიტიკული გარჩევა, სამი დიდი წერილი). 2. „სიმღერა მთის შვილის – ვაჟა-ფშაველასი“ (ათ ნომერში). 3. „მოქალაქეობრივი მოტივები ჩვენს პოეზიაში“ (მთელი რიგი წერილები). 4. „ირ. ევდოშვილის პოეზია“ (კრიტიკული განხილვა). 5. „სამშობლოს გაცნობა“. 6. „ნაგრძნობ-დანაკვირვები: ჩვენ ინტელიგენტ მშობლებ-ნათესავეებში“. 7. ახალი ქართლის შვილები: „ფლიდი“, „ჭკვიანი“, „მამაცი“ (ფსიქ. დახასიათება). 8. „ნიმუშები ჩვენი დაავადებებისა“. 9. „ავადმყოფური შემოქმედება“ (1919 წლის ნომერში), ფსიქოპათოლოგიური ნარკვევი.

გაზ. „კოლხიდაში“ 1911 წ. (გამოდიოდა ქუთაისში) დაიბეჭდა ჩემი წერილი „რა გვაკლია?“ (№№55, 46, 45, 80, 106).

გაზ. „საქართველოში“ დაიბეჭდა: 1. „სოფელი და სოფელები სოფ. მაგალობლიშვილის მოთხრობებში“ (14 ფელეტონი). 2. „ჩვენი ახალ მწერლობის მამამთავარი – ნ. ბარათაშვილი“ (სამი ფელეტონი). 3. „წინაპარნი და მამამთავარნი ქართველ ფუტურისტებისა“ (1918 წ., №41 და 42). 4. „მიმქრალი შარავანდედი“ (1918, №49). 5. „იოსებ ოცხელი“ (1918 წ., №72). 6. „წინაღ დევნილნი, ახლა კი (დღეს) მივიწყებული მწერლები“ (სამი ფელეტონი).

კრებულ „გრდემლში“ 1912 წ. დაიბეჭდა ჩემი დიდი კრიტიკული ეტიუდი (83 გვერდიანი) „პოეტ-მოქალაქე გრ. აბაშიძის პოეზია“ (№1).

ქუთაისის ჟურნალში „განთიადში“ (გამოდიოდა ხომლელის რედაქტორობით), დაიბეჭდა ჩემი წერილი: „იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება“, 1919–1921 წ.

ცალკე წიგნებად (საქარ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის) დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფიები: 1. „ვაჟა-ფშაველა“ (კრიტიკული მიმოხილვა), წერკითხ.საზ. გამოცემა, 1921 წ. 2. „შიო მღვიმელი და ბავშთა სამყარო“ (მთავარი შვილის გამოც., ქ. ქუთაისი). 3. „ევდოშვილის პოეზია“. 4. ჟურ. „მწყემსში“ „ქართ. განათლ.“, №2.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაიბეჭდა შემდეგი ჩემი წიგნები და წერილები: 1. 1922 წ. ქ. თფილისში პოლიგრაფ-ტრესტმა გამოსცა ჩემი წიგნი „სიტყვიერების თეორია“ (სახელმძღვანელო). 2. 1928 წ. ქართ. კულტ-მოყვ. საზოგ. გამოსცა ჩემი კრიტიკული გარჩევა: მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება.

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩემი წერილები: 1. „საბჭოთა კავშირი – ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც უმუშევრობა კლებულობს“ („ვა“-ს ფსევდონიმით). 2. „სოციალისტურ მიზან-მოქმედების ფორპოსტები“ (იმავე ფსევ.).

ჟურ. „რელიგიის წინააღმდეგში“ დაიბეჭდა ჩემი წერილები: 1. „როგორ იშობოდნენ ღმერთები“ (1930 წ., №8). 2. „აღმოსავლეთის რელიგიების ისტორია“ (1931 წ., №2-3-4). 3. „აღდგომის დღესასწაულის წარმოშობა და მისი წესები“. 4. „ეკლესია და რევოლიუცია („შვალუეთელის“ ფსევდონიმით), 1931 წ. №5-6). 5. „მაქსიმ გორკი“ (64 წლისთავი, 1931 წ., №7 და 8). 6. „ვ. მაიაკოვსკი“ (გარდაცვალების ერთი წლის თავი, 1931 წ., №№7 და 8). 7. „მებრძოლი ვატიკანი“ (იქვე). 8. „კულტურული კონტრევოლიუცია და რელიგია“ – „კანდრატევიჩინა“ (იქვე). 9. „რას წარმოადგენს რელიგია თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში?“ 10. „რელიგიურ დღესასწაულების სოციალური მავნებ-

ლობა“. 11. „დავით კლდიაშვილი“ (გარდაც. გამო., 1931 წ., №9). 12. „საერთაშორისო მდგომარეობა და უღმერთოთა ამოცანები“ (1931 წ., №№21, 22, 23 და 24). 13. „ახალი უღმერთო ყოფაცხოვრებისათვის“ („ურთას“ ფსევდონიმით, 1931 წ., იქვე). 14. „აღზრდა მუსოლინის და რომის პაპის რეცეპტით“ (იქვე). 15. „ხელოვნება ანტირელიგიურ კამპანიისათვის“ (იქვე).

ჟურ. „მებრძოლ უღმერთოში“: 1. „ეკლესია და მსოფლიო კრიზისი“ (1932 წ., №1). 2. „როგორ არის მოწყობილი სამყარო და როგორ წარმოიშვა ქვეყანა“ (1932 წ., №3). 3. „აღდგომის დღესასწაულის კლასობრივი როლი“ (1932 წ., №14). 4. „ხუცობის და კულაკობის სააღდგომო ლაშქრობა სოციალიზმის წინააღმდეგ“ (იქვე). 5. „სააღდგომო ყოფა-ცხოვრების მავნებლობა“ (იქვე). 6. „რელიგიის ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ“.

გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში მე ნავიკითხე რამოდენიმე ლექცია: 1) ხელოვანთა სასახლეში: „ალ. შანშიაშვილის შემოქმედება“. 2) განათლების მუშაკთა სახლში: „ეგ. ნინოშვილი“, „ქართველი ქალი ქართულს ლიტერატურაში“.

1932 წ. რადიოთი გადასცეს 5 ჩემი ლექცია „ქრისტიანობის წარმოშობა“.

ეს სია ჩემი ნაწერებისა არ არის სრული: ზოგი ვერ მოვანხე, ვერ მოვიგონე. ჩემი დიდი წერილი: „ქართველთა განათლების ორი უმთავრესი ცენტრი“, როგორც აღმოჩნდა, ეს წერილი ყოფილა დაბეჭდილი ლამაზშიძის ჟურნალ „მწყემსში“, 1901 წ., აპრილ-მაისის №№. ამ დღეებში სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ერთ ნაცნობის ოჯახში „ფეჩის“ ასანთებად დამზადებულ ძველ ჟურნალ-გაზეთებში ჩემი წერილი-მოსხენება, მწერალი ვასილ ბარნოვის იუბილეზე (1921 წ.) ნაკითხული. ეს წერილი საბოლოოდ დაკარგულად მიმაჩნდა (იხ. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, №1, თფილისი, 1922 წელი, ჩემი წერილი სათაურით: „ვასილ ბარნოვი“).

გარდა ამისა, სახელგამის შეკვეთით, მე 1931 წ. და 1932 წ. გადავთავრგმნე შემდეგი ანტირელიგიური ხასიათის წიგნები (რომლებიც დაიბეჭდა ცალკე წიგნებად): 1) ს. ურსინოვიჩი „ქრისტიანობის წარმოშობა“, 2) „ისლამი და მისი კლასობრივი როლი“, 3) ნ. რუმინცევი „ქრისტეს აღდგომა და მისი მნიშვნელობა“, 4) ფ. კოვალიოვი „რელიგიური დღესასწაულების კალენდარი“ და სხვ. (სულ 7 წიგნი). შევადგინე წიგნი „არსებობდა თუ არა ქრისტე“ (არ დაბეჭდილა).

გარდა ამისა, დავწერე: 1. „შევჩენკოს ცხოვრება და შემოქმედება“ (ვრცელი მონოგრაფია) და 2. „ლერმონტოვი, როგორც ნაციონალური პოეტი (ვრცელი მიმოხილვა).

P. S. მასწავლებლად დავინიშნე 1899 წ. 15 ოქტ. კორესპონდენციებს „ივერიაში“ ვწერდი უფრო ადრე (1892-3 წლებში).

იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავა
ქ. თბილისი
[1961 წელი]

ია ეკალაძე – იაკობ ცინცაძე

ჩემი ავტობიოგრაფია

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმს

თანახმად დასახელებული ფედერაციის პრეზიდიუმის მომართვისა, ამა წლის 27 მაისის თარიღით, №244, ამასთანავე გაახლებთ ჩემს მოკლე ავტობიოგრაფიას.

ჩემი ცხოვრების ვრცელი აღწერა იქნებოდა 80-იან და 90-იან წლების საქართველოს ცხოვრებისა, აზროვნებისა და რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიის დაწერა. ამისთვის კი არც სათანადო დრო მაქვს მოცემული და არც გარემოება მიწყობს ხელს. აღვნიშნავ მხოლოდ მთავარ მუხლებს ჩემი ყოფაცხოვრებისას ამ ორმოცდა თვრამეტი წლის განმავლობაში.

მე დავბადებულვარ 1872 წლის 25 მარტს, სოფელ ციმისში, თერგის ოლქშია, პირიქით ოსეთში, სადაც მამა ჩემი – თომა მიქაელის ძე ცინცაძე, გადმოხვენილი ოზურგეთის მაზრის სოფელ ბუკისციხიდან (ჩოხატაურის რაიონი) იმ დროს მთავარ დიაკონად ყოფილა, როგორც წვერი ოსეთში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა და მისიონერი.

დედა ჩემი – ეკატერინე სიმონ გოგიჩაიშვილის ასული ნაოსარი იყო, ქალაქ ცხინვალში აღზრდილი და იქაურივე მოზინადრე.

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე პირაქეთ (სამხრეთ ოსეთის) სოფ. ჯავის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. იმ დროს მამა ჩემი უკვე მღვდლად იყო მაღლადოვლეთში (სოფ. ედისა), სადაც გარდაიცვალა და სადაც დღემდე იმყოფება იმის დავინწყებული სამარე.

თორმეტ წლამდე ქართული მხოლოდ საყველ-პუროდ ვიცოდი. ჩემი სამშობლო ენა მაშინ იყო ოსური, რომელზედაც პირველად გავიგონე და ვისწავლე ხალხური ლექსები და თქმულებანი, რამაც შემდეგში დიდი გავლენა იქონია ჩემს პოეტურ განწყობილებასა და გულისთქმა-იდეალებზე. დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე აგრეთვე თვით დიდი ლიახვის ხეობის მშვენიერსა და ზეალმტაც ბუნებას, რასაც დღესაც ხშირად ავწერ ხოლმე ჩემს მოთხრობებსა და ესკიზებში.

მამა ჩემი – მღვდელი თომა ცინცაძე უსწავლელი კაცი იყო – მხედრული და ხუცური ანბანი ესწავლა დავ. გარეჯელის მონასტერში, სადაც თავი შეეფარებინა გურიიდან გამოქცევის შემდეგ. მეტად ფიცხი, დაუდგარი და მოუსვენარი ადამიანი იყო, თავის სამსახურით ფანატიკოსობამდე გატაცებული. მახსოვს, მაშინ სულ პანია ვიყავი, ერთ აღდგომა დილით, მამამ გვიბრძანა ბავშვებს: „დადექით და „ქრისტე აღსდგა“ იგალობეთო“. ბავშვები ჯარის კაცებივით გამოვიჭიმინით და დავიწყეთ გალობა, მაგრამ სააღდგომო გოჭს ისე დაეკრიჭა კბილები სუფრაზე, რომ მე თავი ველარ შევიკავე და სიცილი წამსკდა. სხვებმაც მომბაძეს, დაიშალნენ, აირივნენ და წითელ კვერცხებს ეცნენ... მამა ჩემი განრისხდა, განყრა: სათითაოდ წაგვავლო ხელი, ბანრით შეგვკრა და სააღდგომო სუფრის ქვეშ გვიკრა თავი. თვითონ კი ისევ სუფრას მიუჯდა და განაგრძო პურის ჭამა.

ჩვენ ლეკვებივით ვწავწკავებდით მაგიდის ქვეშ.

– ავი კაცი აღდგომასაც ავიაო. – უთხრა დედა ჩემმა და დაიწყო ჩვეულებრივი ცოლქმრული ჩხუბი და საყვედურები. გაცეცხლებული მამა მალე გარეთ გავარდა. ჩვენ ამითი ვისარგებლეთ, გავიხსენით ხელ-ფეხი და გუგულებივით შემოვუსხედით ატირებულ დედას...

ამ დღიდან მღვდლებსა და ეკლესიაზე გული ამიცრუვდა და დავკარგე ყოველივე რწმენა საეკლესიო წესებსა და დოღმატების შესახებ. ჩემი ბავშური ურწმუნობა გააორკეცა შემდეგმა გარემოებამაც: პირველი „აღდგომა“, რომელიც მე მახსოვს იყო ის, რა დღესაც მამა ჩემმა ასე დაგვტუქსა. არ ვიცი, რათ, მაგრამ ამ აღდგომას მოუთმენლად მოველოდი და დაჯერებულიც ვიყავ, რომ ეს დილა უთუოდ წითელი უნდა ყოფილიყო. როგორც იყო, ველირსე აღდგომის გათენებას, მაგრამ ამ დღით ცა ისე მოქურუშებული იყო, რომ კლდის ძირას მიყუჟულ ჩვენ ქოხში ლამფის ანთება დაგვჭირდა. მალლა მთებში კი ისე გრგვინავდა ქუხილი, გეგონებოდათ, ზარბაზნებს ისვრიანო. მთელი დილა ნანყენი და გულ-მოკლული ვიყავ, მოტყუებული, იმედ გაცრუებული, მერე ხომ მამის წყრომაც დამატყდა თავზე და... შეირყა ჩემში ბავშური წარმოდგენა ღმერთზე და ყველა იმაზე, რასაც მამაჩემი ყოველ დღე ჩაგვძახოდა ყურში. შემდეგში, როცა სემინარიაში სამღვთო წერილი გავიარე და ცხოვრებაში ბევრი სიმწარე ვნახე, ღმერთი და სარწმუნოება არასოდეს აღარ ყოფილა ჩემი ძიების საგნად. ვინაიდან ღმერთი დიდი ხნის აღმოჩენილია, იგი განხორციელებული ფანტაზიაა ამა თუ იმ ერისა, შეფერადებული ამა ქვეყნის ძლიერთა და განსწავლულთა სურვილისა და იდეალებისამებრ. თითოეულ ერს ჰყავს თავისი ისტორიისა, მისწრაფებისა და კულტუროსნობის შესაფერისი ღმერთი, მაგალითად ებრაელების, ყველაზე დევნილი და ტანჯული ხალხის, ღმერთი საბაოთი არის ღმერთი – განხორციელებული შურისძიება. ძველი რუსეთის ღმერთი – იყო განხორციელებული ჟანდარმი – მსურველი მთელ ქვეყანაზე გაბატონებისა. ჩვენი, ქართველების ღმერთი კი მე მუდამ წარმომადგენდა ჭუჭყიან, უმეცარ და ჩოხა დახეულ ტეტიად, რომელსაც ყველა თავში უფაჩუნებს...

1881 წელს გარდაიცვალა მამაჩემი და ჩვენ – დედა და ხუთი ერთი ერთმანეთზე მომდევნო ბავშვი ყოვლად უმწეოდ დაგვტოვა. მე მაშინ უკვე გორის სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი. ჩვენი იმდროინდელი ყოფნა და გაჭირვება აწერილი მაქვს მოთხრობებში: გარეთ უბანი, ნენესას, დაუდეგარი, თეო და სიკოს სახლობაში, ხოლო იმდროინდელი სწავლა-აღზრდის საქმე, საზოგადოებრივობა და ინტელიგენცია აწერილი მაქვს მოთხრობებში: ანდრია ავყიაშვილი, ოლონდაც, ტყეშიც, მთაო მაღალო!

1887-ში გაზაფხულზე დავასრულე გორის სასულიერო სასწავლებელი და ამავე წლის შემოდგომაზე გადმოვედი ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

ეს სასწავლებელი დაარსებულია 1817 წელს და ისეთი დიდი და საყურადღებო ისტორია აქვს, რომ ცალკე მონოგრაფიის ღირსია. სამოცდა ხუთმეტი პროცენტი თუ არა, ორმოცდა ათი პროცენტი მაინც ჩვენი ინტელიგენციისა, მებრძოლებისა და მწერალ-მოღვაწეებისა ამ სასწავლებლიდან არიან გამოსულნი, თუმცა შვილებმა ვერავითარი პატივისცემა ვერ გადაუხადეს აღმრზდელ ჭირნახულ შენობას და ზოგმა (მენშევიკებმა) სამიკიტნოთა და

საროსკიპოთ გახადეს. უკანასკნელ დრომდე იმ ოთახებში, სადაც სწავლობდნ და ოცნებობდნ ჭონქაძეები და გოგებაშვილები, სასტუმრო გამართეს, ზოგმა კი აყროლებულ ფევილის საწყობებათ გადააქციეს! ნუ თუ ღირსი არ იყო ეს ძველის ძველი სასკოლო შენობა, რომ აქ ერთ-ერთი სამეცნიერო ინსტიტუტი დაარსებულიყო?..

როცა მე ტფილისის სემინარიაში შევედი, 1887 წლის შემდგომაზე, იქაური ცხოვრება და მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთობა ისევ აბობოქრებული და უნდობლობით გაჟღენთილი იყო. აღსანიშნავია, რომ ტფილისის სასულიერო სემინარია, რომელიც დაარსებული იყო იმ მიზნით, რომ სარწმუნოებისა და მისი უღირსი წარმომადგენლების – ბერ-მონოზნების მეოხებით ქართველი მოზარდი თაობა გადაგვარებისა და უნამუსობის გზაზე დაეყენებინათ, მალე გადაიქცა ეროვნული თვით შეგნებისა და რევოლიუციონურ მოძრაობის ბუდედ და აკვნად მაშინდელი მთავრობის უნამუსო დაზიდვას, ნამუსიანი წინააღმდეგობა მოჰყვა და სემინარია მუდამ იყო „ბუნტარობის“ კერად.

ერთი წლით ადრე ჩემ შესვლამდე, ე. ი. 1886 წელს სემინარიაში ორი თვალსაჩინო და რევოლიუციონური ამბავი მოხდა. ჯერ ერთი, სილიბისტრო ჯიბლაძემ გვარიანად გატყობა ამ სასწავლებლის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი, დააგლიჯა ნვერ-ულვაში, ჩასდო პაკეტში და გატყეპილი რექტორს გაუგზავნა ზედწარწერით: „შენი შენთაგან, შენდა შემწირველი ერთისაგან ყოველთათვის“. მერე ესევე რექტორი ჩუდეცკი ღორივით დაჰკლა სემინარიელმა ლალიაშვილმა. ამას მოჰყვა საქართველოს საჯაროდ დაწყველა ეგზარხოს პავლესაგან, პროტესტი დიმიტრი ყიფიანისა, მისი გადასახლება და მოკვლა ბერებისაგან სტავროპოლში 1887 წელს. დიმიტრი ყიფიანის ნეშტის ჩამოსვენება ტფილისში და ძალით დასაფლავება მამა დავითზე. ერთი სიტყვით, ისეთი ამბები, რომლებიც აშფოთებდა და აღელვებდა მთელ საზოგადოებას, მონაფეობას. უფროსები მგელივით გვიყურებდნ და არც ჩვენ ვიქცეოდით აღდგომის ბატკანივით, მთელი მონაფეობა დაყოფილი ვიყავით წრეებად, ჯგუფებად. მთავრობის თითოეულ დაზიდვასა და ძალ-მომრეობა-თავხედობას მძლავრი ხელის აქნევით ვუპასუხებდით ხოლმე და იყო ჩვენ შორის მუდმივი შფოთი, ბუნტი და აურზაური. მართალია, თითოეულ ასეთ ჩვენ მოქმედებას მოჰყვებოდა ხოლმე უამრავი მონაფეების დათხოვნა, ქუჩაში გამორეკა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მოპროტესტო ჯგუფები უფრო ძლიერდებოდნ. მე იმ თავითვე ჩავენერე ერთ-ერთ ასეთ წრეში და როცა მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით გადაწყდა, მოგვეხდინა დიდი ბუნტი 1893 წლის ნოემბერში და მოვახდინეთ კიდევ ეს „ბუნტი“, 80 მონაფეთა შორის მეც გამომაგდეს სემინარიის უკანასკნელ კლასიდან, მგლის პასპორტითა და ყოველ გვარ უფლების აყრით.

ჩემთან ერთად დაითხოვეს ჩემი უმახლობლესი ამხანაგი, ილია აგლაძე, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი და „სახალხო გაზეთის“ ხელმძღვანელი.

მთელი წელიწადი მშიერები დავძრწოდით, დამცირებულნი, ყველასაგან დევნილნი.

1894 წლის შემოდგომაზე ერთი ჩემი პირველი მოთხრობათაგანი „ილიკო ბედენაძე“ წარუდგინე „ივერიის“ რედაქციას (წერა დავიწყე ჯერ ისევ გორის

სასულიერო სასწავლებელში. ცნობილ მწერლისა და მასწავლებელ სოფრონ მაგალობლიშვილის რჩევითა და ხელმძღვანელობით. გორის სასულიერო სასწავლებელში მე და შიო ჩიტაძეს¹ გვექონდა ხელთ ნაწერი ჟურნალი, ჩვენი რედაქტორი იყო ს. მაგალობლიშვილი). ჩემი „ილიკო ბედენაძე“ დაიბეჭდა „ივერიაში“ 1894 წლის 13 სექტემბერს და მეც მინვეულ ვიქმენ ამავე რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად. მაშინ რედაქციას განაგებდა დავით მიქელაძე (მეველე) ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. მუდმივ თანამშრომლებათ იყვნენ გიგო და ალექსანდრე ყიფშიძენი, ახნაზაროვი არტემ, კიკა აბაშიძე, მგოსანი გრიშა აბაშიძე, ლალი (გიორგი ლასხიშვილი ალექსანდრე ნიკიტინი, მიხა ნასიძე. შემდეგ შემოგვემატნენ ილიკო აგლაძე, ივ. ახალშენიშვილი და ირ. ევდოშვილი. აქ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ილიასა და იმ დროინდელ „ივერიაზე“, მაგრამ... ესეც ცალკე წერილის ღირსია და ამიტომ აღარას ვამბობ.

1895 წელს ცოლად შევიერთე წერა-კითხვის პირველი სამკითხველოს პირველი გამგე – ბარბარე, გიორგი ნადირაშვილის ასული და იმავე წელს გავემგზავრე მოსკოვს უმაღლესი სწავლის მისაღებად, მაგრამ მატერიალური დაპირებანი არ გამიმართლდა. ამავე წლის გაზაფხულზე ისევ სამშობლოში დავბრუნდი და კვლავ „ივერიის“ რედაქციაში დავინწყე მუშაობა.

დიდი რუსეთის და მოსკოვის სიმდიდრეთა ნახვამ შემაშინა. საქართველო ისეთ პანია, ქინძისთავის ოდენა ქვეყნად მომეჩვენა, რომელსაც რუსეთი ერთი სულის შებერვით ბუმბულივით ცაში ააფრენდა...

ჩემი სიყვარული პანია სამშობლოსადმი უფრო გაღვივდა, მისი მტრები და ორგულნი ერთი ორად შემძულდენ!..

„ივერიაში“ ვიმსახურე 1897 წლამდე. ამ წლის გაზაფხულზე ამ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი ცნობილი მოთხრობა „მონაფეთა ცხოვრებიდან“, რომელიც ისეთი მწვავე და ანტისახელმწიფოებრივი გამოდგა, რომ შინაგან საქმეთა, იუსტიციის მინისტრებმა და უწმინდესი (თუ უწმინდური) სინოდის ობერ პროკურორმა გადასწყვიტეს „ივერიის“ შვიდი თვით დახურვა. ამ ამბავმა მთელი საქართველო აალაპარაკა და მეც, გარდა იმისა, რომ კვლავ ქუჩაში დავრჩი, ბევრი მტერი და მოსაყვედურე გამიჩინა:

– როგორ გაბედე ისეთი მოთხრობის დაწერა და დაბეჭდვა, რომ ერთად ერთი გაზეთიც კი დაგვიკეტესო. – მისაყვედურებდენ მჟავე პატრიოტები და სიცოცხლეს მიმნარებდენ.

ჩემზე გაჯავრებული მაშინდელი საზოგადოება და ქართული დაწესებულებანი ახლოც არ მიკარებდენ. საზრდოს საშოვნელად, გადაწყვიტე რკინის გზაზე შესვლა... რამდენიმე თვე ყოველ დღე დავდიოდი რკინის გზის სამმართველოში, ხან ვბედავდი შესვლას უფროსებთან, ხან ვერა. იმ დროს ქართველი ახალგაზრდისათვის ძალიან ძნელი იყო ადგილის შოვნა რუსულ დაწესებულებებში, თუ გადაგვარებული არ იყო, ან უმაღლესი ცოდნის დიპლომი არა ჰქონდა და დიდი მომხმარე არა ჰყავდა. მე კი არც ერთი ვიყავ, არც მეორე და არც

1. შიო ჩიტაძე შემდეგში შეიქმნა ცნობილ ჟურნალისტად და საზოგადო მოღვაწედ. 1905 წელს, ჭეშმარიტმა რუსებმა დაჰკლეს იმ შენობაში, სადაც ახლა ჩეკაა და სადაც იმ დროს იყო ქართული გიმნაზია, რომლის დირექტორადაც იყო შიო. ი. ე.

მესამე მქონდა და მყავდა, უბეში მედო მგლის მონმოზა და შავი პასპორტი. ეს მონმოზები ვისთვისმე რო მეჩვენებინა, ციმბირიც კი აქეთ დამრჩებოდა!

მოგესხენებათ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული გარემოებასა და სულ უბრალო შემთხვევაზეც კი!

რკინის გზის ყველა ბლანკები და ბილეთები მაშინ იბეჭდებოდა პეტერბურგში, თუ არა ვცდები, ვილაც ლიშკეს სტამბაში. აი, ამ ლიშკესა, თუ ლიშკეს სტამბაში ამიერ კავკასიის სამმართველოს სამნეო განყოფილების შეკვეთით რამდენიმე ათი ათასი საგზაო ბილეთი ბაქო-საბუნჩი შეცდომით დაებეჭდნა – ბაქო-საბუნგი. ვილასაც ერჩია სამნეო ნაწილის უფროსისათვის – ანდრია მარტინის ძე ინჟინერ ლინჩევსკისათვის ამ უამრავი ბილეთების მოსპობის ნაცვლად, უმჯობესია, გავაკეთებინოთ ისეთი შტემპელი (ბეჭედი), რომ მისი დაკვრით საბუნგი საბუნჩათ გადაკეთდესო.

გამეგონა, რომ ეს ინჟინერი ლინჩევსკი პოლონეთის პატრიოტია, „კოლის“ წევრი ლიბერალი და დიდი მოძულე რუსეთის აწინდელი წესწყობილებისაო და მეც უფრო ამას ვაბეზრებდი თავს ადგილის თხოვნით.

ერთ დღეს, ჩემის თხოვნით გაბეზრებულმა ლინჩევსკიმ თითქმის გაჯავრებით შემომიტია:

– რას ჩამაცვივდი, შე კაცო, ხომ ხედავ. საშენო ადგილი არა მაქვსო. მაგრამ რახან არა მშორდები, მოდი და აი, ეს საქმე გააკეთეო. – მაშინვე დაუძახა თავის საქმის მწარმოებელს (ესეც პოლონელი იყო), მოატავინა მთელი კონა საგზაო ბილეთებისა, მოატავინა შტემპელიც და უფროსის კილოთი უბრძანა:

– აი, აუხსენი ამ ყმანვილ კაცს, რა უნდა გააკეთოს, უჩვენე ადგილი, დასვი და დააწყებინე მუშაობაო. – საქმის მწარმოებელი დატრიალდა, მიმითითა იქვე მდგომ ცარიელ მაგიდაზე, დამიყარა წინ ბილეთები, მოიმარჯვა შტემპელი დიდი სიფრთხილით დაჰკრა იმ ადგილას, სადაც დაბეჭდილი იყო საბუნგი და უცბად ეს ნაბეჭდი გადაკეთდა „საბუნჩათ“. გაიცინა და წამჩურჩულა, აი, ასე უნდა ურტყა ეს შტემპელი და რამდენ ასს ბილეთსაც დაბეჭდავ, იმდენ აბაზს მიიღებო.

მადლობა გადაუხადავ სწავლებისათვის და მოუჯექი მაგიდას. მოვიმარჯვე ბილეთები, ბეჭედი დავცხე და ყირამალა დამეჭირა თურმე შტემპელი. დავცხე მეორეს, სხვაგან მომიხვდა, დავცხე მესამეს, გვერდზე მოხვდა, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე... სულ მიფუჭდება, თან მეცინება, თან გული მომდის ჩემ თავზე, თანაც მრცხვენია, ხომ არავინა მხედავს, რომ მალი მალ ჯიბისკენ მიმაქვს-მეთქი ხელი... რამდენ ბილეთსაც გავაფუჭებდი, იმდენს ჯიბე-უბისაკენ ვიკრავდი ხოლმე ხელს, ბილეთებს ვმალავდი, რომ არ ენახათ და ეს იდიოტური სამუშაოც ხელიდან არ წამსვლოდა... ვლელავდი, ვჩქარობდი, იქნება შუადღემდე ერთი ორი აბაზი მაინც დავიმუშაო მეთქი. სახლში ავადმყოფი ცოლი მენვა და მე კი წამლისა კი არა, პურის ფულიც არა მქონდა...

ასე ვენვალე ნაშუადღევის ორ საათამდე. ბოლოს ნერვები დავიმშვიდე, გული გავიმაგრე და როგორც იყო, რამდენიმე ათეული ბილეთი ხეირიანად დავბეჭდე...

ორ საათზე გათავდა მუშაობა. ბილეთები და შტემპელი ჩემთვის მოჩენილ უჯრაში ჩავკეტე. სახლში რომ მივედი, სიცილით ავწერე ჩემი სულელუ-

რი სამუშაო, თან რამდენიმე ათეული ბილეთი ჯიბიდან ამოვაცოცე, დავხიე და გადავყარე.

მეორე დღეს ალიონზე სამმართველოში გავჩნდი. დარაჯმა გაკვირვებით შემომხედა, მე დამნაშავესავით გავიღიმე და პაპიროსი შევთავაზე. დარაჯმა გამიღო კანტორის კარები. ჩემი უჯრისაკენ გავექანე, ამოვალაგე ბილეთები, მოვიმარჯვე შტემპელი და დავინყე კოდალასავით კაკუნი. ვიდრე სხვა მოხელეები მოვიდოდნენ, ორასი თუ სამასი კარგად დამზადებული ბილეთი განზე მქონდა გამწკრივებული. რალა ბევრი გავაგრძელო, ერთ კვირაში ისე გავეჩვიე, რომ დღეში ხშირად 4-5 მანათზე გამოვდიოდი. თვის ბოლოს თვალსაჩინო თანხა მივიღე და მით ჩემ კანტორაში შტატის მომუშავეთა შური გამოვინვიე. შემეცილნენ, დამინყეს ინტრიგანობა. ჩემ კეთილ უფროსს – ინჟინერ ლინჩევსკის თხოვნით თავი მოაბეზრეს. ჩვენც მოგვეცით ეგ სამუშაო, თუ გნებავთ, შტემპელს ჩვენის ხარჯით გავაკეთებინებთო. უფროსმაც რამდენიმე კაცს დართო ნება საღამო-საღამოობით ემუშავნათ. გაჩაღდა შეჯიბრი, მაგრამ ჩემზე ადრე არავინ მოდიოდა და ჩემზე გვიან არავინ მიდიოდა. თითქმის მთელი დღე სამმართველოში ვატარებდი. დარაჯის გული მოვინადირე. მთელი კოლოფობით ვაძლევდი პაპიროსებს. ხან და ხან ფულსაც მესესებოდა ხოლმე არაყისათვის, რასაც უკანვე არ ვართმევდი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რკინის გზის ბევრი მოხელე გავიცანი, გავეჩვიე, გავთამამდი. უფროსს უკვირდა ჩემი მუყაითობა. თვითონაც ძალიან ბეჯითი კაცი იყო. ყველაზე ადრე მოდიოდა და ყველაზე გვიან სტოვებდა სამსახურს.

ერთხელ, დილით ადრე, მარტოდ მარტო ვმუშაობდი კანტორაში და ფაცხა-ფუცხით ვურტყავდი შტემპელს ასობით ჩემ წინ გაშლილ ბილეთებს. შემოვიდა ლინჩევსკი, გამიღიმა, გამომელაპარაკა.

– თქვენ დიდი მუშა კაცი ყოფილხართ, მე ვიცი, რომ თითქმის დღე და ღამეს ასწორებთ აქ. გხედავ, რამდენ საათსაც მუშაობ, სახლშიც თურმე მიგაქვს სამუშაო. ვინა ხართ? სად გისწავლიათ, ან რა გაჭირვება გადგიათ ისეთიო? – ღიმილით მკითხა.

მე დანვრილებით ვუამბე ჩემი თავგადასავალი, ჩემი სემინარიელობა, გამოორიცხვისა და გაზეთის დაკეტვის ამბავი ჩემი წერილების გამო. ვაჩვენე ჩემი პასპორტი და მოვახსენე, რომ როგორც ჟანდარმების ზედამხედველობის ქვეშ მყოფი, ლეგალურად ვერა ვცხოვრობ მეთქი და თუ ვმუშაობ ამდენს, მინდა, იმდენი ვიმოვნო, რომ ან რუსეთის რომელიმე დიდ ქალაქში წავიდე ან სამზღვარ გარეთა მეთქი. დიდხანს იყო ჩაფიქრებული, მერე მითხრა:

– ერთი თქვენთვის არა სასიამოვნო ამბავი უნდა გაუწყოთო. ბრძანება მოგვივიდა ეს ბილეთები მოვსპოთ – ალბად, აქ ვისიმე ინტრიგაა! მაშასადამე, თქვენ ამიერიდგან სამუშაო აღარ გექნებათ, მაგრამ გულს ნუ გაიტვებთ, მალე ხაზზე სადმე გაგაგზავნით შტატის მოხელეთაო. მანამდე კი დღესვე მიგავლენ მთავარ სანყობში, რომ ცოტაოდნად მაინც შეისწავლოთ მოანგარიშობაო.

მადლობა გადავუხადე, ნაღვლიანად გადავხედე ასიათასობით დასტა-დასტათ შეკრულ ბილეთებს, რომლებიც იქვე კუთხეში ელაგნენ და ამოვიოხრე. დამენანა ეს ალალი ლუკმა. ასე უდარდელად ვერსად დავიმუშავებდი დღიურ საზრდოს. ვიცოდი, რომ სხვის ხელქვეითად ბევრ სიმწარეს გამოვივლიდი. ნა-

შუადღევის პირველ საათზე ბრძანება მივიღე, ნავსულიყავ მთავარ საწყობში ვინმე კორბოზთან. დღეში მექნებოდა ორი მანათი. ეს კორბოზი ერთი ღვთის პირისაგან შეჩვენებული კაცი იყო. ახლა იგი დიდხნის მკვდარია, იმისი მტვერიც კი აღარსად იქნება და არც მინდა, ბევრი ვილაპარაკო იმაზე... ვიტყვი მხოლოდ, რომ ნამდვილი ზღაპრული ბაყბაყმდევი იყო. ქართველების დიდმა მოძულემ ბევრ მოხელეს გაუმწარა სიცოცხლე და ყოფნა. მეც პირველი დღიდანვე ამომიძულა, რადგანაც სხვანი რომ იმის შიშით ფეხის წვერებზე დადიოდნენ და პაპიროზის მოწვევას ვერა ბედავდნენ, მე არ ვერიდებოდი და ხანდახან შევუტევედი ხოლმე კიდეც. გამიბა საჩივარი ლინჩევისკისთან და პირდაპირ მოითხოვდა ჩემს დათხოვნას, ან სხვაგან გადაყვანას.

ჩემი მაშინდელი გამწარებული ყოფნა და გულის ტკივილი გამოხატული მაქვს ესკიზ „მთვარიან ღამეში“. ეს ესკიზი სომხურათაცაა გადათარგმნილი, ყაზარციანცის მიერ...

კორბოზთან მუშაობის დროს შემემთხვა ისეთი ამბავი, რომელმაც სულ მთლად შესცვალა ჩემი ცხოვრება და მიმართულებაც კი.

ერთ დღეს გაბოროტებული ვიდექი ჩემ კანტორასთან და რალაცა ფაქტურებს ვინერდი და ვანგარიშობდი. იმ ხანებში ვილაც კალმახელიძე მღვდელმა მოჰკლა სასინოდო კონტორის წევრი და ხმა მოვიდა, რომ ამ მღვდელს ჩამორჩობა გადაუნწყვიტესო. ეს ამბავი საშინლად მეწყინა. არქიელად იმ დროს საქართველოში იყო ვლადიმერი – კაცი მეტად ბოროტი და დიდი მოძულე ქართველებისა. მთავარმართველად იყო დუნდუკოვი – ესეც დიდი ქოფაკი... ფიქრებმა წამიღო. გამახსენდა საქართველოს უუფლებობა, ვლადიმერის ეშმაკობა, სემინარიაში განცდილი უსამართლობა, ჩვენი სამღვდლოების დაკნინება და თვალთ მაქცობა, ფაქტურები იქით გადავდე და დავინყე რალაც ზღაპრის წერა, მინდოდა, ამ ზღაპრით გამომეთქვა ჩვენი მაშინდელი ყოფა-ცხოვრება. ამ ზღაპარს ჰქვიან „რას იცინის?“ იმავ დღესვე შემხვდა ი. იმედაშვილი, ნავაკითხე, მოეწონა და მეორე დღეს წარუდგინა ცენზორს (რაფიელ ერისთავს), აილო ნებართვა და სამ დღეში გამოსცა პატარა წიგნაკად. წიგნი პატარა ფორმატისა იყო, თაბახის მერვედის ოდენა ტანისა, ფასი სამი კაპეიკი.

სულ ერთი კვირა არ გასულა ჩემი „რას იცინის?“ გამოსვლის შემდეგ, რომ ასტყდა ერთი აურზაური. ვილასაც გადაეთარგმნა ეს წიგნაკი მთავრობისათვის. რექტორი, არქიელები, პოლიცემისტერი, გუბერნატორი (შერვაშიძე), მისი მოადგილე ჩერნიავსკი¹ და მთავარ მართველი ერთმანეთს ეცნენ. სემინარიის მთავრობა დაერია მოწაფეებს, სათითაოდ დაჩხრიკა იგინი და ვისაც წიგნაკი უპოვნეს, ყველა დატუქსეს ან სასწავლებლიდან დაითხოვეს. ცენზორი რაფიელ ერისთავი სამსახურიდან გამორიცხეს, გამომცემელი ი. იმედაშვილი დაარბიეს, მთელი გამოცემა წაართვეს და დასწვეს (რაც კი გადარჩა, თუმცა და იყიდებოდა თურმე. ყიდულობდნენ თურმე თვით პოლიციელები და გუბერნატორის მოხელეები). მე ჯერ-ჯერობით ხმას არა მცემდენ. ეს კია, რომ, როცა ქუჩაში გამოვიდოდი ხოლმე, ვილაც-ვილაცები ამედევენებოდნენ და დიდი სიფრთხილით სახლამდე მაცილებდნენ. ვერ გეტყვით, რამ დააგიჟათ

1. ამ ბოლო დრომდე ამ ვაჟბატონს ტფილისში ვხედავდი პორტფელით ხელში. ი. ე.

ასე ეს ბობოლები? ახლა რომ ვკითხულობ ამ ზღაპარს, მეცინება და ვფიქრობ, ნუთუ ასე მხდალები იყვნენ მეთქი ის ოდესღაც ჩვენი სისხლისმსმელნი? ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და ეს მართალი ყოფილა.

ერთ საღამოს, დაღალულ-დაქანცული დავბრუნდი სახლში და ტახტზე მივეგდე, თან ხმამალლა ვოცნებობდი უნივერსიტეტში ან სამზღვარგარეთ წასვლაზე. ის ის იყო ჩამეძინა, რომ ეზოში ატყდა ხმაურობა და ჩვენი კარების ბრახუნნი. კარი გავადღეთ. ოთახში შემოვიდა მთელი გროვა გოროდოვოებისა ბოქაულის მეთაურობით. რიგი კარებში ჩადგა, რიგი ეცა სამზარეულოს და საჭირო ადგილსაც კი... დილის სამ საათამდე გვჩხრიკეს, გადმოაბრუნეს და გაფათრეს ლოგინი, ბალიშები, საცა რამ ნაჯღაბნი ნახეს, გადაანყეს, ერთად შეჰკრეს, მერე მე წამავლეს ხელი და წამიყვანეს პოლიცემისტერის კანცელარიაში. ცოლი უკან დამედევნა, მაგრამ შიგ არ შემოუშვეს. ამ დროს პოლიცემისტერი მედგა თავს და მარიგებდა.¹

როგორ გაგიბედნია იმისთანა რამის დაწერა, ხვალვე გაზეთით ბოდიში მოიხადე, აღიარე, შეცდომა მომივიდა თქო. იქნება გადარჩე, თორემ დაიღუპებით, ყმანვილი კაცი ხარო და მეცოდებითო.

– მე საბოდიშო არა მაქვს რა მეთქი. მე უბრალო ზღაპარი დავწერე, ხოლო თუ არქიელს თავის თავი თხა ჰგონია ან მეფის მოადგილეს – დათვი, ეს მათი პირადი საქმეა, მე აქ რა შუაში ვარ მეთქი.

ორი დღე მაყურყუტეს პოლიცემისტერის კანცელიარიაში. მესამე დღეს კი გამომიციხადეს, სამი წლით ლენქორანში უნდა გადაგასახლოთო.

ვითხოვე, ეტაპით ნუ გამგზავნიან, ჩემი ხარჯით წავალთ მე და ჩემი ცოლი მეთქი. ნება მოგვცეს. ჩაგვსვეს ეტლში მე და ჩემი მეუღლე, გვერდით მოგვიჯდნენ ბოქაული ბაბალოვი ორის გოროდოვოით და სადგურისაკენ გვიკრეს თავი.

სადგურის ბაქანი სავსე იყო ჩემი ნაცნობებით. უფრო მეტი იყვნენ ჯაშუშები და პოლიციელები, რომლებიც გულმოდგინეთ ზვერავენ იქ მყოფთ.

ბოქაული ბაბალოვი ბაქომდე წამოგვყვა. აქ ჩაგვაბარა იქაურ პოლიცემისტერს და გამოგვეთხოვა, „როგორც კარგი მეგობარი“... ბაქოდან ეტაპით გვიპირებდნენ ლენქორანში გაგზავნას. ბევრი ხვეწნა და მუდარა დაგვჭირდა, ვიდრე იქაურ პოლიცემისტერს დავიყოლიებდით და ისევ ჩვენის ხარჯით გავაგზავნიებდით თავს. ერთი კვირის შემდეგ, როგორც იყო, „მოიღეს მონყალება“ და ნება მოგვცეს, წავსულიყავით ლენქორანში უეტაპოთ. თან ჩვენივე ხარჯით გამოგვატანეს ორი გოროდოვოი, რომელმაც პაკეტთან ერთად გადაგვცა იქაურ პოლიციას – ლენქორანის პოლიციამ იმავე დღეს ჩამომართვა ხელწერილი, რომ კვირაში ორჯელ გამოვცხადდებოდი ხოლმე პოლიციაში და ნება მოგვცეს, ბინა დაგვეჭირა.

ლენქორანი მაშინ პატარა, ყრუ ზღვისპირა ქალაქი იყო. ერთით ფოთს მიაგავდა, ციციბიანი და ჭაობიანი. გემი ორ კვირაში ერთხელ მოდიოდა ბაქოდან... მოვწყდით სამშობლოს, მოვწყდით ნათესავ-მეგობრებს, საშინელმა სევდამ შემიპყრო. პოლიციამ საზრდოთ დაგვინიშნა თვეში ექვსი მანათი და ორი აბაზი, მაგრამ მე ამ მოწყალეებაზე უარი ვსთქვი და შევუდეგ საცხოვ-

1. იმ დროს პოლიცემისტერად იყო მასტოცკი. ი. ე.

რებელ საშუალებათა ძებნას. ამ დროს იქ მთავრობის მსაჯულად იყო ერთი ქართველი – ვინმე მამულაიშვილი, რომელიც შემდეგში ბაქოში გადმოვიდა ნოტარიუსად და ბოლოს, მგონია, მილიონერიც გახდა. ახლა არ ვიცი, სად არის. ამ ქართველმა მოხელემ ახლოც არ გამიკარა, გადმოსახლებული ხარ და სამუშაოს ვერ მოგცემ. მთავრობის თვალში მეც ჩირქი მომეცხებაო.

ლენქორანში იმ დროს მეტყევეს თანაშემწედ იყო ქართული მწერლობის დიდი მოყვარული გიორგი სალარიძე თავისი მეუღლით. ჩვენი ლენქორანში გადასახლების ამბავი წინდანიწვე გაეგო ჩვენი გემის ლენქორანში მისვლისას, ნავთსადგურში დაგვხვდა, დიდის სიყვარულით მიგვიღო და დიდი პატივიცა გვცა. იმისი მეუღლე ყოვლად შესანიშნავი და ღირსეული ქართველი ქალი მარიამ მიხეილ ჟამუტაშვილის ასული, ჩემი მეუღლის სკოლის ამხანაგი გამოდგა და მეც ძმასავით მიმიღო. აი, ამ ოჯახმა მშობლიურად მიგვიღო, დაგვაპურა და შეგვიმსუბუქა სამშობლოდან განდევნის მწარე ყოფნა. საუბედუროდ, ეს მეგობრები მალე მოგვშორდნენ. გიორგი სალარიძე სხვაგან გადაიყვანეს და ჩვენ დავრჩით კვლავ უპატრონოდ. საზრდოს საშოვნელად ავიყვანეთ იქაური თათრის ბავშვები, რუსულს ვასწავლიდით, მაგრამ მალე მოვიდა ჩვენთან იქაური სკოლების ინსპექტორი (გვარი აღარ მახსოვს) და ბავშვები გაგვირეკა, ნება არა გაქვთ გაკვეთილების აღებისა, გაციმბირებული ხართო.

სამი წელიწადი და სამი თვე დაეყავ ლენქორანში. ახალგაზრდა ვიყავ, ჯან ღონით სავსე და ბევრი ვერა დამაკლო რა ამ სასჯელმა, პირიქით უფრო ამამხედრა ყოველგვარ უსამართლობის წინააღმდეგ...

1900 წლის შემოდგომაზე გამითავდა გადასახლების ვადა და სიხარულით დავბრუნდი სამშობლოში. აქ ისევ რკინის გზაზე დავინყე სამსახური. ისევ ჩემი ანდრია მარტინის ძე ლინჩევსკი მოვძებნე. ამ მაღლიანმა ადამიანმა შვილივით მიმიღო და ბაქოში დამნიშნა ნავთის მიმღებ აგენტად (смотритель склада топлива). ეს იმ დროს კარგი თბილი და თვალსაჩინო ადგილი იყო. აქ იმ დროს მსახურებდნენ და მუშაობდნენ აბელ ენუქიძე, ვანო სტურუა, დიმიტრი ბაქრაძე და სხვანი, რომელნიც იქაურ მუშებს ამზადებდნენ რევოლიუციისათვის. მე გავიცანი იგინი და მათის შეკვეთით იმათი წრისათვის გადავთარგმნე მაქსიმე გორკის „Разрушенный моль“ და „ბურევესტნიკი“. ეს თარგმანები ცალკე წიგნაკად გამოვიდა, თუმცა ახლა ველარსად მიპოვნია.

1903 წელს მოხდა მცირე ჩოჩქოლი ჩვენი სადგურის მუშებისა და მე იძულებული შევიქენი, რკინის გზის სამსახურისათვის თავი მიმენებებინა და კვლავ ტფილისში გადმოვსულიყავ, სადაც ვცხოვრობდი ლიტერატურული შრომით.

1900 წლამდე ჩვენში აშკარა პარტიული ცხოვრება არა ყოფილა. ყველა ღირსეულ მოღვაწედ ითვლებოდა, ვინც კი იბრძოდა ან სწერდა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. აქა-იქ კი უკვე ჩასახულიყვნენ განსაკუთრებული ჯგუფები და წრეები, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ მარტო არსებული წესწყობილებასთან ბრძოლით და რომლებიც რევიზიას უკეთებდნენ თურმე ქართველი მოღვაწეების მოქმედება-საქმიანობას. ეს სავსებით გამოაშკარავდა 1894 წელს, ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების წელს, მაისში. ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღეს, სოფელ ჩოჩხათში მოიყარა თავი საქართველოს ყველა კუთხის და ყველა თავისთვის მომქმედ ჯგუფის წარმომადგენელ-

მა ახალგაზრდობამ. აქვე იყვნენ ძველი თაობის წარმომადგენელიც: გიორგი წერეთელი, გიგო ყიფშიძე („ივერიის“ წარმომადგენელი) და მრავალი სხვა. უდროოდ გარდაცვალებულ ნიჭიერ ბელეტრისტის – ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს წარმოითქვა ბევრი პოლიტიკური და ჯგუფური სიტყვა და შემდეგ კი პურისჭამის დროს გაიმართა დიდი და ცხარე კამათი ძველსა და ახალ თაობის წარმომადგენელთა შორის. შვილები უსაყვედურებდნენ მამებს უხეირობას, მამები კი შვილებს – გატაცებასა და კერძოდ საქართველოს ინტერესების დავინწყებას. ერთ დღეს, აბა, როგორ ამოინურებოდა ყველაფერი? მოკამათენი დარჩენ თავ თავის აზრზე, მაგრამ ამ დღიდან დაიწყო აშკარა გამოსვლა ახლებისა ძველების წინააღმდეგ და ძველებისა ახლების ჭკუის სასწავლებლად. ჩოჩხათის სასაფლაოზე წარმოიშვა ახალი დასი – მესამე დასი, რომელიც დღე მუდამ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა წარსულების მოქმედებასა და საქმიანობა-იდეალებს. გიორგი წერეთელმა ამ მესამე დასელებს დაუთმო თავისი გაზეთი „კვალი“ და ეს მესამე დასელები დაეტაკნენ „ივერიას“ გაჩაღდა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. ისახებოდა და ჩნდებოდა ახალი მიმართულებანი, ახალი პარტიები. 1901-2 ჩამოყალიბდა მარქსისტული მიმართულება, 1903 ჩვენში გაჩნდა პარტია ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერებისა. ამავე წელს ჩვენში დაჯგუფდნენ ქართველი ანარხისტებიც. ამის შემდეგ გამოჩნდა პარტია ნაციონალ-დემოკრატიებისაც, რომელიც გაღრმავდა ილიას მოკვლის შემდეგ. თითოეულ პარტიას გაუჩნდა თავისი ლიდერი, საკუთარი ორგანო, საკუთარი მიმდევრები. და ასტყდა ერთი ორომტრიალი, მინევ-მონევა, დაკვრა და გაშველება.

მე ერთხანს თანაუფრძნობდი მესამე დასელებს, „კვალშიაც“ კი დავინწყე მუშაობა, ერთხანს ამ გაზეთის სტილისტათა და მდივანდაც ვიყავი, მაგრამ როცა კვალელები ჩამოყალიბდნენ რ.ს.დ.მ. პარტიათ, ნაციონალური საკითხის მათმა გადაჭრამ ვერ დამაკმაყოფილა და მალე აშკარათაც ჩამოვშორდი...

ასე დაიწყო ჩვენში სამზადისი 1905 წლის რევოლიუციისა, რომლის დროსაც ბრძოლა პარტიათა შორის უკიდურესობამდე გამწვავდა. თვითეულ პარტიას გაუჩნდა თავისი წმინდანები, თავისი მკვდრები და ცოცხლები. დაირღვა ძველებური თანამშრომლობა და პატივისცემა ძველებსა და ახლებს შორის. დაიმხნენ ძველი ავტორიტეტები, ძველი კერპები, ახლებმა ჯერ ვერ შესძლეს მათი ადგილის დაჭერა... ამასობაში დაიწყო 1905 წლის რევოლიუცია. ეს რევოლიუცია დამარცხდა, მას მოჰყვა შავი და ბნელი რეაქცია 1906-7 წლებისა. სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს შეეჭიდნენ. დაერივნენ ერთმანეთს ჩვენში მცხოვრები ერებიც. საქართველო თავის გეგემონიას არ უშვებდა ხელიდან. სხვები კი სცდილობდნენ ამ გეგემონიის დამხობას, რუსეთში გაჩნდა სათათბიროები, ჭეშმარიტი რუსების პარტიები პურიშკევიჩ-მაკაროვ-დუბროვინებისა და მილიუკოვების ხელმძღვანელობით. დაინგრა რომანოვების ტახტი, გაჩნდა დროებითი მთავრობა, კერენშჩინა, შულგინ-მარკოვების იდეალების გამოაშკარავება. საქართველოს ბედი და უბედობა ბენჭზე დაეკიდა. ამ დროსვე ჩადიოდა თურმე გერმანიის ბედის ვარსკვლავი და მსოფლიო ომის საბედისწერო გადახრა და მერყეობა. ამ დროსვე დიდი ლენინის მეთაურობით თურმე რუსეთში მზადდებოდა ახალი რევოლიუცია, მზადდებოდა თურმე ოქ-

ტომბერი, რომელმაც პირქვე დასცა ყველა პარტიები, ყველას ფაფხური და იდეალები. ამ პარტიებსა და იდეალებზე მე აღარას ვიტყვი, ვინაიდან ეს იქნებოდა ლაპარაკი მიცვალებულებსა და ხმა-წართმეულებზე. ცხოვრება და მომავალი დავანახებს, ვინ იყო, არის და ან ვინ იქნება მართალი!..

1907 წელს, როცა დასრულდა რეაქცია და რევოლუციის ღმერთმა კვლავ წელში გასწორება დაიწყო, მე გადავწყვიტე, შევსულიყავ ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ვითხოვე. მიმიღეს. ამ დროს ვიყავ 35 წლისა, ცოლ-შვილით დატვირთული, მაგრამ უმაღლესი სწავლის მიღების სურვილი ჯერ კიდევ არ ჩამქრობოდა და აი, 1907 წლის ზამთარში გავწიე ყაზანისაკენ...

ყაზანის უნივერსიტეტი დავამთავრე 1911 წელს. ამავე წელს ჩავეწერე ნაფიცი ვექილის თანაშემწეთ, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ადვოკატობა ჩემი მოწოდება არა ყოფილა, ხუთი თვის შემდეგ მივატოვე ტფილისი და გადაველ გორში. აქ დავაარსე გაზეთი „ქართლი“. ამავე წელს დავინიშნე ქართული ენის მასწავლებლად გორის ვაჟთა გიმნაზიაში.

იმ დროს გორის მაზრასა და თითქმის მთელ საქართველოში გაბატონებული იყო რ.ს.დ.მ. პარტია, მაგრამ თვით გორში ფეხი მოემარებინათ ფედერალისტებს, რომელთა წინააღმდეგაც გაილაშქრა ჩემმა გაზეთმა „ქართლი“. აყაყანდნენ გორელი ფედერალისტების ლიდერები და კრიჭაში ჩამიდგნენ. მაინც წელიწად ნახევარი ვათრიე ეს გამოცემა. დიახ, სწორედ რომ, ვათრიე! შემოსავალი ჩემ გაზეთს ბევრი არა ჰქონდარა, ჩემ ჯამაგირსა და ვალად აღებულ ფულებს ზედ ვადებდი... მევე ვატარებდი გაზეთს ქუჩა-ქუჩა, შემქონდა იგი სამჭედლოებსა და სამიკიტნოებში. ან კიდევ ჩავიწყობდი ხოლმე აბგაში გაზეთებს, გავდიოდი ფეხით ახლომანლო სოფლებში, თითო გაზეთს თითო კვერცხზე ვყიდდი, ხუთ კვერცხს ვყიდდი შაურათ და ამ ფულით ვიძენდი გაზეთისათვის საჭირო ქალაღს. მერე რა ძალა მადგა? რათ ვაკლავდი ასე თავს ამ გაზეთს?

დიდი რამ ყოფილა პარტიული ჟინიანობა და თავგამოდება!

1912 წელს მიმინვიეს ქუთაისში მასწავლებლად. მეც გადავედი. ვმასწავლებლობდი ხუთ-ექვს სასწავლებელში და თან თანავშრომლობდი ადგილობრივ ჩემი მიმართულების გაზეთებში. აქაც გადამეკიდენ მენშევიკები და ფედერალისტები... 1913 წელს დავაარსე ჩემი საკუთარი გაზეთი „სამშობლო“, რომელსაც ვაწარმოებდი 1919 წლამდე.

1919 წელს მიმინვიეს დაბა ჩოხატაურის ახლად დაარსებულ გიმნაზიის დირექტორად. ამ სკოლას განვაგებდი ორ წელიწადს. ამ სკოლას თავი დავანებე ისევ და ისევ მენშევიკების ინტრიგების გამო ერთი თვით ადრე საქართველოს გასაბჭოებამდე.

1920-ში მენშევიზმი დაემხო და მე დავინიშნე მასწავლებლად ლანჩხუთის ტეხნიკუმში. იქ მასწავლებლად ვიყავ 1923 წლამდე.

1923-4 წლამდე ვმასწავლებლობდი რაჭაში – ონში, 1924-5 წლებში კი – თელავში.

1925 წელს გადავედი პენსიაზე და ჩემი ჯამაგირის მიხედვით დამზღვევა სალარომ დამინიშნა პენსიათ 75 მ. და 80 კაპ. ესე იგი 4 მეცხრედი ჩემი ჯამაგირისა.

როგორც მწერალი არაფერს არ ვიღებ, თუმცა აგერ 36 წელიწადია, რაც შეძლებისა დაგვარად ვემსახურები ქართულ მწერლობას.

პენსიაზე გადასვლის შემდეგ, 1926 წელს, მე განვიზრახე და სისრულეშიაც მოვიყვანე ქართული მწერლობის ანთოლოგიის გამოცემა 5 ტომად.

ჯერჯერობით გამოვეცი 3 ტომი. ვამზადებ გამოსაცემად მეოთხესა და მეხუთე ტომს. ეს წიგნები აქამდე გამოცემული მექნებოდა, რომ ჩემი ნდობით აღჭურვილი თანამშრომლები ბოროტად არ მომქცეოდნენ და 4 ათას მანათამდე არ გაეფლანგათ.

1897 წლამდე, ე. ი. ჩემს გაციმბირებამდე, ჩემი ფსევდონიმი იყო თომანთ კობა. ამ წლიდან კი ვწერ ია ეკალაძის ფსევდონომით, იმიტომ რომ ძველი ფსევდონიმით წერა ამიკრძალეს. ჩემი ნაწერების პირველი ტომი დაიბეჭდა 1903 წელს, მეორე ტომი, სახელგამის წინადადებით, უნდა დაბეჭდილიყო 1926 წელს. მთელი სამი თვე მოვანდომე ამ ტომის რედაქციას, შეკრებას, შესწორებას, წარვადგინე კიდევ სახელგამში 18 მოთხრობა, მაგრამ სახელგამმა სადღაც დამიკარგა და მით დიდი ზნეობრივ-ქონებრივი ზარალი მომაცენა.

ამ ჟამად 58 წლის კაცი ვარ. მყავს ცოლი და სამი შვილი და თუმცა 1926 წლიდან უცნაური ავადმყოფობა გამიჩნდა, ზურგის სიმსივნე, ლათინურად სარკომა დორზი და 8 ოპერაცია გადავიტანე) ისე კარგადა ვგრძნობ თავს, რომ იმედი მაქვს, კიდევ ბევრს ვიმუშავებ კულტურულ ფრონტზე და მოვესწრები როგორც ჩემი ნაწერების გამოცემას, ისე ჩემი იდეალების განხორციელებას – საქართველოს აყვავებას ქონებრივად, გონებრივად, ზნეობრივად და უფლებრივად.

დასასრულ, ბოდიში უნდა მოვიხადო მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე ამ წერილის ორი დღით დაგვიანებისათვის. ამ თვის ათამდე მქონდა ვადა მოცემული. უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ ძნელი ყოფილა ავტობიოგრაფიის დაწერა... აბა, როგორ უნდა ვსთქვა ჩემს თავზე, რომ ერთ დროს მოწინავე და სახელოვან მწერლად ვითვლებოოდი და დიდი გავლენაც მქონდა მეთქი საზოგადოებაზე. ვრცელი კრიტიკული განხილვა ჩემი ნაწერებისა დაბეჭდილია „ივერიასა“ და „სახალხო გაზეთში“ ამ 5–10 წლის წინად.

*ია ეკალაძე - ცინცაძე
12 ივნისი, 1930 წ.
ქ. ტფილისი*

ილია აგლაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1948 წ. 15 ივლისს აგლაძე ილია სიმონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1872</u> თვე <u>ივნისი</u> დღე <u>20</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი) რაჭაში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	თარგმანი, სტილი, პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1894
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1936
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოც. ფედერალისტთა პარტია

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თბილისის სასულიერო სემინარია
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სამწერლო ხასიათის</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბროსეს 11</p>

ცნობები მუშაობის შესახებ და ნაწარმოებთა შესახებ იხილეთ ავტობიოგრაფიაში.

* — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

ილია სიმონის-ძე აგლაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1872 წელს, ივლისის 20, რაჭაში, სოფლის მღვდლის ოჯახში. დედა ადრე გარდამეცვალა, მამა – 1889 წელს, როცა 17 წლისა ვიყავი და მას შემდეგ დავრჩი საკუთარი შრომის ამარა, მარტოდ-მარტო. ვსწავლობდი თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის მოსწავლეთა შორის მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როგორც ცნობილია, სწარმოებდა დიდი საიდუმლო მუშაობა. არსებობდა მრავალი საიდუმლო წრე, სადაც მოსწავლენი კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს, ეცნობოდნენ ახალ სოციალურ მოძღვრებას, უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალებს და სხვა. დრო და დრო იფეთქებდა ხოლმე უკმაყოფილება, ასეთი უკმაყოფილება ხშირად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

1893 წლის დამლევს სემინარიაში მოხდა დიდი არეულობა, რამაც მთელი რუსეთის საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მე მაშინ სემინარიას ვამთავრებდი. არეულობის შედეგად თბილისის სემინარია დროებით დაიხურა. მოწაფეები სხვადასხვა სემინარიებში გაგზავნეს. ხოლო ჩვენ 40 კაცს მოგვცეს ეგრეთ წოდებული „მგლის ბილეთი“. ამ 40 კაციდან შემდეგში ზოგმა მაინც მოახერხა საქმის გამოსწორება – სწავლის გაგრძელება, ან სამსახურში შესვლა, მხოლოდ არეულობის მეთაურებს – ათიოდე კაცს, და მათ შორის მეც, სამუდამოდ შერჩათ აღნიშნული „მგლის ბილეთები“.

მე არ გამაჩნდა არც ოჯახი, არც სახლკარი, ვცხოვრობდი ამხანაგებთან. იძულებული ვაგხდი, გამომეძებნა არსებობის რაიმე წყარო. შევუდექი პატარა მოთხრობებისა და ამბების თარგმნას. 1894 წელს რამდენიმე ჩემი თარგმანი ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ და ჟურნ. „მომამბეში“ დაიბეჭდა. იმავე წელს „ივერიაში“ სამ ფელეტონად დაიბეჭდა ჩემი ორიგინალური მოთხრობა, რის შემდეგ აღარ გავმორებივარ ლიტერატურულ ასპარეზს, მამასადამე, მიმდინარე 1946 წელს 52 წელი შემისრულდა ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობისა. 1902 წლის შემოდგომამდე ვმუშაობდი ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, ხოლო 1902 წლის დამლევთან მუშაობა განვაგრძე გაზეთ „ცნობის ფურცელსა“ და მის მომდევნო გაზეთებში. სხვათაშორის მე ვხელმძღვანელობდი ყოველკვირეულ სალიტერატურო დამატებას, სადაც დაიბეჭდა ბევრი, ახლა უკვე ცნობილი მწერლის პირველი ნაწარმოებები (ალ. შანშიაშვილი, გ. ქიქოძე, ს. ფაშალიშვილი, მ. გარიყული და სხვა).

1910 წელს უანდარმთა სამმართველომ დაგვაპატიმრა მე და რამდენიმე ჩემი ამხანაგი. დაწვრილებით გაჩხრიკეს როგორც ჩემი ბინა, ისე გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორადაც მე ვიყავი. ნაიღეს მრავალი ხელნაწერი და წიგნი. გამოძიებამ ექვს თვეს გასტანა. გამოძიების შემდეგ მეფის მოადგილემ გადაგვინყვიტა რამდენიმე წლით კავკასიის ფარგლებიდან გადასახლება. მაგრამ პირადად მე, როგორც გაზეთის რედაქტორი, მიმცეს სამართალშიც და სასამართლო პალატამ მომისაჯა ერთი წლით ციხეში დაპატიმრება. ამრიგად, მეტეხის ციხეში ვიჯექი წელიწადნახევარი, ხოლო გადასახლებაში დავყავი 1917 წლამდე. არეულობებისა და გზების შეკვრის გამო საქართველოში დავბრუნდი მხოლოდ 1919 წლის დამლევს.

მენშევიკების ხელისუფლების დროს ვმუშაობდი უფროს კორექტორ-მეთვალყურედ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“.

როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს, არც თვითმპრობელობის და არც მენშევიკების დროს, გარდა ლიტერატურულ ასპარეზზე მუშაობისა, არავითარ სხვა სამსახურში მე არ ვყოფილვარ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იშვიათი იყო ისეთი კულტურულ-საზოგადოებრივი საქმე საქართველოში, რომელშიაც მე მონაწილეობა არ მიმეღოს. რამდენიმე წელიწადს ვმუშაობდი სახალხო თეატრში მისი დაარსების პირველ ხანებში (ე. წ. სახალხო აუდიტორიაში ავჭალის ქ.). ორჯერ ვიყავი არჩეული ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრად, რომელიც ქართულ წარმოდგენებს და საერთოდ ქართული თეატრის საქმეს უძღვებოდა. ვმუშაობდი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, რომელიც იმ დროს ქართული კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა.

დაუცხრომელად ვმუშაობდი კულტურულ ასპარეზზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ვმუშაობდი განუწყვეტლად მთარგმნელად, სტილისტად და ენის გამსწორებლად 1921 წლის დასაწყისიდან 1945 წლის შემოდგომამდე, სანამ მე მძიმე სენი არ შემიპყრობდა.

ის დაწესებულებები, სადაც მე მიმუშავებია:

1. 1921 წლის თებერვლიდან იმავე წლის 1 ივნისამდე საბავშვო ჟურნალებისა და წიგნების ტექნიკურ რედაქტორად და სტილისტად „გრუკავროსტას“ საბავშვო ლიტერატურის განყოფილებაში.

2. 1921 წლის ივნისიდან 1923 წლის იანვრამდე ლიტერატურულ რედაქტორად და სტილისტად განსახკომის სოცალზრდის მთავარსამმართველოს სალიტერატურო სამხატვრო სექციაში.

3. იმავე დროს ვმუშაობდი კოდექსებისა და საკანონმდებლო დადგენილებების მთარგმნელად იუსტიციის სახკომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებაში.

4. 1924 წლის მარტიდან 1924 წლის აგვისტომდე თბილისის „საბჭოთა მოამბის“ (რუსულ-ქართული ყოველდღიური საუწყებო ორგანო) ლიტერატურულ რედაქტორად.

5. 1928 წლის 1 ივნისიდან 1932 წლის იანვრამდე – სტილისტად გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

6. 1932 წლის პირველ თებერვლიდან იმავე წლის ივლისამდე ლიტრედაქტორად სახელგამში.

7. 1932 წლის აპრილიდან 33 წლის დამლევამდე პ/მგ მთარგმნელად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

8. 1934 წლის იანვრიდან 1935 წლის დამლევამდე – ლიტრედაქტორად სახელგამში.

9. 1935 წლის დამლევადან 1945 წლის 1 ოქტომბრამდე სტილისტად გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. ამავე ხნის განმავლობაში სტილისტად ვმუშაობდი ყოველთვიურ სამხატვრო ლიტერატურულ ჟურნალ „მნათობში“.

აღნიშნულ დაწესებულებებში შესრულებულ სამუშაოს და წინანდელ გაზეთებში მოთავსებულ წერილებისა და ფელეტონების გარდა, ჩემი მუშაობა ლიტერატურულ ასპარეზზე უმთავრესად მიმდინარეობდა თარგმანისა და სტილის ხაზით. უამრავი თარგმანის გარდა, ჩამოთვლაც კი შეუძლებელია იმისა, რაც მე 50 წლის მანძილზე წიგნები გამისწორებია ენობრივად.

კერძოდ, ჩემი თარგმანები მხატვრულ ლიტერატურაში გაფანტულია ძველ და ახალ ჟურნალ-გაზეთებში. არის გამოსული რამდენიმე თარგმანი ცალკე წიგნებადაც. გადმოთარგმნილი მაქვს შემდეგი ავტორების ნაწარმოებნი: პუშკინის, ლევ ტოლსტოის, ტურგენევის, მაქსიმ გორკის, ჩეხოვის და სხვა კლასიკოსები, თანამედროვე რუსი და მეზობელი ერების (სომხების, აფხაზების) საბჭოთა მწერლები, აგრეთვე არა რუსი მწერლები – ივ. ფრანკო, კნუტ ჰამსუნი (ვთარგმნე 40 წლის წინათ) და სხვანი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა თარგმნილი მაქვს რამდენიმე წიგნი პოლიტიკურ, ეკონომიურ და პოპულარულ ლიტერატურიდან. კერძოდ, მონაწილეობას ვიღებდი დიდი ბელადის ვლ. ლენინის თხზულებათა თარგმანში. სრული კრებული გამოცემის დროს (არ დასრულებულა) ლენინის რამდენიმე დიდი ნაწარმოებების ჩემი თარგმანი მოთავსებულია 1 და 20 ტომში. იყო ჩემი უკვე დამზადებული თარგმანები სხვა ტომებში დასაბეჭდადაც.

მიუხედავად ხანში შესულობისა და ორი მძიმე ავადმყოფობისა (შაქრის ავადმყოფობა და ფილტვების აბსცესი), მუშაობას მაინც განვაგრძობ. ვთარგმნი რუსი დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის გენიალურ და კაპიტალურ ნაწარმოებს „ომსა და მშვიდობას“ (პირველი ტომი უკვე გამოსულია, მეორე ტომის თარგმანი მთლად გათავებულია და ამ დღეებში დაიბეჭდება. დანარჩენი ორი ტომის თარგმნას განვაგრძობ). ამჟამად 75 წლისა ვარ.

1946 წ.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნიკოლოზ კურდღელაშვილი

ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. თელავში 1872 წელს. ჩემი მშობლები ყოფილან „სახაზინო ყმები“, თუმცა მღვდლის მიერ მოცემულ ჩემს მეტრიკულ ამონაწერში ეწერა „сын козениного пана“. რამდენადაც ვიცი, თელავში დასახლებულა პაპაჩემი (მამით) და კარგი ოჯახიშვილიც ყოფილა. დედაჩემი სოფ. იყალთოს გლეხის ოჯახიდან იყო (ისაიაშვილის). დედ-მამას ბეჭხედ ჰქონდათ ნასწავლი წერა-კითხვა და „ვეფხის ტყაოსანი“, „ვისრამიანი“ ზეპირად იცოდნენ. მამა ჩემი, რეჩიტაციით გვიკითხავდა ხოლმე „ვეფხის ტყაოსანს“. სიყმაწვილეში ვსწავლობდი თელავში, სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დავასრულე 1888 წელს. რადგანაც მამაჩემი ხელმოკლე კაცი იყო, ჩემი სწავლა-აღზრდა ტფილისში იკისრა ბიძა ჩემმა, რომელსაც ღვინის სარდაფი ჰქონდა და ბიძა ჩემი უშვილო იყო და შვილივით შემეფერა.

1888 წელს ტფილისის სემინარიაში შეველ. ჩვენს კლასში იმ დროს სწავლობდნენ: ლადო დარჩიაშვილი (თელავიდან ერთად გადმოვედით), რაჟდენ კალაძე, კარპე მოდებაძე, აფრასიონ მერკვილაძე, თათარეიშვილი, ილიკო ალლაძე, ტიტო ვარდიაშვილი, იაკობ ცინცაძე (ეკალაძე), ნიკო აღნიაშვილი, ალექსანდრე (საშა) სოლოლაშვილი, ანდრო ნადირაძე, ფილიპე გოგიჩიაშვილი, შაქრო ყიფშიძე, ისიდორე კვიციანიძე და სხვანი. აქ ჩამოთვლილი ამხანაგები მალე დავახლოვდით და დავაარსეთ ხელნაწერი ჟურნალი „ჭაბუკი“, რომლის რედაქტორებადაც ვიყავით მე და სოლოლაშვილი. ჩვენ სამეცადინო წრეც გვქონდა, სადაც ვკითხულობდით და ვარჩევდით აკრძალულ ლიტერატურას. ამ წრეში ერივნენ გიმნაზიისა და ინსტიტუტის მოსწავლენიც: გრ. რცხილაძე, ნ. უზნაძე, მ. ფავლენიშვილი და სხ.

1892 წლიდან სემინარიაში ჩვენი ამხანაგებიდან განსაკუთრებით დაუახლოვდით ერთმანეთს: ლადო დარჩიაშვილი, რაჟდენ კალაძე, იროდ. ხოსიტაშვილი (ევდოშვილი) და მე. ეს ოთხნი მოგყვით მესამე დასელთა იმ პირველ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მიხა ცხაკაია და ეგნატე ნინოშვილი. იმ დროს მ. ცხაკაია და ეგ. ნინოშვილი სცხოვრობდნენ მიხეილის (ეხლანდელ პლესხანოვის) პროსპექტზე №45, სარდაფის ბნელსა და ნესტიან ოთახში, რომლის ექვს გოჯიანი ფანჯრის შუშებიც ქუჩის მხარეს ტალახით იყო შეთხუპნული.

აქ, შეღამების შემდეგ, ხსენებული ხელმძღვანელები გვიამბობდნენ საფრანგეთის რევოლიუციების ისტორიას, გვაცნობდნენ არალეგალურ ლიტერატურას და გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებს. მასხოვს, მიხა ცხაკაიამ თავისი უკანასკნელი გროშებით მიყიდა და მომიძღვნა ბაირონის, თანამედროვე ინგლისელ პოეტის – შელლის ოთხი ტომი და ნადსონის ლექსები. იმ ხანს ეგნატე ნინოშვილის რჩევით, მე და ლადო დარჩიაშვილი ვსწავლობდით ფრანგულ ენას და ვაპირებდით საფრანგეთში გამგზავრებას სწავლის გასაგრძელებლად.

იმავე დროს, ლადო დარჩიაშვილის ბინაზე, სადაც სცხოვრობდა კიდევე მისი უფროსი ძმა მიხა, ტერენტი წერეთელი და იროდიონ ევდოშვილი, ჩვენ ვბეჭდავდით გეგტოგრაფიულ ჟურნალს „თავისუფლება“-ს, სადაც ვწერდით

თვითონ და ვთარგმნიდით რევოლუციონიურ ლიტერატურას. დავბეჭდეთ, სხვათა შორის, „ოთხი ძმის ზღაპარი“ და სხ.

ერთხელ სემინარიის ინსპექტორმა (ბერმა) დარჩიაშვილის ბინაზე ჩხრეკის დროს მიაგნო ამ ჟურნალის ნომერს და ამ ნიადაგზე ერთი ალიაქოთი ატყდა სემინარიის ადმინისტრაციაში. მაშინ გამოძრისცხეს სემინარიიდან, გამოძრისცხეს ლადო დარჩიაშვილიც და ევდოშვილიც. ეს იყო 1892 წელს.

იმ ხანად მიხა ცხაკაია ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ თანამშრომლობდა, რედაქციაში და მისი დახმარებით ამ რედაქციაში მიმიღეს თვეში 22 მანეთად. რედაქციის გამგედ იმ დროს იყო გრ. ყიფშიძე. ამ გაზეთში დაიბეჭდა პირველად ჩემი ლექსი „ორი გრძნობა“ და „ცახელს“.

1893 წელს სამხედრო ბეგარამ მომისწრო. ჯარში წასვლა არ მინდოდა. ამისათვის აგვისტოში გავმწესდი სართიჭალის სოფლის სკოლის მასწავლებლად იმ იმედით, რომ [...] მრგებოდა, ისევ მივატოვებდი. შემხვდა 25 ნომრი, ჯანსალი ვიყავ და უსათუოდ წარმიყვანდნენ ჯარისკაცად. ძალაუნებურად დავრჩი მასწავლებლად, სადაც ხუთი წელიწადი უნდა მემსახურა, რომ თავისუფალი ვყოფილიყავი სამხედრო ბეგრისაგან.

ამგვარად, მოვწყდი ტფილისს, ამხანაგებს, წრეს, ხელმძღვანელებას და ჯერ ჩამოუყალიბებელი, პოლიტიკურად გაურკვეველი ახალგაზრდა ჩავები სოფლის ცხოვრებაში, ბავშვებთან მეცადინეობაში.

ვიდრე მასწავლებლად წავიდოდი, სემინარიიდან გამოძრისცხვის შემდეგ, ვთხოვე ბიძა ჩემს, საშუალება მოეცა ჩემთვის საზღვარგარედ წასასვლელად, სწავლის გასაგრძობად. ბიძა ჩემმა შორს დაიჭირა საქმე: „თუ სწავლა გინდოდა, რატომ ისე არ მოიქეცი, რომ არ გამოერიცხეთო. ჩემი დახლიდარები მპარავენ, მოდი ჩემთან, დახლში დადექ და ჩემი ცხოვრებაც ხომ შენია, მე უშვილო კაცი ვარო“. საშინლად ვიუკადრისე ასეთი წინადადება და ისევ სოფელში მასწავლებლობა ვარჩიე იმ იმედით, რომ ორიოდ გროშს გადავარჩენდი და თავს მოუყრიდი რაიმე პატარა თანხას გასამგზავრებლად.

მასწავლებლობამ თავისთავად მიმიზიდა და ჩამითრია, ბავშვების გულუბრყვილო ბუნებამ და მალხაზობამ წამახალისა, გლეხების მარტივმა ბუნებამ და გულლიაობამ მიიზიდა ჩემი გული და ჩემი მცირე გონებრივი ავლადიდებით უმასპინძლდებოდი დაუზოგველად. ამავე დროს ჩემთვის მაინც განვავრძობდი წერას.

1894 წელს პანკისის სკოლაში გადაველ (კახეთშივე). იქ, პანკისის ხეობაში სამი წელიწადი ვმასწავლებლობდი. აქ გავეცან ქისტების, ფშავლების, თუშების და ხევსურების ზნე-ჩვეულებას, ენის კილოკავებს, ბუნებას. იქ დავწერე ერთი პოემა, რომელიც ზაფხულში ჩამოვიტანე ტფილისში და წავუეკითხე იმ დროს აქ მყოფ მიხა ცხაკაიას, ეგნატე ნინოშვილს, სილიბისტრო ჯიბლაძეს, კარლო ჩხეიძეს და ანდრო უზნაძეს. პოემა მომიწონეს, მაგრამ არ მოეწონა ის, რომ პოემის გმირი უცხოეთიდან დაბრუნების მერე, სოფლად მიდიოდა სამოღვაწეოდ: „ასეთი მომზადებული ყმანვილი ქალაქში უნდა ტრიალებდეს, ქარხნის მუშებში და არა სოფლად. რა უნდა გაარიგოს სოფელშიო?“ ამან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, რადგანაც ქარხნის მუშებს სულ არ ვიცნობდი, ასოთამონყობებისა და კურტნის მუშების გარდა, სხვა მუშა მე ვერ წარმომედგინა და გლეხკაცობა მეგონა ნამდვილ მუშა ხალხად.

ნავუკითხე აგრედვე კრიტიკული წერილი იმ დროს ახლად გამოსულ დუტუ მეგრელის ლექსთა კრებულის შესახებ – „ცრემლები“. ეს წერილი ძალიან მოიწონეს და „კვალში“ გადასცეს დასაბეჭდად.

1896 წელს ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე მასწავლებელთა კურსები იყო მოწყობილი. ტფილისის გუბერნიიდან სახელმწიფო გაგვგზავნეს ორი მასწავლებელი მე და იროდ. შავლიაშვილი. 1897 წელს გადმომიყვანეს სოფ. ხაშმის (გარე კახეთი) სკოლის მასწავლებლად. აქ დავრჩი 1899 წლამდე. აქ მოვანწყე მეცადინეობა, აგრედვე მოზრდილებთან საუბრები სხვადასხვა საკითხებზე.

1899-ს დეკემბრიდან ქ. კავკავის ქართულ სკოლაში დამნიშნეს მასწავლებლად. გამგზავრებამდე ვინახულე ტფილისელი ძველი ამხანაგები და დამავალეს არალეგალური ლიტერატურის მიღება-გავრცელება კავკავში. მომდიოდა არალეგალური ლიტერატურა, პატარ-პატარა ბროშურებად და ვავრცელებდი სარაჯიშვილისა და სხვა ქარხნების მუშებში.

კავკავში მსახიობობაც დამჭირდა, რადგანაც ქართული სკოლასთან იმართებოდა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენები და საღამოები, არსებობდა სცენის მოყვარეთა წრეც.

1902 წლამდე ვმასწავლებლობდი კავკავში.

1902 წ. – 1904 წლის დაწყებამდე ვხელმძღვანელობდი კავკავის სცენის მოყვარეთა დასს, ვრეჟისორობდი და ვმსახიობობდი.

1904 წელს ჩემთან გზად გამოიარა და საფრანგეთში გაემგზავრა ჩემი სიყრმის ამხანაგი – ერმილი სირბილაძე და მეც მირჩევდა გამგზავრებას. მისი წასვლის შემდეგ, მოვახერხე თხუთმეტიოდე თუმნის შოვნა და რადგანაც პარიზიდან წერილებით მაქეზებდა წასასვლელად, მე გავბედე და 1904 წ. გავემგზავრე პარიზისაკენ სწავლის მისაღებად. სახელდობრ რა დარგი უნდა შემეცნავლა, გარკვეული არა მქონდა. ნივთიერი მხრივ კი ვფიქრობდი, საკუთარი შრომით გავიტანდი თავს. პარიზში ერთ ოთახში ვცხოვრობდით ერმილი სირბილაძე, ზეინკალი-მუშა – ია იაშვილი და მე. ძალიან გაგვიჭირდა არსებობა. სახლიდან არც ერთს არაფერი მოგვდიოდა. საბედნიეროდ ჩვენდა, იქ არსებობდა ემიგრანტთა კასა, რომელიც თითოს გვაძლევდა კვირაში ორ ფრანკს. ვცადეთ სამუშაოს შოვნა. იაშვილს მუდამ ჰქონდა სამუშაო, მაგრამ მორცხვი და ხათრიანი იყო, სულ ემიგრანტების წრეში ჰქონდა სამუშაო და უკადრისობდა გასამრჯელოს აღებას. ერთ დღეს ვიშოვნე სამუშაო, შრომის მიმცემმა კანტორამ გამგზავნა ავენიუ დე შუაბიზე მალაზიის შუშების გასაწმენდათ. მომცეს მსუბუქი კიბე, მჩვრები, ცარცი, წყლის ვედრო და მისამართი. სამუშაო ტანისამოსი არა მქონდა. ჩემი პატიოსანი სერთუკით ვიკადრე ბარგის აკიდება და გზას გავუდექ. ვინყევლიდი ბედს, რომ ასე მოუმზადებელი და გამოუსადეგარი ვიყავ იქაურ ცხოვრებისათვის იმ დარგში, რომელსაც მთელი ახალგაზდობა შეევალიე. თანდათან ფიქრი სევდათ გადამექცა, სევდა ნალველად, ნალველა ბოლმად და ერთს სკამზე ჩამოვჯეგ ჩემის ბარგიბარხანით. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩემს გარშემო თანდათან ხალხი მოგროვდა, მეკითხებოდნენ რაღაცას, ფულს მაძლევდნენ, მაგრამ ვერაფერი გამაგებინეს: თურმე ცრემლები ჩამომდიოდა ღაპალუპით და ავადმყოფი ვეგონე. გონს რომ მოველ, მივიხედ-მოვიხედე, შემრცხვა ჩემი თავისა, წამოვიკიდე ბარგი-ბარხანა და გავერიდე ხალხს. ხელში კი

ნაჩუქარი ფული ნაღვერდალივით მწვავდა მთელს სხეულს, რამდენიმე ფრანკი იყო. დავნმინდე შუშები, მაგრამ კიბე დამისხლტა და ძირს გავიშხლართე. კარგი, რომ შუშები სქელი იყო, თორემ ვინ ზღავდა იმის ფასს. სალამოზე ამხანაგებს უამბე ჩემი თავგადასავალი და სიცილი დამაყარეს. მე კი დავიფიცე, რომ შიმშილით რომ მოვკვდე, აღარ წავალ ასეთ სამუშაოზე. იმ დღიდან კასიდან მოცემულ კვირაში ორი ფრანკით გავდიოდი იოლად.

ამ ეკონომიურ სიდუხჭირეში მაინც ბედნიერად და კმაყოფილად ვგრძნობდი თავს: დღისით ლუერის ან ლუქსენბურგის მუზეუმში ვიყავ დაკეტამდე, სალამ-სალამობით კი პარტიულ რეფერატებზე: სოც.-დემოკრატების, ანარხისტების, რევოლიუციონერების. ყველგან გავდიოდი, ვისმენდი, ვერკვეოდი მათს პროგრამებში, მაგრამ ვერც ერთს ვერ მივეკედლე საბოლოოდ, ალბად, საკმაოდ ვერ გავერკვიე. მინახავს ტრიბუნაზე პლენანოვი, ლენინი, ტროცკი, მარტოვი თავისი კოჭლი ფეხით, მარტინოვი, რაპოპორტი, კომანდო გოგელია, პარვული და მრავალი სხვა.

1905 წელს, როდესაც რუსეთში დაიწყო რევოლიუცია, ჩვენც სავალდებულოდ მივიჩინეთ სამშობლოში დაბრუნება. ზაფხული იყო. ტფილისში ჩამოსვლისას მიმიღეს თანამშრომლად ფ. გოგირაიშვილის „ივერია“-ში. იმ დროს ეს გაზეთი უფრო პროგრესიული იყო. აქ ვათავსებდი ფელეტონებად წერილებს: „საფრანგეთის წარსულიდან“, „იტალიის წარსულიდან“, „გერმანიის წარსულიდან“, „ირლანდიის წარსულიდან“ და სხ. ფსევდონიმით: „ნ...“ „ნ-ო“, „ნ. კ.“, „ნარკანი“ და სხ. აქვე მოვათავსე ეტიუდები: „ლაჩარი“, „ამაყი სული“ და სხ. 1906 წელს, შემოდგომის გასულს, საყოველთაო დიდი გაფიცვის დროს, „ივერია“ დაიკეტა და ასოთამწყობთ და თანამშრომელთ სამ-სამი თვის ჯამაგირი მოგვცეს. გამოვიდა ს.-დემ. გაზეთი „სხივი“ და სხვა მისი მაგიერი გაზეთები, მაგრამ მალე იკეტებოდა. 1907 წელს, მეორე სათათბიროს არჩევნების დროს, ს.-დემოკ. გაზეთები დაიკეტა. მე მექონდა გაზეთის ნებართვა აღებული. ვაპირებდი სალიტერატურო გაზეთის გამოცემას სახელწოდებით „ზარი“. სევერიან ჯულელმა და კირილე ნინიძემ მთხოვეს, დამეთმო მათთვის ეს გაზეთი საარჩევნო აგიტაციისათვის. დაფუთმე. გაზეთი ადმინისტრაციამ დაკეტა და მე, როგორც მისი რედაქტორი, მეტეხში ჩამსვეს, სულ ორი თვე. 1908 წელიწადი უსამსახუროდ ვიყავ, მხოლოდ კორექტურაზე ვეხმარებოდი ბოლშევიკებს გაზ. „ჩვენ დროებას“, სადაც მოვათავსე მეტეხში დაწერილი ლეგენდა „თავისუფლება“. ამ გაზეთს ხელმძღვანელობდა სოსო ჯულაშვილი და მიხა ცხაკაია, მაგრამ გაზეთი მალე დაიკეტა. იმავე წელში ჩემს მოთხოვნებს 1905–7 წლის რევოლიუციური ცხოვრებიდან ვათავსებდი ს.-დემოკრატიულ გაზეთებში: „ნეტავ მოეკლათ“, „ვერ ვივინყებ“, „მტრედები ლულუნებდნენ“, „იტირე, საბრალო“ (ჭიათურის მაღაროების ცხოვრებიდან), „შორს სამსხვერპლოდან“, „ბედკრული ხალხი“, „ორი კუბო“, „მეჯლისი“ (კავკავის ცხოვრებიდან) და სხ. მაგრამ იმ დროს ჰონორარები არ იყო და მხოლოდ ერთხელ მივიღე რედაქციიდან ერთი აბაზი.

გულმა ისევ საფრანგეთისაკენ გამწია, რადგანაც აქ ვერსად მოვენყე, თუმცა ჭიათურაშიაც დავყავ მთელი ზაფხული სამსახურის მოლოდინში.

1909 წელს მოვახერხე გზის ფულის შოვნა და გავემგზავრე პარიზისა-

კენ. იქ ნივთიერი გაჭირვება დიდი მქონდა. ნაცნობობით მოვახერხე ერთი ფრანგის ოჯახში მოსამსახურედ დადგომა. ჩემი მოვალეობა იყო რვა ოთახის დალაგება, სადაც სახლის პატრონს ფრანგი სტუდენტები ჰყავდა მდგმურებად. საშინელი ყინვიანი ზამთარი იყო და გაუთბობელ სამზარეულოში მეძინა. სამაგიეროდ კვება მქონდა სახლის პატრონთან და ფრანგული ენის ვარჯიში. იქ დავწერე პოემა „პარიზის კომუნა“, რომელიც დავბეჭდე „ხალხში“.

პარიზში გაზაფხულზე ქუჩაში შევხვდი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს, რომელმაც თავის ატელიეში მიმიღო და დღეში ორი ფრანკი დამინიშნა გასამრჯელოდ – ვალაგებდი მის ატელიეს და ჩემის ორი ფრანკიდან ვკვებავდი მის ორ კატას.

აქ, ჩემდა მოულოდნელად, დავიწყე მოქანდაკეობა. ორი თვის განმავლობაში გავაკეთე თხუთმეტიოდე ჩვენებური ტიპი. ჩემმა ნამუშევარმა ყურადღება მიიქცია მოქ. სუდბინინისა და სხვების. სუდბინინმა გრანშომნერის აკადემიაში შეიტანა ჩემთვის სწავლის ფული, რადგანაც ხატვა სრულებით არ ვიცოდი.

იმ დროს პარიზში ჩამოვიდა აკაკი წერეთელი. ძალიან მოიწონა ჩემი ნამუშევარი და აღმითქვა თავისი სახელობის სტიპენდიის დანიშვნას. მაგრამ ნიკოლაძესთან ვეღარ მოვთავსდი და ისევ შიმშილობა დამეწყო.

1910 წლის დასაწყისში დავბრუნდი ტფილისში. აკაკის დაპირება პოეტურ სიტყვად დარჩა, რადგანაც არავინ დაიჯერა მისი აზრი და სტიპენდია ვერ დაანიშვნინა.

1910 წ. გუნიას წინადადებით დებიუტი მქონდა დრამის თეატრში, ვთამაშობდი გევალის როლს „აღლუმში“. დასში მიმიღეს, მაგრამ „საათების“ სისტემა იყო და გადაჭრილი ჯამაგირი არავის ქონდა. ნივთიერად ვერ მოვეწყე და მივატოვე. მაშინ, იმავე 1910 წელს, ვხელმძღვანელობდი და პირადად ვწარმოებდი ყოველკვირეულ გაზეთ „ხალხს“, რომლის ფიქტიურ რედაქტორად იყო შ. საფაროვი. ამ გაზეთში კამათი მქონდა როგორც სოც.-დემოკრატებთან, ისე ს.-ფედერალისტებთან.

„სახალხო გაზეთის“ რედაქტორად და მდივნად ვიყავ 1916 წლამდე. ჩემთან ერთად მუშაობდა სანდრო შანშიაშვილი და რ. ბებიაშვილი. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ ვიყავ პასუხის გებაში მიცემული 129 მუხლის ძალით, მაგრამ მხოლოდ ფულადი დაჯარიმებით თავდებოდა საქმე. ერთხელ 1914 წ. „შეიარაღებულ აჯანყების მონოდებისათვის“ მდებდნენ ბრალს, როგორც რედაქტორს (სააღდგომო ნომერში დაიბეჭდა „სიტყვა“-ს წერილი).

1916 წელს დონისროსტოვიდან დაბრუნდნენ გადასახლებული ფედერალისტები და თავის საქმეს მიეპატრონენ, მე კი განეული შრომის პატივსაცემად გადამიყვანეს კორექტორად.

1917 წელს ს. შანშიაშვილმა გამოსცა გაზ. „საქართველო“ და მასთან გადაველ რედაქციაში მდივნად. მერე ამ რედაქციასაც ვერ შევეწყე და კორექტორად გადაველი. ასე გაგრძელდა 1919 წლამდე. ამ წელს მთარგმნე[...] [...]ლურ ნიგნებს. სხვათა შორის ვსთარგმნე დიდი ნიგნი „Подрывное дело“, რომელიც ჯერაც გამოუცემელია.

1919 წ., მგონებ, ივლისიდან მიმიღეს საქმის მწარმოებლად ფინანსთა

სამინისტროში, მინისტრის საბჭოში, სადაც ვმსახურობდი 1921 წლის აპრილამდე, როდესაც ლიკვიდაციაში მოვხვდი. იმავე წელს ქართული ნაწილის რედაქტორად მიმიწვიეს „ზაკავროსტაში“, შემდეგ „კავროსტაში“.

1921 წელს მიმიწვიეს კორექტორად სამხედრო სტამბაში, სადაც დავყავ 1923 წლის აპრილამდე, როდესაც ეს თანამდებობა გაუქმებულ იქმნა.

1923 წლის ივნისიდან მიმიღეს მთარგმნელად გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში, სადაც ვმსახურობდი 1924 წლის მარტამდე.

ამ დროიდან მიმიწვიეს ეგ. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემის ხელმძღვანელად სახელგამში, სადაც ამის გარდა ვანარმოებდი თარგმნას, ნათარგმნების სტილიზაციას და კორექტურას. სახელგამში ვიმუშავე შტატგარეშე თანამშრომლად 1925 წლის თებერვლამდე.

იმავე წლის მარტიდან ვმუშაობდი შრომის ბირჟის მიერ უნივერსიტეტთან მოწყობილ სალექსიკოლოგიო სამუშაოზე, რომლის ხელმძღვანელადაც იყო პროფესორი აკაკი შანიძე, მე კი მის თანაშემწედ. მუშაობა მოთავდა აქ ივნისის გასულს.

1925 წლის ივლისის 9-დან დამნიშნეს ფინანსთა კომისარიატის თარჯიმანად. ამავე წლის 16 დეკემბრიდან, შტატების შემცირების გამო, გადამიყვანეს საერთო კანცელარიაში უფროს საქმის მწარმოებლად. ხოლო 1926 წლის თებერვლის 19-ს დავინიშნე ადგილობრივ ფინანსთა განყოფილებაში რევიზორ-ინსტრუქტორის თანამდებობაზე.

[1926 წელი]

Автобиография Николая Семеновича Курдгелашвили – Наркани

Родился в 1872 году в бедной семье казенных крестьян сел. Икалто (Телавского уезда, Тифлисской губернии). В гражданских актах о рожденных записан в гор. Телаве. По окончании курса Духовного училища (1888 г.) из Телава был переведен в Тифлисскую Духовную Семинарию. В 1892 году, после четвертого экзамена при переходе в пятый класс был исключен за обнаруженную у меня нелегальную литературу, в том числе „Европейский Вестник“ и геттографический журнал на грузинском языке, отпечатанный нашей группой „Месамедасистов“, под названием „Свобода“, в котором была напечатана сказка „О четырех братьях“ и революционная песня в моем переводе в составе Дарчиашвили Л., Каладзе Р. и Квицаридзе Исидора. Нашей группой (1891 г.) руководили Ниношвили, я и М. Цхакая. У нас была еще группа совместно с воспитанниками 1-ой гимназии и Учительского Института, а в семинарии литературная группа, издававшая рукописный журнал „Чабуки“ в составе: Каладзе Як., Сологашвили Ал., Агниашвили Нико, Агладзе Илья, Вардиашвили Димитр., Кипшидзе Зах., Надирашвили Андро и Мчедлишвили Фома под моим редакторством.

По совету и настоянию Ниношвили и Дарчиашвили изучали французский

язык с целью поездки во Францию для пополнения образования, но за неимением средств наши порывы остались мечтой.

С осени 1892 г. начал работать в редакции газеты „Иверия“, им. Ил. Чавчавадзе. Там же работали: Миха Цхакая (заведывал русским и иностранным отделом), Гр. Кипшидзе, с. р. Шио Давиташвили и фелетонист Ал. Никитин („Черный“). Первые два стихотворения напечатанные в этой газете (1893 г.) – „Два чувства“ и „В ответ Цахели“.

С осени 1893 года подлежал призыву для отбывания военной повинности. Желая уклониться от военной службы, я поступил учителем сельской школы в Саргачалах-Мариенфельд (Тифлисского уезда). С этой времени был оторван от интимного кружка месамедасистов, ушел в педагогическую деятельность, прослужил учителем до 1903 года (в Хашми, Панкиси, Владикавказ). За это время я писал в газ. Цнобис-Пурцели корреспонденции под псевдонимом Дзаугис Нари. В сел. Хашми и во Владикавказе организовал хор и кружок любителей сцены, устраивая спектакли. Во Владикавказе я получал из Тифлиса нелегальную литературу, которой снабжал рабочих завода Сараджишвили.

Весной 1904 года собрав деньги на дорогу (80 р.) выехал во Францию, куда меня звали товарищи с детства Ермилоа Сирбиладзе („Паризели“) и Арч. Авалишвили. Жили мы там с большими лишениями и в 1905 году вернулись в Тифлис. Я начал работать в газ. „Иверия“ Ф. Гоигичаишвили, помещая этюды, исторические обзоры из революционного прошлого Франции, Германии, Ирландии и Италии. Одновременно работал корректором и компилятором до закрытия этой газеты (в декабре 1905 года).

В 1906 году собирался издавать литературную газету „Зари“. Шла предвыборная кампания во вторую Государственную думу, правительство закрыло все с.-дем. органы и мне пришлось свою газету уступить тов. Северяну Джугели для проведения предвыборной агитации. Газету в декабре месяце закрыли и я просидел в Метехском замке до конца Апреля 1907 г. Там я написал легенду „Свобода“, которая была напечатана в органе т. т. Талина и Цхакая „Чвени дроба“. В 1906-7 году, после реакции, бежавшие из Шукруты красные размысты, человек 10–12, приютились у меня (на Ольгинской, а после на Казбекской ул.), в том числе „Кондуктор“ – т. Орегвидзе Николимос, „Усахело“, и др. Здесь я доставлял от Коли Иорданишвили бомбы кардонной системы для большевистской организации. Между прочим при аресте у него на столе нашли фотографические карточки, за несколько дней Иорданишвили со своим аппаратом снялся со мной, забрали и эту фотографическую карточку, спрашивая его про мою личность. На следующий день Иорданишвили из Метехского замка сообщил мне запиской, что ищут и меня. Пришлось попрощаться с большими волосами и переменить внешность.

За 1907-8 год я помещал свои беллетристические произведения в с.-д. органах „Схиви“, „Гантиады“ и другие.

В августе 1908 года под чужими паспортами выехал в Париж, на средства Нелико Касрадзе, которого полиция разыскивала как террориста. В Париже пережил много мытарств, пришлось устроиться прислугой у М-м Лашез и убирать 6 ком-

нат. Затем месяца 2 обслуживал отеле Як. Николадзе, получал 2 франка в день, увлекся скульптурой. Скульптор Судбинин определил меня в академию Гран-Шомнер, внося за право учения за шесть месяцев. Но я изнемогал, перебиваясь на одну воду, а иногда с хлебом. И мне пришлось вернуться в Тифлис 1909 года. В Париже я написал поэму „Парижская коммуна“, „Братская могила“, „Зоркий страх“, „Биби“, „Потерянная судьба“, которые по приезде в Тифлис были мною напечатаны в руководимой мною еженедельной газете „Халхи“ в 1909-1910 году. В 1910 году написал повесть „Нордау задержал“, которая вошла в „Чанги“ издан. Гачечиладзе. Литературный труд мне ничего не давал, лишь один раз я получил с журнала „Схиви“ издаваемом Церетели 1 руб. 40 коп. за повесть „Зоркий страх“ который был помещен в двух номерах.

К с.-демократам не мог примкнуть, так как они принципиально отрицали национальный вопрос, не мог примкнуть и к федералистам за узкую постановку этого вопроса.

К этому времени я женился на типографской наборщице, поэтесе Бабилине и когда федералисты, после выселения почти целого состава и редакции, обратились ко мне принять руководство газетой, я скрепя сердца согласился и не будучи федералистов, ввел газету с 1910 года до конца 1916 года, пока не вернулись административно-высланные Г. Ласхишвили, Самсон Пирцхалава и другие. В „Сахалхо“ я поместил повесть: „Я и мой желудок“, „За пределами видимого“, „Гачагда“, „Мать“, „Неужто“, „Таинственные переживания“, Путевые записки, рецензии и юмористические статьи.

С конца 1916 года работал секретарем-статистом в ред. газ. „Сакартвело“, под конец и корректором до 1917 года.

После февральской революции 1917 года, уставший от редакционных дразг, я первый раз в жизни нашел возможным поступить на службу в государственное учреждение и поступил Секретарем Совета Министра финансов при Министерстве финансов Грузии, прослужив там до 1921 года. Одновременно работал редактором журн. „Мхедари“, корректором „Сакартвелос Республика“ и переводчиком в комиссии Одишелидзе при Штабе, где я перевел им объемистую книгу „Подрывное дело“.

После советизации Грузии с конца Марта 1921 года был редактором Груз. Отдела „Закавроста“ и „Кавроста“, затем русско-грузинским корректором при типографии Наркомвоенпора до 1923 г.

С 1923 по 1924 год работал переводчиком в груз. газ. „Коммунист“. Одновременно работал на стилистическую редакцию при Сахелгами „Железные п...“ Джека Лондона (Госиздание Гр.), составил библиографию для академического издания Ниношвили, написал биографический очерк для юбилейного издания сборника пьес Ш. Дадиани, по поручению Сахелгами перевел „Спартак“ (с Московского издания 1923 года).

С 1924 по 1927 г. работал переводчиком при НКФ Грузии. Одновременно перевел для Сахелгами книгу Керженцева „Ленинизм“. Написал сценарии „Лагишвили“ и повесть „Зимняя ласточка“ (или Гугульская коммуна).

С 1927 г. по 1929 г. находился на пенсии и перевел Жюль-Верна „80.000

километров под водой“ и Борисова „Кооперативная Хрестоматия“ (первую половину перевел Илья Агладзе, вторую – я и корректуру исправлял я).

В Январе 1919 г. по 20 октября 1930 года работал архивариусом при Музее Революции Грузии. За это время я перевел для Сахелгами Жюль Верна „Тайнственный остров“.

С 20 октября 1930 г. по 1 декабря 1932 г. состоял переводчиком при ЦК КП (б) Грузии.

Одновременно я перевел с русского на грузинский язык книгу Камараули „Хевсуретия“, Виктора Гюго „Собор Парижской Божьей Матери“.

С 1932 до 1934 года работал при Сахелгами на переводы и статистическую редакцию и перевел „Дети капитана Гранта“ Жюль Верна (пойдет в печати лишь в 1936 году).

С 1 октября 1934 года работаю переводчиком при НКФ Грузии, За это время я написал и представил на конкурс сценарии „Вепквис Ткаосани“ (Человек в барсовой коже).

Теперь заканчиваю переделку этой поэмы для сцены.

С октября по ноябрь месяц за стилистической редакцию учебника по химии в переводе инженера Балуашвили получил 500 рублей. За переводы брошюр для Наркомпроса Грузии о дошкольном воспитании детей – 200 руб. и за стилистическую редакцию брошюры о сельхозналоге в колхозах 100 рублей. Всего 800 рублей.

В НКФ Грузии, как штатный переводчик, получаю 400 рублей в месяц.

Получаю персональную пенсию в размере 125 рублей.

С 1892 года сотрудничал почти во всех органах грузинской печати: „Иверия“ Чавчавадзе, „Квали“ Георгия Церетели, „Сахалхо Пурцели“ орган федералистов, „Чвени Дроеба“ (орган большевиков, издаваемый под руководством Сталина и М. Цхакая), „Зари“ (под руководством Севериана Джугели), „Халхи“ (под моим руководством), „Театри да Цховреба“ (Имедашвили), „Мхедари“ под моим редакторством, „Эшмакис Матрахи“, „Нишадурис Кребули“ (Гуния), „Схиви“, „Гантиады“ и последующие органы с.-д.: „Сасопло Газеты“, „Коммунист“, „Барикады“, „Дроша“.

В указанных органах напечатаны:

1. „Ори Грдзноба“ (Два чувства), (Пасухад Цахелс), 1893 г.
2. „Фантазия“ (1894 г.)
3. Колыбельная песня (Нана), 1907 г.
4. „Чеми Нана“ (Моя Колыбельная), 1907 г.
5. „Мтварес“ (Луне), 1908 г.
6. Памяти Архипу Яшвили, 1907 г.
7. Петре Мгвдлис Симгера (Песня священника Петра), 1923 г.
8. Панкисис Твали (Жемчужина Панкиса), 1910 г.
9. „Паризис Коммуна“ (Парижская Коммуна), 1910 г.
10. Чемс Маэстрос (Моему маэстро Я. Николадзе).
11. „Лачари“ (Трус), 1905 г.
12. „Амаки Сули“ (Гордый дух), 1905 г.
13. „Тависуплеба“ (Свобода), 1907 г.

14. „Вер вивицкеб“ (Не могу забыть), 1907 г.
15. „Мтрედები гугუნебден“ (Голубы воркуют), 1907 г.
16. „Ори кубо“ (Два гроба) 1908г.
17. „Шенц?“ (И тебя?) – по поводу убийства Чавчавадзе, 1907.
18. „Шорс Самсхверплодан!“ (Долой с жертвенника!) – по поводу убийства Чавчавадзе в 1907 г.
19. „Бедшави халхи“ (Обездоленный народ), 1908 г.
20. „Итире сабрало“ (Рыдай горемыка), 1908 г.
21. „Ну-ту?“ (Неужто?).
22. „Хилулис гадагма“ (За пределами видимого), 1913 г.
23. „Идумали ганцдани“ (Тайнственные переживания), 1913 г.
24. „Гачагда“, 1912 г.
25. „Дакаргули беди“ (Потерянная судьба), 1912 г.
26. „Ме да кучи“ (Я и желудок мой), 1912 г.
27. „Пхизели Дараджи“ (Зоркий сторож), 1909 г.
28. „Колас оинеби“ (Проказы Кола), 1912 г.
29. „Нордаум даагвиана“ (Нордау задержал), 1910 г.
30. „Биби или Звездианка“ (Биби или звездянка), 1910 г.
31. „Адгилис деда“ (мать земли), 1923 г.

Публицистические статьи:

1. Истор. обзоры рев. движен. Франции
2. „–“ Германии.
3. „–“ Италии.
4. „–“ Ирландии.
5. Церковь и государство во франции.
6. На могиле Коммунаров (Демонстрация в Париже с Жоресом и др.), 1905 г.
7. Библиография к изданию Ниношвили, 1924 г.
8. Биография с критическим обзором о Ш. Дадиани, 1923 г.
9. На смерть Ир. Эвдошвили, 1916 г.
10. Рецензии по постановке пьес Трифона Рамишвили, Я. Экаладзе, 1912 г.
11. О скульпторе Як. Николадзе
12. Петевые записки (первый поезд по Кахетинской ж. д.), 1914 г.
13. Эшмакис Матрахи.
14. Ахали Кал-важиани.
15. Поэзия Силована Хундадзе.
16. Циспери Канцеби (Голубые рога).
17. Шота и мар.

} 1905 г.

} Юмористические статьи под псевдонимом Шолти. 1911 г.

Печатные переводы:

1. Максим Горький – „Перед лицом жизни“, 1904 г. Писатель который возгордился, 1904 г.
2. Джиовани – Спартак (с Моск. изд. 1923 г. по заказу Сахелгами), 1923 г.
3. Керженцев – Ленинизм, 1926 г.

4. Борисов – Кооперативная Хрестоматия (перевели Агладзе первую половину, я – вторую).
5. Камараули – Хевсуретия.
6. Жюль-Верн – Трилогия: 1. 80000 километров под водой, 1929 г. 2. Тайственный остров (выйдет из печати), 1932 г. 3. Дети капитана Гранта (перевод готов), 1934 г. (выйдет в 1936 г.).
7. Почтовые голубы (для детской секции Сахелгами), 1938 г.
8. Тов. Шаумян, 1933 г.
9. Брошюры по сельскому хозяйству и военному делу для секции Госиздат Грузии.
10. Молодой географ (для детсекции Сахелгами), 1933 г.

Стилистическая редакция:

1. Джек-Лондон – Железные пяты, 1923 г.
2. „Технология дерева и железа“, 1932 г.
3. По химии, физике, медицине, 1932-33 г.
физика и прочие учебники для средних и высших учебных заведений.
Был редактором: газ. „Халхи“, „Зари“, журн. „Мхедари“, и газ. „Сахалхо“; корректором: „Иверия“ Гогичайшвили, „Халхи“, „Мхедари“, „Сахалхо“, „Сакартвело“, „Сакартвелос республика“.
1. Издал по подписке и корректировал сборник стихотворений Эвдошвили (1915 г.).
2. Юбилейное издание пьес Ш. Дадиани.
3. Стилистически исправлял соц. проф. Бериташвили по физиологии.

Не изданные произведения, переводы и сценарии:

1. „Замтрис мерцхали“ (Зимняя ласточка), 1906 г. (1923 г.)
2. „Гугульская Коммуна“, (1906 г.).
3. Важа-Пшавела (воспоминания), 1935 г.
4. Акакий в Париже (воспоминания), 1935 г.
5. „Моквда гимили“ (Умерла улыбка), про Арагвиспирели и Тамары Кучукашвили, 1923 г.
6. Ткупис цали (Один из близнецов).
7. Площадь федерации, 1935 г.
8. Акrostих (Ленин-Сталин), 1930 г.
9. Грузинский стиль, 1935 г.
9.Виктора Гюго, 1928 г.

Киносценарии:

1. „Лагиашвили“, 1925 г.
2. „Стальная воля“, 1930 г. (револ. трюков. сценары).
3. „Вепхвис-Ткаосани“ (представлен на конкурс).
4. „Вепхвис-Ткаосани“ (Переделки для сцены, будет представлен на конкурс к 1-му января 1936 года).

За последний месяц с октября по ноябрь переводами заработал в НКП Грузии – 200 р.; стилистич. редак. перевода инж. Балуашвили – 500 р.; брошюры – 100 р. – всего 800 руб.

Работаю штатным переводчиком НКФ Грузии с окладом 400 р. в месяц.

Не знаю, кому или чему я обязан, что до сих пор мои произведения, насквозь проникнутые революционным духом, не печатались в отдельном издании. За права Сахелгам в 1923 году нашли, что даже „Свобода“, напечатанная в органе т. Сталина и Цхакая, а также „Парижская Коммуна“ и „Зимняя ласточка“ (историческая повесть о Гугульской Коммуне 1905-6) – контрреволюционные произведения. С того момента, я и не обращался к ним.

ილია ზურაბიშვილი

Личная карточка (члена/кандидата Союза Советских Писателей СССР)	
1. Фамилия, имя и отчество	Зурабишвили Илья Елевтерович
2. Литературный псевдоним	Ил. Елевтеридзе (в прошлом)
3. Дата и место рождения	<u>1872</u> года <u>марта</u> месяца <u>6</u> дня (по ст. ст.)
	(укажите новый или старый стиль) в сел. Кварели, б. Телавского уезда, б. Тифл. губ.
4. Национальность	Грузин
5. Социальное происхождение	Бывш. потомств. дворянин
6. Социальное положение	Служащий
7. Литературный жанр	Преимущественно беллетристика, писал и о театре (рецензии о драм. и оперных спектаклях)
8. На каком языке пишет	На грузинском
9. Начало литературной работы	С 1 января 1894 г.
10. Время вступления в Союз Советских Писателей и № билета	Ус. №15, от 17/VIII, 1940 г.
11. В каких литературных организациях состоял до Союза Советских Писателей	Ни в каких
12. Партийность, № партбилета, время вступления и где состоит на учете	Беспартийный
13. Состоял ли в других партиях, каких, где, с какого и по какое время	Не состоял

14. Имеет ли партвзыскания (когда, за что и кто наложил)	—
15. Образование (название учебного заведения, окончил или нет, годы обучения или окончания, какой факультет)	Низшее: окончил двухклассное начальное училище в уроч. Сацхени-си, б. Телавского уезда, б. Тифлисской губ.
16. Имеет ли ученую степень (звание)	Не имею
17. Знание иностранных языков и языков народов СССР (какими языками владеет, читает, пишет, говорит)	Знаю русский язык, которым владею, относительно, свободно (читаю, пишу, говорю)
18. Служил ли в старой армии, где, когда, в качестве кого (чин)	Отбывал воинскую повинность по призыву с 1893 г. по 1896 г., в кач. нижнего чина в канцелярии Кавказской туземной стрелковой бригады в Тбилиси
19. Служил ли в армиях и отрядах, боровшихся против советской власти (в каких, где, когда, в качестве кого)	Не служил
20. Служил ли во время гражданской войны в Красной Армии (где, в качестве кого и участвовал ли в боях)	Не служил
21. Служил ли в армии во время Отечественной войны (где, когда, в качестве кого и участвовал ли в боях)	Не служил по возрасту
22. Был ли в плену (где, когда, при каких обстоятельствах попал, как и когда освобожден из плена)	Не был
23. Находился ли на территории, временно оккупированной немцами в период Отечественной войны (где, когда и работал в это время)	Не находился

24. Отношение к воинской обязанности: а) род войск б) состав (нач., мл. нач., рядовой) в) № ВУС г) военное звание	Нет по возрасту
25. Был ли за границей (где, когда, сколько времени)	Был в Берлине в 1905 году на две недели
26. Живет ли кто-либо из родственников за границей	Нет
27. Общественная деятельность	Работал много лет в кружке по устройству народных спектаклей
28. Судимость Административное взыскание	Не судился и административным взысканиям не подвергался
29. Какие имеет правительственные награды (ордена и медали), когда награжден и за что	Указами Президиума Верховного Совета СССР от 1 мая 1944 г. и 6 июня 1945 г. награжден медалями „За оборону Кавказа“ и „За доблестный труд в Великой отечественной войне 1941–1945 г.г.“
30. Место работы (указать штатная или по договору)	Работаю в Радиокomitee в качестве стилиста на гонорарных началах и состою членом 2-ой Редакционной Комиссии по составлению Грузинского толкового словаря при Академии Наук ССР Грузии по договору. Персональный пенсионер республик. значения
31. Домашний адрес и телефон	Тбилиси, Цилканская ул. №9 Телеф. не имею

» — “ _____ 195 г.

Подпись _____

РАБОТА В ПРОШЛОМ (трудовая деятельность)				
дата (м-ц, год)		Должность с указанием учреждения, организации, предприятия	Ведомство, в систему которого входит учреждение, организация, предприятие	Местонахождение учреждения, организации, предприятия (указать город, район, какой области, края, республики)
вступ.	ухода			
1888 г.	1889 г.	Канцел. служащий Телавского уездного управления Тифл. губ.	Министерство внутр. дел	Гор. Телав, б. Тифлисской губ.
1890 г.	1893 г.	Завед. делопроизводством следственного участка Телавского уезда	Министерство юстиции	Там же
С ноября 1893 г.	август 1896 г.	Отбывал воинскую повинность по призыву в канцелярии Кавказской туземной стрелковой бригады в кач. ниж. чина	Военное министерство	г. Тбилиси
1896 г.	1898 г.	Помощник Секретаря Телавского уездного мирового суда	Министерство юстиции	г. Тбилиси
1899 г.	1903 г.	Переводчик тифлисского окружного суда	Министерство юстиции	г. Тбилиси
С мая 1903 г.	1917 г. включит.	Секретарь дворянства Тифлисской губ. по выборам	Министерство внутр. дел.	Там же
1918 г.	1920 г.	Тов. Заведывающего канцелярией бывшего грузинского Парламента	Б. законодательное учреждение	Там же

1920	1921 г. февраль	Заведыв. канцел. бывшего Учредительного Собрания Грузии	Тамже	Тамже
24 марта 1921 г.	11 июля 1937 г.	Редактор юридического отдела Революционного Комитета Грузии, а затем Совета Народных Комиссаров ССР Грузии	Высшее законодательное учреждение	Тамже
С 4 июня 1943 г.	–	Персональный пенсионер республиканского значения ССР Грузии	Народный Комиссариат Социального обесп. ССР Грузии (ныне министерство)	Тамже

Зурабишвили Илья Елевтерович **(Псевд. Ил. Елевтеридзе – в прошлом)**

Родился я в 1872 году в Кахети (сел. Кварели бывш. Телавского уезда, бывш. Тифлисской губернии) в семье офицера из мелкопоместных дворян.

По ограниченности средств самъ смог окончить лишь двухклассовое начальное училище. Далее я уже ни в какой школе не обучался. С целью самообразования почти с детских лет читал усиленно, но бессистемно, не имея надлежащего руководителя.

Детство до 8 лет провел в деревне, а затем проживал преимущественно в Телави и Тбилиси, посещая иногда деревню на короткое время.

С 16-ти лет поступил на гражданскую службу канцелярским чиновником. Затем был призван к отбыванию воинской повинности (в ноябре 1893 г.). Служил в воинской части (1-ой Кавказской туземной стрелковой бригады в Тбилиси. По окончании военной службы в 1896 году занял должность помощника секретаря уездного мирового отдела в Телави, а с 1898 г. должность переводчика Тифлисского окружного суда.

В 1903 г. я был избран секретарем дворянства Тифлисской губернии и пробыл в этой должности до 1917 г. (включительно), будучи переизбираем чрез каждые три года. С 1918 г. состоял товарищем заведывающего канцелярией бывшего грузинского парламента, а с 1920 г. заведующим канцелярией бывшего учредительного собрания Грузии.

По установлению в Грузии Советской власти – с 24 марта 1921 г. состоял редактором юридического отдела Революционного Комитета Грузии, а затем Совета Народных Комиссаров СССР Грузии. На этой должности находился до 11 июля 1937 года. С 1943 года состою персональным пенсионером республиканского значения ССР Грузии.

Литературой стал заниматься в 1894 года (1 январь), когда в журнале „Квали“ была напечатана первая моя новелла „Жертва Родины“, изображающая солдатскую жизнь, с которой только что стал знакомиться, находясь сам в положении „молодого солдата“. Это было в грузинской литературе первое по времени произведение, трактующее в художественной форме вопрос о жизни и быте туземных солдат в русской армии. Редактор и издатель журнала „Квали“ (супруги Георгий Церетели и Анастасия Туманова-Церетели), неожиданно для меня, весьма сочувственно встретили новеллу совершенно никому неведомого автора (я послал ее из Телави, где отбывал воинскую повинность) и поместили ее в первых двух номерах „Квали“ за январь 1894 года, снабдив вдобавок текст несколькими иллюстрациями, специально для сего случая заказанными художнику, что в то время было совсем необычным явлением. А когда в половине января, уже переведенный на службу в Тифлис, я в солдатской форме впервые заявился в редакцию, они так горячо обласкали меня, что я и сейчас, когда пишу эти строки, как бы ощущаю дыхание этой ласки, которая так ободряюще

подействовала на безвестного юношу и так освежающе действует на 80-летнего старца. А ведь с тех пор прошло почти 58 лет.

В том же журнале и в том же году была помещена другая моя новелла „Не лишай меня чести“, картина произвола и безобразного поведения полицейских чинов на деревне.

Затем, в том же году, я стал сотрудничать в газете „Иверия“, выходявшей под редакторством Ильи Чавчавадзе. В этой газете печатались все мои последующие повести, рассказы и новеллы. Там же помещал я рецензии о драматических и оперных спектаклях. В „Иверия“ я работал и после И. Чавчавадзе, когда газета перешла от него к другим издателям и редакторам.

В этой газете напечатано свыше двадцати повестей, рассказов и новелл (см. особ. список). Из них в переводе на русский язык имеются: „Цветок любви“, „Юность“ и „Волна“.

Отдельными книжками изданы две довольно большие повести „Гарозгили“ (высеченный розгами) и „Два охотника“. Эта последняя повесть издана отдельной книжкой и Грузгосиздатом в 1926 г. и тогда же заснята кинокартиной Грузгоскипромом.

Со дня восстановления в Грузии Советской власти я сотрудничал в газетах тогдашнего Союза грузинских писателей, помещая регулярно театральные рецензии об оперных и драматических спектаклях.

С 1937 года, когда я, оставив работу в государственных учреждениях, отдался исключительно литературной работе, мною написано в виде художественной прозы „Лезгинка“, „Кахетинское мравалжамиер“ и „Урмули“, объединенных под общим названием „Творческий гений народа“ (ხალხის შემოქმედო გენი) („Воспоминания об Илье Чавчавадзе и об Акакия Церетели“), „Четыре портрета“ (сценические образы четырех крупных грузинских артистов) и др. очерки (см. список). Отдельными книжками изданы „Вано Сараджишвили“ (сценические образ известного оперного певца-тенора) и монография „Опера Захария Палиашвили – „Абесалом и Этери“ (анализ музыки). Эта работа до издания отдельной книжкой, печаталась в журнале „Сабчота Хеловнеба“.

Мой прежний литературный псевдоним „Ил. Елевтеридзе“ я избрал по цензурным соображениям: в то время, когда я выступил на литературное поприще, я отбывал воинскую повинность и, как нижний чин, не имел права заниматься литературной деятельностью под своим настоящим именем. Со дня советизации Грузии я пишу под своим настоящим именем.

Критических отзывов обо мне мало: известный буржуазный критик – Кита Абашидзе коснулся в начале моей литературной работы только одной моей повести „Перерождение семьи“. Критик „Занги“ поместил в газете „Цнобис пурцели“ фельетон о некоторых моих новеллах и рассказах. Профессор Ал. Хаханашвили в своих „Очерках о грузинской литературе“ (на русском языке) поместил (т. III) отдельную статью обо мне, отнеся меня к группе беллетристов-психологов.

В утвержденный на 1952 год план Грузгосиздата включен I том моих прозы изведений в объеме 22 печатных листов (повести, рассказы и новеллы).

Материал уже находится на рассмотрение действительного члена Академии наук Грузии, поэта Г. Н. Леонидзе.

В связи с работой в течение почти 17 лет в аппарате Народных Комиссаров ССР Грузии в качестве редактора юридического отдела, а затем юридического бюро, я считаю уместным заявить, что эта работа теснейшим образом переплетается с моей литературной деятельностью.

Обычное понятие редактора законодательных актов, скажем, на русском языке, не может быть применено ко мне и не может дать ясного представления о том, что мне приходилось делать в этой области с первых дней установления в Грузии Советской власти.

В чем заключались конкретно мои обязанности по редактированию законодательных актов?

Во первых в переводе на грузинский язык законов, декретов, постановлений, правил, уставов и проч., разрабатываемых в аппарате Совета Народных Комиссаров (и очень часто Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета) на русском языке, и во-вторых в редактировании проектов таких же актов, представляемых нижестоящими органами власти: народными комиссариатами и другими ведомственными учреждениями, обладающими правом законодательной инициативы.

При выполнении этих обязанностей я находился совершенно в других, более неблагоприятных условиях, чем, например, редактор таких актов на русском языке. Он, редактор русского текста законодательных актов, свободен в изложении законодательных норм ясно, точно и понятно, так как в его распоряжении имеется богатый, веками слагавшийся на опыте самостоятельной государственной жизни и на практике законодательства, русский язык, располагающий соответствующими точно установленными определениями, формулами и терминами юридического, экономического и технического характера.

Не таково было мое положение: во-первых в то время (первые годы Советской власти) не существовало никакого опыта законодательной практики, не существовало, стало-быть, никакого стиля, соответствующего языку законов, не существовало и надлежащей терминологии.

Все это, конечно, было в свое время в богатом историческом прошлом грузинского народа, но оно было погребено в архивной пыли старинных документов или в еще неизданных трудах грузинских ученых (главным образом, в монументальных исследованиях академика И. А. Джавахишвили). Но пользоваться ими не представлялось никакой возможности в условиях чрезвычайно быстрых темпов работы, тем более, что многое из этого исторического материала уже давным давно отмерло и не отвечало современным требованиям.

Правда, через некоторое время стали появляться небольшими книжками словари по тем или иным специальным знаниям, издаваемые терминологической комиссией, но, во-первых, словари эти выходили с большим опозданием, во-вторых – заключали в себе много спорного материала и, в-третьих – не охватывали всю уйму новых терминов, применявшихся в ту пору в русских текстах

законодательных актов. Стоит только вспомнить закон о продналоге и все богатое словотворчество в области этого и некоторых других декретов и постановлений, чтобы представить себе те непреодолимые затруднения, которые я и мои сотрудники испытывали при переводе этих законов на грузинский и т. п. издавался параллельно с русским текстом и должен был представлять его точный перевод, то нам приходилось, как говорится, из собственных пальцев высасывать все эти неизвестные на грузинском языке слова, термины и выражения.

И вот, в этих условиях я делал то, что должен делать человек, работающий с полным сознанием ответственности перед властью и перед культурой своей страны, ибо на свою работу я смотрел не как на работу по механической задаче по-грузински чужих мыслей, или как на работу лишь по технической шлифовке представляемых нижестоящими органами проектов законов, декретов, постановлений и проч. Нет! По-моему глубокому разумению, это была серьезная культурная работа, даже в некоторой степени – творческая.

Изложение законодательных норм на грузинском языке точно, ясно и в форме, соответствующей лапидарному стилю законодательных актов, с соблюдением грамматических, синтаксических и других стилистических особенностей грузинского языка; восстановление забытых старых слов и терминов, эквивалентно соответствующих русским, и изобретение новых, не впадая, однако, в архаичность форм и выражений и всегда оставаясь на уровне современных требований доступности закона пониманию не только применяющих его, но и народных масс – вот задача, которую я ставил себе при работе над грузинским текстом законодательных актов и всех кодексов законов, принятых до 11 июля 1937 года и прошедших через мою редакцию.

Не мне здесь говорить о том, как осуществлялась эта задача на деле. Отмечу только, что кроме одобрения, никаких нареканий по поводу этой работы я не слышал и сотни примененных впервые мною новых слов и терминов, вроде *განაწესი* (наказ), *განაკვეთი* (ставка – цифровая), *საწარმო* (предприятие), *ანგარიშგება* (отчетность), *ანგარიშგასწორება* (расчет), *ხელყოფა* (сперва покушение, а впоследствии – посягательство), *ძალვა* (усилие), *გამობალვა* (вымогательство), *ნაკრძალი* (заповедник), *დაუცადებელი* (бесперебойно), *კავშირგაბმულობა* (связь), а также масса юридических терминов вошли в общее употребление и включены в словари.

Вот почему я думаю, что не ошибаюсь, полагая, что работа моя в этой области была неразрывной частью моей литературной деятельности. Потому-что персональная пенсия установлена мне за литературно-общественные заслуги.

Ил. Зурабишвили
15 ноября 1947 г.
Тбилиси

ილია ელფეთერის ძე ზურაბიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სარედაქციო განყოფილების გამგე

სოც. შთამომავლ. დავიბადე 1873 წ. თელავის მაზრის სოფ. ყვარელს, თუმცა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჩვენი ოჯახისა იყო ქალ. თელავი. ყვარელში იდგა ქართული მილიცია (სამხედრო რაზმი), სადაც მამაჩემი ელფეთერ ივანეს ძე ზურაბიშვილი მსახურობდა ოფიცრად პრაპორშჩიკის ჩინით. მამაჩემი ღარიბი აზნაურიშვილის ოჯახის წევრი იყო, აგრეთვე დედაჩემიც. მამიჩემის ოჯახი ძალიან ღარიბად სცხოვრობდა, რადგანაც მას, სამხედრო ჯამაგირის გარდა, სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნდა. ოჯახი კი საკმაოდ დიდი იყო, 6 სული ქალ-ვაჟისაგან შესდგებოდა. მამაჩემი ჩემ ბავშვობისას გარდაიცვალა ომში მიღებული ჭრილობისაგან და მისი ოჯახი დედიჩემის პენსიით ირჩენდა თავს. მამიჩემის სიკვდილის შემდეგ ჩვენი ოჯახი (დედაჩემი, უფროსი და და ძმა, დანარჩენები უკვე გარდაცვლილები იყვნენ) ტფილისში გადასახლდა.

სწავლა-განათლ. სიღარიბის გამო არც-ერთ ჩვენთაგანს სისტემატიური სწავლა-განათლება არ მიუღია, პირადად მე ვსწავლობდი პირველ-დანეებით სკოლაში; ამის შემდეგ სწავლა არსად განმიგრძია, ვემცადინებოდა შინ და თუ რამ ცოდნა შემიძენია – პირადი მუშაობით, წიგნების კითხვით. პატარაობიდანვე ძალიან ბევრს ვკითხულობდი, რასაკვირველია, უსისტემოდ, შერევივით. ასაკში შესვლისას, უფრო მეტი გეგმიანობა დაეტყო ჩემს თვითგანვითარებას. შემდეგში, როდესაც ლიტერატურულ ჯგუფებს დავუახლოვდი თვითგანვითარების საქმეს უფრო მეტის წარმატებით შევუდექი. უმთავრესად ვეტანებოდი სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, კრიტიკას, ესტეტიკას და ფილოსოფიურ ნაწარმოებთ, რამდენადაც, რასაკვირველია, შეეძლო მოენელებინა ასეთი საზრდო ჩემს მოუზნადებლობას. ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი პოლიტიკურ საკითხებს.

პარტიული მდგომ. საზოგადოებრივ ცხოვრ. მონაწ. არასოდეს არავითან პოლიტიკურ პარტიაში არ მიმუშავნია.

1894 წლიდან მე დავიწყე ლიტერატურული მუშაობა ელფეთერიძის ფსევდონიმით. ჟურნალ „კვალში“ 1894 წ. იანვრის პირველის ნომერში დაიბეჭდა პირველი ჩემი მოთხრობა. მას შემდეგ განვაგრძობდი წერას იმავე „კვალში“ და გაზ. „ივერია“-ში. მოთხრობებისა და, საერთოდ, სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა გარდა, მე ვწერდი სათეატრო და სამუსიკო რეცენზიებს. ამავე დროს ვმუშაობდი ჯერ ავჭალის აუდიტორიის წრეში, რომელიც ქართულ სახალხო წარმოდგენებს მართავდა და შემდეგ ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ამ ჟამად სამსახურის გამო მოკლებული ვარ საშუალებას, მივსდიო როგორც მწერლობას, ისე სხვა კულტურულ ორგანიზაციებში მუშაობას. სამსახურის გამო რომ ვამბობ, იმას ვგულისხმობ, რომ სწორედ სამსახური მართმევს მთელ ჩემ სამუშაო დროს.

თუმცა გაფიცვებში და დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ძველი რეჟიმის დროს ჟანდარმერიას შენიშნული ვყავდი: რამდენჯერმე გამიჩხრიკეს ბინა და ერთხელ დამაპატიმრეს კიდეც მეტეხის ციხეში სულ ცოტა ხნით, რადგანაც იმ დროს მე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მდივნად ვიყავი და გუბერნიის მარშალი ჩაერია საქმეში. სხვა ჩემთან დაპატიმრებულები რამდენიმე თვეობით დასტოვეს ციხეში და ზოგიც გადაასახლეს. ეს იყო 1905 წლის დეკემბრის მიწურულში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ჟანდარმთა სამმართველოს გამოქვეყნებულ მასალებიდან გამოიკვია, რომ შენიშნულთა სიებში ჩემი ვინაობა აღნიშნული იყო „Лихой“ სახელწოდებით.

მუშაობა თებერვლის რევოლუციამდე. ნივთიერად დამოუკიდებელი ცხოვრება მე ძალიან ადრე მომიხდა. ვიქნებოდი ასე 16-17 წლისა, რომ სამსახურში გავმწესდი თელავის სამაზრო სამმართველოში, სადაც, მართალია, სულ მცირე ჯამაგირი მეძლეოდა, მაგრამ ჩემს ოჯახში ვცხოვრობდი, დედაჩემთან, და ერთმანეთის შემწეობით თავს ვირჩენდით. ეს იყო, დაახლოებით, 1890-1891 წ.წ., მაგრამ აქ დიდი ხანი არ დამცალდა სამსახური: მაზრის უფროსის რალაც სიტყვიერი განკარგულების აღუსრულებლობისათვის სამსახურიდან დამითხოვეს. ამის შემდეგ გამომძიებლის საქმისმწარმოებლად ვიქმენ გამწესებული. და ამ თანამდებობაზე დავეყავი 1894 წლამდე, როდესაც სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამიწვიეს და ჩამრიცხეს კავკასიის 1-ლ მსროლელთა დრუჟინაში, რომელიც ქალაქ თელავში ბინადრობდა. მაშინათვე გადამიყვანეს ბრიგადის კანცელარიაში – ტფილისში და მთლად სამხედრო ბეგარის ვადა მე ამ კანცელარიის სამსახურში გავატარე ჯარისკაცის თანამდებობაზე. სამხედრო სამსახურის გათავებისას (1896 წ.) გამამწესეს თელავის სამაზრო სასამართლოს მდივნის თანაშემწედ. სამი წლის შემდეგ გადამიყვანეს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში მდივნის თანაშემწისა და თარჯიმანის თანამდებობაზე. აქ დავეყავი 1903 წლის მაისის 15-მდე, როდესაც არჩეულ ვიქმენ ქართლ-კახეთის (ტფილისის გუბერნიის) თავადაზნაურობის მდივნის თანამდებობაზე. აქ დავეყავი მე თებერვლის რევოლუციამდე.

მუშაობა თებერვლის რევოლუც. შემდეგ. როდესაც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ, ჯერ კიდევ ამ წოდების გაუქმებამდე, მთელი თავისი ავლადიდება განსაკუთრებული აქტით ინტერპარტიულ ორგანიზაციას – საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადასცა, მე დამნიშნეს ამ საბჭოს მდივნად (1917 წ.). შემდეგ, როდესაც ეს საბჭო უკვე საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა (1918 წ. მაისის 26), მე საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიწვეულ ვიქმენ პირველ დღიდანვე კანცელარიის გამგის ამხანაგად. ამ თანამდებობაზე ვითვლებოდი ყოფილი დამფუძნებელი კრების მოწვევამდე (1919 წ. მარტის 12), ამ ხნიდან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა დამნიშნა კანცელარიის გამგედ (რაც ახლანდელ საქმეთა მმართველს უდრის). ნივთიერად ეს თანამდებობა ნაკლებად უზრუნველყოფდა, რადგან ეკონომიურად გაჭირვებულ სახელმწიფოს არ შეეძლო დიდი ჯამაგირი ეძლია თავის მოსამსახურეებისათვის. მეც თანაზიარი ვიყავი საერთო გაჭირვებისა.

მუშაობა საქართველოს გასაბჭოების პერიოდში. საქართველოს გასაბჭოებამ მომასწრო მე ზემოხსენებულ თანამდებობაზე ქალაქ ბათუმში (1921 წ. თებერვლის 25), სადაც გადასული იყო იმ დროს საქართველოს დამფუძნებელი კრება. ტფილისში დავბრუნდი პირველივე მატარებლით, რომელიც-კი ბათუმიდან გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ვგონებ, 19-20 მარტს. მეორე დღიდანვე გამოვცხადდი საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის საქმეთა მმართველობაში და დანიშნულ ვიქმენ კანცელარიის უფროსად. 1921 წლის ივლისის 4-დან დამნიშნეს საკანონმდებლო განყოფილების გამგედ. შემდეგში ეს განყოფილება საიურისკონსულტო განყოფილებად და მერე სარედაქციო განყოფილებად (კანონების რედაქცია და შედგენა) გადაკეთდა. ამჟამად ამ თანამდებობაზე ვირიცხები. არავითარი ნაშრომი თუ გამოკვლევა ამ სფეროში მე არა მაქვს, მაგრამ ჩემი პრაქტიკული მუშაობა საკმაო მასალას იძლევა საამისო ნაშრომისათვის. ხოლო დაგროვებული მასალის გამოყენება რაიმე მეთოდოლოგიური გამოკვლევისათვის დიდ დროს მოითხოვს, რაც ჩემ ხელთ არ არის მუშაობით დატვირთულობის გამო. ამას გარდა, როდი ვგრძნობ ჩემს თავს იმდენად მომზადებულად, რომ გავბედო ასეთი სერიოზული, თითქმის მეცნიერული სამუშაოს ხელისმოკიდება, მიუხედავად ხანგრძლივი გამოცდილებისა.

სამართალში ყოფნა. არასდროს სამართალში მიცემული არა ვყოფილვარ.

დასასრულ, იმ აზრისა ვარ, რომ თუ ჩემი სამსახური ჩვენი სახელმწიფოს აპარატისათვის შეიძლება რითიმე სასარგებლო იყოს, ეს სწორედ და უპირატესად იმ სფეროში, რომელშიაც ამ ჟამად ვმუშაობ.

*ილია ზურაბიშვილი
1926 წლის დეკემბრის 21
ტფილისი – სასახლე*

დარია ახვლედიანი

პირადი ბარათი	
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1941 წლის 9 სექტემბერს დარია გიორგის ასული ახვლედიანი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1873 თვე მაისის დღე 25
	(ძველი თუ ახალი სტილი) სამტრედიის რაიონი სოფ. ჭაგანში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე, ქვრივი
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1903 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა საბჭო
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	მესამე დასელებს ვემხრობოდი

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>იხ. ანკეტა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა მაქვს</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა რუსთაველის პრ. 41</p>

* — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დარია გიორგის ასული ახვლედიანის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე სოფ. ჭაგანში (სამტრედიის რაიონი) 1873 წ. 25 მაისს. მამაჩემი – გიორგი ქაჯაია საშუალო შეძლების აზნაური იყო და თავის სოფლის გლეხობას დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა.

წერა-კითხვა შევისწავლე დედისაგან, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე იყო. რვა წლის ვიქნებოდი, რომ მიმაბარეს ქუთაისის საქალაქო გიმნაზიაში, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ვერ დავამთავრე.

16 წლის რომ შევსრულდი, ჩემი ნების წინააღმდეგ გამათხოვეს და ამით საბოლოოდ ჩამჭედეს ოჯახური ცხოვრების ხუნდებში. ჩემი ცხოვრების გზა მუდამ ეკლიანი და მწარე უსიამოვნებით იყო სავსე, მაგრამ მალე დავაღწიე მას თავი და გულმზურვალედ დავენაფე თვით განვითარებას და საზოგადო მუშაობას. ჩემს პირველ ქმარს გავშორდი და განვაგრძე დამოუკიდებელი ცხოვრება. თავიდანვე მივემხრე მესამე დასელებს და მკითხველთა ფართო მასებში ჟურნალ „კვალსა“ და არალეგალურ წიგნებსა და პროკლამაციებს ვავრცელებდი. თუმცა უპატრონო ვიყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა პარტიის დავალებებს ყოველთვის ბეჯითად ვასრულებდი. ჩემს ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ მუშები და ინტელიგენტი სოციალისტები, ახდენდნენ არალეგალურ კრებებს. ეს არ დარჩათ შეუმჩნეველი ჟანდარმებს, მრავალჯერ დამანოკეს, გამჩხრიკეს, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი რევოლუციურ საქმიანობას. ვებმარებოდი დევნილ-გადასახლებულ ამხანაგებს ნივთიერად. ვმართავდი დილა-სალამოებს. ვკრეფდი შენირულეებს და სხვ. თბილისის სახალხო აუდიტორიის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მივიღე მარიამ დემურიასთან ერთად. ასეთივე მონაწილეთაგანი ვიყავი საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსებაში. ჩემი და ჩემი მახლობელი მონაწილეობით გამოვიდა ქალთა პირველი ჟურნალი „გუმბაგი“.

ვიყავი ამიერკავკასიის ქალთა საზოგადოების წევრი, ამავე საზოგადოების ქართული სექციის მდივანი.

იმპერიალისტური ომის დროს დაარსებულ იქნა ომში დაღუპულ ღარიბთა შვილების უფასო სასაბულო, სადაც ვკვებავდით რამდენიმე ოცეულ ბავშვსა და ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას.

მწერალ ქალმა – ნინო ნაკაშიძემ და მე დავიქირავეთ კოტია თავართქილას სტამბა და მოვანყეთ ღარიბ ქალებისათვის ასოთამწყობლობის სწავლა და რამდენიმე ოცეულ ქალს მივეცით საარსებო წყარო. ვიყავი წევრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, დრამატიული საზოგადოების, ქართველ ქალთა საზოგადოების, წითელი ჯვრისა და სხვა. აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი მათ საქმიანობაში.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნ. „კვალში“ 1903 წელს. შემდეგ ლექსებს ვბეჭდავდი არალეგალურ ჟურნალ „ბრძოლაში“, „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „ცნობის ფურცელში“ და მის ნახატებიან დამატებაში, ჟურნალ „სხივიში“, გაზ. „ახალ სხივიში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“.

ჩემი ლექსების კრებული გამოვეცი ჩემივე საფასურით და პოლიო კალანდაძის (ირეთელის) რედაქტორობით და შესავალი წერილით 1912 წ. ჩემზე კრიტიკული წერილები აქვთ დაწერილი ა. ღვინიაშვილს ქართველ ქალთა აღმანახში, ი. იმედაშვილს „თეატრსა და ცხოვრებაში“, ალ. ქელბაქიანს „კომუნისტში“, გ. მებუკეს „მშრომელ ქალში“, აგრეთვე მრავალ პერიოდულ გამოცემებში: „კოლხიდა“, „თემი“ და სხვ.

გარდა ლექსებისა ვწერდი ესკიზებს, საბავშვო მოთხრობებს და ლექსებს, პოემებს, დღიურ წერილებს და სხვა. 1917-1918-1919-1920 წლებში დევნილ კომუნისტებს ვეხმარებოდი ნივთიერად, ვაძლევდი თავშესაფარს და ყოველ ღონეს ვხმარობდი მათ დასახმარებლად. ისე კი ყოველივე დეტალების ჩამოთვლა მიძნელდება.¹

მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა და ავადმყოფობისა შემოქმედებითი მუშაობა არ შემისუსტებია. დღესაც ვიბეჭდები პერიოდულ გამოცემებში და ახლო ხანში ჩემი შრომის მცირე ნაწილი გამოდის ცალკე წიგნად გამომცემლობა „ფედერაციის“ ხაზით.

მწერალთა კავშირის წევრი ვარ დღიდან დაარსებისა და ყოველივე დავალებას ვასრულებ კეთილსინდისიერად. ასე გადავლახე ჩემი ცხოვრების მწარე წარსული და დღეს ბედნიერი ვარ მით, რომ ჩემი დიდი ხნის სურვილი და მისწრაფება განხორციელდა და მოვესწარი ჩემი ქვეყნის ბრწყინვალე თავისუფლებას, აყვავებას, გაძლიერებას და მშრომელი მოძმის აღდგენას, ჩვენი სიამაყის, ჩვენი საყვარელი უბადლო ბელადის – დიდი სტალინის სიბრძნის მეოხებით და მისი უშუალო ბრძოლით და ხელმძღვანელობით.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე ნ. თოფჩიშვილი

1. აღნიშნული შრომა გამოვიდა თუ არა, ამის შესახებ ცნობების მოძიება შეუძლებელია.

დიმიტრი გულია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გულია დიმიტრი იოსების-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1874 თვე თებერვლის დღე 21
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. აურჩა (გულირიფშის რაიონი)
4. ეროვნება	აფხაზი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეტი, პროზაიკოსი
8. რა ენაზე წერს	აფხაზურ, რუსულ ენაზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1892 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თვითგანათლება
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი მუშაკი ეთნოგრაფიის სპეციალობაში
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული, აფხაზური
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1877 წელს ვიყავი ტრაპიზუნდში სამი თვე რუსებსა და თურქებს შორის მომხდარ შებრძოლებათა გამო</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„ლენინის ორდენი“, ორდენი „წითელი დროშისა“, „შრომის გმირის“ სახელწოდება; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“.</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჭავჭავაძის 37</p>

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1890	1904	მასწავლებელი	სოფლის სკოლისა	კოდორის
1904	1905	„—“	„—“	კვესტული
1905	08	„—“	„—“	კსენდტი
1908	12	გამგე	„—“	სოფ. ტამიში
1912	14	პედაგოგი	ქალთა გიმნაზია	სუხუმი
1914	15	„—“	რეალური სასწავ.	„—“
1915	21	„—“	სამსაწავლ. სემინარია	„—“
1921	22	„—“	პედაგოგიური ტექნიკუმი	
1924	26	ლექტორი	სახ. უნივერსიტეტი	თბილისი
1926		სპეცმთარგმნელი	სახკომსაბჭოში	სუხუმი
1919	21	რედაქტორი	გაზ. „აფსნი“	„—“
1927	30	თავმჯდომარე	აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემია	„—“
1931	32	პედაგოგი	სოფსაბჭოს თავმჯდომარეებისა და მდივნების მოსამზადებელი კურსები	„—“
1932	33	„—“	მბეჭდავთა კურსები	სუხუმი
1933	35	მეცნიერი მუშაკი	სამხარეთმცოდნეო საკვლევო ინსტიტუტი	სოხუმი
1935	წლიდან	უფროსი მეცნ. თანამშრომელი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი	სოხუმში
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

დიმიტრი იოსების-ძე გულის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1874 წლის 21 თებერვალს აფხაზი გლეხის ოჯახში სოფ. აურჩაში გულირიფშის რაიონი. 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს მამაჩემი ოჯახთან ერთად გადაიხვეწა თურქეთში, ქალ. ტრაპიზუნდში, მაშინ მე 4 წლისა ვიყავი, მაგრამ უცხოეთიდან მალე დავბრუნდით სამშობლოში.

პირველ-დანყებითი განათლება მივიღე მღვდელთან, შემდეგ ვსწავლობდი სუხუმის ორკლასიან სასწავლებელში.

1889 წელს მე ჩავაბარე გამოცდა ა/კავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ქალ. გორში, მაგრამ ავადმყოფობის გამო იქ ცოტახანს ვსწავლობდი. მშობლები ადრე გარდამეცვალა. მშობლების სიკვდილის შემდეგ ოჯახის მზრუნველობა დამეკისრა მე – უმცროსი და და ძმა დარჩა ჩემს კმაყოფაზე, დაახლოებით 1890 წლიდან მე სერიოზულად დავინტერესდი ლიტერატურით. 1894 წელს მე კ. მაჭავარიანთან ერთად შევადგინე აფხაზური ანბანი და ალფავიტი, რომლითაც მშობლიურ ენას სწავლობდნენ აფხაზი ბავშვები. მომდევნო წლები მე ვმუშაობდი ხან მასწავლებლად სოფლის სკოლებში, ხან კიდევ მთარგმნელად.

1910 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი. ამ კრებულში დაბეჭდილმა ზოგიერთმა ლექსმა გამოიწვია მაშინდელი ხელისუფლების გულისწყრომა.

1917-18 წლებში მე ვამზადებდი რეპურტუარს აფხაზური თეატრისათვის, რომლის ჩამოყალიბებაზე მაშინ ვოცნებობდი. ვიყავი პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ (1919 წ.) რედაქტორი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე გამოვეცი რამდენიმე ათეული ლიტერატურული და სამეცნიერო შრომა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავინწყე მე ჰონორარის მიღება ჩემს ნაშრომებში.

რამდენჯერმე ვიყავი არჩეული აფხაზეთის ცაკის წევრად და აგრეთვე სუხუმის ქალაქის საბჭოთა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1937 წელს მე მომენიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება. იმავე წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ მომანიჭა ისტორიული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, აგრეთვე უფროსი მეცნიერ მუშაკის წოდება – ეთნოგრაფიის სპეციალობაში.

დაჯილდოვებული ვარ „ლენინის ორდენით“, „შრომის წითელი დროშის ორდენით“ და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“.

ჩემი ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე მე გამოვეცი სამოცზე მეტი ნაწარმოები და შრომები. მათ რიცხვში: რომანი „კამაჭიჭი“ (1938 წ.), „აფხაზეთის ისტორია“, ტომი პირველი (1925 წ.); ლექსების კრებული, 1912 წ.; „გაუმარჯოს თავისუფლებას“, დრამა, 1920 წ.; „ორი მშვიერი“, ვოდევილი, 1920 წ.; „სხვის ცის ქვეშ“, მოთხრობა, 1923 წ.; „დილის მზე“, ლექსების კრებული, 1937 წ.; რჩეული ნაწარმოებები რუსულ ენაზე, 1952 წ.

აგრეთვე ვენოდი მთარგმნელობით მუშაობას, ჩემს მიერ თარგმნილია: დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, 1936 წ.; შოთა რუსთაველის აფორიზმები, 1937 წ.; ი. ჭავჭავაძის „აკაკო ყაჩაღი“, 1933 წ.; შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, 1940 წ.; რუსულიდან: „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, 1940 წ. და სხვა მრავალი ლიტერატურულ-მხატვრული ნაშრომები.

1952 წ.

სწორია: 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შალვა დადიანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	დადიანი შალვა ნიკოლოზის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1874 თვე მაისის დღე 21
	(ძველი თუ ახალი სტილი) ზესტაფონი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	თავადიშვილის ოჯახიდან
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგია და ბელეტრისტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1896 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირში
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ-ს წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	შინაური განათლება
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა, ვარ საქართველოს დამსახურებული არტიტი
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სხვადასხვა ხელოვნებისა და კულტურის საზოგადოების წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ლენინის ორდენი – 1939 წელს, „შრომის ნილთელი დროშის“ ორდენი – 1944 წ.; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>თბილისი, თეატრალური საზოგადოება</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>თბილისი, ნიკოლოზის I შეს. 10 3-03-74</p>

* — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1893	1914	არტისტი	ქუთაისის თეატრში (თეატრი იყო კერ- ძო მესაკუთრისა)	
1914	1921	არტისტთა პროფ. კავშირის თავმჯდომარე	ქართველ არტის- ტთა საზოგადოება	თბილისი
1921	წლიდან	თეატრალურ საზ. განყ. გამგე	განათლების კომისარიატთან	თბილისი
1922	წლიდან	იქვე მუს. განყო- ფილებ. გამგე	იქვე	
1924		მოსკოვის კულ- ტურის სახლის დირექტორი და ქართული სტუ- დიის ხელმძღვა- ნელი	განათლების კომისარიატი	მოსკოვი
1928		ხელოვნების განყ. გამგის მოადგილე	„-“	თბილისში
1935	წლიდან	დრამატურგთა სექციის ბიუროს თავმჯდომარე	„იქვე“	„-“
1948		თეატრალურ საზოგადოების თავმჯდომარე	თბილისის	„-“
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1874 წელს, 21 მაისს ზესტაფონში.

მივიღე შინაური განათლება. წერა დავიწყე 13 წლისამ. პირველი ჩემი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს.

1893 წლიდან 1923 წლამდე ვმუშაობდი ქართული თეატრის ხაზით აქტიორად და რეჟისორად. ვხელმძღვანელობდი დრამატიულ წრეებს. ერთ დროს ვიყავი აქტიორთა კავშირის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. ჩემს მიერ იქნა შედგენილი აღნიშნული კავშირების წესდება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ვმუშაობდი განათლების კომისარიატის თეატრალურ განყოფილების გამგეთა და ხელოვნების საქმეთა თავმჯდომარის მოადგილეთ. აგრეთვე ვმუშაობდი მოსკოვის კულტურის სახლის დირექტორად და ვახტანგოვის სახელობის დრამატიულ სტუდიაში. ვმუშაობდი მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის თავმჯდომარეთა და საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსად.

1937 წელს არჩეული ვიქენი უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1923 წელს და 1939 წელს გადახდილი იქნა ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე (ლიტერატურისა და დრამატურგიის დარგში).

1939 წელს დაჯილდოვებული ვიქენი ლენინის ორდენით.

1944 წელს ჩემი დაბადებიდან 70 წლისა და ლიტერატურული მუშაობის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვებული ვიქენი წითელი დროშის ორდენით და მესამეჯერ იქნა გადახდილი ჩემი იუბილე, აგრეთვე დაჯილდოვებული ვიქენი მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის მიერ არჩეული ვიქენი გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად.

ამჟამად ვარ თეატრალურ საზოგადოების თავმჯდომარე და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის წევრი.

შ. დადიანის ნაწარმოებთა სია:

1. „ნაპენკალი“, ლექსების კრებული, 1896 წ.
2. „ისტორიული მიმოხილვა ქართულ თეატრზე“, 1900 წ.
3. „აქტრისა“, მოთხრობა, 1902 წ.
4. „როს ნადიმობდნენ“, პიესა, 1912 წ.
5. „ლადო მესხიშვილი“, ნარკვევი, 1913 წ.
6. „ტასო აბაშიძე“, ნარკვევი, 1924 წ.
7. „პიესები“, ტომი 1, 1924 წ.
8. „პიესები“, ტომი 2, 1934 წ.
9. „უბედური რუსი“, რომანი, 1927 წ.
10. „ნაპერწყლიდან“, პიესა, 1938 წ.
11. „ბარათაშვილი“, პიესა, 1939 წ.

12. „ბელეტრისტიკა“, წიგნი, 1939 წ.
13. „პუშკინი საქართველოში“, პიესა, 1939 წ.
14. პიესები: „გუმინდელი“, „გეგეჭკორი“, „კაკალ გულში“, „თეთნულდი“ და სხვ.
15. ნოველები „გიორგი რუსი“, რომანი, 1951 წ.
16. „იდეა გაიმარჯვებს“, 1951 წ. და სხვა.
17. „გვირგვლიანების ოჯახი“, 1956 წ.

1956 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
 ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

* * *

I. ტიცინს. ჩემს ცხოვრებაში, საყვარელო ტიცინს, ცოტა რამ უცნაურ-რიც ურევია და ამითი თუა საინტერესო ჩემი ავტობიოგრაფია.

მინცდამინც ვასრულებ შენს სურვილს:

მე თუ ამ ჟამად რასმე წარმოვადგენ, ეს იმდენათ ჩემი ბრალი არ არის, რამდენათაც ჩემი წინაპრებისა.

მე თითქო მემართა, ვალდებული ვიყავ თუ რჩეულთაგანი არა, აუცილებლათ სასარგებლო მოქალაქე მინც ვყოფილიყავ.

ჩვენი ოჯახი იყო ბრწყინვალე.

იმიტომ კი არა, რომ ამ ოჯახებს ოდესღაც ჰქონდათ ხარისხი თავადობისა და დადიანობისა.

არამედ ბრწყინვალე თავის ჯიშინობით.

მე მწამს ევგენიკა.

თავის დროის შესაფერი კულტუროსნობით.

ასე რომ, ეს ტრადიცია, მოწინავე რიგებში ღირსეულათ დგომისა, საუკუნოებით მოდის...

ეს არც ისეთი სახუმარო ამბავია.

და ესეთი მძიმე ტვირთი აგერ ჩემამდიც ჩამოგორდა.

II. რა არის გასაკვირი? – მაშასადამე, გასაკვირი ის კი არ არის, რაცა ვარ, არამედ ის – რატომ უკეთესი არა ვარ.

ამიტომ არის, რომ ჩემს გულს სიხარული ეფინება ხოლმე, როდესაც ადამიანსა ვხედავ უწინაპროს, რომელიც თვით არის თავის თავის წინაპარი, რომელმაც შექმნა თავის თავი.

და რამდენათაც ნაკლებია აღზრდა ესეთი პიროვნებისა, რამდენათ დაბალ-ხარისხოვანია ის წრე, საცა იგი ვაჟკაცდებოდა, იმდენი მეტი დიდების ღირსია, მეტი განცვიფრების და აღტაცების.

აქ გამოსჩანს ადამიანის გონების მართლა სიდიადე, რის წინაშეც მე მუდამ ქედს ვიდრეკ.

III. თვით შექმნილნი. ამ ბოლო ხანებში ბევრი გაჩნდა ესეთი.

იმიტომ არის, თუ კი შეამჩნიე, ტიცციან, უფრო ხშირად ქედ-დადრეკილი დავდივარ.

აი, ესეთების ბიოგრაფიაა საინტერესო: როგორ გამოჰკვეთეს თავის თავი. მხოლოდ აქ კი მეც მეთქმის ცოტა რამ – თავის თავის შექმნაზე.

აქ მეც ცოტა წილი მიძევს.

IV. განათლება. შენ კარგათ იცი, ტიცციან, რომ მე არავითარი ოფიციალი განათლება არ მიმიღია.

არსად, არავითარს სასწავლებელში არა ვყოფილვარ და ამ გვარად სრულიად უსწავლელი კაცი ვარ.

პირველი ანბანიც კი სახლში თამაშ-თამაშით ვისწავლე. სტუმრებსა და შინაურებს ვანუხებდი 4-5 წლის ბავში: „ამიხსენით, ეს რა ანბანია-მეთქი!“

არითმეტიკაც ასე და სულ ამ გვარ დილექტანტურათ წავიდა ჩემი საქმე. ეს ყველას აკვირვებდა და უკვირთ ეხლაც.

V. „მცირედი“. ამას წინათ ერთს დაწესებულებაში, საჭირო იყო და შემეკითხნენ – რა განათლების პატრონი ხარო? მივუგე: „არავითარი“-ს მეთქი.

სიცილი აუტყდათ. არ დამიჯერეს.

„წერა-კითხვა მაინც ხომ იცითო?“

მაშინ მე დიდის პათოსით განვაცხადე, რომ პრეტენზია მაქვს ქართველ მწერლად ვითვლებოდე-მეთქი.

სათანადო რუბრიკაში ჩასწერეს: „მცირედი“.

რა არის ეს? შეიძლება ქართველი მწერალი მცირედი განათლების იყოს?

VI. მამა. ეს ჩემი „მცირედი“ კი მამა ჩემის ბრალია.

მოგეხსენება, თავის დროზე მამა ჩემი თვალ-საჩინო მოღვაწე იყო და აკი, მის სიცოცხლეში უძრახავდნენ, რომ მე განათლება არ მომცა, მაშინ, როდესაც მრავალი ახალგაზდა საზოგადოთ მისი დახმარებით და ზოგჯერ მის ხარჯზეაც უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიაც კი სწავლობდნენ.

მას არა სწამდა მაშინდელი გამარჯვებული სკოლა, მაშინდელი პედაგოგიური პრინციპები და... არსად არ მიმცა.

VII. გარემო. სამაგიეროთ ისეთი ატმოსფერა იყო ჩემს გარშემო – მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, პოლიტიკასა და სოციოლოგიაზე მესმოდა სულ საუბარი.

ჩვენს ოჯახში იკრიფებოდნენ მაშინდელნი რჩეულნი ქართველთა საზოგადოებიდან, უცხოელებიც, განურჩევლად მსოფლ-მხედველობისა და მეცადრე მივეჩვიე საზოგადოებრივ საგნებზე ჩაფიქრებას და... როგორც ეხლა იტყვიან, თვით-გამორკვევას.

VIII. რას დავადექ. მაგრამ ამ თვით-გამორკვევამ შორს არ წამიყვანა. ჩამსვა მწერლისა და არტისტის კალაპოტში.

არტისტობამ კი ბევრი შემძინა, რადგან მართლა უშუალოთ დამაახლოვა ხალხს.

მე ხომ, კარგათ იცი, შემოვლილი მაქვს არტისტულ მოგზაურობით საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე და ჩემი აუდიტორაიც მუდამ-ყამ მართლა ხალხი იყო, მშრომელი ლიანგი.

ამის მოწმეა ბაქო-ბალახანის მუშათა თეატრის კედლები, ნოვოროსიის გადამზიდველ და მტვირთავთა მაშინდელი არტელი, ბათომელი მუშები, სოხუმის მაშინდელი მოწინავე ნოქრობა და ჩვენი ქვეყნის სოფლელი გლეხობა. ყველა ამათგან ეხლაცა მაქვს შენახული გასამხნევებელი წერილები და მოსალმებანი.

ესე ვიყავ აუდიტორიასთან.

არტისტიულ წრეში კი მუდამ ვიყავ ბოგემა და ეს ახსოვს იმ სეზონებს, რომლებიც გაჭიმულან ჩემი ცხოვრების მთელი ოცდაათი წლის მანძილზე.

არტისტობაც და მწერლობაც ადრე დავინწყე.

წვერ-ულვაში მიმწვანდებოდა, როდესაც სცენაზე შევედგი ფეხი 18-19 წლისამ. და თითქმის იმავ დროს დაისტამბა პირველად გაზ. „ივერია“-ში ჩემი პანია მოთხრობა: „წმინდა ცრემლები“.

თუმცა წერაში უკვე გაჩვეული ვიყავი, რადგანაც ჯერ კიდევ 14 წლისას საკუთარი, ხელთნაწერი ჟურნალი „მოზარდი“ მქონდა და ძალიან „დახელოვნებული რედაქტორიც“ გახლდით: მეთაური წერილები, ფელეტონები, მოთხრობები, პატარ-პატარა სასცენო პიესები და ლექსებიც კი ჩემს კალამს ეკუთვნოდა.

არ იფიქრო, რომ, მიუხედავად ასეთი სიუხვისა, სხვები არა მყვანდნენ თანამშრომლებათ.

როგორ არა.

ზოგი მათგანი დღეს თვალ-საჩინო მწერალია და საზოგადო მოღვაწე. მათ შორის მიხა ცხაკაია, რომელიც, ერთი ჩემი ბიოგრაფის არ იყოს, ამ ჟურნალში თავისებურ რევოლიუციონურ „დინამიტებს აწყობდა“.

IX. რევოლიუციონერობა. ეხლა ამაზეაც ვთქვათ, მაგრამ...

რევოლიუციონერობაზე, ტიცინან, კარგათ იცი, დღეს ბევრი ლაპარაკობს, გამოაქვს რალაც ძველი თამასუქები.

მე მგონია, რევოლიუციას არავითარი მოფერება არა სჭირდება. და მეც რათ უნდა გავმაბლონდე?!

თუ ვისმეს რაიმე აინტერესებს, მიმართოს ჩემს სრულ ბიოგრაფიებს (საიუბილეო გამოცემა: „შალვა დადიანი“, სახელგამის გამოცემა: „შალვა დადიანი, ტომი I, პიესები“).

X. ჩემი სიმდიდრე. ნამდვილი ცხოვრება დავინწყე მას შემდეგ, რაც ქალებს გავეცანი და ქალებს გავეცანი მას შემდეგ, რაც ცოლი შევირთე...

მაგრამ, მე მგონი, ეს კი ზედმეტია... გადავაჭარბე.

ჩემი ცოლ-ქმრული ამბები ვისთვის რა საინტერესო უნდა იყოს.

რომელი ხელოვანია ისეთი – მრავალი ცოლი არა ჰყოლოდეს, მრავალი რომანები არა ჰქონოდეს.

ვის გავაკვირვებ?

მხოლოდ ერთშია განსხვავება: სხვები შეიძლება მალულათ ახერხებდნენ თავიანთ რომანების თხზვას, რადგანაც მათ, ეტყობა, სწამდათ, რომ

„სიყვარულსა მალვა უნდა“... (ხალხური).

მე კი ამ ფრაზას თითქო მეორე ლექსს ვაგებებდი:

„...სიყვარული, რას მიქვიან დაფარული!“ (აკაკი).

აკი, ამიტომაც ჩემი საქმეები თავს არ იმაღლავდნენ, თითქო თავისთავად გაჰყვიროდნენ ყოველ-მხრივ.

მაინცდამაინც ერთი შემთხვევა ვთქვა: ეს ჩემი სიმდიდრეა, ქალებმა ბევრი რამ მასწავლეს...

XI. ნამსახურობა. სხვა კიდევ რაღა უნდა მოგახსენო, ტიცინან?

ჩემი ნამსახურობა?

93-დან სულ მსახიობობა და რეჟისორობა ქართულს სცენაზე.

შემდეგში მონაქცევზე: თავმჯდომარეობა მსახიობთა კავშირისა, თავმჯდომარის ამხანაგობა მწერალთა კავშირში, ხელოვანთა ცენტრში და 1921 წლიდან კი განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებაში განუწყვეტელი სამსახური „მოდერნიზმის დღემდე“. ხან თეო (სათეატრო განყ.) გამგეთ, ხან მოსკოვის კულტურის სახლის გამგეთ, ხან ხელოვნების განყოფილების გამგის ამხანაგათ და სხვ.

ესეთია მშრალი სია, მაგრამ შენ უთუოდ სხვა მხარეც გაინტერესებს ჩემი სულდგმისა და აი, გადავდივარ ჩემს ნაწერებზე.

XII. ნაწერები. ჩემს ნაწერებში ამბობენ კარგიაო:

„უბედური რუსი“, რომანი (გამოც. „ქართ. წიგნი“-ს მიერ).

„გუშინდელში“ და „კაკალ გულში“, პიესები.

ამ უკანასკნელს მაინც ძალიან სახელი გაუფარდა: ერთმა უცხოეთიდან ჩამოსულმა ამხანაგმა გადმომცა, რომ „კაკალ გულში“-ს ევროპასა და ამერიკაშიც უკვე იცნობენო.

დღემდე არ ვიცი – დამცინა, შემომჩვილა თუ უხაროდა?

ასეთი გულ-უბრყვილო კაცი ვარ.

მაინცდამაინც ამ სამზე დიდი უმრავლესობა ამბობს და ზოგი სწერს კიდევ – კარგიაო.

ისე ბლომათა მაქვს ნაწერები.

ჯერ კიდევ გამოცემას მოელის. ბარონ ბიბინიშვილი ნუგეშს მაძლევს მუდამ. მეც ამ ნუგეშით ვცხოვრობ.

ისე კი გამოცემულია სახელგამის მიერ ჩემი პიესების კრებული, 23 წ., მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ არის სრული.

ბელეტრისტიული ნაწარმოებები კი თითქმის ყველა დასტამბულია თავის დროზე და გაბნეულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

მათ შორის მოთხრობები: „სამსონის თმები“, „შვილი“, „ტყვე“, „ლელა“, „ხორცი“, „ჯადო“, „ათე“ და სხვ. აგრეთვე მინიატიურები 80-მდე.

ყველა ამათ, მე მგონი, ამ ჟამადაც აქვთ უფლება ცხოვრებისა და „გადასაგდებათ“ არც ერთი არ მიმაჩნია.

ისე სხვადასხვა მაქვს ნაწერი. პუბლიცისტიური ხასიათისა, რომელთა შინაარსი უფრო ხელოვნების გარშემო ტრიალებს საერთოდ და კერძოდ კი უფრო ქართულ თეატრზე. ესეებიც თავ-თავის დროზე იბეჭდებოდა.

XIII. პანია აღსარება. მერე სად არის მთელს ამ ამბებში უცნაური რამ?

მე მეუცნაურება:

კაცს მწერლად მომაქვს თავი და უსწავლელი კი ვარ.

შეძლებულისა და მოწინავე ოჯახიდან ვარ გამოსული და ჩემისთანა ხალხოსანი, იმავ დროს ბოგემაც თავის დროზე იშვიათი მოსაძებნი იყო.

ჯერ ცოცხალი ვარ და ჩემზე უკვე სხვადასხვა ლეგენდები მიმოქრის.

მაგრამ არის კიდევ ერთი უცნაურობაც:

კაცი ვერ შემატყობს, თუ მწერალი ვარ.

განსაკუთრებით ჩოხა-ახალუხით თუ ვარ გამოწყობილი.

არ მახლავს ის კაბინეტური ელფერი, რომელიც, თითქოს, მწერალს უნდა შესდგამდეს.

ვერასოდეს ჩემს თითს მეღნით მოსვრილს ვერ ნახავ და...

გამოგიტყდები... ეს მიხარია!

მაგრამ დავანებოთ ამას თავი. შორს წამიყვანს.

XIV. თარიღები. თარიღები მოვიხსენიოთ:

დაბადებული ვარ ქ. ზესტაფონს, 1874 წ., მაისის 21-ს (ძვ. სტ. 8).

სცენაზე მუშაობა დავიწყე 1893 წ., თებერვლის 15-ს (ძვ. სტ. 2-ს).

ჩემი პირველი ნაწერი დაისტამბა ცალკე ლექსების კრებულათ „ნაპერ-ნკალი“-ს სახელ-წოდებით და „ქუჯის“ ფსევდონიმით 1894 წ.

დიდ პრესაში გამოველ პანია მოთხრობით 1896 წ.

იუბილე გადამიხადეს 30 წლის მოღვაწეობისა 1923 წ.

და არ შემიძლია, ერთხელ კიდევ გულ-თბილი მაღლობით არ მოვიხსენიო ჩემი მშობელი მხარე, რომლის ყველა თვალ-საჩინო კუთხეში განვეულ ვიქმენ საზეიმოთ.

ეს დღეები სამუდამოთ დაუვიწყარია და ამტკიცებს ჩვენი ხალხის დიდ-სულღონობას, რომ ჩემისთანა მუშაკიც გაიხსენა.

მოსკოვშიც ვიყავ გაბედნიერებული ჩემ თანამემამულეთაგან, რომ ჩემი საზეიმო საღამო მოეწყოთ, საცა მონაწილეობა მიიღეს და მომესალმენ იქაური თეატრალური ორგანიზაციები და მათ შორის სამხატვრო – ნემიროვიჩ-დანჩენკოს და მცირე თეატრი – სუმბათაშვილ-იუჟინის მეთაურობით.

ასე რომ, ამ ჟამად, პანაშვიდის გარდა, მგონი, არაფერი მაკლია.

მინდა, რასაკვირველია, შორს იყოს ეს თარიღი, რადგან ჯერ-ჯერობით... ჯანზეაც ვარ და დასაწერიც კიდევ კარგა-ძალი მაქვს.

იმდენი მინახავს, იმდენი განმიცდია!

განზრახული კვინკლოსიც ჯერ არ დამისრულებია.

გული დამწყდება, რომ ვერ გამოვამჟღავნო.

ასე რომ, როდის იქნება ეს თარიღი აღნიშნული, საყვარელო ტიცინ, ამას, რაც უნდა მოვიწოდო, ვერ გეტყვი.

*შალვა დადიანი
ავვისტო, 1929 წ.*

დავით ნახუცრიშვილი მცირეოდენი ცნობები ჩემს შესახებ

მართალია, „ჩემი ავლადიდება – კურდღელს აეკიდება“, მაგრამ რაც შემძლეობა და სადაც საჭირო ვყოფილვარ, ყველგან თავდაუზოგავად მიმუშავნია საზოგადო საქმეში. და მგონია, ის კი სწორედ უნდა დაფასდეს, რომ კაცს რამდენიც შეუძლიან, თუ კი იმდენს გააკეთებს. მაშასადამე, მას თავის მოვალეობა მოქალაქისა პირნათლად შეუსრულებია და არც უგულებელყოფილ უნდა იქნეს ასეთი ადამიანი. ხშირად კი ასე არ ხდება. სამწუხაროდ, მე ჩემს თავზე გამოვცადე „ასეთი ბედის ტრიალი“. ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგს გადამეტებული ყურადღება აქვს მიქცეული, ზოგს – უბრალოც კი არა. ზოგი ზნეობრივადაც დაკმაყოფილებულია და მატერიალურადაც დიდად უზრუნველყოფილი, ზოგი კი იხვრჩება ყოველდღიურ ლუკმის შოვნაში, ენერგია იხარჯება კანცელიარიის სანყოფინში, რაც დაუწერია, ველარ გამოუცია უსახსრობის გამო. რის დაწერაც შეუძლიან, ვერა სწერს სამსახურის სამუშაოთი დატვირთვის გამო. თუმცა ძალიან მერიდება, მაგრამ იძულებული ვარ, ქვემოთ მოვიხსენიო მცირეოდენი ცნობები ჩემი წარსულის შესახებ.

აქ იქნება მხოლოდ აღნუსხული ფაქტების ნაწილი ქრონოლოგიურად (რამდენადაც შევძლებ) გაუშუქებლივ და იმ დროის დაუხასიათებლივ, იმ იმედით, რომ ყველამ იცის, რა ხანა იყო 1892 წლებიდან მოყოლებული საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ კახეთის სოფელში, სადაც მე მომიხდა ჩემი პირველი ნაბიჯების გადადგმა საზოგადო მნიშვნელობის მუშაობაში.

ამ გრძელი წინასიტყვაობის შემდეგ გადავალ საქმეზე.

მე ვარ ს. ხაშმის (თბილისის მაზრის) მცხოვრებელ გლეხის შვილი. დავიბადე 1874 წელს, ივლისის 23 დღეს. პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე სოფელშივე ჯერ შინაურ მასწავლებელთან, მერე სოფლისავე ახლად გახსნილ სკოლაში, მაგრამ 1883 წლიდან უკვე თბილისში ჩამომიყვანეს და მიმაბარეს მაშინდელ სათავადაზნაურო სკოლაში, მეორე განყოფილებაში. ამ სკოლის მეორე კლასის გათავების შემდეგ გადამიყვანეს სასულიერო სასწავლებელში და მერე გადავედი სემინარიაში, რომელიც გავათავე ქ. პოლტავაში 1900 წელს. უსაღსრობის გამო უმაღლეს სასწავლებელში ველარ წაველ, მიუხედავად დიდი სურვილისა. სემინარიაში ორჯერ გამომრიცხეს: 1894 წელს საერთო არეულობის გამო და 1896 წელს ხელთნანერ ყურნალის თაობაზე (მე და ერთი სხვა).

პირველად მუშაობა დავიწყე სოფელელ ამხანაგებთან ერთად 1892 წელს გაზაფხულზე, როდესაც გადავწყვიტეთ გაგვემართა წარმოდგენები სოფელში, მართლაც, საძირკველი ჩავუყარეთ ხაშმში სახალხო თეატრს იმავე წელს. თანაც გვინდოდა შემოსავალი მოგვეხმარებინა სასარგებლო საქმისათვის, ისეთი საქმისათვის, რომელიც ახალი იქნებოდა სოფელში. ამიტომ გადავწყვიტეთ, წარმოდგენების შემოსავლიდან რაც კი ფული დარჩებოდა, გვეყიდნა წიგნები და დაგვეარსებინა წიგნთსაცავ-სამკითხველო (უფასო, რასაკვირველია). ამ საქმეების მომწყობ-გამძღოლად (ანუ „მოთავედ“, როგორც მაშინდელს ჩვენს წესდებაში იყო ნათქვამი) მე ვიყავი არჩეული თავიდანვე

და შევრჩი იქამდე, სანამ მოზარდი თაობა წამოგვეშველებოდა და ჩვენს მაგიერობას გასწევდა. ჩვენ თითქმის ყველა მონაწილენი ვიყავით – ადგილობრივი გლეხების შვილები, რომელნიც ვსწავლობდით თბილისის სკოლებში; ჩვენ პირველნი ვიყავით გლეხის შვილები, სკოლაში სასწავლებლად ქალაქში გაგზავნილები; ჩვენ ვიყავით პირველნი – „ვინროშარვლიანები“, როგორც მაშინ ჩვენი მეზობელი გლეხები გვეძახდნენ მონაფეებს.

ამ ორი საქმის (თეატრის და სამკითხველოს) დაწყებამ გამოიწვია სოფელში განხეთქილება, ნაწილი ჩვენს მხარეზე იყო, თანაგვიგრძნობდა, ხელს გვიმართავდა, ნაწილი კი აგვიმხედრდა და ბრძოლა დაგვიწყა ადმინისტრაციის დახმარებით. საბოლოოდ ბრძოლა ჩვენ მოვიგეთ, თუმცა ბევრჯერ გვიგემნია დამარცხებაც. ბევრი ოფლი მოგვინურავს, ბევრი ჭირი მოგვითმენია ყველა მონაწილე ახალგაზრდებს საქმის სიყვარულით.

ჩვენი დაარსებული და გაზრდილი ორი დაწესებულება (თეატრი და წიგნთსაცავი) გახდა ხალხის მოთხოვნილებად ჯერ იმ მოკლე ხანშივე; ყოველ ზაფხულობით განუწყვეტელი სეზონები გვქონდა; ვდგამდით ყოველწლიურ პიესებს, რაზედაც კი ხელი მიგვინდებოდა, დაწყებული პიესებიდან: „შევიშლები, მე მინდა კნინა გავზდე“ და გათავებული „სამშობლოთი“ და შილერის „ყაჩაღებით“... ავამოქმედეთ და ავაყაყანეთ გარეშემო მდებარე მეზობელი სოფლები, სადაც კარგი მსახიობებივით ზოგჯერ გასტროლებზედაც მივდიოდით. გადავანგრეთ კარჩაკეტილობის ზღუდე – ჩაუწერეთ სხვა სოფლის ახალგაზრდობასაც საზოგადოებრივი მუშაობის სურვილი და ჩავბერეთ ენერგია. სოფ. ხაშში, გარეკახეთში, იმ ხანად იყო ამ საქმის ცენტრი. ჩვენ იმდენს ვეცადეთ, რომ თეატრს სოფელში ვუშოვეთ მუდმივი ბინა (საზოგადო შენობაში), სადაც დღესაც არის მოთავსებული და შემდეგი თაობანი განაგრძობენ მოღვაწეობას.

წიგნთსაცავ-სამკითხველომაც დიდი სარგებლობა მოუტანა ახალგაზრდობას, არა მაშინდელს მარტო, არამედ შემდეგ თაობებსაც, თუმცა იგი წიგნებით თანდათან ღარიბდებოდა, მაგრამ რაც დარჩენილიყო, იმასაც სიამოვნებით ეწაფებოდნენ. რაც წიგნები გაგვაჩნდა იმდროს ჩვენ ამხანაგებს, თითქმის ყველამ იქ შევწირეთ (მარტო მე შევწირე – 40 ქართ. წიგნი ჩემთვის შეძენილი), სხვებსაც შევანირვინეთ და ზოგიც წარმოდგენის ფულებით შევიძინეთ.

მწერლობა მე დავიწყე 18 წლიდან; მხოლოდ პირველად დაიბეჭდა ჩემი ჩანერილი ხალხური ზღაპარი „არაფერი“ და ხალხური „ნანა“ (დაან, დაან, დანქსელო, ატმისა კურკავ ქრელო), ჟურ. „ჯეჯილში“ 1895 თუ 6 წელს, კარგად არ მახსოვს. ორივე ხელმოუწერელია.

შემდეგი ჩემი ლიტერატურული გამოსვლა იყო 1900 წლის გაზაფხულზე, როცა ჩემმა პიესამ „იანიჩარმა“ მიიღო პრემია. 1901 წლიდან კი დავიწყე თანამშრომლობა გაზ. „კვალში“ და ჟურ. „მოგზაურში“; შემდეგ – „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, „გლეხში“, „მინაში“, „ნაკადულში“, „თეატრი და ცხოვრებაში“ და ბევრს სხვაშიც. ვწერდი პიესებს, მოთხრობებს, ხანდახან ლექსებიც წამცდებოდა. ვთარგმნიდი რუსულიდან; ვკრებდი პატარაობიდანვე ხალხურ სიტყვიერებას – ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებს, იგავებს, რომელთა ნაწილი იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, ნაწილი კი ხელთნაწერად მაქვს. გადავთარგმნე ქართულად სამი დიდი ოპერა: „ფაუსტი“ 1906 წელს (რომელიც

დადგეს შ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით იმავე 1906 წელს), „რიგოლეტო“ და „ჭუგენოტები“ (1925 წელს). ცალკე წიგნად გამოცემულია ჩემი „იანიჩარი“ – 1905 წელს და მოთხრობების კრებული „ჯიუტები“ – 1914 წელს.

რამდენადაც გარემოება ნებას მაძლევდა, საზოგადო საქმეს ვემსახურებოდი და პრაქტიკულადაც, ვიყავი არჩეული ქართ. დრამატულ საზოგადოების გამგეობის წევრად სამჯერ – სხვა საქმეებშიც ვმუშაობდი. ქართულ თეატრში ადმინისტრატორად ვიყავი 1902–4 წელს (3 წელი), სათავადაზნაურო გიმნაზიაში 3 წელი და სხვა.

რასაკვირველია, მე ვერ ვიყავ პროფესიონალი მწერალი, რომელიც მხოლოდ ლიტერატურული შრომით და შემოსავლით ცხოვრობს (ასეთები ჩვენში გამონაკლისი იყვნენ მაშინაც და ეხლაც). მიხდებოდა თავიდანვე სამსახურში ყოფნა და კანცელარიების შხამით სუნთქვა (დღესაც ამ დღეში ვიმყოფები); მაგრამ ვებძოდი მუდამ ბედის უკუღმართობას, როცა კი თავისუფალს დროს მოვიხელებდი, ვწერდი და ვბეჭდავდი.

პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ, თუმცა სულით და გულით, მთელი ჩემი არსებით მეზიზღებოდა რუსეთის თვითმპყრობელობა და მისი დამხობის დღე იყო ჩემთვის საოცნებო აღდგომა! ამავე გრძნობის ან აზრის ბრალია, რომ 1905 წლის მოძრაობაში ვიღებდი მონაწილეობას ჩვენი სოფლის ფარგლებში, ფართედ არც მაშინ მიფრენია. ალბად პოლიტიკური მოღვაწეობის მონოდება არ მქონდა.

ცოლი შევირთე 1901 წელს, მყავს ორი შვილი, ერთი ვაჟი – გიორგი, სახელმ. უნივერსიტეტის სტუდენტი და ერთიც ქალი – გერმანულ (107 შრ.), სკოლის მონაფე.

აი, ეს არის ჩემი ცხოვრების მოკლე ისტორია.

ვარლამ რუხაძე

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1874 წელს სოფ. ქუტირში, ქუთაისის მაზრაში. თორმეტ წლამდე სოფელში ვიზრდებოდი. ვიყავი მეტათ ცელქი და მოუსვენარი. გატაცებით მიყვარდა სოფლის გაშლილი და ლალი ბუნება, დილიდან საღამომდე ან ღელეებში ვთევზაობდი, ან მახეებს ვაგებდი ყანებში, ან და თოფით ხელში ტყეებში დავძვრებოდი. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი და თოფის ზიდვა ძლივს შემეძლო, ჩინებული სროლა ვიცოდი: ხშირად გაფრენილ ჩიტსაც კი ვკლავდი.

დედას არ მოსწონდა ჩემს ხელში თოფი და ყოველთვის მარიგებდა: „დანებე, შვილო, ამ მარცხიან საქმეს თავი, თვარა ან თავს გაიფუჭებ, ანდა ვინმე შემოგაკვდება და დავიღუპებითო“. მაგრამ მე მაინც ჩემს საქმეს განვაგრძობდი, ვიდრე ფაქტის წინაშე არ დავდექი: ერთხელ ფისტონს ვადებდი თოფს, დედაც იქვე იდგა და ჩვეულებრივ მარიგებდა. უცებ გამივარდა თოფი და დედას კაბის კალთაში გაუარა საფანტმა; საბედნიეროდ, უვნებლად გადაარჩა, მაგრამ ამ შემთხვევამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ამის შემდეგ თოფი ხელში არ ამიღია. მას შემდეგ აგერ ორმოცი წელიწადი გადის, ახლაც, როცა ეს ამბავი გამახსენდება, ჟრუანტელი დამივლის ტანში.

იმ ხანებში ჩვენ სოფელში სკოლა არ იყო. სოფლის განათლებულ საზოგადოებას მღვდელი, დიაკვანი და მწერალი შეადგენდა. გლეხებში კი იშვიათი მოვლენა იყო წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ დედამ იცოდა წერა-კითხვა და ჭრა-კერვა. ამის გამო მას ყველა პატივისცემით ეპყრობოდა და ისიც ეხმარებოდა ყველას უანგაროდ; ზოგს წერა-კითხვას ასწავლიდა და ზოგს ჭრა-კერვას და სხვ.

სხვათა შორის იცოდა ბევრი ზღაპრები და მშვენიერი მომყოლიც იყო. როცა დაწვებოდი და უბეში ჩაუძვრებოდი, ერთი-ორი ზღაპარი მაინც რომ არ ეთქვა, ისე არ დავიძინებდი. ამ ზღაპრებმა დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონიეს ჩემზე: უხილავ ქვეყანაში გადამასახლეს და გამიძლიძრეს ფანტაზია.

ანბანი დედამ დამაწყებინა თავის ხელნაწერით. პირველად მეც გულმოდგინეთ შეუდექი, მაგრამ მალე მომწყინდა, რადგან მინდვრები და ბავშვებთან თამაში უფრო მიზიდავდა, ვიდრე ფეხმოკეცილი ჯდომა და ზეპირობა. ავიღე და კედელზე გავაკარი ჩემი ანბანი და ყოველ დილას, როცა ლოგინიდან წამოვდებოდი, მივადგებოდი კედელს და ჩავაბუღებულელებდი: ან-ბან-გან-დონ და გაუდგებოდი გზას სათამაშოთ. ბევრი მარიგა დედამ და როცა ვერაფერს გახდა, ერთხელ ჭინჭრითაც კი დამიშხუნა წვივები, მაგრამ მაინც ვერ დამიმორჩილა. შემდეგ თავის ბიძაშვილს – ბართლომე მოსეშვილს მიმბარა, რომელიც მაშინ თბილისის სემენარიაში სწავლობდა და საზაფხულოთ იყო ჩამოსული სოფელში. მან სხვა ბავშვებთან ერთად მეც გამიშალა გოგებაშვილის დედა-ენა და მომცა გაკვეთილი. პირველ ხანებში მასთანაც ჯიუტობა გამოვიჩინე, მაგრამ, როცა ერთ-ორჯერ ლაზათიანად ამიწია ყური, მეც მოვტყდი და გულმოდგინეთ შეუდექი ზეპირობას, როცა სიტყვის

სიტყვაზე გადაბმა და წინადადების ამოკითხვა შევიძელი, გაგიჟებით შემეყვარდა წიგნი, მაგრამ სად იყო სოფელში წიგნი, ახლაც იშვიათი მოვლენაა და მაშინ ხომ დიოგენის ფარნით იყო საძებარი. როცა თორმეტი შემისრულდა, მამამ ქუთაისში წამიყვანა და სამიკიტნოში ჩამეჭედა. ქალაქმა პირველათ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავის ახმაურებული ქუჩებით და მოუსვენარი ცხოვრებით, მაგრამ თანდათან შევეჩვიე ამ ყოფას და მეც ქალაქის კაცათ გავხდი. ყველა პანა დახლიდარს მეძახდა და მეც ციბრუტივით ვტრიალებდი ფეშტემალ შემოკრული, ზოგთან ხარჩო მიმქონდა, ზოგთან ღვინო, ზოგთან კიდე წყალი.

პირველი წიგნი, რომელიც ხელში ჩამივარდა, ეს იყო „არსენას“ ლექსი, შემდეგ „ყარამანიანი“ და ბოლოს აკაკი. ამ სამეზამ სამუდამოთ დაიპყრო ჩემი გული და გაფაციცებით დავეძებდი წიგნებს, მაგრამ წიგნების შოვნა არც ისე ადვილი საქმე იყო და როცა ვიშოვიდი, მისი კითხვის საშუალებაც არ მეძლეოდა. მამას ერთი მტარვალი დახლიდარი ჰყავდა, რომელიც როგორც კი დამინახავდა, წიგნს ხელში მაშინვე გამომგლეჯდა და ერთ სილასაც მითავაზებდა ამ სიტყვებით: სწავლა თუ გინდა, გიმნაზიაში მიბრძანდიო. გიმნაზია თავის თავათ ცუდი საქმე არ იყო, მაგრამ ვინ მიგაბრძანებდა იქ. მამა ძველი კაცი იყო ბატონ-ყმობის უღელ-ქვეშ გამოვლილი და თავისებური შეხედულება ჰქონდა ამ საგანზე. მეც არ მისწავლია, მაგრამ პურს ვჭამ და როცა ვინმე ჩემი კეთილის მსურველი საუბარს ჩამოუგდებდა ჩემი სკოლაში მიცემის შესახებ, ყველას ამ პასუხით ისტუმრებდა.

ქუთაისში დიდხანს არ დავრჩენილვარ, სულ ორი წელიწადი გავატარე. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს უბანს ცეცხლი წაეკიდა და ყველაფერი გაანადგურა ხანძარმა. სხვათაშორის მამაჩემის სამიკიტნოც დაინვა და ისევ სოფელში დავბრუნდით განადგურებული.

სოფელში ცოტახანს დავრჩი, რამდენიმე თვის შემდეგ ბიძამ ფოთში წამიყვანა ისევ სამიკიტნოში, იქიდან ბათუმში გადავედი. ბათუმიდან სოხუმში, სოხუმიდან ისევ ქუთაისში და ასე ბოლომდე რამდენიმე წლის განმავლობაში ქალაქიდან ქალაქში და სამიკიტნოდან სამიკიტნოში გადავდიოდი, ვიდრე სიძის დახმარებით საკუთარი საქმე არ დავინწყე ქუთაისში.

1916 წელს თბილისში გადმოვსახლდი სამუდამოთ, გაბაშვილის შესახვევში სტამბა შევიძინე და გამომცემლობას შეუდექი, მაგრამ გადატრიალების შემდეგ ეს სტამბა ჩამომართვეს კომუნისტებმა.

ლექსების წერა დავინწყე თხუთმეტი წლიდან. მაშინ ბათუმში ვცხოვრობდი და ჩვენს მეზობლათ ვინმე გალუსტოვიც ვაჭრობდა. კაცი ფრიად ნაკითხი და ფხიზელი გონების პატრონი, ქონდა აუარებელი ქართული წიგნი და მეც მაძლევდა წასაკითხავათ. სწერდა ლექსებსაც და ერთხელ წიგნაკიც გამოსცა. მისი მიბაძვით მეც დავინწყე ლექსების წერა. პირველად ვერაფერი შვილი გამომივიდა, მაგრამ თანდათან გავინაფე და ლექსიც გავმართე.

ჩემი პირველი ლექსი 1899 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მომამბეში“. ამის შემდეგ ყველა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა და იბეჭდება დღესაც.

ჩემი ნაწერებიდან გამოცემულია შემდეგი წიგნები: 1. „ლექსები და მოთხრობები“, დაიბეჭდა ქუთაისში 1902 წელს 2000 ცალი. 2. „თაიგული“, დაი-

ბეჭდა ბათუმში 1910 წელს 2000 ცალი. 3. „ცისკარი“, დაიბეჭდა ქუთაისში 1913 წელს 2500 ცალი. 4. „ცხოვრების ყვავილები“, დაიბეჭდა თბილისში 5000 ც. 5. „ზღაპრები და ლეგენდები“, დაიბეჭდა თბილისში 1920 წელს 5000 ც.

ამ წიგნებიდან არც ერთი ცალი არ იშოვება ეხლა ბაზარში.

გამოსაცემი მაქვს უკანასკნელი ნაწერების ორი ტომი.

კრიტიკა მაინც და მაინც გულუხვი არ ყოფილა ჩემს შესახებ, მაგრამ არც უყურადღებოთ ვიყავი დატოვებული. ჩემი მთავარი კრიტიკოსებია: ივ. გომართელი, ვ. ბაქრაძე, ა. პაპავა, ნვრილ წერილებს არ ვასახელებ.

პირველი წიგნი გამოსვლისთანავე აკრძალეს და მეც პასუხისგებაში მიმცეს. ეს ამბავი ყუმბარასავით გავარდა საზოგადოებაში და დიდი პოპულარიობა მომიხვეჭა. როგორც ახალგაზრდა პოეტს ყველა გაფაციცებით დაექებდა და დიდი ხალისით კითხულობდა ამ პატარა წიგნაკს, ისეთებიც კი, სხვა დროს ხელში რომ არ აიღებდა. ამან კიდევ უფრო შემაყვარა მწერლობა და პოეზია.

აღექსანდრე ყანჩელი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	(გარდაიცვალა 1948 წ. 4 აპრილს) ყანჩელი ალექსანდრე ივანეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა აქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1875</u> თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) გორში (თბილისის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეტი, მთარგმნელი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1899
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1936 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა ჯგუფი
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი, იურიდიული ფაკულტეტი მოსკოვის უნივერსიტეტისა
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1907 წელს ცოლის ავადმყოფობის გამო ვიყავი შვეიცარიაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გარდაცვლილია ცხოვრობდა ლენინის 57</p>

ლიტერატურულ მოღვაწეობისა და მუშაობის შესახებ ცალკე ცნობები არ აღმოჩნდა.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალექსანდრე ივანეს-ძე ყანჩელის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1875 წელს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში.

დავამთავრე თბილისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განვაგრძე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ჩავაბარე გამოცდები 1900 წელს და დავბრუნდი საქართველოში.

1899 წელს დავინწყე ბეჭდვა, პირველად მოსკოვის გაზეთ „კურიერ“-ში და შემდეგ ჟურნალ „რუსული აზრ“-ში.

1900 წ. ვმუშაობდი თბილისში გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, სადაც ვბეჭდავდი ფელეტონებს ლექსებსა და თარგმანებს. 1905 წ. შევედი გაზ. „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციის შემადგენლობაში (მეფის სანინალმდეგო ოპოზიციონური გამოცემა). „ვოზროჟდენიის“ აკრძალვის შემდეგ, მონაწილეობას ვღებულობდი მთელ რიგ იმავე მიმართულების გამოცემებში. ეს გაზეთები ხელისუფლების მიერ იკრძალებოდა და იბეგრებოდა. ამ გამოცემის საბოლოო დარბევისა და აკრძალვის შემდეგ შევედი თბილისის გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ რედაქციის შემადგენლობაში. ამ დროებში მონაწილეობას ვიღებდი კავკასიის რუსულ თუ ქართულ გამოცემებში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვრედაქტორობდი გაზეთ „რესპუბლიკას“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელი მოვკიდე მთარგმნელობას და გამოცემული იქნა გამომც. „ზარია ვოსტოკას“ მიერ ქართველ მწერლების ნაწარმოებები: ი. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ჭ. ლომთათიძე, ლ. ქიაჩელი, რ. გვეტაძე, უიარალო და სხვ.

ვთარგმნე უამრავი პოემები და ლექსები ქართველი მწერლებისა, აგრეთვე ხალხური ლექსები და სიმღერები. აგრეთვე კრებულებში, რომლებიც გამოცემული იქნა მოსკოვში მიძღვნილი ლენინისა და სტალინისადმი, მოთავსებულია ჩემი თარგმანები.

40 წლის ლიტერატურული მუშაობის შემდეგ ისევ განვაგრძობ ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწეობას.

[1939 წელი]

სწორია: ნ. კ., 1956.

ნ. თოფჩიშვილი.

იოსებ იმედაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1952 წ. 5 მაისს იმედაშვილი იოსებ ზაქარიას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	იხ. ავტობიოგრაფია, გვ. 3, მეორე აბზ.
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1876 თვე მარტი დღე 23-ს
	(ძველი თუ ახალი სტილი) ხაშმი (გარე კახეთი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	ყოფ. მუშა და მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ლექსიკოგრაფია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	90-იანი წლები
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო, უმაღლესი დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული და ლათინური – ვკითხულობ, რუსული, ქართული, ვლაპარაკობ სომხურად და აზერბაიჯანულად
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

იხ. ავტობიოგრაფია, სადაც ყველაფერი არის აღნიშნული და ნაჩვენები.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: წ. კ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: წ. თოფჩიშვილი.

იოსებ ზაქარიას-ძე იმედაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1876 წ. 20 მარტს სოფ. ხაშმზე, გარე კახეთს (ან. საგარეჯოს რ.). მამაჩემი იყო საეკლესიო გლეხი-ყმა, ნათლისმცემლის მონასტრის ბერების ხაბაზი და მეზურე, შემდეგ დიამბეგისაგან დევნის გამო, ბორჩალოში გადაკარგული მევენახე-მოჯამაგირე; დედა – უჯარმელი ჭინჭარაძის ასული ეკატერინე, ბოლოს თბილისში თუთუნის ქარხნის მუშა.

ბავშვობა გავატარე მწყემსობაში სომეხ, თათარ, ბერძენ და ქართველ გლეხ ბავშვთა შორის. 12-13 წ. თბილისს ჩამომიყვანეს. დედ-მამა ადრე დამეხოცა. ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო სკოლაში მე-2 კლასამდე, არაკეთილსაიმედობის გამო სკოლიდან გამორიცხულმა თვითგანვითარებით შევიძინე ცოდნა, თვისით შევისწავლე ენები (რუსული, სომხური, თათრული – სალაპარაკოდ, ხოლო უცხო – მცირედ საკითხავად). ვიცოდი ხელოსნობა, მჭედლობა, ზეინკლობა, ხარატობა, ხატვა.

მწერლობას შევუდექი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საკუთარი ხელნაწერი მხატვრული ჟურნალ „თარი“-თა, თვითონ ვწერდი და გამომყავდა ორკვირაში ერთხელ.

ბეჭდვა დავიწყე 1895 წ. ვთანამშრომლობდი „ივერია“-სა, „ცნობის ფურცელ“-სა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ვწერდი ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, პუბლიცისტურ წერილებს, რეცენზიებს, ვადგენდი და ვადგენ – სხვადასხვა დარგის ლექსიკონებს. „უცხო სიტყვათა“, „ქართველ მოღვაწეთა“, „ახალ სიტყვათა“, „ისტორიულ-გეოგრაფიულ სიტყვათა“, „ნაცვალ სახელთა“ და სხვ.

სასოფლო-სახალხო თეატრებისათვის შევადგინე და გამოვეცი პიესების კრებულები „ცხოვრების სარკე“, 1 წიგნი – 1899, 2 – 1901 წ. 2 იანვარიდან გამოვეცი კვირეული სათეატრო-სახელოვნო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (გამოდიოდა 1926 წლის მარტამდე).

1917 წ. რევოლუციის შემდეგ სამდღიური პირველი საქართველოს სოც-დემოკრ. გაზეთი „ხალხის ერთიანობა“ იგივე „ხალხის თავისუფლება“. ორივე გამოცემის ჟურნალისა და გაზეთის ფაქტიური რედაქტორ-ხელმძღვანელი მე ვიყავი. იმ დროსაც კი, როცა ჩემი დევნისა გამო ჟურნალი ჩემი მეუღლის ანნას ხელმოწერით გამოდიოდა (1914–1917 წ.წ.). ამ ორივე გამოცემაში იუმორისტული მინიატურული რომანი „ახ-ვაახ!“ დაიბეჭდა „ივერიის“ საკვირაო ფელეტონებში „ნიკიპურტ“-ში 1903 თუ 1904 წ. სამი ნაწილი, მეოთხე ნაწილის შვიდი რვა თავი ცენზურისა თუ სხვა მიზეზით ვეღარ გამოქვეყნდა.

ჩემი ლექსები, პოემები, პიესები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული, უმეტესი რევოლუციური შინაარსისა. პირველად მე გამოვთქვი ბეჭდვით „ძირს ხელმწიფე, დე, დაინგრეს ტახტი მისი“... (1903 წ. ჩემს „სიყვარულის ძალა“-ში). „მუშავ, მდიდარს ნუ შენატორი, თვითონა ხარ შენ დიდება... ქვეყნის დახსნის, დამერწმუნე, შენ გედება კისრად ვალი, შენით უნდა მიენიჭოს მაშვრალ-ჩაგრულთ მომავალი!..“ („ქვის მტვირთველ“-ში, 1904 წ.), „ამიერ კავკასიის ერთა ძმობა-ერთობა“

(„ხალხის გმირი“, 1904), „რვა საათი“ (ივერია, 1904), „პროლეტარიატის ჰიმნი“ (სოც. დემოკრ. გაზ. 1905 წ.).

ჩემი თხზულებათა კარგა დიდი რვეული, სათაურით „წითელი დროშა“, ლექსები და პოემები, 1897–1907 წ., ჟანდარმერიამ ჩაიგდო ხელში, რაც 1911 წ. სამხედრო სასამართლომ ჩემს წინააღმდეგ საბუთად გამოიყენა. ეს ჩემი „წითელი დროშა“ დღესაც საქართველოს ცენტროარქივშია დაცული. ამ რვეულში შეტანილი ბევრი ლექსი და პოემა ადრინდელ ჟურნალ-გაზეთებშია გამოქვეყნებული, ან ცალკე გამოცემული „იზიძე“-ს ფსევდონიმით. ჩემი პოემა „სიყვარულის ძალა და სხვა ლექსები“ მესამედ გამოიცა 1905 წ. არის იგივე სხვა გამოცემაც. ამ წიგნაკის გამო მეფის მთავრობამ ბრალდება წამომიყენა მეტეხის ციხეში უკვე კატორღა მოსჯილს. 1912 წ. გამოცემულია ჩემი რამდენიმე პოემა, ლექსები თუ მოთხრობები და სხვა.

ჩემი ფსევდონიმებია: იზიძე, იმედი, იმ-ძე, ი-ელი, ი. აიელი, იოსებ არიმათიელი, ექიმი შტოკმანი, ი. წინამძღვარი, ი. შ-რი, ი-ი, ი. არინი, უსავანო, უსუფუმყოფელი, ი. ხაშმელი, ხაშმელი, სოსიკა, კანტი, სიკო, გურჯოლი (მხოლოდ სპარსელი ქალის „იავნანა“), თვალყურა, იმე-ს ჭიტა, კაიუს გრახკი, მეკვლე და მრ. სხვ.

სათეატრო საქმეში ჩავები 1892 წლიდან სასოფლო-საგლეხო წარმოდგენების მართვით. 1893 წ. სხვებთან ერთად თბილისში „ავჭალის აუდიტორიაში“ (საბჭოთა ქ.) საძირკველი ჩავუყარე მთელ რუსეთის იმპერიაში პირველ ხალხურ თეატრს, რომელზედაც შემდეგში აღმოცენდა „სახალხო სახლი“, სადაც ბოლო ხანებში კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრია. ამ სახალხო თეატრის პირველი რეჟისორი და ხელმძღვანელი მე ვიყავი 1893–1897 წ.წ. მევე დავწერე მისი პირველი წესდება (დაბეჭდილია „სახალხო თეატრის საიუბილეო კრებული“, 1893–1923).

1902-1903 წწ. სათავეში ვიდექ და როგორც რეჟისორი და წინამძღოლი ვხელმძღვანელობდი ავლაბრის სახალხო თეატრს (პეტრე-პავლეს უბანში, მურაშკოს სახლში) და მეუღლითურთ ხშირად სცენაზედაც გამოვდიოდი. ეს ორივე თეატრი მუშა-მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას ემსახურებოდა. პირველ თეატრში შესავლელი ფასი იყო 5–20 კაპიკამდე, მეორეში – 10 კაპ., 50 კაპ., ხან მეტი, ხან ნაკლები.

ამ თეატრების კულისებში ხშირად არალეგალური შეხვედრები და კრებებიც იმართებოდა. ორივე თეატრში სრულიად უფასოდ ვმუშაობდი, ბევრჯერ ნივთიერადაც ვვხმარებოდი. მათი რეპეტიციები ჩემ ბინაზე იმართებოდა ხოლმე. იმავე დროს წარმოდგენებს ვმართავდი დაბა-სოფლებსა და ქალაქებში საქველმოქმედო და სარეკოლუციო მიზნით, მაგ. მცხეთას, მეტეხს, თბილისს, განჯასა და სხ. წიგნთ-საცავ სამკითხველოს თუ თეატრის დასაარსებლად, პარტიის დასახმარებლად, მაგ., ალ. ჯაფარიძის, სტუდენტების შესანვეად და სხვ.

რევოლუციურ-განმათავისუფლებელ საქმიანობას შევეუდექი 1892-93 წწ. თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, ადელხანოვის ქარხნის, მეთუთუნეთა და სხვ. სარენაობის მუშათა შორის ვავრცელებდი პროგრესულ-რევოლუციურ შინაარსის წიგნებს. ვენეოდი აგიტაცია-პროპაგანდას თვითმპყრო-

ბელობისა და მემამულეთა წინააღმდეგ, გამოვდიოდი მიტინგებზე (ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს ოთხ ენაზე – ქართულ, რუსულ, სომხურ და თათურულ) ენაზე.

გამომცემლობისა და არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებას ვანარმოებდი 1895-96 წლებიდან თბილისსა და პროვინციაში. ვცემდი ხალხის გამათვითცნობიერებელ წიგნებს, რევოლუციურ შინაარსის ნაწარმოებთ, რომელთაგან რამდენიმე წიგნაკი, დაბეჭდვის შემდეგ მეფის მთავრობამ ამიკრძალა, მაგ. „რას იცინი“, თომანთ კობასი (ია ეკალაძისა), „რა არის ხარკი და რისთვის ჰკრებავენ?!“, ლ. ტოლსტოის „რისთვის ითვრება ხალხი?“ და სხვ. სხვათა შორის, პირველად მე გამოვეცი მ. გორკის მოთხრობები, 1 წიგნი (ს-ლ, 12), ჩემივე ცნობილი წინასიტყვაობით (საერთოდ თარგმნილი ლიტერატურისა და კერძოდ მ. გორკის მნიშვნელობის შესახებ), საიდანაც ხშირად მოჰყავს ხოლმე ციტატა თავისთავთან დაკავშირებით. ჩემი წერილი და ზოგიერთი თარგმანები გამოვიდა ი. წინამძღვრიშვილის ფსევდონომით 1902 წ.

თბილისში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ გიორგიევის (ან ჯორჯაძის) ქ. მქონდა წიგნთსავაჭრო. აქ შევქენი არალეგალური წიგნაკების საცავი, არალეგალური წიგნაკები, ლეგალურ წიგნაკების კონებში მქონდა ჩასმული. ჩემგან მიჰქონდათ ნასაკითხად აღნიშნული წიგნები: სოსო ჯულაშვილს, ლადო კეცხოველს, ს. დევდარიანს და სხვ. ჩემთან დაიარებოდნენ ზემოხსენებულთა გარდა – ფ. მახარაძე, არ. ჯორჯაძე, აგრეთვე მოწინავე მუშები, ძველი, დამსახურებული მოღვაწე მწერლები: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზაქ. ჭიჭინაძე, ანტ. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, ეკ. გაბაშვილი, ან. თუმანიშვილი-წერეთლისა, გ. თუმანიშვილი, ვასო აბაშიძე, ვ. გუნია, კ. ყიფიანი და სხვ. მრავალი.

განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების დროს 1905 წ., ძველი მამასახლისისა და თანამდებობის პირთა გადაყენების შემდეგ, მე ჯერ სამშობლო სოფ. ხაშმის მამასახლისად, მერე გარეკახეთ-ივრის ხეობის მამასახლისთა მამასახლისად ვიყავი ხალხისაგან არჩეული. 1905 წ. ჩემი თაოსნობით შეიქმნა ივრის ხეობის რევოლუციური თვითმართველობა. 1905 წ. ნოემბრის დასაწყისში ივრის ხეობის გლეხთა დეპუტაცია ჩემის თაოსნობით წარუდგა მეფის ნაცვალს (გრაფ ვორონცოვ დაშკოვს) და აუწყა ჩემი პირით, პირველად მარტო მე ავედი მეფის ნაცვალის სასახლეში, გურიიდან დამსჯელი ჯარების უკან გამოყვანის შესახ, რაც აღსრულდა კიდევ. სოფელში გავიყვანე გზები, დავიწყე წყაროს გამოყვანა, შემოვიღე სახალხო სამართალი (3 ვექილის და 10 კაცის შემადგენლობით); გავაჩაღე კულტურული მუშაობა – განვაახლე წიგნთ-საცავი სამკითხველო, დავაარსე 2-კლასიანი სასწავლებელი, ჭრა-კერვის სკოლა; დავიწყე იარაღის შეგროვება ხალხის შეიარაღებისათვის. მრავალერიან ქართველ-სომეხ-თათარ და სხვა მოსახლეობის შორის ძმობა-ერთობის ხიდი გავდე და სხვ. სოფლად მუშაობის დროს, 1906 წ. არჩეული ვიყავი პირველი სახელმწიფო სათათბიროს ჯერ სამაზრო, მერე საგუბერნიო ამომრჩეველად. რეაქციის გაძლიერების შემდეგ, თანამდებობიდან გადამდგარი, საკრამიტეში ვმუშაობდი ტალახის მზეღელად და კრამიტის მჭრელად. 1908 წ. თბილისის ჩამოსული ვმუშაობდი ქართული თეატრის

საქმეთა მმართველად, ბიბლიოთეკარად და ზოგჯერ დირექტორის მოვალეობის აღმსრულებლად. ამ დროს ჩემ მიერ შედგენილ-შეკრებილი ქართ. დრამატიულ საზოგადოების სათეატრო ბიბლიოთეკა, მათ შორის ჩემს მიერ ნათარგმნი პიესებიც თეატრის ხანძარმა შთანთქა.

თანავეგრძობდი „მესამე დასელებს“ – მარქსისტებს, მაგრამ პარტიაში არა ვყოფილვარ, თუმცა ჩემმა პირადმა მტრებმა 1906 წ. პარტიიდან გარიცხულად გამომაცხადეს. ჩემი ეროვნული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიდრეკილების რწმენისა და საქმიანობის გამო ხშირად ვიდევნებოდი. ვიდევნებოდი მწერლობაშიაც, რის გამოც ხშირად ფსევდონიმს ვიცვლიდი. ხან სულ ხელმოუწერავად ვიბეჭდებოდი, ზოგჯერ ჩემს ნაწერს სხვას აკუთვნებდნენ.

პოლიტიკურ-რევოლუციურ მუშაობისათვის ციხეში ვიჯექი – მეტეხში, ჯერ 1902 წ., მეორედ 1910 წ., 13 წ. კატორღა მომისაჯა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ 102, 11 მუხ. ძალით. ციხეში პატიმრობის დროს განვაგრძობდი ლიტერატურულ-კულტურულ მუშაობას პატიმართა შორის, როგორც ციხის წიგნთსაცავის გამგე და სტამბაში კორექტორად მომუშავე. ვმონაწილეობდი ციხეში ე. გადილიას მიერ გამოცემულ ფ. მახარაძის წიგნის „მარქსის მოძღვრების“ სარედაქციო მუშაობაში, მასში მოთავსებული უცხო სიტყვათა განმარტების ნაწილი მე მეკუთვნის.

მონაწილეობას ვიღებდი ციხის საპროტესტო გამოსვლებში.

ციხიდან გამოსულმა განვაახლე ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ გამოცემა, ჩემი მეუღლის ანნას ხელმოწერით (რედაქტორ-გამომცემლობით 1914–1917 წწ.). რევოლუციამდე ჟანდარმერიის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი შერქმეული სახელით „Бывалый“ (გამოცდილია, გამოჯაგულია).

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ვმუშაობდი და ვმუშაობ საშუალო სკოლებში მშობელთა საბჭოს თავმჯდომარედ. ორჯონიკიძის რაიონის საბჭოს დეპუტატად, პერსონალურ პენსიონერთა კომიტეტის წევრ-მდივნად, სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად და სხვ. რესპუბლიკის საშეფო რესპუბლიკანურ ბიუროსა და სოცუზრუნველყოფის საშეფო სექციაში მუყაითი მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვიქენი სახელით და მკერდზე სატარებელ სახელობითი ნიშნით.

1926 წლიდან მეძლევა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

ჩემი ნაწერების დიდი უმრავლესობა გამოცემულია ზემოხსენებულ ფსევდონიმებით, სახელითა და გვარით, ხშირად ხელმოუწერლადაც.

ცალკე გამოცემულია ჩემი შემდეგი თხზულებანი და ნაშრომები:

1. „ცხოვრების სარკე“, პიესების კრებული, 1899 წ.

2. „–“, 1901 წ.

3. „სიყვარულის ძალა“, პოემა, 1903 წ.

4. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (პირველად ქართულად), 1904 წ., მეორე გამოცემა – 1926 წ.

5. „ქვის მტვრეველნი“ (იაპ. ზღაპარი და ლექსები), 1904 წ.

6. „ხალხის გმირი“ (აფხაზური ლეგენდა).

7. „სიყვარულის ძალა“, პოემა, 1905 წ.
 8. „სოფლის მიტინგზე“, სურათები, 1 მოქ., 1917 წ.
 9. „ქორწილი“, ალეგორიული პიესა, 3 მოქმ., 1918 წ.
 10. „განახლებული სიცოცხლე“, რომანი, 1919 წ.
 11. „ზამთრის პირზე“, ანუ „ესეც შენი იუბილე“, 1919 წ.
 12. „კალიების ცეკვა“, დრამა ეტ., 1 მოქ., 1920 წ.
 13. „მზე ჩაესვენა“, ისტ. დრამა, 1 სურ., 1920 წ.
 14. „მზის ამოსვლამდე“.
 15. „ნამუსიანი ხალხი“, პიესა.
 16. „ძუძუს მგომობელი“, ხალხური პიესა, 1 მოქ.
 17. „გამარჯვება გამბედაობაშია“, პიესა, 2 სურ., 1921 წ.
 18. „მზეთა მზე“, პოემა, 1926 წ.
 19. „მშენიერი“, პოემა, 1928 წ.
 20. „ლადო აღნიაშვილი“ (მონოგრაფია), 1929 წ.
 21. „ციბრუტა“, მოთხრობა, 1940 წ.
 22. „ნითელი დროშა“, 1897–1907 წ.
 23. „ჩემი სჯული სიყვარულია“, 1926 წ.
 24. „რკინის კარი“, 1937 წ.
 25. „ცხონებისათვის“, 1940 წ.
 26. „ზარმაცი“, პიესა და სხვა მრავალი.
- ყველა ზემოდაღნიშნულის დამადასტურებელი ცნობები და საბუთები
 იხ. არქივში.

1945 წ.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დომენტი ოყრეშიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1952 წლის 28 მარტს ოყრეშიძე დომენტი თომას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	დომენტი თომაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1876 თვე აგვისტოს დღე 7
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ლირიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1896 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ზონის სამასწავლებლო სემინარიის უკანასკნელი კურსის მსმენელი ვიყავი, თავი რომ დავანებე სწავლას
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>პედაგოგიური-სალიტერატურო მოღვაწეობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „საპატიო ნიშნისა“, მედალი „მამაცური შრომისათვის“ წოდება 50 წლის პედაგოგიური მუშაობისათვის</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ქუთაისი – ჯაფარიძის 49</p>

„ 10 “ სექტ. 47 ნ. 195 ნ. სწორია: ნ. კლ., 1956 ნ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პოეტ დომენტი თომაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „მატილი“, დაიბეჭდა „ჯეჯილში“ 1896 წელს.
 2. „სიბრძნე სოლომონის“, „კვალი“ – 1896 წ.
 3. „ცდომილი“, 1899 წ.
 4. „ნაწყვეტები“, „კვალი“, 1899 წ.
 5. „საახალწლო ამონაკვესი“, სატირა, „კვალში“, 1900 წ.
 6. „დე, ძველი ძველს ეტრფოდეს“, „კვალი“, 1900 წ.
 7. „დაკარგული საუნჯე“, „კვალში“, 1900 წ.
 8. „საშობაოდ“, „კვალში“, 1900 წ.
 9. „შავი ცხვარი“, საბავშვო პოემა „ჯეჯილში“, 1900 წ.
 10. „ჩემს სათაყვანოს“, „კვალი“, 1901 წ.
 11. „მოკვდაო, მესმა“, „კვალში“, 1901 წ.
 11. „გული დაკოდა“, „სიმღერა“, „ერთი მრავალთაგანი“, „კვალი“, 91 წ.
 12. „მჭედელი“, „კვალში“, 1903 წ.
 13. „ქართველ დედას“, „კვალში“, 1903 წ.
 14. „მომეცა შვება“, „კვალში“, 1904 წ.
- ამავე წელს დაიბეჭდა „კვალში“: „ქაჯი“, „მამულობია“, „ტახი“, „მოლო-
დინში“ და სხვ.
15. „ასპიტის გოდება“, „ივერიაში“, 1905 წ.
 16. „ხალხური სიმღერა“, „–“.
 17. „აღდგომის ზარი“, „–“.
 18. „გამარჯვება“, „–“.
 19. „ამხანაგებო!“, „–“.
 20. „იუდა“, 1906 წ.
 21. „ამოძახილი“, 1906 წ.
 22. „ეჭვით შეპყრობილს“, „–“.
 23. „ჩვენება საპატიმროში“, 1906 წ.
 24. „ცხრა იანვარი“, „ცნობის ფურცელი“, 1906 წ.
 25. „მეგობრებს“, „ცნობის ფურცელის“ დამატება, 1906 წ.
 26. „კვლავ დაჰქუხა საქართველოზე“, „ცნობის ფურცელის“ დამატება,
1907 წ.
 27. „მტირალა მწერალს“, „დროებაში“, 1909 წ.
 28. „ქუთაისი“, „დროებაში“, 1909 წ.
 29. „გმირთა აჩრდილებს“, „კოლხიდა“, 1910 წ.
 30. „ათი წელი“, „სამშობლოს“ დამატება, 1914 წ.
 31. „ასე ერთხმად“, ჟურნ. „განთიადი“, 1915 წ.
 32. „ულმო კერპისა ნინაშე“, „სამშობლოს“ დამატება, 1916 წ.
 33. „შვილიშვილი მუშა ბოქულაძისა“, „ქართული მწერლობა“, 1928 წ.
 34. „სიმღერა“, „ქართული მწერლობა“, 1929 წ.
 35. „სტალინი“, „სიტყვა და საქმე“, 1935 წ.
 36. „ვაჟას“, „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ.
 37. „ორი შეხვედრა“, „სტალინელი“, 1936 წ.

38. „ესპანელ ქალს“, „-“.
39. „მფრინავთა ათეულებს“, „სტალინელი“, 1936 წ.
40. „ილიას“, „სტალინელი“, 1937 წ.
41. „სამშობლოსადმი“, 1937 წ.
42. „შოთა რუსთაველს“, 1937 წ.
43. „მთელი ხმით“, „ინდუსტრ. ქუთაისი“, 1938 წ.
44. „სამშობლოსადმი“, „ინდუსტრ. ქუთაისი“, 1938 წ.
45. „ალ. ყაზბეგს“, „-“, 1938 წ.
46. „აკაკისადმი“, „-“.
47. „ნიკოლოზ ბარათაშვილს“, „ინდ. ქუთაისი“, „-“.
48. „დავით გურამიშვილი“, 1938 წ.
49. „ცოლის წერილი წითელარმიელისადმი“, „ინდ. ქუთაისი“, 38 წ.
50. „სამშობლოს ვფიცავ გმირულად“, 1942 წ.
51. „ჰკითხეთ“, „ლიტ. საქართველო“, 1942 წ.
52. „ქართველ მემორებს“, გაზ. „სამშობლოსათვის“, 1942 წ.
53. „დაჭრილ მებრძოლებს“, გაზ. „გამარჯვება“, 1943 წ.
54. „გუჯარეთი“, „მნათობში“, 1943 წ.
55. „მინანერი“, „-“, 1944 წ.
56. „ოკრიბა“, პოემა, „საბჭოთა მწერალი“.
57. „დიდ სტალინს“, „ლიტ. გაზეთი“, 1946 წ.
58. „ქართლი“, „ლიტერ. ქუთაისი“, 1947 წ.
59. „ხვამლი“, „-“, 1948 წ.
60. „ღამე აფხაზეთში“, „ინდუსტრ. ქუთაისი“, 1948 წ.
61. „ახალი ლექსები“ (4 ლექსი), „ინდ. ქუთაისი“, 1950 წ.
62. „ქართული ენა“, „ინ. ქუთაისი“, 1951 წ.

1951 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კოტე მაყაშვილი

პირადი ბარათი	
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1929 წლის 29 აგვისტოს მაყაშვილი კონსტანტინე ზაქარეას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	კოტე მაყაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1876 თვე ნოემბრის დღე 26
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. იყალთოში (თელავის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	თავადი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ლირიკა, სატირა
8. რა ენაზე წერს	ქართულად, რუსულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	9 წლისა ვიყავი, როცა პირველი ლექსი დავწერე
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ. (დღიდან კავშირის დაარსებისა 1917 წ.)
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერალთა კორპორაცია
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, პეტერბურგის იური-დიული ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა, ლიტერატურა (იხ. ანკეტა)</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>არაგვის შესახ. 5</p>

შენიშვნა: მუშაობის შესახებ და ნაწარმოებთა შესახებ ცალკე ცნობები არ აღმოჩნდა. იხ. ანკეტა.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

...ლექსების წერას ვუმატე, თითქმის ყველა ამხანაგს ვუძღვნიდი ლექსს. ამ დროს ქართულ წიგნებს თითქმის არ ვკითხულობდი. ჩემს მასწავლებლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ქართული ესწავლებინათ ჩემთვის. პირიქით, მათ უხაროდათ, რომ მე ყველაზე უკეთესი მცოდნე ვიყავი რუსულისა და ამაცობდნენ კიდეც ამითი სალიტერატურო სალამოებზედ, სადაც წმინდა რუსული კილოთი ვკითხულობდი კრილოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, გონჩაროვის თხზულებებს.

ერთ სალამოზედ ყოფილი მზრუნველი, იანოვსკი, ისეთ აღტაცებაში მოვიყვანე, რომ დამიძახა და შუბლი დამიდალა თავისი ამბორით. აი, ამ გარემოებამ ხელი შემიშალა, აქ მაინც მესწავლა ხეირიანად დედა-ენა. ორი წელიწადი ვიყავი სკოლაში, პირველ შეგირდთა რიცხვში ვითვლებოდი, დიდი წარმატება დაეტყო ჩემს რუსულის ცოდნას.

ამ ხნის განმავლობაში გარდამეცვალა დაი – ბარბარე და დედა. მძიმე, მეტად მძიმე იყო ჩემთვის მათი სიკვდილი.

მეორე კლასის დასრულების შემდეგ, გადავედი მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, მესამე კლასში. ისევ ჩემს ბიძასთან ვიდექი. ამ დროს გარდამეცვალა მესამე და – ანიკო, რომელსაც ვაღმერთებდი.

ძალზე მძიმეა ჩემთვის ამ ამბების აღწერა, მაგრამ მაინც მინდა მოგახსენოთ: როდესაც ჩემი დის ანიკოს სიკვდილიც გავიგე, გულშენუხებულებით ვიყავი. მერე ისეთმა რისხვამ ამიტანა, რომ ფეხიდან წალა გავიძვრე და ხატს ვესროლე ისტერიულის ყვირილით: „რა ჰქენი ეგ, შე უსამართლო, დე-და, და, მუხლ-მოდრეკით ვლოცულობდი იმის განკურნებისათვის და ეს იყო შედეგი ლოცვისა?..“

ამ დის შემდეგ, ამ სოფლად აღარავინ დამრჩა გულშემატკივარი. ძლიერის სიმწვავით ვიგრძენი ობლობა... და ეს გრძნობა სამუდამოდ ჩამრჩა გულში. იგი იქცა ჩემ მეორე „მედ“, ამას ბოლოს ისიც დაერთო, რომ მე ბიძაჩემს არ მოურრიგდი, დავანებე იმას თავი...

აქედან იწყება მწუხარე ფურცელი ჩემი ცხოვრებისა... იწყება უღმობელო ბრძოლა არსებობისათვის.

გაკვეთილებით ძლივს ვირჩენ თავს. ნახევრად მშვიერი დავიარები გიმნაზიაში. ვცხოვრობ სარდაფში, ბნელ კუთხეში, ქალაქელ ბოსიაკებთან ერთად და აი, აქ დამებადა ის დიდი სიძულვილი ნებიერ ბურჟუა-ფეოდალებისადმი, რომელიც წითელ ზოლად არის გატარებული ჩემს ნაწერებში.

ცელქი და მხიარული ბავშვი, დაღვრემილ, გულდახურულ ყრმად ვიქეცი... ბევრჯერ უკიდურეს მდგომარეობამდე მისულს, თავის მოკვლაც კი განმიზრახავს, მაგრამ სისრულეში არ მომიყვანია. ალბათ იმიტომ, რომ რაც უნდა იყოს, სული ტკბილიაო, ნათქვამია. ამ გაჭირვების დროს დიდ ზნეობრივ დახმარებას მიწვედა ჩემი საუკეთესო მეგობარი გიორგი (ჟორჟ) ნათიშვილის ოჯახი და ჩემი მეოთხე და – თამარ თარხნიშვილისა, საყმანვილო მოთხრობათა მწერალი.

მე სწავლა არ მიძნელდებოდა. გიმნაზიაშიც რუსულის საუკეთესო მცოდნეთ ვითვლებოდი. ვწერდი ლექსებს და პოემებს. ქართული ისევ ისე არ ვიცოდი და თუ ვიცოდი რამე, ისიც ისე, რომ არ ცოდნა უკეთესი იქნებოდა.

1895 წ. დავამთავრე გიმნაზია და გავემგზავრე პეტერბურგს. დიდის დავიდარაბის შემდეგ, დამინიშნეს სტიპენდია 20 მან. თვეში. უნივერსიტეტში ავირჩიე იურიდიული ფაკულტეტი. და აი, იქ, შორეულ პეტერბურგში, შევუდექი ქართული ენის შესწავლას... დავინწყე კითხვა „დაბადებისა“, „სახარებისა“. წავიკითხე აგრეთვე „ვისრამიანი“ და სხვა. ვენაფებოდი ბარათაშვილის, ილიას და აკაკის ლექსებს. ბევრი დრო და ენერგია მოვანდომე ამას...

იურიდიული ფაკულტეტი რომ დავამთავრე, შევედი აღმოსავლეთის ფაკულტეტზე, რათა უკეთ შემესწავლა ქართული და ქართულთან ერთად სპარსული და არაბული... მაგრამ მომისწრო სტუდენტთა არეულობამ... მე მივიღე მონაწილეობა ამ არეულობაში და ამისათვის დამითხოვეს უნივერსიტეტიდან.

სამშობლოში დაბრუნებისას შევირთე ასული გამოჩენილი ქართველი მწერლისა, ეკატერინე გაბაშვილის ქალი – თამარი და შევედი ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელ-აღმზრდელად. აქ თავისუფალ დროს სამშობლო ლიტერატურის შესწავლას ვანდომებდი.

1903 წელს არჩეული ვიქენი დამფასებლად სათავადაზნაურო ბანკში და 1915 წელს კი – ამავე ბანკის დირექტორად.

1917 წელს დაარსდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. ამირჩიეს ამ კავშირის თავმჯდომარედ და ვიყავი 1925 წლის თებერვლამდე.

1918 წელს ჩემ თავმჯდომარეობით დაარსდა ხელოვანთა ცენტრი.

1921 წელს არჩეული ვიქენ ხელოვანთა კულტურულ კომიტეტის და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ. მას შემდეგ გულმხურვალე მონაწილეობას ვიღებდი თითქმის ჩვენ ყველა საზოგადო საქმიანობაში. უშუალო დამაარსებელთაგანი ვარ სამშობლო ლიტერატურის, სათავად-აზნაურო დაწესებულებებთან ფონდის დაარსებისა, რომელიც დახმარებას უწევდა მიმართულებათა განურჩევლად, ყველა იმ ხელმოკლე, ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომელთაც აღმოაჩნდათ ნიჭი მეცნიერებისა, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მუსიკის დარგში და რომელთაც ესაჭიროებათ განათლების მიღება-დამთავრება.

გარდა ლირიკულ ნაწარმოებებისა, დაწერილი მაქვს აგრეთვე სატირიკული თხზულებანი.

ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ვიყავი და გამგეობის წევრი სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების და ფილარმონიული საზოგადოებისა, საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოების, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრი და სხვ.

დაწერილი მაქვს სამი დიდი სატირული თხზულება, „სამშობლოს ტირილი“, „ბურჯანი“ (ბიბლიოთეკის დაარსება) და „ემმაკი საქართველოში“.

გარდა ამისა, ბევრი ლირიკული ლექსების ავტორი ვარ. გამოცემულია ცალკე წიგნებად: ჩემი ლირიკა, I – 1914 წ., სატირა „ემმაკი საქართველოში“ – 1926 წ. მზადდება გამოსაცემად ლირიკა II-რე და მეორე წიგნი სატირისა.

დატა არ არის აღნიშნული.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კატო – ეკატერინე მიქელაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1942 წელს 31 დეკემბერს მიქელაძე ეკატერინე დავითის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	კატო მიქელაძე
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1877 თვე ნოემბრის დღე 1
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. კულაში (სამტრედიის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	თავადიშვილი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე, პენსიონერი
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1900 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული, ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>რვა წელიწადი საფრანგეთში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ვიყავი ქალაქის ხმოსანი და მრავალი სხვა საზოგადოების წევრი.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ორბელიანის 5</p>

„14“ ივნისი 1937 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი.

ეკატერინე – კატო დავითის ასული მიქელაძის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1977 წელს, 1 ნოემბერს ს. კულაშში, სამტრედიის რაიონში. მამაჩემი იყო ჩვეულებრივი უდარდელი თავადიშვილი, რომელიც შვილების მომავალზე ცოტას ფიქრობდა და თავის მამაბაბუელ მამულს ფლანგავდა. დედა მე არ მახსოვს და დედის მაგიერობას მინევდა ბარბარე გაბუნიას ქალი, რომელიც იყო ჩემი ნათლია. სამი წლიდან ვიზრდებოდი მასთან, იმ დროს დაბა სუფუნაში. მანვე მიმცა სასწავლებლად ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. როდესაც ის გარდაიცვალა, მე იძულებული ვიყავი, გამოვსულიყავ გიმნაზიიდან, დედულ-მამული მე არ მახსოვს და მე-4 კლასიდან გამოსული ვცხოვრობდი სოფ. კულაშში მამაჩემის ბიძაშვილთან, ანტონ კონსტანტინეს-ძე მიქელაძის ოჯახში. მას შვილი არ ჰყავდა, მამული საკმარისად მოეპოვებოდა და ამავე დროს ლებულობდა პოლკოვნიკის პენსიას. ჩემი ცხოვრება მასთან სრულიად უზრუნველყოფილი იყო. ახლო მემკვიდრე, გარდა დისწულებისა, მას არავინ ჰყავდა და თავის მემკვიდრედ მე მიგულებოდა.

მე კი არც მიმდინარე მცონარე ცხოვრება მაკმაყოფილებდა და არც მემკვიდრეობა მაინტერესებდა. მინდოდა სწავლა და ამ გზით დამოუკიდებელი ცხოვრება, საამისოდ კი ხელს არაფერი მინცობდა.

ბოლოს, რადგან წლოვანება ნებას არ მაძლევდა სხვა სასწავლებელში შესვლისა, 1899 წელს შევედი ქ. თბილისში სამეანო კურსებზე, რომელიც დავაამთავრე 1901 წელს. და ამავე წელს დავინიშნე ბებიაქალად სამხრეთ-ოსეთში, იმ დროს დაბა ცხინვალში, სადაც ვმსახურობდი 1903 წლის სექტემბრამდე.

1900 წელს სამწერლო ასპარეზზე უკვე გამოსული ვიყავი. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ „კვალში“ უმთავრესად და არალეგალურად გაზეთ „ბრძოლაში“, რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი რევოლუციონერი მოღვაწე ლადო კეცხოველი.

დაბა ცხინვალში და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში არ აღმოჩნდება ისეთი გლეხი, რომელმაც სთქვას, რომ მე მისგან ფული ამეღოს სამეანო დახმარებისათვის. ჩემი მომარაგებული წამლებით უწევდი უფასო დახმარებას იქაურ გლეხთა ოჯახს, რისთვისაც ადგილობრივი ფერშლებიდან და ექიმებიდან საყვედურს ვღებულობდი. ამავე დროს ვენეოდი კულტურულ და რევოლუციონურ არა-ლეგალურ მუშაობას. ვკითხულობდი სოფლად ლექციებს, თუ როგორ მოეგლოთ თავისათვის ქალებს მშობიარობის დროს. ვმართავდი წარმოდგენებს უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოდ, გადამწვარ ებრაელთა ოჯახების, რომლებიც ცეცხლმა 1902 წელს გაანადგურა, ვანყობდი სცენის მოყვარეთა დასს, თეატრს და ბიბლიოთეკას. ვღებულობდი სამუშაოდ ჩამოსულ რევოლუციონერ ამხანაგებს და მათი დავალებით ვავრცელებდი არა-ლეგალურ ლიტერატურას. 1903 წელს წავედი მოსკოვში სასწავლებლად თავისუფალ, უმაღლეს პედაგოგიურ კურსებზე. და ამავე დროს ვემზადებოდი სიმწიფის ატესტატზე. ვირიცხებოდი „კავკასიის დრუჟინის“ წევრად და ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას 1905-1906 წლის მოსკოვის რევოლუ-

ციონურ მოძრაობაში. 1906 წელს, რეაქციის გაბატონების შემდეგ, იძულებული ვიყავ, გავსულიყავ საზღვარგარეთ, ვინაიდან აუცილებელი დატუსალება მომელოდა. ჩემი ასეთი მდგომარეობა გათვალისწინებული ჰქონდა, იმ დროს ქ. მოსკოვში მცხოვრებ, განსვენებულ სოფიო ვასილის ასულ ამირაჯიბს, პირველ მთარგმნელს ქართველ პოეტებისას, დედას კონსტანტინე მიხეილის-ძე პროფ. ამირაჯიბისას. მისი რჩევით და დახმარებით, 1906 წ. 6 მარტს მე გავედი მოსკოვიდან შვეიცარიაში.

არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, თანაუფერძნობდი მემარცხენე ს.-რ. და ბოლშევიკურ პარტიას.

შელახული ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად პირველ ხანებში ვცხოვრობდი კლარანში, შემდეგ ლოზანაში და ბოლოს ჟენევაში, სადაც ვიყავი 1907 წლის დეკემბრის დამლევამდე. სოფიო ამირაჯები თვითურად მიგზავნიდა 50 მანეთს. ჟენევაში ყოფნის დროს მივიღე მოსკოვიდან დეპეშა, რომელშიაც მაუწყებდნენ მის გარდაცვალებას. დავრჩი უმწეოდ უცხო მიწასა და ცის ქვეშ.

იმ დროს ქალ. ჟენევაში ცხოვრობდა ცნობილი ქველმომქმედი – პ. ზუბალაშვილი, რომელსაც მივმართე წერილით და ვამცნე ჩემი გასაჭირი. პასუხად ჩემი წერილისა მისგან მივიღე 1500 ფრანკი. ამ თანხით 1907 წელს იანვრის პირველ რიცხვებში წავედი პარიზში, სადაც დავყავი სამი წელი ემიგრაციის დახმარებით. 1910 წელს მე დამენიშნა სტიპენდია თვითურად 100 ფრანკი ცნობილი ფილანტროპი ქალის – ეკატერინე ნიკოლოზის ასული სკარჟინსკაიას მიერ, რომელმაც დავოსში ააშენა „რუსთა სახლი“ ტუბერკულოზით დაავადებულ ხელმოკლე ავადმყოფებისათვის. 1910 წელს, სტიპენდიის მიღების შემდეგ, მე წავედი ბელგიაში და ქალ. ბრიუსელის უნივერსიტეტში შევედი სოციოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დავასრულე ფრიადზე 1914 წელს ივნისში. ომის დაწყების შემდეგ სექტემბერში ჩამოვედი საქართველოში. მეფის რეჟიმის დროს სამსახურში არ ვირიცხებოდი და ვცხოვრობდი კერძო გაკვეთილებით. 1917 წელს თებერვლის რევოლუციის ხანებში დავაარსე ქალ. ქუთაისში ყოველკვირეული ქალთა პირველი გაზეთი, ე. წ. „ხმა ქართველი ქალისა“, რომელსაც ვრედაქტორობდი 1918 წლის სექტემბრამდე. 1919 წელს დავინიშნე მასწავლებლად ქ. გუდაუთის გიმნაზიაში და ვიყავი ამავე დროს გამგე იქაური პირველი ქართული სკოლისა. 1920 წელს ვმასწავლებლობდი ქ. სიღნაღში იქაურ გიმნაზიაში, და 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გადმოვედი ქალ. თბილისში. ვთანამშრომლობდი გაზეთ „კომუნისტში“, სადაც იბეჭდებოდა ჩემი ლექსები, მაგალითად, „1 მაისი“, „ოქტომბრის რევოლუცია“, „ლენინის სიკვდილზე“, „ნინოშვილის 35 წლის სიკვდილის თავზე“, „ჩელუსკინელი“. ყურნ. „დროშაში“ დაიბეჭდა ჩემი პოემა „ორი არწივი“. ვმუშაობდი ამავე დროს საქართველოს რევოლუციონურ მუზეუმში მეცნიერ დარგის მუშაკის თანამდებობაზე და საქართველოს ცენტრალურ არქივში ამავე თანამდებობაზე. 1932 წელს გამოვედი სამსახურიდან ავადმყოფობის გამო და დამენიშნა პერსონალური პენსია – 150 მან. და თანდათან ნარმატებით დღეს ყოველთვიურად ვღებულობ ორასორმოცდაათ მანეთს. ეს არის ჩემი

სარჩო-საბადებელი. სხვა შემოსავლის წყარო მე არ გამაჩნია რა. 1938 წელს და მიმდინარე წელს ავადმყოფობის დროს ლიტფონდმა, მოსაშვილის ხელმძღვანელობის დროს, დახმარება მომცა 800 მანეთის რაოდენობით.

დაუბეჭდავი ნაწარმოებებიდან მაქვს შემდეგი: 1) „კრიტიკული მიმოხილვა“. 2) „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სადაურობა და შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“. 3) „კ. ქიქინაძის მიდგომა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი“.

ამჟამად ვმუშაობ „ესტეტიკური თეორიის ევოლუციის საკითხებზე“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჩემი თავგადასავალი

ჩემი მეტრიკული მოწმობის მიხედვით, მე დავიბადე 1877 წელს სოფ. კულაში (ქუთაისის მაზრა). მამა ჩემი დავით მიქელაძე იყო ჩვეულებრივი ქართველი თავადთაგანი, რომელიც შვილების მომავალზე თავს არ იცხელებდა და ენოდა ფუქსავატ, უდარდელ ცხოვრებას, რომელმაც მიიყვანა ის სრულ სილატაკემდე. რაც თავი მახსოვს, მე არ მაგონდება მშობლიური კერა და ორი წლიდან, რაც დედა მომიკვდა, ვიზრდებოდი ნათლიას ოჯახში, იმ დროს დაბა სუჯუნაში. ნათლია ჩემი იყო ჩვენი ოჯახის გამდლის შვილი-შვილი გაბუნისა ქალი, კუხალაიშვილის ცოლი, რომელმაც თავს იდვა ჩემი პატრონობა. 8 წლიდან მანვე მიმცა ქ. ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში. ამ უკანასკნელი ქირისუფლის სიკვდილის შემდეგ მე იძულებული ვიყავი დამეტოვებინა სასწავლებელი, საიდანაც გამოვედი მე-4-ე კლასიდან და ვცხოვრობდი ნათესავებში. სწავლასა და დამოუკიდებელ ცხოვრებას მოწყურებული, მე ვცდილობდი, როგორმე თავი დამეხნია მცონარე ცხოვრებას და იმავე ნათესავების დახმარებით 1897 წელს მე შევედი ტფილისის საბეზიო ინსტიტუტში. სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1898 წ. აქურნ. „კვალში“. საბეზიო ინსტიტუტი დავასრულე 1900 წ. და მივიღე ხარისხი „ქალაქის ბებია ქალისა“ („Городской акушерки“). იმავე წელს დავინიშნე სამსახურში, იმ დროს დ. ცხინვალში (გორის მაზრა), სადაც სრულიად უსასყიდლოდ და ხშირად ჩემი საკუთარი ფულით ნასყიდი წამლებით უვლიდი და შველოდი იქაურ ღარიბსა და სიბნელეში მყოფ მშრომელ ქალებს. ვარდგენ რა ამასთანავე ამონაწერს აქურნ. „რევოლიუციის მატთანედან“, მე მთელი ჩემი ახალგაზრდული ძალ-ღონით 1903 წლამდე ვენეოდი დ. ცხინვალში კულტურულ და რევოლიუციონურ მოღვაწეობას: 1) ვარიგებდი დანიშნულებისამებრ არალეგალურ ლიტერატურას, რომელიც მეგზავნებოდა ქ. გორის მესამე დასელების ორგანიზაციიდან; 2) ვაწყობდი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს; 3) ვაარსებდი სცენის მოყვარეთა ჯგუფსა და ვმართავდი წარმოდგენებს; 4) ჩემთან თავს აფარებდნენ საიდუმლოთ ჩამოსული რევოლუციონერ-პროპაგანდისტები, რომლის დამონშება შეუძლია ამხ. გ. ელისაბედაშვილს და გ. გაგ-

ლოევს; 5) ვმოგზაურობდი სოფლებში, სადაც თავს უყრიდი გლეხის ქალებს და ვუკითხავდი მათ ჰიგიენის შესახებ ლექციებს, თუ როგორ მოევლოთ თავიანთ თავისათვის ფეხმძიმეობისა და ლოგინობის დროს და აგრეთვე ჩვილთათვის. ვთანამშრომლობდი არალეგალურ ჟურნ. „ბრძოლაში“, რომელიც გამოდიოდა ლადო კეცხოველის რედაქტორობის დროს, ვუგზავნიდი ლადოს ლექსებს იროდიონ ევდოშვილის ხელით, რომელიც იბეჭდებოდა „X“ პსევდონიმით. ამის დამონშევა შეუძლია ამხ. რაჟდენ კალაძეს. 1903 წ. მარიამ დემურიასა და ნატალია გაბუნია-ცაგარელის დახმარებით (უკანასკნელმა გამართა წარმოდგენა ქ. თელავში – მე და მუსიკოსი ილია აბაშიძის სასარგებლოთ) გავემგზავრე მოსკოვში აღნიშნული წლის სექტემბერში, სადაც იმ დროს იქ, დაარსებული იყო თავისუფალი პედაგოგიური კურსები. იმ დროინდელ მონინავე მეცნიერ პროფესორების მიერ, რომლებმაც დასტოვეს რეაქციონერი გირაფეს „ქალთა უმაღლესი კურსები“ და დაარსეს ახალი სახის „პედაგოგიური კურსები“. აღნიშნულ კურსებზე მე მიღებული ვიყავი, როგორც ნამდვილი მსმენელი (კურსისტკა) და არა ისე, როგორც თავისუფალი მსმენელი (вольнoслушательница), სადაც ყოველ წლიურად ვაბარებდი გამოცდებს და ამავე დროს ვემზადებოდი სიმნიფის ატესტატზე.

1905 წ. გამოსვლებში ქ. მოსკოვში მე ვღებულობდი მონაწილეობას, როგორც ქუჩაში ბრძოლის დროს, ისე იარაღის გადატან-გადმოტანით და კონსპირატიულ ცნობების მიცემით წინასწარ აღნიშნულ პაროლის მიხედვით. 1906 წ., დუბასოვის რეაქციის დროს, მე იძულებული გავხდი, დამეტოვებინა რუსეთის ტერიტორია და გავსულიყავ საზღვარ-გარეთ. პროფ. ალ. ხახანაშვილის მეცადინეობით და სოფიო ამირაჯიბის (დედა პროფ. კონსტანტინე ამირაჯიბისა) დახმარებით ამავე წლის მარტის პირველ რიცხვებში მე მოსკოვიდან წავედი შვეიცარიაში, სადაც დავყავი ათი თვე. სოფიო ამირაჯიბის გარდაცვალების შემდეგ დროებით დახმარებას მინევდა, იმ დროს ჟენევაში მცხოვრები, პ. ზუბალაშვილი, რომელმაც გამომიგზავნა 1500 ფრანკი.

1907 წ. იანვარში მე ჟენევიდან წავედი პარიზში. იმ დროინდელ ცნობილ რუს-ემიგრანტთა დახმარებით მე შევძელი ხანგრძლივად დარჩენა ევროპაში. მათვე მიმოვინეს მე სტიპენდია, რომლითაც საშუალება მომეცა, გავსულიყავ ბელგიაში და დამესრულებინა ქ. ბრიუსელის უნივერსიტეტში სოციალური მეცნიერების ფაკულტეტი.

1914 წელს ომის დაწყების შემდეგ, მე ჩამოველი საქართველოში. მეფის რეჟიმის დროს მე სამსახურში არ ვიყავი და ვცხოვრობდი ქ. ქუთაისში კერძო გაკვეთილებით. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის პირველ ხანებში მე ჩაუდექი სათავეში ქალთა სწორუფლებიანობის საქმეს. ამავე წლის მარტის ბოლო რიცხვებში დავაარსე ქ. ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ სახელწოდებით და „ინტერპარტიული ქალთა ლიგა“. იმ დროს ჯერ კიდევ რუსეთშია არ იყო გადაჭრილი ქალთა უფლებრივი საკითხი და საქართველოში კი მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატისტების მომართვა გამგეობის დროს. ამ საკითხის სამართლიანათ და სწორად გადაწყვეტა დიდს ეჭვს ბადებდა ყოველ შეგნებული და ამ საკითხზე დაინტერესებულ ადამიანის გულში. სრულიად გადაუჭარბებლად შემიძლია ვსთქვა, რომ ამ საქმეში მე ჩავატარე დიდი

ენერგიული მუშაობა და შევძელი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ქალთა სიბნელეში სინათლის შეტანა და მათი ახმაურება. თუ რა ძალ-ღონის დახარჯვა იქნებოდა საჭირო ერთად-ერთი პიროვნებისათვის, რომელიც უძღვებოდა ყოველ კვირეულ გაზეთს და ქალთა ორგანიზაციას ერთად, ეს ადვილი წარმოსადგენია. ყოველ საკუთარ საშუალებას მოკლებულმა, უფულოთ, უნივთოთ ათასნაირი ხელის შეშლის დროს მე, ჩემი პირადი უნარიანობით, შევძელი 1917 წ. მარტიდან 1918 წ. ივლისამდე ორთავე ორგანიზაციის შეურცხვენლად წარმოება. მე გადავლახე ყოველგვარი დაბრკოლებანი, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება არ აინეწ-დაინეწებოდა ბათუმის მონყვევით, ფოსტის აღრევით და ქალაქის კრიზისს გამო. ამ მძიმე საქმის გაძღოლას ვახერხებდი ქალთა მასების დახმარებით, რომელთაგან რედაქციას ყოველ დღიურად ეგზავნებოდა ფულადი შემონირულობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და მათ შორის თვით აფხაზეთიდან და აჭარისტანიდანაც. ამასთან ერთად ახალგაზრდა ქალებში ვამზადებდი პროპაგანდისტებს და ვგზავნიდი მათ დაბა-სოფლებში აგიტაციის გასანევად. შემდეგ ვმოგზაურობდი თვით მე ამავე დაბა-სოფლებში, ვმართავდი კრებებს, უხსნიდი ქალებს ეპოქის მნიშვნელობას, უსურათებდი მათ თავიანთ უპიროვნო, უფლებო ცხოვრებას და ვანყობდი ქალთა წრეებს. ასეთი წრეები დავაარსე: ზესტაფონში, ბელაგორში, სამტრედიაში, აბაშაში, სუჯუნაში და სხვ. ამავე დროს მე ვებრძოდი, იმ ეროტომანულ მიმდინარეობას, რომელიც ომისა და რევოლიუციის დროს აგრეჭარბათ შემოიჭრა ქართულ მწერლობაში, დაწყებული „ცისფერი ყანებიდან“ დასრულებული „ჯაყოს ხიზნებით“, „დიონისის ღიმილით“ და „გველის პერანგით“, სადაც ქალის პიროვნება ისეთ ნაირად დასურათხატებულია, რომ აღნიშნულ ნაწარმოებთა ავტორებს თუ დაუჯერებთ, ვერავითარი სწორ-უფლიანობა ვერ შესძლებს ქალის აქტიურ მოქალაქედ გარდაქმნას. აღნიშნულ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან შეტაკებამ მე მრავალი მტერი შემძინა და მრავალი ზიანი მომაყენა. ჩემი კრიტიკით შეურაცყოფილნი ავტორები, განსაკუთრებით „ცისფერი ყანების“ ორდენიდან, სცდილობდნენ მთელი ჩემი მოღვაწეობის გაბათილებას და ამ მიზნით ნათლავდნენ და დღესაც ნათლავენ მას ყმად-აღებული სიტყვა „სუფრაჟიზმით“. ნამდვილათ კი, ვინც უკანასკნელსა და მე და ჩემს მოღვაწეობას იცნობს ქალთა საკითხში, მისთვის ნათელია, რომ ჩემს და სუფრაჟისტ ქალთა შორის არსებობს დიდი იდეური განსხვავება. მე მაინტერესებს ქალთა პიროვნული და უფლებრივი აღდგენა, მათი საზოგადოებრივი აქტივობა სოციალისტური მშენებლობისათვის და ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობისათვის, რომელშიაც ქალი გადაქცეულია უპიროვნო ნივთად. სუფრაჟისტ ქალებს კი ქალთა პიროვნული და უფლებრივი სწორ-უფლიანობა აინტერესებთ ბურჟუაზიულ წესწყობილების დაცვა-გამაგრებისათვის და სოციალისტური რევოლიუციიდან თავის მოგერებისათვის. სუფრაჟისტი ქალები იცავენ როგორც ქალთა სწორ-უფლიანობას, ისე თავიანთ კლასობრივ ინტერესებსაც. ისენი დარწმუნებული არიან: საკმარისია, ქალს მიენიჭოს პასიური და აქტიური ხმის უფლება, რომ ის გახდეს თანასწორ უფლებიანი მამაკაცთან. კერძო საკუთრება, ობიექტიური, მათი აზრით, ძლიერება ხელს არ შეუშლის სუბიექტიურ, პიროვნულ თანასწორობას არც კლასთა და არც

სქესთა შორის. ვინაც ამ განსხვავებას ჩემსა მათ შორის ვერ ხედავს, ის ან უვიცია, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს სუფრაჟისტულ მოძრაობაზე, ან დაინტერესებულია, როგორც ჩემი მოღვაწეობის გაბითურებით, ისე მითაც, რომ ქალები დარჩენ შინაურ ტიკინებათ და სოციალ-პოლიტიკურ საკითხები-სათვის სრულიად მოუმზადებლათ და გამოუსადეგრათ.

1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მე ვიყავ მასწავლებლად ქ. სიღნაღის გიმნაზიაში. არავითარი პასუხსაგები ადგილი არ მჭერია მენშევიკების მთავრობის ხანაში. 1921 წ. მაისის დამლევს მე ჩამოვედი ქ. ტფილისში და დავინწყე თანამშრომლობა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. ამის დამონმება შეუძლია იმ დროს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს – ამხ. რაჟდენ კალაძეს. ვირიცხებოდი კანტორის გამგეთ და მთარგმნელათაც. ამ დღიდან დღემდე ვენევი სამსახურს სხვა და სხვა თანამდებობებზე. 1923 წ. განათლების კომისარიატის მიერ მე დამენიშნა პენსია, როგორც საზოგადო მოღვაწეს. 1925 წ. ეს პენსია მომიპყეს, ვფიქრობ, ზემო-აღნიშნულ ეროტომანულ მწერალთა სამართლიანი ატესტაციისა გამო, სახელდობრ, მოქ. გრ. რობაქიძისა, რომელიც 20 წელიწადია საქართველოში ქადაგობს, რომ „ქალში არ არის მეობა“, რომ ქალი არის მხოლოდ და მხოლოდ პასიური მატერია, ლამაზი ქანდაკება, რომლის ბუნებრივი დანიშნულება არის და იყო დედა, ანუ გეტერა და სხვა არაფერი. საზოგადო მოღვაწეობა, რევოლიუციონური თავგანწირულება, აქტიური მოქალაქეობრივობა და სხვ. არის სრულიად შეუფერებელი ქალისათვის, რომლებიც მოქ. რობაქიძის აზრით, ამახინჯებს ქალის ბუნებას და ამ სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლა სავალდებულოა ყოველი „ესთეტისათვის“, ყოველი „ხელოვანისათვის“. ასეთი შეხედულობის კაცი, ცხადია, სიმახინჯის მეტს ვერას დაინახავს ვერც ქალთა სწორ-უფლებიან ცხოვრებაში და ვერც ჩემ მოღვაწეობაში. ამ ჟამად ვმსახურობ საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამართველოში, სადაც თვიურად ვღებულობ ას (100) მანეთს.

ნატალია აზიანი – დონდაროვა

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1943 წლის 1 თებერვალს დონდაროვა ნატალია მიხეილის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ნატალია აზიანი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1878 თვე იანვრის დღე 4
	(ძველი თუ ახალი სტილი) გორში (თბილისის გუბერნია)
4. ეროვნება	სომეხი-გრიგორიანი
5. სოციალური წარმოშობა	წვრილი ბურჟუა
6. სოციალური მდგომარეობა	ინტელიგენტი
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგია, პოეზია, პროზა, ფელეტონი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1897 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული და ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედროვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>–</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გრიბოედოვის 25</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

ნატალია მიხეილის ასული აზიანი – დონდაროვას ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. გორში იანვრის 4-ს 1878 წ. წვრილბურჟუაზიულ სომხის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი დავამთავრე თბილისში.

ლიტერატურულ-დრამატიულ სარბიელზე გამოვედი 1897 წელს პიესით „ინჟენერი ან დოხტური“, რომელიც დაიდგა თბილისის ქართული თეატრის სცენაზე. ამ პიესებს მოჰყვა სხვა ჩემი პიესებიც და კომედიები: „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ვაი კალმისაგან“ და სხვა მრავალი.

საბჭოთა წყობილების დროს დავწერე პიესა „დეზერტირკა“. ჩემი ყველა პიესები დიდის წარმატებით მიდიოდა ჩვენს ქართულ თეატრებში და ინვევ-და მაცურებლებში სიამოვნებას. პიესების გარდა მე ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს. ძალიან ბევრი მაქვს დაწერილი ისტორიული ფელეტონები.

ცარიზმის დროს აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას ბოლშევიკურ პრესაში, რომელიც გამოდიოდა არალეგალურად. აგრეთვე ვმონაწილეობ უფრო „მნათობი“ და „დროშა“-ში.

ჩემი ნაწარმოებები: 1. „ინჟენერი ან დოხტური“, 1897 წ. ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“. 2. „ფული და ხარისხი“, 1901 წ. „ცნობის ფურცელში“, „კვალში“. 3. „გაცრუებული იმედები“, პიესები. 4. „ვაი კალმისაგან“. 5. „ხან ასე და ხან ისე“. 6. „დეზერტირკა“ და სხვა მრავალი – ლექსი, მოთხრობა, ფელეტონი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჩემი თავგადასავალი

(ავტობიოგრაფია)

|

დავიბადე 1878 წ. 4 იანვარს, ქართლის პატარა ქალაქ გორში, კარგა შეძლებულ ოჯახში. ჩემი მშობლები – ტომით სომხები, ისე როგორც დანარჩენი გორელი სომხობა, მთლათ გაქართველებულნი იყვნენ, თავისი ენა აღარცკი იცოდნენ და სუ ქართულათ ლაპარაკობდნენ. ასე რომ, ჩემთვის მშობლიური ენა იყო ქართული, რომელიც ირგვლივ აკვნიდანვე მესმოდა. შინა მოსამსახურენიც: ბავშვის ყურის მგდებელნი, ძიძები და სხვა, ან ქართველები ან ოსები იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან და ამათგან არა ერთი კარგი ზღაპარი გამიგონია ბავშვობიდან. ეხლაც თვალ წინ მიდგია აგუზგუზებული ბუხარი ჩვენ სასადილოში, სადაც სალამ-სალამოებით, როცა ჩვენი მშობლები სადმე სტუმრათ ან კლუბში წავიდოდნენ გასართობათ, ვიყრებოდი ბავშვები და ჩვენი ყურისმგდებელნი და თავს ვიქცევდით ზღაპრებით, შაირებით, გამოცანებით, თან ჩურჩხელასა და ნაბლსა ვხუხავდით. ბავშვობიდანვე ისე მიყვარდა სხვა და სხვა ნაამბობი, რომ როცა ჩემი მშობლები შინა მოსამსახურე სოფლელ დედაკაცს იჭერდნენ, უწინ იმას ვკითხავდი ამ დედაკაცს: ბლომთ იცის ზღაპრები თუ არა?

საშინელი ნერვიული, მოუსვენარი და აბეზარი ვიყავ პატარაობიდანვე და ამიტომაც ჩემი მშობლები თავიდან მიშორებდნენ და ყოველ ზაფხულს სოფელ „ხოვლე“-ში მგზავნიდნენ ჩემ დეიდებთან, რომელნიც ხოვლელ ქართველ თავად ჯავახიშვილებს ჰყავდათ მეუღლეთ. აქაც მთელ სოფელს ვიკლებდი: ჯობებზე შევსავადი გოგო-ბიჭებს, მეც სარზე შევჯდებოდი მეთაურათ და საშინელი თქარა-თქურით და ღრიანცელით ხან ვის ბაკ-ვენახს შევსევოდით, ხან ვისას... ვაოხრებდით ახლათ შემოსულ სიმინდის ტაროებს და ხილ-ყურძენს. „გიჟ-ნატამას“ მეძახდნენ.

II

თუმცა ჩემ მშობლებს თითქმის არაფერი სწავლა არ მიუღიათ და გაჭირების დროს მხოლოდ დანტვრეულ რუსულს ახერხებდნენ, მაგრამ შვილების განათლებისთვის არავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ, მეტადრე ვაჟებისთვის, რომელთაც უნივერსიტეტიც დაამთავრებინეს.

მე კი, ჩემი დაუდეგარი ხასიათის გამო, ოფიციალურათ სამ კლასს არ გადავცილებივარ ამიტომ, რომ საცა კი მიმაბარეს ჩემმა მშობლებმა, ყველგან პანდური მკრეს. დანყებული გორის კერძო პანსიონებიდან და პროგიმნაზიიდან და გათავებული თბილისის „ნმინდა ნინოს“ სახელობის სასწავლებლიდან ჩემ სიანცესა და შეუპოვრობას სჩიოდნენ მასწავლებლები, თანაც დასძენდნენ: „А жаль, хотя отчаянная, но очень способная!“

სამ კლასამდინ მუყაითათ ვსწავლობდი, შემდეგ კი სწავლაზედაც გუფლი ავიცრუე და, გაკვეთილების მაგივრათ, გატაცებით ვკითხულობდი სხვა და სხვა მოთხრობა-რომანებს, რომელთა ალაგები ბევრჯერ არცკი მესმოდა. ესე, მაგალითათ, ცამეტი წლისა ვიყავ, როცა ლევ ტოლსტოის „Крейцера соната“ ნავიკითხე და მასწავლებელ-ქალს ვკითხე გულუბრყვილოთ: Что такое „дом терпимости?“ ატყდა საშინელი ალიაქოთი... ისე ბეცნი იყვნენ, რომ ეს შეკითხვა გარყვნილობაში ჩამომართვეს და იმასაც კი ვერ მიხვდენ: მე რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა მცოდნოდა, ხომ არც შევეკითხებოდი და ჩემ თავს მევე არ გავცემდი. საზოგადოთ, ზოგიერთი მაშინდელი მასწავლებელი ძალიან თხა-მგლათ იყვნენ ბავშვის ფსიხოლოგიასთან და მის ინდივიდუალურ თვისებებს არაფრათ აგდებდნენ. თვით სისტემა სწავლისა ჭირივით მეჯავრებოდა: დაზეპირება გაკვეთილისა „აქედან-აქნამდე“, ხოროთი თქმა ისტორიისა, გეოგრაფიისა, „ზაკონ-ბოჟიისა“, ხელად, უბორძიკოთ, უნდა გეპასუხნათ. მასწავლებლის შეკითხვაზე: ესა და ეს მეფე – (შინაური თუ გარეული) – რა დროს დაიბადა, როდის ავიდა ტახტზე, რა წელს გარდაიცვალა...

მეტადრე ცუდათა ვგრძნობდი ჩემ თავს თბილისის „ნმინდა ნინოს“ სახელობის პანსიონში, რომელიც პირდაპირ სატუსალოთ მიმაჩნდა! ქართულ ენაზე ხმას არ ამოგვალეზინებდნენ: უნდა გველაპარაკნა ან რუსულათ ან ფრანგულათ. როცა იქიდან გამომაბრახუნეს – („ნაჩაღნიცა“ – ტატიშჩევას ზევითა სართულიდან ვაშლი ვთხლიშე თავში, რადგან ხშირათ მსჯიდა!) – ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ისევ სახლში ვბრუნდებოდი ჩემ მშობლებთან, ჩემ საყვარელ გორში! იმას კი აღარ დაგიდევდი, რომ ჩემი დედ-მამა თავს იკლავდნენ: „სადლა ნავიყვანოთ ეს შეჩვენებული, უსწავლელი დაგვირჩებაო!“

III

არც გორის პროგიმნაზიაში ვიქცევოდი მართებულათ: ჩვენ დირექტორ სტრელეცკის ქრონიკული ნერვიული თავის ცანცარი ჰქონდა. გამოჩნდებოდა თუ არა კლასში, მეც თავს აქეთ-იქით ვიქნევდი, რაზედაც არა ერთხელ დამსაჯეს შკოლაშიაც და შინაც.

ერთხელ, გაკვეთილზე, ორ ჩემ წინ მჯდომ მოწაფეს თმები ჩაუნან ერთმანეთში. მასწავლებელმა ერთ-ერთი მათგანი გამოიწვია დაფასთან. მოწაფე ადგა და ნაწნავით ათრია მეორეც. უკანასკნელმა საშინელი ნივილ-კივილი მორთო. კლასში ატყდა საშინელი სიცილ-ხარხარი. გაცოფებული მასწავლებელი გავარდა „ნაჩაღნიცა“-სთან და მიჩვილა. დაიბარეს საცოდავი ჩემი მშობლები და, ვგონებ, ეს მესაე გაფრთხილება მისცეს: „თქვენი ქალი მოარჯულეთ ან შკოლიდან წაიყვანეთ“. მშობლებმა არა ერთხელ მიმტყიპეს, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ძალიან მიყვარდა რუსული და ქართული ლიტერატურა და მათი მასწავლებლები: ხელიძეს ქალი (შემდეგ ს. პ. გოგლიჩიძეს მეუღლე) და ნიკო ლომაური. სიკვდილივით მძულდა მათემატიკა და ამ გაკვეთილის გადმომცემი გაუსმანი, რომელმაც ვერ იქნა, ვერ ჩამიდო თავში „დესატიჩნი დრობი!“ მათემატიკაში „ედინიცის“ გარდა სხვა ნიშანი არ მიმიღია, აგრეთვე ყოფა-ქცევაშიც.

IV

დიალ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გადაველ თუ არა მესამე კლასში, ხეპრე ხარივით შევდექე და, გაკვეთილების მაგივრათ, სხვა და სხვა მოთხრობა-რომანებს ვკითხულობდი. ეს წიგნები მუდამ „პარტა“-ს ქვეშ მქონდა გადაშლილი და, როცა მასწავლებელი გაკვეთილს ჰკითხავდა სხვა მოწაფეს, მე, თავჩაქინდრული, ქურდულათ ფურცელ-ფურცელზე ვყლაპავდი. ერთხელ, გეოგრაფიის გაკვეთილზე, ასეთი სასაცილო ამბავი დამემართა: მასწავლებელს თურმე დიდიხანია მეც გამოუძახივარ, მე კი, მოთხრობის ინტრიგით თავ-ბრუ დახვეწული, არ მესმის მისი ძახილი: „Дондарова! Дондарова!“ ბოლოს, როცა მეზობელ მოწაფემ მუჯღუგუნით გვერდი გამომიბეგვა, როგორც იქნა, წამოვდექე. მასწავლებელმა მკითხა: „Китай в политическом отношении какая страна?“ მე, ჯერ კიდევ განუყრელი მოთხრობის გმირებთან და დიდათ დაფიქრებული მათ ტრალიკულ მდგომარეობაზე, წავილულლულე: „Орошается рекою Конго...“ მთელ კლასს და მასთან მასწავლებელსაც წასკდა საშინელი სიცილი. ასეთივე საქმე დამემართა ისტორიის გაკვეთილზედაც, მაგრამ ამ ამბავმა კი ასე იეფათ არ ჩამიარა და ჩემ მშობლებს გუბე ცრემლათ დაუჯდათ. მასწავლებელმა მკითხა: „Куда делись Вестготы и Ост-готы после великаго переселения народов?“ მე, საშინლათ განრისხებული, რომ მყუდროება დამირღვიეს და საინტერესო რომანის ბოლო არ დამამთავრებინეს, წამოვიძახე ქართულათ – (მასწავლებელი რუსი იყო) – ჯანდაბაში და დოზანაში, რა ვიცი მეთქი! ატყდა მოწაფეებში სიცილ-ხარხარი, მასწავლებელი გაცოცებით გვიცქეროდა, კლასსი ველარ დაემშვიდებინა... ბოლოს ვილაც მეტიჩარა მოწაფემ რის ვაი-ვაგლახით გადაუთარგმნა ჩემი პასუხი... გაცოფებული მასწავლებელი გავარდა „ნაჩაღნიცა“-სთან, შესდგა „სოვეტი“ და ბოლოს... „შინაურულათ“ გამომრიცხეს სასწავლებლიდან. „ქურდს რა უნდა? – ბნელი ღამეო!“ მეც ეს მინდოდა: ჩემი მშობლები „ვიმ-

ვიშობდნენ“, თავს იკლავდნენ, მე კი მიხაროდა, რომ შკოლას მოვშორდი და ჩემ ნებაზე წავიკითხავდი, რა წიგნიც მსურდა, როცა მინდოდა, ავდგებოდი ლოგინიდან, როცა მინდოდა, დავწვებოდი... თავისუფლებას რა სჯობიან მეთქი... ბუნებით ნამდვილი ანარქისტი ვიყავი!

დედა ჩემი ლამობდა, ჭრა-კერვა, ხელსაქმე მაინც ესწავლებინა ჩემთვის: „ცხოვრებაში გამოადგება“-ო, მაგრამ მე განზე გავხტი და ახლოსაც არ მივიკარე ნემსი და მაკრატელი! სხვის ცქერაც მეჯავრებოდა, როცა „მაშინას“ ადრიგინებდნენ ჩემ წინ! ჯერ შკოლაშივე, ხელსაქმის გაკვეთილზე განგებ ცერს შევიხვევდი ხოლმე, რომ ამცდენოდა ეს წამება! ეხლაც, კაბის ქობა რო დამერღვევა, სხვას მივმართავ ხოლმე.

V

ცამეტ-თოთხმეტი წლისა ვიყავ, როცა შკოლას თავი დავანებე და სახლში დავიბუდე. ჩვენ სახლში ცალკე, განაპირებული ოთახი მქონდა. ამ ოთახის ფანჯრები ბაღში გადიოდა. ზამთრობით, სისხამ დილაადრიან შუალამემდე ბუხარი გუგუნებდა ჩემ ოთახში. გარეთ თოვდა, ან ქარ-ბუქი იყო, მე კი, საკითხავ წიგნით ხელში, ნაცარ-ქექიასებ ბუხართან ვიჯექ და მანანასეფ ვყლაპავდი წანაკითხს. გმირების ვაებას ან სიხარულს ისე ახლო ვიტანდი გულთან, რომ მეც მათთან ვტიროდი ან ვიცინოდი, ვმხიარულობდი. ერთხელ ამ მდგომიარობაში მნახა დედაჩემმა და მითხრა: „რა გატირებს? ავათ ხომ არა ხარო?“ როცა ჩემი ცრემლების მიზეზი აუხსენ, მან თავი გადიქნ-გადმოიქნია და მითხრა: „ბევრი კითხვაც როდი ვარგა, შვილო, გაგიყდებო! იმ დღეს იცინოდი, დღეს ტირიო... გადი-გამოდი ამხანაგებში – გაერთეო“... როცა დედას გადაეცა ეს ამბავი მამიჩემისთვის, უკანასკნელს უთქვამს: „ზოგი ჭირი მარგებელიაო: ისევ წიგნებში გაერთოს აქაურობის აკლებასაო. ხომ იცი, რა გიჟი იყო და ახლა ცოტა მორჯულდაო“.

მე განვაგრძობდი უსისტიემოთ წიგნების კითხვას: უცხო და შინაური კლასიკოსები და ბულვალური რომანები დომხალივით მერევეოდა თავში. წიგნებს ვშოულობდი გორის კლუბის ბიბლიოთეკაში (მამაჩემი მუდმივი წევრი იყო ამ კლუბისა) – და ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში. რაკი გავიგებდი: ამა და ამ სახლში ბლომათ იშოვება წიგნებო, მე, თუ გინდ უცნობიც ვყოფილიყავ მათ პატრონთან, უთუოთ გამოვეცნაურებოდი და ვთხოვდი ახალ და ძველ წიგნებს და ჟურნალებს.

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ წანაკითხს ძალიან ახლო ვიტანდი გულთან. მაგალითათ, როცა გონჩაროვის „ОТРЫВ“-ი წავიკითხე, მეც ამ რომანის გმირ ქალ ვერასეფ, რომელიც იქამდინ მომწონდა, რომ ჩემ იდეალათ დავისახე, ქოლგას ვიღებდი ხელში, სახლიდან ვიპარებოდი¹ და გორის მიდამოებში ვეძებდი ჩემ ხვედრ ვოლოხოვს. ჩემ საბედნიეროთ, არავინ შემხვდა, თორე გადაცმული კინტოც რომ ყოფილიყო, მარკიზ პოზა-თაც მეჩვენებოდა! საზოგადოთ, ნილილიზმმა ძალიან გამიტაცა. ტურგენიევის „НОВЫ“ წავიკითხე თუ არა, მეც ამ რომანის გმირ ქალ მარრიანასებ მშვენიერი, კოჭებამდინ

1. სიტყვას „ვიპარებოდი“ იმისთვის ვხმარობ, რადგან მაშინდელ გასათხოვარ ქალისთვის (ბურჟუაზიულ ოჯახიდან) მარტო სიარული საძრახისი იყო ან ნათესავი უნდა გაჰყოლოდა, ან შინა მოსამსახურე.

გრძელი თმა შევიჭერ და თუთუნის ნევა დავინყე, რაზედაც დედაჩემი თავს იკლავდა. ჩერნიშევსკის „Что делать“? ნაკითხვის შემდეგ ხომ კინალამ სრულებით დავილუპე: ერთ კაცზე დავინიშნე, რომელიც არც მიყვარდა და არც მაგრე რიგათ მომწონდა... მინდოდა მხოლოდ, ოჯახურ ზედამხედველობის ბრჭყალებიდან გავნთავისუბლებიყავ და მეცხოვრა დამოუკიდებლათ... კაი რომ, ჩემი უმფროსი ძმა ჩაერია და ხელი ამალებინა დანიშნულზე.

VI

რომან-მოთხრობების გარდა, ძალიან მიყვარდა იუმორიულ-სატირიკულ ჟურნალების კითხვა. მათში უფრო მკაფიოთ დამახსოვდა რუსული „Стреказа“ და „Будильник“-ი და ქართული „ჩანგი“. ჩემთა სავალალოთ, ესლა აღარ მახსოვს, ვისი შედგენილი და გამოცემული იყო ეს „ჩანგი“, მაგრამ კარგათ მახსოვს, რომ მასში ბლომათ მოიპოვებოდა ნიჭიერათ დანერილი საესტრადო იუმორისტიული სცენები, ლექსები, პაროდიები... ამათში დამახსოვდა: „დახე, ჩვენი ქალები“, „ადვაკატ-აბლაკატები, ეს მჩხავანა კატები“ და ნინო ორბელიანის „ტორის-ბოლჩა“, რომელიც ზედ გამოჭრილი იყო გორელ მეჭორეებზე... ეს წიგნი ისე მომწონდა, რომ სტუმრათაც რომ სადმე მივდიოდი, თან მიმქონდა და ყველას სიცილითა ვკლავდი შიგ დაბეჭდილ სახუმარო მასალის დეკლამაციით.

როცა წამოვიზარდე, ესე 15-16 წლისამ, მეც დავინყე პატარ-პატარა იუმორიულ-სატირიკულ სცენების, ლექსების წერა გორელ „მეშჩან-ობივატელებზე“, ვაჭარ-ჩარჩებზე და მათ მეჭორე ცოლებზე, მოქიფე თავად-აზნაურებზე და სხვა... ნაწერს ბევრჯერ ჩემ მიერვე ნახატ კარრიკატურებსაც ურთავდი. ამ ამბავმა მთელი გორი გადამამტერა, არა თუ მარტო მე, არამედ ჩემ მშობლებსაც.

„რატო თავის გიჟ-დანთხვევულ ქალს არ აყენებენ, რომ ასე საქვეყნოთ გვაპამპულეზო?“

მშობლები მიჯავრდებოდნენ, მტუქსავდნენ, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი: ვწერდი და ვხატავდი, ვხატავდი და ვწერდი გორელ „ობივატელებს“, რომელნიც აუარება იუმორიულ მასალას იძლეოდნენ.

VII

პირველი ჩემი ნაწერების კრიტიკოს იყო პროფესსორ ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც თითქმის ყოველ ზაფხულს გორში მოდიოდა და ჩვენ ოჯახშიაც დაიარებოდა. რაკი გაეგო გორელებისგან, რომ რალაც სცენებს, ლექსებს ვწერდი, მთხოვა – „აბა მიჩვენეთ, რა დაგინერიათ ისეთი, რომ ასე აგიფორიექებიათ აქაური ქაობი“-ო. მე ჯერ ვუარობდი, მცხვენოდა და, მერე, რო უჩვენე, ნაიკითხა, ბევრი იცინა და მითხრა – „თქვენ უთუოთ სატირიული ნიჭი გაქვთ, მხოლოდ განვითარება გჭირთ, რომ კალმის მასალათ არა კერძო მოვლენები და პირები, არამედ საზოგადოებრივი ბრუნდე მხარეები და ტიპები გახადოთო“. თანაც მიჩნია: რომან-მოთხრობებთან იკითხეთ კრიტიკოსებიცაო.

პირველი პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ ისე დავენერე (18-19 წლისა ვიყავ), რომ ჯერ ჰეირიანი თეატრი არცკვი მენახა. დრო გამოშვებით ჩემ მშობლებს დაყავადი რუსულ-ქართულ წარმოდგენებზე, რომელიც ადგილობრივ „სცენის მოყვარეთა წრის“ მიერ იმართებოდა გორში: ზამთრობით – კლუბში, ზაფხულობით – „როტონდაში“ (სასეირნო ბაღის შენობაში).

ბევრჯერ მიკითხავ ჩემი თავისთვის: რატომ ხელოვნების დარგში მაინც და მაინც თეატრი ავირჩიე? და ყოველთვის ის მიზეზი მომიძებნია, რომ ბავშვობიდანვე ნანახ-პიესებმა „Снегурочка“ („წმინდა ნინოს სახელობის“ პანსიონში) და „Деньщик подвел“ („გორის საქალბო პროგიმნაზია“-ში) ჩემში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. აქვე უნდა მოგახსენოთ უმთავრესი მიზეზიც: ძალიან მიყვარდა ოსტროვსკის პიესები, რომელთა უმეტესი გმირები – „ტიტ-ტიტიჩები“ პირნავარდნილი ჰგავდნენ გორელ „მეშჩან“ ვაჭარ-ჩარჩებს.

ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერია“-ს ქება-ხოტბამ ჩემ პირველ პიესის შესახებ ფრთები შემასხეს და დამანერინეს მეორე კომედია (3 მოქმ.) „ფული და ხარისხი“, რომელსაც პირდაპირ ქუდბედი დაჰყვა თანა: არა თუ მარტო საზოგადოებამ, არამედ მთელმა მაშინდელმა პრესამ (რუსულმა და ქართულმა) დიდი აღრფთოვანებით მიიღეს. თბილისის გარდა, ეს პიესა და მისი მომდევნო ჩემი მესამე კომედია (2 მოქმ.) „გაცრუებული იმედები“ წარმატებით იდგმოდა საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში.

VIII

ბევრ სიხარულთან ბევრი სიმწარეც მაგემეს ჩემმა პიესებმა. „ფული და ხარისხის“ პირველვე წარმოდგენის შემდეგ გორის მაზრის ერთ თავადიშვილისგან მიხვილ (მეტსახელათ „სიფთა“) ერისთავისგან უშველებელი ლანძღვა-მუქარის წერილი მომივიდა ლექსათ, რომელიც, მახსოვს, ასე იწყობოდა: „ერთი ბრძანე, ქალბატონო, რას უწუნებ თავადებსა?“

მე ძალიან ავლშოვოთდი, და იმის მაგივრათ, რომ ლექსითვე მეპასუხნა, გავაქანე ეს წერილი და ნიკო ლომაურს უჩვენე. ნიკო ლომაური – ჩემი მუდმივი მფარველი და კრიტიკოსი – თავის მხრივ აენთო, გაბრაზდა ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ, მერე დამამშვიდა და მითხრა – „მე თვითონ უპასუხებ ამ ჯღაბნის ავტორსაო. შენ გულს ნუ გაიტებ, განაგრძე წერაო. ალბათ გულში მოხვდა შენი ისარი, რომ ასე გამწარებულაო“.

არა ერთხელ უამბნია ჩემთვის ნატო გაბუნისაც, რომ „საცა კი შენ „ფულ და ხარისხსა“ ვდგამთ, ყველგან კნიაზები ხლმებით აჩევას გვემუქრებიანო“. აგრეთვე ჩიოდნენ სხვა ანტრეპრენიორ-არტისტებიც.

„ინჯილერ ან დოხტურმა“ და „გაცრუებულ იმედებმა“ ხომ მთელი სამშობლო – გორიც ამბუნტა!

ხან ერთი, ხან მეორე გორელი, ქალი თუ კაცი, გზაში მელობებოდნენ და, დოინჯ შემოყრილნი, მკითხავდნენ: „ერთი მითხარი, შე აშალლარავ, რას უწუნებ ჩემ ხელმწიფის სწორ შვილებს ინჯილერს, დოხტურს, ადვკანტს, რომ თრიატრში გამოგიჭიმნია და ქვეყნის საპამპულოთ ხდი?!“ ყველა ამ ამბავმა მაიძულეს დამენერა შემდეგ ერთ მოქმედებიანი კომედია „ვაი კალმისაგან“.

პირველ რევოლიუციას, 1905 წლისას, ვუძღვენ ორ მოქმედებიანი კომედია „ხან ასე და ხან ისე“, სადაც გამოყვანილი მყვანან რევოლიუციის ცრუ მეგობრები, რომელნიც ჯერ სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებიან მშრომელ ხალხს, შემდეგ კი, რეაქციის გამეფების დროს, ჰლალატობენ და მიწას უთხრიან რევოლიუციის მომხრეებს. ამავე ხანას ვუძღვენ ორი მითხრობა:

1. იხილე „ივერია“, 1898 წ., 18 იანვ., №12.

„ოჯახის თვალი“ და „ერთი ტყვიით“ და „სამი მონოლოგი“, რომელნიც მოვათავსე: მოთხრობები – ფილიპე გოგიჩაიშვილის „ივერია“-ში, მონოლოგები კი – ჟურნალ „მოგზაურში“. ერთხელ საბავშვო მოთხრობაც დავწერე, სათაურით „ცრუ-პენტელა ვანო“ – დაიბეჭდა „ნაკადულში“.

1905 წლიდან მოყოლებული, აუარება სატირიული ფელეტონები, ლექსათ და პროზათ, მომითავსებია მარქსისტულ ჟურნალ-გაზეთებში. ვითვლებოდი უახლოეს და აქტიურ თანამშრომლათ შემდეგ გაზეთებისა: „ჩვენი გზა“, „სიტყვა“, „ჩვენი ცხოვრება“, „ტალღა“, „ლახვარი“, „მნათობი“. ვიყავ კორრესპონდენტათ რუსეთის გაზეთებისაც: „Театр и искусство“ და „Биржевые ведомости“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1924 წ. 4 დეკემბერს პირველათ დაიდგა რუსთაველის თეატრში ჩემი უკანასკნელი პიესა: „დეზერტირკა“.

IX

მართალია, ჩემი სწავლა-განათლება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ოფიციალურათ სამ კლასს არ ასცილებია, მაგრამ ეს ნაკლი შემდეგში თვითგანვითარებით და აუარება წიგნების კითხვით ავინაზლაურე. ავინაზლაურე იმითიც, რომ, როცა კარგა ნამოვიზარდე და უკვე ჩემი სამი პიესა იდგმოდა ქართულ სცენაზე, ჩემი უმფროსი ძმის შემწეობით ნაველ რუსეთში და თავისუფალ მსმენელათ ყურს უგდებდი ასეთ გამოჩენილ პროფესორებს, როგორც: კლიუჩევსკი, ჩელპანოვი, ფრიჩე და სხვები... ეს იყო 1907-1908 წლებში. მოსკოვშივე ვნახე საუკეთესო დადგმები და არტისტები განთქმული „მხატვრულ თეატრისა“, სადაც თითქმის ყოველ დღე დავდიოდი მუქთი ბილეთით, რომელიც ყველა თეატრებში ვიშოვე სუმბათაშვილ-იუჟინის შუამდგომლობით. ბედმა მარგუნა, მენახა აქვე მთელ მსოფლიოში განთქმული იტალიელი მსახიობი ქალი ელეონორა დუზე, რომლის შეუდარებელმა თამაშმა ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ დღესაც დაუვინყარათა მაქვს. ოთხჯერ დავესწარ მის წარმოდგენებზე: ორჯერ დიუმას „მარგარიტა გოტიე“ და თითოჯერ „ადრინა ლეკუვერე“ და ზუდერმანის „სამშობლო“. თუმცა ეს წარმოდგენები მიდიოდა იტალიურ ენაზე (დუზე ჩამოვიდა საგასტროლოთ რუსეთში თავის ტრუპით), მაგრამ მე ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პიესებს კარგათ ვიცნობდი და ამიტომ არაფერი გამომეპარა.

ამავ დროს საგასტროლოთ ჩამოვიდა რუსეთში ისპანიელი შესანიშნავი მომღერალი ქალი მარია გაი, რომელიც ვიხილე „კარმენ“-ში და პირდაპირ ცას ვენიე სიამოვნებით! რუსეთის გამოჩენილ არტისტებში ვნახე: ერმოლოვა, დავიდოვი, პეტროვა-ზვანცევა, ვიალცევა (ციგანურ რომანსების შეუდარებელი ამსრულებელი) და თითქმის ყველა არტისტები „მხატვრული თეატრისა“, რომელთა გვირგინათ მივიჩნიე: კაჩალოვი, მოსკვინი, ლილინა, ვიშნევეცკი... ხშირათ დავდიოდი ლიტერატურულ დისპუტებზე, ლექციებზე, გამოჩენილ დირიჟორ ნიკიშის სიმფონიურ კონცერტებზე და სხვა მუსიკალურ და ვოკალურ სადამოებზე, თუმცა სერიოზული მუსიკა აგრერიგათ არ მესმოდა და ყველას ისევე ჩვენი თარი და ბაიათები მერჩივნა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მოსკოვში ტრეტიაკოვის გალლერეიამ, სადაც თითქმის მთელ დღეებს ვატარებდი, და პეტროგრადში – ერმიტაჟმა, ალექსანდრე მესამეს მუზეუმმა, კუნძულებმა...

ძალიან მომეწონა პეტროგრადი, გაცილებით უფრო ძიენ ვიდრე მოსკოვი, მეტადრე მისი განიერი სუფთა ქუჩები და ნევა, რომელზედაც წამ და უწუმ ვსეირნობდი (ნაპირიდან – ნაპირამდე) პატარ-პატარა ნავებით. თითო გადასვლა-გადმოსვლაც ღირდა ორი კაპიკი. ვიყავ ფინეთშიაც, სადაც ვიმოგზაურე სტუდენტთა საექსკურსიო მატარებლით. ვინახულე განთქმული წყალვარდნილი „იმატრაც“, რომელმაც მომაგონა ჩვენი „ატენის ხეობა“. საზოგადოთ, რუსეთში ყოფნამ ბევრი სარგებლობა მომიტანა: განმავითარა ესთეთიურათაც და გონებრივათაც. შინიდან (საქართველოდან) წამოღებულ წერილების წყალობით ჩემი უმფროსი ძმის და მის ამხანაგების რუსეთელ ნაცნობ-მეგობრებთან მე მუდამ ვტრიალებდი მაშინდელ საუკეთესო, მონინავე ახალგაზრდათა წრეში. ამ წერილებში მხოლოდ ერთმა მიმტყუვნა და კინალამ დიდ უბედურობას შემანთხვია არა თუ მარტო მე, არამედ მისი გამომტანიც და გამომტანის ამხანაგებიც! ეს წერილები მოწერილი იყო ვილაც სერებრიაკოვის ქალთან, რომლის სახელი ეხლა აღარ მახსოვს. ეს ქალი, ესე 45 წლისა, დიდ როლს თამაშობდა რუსეთის რევოლიუციუზურ და საუკეთესო ლიტერატურულ წრეებში. ახლო კავშირი ჰქონდა მარქსისტულ ჟურნალ „Начало“-სთან და მის სასტუმრო ოთახში საბაასოთ და საბჭოთ იკრიფებოდნენ გამოჩენილი რუსი მწერლები და რევოლიუციუზურათ განწყობილი ხალხი. მე რო მიველი და მიუტანე გამოტანილი სარეკომენდაციო წერილი, მასთან ამ დროს ისხდნენ რამდენიმე ქალი და კაცი. პირველივე დანახვაზე მასპინძელი, სერებრიაკოვა, არ მომეწონა: ცხვირ მოკაკუული, შავ თვალ-ნარბა, ალაგ-ალაგ ჭალარა შერთული შავი თმა, ბუნდოვანი სათვალეები ბინდიან, თითქო ნისლ გადაკრულ, თვალეებზე რალაც არა სანდო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ნაიკითხა ჩემ მიერ მიტანილი წერილი, ხელი ჩამომართვა, გამაცნო თავისი ნაცნობები, დამსვა სავარძელზე და დამინყო გამოკითხვა თავის ნაცნობ კავკასიელებზე. მე ძალიან თავშეკავებით ვუპასუხებდი, მით უმეტეს, რომ მან ერთ ნაცნობზე უცბათ წამოიძახა: „Как он разве на свободе, не арестован?!“ და ეს ისეთი კილოთი თქვა, თითქო ძალიან ეწყინა, რომ ეს ყმანვილი დაჭერილი არ არის. მე გულზე რალამაც მიკბინა, დაბნეულათ ვგრძნობდი ჩემ თავს და მალეც წამოველ. მას შემდეგ ფეხი აღარ მიმიდგავს სერებრიაკოვის ქალთან, თუმცა კიდევ კარგა ხანს ვიყავ მოსკოვში.

მხოლოდ რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ გაზეთებიდან გავიგე, რომ ეს ჩემი წინაგრძნობა მის შესახებ ტყუილი არ ყოფილა: ჟანდარმერიაში ნაპოვნ დოკუმენტებიდან აღმოუჩენიათ, რომ სერებრიაკოვის ქალი ხელმწიფის რეჟიმის დროს აზეფის ტყუბი პროვოკატორი ყოფილა. დაინიშნა პროცესი და ამ ჯამუმ ქალს სოლოვკაში უკრეს თავი. აქვე, ამ პროცესზე, ერთი მეტად ტრადიკული ამბავი მომხდარა: რომელილაც გამოჩენილი რევოლიუციონერი (გვარი აღარ მახსოვს), პოლიტ-კატორლაში წამყოფი სწორეთ სერებრიაკოვის ქალის წყალობით, დასწრებია ამ პროცესს და აქ ისეთი ამბები გამომჟღავნებულა, რომ მის დასევადებულ გულს ველარ აუტანია, დაცემულა და იქვე, სასამართლოს ზალაში, მომკვდარა.

X

ჯერ წერაც არ დამეწყო, რომ მე რევოლიუციუზურათ ვიყავ განწყობილი ჩემი უმფროსი ძმის, პეტრეს, და მის ამხანაგ-სტუდენტების წყალობით. ყოველ ზაფხულს ეს მოსწავლე ახალგაზრდობა იკრიფებოდა ჩვენსა, გორში, და თითო

თვე მაინც რჩებოდა. მე სულგანაბული ყურს უგდებდი ამათ ბაასს და სიძულვილით ვიჟლინთებოდი ხელმწიფის რეჟიმის მიმართ. ეს სტუდენტობა მანვდიდა მე აღკრძალულ ბროშიურებს, ლენინის „Искра“-ს, სხვა და სხვა წიგნებს, რომელთა შორის დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მეტადრე კრავჩინსკის „Козрухов“-მა და კენანის „Сибирь и ссылка“-მ, რომელზედაც არა ერთხელ მიტირნია. ზამთრობითაც უპრაპაგანდოთ არა ვრჩებოდი, რადგან სწორეთ ამ დროს, ესე 1898 წ., გორში მოსკოვიდან გადმოსახლეს ჩემი ძმის ამხანაგი – სტუდენტი სამედიცინო ფაკულტეტისა – ჟოზე ბარამოვი, რომლის მშობლები ცხოვრობდნენ გორში. ესეც და ჩემი უმფროსი ძმაც დაიჭირეს მუშებში პროპაგანდისტის და ჩასვეს ციხეში. იმ დროს, როცა ბარამოვი გამოისტუმრეს გორისკენ, ჩემ ძმას ვერაფერი დაუმტკიცეს და გამოუშვეს ციხიდან. შემდეგ, 1905 წელს, ჩემი ძმა ისევ დაიჭირეს ქუთაისში და კინალამ ჩამოაღრჩვეს ალიხან-ავარსკის წყალობით. ეს ჟოზე ბარამოვი შესანიშნავი გულის და გონების კაცი იყო, თანაც მეტად განვითარებული ყოველის მხრით. მასთან დადიოდა ამხ. სტალინიც და ძალიან პატივსა სცემდა. ჟოზე ბარამოვს კაი ბიბლიოთეკა ჰქონდა და არავისთვის იშურებდა წიგნებს. იგი, ვგონებ, პირველი მარქსისტი იყო, რომელიც მოევილინა გორს. ის ბევრათ უმფროსი იყო ამხ. სტალინზე. მან თუ ბაასით, თუ წიგნებით დიდი სარგებლობა მომიტანა მე. თუმცა ქართულს დანტვრეულათ ლაპარაკობდა (დედა გერმანელი ჰყავდა, მამა – სომეხი). მაინც გულმოდგინეთ მისმენდა, როცა ჩემ კალმის პირველ ნაცოდვილარებს უკითხავდი, და ყოველთვის გონიერ შენიშვნებს და დარიგებას მაძლევდა. მშვენივრათ იცოდა თავის დედის გერმანული ენა. მასთან ხშირათ მოდიოდნენ არალეგალური ხალხი სხვა და სხვა ქალაქებიდან. ამათგან დამახსოვდნენ: ფილიპე მახარაძე და პოლიტ-კატორღელი ენგელი (ჩამოსული რუსეთიდან). რაც ხანი მიდიოდა და უახლოვდებოდა 1905 წელს, გორში უფრო და უფრო გახშირდა ნებით თუ უნებიეროთ ჩამოსვლა რევოლიუციონერებისა, მეტადრე მარქსისტებისა, რომელთა შორის ბევრი კარგა ხნითაც დაბინავდა აქ, ციხის უბანის ჯურღმულეებში, სადაც მე თითქმის ყოველ საღამოს დავდიოდი, რაკი მათ გავეცანი. ეს ხალხი, სამუშაოს მოკლებული, ძალიან გაჭირვებით ცხოვრობდა: შველოდნენ მხოლოდ პარტიული, ჯერ დაუჭერელნი ამხანაგები და თანამგრძობენი. მამიჩემის ჩუმათ და დედიჩემის შემწეობით კალათაში ჩავალაგებდი ხოლმე სხვა და სხვა საწოვავებს და მივაცუხცუხებდი კონსპირატიულ ბინაზე. ვნერ „მამიჩემის ჩუმათ“, რადგან მამა ძალიან მრისხანე ხასიათისა იყო, თანაც ეშინოდა შვილები არ დაჰლუპოდა „საცვიალისტ-ამქრებისგან“, დედა კი მეტის-მეტი რბილი, ტკბილი და გაჭირვებულთა შემბრალე გვყავდა. ამ კონსპირატიულ ბინაზე ხშირათ ქება-დიდებით იხსენიებდნენ ამხანაგ „კობას“, რომელიც ამ დროს გორში კანტი-კუნტათ თუ მოდიოდა (მას არ სცალოდა, რადგან აქეთ-იქით მთელ ამიერ-კავკასიაში გაფიცვებს და გამოსვლებს აწყობდა), და რომელიც შემდეგ, ჩემი თბილისში გადმოსახლების დროს, უფრო ახლო გავიცან, როცა მან მე მიმინვია თავის გაზეთების თანამშრომლათ, სატირული ფელეტონების საწერათ.

XI

დადგა 1905 წელი. ხელმწიფის თვითმპყრობელობა არაპოპულიარულ მოს აგებდა იაპონიასთან. ამის გამო ხალხში ათასნაირი პასკვილ-სატირიული კუპლეტები და ანექდოტები დადიოდა თუ ქართულათ, თუ რუსულათ,

ასე, მაგალითით: „Генерал Куроки задал нам уроки!“ „Генерал того¹ – გაგვადინა ბროგო!“ მოდის კინტო თუ გლეხი გოლოვინის პროსპექტზე დატვირთული ვირით, რომელიც, წინ წასვლის მაგივრათ, ტლინქებს ისვრის და სუ უკან იწევს. კინტო სახრეს უშენს და საქვეყნოთ ყვირის: „შე მამაძაღლო, რატო, კუროპატკინივით², სუ უკან და უკან იწევ!“ რუსის სალდათი სწერს ცოლს: „Дорогая моя женушка Матрена, мы все отступаем, слава богу, скоро будем дома“ და სხვა. ჩვენ ეს ძალიან გვახარებდა და ფაცხი-ფუცხით ვემზადებოდით რევოლიუციონურ გამოსვლებისთვის.

სწორეთ ამ დროს ჩემ უმცროს ძმასთან, კოტესთან, გორში ჩამოვიდა ჟენევაში ნამყოფი ქართველი კაცი – ანარქისტი, გვარათ, ვგონებ, გაბუნია. ჩემმა ძმამ ის ქვევითა სართულის ოთახში დააბინავა და თვითონაც ზევითა სართულიდან მასთან გადასახლდა, ორივეს ბინდისას ხურჯინით რალაც მიჰქონდათ და მოჰქონდათ კონსპირატიულათ. რადგან ჩემი ოთახი ამათ ოთახის ზემოთ იყო მოთავსებული, მე მკაფიოთ მესმოდა, რომ ესენი რალაზედაც გათენებამდინ მუშაობდნენ. თურმე, ნუ იტყვიოთ, ეს გაბუნია ბომბების დახელოვნებული გამკეთებელი ყოფილა: ისა და ჩემი ძმა გამზადებულ ბომბებს გორი-ჯვრის მთის ძირში მალავდნენ. გაქანებული მიდიოდა მუშაობა ჯარშიაც. აქ სხვა პოლკების გარდა გადმოიყვანეს ყაზახთა რაზმიც, რადგან როგორც გორში, ისე მის მაზრებში დიდი ჩოჩქოლი და არეულობა იყო გლეხებში. ერთხელ აივანზე ვარ: ჩვენი ეზოს კარები ვილაც ყაზახმა შემოალო და მკითხავს: „Где здесь старший комитета“? ჩემ გამოკითხვაზე მან მითხრა: „Хочу жаловаться на своего командира“. ეს ამბავი დამახასიეთებელია მაშინდელ ჯარის სულიერ განწყობილებისა. ყაზახებშიაც კი რღვევა-გახრწნა მიდიოდა. მე ისეთი ენტუზიაზმით და აღტაცებით მოველოდი ხელმწიფის ტახტის დამხობას და ისე ენერგიულათ ხელს უწყობდი, წერით თუ სიტყვიოთ, ამ ნეტარ მომენტის განხორციელებას, რომ, თუმცა პარტიის წევრათ არ ვითვლებოდი, მაინც ერთხმათ ამომირჩიეს საერთო მიტინგზე იმ დელეგაციის წევრათ, რომელიც გორელმა სოც.-დემ. კომიტეტმა ამ დროს გამოგზავნა თბილისში ვორონცოვთან („ნამესტნიკთან“) იარალის გამოსათხოვნათ. დანვრილებით საქმე ასე იყო: ბაქო-სასომხეთივით, თბილისშიაც ამ დროს დაიწყო სომეხ და მუსულმანთა შეტაკებები, რომლის აშლაც ბრალდებოდა მთავრობას. რევოლიუციონურ პარტიებმა, სოციალ-დემოკრატების ინიციატივიოთ, აიძულეს მთავრობა, მიეცათ მათთვის იარალი ამ ორ მოძმეთა ხალხის გასაშველებლათ.

თუმცა გორში კანტი-კუნტათ თუ მოიძებნებოდა მუსულმანი, მაგრამ აქაურმა სოციალ-დემოკრატებმა მოისურვეს იარალის ჩადგება ხელში და მოიმიზეზეს, რომ გორსაც ხიფათი მოელის, ამ დროს საერთო გაფიცვების გამო მატარებლები არ დადიოდა, მაგრამ შეადგინეს სპეციალური დელეგატური მატარებელი, გამოგვაცოლეს მცველებათ შეიარაღებული „დრუჟინიკები“ და გამოგვისტუმრეს თბილისში „ნამესტნიკის“-გან იარალის გამოსათხოვნათ.

მშობლები მიჯავრდებოდნენ – „სად მიდიხარ, რამე ხიფათი არ შეგემთხვეს“, მაგრამ მე ყურსაც არ ვიბერტყდი: სიამაყით მევსებოდა გული, სიბ-

1. კუროკის და ტოგოს წარჩინებული ალაგი ეჭირათ იაპონიის ჯარში და მთავრობაში.

2. კუროპატკინი – მაშინდელი მთავარსარდალი რუსეთის ჯარისა.

რძნე ყელში აღარ მეტევეოდა და ძალიან ვყოყნობდი. გარეგნულათაც ალბათ ძალიან სასაცილო ვიყავ, რადგან ჩემი უაღრეს სინითლის დასამტკიცებლათ ძონივით წითელი „ბლიუზა“ ჩავიცვი. მატარებელი ძალიან ტაატით მოდიოდა (ორთქლმავალს მახუთის მაგივრათ, ვგონებ, შეშას თუ ნახშირს უკეთებდნენ) და, რადგან თბილისში გვიან ჩამოველით, იმ ღამეს ერთ-ერთ ჩვენ ამხანაგ-დელეგატის, მეტ სახელათ „ბესო კარეტნიკის“, ნათესავთან ჩამოვტდით „ნახალოვკა“-ში, რომელიც მანამდე თავის დღეში არ მენახა და რომელიც ეხლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „შტაბ-კვარტირათ“ იყო გადაქცეული. დიასახლისები კარგა გაგვიმასპინძლდნენ, ვახშამზე წამ და უწუმ შემოდიოდნენ შეიარაღებულნი მუშები – სომეხ-მუსულმანთა გამშველებელნი – და ყველაფერს გვიამბებდნენ.

მეორე დღეს წაველით „ნამესტნიკთან“, მაგრამ იმან არ მიგვილო, თქვეს: „ავათ არისო“ (ხალხში კი ამბობდნენ – „შეეშინდა მომხდარ ამბებისა და გაიპარაო“). მის მაგივრათ მიგვილო ფონ რაუმ-ტრაუბენბერგმა, ვორონცოვის თანაშემწემ. შემოვიდა მშვენიერი სახის, ახოვანი ტანის შუა ხნის კაცი, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი და ზრდილათ და თავაზიანათ მიგვილო, მე კი, ფეხი-ფეხ გადადებული, პაპიროზით ხელში, წითელ „ბლიუზა“-ში გამოწყობილი ალაგიდანაც არ დავიძარ, როცა ჩემი ამხანაგები ფეხზე ადგნენ და თავი დაუკრეს. ფონ-რაუმ ტრაუბენბერგმა ჰკითხა იმათ: რომელ თქვენგანს დაავალეს ჩემთან ლაპარაკი, ამხანაგებმა მიუთითეს ჩემზე, რადგან მე უფრო კარგა ვლაპარაკობდი რუსულათ. ტრაუბენბერგი მოვიდა ჩემთან ახლო და მკითხა ღიმილით: „Как ваше имя отчество, как вас величать в разговоре?“ მე ინდოურივით თავი მალლა ავიღე და მკვახთე უპასუხე: „Я гражданка города Гори!“ მან ღიმილითვე მიპასუხა: „Вы, что-же, по старой памяти нам не доверяете?“ მე უპასუხე, რომ ჩვენ არ გვეშინიან ძველი დროს დაბრუნებისა, რადგან ხალხმა მკვიდრათ და სამუდამოთ მოიგო თავისუფლება და სხვა ამისთანეები და ბოლოს უთხარ ჩემი და მამიჩემის სახელი. მან ისევე ღიმილით და თავაზიანათ მომმართა: „Голубушка Наталья Михайловна...“, მაგრამ მე იმწავე პირში ვწვდი: „Какая я вам голубушка?!“ ამხანაგებმაც კი გადმომბღვირეს ამ ჩემ უზრდელ შეტევაზე, მაგრამ ტრაბერბერგმა წარბიც არ შეიხარა და დანვრილებით გამომკითხა, რისთვის გავსჯირვართ და გორიდან ჩამოვსულვართ. რო მოგვისმინა, გადაჭრით უარი გვითხრა იარაღის მოცემაზე შემდეგი მოსაზრებით: გორში არავითარი ნაციონალური შეტაკებები არ შეიძლება მოხდესო, რადგან იქ მუსულმანები არ არიანო, თქვენ ალბათ იარაღი ბურჟუაზიის და თავად-აზნაურების წინააღმდეგ გინდათ გამოიყენოთო, მე კი ამას ხელს ვერ შეუწყოფო. თქვა, თავი დავვიკრა და გავიდა, ჩვენ კი პირში ჩალაგამოვლილები დავრჩით. იმავე საღამოს, იმავე დელეგატურ მატარებლით გორში დავბრუნდით პანლურამოკრულები. მალე მძვინვარე რეაქციაც დაიწყო და თბილისელებსაც უკანვე წაართვეს გაცემული იარაღი.

XII

დასასრულ ამ ავტობიოგრაფიულ მოგონებანისა, მსურს, დიდი მადლობით და სიყვარულით მოვიხსენიო ის პირნი, რომელთაც არა ერთხელ გაუმხნევებივარ მე სამწერლო ეკლიან გზაზე და ისე თუ ასე თვალსაჩინო როლი უთამაშნიათ ჩემ გონებრივ და ზნეობრივ განვრთნაში. ამ ნაწერებიდანაც

სჩანს, რომ თავი და თავი ალაგი ამ პირთაგან, მშობლების შემდეგ, უჭირავს ჩემ უმფროს ძმას, პეტრეს, რომელმაც არც ფული და არც გონებრივ-ზნეობრივი გავლენა არ დაიშურა ჩემ განვითარებისთვის. მან გამგზავნა რუსეთში, მის ხარჯით კარგა ხანს ვცხოვრობდი თბილისშიც, როცა გორიდან მთელი ზამთრობით ჩამოვდიოდი. ეხლაც, გაჭირებაში, იმის მეტი პატრონი არავინა მყავს. დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩემგან აგრეთვე ან განსვენებული ნიკო ლომაური და, ღვთის მადლით, დღესაც ცოცხალი ნინო დურმიშხან ჟურულის ასული მაკარაშვილისა: როცა სამწერლო გზაზე ის-ის იყო ფეხი ავიდგი, ესენი თავის დარიგება-რჩევით, ალერსიანი მოპყრობით, პირდაპირ ცის მანანათ მომევილინენ მაშინდელ სულიერათ დამშეულ გორში.

არა ნაკლები სარგებლობა მომიტანა მე შემდეგ, როცა თბილისში გადმოვსახლდი, ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილ-წერეთლის ოჯახში დაბინავებამ. გარდა იმისა, რომ ტასო დედასეფ მივლიდა, აქ მე გავიცან საუკეთესო ქართველი ინტელიგენცია, საზოგადო მოღვაწეები და მწერლები, რომელთა გვირგვინს – საყვარელ აკაკის თითქმის ყოველდღე ვხედავდი.

მაგრამ, გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, არავის ისე მკვიდრათ არ მოუნადირებია ჩემი სული და გული, როგორც ნინო ზაქარიას ასულ ჯორჯაძისას, რომელიც ჯერ ჩემ ახალგაზრდობაშივე გავიცანი და რომლის ოჯახშიც შემდეგ, 1916 წლიდან, თითქმის 26 წელიწადი ვცხოვრობდი. მისმა გარდაცვალებამ (ამა 1942 წ. 10 თებერვალს) ისე დამაობლა, როგორც ღვიძლ დედის დაკარგვამ. ეს იყო იშვიათი კულტურის და გონების ქალი, შეზავებული თვალთწარმტაც გარეგნობით და მიხვრა-მოხვრით (მეტადრე ახალგაზრდობაში). კეთილი, ნაზი, ყველასთან ალერსიანი, დიდთან – დიდი, პატარასთან – პატარა, იშვიათი მოსაუბრე, თანაც მშვენიერი დამკვრელი როიალზე როგორც სერიოზული მუსიკისა, ისე ბაიათებისა. მუსიკის გემო მან გამიხსნა. სიკვდილამდე თავის საყვარელ როიალს არა შორდებოდა და 82 წლის გამხდარი მოხუცი ისე მძლავრათ, მკაფიოთ და სულით-გულით გადმოგცემდა მუსიკის შინაარსს, რომ ზეციურ ნეტარებას გრძნობდით! მშვენივრათ იცოდა და უყვარდა ლიტერატურა, თეატრი. მოხუცებაშიც კი არც ერთ თვალსაჩინო წარმოდგენას, კონცერტს, ლექციას არ დააკლდებოდა, თუ გინდ შეუძლოც ყოფილიყო. ჩემი უკანასკნელი პიესა „დეზერტირკა“ მის სახლში დაწერე და მინამ წარმოსადგენათ მივცემდი თეატრს, ყოველ აქტს უკითხავდი. მისი შენიშვნები-დარიგება ისე გონივრული და დასაბუთებული იყო, რომ ხელათ შევცვლიდი ხოლმე მის გუნებაზე. მე მასთვის მიძღვნია არა ერთი ლექსიც. მე, ჭიანჭველა-მწერალი, რა ვარ, როცა თვით დიდებული ილია აფასებდა მის ჭკუა-გონებას, რაც ჟურნალ „ხელოვნებაში“ მოთავსებულ წერილიდან სჩანს. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვა ქართველ და უცხოელ გამოჩენილ მოღვაწეებს და მწერლებთანაც. ამასთან დიდი ქველმომქმედიც იყო, როცა საშუალება ჰქონდა. 1905-906 წლებში, თავის სოფელ ენისელში არა ერთი დევნილი რევოლიუციონერი დაუფარავს და გამოუკვებია. გვარით (მამის და შემდეგ ქმრის) არისტოკრატკა სულითაც არისტოკრატი იყო, თანაც სადა, მყუდრო ყველასთვის მისანდომი ადამიანი იყო.

ნ. აზიანი

ამბაკო ჭელიძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. ბაჯში (ამბროლაურის რაიონი), 1878 წ. გლეხის ოჯახში. 7-წლისა მიმბარეს სოფლის პირველ დაწყებით ერთ კლასიან სკოლაში, დავამთავრე 11 წლისამ...

მამამ მიმბარა ნათლია მჭედელთან (რომ მოხელე გამოვსულიყავი და ოჯახთან კავშირი არ გამეწყვიტა), სადაც დავყავი წელიწადნახევარი. შემდეგ წამოვედი თბილისში, მამის უნებურად. იმ დროს ჩვენი ხალხი თბილისს ეტანებოდნენ, როგორც კაპიტალისტურ ქალაქს, მაგრამ უმთავრესად ხელზედ მოსამსახურედ დგებოდნენ. მე მაინც თბილისში წასვლას არ ვიშლიდი. მამაჩემი წულუკიძის ნაყმევი „ფარეში“ იყო და აწუხებდა მოსამსახურის ბედი; ამიტომ არ უნდოდა ჩემი თბილისში გაშვება. რომ აღარ დავიშალე, უკანასკნელად მითხრა: „წადი, თუ რამე კარგს ისწავლი, შენ იცი, თუ არა და სხვისი ხელისა და ფეხის დამბანელი მაინც ნუ გამოხვალ“; ამ დროს 14 წლის ვიყავი.

კარგა ხანს ვიარე თბილისში „ცუდად“, იმედი არ სჩანდა. „ფარეშის“ ბეზდი და მამაჩემის სიტყვები ჩემს წინ იყვნენ ატუზული; ამ ხიფათს ვერც მე ავცდი. ორიოდე თვე განვიცადე მამაჩემის მწუხარება, მაგრამ მალე თავი დავანებე და რამდენიმე თვის ხეტიალის შემდეგ ბეძმა „ივერიის“ რედაქციაში შემავლო „ექსპედიტორათ“, ე. ი. დაბეჭდილ გაზეთებზე მისამართი უნდა დამეწერა და ფოსტაში ჩამეზარებინა გასაგზავნათ; ეს იყო 1895 წელს, აქედან დაიწყო ჩემი ადამიანური ცხოვრების პირველი საფეხური.

1896 წელს დავეექი კოოპერატიულ ამხანაგობა „შუამავალში“ მონაგარიშედ, რომლის თავმჯდომარეც იყო ცნობილი მოღვაწე ლადო აღნიაშვილი.

1900 წლებში განვითარდა სოციალისტური მოძრაობა, ვადევნებდი თვალყურს, ვეცნობოდი ახალ იდეებს. ამ დროს, 1903 წელს „შუამავალი“ დაიკეტა და საუკეთესო საგნად მენიგნეობა ავირჩიე. ამავე დროს დავასრულე ბუღალტერიის კურსი და ვემზადებოდი მიმელო ატესტატი „ზრელოსტი“, რომ შემდეგ მიმეღწია უმაღლეს სწავლამდე.

ამავე დროს ვიცნობდი ბოლშევიკების ლიდერებს და ჩავები მათთან პარტიულ მუშაობაში.

დავანებე მნიგნობრობას თავი და ამხ. სტალინის უახლოესმა ამხანაგმა – მიხა ბოჭორიძემ დამაყენა 1904 წელს თავის ადგილზე ბუღალტრად და თვითონ პარტიულ მუშაობაზე გადავიდა.

1916 წლამდე ბოლშევიკებთან დამოკიდებულება არ გამიწყვეტია; შემდეგ თბილისიდან წავედი შუა აზიაში ფირმის გამგედ. ამის შემდეგ, თუმცა ჩამოვშორდი ბოლშევიკებთან უშუალოდ მუშაობას, ხოლო იდეური კავშირი არასოდეს გამიწყვეტია.

ლიტერატურული მოღვაწეობა:

პირველი ჩემი მოთხრობა „სიკვდილი“ დაიბეჭდა 1905 წ., „ივერია“, №23; შემდეგი ნაწარმოებები:

„გარიყული“ დაიბეჭდა 1905 წ., „ივერია“, №94;

„ლამის ზღაპარი“ დაიბეჭდა – „ცნობის ფურცელი“;
 „ჯარის კაცი“, გაზეთი „სამშობლო“ – ქუთაისში;
 „ციხის კარებთან“, „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., სპ. ქელიძის გამოცემა;
 „არარაობა“, „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., №73–94;
 „უმეუვეარი“, „ბათუმის გაზეთი“, №61;
 „სიმართლის დაკარგვა“, „ბათუმის გაზეთი“;
 „უფლების დაკარგვა“ სვირსკისა (თარგმანი), დაიბეჭ. „ბათ. გაზ.“-ში;
 „გამარჯვებულნი“, „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., №1;
 „ვარდის ეკლები“, 1916 წ., „თეატრი და ცხოვ.“, №45;
 „ქუჩაზე“, 1916 წ., „თეატრი და ცხოვ.“, №50;
 „შეცდომა“, 1916 წ., „–“, №46;
 „კრიტიკული წერილი“, ს. გლახაშვილის მოთხრობის გარჩევა, „თეატრი და ცხოვრება“, 1920 წ., №16;
 „მნათობში“ „წერილები სპარსეთიდან“, 1925 წ.

ირანულიდან ნათარგმნები:

ომარ ხაიამ, „რობაები“, „თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ., №12.
 „სპარსული ლირიკა“ – კლასიკოსები, დაბეჭდა „ფედერაციამ“, 1933 წ.
 „ფერეიდნელი ქართველები“ (საკუთარი), ცხოვრების აღწერა, დაბეჭდა „ფედერაციამ“ 1935 წ.
 „ირანული ლირიკები“, დაბეჭდა „ფედერაციამ“ 1936 წ.
 „ანტირელიგიური ანეგდოტები მოლა ნასრედინისა“, თარგმანი, ირანული გამოცემა, „ულმერთოთა კავშირი“, 1940 წ.
 1940 წელს გადაცემულია დასაბეჭდათ ნეზამი განჯელის საიუბილეო გამოსაცემად: „ლეილა და მეფუნნი“ და „ხოსროვ და შირინი“.
 გადათარგმნილია და გაგზავნილია გამოსაცემად საადის ნანარმოები: „გოლისტანი“ და „ბუსტანი“.
 მაქეს მრავალი გამოუქვეყნებელი ორიგინალური ნანარმოებები.

ამბაკო სოლომონის-ძე ქელიძე

(გარდაიცვალა 1940 წლის 25 დეკემბერს).

კორნელი კეკელიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	კეკელიძე კორნელი სამსონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1879 თვე აპრილის დღე 18
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ტობანიერი (ვანის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	კრიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა
8. რა ენაზე წერს	ქართულ-რუსულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1942 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	საისტორიო-სალიტერატურო საზოგადოების წევრი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, პროფესორი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, გერმანული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მოხსნილი ვარ როგორც ხანდაზმული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალთა კავშირის წევრი, სამეცნიერო და მასიურ-პოპულარული საზ-ბის წევრი, სადაც ვკითხულობ ლექციებს და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1944 წელს დაჯილდოებული ვიყავი ორდენით „შრომის წითელი დროშისა“, 1945 წელს განმეორებით დაჯილდოვდი ორდენით; მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ვარ ნამდვილი წევრი მეცნიერებათა აკადემიისა, პროფესორი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>პლესხანოვის გამზირი 102 3-11-55</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1906	1916	სასწავლო ნანი- ლის გამგე	ქალთა უმაღლე- სი კურსები	თბილისი
1918		კათედრის გამგე	თბ. სახ. უნივერ- სიტეტი ისტორი- ის ფაკულტეტი	„-“
1941		აკადემიის ნამ- დვილი წევრი	რუსთაველის სახ. ქართული ლიტერა- ტურის ისტორიის საკვლევო სამეც- ნიერო ინსტიტუტი	„-“
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

კორნელი სამსონის-ძე კეკელიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1879 წლის 18 აპრილს, სოფ. ტობანიერში (დღევანდელი ვანის რაიონი). მამაჩემი იყო მინის მუშა გლეხი, რომელიც ადგილობრივ სოფლის სამრეწლოში აგრეთვე მედავითნეობასაც ეწეოდა.

წერა-კითხვა მშობლებმა შემასწავლეს. 1886 წელს შევედი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, 1893 წელს – თბილისის სასულიერო სემინარაში, ხოლო 1900 წელს – კიევის აკადემიაში, სადაც კურსი დავასრულე 1904 წელს კანდიდატის ხარისხით.

1908 წელს დავიცავი დისერტაცია, 1912 წლიდან მოწვეული ვიყავი ლექციების საკითხავად თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე. 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისას მიწვეული ვიყავი აქ, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, რომლის გამგედ დღესაც ვითვლები. უნივერსიტეტში ხუთმეტი წლის განმავლობაში პროფესორობასთან ერთად ვმუშაობდი აპარატშიც, დეკანის და პრორექტორის თანამდებობაზე. 1941 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და დღესაც განვაგებ, როგორც დირექტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტს.

წელს შემისრულდა 40 წელიწადი მეცნიერული მუშაობისა. ჩემი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ობიექტი არის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებული მაქვს 140 შრომა, ამათგან 20 ცალკე წიგნების სახით, ხოლო დანარჩენი სტატიებისა, 7 მონოგრაფიის სახის სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოში ქართულს, რუსულს და გერმანულ ენებზე. ამ შრომებიდან ზოგიერთი გადათარგმნილია უცხოურ ენებზედაც.

ვენევი საზოგადოებრივ მუშაობასაც საჯარო ლექციების, სამეცნიერო და მასიურ პოპულარული ხასიათის ლექციების კითხვით.

1942 წლიდან ვითვლები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად, ხოლო სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1905 წელს.

პროფ. კორნელი კეკელიძის ნაწარმოებები:

1946 წლამდე გამოქვეყნებული მაქვს ქართულ და რუსულ ენაზე 165 ნაშრომი – ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის. აქედან ცალკე წიგნებად გამოცემულია 19, დანარჩენი საჟურნალო ხასიათის სტატიებია.

1946 წლის შემდეგ კი გამოქვეყნებულია 17 ნაშრომი. ამათგან ცალკე წიგნად „კიმენი“, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, გამოცემა მესამე და სხვა მრავალი.

შენიშვნა: ცალკე სია ინახება მწერ. კავშირის არქივში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიგო ხერუაშვილი¹

დაიბადა 1879 წ. 15 აგვისტოს, გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში, რომელსაც დღეს წითელი ქალაქი ეწოდება. გიგოს მამა უმამულო და უსახლკარო გლეხი იყო. გაჭირვებით უძღვებოდა წვრილშვილ ოჯახს. მის ნაბატონარ კნიაზ გეგენიჩს ფეხების ფხანა ზნეთ გადაჰქცეოდა. მან სთხოვა თავის ნაყმევს შვილი ამ თანამდებობისათვის და იმანაც შვიდი წლის ბავშვი სკოლის მაგივრად უარისუთქმელად მიჰგვარა ბატონს. ბატონის სახლში ფეხების ფხანის გარდა გიგო მიაჩვიეს წაღების ნმენდას, ქვაბების ხეხვას და გაგზანგამოგზანას. ოთახების დალაგების დროს გიგომ მიაგნო ორ ქართულ წიგნს: „ყარამანიანს“ და „ვეფხისტყაოსანს“. წერა-კითხვა ისწავლა „ყარამანიანის“ ნახატებზე. მალე გიგომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა.

ბატონის სამსახურს გიგომ გაუძლო შვიდი წელიწადი. თოთხმეტი წლისა გაიქცა და მანგლისში მოჯამაგირედ დადგა მენწვრიმალესთან. სამი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მენწვრიმალეს დუქანშიც, სახლშიც. ჩვიდმეტი წლის გიგო ტფილისს ეწვია ტივით. პირველად სადგურში შეშის ვაგონებს სცლიდა, შემდეგ შეშის იჯარადარმა შეშის საწყობში დაიყენა ცხენების მომვლელად. ბოლოს იჯარადარის ცოლმა ცხენების მოვლა შეუცვალა მზარეულობაზე. ოთხი წლის შემდეგ იჯარადარი რუსეთში გადასახლდა და გიგო ახლა ვანქში სომხის ეპისკოპოსს უწმენდა ანაფორას და ნულებს. ცამეტი თვის შემდეგ ეპისკოპოსი ქათალიკოსმა გაიწვია ერმიადინში და უადგილოდ დარჩენილმა გიგომ შენობებზე დაიწყო მუშაობა კალატოზებთან. ოცდაოთხი წლის გიგო გრიგოლ ჩარკვიანის პატარა სტამბაში დადგა ჩარხის დამტრიალებლად, სადაც ასობის აწყობაც შეისწავლა. შემდეგ მოეწყო ქართველთა ამხანაგობის სტამბაში.

წერის ცდა დაიწყო თოთხმეტი წლისამ. უწერდა გლეხებს საფლავის ქვებზე ამოსაჭრელად ლექსებს, აგრედვე ჯარში გაგზავნილ შვილებთან. დასწერა პოემა: „გიორგი სააკაძე“ ქართლის ცხოვრებიდან და ანტონ ფურცელაძის ისტორიულ კვლევებიდან, რომელიც გამოსცა გალუსტა შინიაშვილმა 1902 წ. მეორედ გამოიცა 1913 წ. დაიბეჭდა აგრეთვე დრამატიული პოემა – გიორგი სააკაძის შვილი „პაატა“ 1918 წ. და პიესა იდგმებოდა კიდეც სცენებზე ტფილისშიც და პროვინციებშიც. დაიბეჭდა ნაწყვეტი „გიორგი სააკაძის“ პოემიდან ჟურ. „მოგზაურში“ 1901 წ. 1902 წ. დაიბეჭდა რეცენზია პოემაზედ რუსულ ლამის გაზ. „ტელეფონ“-ში. 1902 წ. დაიბეჭდა გაზ. „ივერია“-ში მოთხრობები: „სიმონა ბუჯიაშვილის თავგადასავალი“, „დურგლიანთ ქორნილი“, „მეკვლე“. იმავე წ. დაიბეჭდა რეცენზიები „დურგლიანთ ქორნილის“ შესახებ რუსულ ჟურ. „არგონავტში“ და გაზ. „ცნობის ფურცელში“. 1903 წ. „დურგლიანთ ქორნილი“ გამოსცა წიგნად ვანო გირგიდოვი და „სიმონა ბუჯიაშვილის თავგადასავალი“ ზაქარია ჭიჭინაძემ. გაზ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა მოთხრობა: „შეიცვალენ“

1. ავტობიოგრაფია გიგო ხერუაშვილის მიერ მესამე პირშია დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

1905 წ. იმავე დამატებაში დაიბეჭდა ეტიუდი: „ტყე და ქარიშხალი“ 1906 წ. „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა მოთხრობა: „უკუღმართობა“ 1910 წ. ჟურ. „სუსხში“ დაიბეჭდა მოთხრობა: „ორი ცხვირიც ტყუილი ყოფილა“ 1913 წ. ჟურ. „მოამბეში“ დაიბეჭდა ერთმოქმედებიანი ვოდევილი: „დუქანში“ 1903 წ. ეს პიესა 1904 წ. დაიდგა ოპერის თეატრში ვალერიან გუნისას, ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და სხვების მონაწილეობით. შემდეგში ხშირად იდგმებოდა ტფილისშიც და პროვინციებშიც. სამმოქმედებიანი დრამა: „მუშა-მგოსანი“ (იოსებ დავითაშვილის ცხოვრებიდან), დაიბეჭდა ჟურ. „თეატრ და ცხოვრებაში“ 1917 წ. ეს პიესაც ხშირად იდგმებოდა, უფრო სკოლებში. მოთხრობა: „ბერუას ნიკორა“ დაიბეჭდა ჟურ. „ნაკადულში“ 1915 წ. იმავე წელს „ნაკადულში“ დაიბეჭდა ზღაპარი: „ოცი ძმა“ ნახატებით. აგრეთვე „ნაკადულში“ დაიბეჭდა: (იგავ-არაკი) „წინილა“, „მეურმე“, „სიმდიდრე და სიღარიბე“, „ცელქი რეზო“ და სხვადასხვა ლექსები. „ოცი ძმა“ შემდეგში რამდენიმეჯერ გამოიცა, ხან სურათებით, ხან უსურათოდ. მოთხრობა: „სამჯერ ოცდაორში“ დაიბეჭდა 1907 წ. ეს მოთხრობა ნიკოლოზის ცენზურამ აკრძალა. მონარქიის დამხობის შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა მოთხრობა: „პირმავე“ დაიბეჭდა გაზ. „თავისუფლებაში“ 1917 წ. იმავე წელს დაიბეჭდა ბროშურადაც. მოთხრობა „გოგიაანთ კაკალი“ დაიბეჭდა გაზ. „რკინისგზელში“ 1922 წ. შემდეგ კრებულშიც დაიბეჭდა. ორ მოქმედებიანი პიესა: „სტამბაში“ დაიბეჭდა 1922 წ. ეს პიესა დაიდგა გაზ. „კომუნისტის“ ათასი ნომრის შესრულების გამო გამართულ საზეიმო საღამოში. ზღაპარი-პოემა: „რუიზანი“ გამოიცა 1918 წ. პატარა ბროშურა: „შალიკოს სინანული“ დაიბეჭდა 1910 წ. „ალამალოვის მკვლელები“ დაიბეჭდა 1911 წ. ბროშურები: „ბნელეთიდან“, „ჭირვეული ცოლი“ დაიბეჭდა 1929 წ. 1901 წლიდან გამოდიოდა პატარ-პატარა წიგნაკებად ლექსები ერთმანეთში შერევით სხვადასხვა სათაურებით: „ლექსნი“, „ლექსები“, „ისარი“, „ციცინათელა“, „თავისუფლება“ და „ქარხნის გუგუნი“. პიესები: „უმანკონი“ და „დარბეულნი“ დაიბეჭდა კრებულებშიც და ცალკეც: „დარბეულნი“ – 1911 წ., „უმანკონი“ – 1913 წ. ითვლებოდა გაზ. „კომუნისტის“ მუშკორად და მუშათა განყოფილების პრეზიდიუმის წევრად. იღებდა მონაწილეობას გაზ. „მუშაშიც“ და ჟურ. „ჩირალდანშიც“. სტამბის მუშებმა და ბეჭდვითი კავშირმა 1923 წ. გადაუხადა იუბილე ოპერის თეატრში, გაიმეორეს აგრეთვე მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში, გურიაშიც და გურჯაანშიც. ქალაქმა ბატარეინის ქუჩას დაარქვა მისი სახელი. მუშებმა აირჩიეს ტფილისის საბჭოში. მიმაგრებული იყო მეცხრე შრომის სკოლაზე, აგრეთვე სახალხო სასამართლოებში მსაჯულად. დაჯილდოებულია სამეფო ორგანიზაციებისგან გულის ნიშნით და სიგელით. ახლა გიგო პერსონალური პენსიონერია და ითვლება მწერალთა კავშირის წევრად.

მიხეილ დევაძე

ჩემი ბიოგრაფია

ჩამომავლობით ღარიბი გლეხის შვილი. 10 წლის ვდგები მოჯამაგირეთ ხაშურში ვაჭარ ნერსესოვთან. 13 წლისას მამიდა მათავსებს სემენარიის საეკლესიო სკოლაში მონაფედ. 1895 წლიდან ვიწყებ ფიზიკურ მუშაობას – საზეინკლო, სახარატო და სამჭედლო დარგში, სახელოსნო სკოლაში. აქვე მასწავლებელ შაქრო კანდელაკის წყალობით, ფარული გზით ვეცნობი დეკაბრისტების კამარილას და გლეხთა ცხოვრებას, რის შემდეგ პროკლამაციის კითხვის ინტერესი მეტად მეზადება.

1901 წელს მაისში ვდგები დეპოში ზეინკლად – დღეში მანეთად. აქ მარსაგოვის არაქელას, გ. ჩხეიძის გავლენით ვეცნობი ფარულ ლიტერატურას. ამავე წელს, როგორც ზეინკალი და რემესლენიკი, გავდივარ ორთქლმავალზე თანაშემწეთ. იმ ჟამად უსაზღვრო შრომის გამო და არა ნორმალური მდგომარეობის მიხედვით, მანქანაზე მომუშავენი იყვენ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამორჩენილი, რისთვისაც ვახერხებდი მარტო ლიტერატურის კითხვას და გადატან-გადმოტანას. ვანო ჯეჯელავას, ნ. ლეჟავას, არაქელას ინიციატივით მონინაალმდეგეთა წინააღმდეგ კამათში მონაწილეობის მიღებას. სადგურის მერვე ხაზზედ თბილისში, სოლომონ დოლიძესთან მუშაობის დროს მისი ხელით პირველად ვიხილე გაზეთი „ისკრა“ და გავეცან ლენინის იდეას. 1904 წელს გადამიყვანეს მემანქანეთ შორაპანში. აქ პირველად გავეცანი ფარულ ორგანიზაციის კრებას ღამით მარტოთუბნის ტყეში. პროპაგანდისტობდა ვინმე | პარტიული რიჟა. ინტერესი გამიათკეცდა, რისთვისაც ვეტანებოდი ასეთ კრებებს ჭიათურაში. მხვდებოდნენ პროპაგანდისტები: 1 პარიჟელი, 2 პარიჟელი, კირილე ნინიძე, ბატონი და სხვა, რის შემდეგ აკოფა გალუსტოვთან, გონგაძესთან ერთად შევეცადეთ თვით დაგვეარსებია წრე. 1905 წ. რევოლუციის დროს ვიძენ იარაღს სასტავიტელ პლატონ ნებეირიძისაგან რეაქციის შესახვედრად, მაგრამ დამარცხებულს მიჭერს დიკტატურის აფიცერი. 24 საათი მემუქრება დახვრეტით, მაგრამ მემანქანე იაგოროვის ბერგერის დახმარებით მიშვებს იარაღის ჩასაბარებლად, რის შემდეგ ვიპარები 50 ვერსის მანძილზე სოფელ ჭორვილაში, სადაც ვიმალები. ტიაცის უფროსი შედის ჩემს მდგომარეობაში, გადმოყვევარ თბილისში 1906 წელს ვანო ჯეჯელავას ბინაზე, მრავალჯერ ვესწრები ფარულ კრებებს, სადაც ვათავებ პოლიტიკურ აღზრდას. როგორც ენერგიულს, მაბარებენ 25 კაცს. 5 აჩეიკის წოდებით ვახდენ კრებებს, ვაგროვებ საწვერო გადასახადებს და ფულს ვაძლევდი ჩაჩაროვს, რომელიც იყო 2 რაიონის წარმომადგენლად. 6 თვის შემდეგ ჩაჩაროვის მაგიერ ირჩევენ წულაიას, ჩივაძის მაგიერ მე-2 რაიონში წარმომადგენლად. იქ გადმომცეს კასა, ბეჭედი, პარტიული სუდის საბუთები და რადგან მიმამაგრეს ტერორისტების აქტივთან, აბრამა საპოჟნიკის სახით, ამისათვის გაყვანილი ვიქენ ისპონიტელნი კომიტეტის წევრად. ამ დროს ჩვენი შემადგენლობა იყო ასეთი: პარკიდან – გიგო ლელაშვილი, არჩილა ცერაძე, პავლე წულაია; სადგურის საწყობიდან – გიორგი ცინცაძე, ბუკია; სადგურიდან – დოლიძე,

ბრეგვაძე, ბაგიშვილი. ორგანიზაციაში იყო ჩასახული ბოლშევიკურ-მენშევიკური მიმდინარეობა. კამათში გამოდიოდნენ ალექსანდრე ლომთათიძე, რუსია დარჩიაშვილი და სხვები. ჩიჩაროვის გადმოცემულ ანგარიშებში აღმოვაჩინე გაფლანგვა, არ ქონდა შეტანილი ის ფული, რომელსაც მე უდგენდი 25 კაცის გადასახადს, ამან შემილახა პროკლამაციის სინმინდე – გაეჩუმდი, ჩავიდინე დანაშაული, რის შემდეგ უწევდი დევნილებს პირად დახმარებასაც. ასე დავეხმარე მარსაგოვს, ვანო ჯეჯელავას, გიგო მათიშვილს და სხვებს. კრებებს ვმართავდი ჩემი სიმამრის ბინაზე, ბირჟათ ითვლებოდა არსენა ხავთასის კუთხე პოლევოი სუდის მძვინვარების დროს. მასა შეიბყრო უიმედობამ. არაქელა არ დაიბნა, დაარსა ბაევოი დრუჟინა, მომიყვანა ერთი წევრთაგანი ორთქლმავალზე. შევასწავლე ორთქლმავალის გაჩერება, წაყვანა, გაფუჭება. იმ მომენტში იმედი იყო ძალაში, მე დავიჭირე კავშირი დუშეთის რაიონში წითელ რაზმთან. გადამყავდა წევრები ორთქლმავალით და ვანვდიდი იარაღს. ამის გამო დამიჭირა გუბერსკი ჟანდარმერიამ. სურათი მოთავსებულია რევოლიუციის მუზეუმში, სატუსალოში. მივიღე ნერვრასტენია, რის გამო შუშაზედ გატეხის დროს გადამეჭრა მაჯის ძარღვები. სამსახურიდანაც გამიშვეს. წამიყვანეს ომში. როდესაც დაეცა ნიკოლოზი, რომ ცხრაას ხუთის ნაცვლად არ გამოეგლიჯათ თავისუფლება, ამის შიშით მივიღე ჩემთვის არა ჩვეულებრივი მონაწილეობა 218 პოლკზე, პირველად მე გავხსენ მიტინგი შესაფერი შესავლით და შინაარსით. კაზარმაშიც დავაარსეთ ადგილკომი, ვიყავი თავმჯდომარეთ, სასწრაფოდ მოვიწვიეთ კონფერენციაც, მაგრამ ავადმყოფობის გამო მე გამანთავისუფლეს ჯარიდან, დავდექ ქალაქის აღმასკომში, მეშვეიკებმა დამითხოვეს ოპოზიციონერების გამო. დავდიოდი უსაქმოდ, მანამ დამყარდა ხელისუფლება. იმოსებოდნენ სახელმწიფოს ხარჯით ჩემი დამთხოვნი, მე კი ისევ ძველი ტუჟურკით ვხვდებოდი ჯეჯელავას, გიგო ლელაშვილს შევჩიოდი მე ჩემს ბედს, ისინიც თავიანთ ხვედრს. ამ დროს დავწერე ლექსები, პიესები, მოთხრობები ჩვენი ტრანსპორტის სასარგებლოდ. დაბეჭდილ წიგნებს ვარდგენ. აქ გამოვდიოდი თეატრებში საკუთარი ნაშრომით, რადგან მუხიკოსი ვიყავი მრავალფეროვანი სახით, პლასტიკიც, ლიტერატორიც, ლექტორიც, ანტრეპიორი, ამიტომ თეატრში დამხმარე ძალა ცოტა მჭირდებოდა, რისთვისაც გასავალი იყო ცოტა და შემოსავალი დიდი. ამით შეფის ორგანიზაციის ნაყოფიერება წინ წავსწიე, რისთვისაც ორჯერ ზედიზედ ვიყავი თავმჯდომარეთ. შეფის საქმეს შევსწირე ჩემი ძვირფასი თარი, რომელიც მის გამო დამემტვრა და დღეს გაჭირვებულს მისი გაყიდვა ველარ მომიხერხებია. დღეს ვმუშაობ ორგანიზაცია ბრიზულში, სადაც ერთი თვის განმავლობაში წარვადგინე 28 წინადადება, საიდანაც გავიდა 6 და ვითვლები თვალსაჩინო წევრად.

ყველა ზემო აღნიშნულს ვამტკიცებ წარმოდგენილი დოკუმენტებით. თუ საკმარისი არ იქნება, წარმოვადგენ უფრო მეტს, ვინაიდან ვიყავი ვანო ჯეჯელავას სკოლის მიმდევარი, ჩემი პარტიული სტაჟი უნდა ყოფილიყო 906, მაგრამ მე მითაც ვკმაყოფილდები, რაც ლენინის ნაბოროთ განიზომება, ოღონდ ლუკმა პურის არსებობა გამიადვილებს, მუშის უფლებით ვარ არა ჩვეულებრივი ანატომიის მქონე, დიდი მოდგმის კაცი, რის გამოც პური არა მყოფნის და სხვაზე მეტ სიმშვილს განვიცდი.

ნიკო ლორთქიფანიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს ლორთქიფანიძე ნიკო მერაბის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ნიკო ლორთქიფანიძე
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1880 თვე სექტემბერი დღე 17
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩუენში (ქუთაისის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1902 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა ორგანიზაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, 1917–20 (ზუსტად არ მახსოვს), რადგან ეს იყო გასაბჭოებამდე

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, გერმანული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული.</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო – ავსტრიაში, გერმანიაში, (ვენაში, მიუნხენში, ლეობენში) 1902–1907 წ.წ.</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერ. კავშირის პრეზ. წევრი, პედაგოგი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>იყო 1901 წელს. (იხ. ავტობიოგრაფია</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>–</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჭავჭავაძის 23</p>

მუშაობის შესახებ იხ. ანკეტა.

„ — “ _____ 1937 წ. 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნიკო მერაბის-ძე ლორთქიფანიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1880 წელს, 17 სექტემბერს (ძვ. სტ.) სოფელ ჩუნეშში, ქუთაისის რაიონი, წყალტუბოს თემი. ჩამომავლობით აზნაური, ნაციონალიზმით ქართველი. მამაჩემს ქონდა მიწები და იმავე რაიონში მსახურობდა მომრიგებლად. პირველად ვსწავლობდი კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ სწავლა იქ არ დამიმთავრებია, საშუალო სასწავლებელი დავამთავრე ორჯონიკიძეში (ყოფ. ვლადიკავკაზში), სწავლა გავაგრძელე ხარკოვის უნივერსიტეტში და შემდეგ წავედი ავსტრიის სამთო აკადემიაში (ქ. ლეიბენში), მაგრამ კურსი არ დამიმთავრებია. 1907 წლიდან 1912 წლამდე ვიყავი მასწავლებელი გერმანული ენისა ქართულ გიმნაზიაში (თბილისში), 1912 წლიდან 1925 წლამდე ვიყავი გერმანული ენის მასწავლებელი ქუთაისში – პირველ კლასიკურ გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ქალთა გიმნაზიაში და შემდეგ ტექნიკუმში.

1925 წლიდან 1926 წლამდე ვიყავი სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრი: 1928 წლიდან ვიყავი კიროვის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი, ხოლო შემდეგ კათედრის გამგე უცხო ენათა განხრით. 1928 წლიდან ვარ საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციის წევრი. საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვწევი 1910 წლიდან 1912 წ. ვიყავი დრამატიული საზოგადოების წევრი თბილისში და ვიყავი თავმჯდომარის მოადგილე ქართველ მწერალთა კავშირისა.

1921 წელს ვიყავი ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ პ/მგ. მდივანი ქუთაისში. 1923-1924 წლებში ვიყავი სსსრ ხელოვნების მუშაკთა გამგეობის წევრი. 1932 წლიდან 1939 წლამდე ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის წევრი.

გასამართლებული ვიყავი 1901 წელს ანტიებრაული პიესის „კონტრაბანდისტების“ წინააღმდეგ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის და მომესაჯა ორი თვით პატიმრობა ციხეში. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის ორჯერ ვიყავი გარიცხული ხარკოვის უნივერსიტეტიდან 1900–1902 წლებში.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1902 წელს, რის შემდეგ ვიბეჭდები პერიოდულ გამოცემებში. ცალკე წიგნებად გამოცემულია ჩემი 14 წიგნი, მათ შორის ოთხტომეული სრული თხზულებებისა გამოცემული იქნა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

ჩემი ნაწარმოებები გამოცემულია რუსულ ენაზე, უკრაინულსა და სხვა მოძმე ერების ენაზე.

1917 წელს ჩემს მიერ შედგენილი იქნა გერმანული ენის სახელმძღვანელო უფროს კლასებისათვის, რომელიც გამოცემული იქნა გამომცემლობა „ამირანის“ მიერ.

1932 წ. ჩემს მიერ თარგმნილი და შევსებული იქნა გერმანული ენის სახელმძღვანელო უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლისათვის, რომელიც გამოცემული იქნა საქ. სახელგამის მიერ.

სამხედრო სამსახურიდან ვიყავი თავისუფალი და არავითარ არმიებში არ მიმსახურია.

1939 წ.

ნ. მ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა სია:

1. წიგნი პირველი, 1924 წ.
2. „დანგრეული ბუდეები“.
3. „უიალქანოდ“.
4. „იმერი“, 1934 წ.
5. თხზულებანი, ტ. 1. „ქარიშხალამდე“, 1934 წ.
6. მოთხრობები, 1929 წ.
7. „ნანგრევთა სურნელება“, 1927 წ.
8. „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, 1929 წ.
9. ცალკე წიგნებად გამოვიდა: „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“, „იუმორი“ და სხვ.

აღნიშნულ ნაწარმოებთა უმრავლესობა თარგმნილია რუსულ და მოძმე ხალხთა ენებზე – მოთხრობები, ამბები, მინიატურები, ზღაპრები, სურათები და სხვ.

ამ ნაწერებზე დაწერილია კრიტიკული წერილები – რადიანისა, ს. რაჭველიშვილისა, ალ. არსენიშვილისა, ვალ, ბახტაძისა და სხვათა მიერ.

სწორია:

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	(რეპრესირებული იქნა 1937 წელს) ჯავახიშვილი მიხეილ საბას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	მიხეილ ადამაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1880 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) დაიბადა ს. წერაქვეში, ბორჩალოს მაზრა
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	ცოლი, 2 შვილი, სიდედრი, შვილიშვილი
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა (მხატვრული ლიტერატურა)
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1903–1908 წ., 1923 წ. სულ 34 წლის სტაჟი ლიტერატურული მუშაობისა
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„არიფიონი“
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	1903–07 წლ. ფედერალისტთა პარტიაში ვიყავი, 1915–1923 ეროვ.-დემოკრატებისა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ფრანგული, ცოტა თურქულიც
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა, 1915–1917 წლ. წითელ ჯვარში ვმუშაობდი
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	<p>–</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1906–1909 წლებში ვცხოვრობდი ჟენევაში, პარიზში, ბრიუსელში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არავინ</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>საქ. ცაკის წევრი, საკ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენოსანი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ელბაქიდის დალ. 21</p>

ანკეტა შევსებულია 1937 წლის 16 ივნისს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილის ავტობიოგრაფია

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი (ადამაშვილი) დავიბადე 1880 წ. 8 ნოემბერს სოფ. წერაქვში, ბორჩალოს მაზრაში, შეძლებული გლეხის ოჯახში.

ოთხი წელიწადი პრივოლნოეს და ჯელალოლის რუსულ სკოლებში დავ-ყავი. 1893 წ. წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლაში მიმავარეს. იქიდან ყირიმის საბალოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში გადავედი. 1899-1900 წლებში დედ-მამა დამეხოცა. კურსის დამთავრებას ერთი წელიწადილა მაკ-ლდა, მაგრამ აღარ დავუცადე და 1901 წ. სამშობლოში დავბრუნდი.

მამაჩემმა შულავრის მახლობლად სახაზინო მამულში ახალი სოფელი სიონი გააშენა და თვითონაც იქ გაიჩინა სახლკარი.

1899 წლის დამლევს ჩვენ სახლს მეზობლები დაეცნენ. ჩემი უმცროსი დის, სოფიოს მოტაცება უნდოდათ. მამაჩემი შინ არ იყო. ქალები გაუძალიანდნენ. ბრძოლის დროს იმ მხეცებმა ჩემი დაც მოჰკლეს, დედაც და ჩვენი მოჯამაგი-რეც. მამაჩემი ატიესტი იყო, მაგრამ ამ უბედურებამ მოსტეხა. ძველი ეკლე-სიის განახლებას დიდძალი ფული დაახარჯა და ერთი წლის შემდეგ თვითო-ნაც გარდაიცვალა. ამან იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ 1902 წელს იქაურო-ბას თავი დავანებე და მას აქეთ იმ სოფელში ერთხელაც აღარ მივსულვარ.

ერთი წელიწადი ალავერდის სპილენძის ქარხანაში ვიმსახურე. წერა იქ და-ვიწყე. რუსულად და ქართულად ვწერდი და ვხევიდი. უამრავი ნაწერი მოვსპე. ქონებრივად კარგად ვიყავი მოწყობილი, მაგრამ კულტურული მუშაობის სურ-ვილმა დამძლია და 1903 წელს ტფილისში გადმოვსახლდი. აქ დიდი გაჭირვება განვიცადე, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა. ნოემბერში, ერთ ღამეში, „ჩან-ჩურა“ დავენერე, რომელიც „ცნ. ფურ.“-ის დამატებაში დაიბეჭდა. იმავე დროს ამ გაზეთში მუდმივი თანამშრომლობა დავიწყე.

1904 წელს „ივერიის“ ფაქტიურ რედაქტორად მიმიწვიეს. 1905 წელს ეს გაზეთი ფ. გოგიჩაიშვილის ხელში გადავიდა და მეც იქ გადავედი. საგაზეთო მუშაობამ მეტისმეტად გამიტაცა და ამიტომ 3 წელიწადში მხოლოდ 8 პატა-რა მოთხრობა დავწერე („ჩანჩურა“, „თავდავინყება“, „უპატრონო“ და სხ.), რომელნიც 1924 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა.

1906 წ. „გლეხი“-ს რედაქტორობისთვის სამართალში მიმცეს. მე შევიცა-რიაში გავიპარე. 1907 წ. პარიზში გადავედი და იქაურ უნივერსიტეტში ლი-ტერატურას, ხელოვნებას და პოლიტ. ეკონომიას ვსწავლობდი. მცირე ხანს შევიცარიამი, იტალიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში და გერ-მანიაში ვიმოგზაურე. ჭაბუკობაში შემთხვევით სტამბოლშიც ვიყავი.

1909 წლის დამლევს სხვისი პასპორტით დავბრუნდი სამშობლოში. ერთმა ჯგუფმა ჟურნალი „ერი“ გამოსცა. ჟურნალი მალე მოგვისპეს, ხოლო მე და-მაპატიმრეს, ერთი წელიწადი მეტეხში მამყოფინეს და კავკასიიდან გამაძევეს. როსტოვში დამზღვევი საზოგადოების საოლქო ინსპექტორის ალაგი მომცეს.

1912 წელს კავკავში ცოლი შევირთე (ლიუბა ჯაჭვადე), ხოლო 1913 წელს დაზღვევის იმავე საზოგადოებამ რწმუნებულად დამნიშნა ამიერ კავკასია-ში. ომი რომ დაიწყო, დაზღვევა შეაჩერეს. მე გაზეთ „საქართველოში“ და-

ვინცე მუშაობა. კავ-ის სამხედრო ოლქის უფროსმა გენ. ვოლსკიმ „მირჩია“ კავკასიას გაემორებოდი. მე წითელი ჯვრის სამსახურში შევედი და 1918 წლამდის საქ. სავ. სამრენ. პალატაში ვმსახურობდი, რომელიც ჩემი მონაწილეობით დაარსდა.

1921-1922 წ. ს. მ. უ. ს-ის სანარმოო განყ. კოლეგიის თავმჯდომარე ვიყავი.

1922 წ. ა. კ. საგარეო ვაჭრობის საფინანსოს, ეკონომიურს და სალიცენზიო განყ-ებს განვაგებდი.

1923 წ. „ტყის კაცი“ დავწერე და საბოლოოდ დავუბრუნდი მწერლობას. მას აქეთ ოციოდე მოთხრობა და 5 რომანი დავწერე („კვაჭი“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“ და „ქალის ტვირთი“). თითქმის ყველა ჩემი ნაწარმოები ჯერ „მნათობში“ იბეჭდებოდა და მერმე ცალკე წიგნად გამოდიოდა. რამდენიმე სახალხო გამოცემის გარდა, ცალკე წიგნად დაიბეჭდა ტფილისში:

ქართულად: 1) „მოთხრობები“, 1924 წ.;

2) „კვაჭი კვაჭანტირაძე“, 1925 წ.;

3) „ჯაყოს ხიზნები“, 1925 და 1926 წ.;

4) „ორი განაჩენი“ (მოთხრობები), 1926 წ.;

5) „პატარა დედაკაცი“ (მოთხრობები), 1929 წ.;

6) „არსენა მარაბდელი“, 1933 წ.;

7) იგივე, 1936 წ.;

8-11) თხზულებანი, ტ. I, II, III, IV, 1933-1934 წ.

რუსულად: 1) „Суд“ – Тиф. Листок, 1906 г., №96;

2) „Чанчур“ – газ. „Закавказье“, 1909 г., №№207, 208;

3) „Камень дьявола“ – „Закавказье“, 1909 г., №174;

4) „Камень дьявола“ – жур. „Пламя“ – 1923 г., №12;

5) „Ламбало и Каша“, рассказы, – Госиздат, Москва, 1927 г.;

6) „Белый воротник“ – Тифлис, „Заккнига“, 1928 г.;

7) „Хизани Джако“ – Госиздат, Москва, 1928 г.;

8) Жур. „Красная Новь“ (Москва) – 1930 г., №3, рассказ „Чашечка“;

9) „Чашечка“ – „Заккнига“, 1930 г.;

10) „Арсен из Марабды“ – „Сов. Лит.“, Москва, 1934 г.;

11) „Арсен из Марабды“ – ГИХЛ, Москва, 1934 г.;

12) „Арсен из Марабды“ – изд. Закгиз, Тифлис, 1934 г.;

13) „Обвал“ – Заккнига, 1930;

14) „Арсен из Марабды“ – изд. „Ист. романы“, Москва, 1936 г.

უკრაინულად: 1) Журн. „Червонный Шлях“, 1929 г., №1, Злодей (ქურდი).

2) Рассказ „Два сини“ – Книгоспилка, Харків;

3) „Покидьки житя“ („Хизани Дзяко“), Д.В.У, Харків, 1930;

4) „Збирка оповідань“ (მოთხრ. კრებული).

5) Зустріч (ხუთის ამბავი), Книгоспилка, Харків, 1930 г.;

6) Ламбало и Хаша, Книгоспилка, Харків, 1930;

7) Завала (ჯაყოს ხიზნ., მეორე თარგმ.), Рух, Харків, 1931 г.

- 8) Арсен з Марабді – Київ, 1937;
- 9) Чашечка – Книгоспилка, Харків, 1930 г.
- სომხურად: 1) „პროლეტარის“ დამატებაში „პაპა დიმო“ – 1928 წ. იანვრის 4-5;
- 2) „არსენა მარაბ.“ – ერევანი, სახელგამი, 1936 წ.
- თურქულიდან: „მართალი აბდულა“ – 1928 წ. ბაქო.
- ფრანგულად: 1) ჟურნ. „Candide“ Paris, 1931 წ., №325, „მართალი აბდულა“; 2) ჟურნ. „Candide“, 1933, №464 „Le cordanier Gabo“ (მეჩეკმე გაბო).
- ჩეხურად: „Bily limec“ - va'clav petr, Praga, 1930 („თეთრი საყელო“, პრაგა).
- კრიტიკული წერილები და რეცენზიები ჩემი ნაწერების შესახებ:
- 1) ზანგი, „ცნ. ფურც.“, 1905 წ., №2723;
 - 2) ი. – „ფასკუნჯი“, №3, 1903 წ.;
 - 3) კ. აბაშიძე – ეტიუდები, ტ. II, 1912 წ.;
 - 4) ი. გომართელი – წინასიტყვაობა ჯავ-ლის მოთხრობებისა, 1924 წ.
 - 5) ი. გომართელი – „ქართ. სიტყვა“, 1924 წ., №27;
 - 6) „ახალი კავკასიონი“, №I და II, 1925 წ., რაჭველიშვილისა;
 - 7) ივ. გომართელი – „ახალი გზა“, 1925 წ., №16-17;
 - 8) ვ. გაფრინდაშვილი – „მნათობი“, 1925 წ., №3-4;
 - 9) ვ. გაფრინდაშვილი – „დროშა“, 1924 წ., №16-17;
 - 10) ალი არსენიშვილი – „დროშა“, 1925 წ., №24;
 - 11) ლ. მეტრეველი – „კომუნისტი“, 1926 წ., №150;
 - 12) კ. რაჭველიშვილი – „ზარია ვოსტოკა“, 1926 წ., №1264;
 - 13) ვალია ბახტაძე (გ. ლი.) – „მნათობი“, 1927 წ., №1, „ქარ. მწერლობა“;
 - 14) ივ. ჯაფარიძე – „ქარ. მწერლობა“, 1927 წ., №2;
 - 15) ს/ვ. ყიფიანი (იქვე);
 - 16) ბ. ჟღენტი (იქვე);
 - 17) П. Магара „Рабочая Правда“ (Москва), 1927 г., 7 ноября;
 - 17) Рани – „Заря Востока“, 1927 г., №1647;
 - 18) იბ. ვართაგავა – „მ. ჯავახიშვილის შემოქმედება“, ტფილისი;
 - 19) Сутирин, „Очерки литературы Закавказья“, Тифлис, 1928 г.;
 - 20) „ახალი გზა“ – 1928 წ., №69-70, „ჯ. ხიზნები“ ჭანტურიშვილისა;
 - 21) „ЧИП“ (Москва) (ორი წერილი);
 - 22) ვ. ბახტაძე – „კომუნისტი“, 1929 წ., №3;
 - 23) Горбачев – „Печать и рев.“, Москва, 1929 г.;
 - 24) შ. რადიანი – „ქარ. მწერ-ბა“, 1929 წ., №12;
 - 25) დ. დემეტრაძე, „პროლ. მწერლობა“, 1929 წ., №1;
 - 26) „Новый мир“, Москва, 1929 г., №6;
 - 27) შ. რადიანი, „ახ. კომ.“, 1929, №519;
 - 28) Адонц – „Жизнь искусства“ (Ленинград), 1929 г., 25 августа;
 - 29) Б. Буачидзе – „Пути современной груз. литер.“, Заккнига, 1929 г.;
 - 30) „Тихоокеанская звезда“, 1929, №277;

- 31) ბ. ბუაჩიძე – „მნათობი“, 1930, №1-2;
 - 32) შ. რადიანი – „მნათობი“, 1931, №1-2;
 - 33) „პროლეტ. მწერლობა“, ბ. ბუაჩიძე, 1931, №1-2;
 - 34) ბ. ჟღენტის – „მნათობი“, 1932, №7;
 - 35) „სალიტ. გაზეთი“, 1932, №9, 10, 11, 16, 17;
 - 36) ბ. ჟღენტის – „მნათობი“, 1932, №7;
 - 37) Доклады акад. наук, Ленинград, Н. Марр;
 - 38) „სალიტ. გაზეთი“, 1932, №25;
 - 39) შ. რადიანი – „კომუნისტი“, 1933, №86, „არს. მარაბდელი“;
 - 40) „საბჭოთა მწერალი“ (ქუთაისი), 1933, №1-2, დია ჩიანელი: „არს. მარაბდელი“;
 - 41) „სალიტ. გაზეთი“, 1933, №10, „ახალი მიჯნა“;
 - 42) Б. Буачидзе – „Литер. газета“ (Москва), 1933, №20, „Арсен из Марабды“;
 - 43) ს. ხუნდაძე – „სალიტ. გაზ.“, 1933, №11;
 - 44) ბ. ბუაჩიძე – „არს. მარაბდელი“, „სალიტ. გაზეთი“, 1933, №12;
 - 45) Б. Жгенти, „Заря Востока“, 1933, №144;
 - 46) ბ. ჟღენტის – „მნათობი“, 1933, №5, „არს. მარაბდელი“;
 - 47) ბ. ბუაჩიძე – „არს. მარაბდელი“, „დროშა“, 1933, №15-16;
 - 48) ლ. კალანდაძე – „სალიტ. გაზეთი“, 1933, №20;
 - 49) ბ. ბუაჩიძე – „კვაჭიდან არსენა მარაბდელამდე“, ტფილისი, 1933;
 - 50) Б. Буачидзе – „Творч. вопросы груз. литературы“, Тифлис, 1933;
 - 51) И. Бороздин – „Грузия в прошлом веке“, „Лит. газета“, Москва, 1933, сент. 17;
 - 52) „На рубеже востока“ – Ш. Радиани, 1933, №1;
 - 53) სტ. ზორიანი – „გრაკინ თერთ“, ერევანი, 1934, №5;
 - 54) „Литер. Критика“, Москва, 1934, №2, В. Голцев, „Творчество М. Джавахишвили“;
 - 55) იქვე – В. Голцев, „Новая книга о груз. литературе“.
 - 56) იგივე წერილი, იხ. გაზ. „კომუნისტი“, №90;
 - 57) Б. Жгенти – „Заря Востока“, 1934, апр. 23;
 - 58) ბ. ჟღენტის – „კომუნისტი“, 1934, №95;
 - 59) დ. დემეტრაძე – „კომ.“, 1934, №95;
 - 60) В. Гольцев, „Рассказы Джавахишвили“, „Лит. газета“ (Москва), 1934, №86;
 - 61) Жур. „Звезда“ (Ленинград), 1934, Д. Вигодский;
 - 62) „Комсом. правда“, 1936, №244 „Арсен из Марабды“ – А. С.
- და სხ. და სხ.
- გარდა ამისა, მე ვთარგმნე მოპასანის „25 ფრანკი“, „შკაფი“ („ცნ. ფურც.“, 1904, №206, 208), „ტურფა მეგობარი“ (სახელგამი, 1931), ჩეხოვის „გზაში“ („ცნ. ფურც.“, 1904, №215, 217, 219), „პოლონეთის მდგომარეობა“ ჰენრიკ სენკევიჩისა („ივერია“, 1905, №6, პ. ისტრატის „ქოჩორა თურინჯი“ (სახელგამი, 1929) და სხ.

მოთხრობების და რომანების გარდა მრავალი წერილი დავწერე, მაგ-ად:

„ჩვენ და ჩვენი თეატრი“ („ცნ. ფურც.“, 1903, №2313, 2314, 2336); „ავტონომია და ოლქობრივი თვითმმართველობა“ („ივერია“, 1905, №75); „გერმანიის მუშათა პარტია“ („ივ.“, 1905, №120); „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“ („ივ.“, 1905, №163); „მილიტარიზმი“ („ივ.“, 1905, №195); „ფინლანდიის და პოლონეთის მაგალითი“ („ივ.“, 1905, №196); „რეაქციის საქმენი საგმირონი“ („ივ.“, 1905, №201); „ვიტე და მისი სამინისტრო“ („ივ.“, 1905, №203); „ერთი ათასთავანი“ („ივ.“, 1905, №208); „ეროვნული საკითხი ავსტრიაში“ („ივ.“, 1906, №1); „დედაკაცი ამერ. შერ. შტატებში“ („ივ.“, 1906 №1); „თანამედროვე ავსტრია და მისი სახელმწიფოებრივი იდეა“ („ც. ფ.“, 1906, №3023); „სახელმწიფო დაზღვევა გერმანიაში“ („ივერია“, 1906, №2); „მომხმარებელი ამხანაგობანი“ (იქვე); „ჩარტისტების მოძრაობა“ („ივ.“, №9); „მინისტრების პასუხისმგებლობა“ (იქვე, №11); „მინისტრობებზე ახალ ზეღანდიაში“ (იქვე); „ავტონ. ფედერ. ჯგუფი სახელ. სათათბიროში“ („შრომა“, 1905, №35); „რას იტყვიან ჩვენი დეპუტატები“ (იქვე, №37); „ჰენრიკ იბსენი“ („ივ.“, №12); „ოჯახი“ („შრომა“, №3); „კავკასიის ავტონომია თუ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიები“ („ივერია“, №13, 14); „პატარა ფიქრები“ („ივ.“, №14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21); „აგრარული რეფორმები ირლანდიაში“ („ივ.“, №15); „გლეხის წერილები“ („გლეხი“, №2, 3, 4); „სიცოცხლის დაზღვევა“ („კომუნისტი“, 1924 წ., 8 მაისი); „ქართ. ეროვნ. მუზეუმი“ („დროება“, 1909, №278); „მოპასანი და მისი ცხოვრება“ („საქ. მოამბე“, 1910, №10); „ისევ ქართ. ენის შესახებ“ („ქარ. სიტყვა“, 1923, №28); „ქრონიკა თუ შემოქმედება“ (ყურ. „ქართ. მწერლობა“, 1928, №2-3); „ახალი სალიტ. ქართულისათვის“ („მნათობი“, 1928, №12 და 1929, №1); „ჩემი პასუხი“ („სალიტ. გაზეთი“, 1933, №11); „როგორ იწერებოდა არ. მარაბდელი“ („დრომა“, 1933, №9); „Задачи литературы“ – Лит. газета (Москва), 1933, ноябрь 11; „როგორ ვმუშაობ“ („მნათობი“, 1933, №10); „სალიტ. ქართულისათვის“ („კომ.“, 1934, №99); „სასარგებლო ლაშქრობა“ („სალიტ. გაზ.“, 1934, №13); „რუსთაველი თუ რუსთველი“ („კომ.“, 1934, №248); „ვ. ტყეის“ დაბოლოებისათვის“ („კომ.“, 1934, №263); „ვეფხის ტყაოსანი“ კ. ჭიჭინაძის რედაქციით („მნათობი“, 1934, №9); „ისევ სალიტ. ქართულისათვის“ („კომ.“, 1935, №156); „ლიტერ-ლი საქართველო“, 18 ივლ., 1936, „წინამურა“ და სხ. (იხ. აგრეთვე სტენოგრამები სრ. საკ. საბ. მწერლების პირველი ყრილობისა (Москва, 1934), სადაც ჩემი სიტყვაა დაბეჭდილი).

უნდა აღვნიშნო, რომ 1924 წლამდის დაწერილ საგაზეთო წერილებს გვარს არ ვაწერდი (ფსევდონიმები: ა-ლი, ალი, მალი, მადლი, მ. ად-ლი, მ. ა-ლი და სხ.).

1928-1929 წ. „არიფიონი“-ს სალიტერატურო ჯგუფს ვეკუთვნოდი.

ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანაში (1903–1908 წწ.) ერთგვარ გავლენას განვიცდიდი ფლობერის, მოპასანის და გორკისა, ხოლო ქართული ენის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა მყავდა (მის პროზას ვგულისხმობ).

ამ უამად ვირიცხები წევრად საქ-ის ცაკის, საქარ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის, სრ. საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის, პუშკინის მთავარი საიუბილეო კომიტეტის პრეზიდიუმის, შოთა რუს-

თაველის საიუბილეო კომიტეტის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის, ლიტფონდის გამგეობის, ენის ნორმების დამდგენი კომისიის, თავმჯდომარე საქ. მწერალთა კავშირის პროზის სექციისა და სხ.

1936 წ. შრომის ნითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვეს.

*მიხეილ ჯავახიშვილი
30 ნოემბერი, 1936 წ.*

მიხეილ ჯავახიშვილი¹

დაიბადა 1880 წ. 8 ნოემბერს სოფ. ზემო წერაქვში (ბორჩალოს მაზრა), შეძლებული გლეხის ოჯახში. ჯერ სწავლობდა რუსულ სკოლებში, მერმე წინამძღვარიანთ კარისა და ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სკოლებში. 1901 წელს ამ დარგს თავი მიანება. 1903 წლამდის ალავერდის სპილენძის ქარხანაში მსახურობდა. იმავე წელს სამსახურსაც თავი დაანება, ტფილისში გადმოსახლდა და მწერლობას შეუდგა. პირველი მისი მოთხრობა „ჩანჩურა“ 1903 წ. „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიბეჭდა. იმავე დროს ახალგაზრდა ავტორი რედაქციამ მუდმივ თანამშრომლად მიიწვია. მოთხრობების გარდა ჯავახიშვილი სწერს ლექსებს, პუბლიცისტურსა და კრიტიკულ წერილებს, მაგრამ თავის ნამდვილ გვარს ჯერ არ ამჟღავნებს (ფსევდონიმები: ადამაშვილი, ალი, ა-ლი, ადლი, ად-ლი, მადლი, მ. ად-ლი). 1904 წელს ერთ ხანს ის ფაქტიური რედაქტორია „ივერიისა“, 1906 წელს – „გლეხისა“. მეფის შეურაცყოფისთვის და ლიბკნეხტის „ობობა და ბუზის“ დაბეჭდვისთვის მას პასუხისგებაში აძლევენ. ის ევროპაში გადაიხვეწა. სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიას და პოლიტიკურ ეკონომიას. 1909 წლის დამლევს სამშობლოში დაბრუნდა და ჟურნალ „საქ. მოამბეს“ რედაქტორობდა. 1910 წ. დააპატიმრეს, 1 წლის ციხე და კავკასიიდან 5 წლით გადასახლება მიუსაჯეს. 1913 წელს ისევ სამშობლოში დაბრუნდა. 1911–1914 წ. რწმუნებული იყო დამზღვევი საზოგადოებისა. 1915 წელს ერთერთი რედაქტორთაგანი იყო გაზეთ „საქართველოსი“. იმავე წლის დამლევს მას წინადადება მისცეს კავკასიიდან წასულიყო. ჯავახიშვილი ნითელი ჯვრის სამსახურში შევიდა და სპარსეთის ფრონტისკენ გაემგზავრა. 1918 წ. ის სხვებთან ერთად სავაჭრო-სამრეწველო პალატას აარსებს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის ამ დაწესებულებაში მუშაობს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის ამ დაწესებულებაში მუშაობს. 1921 წ. ცენტ. სან. განყ-ის კოლეგიის თავმჯდომარეა (ს.მ.უ.ს.-ში), ხოლო 1922 წ. ა. კავ. სამ. ვაჭრ-ის კომისარიატში გადადის (თავმჯდომარე სალიცენზიო ბიუროსი და ფინგანის გამგე). 1923 წ. ის საბოლოოდ დაუბრუნდა ლიტერატურას. 15 წლის დუმილის შემდეგ მან დასწერა რომანები „კვაჭი“, „ჯაყოს ხიზნე-

1. ავტობიოგრაფია მიხეილ ჯავახიშვილის მიერ მესამე პირობა დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

ბი“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“ და ოცდასამი მოთხრობა. ჯავახიშვილი პროფესიულ მწერლად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა. უნინ მან 20 წ.-ში (1903-1923) მხოლოდ შვიდიოდე ფორმა დასწერა, ხოლო უკანასკნელი 12 წლის პროდუქცია ასორმოც ფორმას აღემატება.

პირველი მისი წიგნი „მოთხრობები“ 1924 წ. გამოვიდა. მას მოჰყვა „კვაჭი“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“ და სხ. 1932–1934 წ. სახელგამმა მისი თხზულებანი ოთხ დიდ ტომად დაბეჭდა. ზოგი რომანი („ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“ და სხ.) სამჯერ იქნა გამოცემული. მისი ნაწერების ტირაჟმა 100.000 მიაღწია, ხოლო სხვა ენებზედაც რომ ვიანგარიშით, 300.000 გადააჭარბა.

რუსულ ენაზე მისი თხზულებანი 9 წიგნად დაიბეჭდა. მარტო „არსენა მარაბდელი“ 100.000 ცალი გავრცელდა. რუსულის შემდეგ ყველაზე მეტად უკრაინაში გამოსცეს. ზოგი რომანი და მოთხრობა ფრანგულ, ჩეხურ, ბელორუსულ, თურქულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა. 1927 წ. ჯავახიშვილის ინიციატივით სალიტერატურო ჯგუფი „არიფიონი“ დაარსდა, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაიშალა. არც მანამდის და არც შემდეგ ჯავახიშვილი არც ერთ ჯგუფში არ ყოფილა.

ამ ჟამად ის წევრია საქ. ცაკ-ისა, საქ. და საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისა. 1936 წ. ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

[1936 წელი]

ნოე ქურიძე – ზომლეთელი

ჩემი ავტობიოგრაფია

დავბადე 1880 წელში, ს. ზომლეთში (გურიაში), ღარიბი გლეხის ოჯახში. 6 წლისამ დავინყე სწავლა სოფლის სკოლაში. 11 წლისამ დავასრულე ბასილეთის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. სწავლის განგრძობა რომ არ შემეძლო, სიღარიბის გამო, დავინყე სახლში მუშაობა. ვმწყემსობდი, ვეხმარებოდი მამას ყანებში, ვზიდავდი შეშას სახლში და ვმოჯამაგირობდი კიდეც. 1893 წელს დამნიშნეს ბიბლიოთეკრად გურიის წიგნთსაცავში (ს. აკეთში). სამი წლის აქ სამსახური ჩემთვის ფრიად ნაყოფიერი შეიქნა. აქ დავუახლოვდი მასწავლებელ აკაკი გეგეჭკორს, რომელსაც ვეხმარებოდი სკოლაში. მას ისე მოვენონე, რომ მირჩია სამასწავლებლო სემინარიაში შესვლა. კეთილი ხალხის დახმარებით ცოტაოდენი ფული შევაქუჩეთ და მეც წავედი ხონში 1896 წელს. მოვემზადე და დავიჭირე გამოცდები სემინარიაში შესასვლელად. 1900 წელს დავასრულე სასწავლებელი და ამ დღიდან ვმასწავლებლობდი გურიაში ს. ასკანაში. 1899 წ. პუშკინის დაბადებიდან 100 წლის თავზე დავსწერე და წავიკითხე ლექსი, რომელიც დაიბეჭდა ამავე წელს კავკასიის ოლქის მზრუნველის მიერ გამოცემულ საიუბილეო ჟურნალში. 1901, 1902 და შემდეგ წლებში ვკორესპონდენტობდი გაზეთ „კვალში“, 1906-დან კი განუწყვეტლივ ვთანამშრომლობდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მხოლოდ პარტიულ პრესაში. 1903 წლიდან, მოსე ნინიძესთან ერთად, მონაწილეობას ვღებულობდი საიდუმლო წრეებში. 1905-ში რამდენიმე თვე ვმუშაობდი ლანჩხუთის რაიონში პროპაგანდისტ-მასსოვიკად. შემდეგ ნიგოთის რაიონში. ვიყავი რაიონისა და სოფლის წარმომადგენელი. ვიყავი სასოფლო წითელი რაზმის წევრი. მივიღე მონაწილეობა ნასაკირალის ბრძოლაში, ვიცავდი სუფსის მარჯვენა ნაპირს. რეაქციის პერიოდში ვიდექი მასწავლებელთა მოძრაობის სათავეში გურიაში, ვიყავი სახელმწიფო სათათბიროს ამრჩეველი ს. დ. პარტიის კანდიდატი. 1907 წელს დამაპატიმრა ცნობილმა ტალმაჩოვმა, მოსჯილი მქონდა ცივ ქვეყნებში გადასახლება, მაგრამ სახალხო სკოლების დირექციის შუამდგომლობით (მართალია, ორი წლით გაფიცული ვიყავი 1905 და 1906 წლებში, მაგრამ კარგ მასწავლებლად ვითვლებოდი და ეს იყო შუამდგომლობის მიზეზი) გადასახლებულ ვიქენი საგენერალგუბერნატოროს საზღვრებიდან. დირექციის საქმეში ჩარევის შედეგად მე გურიიდან გადაყვანილ ვიქენი ზუგდიდის მაზრაში ს. ცაიშში, სადაც 1908 წლიდან ვმასწავლებლობდი 1912 წლამდე. აქ დავაარსე წიგნთსაცავსამკითხველო ცაიშში, ვღებულობდი მონაწილეობას მაზრის კულტურულ საქმეებში (1908 წ. აკაკის იუბილეზე ვიყავი მომხსენებელი, ვკორესპონდენტობდი და სხ.).

1912 წელს არჩეულ ვიქენ სოხუმის ქ.შ.ნ.გ.ს. ქართული სკოლის მასწავლებლად. 1915-დან ვმასწავლებლობდი აგრეთვე სოხუმის ქალთა გიმნაზიაშიც. 1918 წლიდან ვიყავი სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის ენისა და მათემატიკის მასწავლებლად, რომელი სამსახურიც შემანყვეტია გასაბჭოების პირველსავე დღეებში შრომის კომისრად და „საბჭოთა აფხაზეთის“

პასუხისმგებელ რედაქტორად დანიშვნამ. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ესეც შემანყვეტია ფიზიკური სისუსტის ნიადაგზე აღმოცენებულმა ავადმყოფობამ. სოხუმში მუშაობის დროს ვიყავი ს.დ.მ.პ. კომიტეტის წევრი (ორგანიზაციაში უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ). 1920-დან კომუნისტი ვარ.

1921 წელს მაისიდან ვიწყე მუშაობა გურიაში. ვიყავი განათლების განყოფილების თავმჯდომარე, გურიის კომიტეტის აგიტპროპი და „განახლებული გურიის“ რედაქტორი. ვიყავი აგრეთვე გაერთიანებული კავშირების თავმჯდომარე იქვე.

1922 წლიდან ცეკას მიერ დანიშნულ ვიქენი „პროლეტარული ბრძოლის“ (აჭარისტანის საოლქო კომიტეტის ორგანო) რედაქტორად. 1923-24 წლებში ვიყავი ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი, 1925 წლიდან 1927 წლამდე – საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო 1927 წლიდან ვიდრე დღემდე ვმსახურობ საქ. რევოლ. მუზეუმში სწავლულ თანამშრომლად. მაქვს გამოცემული რამდენიმე მხატვრული წიგნი და სახელმძღვანელო.

ნოე ქურიძე (ზომლეთელი)
20/XII – 34 წ.

პავლე სანაკოევი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	სანაკოევი პავლე ალექსის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1882 თვე იანვრის დღე 15
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჯავა
4. ეროვნება	ოსი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	მოთხრობები, რომანები
8. რა ენაზე წერს	ოსურად, ქართულად, რუსულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1927 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1945 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	–

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ოსური, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სოფ. პანო, ლაგოდეხის რაიონი, სარაიონო რევეკომის წევრი; ლაგოდეხის რაისაბჭოს წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არაფერი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>სტალინის ქ. 62</p>

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1921	22	მღვდელი, მასწავლებელი	სოფ. პონა	ლაგოდეხის რაიონი
1922	25	მასწავლებელი	სოფ. განათლება	„—“
1925	29	გამგე	განათლების კომისარიატის სტამბა	სტალინირი
1930	37	უფროსი კორექტორი	ს. ოსეთის სახელგამი	„—“
1937	41	ლიტ. რედაქტორი	„—“	„—“
1941	47	დირექტორი	ს-ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სტალინირი	„—“
1947-	დან	მეცნიერი მუშაკი	ს. ოსეთის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი	სტალინირი
		1952 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

პავლე ალექსის-ძე სანაკოვეის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1882 წლის 15 იანვარს, სოფ. ჯავაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. უმინობის გამო მამაჩემი გადასახლდა სოფ. ყორნისში (სტალინირის რაიონი). იგი ღებულობდა მონაწილეობას აგრარულ მოძრაობაში 1903-4-5 წლებში. 1906 წელს დამსჯელმა ექსპედიციამ დაწვა მამაჩემის სახლი და თვითონ კი გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში. მე ვსწავლობდი სამრევლო სკოლაში. 1897 წელს შევედი არდონის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დავაბრუნე 1902 წ., მაგრამ ამაოდ ვეძებდი მასწავლებლის ადგილს, რადგანაც მაშინ ოსეთში მხოლოდ რვა სკოლა არსებობდა. იძულებული გავხდი, წავსულიყავ მღვდლად, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩემს სურვილს. თავს ვინუგეშებდი იმით, რომ რევოლუციური მოღვაწეობის განევა შემეძლო აქაც. მღვდლად ყოფნის დროს მე ხშირად ვესაუბრებოდი გლეხებს სოციალურ თემებზე, ვცდილობდი გამეფართოვებია მათი პოლიტიკური განვითარების ჰორიზონტი.

ჩემს წინააღმდეგ აღძრული იქნა გამოძიება სასულიერო წოდების მიერ, მაგრამ გლეხობამ დამიფარა, არ გამცა და ძიება ჩაიფუშა. მიუხედავად ამისა, არდონის სასულიერო სემინარიამ მიიღო საყვედური, იმის გამო, რომ მისი ყოფილი მსმენელი ეწოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას. ამ დროისათვის (1907 წ.) ჩემ შესახებ ბევრი საჩივრები და დაბეზლება შეგროვდა, რომ თითქოს მე კავშირი მაქვს რევოლუციონერ პროპაგანდისტებთან, რომ ისინი იმალებიან ჩემთან. მე საშუალება მომეცა ჩემი ნათესავის ა. გასიევის წყალობით, რომელიც მუშაობდა საქმისმწარმოებლად პოლიციის სამმართველოში, მაღულად გამომეტანა ეს მამხილებელი საბუთები. მენშევიკური მთავრობის ხელისუფლების დროს ხშირად მაპატიმრებდნენ, ბრალს მდებდნენ რა ბოლშევიკობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არჩეული ვიქენი პონის რაიონის (კახეთი) რეკომის წევრად. 1921 წლიდან მასწავლებლობა დავიწყე სოფ. პონში. 1925 წელს გადავსახლდი სამხრეთ-ოსეთში, სადაც ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1927 წელს. ვინაიდან ამ დროს ცოტა იყო ოსურ ენაზე წიგნები, ხელი მივყავი მხატვრულ ლიტერატურის თარგმნას, სახელმძღვანელოების შედგენას. ვაგროვებდი ფოლკლორულ მასალებს. ვმონაწილეობდი პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენაში, კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოებთა სრული კრებულის შეგროვება-გამოცემაში, ხალხური ეპოსის „ნართების“ რედაქტირებაში და სხვ.

ჩემი მთავარი ნაწარმოებები: 1. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ კ. ლორთქიფანიძისა (თარგმანი). 2. „გლეხის ქალიშვილი“ პუშკინისა (თარგმანი). 3. „მეკუბოვეები“ პუშკინისა (თარგმანი). 4. „სადგურის ზედამხედველი“ პუშკინისა (თარგმანი). 5. „ქარბუქი“ პუშკინისა (თარგმანი). 6. „კაპიტანის ქალიშვილი“ პუშკინისა (თარგმანი). 7. „ეგზეკუცია“ მ. გორკისა (თარგმანი). 8. „მონადირეები“ ნინოშვილისა (თარგმანი). 9. ქართულ-ოსური ლექსიკონი და სხვა მრავალი.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასატურებ სამდივნოს გამგე ნ. თოფჩიშვილი

მარიამ თათეიშვილი-რატიანი – გარიყული

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	მარიამ ლუკას ასული რატიანი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	მარიამ გარიყული
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1883 თვე მარტი დღე 19
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. პატარა გუბი (ქუთაისის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დამთავრებული მაქვს ქუთაისის ექვსკლასიანი სასწავლებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მარჯანიშვილის 4</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1902	1904	აქტიორად	ქუთაისის თეატ- რში	
1920	1926	აქტიორი	გორის თეატრში	
1927	1941	აქტიორად	თბილისის კინოს- ტუდია	
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

მარიამ ლუკას ასული გარიყულის – რატიანის ავტობიოგრაფია

მარიამ გარიყული, ლუკა სვიმონის-ძე თათიეშვილის ასული, დავიბადე სოფელ პატარა გუბში (ქუთაისის მაზრა), წვრილი აზნაურის ოჯახში. მახსოვს, მამაჩემს ედგა დიდი ოდა, ჰყავდა ორი მოჯამაგირე, ორი ბედაური ებათ თავლაში. ჰყავდათ საქონლები, ჰქონდათ სასახლიკაცო ცხრა თვალიანი ნისქვილი, გუბის წყალზე. თვით მამა ხშირად იყო ჭიათურაში შავი ქვის წარმოებაზე, მაგრამ ყოველივე ეს წლის განმავლობაში, ალბათ, 50 მანეთზე მეტს არ აძლევდა.

ვიყავით ექვსი და-ძმა. მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა შევისწავლე ქალაქის ნახევებზე ჩამონერილ ასოების საშუალებით. მასწავლიდა იმ დროს სოფლისათვის ნასწავლი კაცი ვინმე ლოლობერიძე. ანბანი უნდა ზეპირად გვესწავლა და შემდეგ გადაგვიყვანდნენ მოკითხვის წერილების ან პირობის ქალაქების დაწერაზე. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, საიდანღაც გაჩნდა გოგებაშვილის დედა-ენა და დავინწყე „აი ია“. ხოლო წიგნი ნახევარი იყო, რომელიც სულ გავიზეპირე. ვწერდი საშინლად, მეჯღაბნებოდა ქალაქი.

ერთხელ შარაგზაზე შემომხვდნენ ქალიშვილები, ისინი თურმე „მღვდლის სკოლაში“ სწავლობდნენ. ჩავერიე მათ ლაპარაკში და გამოვსთქვი, რომ მეც ვიცოდი კითხვა. მათ ხელათ მომაჩიჩეს ხელში სქელ ტანიანი წიგნი, გოგებაშვილის „ბუნების კარი“. გადავშალე და „გუგული“ შემხვდა, დავაცქერდი, დავიბენი, თვალები ამიჭრელდა და დავხურე წიგნი და ვუთხარი, მე ნახევარ „დედა ენაში“ ვიცი კითხვა მეთქი. გოგობმა სიცილი დამაყარეს და წავიდნენ. ამ დაცინვამ თითქოს ძილიდან გამომავლია და დიდხანს მქონდა გულში მწვავე გრძნობა, თუ რად დამცინეს ამ ქალბატონებმა.

ვიზრდებოდი ბებიასთან დიდფიხაიშში, როსტომ ლეჟავას ოჯახში. ლეჟავების გვარი დაუთვლელია იმ სოფელში, მაგრამ მათ შორის ექვსი მოსახლე იყვნენ აზნაურები, დღესაც არ ვიცი, რათ იყო ასეთი დაყოფა. თუმცა ბებია აზნაურებს ეკუთვნოდა, მაგრამ გლეხისაგან არ გაირჩეოდა თავისი შრომით და გარჯილობით. დღე-ღამიან მუშაობდა, უმოჯამაგიროდ, განძიანი ოჯახი ჰქონდა, რომელსაც იქაური თავადებიც კი შენატროდნენ.

ჰყავდა დედიჩემის გარდა კიდევ ქალ-ვაჟი. ამათთან მოდიოდნენ მომღერალ-მგალობლები. ზამთრის გრძელ ღამეებს ათენებდნენ, ბუხარში ცეცხლს აძლიერებდნენ და მღეროდნენ. ბებია შემოუგზავნიდათ ცხელ ხაჭაპურებს, შემწვარ გოგრებს, ვაშლს, კომშს და წითელ ღვინოს.

დღეს მაკვირვებს, მაშინ ხომ მათ ხელოვნების მნიშვნელობა არ იცოდნენ, არც შემოსავალ და მაცხოვრებელ წყაროთ მიაჩნდათ სიმღერა, მაშასადამე, თავისთავად, რამდენი სიყვარული უნდა ჰქონოდათ სიმღერის, რომ ისე დაჟინებით იმეორებდნენ ერთსა და იმავე მუხლებს. ჩემს მეხსიერებაში ახლაც აღბეჭდილია „პატარა საყვარელო“, „შენ ხარ ვენახი“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „დიდი ალილო“, „დიდი ხელოვანი“, „ინდი ბინდი“ და „ალიფაშა“ და სხვა. ახლა რომ ვისმენ ნოტებზე გადაღებულ ამ სიმღერებს ოპერა-კონცერტებში, თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ნამდვილ ხალხურ შემოქმედებასთან.

მე და ჩემი უფროსი და ქეთო, რომელიც რევოლუციონერი გადასახლებაში გარდაიცვალა, იგი ხშირად უსმენდა დეიდას და ჩვენც ვაყოლებდით მმას და ვსწავლობდით სიმღერას.

ჩემს ბავშვობას ვატარებდი უზარმაზარ ეზოში, ეს ჩვენი ეზო დაუსრულებელ სამყაროდ მეჩვენებოდა. სალამოობით ვისმენდით ბებიას მოთხრობილ ზღაპრებს, რომელმაც უთუოდ შეუწყო ხელი ჩემს ფანტაზიის განვითარებას. სამაგალითო ქალი იყო ბებიაჩემი. არ მახსოვს მისგან გაჯავრება. საკმარისი იყო წარბების შეთამაშება, უკვე ვიცოდით ბავშვებმა, რა ედო გულში. ქონდა ხელნაწერი „ბეჟანიანი“, „როსტომიანი“ და მრავალი სხვა. საერთო მნიგნობარი ოჯახები გვქონდა, როგორც მამიდან, აგრეთვე დედისაგან. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით ქონდათ მაშინდელ ახალგაზრდობას მიწერ-მოწერა.

მამაჩემს მიჰქონდა დეიდაჩემთან სხვა ახალი წიგნებიც. პირველად 6-7 წლისამ მოვისმინე „რობინზონ კრუზო“, მეორე წიგნი ეს იყო აკაკის „პატარა კახი“, რომელმაც წარუშლელი სახეები აღბეჭდა ჩემს გონებაში.

სასწავლებლად წავედი ქუთაისში ხოლო ექვსი კლასის დამთავრების შემდეგ ჩემდადამოუკიდებელ მიზეზების გამო სწავლა არ გამიგრძელებია.

1902 წელს შევედი ქუთაისის ქართული დრამის თეატრში აქტიორად, სადაც ვიმუშავე ორი სეზონის განმავლობაში. ამ თეატრს იმ დროს ხელმძღვანელობდა ცნობილი გამოჩენილი მსახიობი ალექსი-მესხიშვილი.

ეს პერიოდი ჩემი ცხოვრების წარუშლელი ხანა არის და ყველა პერიოდზე საყვარელი-სასიამოვნო. ძალიან მაინტერესებდა გორკის ნაწერები და გართული ვიყავი მათი კითხვით. უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამანაც ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და ჩემს მომავალ მწერლობაზედაც, რის შემდეგაც მე დავიწყე პატარა-პატარა ნაწარმოებების წერა.

1905 წელს ჩემი პირველი მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი“ დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ერთი თვის შემდეგ „ჩვეულებრივი ამბავი“, „ჩინოვნიკი“, „სოფლის მსუნაგები“, „ბორკილი“, „იმ დღესაც“, „სასაიდუმლო“, „კატო“.

1907 წელს ტიპოგრაფია „საქართველოს ამხანაგობა“-მ თავიანთ ხარჯზე გამოსცეს ჩემი მოთხრობების წიგნი: „ჯაშუში“, რომელიც ჟანდარმერიის მიერ კონფისკაცია ქმნილი იქნა.

1905–1917 წლებში ძალიან ხშირად იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე ვთანამშრომლობდი საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, ჟურნალ „ნაკადულში“.

1908 წელს დაარსებულ იქნა თბილისში „სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი მეც ვიყავი.

1915 – 1917 წლებში ვთანამშრომლობდი ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ და „ჩვენ მეგობარში“.

1920 წელს ოჯახი გადმოვედით საცხოვრებლად ქალ. გორში, სადაც ვიცხოვრე 1926 წლამდე. აქ ვმუშაობდი თეატრში და აგრეთვე ვბეჭდავდი პატარ-პატარა მოთხრობებს თბილისის გაზეთ „ლომისში“.

1926 წელს ისევ გადმოვედი თბილისში და მუშაობა დავიწყე კინო-სტუდიაში მსახიობად ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წევრი გავხდი კიდევ გორში მუშაობის დროს.

თბილისში გადმოსვლისთანავე შევედი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

1927 წ. გაზეთ „მუშა“-ში დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა: „ბრმა ალექსი“, ეს მოთხრობა გადაითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვასტოკაში“.

1928 წელს გამოვეცი კრებული სხვადასხვა მოთხრობებისა, რომელსაც სახელად ვუწოდებ „ბრმა ალექსი“.

1930 წ. სახელგამმა გამოსცა ჩემი მოთხრობების წიგნი. დაწერილი მაქვს მრავალი მხატვრული ნარკვევები, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „კომუნისტში“, „მუშაში“, „ლიტერატურული საქართველო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, აგრეთვე ჟურნალ „მნათობში“, აგრეთვე რაიონულ გაზეთებში.

1941–1944 წ. ჟურნალ „მნათობმა“ დაბეჭდა ჩემი მოთხრობები, მიძღვნილი სამამულო ომისადმი: „შემთხვევა“, „დედა“, „დურგალი მიხელი“. 1946 წელს „მნათობმა“ დაბეჭდა ჩემი მოგონებები „განვლილი გზა“. 1947 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი წიგნი „ტრაქტორისტები“.

ამჟამად ვმუშაობ ხელახალი გამოცემისათვის ჩემი მოგონებების წიგნზე „განვლილი დღეები“ და „ტრაქტორისტები“-ს, რომლებიც შეტანილია საგამომცემლო გეგმაში სახელგამის მიერ.

მომავალში, ვფიქრობ, დავწერო რომანი ჩვენი შახტის მუშების ცხოვრებაზე.

მ. გარიყულის ნაწარმოებთა სია:

1. „ცხოვრების მსხვერპლი“; 2. „ჩვეულებრივი ამბავი“; 3. „სოფლის მსუ-ნაგები“; 4. „ჩინოვნიკები“; 5. „იმ დღესაც“; 6. „საიდუმლო“; 7. „კატო“; 8. „ახალი მასწავლებელი“; 9. „ჯაშუში“; 10. ცალკე წიგნად მოთხრობების კრებული; 11. „გარდატეხა“ – რომანი ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან; 12. „განვლილი გზა“ – მოგონებები, 1946 წ.; 13. „ტყიბული“; 14. „ჭიათურა“ 1949 წ.; 15. „ვანის კოლმეურნეობა“ – მოთხრობა, 1950 წ.; 16. „ასეთი გაზაფხული“ – მოთხრობა, 1951 წ.;

სწორია: ნ. კლ., 1956

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მარიამ გარიყულის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1884 წ. სოფელ პატარა გუბში, ქუთაისის გუბერ. და მისივე მაზრა. ვიზრდებოდი სოფელ დიდ ჯიხაისში, დედის დედასთან. ათ წლამდე დავყავი ამ ტკბილ ადამიანთან, რომელიც თავის აზრებს დაასაბუთებდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპებით, აგრეთვე ეკითხა. როსტომიანი, ბეჟანიანი, არჩილიანი; ამირან დარეჯანის ძის ცხოვრება ზღაპრებად იცოდა და მომითხრობდა. ვიყავ ზღაპრების გავლენის ქვეშ, რაც მისტიურ შიშს მგვრიდა მაგრამ არ ვიმჩნევდი და სულის სწრაფვით მოველოდი დაღამებას, რომ ისევ გადავსახლებულიყავ მდევეთთა სამეფოში, ბებიას მხოლოდ საღამოობით ჰქონდა თხრობის დრო... ვცხოვრობდი ორმოც გექტარ, ძეძვითა და ბებერ

მუხებით შემოფარგლულ ეზოში, ჩემი ბავშვობა და სამყაროს წარმოდგენა ამ ფართობით განისაზღვრებოდა, მხოლოდ მაკვირვებდა, ფრინველები რომ შორს მიდიოდნენ, ჩემს ეზოს ზღუდეს სცილდებოდნენ, ვფიქრობდი, ალბათ, სხვაგან კიდევ არის ასეთი ადამიანები მეთქი. ვაკეთებდი ეზოში ცალკე სადგომებს, მთელი დღეობით ვიყავ განცალკევებული და თავის თავთან მოლაპარაკე, როდესაც სალამობით დიდი ოდის გვერდით აღმართული ვერხვები და ალვის ხეები ინძრეოდნენ, მე ისინი მდევებათ მეჩვენებოდნენ.

მყვანდა დედის და, რომელიც გატაცებით კითხულობდა აკაკის, ილიას, „ვეფხისტყაოსანი“ მისი სახარება იყო და თვით შოთაზე უთუოდ იყო შეყვარებული. სანამ წერა-კითხვას შემასწავლიდა, აკაკის „პატარა კახი“, „ხანჯალო“ და ხოლერობა სრულიად ზეპირად ვიცოდი. წერა-კითხვა გოგებაშვილის დედა ენით შევისწავლე... ათი წლის წამომიყვანეს ქ. ქუთაისში. ჩემი მამა – ლუკა სვიმონის ძე თათეიშვილი, საშუალო შეძლების აზნაური, გრძნობდა სწავლის მნიშვნელობას და შვილების აღსაზრდელად ქალაქად გადმოსახლებულიყო. მამას უყვარდა ლიტერატურა, რასაც მოწმობდა მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, თავადაც დაეწყო წერა, მისი ლექსები იბეჭდებოდა „ივერიაში“. 1845 წელს გამოიცა დიდი ისტორიული ლეგენდარული პოემა, სამასგვერდიანი, „სიყვარული“, რომელმაც თავის დროზე დიდი ლაპარაკი, კრიტიკები და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დოკუმენტების დაცვის მნიშვნელობა რომ გვცოდნოდა, აკაკისა და რაფიელ ერისთავის პირადად მასთან მიწერილი წერილები საინტერესო მასალა იქნებოდა დღეს.

ბევრი სხვა პატარა კრებულები გამოსცა მამამ ლ. გუბელის ფსევდონიმით. ჯერ ისევ პატარა, ათი-თერთმეტი წლის, მამის მუხლთან ვათენებდი და უსმენდი, როდესაც ის რომელიმე მეგობარს უკითხავდა თავის ნაწერს. იმდენად ჩამითრია ფარულმა კითხვამ, რომ ზამთრის ღამეებში, პატარა ლამპრის შუქზე მათენდებოდა თავზე და აგრეთვე არა ერთხელ დაუჭერივარ მასწავლებელს გაკვეთილის დროს, პარტაში თავჩაყოფილი გატაცებით რომ ვკითხულობდი ყაზბეგს. იმ დროს სად იყო საბავშვო ლიტერატურა და ჩვენც ვიკვებებოდით იმ მასალით, რაც ხელთ გვქონდა. მიკრძალავდნენ გარეშე წიგნების კითხვას და ამიტომ გადავწყვიტე, წავსულიყავ მონაზნად, ბიძა მიუგზავნე მამას მოციქულად. მეგონა, რომ მონასტერში ვიცხოვრებდი თავისუფლად და ვიკითხავდი, რაც მინდოდა. მამამ, ჩემს მოციქულს უპასუხა: „როდესაც ოცდა ხუთი წლის იქნება და მაშინაც ამ სურვილს განიმეორებს, აღარ დაუშლიო“. მაგრამ მამა მართალი გამოდგა და ოცდა ხუთი წლის მარიამს ჰყავდა უკვე ორი ვაჟი, ცხოვრების ბევრი საფეხური გაიარა, ნახა ცხოვრების ტკბილი და მწარე მხარეები.. 1898 წელში მამა იქნა თბილისში გადმოყვანილი. ოჯახიც წამოიყვანა, აქ გავეცანი ბევრ ისეთ პირებს რომელთა ნაცნობობამაც უფრო გამიკაფა გზა შეგნებულ ცხოვრებისკენ. დაუახლოვდი მარიამ დემურისას, მის სახალხო თეატრს, აქედან გავეცანი თეატრალურ დიდ ძალებს. გავეცან არაგვისპირელს, შიო მღვიმელს, ევდომვილს, იმედაშვილ იოსებს, დაუახლოვდი მუშათა წრეებს, მათ შორის გიორგი მარსაკოვს, ვისი მითითებითაც ვკითხულობ აკრძალულ ლიტერატურას, ვმოულობ „ბრძოლის ფურცლებს და ბავშვობის მდევების ნაცვლად სულ

სხვა სახეები იხატება ჩემ აზროვნებაში. 1902 წელში მამა ისევ ბრუნდება ქუთაისში, და ამავე წელს ვენეციი ქუთაისის თეატრში ალექ. მესხიშვილის დასში. აქ ვახდენ ცდებს, გადავაკეთო პიესებათ ნინოშვილის და ჭავჭავაძის თხზულებებიდან „ქრისტიანი“, „ოთარანთ ქვრივი“, „პარტახი“ და თვით „სპარტაკს“ შევეჭიდე, მაგრამ ეს შრომები არ გამოიჩინა. ამ დროს ვექცევი გორკის ნაწერების გავლენის ქვეშ, ვსწერ პატარ-პატარა წერილებს და ვსწერ პირველ მოთხრობას „ცხოვრების მსხვერპლს“. რა თქმა უნდა, მათ დაბეჭდვაზე სრულიად არ მიფიქრია, მხოლოდ შემდეგ, 1905 წელში, როდესაც გავყევი ახალგაზრდა მეურნე (აგრონომს) რატიანს, იმისი რჩევით პირველი ჩემი ნაწერი წავიღე „ცნობის ფურცლის“ დამატებაში, რომელიც კვირაში ორჯელ გამოდიოდა და მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებს ბეჭდავდა. აქ გავეცან პირველად ილია ალლაძეს, რომელიც გულწრფელად შემხვდა და წამათამამა წერისთვის, დამიბეჭდეს მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი“, და ჰონორარი მივიღე ექვსი მანეთი, რადგან სტრიქონი პროზა სამი კაპიკი ღირდა. ამ დროს გავეცანი ალექსანდრე ჯაბაძარს, შაქრო ბილანიშვილს, არჩილ ჯორჯაძეს, სვიმონ მაჭავარიანს, გიგო რცხილაძეს და ბევრ ახალგაზრდობას. 1908-9 წელში გიგო რცხილაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა „სიტყვა კაზმულ მწერლობის“ საზოგადოება, რომლის წევრადაც მიმიწვიეს, დამტკიცდა წესდება და დავინწყეთ მუშაობა. სრულიად გავეცანი მაშინდელ მონინავე წრის ახალგაზრდობას. ქუთაისის თეატრში დავეყავი ორი სეზონი. 1904-ში წავედი სეზონიდან, რადგან მაშინდელი თეატრის ატმოსფერა და ჩემი მიმართულება სულ სხვა და სხვა იყო, მე იქ ბრძოლას ვერ გაუძლებდი და დამარცხებას-კი წასვლა ვარჩიე.

1904 წელში თბილისში ვარ, ვმსახურებ მოლარეთ, თანა მყავს უნცროსი და, სწავლობს. ვცხოვრობ პატარა ოთახში, ძნელი იყო ცხოვრების პირობები, გირვანქა პური ღირდა სამი კაპიკი, მაგრამ ხშირად ისიც არ იყო ჩვენი ძმისთვის. მამას-კი ამ დროს არა უშავდა, ცხოვრობდა სოფელში და არც თუ ისე იყო შერყეული მემამულეთა ცხოვრება, მაგრამ.. ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა ასეთი ყოფა და გავრბოდით დიდ ქალაქებში, აქ უფრო ფართოდ ვეცნობოდით მუშათა წრეებს და მათ ჩამჭვარტლულ ბინებს. ხშირად იმართება ჩემს ბინაზე კრება. გითხრათ სიმართლე, კარგად ვერც ვერკვევი, რაშია საქმე, „ზედ მეტი ღირებულება“, „პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადი“ და ათასი რამ, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ რალაც დიდ საქმეს უწყობ ხელს, ერთი სიტყვით, მეფის ტახტის დამხობისკენ მიყავს გეზი ამ კრებებს და მეც გატაცებით ვეძლევი ამ აზრს, მუშათა კლასის გამარჯვებას უკავშირებ, „ცოდვა აღიარებული სჯობია“. უმაღლესად განვიცდი ეროვნულ დევნას ჯერ ბავშვობისას ყაზბეგის თხზულებებმა შემასისხლხორცეს ეს აზრი, რომ დავიჩაგრეთ... შემდეგ „პრისტავ გოროდოვობმა“ მწვავეთ მაგრძნობინეს ეს. იმ დროს ვკითხულობდით ბულგარეთის განთავისუფლებაზე წიგნებს და ჩემი პატარა გულიც კვნესოდა თავის ქვეყნის უბედურებას. მართალია, მიყვარს გორკი, ჩეხოვი, ტურგენევი, ტოლსტოის სიდიადეს თვალს ვერ უმაგრებდი და „კაპიტნის ქალის“ კითხვა ისე არ მომწყინდებოდა, როგორც „ვეფხის ტყაყოსნის“, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ კაზაკის

ჩექმის მადრიელი რომ არც ესენი იყვნენ და მათი ლიბერალური საზომით ისინიც ეომებოდნენ მონარქს. დავინყე რკინის გზის „აუდიტორიაში“ წარმოდგენების დადგმა მუშათა ძალებისგან. ყოველ შაბათობით შემოსავალი – 90 მანეთი „ორგანიზაციას“ მიჰქონდა. ვინცებ მუშაობას ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხანაში, ვერ უძლებ თუთუნის სუნს და ვანებებ თავს, ვინცებ მუშაობას სტამბაში. ვერ უძლებ ფეხზე დგომას და „კასების“ მტვერს.

ვიჭერ ხელში ნიგნებით სავსე კალათს და ქუჩაში გამოვდივარ, მივდივარ დანესებულებებში და ქარხნებში. ამისთვის დამჭირდა ნებართვა, მივმართეთ „პოლიცმეისტერს“. მან კი გაუგზავნა შეკითხვა ქუთაისის მაზრის უფროსს, „სანდო ვიყავით თუ არა“. და როდესაც პოლიციის უფროს კოვალევსკისთან მივედით ნებართვის მისაღებათ, ამ სიტყვებით გამომისტუმრა ნებართვით ერთად: „პატარა რესპუბლიკანკებო, ცნობა მივიღე, რომ აზნაურის ქალები ხართ და მაშასადამე, სანდონიც, მაგრამ გაფრთხილებთ, „за вами будет слежка, будьте осторожны в своих делах как бы не попасть“.

და მართლაც, ჩვენც ვცდილობდით, რომ უბრალოდ არ ჩავცვინულიყავთ და არაფრისთვის არ შეგვექნა ჩვენს ირგვლივ ისტორია.

რაკი 1905 წლიდან დავინყე წერა, ამ წლიდან დანყებული განუწყვეტლივ ვიბეჭდებოდი თითქმის ყოველ ჟურნალ-გაზეთში, საცა კი მხატრულ ნაწარმოებს ეთმობოდა ადგილი. 1907-ში „ცნობის ფურცლის“ სტამბასთან არსებულ ამხანაგობამ გამოსცა ჩემი ნიგნი „ჯამუში“, რომელიც არა ერთხელ დააკავეს და მატარეს მისთვის ჟანდარმთა სამართველოში. მხოლოდ არ ვიცო, რა უფრო აშინებდათ მათ, ნიგნის სახელწოდება „ჯამუში“, ნითელი ყდა თუ მოთხრობის შინაარსი. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიხდებოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ცხოვრება. 1918-9 წლებიდან დამეუფლა უმოქმედობა, ვიდრე 1920-დე. 1920-დან 26-დე ვცხოვრობდი გორში, იქ ისევ განვაახლე თეატრში მუშაობა 22-დან და ოცდა ექვსამდე ვემსახურები მუშათა კლუბს და მეოთხე ტერ ლეგიონს. 24-დან ისევ ვინცებ წერას „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „მუშა“ და „კომუნისტში“. 1929 წელში ყოფილ ამხანაგ ვანო ბოლქვაძის თავდებობით ლიტოგრაფიის სკოლა ბეჭდავს ოთხ მოთხრობას. „უსინათლო ალექსი“ – 1932 წ. სახელგამი სცემს 10 ფორმიან კრებულს. ამ ხნის განმავლობაში მოვიარე ბევრი რაიონი, ვიყავი მადნებში, სხვა და სხვა მეურნეობა-მრეწველობებში, ყველა ეს მუშაობა მაძლევდა მე სხვა და სხვა სახეებს და ადამიანებს მათი ახალი დამოკიდებულებით დღევანდელ ყოფასთან.

დღეს მე 52 წლის ვარ, და განვაგრძობ მუშაობას ახალგაზდურის ხალისით და ენერგიით. ვსარგებლობ ნდობით... ვიღებ პერსონალურ პენსიას და ვცხოვრობ მთავრობის მიერ მოცემულ ბინაში.

*მ. გარიყული
[1936 წელი]*

ლიდია მეგრელიძე – მიმქრალი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	მეგრელიძე ლიდია ისმაილის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	მიმქრალი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1883 თვე აგვისტოს დღე 14
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. გურიანთაში (ოზურგეთის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1910 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემ. მწერალთა კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	-
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	არა
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	არა
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	არა
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისმგებლობაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	არა
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	მედალი „მამაცური შრომისათვის“
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	-
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	ცხაკაიას 13

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

ლ. მეგრელიძის ნაწარმოებთა სია:

1. 1910 წლიდან 1945 წლამდე დაბეჭდილი მაქვს საბავშვო ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები ჟურნალ „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.
2. 1924 წლიდან გამოვიდა საბავშვო ლექსების კრებული.
3. ლექსების კრებული, 1928 წელს.
4. „მზია და ფისო“, საბავშვო პოემა, 1939 წ.
5. „მარგალიტის მძივები“, ლექსთა კრებული, 1941 წ.
6. „დარღვეული ოჯახი“, მოთხრობა, 1941 წ.
7. „ბაბუა და ლელა“, მოთხრობა, 1949 წ.
8. მოთხრობებისა და ლექსების კრებული, 1949 წ.
9. საბავშვო მოთხრობათა კრებული, 1951 წ.
10. ცალკეული საბავშვო ლექსები და მოთხრობები ჟურნალ „დილასა“ და „პიონერში“.
11. ლექსები და მოთხრობები შეტანილია დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში.
12. „მშობლიურ ცის ქვეშ“, 1952 წელს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლიდია ისმაილ მამულაიშვილის ასული მეგრელიძე (მიმქრალი)

დავობადე 1883 წ. 14 აგვისტოს სოფ. გურიანთაში – გურიაში. როცა ცოტა წამოვიზარდე, გადავსახლდით ოზურგეთში. ამ დროს მამაჩემი ისმაილ მამულაიშვილი საკმაოდ გაღარიბებული აზნაური იყო. მთელი ქონება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში ჰქონდა დაგირავებული. 12 წლისა ვიყავი დედაჩემი – კატო ჟორდანიას ასული რომ გარდაიცვალა. მძიმე გავლენა მოახდინა ჩემზე საყვარელი დედის უდროოდ დაკარგვამ. აღარ მიზიდავდა ბავშვური აღტაცება. ვირჩევდი მარტოობას და წიგნების კითხვას. ვკითხულობდი ყველა წიგნს, რაც მომხვდებოდა ხელში. ამიტომაც ძალიან ადრე, სულ 13-14 წლისა, დავმორდი აზროვნებით, გრძნობით და სულიერი ცხოვრებით მაშინდელი გურიის თავად-აზნაურულ გაფუქსავატებულ ნაწილს საზოგადოებისას, რომელნიც მესამე დასელებს უწოდებდნენ თავისთავს. ეს დრო იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურული. აღსანიშნავია: მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გურიაში ძლიერ მომრავლდნენ მესამე დასელები. ამ ახალი თაობის ინტელიგენციაში დიდათ ფეხმოდგმული იყო ათეისტური მიმართულება, რამაც ფართე მასსამაიაც საკმაოდ იჩინა თავი. ამიტომაც იყო, რომ 1905 წლის მოძრაობას გურიის გლეხობა მომზადებული შეხვდა ეკლესიისა და სამღვდლოების უარ-

საყოფად. ამ ათეისტური ახალგაზრდობის ჯგუფს ვეკუთვნოდი მეც. ვმსჯელობდით ერთად, ვეცნობოდით რენანს, ვიშველიებდით ჰექსლის ლექციებს დარვინზე და ვსარგებლობდით ბოკლის თხზულებებით. გარდა მხატვრული ლიტერატურისა, ეს წიგნები იყო იმხანად გავრცელებული ჩვენში.

ჩემს თაობას საკმაო ღვაწლი მიუძღვის გურიის მშრომელი გლეხობის კულტურული განვითარების საქმეში. ჩემი ჯგუფის მუშაობა გამოიხატებოდა უმთავრესად წარმოდგენების მართვით, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ჯგუფს რეჟისორობდა ა. წუნუნავა. უკანასკნელ ხანებში ვერ ვკმაყოფილდებოდით ლეგალური წარმოდგენებით. ორ კვირაში ერთხელ მაინც მოვანყობდით ქალაქის რომელიმე კუთხეში არა ლეგალურ საღამოს, სადაც ვიშოვიდით დიდ დარბაზს. 15 წლის ვიყავი, როცა გოგია უიშვილი რალაცნაირად გადავაკეთე პიესად. ა. წუნუნავამ საგანგებოთ მიგვამზადა. დავდგით ეს პიესა ერთ ახალ აშენებულ სახლში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული. წარმოდგენის შემდეგ ხალხმა აგვაგვსო ყვავილებით. გახარებული ვბრუნდებოდით სახლში, რომ მოულოდნელად თავს დაგვესხა ქალაქის ბოქაული და გამოგვიცხადა: „თუ არ დაგიშლიათ ნებადაურთველი საღამოების მართვა, ყველას ციხეში ჩაგყრით“. ამის შემდეგ სოფლებში და დაბებში გადავიტანეთ ჩვენი მუშაობა და საოჯახო გართობის სახით ვასალებდით ჩვენს საღამოებს.

ჩვენი რეპერტუარი იყო: „და-ძმა“, „ბაიყუმი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, „პატარა კახი“, „ქართველი დედა“, „გოგია უიმვილი“ და სხვა.

დივერტისმენტი: რ. ერისთავი – „სამშობლო ხევსურისა“, ზაყელი, ე. ი. შიო მღვიმელი – „ნეტა რას ნალელობ, ვაჟკაცო“, ი. ჭავჭავაძე – „მკრთალი ნათელი“ (ელეგია), ბარათაშვილი – „მერანი“, მამია გურიელი – „ადამიანი“, „სადღეგრძელო“, დავითაშვილი – „ისნ., სნ. მძებნელო“, აკაკის ლექსებით თითქმის მთლიანად ვსარგებლობდით. ვერ ვგუებოდით მაშინ გურიაში ვაჟა ფშაველას ლექსებს.

ჩემმა თაობამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა გურიაში 1905 წლის რევოლუციას. ჩემი პირადი ცხოვრება კი უფრო გამწვავდა ოჯახში, რისთვისაც იძულებული გავხდი მიმეტოვებია სწავლა და გავთხოვილიყავ ძალიან ნაადრევად. გათხოვების შემდეგ გადავსახლდი ქ. ფოთში, სადაც გავატარე ჩემი ახალგაზრდობის წლები. აქაც საზოგადოების ცოცხალ ელემენტებთან ერთად ვმუშაობდი დაუღალავად. ვიყავი ერთი დამაარსებელთაგანი დრამატიული წრის, განათლების საზოგადოების, ნ/კ. გამ. საზოგადოების. 1915 წ. დავაარსე „ფოთის ქალთა საზოგადოება“. შემოვიკრიბე რამოდენიმე ასეული წევრი. საზოგადოების თავმჯდომარეთ ამირჩიეს. ამავე წელს ფოთში დავაარსე ქალთა საზოგადოების სახელით ორი უფასო სასწავლებელი: საკვირაო სკოლა ნ/კითხვის უცოდინართათვის და საღამოს კურსები მცირეწლოვან ნოქრებისათვის. დიდი ბრძოლა მიხდებოდა „ნიკოლაძის ქალაქში“ ვაჭრებთან, რომ 6 საათზე მაინც გაენთავისუფლებიათ პანანინა ნოქრები და მიეცათ ნება კურსებზე წასვლის.

ჩემი დაუღალავი შრომის მეოხებით ათეულ ასებს უსწავლიათ ნ/კითხვა და გაუკაფავთ თავიანთი ცხოვრების გზა.

1917 წ. რევოლუციის შემდეგ ფოთის ქალაქის მოსახლეობამ ამირჩიეს ერთადერთი ქალი ქალაქის ხმოსნად.

განახლებულმა კოლხიდის ქალაქმა დააფასა ჩემი ღვაწლი და ყოფილი საზოგადო მუშაკების გვერდით ჩემი სურათიც მოათავსა ადგილობრივ სარევოლუციო მუზეუმში.

ლექსებს ვწერდი ბავშვობიდანვე, მაგრამ სრულიად არ ვფიქრობდი მის დაბეჭდაზე. სახლშიაც მრცხვენოდა გამხელა, რომ მე ლექსებს ვწერდი. მე ვერასოდეს ვერ გავგზავნიდი რედაქციაში მასალას, მაგრამ ჩემი პირველი ლექსი – „გაზაფხული“ ჩემს გარეშე მოხვდა „ნაკადულის“ რედაქციაში. 1910 წელს მივიღე ჟურ. „ნაკადული“, სადაც მოულოდნელად ვნახე დაბეჭდილი ჩემი ლექსი (თურმე ნ. ჩხიკვაძეს ენახა ჩემს მაგიდაზე და წამოეღო). ჟურნალთან ერთად მომივიდა წერილიც რედაქციიდან. მწერდენ: „არ ვიცით, სად გინერიათ. თქვენი ლექსი მშვენიერია, გრძნობიერი და ზომიერი. გთხოვთ, ჩქარჩქარა მოგვანოდოთ თქვენი ლამაზი ლექსები და გვაცნობოთ, სად გინერიათ?“ ამრიგათ გაეხდით მუდმივი თანამშრომელი საბავშვო ჟურნალების. მქონდა შესაძლებლობა და ორი პატარა კრებული საბავშვო ლექსების მე თვითონ გამოვეცი განსაკომთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს ნებართვით 1925–27 წწ. წიგნები განათლების განყოფილებამ თვითონ დაუგზავნა სკოლებს. საქ. გასაბჭოების შემდეგ ჩემი ლექსები და მოთხრობები დაიბეჭდა შემდეგ საბავშვო წიგნებში: „გაზაფხული“, „ზამთარი“, „თავისუფალი ბავშვი“.

დაბალი სკოლების ყველა სახელმძღვანელოებში გასაბჭოებიდან დღემდე იბეჭდება ჩემი ლექსები და მოთხრობები. სახელგამის საბავშვო სექციას განზრახული აქვს 1938 წლისთვის გამოსცეს ჩემი ნაწერები. ამჟამად სექცია ბეჭდავს ჩემს საბავშვო მოთხრობას „ბუბა და ლელა“-ს (დაბეჭდილია სტამბაში). ვთანამშრომლობ „პიონერში“, „ოქტომბრულში“ და „ნორჩ ლენინელში“. გარდა საბავშვო ჟურნალებისა, ვბეჭდავ ძალიან ხშირად ლექსებს და მოთხრობებს „მშრომელ ქალში“.

გარდა მხატვრული ლიტერატურისა, მე ვწერდი წინად მრავალ წერილებს მუშების ცხოვრებაზე და სხვა წვრილმან საჭირობოროტო საკითხებზე, დასელი ქალის და ნამცეცას ფსევდონიმით. 1915 წელს „ახალ კვალში“ (№№5-8-11-12) ლიუდ. მეგრელიძის ხელმოწერით დაიბეჭდა წერილები: „მშრომელ ქალთა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში“. აღნიშნულმა წერილებმა საკმაო გამოხმაურება მიიღო იმ დროის მომქმედ წრეებში. ამ ჟამად ვამუშავებ პრესის მიმოხილვას: „ქალი ქართულ პრესაში“. არ ვიცი, როდის შევძლებ დასრულებას.

გათხოვების შემდეგ საბოლოოდ არ მიმიტოვებია სწავლა. ვინაიდან ჩემი მეუღლე – აქვსენტი ვასილის ძე მეგრელიძე მასწავლებელი იყო და საზოგადო მოღვაწეც, მე არ მიძნელებოდა სახლში მეცადინეობა. 1914 წ. ჩავაბარე საშუალო განათლების გამოცდები საღმრთო სჯულის გამოკლებით, მაგრამ ვერ ველირსე ატესტატის მიღებას. მხოლოდ რევოლუციამ მომხსნა ეს მძიმე „საღმრთო ტვირთი“ და მეც გახარებული გამოვქანდი ფოთიდან

თბილისის უნივერსიტეტისაკენ. მეგონა, ჩემს ძარღვებში ფოლადის სიმტკიცე იყო ჩამოსხმული, მაგრამ დიდი შრომით მოქანცულს რვა შვილის დედას უცებ მილაღატა ჯანმრთელობამ და იძულებული გავხდი დაკვამაყოფილებულიყავ თავისუფალი ლექციებით ისტორიულ დარგზე. მე ისე მიყვარს ისტორია, როგორც კარგი ლექსის სტრიქონები.

ახალგაზრდობაში მიყვარდა შემდეგი პოეტები: შელლი, ნადსონი, ედგარ-პო, ჰაინე, ლერმონტოვის ზოგიერთი ლექსები, ბესიკი, ბარათაშვილი, გ. ტაბიძე და საერთოდ მსგავსი ლექსები.

მიყვარს მოგზაურობა, თუმცა იშვიათად მრგებია ასეთი ბედი. 1912 წ. მოვიარე შავი ზღვის ნაპირები, ვიმოგზაურე პეტროგრადში და ვინახულე ფინეთი. 1931-32 წლებში მოვიარე თითქმის საქართველოს ყოველი კუთხე სამსახურის გამო (ვმსახურობდი პროფ. კავშირის საბიბლიოთეკო ინსტრუქტორად საქართველოს მასშტაბით) არ ვყოფილვარ ზემო სვანეთში და შიდა აჭარაში. 1935 წ. ვინახულე სამხედრო გზა და ორჯონიკიძის ქალაქი. ამავე წელს მოვიარე ბაქო. 1936 წ. დავათვალიერე მოსკოვი და მოსკოვის ახლო-მახლო ადგილები, ლენინგრადი და ლენინგრადის ირგვლივ – პეტერგოფი, ცარსკოე სელო (დეტ. სელ.) და სხ.

1905 წლიდან ვიყავი ერთი უაქტივესი წევრი რ.ს.ს.დ. მუშ. პარტიის ფოთის ორგანიზაციის. 1906 წ. ფოთის ორგანიზაციის არალეგალურ სტამბას ვინახავდით სოფ. ხრიალეთში (ქვედ. გურია) მე და ჩემი მეუღლე და ასეთ გააფთრებულ რეაქციის დროს ვახერხებდით სააგიტაციო ფურცლების ბეჭდას და გავრცელებას. მე პოლიტიკურ მუშაობას ვენეოდი მონაფეებში და უმთავრესად ქალთა შორის. იმ დროში იშვიათი „მერცხალი“ იყო ქალი პარტიულ ორგანიზაციაში. მე არაჩვეულებრივად ვუყვარდი ფოთის სანაოსნო საზოგადოების მუშებს. 1905 წლიდან 1917 წლის რევოლუციამდე მრავალი მძიმე პოლიტიკური დღეები გადამიტანია.

1917-18 წლებმა მე დამარწმუნა, რომ მენშევიკური მთავრობის რევოლუციონური გზა სავსებით ეწინააღმდეგებოდა ჩემს სოციალისტურს რწმენას: მიწის საკითხის იმგვარად გადაჭრა, როგორც ისინი აყენებდენ, კიდევე უფრო გაამტკიცებდა წვრილ-კერძო მესაკუთრეობას და ქალი, პოლიტიკურად ხელ-ფეხ გახსნილი, ფაქტიურად უფრო მონა გახდებოდა კერძო საკუთრების. მე გამომქონდა ჩემი აზრი აშკარად ყოველ კრებაზე, სადაც კეთდებოდა მოხსენება მიწის რეფორმის გარშემო.

დიდათ მოხარული ვარ, რომ საბჭოთა სტალინურმა ხელისუფლებამ სწორად გადასჭრა ქალთა და ბავშვთა უფლებრივი საკითხი, რაც სრულყოფით გამოიხატა ბოლშევიკურ დიად კონსტიტუციაში.

სიკვდილამდე მტკიცედ დავიცავ ჩემი დიდი სოციალისტური სამშობლოს თავისუფალი ქალის და ადამიანის ძვირფას ღირსებებს.

ლიდია მეგრელიძე (მიმქრალი)
10/VII. 1937 წ.

თუ ვინმე შეხებია ქართულ საბ. ლიტერატურას, ყველას ვყავარ მოხსენებული ერთ-ერთ საბავშვო მწერლად.

1. ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა (წიგნი – სახელგამი), ღვინიაშვილი.

2. ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის ისტორიისათვის (წიგნი – სახელგამი).

3. „კნიგა დეტიამ“, №3, 1929 წ., მოსკვა. ანბანი.

4. „კომუნისტური განათლება“, №14, 1936 წ. ს. ც.

5. „კომუნისტური განათლება“, №12, 1936 წ. ა. ლ.

6. „სალიტერატურო გაზეთი“ (არ მახსოვს ნომერი). კ. მ.

7. „მწერალ ქალთა ალმანახი“, №2.

8. „ქართული სიტყვა“, 1924 წ. (არ მახსოვს ნომერი).

9. „მუშა“, 1927 წ. (არ მახსოვს ნომერი. ამონაჭერი მაქვს).

10. „პიონერი“, №12, 1934 წ.

11. „კომუნისტური განათლება“, №48, 1936 წ. ლ. ჭი-ძე.

ვ. მალაქიაშვილი (ვარლამ ადამისძე, იგივე მალაქიასძე ხუროძე)

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე იმერეთის სოფელ მათხოჯში 1883 წელს. ჩემი მშობლები უკიდურესი ღარიბები იყვნენ, ერთი თუ ორი დღიური მიწალა გააჩნდათ. დედაჩემი – ბარბარე ფირცხალავას ასული, მტკიცე ნებისყოფის, შრომის მოყვარე და ორგანიზაციული ნიჭის პატრონი ადამიანი იყო. იგი ოჯახის მომვლელად იყო, მამა კი სამუშაოზე დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში. დაულალავი შრომისა და მომჭირნეობის გამო ბოლოს და ბოლოს სული მოითქვეს და მთელი ყურადღება სამი ვაჟის აღზრდაზე გადაიტანეს. დედამ წიგნი იცოდა, მამამ კი – არა. მათი ურყევი გადამწყვეტილება იყო შვილებისათვის ესწავლებინათ და „ორი კლასი მაინც გაეთავებინათ“. წერა-კითხვა მე დედაჩემისაგან ვისწავლე ძველ თამასუქებზე და მოკითხვის ბარათებზე. სოფელში სკოლა არ იყო, მხოლოდ სოფლის დიაკონი ხსნიდა ყოველ წლიურად ორიოდ თვით ანბანის და ანგარიშის სკოლას. 1891 თუ 1892 წ. მე მიმაბარეს ამ სკოლაში. პირველი ჩემი მასწავლებლები დედის შემდეგ იყვნენ დიაკონი სპ. ჩარგეიშვილი და ჯარიდან დაბრუნებული ნ. ბარაბაძე; პირველი მუდამ ბრაზობდა და გვცემდა, მეორე კი ფელდფებელის სიამაყით გიმნასტიკაში გვავარჯიშებდა სოფლის ტიტლიკანა ბიჭებს. აქ მე თითქმის არაფერი შემიძენია, მაგრამ სამაგიეროდ მალე გავიგე, რომ სკოლა იყო ისეთი ადგილი, სადაც უნდა ეცემათ, სახაზავებით გაგმასპინძლებოდნენ და სახელში მუდამ თვალცრემლიანი გამოეშვიოთ. შემდეგ ვსწავლობდი სამრევლო სკოლაში, ნიკ. ბარაბაძესთან. 1894 წ. საზოგადოებაში გაიხსნა სამინისტრო სკოლა და მეც იქ შემიყვანეს. აქ მე ბევრი რამ შევიძინე და კარგი მოგონებებიც დამრჩა, მასწავლიდა ლავრ. ჩიმაკაძე. 1894 წელში დედაჩემის მტკიცე სურვილის თანახმად მახლობელი დაბის – ხონის ორკლასიან სკოლაში – გამოცდა ჩავაბარე. საშინელი ბიუროკრატიზმი მეფობდა ამ სკოლაში: ცემატყევა, პიროვნების ფეხქვეშ თელვა, ფიზიკური შრომისა და სიღარიბისათვის ზოგიერთი მასწავლებლების მხრივ მასხრად აგდება, დაჩოქება, გინება, დამამცირებელი ეპიტეტები. რა არ მეფობდა აქ! 1901 წ. ასრულდა ჩემი მშობლების უდიდესი მისწრაფება და მე მეორე მონაფეთ ჩავაბარე გამოცდა ხონის საოსტატო სემინარიაში. სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხვით წელში გასწორდნენ ღარიბი მშობლები და მეც უკეთესი პირობები შემექნა. აქაც სასტიკი რეჟიმი მეფობდა, ყოველივე ქართული იდევნებოდა და მონაფეები ციხესავით ვიყავით პანსიონში გამომწყვდეული. ერთადერთი აღმზრდელი, რომელთანაც მთელი მონაფეობა სულით ისვენებდა ტრ. თაბუკაშვილი იყო. 1904 წ. ჩვენს ოჯახს უდიდესი უბედურება ეწვია – გარდაიცვალა ჩემი უმცროსი ძმა არსენი, რომელმაც სამუდამოდ დააგლოვა ჩვენი ოჯახი. ეს იყო პირველი უბედურება, რომელიც მე ცხოვრებაში განმეცადა. იმავე წელში მე დავასრულე სემინარიის კურსი და მასწავლებლად გამამწყესეს ს. მერევი (ჭიათურა). ერთი წლის შემდეგ უკვე ლანჩხუთში ვმასწავლებლობდი. ეს პირველი რევოლუციის ხანა იყო. გურიში ყოფნის დროს მე ერთიანად გადავსცურე

რევოლუციონურ მუშაობაში, მეზარა საპასუხისმგებლო საქმე – პარტიის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარეთ ვიყავი ლანჩხუთში. ვიყავი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრი. 1907 წ. ამ მუშაობისათვის სამსახურიდან დამითხოვეს და თითქმის ნახევარი წელიწადი უადგილოდ ვიყავი. იმავე წელს მასწავლებლად ამირჩიეს ქიათურის მრენველთა ხარჯით არსებულ სოფ. შუქრუთის სკოლაში, სადაც დავრჩი სამი წელიწადი. აქედან 1910 წ. განსვენებულ კრიტიკოსის – კიტა აბაშიძის ენერგიული დახმარების წყალობით სწავლის გასაგრძელებლად შვეელი მოსკოვის შინაავსკის სახელობის უნივერსიტეტში, რომლის კურსი 1913 წ. დავასრულე. ამავე წელში კარგა ხნის განმავლობაში ერთი რედაქტორთაგანი ვიყავი პარტიის საოლქო კომიტეტის გაზეთების („დილა“, „მერცხალი“, „სიტყვა“ და სხვ.) ქ. ქუთაისში. წლის ბოლოს დამაპატიმრეს და რამდენიმე თვე ციხეში ჯდომის შემდეგ ასტრახანში გადამასახლეს. იქედან გამოვიპარე და იმპერიალისტური ომის დაწყების მომენტში ქუთაისში ვხელმძღვანელობდი (სხვასთან ერთად) ცენტრალურ პარტიულ ორგანოს. ომის გამოცხადების პირველ დღეებში ჟანდარმებმა ოთხი რედაქტორი ჩასვეს ციხეში თითო წლით ჩემი მეთაურების გამო. არალეგალური რედაქცია გვექონდა ჯაჭვის ხიდთან, დათ. ქებაძის სახლში. ჟანდარმერიამ მალე ერთიანად გაგვანიავა და იძულებული ვიყავით, სოფლებში მივმალულიყავით. თითქმის წელიწადნახევარი ვცხოვრობდი ს. მათხოჯში არალეგალურად. 1914 წ. დამატუსაღეს და ერთი წლის ციხის შემდეგ ისევ ასტრახანში მიმიყვანეს ეტაპით. თებერვლის გადატრიალების დროს ასტრახანის საგუბერნიო პარტიული კომიტეტის მდივნად ამირჩიეს.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დროს ხონში ვიყავი საოსტატო სემინარიის მასწავლებლად, ამჟამად ტფილისში ვმუშაობ ამავე დარგში. პოლიტიკურ რწმენის მხრივ დავრჩი ძველ ბოლშევიკურ პრინციპებზე – „ნოვიაა ყიზნის“ ხაზზე.

მწერლობის სურვილი ჯერ კიდევ სოფლის სკოლაში აღმეძრა და მასწავლებელ ლ. ჩიმაკაძის ნაბაძვით ხალხური ლექსების გროვება დავინყე. 1900 წ. უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე ახლად გარდაცვალებული გიორგი წერეთლის მშვენიერი სურათის ნახვამ ჟურ. „ჯეჯილში“, რომელშიც გარდაცვალებულისადმი მიძღვნილი იყო პოეტ ქალის – განდევილის ლექსი: „დიდუბევ, ძველო ტაძარო!“ ამ ლექსს დღე და ღამე ვიმღეროდი და გიორგი წერეთლის სახელი მენატრებოდა. სემინარიაში შესვლამდე აუარებელი ლექსი მქონდა დაწერილი. სემინარიაში კი მტკიცედ გამიჯდა ის აზრი, რომ ხალხისათვის უნდა მემსახურა მწერლობის გზით. დღე და ღამე ვოცნებობდი და ვსწერდი. ამხანაგები ხშირად დამცინოდენ და ჩემს ნაწერებს ჩუმად ათვალიერებდენ. მათი თავიდან მოსაშორებლად საკუთარი ასოებიც კი გამოვიგონე. ჩემმა ავტორიტეტმა მათ შორის მაშინ აინია, როცა როსტომამვილის „მოგზაურში“, „მწყემსში“ და „ცნობის ფურცელში“ ჩემი თარგმანები დაიბეჭდა. 1904 წ. „ც. ფურცელში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი ორიგინალური მოთხრობა „დედის მსხვერპლი“. იმავე წელს თვითურ ჟურნალ „მომამბეში“ დაიწყო დიდი მოთხრობის – „ლუკმა პურისათვის“ ბეჭდვა. ამ მოთხრობის მასალების შესაკრებად

სპეციალურად წაველი 1904 წელს ბათომის მუშების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. პირველი რევოლუციის დროს ბევრი არაფერი დამიბეჭდია და კორესპონდენციების წერით ვკმაყოფილდებოდი. რეაქციის გამეფებიდან კი დავიწყე ენერგიული მუშაობა: ვთანამშრომლობდი სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში და დავსწერე მთელი რიგი მოთხრობების, მაქვს აგრეთვე ორი რომანი („შოთა ბროლიძე“ და „სამნი“), რომელნიც ცალკე წიგნებადაა გამოცემული. დამიწერია პიესებიც, საბავშვო მოთხრობები, იუმორისტული ესკიზები, საკმაო ცოდვა მიმიძღვის ლექსთა თხზვაშიც. ვსწერ აგრეთვე კრიტიკულ შენიშვნებს, ბიბლიოგრაფიებს და პედაგოგიური ხასიათის წერილებს. ცალკე წიგნად არის გამოცემული ჩემი „ქართული ლიტერატურის თემატიური გარჩევა“ და „ქართული ენის მეთოდისა“. მზად მაქვს და ახლო მომავალში დაიბეჭდება „ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად“, ტ. I. დასრულებული მაქვს აგრეთვე ახალი რომანი იმპერიალისტური ომის წინა ხანიდან – ამ სათაურით „აღმართეთ იალქნები“.

*ვ. ხუროძე – ვ. მალაქიაშვილი
21/VII, ტფილისი, 1929*

ლეო ქიაჩელი – ლეონ შენგელაია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	შენგელაია ლეონ მიხეილის ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ლეო ქიაჩელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1884 თვე თებერვალს დღე 19
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ობუჯი (წალენჯიხის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მწერალი
7. ლიტერატურული ჟანრი	ნოველა, მოთხრობა, რომანი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1909 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა საბჭო
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	სოც. დემოკრ. პარტია 1903 წლიდან საბჭოთა წყობილებამდე

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი დაუმთავრებელი – მოსკოვის, ხარკოვის და ჟენევის უნივერსიტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, რუსული და ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>ვიყავი ემიგრაციაში 1912–1916 წლებში შვეიცარიაში – ჟენევაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მეფის მთავრობის დროს რევოლუციური მოძრაობისათვის ვიყავი პატიმრობაში და ემიგრაციაშიც</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენები: ლენინის, ორი ორდენი „შრომის წითელი დროშისა“; სტალინური პრემიის ლაურეატი; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>აღ. ჭავჭავაძის 23, 3-82-72</p>

მუშაობის შესახებ იხ. ბიოგრაფიული ცნობები.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლეო მიხეილის-ძე ქიაჩელის – შენგელაიას ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1884 წელს, 19 თებერვალს, სოფ. ოზუჯში (წალენჯიხის რაიონი, ყოფ. ზუგდიდის მაზრა საქართველოს სსრ).

1904 წელს დავამთავრე ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს შევედი ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905 წელს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი დაიხურა. დავბრუნდი ისევ სამშობლოში, სადაც მომისწრო რევოლუციის ქარცეცხლმა. ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი რევოლუციური მოძრაობისა სამეგრელოში. 1906 წელს დამაპატიმრეს და გადამცეს მეფის სასამართლოს. 1907 წელს სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად გამოვიპარე ქუთაისის ციხიდან სასამართლოს განაჩენამდე. ვცხოვრობდი მოსკოვში არალეგალურად 1912 წლამდე, სადაც განვაგრძობდი სწავლას თავისუფალ კომერციულ ინსტიტუტში. 1912 წ. წავედი ემიგრაციაში შვეიცარიაში. იქ შევედი ჟენევის უნივერსიტეტში, რომელმაც ჩამითვალა ხარკოვის უნივერსიტეტის სემესტრები.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ვცხოვრობ საქართველოში. ვენეოდი პედაგოგობას, ვასწავლიდი ლიტერატურას. 1919 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, ვმუშაობდი ერობაში ზუგდიდის მაზრაში. შემდეგ კი სრულიად გადავედი ლიტერატურულ მუშაობაზე და ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი, გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა ლიტერატურულ სექციებს და სხვ.

წერა დავიწყე მონაფეობის წლებში უფროსი კლასის მონაფეობის დროს.

1939 წ. დაჯილდოებული ვიქენი „შრომის ნითელი დროშის ორდენით, 1941 წ. მივიღე სტალინური პრემია რომან „გვადი ბიგვას“ დაწერისათვის. 1946 წ. მეორეჯერ ვიქენი დაჯილდოებული „ნითელი დროშის ორდენით“. 1954 წელს ჩემი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად დაჯილდოებული ვიქენი ლენინის ორდენით და გაიმართა იუბილე. დაჯილდოებული ვარ აგრეთვე მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ლ. ქიაჩელის ნაწარმოებთა სია:

1. „ტარიელ გოლუა“, 1917 წ.
2. „სისხლი“, 1928 წ.
3. „სისხლი“, 1945 წ.
4. „გვადი ბიგვა“, 1938 წ.
5. საბავშვო მოთხრობა „ნათელა“.
6. „ტარიელ გოლუა“, 1947 წელს.
7. „გვადი ბიგვა“, 1946 წ.
8. „მთის კაცი“, 1948 წ.
9. „ნათელას თაიგული“, 1949 წ.
10. „ხეთიანის საიდუმლოება“, 1950 წ.
11. რჩეული 4 ტომად.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

ლეო ქიაჩელი (ლეო მიხეილის ძე შენგელაია)

მოკლე ბიოგრ. ცნობა

დავიბადე 1884 წ. თებერვლის 7-ს (ძვ. სტ.) ეს თარიღი შემონმებულია საოჯახო არქივის უტყუარი საბუთით. ჩემს ოფიციალ დოკუმენტებში კი ჩემი დაბადების წლად 1886 წ. აღნიშნული, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. როცა წლოვანებას მიკლებდენ, ჩემი მშობლებიც ალბად იმავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ, რომლითაც ჩვენში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, ყველა მშობელი ხელმძღვარელობდა. მოსაზრება ასეთი იყო: სამხედრო ბეგარის მოხდის დროს უფრო ტანგამაგრებული იქნება და მის მძიმე ტვირთს უცხოეთში უფრო ადვილად აიტანსო. ამან დაბადა ვაჟების ოფიციალ წლოვანების დაკლების ჩვეულება. მე ეს მოვლენა დამახასიათებლად მიმაჩნია, რამდენადაც იგი ხალხის თავდაცვის ინსტინქტის გამახვილებას მოწმობს: ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან შეფარდებული ხერხია გამძლეობის უზრუნველსაყოფად. ამ ჩვეულებას ახლა აღარ მისდევენ: სამხედრო ბეგარის მოსახდელად ახალგაზრდობა რუსეთს აღარ იგზავნება.

მამაჩემს საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული (ქუთაისის გიმნაზია), მსახურობდა სასამართლოში, შემდეგ კი ვექილი იყო. დედა – ხვიტიას ქალი – უსწავლელი იყო, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე.

9 წლისა ვიყავი, როცა ქუთაისის გიმნაზიაში მიმბარეს, რომელიც 1904 წ. დავაშთავრე. დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე მამის სიკვდილის შემდეგ – მაშინ მე-5-6 კლასში ვიყავი.

ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეები ადრე გაგვიტაცა საზოგადო საკითხებმა. მეოთხე კლასიდან უკვე საიდუმლო წრე გვქონდა დაარსებული. თავდაპირველად ჩვენ ვიყავით „ეროვნული მიმართულების ხალხი. წრის მიზანი იყო ქართული მწერლობის შესწავლა, რომელსაც გიმნაზიაში არ გვასწავლიდენ. ამავე წრის ნაწილს შეადგენდა სასცენო სექტორი, რომელიც წარმოდგენებს მართავდა. წრეს ჰქონდა ხელტანწერი ჟურნალი „მომავალი“. ვკითხულობდით ილია ჭავჭავაძეს, აკაკის, ყაზბეგს, ე. ნინოშვილს, შ. არაგვისპირელს და სხ.

1902-3 წ. ჩვენი ეროვნული მიმართულება „მარქსისტულმა“ (სოც. დემ.) შესცვალა. ეს მოხდა რალაც სტიქიურად. უფროს კლასებში მას უკვე ჰქონდა ნიადაგი მოპოვებული: ერთ მშვენიერ დღეს გაიმართა ჩვენს გიმნაზიაში არსებული ყველა წრის საერთო სხდომა. მოვიდენ სოც. დემოკრატები და ნაგვიკითხეს მოხსენება – მარქსიზმი მიიღეთო. კამათი რამდენიმე ღამე გაგრძელდა. შემდეგ ალიონზე კენჭი უყარეს წინადადებას და „მარქსიზმმა“ გაიმარჯვა. განზე გადავდევით ილია, აკაკი, ყაზბეგი და დავენაფეთ პლენანოვს, ლაფორგს, კაუცკის და სხ. ჩვენს პანია ჟურნალსაც სათანადო წარწერა გაუკეთდა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მოვსპეთ სასცენო „მოდანეობაც“. დიდის ვაი-ვაგლახით შეძენილი ქულაჯები და რეკვიზიტი გავასაჩუქრეთ. თავი დავანებეთ დეკლამაციას, ლექსის წერას. მოვუშვით თავზე თმა და ილიაში სქელტანიანი წიგნები ამოვიდევით.

ჩემი პირველი მოთხრობა ამ დროს ეკუთვნის. მახსოვს მისი სათაური: „სიზმარი“ ერქვა. საკუთარი ხელით ჩავწერე „მომავლის“ ათსავე ცალში. რამდენადაც მაგონდება, ეს მოთხრობა დაიწერა ერთის მხრით შ. არაგვის-პირელის გავლენით, ხოლო მეორე მხრით რევოლიუციონური იდეებით გატაცების ზეგავლენით. შინაარსიც მახსოვს. ფანტასტიური რამ იყო: ვითომ რევოლიუცია მოხდა და მუშათა კლასმა გაიმარჯვა. მახსოვს, მეგობრებმა მიქეს. მაშინ რევოლიუციის გამარჯვება მხოლოდ სიზმრად შეიძლებოდა წარმოგვედგინა. შემდეგ რევოლიუცია ნამდვილადაც მოგვევლინა. მე ჩემი ის პირველი „სიზმარი“ ორჯელ ამიხდა ცხადად...

შემდეგშიაც ვწერდი მოთხრობებს. მახსოვს მაშინდელი თემები: გლექსაცობა (ეგ. ნინოშვილის გავლენა), ყაჩაღები, დევნილი ხალხი (ყაზბეგის გავლენა), ფსიქოლოგიური ეტიუდისებური რამეები (არაგვისპირელი), აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროებით რუსის მწერლებით ვიყავით გატაცებული და ჩვენი კი დავინწყებული გვექონდა, ჩვენს „საკუთარ შემოქმედებაზე“ მაინც ქართველი მწერლები ახდენდნენ გავლენას და არა რუსები. ვაზროვნობდით, ასე ვსთქვათ, უცხო მწერლობის კვალობაზე, ხოლო „ვექმნიდით“ მისი გავლენის გარეშე, შეუგნებლად ვექვემდებარებოდით დავინწყებულსა და დანუნებულ ისევ ქართველ მწერლებს. ალბად, აქ ქვეშეგნების – შემოქმედებისათვის – რასიულ-ეროვნულ ორგანიულობასთან გვაქვს საქმე.

მე-7-8 კლ. ჩვენს წრეში უელსისა და დარვინის ორიგინალებს ვკითხულობდით რუსულ თარგმანში. მარქსისტულ მიმართულებას ღრმა საფუძველს ვუშენებდით. რაც შეეხება თვით მარქსისტულ ლიტერატურას, ზოგი ჩვენგანი მის ძალიან კარგ მცოდნედ ითვლებოდა. „კომუნ. მანიფესტი“ და კაუცკის „რევოლიუციის მეორე დღეს“ ციტატები ზეპირად მოგვყავდა ამა თუ იმ გამოცემის გვერდების ჩვენებით. ეს უკანასკნელი წიგნაკი – სახარების როლს ასრულებდა. 1904 წელს ამდენი მზადება აჯანყების მოხდენით დაგვირგვინდა. ეს იყო პირველი სარევოლიუციო დემონსტრაცია ქუთაისში. ეს ცეცხლი მთავრობამ სახანძრო მიღებით ჩააქრო ქუთაისის ქუჩებში: მუქარამ და დაჭერამ რომ ვერ გასჭრა, ჩვენს წინააღმდეგ სახანძრო რაზმი გამოიყვანეს და წყალი გადაგვასხეს. ბევრი ჩვენგანი მაშინ დიდადაც დაზარალდა: გიმნაზიიდან გამორიცხეს. მეც ვიყავი გამორიცხულთა შორის, მაგრამ დამთავრების ნება მომცეს: ეს იყო მე-8 კლასში.

1904 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში ჩავირიცხე, იურიდ. ფაკულტეტზე. 1905 წ. უნივერსიტეტი დროებით დახურეს მოძრაობის გამო. მე იძულებული გავხდი, სამშობლოში დავბრუნებულიყავი. ამ ხნიდან ჩემი ცხოვრების გზა უფრო მრავალფეროვანი შეიქნა. ის გადაეჭდა ჩვენი საზოგადო ცხოვრების გზებს და იმ დუღილში მოექცა, რომელსაც ეწოდება 1905 წელი საქართველოში. ამ პერიოდის ცოტად თუ ბევრად დანვრილებით აღწერა მთელ წიგნს მოითხოვდა. ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ მთავარ მომენტებს ქრონოლოგიურად. 1905 წელმა მე მომაქცია სამეგრელოში მომხდარი აჯანყების სათავეში. 1906 წ. დამაპატიმრეს და სამართალში მიმცეს მაშინ ცნობილი სასტიკი 102 მუხლის ძალით. 1907 წ. ქუთაისის ციხიდან გავიქეცი 37 პოლიტიკურთან ერთად. 1908 წლიდან 1912 წლამდე ვცხოვრობდი არალეგალურად მოსკოვში. ჩემი

ნამდვილი გვართ ჩარიცხული ვიყავი მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში. უნივერსიტეტში დამტკიცებული ფოტოგრაფიული სურათის უქონლობის გამო არ მიმიღეს. ხარკოვის უნივერსიტეტმა ჩემი სურათები დაიტოვა. 1912 წ. საზღვარგარედ წაველი. წერაკითხვის საზოგადოებამ სტიპენდია დამინიშნა, რითაც შეძლება მომეცა ჟენევის უნივერსიტეტში განმეგრძო სწავლა. მსოფლიო ომმა საფრანგეთში მომიხსნო, საიდანაც ისევ შვეიცარიაში დავბრუნდი. 1916 წ. არალეგალურად გამოვემგზავრე საქართველოსკენ საფრანგეთ-ინგლის-ნორვეგია-შვეიციის გზით. 35 დღის მოგზაურობის შემდეგ უვნებელი ჩამოვედი ტფილისში, რასაც არ მოველოდი – მეგონა, საზღვარგარეთ დამიჭერდენ. 1917 წ. თებერვლის რევოლიუციამ გამანთავისუფლა არალეგალობისაგან. 1917 წლიდან ქართულ ლიტერატურას და ისტორიას ვასწავლიდი ქართ. გიმნაზიაში. 1919 წ. ზუგდიდის სამაზრო ერობამ თავმჯდომარედ მიმინვია. თუმცა „პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის“ თავი დანებებული მქონდა, მაგრამ სამეგრელომ ძველი, 1905 წლის, ცოდვა გამიხსენა: რაკი მაშინ დაიწყე, ახლა განაგრძეო. გასაბჭოებიდან მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში ვმუშაობდი. მწერალთა კავშირის პირველ გამოცემათა რედაქტორი ვიყავი. მერე ვმსახურობდი სხვადასხვა დაწესებულებებში.

პირველი ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა 1909 წ. 7 მაისს (ჩემი მოსკოვს ყოფნის დროს), გაზ. „მერცხალში“ ლ. მიხაძის ფსევდონიმით – „წარსული ანმყოში“ – ორ ფელეტონად. ამ წლიდან ვიბეჭდებოდი ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში – უფრო „სახალხო გაზეთში“ და მის დამატებებში.

პირველი ჩემი წიგნი გამოიცა 1917 წ. ეს იყო „ტარიელ გოლუა“. ეს რომანი დავინყე 1915 წ. ჟენევაში და დავამთავრე 1916 წ. საფრანგეთში. პირველად დაიბეჭდა ამავე წელს „სახ. გაზეთის“ ფელეტონებში. ცალკე წიგნად ის გამოცემულია სამჯერ. გადაითარგმნა რუსულად. 1924 წ. გამოიცა ჩემი ნოველების პირველი წიგნი, რომელიც გაიყიდა. 1920-დან 1929-მდე ცალკე წიგნებად იბეჭდებოდა ჩემი საბავშო მოთხრობები, სულ გამოცემულია საბავშო მოთხრობების 8 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 32 ათას უდრის. 1929 წ. ცალკე წიგნად დაიბეჭდა ჩემი უკანასკნელი რომანის „სისხლის“ პირველი წიგნი, რომელიც დავწერე 25-26-27 წლებში. ამ რომანის ორივე წიგნი შეიცავს პერიოდს 1907 წლიდან ვიდრე 1921 წლამდე. ამ ჟამად ვმუშაობ „სისხლის“ მეორე წიგნზე და ვამზადებ ნოველების მეორე ტომს გამოსაცემად.

*ლეო ქიაჩელი
12/VIII, 29 წ.
ქ. ტფილისი*

დავით სულიაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	სულიაშვილი დავით სოკრატის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1884</u> თვე <u>ივნისი</u> დღე <u>—</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი) სურამი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1912 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ჟენევის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, გერმანული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>შვეიცარიაში 1907 წლიდან 1917 წლამდე, ემიგრანტი</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „საპატიო ნიშნისა“; მედალები – მამაცური შრომისათვის, კავკასიის დაცვისათვის</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>პენსიონერია</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>(პირაგოვის) კარგარეთელის 9</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1917	19	მდივანი	რედ. „ალმანახი“	თბილისი
1919	20	„-“	„მემსტვო“	„-“
1920	21	მმართველი	ქალაქის თვითმართველობა	სურამში
1921	22	საქმეთა მმართველი	საგარეო საქმეთა სამინისტრო	თბილისი
1922	24	კანტორის მმართველი	რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობისა	ბაქოში
1924	27	სწავლული მუშაკი	ჟურნალი „რევოლუციური მათიანე“	თბილისი
1927	35	განყ. გამგე	ცენტრ. არქივისა	„-“
1935		მწერალობა	არსად არ ვმუშაობ	„-“

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დავით სოკრატის-ძე სულიაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1884 წელს, ივნისის თვეში, სურამში, დიაკვნის ოჯახში. ვსწავლობდი გორის სასულიერო სემინარიაში, რის დამთავრების შემდეგ, შევედი თბილისის სასულიერო სემინარიაში. სწავლას თავი მივანებე მესამე კლასიდან, რადგან მონაწილეობას ვიღებდი მუშათა მოძრაობაში თბილისის რკინიგზის მუშებთან პროპაგანდის განწევისათვის.

1903 წელს მე წავედი გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ 1905 წელს დავბრუნდი საქართველოში რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დამაპატიმრეს და ჩამსვეს ციხეში.

1906-1907 წ.წ. ციხეში გვირაბის გაჭრის საშუალებით გამოვიპარე და წავედი ისევ საზღვარგარეთ – შვეიცარიაში. ემიგრაციაში გავატარე ათი წელი, 1917 წლამდე. რუსეთში დავბრუნდი რევოლუციის შემდეგ ლენინთან ერთად. ამის შემდეგ ვიმყოფები საქართველოში – თბილისში. ვარ საქართველოს მწერლების კავშირის გამგეობის წევრი.

დაჯილდოვებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დ. სულიაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „ცხოვრების ტალღებში“, მოთხრობა, 1926 წ.
 2. „ნალვერდალი“, „-“, 1928 წ.
 3. „შაქრო ჩოდრიშვილი“, მონოგრაფია, 1929 წ.
 4. „მეორე დღეს“, „-“, 1929 წ.
 5. „შორეული ქრონიკა“, 1931 წ.
 6. „კედელი“, რომანი, 1933 წ.
 7. მოთხრობები, კრებული, 1936 წ.
 8. „უცნაური ნაკადები“, ნარკვევები, 1936 წ.
 9. „ჩემი მონაფეობის წლები“, ნარკვევი 1940 წ.
 10. „მეორე დღე“, რომანი, 1940 წ.
 11. „მეგობრის სისხლი“, მოთხრობა, 1942 წ.
 12. „თევდორე“, ისტ. მოთხრობა, 1943 წ.
 13. „მოთხრობები შორეულზე“, 1944 წ.
 14. „ზურაბის ციხე“, მოთხრობა, 1946 წ.
 15. „ნარსულიდან“, ქრონიკა, 1948 წ.
 16. „მშობლიური მიწა“, მოთხრობა, 1949 წ.
- და სხვ.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ავტობიოგრაფია დავით სულიაშვილისა

დავიბადე სურამში, დიაკვნის ოჯახში. ჩემი დაბადების წელი ოფიციალურ ქალაქებში მიკუთვნილია 1884 წელს, ხოლო ნამდვილად ერთი წლით ადრე ვარ დაბადებული. მამა ჩემი თავის მამის გარდაცვალების შემდეგ, სოფ. ილმიდან წამოსულა სურამში, დედასთან ერთად, როცა ის კიდევ ბავშვი 7-8 წლისა ყოფილა. დაქვრივებულ დედას მომსახურეობა დაუწყევია. შვილიც მოჯამაგირედ მიუცია ერთ ღვდლის ოჯახში. ღვდელი ვინმე გურგენიძე (ძმა „იმედის“ რედაქტორის მის. გურგენიძისა) სურამში მღვდლობდა. მას საშინაო სკოლაც მოუწყვია თავის სახლში, სადაც ათიოდე ბავშვს წერა-კითხვას ასწავლიდა. მამა ჩემიც მიუზიდავს ამ მეცადინობას. დაკისრებულ სამოჯამაგირო სამუშაოს შესრულების შემდეგ, იმდენ დროს კიდევ შოულობდა, რომ მონაფებთან ისიც დამჯდარიყო და ანბანი შეესწავლა. სწავლაში ყველას აჯობა. ძალიან მალე აითვისა წერა-კითხვა. მღვდელმა ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ბავშვს და მალე ხუცური ასობეც შეასწავლა. მერე ეკლესიაშიც დაიხმარა. ყრმობისას დიაკვნობა დაანყებინა. მალე კიდევ განაწესა დიაკვნად ჯერ შორეულ სოფელში და მერე ისევ სურამში. ამის შემდეგ მამა ჩემი სურამს არ მოსცილებია. ცოლი შეირთო, მამული შეიძინა, სახლი ააშენა და ცხოვრებას მოჰკიდა ხელი.

შემდეგში ის მთავარდიაკვნად აკურთხეს. მოხუცების დროს ღვდლობაც მისცეს და სამოცდაათობმეტი წლისა გარდაიცვალა. შვილებს დაუტოვა ორსართულიანი სახლი სურამში, ვენახი და წისქვილი. ყველა უმაღლეს სასწავლებელში გამოხარდა და ადგილობრივ ღვდლებს თავის გამრჯელობით და ოჯახის კეთილდღეობით ყველას აჯობა.

მე პირველი შვილი ვიყავი ოჯახში. ჩემს გარდა კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი ავსებდა ჩვენ ოჯახს.

პირველად სურამის სკოლაში მიმაბარეს. ცოტახნით ხორაგაულშიც ვსწავლობდი. ხოლო შემდეგ კი გორში გავათავე სასულიერო სასწავლებელი. სკოლაში კარგად ვსწავლობდი – პირველ შეგირდათ გადავდიოდი კლასიდან კლასში. მასწავლებლებსაც ვუყვარდი. ჩემი გორის სკოლაში ყოფნა და მასწავლებლები აწერილი მაქვს ჩემს პატარა ნაშრომში, „ჩემი მონაფეობის წლები“. ამ სკოლიდან იწყება ჩემი ნაცნობობა იოსებ ჯულაშვილთან – სტალინთან, რომელიც ოთხი კლასით წინ მიდიოდა. სემინარიაში რომ შევედი, ის მაშინ გამოვიდა მეოთხე კლასიდან, მაგრამ სემინარიის მონაფებთან კავშირი მაშინაც არ გაუწყვეტია და იმდენ დროს კიდევ ჩაიგდებდა ხოლმე ხელში, რომ უნცროს მონაფეებისთვის ხელმძღვანელობა გაენია მარქსიზმის შესწავლაში (ამის შესახებ იხილე „მოთხრობები შორეულზე“ – ჩემი მოგონებანი). მესამე კლასიდან მალე მეც მივატოვე სემინარია და მუშათა მოძრაობით გატაცებული სტალინის ხელმძღვანელობით, დავინყე მაშინდელ წრეებში სიარული. დავდიოდით თბილისის დეპოს მუშებში და აგიტაცია-პროპაგანდას ვენეოდი, ქუჩებში და თეატრებში პროკლამაციებს ვფანტავდი, სტამბაში შრიფტს ვეზიდებოდი და საპირველმართო დემონსტრაციებში მონაწილეობას ვლებულობდი.

ჩემი მშობლები, რომლებიც ძალიან სწუხდნენ ჩემს ასეთ გზაზე დადგომას, მივატოვე და მთლიანად პროფესიონალ რევოლუციურ ცხოვრებას მივეცი თავი.

მამა ჩემს მრავალჯერ უთქვამს ჩემთვის: „შვილო, ისეთი ბედნიერება თუ მეღირსებოდა, რომ ჩემი შვილი მღვდლის შვილებთან ერთად სემინარიაში ისწავლიდა, ამას როგორ წარმოვიდგენდი, შენ კი სემინარიაც დამინუნე, თავი მიაწებე და რაღაც „სოციალისტობა“, იმას მოჰკიდე ხელი! აბა, რა უნდა ვქნა მე. როგორ გამოვზარდო შენი უნცროსი ძმები... მეგონა, რომ შენ სემინარიის დამთავრების შემდეგ დამეხმარებოდი მათ აღზრდაში. შენ კი ოჯახი მიატოვე და სადღაც მუშებში დადიხარ, ღვთისა და მეფის საწინააღმდეგო საქმეს ეწევი!“

ჯერ კიდევ სემინარიაში ვსწავლობდი, პირველად რომ მივიღე საპირველმართო დემონსტრაციაში მონაწილეობა. ეს იყო 1907 წელს, 22 აპრილს. ეს დემონსტრაციაც სტალინის უშუალო მონაწილეობით მოეწყო და ჩვენც, სემინარიელებმა მისგან ვიცოდით, რომელ საათზე აიწეოდა წითელი დროშა. გული გამალებით მიცემდა. იმ დღეს კვირა დღე იყო და წირვაზე ვიდექით. აგერ წირვაც გამოვიდა. ყოფილ ალექსანდროვის ბაღზე ჩავიბრძინეთ და სადემონსტრაციოთ მოსულ მუშებში, რომლებიც თითქო სავაჭროთ მისულიყვნენ, საკვირაო ბაზარზე შევერიეთ. და მალე, ძალიან მალე შეიქნა ჩოჩქოლი და ჩემთან ძალიან ახლო აფრიალდა წითელი დროშა. თვალი კი მოვაველე, მაგრამ დროშამ მალე იწყო ფარფატი, მის ტარს ხელი წაავლო რამდენიმე „გოროდოვოიმ“ და დემონსტრანტებს ხელიდან წაართვა. ამ დროს მოცვივდნენ ცხენოსანი კაზაკებიც და შეიქნა მათრახების (ногайк-ების) თხლამა-თხლუმში, დემონსტრანტების გაკავება, დაჭერა და ძალით წაყვანა. მე, როგორც ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სემინარიის მოწაფის ფორმით გამოწყობილმა, იმდენი ყურადღება არ მივაქციე პოლიციელებს და დაჭერასაც გადავჩი.

მეორე წელს თბილისში დემონსტრაცია არ მომხდარა. ხოლო საპირველმართო მანიფესტაცია მაინც მოვანყეთ ქარელში, სადაც რკინის გზის ხიდის გასაკეთებლად თბილისიდან იყვნენ წასული შეგნებული და პარტიული მუშები. აქ თავი მოიყარეს როგორც სოფლის გლეხკაცობამ, ისე ხიდზე მომუშავე მუშებმაც. დროშა ავნიეთ მტკვრის პირად მუხნარში. დემონსტრაციულად დავხვდით მატარებელს და დავიშალეთ.

1903 წელს გაზაფხულზე მე სხვა ამხანაგებთან ერთად მივდივარ ბათომში კვლავ მუშებში სამუშაოთ. და მათთან უფრო დაახლოების მიზნით შევდივარ ქარხანაში მუშად. ხოლო იმ ზაფხულსვე თავს ვანებებ ბათომში მუშაობას და კვლავ სწავლის გასაგრძელებლად მივდივარ საზღვარგარეთ სასწავლებლად. მამა ჩემს კვლავ იმედი ეძლევა, რომ მისი შვილი კვლავ ოჯახს უბრუნდება და, რომ იტყვიან, „წელზე ფეხს იდგამს“, რომ იქ საცხოვრებლად როგორმე მიგზავნოს 25 მანეთი ყოველთვიურად... მაგრამ მამა ჩემს კვლავ უცრუვდება იმედი და მე 1905 წელს, პეტერბურგში მუშების გამოსვლის შემდეგ, სისხლიანი კვირის გავლენითა და მისი შთაბეჭდილებით, სწავლას თავს ვანებებ და სხვა ამხანაგებთან ერთად ვეშურები საქართველოში რევოლუციის გასაღრმავებლად.

ჯერ კიდევ ლეიპციგში ყოფნის დროს მე შევდიოდი ლეიპციგის ჯგუფში, რომელიც 1903 წელს ლონდონში მომხდარ განხეთქილების შემდეგ მთლიანად ბოლშევიკურ ფრაქციას მიეკედლა. 1905 წელს თბილისში რომ ჩამოვედი, მე და ჩემმა ამხანაგებმა ვინახულეთ იოსებ ჯულაშვილი, მაშინ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ბიუროს წევრი და მისი ხელმძღვანელობით ჩვენ კვლავ შევუდექით მუშებში ბოლშევიკურ პროპაგანდას.

ამ ხნის განმავლობაში მე ვმუშაობდი თბილისში, განჯაში, ჭიათურაში და ბოლოს ხორაგაულში, სადაც ჩვენმა ორგანიზაციამ იარაღი აჰყარა სადგურში რკინისგზის დასაცავად მდგარ ტენგინის პოლკის ერთი როტა ჯარისკაცებს... ჩვენი წითელ რაზმელები გორაკებზე ჩაუსაფრდნენ ამ სალდათებს, როცა ისინი მიდიოდნენ ხორაგაულიდან ზესტაფონში, იქ მდგომ სალდათებთან შესაერთებლად. მათი განიარაღების შემდეგ, მალე დაიწყო რეაქცია და ჩვენი ორგანიზაციების დაშლა.

ხორაგაულიდან ლტოლვილი მე წავედი დასავლეთისკენ, მოვიარე ქუთაისი, ხონი, მარტვილი და ისევ ქუთაისში დავბრუნდი. ამხანაგებმა სამუშაოდ ისევ ჭიათურაში გამაგზავნეს, მაგრამ იქ უკვე ისე იყო მოშლილი ორგანიზაცია, რომ მუშაობის სისტემატიურად გაგრძელება არ შეიძლებოდა. პატარა ხანის შემდეგ განვიზრახე ჭიათურიდან სურამის ქედზე გადასულიყავი, სურამში ჩვენებთან გამევილო და იქიდან კი თბილისში წავსულიყავი. ასეც მოხდა. ლიხის მთაზე გადასვლის დროს თოვლიან გზაზე მუხლები გამიცვივდა, დამეხუთა და ძლივსლა დავიარებოდი, სურამში მაინც ჩავედი. იმ ღამეს სახლში დავრჩი... დედა ჩემმა თავი დამბანა, საცვლები გამომიცვალა და მეორე დღეს ფეხით წავედი ხაშურში, იქიდან კი თბილისში. აქ უკვე მოეყარათ თავი მრავალ ამხანაგს, რომლებიც ჩემსავით იძულებული გამხდარიყვნენ თავშესაფარად თბილისში ჩამოსულიყვნენ.

ამ დროს აქ იოსებ ჯულაშვილის მეთაურობით და რედაქტორობით გამოდიოდა პარტიული გაზეთი „დრო“, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ პროვინციებიდან ჩამოსული ამხანაგები, ხოლო რადგან პროვინცია დაცალიერდა მომუშავე და ინტელიგენტ ამხანაგებისგან, იოსებ ჯულაშვილის განკარგულებით ჩვენ ისევ უნდა დავბრუნებოდით სოფელს, რათა კვლავ მუშაობა გაგვეცხოველებინა. მე ისევ ხაშურში წავედი, მაგრამ იქ დიდხანს მუშაობა არ დამცალდა, ვინაიდან სარწმუნო წყაროებიდან მაცნობეს, რომ ადგილობრივ ჟანდარმერიას ჩემი დატუსაღება გადაენწყვიტა. მუშაობის გასაგრძელებლად ადგილი ვიცვალე და ბორჯომში წავედი სამუშაოდ.

ხოლო ერთ საღამოს, როცა ერთ პატარა გორაკზე საუბარი ჩავატარე და სასადილოში შევედი სავანშიმთ ადგილობრივ მუშასთან ერთად, უცბად გარს შემომერტყა ოთხი სალდათი, ერთმა მათგანმა მკლავეებში მძლავრად მომკიდა ხელი, გამაკავა და დანარჩენ სალდათებს უთხრა „Вот этот самый, который нас разоружил и убил нашего командира“-ო. მივხვდი, რომ ესენი იყვნენ ჩვენ მიერ ხორაგაულში განიარაღებული სალდათები. ბევრი ეცადა ჩემთან მყოფი მუშა, როგორმე ამ სალდათების ხელიდან გავენთავისუფლებინე, მაგრამ არ მოხერხდა. იმ წუთშივე მიმიყვანეს იქვე მცხოვრებ თავიანთ უფროსთან, რომელმაც გამოიწვია ბოქაული კაზაკების რაზმის, ჩემი თავი

ჩააბარა და უთხრა წავეყვანეთ, ხოლო ხელი არ ეხლო ჩემთვის. მაგრამ თუ გაქცევას მოვინდომებდი, იმ წუთშივე ესროლათ და მოვეკალით. ამ განკარგულებით მე უკვე მივხვდი, რომ ჩემი ბედი ბენვზე ეკიდა.

კაზაკებმა ბორჯომს გამაცილეს. მე ვერ გამოვრკვეულიყავ, სად მივყავდი მათ, ან ბორჯომს რად დამაცილეს. ხოლო შემდეგში გავიგე, რომ აქეთ, ლიკანისკენ, კარავებში ცხოვრობდენ ის სალდათები, რომელთაც ჩვენ იარაღი ავყარეთ.

უცბათ ჩემთან ქლოშინით, სირბილისგან დალაღული აფიცერი მოვარდა, სალდათებს ვითარება გამოკითხა და ჩვენთან ერთად წამოვიდა იმავე გზით. სალდათებს თითქო არ ესიამოვნათ მისი ჩვენთან წამოსვლა. ერთმანეთში გადაილაპარაკეს და თავიანთი ვერაგული განზრახვის შესრულებას მაინც შეუდგნენ. უცბათ მცირე გორაკისკენ გაცვივდნენ, მე კი მიმატოვეს. ეს მოულოდნელი მათი ქცევა, ჩემთვის უცბად გასაგები გახდა. აფიცერსაც გაუკვირდა. ამან ხმალი ამოიღო და ჩემს წინ დადგა. მეც მას ამოვუდექი გვერდში, რომ არ მიმეცა საბაბი, თითქო მე გაქცევას დავაპირებდი, რადგან მიმატოვეს. იმათაც ველარაფერი მოახერხეს, რადგან გასროლილი ტყვია აფიცერსაც მოხვდებოდა და უკანვე დაბრუნდენ.

აფიცერი შეეკითხა მათ, თუ რისთვის გაიფანტენ და მათაც იცრუეს, თითქო იმ გორაკზე შენიშნეს, რომ ჩემი ამხანაგები იყვნენ ჩასაფრებულნი ჩემს გასანთავისუფლებლად, ხოლო იქ რომ მივიდნენ აღარავინ აღმოჩნდა.

კარავებთან რომ მიმიყვანეს, მაშინ შევიგრძენი ჩემი მთელი არსებით, რომ ეს აფიცერი (შემდეგში გავიგე მისი გვარი – ჯომარდიძე, მაგრამ ველარსად ვინახულე, მგონი პირველი იმპერიალისტური ომის დროს დაილუპა) ნამდვილად ჩემ გადასარჩენად წამოსულიყო ბორჯომიდან. ამიტომ იყო, რომ იმ ღამეს განკარგულება გასცა, ცალკე კარავში მოვეთავსებინეთ. კარავებთან რომ მიმიყვანეს, ნამძინარევი სალდათები გამოცვივდნენ და რომ გაიგეს, ვინც მოიყვანეს, დაიწყეს გინება და ლანძღვა. განსაკუთრებით ავინებდენ ჩემ მომყვან კაზაკებს: „რატომ მოიყვანეთ ცოცხალი! რატომ არ მოჰკალით! რატომ... თქვენი...“ – და იგინებოდნენ.

კარავში რომ შემიყვანეს, აფიცერმა სამი სალდათი ყარაულად დამიყენა და თან უბრძანა, არავინ არ შემოეშვათ ჩემთან კარავში (შემდეგში მივხვდი, რომ შემოსულიყვნენ, ცემით მომკლავდნენ). სალდათები დიდხანს იდგენ ჩემი კარავის წინ და ერთმანეთს აქეზებდენ, ეკითხებოდნენ: „ხომ გახსოვს? ჰა?.. ეგ არ იყო, რომ ჩვენ ჩვენი კამანდირის სისხლიანი ფული დაგვირიგა?.. ოხ!.. მაგისი...“ და იგინებოდნენ, ხოლო კარავში შემოსულას ვერ ბედავდნენ. მთელი ღამე გამანვალეს.

მეორე დღეს ერთმა აფიცერმა დამკითხა, ხოლო მე ყველა მათ (სალდათების) ცნობაზე უარი ვუთხარი. იმ დილასვე შვიდი სალდათის მცველობის ქვეშ, ისევ იმ კომანდირთან მიმიყვანეს, წინა ღამით რომ კაზაკებს გადასცა ჩემი თავი. ახლა იმან რაღაც „რაპორტი“ დასწერა და სალდათებს უბრძანა, გორში წავეყვანეთ. კვლავ ქუჩაზე რომ გამიყვანეს, უცბათ დავინახე ქუჩის მაყურებელთა შორის მამა ჩემი – დაღვრემილი, მთელი ღამის უძინარი, გაფითრებული რომ მიმზერდა თავის სიღრმეში წასულ თვალებით... მო-

ულოდნელი იყო ჩემთვის მისი ამ დროს იქ ყოფნა, ხოლო შემდეგში გავიგე, რომ იმ ღამესვე ტელეფონით ეცნობებინათ სურამის სადგურის უფროსისთვის ჩემი დატუსაღება და იმანაც მყისვე მამა ჩემს აცნობა, რომელიც იმ ღამესვე წამოსულიყო ჩემ საძებნელად ბორჯომში, ხოლო ჩემი ასავალ-დასავლისა ვერაფერი გაეგო და შემთხვევით ქუჩაში რომ შემხვდა კაზაკებით გარშემორტყმული – განცვიფრდა.

გორის ციხეში რომ მიმიყვანეს და პირველი ნაბიჯი შევდგი თუ არა ეზოში, შვება ვიგრძენი. ყველას გამოსვლა უხარია ციხიდან, მე კი იმ ჟამად ციხეში შესვლა გამეხარდა, რადგან იმ სალდათებს ჩამოვცილდი, მთელი ღამე რომ არ მომასვენეს და ჩემს მოკვლას ლამობდენ.

გორის ციხიდან ყვირილაში (ზესტაფონში) გადამგზავნეს, იქიდან კი ქუთაისის ციხეში მომათავსეს. ჩემი და ჩემი ამხანაგების საქმე გადასცეს საველე-სამხედრო სასამართლოს და აუცილებლად დახვრეტა თუ არა, ოცი წლის კატორღა არ ამცილდებოდა, რომ ამხანაგებს არ გაეყვანათ ხვრელი გარედან ჩვენ გასანთავისუფლებლად.

ქუთაისის ციხეში წელიწადნახევარი დავყავი. 1907 წელს ციხიდან გამოვიქეცი, ხოლო ციხიდან გამოსვლა (იხ. ამის შესახებ ჩემი წიგნი „მახსოვს, კარგად მახსოვს!“) არ გამძნელებია ისე, როგორც შემდეგში გამიძნელდა გარეთ თავისდაცვა. ამიტომ გადავწყვიტე, ისევ საზღვარგარეთ გავსულიყავი. ასეც მოხდა. და მე ათი წელი დავყავი ემიგრაციაში. ამ ხნის განმავლობაში მე ვცხოვრობდი შემდეგ ევროპულ ქალაქებში – ლეიპციგში, ციურხში და ჟენევაში.

ემიგრანტული ცხოვრება ძალიან სასტიკი იყო. უნივერსიტეტში მუდამ წელს ჩანერილი ვიყავი ჟენევაში სოციოლოგიურ ფაკულტეტზე, ხოლო უსახსრობის გამო საკმარის ლექციებს ვერ ვიღებდი, ლექციებზე არ დავიარებოდი და ვერ ვმეცადინებოდი. ამიტომ უნივერსიტეტი არ დამიმთავრებია. ხშირად ისეთი გაჭირვება გამივლია სიმშილსა და ცივ ოთახში, რომ სწავლისთვის განწყობილება არ მრჩებოდა. განსაკუთრებით გამიჭირდა, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ერთ ხანად პაპიროსებს ვაკეთებდი, ე. ი. გილზებში თუთუნს ვტენიდი და პაპიროსებს ვყიდდი სტუდენტებისა და ემიგრანტების შორის. ომის დაწყებისას რუსეთიდან ჩამოსულ ერთი მდიდრის ოჯახში სულით დაავადებულ 17-18 წლის ბიჭს ვუვლიდი. მისი ავადმყოფობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მუდამ მღუმარე იყო, თვალეზამტერებული, არ ჭამდა, არც სვამდა. მასთან უნდა ვყოფილიყავი ყოველ წუთს – დღისითაც და ღამითაც. ხოლო ორ თვეში ერთხელ მას თითქო გამოფხიზლება დაეტყობოდა, ამ დროს ის ძალიან ბევრს სჭამდა, ბევრს ლაპარაკობდა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, მირობდა, მოუსვენრობდა და მეც მასთან ერთად ვიღლებოდი და ვნერვიულობდი. ექვსი თვის შემდეგ ისე დავსუსტდი, რომ იძულებული გავხდით ამ სამუშაოსთვის თავი დამენებებინა. ჩემი ნერვებიც აიშალა და დაწყნარებას თხოულობდენ. ხოლო იქ ყოფნის დროს მომეცა საშუალება ჩემთვის პალტო და ტანისამოსი მეყიდნა (თვეში ას ფრანკს მაძლევდენ და პანსიონს).

შემდეგ მე დავიწყე მანონის კეთება და ამით თავს ვიკვებავდი კიდევ. ეს საქმე წამოწყობილი ჰქონდა ერთ სომეხ ამხანაგს – ვინმე ასატურას, ხოლო იმან რომ აქ საკმარისი ხეირი ვერ ნახა, ლოზანაში გადავიდა და იქ რესტო-

რანი გახსნა. მე კი მანვნის საკეთებელი ოთახი გადმომეცა. ერთ ხანად ამით ვცხოვრობდით და შემოსავალსაც არა უჭირდა რა. მანონი მე თვითონ დამქონდა café-რესტორანებში და კერძო ბინებში. ღამით ჩავაყენებდი პატარა ქილებში მანვნებს, დილას უკვე მზათ დამხვდებოდა, ქილებს ქალაღლით თავს მოვკრავდი და მიმქონდა რესტორანებში. 60–70 ცალი პატარა ქილის გასაღებას ფრანკამდე წმიდა შემოსავალს მაძლევდა. ამხანაგებსაც ვეხმარებოდი.

პირველ იმპერიალისტურ ომის დროს უნივერსიტეტიც დაგვეხმარა და თვითეულ ჩვენგანს თვეში დახმარების სახით ოც-ოც ფრანკს გვაძლევდა, რაც სადილისთვის თითქმის გვყოფნიდა.

ერთ ხანად მასაჟის კეთებაც შევისწავლე, რომ ზაფხულობით რუსეთიდან კურორტებზე ჩამოსულ ავადმყოფებისთვის მიმეცა მასაჟის სეანსები და ფული მეშოვნა. მაგრამ ეს ხელობა ვერ გამოვიყენე ვერაფერში.

მიცოცავდა ჟენევაში ემიგრანტების დღეები უშნოდ და ულახათოდ... ერთად ერთი ჩემი ამაფრთოვანებული ძალა, სიყვარული და გატაცება იმან შემოიტანა, რომ დავინყე წერა. 1912 წელს კიდეც დავიბეჭდე გაზეთში, ჯერ სოც. დემოკრ. მიმართულების პრესაში და შემდეგ „თემში“ და „სახალხო ფურცლის“ დამატებაში. რომ რედაქციაში გამეგზავნა დასაბეჭდათ ჩემი პირველი დამთავრებული მოთხრობა, გამაბედვინა, ბიძგი მკრა, წამახალისა და გამაგზავნინა კიდეც დასაბეჭდათ ლეო ქიაჩელმა. მე და ის ერთად გამოვედით ქუთაისის ციხიდან, როგორც ზევით მოვიხსენიე, ხვრელის შემწეობით. ხოლო მე მალე, ამ წელსვე წამოვედი საზღვარგარეთ, ის კი 1912 ჩამოვიდა ჟენევაში. მან მაცნობა, რომ ის უკვე იბეჭდებოდა გაზეთებში...

მოსაგონარია ჩვენი პირველი შეხვედრა. მალე მეც გამოვუტყდი, რომ ვწერდი მოთხრობებს, ხოლო გაგზავნა ვერ გამებედნა. იმან მოისურვა მისთვის წამეკითხნა რომელიმე ჩემი მოთხრობა. და მახსოვს, როგორი გატაცებით ვუკითხავდი მას და თან შევცქეროდი, რომ გამეგო, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე წანაკითხარი. ხომ მე ასე დამავინწყდა ყველაფერი, რომ სპირტით ასადულებელ მანქანაზე რომ დავდგი ჩაიდანის ასადულებლად, დამვიწყებოდა შიგნის ჩასხმა და სანამ ჩაიდანის არ დაიშალა თავის სახსრებში, მე ვერაფერი გავიგე... ჩემი მოთხრობა ლეო ქიაჩელმა მოიწონა, აკურთხა და გავგზავნეთ კიდეც, ხოლო უჩაიოთ კი დავრჩით. ამნაირად ჩემი პირველი მოთხრობა „ცხოვრების ტალღებში“ დაიბეჭდა „აზრში“. დიდი აფთოვანებით ვკითხულობდი მას საქართველოდან მოსულ გაზეთში და რომ უფრო კარგად შემეგრძნო ეს ამბავი, ქალაქ გარეთ გავედი და იქ მარტო კიდეც ერთხელ გადავიკითხე. მეგონა, ოქროს ასოებით იყო დაბეჭდილი. ასე დაიწყო ჩემი ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლა და მას შემდეგ სხვა და სხვა გამომცემლობაში, სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხრობები;

ახლოვდებოდა 1917 წელი. თითქო თანდათან ისახებოდა ჰორიზონტზე რევოლუციის მოსალოდნელი ნიშნები და ერთ დილას, როცა მე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მივდიოდი ანატოლ ფრანსის კრიტიკული წერილების საკითხავად, უცბად შემომესმა გაზეთების გამყიდველის ყვირილი: Demander la Tribune! Revolution en Russie!.. გაზეთი ვიყიდე და გავიგე, რომ რუსეთში თვითმპყრობელობა დაცემულა, რომ ქუჩებზე ბარიკადებია ამართული...

– ახლა კი დავბრუნდებით რუსეთში, ახლა კი მივალთ ჩვენ საყვარელ სამშობლო-საქართველოში!

ხოლო თანდათან ირკვეოდა, რომ რუსეთში გასვლა არ შეიძლებოდა იმ ემიგრანტებისთვის, რომელნიც არ იდგნენ – „война до победного конца!..“ და ამის მაგიერ ქადაგებდნენ სამოქალაქო ბრძოლის გაღვივებას. არც საფრანგეთი და არც ინგლისი ასეთ რევოლუციონერებს თავის ტერიტორიაზე არ ატარებდნენ. სხვა გზით წასვლა კი არ შეიძლებოდა.

მხოლოდ ლენინმა გამოწახა ასეთი გზა და ჩვენ, უნევაში მყოფთ, მოგვივიდა დეპეშა, რომლითაც გვატყობინებდა, რომ არის შესაძლებლობა გერმანიის ტერიტორიით რუსეთში შესვლა. მას განეზრახა, შვეიცარიის სოც.-დემოკრ. პარტიის წევრების საშუალებით მოეწყო გერმანიის ტერიტორიით გასვლა და სკანდინავიიდან რუსეთში შესვლა. ეს ასეც მოხდა. ბევრი ამხანაგი წინააღმდეგი იყო ამ გზით წასვლისა და კიდევ ეკამათებოდნენ და ეჩხუბებოდნენ ამ გზით წამსვლელებს, ხოლო ლენინი უდრეკი და რევოლუციაში მონაწილეობის მიღებით გატაცებული, ამხანაგებს უმტკიცებდა, რომ მალე ისინიც დარწმუნდებიან და ამავე საშუალებით წამოვლენ. ეს ასეც მოხდა.

უნევაში მყოფ ქართველებიდან მხოლოდ მე და მიხა ცხაკაიამ გავბედეთ ამ გზით რუსეთში დაბრუნება. ბერნში ვინახულეთ ლენინი. ემჩნეოდა, რომ ლელავდა, რომ ამ გზით წასვლა პასუხსაგები იყო, მაგრამ „незумысных поем мы песню!..“ და წამოვედით. სულ 30 კაცი. თუმცა უკვე ციურისში მოუვიდა ლენინს დეპეშა უნევიდან, რომ ორი დღე კიდევ დაეცადნა და ისინიც (ათიოდე ემიგრანტი) შეგვიერთდებოდა, მაგრამ ლენინი გამალეზით ესწრაფვოდა რევოლუციისკენ და ერთ დღესაც არ დაკარგავდა.

გერმანია ჩვენ გავიარეთ შვეიცარიის სოც. დემ. პარტიის მდივნის პლატენის თანხლებით და დამპლომბილ ვაგონით. შვეიციაში ლენინი გამხიარულდა. ადგილობრივ ამხანაგებს ავალებდა, ჩქარა და დაუყონებლივ მოეწყოთ ჩვენი ფინეთში გამგზავრება. იმ დღესვე გამოვედით სტოკჰოლმიდან, გამოვიარეთ ფინეთი და შემოვედით ფინეთის სადგურით პეტროგრადში.

მიმზიდველი და ამაფრთოვანებელი იყო ბელოსტროვში სტალინის დახვედრა მუშებითა და წითელი დროშით. ის ჩვენ ვაგონში ამოვიდა და ლენინს გადაეხვია. ახლა კი დავინახეთ, რომ ჩვენ დატუსაღებას ველარ მოახერხებდა მაშინდელი კადეტების მთავრობა. მაშინ არ იცოდნენ მათ და არც იმ შემანქანემ, რომელსაც ჩვენი მატარებელი მიჰყავდა, რომ პეტროგრადს უახლოვდებოდა ორი დიდი ბელადი რუსეთის დიდი რევოლუციისა, ორი დიდი რევოლუციონერი, რომელთაც ქვეყნიერება შესძრეს.

პეტროგრადმა დიდი აფთოვანებით და გატაცებით მიიღო ლენინის დაბრუნება ემიგრაციიდან...

პეტროგრადში მაშინ მე მხოლოდ ერთი კვირა დავრჩი. ვესწრაფოდი მალე ჩემ სამშობლო-საქართველოში ჩამოვსულიყავი და მშობლიური მიწის, ჰაერის და მდინარეების რუკურუკით დავმტკბარიყავი. სიხარულის ცრემლები ლაპაღუპით გადმომცვივდა თვალთაგან, მატარებელმა რომ თბილისს მიაკვილა.

საქართველოში დაბრუნებისთანავე მე დავინყე მუშაობა პავლე საყვარელიძის მიერ რედაქტორობით გამოსულ გაზეთ „ალიონში“, რომელიც

სოც.-დემ. პარტიას გამოეყო და თავის პროგრამაში შეიტანა საქართველოს ავტონომიის დაცვა და მის რესპუბლიკური წყობილების განმტკიცება.

ხოლო მალე რევოლუციონურმა მსვლელობამ საქართველო რუსეთიდან მთლიანად გამოჰყო და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. ამის შემდეგ მე ვმუშაობდი მენშევიკური მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში და ყოველნაირ პარტიულ მუშაობას საცესებით მოვცილდი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კვლავ უპარტიოებას განვაგრძობდი და ვმსახურებდი ხელისუფლების საპასუხისმგებლო დაწესებულებებში. 1928 წლიდან თავი დავანებე ყოველნაირ სამსახურს და მთლიანად მივეცი თავი ჩემ საყვარელ საგანს – მწერლობას.

საბჭოთა ხელისუფლება, ისე გვიწყობდა და და გვიწყობს ხელს ამ დარგში მომუშავეებს, რომ ხალისითა და აფეთქანებით ეძლევი ამ საქმეს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი საქართველოში პროფესიონალი მწერალი, მიცემული მთლიანად თავის შემოქმედებას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოიცა მწერლების ყოველი ნაწარმოები, რასაც კი ოდნავი შემოქმედებითი ელფერი ჰქონდა. ჰოდა, მეც ამ დროს მთელი არსებით ვინყებ მუშაობას და მხოლოდ ამ დროს გამოიცა ჩემი შემდეგი წიგნები, მხოლოდ ამ დროს დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში ჩემი ნაწერები. ქვემოთ ქრონოლოგიურად მომყავს ჩემი ნაწერების მთლიანი ნუსხა.

გამოსულ წიგნების ნუსხა

- 1) „ცხოვრების ტალღებში“. მოთხრობა. გამომც. „შრომა“. 1926 წ.
- 2) „ლენინის დაბრუნება ემიგრაციიდან“. ქრონიკა. „-“. 1922 წ.
- 3) „ჩიკორი“. მოთხრობა. „-“. სახელგამი. 1928 წ.
- 4) „ნალვერდალი“. მოთხრობა. „-“ ზაკკნიგა. 1927 წ.
- 5) „ზაქრო ჩოდრიშვილი“. მონოგრაფია. „-“ სახელგამი. 1929 წ.
- 6) „მეორე დღეს“. მოთხრობები. „-“. 1929 წ.
- 7) „ჩიკორი“. მეორე გამოცემა გამომც. სახელგამი. 1930 წ.
- 8) „ლენინის ემიგრ. დაბრუნება“. მეორე გამოცემა. „-“. 1931 წ.
- 9) „ჩიკორი“. მესამე გამოცემა. „-“. თბილისი. 1934 წ.
- 10) „შორეული ქრონიკა“. „-“ სახელგამი. 1931 წ.
- 11) „ლენინის ემიგრ. დაბრუნება“. მესამე გამოცემა. „-“. 1933 წ.
- 12) „ნალვერდალი“. მოთხ. კრებული. „-“. 1932 წ.
- 13) „კედელი“. რომანი. „-“ ფედერაცია 1933 წ.
- 14) „მოთხრობები“. კრებული. „-“ ფედერაცია. 1936 წ.
- 15) „უცნაური ნაკადები“. ნარკვევი. „-“ სახელგამი. 1936 წ.
- 16) „ჩემი მონაფეობის წლები“. ქრონიკა. „-“ საბლიტგამი. 1940 წ.
- 17) „მეორე დღე“. რომანი. „-“ ფედერაცია. 1940 წ.
- 18) „მეგობრის სისხლი“. ორი მოთხრობა. „-“. 1942 წ.
- 19) „თევდორე“. ისტ. მოთხ. „-“. 1945 წ.
- 20) „ზურაბის ციხე“. „-“. 1946 წ.
- 21) „მოთხრობები შორეულზე“. „-“. 1944 წ.

წიგნების გარდა დაიბეჭდა გაზეთებში თუ კრებულებში შემდეგი ჩემი მოთხრობები:

1) „გულის ძიება“. რომანი. „სახალხო ფურცლის“ დამატება. 1916 წ.

2) „ფიქრები“, „ტალღები“, „უცხო მდინარის პირად“, და სხვა ფელეტ. „თემში“. 1913-14-15 წწ.

3) „ერთ დილას“. მოთხრობა. ჟურნ. „საბჭოთა მწერალი“. 1931(?).

4) „აღსრულდა!“ მოთხრობა. კრებული „საბჭოთა საქართველო“. 1941 წ.

რუსულად:

1) „Горящий уголь“, рассказы, изд. ГИЗ. Москва. 1929 წ.

2) „Чикори“, рассказ, изд. „Закгиз“, Тбилиси. 1934 წ.

3) „Ученические годы“, хроника, „Заря Востока“. 1942 წ.

4) „Отец Тевдоре“, раск. хроника, „Заря Востока“. 1943 წ.

ბერძნულად:

1) „ჩიკორი“. მოთხრ. გამომც. როსტოვი. 1938(?).

დაიბეჭდა გაზეთებში:

უკრაინულ ენაზე:

1) „კედელი“. ნაწყვეტი მოთხრობიდან. ხარკოვი. 1936.

სომხურ ენაზე:

1) „მეორე დღე“. ნაწყვეტი მოთხრობიდან. თბილისი. 1932.

ამჟამად იბეჭდება:

1) „მახსოვს, კარგად მახსოვს!“ ქრონიკა. „საბლიტგამი“. 1946 წ.

2) „შვეიცარიიდან პეტროგრადამდე ლენინთან ერთად“. „სახელგამი“. 1946 წ.

საქ. მწერალთა კავშირის წევრად ვირიცხები მის დაარსებიდანვე. მთელი რიგი წლებისა ვასრულებდი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. წელს (1946 წ.) არჩეული ვარ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად. წელსვე საქართველოს გასაბჭოების წლის თავზე მთავრობამ დამაჯილდოვა ორდენით...

დავით სულიაშვილი
25/XII, 46 წ., თბილისი

ალექსანდრე აბაშელი – ჩოჩია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1954 წ. 29/IX აბაშელი ალექსანდრე ბესარიონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ალექსანდრე აბაშელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1884 თვე აგვისტოს დღე 15
	(ძველი თუ ახალი სტილი) აბაშაში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1909 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერალთა კორპორაცია
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	ვიყავი სოციალ-დემოკრატი 1905-1906

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „შრომის წითელი დროშისა“; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>უნივერსიტეტის 22</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1903	4	ფოსტის მოხელე	ბორჯომში	
1909	12	თანამშრომელი	გაზეთებისა და ჟურნალების რე- დაქცია	თბილისი
1915	16	სამეურნეო ნაწ. გამგე	აბასთუმანის სანატორიუმი	აბასთუმანი
1917	19	სამ. ნაწ. გამგე	მთავარობის სასახლისა	თბილისი
1920		მთარგმნელი	გარეშე საქმეთა სამინისტრო	„-“
1921		ლიტსექც. გამგე	მთავარ სახელოვ- ნო კომიტეტი	
1922	24	რედკოლეგიის წევრი	სახელგამი	
1925	32	რედაქტორი- სტილისტი	„-“	
1932	33	პ/მგ მდივანი	ჟურნ. „ნიგნი“	
1934	35	„-“	სახელგამი	
1936		„-“	ჟურნ. „ჩვენი თაობა“	
1937	46	უფრ. რედაქტო- რის მოადგილე	„ზარია ვოსტოკა“	
1951	52	ლიტკონსულ- ტანტი	მწერალთა კავში- რის პოეზიის სექციისა	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ალექსანდრე ბესარიონის-ძე აბაშელის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1884 წელს, აგვისტოს 15-ს, სოფ. აბაშაში, გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდამეცვალა. ვსწავლობდი ჯერ აბაშის ორკლასიან სასწავლებელში. 16 წლისა გაეხდი, დედაც მომიკვდა.

1902 წლიდან კვითხულობდი არალეგალურ ლიტერატურას, რომელსაც მაძლევდნენ ბათუმიდან ჩამოსული მუშები.

1903 წელს ბორჯომში ფოსტის მოხელედ ჩამრიცხეს, სადაც ვიმსახურე 1904 წლის ბოლომდე.

1904 წლის დამლევს, როცა აღიძრა სამეგრელოს რაიონებისათვის პროპაგანდისტების მომზადების საკითხი, მე დამიბარეს ბათუმში და ჩამრიცხეს როტმილდის ქარხანაში. აქ სხვებთან ერთად ვემზადებოდი პროპაგანდისტად.

1905 წლის გაზაფხულზე, როცა მოქმედება დაიწყო სამეგრელოს სდმ ჯგუფმა, მე გამგზავნეს სამეგრელოში პროპაგანდისტად. ვმუშაობდი აბაშის, ბანძისა და მარტვილის რაიონებში.

1906 წელს დამაპატიმრეს ნაოლელევი. ხუთი თვე დავყავი ქუთაისის ციხეში, შემდეგ გადამასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში ქ. სოლვეჩეგოდსკში. 1907 წელს იმ არალეგალური წრის მოწყობისათვის, რომელიც ჩემს მიერ იყო ჩამოყალიბებული, დამაპატიმრეს და სამი თვის პატიმრობის შემდეგ გადამასახლეს ქ. ენოტავესკში ასტრახანის გუბერნიაში. იქიდან 1908 წელს გამოვიქეცი და ჩამოვედი თბილისში.

1909–1911 წლებში თბილისში ჟანდარმთა სამმართველოს მიერ სამჯერ ვიყავი დაპატიმრებული – ორჯერ ჩემს ბინაზე და მესამეჯერ სოც. დემოკრ. გაზეთის რედაქციაში მთელი რედაქციის შემადგენლობასთან ერთად, ხუთი თვე გავატარე მეტეხის ციხეში.

1913-1914 წლებში ვმეცადინებოდი მოსკოვში მინავესკის სახელობის უნივერსიტეტში, ვისმენდი ისტორიულ-ფილოსოფიურ ციკლის ლექციებს.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე 1909 წელს. ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა ი. პარნასელის ფსევდონიმით 1909 წელს, გაზ. „დროებაში“, 22 მარტის ნომერში.

ჩემი ლექსების პირველი წიგნი „მზის სიცილი“ დაიბეჭდა თბილისში 1913 წელს, მეორე წიგნი „ანთებული ხეივანი“ გამოვიდა 1923 წელს. მესამე „გაბზარული სარკე“ 1929 წელს და მეოთხე „მზე და სამშობლო“ 1939 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ვმუშაობ ლიტერატურისა და გამომცემლობის დარგში. 1921–32 წლებში ვიყავი მთავარ სახელოვნო კომიტეტის სალიტერატურო სექციის გამგედ.

1923 წლიდან – სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წევრად. ჩემი რედაქტორობითა და თანარედაქტორობით დაიბეჭდა ქართული კლასიკოსების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას აკადემიური გამოცემები.

ვიყავი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეთ (ამხ. ს. თოდრიას თავმჯდომარეობის დროს), 1927 წელს არჩეული ვიყავი მწერალთა კავშირი-

დან თბილისის საბჭოს დეპუტატად. ამჟამად ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი და ვმუშაობ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ მთავარ რედაქტორის მოადგილეთ.

ალ. აბაშელის ნაწარმოებთა სია:

1. „მზის სიცილი“, 1913 წ.
2. „ანთებული ხეივანი“, 1923 წ.
3. „გაბზარული სარკე“, 1929 წ.
4. „მზე და სამშობლო“, 1939 წ.
5. „გმირული დღეები“, 1942 წ.
6. „ოქროს საფეხურები“, 1950 წ.

გარდა ამისა გამოიცა კიდევ:

1. რჩეული ლექსები, 1942 წ.
2. „სამშობლოს“, 1943 წ.
3. ერთგომეული (სრული კრებული), 1947 წ.
4. რჩეული ლექსები, ითარგმნა რუსულადაც, 1949 წ.

პოეტ გრიგოლ აბაშიძესთან ერთად დავწერეთ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი მუმლაძე

1. მუმლაძე გიორგი ესტატეს ძე.

2. დავიბადე თბილისის მაზრის სოფ. დიდ-ენაგეთში, 1884 წლის 3 გიორგობისთვის (მეტრიკული მოწმობის თანახმად), მშობლების სიტყვით კი – 1882 წლის 23 აპრილს.

3. პირველდანიეებითი განათლება ოჯახში მივიღე, შემდეგ ბუღალტერია შევისწავლე.

4. ბუღალტერიის შესწავლის პირველ ხანებში სხვადასხვა სავაჭრო დანესებულებებში, 1910 წლიდან კი – ბანკებში ქუთაისში, სამტრედიასა და ოზურგეთში; ამჟამად თბილისში ვმსახურებ ამიერ-კავკასიის ბანკში ბუღალტრად.

5. პირველად სამწერლო ასპარეზზე დავინყე მუშაობა 1910 წ. პირველი ნაწარმოები „ბოროტი ძალა“ – მინიატიურა დაბეჭდ. 1910 წ. აღმანახ „შუქში“, №1.

6. უკიდურეს რეაქციის ხანაში, მაგრამ ამხანაგ-თანამოღვაწეთაგან გამხსნევებული მაინც მივისწრაფოდი დასახული მიზნისაკენ.

7. ორიგინალური:

ა) მოთხრობები: „ხელოვნური კბილები“ – 1913 წ., გაზ. „იმერეთი“, №88.

„მემკვიდრეობის მოლოდინში“ – 1913 წ., „ერი“, №26.

„მეკვლე“ – 1913 წ., „ერი“, №1.

„სადგურის უფროსი“ – 1913 წ., „ერი“, №48.

„გიგლა ფუჩჩაშვილი“ – 1914 წ., „ერი“, №29-30.

„ამონაკვნესი“ – 1914 წ., „შრომა“, №28, 29, 30.

„ლელი და თინა“ – 1914 წ., „შრომა“, №33-34.

„ღორის თავი“ – 1915 წ., „შრომა“, №1.

„უკანასკნელი წერილი“ – 1915 წ., „სახ. ფურც.“, დამატება, №396.

„პირველი სიყვარული“ – 1916 წ., „სამშობლო“, №359.

„ოცდა-ათი ვერცხლი“ – 1918 წ., „რევოლიუციონური ნობათი“, №25.

„ახალი ძალა“ – 1918 წ., იგივე გაზეთი, №88, 93, 96, 97, 98.

„შეება-ლხენის წყვილი“ – 1916 წ. გამოცემული კრებული „სხივი“.

ბ) მინიატიურები: „ნაკვეთები“-ს სათაურით მინიატიურათა კრებული: „ბოროტი ძალა“, „ყველაფერი გათავებულია“, „ლამე“, „მუხა-ბატონი“, „არწივი“, „შენი ქირიმე“, „კაპოეტი“, „აღსდგა მკვდრეთით“, „უღირსი სამება“, „სიცოცხლე მწყურია“ და სხვა მრავალი სახუმარო და პატარა ფელეტონები ზემოხსენებულ გაზეთებში და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში დაბეჭდილი.

თარგმანები: რ. რაჟდენიძესთან ერთად ვთარგმნე ა. ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“, ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1912 წელს.

საკუთარი თარგმანები: ჟურნალ „სატირიკონი“-ს რედაქციის მიერ შედგენილი „რუსეთის ისტორია“, დ. მერეჟკოვსკის „სიყვარული სიკვდილზე უძლიერესია“, რაბინდრანათა თავორას „გიტანჯალი“ და „ნამგალა მთვარე“, ლონგუსის „დაფნისი და ქლოია“, კუპრინის „სულამიტი“, ჩირიკოვის „ცხოვრების ბჭესთან“, ჰენრი ჯორჯისა და ჰაინდმანის „ერთად-ერთი ხარკი“, ალ. ამფიტეატროვის „უთავო მეფე“ და სხვა მრავალი დოროშევიჩიდან, აგერჩენ-

კოდან, ო. ლ. დ'ორილზ ორიდან, უაილდიდან და სხვ. დაბეჭდილია – „კოლხი-და“, „იმერეთი“, „მეგობარი“, „სამშობლო“, „საქართველო“, „სახალხო ფურცლის“ დამატებასა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ნათარგმნი და გადმოკეთებული დაუბეჭდავი პიესები: „იუდას ამბორი“, „დეპუტატთა წარსულიდან“, „ბავშვების კატორღა“ და სხვ. მრავალი.

8. 1905 წელს 3 თვით ჩამამწყვდია ციხეში ქუთაისის გუბერნატორმა, 1908 წელს იქვე ერთი თვით ადმინისტრაციული წესით – პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

9. ნანარმოებთა მიზანი და ჩემი რწმენა – შეძლებისდაგვარად სამშობლო ლიტერატურის ხელისშეწყობა და აყვავება.

10. „გულყვითელა“, „მუმლი“, „არწივი“, „ლელო“, „გ. ჯავახი“ და სხვ.

11. მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: მის. ბოჭორიშვილი, დ. მესხი, ნ. მინიშვილი, ლეო შენგელაია, ილ. ნუცუბიძე, შალვა დადიანი და სხვანი.

გ. მუმლაძე

ბაბილინა – ბარბარე ხოსიტაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ხოსიტაშვილი ბაბილინა ისაკის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ბაბილინა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1884 თვე დეკემბერი დღე 4
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბოდბისხევი (სიღნაღის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ლიტერატურული კვლევები
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური მწერ. ჯგუფი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	–

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, ფილოლოგიურ-ისტორიული ფაკულტეტი თბილისის სახ. უნივერსიტეტისა
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	-
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	არა
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	არა
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	ვმუშაობდი წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	არა
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	მედალი „მამაცური შრომისათვის“
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	პენსიონერი
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	უნივერსიტეტის 18

მუშაობის შესახებ სხვა ცნობები არ აღინიშნება. იხ. ავტობიოგრაფია.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ხოსიტაშვილი ბაბილინა ისაკის ასულის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1884 წელს, 4 დეკემბერს, სოფ. ბოდბისხევში სიღნაღის მაზრა. მამა იყო სასულიერო წოდებისა – დიაკვანი, წარმოშობით გლეხი. 8-9 წლისა ვსწავლობდი სოფლის სკოლაში, შემდეგ გადავედი ბოდბის მონსტრის წმ. ნინოს მონასტერში – ექვსკლასიან სამასწავლებლო სემინარიაში. დავამთავრე 1900 წელს. შემდეგ ჩემი ძმის – იროდიონ ევდოშვილის მიერ გამოცხადებული ვიყავი თბილისში, სადაც დავეწაფე თვითგანვითარებას, არ მქონდა საშუალება რუსეთში წავსულიყავ სწავლის გასაგრძელებლად, რასაც ბავშვობიდანვე ვესწრაფებოდი. ბიბლიოთეკა-სამკითხველოების საშუალებით ვეცნობოდი რუსეთისა და ევროპის, აგრეთვე ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

1904-5 წლებში ჩემი ძმის რჩევითა და შემწევობით, რომ უფრო ახლოს გავცნობოდი რევოლუციურ მოძრაობას და ჩემი წვლილი შემეტანა ამ დიდ საქმეში, დავინწყე მუშაობა ასოთამწყობად.

დროდადრო გადავიდი არალეგალურ რევოლუციურ სამუშაოებზე. ამ დროს ვხვდებოდი ახალგაზრდა კონსპირატორ სოსო ჯულაშვილს, რომლის შესახებაც მე მაქვს ცოტაოდენი მოგონება წარდგენილი „იმელში“.

1905 წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსი გაზეთ „მინაში“ რევოლუციურ მოტივზე. მეორე ლექსი ყოველკვირეულ ჟურნალ „გლეხში“ და სხვ.

1907-9 წლების საზოგადო მოღვაწის – მარიამ დემურის დახმარებით, რომელიც რედაქტორობდა ჟურნ. „ნაკადულს“, მონყობილი ვიყავი ქალთა საკვირაო სკოლაში და ვასწავლიდი წერა-კითხვას ღარიბ გოგონებს.

აგრეთვე ან. წერეთლის დახმარებით, რომელიც აგრეთვე რედაქტორი იყო საბავშვო ჟურნ. „ჯეჯილის“, მონყობილი ვიყავი ვაჟთა საკვირაო სკოლაში, ვმუშაობდი ჟურნ. „ჯეჯილის“ კორექტორადაც და ექსპედიტორად. 1909-10 წლებში იბეჭდებოდა ჩემი ლექსები აღნიშნულ ჟურნალებში.

1910 წელს გავთხოვდი მწერალსა და ჟურნალისტზე – ნიკო კურდღელაშვილზე, რომელიც იმ დროს მუშაობდა გაზ. „სახალხო ფურცელი“-ს მდივნად და სტილისტად.

ჩემი ლექსები უფრო ინტენსიურად იბეჭდებოდა 1909-10-12 წლებიდან სოციალურ მოტივებზე და სხვ.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, უნივერსიტეტის გახსნისა თბილისში, დავინწყე ლექციების მოსმენა და თანაც ვმსახურობდი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ბიბლიოთეკის გამგედ. მიუხედავად ოჯახური მძიმე პირობებისა (ორი შვილი, მეუღლე, სამსახური) ხელი მოვკიდე აგრეთვე თარგმნას, ვთარგმნე ჟიულ ვერნი (გადავთარგმნე 3 ნიგნი). 1926 წელს აღდგენილი ვიქენი სახ. უნივერსიტეტში ფილოლოგიის და ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1930 წელს. ვთარგმნე აგრეთვე ვიქტორ ჰიუგო – „კაცი რომელიც იცინის“.

1941-42 წლებში სამამულო ომის პერიოდში ჩემს მიერ თარგმნილი იქნა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“.

1942 წელს ვთარგმნე ი. მ. ლერმონტოვის პოემა „მწირი“. ამჟამად ვარ მოხუცების ხანაში და არაჯანსაღ მდგომარეობაში. ჩემთან ცხოვრობს ჩემი ვაჟი, რომელიც მონაწილეა სამამულო ომის. იგი არის ასპირანტი.

გარდა ზემოდ დასახელებულ ნაწარმოებებისა, ჩემს მიერ დაწერილია კიდევ შემდეგი: „ირ. ევდოშვილის მოგონება, 1936–46“, აგრეთვე მონოგრაფია გამოჩენილ ქართველ სარდალ ივ. ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი დღემდე უცნობ ქების ლექსები და მათი ავტორების ვინაობა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

* * *

ბაბილინა (ფსევდონიმი) – ბარბარე ისაკის ასული ხოსიტაშვილი დავიბადე 1884 წელს ქიზიყში, სოფელ ბოდბისხევში (ყოფილი სიღნაღის მაზრა, ეხლა გურჯაანის რაიონი). მამაჩემი იყო ანაფორიანი დიაკვანი, ვცხოვრობდით იმ ეკლესიის მახლობლად, სადაც მამაჩემი მსახურობდა. გვქონდა ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომლის აივანი სოფელ ბოდბიდან მომყოლ ხეობას გადასცქეროდა. სახლის ქვედა სართულში მარანი გვქონდა. ორ ოთახიან ზედასართულს დერეფანში საკუჭნაოც ქონდა.

მამაჩემი შრომისმოყვარე იყო, წარმოშობით გლეხი, როდესაც კი ეკლესიის სამსახურიდან თავისუფალი იყო, სულ ვენახში მუშაობდა და სხვა საოჯახო საქმეს დასტრიალებდა; გვქონდა პატარა ვენახი ცოტაოდენი ხეხილით.

პირველად 6 წლისას ანბანი მამაჩემმა შემასწავლა. შემდეგ 7 წლისა სოფლის სკოლაში მიმაბარეს. 8 წლისა ჩემმა უფროსმა ძმამ (რომელიც ოფიცრად მსახურობდა) და რძალმა თავიანთას წამიყვანეს და საშუალო სასწავლებელში მისაბარებლად მამზადებდენ.

იროდიონი (ევდოშვილი) ჩემს სამ ძმაში უმცროსი იყო, ჩემზედ კი 10-11 წლით უფროსი. მაშინ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, საიდანაც მალე გამოვიდა და საზღვარგარეთ დააპირა წასვლა განათლების მისაღებად; რადგან მას ეს ნატვრა ვერ შეუსრულდა, ისიც უფროს ძმასთან ჩამოვიდა დაბა ყაზახში და სამხედრო სასწავლებლისთვის ემზადებოდა. მამაჩემისა და იროდიონის სურვილი იყო, მე თბილისში საეპარქიო სასწავლებელში მესწავლა, მაგრამ უფროსი ძმის ცოლის ინიციატივით, რომელიც თვითონ ეპარქიალისტკა იყო და თავის დასა და მე ერთად გვამზადებდა – ბოდბის წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელში მიგვაბარეს (პანსიონით იყო). პირველი კლასისათვის ჩავაბარეთ გამოცდა, ჩემი ამხანაგი (ძმისცოლის და) ოჯახში განებივრებული იყო და მალე ოჯახშივე დაბრუნდა, რადგან პანსიონის ცხოვრებას ვერ იტანდა. მე რომ სასწავლებელს ვათავებდი, იმ ხანად გამოვიდა იროდიონის ლექსთა კრებული (პირველი გამოცემა). იროდიონის ლექსებმა და პოემებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 1901-2 წლებში პირველად ჩამოველ თბილისში და იროდიონის ხელმძღვანელობით დავეწაფე როგორც ქართულს, ისე რუსულ მხატვრულ ლიტერატურას. სწავლის გაგრძელება მწყუროდა, მაგრამ გარემოებამ ხელი არ შემიძნყო. უფროსი ძმა უშვილო იყო და ჩვენი ოჯახის მოზარდებზე ერთგვარ მზრუნველობას იჩენდა. საშუალო ძმა ამ დროს სოფელში ცხოვრობდა დაცოლშვილებული, იროდიონიც მალე დაწვრილშვილდა. ჩემი მშობლებისა და უფროსი ძმის აზრითაც ქალისთვის

მეტი განათლება საჭირო არ იყო, ხელსაქმის ცოდნა კი აუცილებელიაო და ჭრა-კერვის ხელსაქმის სასწავლებლად მიმაზარეს. ერთხანად ეკატერინე გაბაშვილის მიერ დაარსებულ ხელსაქმის სკოლაში დავდიოდი, მაგრამ მალე მივატოვე. ახლა სხვაგან მიმიყვანეს, მაგრამ ეს პროფესია საშინლად მძულდა, სრულებით არ მიზიდავდა. მე თითქმის ყოველ დღე ბიბლიოთეკაში დავიარებოდი. ეს იყო 1903-4 წლებში, მაშინ წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ბიბლიოთეკა თითქმის ერთად ერთი საგანმანათლებლო პუნქტი იყო განვითარებას მოწყობრებულ ქართველ დემოკრატიისათვის, შემდეგ ზუბალაშვილების სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაც გაიხსნა. სახალხო თეატრის შენობაში (სადაც ახლა მარჯანიშვი. სახელობ. თიატრია). ამ წლებში ხან ისევ სოფელში ჩავრჩებოდი ხოლმე და ხან კი, უმეტესად თბილისში ჩამოვდიოდი, იროდიონის ოჯახში ხშირად ღამის სამ საათამდე ნიგნების კითხვაში მითენებია. თუმცა იროდიონი სიტყვიერად ხელს მინყობდა, რომ უმაღლესში მესწავლა, მაგრამ ნივთიერად დახმარება არ შეეძლო, რადგან ცოლ-შვილის რჩენაც უძნელდებოდა. რადგან სხვა გზები ჩემთვის შეკრული იყო, იროდიონის რჩევით, სტამბაში ასოთანყობა შევისწავლე. „თუ გინდა, მუშათა მოძრაობას კარგად გაეცნო, გახდი შენ თვითონ მუშა, ჩაები ამ მოძრაობაში“ – მეუბნებოდა იროდიონი. ეს იყო 1903-4 წლებში. სტამბა „გუტემბერგში“ ვმუშაობდი, რომელსაც მაშინ ძმები ესაძეები განაგებდენ, აქ მალე მუშათა საიდუმლო თათბირში ჩავერიე და კონსპირატიულ სტამბაში გადაველ სამუშაოდ. პირველი ლექსი დავწერე კონსპირატიულ სტამბაში მუშაობის შთაბეჭდილებით, ლექსი დაიბეჭდა ანარქისტ კომუნისტების გაზეთ „მინა“-ში. 1905 წლის შემდეგაც, ვიდრე რეაქცია გამძვინვარდებოდა, თითქმის 3 წელი ვმუშაობდი საიდუმლო სტამბაში. ეს სტამბა ახლად იყო მოწყობილი მთანმიდაში მუშათა კომიტეტის მიერ, რადგან იმ ხანად ავლაბარში არსებული საიდუმლო სტამბა დაეჭირნათ მეფის მთავრ. აგენტებს. აქ, მთანმინდის სტამბაში, როგორც მახსოვს, ვანყობლით პროკლამაციების გარდა მცირე ფორმატის ჟურნალს „სოციალ დემოკრატი“ თუ „პროლეტარი“. მენშევიკ-ბოლშევიკური ფრაქციების გათიშვის გაცხარებული პერიოდი იყო და როგორც მახსოვს, საკამათო წერილებიც მოგვდიოდა ასანყობათ. უფროს ასოთანყობად აქ იყო ვიკტორ წულაძე, კაცი მეტისმეტად მდუმარე და ნამდვილი საკონსპირატორო. როგორც მახსოვს, ჩემი პირველი ლექსი ეხებოდა იმ თემას, რომ „ჩვენ, მუშები ვმუშაობთ მიწის ქვეშ ბნელ და ნესტიან სავანეში, გარეთ მზეა და ბუნების ბრწყინვალეობა, სამაგიეროდ... „აქ ხალხის მტარვალს ვუთხრით სამარეს“-ო და ამგვარი.

1905 წლის შემოდომაზე სწავლის მისაღებად მოსკოვში წასვლა დავაპირე, მაგრამ, რადგან ფულადი დახმარების იმედი არსაიდან მქონდა, ეს სურვილიც ვერ განვახორციელე და ისევ ლეგალურად მუშაობას დავუბრუნდი სტამბაში. დროგამოშვებით ვმუშაობდი 1907-8-9 წლებში სტამბა „სორაპანში“ და სხვ. 1910 წელს კი ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქციაში ანასტასია წერეთელს ვეხმარებოდი. ამ ხანად საბავშვო ლექსების წერაც დავიწყე ჟურნალ „ნაკადულში“ და „ჯეჯილშიც“. 1906 წელს ჩემი მეორე ლექსი დაიბეჭდა ესერების ჟურნალ „გლესში“ და შემდეგ კი უმთავრესად ვიბეჭდებოდი სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში. ამ გაზეთების დაკეტვა, სახელების გამოცვლა იმდენად ხშირი იყო

მეფის ცენზურის გამო, რომ მათი სახელების აქ ჩამოთვლა განსაკუთრებულ დროს და საარქიო მუშაობაზე გაქცევა-გამოქცევას მოითხოვს. ჩემი ლექსების მთავარი მოტივი იყო უმთავრესად სოციალური. ვიბეჭდებოდი აგრედვე სოც. ფედერელისტთა გაზეთში „სახალხო ფურცელში“ ისეთ საზოგადოებრივ თემაზე, როგორც, მაგალითად, ლექსი აკაკი წერეთლის სიკვდილზე, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსი და სხვა. ვიბეჭდებოდი მხატვრულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში – აქ უმთავრესად ვანვდიდი ლექსებს სატრფიალო თემაზე. შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიის გაზეთ – „საქართველოში“ (1916-17 წლ. სანდრ. შანშიაშვილ. რედაქტორ.). რადგან ამ ხანად გათხოვილი ვიყავ და ოჯახურ-დედობრივი მოვალეობა ღარიბ მუშა-ინტელიგენტის მდგომარეობაში ხელიდან მაცლიდა მწერლობისათვის და სწავლა-განათლებისათვის მთელ დროს, ამიტომ ვწერდი ლექსებს ქალის „ბორკილებზე“, დედის წმინდა მოვალეობასთან საზოგადოებრივ მოღვაწეობის დაკავშირების შეუძლებლობაზე და სხვა. ჩემს ლექსებში წინათაც, გათხოვებამდეც ვეხებოდი ეგრ. წოდებულ ქალთა საკითხს. მაგალითად, ჩემს მიერ დაწერილ სატრფიალო ლექსებში გამოთქმულია ის აზრი, რომ მე მამაკაცს ცხოვრების ავანგარდათ ვთვლი და მოვითხოვ მისგან, მეც მოწინავე მებრძოლთა პოზიციებზე გამიყვანოს, მხოლოდ მაშინ იქნება ის ტრფიალებისა და ამხანაგობის ღირსი. ქალის მისწრაფება ინტელექტუალური ამაღლებისაკენ და საკაცობრიო იდეების გაშუქებისაკენ – აი, მთავარი მოტივი ჩემი ლექსებისა, რაც, რა თქმა უნდა, სოციალურ მოტივთან იყო დაკავშირებული, რადგან მდგომარეობით პროლეტარული მსოფლ-მხედველობაც შესაფერი გამოიმჩმუშავდა, ე. ი. მაშინ არსებულ ნესნყობილებით უკმაყოფილო მოჯანყესი. მენშევიკების დროს გამოცემულ ჟურნალ „ცისარტყელაში“ დაიბეჭდა ჩემი ერთი თუ ორი ლექსი, აგრეთვე ქართ. უნივერსიტეტში გამოცემულ ჟურნალ „მომავალი“-ში, №1-ში.

მხატვრული კრიტიკა ჩემს ლექსებსაც ეხებოდა, სხვა ჩემს თანამედროვე პოეტებთან ერთად.

1910 წელს ჩემს ლექსებზე გააკეთა მოხსენება ქუთაისში კრიტიკოსმა – ლეო ნათაძემ. აქ ჩვენ – ქართველი პოეტები – ქუჩიშვილი, ჩხიკვაძე, თურდოსპირელი, გელა და სხვა, მიწვეული ვიყავით ლიტერატურული საღამოს ჩასატარებლად; მიწვეული ვიყავით აგრეთვე ბაქოშიც, სოციალ-დემოკრატიული დაჯგუფების მუშათა ორგანიზაციების ინიციატივით. ჩვენთან იყო მაშინ ნიკო გოცირიძე და აპოლონ წულაძე. კრიტიკულ ეტიუდებში ჩემს ლექსებს ეხებოდნენ აგრეთვე ვახტანგ კოტეტიშვილი, არჩ. ჯაჯანაშვილი, სერგო გერსამია და სხვ. (იხილეთ 1910–17–21 წლების ქართული ჟურნალ-გაზეთები).

ნათარგმნი მაქვს რამოდენიმე ლექსი რუსულიდან, ერთი პოეტი ქალის – ჩუმიწასი, ერთი ბალმონტისა და ერთიც თუმანიანისა (1907-8 წლებში ვთარგმნიდი ბროშურებს ქალთა საკითხზე, მაგრამ შემდეგ ამას თავი დავანებე და პოეზიაზე გადაველ). 1910 წელს ვთარგმნე დრამატული პოემა „ეროს და ფსიქეა“ ფულავსკისა, რომელიც 1913 თუ 1912 წელს დაიდგა ქართულ თეატრში ნინო ჩხეიძის ბენეფისში.

1914-15 წლებში ვთარგმნე დ'ანუნციოს პიესა „იორიოს ასული“ და სხვ. 1931 წელს ვთარგმნე ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“, რაც სახელ-

გამმა მიიღო გამოსაცემად. ჩემი რჩეული ლექსების კრებული 1933 წელს „ფედერაციაში“ მიიღო გამოსაცემად, მაგრამ გამოსცა ძალიან ცუდი რედაქციით და წინასიტყვაობით...

დავუბრუნდეთ ისევ ბიოგრაფიულ ცნობებს: როდესაც 1917 წლის რევოლუციამ მეფის მთავრობა დაამხო და 1918 წ. ქართული უნივერსიტეტი გველირსა, ყველა სწავლა-განათლებას მოწყურებულმა მშრომელმა ინტელიგენციამ უნივერსიტეტს მიაშურა. მე ამ დროს მე-2 ბავშვი სულ პატარა მყავდა. 1921 წელს შეველ უნივერსიტეტში, რადგან ბავშვი მოიზარდა, მაგრამ ეკონომიური პირობები მძიმე იყო და მივატოვე მეცადინეობა, 1926 წელს ისევ დავუბრუნდი უნივერსიტეტს იმავე ეკონომიურ და ოჯახურ მძიმე პირობებში, გავათავე 1929 წელს პედფაკულტეტის ისტორიული და ლიტერატურული დარგი. უნივერსიტეტში მეცადინეობის დროს ვმსახურობდი მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის გამგეთ. პირველ ორ კურსზე ყველა საგნებით ფრიადზე ჩავაბარე. შემდეგ მე-3-4 კურსზე, როდესაც სპეციალური საგნები და სემინარიული მუშაობით დავიტვირთე, ფრიადზე ყველა საგნებს ველარ ვაბარებდი; ამავე დროს სამსახური და ოჯახი... როგორც ზემოდ ვთქვი, 1930-1 წელს ვთარგმნე ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“; მივატოვე სამსახური და ვმუშაობდი სახელგამთან სხვადასხვა თარგმანებზე მოზარდთა სექტორთან, პედ-სექტორთან და სხვ. ნაწილობრივ სტილზედაც ვმუშაობდი ჩემს მეუღლესთან ერთად თანამშრომლობის სახით.

1931-2 წლებში დავამუშავე ორი მონოგრაფია-გამოკვლევა ძველი ქართული ლიტერატურიდან, სადაც სულ ახალი პრობლემები მაქვს წამოყენებული, რაც ჩვენს მკვლევარებს დღემდე არ გაუშუქებიათ, და რაც საყურადღებოა, ამ მონოგრაფია-გამოკვლევებზე უნდა დამემყარებინა ჩემი მხატვრული შემოქმედებითი მუშაობა, ე. ი. აქედან ალებულ სიუჟეტებზე უნდა დამემუშავებინა ანტი-რელიგიური და ანტი-შოვინისტური ხასიათის ახალი ნაწარმოები, მაგრამ ამ მონოგრაფია – გამოკვლევების გამოუცემლობამ დამაბრკოლა შემდეგი მუშაობისთვის, ეს წინასწარი მუშაობა ჩემთვის ერთგვარი პროექტი იყო შემდგომი მუშაობის ჩასატარებლად... თუმცა 1933 წელს სახელგამმა მიიღო გამოსაცემად ერთი გამოკვლევა-მონოგრაფია, მაგრამ შემდეგ უნივერსიტეტზე გადასცეს და აქ კი სრულებით დამიბრკოლეს სხვადასხვა მიზეზებით, რომელთა აქ აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა, და ამ ბიოგრაფიული ცნობების ფარგლებსაც, ვგონებ, გაზრდიდა. ამიტომ აქ წერტილს ვსვამ.

1936 წელს, ზამთარს 3 თვე ვმუშაობდი ბორჯომის რაიალმასკომის გაზეთის რედაქციაში ლიტ-მუშაკად და სტილისტად. ამ ჟამად არსად ვმუშაობ, ნივთიერად გაჭირვებულს არც ლიტერატურული მუშაობის შესაძლებლობა მაქვს...

ვფართხალბ წყალიდან გამორიყულ თევზივით, რადგან განზრახულ თემებზე მუშაობისათვის ნივთიერი უზრუნველყოფაა საჭირო და მე კი ეს არ გამაჩნია.

ბაბლინა ხოსიტაშვილი
1936 წლ., 31/X

მიხეილ კინწურაშვილი – იასამანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1955 წლის 4 იანვარს მიხეილ პავლეს-ძე კინწურაშვილი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	იასამანი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1885</u> თვე <u>მარტის</u> დღე <u>26</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. შხეფი (ცხაკაიას რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ლირიკა, ეპოსი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1902 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	რსდპ. 1905 წლიდან 21 წლამდე

<p>14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)</p>	<p>არა</p>
<p>15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)</p>	<p>უმაღლესი, ხარკოვის უნივერსიტეტი, სლავურ-რუსულ განყოფილებაზე (ფილოლოგიის ფაკულტეტი)</p>
<p>16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)</p>	<p>დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი</p>
<p>17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)</p>	<p>ბერძნული, უკრაინული, ბელორუსული, პოლონური, რუსული, ქართული</p>
<p>18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)</p>	<p>არა</p>
<p>19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)</p>	<p>არა</p>
<p>20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p>	<p>არა</p>
<p>21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p>	<p>არა</p>
<p>22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)</p>	<p>არა</p>
<p>23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)</p>	<p>არა</p>

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>სტუდენტობის დროს, იხ. ავტობიოგრაფია</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“, აგრეთვე დაჯილდოებული ვარკიროვის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის მიერ 1946 წ.</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჯაფარიძის 15</p>

„20“ სექტ. 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა: ნ. თოფჩიშვილი.

**მწერალ იასამანის (მიხეილ კინწურაშვილი) მიერ თარგმნილი
ავტორებისა და ნაწარმოებების სათაურების სია**

ნიკიტინი – „მათხოვარი“, 1907 წ., დაიბ. „ჩვენი გზა“, №31, II ვარიანტი, დაიბ. 1947 წ. „ანთოლოგიაში“.

ნიკიტინი – „საბრალო მონმეა სხვის ტანჯვა-კენესის“ („ცხარე ცრემლები“), დაიბ. „სიტყვა“, №10, 1913 წ.

1905 წ. სიმღერები და ლექსები:

ინტერნაციონალი – 1919.

სამგლოვიარო ჰიმნი.

ჰიმნი მუშათა კლასს (მოთავსებული იყო 1905 წ. კრებულში).

დაჰკრა საათმა (ისპანიის რევოლუციონური ჰიმნი).

ვარშავიანკა (პოლონური სიმღერა), 1906 წ.

საღდათების სიმღერა (1905 წ. პროკლამაციიდან).

გლების სიმღერა (იმღერებოდა 1905 წ.), 1905 წ.

პირველი მაისის სიმღერა, 1906 წ.

სიმღერა ურჩობაზე (1905 წ. კრებულიდან), 1906 წ.

რაზმელის სიმღერა (1905 წ. კრებულიდან).

მებრძოლს (1905 წ. კრებულიდან), „ჩვენი ცხოვრება“, №12, 1906 წ.

ანდერძი („ვპერიოდ“-იდან), 1906 წ.

ბრძოლა („ვპერიოდ“-იდან), 1906 წ.

ბოძთან („ვპერიოდ“-იდან), 1906 წ.

დალუბულთა გუნდი („ვპერიოდ“-იდან, დაიბეჭდა „ჩვენი ცხ.“, №8, 1906 წ.

ჰიმნი მუშათა კლასს, 1906 წ.

სამგლოვიარო მარში, 1906 წ.

თამამად ძმებო („სმელო ტოვარიში“), 1907 წ.

ბრძოლის შვენება, 1907 წ.

მარსელიოზა, 1928 წ.

კომუნისტური მარსელიოზა, 1928 წ.

დღე ღამეს ცვლის („სოლნცე ვსხოდიტი ზახოდიტი“), 1928 წ.

სკიტალეცი: 1. წყეული ქვეყანა, 1911, დაიბ. 1911 წ. 2. ოთხნი, 1907, დაიბ. „ჩვენი სიტყვა“, №4. 3. მძლავრმა ტალღებმა გადმომისროლეს, 1921 წ.

ცენზორი: 1. ბრძოლის შვენება, 1906 წ. 2. სინათლისათვის, 1906 წ. 3. შემოდგომის მელოდია, დაიბეჭდა „გრიგალი“, №15. 4. მწუხრის მელოდიები, დაიბ. „დილა“, №20, 1907 წ.

მელშინი: 1. სოკრატი, დაიბ. „პატარა გაზეთი“, №8, 1906 წ. 2. მეგობრებს, დაიბ. „გრიგალი“, №16, 1906 წ. 3. აჩრდილები, 1906 წ.

ბუნინი: 1. „ტყვიის ფერ ცის ქვეშ უფერულადა“. 2. „ისევ სიზმარი გულის წარმტაცი“. 3. „ღმერთმა დასაჯა ჩაგრულ მშობლის ღალატისათვის“, დაიბ. „ერთობა“, 1917 წ.

ტიუტჩიევი: 1. „არწივი რწმენით აფრინდა ზევით“, 1913 წ., დაიბ. „თანამედროვე აზრი“, №112, 1915 წ.

აპუხტინი: 1. „სიყვარულისა და განცხრომის უცხო სიტყვები“, 1922 წ. 2. „მშვიდობით, კუთხევ მშობლიურო“, 1922 წ.

- ბალმონტი: 1. „მე სივრცეს ვესვრი ნაირ ყვავილებს“, 1920 წ. 2. მგოსანი – მუშას, 1919 წ.
- დროჟინი: 1. „ხელი მტკივა, ზურგს ვერ ვმართავ“, 1913 წ.
- ნადსონი: 1. „მთლად არ მეკუთვნი“, 1912 წ., დაიბ. „თანამედროვე აზრი“, №14, 1917 წ.
- გოდინი: 1. „გუშინ წავიდა და დღეს არ სჩანს“.
- პეტეფი: 1. თავისუფლება, 1907 წ., დაიბ. „თანამედროვე ქვეყანა“, №1.
- ფეტი: 1. პეპელა, 1914 წ., დაიბეჭდა „ანთოლოგია“, 1948 წ.
- პლეშჩევი: „ყვავილი“, დაიბ. „ანთოლოგია“, 1948 წ.
- ნეკრასოვი: 1. „რა ბნელ ქუჩაზე ღამით მომესმის“, 1908 წ. 2. „ოდესლაც შენგნით უარყოფილი“, 1913 წ., დაიბ. „წყარო“, №10. 3. „ვითა ამბავსა საძნელო გზათა“, 1913 წ. 4. „მშვიდობით, დაივინყევი“, 1913 წ., „თანამედროვე ქვეყანა“, 1917 წ. 5. „როს წარმტაცსა და გმირულსა“, დაიბ. „ცხოვრების სარკე“, №21, 1908 წ. 6. „გემშვიდობები“, 1946 წ.
- კოლცოვი: „უკანასკნელი ბრძოლა“, 1911 წ.
- პუშკინი: 1. „საქართველოს მთათ ღამის ნისლი გადასწოლია“, 1913 წ., დაიბ. „ოქტომბრელში“, 1936 წ. 2. „წერილი დეკაბრისტებს“, 1906 წ.
- ოდოევსკი: „პასუხი დეკაბრისტებისა პუშკინს“.
- ლერმონტოვი: 1. „გაგშორდით ურთიერთს, მაგრამ სურათი“, 1914 წ. 2. „ღრუბლები“, 1941 წ., დაიბ. „ლიტერატურულ საქართველოში“, №19, 1941 წ.
- ოლესი: 1. „ვეალერსები, ჩემსას ვუნოდებ“, 1911 წ., დაიბ. „განათლება“, №9. 2. „სიტყვავ მშობლისავ“, 1911 წ. 3. „ის აღარ არის“, 1911 წ. 4. „ოდესლაც ლხენით ჟღერდა ჩანგი“, 1911 წ. 5. „თენდები, ღამეს ფერი ელევა“, 1914 წ. 6. „ზღვა ღელავს ფაფარაყრილი“, 1909 წ. 7. „მაღე ავა დღის მნათობი“, 1909 წ., დაიბ. „ახალი გზა“, №26. 8. „მე სერზე ვდგევარ ბარს სძინავს“, 1909. 9. „ირგვლივ საფლავნი“, 1917 წ. დაიბ. „ერთობაში“, 17/XII.
- იანკა კუპალა: 1. „მზეს“, 1939 წ., დაიბეჭდა „ოქტომბრელში“, №6, 1939 წ. 2. „უკრაინა“, 1939 წ. 3. „ყმანვილი და მფრინავი“, დაიბ. „პოინერში“, 1940 წ., №7. 4. „ეს ვინლა მოდის“, 1940 წ. 5. „შენდამი ბელადო“, 1940 წ. 6. „იმღერე ბელორუსიავ“, 1940 წ. 7. „ეგ ვინ მოედო ჭაობებს, ტყეებს?“ 8. „ნანა“. 9. „კომკავშირს“.
- ივან ფრანკო: 1. „ზღვა ცრემლს“... 1940 წ., დაიბ. ქართულ გამოც., 1951 წ. 2. „სევდიანი ლექსები“, დაიბ. „საბჭოთა მასწავლებელში“, №45, 1940 წ., 18/V. 3. „ტიტველ გორაკს ეკვრის სევდა“, 1906 წ., დაიბ. 1951 წ. გამოცემამში. 4. სონეტი („დედათა შორის“...), დაიბ. „საბჭოთა მასწავლებელში“, №45, 1940 წ. და 1951 წ. გამოცემამში. 5. „სიკსტინის მადონა“, დაიბეჭდა იქვე და ფრანკოს გართ. გამოც., 1951 წ. 6. „ტალლა გვრგვინავს“, დაიბ. იქვე და ქართულ გამოცემამში, 1951 წ. 7. „სასამართლოში“, დაიბ. ფრანკოს ქართულ გამოც., 1951 წ. 8. „კარპატის არწივი“, 1940 წ., დაიბ. ფრანკოს 1951 წ. გამოცემამში. 9. სონეტი („დანტეს, პეტრარკას...“), 1940 წ., დაიბ. 1951 წ. გამოცემამში. 10. „გამოცდაზე“, 1940 წ. 11. „ნავი“, 1940 წ., დაიბ. „მნათობი“, №10, 1940 წ. 12. „ახალი სიმღერებიდან“, 1940 წ. 13. „სურკა“ (პოემა), დაიბ. ქართულ გამოცემამში, 1951 წ. 14. „ქვის მტეხლები“, 1941 წ., დაიბ. იქვე. 15. „ბრალი არ მიდევს“, დაიბ. ფრანკოს ქართულ გამოცემამში, 1951 წ. 16. ამხანაგებს საპყრობილიდან, დაიბ. იქვე.

ვლ. სოსიურა: 1. „კომკავშირელი“, 1940 წ. 2. „სტალინი“, 1940 წ. 3. „სამ-გლოვიარო მარში“, 1940 წ. 4. „გძინავს“, 1940 წ. 5. „ნანა“, 1940 წ., დაიბ. „ოქტომბრელი“, №1, 1941 წ.

პავლო ტიჩინა: „ლაჟლაჟა და ქერა“, 1939 წ., დაიბ. „მნათობი“, №10-11, 1939 წ.

ლესია უკრაინკა: 1. „ამხანაგ ქალს სახსოვრად“, 1941 წ. 2. „წლის თავზე“. 3. „Contra spem spero“. 4. „გლუხის ქობი, პანის ოდა“. 5. „სიტყვავ რათ არ ხარ მტკიცე ფოლადი“. 6. „ეი, ტყეში მივდივარ“, დაიბ. 1952 წ. გამოცემაში. 7. „სფინქსი“, დაიბ. 1952 წ. გამოცემაში. 8. ნაწყვეტი პოემიდან „Давнія сказка“, დაიბ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 8/III, 1946 წ.

ტარას შევჩენკო: „კობზარი“: 1. „შეშლილი“. 2. „ავო ქარო, ავო ქარო“. 3. „საუკუნო სახსოვრად კატლიარევსკის“. 4. „ფიქრი“ („ალარ გასდის ლურჯსა ზღვას“). 5. „ფიქრი“ („ძნელია არ ცხოვრება“). 6. „ფიქრებო, ჩემო ფიქრებო“. 7. „პერებენდია“. 8. „კატერინა“. 9. „ალვის ხეს“. 10. „ფიქრი“ („რას ვაქნევ ამ შავ წარბებსა“). 11. „ოსნოვიანენკოსადმი“. 12. „ივან პოდკოვა“. 13. „ტარასის ღამე“. 14. „ნ. მარკევიჩს“. 15. „სახსოვრად შტერნბერგს“. 16. „ჰაიდამაკები“. 17. „ნავი“ („ქარი ტყეს ესაუბრება“). 18. „მარინე – მონაზონი“. 19. „დამხრჩვალის“. 20. „ჰამალია“. 21. „გაუთხრიათ საფლავი“. 22. „ჩიგირინი“. 23. „ბუ“. 24. „ქალის ღამეები“. 25. „სიზმარი“. 26. „ცხვირსახოცი“. 27. „რათ მტკივა გული“... 28. „პარტახი“. 29. „ნ. ვ. გოგოლს“. 30. „ნუ გშურს მდიდრის ოქროები“. 31. „ნუ შეირთავ მდიდარ ქალსა“. 32. „მწვალბელი“ (შაფარიკს). 33. „დიდი სარდაფი“ (მისტერა). 34. „სუბოტივი“. 35. „გამდელი“. 36. „კავკასიონი“. 37. „მიცვალბულს, ცოცხლებს და ჯერ არ დაბადებულს“. 38. „ცივი იარი“. 39. „დავითის ფსალმუნი“. 40. „პატარა მარიანეს“. 41. „მიდიან დღენი და ღამეები“. 42. „სამი წელი“. 43. „ანდერძი“. 44. „თეთრი ზამბახი“. 45. „ალი“. 46. „ქაჯი“. 47. „ჩემო ძმებო, დაიხსომეთ“. 48. „ოჰ, მარტო ვარ, მარტო“. 49. „ტყეს ტყე მისდევს უღრანი“. 50. „ერთია ჩემთვის უკრაინაში“.

ტ. შევჩენკო: 51. „ნუ სტოვებო დედას ბებერს“. 52. „საფლავეზე რალად დარბიხარ, ნეტა“. 53. „ოი, ერთად შეიყარა“. 54. ნ. კოსტომაროვს. 55. „ალუბლის ბალი, მახლობლად ქობის“. 56. „დილით ადრე გზას გაუდგენენ“. 57. „ეგ ბორკილები ერთობ ძნელია“. 58. „სათიბ მინდორს გასდევს“. 59. „კვლავ შევხვდებით?“ 60. „ზღვათ გაშლილიყო ღამე“. 61. „თავადის ქალი“. 62. „ჩემო ფიქრნო, ჩემო ფიქრნო“. 63. „NN-ს“. 64. „უკვე შევსრულდი ცამეტი წლისა“. 65. „მზე უცხოეთში უკვე არ გვათბობს“. 66. „სიზმარი“ („ცად ასულხართ...“). 67. „ირჟავეცი“. 68. „№№ (ოჰ ჩემო ფიქრნო!)“. 69. „როს ფეხზე იდგა ჯერ ყაზახობა“. 70. „ბერი“. 71. „ერთი მეორეს ჩვენ ვეკითხებით“. 72. „როგორ ვსძლებ – მიკვირს“... 73. „ოჰ გვირისტო და სიამევი“. 74. „მანდილი“. 75. „ა. ო. კახჩკოვსკის“. 76. „ჯარისკაცის ჭა“ (1847 წ. ვარიანტი). 77. „დღესაც არ კარგავს“. 78. „აბა კვლავ გვქონდეს“... 79. „ღმერთს შეენახა კარს უკან“... 80. „ვარნაკი“. 81. „გავხვდავ მე ამ ტრამალსა“. 82. „ღმერთმა ყველას დაუფაროს“. 83. „მეფენი“. 84. „ბედნიერი ხარ, თუ რომ სახლი გაქვს“. 85. „მნათეს ქალი“. 86. „ერთი ვიკითხოთ, რა სიტყვები?“ 87. „პ. ს“. „კაცი ბოროტი ნუ მებრალება“. 88. „გ. ზ.“ 89. „ისევ ერთმანეთს რომ შევხვდეთ“. 90. „მარინე“. 91. „წინასწარმეტყველი“. 92. „ჭვავის ყანას მოდებით“. 93. „მაღალ კლდეთ შორის“. 94. „ზეცა გასვრილი,

მძინარე ტალღა“. 95. „მე გავიზარდე უცხო მხარეში“. 96. „არც სხვებისათვის არც სახელისათვის“. 97. „ტყის ახლოს, ზედვე ყურღანზე“. 98. „მე რომ მქონდეს მაშიები“. 99. „მდიდარიცა ვარ მე“. 100. „შემიყვარა მან“. 101. „მდიდრულ მაღალ პალატებში“. 102. „ოი, ქმარი გავაცილე“. 103. „ჩექმის ყელში მაქვს ხანჯალი“. 104. „ქარი დაჰლმუის ქუჩასა“. 105. „ეჰ, დავჯდები ერთი გარეთ“. 106. „შორს გუგულმა დაიძახა“. 107. „შვარჩკა“. 108. „ვაი უკვე არ ისმევა“. 109. „ქუჩა მონყენილია“. 110. „აი, ამ ჩვენ კატერინას“. 111. „მზე ამოვიდა ტყიდანა“. 112. „ჩავედი მე ხევში“. 113. „რალას გვავენებს ამდენს მტერი“. 114. „ოჰ, ნანა, ნანა“. 115. „ნეტა რამ გააშავა“. 116. „ნისლი ეკვრის ველს“. 117. „აღდგომის წმინდა კვირადღეს“... 118. „ლელეს გაღმა ტყეში წაველ“. 119. „კვირა დღესა, დილით ადრე“. 120. „ალვის ხეს კი არ ხრის ქარი“. 121. „გავსტყეპნე მე ბილიკი“. 122. „აღარც ფართოდ გაშლილ ტრამალს“. 123. „გზის პირასა ფონის ახლო“. 124. „რომ მქონდეს ფურღული“. 125. „მე არ მინდა ცოლის შერთვა“. 126. „ჭირი“. 127. „კვლავ არაფერი მოუტანია“. 128. „მარტობაში დაბმულსა მაგრა“... 129. „ოჰ, არ ვხედავ მოხუც მშობლებს“. 130. „აღარ ვხედავ ლაშქრობიდან“. 131. „იმ სახელგანთქმულ ვილნო ქალაქში“. 132. „ყოფილ ღრუბლებს დაუფარავთ“. 133. NN (ლამით სტუმარს ნათლიმამა). 134. „ვით ჩაღვადრები შემოდგომით“. 135. „ასისთავი“. 136. „რაკი წილათ მე ტანჯვა მხვდა“. 137. „მზეს უკან მისდევს ღრუბელი“. 138. „რალად მინდა ცოლის შერთვა“. 139. „ოჰ, გუბესთან ნაცრისფერთა“. 140. „რომ შემთხვევა ყოფილიყო“. 141. „შორი გზები სამშობლოსკენ“. 142. „წითელ ძახველს ბარად“. 143. „დედამინაზე, ჩვენს სამოთხეში“. 144. „აღდგომა დღეს ჩალაზედა“. 145. „საქმობაში, გართობაში“. 146. „ხშირად არ იცის, თუ რატომ“. 147. „სჩანს, მომიხდება ჩემსავ თავს“. 148. „რა ბრიყვები ვართ“... 149. „არ მენანება ჩემი – გახსოვდეთ“. 150. „ჩვენ ვიზრდებოდით ოდესღაც ერთად“. 151. „გათავდა! – აფრა გავშალეთ“. 152. „შემოდგომით, თუმც არ სავსებით“. 153. „ამ ტყვეობაში მიდის დღე-ღამე“... 154. „ვიმღერეთ და უხმოდ, მტკიცედ“. 155. „არ ილოცა, სჩანს, მუხლმოყრით“. 156. „პეტრუს-პოემა“. 157. „მე ვფიქრობ, თუმცა არ ვიცი კარგად“. 158. „ბატონებო, რომ იცოდეთ“. 159. „ხდება, რომ ხანდისხან ვიგონებ საკუთარს“. 160. „ტანით წერნეტი და სილამაზით“. 161. „ირგვლივ სანთლები, მუსიკა სტირის“. 162. „უბედობამ თუ მწარე ტყვეობამ“. 163. „ემშაკმა უწყის“. 164. „დღემდე სიზმარში ვხედავ ხანდისხან“. 165. „ოჰ, ღმერთო ჩემო, კვლავ განსაცდელი“. 166. „ჯარისკაცის ჭა“ (1857 ვარიანტი). 167. „ნეოფიტები“. 168. „გლახაკი“. 169. „ბედი“. 170. „მუზა“. 171. „დიდება“. 172. „სიზმარი“. 173. „ისევ ვგრძნობ ძალას“. 174. „XI ფსალმუნის მიბაძვა“. 175. „მარკო ვოვროკს“. 176. „ისაიას XXXV თავის მიბაძვა“. 177. „NN“ (ოდესღაც შენებრ ზამზახი თეთრი). 178. „თ. ი. ჩერნენკოს“. 179. „დიახაც მაქვს, მაქვს თვალები“. 180. „დას“. 181. „ოდესღაც უზის თავში ფიქრები“. 182. „ლოთო ბოგდანო! აი – აქ არი“. 183. „მას ჟამსა შინა იუდეაში“. 184. „მარიამ“ (პოემა). 185. „ანტონი სოვას მიბაძვა“. 186. „მიბაძვა ეზეკილიისა“. 187. „ოსიას XVI თავის მიბაძვა“. 188. „ტურფა გოგო სარდაფიდან“. 189. „ეჰ, ბაღნარო, ტყვე უღრანო!“ 190. „სერბიულის მიბაძვა“. 191. „ლოცვები“. 192. „მას ჟამსა შინა, ეს იყო ძველად“. 193. „იაროსლავნას ტირილი“. 194. „გარდაიცვალა აწ დიდი ბერი“. 195. „მოლოზანთა ჰიმნი“. 196. „ფართო დნიპროს ყურეზედა“.

197. „წყვილათა ზრდიდენ“. 198. „სხივო ნათელო!“ 199. „ლიკერიას“. 200. „ნ. ი. მაკაროვს“. 201. „არც არქიმედს, არც გალილეის“. 202. „ლ.“ 203. „მე არ ვემდური უფალსა“. 204. „საულ“. 205. „წარვიდენ წელნი ამაოებით“... 206. „მნათეს ქალი ნემიროვნა“. 207. „არ არის წესი – სცემონ დაცემულს“. 208. „აქაც და სხვაგან – ხსნა არსით არი“. 209. „ადამიანნო, რათ ხართ სანყალნი“. 210. „რომ ვინმე იყოს, ხმა გავცე“. 211. „დღეები მიდის განცვიფრებული“... 212. „მოდის წყალი“... 213. „ეს იყო ღამით“... 214. „იყო ომები“... 215. „ნ. ტ.“ 216. „შეხვდნენ ერთმანეთს“... 217. „ნათლიდედასთან პეტროპოლისის“. 218. „ხომ არ დავტოვოთ“...

ადამ მიცკევიჩი – სონეტები: 1. „მოგონება“. 2. „ლაურას“. 3. „მარტოს მმორჩილებს ენა“. 4. „სიტყვით, ქცევით, სულ უბრალოს“... 5. „პაემანი ტყეში“. 6. „ჩვენ მუზმუხელა თუ გაგვიცხავს“... 7. „ოქროს გვირგვინში ამობრწყინდა“. 8. „ნემან, მდინარეე მშობლიურო“... 9. „მონადირე“. 10. „N-ს“, „თვალეებში მიმზერ, ოხრავ“... 11. „რეზიგნაცია“. 12. „პირველადაა, რომ მახარებს“. 13. „ძვირფასო ფოხრავ!“ 14. „დილა მშვიდობის“. 15. „ღამე მშვიდობის“. 16. „სალამო მშვიდობის“. 17. „დარბაზობა დ. დ-ს“. 18. „სადარბაზოთ მოსიარულეთ“. 19. „გამოთხოვება“. 20. „დანაიდნი“. 21. „ბოდში“.

„ყირიმის სონეტები“, დაიბ. 1939 წ., „მნათობი“, №5: 1. „აკერმანის ველნი“. 2. „ზღვის მდუმარება“. 3. „მგზავრობა ზღვითა“. 4. „ქარიშხალი“. 5. „მთების სანახაობა კოზლოვის მინდვრებიდან“. 6. „ბახჩისარაი“. 7. „პოტოცკის ქალის სამარე“. 9. „ჰარამხანის საფლავები“. 10. „ბაიდარი“. 11. „ალუშტა დღისით“. 12. „ალუშტა ღამით“. 13. „ჩატირდაჰ“. 14. „პილიგრими“. 15. „გზა უფსკრულზე ჩუფუტ-კალეში“. 16. „მთა კიკინეის“. 17. „კომკის ნანგრევები ბალაკლავში“. 18. „აუდაჰი“.

ა. მიცკევიჩი: „ფარისი“. „რუს მეგობრებს“.

კოსტა: 1. ვიცი, 2. მშვიდობით, 3. მარხუდი, 4. ბოლოკი და თაფლი, 5. გაჰქრეს, 6. კაცი თუ ქალი, 7. მელა და მაჩვი.

სანდრო ყანჩელი – 1. სპარსული რომანსი, მეტივე, „სომხური რომანსი“.

გ. ბუგათი – „მზის სადღეგრძელო“.

პეტრუს ბროვკა – „დასავლეთის ბელორუსებს“.

ტრანოპოლსკი – „ორი და“.

იგნატი კრასიცკი – „პანი და ძაღლი“.

პავლო გრაბოვსკი – „ხალხოსანს“.

იაკუბ კოლასი – „კომკავშირელი“.

იური მოკრიევი – „ჯეჯილი ბიბინებს“.

ფედულოვი – „ფარდული №5“.

ვადიმ საბკო – „საგუშაგოზე“.

ვლ. კოროლენკო – „ტყვეები“.

პეტრე კაზლანიუკი – „ივანე კლუნის ნამბობი“.

ირინა ვილდე – „ქათმები“, დაიბ. 1952 წ.

პარასკი ამბროსი – „სიმღერა კახოვკაზე“.

ალ. გონევსკი – „იმერ კარპატის კოლმეურნეობებში“.

ცაკუბინსკი – „ცხენებმა რა დააშავეს“.

ლომონოსოვი – „სიტყვა ქიმიის სარგებლობაზე“.

ქრისტო ბოტევი – „გამომშვიდობება“, „ხაჯი დიმიტრი“, „დედას“, „ელეგია“, „ვ. ლევსკის სიკვდილით დასჯა“, 1950 წ.

ადამ მიცკევიჩი – „რწყილი და რაბინი“ (იგავ-არაკი), 1950 წ., „ორი პოეტი „დზიადი“-დან, 1950 წ.

1955 წ.

სწორია: ნ. კ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სია დაბეჭდილი წერილებისა ქართულ ენაზე

1. ცოტა რამ ქართულ ლიტერატურაზე (გაზეთი „მომავალი“, №№117 და 118, 1910 წ.).

2. იოსებ დავითაშვილის ლექსების შესახებ (ჟურნალი „განათლების მუშაკი“, №7, 1928 წ.).

3. ქართული ლიტერატურა 1927 წ. (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №7, 1928 წ.).

4. თბილისის ბიბლიოთეკაში (ჟურნ. „წიგნის მეგობარი“, №1 და 2, 1925 წ.).

5. ხარიტონ ვარდოშვილის შემოქმედება (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №6, 1925 წ.).

6. სოფელი და სკოლა (18 წერილი, დაიბეჭდა გაზეთ „სოფლის მუშაში“, №460–486, 1924 წლისა).

7. პირველი მეგობარი, ქრესტომათია (ჟურნალი „განათლების მუშაკი“, №3, 1925 წ.).

8. ახალი ლიტერატურული ქრესტომათია (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №3, 1925 წ.).

9. ახალი ლიტერატურული ქრესტომათია, ტომი II (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №6, 1925 წ.).

10. პოეტი თედორე სოლოგუბი (მისი გარდაცვალების გამო), ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №7, 1928 წ.).

11. ნ. ა. ნეკრასოვი, პოეტის სიკვდილიდან 50 წლის შესრულების გამო (ჟურნალი „განათლების მუშაკი“, №9, 1928 წ.).

12. ვასო აბაშიძე (გაზეთი „კომუნისტი“, 1926 წ. 1 ოქტომბრისა).

13. ქართული ლიტერატურის თემათიური განხილვის შესახებ (ჟურნალი „განათლების მუშაკი“, №1, 1927 წ.).

14. პოეტი ბაჩანა (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №7, 1928 წ.).

15. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა – ი. გრიშაშვილისა (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №17, 1928 წ.).

16. საუბრები ლიტერატურაზე – თედო ბეგიაშვილისა (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №13, 1928 წ.).

17. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი – ლავრ. არდაზიანისა (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №1, 1927 წ.).

18. მწერალთა აღწერის შესახებ (გაზ. „მუშა“, №463, 1924 წ.).

19. როდღონ ქორქიას მოთხრობები (ჟურნ. „განათლების მუშაკი“, №7, 1928 წ.).

20. განათლების დაწესებულებათა მიმდინარე გამოკვლევა („გან. მუშ.“, №5, 1927 წ.).
21. „მინა და ფოლადი“ ვასო გორგაძისა (გაზეთი „კომუნისტი“).
22. ტარას შევჩენკო (ჟურნ. „კომუნისტური განათლება“, 10 აპრილი, 1936 წ.).
23. ჟურნალი „მოგზაური“ (ნარკვევი) – დაიბეჭდა ჟურნალ „რევოლუციის მატთანში“.
24. ქართული ბოლშევიკური პრესა 1906 წელს (ნარკვევი), დაიბეჭდა „რევოლუციის მატთანში“.
25. „ვეფხის ტყაოსანი“ უკრაინულ ენაზე (გაზ. „კომუნისტი“, №190, 1937 წ., 21/VIII).
26. ქართველი პოეტები უკრაინულ ენაზე (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1940 წლის 20 აპრ.).
27. ივანე ფრანკო (გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“, 1940 წ., 18/V).
28. შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში 1939 წლის ზაფხულში (გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, №62, 1939 წ., 15 ივლისი).
29. დასავლეთ უკრაინული ლიტერატურა (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №26, 1940 წ., 21 სექტ.).
30. დავით გურამიშვილის გარდაცვალების თარიღის დადგენისათვის (გაზ. „ლიტერ. საქართველო“, 1940 წ., 30 აგვ.).
31. ახალი მასალა დავით გურამიშვილის შესახებ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №20, 1940 წ., 20 ივლისი).
32. ქართველი პოეტები უკრაინულ ენაზე (გაზ. „ლიტერ. საქართველო“, №12, 1940 წ., 20 აპრილი).
33. უკრაინული ხელოვნების დღესასწაული (გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, №56, 1939 წ., 27 ივლისი).
34. ლიტერატურული წრეების მუშაობის მეთოდისათვის (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №20, 1938 წ., 20 აგვისტო).
35. ტარას შევჩენკო, დაბადებიდან 125 წლის შესრულების გამო (ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №2, 1939 წლისა).
36. ქართული სული ესთეტიურ სახეებში – კონსტანტინე კაპანელისა (ჟურნ. „გან. მუშაკი“, №7, 1928 წ.).
37. ახალი მასალები კოსტა ხეთაგუროვის ბიოგრაფიისათვის (გაზ. ლიტერატურული საქართველო“, №28, 1940 წ., 10 ოქტ.).
38. აკაკი უკრაინულ ენაზე (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №22, 1940 წ., 10 აგვისტო).
39. უკრაინული კრებული შოთა რუსთაველის შესახებ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №29, 1938 წ., 30/XI).
40. სკოლის ჰასაკამდე აღზრდის საქმე თბილისში (გაზ. „მუშა“, 1925 წ. 26 აპრილი).
41. თბილისის საბჭოს ბიბლიოთეკები (ჟურნ. „განათლება“, აღმასკომის „მომამბეს“ დამატება, 1924 წ., 15 აპრ., №1).
42. ბინები საქართველოს ქალაქებში (გაზ. „მუშა“, №732, 1925 წ., 30 აპრილი).

43. ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა (მისი გარდაცვალების გამო) (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №27, 1942 წ., 3 ივლისი).
44. ივანე ფრანკოს მოთხრობები (ყურნ. „მნათობი“, №11-12, 1942 წლისა).
45. მიხაილო კოციუბინსკი, გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო (გაზ. „კომუნისტი“, №93, 1943 წ., 25 აპრილი).
46. თბილისი – ისტორიული მიმოხილვა (ნიგნი თბილისში გამოცემა 1925 წ.).
47. მიხაილო კოციუბინსკი (გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო) (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №10, 1943 წ., 20 აპრილი).

ხელნაწერები ქართულ ენაზე

1. ალექსანდრე პუშკინი (ცხოვრება და შემოქმედება).
2. რუსთაველი უკრაინულ ენაზე (სიტყვა, წარმოთქმული იმ საღამოზე მწერალთა სასახლეში, სადაც ბაჟანმა „ვეფხის ტყაოსნის“ უკრაინული თარგმანი წაიკითხა, 1937 წლის 9 იანვარს).
3. ლევ ტოლსტოი (მისი გარდაცვალების გამო, მოხსენება ქართველ სტუდენტთა კრებაზე ხარკოვში 1910 წლის ნოემბერში).
4. იანკა კუპალა (ცხოვრება და შემოქმედება), 1940 წ.
5. უკრაინელი, პოლონელი და ბელორუსი ავტორების ქართულ ენაზე თარგმნის საკითხისათვის (მოხსენება მწერალთა კავშირის კლუბში 1941 წლის 21 ივნისს).
6. მ. ი. ლერმონტოვი – ცხოვრება და შემოქმედება (წაკითხული კიროვის სახელობის საქართველოს ინდ. ინსტიტუტში პოეტის დაბადებიდან 125 წლის შესრულების გამო გამართულ საღამოზე 1939 წ. 24/X-ს).
7. ივანე ფრანკო, ცხოვრება და შემოქმედება (მოხსენება პოეტის დაბადებიდან 85 წლის შესრულების გამო მწერალთა კავშირის კლუბში 1941 წ. 31 ოქტომბერს).
8. ადამ მიცკევიჩი, ცხოვრება და შემოქმედება (მოხსენება პოეტის გარდაცვალებიდან 85 წლის შესრულების გამო მწერალთა კავშირის კლუბში 1940 წლის 11 დეკემბერს).
9. დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის პოეტები (ცხოვრება და შემოქმედების დახასიათება გადაცემულ იქნა რადიოთი 1940 წლის 10 სექტემბერს).
10. სიმონ ჩიქოვანის ლექსები უკრაინულ ენაზე.
11. ჩვენი პრესა 1905–1911 წლების მანძილზე.
12. უკრაინელი პოეტი ვლადიმირ სოსიურა – პოეტის მოღვაწეობის 20 წლის შესრულების გამო (გადაცემულ იქნა რადიოთი 1940 წ. 13 ნოემბერს).
13. დიდი კობზარი ტარას შევჩენკო (სადისერტაციო ნაშრომი).

დაბეჭდილი წერილები უკრაინულ ენაზე

1. ბაჟანის თარგმანი „ვეფხის ტყაოსნისა“ (უკრაინული გაზეთი „ვისტი“, 1937 წ., 15/XII, №285).
2. შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“ უკრაინულ ენაზე (უკრაინულ კრებულში, „შოთა რუსთაველი“, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, კიევი, 1938 წ.).

დაბეჭდილი წერილები რუსულ ენაზე

1. ქართული ხალხური მუსიკა (ხარკოვის გაზეთი „უტრო“, 1909 წ.).
2. აკაკი წერეთელი (ხარკოვის გაზეთი „უტრო“, 1909 წ.).
3. სახალხო განათლების დაწესებულებათა გამოკვლევა თბილისში (გაზ. „რაბოჩაია პრავდა“, №35, 1927 წ., 13/II).
4. სკოლის ჰასაკამდე აღზრდა თბილისში (გაზ. „რაბოჩაია პრავდა“, №97, 1925 წ., 30/IV).
5. რუსული ენა და ლიტერატურა მოზრდილთა რუსულ არასრულ და სრულ საშუალო სკოლებში. მეთოდური წერილი (დაიბეჭდა ცალკე მოზრდილთა სკოლების რესპუბლიკანური მეთოდური კაბინეტის გამოცემად 1941 წელს).

შენიშვნა: აქ მოყვანილი ნაშრომების სია სრული არ არის, ვინაიდან ზოგიერთი წერილების აღდგენა ვერ მოვახერხეთ.

*მიხეილ კინწურაშვილი
1943 წ., მაისი*

ჩემი ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. შხეფში, სენაკის ყ. მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში, 1885 წელს. მამა-ჩემი ბატონ-ყმობის გაყრის შემდეგ ჩემს პაპას, დადიანის ყმას, მათე კინწურაშვილს, ისევ დაუტოვებია დადიანებთან სამსახურში, მხოლოდ შემდეგ განთავისუფლებულა მამაჩემი (პავლე, შინაურობაში – ტოტი) დადიანების მძიმე სამსახურისაგან და საკუთარი ოჯახი გაუჩინია.

ჩვენ 9 და-ძმანი ვიყავით. მამა ხვნა-თესვას ეწეოდა და ძლივს კვებავდა თავისი შრომით ოჯახს. მე ოჯახში მეოთხე შვილი ვიყავი. 7 წლიდან კერძო სკოლაში ვისწავლე, 8 წლიდან – სასწავლებელში, ჯერ სენაკში, შემდეგ ქუთაისის სემინარიაში და ტფილისის სემინარიაში, რომელიც მე დავამთავრე 1906 წელს. 1907 წელს მე გავემგზავრე რუსეთში და მიღებული ვიქენი ხარკოვის უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რუსულ-სლავიანური სიტყვიერების განყოფილებაზე. ამ განყოფილების დამთავრების შემდეგ, 1912 წელს დანიშნული ვიქენი რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებლად შუმის რეალურ სასწავლებელში, სადაც დავყავი 1916 წლამდე. ამ წელს გადაყვანილი ვიქენი გორში ჯერ ვაჟთა გიმნაზიაში და შემდეგ ქალთა გიმნაზიაში, ხოლო 1919 წლიდან ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად, გასაბჭოების შემდეგ – იმავე ფოთის ტექნიკუმის დირექტორად და განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ. აქ დავყავი 1922 წლამდე. 1923 წელს გადმოვედი ტფილისში.

1923 წლიდან ვმუშაობდი 1928 წლამდე ტფილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების განათლების სტატისტიკის ქ/განყოფილების გამგედ. ამავე დროს ვასწავლიდი სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. 1928-1929 წელს ვმუშაობდი „კომუნისტი“-ს რედაქციაში (მთარგმნელად).

ამ უამად ვასწავლი ინდუსტრიალურ ინსტიტუტში, მუშათა განათლების კომბინატში და სამხედრო სკოლაში (ამ.-კავკ. ფეხოსანთა სკოლაში).

1903 წლიდან ვმონაწილეობ ლიტერატურაში, ხოლო 1904 წლიდან რევოლიუციონურ მოძრაობაში. პირველი ჩემი მონაწილეობა რევოლიუციონურ მოძრაობაში გამოიხატა წრეებში მუშაობით და საიდუმლო ფურცლების არალეგალურად გავრცელებით. აგრეთვე გამოიხატა იმაში, რომ მონაწილეობას ვიღებდი მონაფეთა გაფიცვაში.

მონაფეთა გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისათვის, მე ორჯერ გამრიცხეს ქუთაისისა და შემდეგ ტფილისის სემინარიიდან, შემდეგ ისევ მიმიღეს, ხოლო 1906 წელს „ექსტერნად“ ჩავაბარე გამოცდები.

1904 წლიდან ტფილისის სემინარიაში ვსწავლობდი, რადგანაც ქუთაისის სემინარია, როგორც რევოლიუციონური მოძრაობის ერთ-ერთი ბუდე, მთავრობის დადგენილებით დაკეტილ იქნა. ჩვენ ტფილისში გადმოგვიყვანეს, აქ მე უფრო დაუუახლოვდი მოძრაობის ხელმძღვანელებს და რედაქციებს, რომელთაც წინადასახებედ მასალებს ვუგზავნიდი. მაგ., 1903 წელს მე ჟურნალ „მოგზაურში“ დავბეჭდე მოთხრობა „სამწუხარო განთიადი“, ხოლო 1904 წელს იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი მოთხრობა „გამდელი“, სულ ეს მოთხრობები დაიბეჭდა ოთხ ნომერში.

1905 წელს ჟურნალი გადაეცა ახალ რედაქციას: მას ხელმძღვანელობდა – რედაქტორობდა ამხ. ფილიპე მახარაძე. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი ერთი პირველი რევოლიუციონურ ლექსთაგანი („დღის მნათობმა განთიადზე“).

ამის შემდეგ მე განუწყვეტლად ვბეჭდავდი რევოლიუციონურ ლექსებს ს.-დ. მუშათა პარტიის ჟურნალ-გაზეთებში. არ დარჩენილა ამ მიმართულების თითქმის არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, რომ მე არ მომეთავსებინოს ჩემი ნაწერი.

1906 წელს დასახებდად დავამზადე რუსული და ქართული რევოლიუციონური ლექსების, სიმღერებისა და ჰიმნების კრებული, რომელიც უნდა გამოეცა გამომცემლობა „ალიონს“ (ვ. გადილიას), მაგრამ მე უანდარმერიამ გამჩხრიკა და დამაპატიმრეს, წამომიყენეს ბრალდება 126 მუხლის ძალით. ლექსებისა და სიმღერების დამზადებული კრებული და ჩემი სხვა მასალაც თან წაიღეს. მეტეხის ციხეში დავყავი 1907 წლის აპრილამდე. ამ თვეში მე თავდებობის ქვეშ გამანთავისუფლეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი. 1907 წლის სექტემბერში განვიზრახე უნივერსიტეტში გამგზავრება სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ რადგანაც ჩემი საქმე გამოძიებაში იყო და მეც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი, ამიტომ უანდარმერიის მიმართ ასეთი ხერხი ვიხმარე: განუცხაადე – ტომსკში მივდივარ მეთქი, უნივერსიტეტში შესასვლელად, რაკი ციმბირში საკუთარი ნებით ვაპირებდი ვითომ გამგზავრებას უანდარმებმა უარი არ მითხრეს, მით უმეტეს რაკი თავმდებობის ქვეშ ვიყავი და თავმდებიც ტფილისში იყო (ნ. მთვარელიძევილი, ყ. ავჭალის ქუჩაზე საკუთარი სახლის პატრონი, ძველი „იმედის“ – რედაქტორ-თანამშრომელი, აწ განსვენებული).

მაგრამ მე ტომსკში არ წავსულვარ. ხარკოვში წავედი და იქ შევედი უნი-

ვერსიტეტში. საჭირო იყო კეთილსაიმედოების მონმოზა და ამის მიღება მე მოვახერხე ქუთაისიდან.

ხარკოვში მიმიღეს, მაგრამ რაკი ტომსკში მე არ აღმოვჩნდი, ეს ამბავი ჟანდარმებმა გაიგეს და ხარკოვში ჩასვლის დროიდან რამდენიმე თვის შემდეგ მე ხარკოვში დამაპატიმრეს და ხარკოვის საგუბერნიო საპატიმროში მომათავსეს. აქ მე დავყავი რამდენიმე თვე და შემდეგ გადამასახლეს ტომსკში ეტაპით. ტომსკის ციხეში დავყავი რამდენიმე თვე, რის შემდეგ გამათავისუფლეს ხელწერილს ქვეშ, რომ დაუყოვნებლივ დამეტოვებინა ტომსკი.

მე ტომსკიდან ისევე ხარკოვში დავბრუნდი არალეგალურად და სწავლა განვაგრძე. ქალაქში არალეგალურად ვცხოვრობდი სხვისი პასპორტით, მხოლოდ 1912 წელს მოვახერხე სწავლის დამთავრება და მასწავლებლად დამნიშნეს.

აი, ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიაც მე ლექსები და მოთხრობები მომითავსებია: „ივერია“ (1904 წ.), „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „ლამპარი“, „გრიგალი“, „სიმართლე“, „ჩვენი გზა“, „ახალი გზა“, „წყარო“, „თეატრი და ცხოვრება“, „თემი“, „ახალი ქვეყანა“, „ტალღა“, „ჩვენი ცხოვრება“, „წინ“, „ლახვარი“, „დილა“, „ჩვენი სიტყვა“, „დასაწყისი“, „ცხოვრების სარკე“, „ნაპერნკალი“, „ალი“, „ჩვენი ხმა“, „ჩვენი საქმე“, „ჩანგი“, „მომავალი“, „საქმე“, „მნათობი“ და სხვა.

1905 წელს გამოიცა რევოლიუციონური ლექსების კრებული „წინ!“ (ვ. გადილიას გამოცემა), რომელშიაც რამდენიმე ჩემი ლექსია დაბეჭდილი სხვა რევოლიუციონურ მწერლებთან ერთად.

პირველი რევოლიუციის პერიოდში მე აუარებელ სხვა ლექსებთან ერთად დავსწერე ლექსები, რომლებიც მიუძღვენი რევოლიუციის მსხვერპლებს.

ერთი ასეთი ლექსთაგანი („გმირებს“) მოთავსებულია მაშინდელი რაიონის კომიტეტის მიერ გამოცემულ სურათებზე რევოლიუციონერებისა, რომელიც ამჟამად გადიდებული გამოკიდებულია რევოლიუციის მუზეუმში ჩემი ლექსით.

1906 წელს ს.-დ. გაზეთის „ლამპარი“-ს რედაქციაში დააპატიმრეს რედაქციის ხელმძღვანელები და თანამშრომლები. მე, როგორც ქრონიკიორი, ამბების შემკრები, რედაქციის გარეთ დავრჩი და ამ შემთხვევას ვუძღვენი ლექსი, რომელიც „ლამპარი“-ს – მე-5 ნომერში დაიბეჭდა („ვუძღვენი ტუსალებს“). ლექსს ქვეშ აწერია მაშინდელი ჩემი ფსევდონიმი „იალონი“.

1906 და 1907 წლებში, მე გაზეთებში აუარებელი ორიგინალური და რევოლიუციონური თარგმნილი ლექსები მოვათავსე. სხვათა შორის, ერთი ასეთი ლექსი „სალდათის სიმღერა“ დაიბეჭდა „პატარა გაზეთში“, რომელსაც განსვენებული კოტე მესხი რედაქტორობდა. ამ ლექსის დაბეჭდვისათვის გაზეთი დაკეტეს და რედაქტორი კოტე მესხი პასუხისგებაში მისცეს. საქმე გაიჩინა სამოსამართლო პალატაში. რედაქტორი გაამართლეს, რადგან ლექსებში ისეთი აზრი იყო გამოთქმული, რომლის წინააღმდეგ თვით მოსამართლეებსაც გაუჭირდათ ხმის ამოღება (ძმამ თავისივე კლასობრივ ძმას თოფი არ უნდა ესროლოს). ამ პროცესის ანგარიში დაიბეჭდა მაშინდელ გაზეთებში, სხვათა შორის ანარქისტების ჟურნალ „ნობათში“.

ამავე პერიოდში მე რედაქციიდან მინდობილი მქონდა თვალყური მედევ-

ნება ტფილისის ხულიგანთა ორგანიზაციის მოქმედებისათვის. ეს ორგანიზაცია თავის თავს „პატრიოტულ საზოგადოებას“ უწოდებდა. ამ საზოგადოების ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო გენერალი გრიაზნოვი, შემდეგ არსენ ჯორჯიაშვილის მიერ მოკლული, დეკანოზი გოროდცევი, მემანქანე გოლოვაჩევსკი და სხვ. როგორც ვიცით, ამ საზოგადოებამ მაშინ დიდი ზიანი მოუტანა მუშათა მოძრაობას. მან რამდენიმე ადგილას ტფილისში მოაწყო დარბევა, მაგ., გოლოვინის გამზირზე და სხვა. მე თვალყურს ვადევნებდი საზოგადოების საქმიანობას და მის შესახებ დანვრილებით ცნობებს ვანვდი-დი რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და რედაქციას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი პირადი საფრთხე მომელოდა, მე ვესწრებოდი საზოგადოების კრებებს განსაკუთრებული ბილეთით, რომელსაც ხელს აწერდა გოლოვაჩევსკი და რომელიც როგორღაც რედაქციას შეეძინა. კრების ანგარიშებს მე დანვრილებით ვადგენდი და ვათავსებდი ს.-დ. გაზეთების ფურცლებზე.

მაგ., ტფილისის პატრიოტულმა საზოგადოებამ 1906 წლის 9 მაისს გადაიხადა თავის დაარსების წლისთავის დღესასწაული. ამ დღეს მისიონერთა ეკლესიაში (ანდრეევისა და კირკის ქუჩების კუთხეში) გაიმართა „პატრიოტთა“ კრება, რომელზედაც აუარებელი ხულიგნური სიტყვები ითქვა.

გაზეთ „ლამპარი“-ს №22-ში (1906 წ., ოთხშაბათი, 17 მაისი) მე მოვათავსე ამ კრების ანგარიში სათაურით „ხულიგნებში“ (ხელს ვანერ – „მ“ – ჩემი სახელის პირველი ასო).

იმავე „ლამპარი“-ს №8-ში მოთავსებულია ჩემი წერილი „პატრიოტთა პარტიის დაშლა“ ჩემი ერთ-ერთი ფსევდონიმის „შხეფელის“ ხელმოწერით.

ამავე „შხეფელის“ ფსევდონიმით მე მაშინდელ (1-ლი რევოლიუციის პერიოდის გაზეთებში) ვათავსებდი საერთო პოლიტიკური ხასიათის წერილებს, თეატრალურ რეცენზიებს, კრებების ანგარიშებს. ამავე ფსევდონიმით არის მოწერილი ნაძალადევაში გამართული ყველა მიტინგების ანგარიშები, ანგარიში ლექციებისა, რომლებიც იმართებოდა ქალაქის საბჭოს დარბაზში და სხვ. ამავე ფსევდონიმით არის მოთავსებული „სხივში“ (1906 წ.) ვრცელი ანგარიში რევოლიუციონური ამბების განვითარებისა ტფილისში 1905 წლის დეკემბერში, სათაურით „გაფიცვა და სამხედრო წესები ტფილისში“ და მრავალი სხვა წერილები.

მთელი რეაქციის პერიოდის მანძილზე მე განვაგრძობდი წერას რევოლიუციონური ლექსებისა, მოთხრობებისა და წერილებისა.

ბევრი ლექსი ამოღებულია ცენზორის მიერ, მაგრამ ზოგჯერ ლექსის ცარიელ ადგილს ქვემ მიწერილია ჩემი ფსევდონიმი (იასამანი) და გაზეთიც ამ სახით გამოსულა (მაგ., გაზეთ „თანამედროვე აზრ“-ში ლექსი „სიტყვა ომში დახოცილებზე“ და სხვ.).

გარდა მწერლობისა, როგორც ზევეთაც აღვნიშნე, მე ვწეოდი პრაქტიკულ უშუალო რევოლიუციონურ მუშაობას. 1904-5 წლის პერიოდში ვიყავ პროპაგანდისტი და დავდიოდი სამეგრელოს სოფლებში. ამის შესახებ უკვე მოიპოვება მასალები არქივში სენაკის მაზრის ყ. უფროსის რიაზანოვის მონერილობის სახით ჟანდარმთა სამმართველოს სახელზე.

ასეთივე მუშაობას ვენეოდი ტფილისშიაც, რედაქციებში მუშაობის დროს და აგრეთვე ხარკოვში, სადაც მე, როგორც ზევით აღვნიშნე, არალეგალურად ვცხოვრობდი რამდენიმე წელიწადს.

გასაბჭოების პირველ დღეებშივე მე ჩავები პრაქტიკულ მუშაობაში. ფოთში მე პრაქტიკულად ვხელმძღვანელობდი ყველა ძველი სკოლების რეორგანიზაციის საქმეს, როგორც განათლების განყოფილების გამგის მოადგილე, ამავე დროს ტეხნიკუმის დირექტორი.

1923 წლის აპრილში „კომუნისტი“-სა (№74) და „Рабочая правда“-ს (3 აპრილის) ნომრებში დაბეჭდილია ჩემი დეკლარაცია ოქტომბრის რევოლუციისა და მუშათა კლასის დიქტატურის შესახებ, რომელშიაც მე ვაღიარებდი ძველის წარსულის შეცდომებს და ვადგებოდი რევოლუციონურ მტკიცე გზას – პროლეტარიატის დიქტატურას.

1933 წელს მე გადმოვედი ტფილისში და დავინყე მუშაობა, როგორც ეს ზევითაც აღვნიშნე, აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში განათლების სტატისტიკის ქ/განყოფილების გამგედ.

ამ დროს გამოდიოდა აღმასკომის ჟურნალი ჯერ „აღმასკომის მოამბე“ და შემდეგ „ჩვენი მშენებლობა“ და ბოლოს „ტფ. აღმ. მოამბე“. მე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ამ ჟურნალებში და მთელ იმ პერიოდში, რაც ჟურნალი გამოდიოდა (1923–27), მასში იბეჭდებოდა ჩემი წერილები სახალხო განათლების საკითხებზე ისტორიული ხასიათისა (1905 წლის რევოლუციის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით) და სხვ.

ჟურნალი გამოდიოდა მოზრდილი ფორმატისა და ორ ენაზე (ქართულზე და რუსულზე).

გარდა ზემომოყვანილი ცნობებისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე (1922 წლიდან დღემდე) მე დამიბეჭდია ჩემი ნაწერები შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში: „კომუნისტ“-ში, „მუშა“-ში, „სოფლის მუშა“-ში; მთელი რიგი წერილებისა მ. კანელის ფსევდონიმით სახალხო განათლების საკითხებზე: „განათლების მუშაკში“, „ბიბლიოთეკის მეგობარში“, შემდეგ „წითელ არმიელში“ (ლექსი), „ლიანდაგში“ (პროლეტარული მწერლობის ჟურნალი), „პოეზიის დღეში“, „ქართულ მწერლობაში“, „მნათობში“ და სხ. ამ უკანასკნელ ჟურნალში მოთავსებული ლექსები („სამეგრელოში“) შრომის სკოლის პროგრამაშიაც იყო მოთავსებული.

ზოგი ჩემი ლექსები დაიბეჭდა ქართული ენის სასწავლო ქრესტომატიამიც. რუსულადაც აუარებელი ნაწერები მითარგმნია. სხვათა შორის, აღმასკომმა გამოსცა რუსულად ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი.

1905-6 წლის მუშაობასთან დაკავშირებით, მე დავსწერე ორი დიდი წერილი, რომლებიც მოვათავსე საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-ის პარტიის ჟურნალში „რევოლუციის მატიანე“-ში. პირველი წერილი შეეხება ჟურნალ „მოგზაურს“, რომელიც ამხ. ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა 1905 წელს და დაბეჭდილია „რევოლუციის მატიანეს“ 1928 წლის №3 (20)-ში (იხ. გვერდ. 170–209). მეორე წერილი შეეხება გაზეთს „ახალ ცხოვრებას“, რომელიც 1906 წელს გამოდიოდა და რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. კობა (სტალინი). ეს წერილი დაბეჭდი-

ლია „რევოლიუციის მატრიანე“-ს 1931 წლის №1 (24)-ში სათაურით: „ქართული ბოლშევიკური პრესა 1906 წელს (იხ. ხსენებული ჟურნ. გვერდები 174–185).

ამჟამად განვაგრძობ რამდენიმე მოთხრობის წერას და ჩემი ნაწერების დამზადებას გამოსაცემად, განვაგრძობ ლექსების წერას ჩვენ სოციალისტურ მშენებლობაზე.

შევჩენკოს მომავალი (1934 წლის თებერვალს) იუბილესათვის სახელგამი აპირობს კრებულის გამოცემას, რომელშიც მოსათავსებლად მე ვამზადებ შევჩენკოს ნაწერების უკრაინულიდან ქართულად თარგმნას, როგორც შევჩენკოს ძველი მთარგმნელი (პირველი მისი ლექსი მე ვთარგმნე ქართულად და დავბეჭდე გაზეთ „ცხოვრების სარკეში“, №20, 16 მაისი, 1908 წლისა, ლექსის სათაურია „ანდერძი“, უკრაინულად „Заповіт“).

*მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი)
1933 წ., 1 დეკემბერი, ქ. ტფილისი*

გერონტი ქიქოძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ქიქოძე გერონტი დიმიტრის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1885 თვე აგვისტო დღე 21
	(ძველი თუ ახალი სტილი)
	ს. ბახვი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	ლიტერატორი
7. ლიტერატურული ჟანრი	ლიტერატურათმცოდნეობა, პუბლიცისტიკა, თარგმანები, კრიტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულსა და რუსულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთში
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	ქართველ ნაციონალდემოკრატთა პარტიაში

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, ბერნის უნივერსიტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>გერმანიაში 1903 წელს, 5, 7 წლებში; 1909 წელს შვეიცარიაში; 1910–13 წლებში საფრანგეთში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჯაფარიძის 11, 3-85-37</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1921	22	კომისრის მოად- გილეთ	მინადმოქმედების კომისარიატში	თბილისი
1925	29	სტილისტი	გაზეთ „კომუნის- ტში“	„-“
1930	32	ლექტორი	სახ. უნივერსიტე- ტისა	„-“
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

ავტობიოგრაფიული ცნობები

დავიბადე 1885 წელს გურიაში, სოფელ ბახვში. პირველდანიყოებითი სწავლა ჩემივე სამშობლო სოფლის სკოლაში მივიღე; შემდეგ დავასრულე ქუთაისის რეალური სასწავლებლის კურსი. უმაღლესი განათლება ლეიპციგის და ბერნის უნივერსიტეტებში მივიღე, ფილოსოფიურ ფაკულტეტზე.

ლიტერატურული მუშაობა სტუდენტობის დროს დავიწყე, 1905 წელს, როდესაც წერილები მოვათავსე ყოველკვირეულ გაზეთ „მოგზაურში“. 1905 წელს ივე სტ. შაუმიანთან ერთად ვხელმძღვანელობდი გაზეთ „კავკასკი რაბოჩი ლისტოკს“, ხოლო 1906 წელს ვთანამშრომლობდი გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“, რომელიც ამხ. სტალინის რედაქტორობით გამოდიოდა. შემდეგ 40 წლის განმავლობაში ლიტერატურული მუშაობა არ შემიწყვეტია და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილი დავბეჭდე ლიტერატურის და ხელოვნებათმცოდნეობის, კრიტიკის, ისტორიის და ფილოსოფიის დარგიდან. ვწერდი აგრეთვე პუბლიცისტური ხასიათის წერილებს.

მეფის მთავრობამ ჩემს წინააღმდეგ ორჯერ მიიღო რეპრესიული ღონისძიება: პირველად დამატუსაღეს 1905 წელს, მაგრამ სამი კვირის პატიმრობის შემდეგ გამანთავისუფლეს ოქტომბრის მანიფესტის ძალით. მეორეჯერ დამატუსაღეს 1910 წელს და ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ კავკასიის ფარგლებიდან გადასახლება მიმისაჯეს სამი წლის ვადით, მაგრამ ნება დამრთეს, ევროპაში წავსულიყავი სწავლის დასასრულებლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს დამფუძნებელი კრების ერთადერთი უპარტიო წევრი ვიყავი. ჩემს სიტყვიერს და წერილობითს გამოსვლებში მოვითხოვდი საბჭოთა კონსტიტუციის შემოღებას და საბჭოთა რუსეთთან დაკავშირებას. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა საქართველოს მთავრობის დავალებით გაგზავნილ ვიყავი ბათუმში ნოე ჟორდანიას მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად 1922 წელს მიწათმოქმედების კომისრის მოადგილედ ვმუშაობდი, 1924–1926 წლებში სტილისტის თანამდებობას ვასრულებდი გაზეთ „კომუნისტში“, ხოლო 1931–32 წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი დასავლეთი ევროპის ლიტერატურის შესახებ. ამჟამად არსად არ ვმსახურობ.

ჩემი შრომებიდან გამოცემულია ცალკე წიგნებად:

1. „ეროვნული ენერგია“, 1919 წ.
2. პოლიტიკური წერილები, 1920 წ.
3. წერილები ხელოვნებაზე, 1936 წ.
4. ლიტერატურული ნარკვევები, 1938 წ.
5. ერეკლე მეორე, 1941 წ.
6. ნარკვევები, 1941 წ.
7. სიტყვები და წერილები, 1942 წ.
8. ქართული ლიტერატურის ისტორია (მე-19 საუკუნე).

თარგმანები:

9. ნიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, 1925 წ.
10. ანატოლ ფრანსი, „ღმერთებს სწყურიათ“, 1938 წ.
11. სტენდალი, „იტალიური ქრონიკები“, 1928 წ.
12. ბალზაკი, „შაგრენის ტყავი“, 1931 წ.
13. უცხოეთის მოთხრობები (მერიმეს, ბალზაკის და სხვ.).
14. სტენდალი, „წითელი და შავი“, 1934 წ.
15. შარლ პერო, ზღაპრები, 1938 წ.
16. ალფონს დოდე, „წერილები ჩემი წარსულიდან“.
17. ევროპული ლიტერატურის ქრესტომატია, 1942 წ.
18. ლერმონტოვი, „ჩვენი დროის გმირი“, 1940 წ.
19. ვ. ლენინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, 1934 წ.
20. ფრ. ენგელსი, „ანტიდიურინგი“, 1933 წ.
21. მისივე, „ლუდვიგ ფეიერბახი“, 1940 წ.
22. მისივე, „ოჯახის კერძო საკუთრების სახელმწიფოს წარმოშობა“.
23. მისივე, „გლახთა ომი გერმანიაში“, 1932 წ.
24. კარლ მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში, 1937 წ.
25. მისივე, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, 1937 წ.
26. გიულიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთში.
და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დავით კასრაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	კასრაძე დავით ილარიონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ქართლელი, დ-კა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1885 თვე დეკემბერი დღე 27
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ავნევი (სტალინირის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1900 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური კორპორაციის წევრი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, გერმანული, უკრაინული, ოსური, ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მობსნილი ასაკის გამო</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1908–10 პარიჟში, 1912–14 ბრიუსელში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლი „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად, პენსიონერი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბელინსკის 45</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, სანარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, სანარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, სანარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1910	12	პედაგოგი ფრან- გული ენისა	კომერციულ სას- წავლებელში	
1915	21	პედაგოგი ისტო- რიისა	ქართულ გიმნაზიაში	
1921	23	პედაგოგი ფრან- გული ენისა	სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში	
1922	23	რედაქტორი	გაზ: „მწვერვალე- ბი“	
1924	38	პედაგოგი	სხვადასხვა ტექნიკუმებში	ბათუმში
1938	39	ლიტ. ნაწილის გამგე	რუსთაველის თეატრისა	„-“
		შემდეგ გადავე- დი სავსებით ლიტერატურულ სამუშაოზე		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

დავით ილარიონის-ძე კასრადის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1885 წელს სოფ. ავნევეში სტალინირის რაიონი. მამაჩემი მღვდელი იყო, ყავდა 12 შვილი, რომელთაგან მე მეექვსე ვიყავი. თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიხედვით მამაჩემი ხალხოსანი იყო. მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ქონდა. ინერდა მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებსა და ჟურნალებს, რომელთა შორის „ნივა“ და „ვოკრუგ სვეტა“ ყოველ წელს მუდამ გამოწერილი ქონდა. ბიბლიოთეკის შემადგენლობაში ნახავდით „ნეკრასოვს“, „გოგოლს“, „ბელინსკის“, „ტოლსტოის“. ტოლსტოიდან მას ყველაზე მეტად „ომი და მშვიდობა“ მოსწონდა. მამაჩემის სიკეთე ის იყო, რომ შვილებს მუდამ თითონვე გვაცნობებდა ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოების შინაარსს. მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლაში არ ვიყავი მიბარებული, რომ მამაჩემმა „ნივის“ მხატვრული დამატებებიდან მიაბმო პირველად მე ალექსანდრე დიდის მხატვრული ნარკვევი და მრავალი სხვა.

ნაწილობრივ თუ ჩემ ნაწარმოებთა შორის ისტორიული თემატიკა სჭარბობს, ისევე მამის გავლენას უნდა მიენეროს. მან შემატყო, რომ ისტორია მაინტერესებდა და მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი სულ ზღაპრული სახით შემასწავლა.

სკოლამდელ პერიოდშივე მამაჩემმა დიდი ყურადღება მიმაქცევინა სპარტაკის აჯანყებაზე. შემდეგ მივხვდი, რომ ის მელაპარაკებოდა ჯიოვანის ენით, რომლის შესანიშნავი რომანი „სპარტაკი“ შემდეგ რუსულ ენაზე აღმოვაჩინე მის ბიბლიოთეკაში.

მამაჩემი მუდამ დემოკრატიული იდეების მომხრე იყო და ხალხში შეჭქონდა შეძლებისადაგვარად. მახსოვს 1899 წელს ქართლში ფილოქსერა მძვინვარებდა, მთელი ვენახები ამოაგდო. ფილოქსერა საბაბად მიიღეს ჩვენმა მონინავე ინტელიგენციამ და მასთან ბრძოლის გაჩაღებით ნამდვილად მშვენიერი ნიადაგი ჰპოვა რევოლუციური იდეების გასავრცელებლად ხალხში. ერთხელ მამას ეწვია ინტელიგენციის ერთი ჯგუფი, ამათგან მე დამამახსოვრდა ზოგიერთის გვარი – სტაროსელსკი – გენერალ-გუბერნატორი ქუთაისის გუბერნიისა (ხალხოსანი), სილიბისტრო ჯიბლაძე, ბოჭორიშვილი მიხა (ს.-დ.), კლიმიაშვილი მიშა (ს.-დ.), სევერიან ჯუღელი; რუსებიდან მაგონდებიან კოზლოვსკი და ვსევოლოვსკი. ისინი კვირაობით გამოდიოდნენ გლეხებში და აგიტაციას ეწოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. მეც და ჩემმა უფროსმა ძმებმაც ბევრი რამ შევიძინეთ ამ აგიტაციისაგან. ასე რომ, 1905 წელს რევოლუციას შეგნებულად შევხვდით. ჩვენ ს.-დ. რიგებში ჩავდექით. ჩემმა ძმამ – კორნელ კასრადემ ცხინვალში შექმნა შავრაზმელთა წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი. კორნელიმ სოფელ ატოცთან განაიარაღა აბდუშელიშვილის რაზმი. მას მრავალი ტერორისტული აქტი ქონდა ჩადენილი. მან დასჭრა დიდი მემამულე სულხანიშვილის მცველი – ა. მაჩაბელი და მრავალი სხვა. პროფესიით იგი მასწავლებელი იყო, მწერლობაშიც ედგა ფეხი, მისი ფსევდონიმი იყო „ქარცეცხლი“ და სხვ. რეაქციის დროს ცხინვალის დასასჯელად გამოგზავნილი იქნა დამსჯელი ექსპედიცია. ამ ექსპედიციამ დაანგრია ცხინვალში ჩვენი ორსართულიანი სახლი, ჩემი ძმა სანდრო გაგზავნილი იქნა არ-

ხანგელსკის გუბერნიაში, ხოლო კორნელი გადასახლებული იქნა ვოლგაში. თუმცა იგი არც ჩასულა იქამდე, გზიდანვე გამოიქცა.

1894 წელს მე მიმაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ჩემი უფროსი ძმები სწავლობდნენ. ჩემს ძმებს სკოლის ამხანაგებთან დიდი ურთიერთობა ქონდათ. დაჰყვებოდნენ ერთმანეთს სახლში. ჩემს უფროს ძმას – გიგოს მოჰყვებოდნენ ხოლმე ლადო კეცხოველი და შაქრო ედილაშვილი, ხოლო სანდროს – სოსო ჯულაშვილი. სოსო ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდა ჩარკვიანების სახლში. სოსო დიდი დაკვირვებული და კვიმატი ბიჭი იყო. ვისაც შეხედავდა, მაშინვე ზედმეტ სახელს დაუძახებდა. მაგ., ჩემს ძმას გიგოს დიდი ცხვირი ქონდა. მან დაარქვა „ცხვირო“. მას ეს სახელწოდება სიკვდილამდე შერჩა. სანდროს მან უწოდა ჟოფრუა სენ-ილერი. ერთხელ ვკითხე, რას ნიშნავდა ჟოფრუა სენ-ილერი. მან მიპასუხა – ეს ფრანგულ ენაზე ნიშნავს სანდრო ილარიონის-ძე კასრაძეს.

სანდრომ ეს სახელი იმდენად შეიშნო, რომ სემინარიის კურსი ამ სახელით დაამთავრა. სოსოს დედა მე საალერსოთ ფუნთუშას მეძახოდა. სოსო ამხანაგებში მუდამ ერჩეოდა და იმდენად, რომ თითქმის ყველას თავზე დაჰყიოდა. მე მოწმე ვყოფილვარ, გორის არტილერიის მოედანზე შაირებით შეჯიბრში, სოსო როგორ მუდამ პირველი იყო. მთელ იმ დროინდელი შთაბეჭდილებანი მე გადმოვეცი „პატარა სოსოში“, რომელიც უფრო ვრცლად რომანის სახით გადმოცემული მაქვს „მგზნებარე კოლხიდელში“. აქედან დაინახავენ, თუ რა სამაგალითო მოწაფე იყო სოსო, როგორი გულითადი ამხანაგი, ბეჯითი, ყველასათვის და ყველაფერში პირველი.

1894 წელს პირველად დავინეყე სწავლა გორის სასწავლებელში. სასწავლო წლის დასაწყისი აღინიშნა ერთი გარემოებით. პარაკლისის დროს სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები გვაფრთხილებდნენ, შეიძლება, იმ საუკუნეში გიხდება სწავლა, როდესაც გამრავლდნენ ეშმაკის მოციქულნი, რომელთაც „ბუნტოვნიკები“ ქვიათო. ამ ბუნტის ხალხის მეთაური შეიქნა ჩვენი სასწავლებლის მიერ გამოზრდილი ლადო კეცხოველი. თუ ხელში რამე ჩავივარდათ ლადოსა ან მისი ამხანაგების მიერ გამოგზანილი, უმალ გვაცნობეთო. მე კარგად ვიცნობდი ლადოს. ჩვენს ოჯახში ხშირად დაიარებოდა, რომელიც სულ უფროსი ძმა გიგოს ამხანაგი იყო. ჯერ მე ცრემლები გამოვლვარე და შემდეგ კი ჩემ თავს შევეკითხე – რა დააშავა ნეტავი ლადომ, რომ ჩვენი მასწავლებლები მას ეშმაკის მოციქულად ნათლავენ მეთქი. უფროსი კლასის ამხანაგებს სიცილადაც არ ყოფნიდათ მასწავლებელთა ნიანგის ცრემლები. ჩემი უღრმესი პატივისცემა გაიზარდა ლადოსადმი. როდესაც სემინარიიდან დათხოვნილმა გორში ამოიბრინა – დედა ჩემს შესძახა: „დედილო, შენი ქირიმე, ერთი ლობიო გექნება და გემოზე გამაძლეო“. მე გავოცდი, ბუნტის კაცი ნუთუ ასე თავმდაბლად უნდა იქცეოდეს მეთქი. მან ცერი გაატკაცუნა და თქვა: „ჯერ სადა ხარ, დათუნი, ერთი ნახონ რევოლუციის მობრძანება მთელი თავისი დიდებულებით და ზოგნი მაშინ დაგველაპარაკნენ“. მე კი ვუთხარი: „ლადო, მეც მინდა ბუნტის კაცი გავხდე“. მან შემომხედა და გაიცინა: „ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ უნდა ისწავლო“.

1901 წელს მამა გარდამეცვალა და დავამთავრე გორის სასწავლებლის კურსი და თბილისში გადმოვედი. მე შევედი სამხატვრო სასწავლებელში და ვემზადებოდი გიმნაზიის კურსის ჩასაბარებლად. განსაკუთრებით შემიყვარდა ისტორიული წიგნები. დავიწყე ფრანგული ენის შესწავლა. ამასობაში შემოგვეპარა 1905 წლის რევოლუცია, რომლის საზეიმო მობრძანებას ასე მკვეთრად ყნოსავდა ლადო, ვიდრე მას მეტეხის ციხეში გულს გაუგმირავდნენ ჯალათები.

16 წლისა მე უკვე ვთანამშრომლობდი ჟურნალ „ჯეჯილში“. მე მახსენდება ერთი ამბავი. რედაქციაში გავგზავნე საკმაოდ ვრცელი მოთხრობა დასაბეჭდად. ჩემი თავი დავმალე და მივანერე ჩემი ბიძაშვილი გოგონას – ნატალია კასრადის სახელი და გვარი. როცა ვნახე ეს მოთხრობა დაბეჭდილი, მაშინვე გამოვცხადდი რედაქციაში. რედაქტორმა ძალიან ბევრი იცინა და რედაქციის წევრებს მიუთითა ჩემზე – ეს ბიჭიკო გოგონა ყოფილა, როცა ეს მოთხრობა დასწერა და ეხლა, რაკი მოთხრობა დავბეჭდეთ, ისევ ბიჭად გადაიქცაო.

1900 წელს მე უკვე გარკვეული რომანისტი ვიყავი. რეაქციის ხანა მთელ რუსეთში მწერლობის დარტყმით აღინიშნა. მთელი რიგი მწერლები, როგორც, მაგ., ანდრეევი, სოლოგუბი, არციბაშევი, პირდაპირ წუმპეში დასცურავდნენ. აი, მათ საპასუხოდ ვწერ მეტად მყვირალა სათაურიან რომანს „როსკიპს“, სადაც ვუარვეყოფ არციბაშევიების და კუპრინების თეორიას. და სოციალური ფაქტების გაშუქებით ვამტკიცებ, რომ როსკიპი თავისით არ იბადება, ეს არის უკუღმართი სოციალური პირობების შვილი. ეს რომანი 1912 წელს გამოსვლისთანავე აიკრძალა, ხოლო 1917 წელს ცენზურის არქივიდან პირველად მეტეხის პოლიტპატიმრებმა გამოიტაცეს ეს რომანი და მუშტრის თვალით გადავიკითხე. გამეხარდა, რომ შიგ ასეთი სტრიქონები ვიპოვე:

„...რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ხალხს ვერ დაამარცხებ, ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა, აი, რა ანერია ტყვიებით დაფლეთილ მუშათა დროშას. არა შერიგება, არამედ ბრძოლა მიგვიყვანს იმ ქვეყანამდე, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება“.

1908 წელს პირველად გავემგზავრე პარიზში არალეგალური გზით, რადგან მეც მდევნიდნენ ძმებთან ერთად. პარიზიდან დავბრუნდი 1910 წელს და მოვეწყვე კომერციულ სასწავლებელში ფრანგული ენის მასწავლებლად. იმავე დროს ვენედი კორესპონდენტობას ბურცევის „ბილოეში“. ბურცევმა გამოაშკარავა ასეთის ვინაობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეფის ახრანკაში მუშაობდა თურმე და რევოლუციურ ჟურნალ-გაზეთებშიც. რუსეთის მოწინავე ადამიანები მოვალედ სთვლიდნენ, მიეწოდებინათ მასალები. მეც გავკადნიერდი „ბილოეში“ თანამშრომლობაზე, მაგრამ პირველი ნაბიჯი ძვირად დამიჯდა. გამიგეს თუ არა, იმავე დღესვე დამითხოვეს. ეს გარემოება ჩემთვის ხელსაყრელი გამოდგა. გამომც. „კულტურამ“ დამავალა მეთარგმნა კაუცკის კაპიტალური შრომა „ანტიკური ქვეყანა“, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩვენს ახალგაზრდობაში მათ განვითარების საქმეში. არა ნაკლებ როლი ითამაშა კრაპოტკინის „საფრანგეთის დიდი რევოლუციის“ თარგმნამ. დაკვეთა მივიღე დავით როსტომაშვილის მიერ და მაშინვე ჩაიბარა ეს შესანიშნავი შრომა.

პატარა გროშებს მოვუყარე თავი თუ არა, მე კვლავ გავემგზავრე საზღვარგარეთ უმაღლესი სწავლის მისაღებად. პარიზში ერთი წელი დავეყავი, დანარჩენი დრო ბრიუსელში გავატარე. ვსწავლობდი უნივერსიტეტში, აგრეთვე მუშების ცხოვრებასაც ვეცნობოდი და ვესწრებოდი ემიგრანტთა საღამოებს. დაუვინყარი დარჩა დღემდე ჩემთვის ლენინთან შეხვედრა.

ლენინი ჩამოსული იყო ბრიუსელში ნაციონალური საკითხების ირგვლივ რეფერატის წასაკითხად. მთელი ემიგრანტები მიანყდნენ ელიზე რეკლიუს მიერ დაარსებულ „ახალ უნივერსიტეტს“, სადაც დანიშნული იყო ლენინის რეფერატი. საღამოს დაწყებამდე სტუდენტები შემოვეხვეით ლენინს. იგი თავაზიანად გვინვდიდა ხელს ყველას, მე რომ ჩემი ვინაობა გამოვამჟღავნე, მკითხა:

– კობას იცნობთ?

– როგორ არა...

– მაშ, გეცოდინებათ მისი წერილები ნაციონალურ საკითხის ირგვლივ, რომელიც შარშან დაიბეჭდა ჟურნალ „პროსვეშიენიში“. მან უბიდან ამოიღო ხსენებულ ჟურნალის ორი ნომერი და გასაცნობად გადმომცა. გამოვუტყდი, არ წამიკითხავს მეთქი. ეწყინა. მან მითხრა – გქონდეთ და ამხანაგებსაც წააკითხო. მაღლობის მეტი რა მეთქმოდა. როდესაც კათედრიდან გადმოდგა და დაიწყო რეფერატი, მან მოიბოდიშა საზოგადოების წინაშე: „დღემდე მე ფილოსოფიური საკითხებით ვიყავი გადატვირთული (ემპირიო კრიტიციზმი), ასე რომ, დრო და გარემოება ხელს არ მიწყობდა ეროვნული საკითხებისადმი ჯეროვანი ყურადღება მიმექცია. საბედნიეროდ, ჩვენ გამოგვიჩდა ახალგაზრდა მკვლევარი მარქსისტი – კობა სტალინი, რომელმაც ისე ზედმინევნით დაამუშავა ეს საკითხი, რომ მე მომიხდება მხოლოდ მისი დებულებათა გაღრმავება“. გასაგებია, რა ეფექტს ქვეშ მოვექცეოდი, ლენინი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა სოსოს, კობა-სტალინს. ჩვენს გორელ ამხანაგს.

1914 წელს ივნისში უკვე ვემზადებოდი სახელმწიფო გამოცდებისათვის, რომ მსოფლიო ომი ატყდა. ომი დიდხანს გაგრძელდა და მეც დავინყე მრავალფეროვანი მოღვაწეობა ჟურნალ-განათებაში. ვწერდი კრიტიკულ წერილებს, მაგრამ მნიშვნელოვანი ყველაზე გახდათ ჩემი პორტრეტული ჟანრის წერილი „იოსებ სტალინი“, ჯულაშვილი. ამ წერილში მაქვს ხაზი გასმული და ლენინის თანახმად ადამიანად დავსახე იგი. ეს მე ვთქვი პირველმა, რომ „ვერავითარი დედოფალი მარია ანტუანეტა ვერ მოისყიდის სტალინს და ისტორიის წინაშე გამურული პირბადით არ წარსდგება, როგორც რევოლუციის მოღალატე მეთქი“. ეს მე ვთქვი სრულის რწმენით.

1917 წელს ცოლი შევირთე, სამი შვილი გავზარდე, ჩემს ოჯახს ძალიან უყვარდა ჩემი საქმე და ცდილობდა, ჩემთვის კარგი პირობები შეექმნა მუშაობისათვის.

1936 წელს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტიდან მქონდა დაკვეთილი დიდი შრომა-მონოგრაფია სტალინზე, რომელიც 1938 წელს ჩავაბარე ინსტიტუტს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე მე ბევრი რამ დავწერე, მაგრამ ჰონორარი არასოდეს არ ამიღია. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შევძელ ჩემი ჰონორარით ცხოვრება და ამიტომაც ჩემი სამწერლო ასპარეზი უფრო ნაყოფიერი დარჩა.

დამსახურებად უნდა ჩამეთვალოს ის, რომ 1928 წელს, როდესაც მიმაგრებული ვიყავი სამხედრო ბანაკზე, მე დავინყე გორში მოგონებების შეგროვება ამხანაგ სტალინზე. ჩავინერე 47 კაცის მოგონება და გადავეცი უსასყიდლოდ „იმელს“. დიდი დაბრკოლებები მელობებოდა წინ, მაგრამ არ დამიტოვებია არც ერთი ნათესავი, მეზობელი, ყველასგან ყველაფერი ჩავინერე.

სამაგიეროდ, ამ თავგამოდებამ და მასალებას შეკრებამ შემადღებინა იმ დიდი რომანის დაწერა, რომელიც უკვე მოვათავე – „მგზნებარე კოლხიდელი“ და ამჟამად ინახება ცეკაში განსახილველად.

დ. ი. კასრაძის ნაწარმოებთა სია

1. „როსკიპი“, რომანი, 1912 წ.
2. „ბულბული ხელმწიფის ასული“, ზღაპარი, 1913 წ.
3. ანატოლ ფრანსი „ტაისი“, თარგმანი, 1914 წ.
4. „მეფე არლეკინი“, პიესა, 1914 წ.
5. „სპარტაკის აჯანყება“, მოთხრობა, 1918 წ.
6. „ციხის ცრემლები“, პიესა, 1917 წ.
7. „იბერიის დედოფალი“, რომანი, 1921 წ.
8. „კაზაკები“ ტოლსტოის, თარგმანი, 1929 წ.
9. „კეთრი“, რომანი, 1929 წ.
10. „მკვდარი სულები“ გოგოლის, 1936 წ.
11. „საპატარძლო აფიშით“, პიესა, 1940 წ.
12. „ორი ზღაპარი“, 1941 წ.
13. „თეთრი ორმო“, პიესა, 1942 წ.
14. „პატარა სოსო“, საბავშვო მოთხრობა, 1942 წ.
15. „გორის დღეები“, მოთხრობა, 1942 წ.
16. ანა კრეონტის ოდები.
17. „რუსთაველი“, პიესა, 1948 წ.
18. „მთაბარის მარგალიტი“, პიესა, 1949 წ.
19. „კოლხიდის ვარდი“, პიესა, 1950 წ.
20. „მედროშენი“, რომანი, ო. განკორი – თარგმანი, 1950 წ.
21. დიმიტრი არაყიშვილი, 1950 წ. და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალექსანდრე ჩახუნაშვილი – საჩინოელი

ავტობიოგრაფია

მე, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე საჩინოელი (ჩახუნაშვილი), დავიბადე 1885 წელს დაბა ვანში, ქვემო იმერეთში. მამაჩემი კონსტანტინე ხელმოკლე აზნაური იყო. ამის მიუხედავად, მან მე სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია დამამთავრებინა.

ადრე, ახალგაზრდობაში, მე ლექსებს ვწერდი. ეს ლექსები უმთავრესად მეტრძოლი ხასიათისა იყო და ცალკე წიგნადაც გამოვეცი პირველი რევოლუციის დროს. ამ ჩემს პირველ წიგნს მე „განთიადი“ დავარქვი.

შემდეგში მე „გამოცანების“ წერა დავიწყე. ჯერ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში ვაქვეყნებდი და შემდეგ შეჰქონდათ ისინი სახელმძღვანელოებში, ბავშვებისათვის საკითხავ კრებულებში. აგრეთვე გამოცემულია „ნაკადულისაგან“ ჩემი „გამოცანების“ რამდენიმე წიგნი.

1917-1918 წლებში მე ვცხოვრობდი ბაქოში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მე დავუბრუნდი ჩემს სოფელს, სადაც ჯერ სახალხო გამომძიებლად დავინიშნე, მერე კი – სახალხო მოსამართლედ; ორ წელიწადს ხრესილის უბნის სახალხო მოსამართლედაც ვმუშაობდი; ბოლოს ზესტაფონის ნოტარიუსიც ვიყავი. ბოლოს ავადმყოფობის გამო პენსიაში გავედი და საბოლოოდ დავმკვიდრდი ქალაქ თბილისში. ვარ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

1924 წლის აგვისტოში ვიყავი ვანის მეშევიკური ავანტიურის ლიკვიდაციის მონაწილე.

ჩემი ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად (ვარ 80 წლის), მე ახლაც ვთანამშრომლობ ჩვენს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში.

*საბავშვო მწერალი – ალ. საჩინოელი (ჩახუნაშვილი)
15 მაისი, 1965 წ.*

ლევან მეტრეველი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1941 წ. 31 აგვისტოს ლევან თედორეს-ძე მეტრეველი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1885 თვე დეკემბერი დღე –
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	ცოლშვილიანი
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, ნარკვევი, იგავები და სხვ.
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905 წლიდან
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა ჯგუფს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საზოგადო განათლება
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული საშუალოდ, რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო 1917 წლის ივლისამდე პარიზში, 1911 წლიდან</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არაფერი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიმნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა ბესიკის ქ. 36</p>

1937 წ.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლევან თედორეს-ძე მეტრეველის ავტობიოგრაფია

კარგი ავტობიოგრაფია ამავე დროს კარგ რომანს ნიშნავს.

ასეთი რომანის დაწერას კი მე არ ვაპირებ, ძნელია არა დაწერა, არამედ შარაგზაზედ გამოტანა იმ ხელმეორედ მოუპოებელ დოვლათისა, ურომლისოდაც გეზარება მინაზე სიარული.

ყველაფრის აღწერით, ასე მგონია, ვკარგავ ყველაფერს. გაძარცული კი ძნელი არის როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი.

ჩვეულებრივ სახით მოცემული ავტობიოგრაფია მეტად უბადრუკი ჩარჩო არის მდიდარ სურათზე შემოვლებული.

მე შემოძლიან ქვეყნად მოვლენის გზა-სავლიდან გადმოვადგო ჩემი არსების ყველა ძვლები, მაგრამ რა სხეული აერთებდა მათ? რა სული თრთოდა, რა გული ფეთქავდა, რა სისხლი ჩქეფდა, რა იდუმალი ძალა გრგვინავდა მთელ არსებაში? ამის სრულყოფითი აღწერა ჩემს ხელთ არ არის, როგორც ჩემ ხელთ არ არის ჩემი შობა და ჩემი სიკვდილი.

ჩონჩხით კი შეიძლება ადამიანის გაცნობა – ჰა, გამიცანით!

ქვეყნის წინაშე გაშიშვლება, ადამიანის წინაშე მე მერიდება როგორც ვაჟკაცს. გაშიშვლება კი შეუძლია მხოლოდ სხეულს. ჩემი ჩონჩხი კი უსხეულოა. ვაჰ, რა ღარიბი მასალაა ადამიანის გასაცნობად.

ბედის წერის დაკლაკნილ გზაზე ორმოცდაცამეტჯერ დამიდგია შემოდგომა და ზამთარი (გაზაფხული და ზაფხული, კი არ ვიცი, რამდენჯერ).

ანაბანა ბუხართან შემისწავლია გოგებაშვილის დედაენაზე.

შემდეგ საუკეთესო სკოლიდან (სათავადაზნაურო სასწავლებლიდან) საუკეთესო მონაფეს ძალიან ცოტა მაქვს გამოტანილი. მთელი იქაური დოვლათი – ერთ ბარაქიან სიტყვათ არ ღირს. ყველაზე ძვირფასი, რაც იქიდან გამომყვა – ეს იყო სიყვარული რამდენიმე მასწავლებლის: არისტო ქუთათელაძის, ივანე რამიშვილის, ვლ. ლორთქიფანიძის.

ორჯერ პეტერბურგის უნესრიგო სტუმარიც ვიყავი.

მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სკოლაში არც მისწავლია, არც შემოძენია რაიმე გარდა მცირეოდენი ანაბანისა. ყველაფერი, რაც მაზადია, თითქოს თავის თავად შემითვისებია ცხოვრებიდან, ხანდახან ქვეყნიდან ხილვით, სმენით, განცდით, ალლოთიც უეჭველად და კიდევ რალაცით. რაც მეტია ყოველ ხილვაზე, სმენაზე, განცდაზე, ეგებ სიყვარულით – რომელსაც ვგრძნობ ბუნების და სამყაროს დიდებულ და ლამაზ მოვლენებში...

ყველგან ყოფნა, ყველაფრის ცოდნა, ამით დრტვინავდა საძირკველი ჩემი არსებობისა.

გაჭირვების და ხელმოკლეობის ტყუპის-ცალი ვარ, მაგრამ ვისმეს დახმარებით და მონყალებით არ მიფიქრია ლელოს გატანა.

ყოველთვის ჩემი თავის იმედით, მხოლოდ და მხოლოდ.

არასოდეს მშინებია გაჭირვებისა. ყოველთვის იმედი მქონდა ჩემი მარჯვენის და ჩემი ჭკუის და თუ აღარ გასჭრიდა ეს იარაღი, მაშინ ყოველთვის მზად ვიყავი სიკვდილისათვის.

რამდენიმე საქმისათვის მომიკიდა ხელი დაჭირების მიხედვით. დრო-გამოშვებით ვყოფილვარ: მწყემსი, მეხრე, თივის მკონავი, მიწის მთხრელი.

როტმილდის ქარხანაში ბათუმში, მექანიკური ქარხანა თბილისში, ელექტრო-ქარხანა ბაქოში, აგრეთვე სტამბებშიც. ყველა ეს ყოფილა ჩემი შრომის დროებითი თავშესაფარად, აგრეთვე წიგნი, მაღაზია პეტერბურგში, ნავთსადგური ოდესაში, ქართული თეატრი, სათავადაზნაურო ბანკი. აქ უნდა მიემატოს მებაღეობა – საფრანგეთში, დურგლობა-მებაღეობა, ავტომობილისტობა – პარიზში.

ყველაზე სასიამოვნო კი იყო მეურნეობა ჩემ სოფელში. ამდენაირ ტვირთ-ზიდვაში ყველაზე მძიმედ მიმაჩნდა ტაშის კვრა და ვაშას ძახილი.

ყველაფერი ეს თითქოს ბევრი სჩანს, მე კი ძალიან მცირედ მეჩვენება. უფრო მეტს ველოდი ჩემი თავისაგან.

ძალიან ვწუხვარ, თითქოს ნაღდი რამ დამეკარგოს ცხოვრებაში: რომ არ ვიყავი მეზღვაურათ, ავიატორათ, მალაროებში მომუშავეთ, პოლუსებზე მოხეტიალეთ. ამითი ალბათ ბევრი რამ დავკარგე; რასაც ნათლად ვგრძნობ სიბნელეში, მარტოობისას.

რევოლუციის ოკეანეშიც მიცურავია პატარა ნავით.

1904 წ. საიდუმლო სტამბა ჩუღურეთში. შემდეგ ნაძალადევი ისევ საიდუმლო სტამბა და საწყობი. შემდეგ ისევ საიდუმლო სტამბა კამოსთან ერთად მონყობილი ციციანთ ალმართის თავზე. მუშაობა საიდუმლო წრეებში და რევოლუც. ლიტერატურაში. 1905 წ. ოდესაში ოქტომბრის „პოგრომების“ დროს პატარა რაზმი. შავი ზღვის აჯანყების დროს მონაწილეობა შმიდტის კრეისერ „ოჩაკოვზე“.

რამდენჯერ ვიყავი ციხის სტუმარიც: 1. ლადო კეცხოველის სამხედრო პროკლამაციების გავრცელებისათვის ჯარში – 1903 წელს, 2. იმავე წელს ისევ ხელმეორედ დაპატიმრება რკ. გზის სახელოსნოებში საერთო გაფიცვის გამო. 3. ბათუმში შავრაზმელ პოლკის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის საწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის, შემდეგ არალეგალური ცხოვრება ნაძალადევის საწყობის ჩავარდნის გამო.

უდიდეს მონოდებად ვგრძნობდი წყურვილს, მეხილა სხვადასხვა ხალხი, ნაირნაირი ქვეყნები. ეს იყო ჩემი საუკეთესო აკადემია, ჩემი ნამდვილი გრძნობა.

მიმოგზაურია რუსეთის უდიდეს ქალაქებში, ევროპაშიც: გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეიცარია, ავსტრია, იტალია, ბალკანეთი, ინგლისი, შვეიცია, ნორვეგია, ფინეთი, ოსმალეთი.

დამარცხებულად მიმაჩნია თავი, რომ ვერ შევასრულე ჩემივე თავის დაპირება: ჩემი ქვეყნიდან წავედი დასავლეთით და დავბრუნდი აღმოსავლეთით – მზესთან ერთად.

ამ პატარა დედამიწას ვერ შემოვუარე ირგვლივ – მსოფლიო ომის გამო.

ჩემი ცხოვრების სიამაყე, სიმდიდრე და სილამაზე შესდგება მხოლოდ წუთებისაგან. აქ აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე წუთს:

სირცხვილის წუთი: პირველად რომ გავბედე რედაქციის კარზე მისვლა. რაფიელზე დაწერილი ლექსი ღამით ნავილე და ჩავაგდე „მოგზაურის“ რედაქციის კარებში. შემდეგ დავიტიმე და ქუდმოგლეჯილი ჩავირბინე მთელი მთაწმინდა – თითქოს უდიდესი რამ დანაშაული და სასირცხო საქმე ჩამედინოს.

განწირულების წუთი: ბაქოში 1905 წელს, არეულობის დროს, პირველმა ტყვიამ დამჭრა მუხლში. სხვა დამიზნებული ტყვიები ზუზუნებენ ჩემს ირგვლივ. ვხედავ სიკვდილის პირქუშ სახეს. უეცრივ დაჭრილს ზედ გადამეფარა ახალგაზრდა რევოლუციონერი ქალი – მარია ბესმერტნაია და გადამარჩინა. ეს იყო წუთი აუნაზღაურებელ მადლობის განცდისას.

ძღვევამოსილების წუთი: 1913 წ. ვეზუვის თავზე ავედი ფეხით, მარტო ვიყავი. რა ჩავხედე ვულკანს ხახაში, იქიდან მომესმა გოდება ქვესკნელისა. მთელ მსოფლიოში იმ დროს ერთადერთი ვიყავ, ვისაც ესმოდა ქვესკნელის გუგუნი. აღვივსე რაღაც ძღვევამოსილი სიამაყით. ეს წუთი ყოველთვის მანიჭებს ძალას და ზემოთაბერვას, როცა ტრიბუნაზე მიხდება ასვლა. მაშინ ყოველთვის მჯერა: ვინც ვეზუვის საქორჩეზე ასულა, იმას არც ენა დაებმის და არც აზრები დაებნევიან. ეს რწმენა ყოველთვის მიმართლდებოდა.

უდიდესი პასუხისმგებლობის წუთი: საქართველოს გასაბჭოების ღამეს 24-25 თებერვალს, ყველამ დაჰკარგა თავი. დაძინებული ქალაქი დარჩა უპატრონოდ, უმწეოდ, რომ გაიღვიძებს, რა მოხდება, არავინ იცის, მენშევიკები გაიქცნენ. წითელი არმია ჯერ არ შემოსულა. ამ გარდამავალ ხანაში რა დაატყდება თავს ღვთისანაბარად მიტოვებულ ქალაქს? აქ მე თვითონ ავიღე თავზე ვალდებულება – როგორმე ვუპატრონო ქალაქს. თუ მაქვს რაიმე ძალა ქვეყნის გამგებლობისა, ესლა გამოვიჩენ. და მგონია, გამოვიჩინე კიდევ, რაც აღწერილია წიგნში „24-25 თებერვლის განთიადი საქართველოში“.

სილამაზის წუთი: ეს იყო 27 თუ 28 დეკემბერს 1937 წელს რუსთაველის პლენუმზე, როცა ტრიბუნიდან ვიხარჯებოდი ჩემი ქართულით.

ვის არ გააჩნია სიყვარულის წუთები? ალბათ მეც გამაჩნია და უხვადაც მომიხდია ბეგარა იმის წინაშე. იმის შედეგად დამრჩენია ორი რჩეული, სადაც მარჯნის მიძვებივით ჩალაგებულა ჯერ ისევ მზეთუნახავი ლირიული ამბავი.

ყოველ შემოქმედს უნდა ქონდეს რაიმე ტრაგედია, ჩემ ტრაგედიათ მიმაჩნია ჩემი ქართველობა. გასაბჭოების ხანაში განიბნა ეს ტრაგედია. საბჭოთა ცისქვეშ ყოველი ერის ბედი ისე საკეთილდღეოდ მოეწყო, როგორც ვერ წარმოიდგენდა ვერცერთი მისანი გულშემატკივარი.

ყველაზე საძაგელ თქმათ ქართულ ლექსიკონში მიმაჩნია სიტყვა უბედური. მას არა ვხმარობ არც საუბარში და არც წერილში.

რახან წერა ვახსენე, მაშ, ცოტა რამე ვსთქვა ჩემ მწერლობაზეც.

თუ პირველ ლექსს არ ვთვლით 1901 წ. „მოგზაურში“, მაშინ ნამდვილი მწერლობა მე დამიწყია 1905 წლის ნოემბრიდან. მაშინ შმიდების აჯანყების შესახებ „ივერიაში“ დამიბეჭდეს ხუთი ფელეტონი „წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე“. ფ. გოგიჩაიშვილმა 25 მანეთი ოქროთი ჰონორარი მომცა. ერთბაშად გავმდიდრდი!

შემდეგ სხვადასხვა სახელებით ვწერდი, ხშირად პოლიტიკურ და რევოლუციონურ წერილებს.

ნამდვილ მხატვრულ მწერლობას კი შევუდექი 1908 წლიდან. ყველას ვერ ჩამოვთვლი. ან ვის რაში სჭირდება. ვახსენებ მხოლოდ რომელშიაც ახლაც ფეთქავს ჩემი გულის ნაჭერი:

„ლანდია“, დარმატ. პოემა (რა სისრულით გამოხატავს ჩემი ცხოვრების დედა-აზრს).

„შანტეკლერი“, კრიტიკ. ესეც ეგებ პოემაა?

„ცივ ღამეში ცივი ფიქრებით“ (ამას ვახსენებ ბეგლარ ახოსპირელის ხათრით, რადგან მის წაკითხვისას რამდენიმე ცრემლი დაღვარა შუალამისას ჩემთან და შემდეგ ცალკე გამოსცა იგი);

„ვეფხვი საქართველოში“;

„25 თებერვლის განთიადი საქართველოში“;

„ჯანგი“, რჩეული მოთხრობების კრებული;

„ცხრა თვალა მზე“, ესეც რჩეულ მოთხრ. კრებული;

„ანთებული ქართლი“ (ლამის ჩაქრეს „მნათობის“ უჯრაში, მაგრამ ჯერ ხომ ცოცხალი ვარ);

„ქართლის დედა“;

„ქართული ანდაზები“;

„მზე ჭაბუკის თავგადასავალი“ (სახელგამიდან ვერ გამოვიდა მესამე ნელინაღია).

„ქართულ თავანკარ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი“ (მე უკვე „მიყვილია“, „გათენება“, „ფედერაცია“ იცის).

აქ უნდა მიემატოს ჩვენი ქვეყნის მრავალი სურათები სილამაზითა და სიყვარულით გადაღებული.

მე ვქმნი სიმდიდრეს, როცა ვწერ რამეს. როცა დავბეჭდავ, ის უკვე დაკარგულად მიმაჩნია ჩემთვის. ამიტომ ვეღარც ვკითხულობ ჩემ დაბეჭდილ მასალას (ვინ დაიჯერებს, რომ ჩემი „ჯანგი“ უკვე მეორე ნელინაღია გამოვიდა და მე ერთხელაც არ გადამიშლია იგი უბრალოთ, არამცთუ წამიკითხავს).

თავი ჯერ ღარიბად არ მიმაჩნია, რადგან „დასაკარგად“ ჯერ კიდევ მბაღია მთელი ეშხით ნაქარგი რალაცეები.

შეიძლება, სხვისი პირით კიდევ რამე იყვეს ჩასამატებელი ამ ჩონჩხში. მე თვითონ კი ესეც ზედმეტად მიმაჩნია, რაც წამომცდა.

ერთი უნდა ვთქვა: მობრჭყვიალე და თვალში ჩასაჩხირი არასდროს არ ვყოფილვარ. ამ ცხოვრების ზეიმში თითქმის ყოველთვის უჩუმრად გამივილია, თუმცა თავანევით და გულსუფთად...

მეორეც უნდა ვთქვა, როგორ და რა სახით, არ ვიცი, მაგრამ ადამიანებზე და ცხოვრებაზე დაკვირვებით მე მჯერა ბედისწერა. მეც ბედის-წერის შვილი ვარ.

მესამეც უნდა ვთქვა: მე უკვე განვლე ჩემი ჯანი, ჩემი იმედები, ჩემი პირადი კეთილდღეობა, მაგრამ მაინც ვინატრებდი ჩემ დღეთა გაგრძელებას, რომ შევესწრებოდი ევროპის გაბოლშევიკებას.

„შაბაშ“ სიტყვა „შაბაშ“ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი.

1940 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ლევან თედოს ძე მეტრეველი

1886 წელს, სოფ. ვაყაში, ხაშურის რაიონი. უმაღლო და უსაქონლო გლეხკაცის შვილი.

დედით დავობლდი 4 წლისა. ამ ხნიდან ვიზრდებოდი თბილისში – ბიძაშვილებთან. ისინი იყვენ ხელოსნები, დიდი მოყვარული თეატრის, მნიგნობრობის და რევ. მოძრაობის პირველი მონაწილეთაგანი. მათ უდიდესი გავლენა ჰქონდათ ჩემ აღზრდაზე.

მუშაობა დავიწყე 15 წლიდან. ჩემი მარჯვენით სად არ მიმუშავია: სოფელში, თბილისში, ბათომში, ბაქოში, პეტერბურგში, იალტაში, ოდესაში, პარიზში, ნავთსადგურის დარაჯად, ელექტრო-მექანიკოსად, მებალედ, ავტომობილზე – დავიღალე ჩამოთვლით! მიმსახურია სათავადაზნ. ბანკში, პეტერბურგში – „ობშიჩე დელოს“ გამომცემლობაში, რედაქციებში, საქ. ცაკში... აქაც კმარა!

ცოტა რამ რევოლიუციიდან: სამჯერ იყო ჩემ ხელში თბილისის კომიტეტის (ს.-დ. მ. პ.) საიდუმლო სტამბა და საწყობი. უკანასკნელად სტამბა მოვანყე კამოსთან ერთად „ციციანთ აღმართის“ თავზე (პირველი სახლი რომ გადმოჰყურებს მუხრანის ხიდს). აგიტაცია-პროპაგანდა ყველგან და ყოველთვის. ოდესის ორგანიზაციის მიერ გაგზავნილი ვიყავ შავი ზღვის ფლოტის აჯანყების დროს – პეტრე შმიდტის კრეისერ „ოჩაკოვზე“. უკანასკნელ მომენტამდის ვიყავი იქ. 1905 წ. დამჭრეს ბაქოში (მუხლის თავში). სამჯერ ვიყავი დაჭერილი: ერთხელ – ფურცლების გავრცელებისთვის, მეორედ – რკ. გზაზე საერთო გაფიცვაში მონაწილეობისათვის, მესამედ – ბათომში შავრაზ. პალმის საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამო. ნაძალადევის სტამბის ჩავარდნის გამო იძულებული ვიყავ, გადავსულიყავ არა-ლეგალურ ცხოვრებაზე.

21–23 წლისა ვიყავი ძალიან ავათ ქლექით. მიცხოვრია რუსეთის დიდ ქალაქებში. 7 წელიწადი ვცხოვრობდი პარიზში. ვყოფილვარ: საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, ოსმალეთში, ნორვეგიაში, შვეციაში, ფინლიანდიაში, გავლით – ბალკანეთის სახელმწიფოებში. ფეხით ავსულვარ ვეზუვიზე. სამი მარადლე მიცქერია მზისთვის ცაზე 68 პარალელზე ჩრდილოეთით (ეს ყველაზე სამახსოვროა).

ცოტა რამ მწერლობიდანაც: 1901 წელს „მოგზაურში“ დაბეჭდეს ჩემი ლექსი – რაფ. ერისთავზე. ეს ჩემდა უნებლიედ მოხდა და სირცხვილით არც გამიმხელია. ნამდვილად ჩემი გამოსვლა სამწერლო ჩაითვლება 1905 წლიდან. შმიდტის აჯანყებიდან გადარჩენილი რომ დავბრუნდი „ივერიაში“ (ნოემბერ-დეკემბერი) მქონდა ხუთი ფელეტონი – „წითელი დროშა – შავი ზღვის ესკადრაზე“. შემდეგ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ვიღებდი მონაწილეობას, როგორც საკუთარი გვარით, ისე სხვადასხვა ფსევდონიმებით.

რევოლიუციის წინა დროიდან ყველაზე მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებად მივითვლი ეხლაც – დრამატიულ პოემას „ლანდიას“ ოთხ ნაწილად (ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება 1910 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის), კრიტიკულიდან კი – „მანტეკლერის“ სათაურით ექვს წერილის.

რევოლიუციის შემდეგ ჩემი მოთხრობები იბეჭდება „მნათობში“, „ქართ. მწერლობაში“, „დროშაში“, „არიფიონში“, მხატვრული ნარკვევები უმთავრესად „კომუნისტში“, შემდეგ „მუშაში“, „ქართ. მწერლობაში“ და სხვაგან. ცალკედ გამოცემულია „25 თებერვლის განთიადი საქართველოში“, ორჯერ ქართ. ანდაზების კრებული, „ორი გმირი“, „ამბავთა ქარავანი“, მოთხრობების კრებული „ჯაგანი“.

ლიტერატ. გავლენას მხოლოდ ერთხელ განვიცდიდი სიმბოლისტურს – 1908–10 წლებში. შემდეგ განვიცდი მხოლოდ საკუთარ გავლენას. ჯერ კიდევ არ დამიბეჭდია რამდენიმე კრიტიკული, ლირიკული და ბელეტრისტული ნაშრომი (ზოგიერთი მათგანი აღარ შეეფერება ეპოქას, დაე, დარჩეს „ლიტერატურულ მემკვიდრეობად“).

ვითომ ეს ზემოთნათქვამი გამოჰხატავს ჩემი ცხოვრების სინამდვილეს? – ჩონჩხია მხოლოდ, უსისხლო და უხორცო. ღირს კი ასეთი რამის დაწერა?

ლევ. მეტრეველი

P. S. მამაჩემი ალბათ ჩემზე კარგი პოეტი და მწერალი იქნებოდა, წერა-კითხვა რომ სცოდნოდა. სხვაფრივ არ ვიცი, მაგრამ ავტობიოგრაფიის დასაწერად ძალიან უნიჭო ვარ. არცა ვწუხვარ ამაზე.

ანა ხახუტაშვილი – ცქვიტი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ხახუტაშვილი ანა ანტონის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ცქვიტი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1886 თვე თებერვლის დღე 16
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. მეფვრისხევი (გორის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1907 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერალთა ჯგუფი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი თბილისის სახ. უნივერსიტეტისა
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>—</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა, პედაგოგიკა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>პენსიონერი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ათარბეგოვის 44</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1903	06	ტელეფონისტკა	ტელეფონის სადგური	თბილისი
1915	16	ქართული ენის პედაგოგი	გორის ქალთა გიმნაზიაში	გორი
1917	24	„-“	მეორე ქალთა გიმნაზია	თბილისი
1924	31	ქართული-რუსული ენის მასწავლებელი	მე-9 შრომის სკოლაში	„-“
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

ანა ანტონის ასული ხახუტაშვილის – ცქვიტის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) 1886 წელს, თებერვლის 16-ს. წვრილიშვილით დატვირთული მამაჩემი სოფლის ღარიბი მღვდელი იყო და იმიტომ მცხეთის სამთავრო მონასტრის ოთხკლასიან სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მამამ გადასწყვიტა, რომ განათლების მიღება ჩემთვის სრულიად საკმარისი იყო, რადგან ქალს მეტი ცოდნა არ მოეთხოვებოდა, ვინაიდან მალე გათხოვდება, ოჯახს შეჰქმნის და ქალის დანიშნულებაც ამითი განისაზღვრებაო. ისედაც მოუსვენარი, მამაჩემის ამგვარმა გადაწყვეტილებამ მთლად ამაფორიაქა. და ერთ დღეს დედაჩემის დახმარებით თბილისში გამოვიპარე, საეპარქიო სასწავლებელში გამოცდები დაუხმარებლად ჩავაბარე და ჩემი სურვილი შევისრულე. მაგრამ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუდგრომელი მისწრაფება უმაღლეს სწავლის შეძენისა მოსვენებას არ მადლევდა. მთელი ჩემი არსებით საზღვარგარეთ ვისწრაფოდი უმაღლეს ცოდნის მისაღებად. ამ გადაწყვეტილებამ მაიძულა სამსახურში შესვლა, რომ ფული დამეგროვებინა და რაკი მასწავლებლის ხელფასი მცირე იყო, ფოსტატელეგრაფის უწყებაში შევედი მოხალისეთ, მაგრამ ამ დროს რევოლუციამ მომისწრო. 1905 წელს გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობის გამო „მგლის ბილეთით“ დამითხოვეს. შემდეგ კერძო გაკვეთილებს მივეყ ხელი.

1907 წელს კალამს მოვკიდე ხელი და ამ წლიდან დაიწყო ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. პირველი ჩემი მოთხრობა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ დაიბეჭდა, შემდეგ „ჯეჯილსაც“ ვესტუმრე და ყოველთვიურად დიდი ხალისით ვბეჭდავდი საბავშვო მოთხრობებს ამ ჟურნალებში. წერაში კარგად რომ გავეწაფე, მერე „სახალხო გაზეთში“, „ცნობის ფურცელში“, „საქართველოში“ და სხვ. ჟურნალ-გაზეთებში კანტი-კუნტად ვბეჭდავდი მოთხრობებს, ზოგჯერ ლექსებსაც. 1909 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ სწავლის მისაღებად სტიპენდია დამინიშნა და ამით მივალწიე ჩემ სანადელს. დავამთავრე ფილოლოგიური ფაკულტეტი და ამავე დროს არც კალამი გამიგდია ხელიდან. მრავალი მოთხრობა დავწერე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩემს ნაწარმოებს მზის სინათლე ცალკე გამოცემის სახით არ უნახიათ.

პირველი ჩემი მოთხრობათა ორი კრებული 1937 წ. გამოვიდა, 1939 წ. – კიდევ ერთი კრებული „ცელქების“ სახელწოდებით, 1940 წ. – შემდეგი კრებული „დედის ღიმილის“ სათაურით, 1936 წ. – კრებული „დელეგატების“ სახელწოდებით. 1946 წელს გამოვიდა ჩემი რომანი „იოსებ ლალიაშვილი“. სრული 5 ნელინაღია, საბლიტგამს ჩემი მოთხრობათა ახალი კრებული ჩავაბარე, მეორე კრებულიც 1949 წ. მარტში მცირე ნლოვანთათვის გადავეცი დასაბეჭდათ, მაგრამ აქამდე არ დაბეჭდილა ქალაქის უქონლობის გამო.

ჩემი ნაწარმოებთა სია: 1. მოთხრობათა კრებული, 1916 წ. 2. დელეგატები, 1932 წ. 3. საბავშვო მოთხრობები, 1937 წ. 4. ლექსები, 1939 წ. 5. „იოსებ ლალიაშვილი“, 1946 წ. 6. „დედის ღიმილი“, 1940 წ. 7. „იოსებ ლალიაშვილი“, რუსულ ენაზე, 1947 წ. 8. „თომიკოს საჩუქარი“, 1948 წ. 9. საბავშვო მოთხრობების ახალი კრებული, 1951 წ. 10. მრავალი საბავშვო მოთხრობები დაბეჭდილია ჟურნალებში.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

არისტო ჭუმბაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ჭუმბაძე არისტო ამბაკოს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1886 თვე სექტემბერი დღე 1
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. კლდეეთი (ზესტაფონის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, მთარგმნელი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1908 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერ. ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, პარიზის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>ვიყავი საფრანგეთში და ვსწავლობდი 1908–1913 წლამდე, შვეიციაში 1919 წლიდან 1920 წლამდე, თურქეთში (ანკარაში) 1920-დან 1921 წლამდე</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>საპატიო სიგელი, მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>„საქ. სააგენტო“</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ილ. ჭავჭავაძის 10</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში				
(შრომითი საქმიანობა)				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულე- ბა, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულე- ბის, ორგანიზა- ციის, საწარმოს ადგილმდებარე- ობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1912	13	რედაქტორი	გაზ. „კოლხიდა“	ქუთაისში
1913		„-“	„სახალხო საქმე“	თბილისი
1914		სხვადასხვა ჟურნალებში	„სახალხო საქმე“	„-“
1919		წარმომადგენელად	დემოკრატიულ ქვე- ყნებში სტოკჰოლმსა და ანკარაში	
1922	24	უცხოეთის განყ. გამგე	წ/ჯვრის საზოგა- დობისა	
1925	26	სასცენარო განყ. გამგე	სახკინმრეწვი	თბილისში
1927	29	მდივნად	ქართველ მწერალთა ფედერაციაში	„-“
1930	32	„-“	ა/კ ხელოვნების მუშაკთა	„-“
1933	35	საერთო განყო- ფილ. გამგე	საქართველოს ცაკი	„-“
1936	43	სტილისტად	საქარ. სააგენტო	
1943	49	სტილისტად	გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში	
1949	50	„-“	საქარ. სააგენტო	თბილისში
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

არისტო მახსიმეს-ძე ჭუმბაძის ავტობიოგრაფია

დაიბადა 1886 წელს სოფ. კლდეეთის (ზესტაფონის რაიონი) სოფლის მღვდლის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე ზესტაფონში, საშუალო კი – ქუთაისში. 1913 წელს დავამთავრე პარიზის უნივერსიტეტის სალიტერატურო ფაკულტეტი.

1908 წელს დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა ჟურნალ „ნაკადულში“. მას შემდეგ განუწყვეტლად ვიბეჭდებოდი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. გასაბჭოებამდე ცალკე წიგნებად ჩემი ნაწერები არ გამოსულა.

მას შემდეგ ვწერდი და თან ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებებში: „ნითელ ჯვრის საზოგადებაში“ 1923–25 წ., მწერალთა კავშირში, „ა/კავკასიის მწერალთა და ხელოვანთა კულტ. კავშირში“ 1929–32 წ., საქართველოს სსრ ცაკში 1933–35 წ., „სახკინმრეწვეში“ 1926-27 წ., საქედესში 1936–43 წ. ამჟამად ვმუშაობ გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში.

45 წ.

არ. მ. ჭუმბაძის ნაწარმოებთა სია

1. „იდუმალი ძალა“, მოთხრობათა კრებული, 1927 წ. 2. „ხუთი ქიმი“, მოთხრობათა კრებული, 1934 წ. 3. „უნასთა ბუდე“, მოთხრობა 1937 წ.

თარგმანები: 4. ა. ფადეევი „განადგურება“. 5. ლ. ტოლსტოი „ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე“. 6. ფლობერი „მადამ ბოვარი“, ბარბიუსი „აი რა უყვეს საქართველოს“. 7. სალტიკოვ-შჩედრინი „პომპადურები“. 8. შოლოხოვი „გატეხილი ყამირი“. 9. სხვადასხვა პატარა მოთხრობები ჟურნალ „მნათობისათვის“. 10. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ თარგმანი, 1 და 2 წიგნი. 11. მ. გორკის მოთხრობები ამერიკის შესახებ. 12. რედაქცია გაუკეთე ბევრ თარგმანსა და ორიგინალს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

არისტო მახსიმეს-ძე ჭუმბაძე¹

დაიბადა სოფ. კლდეეთში (ყოფ. შორაპნის მაზრა) 1886 წლის 1 სექტემბერს, მღვდლის ოჯახში.

დაწყებითი სწავლა შეიძინა შინამასწავლებლის, იოაკიმე მოდებაძისგან. მაგრამ, რაკი ძალზე ანცი და უსმენარი იყო, ხოლო შინამასწავლებელი ვერაფერს გახდა, ამიტომ ზესტაფონის კერძო სასწავლებელში მიაბარეს ცნობილს პედაგოგს – ბესარიონ კელენჯერიძეს.

1. ავტობიოგრაფია არისტო ჭუმბაძის მიერ მესამე პირობა დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

საშუალო სკოლის (ქუთაისის სემინარიის) დამთავრების შემდგომ სწავლობდა ჯერ ნანსის (საფრანგეთი), ხოლო მერმე პარიზის უნივერსიტეტის ლიტერატურულს ფაკულტეტზე, რომელსაც განაგებდა სახელგანთქმული მცოდნე მსოფლიო ლიტერატურისა და მისი ისტორიისა – ემილ ფაგე.

პირველი მისი ნაწარმოები (საყმაწვილო მოთხრობა) დაიბეჭდა ჟურნ. „ნაკადულში“ 1908 წელს.

მის თხზულებათა (მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა) ერთი ტომი პირველად დაიბეჭდა 1925 წელს, ტფილისში, „იდუმალი ძალა“-ს სახელწოდებით.

მეორე ნიგნი (ხუთი მოთხრობა) – 1933 წელს, ტფილისშივე, „ფედერაციის“ გამომცემლობის მიერ.

იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ყოველდღიური გაზეთისა „კოლხიდა“ (ქუთაისში) და პირველი მისი რედაქტორი.

1912-13 წლ. რედაქტორობდა ყოველდღიურ გაზ. „სახალხო ფურცელს“. იმავე წლებში იყო მდივანი „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა“ ტფილისში და თანამშრომლობდა კრებულს „გრდემლში“.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეკუთვნოდა „ქართველ მწერალთა აკადემიურ კავშირს“ და 1928-29 წლ. ასრულებდა ხსენებ. კავშირის თავმჯდომარის მოვალეობას.

1928-29 წლ. იყო „საქართველოს ხელოვანთა კულტ. კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

1931-32 წლ. იყო „სრულიად საქართვე. საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მდივანი.

საზოგადოდ, ძალიან ცოტასა სწერს და, რასაც სწერს, იმისი გამოქვეყნებისაც ეკრძალება.

1936 წლ. 6-V

გიორგი ქუჩიშვილი – ჩხეიძე

პირადი ბარათი	
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1947 წლის 20 იანვარს ჩხეიძე გიორგი ანდუყაფარის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	გიორგი ქუჩიშვილი, გოგია უიშვილი, გიო ქართველიშვილი*
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1886 თვე ოქტომბერი დღე 17
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. მერეში (კახეთი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	ყოფილი ღარიბი აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905-6 წლებში
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	სოც.-დემოკრატ. პარტიაში 1906–10 წლამდე

* შენიშვნა: ცნობა ფსევდონიმის შესახებ მოგვანოდა ს. შანშიაშვილმა 1956 წ. 19 ნოემბერს.

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მეფის რეჟიმის დროს ვიყავი დაპატიმრებული 1914 წლიდან თვითმყრობელობის დამხობამდე</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1945 წელს დაჯილდოებული ვიქენი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლები „კავკასიის დაცვისთვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მარჯანიშვილის 4</p>

ანკეტური მონაცემების მიხედვით მუშაობის ცნობები არ არის.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ: სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ანდუყაფარის-ძე ჩხეიძე – ქუჩიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1886 წლის 17 ოქტომბერს სოფელ მერეში, კახეთში.

ბავშვობაში განვიცადე დიდი სიღარიბე, რამაც ხელი შემიშალა სისტემატიურ სწავლა-განათლებლაში. შემდეგ ვსწავლობდი ბოტანიკურ ბალთან არსებულ მებაღეობის სკოლაში. 1902-3 წ.წ. მონაწილეობას ვღებულობდი არალეგალურ მარქსისტულ წრეებში. მებაღეობის სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე მუკუზნის მეღვინეობის მეურნეობაში.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1905-6 წლებში. თუ ქართულ ლიტერატურაში ჩემი სახელი იხსენიება, ამას უნდა უმადლოდე ჩემს ძმას – დავით თურდოსპირელს. იმის ხელმძღვანელობით ჩვენს ბინაში იბეჭდებოდა არალეგალური ჟურნალი ახალგაზრდობისა, სახელწოდებით „ჩვენი დროა“ და „ხმალი“, რომელშიაც მე ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას.

1907 წელს მუშაობა დავიწყე რედაქციებში.

1914 წ. ვიყავი დაპატიმრებული და მომათავსეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში. თვითმპყრობელობის დამხობამდე თითქმის მუდამ ვიყავი მეთვალყურეობის ქვეშ.

ჩემი პირველი წიგნი, 6000 ცალი, გამოვიდა 1914 წელს (ლექსები და მოთხრობები), გამოცემულია ჩემი ნაწარმოებთა 15 წიგნი.

დაჯილდოვებული ვარ ორდენით „საპატიო ნიშანი“ 1945 წელს და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის და „მამაცური შრომისათვის“.

1946 წლის 25 ნოემბერს გადახდილი იქნა გიორგი ქუჩიშვილის დაბადებიდან 60 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

გარდაიცვალა 1947 წლის 20 იანვარს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამღივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გიორგი ქუჩიშვილის (ჩხეიძე) მოკლე ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1886 წ. ოქტომბერის 14-ს, პატარა სოფელ მერეში, ვარდისუბნის თემი (თელავის რაიონი).

მამაჩემი იყო იმერეთიდან გადმოხვენილი ღარიბი აზნაური.

პირველი ჩემი ლექსი „გლუხკაცის ლილინი“ დაიბეჭდა 1907 წ. სასოფლო გაზეთ „ახალშენი“-ს პირველ ნომერში.

სია გამოსული ჩემი წიგნებისა:

1) თხზულებანი, I და II ტომი – 1914 წ.

2) ლექსები, ქ. შ. ნერა-კითხვის გამავრც. საზ. გამოცემა – 1916 წ.

- 3) „-“, გ. დათიაშვილის გამოცემა – 1917 წ.
 - 4) „ნანგრევებზე“, ლექსები – „სორაპანის“ გამოცემა – 1918.
 - 5) ახალი სიმღერები, სახელმწ. გამომც. – 1919.
 - 6) ლექსთა კრებული, გამომც. „შრომა“ – 1922.
 - 7) საბავშვო ლექსები, სახელგამი – 1923.
 - 8) ბრძოლის სიმღერები, გაზ. „ახალი სოფელის“ გამოც. 1925.
 - 9) „მხედრული“, გამომც. „ფედერაცია“ – 1926.
 - 10) ლექსები, სახელგამი – 1927.
 - 11) საბავშვო ლექსები, სახელგამი – 1932.
 - 12) ლექსთა კრებული, სახელგამი – 1934.
 - 13) „ნორჩ თაობას“, სახელგამი – 1935.
 - 14) ოთხტომეულის I ტომი, სახელგამი – 1935.
 - 15) ოთხტომეულის II ტომი, სახელგამი – 1936.
- მე ვეკუთვნოდი სოც.-დემოკრატიულ ლიტ. დაჯგუფებას.

ჩემი წარსული

1. შესავალი.

ისე დაგვიანებით მიხდება ჩემი თავგადასავალის გადმოცემა, რომ ყოვლად შეუძლებელია მეხსიერებაში მისი სრული აღდგენა.

დღიურების წერა არ მიწარმოებია. ამის უმთავრესი მიზეზი ის მოსაზრება იყო, რომ ჩემს პირად ცხოვრებას უგულვებელს ვჰყოფდი.

– ვის რად უნდა ვილაც უბრალო მომაკვდავის ყოფა-ცხოვრების გადაშლა, – ვფიქრობდი მე ჩემი სიცოცხლის განვლილ მანძილზე და მხოლოდ ამ ბოლო დროს, ნაცნობ-მეგობრების დაბეჯითებითმა რჩევამ, მასწავლებელ-მონაწევთა ხშირმა მომართვამ, დამეწერნა მათთვის ავტობიოგრაფია, გამაბედვინა, ნაწილობრივ მაინც დამეკმაყოფილებინა დაინტერესებულნი პირნი, რაც ასე უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამ სტრიქონების დამწერს.

2. ჩემი მშობლები.

მამაჩემი – ანდუყაფარ ქაიხოსროს ძე ჩხეიძე – იმერეთიდან ყოფილა კახეთში გადმოსვენილი. აქ მას შეურთავს სალომე ალექსანდრეს ასული ბაქრაძე – ვარდისუბნის თემში შემავალ კოპნია სოფელ „მერე“-ს მცხოვრები.

მე დავბადებულვარ 1886 წ. ოქტომბრის 17-ს.

მშობლებს, სამოსახლო მიწის გარდა, არავითარი მამული არ ჰქონიათ.

მამაჩემი იძულებული გამხდარა, სხვადასხვა სოფლებში წასულიყო ლუკმა პურის საძიებლად.

ოჯახს მონყვეტილი, თავადების მეზვრე-მენისქვილეობაში, ერთხელ ისე მძიმედ გამხდარა ავად, რომ საკაცზე მწოლიარე მოუყვანიათ თავის სოფელში მის გულშემატკივრებს. მისი ჯანმრთელობა ისე შერყეულა, რომ დღიდან

ლოგინად ჩავარდნისა, ფეხზე ველარ წამომდგარა. 10 წლის განმავლობაში უავადნია ქლექით და როცა გარდაცვლილა, ვალითა და ვახშით დაუსაფლავებია დედაჩემს. დავრჩით 5 მცირეწლოვანი ობლები: ლევანი, ნიკო, მე, და-თიკო და ბაგრატი.

ხუთ ძმიდან სამნილა ვართ ცოცხლები: ძველი რევოლუციონერი მჭედელი ლევანი, დათიკო (მწერალი დ. თურდოსპირელი) და მე.

3. ბებიაჩემი.

ბებიაჩემი, პელაგია მათეს ასული შიუკაშვილი, ჩვენ სოფელში ერთადერთი მნიგნობარი მანდილოსანი იყო.

მამა მისი ეგრედწოდებულ დიამბეგად ყოფილა ქ. თელავში, სადაც შვილები სასწავლებელში აღუზრდია.

ბებიაჩემს ქ. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი დაუსრულებია, რაც იმ დროს იშვიათ მოვლენად ითვლებოდა თურმე. იგი ლექსებსაცა სწერდა. მისი ძმა ალექსანდრე შიუკაშვილი საკმაოდ ცნობილ პოეტად ითვლებოდა კახეთში. მას დაბეჭდილი ჰქონდა ლექსების რამდენიმე წიგნი.

მაშინ თურმე არ არსებულა სკოლა სოფლად და ბებიაჩემს სახლში უსწავლებია წერა-კითხვა როგორც აზნაურის შვილებისათვის, ისე გლეხობის ბალებსათვის.

4. დედაჩემი ძიძაობაში.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ უარეს სიღატაკეში ჩავარდნილა მთელი ჩვენი ოჯახი, რის გამოც დედაჩემი იძულებული ყოფილა ობლები ბებიაჩემთან დაეტოვებინა სოფლად, თითონ კი ქ. თელავში წასულიყო ვინმე პოლკოვნიკ ფალავანდიშვილის ოჯახში ძიძათ დასადგომად, საიდანაც გვანჯიდა და სიმწრით ალებულ გროშებს.

დიდი ამაგი მიუძღვის განსვენებულ ბებიასაც ჩვენს აღზრდა-პატრონობაში. მანვე შეგვასწავლა წერა-კითხვა და ღრმად შთაგვიწერგა წიგნისადმი სიყვარული.

5. ქალბატონ ლოპატოს კლანჭებში.

ქალაქ თელავში, სადაც მაშინ დედაჩემი ძიძათ მსახურებდა, ერთ დღეს შემთხვევით შეჰხვედროდა ტფილისიდან დროებით ჩასული ჩვენი შორეული ნათესავი მაშო ლოპატო (პოლონელი მოხელის ცოლი).

დედაჩემს შეუჩივლნია მისთვის თავისი აუტანელი მდგომარეობა.

– გამატანე შენი ვაჟი გიორგი ტფილისში და როგორც ჩემს ღვიძლ შვილს, ისე მოვუვლი, სწავლასაც მივალეზინებ და „ჩინოვნიკად“-აც გამოვიყვანო, – ურჩევნია მას დედაჩემისთვის, რაზედაც დიდი ყოყმანის შემდეგ დასთანხმებია.

ჯერ ისევ პატარა ვიყავი და ერთობ მიმძიმდა ჩვენების დაშორება. თვალცრემლიანი ვეთხოვებოდი ჩემი სოფლის ტოლ-მეგობრებს, კარ-მიდამოს, ველ-მინდვრებს, ორლობებს, ტყესა და მდინარე თურდოს. რაც უფრო ვშორდებოდი ნაცნობ ადგილებს, მით უფრო მეტად მეკუშმებოდა გული და

საშინელ სულის ობლობას განვიცდიდი. ვერც გომბორის მთების სიდიადემ გადამიყარა ნისლი ქმუნვისა.

6. ხელზე მოსამსახურება.

ჩვენმა „ნათესავმა“ – მაშო ლოპატომ ურცხვად დაარღვია თავისი დაპირება: სწავლა-აღზრდის ნაცვლად, ხელზე მოსამსახურე ბიჭად გამიხადა, ტფილისში ჩასვლისათნავე სამზარეულოში მიკრა თავი. ჩემი მოვალეობა იყო: იატაკისა და ოჯახის წევრთა ფეხსაცმელების წმენდა, ჭურჭლეულობის რეცხვა-ხეხვა, წყალის ზიდვა და სხვა, რაც ჩემი წლოვანობის ბავშვის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ჩუსტი რა იყო, იმასაც კი არ მაცმევდა, ფეხშიშველა მამუშავებდა ზამთარ-ზაფხულ.

ყველა ამ „სიკეთესთან“ ერთად, ცემა-ტყეპითაც მიმასპინძლდებოდა. ისე შევწუხდი, რომ ერთხელ გავეპარე კიდეც სახლიდან, მაგრამ დროზე შემიტყეს, ქუჩაში დამიჭირეს და სილებით აბლავლებული უკანვე მიმბრუნეს, რის შემდეგაც უფრო გამიუარესდა პირობები. ბოლოს, როგორც იყო, საზაფხულოდ წავედით კახეთში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ქალბატონმა ლოპატომ ახლა კი ინება ჩემთვის ჩუსტებისა და შარვალ-ხალათის ყიდვა, რომ თვალები აება გულუბრყვილო დედაჩემისათვის. მოპყრობითაც კარგად მეპყრობოდა წასვლის წინ, მაგრამ მე მაინც ყველაფერი შევჩვილე დედაჩემს, რის შემდეგაც უსაყვედურა „მზრუნველ ნათესავს“ და ტფილისში წამოსვლისას ცივი უარი სტკიცა ჩემს წაყვანაზე. ამით გაბოროტებულმა ჩემმა ქალბატონმა იმ დღეებში მარტოდ ჩამიხელთა და უკანასკნელად, ერთხელ კიდეც მაგრად ამინია ყურები, რომ არ დამიწყებოდა მისი „ამაგი“ და აკი არც ვივინყებ.

7. ტფილისში გადმოსახლება.

სოფლად უსწავლელები რომ არ დავრჩენილიყავით, დედაჩვენმა ტფილისში ჩამოგვიყვანა ფურგუნით. ავლაბარში იქირავა შვიდაბაზიანი პატარა ოთახი, რომელიც საქათმეს ჰგავდა და აქედან დაიწყო ჩვენი ნაცნობ-ნათესავეების კითხვა-კითხვით გამონახვა, რომელთაც სარეცხს ურეცხდა, საბნებს უკერავდა და სხვა.

დედაჩემი ახალგაზრდა ქვრივი იყო და ბევრი კარგი მთხოვნელიცა ჰყავდა, მაგრამ ყველას გულისწყრომით ისტუმრებდა, რადგანაც განსვენებულ ქმრის და ობლად დარჩენილ შვილებისადმი ღალატად სთვლიდა მეორედ გათხოვებას და მთელი თავისი სიცოცხლე პატიოსან შრომაში გაატარა.

გავლენიან ნაცნობ-ნათესავეების დახმარებით დედამ ყველა ძმები მოგვანყო სკოლებში: დათიკო და ბაგრატი – სათავად-აზნაურო სასწავლებელში, ნიკო – სამრევლო სკოლაში, მე კიდეც – ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელში.

8. დაკარგული ძმის პოვნა.

გაჭირვების გამო, უმფროსი ძმა ლევანი ადრევე წასულიყო ტფილისში, სადაც მჭედლობა (ეტლების რკინეულის კეთება) შეესწავლნა და აქედან ჯერ ბათუმში წასულიყო, შემდეგ ნოვოროსიაში. მკვდარი იყო თუ ცოცხალი, არ

ვიცოდით. მიიღო თუ არა დედაჩვენმა ცნობა, რომ ლევანი ნოვოროსიაშია და უკანასკნელ დღეშიაო, მაშინათვე გაყიდა თავისი ლოგინი და გულშემოყრილი გაემგზავრა მატარებლით მისთვის სრულიად უცხო მხარისაკენ, საიდანაც, დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ, ძლივს დაიყოლია და ჩამოიყვანა ნაავადმყოფარი შვილი.

გამოუთქმელი იყო უმფროსი ძმის დაბრუნებით გამოწვეული ჩვენი ალტაცება. ჯერ ერთი, ქუჩის „ავარები“ ველარ დაგვიბრიყვებდნენ, როგორც ობლებს, მეორეც ის, რომ იგი ფეხზე დააყენებდა ოჯახს.

9. ღვთის გამობა.

მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი ღვთის ღრმა მორწმუნე იყო და სისტემატიურადაც დაყვავდით ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვაზე, მე მაინც პროტესტანტი ვიყავი და როცა ცუდათ მოვიხსენიებდი ღვთის სახელს, დედაჩემი პირჯვარის გამოსახვით შესთხოვდა ხოლმე „მამა-ზეციერს“, ეპატიებინა მისი „უგუნური“ შვილისათვის „შეცოდებანი მისნი“.

– დედა გენაცვალოს, შვილო, ნუ რისხავ ღმერთს, თორემ განანებს. ხელიც სწორედ იმისათვის არ გემართება ცხოვრებაში, რომ ღვთის მგმობელი ხარ. – მისაყვედურებდა ხოლმე სათნოიანი დედაჩემი, რაზედაც ნიშნისმოგებით ვუპასუხებდი:

– მე თუ ვცოდავ „ყოვლად შემძლებელ ცათა მეუფეს“ და ამის გამო მიცარავს ცხოვრების გზას, შენ ხომ ნიადაგ მის ვედრებაში ხარ, შენ ხომ ლუკმას ინყვეტ პირში და სანთელ-საკემელს კი არ აკლებ, რატომ არ ისმენს შენს ლოცვა-მუდარას, რატომ ერთხელ მაინც არ გადმოგხედავს „წყალობის თვალთ“ და არ ამოგიყვანს ამ ჯოჯოხეთურ ყოფიდან?

ამაო იყო ყველაფერი. დედაჩემი თავისას გაიძახოდა დაუსაბუთებლად.

მახსოვს: დედაჩემმა ერთხელ წანდილი და ფული გამატანა მღვდელთან ეკლესიაში საკურთხებლად და „მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად“. ცხადია, როგორც ურწმუნომ, ეს წანდილი მე ერთ ჩემსავით ღარიბ ამხანაგთან მივაცუნცულე და მადიანადაც შევექეცი „ღვთის ულუფას“, ხოლო ფული კი მეორე დღეს ისევ დედას გადავეცი: გზაზე ვიპოვნე-მეთქი, მოვიტყუილე.

10. სამოქალაქო სასწავლებელში.

საკლასო საგნებში ყველაზე მეტად სამღთო სჯული მძულდა, რომელსაც გარუსებული დეკანოზი გურგენიძე გვასწავლიდა. არც ერთხელ არ მომიმზადებია მისი გაკვეთილი და არც ერთხელ ამცდენია მისგან თმების წინკნაგლეჯვა. ეს კიდე არაფერი. იგი ხშირად მამწყვდევდა ეგრედწოდებულ სკოლის „კარცერში“. ეს მოწაფეთა სატუსალო ერთი პატარა ბნელი ოთახი იყო.

მაშინ სავალდებულოდ გვქონდა წელიწადში ერთხელ ზიარება. მეც, რასაკვირველია, ყოველ დღე „წესიერად“ დავდიოდი კვირაცხოველის ეკლესიაში ხსენებულ დეკანოზთან. ერთხელ, როცა მას სახარების კითხვა უნდა დაენყო ტრაპეზში, უბიდან ამოვაცოცე ჩემი სალამური და „მწყემსური“ დავარაკრაკე. დეკანოზმა თვალები დააბრიალა, დააგდო სახარება და ტყვია-

ნაკრავი დათვივით გამოქანდა ჩვენსკენ ღრიალით: სთქვით ჩქარა, ვინ იყო ეგ ეშმაკის კერძი, რომ წამიბილნა ეს წმინდა ტაძარიო.

მონაფეები შეშინდნენ და გამცეს. თქვენს მტერსა და დუშმანს, რაც იმან დღე დამაყენა: სალამურიც დამიმტვრია და ცხვირპირშიაც იმდენხანს მცემა, რომ სახარების კითხვაც დაავიწყდა და წირვის გამოყვანაც. ესეც არ მაკმარა და მთელი კვირის განმავლობაში წერაქვით კლდე მანგრევეინა თავისი სახლის წინ (არსენალის მთაზე, ეკლესიის მახლობლად) ეზოს გასაფართოვებლად.

11. სასწავლებლის მიტოვება.

სამოქალაქო სასწავლებელში მხოლოდ ორიოდ ნელინადი დავყავი და ამ ხნის განმავლობაშიაც არავითარი ცოდნა არ შემიძენია, ვინაიდან საგნების სწავლება ჩემთვის გაუგებარ რუსულ ენაზე სწარმოებდა, მასწავლებლები კი ჩემი უნიჭობით ხსნიდნენ. სკოლის გარედ დარჩენის შემდეგ მხოლოდ ორიოდ კარგი მონაფე თუ კადრულობდა ჩემთან დალაპარაკებას, ხოლო დანარჩენები, „საჩინოვნიკოდ“ გამამლყინებულნი, ფუქსავატი უმრავლესობა, სალამსაც თაკილობდნენ, რაც გულს მივსებდა მათდამი სიძულვილით.

12. აცდენილი ტყვია.

ერთხელ ერთმა ნაცნობმა ბიჭმა რევოლვერის ტყვიები მაჩუქა. ცნობის-მოყვარე ვიყავი და ძლიერ მიყვარდა ჩხირკედლაობა. გადავწყვიტე, ტყვიების გადნობა. დილა იყო და ისევ ლოგინში ვინექი. ჩემს წინ ცეცხლით გაჩაღებული მაყალი იდგა. დედა სამუშაოდ იყო სადღაც წასული. არც ძმები იყვნენ შინ. მოვნახე რევოლვერის ტყვიები, ავიღე ერთი „პატრონა“ და სოკოსავით დავსვი მაყალის ნალვერდალზე იმ მოსაზრებით, რომ ტყვია ჩადნებოდა თავის მასრაში, გადმოვღვრიდი იქიდან და ვნახავდი შიგნით მასრაში, თუ რა მასალა იყო კიდევ, ჩაჭედილ ტყვიის გარდა.

ტახტიდან გადმოყუდებული დავყურებდი ცეცხლზე დასმულ „პატრონას“. თავი ავწიე თუ არა, ბუჭ-ო, იფეთქა ტყვიამ და ჭერი გახვრიტა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ნალვერდლები ზედ ლოგინზე გადმომაცარა. გულგახეთქილი წამოვვარდი და საცვლების ამარა ვეცი კარებს. მეზობლები რომ არ მომშველებოდნენ, იქაურობა მთლიანად გადაიბუგებოდა. შემთხვევით თავი მაღლა რომ არ ამელო, ტყვია შიგ შუბლში მომხვდებოდა, ისე პირდაპირ დავყურებდი მას.

13. „ვაჭრობის ნიჭი“.

ბებიაჩემისაგან ორიოდ დედალი ჩამოგვივიდა კახეთიდან.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც დედა ჩვეულებრივად სამუშაოდ იყო წასული, ჩემს ძმას – დათიკოს შემდეგი „კომბინაცია“ გავუზიარე: მოდი, წავიყვანოთ ეს ქათმები „ბაზარზე“ გასასყიდათ, აღებული ფულით იქვე ვიყიდოთ კვერცხები და მოგებით გავყიდოთ ქუჩა-ქუჩა-მეთქი. მას ჭკვაში დაუჯდა ჩემი „კომერციული გამჭრიახობა“ და დამეთანხმა. ავიღეთ მოზრდილი კალათა, ჩავსხით შიგ ფეხებაკრული ქათმები და გავუდექით გზას ბედის საცდელად.

ალარ მასსოვს, რა ფასებში გავყიდეთ ქათმები, ის კი მაგონდება, რომ კალათა კვერცხებით გავავსეთ და ჰერი-ბიჭო!

– Яйц! Яйц! – რიხიანად გავძახოდი ქალაქის ქუჩებში თუ ეზოებში.

– კვერცხი! კვერცხი! – ბანს მაძლევდა ჩემი ძმა დათიკო, მაგრამ მსურველი არსად სჩანდა. ბოლოს, როგორც იყო, ვილაც დედაკაცმა იყიდა ორი შაურისა. ხეტიალით დალილ-დამშეულებმა და მტვრიან ქუჩებში ყვირილით ყანყრატო ამოხრინწულებმა გადავწყვიტეთ, იმ დღის „ნავაჭრით“ დავკმაყოფილებულიყავით და მეორე დღესაც შევდგომოდით ფეხზე „აღებმიცემობას“. ავლაბარში ვცხოვრობდით და სურპკარაპეტის შუა აღმართამდე რომ მივედით, დავსხედით ქუჩის ქვაფენილზე და შევუდექით დარჩენილ კვერცხების „დარბაისლურ“ თვლას. როცა მთლად ამოვცალეთ კალათა და ის იყო, უკანვე უნდა ჩავგეწყო, ქვემიდან როგორღაც გამოეცალა ერთი კვერცხი და დანარჩენიც ხრიალ-ხრიალით წავიდა თავქვე. ასე მარცხით და საბოლოო „გაკოტრებით“ დასრულდა ჩვენი „ახლად ფეხადგმული ვაჭრობა“ და ნუგეშისცემის მაგივრად, სასტიკი გულისწყრომა მივიღეთ სახლში.

14. „ნაცნობ-ნათესავობა“.

დედაჩემს შეძლებული „ნაცნობ-ნათესავობა“ ჰყავდა ტფილისში, რომელთა ოჯახებშიც ხშირად დავყავდით. თუ რა თვალთ გვიყურებდნენ ისინი, ამას შემდეგი ფაქტიც ნათელჰყოფს: ერთხელ ერთ-ერთ ასეთ „ნათესავის“ ვაჟიშვილის (რეალურ სასწავლებლის მონაფის) დაბადების დღეობაზე წაგვიყვანა დედამ. ბრწყინვალე დარბაზში თავი მოეყარნა რჩეულ არისტოკრატისა და სადღესასწაულო „მუნდირებში“ გამონყობილ მათ შვილებს, რომელთა შორისაც ჩვენ მათხოვრებივით გამოვიჩრქოდით, რადგანაც ათასწაირ ნაჭრებით დაკონკილი ტანისამოსი გვეცვა. აკი, ამისათვისაც გამოვიყვანეს მორთულ-მოკაზმულ დარბაზიდან და სამზარეულოში გვიკრეს თავი. მე ეს დამცირებად მივიმჩნიე და დედის შეუმჩნევლად გამოვიპარე იქიდან. მთელი ის დღე მშიერ-მწყურვალმა დავალამე ქუჩაში, რადგანაც ჩვენი ბინის გასაღები თან ჰქონდა დედას ნალებული.

15. ხეტიალი.

სკოლის გარედ დარჩენის დღიდან იწყება ჩემი ხანგრძლივი ხეტიალი. ვინ მოსთვლის, სად ვიყავი შეგირდად (მოჯამაგირედ): მენვრილმანესთან, ბაყალთან, მენახშირესთან, მენავეთესთან, ღვინის სარდაფში (ბოთლების და ბოჩკების მრეცხავად), დ. ზ. სარაჯიშვილის არყის ქარხანაში, ზეინკალთან, ოქრომჭედელთან და სხვა.

დიდხანს ვერსად ვძლებდი შრომის მკაცრი პირობებისა და „ხაზეინ-ოსტატების“ უხეში მოპყრობის გამო. დღეში 12–15 საათს მამუშავებდნენ და „შეგირდანა“-დ (ხელფასი) კვირაში მხოლოდ 5-6 შაურს მაძლევდნენ.

დაგორებულ ქვასავით ვერსად მოვიკიდე ფეხი.

ხშირად მთელ თვეებს ვკარგავდი უმუშევრობაში და უმიზნო ხეტიალში, რასაც სასონარკვეთილებამდე მივყავდი.

16. პრაქტიკულ საბალოსნო სკოლაში.

როცა ამ უაზრო ყიალითაც თავი მომბეზრდა, ისევ დედას შევეხებენე – ბოტანიკურ ბალთან არსებულ პრაქტიკულ საბალოსნო სკოლაში მივებარე-ბინე. თხოვნა შემისრულა: მიმალებინა.

ორი წლის შემდეგ დავასრულე კურსი. ამ ხნის განმავლობაში დავკარგე ორი ძმა: უმფროსი ნიკო და უმცროსი ბაგრატი.

მახსოვს, რა მდულარე ცრემლებით და გულში გაუნელებელი ცეცხლით ევედრებოდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე მუხლმოდრეკილი საბრალო დედა-ჩემი სულთმობრძავ შვილების გადარჩენას, მაგრამ ამოდ... ანთებულ „წმინდა“ სანთელთან ერთად ჰქრებოდა ჩემი საყვარელი ძმების ხანმოკლე სიცოცხლე...

ეჰ, ვინ ასწერს, რაოდენი ცხარე ცრემლები გვიღვრია, რაოდენი ტან-ჯვა-მწუხარება გამოგვივლია ჩვენთვის გაუკუღმართებულ ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე და ნუგემისმცემელიც კი არ გვყოლია.

17. მარქსისტულ წრეში.

რევოლუციონურ მოძრაობას ტფ. ბოტანიკურ ბალთან არსებულ სა-ბალოსნო პრაქტიკულ სკოლასთან დავუკავშირდი. ეს იყო 1902-3 წლებში. სანდო მონაფეთაგან ჩამოყალიბებული გექონდა არალეგალური მარქსის-ტული წრე, სადაც დროგამოშვებით, მაგრამ სისტემატიურად დადიოდნენ თეორიულად მომზადებული ამხანაგები, რომლებიც პოპულიარული ენით გვიშუქებდნენ მარქსის მოძღვრებას. მათი დავალებით ვავრცელებდით აგ-რედვე აკრძალულ ლიტერატურას. ეს შეუნიშნავი არ დარჩა კოფრის გზაზე (ჩვენი სკოლის – ბოტანიკურ ბალის თავზე) საკუთარ სახლში მცხოვრებ ბოქაულის შვილს – ცნობილ ლოლაძეს (საიდუმლო პოლიციის აგენტს) და მუდამ გვითვალთვალებდა. გაგვეცნო კიდეც იგი, ბევრჯერაც დაგვპატიჟა სამიკიტნო-რესტორანებში, რომ გამოვეტეხნეთ, მაგრამ ვერას გახდა. რო-გორც მახსოვს, განჯაში მოჰკლეს ტერორისტებმა.

ბოტანიკურ ბალში ერთი გაფიცვაც კი მოვანყეთ მუშებთან ერთად, რისთვისაც დაპატიმრებული ვიყავით ორთაჭალის „სახელგანთქმულ“ ბო-ქაულ გლებოვის მიერ.

19. მუკუზანის საუფლისწულო მამულში.

საბალოსნო კურსების გავლის შემდეგ, პრაქტიკანტად შევედი მუკუზა-ნის საუფლისწულო მამულში (კახეთში), სადაც ჯამაგირად დამინიშნეს თვეში 15 მანეთი. აღნიშნულ მამულში (ზვარში) მუშაობდა სხვადასხვა სოფ-ლის დიდძალი გლეხობა, რომლებთანაც მჭიდრო კავშირი მქონდა და ხში-რად ვუკითხავდი არალეგალურ ლიტერატურას.

იმ ხანებში იქ ჩამოვიდა მეღვინე-მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-ს წარმომადგენელი ვინმე აბაშიძე, რომელმაც, სხვათა შორის, წინადადება მომ-ცა წავყოლოდი მას ტფილისში არსებულ მათს ღვინის საწყობში სამუშაოდ. პირობები გაცილებით უკეთესი შემომთავაზა, ჩვენებაც ტფილისში ცხოვრობ-დნენ და მეც უწყყმანოდ განვუცხადე თანხმობა. ჩემთან ერთად დაიქირავა და თან წამოიყვანა რამდენიმე ათეული ღარიბი გლეხი. თურმე გაფიცულების

შესაცვლელად ვუნდოდით და ამის შესახებ კი ჩვენს დამქირავებელ აბაშიძეს კრინტიც არ დაუძრავს. შევიტყე თუ არა ეს ამბავი, უარი ვტკიცე გაფიცულთა ადგილის დაჭრვაზე. მოტყუებით ჩამოყვანილმა დანარჩენმა გლეხებმაც მხოლოდ ორიოდ დღე იმუშავეს და გაფიცულ მუშა-მოსამსახურეთა ზეგავლენით ისინიც მოიხსნენ სამუშაოდან და ისევ თავიანთ სოფლებისკენ წავიდნამოვიდნენ, რის შემდეგაც დამარცხებული დამქირავებლები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა სამართლიანი მოთხოვნები. მე ისევ მუკუზანის საუფლისწულო მამულში წავედი, მაგრამ აღარც იქ მიმიღეს, როგორც „საეჭვო პიროვნება“ და გაფიცულთა მხარის დამჭერი. საგზაო ფული ძლივს ვიშოვნე და იმედგაცრუებული გამოვბრუნდი შინისაკენ, სადაც ისევ სანყალ დედაჩემის სარჩენი შევიქენი, რაც სინიდისის ქენჯნას მაყენებდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ არავითარ შრომას არ ვთაკილობდი, ოღონდ ჩემი პატიოსანი ოფლით მეშოვნა ლუკმა პური.

19. სამწერლო სარბიელზე.

ჩემი უმცროსი ძმა – დ. თურდოსპირელი მონაფეობიდანვე გულშემატკივარ მზრუნველობას იჩენდა ჩემზე. მას თავიდანვე შრომისმოყვარეობა და ნებისყოფის სიმტკიცე ახასიათებდა. ვერც ერთ წუთს ვერ ნახავდით უსაქმურად. ან არალეგალურ წრეში მუშაობდა, ან წიგნებს კითხულობდა, რითაც ჩემზე დადებით გავლენას ახდენდა. იგი ხელმძღვანელობას მიწევდა გათვითცნობიერებაში, წიგნების შერჩევაში, ლიტერატურულ საკითხებში და სხვა. ერთი სიტყვით, მთელ ჩემს ცხოვრებაში ერთად-ერთი ჩემი მრჩეველ-დამრიგებელი მასწავლებელი იგი იყო. მან ჩემზე ადრე (1905 წ.) დაიწყო მწერლობა. პირველი მისი მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლნი“ წიგნად დაიბეჭდა 1906 წელში, რომლის უმეტეს ნაწილს კონსფისკაცია უყო ჟანდარმთა სამმართველომ და დასწვა, ხოლო წიგნის ავტორი კი, ჰონორარის ანგარიშში, ცხვირ-პირის დასისხლიანებით დააჯილდოვეს.

1906 წლიდან დ. თურდოსპირელის ინიციატივით, ჩვენსავე ბინაზე, შაპიროგრაფზე ვბეჭდავდით ახალგაზრდათა არალეგალურ ჟურნალებს („ჩვენი დროშა“ და „მახვილი“), რომლებშიაც ვათავსებდი თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლექსებს. მართალია, მათი „ტირაჟი“ 40 ცალს არ აღემატებოდა, მაგრამ კითხვით დიდძალი ახალგაზრდობა კითხულობდა და სასწავლებლებში ხელიდან-ხელში გადადიოდა. ზოგი ეკზემპლიარი ქუთაის-ბათუმამდეც კი აღწევდა.

თუ დღეს ქართულ მწერლობაში მეც ვიხსენიები, ეს მხოლოდ ჩემი უმცროსი ძმის – დ. თურდოსპირელის მეოხებით, რომლის წინაშეც მუდამ დავალიანებულიად ვსთვლი ჩემს თავს.

20. რედაქციებიდან – ციხემდე.

1905 წ. რევოლუციის დამარცხებას მძვინვარე რეაქცია მოჰყვა, რომელიც გამანადგურებელი ცეცხლითა და მახვილით თარეშობდა ყველგან. იატაკქვეშოდან დღის სინათლეზე ამოსული პარტორგანიზაციები ისევ არალეგალურ მდგომარეობას დაუბრუნდნენ, გაზეთები კი, თუმცა ხშირ-ხშირად იხურე-

ბოდა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით და სასტიკ რეპრესიებსაც განიცდიდნენ რედაქტორ-თანამშრომლები, მაინც განაგრძობდნენ ლეგალურ არსებობას ახალ-ახალ სახელწოდებით.

1907 წლიდან დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ სოც.-დემ. ყოველდღიურ გაზეთის რედაქციაში. პირველად ვიყავი დარაჯად, შემდეგ გაზეთების დამტარებლად და ბოლოს კორექტორად.

ამავე დროიდან, ამავე გაზეთებში სისტემატიურად იბეჭდებოდა ჩემი ნაწერები. არამც თუ ჰონორარს, არამედ ხვედრ ჯამაგირსაც არ ვიღებდი ხშირად. სულიერ-იდუური სიმაძღრე სძლევდა ხორციელ სიმშლს.

იმპერიალისტურ ომის დროს (1914 წ.) პროვოკატორ კოლია რამიშვილის გამცემლობით დაპატიმრებული ვიყავი ქუთაისის საგუბერნიო ციხეში – ადგილობრივი ჟანდარმერიის მიერ. თვითმპყრობელობის დამხობამდე ვიმყოფებოდი პოლიციის სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ.

პირველი ჩემი ორი წიგნი (ლექსებისა და მოთხრობების) გამოიცა 1914 წ., 6000 ტირაჟით. საერთოდ ჩემი ნაწერები დღემდე გამოცემულია 15 წიგნად, მათ შორის საბავშვოებიც.

21. სალიტერატურო დილა-სალამოები.

ჩვენი პარტიის სახსრების გასაძლიერებლად და კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოდ ხშირად იმართებოდა ხოლმე სალიტერატურო დილა-სალამოები. ასეთი სალამოებით არა ერთხელ შემოგვივლია მთელი საქართველო. ეს სალამოებიც კლასობრივ სახესა და შინაარსს ატარებდა. მუშები თავის პოეტ-მწერლებს ინვევდნენ, არისტოკრატიული ინტელიგენცია კიდევ თავისას. სცენა ჩვენთვის ტრიბუნა იყო, საიდანაც მედგრად გაისმოდა რევოლუციონური ლექსები, რასაც დაუსრულებელი ოვაციები მოსდევდა ბრძოლის ცეცხლით აღტყინებულ მუშურ აუდიტორიიდან, რაც შიშის ზარს სცემდა იქ დამსწრე მთავრობის ოფიციალურ მოხელეებს და საიდუმლო აგენტებს.

აი, ფაქტებიც:

1. ერთხელ ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში (ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახ. თეატრი) რომელიღაც სალამოზე მომიხდა გამოსვლა. ისეთი აღფრთოვანების ქარიშხალი გამოიწვია მუშებში ჩემი ლექსის წარმოთქმამ, რომ ვიფიქრე: თუ ახლავე თავს არ ვუშველე, დაჭერვას ვერ ავცდები „წესიერების დამცველ“ პოლიციისაგან-მეთქი. ქუჩაში რომ გამოვედი, იქაც მესმოდა ტაშის გრიალი. ჩემი გარედ გამოსვლა და ბოქაულის შეჭრა თეატრის კულისებში, ერთი ყოფილა. იგი აღმფოთებული მივარდნილა ადმინისტრაციასთან და მოუთხოვია ჩემი გადაცემა. მეორე დღეს ქუჩაში შემხვდა აღნიშნული თეატრის ერთ-ერთი მუშაკი, რომელმაც დანვრილებით მიაბო წინა ღამით მომხდარი ამბავი. „ვიდრე ისინი დამაპატიმრებდნენ, უმჯობესია მევე გამოვცხადდე!“ – გამიელვა აზრმა და გავნიე იმ პოლიციის სამმართველოსაკენ, რომლის უფროსიც ესწრებოდა ხოლმე თეატრს.

– თურმე თქვენ მკითხულობდით სახალხო სახლში! – მივმართე ბოქაულს, რომელიც თავის კაბინეთში იჯდა თავჩალუნული და რალაც ქალადებს ჰქექავდა მაგიდაზე. მან შემომხედა. მიცნო.

– კი არ გკითხულობდი, გეძებდი დასაჭერად! – თვალების ბრიალით დამიღრიალა და ფეხზე წამოიმართა.

– გთხოვთ, ნუ მიყვირით! – მტკიცედ მივუგე და გამოვტრიალდი წამოსასვლელად.

– მოითმინეთ, – ხმას დაუდაბლა მან და განაგრძო, – როგორ გაბედეთ მეფის საწინააღმდეგო გამოსვლა?!

– ეგრე რომ ყოფილიყო, ჩემივე ფეხით არ მოვიდოდი აქ.

– მე ვერ გამაცურებთ, კარგად მესმის ქართული. მე კიდევე, შეიძლება და, არაფერი მეთქვა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს პროკურორიც დაესწრო იმ თქვენ სალამოს და მიბრძანა, დამეპატიმრებინეთ. ასე რომ, თქვენ მიერ წაკითხული ლექსი თუ „მავნე შინაარსისა“ არ არის, ან დაბეჭდილი უნდა იყოს, ან ცენზორისაგან ნებადართული. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკრძალულად ჩაგეთვლება, რისთვისაც დაპატიმრებული და პასუხისგებაში იქნებით მიცემული.

– დაბეჭდილი კია, მაგრამ სად ვეძებო შარშანდელი გაზეთი, რომელშიაც მოთავსებული იყო? – ვედავებოდი მაინც.

– ეგ ჩემი საქმე არ არის! ორი დღის ვადას გაძლევთ!

გამოვბრუნდი. საგონებელში ჩამაგდო ბოქაულის წინადადება, რადგანაც აღნიშნული ლექსი მართლა დაუბეჭდავი იყო და, მაშასადამე, უცენზოროც, დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე „მავნე“ ლექსის „ოპერაცია“, ე. ი. მთავრობის საწინააღმდეგო „სისხლის“ გამოშვება და ამ რიგად „უვნებლად“ გადაქცევა. ავიღე „სადოსტაქრო“ კალამი და გამალებით შევუდექი „ოპერაციას“. მევე მტკიოდა გული, მაგრამ ვითმენდი. ნახევარ საათის შემდეგ შინაარსს მოკლებული და უაზრო, ლამაზ სიტყვებით „შეკეთებული“ ლექსი მზად იყო. სათაური იგივე მივეცი, რა სათაურითაც წავიკითხე სცენაზე. რაც შეეხებოდა გაზეთის რიცხვს, ვერ მიხვდებოდნენ: წაკითხვის შემდეგ იყო დასტამბული, თუ ადრე.

მივარბენინე ჩვენი გაზეთის რედაქციაში, მაგრამ რაკი ჩემგანვე მოისმინეს, რაშიაც იყო საქმე, შეშინდნენ და უარი მითხრეს დაბეჭდვაზე: შენი გულისათვის გაზეთს ვერ ჩავაგდებთო. იძულებული გავხდი, გაზეთ „ცნობის ფურცელი“-სათვის მიმემართნა. მათ, რალა თქმა უნდა, აღარ გავუმხილე საქმის ვითარება და მაშინათვე გადაგზავნეს სტამბაში ასაწყობად. დავმშვიდდი. მეორე დღეს დილით ვიყიდე ხსენებული გაზეთი, დავჭმუჭნე, რომ ძველ ნომერს დამსგავსებოდა, გადავკეცი, სადაც ლექსი იყო მოთავსებული და წარვუდგინე ბოქაულს. არ ვიცი, კითხვა იცოდა თუ არა, აჰხედ-დაჰხედა სათაურს, ჩემს ფსევდონიმს, რალაც წააწერა ზედ და მითხრა:

– ჯერჯერობით თავისუფალი ხართ!

22. დედის დაკარგვა.

მეფის დროინდელ უკუღმართ ცხოვრების მძიმე პირობებისაგან ლანდათ ქცეული დედაჩვენი ისე გასტეხა მუდმივმა ჯაფამ, რომ სასონარკვეთილებამდე მიიყვანა.

– შვილებო, – გვეტყოდა ხოლმე გულაჩვილებული, – 10 წელიწადი

ავადმყოფ მამათქვენს ვემსახურე, 15 წელიწადია, რაც ლოგინში დავრდომილ ბებიათქვენს ვუვლი. მთელი ჩემი სიცოცხლე შემოგწირეთ, რომ ობლობა არ გეგრძნოთ. დაგზარდეთ, დაგავაჟკაცეთ. დავილაღე, გავწყდი წელში. ვიდრე დედაჩემივით დავბერდებოდე და ცოცხლადვე გავიხრწნებოდე სანოლში, მირჩევნია, თავი მოვიკლა.

ჩვენ, რალა თქმა უნდა, ვანუგეშებდით, კოცნა-აღერსით ვუმშრალეზდით ცრემლებს, ვპირდებოდით მოსვენებულ ცხოვრებას, მაგრამ... ერთ შავზნელ შუალამისას, როდესაც ყველას გვეძინა, ბინიდან გაგვეპარა და დაგვეკარგა. მთელი ტფილისი შევძარით ძებნით, მაგრამ ამაოდ. იმ ღამეს მდინარე მტკვარში გადავარდნილიყო და თავი დაეღრჩო. მის გვამს მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში დავემხეთ გულამოვარდნილი ქვითინით.

ასე ტრაგიკულად დასრულდა ცხოვრებაში გაუხარელი ჩვენი უმშვენიერესი და უსაყვარლესი დედიკოს სიცოცხლე, რომლის ყოველი მოგონებაც აზრს გვირყევს და გულს გვითუთქავს სინანულის მდულარე ცრემლებით...

*გ. ქუჩიშვილი
ტფილისი, 1933 წ.*

იოსებ ტატიშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1952 წლის 21 ივლისს ტატიშვილი იოსებ გრიგოლის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1886 თვე დეკემბრის დღე 25
	(ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ბელეტრისტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1908 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წლიდან
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„არიფონის“ ჯგუფი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1916 წელს ვიყავი განვეული სამხედრო სამსახურში
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სხვადასხვა ორგანიზაციებში მეთოდისტად, აგრეთვე სხვადასხვა სარედაქციო კოლ. წევრი და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა ტოლსტოის ქ. ნ.</p>

იხ. ავტობიოგრაფიული ცნობები.

„ 27 “ აპრილი 1952 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

იოსებ გრიგოლის-ძე ტატიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1886 წლის 25 დეკემბერს (ძვ. სტილით) ქალაქ თბილისში. მამა – გრიგოლ პავლეს-ძე ტატიშვილი პირველი ქართველი სილოგრაფი იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მამაჩემის უშუალო თანამშრომლობით საქართველოში გამოდიოდა მრავალი ქართული და სომხური ჟურნალი, იგი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც ჟურნალისტი, რომელიც „ფიგაროს“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. დედა – ელისაბედი ქართული თეატრის მუშაკი იყო და ხშირად გამოდიოდა სცენაზე, როგორც მსახიობი. ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები, პედაგოგები, მსახიობები და მსჯელობდნენ ლიტერატურის საკითხებზე, კულტურის სხვადასხვა საკითხებზე. ზოგჯერ აქვე იმართებოდა რეპეტიციები.

პირველ დაწყებითი სწავლა მამის ოჯახში მივიღე, ხოლო საშუალო განათლება თბილისის ქართულ გიმნაზიაში. 1915 წელს დავამთავრე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დავიწყე იურისტად მუშაობა.

1916 წელს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ ავადმყოფობის გამო დემობილიზებული ვიქენი და ისევ სამშობლოში დავბრუნდი.

1918–1924 წლებში ვმუშაობდი გამომძიებლად საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, სადაც მე დიდძალი მასალა შევაგროვე ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის.

1924 წლიდან 36 წლამდე მე ვმუშაობდი განათლების სახალხო კომისარიატში და ამავე დროს ვთანამშრომლობდი ქართულ გაზეთ „ახალ სოფელსა“ და აზერბეიჯანულ გაზეთ „ენი-ქენდში“. ერთხანს აგრეთვე მე ვმუშაობდი როგორც იურისტი და ლიტერატორი მწერალთა მუზეუმში.

წერა მე დავიწყე მონაფეობის დროს. ჩემი პირველი მხატვრული ნაწარმოები „მოთხრობა წვიმაში“ დაიბეჭდა 1908 წელს გაზ. „დროებაში“. მას შემდეგ სისტემატურად ვთანამშრომლობდი პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.

ჩემი მოთხრობები „ექიმმა“, „მარცხმა“, „ჭაობმა“, „ერთობამ“, რომლებიც დაიბეჭდა რევოლუციამდე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მკითხველთა დიდი ყურადღება მიიპყრო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ჩემი ლიტერატურული მუშაობა მიმანია უფრო ნაყოფიერად. დაწერილი მაქვს შემდეგი ნაწარმოებები: „დედაკაცის ბედი“, „იალლუჯა“. აქ ავსახე აზერბეიჯანელთა ცხოვრება.

სამამულო ომის პერიოდში დავწერე თანამედროვე თემაზე მოთხრობა „ძველი გმირი“. ამ მოთხრობამ მიიღო პრემია.

ჩემი მოთხრობები „დედაკაცის ბედი“, „მტერთა სასძლო“ და „მოსარეცხე“ თარგმნილია უკრაინულ ენაზე ცალკე წიგნებად.

ჩემი უშუალო მონაწილეობით ს. ავჩიანთან ერთად ვთარგმნე ალ. შირვანზადეს რომანი „ქაოსი“ ქართულ ენაზე.

ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად აგრეთვე ვმუშაობდი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის საქმეში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი ვარ 1934 წლიდან. მრავალი ჩემი ნაწარმოებები სხვადასხვა მიზეზების გამო არ იქნა გამოცემული.

1940 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

* * *

ტატიშვილი იოსებ გრიგოლის ძე დაიბადა 1886 წ. დეკემბრის 25-ს (ძვ. სტ.) ქალ. ტფილისში.

მამა მისი გრიგოლ ჰავლეს ძე ტატიშვილი, გორელ მოქალაქის შვილი, იყო ერთადერთი გრავერი-ქსილოგრაფი კავკასიაში. მეოთხედ საუკუნის მანძილზე ასურათებდა ყველა ქართულ, სომხურ, რუსულ, თათრულ და სხ. გამოცემებს, რაც კი გამოდიოდა მაშინ კავკასიაში.

დედა – ელისაბედ ლომიძის ასული (გარდაიც. 1889 წ.) იყო ქართულ თეატრის მსახიობი. მისი დამსახურება იმდენად მის ნიჭში არ იყო, რამდენადაც იმაში, რომ გაბედა სცენაზე გასვლა, როგორც ქალმა, თუმცა პასუხსაგებ როლებსაც პირნათლად ასრულებდა, ელისაბედს გარდაცვალების შემდეგ, დარჩა ორი შვილი – იოსები და შალვა, რომლებიც დაზარდა დედინაცვალმა – მინადორა გულისაშვილმა (გარდაიცვალა 1931 წ.). ოჯახში თავს იყრიდნენ ქართულ საზოგადოების მაშინდელი წარმომადგენლები, მათ შორის – შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი, ცახელი, ავქს. ცაგარელი, ალ. ყაზბეგი, ვასო აბაშიძე, ვლ. ალექსიმესიშვილი, გუნია, თედო სახოკია, გოგებაშვილი და სხ.

ტატიშვილს პირველდანიყებითი სწავლა მისცა – დედინაცვალმა მინადორა გულისაშვილმა, რომელიც გაუნათლებელი იყო, მაგრამ ძმები ჰყავდა სემინარიელები, მაშინდელ რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებისათვის სემინარიიდან დათხოვნილები.

საშუალო განათლება მიიღო ქართულ გიმნაზიაში (დაამთავრა 1910 წ.), უმაღლესი – მოსკოვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე (1911–1915). 1910–1918 წ.წ. მსახურობდა ჯარში, დემობილიზაციის შემდეგ გამოძიებლად იყო ქალ. სიღნაღში, შემდეგ კი ბორჩალოში, ქალ. შულავერში 1924 წლამდე. 1924 წელს გადმოსახლდა ტფილისში.

1905 წ. რევოლუციის დროს მუშაობდა სოც.-ფედერალისტების პარტიაში, რომელსაც განშორდა 1912 წ. შემდეგ არც ერთ პარტიაში აღარა ყოფილა.

წერა დაიწყო 1907 წელს (თუ არ ჩავთვლით მოწაფეთა ხელთნაწერ ჟურნალებს). იყო თანამშრომელი გაზ. „სახალხო ფურცლისა“ (1912 წლამდე) და „საქართველოსი“ (1917 წელს). საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობდა გაზ.

1. ავტობიოგრაფია იოსებ ტატიშვილის მიერ მესამე პირშია დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

„ახალ სოფელში“ („კოლექტივიზაცია“) – 1926–1931 წ.წ. და იმავე სახელწოდების თურქულ გაზეთში.

პირველი მისი მოთხრობა „წვიმაში“ დაიბეჭდა გაზ. „სახალხო გაზეთში“ 1908 წელს (დანერილი იყო 1907 წ.).

შემდეგ მის მოთხრობებში ყველაზე მეტი ყურადღება მკითხველი საზოგადოებისა მიიქცია მოთხრობებმა: „სამჯერ რვა“ (1909 წ., დაიბეჭდა მონაფეთა ალმანახში და გადაიბეჭდა გაზ. „დროებაში“), „ექიმი“ (1909 წ., იქვე), „ჭაობი“ (1912 წ., იქვე), „ერთობა“ (1913 წ., იქვე), „ტიტო“ (1914 წ., ჟურ. „ნაკადული“), „ზღაპარი ღმერთისა და არწივისა“ (1917 წ., გაზ. „საქართველო“), „თებრო“ (1925 წ., ჟურ. „დროება“), „დედაკაცის ბედი“ (1926 წ., ჟურ. „მნათობი“), „მოსარეცხე“ (1927 წ., იქვე), „მტერთა სასძლო“ (1927 წ., იქვე), ეს სამი მოთხრობა თარგმნილია უკრაინულ ენაზე. „იალლუჯა“ – რომანი (1928 წ., იქვე).

თანამედროვე თემებზე დანერილი მოთხრობები, დაბეჭდილი გაზ. „კოლექტივიზაციაში“ 1935 წელს – „ორი ქორწილი“ („ნუცა“), „ელვა-ცეცხლი“ („ბიძურა არაბული“), „ჩვენი ქრისტინე“ („ჩიტო“) „უტეხელი“ („გატეხილი ყამირი“). ფრჩხილებში მოხსენებულია მოთხრობების სახელები რედაქციის მიერ დარქმეული.

1925 წელს მოთხრობამ „ძველი ემირი“ კონკურსში, რომელიც გამოცხადებული იყო ჟურ. „დროშის“ მიერ, მიიღო მეორე პრემია.

ტატიშვილის მოთხრობების რევოლუციის წინა დროის თემებია: ინტელიგენციის უნიათობა და 1905 წ. შემდეგ რეაქციის გამო გულგატეხილობა („ჭაობი“, „ექიმი“, „უცხონი“); 1905 წ. მოტივები – „ერთობა“, „თებრო“; გლეხის ცხოვრება – „წერილი“, „ვისი ბრალია“; მსოფლიო ომმა გამოიწვია მისი ზღაპარი „ღმერთისა და არწივისა“.

მოთხრობების გარდა, აქვს გაზეთებში მოთავსებული მრავალი წერილი პუბლიცისტური ხასიათისა.

ბორჩალოში გამომდიებლად ყოფნის დროს დააკვირდა თათრების ყოფა-ცხოვრებას, და ამის შედეგი იყო მისი მოთხრობები: „დედაკაცის ბედი“, „ქალის გული“, „მტერთა სასძლო“, რომანი „იალლუჯა“.

ჯარში ყოფნამ 1916–1918 წ.წ. ტატიშვილი მოსწყვიტა მწერლობას; მენშევიკების დროს ხომ გასაქანი არ იყო, აგრედვე ხელი შეუშალა პროვინციაში ცხოვრებამ გამომდიებლად (1919–1924 წ.წ.). მხოლოდ 1924 წ. ბოლოს, ტფილისში დაბრუნებისას, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ტფილისში დახვდა დიდი შესაძლებლობა მწერლისათვის და განაახლა წერა.

როგორც მწერალი, პირველ ხანად განიცდიდა ლ. ანდრეევის გავლენას, შემდეგ ჩეხოვისას და გორკისას; ამათი ნაწერები ბევრი აქვს თარგმნილი ქართულად.

„Литературная Энциклопедия“-ში ტატიშვილი მოხსენებულია, როგორც „აკადემიის“ წევრი. მართალი არ არის. იყო „არიფონში“.

მისი უკანასკნელი რომანი „დები“ დაწუნებულია კრიტიკის მიერ.

28/IV – 36 წ.

ი. ტატიშვილი
ტოლსტოის ქ. №6

ლომთათიძე გიორგი ამბაკოს ძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე გურიაში, ხიდისთავის თემის სოფ. პაიჭესეულზე, 1887 წლის 23 ივნისს. მამა ხელობით ხარაზი იყო, მაგრამ მინის მუშაობით (სხვის მამულეებში) არჩენდა ოჯახს. დედაჩემი განთქმული ხალხური მკურნალი იყო. მკურნალობდა თითქმის უფასოდ. იყო მცოდნე და ფანატიკურად მიმდევარი მრავალი მაგიებისა, მისნობისა, ქრისტიანულ დღესასწაულებლთან დაკავშირებული რიტუალებისა. მეზობლები მისგან გებულობდნენ მთვარისა და თვის ანგარიშს, მარხვისა და ხსნილის კალენდარულ ცნობებს. კარგად იცოდა ძველი ხალხური ადათ-ზნე-ჩვეულებანი და საერთოდ, ხალხური შემოქმედება. მისი წყალობით შემეყვარდა მე ფოლკლორი.

სწავლა მივიღე ჩვენსავე თემში. ხელისშემშლელ გარემოებათა წყალობით ორი კლასი დავამთავრე რვა წელიწადში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩემმა ყოფ. მასწავლებელმა დომენტი მეგრელიძემ ჩამაბა არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. იმავე წელს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გარდაცვალა ჩემი უფროსი ძმა – ილიკო დატუსალებული გურიის პირველ დემონსტრაციასზე 1904 წელს.

იმავე წელს ჭოლა ლომთათიძემ წინადადება მომცა, მოვმზადებულიყავი ქუთ. სამეურნეო სკოლაში შესასვლელად და აღმითქვა მატერ. სახსრების გამონახვა.

1905 წლის 30 სექტემბერს დილით გავავრცელე პროკლამაციები. საღამოზე მთის ყანაში მუშაობის დროს საფანტიანი თოფით ფეხში დამჭრა მეზობლის ბიჭმა, რომელიც ცნობილი იყო ბავშობიდან სულით ავადმყოფად. ცხრა დღის შემდეგ მომთავსეს ბათომის ქალ. საავადმყოფოში. ჭრილობის გართულების გამო ფეხი წამჭრა ექ. ფილინიკიშტინმა.

1906 წლის გაზაფხულზე ცალი ფეხით გამოვედი საავადმყოფოს ეზოდან.

1907 წელს ხელში ჩამივარდა აკაკის კრებული. ისედაც მოყვარულმა ხალხური შემოქმედებისა, დავინყე აკაკის კონსულტაციით ფოლკლორზე მუშაობა. ამ მუშაობას დღესაც განვაგრძობ.

ჩემი პირველი კორესპონდენცია დაიბეჭდა ქუთაისის სამეურნეო ჟურ. „სასოფლო გაზეთ“-ში 1912 წელს – „მეფუტკრეობა ჩვენში“. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში პირველად დაიბეჭდა ჩემი მინიატიურა „На перевязку“ 1916 წელს. დღემდის მითანამშრომლნია შემდეგ გამოცემებში: 1) „სასოფლო გაზეთი“, 2) „ბათომის გაზეთი“, 3) „თეატრი და ცხოვრება“, 4) „ჯარისკაცი“, 5) „ნაკადული“, 6) „ემშაკის მათრახი“, 7) „სოც.-დემოკრატი“, 8) „მხედარი“, 9) „პროლეტარული ბრძოლა“, 10) „ჩირადანი“, 11) „რევმატიანი“, 12) „კომუნისტი“, 13) „მინის მუშა“, 14) „მუშა“, 15) „ახალი გზა“, 16) „ნიანგი“, 17) „ტარტაროზი“, 18) „მიზანი“, 19) „ოქტომბრელი“, 20) „პიონერი“, 21) „მშრომელი ქალი“, 22) „მებრძოლი ათვისტი“, 23) „ნორჩი ლენინელი“, 24) „ახ. კომუნისტი“, 25) „კოლექტივიზაცია“.

ტფილისში გამოვეცი და ხელზე დავყიდე შემდეგი წიგნები: 1) „სულის მაც-

ხოვნებელნი“ 1924 წელში, გალექსილი ზღაპარი, 2) „სამი არაკი“ 1925 წელში, ლექსებად, 3) „გიჟი ინვალიდი“ 1925 წელში, პროზად, 4) „ქართული გამოცანები“ 1926 წელს, 5) „სამღვდელოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“ 1928 წელში (გამოსცა საქ. უღმერთოთა კავშირმა), 6) „ცხრაობითი სათვალავის წარმომშობი საფუძველი“ 1929 წელში, ეთნოგრ. ნარკვევი, 7) „სამღვდელოება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში“ 1933 წელში, მეორე გამოცემა, ანტირელიგიური ნარკვევი.

ჩემიერ შეკრებილი ხალხური შემოქმედების მასალები შეიძინეს: 1) საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ის მუზეუმმა, 2) ქართულ საენათმეცნიერო საზ-ბამ, 3) სანიტ. ჰიგიენის ინსტიტუტმა და 4) საქ. მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებამ.

წევრად ამიყვანეს: 1) საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბამ 1925 წელში, 2) ქარ. საენათმეცნიერო საზ-ბამ 1928 წელში, 3) ქართული ფოლკლორის სექტორმა 1930 წელში და 4) საქ. სამხარეთმცოდნეო საზ-ბამ 1936 წელში.

სამხარეთმცოდნეო საზ-ის დავალებით 1936 წ. შევკრიბე: 1) ჭიათურის რაიონში ცრუმორწმუნეობის დამახას. მასალები, 2) გურიაში – ა) ძველი ქართული ფიზკულტურა და ბ) ხალხური საზომები.

დღემდის შემიკრებია ფოლკლორის მასალები: გურიისა, იმერეთისა, ქართლისა, კახეთისა, ხევსურეთისა და ტფილისისა.

გამოსაცემად დამზადებული მაქვს: 1) ქართული ანდაზები და აფორიზმები, 2) ქარ. გამოცანები, 3) ლეგენდები ლექსად, 4) ლეგენდები პროზად, 5) არაკები, 6) იგავები, 7) ნოველები, 8) მინიატიურები, 9) მოთხრობები ინვალიდთა ცხოვრებიდან და 10) აგარაკ ბახმაროს უძველესი წარსული (ისტ. ნარკვევი).

ამ მასალების გამოცემაზე გამომცემლობამ უარი მითხრა „ქალაქის უქონლობის გამო“. ამჟამად გულით სნეული ვარ და რომ ეს მასალები ჩემი სიკვდილის შემდეგ არ მოისპოს, მინდა, სადმე მუზეუმში მაინც შევინახო ისინი.

გ. ლომთათიძე

ფუცუ – მარიამ დგებუაძე-ფულარია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	მარიამ დავითის ასული დგებუაძე-ფულარია
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ფუცუ დგებუაძე-ფულარია
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1887 თვე აგვისტო დღე 28
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩუენში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	ყოფ. აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე, პერს. პენსიონერი
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1907 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1954 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არცერთს

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო, გიმნაზია
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	-
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	არა
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	არა
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	ვმუშაობდი უცოდინართა სალიკვიდაციო სასწავლებელში
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	არა
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	-
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	პერ. პენსიონერი
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	სუხუმი, ბაგრატის გორის აღმ. 7

„ — “ _____ 1954 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1909	17	გამგე	ქალთა პროგიმ- ნაზია	ცხაკაიაში
1917	20	მასწავლებელი	სუხუმის ქალთა გიმნაზია	სუხუმი
1920	22	გამგე-მასწავლე- ბელი	დანყებითი სას- წავლებელი	ცხაკაია
1922	24	ხელმძღვანელი	საბავშვო ბაღი	ქუთაისი
1924	30	გამგე	საბავშვო სახლი	„-“
1930	32	მასწავლებელი	შრომის სკოლა	სუხუმი
1932	33	რუსული ენის მასწავლებელი	პროფკავშირული სკოლა	თბილისი
1933	34	გამგე	საბავშვო ბაგა	„-“
1934	37	„-“	არასრული საშ. სკოლა	ცხაკაიას რაიონი, სოფ. ციზეტი
1937	43	რუსული ენისა და ლიტერ. მას- წავლებელი	საშუალო სკოლა	სოფ. ღანირი, სამტრედია
	1952 წ.			
	სწორია: ნ. კლ., 1956 წ.			
	ვადასტურებ სამდივნოს	გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

მარიამ (ფუცუ) დავითის ასული დგებუაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1887 წელს, აგვისტოს 28-ს, სოფ. ჩუნეშში, ბაბუა-ჩემის – როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში. მამა-ჩემი, დავით ალექსის-ძე დგებუაძე, მშრომელი მეურნე იყო, ესახლა სოფელ ნაგუკოლოფში (დიდიჭყონი, გეგეჭკორის რაიონი). დედა – ქრისტინე ლორთქიფანიძის ასული, მრავალშვილიანი დიასახლისი ქართული მწერლობის დიდათ მოყვარული, თითონ პოეტი. ის იმჟამად იბეჭდებოდა. 1899 წ. ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადმოვიდა. მამა ქუთაისის თვითმართველობაში მოეწყო სამუშაოდ. პირადად მე ვსწავლობდი ქ. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში (გიმნაზიაში). პირველი რევოლუციის სამზადისის ამბებზე სმენა გამიმხვილდა ჯერ კიდევ მეოთხე კლასში მყოფს. მალე ჩავები იმ ხანად ჩამოყალიბებულ თვითგანათლების წრეების მეცადინეობაში. ქუთაისის მოსწავლეები თავიდანვე დაზიარებული ვიყავით დიდი ბელადის ხელმძღვანელობას, რამდენადაც ის ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. აქ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მომუშავე ამხანაგები: ალ. ნულუკიძე, ალ. ჯაფარიძე, ს. ქავთარაძე, პ. საყვარელიძე, და სხვები, ბელადის ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ მუშაობას.

1906 წელს დავამთავრე ქუთაისის ქალთა გიმნაზია და წამოვედი სოხუმში სამუშაოდ. 1907–1909 წ. ვცხოვრობდი ბაქოში ჩემს მეუღლესთან, დავით ფულარიასთან ერთად. ბაქოში მაშინ ფართოდ იყო გაშლილი ბოლშევიკური ორგანიზაციის არალეგალური მუშაობა. მეც მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდი ორგანიზაციის დავალებების შესრულებაში. (დანვრილებითი ცნობები ჩემი ცხოვრების შესახებ შეტანილი მაქვს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში ქ. თბილისში), რის შემდეგ გავხდი პერს. პენსიონერი.

ვმასწავლებლობდი 1909–1943 წლებში. ვიყავი ჩარიცხული დაუსწრებელ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან სწავლა გავწყვიტე ოჯახური პირობების გამო. მწერლობას დავეზიარე 1907 წ. პირველად დავიბეჭდე ჟურნალ „ნაკადულში“, ფსევდონიმით „ქალი“. 1922 წელში ვთარგმნე წიგნი მოზრდილთათვის „კაუჩიკი“. 1924 წ. დავიწყე მუშაობა ქალ. ქუთაისში ალ. ნულუკიძის სახ. საბავშვო სახლში – გამგედ. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ქუთაისის ლიტერატურული აქტივის მუშაობაში. ვიბეჭდებოდი ჟურნალ „გრდემლში“. აქვე გამოვიდა ჩემი პატარა ნაშრომი „გრძნობათა ნანგრევებზე“. შემდეგ ვიბეჭდებოდი „მნათობში“ და „ლიტერატურულ გაზეთში“. ჩემი მოთხრობები არა ერთხელ ყოფილა გადაცემული საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურულ-დრამატიულ გადაცემათა რედაქციის მიერ.

1949 წ. დავბინავდი ქალ. სუხუმში, სადაც 1951 წ. გამოვიდა ჩემი წიგნი „მოთხრობები“. სისტემატურად ვიბეჭდები აფხაზეთის ალმანახში. ამჟამად უკვე ბეჭდვის პროცესშია ჩემი რომანი „ოქროს ბეჭედი“. შემდეგისათვის ვმუშაობ რომანზე „ტყვარჩელის ცხოვრებიდან“. ამხანად უნდა გამოვიდეს ჩემი რომანი „ტყვარჩელის ლამპიონზე“.

ჩემი ნაწარმოებები:

1. „გრძნობათა ნანგრევებზე“; 2. „მოთხრობები“;
3. საბავშვო მოთხრობა ჟურნ. „ნაკადულში“;
4. ნოველები ჟურნ. „გრდემლში“;
5. აფხაზეთის ალმანახში;
6. „ოქროს ბეჭედი“, რომანი.

1952 წ.

სწორია ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დავით თურდოსპირელი – ჩხეიძე

პირადი ბარათი	
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1948 წ. 23 დეკემბერს დავით ანდუყაფარის-ძე ჩხეიძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	დავით თურდოსპირელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე აპრილის დღე 16
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ვარდისუბანში (თელავის რაი- ონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ბელეტრისტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1906 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებ- ში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	სდმ პარტია

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მეფის მთავრობის დროს</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1939 წელს სახკომსაბჭოს მიერ დაჯილდოვებული ვიქენი საქართველოს დამსახურებული პედაგოგის სახელწოდებით. 1948 წ. დაჯილდოვებული ვიქენი „ფრიადოსნობის სიგელით“, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ნორიოს ქ. 17</p>

მუშაობის შესახებ ცალკე ცნობები არ არის. იხ. ანკეცა.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჩხეიძე – თურდოსპირელი დავით ანდუყუფარის-ძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1888 წელს, 16 აპრილს სოფ. ვარდისუბანში თელავის რაიონში (კახეთი). მამა ანდუყაფარი იყო თავად მაყაშვილის მენისქვილე. იგი გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. მამა რომ გარდაიცვალა, მე 3 წლისა ვიყავი, დავრჩით ხუთი სული მცირეწლოვანი ბავშვები დედისამარა. მათ რიცხვში იყო ყველაზე უფროსი ჩემი ძმა – პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

დედამ ყველა ჩამოგვიყვანა თბილისში და თავისი მძიმე შრომით გვარჩენდა ყველას, იგი ენეოდა ფიზიკურ მუშაობას, რეცხავდა სხვის სარეცხს. მე და ჩემი ძმა გიორგი ვემსახურებოდით მენავთეს და ნახჩირის გამყიდვლებს. ჩვენ ვიზრდებოდით მძიმე პირობებში. ამიტომ ჩემმა ძმამ გიორგიმ დაირქვა ასეთი ფსევდონომი – „ქუჩიშვილი“.

დედაჩემის დიდი შრომითა და ენერჯის მეოხებით მე მიმაბარეს სასწავლებლად გიმნაზიაში. მოკლე დროში ჩვენს ოჯახს დაატყდა დიდი უბედურება, ჩვენ გარდაგვეცვალა ორი ძმა, რომლებიც მსხვერპლი იყვნენ ჩვენი გაჭირვებისა და ცუდი პირობების.

1904 წელს ჩავები სდმპ არალეგალურ მუშაობაში. არაერთხელ გვდევნიდნენ მე და ჩემს ძმას გიორგის და გვაპატიმრებდნენ მეფის ჟანდარმერია და პოლიცია. 1906 წელს გამოვედი ლიტერატურულ სარბიელზე. ჩემი პირველი ნაწარმოები რევოლუციური სულისკვეთებისა იყო.

მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლი“ გამოსვლისთანავე კომფისკაცია ქმნილი იყო მეფის მთავრობის მიერ. მაგრამ ამავე დროს მე დაწვენი ლირიკული ხასიათის ლექსები, რომლებიც იბეჭდებოდა მუშათა ორგანოებში.

მეფის ახრანკის მიერ ხშირად იხურებოდა ის ლიტერატურული ორგანოები, სადაც ვიბეჭდებოდით მე და ჩემი ძმა გიორგი. საერთოდ, მეფის რეჟიმი ყოველმხრივ ხელს გვიშლიდა ჩვენი ნაწერების გამოქვეყნებაში, რომ იგი ხალხს არ წაეკითხა. ჩემი მოწაფეობის პერიოდში, მეექვსე კლასის მოწაფე ვიყავი, როდესაც დავაარსე სასკოლო ჟურნალი „მახვილი“. მე-7 კლასში რედაქტორი ვიყავი ჟურნალ „ჩვენი დროშა“-სი. მერვე კლასის მოწაფე ვიყავი, როდესაც დავიწყე ჟურნალ ალმანახის გამოცემა „პირველი ტალღა“. ეს ჟურნალი გამოხატავდა ბრძოლას რუსიფიკატორულ პოლიტიკისა საქართველოს წინააღმდეგ. 4 ნომრის გამოშვების შემდეგ მთავრობის მიერ აკრძალულ იქნა ალმანახი და რედაქციის თანამშრომელთა უმრავლესობა დააპატიმრეს. მე მოვახერხე დამალვა, ბინაში მოახდინეს ობისკები-ჩხრეკა და წაიღეს დიდძალი ლიტერატურა.

1911 წელს დავამთავრე გიმნაზია და ამავე წელს შევედი კიევის უნივერსიტეტში ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ვსწავლობდი მუყაითად, აგრეთვე ვენეოდი არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. კიევში ყოფნის დროს დავაარსეთ 1 არალეგალური ჯგუფი ეგნატე ნინოშვილის სახელობისა. ამ ჟურნალის ჰეგემონები ვიყავით ბოლშევიკები.

1915 წ. დავამთავრე კიევის უნივერსიტეტი და დავიწყე პედაგოგიური მუშაობა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა ყრილობის მიერ მე ვიყავი არჩეული რევოლუციური კომიტეტის წევრად სამხრეთ დასავლეთის ფრონტისა.

1919 წ. დავბრუნდი საქართველოში, სადაც არჩეული ვიქენი დამფუძნებელ კრების წევრად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შევხვდი არა მტრულად, მაგრამ მე, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი, დაპატიმრებული ვიქენი. მე მიმაჩნია ჩემი თავი უპარტიო ბოლშევიკად.

ჩემი მხატვრული და პედაგოგიური ნაწარმოებები იბეჭდებოდა „კომუნისტში“, „ახალ გზაში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „პიონერში“ და სხვა.

პარალელურად ვენეოდი პედაგოგიურ და მხარეთმცოდნეობის შესწავლას საშუალო სკოლებსა, ტექნიკუმებსა და მუშათა ფაკულტეტებში თელავში, სიღნაღში, წინანდალში, ნაფარეულში, ფშავში და სხვა ადგილებში.

ჩემი მეშვეობით დაარსებულ იქნა მხარეთმცოდნეობის თელავის მუზეუმი. გამოსულია ჩემი ნაშრომები მხარეთმცოდნეობის შესახებ 2 წიგნად.

1932 წ. ვიყავი დანიშნული განათლების კომისარიატის მიერ მხარეთმცოდნეობის საზოგადოების თავმჯდომარედ საქართველოში.

განსახკომსა და „რონოს“ არა ერთხელ მოუცია ჩემთვის მატერიალური დახმარება ჩემი ნაყოფიერი მუშაობისათვის. დახმარება გაუწევიათ აგრეთვე იმ სკოლებისათვის, სადაც ვმუშაობდი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის აღსანიშნავად დაჯილდოვებული ვიქენი ფრიადოსანი მუშაობისათვის სახალხო განათლების საქმისათვის.

ცალკე წიგნად გამოცემულია ჩემი 17 წიგნი. დამთავრებული მაქვს დასაბეჭდად ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები. საბლიტგამის მიერ მიღებულია გამოსაცემად ჩემი საბავშვო მოთხრობები.

გამზადებული მაქვს ცალკე წიგნად სამამულო ომზე დანერილი მოთხრობები. 1946 წ. შემისრულდა 40 წელი ლიტ. მუშაობისა.

დ. ჩხეიძის – თურდოსპირელის ნაწარმოებთა სია:

1. „თავისუფლების მსხვერპლი“, 1906 წ. 2. „სიმთა ქვითინი“, ლექსები და ნოველები, 1913 წ. 3. „დანყვეტილი ზღაპრები“ (ნოველები), 1918 წ. 4. „ამირანის ცეცხლი“ (მოთხრობა), 1920 წ. 5. „პირველი მაისი“ (მოთხრობა), 1926 წ. 6. მოთხრობათა, პირველი ტომი, 1926 წ. 7. „არზინდო“ (მოთხრობა), 1927 წ. 8. „ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე“ (მოთხრობა), 1927 წ. 9. საბავშვო ლექსები, 1927 წ. 10. „ტუგრია“ (მოთხრობა), 1927 წ. 11. „პირველი ბილიკი“ (ლექსები და ნოველები), 1927 წ. 12. „ოქროს სიზმრები“ (მოთხრობები), 1929 წ. 13. სამხარეთმცოდნეობო საკითხები, 1930 წ. 14. მხარეთმცოდნეობის ორგანიზაციების მუშაობა, 1933 წ. 15. ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, 1933 წ. 16. ქართული ანდაზები, 1935 წ. 17. საბავშვო მოთხრობები, 1937 წ. 18. რჩეული ქართული ანდაზები და სხვ., 1944 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

იოსებ მჭედლიძევილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1950 წელს 16 თებერვალს მჭედლიძევილი იოსებ სოლომონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე აპრილის დღე 20
	(ძველი თუ ახალი სტილი) სოფ. კაკაბეთში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1906 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედროვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა ჩიტაძის 1</p>

„ — “ _____ 1952 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ნ. თოფჩიშვილი.

იოსებ სოლომონის-ძე მჭედლიშვილის ავტობიოგრაფია

მე დავიბადა 1888 წელს სოფ. კაკაბეთში, ჩამომავლობით გლეხი. სოფლის სკოლაში ერთი წელი დავყავი. 1898 წელს გადმომიყვანეს თბილისში ქვაშვეთის სამრევლო სკოლაში. ერთი წელი იქ დავყავი, შემდეგ გადამიყვანეს საქალაქო სკოლაში („გოროდსკოე უჩილიშჩე“) ავლაბარში. 1906 წელს დაიბეჭდა ჩემი ლექსი „ვერ შამაშინებს მტარვალის რისხვა“ გაზეთ „ზარში“. შემდეგ ჟურნალ „ნიშადურის“ მუდმივი თანამშრომელი გავხდი და ვალერიან გუნიაშვილს („ნიშადურის“ რედაქტორმა) მომიწყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში გადაყვანა. გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან დამითხოვეს, სადაც არალეგალური წრე დაიჭირეს ჩვენი და მეც იმათ სიაში ვიყავი. 1915 წელს წავიდი მოსკოვს, შინიავსკის სახელობის უნივერსიტეტში მსმენელად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში მივიღე მონაწილეობა, ამის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და მერე აღარსად წავსულვარ.

1906 წლიდან ჩემი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა ყველა პერიოდულ გამოცემებში: „სახალხო საქმეში“, ჟურნალ „ნაკადულში“ „ჯეჯილში“, „ნიშადურში“ და სხვ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ 1916 წელს გამოსცა ცალკე წიგნად ჩემი „მწყემსის წერილები“. ლექსების პირველი ტომი დაიბეჭდა 1922 წელს, შემდეგ პირველი იმპერიალისტური ომის დროის ამსახველი ლექსების ციკლი „მსოფლიო გრგვინვაში“, შემდეგ „ალექსანდრე ბატონიშვილი“ (დრამა), „ჯვარცმული ლეგენდა“ (დრამა), „მონადირის დღიურიდან“. კომკავშირის საიუბილეო კრებულში დაიბეჭდა მოთხრობა „შევარდენი“. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა ლექსები ბელადზე და საერთოდ ჩვენ ცხოვრებაზე.

ამჟამად ხელშეკრულება მაქვს სამმართველოსთან პიესა „პირველ ყვენობაზე“. დასაბეჭდად გადაცემული მაქვს სამამულო ომის ამსახველი პოემა, პოემა „სამშობლოსათვის“. მზად მაქვს პიესა „ცხრა ძმა“, „გიორგი მესამე“. დანერილი მაქვს ოპერა „ლადო კეცხოველი“, „გიორგი სააკაძე“ და სხვა.

ამჟამად ვმუშაობ „სტალინის ყრმობის დროინდელ ეთნოგრაფიულ საქართველოს სცენარზე“ და ლექსებზე.

ი. მჭედლიშვილი

ი. მჭედლიშვილის ნაწარმოებთა სია: 1. ლექსების პირველი ტომი, 1922 წ. 2. „მსოფლიო გრგვინვაში“, 1928 წ. 3. „მწყემსის წერილები“, მოთხრობა, 1917 წ. 4. საბავშვო ლექსები და მოთხრობები, 1927 წ. 5. „თქმულება შოთა რუსთაველზე“, პოემა, 1926 წ. 6. „შვიდნი ძმანნი ხევსურნი“, პოემა, 1916 წ. 7. „გიო“, „–“, 1916 წ. 8. „ანგელოსთა აჯანყება“, პოემა, 1916 წ. 9. „ჯვარცმული ლეგენდა“, დრამა, 1933 წ. 10. „ალექსანდრე ბატონიშვილი“, დრამა, 1935 წ. 11. „იოანნა ბუიანა“, პიესა, 1940 წ. 12. ცალკე წიგნად გამოსულია „ზაბადირას დღიური“, 1940 წ. 13. აგრეთვე გამოცემულია ცალკე წიგნად ჩემი სამი პოემა. 14. „ლაშქარა“, ოპერისათვის ლიბრეტო მიღებული იქნა დასადგმელად თბილისის ოპერის თეატრში, 1948 წ. და სხვა ცალკეული ლექსები და პოემები.

1950 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვლადიმერ გეგეჭკორი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გეგეჭკორი ვლადიმერ გიორგის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ლადო გეგეჭკორი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე მაისის დღე 27
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. მარტვილი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, საბავშვო ლიტერატურა
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1907 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მომღერალთა გუნდის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არ მუშაობს, პენსიონერია</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჩალაუბნის 1</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1914	1918	ბიბლიოთეკის გამგე	ქართული სკოლა ბაქოში ქართული ენის გამავრცელებელ საზ-ბისა	
1918	1921	საქმეთა მმართველი	ქართულ უნივერსიტეტში, შემდეგ სტალინის სახ. სახ. უნივერსიტეტში	თბილისი
1922	1931	საფინანსო ნაწ. გამგე	განათლების კომისარიატში	„—“
1932	1937	ლიტ. მუშაკი და გამომც. გამგე	ყურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“	„—“
1937	1940	ლიტერატურული ნაწილის ინსტრუქტ.	განათლების შემოქმ. სახლში	„—“
1937	1947	ლიტმუშაკი	ცეკვისა და სიმღ. ანსამბლში მომღერალი	„—“
1947	1952	სახ. კაპელა		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ვლადიმერ გიორგის-ძე გეგეჭკორის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1888 წელს, სოფელ მარტვილში (ახლა გეგეჭკორი), წარმოშობით ყოფილი აზნაური, ღარიბი ოჯახიდან. ვსწავლობდი სენაკის (ამჟამად ცხაკაიას) სასულიერო სასწავლებელში (მამაჩემი სასულიერო პირი იყო, დეკანოზი). შემდეგ გადავედი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მერე კი თბილისის სასულიერო სემენარიაში, 1904–1909 წ.

1909 წლიდან – პეტერბურგის (ლენინგრადის) ფსიქო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტში. 1912 წლიდან უმაღლეს სასწავლებელს ავადმყოფობის გამო თავი დავანებე (ფილტვების დაავადება).

1912-13 წლებში ვცხოვრობდი და ვმსახურობდი ფოთში, 1914–17 წლ. – ბაქოში, ხოლო 1918 წლიდან ვიმყოფები და ვმუშაობ თბილისში. სახელმწიფო უნივერსიტეტში, განსახკომში, ხელოვნების სამმართველოს ხაზით.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1907 წელს. ვთანამშრომლობდი ჟურნალ „ჯეჯილში“, „ნაკადულში“, „განათლებაში“, „ნიშადურში“, გაზ. „სახალხო საქმეში“, და სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

პირველად ვწერდი საგაზეთო კორესპონდენციებს, 1908 წლიდან ლექსებს, მოთხრობებს, საბავშვო პიესებს.

1928 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „საბავშვო ლექსები“. 1930 წელს საბავშვო სათამაშო „გამოიცანი“ ორ სერიად, 1931 წელს – საბავშვო წიგნი „ავაშენოთ“, 1933 წელს – „რა დროა“.

განვაგრძობ წერას: დავწერე და დავბეჭდე ლექსი „სტალინზე“, „საახალწლო“. აგრეთვე დაწერილი მაქვს მრავალი ახალი საბავშვო ლექსები.

კომპოზიტორ გრ. ჩხიკვაძემ დასწერა ჩემს ლექსზე სიმღერა, მიძღვნილი მე-18 პარტყრილობისადმი, რომელსაც ჩონგურის აკომპანიმენტით და „კაპელით“ ასრულებენ გუნდები. ჩემს უკანასკნელ ლექსებზე, ბელადის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი დაწერილზე, რომელიც წარვადგინე კრებულისათვის, დაიწერა სიმღერები, ოთხხმიანი კომპოზ. კ. ფოცხვერაშვილის მიერ, სამხმიანი დ. კავსაძის მიერ და საჩონგურო, რომელიც დაწერა ორდენოსანმა სახალხო მომღერალმა – ა. მეგრელიძემ.

ლ. გეგეჭკორის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსები, ნარკვევები, საბავშვო ლექსები, საბავშვო მოთხრობები 1907 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

2. ცალკე წიგნებად: საბავშვო ლექსები, 1927 წ.

3. „გამოიცანები“, 1929 წ.

4. „ავაშენოთ“, 1930 წ.

5. „რა დროა“, 1931 წ.

მონოგრაფია ხალხური სიმღერებისა და საკრავების შესახებ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სანდრო – ალექსანდრე შანშიაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	შანშიაშვილი სანდრო ილიას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	გარდაქეშანი, ფიქლო ლამია, ს. შ-ლი.
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე ივლისი დღე 13
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. გურჯაანი (სიღნაღის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1905-6 წ.წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	–
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	–

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	არ დამიმთავრებია ლაიბციგის უნივერსიტეტი პირველი იმპერიალისტური ომის გამო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული და გერმანული სუსტად
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>ვიყავი შვეიცარიაში 1911 წ., ციურისში, შემდეგ გადავედი გერმანიაში – ბერლინში, ლაიპციგში; 1914 წ. ჩამოვედი სამშობლოში კანიკულებზე და ომის გამოცხადების გამო აღარ წავსულვარ; არ დამიმთავრებია სწავლა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მეფის მთავრობის დროს ვიყავი პატიმრობაში არალეგალური მუშაობისათვის</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ვარ სტალინური პრემიის ლაურეატი, ორდენები: „შრომის ნითელი დროშისა“, „საპატიო ნიშნისა“ და მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“, ვარ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მაჩაბლის ქ. 7, 3-17-53</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
<p>1914 წლებში საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავინწყე გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა 1915 წელს ერთდროულად ვრედაქტორობდი ჟურნალ „მარანს“.</p> <p>1917 წლის ბოლოს გავემგზავრე სოფელ ჯუგაანში (სიღნაღის რაიონი), სადაც ვენეოდი პოეტურ მუშაობას და სოფლის მეურნეობას.</p> <p>საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე გამოძახებული ვიქენი ცენტრალური კომიტეტის მიერ და დავინიშნე ყოველთვიურ ჟურნალ „დროშის“ პ/მგ. მდივნად.</p> <p>1944-46 წლებში ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამსექციის თავმჯდომარე.</p>		<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>		

სანდრო ილიას-ძე შანშიაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1888 წელს, 13 ივლისს, სოფ. გურჯაანში, მღვდლის ოჯახში (სიღნაღის რაიონი).

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე სოფ. ტიბაანში, ხირსის მონასტრის სამრევლო სკოლაში, საიდანაც გადმოყვანილი ვიქენი თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი გადავედი თბილისის ქართულ გიმნაზიაში და რადგან გიმნაზიაში ვცემდით არალეგალურ ჟურნალს, ვიქენი დაპატიმრებული ნახევარი წლით და 7 კლასის მონაწილეთი განთავისუფლებული ვიქენი გიმნაზიიდან და 1911 წელს გავემგზავრე საზღვარგარეთ შვეიცარიაში. შვეიცარიაში დავყავი ერთი წელი გერმანულ ენის შესასწავლად და შემდეგ გადმოველ გერმანიაში, ჯერ ბერლინში და შემდეგ ლაიპციგში. ვიყავი თავისუფალი მსმენელი უნივერსიტეტში. 1914 წელს დავბრუნდი საქართველოში და გამოვეცი გაზეთი „საქართველო“ და ჟურნალი „მერანი“.

სარედაქციო კოლეგიასთან უთანხმოების გამო, თავი მივანებე ჟურნალსაც და გაზეთსაც და გადავსახლდი თბილისიდან სოფლად, იქ კი სოფლის მეურნეობას მივყავი ხელი. სოფლად დავყავი 1923 წლამდე. შემდეგ ცეკას მოთხოვნით დაუბრუნდი ისევ თბილისს და ცეკას დავალებით ვიყავი ჟურნალ „დროშას“ პ/მგებელი მდივანი 1928 წლამდე.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1905 წელს, ვწერდი ლექსებს და პოემებს, ხან საკუთარი გვარით და ხან ფსევდონიმით. მაგრამ ნაყოფიერი მუშაობა დავიწყე 1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. მაქვს დაწერილი 12 ტომამდე ორიგინალური პიესები და ამდენივე თარგმანი რუსი და გერმანელი ავტორებისა.

1927 წელს ვიყავი არჩეული ა/კ ცაკის წევრად. გამუდმებით ვიმყოფები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრად.

1920 წელს ჩემი თეატრალური მოღვაწეობისას (დრამატურგიის განხრით), როდესაც რუსთაველის თეატრი გასტროლებს ატარებდა, დაჯილდოვებული ვიქენი წითელი დროშის ორდენით.

ხოლო 1935 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 15 წლისთავზე მეორეჯერ ვიქენი დაჯილდოვებული „საპატიო ნიშნის“ ორდენით. 1939 წელს არჩეული ვიქენი სიღნაღის რაიონის სოფლის საბჭოების დეპუტატად.

ჩემი სამწერლო სტაჟი უდრის 49 წელს. დაწერილი მაქვს ლექსები, პოემები, მოთხრობები და უმთავრესად დრამატურგიული ნაწარმოებები.

გამოცემულია ჩემი ნაწარმოებები წიგნებად, როგორც ლირიკა, აგრეთვე პიესებისა. 1948 წელს პიესებისათვის „არსენა“, „კრწანისის გმირები“, „იმერეთის ღამეები“-სათვის მომეცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო – სტალინური პრემია, ვარ ლაურეატი.

ს. შანშიაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „შვების თავადი“, პიესა, 1911 წ.
2. „უგვირგვინო მეფენი“, „–“, 1912 წ.
3. „სულამიტ“, „–“, 1913 წ.
4. „ბერდო ზმანია“, „–“, 1915 წ.
5. „სპარტაკი“,

დრამა, 1923 წ. 6. პიესების კრებული. 7. „ჭერეთის გმირები“, 1925 წ. 8. „ამბოკარი“, 1923 წ. 9. „ანზორი“, 1927 წ. 10. „სამნი“, 1928 წ. 11. „ენთუზიასტები“, 1929 წ. 12. „ყამირი“, 1930 წ. 13. „არსენა“, დრამატული პოემა, 1935 წ. 14. „ფოლადაური“, 1937 წ. 15. „არსენა“, სცენარი, 1936 წ. 16. „კრწანისის გმირები“. 17. „იმერეთის ლამეები“. 18. ერთგული სარდალი. 19. „ნესტანი და ტარიელი“. 20. „შოთა რუსთაველი“, ლიბრეტო. 21. „ლატავრა“, ლიბრეტო. 22. „ვეფხის ტყაოსანი“, ლიბრეტო. 24. „არსენა“, ლიბრეტო. 25. „ახალი ფუძე“. 26. „ჯორჯიაშვილი“. 27. „პირველი ტალღები“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სანდრო შანშიაშვილი

(ავტობიოგრაფია)

ავტობიოგრაფია – ანუ საკუთარ სიცოცხლის თუ ცხოვრების ამბის მოთხრობა არის ერთგვარი აღსარების თქმა, ე. ი. სთქვა ის, რაც გადაგხდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და სთქვა სისწორით, შეულამაზებლად, გამოგონებათა გარეშე და ამასთანავე სთქვა არა მარტო ის, რაც გიმოქმედნია და უკვე ფაქტად დარჩა, არამედ სთქვა ისიც, რასაც იზრახავდი და ვერ შეასრულე, ან და შეასრულე მაგრამ შესრულებული შენვე შეგზიზღებია – მოკლედ, მომხდარ ფაქტებთან ერთად რომ გააშიშვლო შენი საკუთარი სული და სხვისთვის დასანახი გაჰხადო თავის ღირსება-ნაკლოვანებით – ეს დიდი ვაჟკაცობაა – ამას შესძლებს მხოლოდ დიდი ადამიანი (დიდბუნებოვანი) ან მხოლოდ რეგენი, რომელსაც არ გაეგება, რა შეფასებას აძლევს თავის თავს.

ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ავტობიოგრაფია გარდა ზოგიერთი ფაქტისა, არის სიყალბე, ან მაიმუნის პრანჭიობა, რომ სხვას მახინჯი სახე ლამაზი მოაჩვენო, უამბო მომავალ თაობას საკუთარ თავზე რაღაც არაჩვეულებრივი და შეთხზული ამბები, ლამაზად იცრუო, რომ ამ ლამაზის სიცრუით შეჰქმნა თავის ირგვლივ ლამაზი ლეგენდები.

თვით ისეთი ადამიანიც-კი, რომელსაც თავის ცხოვრების მანძილზე ბოროტების, ავკაცობის, მკვლევლობის და ათასნაირი სხვათა დამღუპველი მახინჯიების მეტი არაფერი გაუკეთებია-რა, ავტობიოგრაფიაში ისე გამოიღამაზებს თავს, რომ მასთან შედარებით რომელიმე წმინდა მოციქული ჩრდილქვეშ მოექცევა.

ამიტომ ავტობიოგრაფია, იმ ნაწილის გარდა, სადაც აღნიშნულია დაბადება და სიბერე (ხანდახან ეს ნაწილიც კი) უმეტეს შემთხვევაში საეჭვოა.

მწერლის ავტობიოგრაფია არის თვით მისი ნაწარმოები (თუმცა აქაც უნდა შევნიშნო: ძალიან შელამაზებული), მაგრამ ნაწარმოები ისეთი ფაქტია, რომელიც გამოჰხატავს მწერლის შინაგან ბუნებას და მომავალ თაობას კი, მე ვგონებ, ძალიან ნაკლებ უნდა აინტერესებდეს მწერალი გარეგნობით კუზიანი იყო, თუ ტანწერნეტა, ცოლიანი, თუ მარტოხელა და სხვა და სხვა.

ზოგიერთს არამწერალს, ან უბრალო და სხვისთვის შეუმჩნეველ ადამიანს ისეთი „ავტობიოგრაფია“ აქვს, რომ მისი ქალაქში გადმოტანა ერთს რომელიმე უკვდავ პოემას უდრის და ხან აღემატება კიდევ.

ასეთს ადამიანს თუ შეხვდა დიდი პოეტი შთამომავლობისთვის ორივენი უკვდავი რჩებიან – პოეტმა დახატა მისი სახე, შიგ ჩააქსოვა საკუთარი სინამდვილე, თუ შეთხზული ამბავი და აშენდა ძეგლი.

ისიც მართალია, თუ მწერალს ცხოვრების მანძილზე დიდი განცდები, დიდი თავგადასავლები, დიდი მწუხარება, თუ სიხარული, დაბრკოლებანი და სიკვდილთან ბრძოლა არ გარდაუტანია, მისი ნაწარმოებიც ღარიბია, ცალმხრივი და ფუქსავატი.

ამიტომ ვამბობ, რომ მწერლის ავტობიოგრაფია უმთავრესად მისი ნაწარმოებია: ან მჭლე ან ღარიბი, ან სიცოცხლით და იდეებით სავსე; ერთის სიტყვით, ისეთი, როგორც ცხოვრებაც ჰქონდა (სულიერი თუ ხორციელი) თვით ავტორს, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების!“ ამ ჟამად არ ვაპირობ, გადავხედო ჩემს „გავლილ შარას“ და რაც გადამხდა დღევანდლამდე ჩემს სამწერლო, თუ სამოღვაწეო ასპარეზზე, პირად, ან საზოგადო ცხოვრებაში, ყველაფერი აღვნიშნო. ეს დიდ დროს მოითხოვს და შეიძლება ამაზე მუშაობა და ფიქრი, მოგონებების აღწერა და ნამდვილი აღსარების დაწერა ჩემს უკანასკნელ დღემდეც ვერ დავამთავრო, რადგან, წარმოიდგინეთ, ეხლა ვარ ორმოცდათექვსმეტის წლისა. 16-17 წლისამ უკვე გაზეთში ლექსებით ენა ავიდგი და უკვე 40 წელიწადია ასე თუ ისე „შეგნებულ“ ცხოვრებას ვენევი (შეიძლება შეუგნებელსაც). ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ომი მოხდა, რამდენჯერმე სხვადასხვა რეაქცია და რევოლიუცია. ხოლო ბოლო დროს ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიანფესვიანად მოახდინა ყველაფრის გადაფასება: მამასადამე, სხვისიც, ჩემიც, გარშემო ყველაფრის: ლიტერატურის, იდეოლოგიის, ახლო ნაცნობ-მეგობრების, თუ მთლად საქართველოს ბედის და მამასადამე, თითო წელიწადს რომ თითო მოგონება მაინც ვუძღვნა, დამჭირდება ორმოცის დაწერა – ეხლა კი ამისთვის არც მცალიან და არც ხალისი მაქვს.

ამ ჟამად ვასრულებ მარტოდენ მეგობრების ცნობისმოყვარეობას: 1) სად დავიბადე, 2) ვინ იყვნენ ჩემი მშობლები და 3) რა დამინერია (ავი თუ კარგი, შეიძლება, ყველაფერი წყალში გადასაყრელიც!).

დავიბადე კახეთში, სახელდობრ ქიზიყში, სოფელ ჯუგაანში. ეს სოფელი, როგორც ქიზიყის სხვა სოფლები, ცივგომბორის მთის კალთებზეა შეფენილი. სოფელი კარგა მოზრდილია და ჩემს ბავშვობაშივე იქ იყო ორი პირველდანიყბითი სკოლა. ამბობენ, ამ სოფელს სახელი ჯუგაშვილების გვარიდან დაერქვაო. ძველთაგან დარჩენილი ამბავია, რომ ამ სოფელს ჰყავდა ვინმე თევდორე ჯუგაშვილი, განთქმული გმირი, რომლის სახელზედაც ეხლაც არის ქუჩათზე ნიში და ამ ნიშთან ორას-სამას წლოვანი ბებერი მუხა და ამ მუხას ეძახიან „თევდორეს მუხას“ (იხ. ჩემი ბალადა „თევდორე ჯუგაშვილი“).

სემინარიადამთავრებული პაპაჩემი – ალექსანდრე დავითის ძე ამ სოფელში მოსულა შეძლებულ ილია მატიაშვილის (მატაბელების) ოჯახში გარეკახეთიდან, სოფელ ჯიმიტიდან, ზედსიძედ. ბებიჩემს ჰრქმევია თეოფისტე (ილია მატიაშვილის ასული). პაპაჩემს, ქალიშვილების გარდა, ჰყოლია სამი ვაჟიშვილი: სიმეონი, ილია და ვანო. რაკი პაპაჩემი ამ სოფელში დაბინავებუ-

ლა, აქვე გამწესებულა მღვდლად (შემდეგ დეკანოზი). პაპაჩემს – ალექსანდრეს თურმე ძალიან ვუყვარდი, თურმე მანვე გამნათლა და დამარქვა თავისი სახელი ალექსანდრე, მაგრამ რადგან ოჯახში პაპაჩემი იყო უფროსი და ერქვა ალექსანდრე, მე მეძახოდნენ სანდროს, პაპის მოხატობით. იგი იყო, თავის დროის მიხედვით, კარგად განსწავლული. საუბრის დროს რომელიმე შაირს, ან იგავს მოიყვანდა მაგალითად თავის აზრის დასამტკიცებლად. იგავს უთუოდ თვითონ თხზავდა, რადგან მე იმნაირი იგავები შემდეგ არსად ამომიკითხავს, არც შემხვედრია. გარდაიცვალა 1909 წელს ღრმა მოხუცი, ვგონებ, ას წელიწადს მიხნეული.

მრავალ ქართველს გადაეველო მის თავზე, იცნობდა მრავალ მოღვაწეს თავის დროისას. ახლო იცნობდა არსენა ოძელაშვილის ამბავს, რასაც მე ზღაპარივით მომიყვებოდა და ხალხურის, თუ თავის ლექსებით შეამკობდა.

იმ შთაბეჭდილებით მაქვს დანერგილი ჩემი „არსენა“ და მსურდა, ონისე პაპას სახით დამეხატნა პაპაჩემი ალექსანდრე. როგორც ონისე პაპა ჩემს არსენაში, ისე მეც ჭკუაზე მარიგებდა 1905 წლის მოძრაობის დროს: მეუბნებოდა, ჯერ ხალხი გაუნათლებელი და ველურიო. მისი აშვება, ეს იმას ჰნიშნავს, რომ მორთულ-მოკაზმულ დღეობაში გამოუქნელი და ხამი მოზვერი გაუშვა. ყველაფერს მისრეს-მოსრესავს და ხალხს დააზიანებსო.

ბოლო დროს ვეკამათებოდი ღმერთის არსებობაზე. იგი მოკლედ მომიჭრიდა: ღმერთი შენს გულში ზის და ისიც ისეთივეა, როგორც ხარ შენ და როგორსაც მისწვდენილხარო. სხვა სხვანაირად შეიცნობს ღმერთსაო.

ერთს ზაფხულს თითქოს იგრძნო, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა. მეუბნებოდა: ჩემთან იყავ, ნუ წახვალ თბილისშიო. ამოიღო ჯიბიდან ქისა და ოცდაათი ცალი თუმნაიანი ოქრო მომცა. მითხრა: შეინახე და საზღვარგარედ წასვლას რო აპირებ, იქ მოიხმარეო. იქნებ ველარ გნახო. ჩემი სხეული ეხლა დასვენებას მთხოვს და აი, ეს არის სიკვდილიო. მეორე თუ მესამე დღეს მიიძინა, გარდაცვლილიყო.

აქვე აღვნიშნავ ერთს გარემოებას: პაპაჩემიც, მამაჩემიც და მეც (სასულიერო სასწავლებელში) ვინერებოდით შანშიევებად. ეს ალბად რუსულის გავლენა იყო, სკოლებში ქართულ გვარს არუსულებდნენ. მაგრამ პაპაჩემი სხვანაირად ხსნიდა ამ ამბავს. ის იმონმებდა თავის პაპას და ბიძას და ამბობდა „ჩვენ ვართ დიდი შანშე ბაგრატიონის შთამომავალნი. ის შანშე მეფეს აუმხედრდა და ყველაფერი დაჰკარგა, ასე რომ, ერთხანს ჩვენი წინაპრები საქართველოში დევნილნი იყვნენო. ჩემმა აღმზრდელმა ბიძამ (ეს ბიძა ყოფილა სემინარიაში „ეკონომოდ“ პირველ დაარსებისათანავე) აღძრა შუამდგომლობა რუსთა ხელმწიფის წინაშე, რათა დაბრუნებოდა თავადის წოდება, მაგრამ ბიძას აღარ დასცალდა, ადრე მოკვდა და გვარიც „შანშიევ“ შეგვრჩა იმ ბიძის წყალობითაო, თორემ ჩვენ შანშეშვილებად უნდა ვინერებოდეთ“. ეს ამბავი სიმართლეს შეეფერება, თუ პაპაჩემის ბიძაც „აზნაურობის“ მაძიებელი იყო, ალლაჰმა უწყის.

მამაჩემი იყო ილია. სემინარიის დამთავრების შემდეგ არ ნდომებია ღვდლის ანაფორა და მხოლოდ მასწავლებლობდა, მაგრამ როდესაც დაწვრილშვილებულა (ვყავდით ხუთნი, შვერჩით სამნი), გამწესებულა მღვდლად (შემდეგ დეკანოზი). უყვარდა მწერლობა და თვითონაც სწერდა „მიმ“ ფსევდონიმით.

„მიშ“ – მღვდელი ილია შანშიაშვილი. მამაჩემი იყო დიდი მეოცნებე ფანტაზიორი. წარმტაც გეგმებს შეადგენდა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ჩვენი ცხოვრება, მაგრამ სინამდვილეში თავის საკუთარ ცხოვრებასაც ძლივს უძღვებოდა. იყო სტუმართმოყვარე და ხვალინდელ დღისთვის ნაკლებ ზრუნავდა. იტყოდა: *Посмотрите на птицы небесныя, они не жнут и не сеют...*

დედაჩემი დარია იოსების ასული თოფჩიშვილი იყო შეძლებულ ოჯახიდან, სოფელ ტიბაანიდან. ჩემზე ხუთმეტის წლით უფროსი. დედაჩემი უფრო პრაქტიკული და ხელისმომჭირნე იყო. ძველი მწერლებიც წაეკითხნა. ზეპირად იცოდა „აბესალომ და ეთერი“. ოჯახში პირმშო შვილი მე ვყოფილვარ და ძლიერ განებივრებული პაპიდან, ბიძებიდან, მამიდებიდან. როგორც შემდეგ უთქვამთ და ჩემი თავი დაუხასიათებიათ, ვყოფილვარ ძალიან ცელქი და მოუსვენარი. ამასთანავე ჭირვეული. რასაც ვიტყოდი, უნდა აესრულებინათ.

ყოფილა შემთხვევა, იმდენად მომიბეზრებია თავი ოჯახის ნევრებისათვის, რომ იძულებულნი გამხდარან ტახტზე თოკით დაებათ ჩემი თავი.

ერთხელ თურმე დედამ ცეცხლიდან ჩიხირთმით სავსე ქვაბი გადმოდგა, მე კი კაბაზე ხელი მიკიდია და „ძერაბუას“ ვეთამაშები. შემოვტრიალებულვარ და აღუღებულ ქვაბში ჩამიცია ფეხი. ეხლაც მეტყობა მისგან ზიანი. მიყვარდა ჩემზე უფროს ამხანაგებთან თამაში. ჩემზე უმცროსებს კი თავს არ ვუყადრებდი. და თუ მომეკარებოდნენ, უთუოდ რამე ხრიკს გამოვუგდებდი და ატირებულნი გარბოდნენ შინისკენ. მე კი ბროწეულის ჩირგვებში მივიმალებოდი.

როცა პაპაჩემი სახლში იყო, ჩემს ხმას ვერ გაიგებდნენ, რადგან მისი დიდი მორიდება და ხათრი მქონდა, როცა წავიდოდა, სახლი თურმე ჩემგან ყირამარა იდგა. ამიტომ ხშირად პაპას თან გამაყოლებდნენ. პაპაც სიამოვნებით წამიყვანდა ხან ეკლესიაში, ხან ვენახში და მესაუბრებოდა ჩემთვის გასაგებ ენაზე. როცა სახლში ვბრუნდებოდი, პაპაჩემი ყველას უსაყვედურებდა: ბავშვს ალბად თქვენ აგიჟებთ, თორემ ჩემთან ანგელოზივით არისო.

ჯერ სკოლაში არ დავდიოდი და არც ანბანი ესწავლებინათ, მაგრამ ი. გოგებაშვილის მთელი „დედაენა“ ზეპირად ვიცოდი. სხვა რომ სწავლობდა, მე ყურს ვუგდებდი და ყველაფერი ადვილად მახსოვდებოდა. ჩვენი სოფლის მასწავლებელი – ეგ. მენთეშაშვილი მამაჩემზე უმცროსი იყო და კარგი ამხანაგი. მამაჩემი გაკვეთილზე შევიდა და მეც შევყევი. მენთეშაშვილი უფროს მონაფეებს ათქმევინებდა „საბრალო დედაბრისასა“. ერთმა დაიწყო, შეეშალა. ვერც მეორემ უთხრა, ვერც მესამემ. შემდეგ ჩემკენ მყოფ მონაფეს უთხრა: „აბა, შენ სთქვიო“. მეგონა, მე მეუბნებოდა. დავიწყე და აღარ შევჩერებულვარ. ამ დროს ხუთის, ან ექვსი წლის ვიქნებოდი. პირველი ჩემი მასწავლებელი პაპაჩემი იყო. ის მიაბობდა ზღაპრებს და იგავებს.

შემდეგ ხირსის მონასტერში მიმიყვანეს სამრევლო სკოლაში, სოფელ ტიბაანში, საიდანაც გამოთხოვილი იყო დედაჩემი. აქ მასწავლებლად იყო გიგო კანდელაკი, მარტყოფიდან. რალაც მიზეზით სემინარიიდან დათხოვნილი, იშვიათი მასწავლებელი. მან ჩამომიყვანა თბილისში (შემდეგ მან თავი მოიკლა. ვგონებ, ცოლის შერთვაში მოატყუეს).

უნდა მივეყვანე სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მაგრამ იქ არ მიმიღეს, მიზეზი აღმოჩნდა ჩემი სასულიერო წოდება და მიმალებინეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ჩემი მასწავლებლები იყვნენ: მარჯანიშვილი, (სა-

ხელი აღარ მახსოვს), მოსე ჯანაშვილი, გ. ნამორაძე, ანტ. ნატროშვილი, სტ. სელიხოვი და მარშაკი, კლასის დამრიგებლად ახალგაზრდა კურსდამთავრებული – საშა ნეიმანი. დაუფინყარნი არიან ჩემთვის ეს მასწავლებლები.

აქედან მოვიწინადინე, გადავსულიყავ სამხატვრო სკოლაში, რადგან სასულიერო სასწავლებელში შეუძლებელი შეიქმნა ჩემი დარჩენა. დილა-სალამოს ნირვა-ლოცვა გვექონდა და უფროსმა მონაფეებმა გაფიცვა მოვახდინეთ. ამხანაგმა გაგვცა და დაგვითხოვეს მე, ციკუბაძე და შუშიაშვილი. ჩემს საქმეს ისიც დაერთო, რომ გლახა მასწავლებლებზე კარიკატურებს ვხატავდი.

გადაველ სამხატვრო სკოლაში. ესეც ორი წლის შემდეგ დაიკეტა.

ამის შემდეგ შეველ ქართულ გიმნაზიაში, მეექვსე კლასში. გიმნაზიაშიც ჩემი საქმე ვერ დამთავრდა სასურველად. გავერთე ჟურნალ-გაზეთებში (მე თვით ვცემდი არალეგალურ მონაფეთა ჟურნალს გიმნაზიაში).

ჩავერთე პოლიტიკურ საქმეებში, აქაც ამხანაგმა გაგვცა. მოვიდნენ ლამე, გამჩხრიკეს, იპოვეს, რაც უნდოდათ და თავი მიკრეს მეტეხის ციხეში. წარმოიდგინეთ, აქ მიშველა ერთმა რუსმა ჟანდარმის პოლკოვნიკმა – გვარი აღარ მახსოვს – საქმეებს მსუბუქი მსვლელობა მისცა. სასამართლოში მიცავდა ოსიკო ბარათაშვილი, მაგრამ ექვსი თვის პატიმრობა მაინც მომისაჯეს. ციხეში რა ხალხი გავიცან, ამაზე სხვა დროს.

ამის შემდეგ გიმნაზიაში ჩემი დარჩენა აღარ შეიძლებოდა. დირექტორმა – ალექსანდრე (საშა) მდივანმა მიჩნია წასვლა საზღვარგარედ, რასაც მე თვით უკვე ვაპირებდი. საშა მდივანი ფრიად პატიოსანი და დიდი პატრიოტი ადამიანი იყო. არ დამავინყდებიან აგრეთვე ლათინურ ენის მასწავლებელი ალექსანდრე მიქაბერიძე, ქართულ ენის მასწავლებელი – გრ. ვოლსკი და შემდეგ – პეტრე მირიანაშვილი, ისტორიის მასწავლებელი – გიორგი ნათაძე, ბიოლოგიის – სეით ლუარსაბის ძე იაშვილი, გერმანულის – ნიკო ლორთქიფანიძე და სამღვთო რჯულის – კალისტრატე ცინცაძე, ამ ჟამად ჩვენი კათალიკოსი. თვითეულ მათგანს ეკუთვნის მივუძღვნა ცალკე მოგონება.

როდესაც თვალს გადაავლებ წარსულს, გულზე რალაც დარდი შემოგანწვება. ნაცნობი სახეები აღარ არიან, ვინც შენთან იდეურად, სულიერად შეკავშირებული იყვნენ, უკვე წავიდნენ და შენს ირგვლივ წამოიზარდა სულ სხვა თაობა – ახალი გრძნობით, ახალი იდეებით. თითქოს შენ ახლებისთვის უცხო ხარ, თუმცა გულის სიღრმეში ჰგრძნობ, რომ ახალთაობას შენი ნაპერწკალი გაჰკრავს და ხანდახან შენის ენით და გრძნობით საუბრობენ. ეს კი გულს გიხალისებს.

აქ აღვნიშნავდი გვარებს, ვისაც შევესწარ, რომლებიც თავის დროს დიდნიც იყვნენ და მცირენიც, და თვითეული თავის როლს პირნათლად ასრულებდა. მაგრამ მარტო დასახელება არ კმარა. თვითეულთან მე რა დამოკიდებულება მქონდა, ეს არის ჩემთვისაც და სხვისთვისაც საინტერესო, მაგრამ ეს შორს წავიყვანს. ცალყბად მათ ხსენებას და თქმას, სჯობია, გაეჩუმდე, და თუ დრო მექნა, თუ არ მისწრო სიკვდილმა, დავსახავ, თუმცა თვითეული მათგანი ჰომეროსის გმირი არ იქნება, მაგრამ არც ნაკლები თავის დროისთვის.

რაც შენს ახლოა და ყოველდღიურად თვალში გეჩხირება, მას არ აფასებ; როდესაც დრო გაივლის და თვალს გადაავლებ თვითეულ ადამიანის მოქმედებას და დატრიალებულ ამბებს, გაკვირვებული ხარ და წამოიძახებ: „ვინ ვიყავით, რა ვიყავითო!“ რაც ჩემმა თაობამ მეოცე საუკუნის პირველ

მეოთხედში განიცადა და გადაიტანა, ამას სხვა თაობას არ ვუსურვებ! მე მგონია, რომ ჩვენი თაობა ფუძე-მდებელია შემდეგ თაობისთვის – ვინ იცის, იქნებ მე ასე ვფიქრობ, მაგრამ ვცდები, კაცი ბჭობს და ღმერთი იცინისო.

არ მინდა, გამოვუშვა ის მომენტი, როდესაც სანყალმა ჩემმა მასწავლებელმა – გიგო კანდელაკმა თბილისში ჩამომიყვანა თორმეტის წლის ბიჭი. ბავშვს ხომ ყველაფერი ნათლად ახსოვდება! რატომღაც მეჩვენებოდა, თითქოს ყველანი კუბოდან ამდგარიყვნენ, გაფითრებულნი, უსისხლონი. მათი ლაპარაკი, თვით ქართულიც კი, ჩემთვის გაუგებარი იყო და არ მესმოდა: ორჯერ, სამჯერ უნდა ეთქვათ წინადადება, რომ მე მივხვედრილიყავ და პასუხი გამეცა. მეჩვენებოდა აგრეთვე, რომ ყველა ლაპარაკობდა ჩუმად, თითქოს ჩურჩულებდნენ. რალაცნაირად იკლაკნებოდნენ, თავაზიანობდნენ და მე ეს ბუნებიდან მოგლეჯილს, მეუცნაურებოდა. გასანთლულსა და დაკრიალებულ იატაკზე ფეხი მისხლტებოდა და ჯავრი მომდიოდა, როდესაც უნებურად წავიქცეოდი და ჩემზე იცინოდნენ.

სასულიერო სასწავლებელში პანსიონიც იყო, მაგრამ მე იქ არ მიმიღეს. ალბად წინდახედულ მშობლებს უკვე ეზრუნათ თავიანთ შვილებისთვის, მა-მაჩემი კი ალბად სოფელში ოცნებობდა: ჩემს შვილს შეეხვეწებინა-კიდევ-ცაო. მაგრამ არავინ შემეხვეწა და დავბინავდი ჩვენს სიძესთან, მამიდაჩემის ქმართან, რომელიც იყო რაჭველი – ივანე (კირილე) გრიგორის ძე სვანიძე. დეპოს პირველხარისხოვანი ოსტატი – მუშა და სცხოვრობდა ნაძალადევაში, ანანიევის სახლში, თბილისის სადგურის პირდაპირ, ორ თუ სამ სართულიან აგურით ნაშენ სახლში, ჩვენი ოთახის ფანჯრები პირდაპირ სადგურს გადაჰყურებდნენ და მიკვირდა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში ვაგონებს დათოვლილს ვხედავდი, ალბად რუსეთიდან მოსულს.

ამ სვანიძის ოჯახს და თვით ვანო (ივანე, თუ კირილე, რამდენიმე სახელს ეძახოდნენ მისი ამხანაგი მუშები) სვანიძეს ცალკე მოგონება ეკუთვნის, რადგან მან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა, რადგან მუშების ცხოვრება მისგან გავიცან. შემდეგ ეს სვანიძის ოჯახი წითელწყაროზე გადასახლდა, და მე დავბინავდი მიხეილ დარჩიაშვილების ოჯახში. მიხეილ დარჩიაშვილი და მისი ძმა – ლადო დარჩიაშვილი (ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე) ჩემი ნათესავები იყვნენ დედის მხრით, იყვნენ პაპიდაშვილები.

მიხეილ დარჩიაშვილი რკინისგზის სამმართველოს მსახური და მისი მეუღლე ლიზა, მოწინავე ადამიანები იყვნენ. ამ ოჯახში თავს იკრებდა არალეგალური ხალხი და კრებებს ჰმართავდა მაშინდელი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამაზე შემდეგ და სხვა დროს.

ეს იყო 1902-3 წლებში. ამ დროს მე უკვე „ჯეჯილში“ ვაწვდიდი შარადებს და რებუსებს. ვგონებ, ამ ხანებში შევხვდი პეტრე უმიკაშვილს და შემდეგ აღარ შევხვედრილვარ. ძალიან სათნოიანი და გულშემატკივარი მოხუცი იყო. ლექსების გამო მიველ მის ბინაზე, ცხოვრობდა ოპერის თეატრის გვერდით. ისე მიმილო, თითქოს თანასწორი ესტუმროს თანასწორს. ამან მე ძალიან ჩამაფიქრა, რომ მოხუცი კაცი შევანუხე, მაგრამ თან მიხაროდა, რომ ჩემს ლექსებზე ამდენს მელაპარაკებოდა და სერიოზულად მსჯელობდა.

გამომშვიდობებისას მითხრა: ყმანვილო, ისწავლე და იკითხო! საკვირველი გულშემატკივარი ხალხი იყო ეს ძველი თაობა. წელან მე ადრე მოვიხსენიე

ციხეში ჩემი დაპატიმრება, რომელიც მოხდა 1908 წელს. მე მინდა ორიოდ ნლით უკან დავიხიო არა იმიტომ, რომ მოგონებანი მოგახსენოთ ილიაზე, აკაკიზე, ან ვაჟა-ფშაველაზე – არა, ესეც სხვა დროს – არამედ იმიტომ, რომ გავიხსენო ჩემი პირველი ლექსის გამოქვეყნება, ანუ გაზეთში დასტამბვა.

პირველად გაზეთში დასტამბვა – ეს იყო ჩემთვის რალაც აუნერელი ამბავი. დღესასწაული! ახალი დაბადება! რალაც დიდ ამბავთან ზიარება. ვუცქერდი გაზეთში ჩემს ლექსს ა. შ-ლის ხელის მოწერით და თვალები მიჭრელდებოდა. მჯეროდა და არც მჯეროდა. როგორ? განა მე ღირსად ჩამთვალეს? ჩემი ლექსი ღირსად სცნეს? მე ხომ არც ილია ვიყავ, არც აკაკი, არც ვაჟა? ვილაც ა. შ-ლი! ეს მოხდა 25 დეკემბერს, 1905 წელს. მაშინ პაპაჩემი კიდეც ცოცხალი იყო. მამაჩემს ეჩვენებინა მისთვის და, როგორც გადმომცეს, ორივეს ეტირნათ მეტის სიხარულისგან. ამ სიხარულის ცრემლთან ერთად რას ფიქრობდნენ იმ დროს ჩემზე – ეს შემდეგ ჩემთვის არ გაუმჟღავნებიათ. ის ორგანო, სადაც ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა და შემდეგშიაც იბეჭდებოდა, იყო სოც-ფედერალისტების ორგანო. არ მახსოვს, „ისარი“ იყო თუ „სახალხო გაზეთი“, თუმცა ორივე გაზეთის წარწერები „ისარი“ და „სახალხო გაზეთი“ მე გავაკეთე, ამ დროს მე უფრო ხაზვას და მხატვრობას ვეტანებოდი. კარიკატურებსაც ვხატავდი. ჩემი პირველი კარიკატურა, რასაკვირველია, უეჭველად რომელიმე პოლიტიკურ ჟურნალის გავლენით, დაიბეჭდა ალ. ჯაბაძარის რედაქტორობის დროს, სანამ ეს ორგანო გადავიდოდა სოც-ფედერალისტების ხელში. ეს კარიკატურა შაბლონიურია: სქელი, მსუქანი ბურჟუა აზის ზურგზე მუშებს. შემდეგ ამ გაზეთში იბეჭდებოდა თითქმის ყოველ კვირა პოლიტიკური კარიკატურები, უთუოდ მანერა იყო დიდი ოსტატის და კარიკატურისტისა ოსკარ შმერლინგისა, რომელიც იყო ერთ დროს სამხატვრო სკოლაში ჩემი მასწავლებელი. ამ ორგანოში პასუხისმგებელ მდივნად იყო ილია აგლაძე, კარგი სტილისტი და განათლებული ადამიანი.

ჩემს ლექსებს ჰბეჭდავდა ილია აგლაძე, პირადად მიცნობდა, მაგრამ არ იცოდა, თუ ა. შ-ლი მე ვიყავ. მიმქონდა რედაქციაში ლექსები, ვითომც სხვისგან გამოტანებული. ბოლოს, პირველმა ილია აგლაძემ გაიგო, რომ მე ვიყავ ლექსების ავტორი და ხუმრობით მითხრა: შენ ჭკვიანი ყმანვილი მეგონე და რა ვიცოდი, თუ პოეტიც იქნებოდიო.

ეს ისე რიგად მითხრა, რომ ვერ გავიგე, ჭკვიანი ყმანვილობა უფრო კარგი იყო, თუ პოეტობა! ალბად ორივე ერთად შეზავებული კარგი საქმეა. პირველად ასეთი შეფასება მომცა ი. აგლაძემ, ხოლო შემდეგ კიბა აბაშიძემ წერილობით.

ხოლო უფრო შემდეგ, როცა ყველა ფედერალისტები ჩაყარეს ციხეში, ან გადაასახლეს, ჩემი მფარველი იყო ექიმი შალვა მიქელაძე.

ძალაუნებურად უნდა გადავუხვიო ავტობიოგრაფიის ცნებას და მოგონებაში გადავიდე. ეს ისეთი ამბავია, რომ საქართველოს ცხოვრებაში ნულამც განმეორებულა. რამდენი აზრი, რამდენი ფიქრი მრჩება გამოუთქმელი ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

მჯერა, რომ ეკონომიური მდგომარეობა ჰკარნახობს რომელიმე აქტს და მოქმედებას, ისიც მჯერა, რომ „ველარ გაუძლებს ქვეყანა ძველი განახლების გრიგალის ქროლვას“, მაგრამ პირველ ხანში ვერ გავიგე, ვინ აიძულა, რომ ქართველს მოეკლა ილია. თურმე დიდი ქსელები ყოფილა გაბმული ამ დიდი

ადამიანის წინააღმდეგ. ისევე, როგორც საქართველოს წინააღმდეგ წინადაც (და შემდეგაც) აბამდნენ ქსელებს, მაგრამ საქართველო უფრო მაშინ ძლიერდებოდა, როცა მეტი განსაცდელი მოელოდა მოშურნე გარენარებისგან. ილიას ირგვლივ აგორდა ისეთი ინტერესები, რომელმაც ინტერესებმაც შემდეგ საქართველოს მტრები ჩახოცა, ხოლო პიროვნებები ძალის კერძად გახადა. რას ემართლებოდნენ, რას ერჩოდნენ თვით ჩვენიანი განათლებულნი ილია ჭავჭავაძეს – განა ამაზე პასუხი არსებობს? დეგენერატები, ნაძირალები ჰბოდავდნენ და პარტიას ეფარებოდნენ. პარტიას ამოეფარა იმპერატორის ჟანდარმერიაც ჯაშუშების შემწეობით და მოჰკლეს ილია, მოხუცი, უკვე ერთის ფეხით სამარესთან მისული. იმდენად მოუთმენლები გამოდგნენ, რომ აღარ აცალეს თავისი ბუნებრივი დასასრული და მოჰკლეს ილია.

და მოხდა ანღრევა. ჟანდარმერია ეძებდა მკვლელს, პარტიაც ეძებდა მკვლელს და მან, ილიამ, საქართველოს მტრები თავის სიკვდილით დამარხა სამუდამოდ, დესპოტიც და დემაგოგიც. და კიდევ რამდენს დამარხავს, ამას მომავალი თაობა დაითვლის. ოხ, ეს მოგონება საშინელია!!! ისევ სჯობია, დაეუბრუნდე საკუთარს ამბავს, რადგან თემა ეს არის. 1909-10 წელს მოხდა საქართველოში მთლიანი პოგრომი ინტელიგენციისა, პარტიის განურჩევლად ყველანი დაიჭირეს და გადაასახლეს. ჯაშუშები, რასაკვირველია, ქართველები იყვნენ და შემდეგ ჯაშუშების ვინაობა გამოირკვა კიდევ. საზიზღარი ყოფილა ადამიანი. კეთილ დანყოფას თან აეკვიატება მახინჯიც და მახინჯი უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებს, მაგრამ არა საბოლოოდ.

ესეც საკვირველია და საფიქრებელი. რად ზეიმობს მუდამ ბოროტმზრახველი? აი, ამ ჟამადაც, მოვსპეთ, ვინც ბოროტმზრახველები იყვნენ, მაგრამ ბოროტმზრახველები მაინც ყოველ ფეხის გადადგმაზე თავს წამოჰყოფენ ახალ იდეის სახელით. საკვირველი ამბავია. მაგრამ ადამიანი ყველაზე საზიზღარი ქვემძრომი ყოფილა.

მე ვითომ ვწერ ავტობიოგრაფიას, მაგრამ ნამდვილად კი გავაბი გლახა ჭრიაშვილივით.

კოტე მაყაშვილის და სამსონ ფირცხალავას (სიტყვა) მეცადინეობით გავემგზავრე საზღვარგარედ 1911 წელს. დავყავ შევიცარიაში და შემდეგ გერმანიაში. ამის მოთხრობა გრძელია და სხვა დროისთვის გადავდოთ.

მკითხველს საბუთი აქვს მითხრას: ან რასაც სწერ, ვინ გეხვეწება, რატო ენას არ დაიმუნჯებ და შენთვის არ დაეგდებო? მართალი იქნება მკითხველი, მაგრამ ზოგიერთი ცნობისმოყვარე მეგობარი მაინც მაიძულებს: სათქმელი სთქვიო. რომელს დაუფუჯრო? ალბად ფიქრობენ: მოხუცადა, საცაა გადაირეხვება და კიდევ რამეს გამოვრჩეთო, მაგრამ მე კიდევ დიდხანს ვაპირებ სიცოცხლეს. საითაც გავიქეც, იქით წავიქეც. საზღვარგარედ წასვლით, სხვა სარგებლობასთან ერთად, ის სარგებლობაც ვნახე, რომ დღევანდლამდე გული დაკოდილი დამრჩა, ჩემი უმცროსი ძმა ვასილი იქ დაიღუპა. პირველ იმპერიალისტურ ომში იქ ჩარჩა და უკვალოდ დაიკარგა, ალბად, მოჰკლეს გერმანელებმა. მე კი იმ დროს გერმანელებს როგორ თანაუფერძნობდი. ალბად მოხიბლული ვიყავ გიოტეს, შილლერის, ჰეგელის, ფიხტეს და სხვების მიერ!

საქართველოში დავბრუნდი 1914 წელს და სარაევოში კიდევ გასქდა ყუმბარა. მოკლეს ერცჰერცოგი. აირია ქვეყანა. საწყალი ჩემი ძმა, რატომ თან

არ წამოვიყვანე, იქნებ გადარჩებოდა, მაგრამ სწავლის წყურვილმა დაგვძლია მეც და ისიც და ის იქ დარჩა – სწავლის მაგიერ ტყვია მიაგებეს.

ჩემი ცხოვრება ცხრაასხუთიდან სულ შფოთი და ლელვაა. სიხარული იშვიათი, სიკვდილი მრავალი! მეც რამდენჯერმე ვყოფილვარ სასიკვდილოდ მიზანში ამოღებული, მაგრამ გადავრჩენილვარ – ამაზე ოდესმე შემდეგ, თუკი დამცალდა.

1914 წლიდან ვიდრე 1916 წლამდე საქართველოში ვიყავ და არც ვიყავ. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულს ყველაფერი მეუცხოვებოდა და მეც ყველას ვეუცხოვებოდი. მე ყველაფერი მეჩვენებოდა დაკნინებულად და მე სხვას ვეჩვენებოდი ამ ქვეყნიდან მონყვეტილად. ახლო მეგობრებიც კი თითქოს უცხონი იყვნენ, მათ ჩემი არ ესმოდათ, მე – მათი.

სამი წლის უმოქმედობის შემდეგ ვსთქვი: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“-მეთქი. მოველაპარაკე რამდენიმე ამხანაგს – ამ ამხანაგებზე ცალკე მოვილაპარაკოთ – და გადავწყვიტე გაზეთის გამოცემა. გამოვეცი კიდევ. ვიყავ მისი რედაქტორი. სახელად ერქვა ამ გაზეთს „საქართველო“. ეს იყო 1916 წლის დასასრულს.

რა იყო მიზანი ამ გაზეთისა? ბევრი არაფერი! ყოველ შემთხვევაში, ახალი არაფერი! ძველი ამბავი „Sturm und Drang“-ისა და მამულის სიყვარული. სანამ მე ვიყავ რედაქტორად, არავითარი პარტიული უკიდურესობა! ჩემს გაზეთში მრავალნი იღებდნენ მონაწილეობას სხვა პარტიებიდანაც, მხოლოდ ფსევდონიმით. „საქართველო“ გახდა ძალიან პოპულიარული, და რამდენადაც სახელოვანი ხდებოდა, იმდენად მტრებიც ირაზმებოდნენ და მოკეთენიც. კარი ხსნილი იყო და შემოვიდნენ ქვენაგანზრახვითაც. ორგანო არ ჰქონდათ ნაციონალ-დემოკრატებს და, აი, მოიტანეს ჩემს გაზეთზე იერიში. ტკბილის ღიმილით შემოვიდნენ, პოზიციები გაიმაგრეს გრ. ვეშაპელის მეთაურობით და ბოლოს, როცა მე გაზეთის საქმეებზე რაიონში ვიყავ წასული, ჩემსავე გაზეთში გამოაცხადეს თითქოს მე გაზეთს თავი დავანებე. გაშლილ სუფრაზე დასხდნენ პარაზიტები, მაგრამ დიდხანს არ უპარპაშნიათ.

რა უნდა მექნა ასეთ უსირცხვილობის წინააღმდეგ? ან სად იჩივლებდი? და ან ღირდა განა ასეთ ხალხთან შებრძოლება? კანონი არ იყო, არც ზნეობა – სულ ერთია, მაინც დამამარცხებდნენ ხროვა მგლებისა და გავეცალე.

ამჟამად თვით ჩემთვის საინტერესოა იმ დროს დანერგილი ლექსი, რომელსაც მხოლოდ ეხლა ვაქვეყნებ.

როგორ გავუძელ მე ამდენ ლელვას,
მუდამ შფოთს შიგნით, ანღრევას გარედ?
ხან დამარცხებას, ხან უხეშ დევნას,
ჩემსას, თუ სხვისას გოდებას მწარეს?

დღევანდელ დღემდე ცხრაასხუთიდან
ბრძოლა, ძიება დაუსვენარი.
ოფლი კი არა, სისხლი კუნთიდან!
ვერც იძლეოდა ნუგეშს ვერავინ!
გზაშიც მომიკლეს ჩემი მერანი!

დავეშვი თავქვე! ვნატრობდი ჯაგლაგს,
მაგრამ სად იყო? გზაც უტეხია;
სად ვიყავ ამ დროს, ან რომელ ალაგს?
ჩემს სულს სამოსიც შემოეხია!

აღმოვჩნდი ხიდის თავში მდგომარე,
ჩემ წინ გამვლელი მიეჩქარება!
გზა ერთს დავუთმე, კიდევ მეორეს,
მესამეც მოდის, მოიპარება.

ყველას ვთავაზობ: ქონდრის კაცს, ახმასს,
თავს ღირსად სცნობენ, გულში მღერიან;
და არვის უთქვამს, თითქმის არც ჩათლახს,
ან შენ მიბრძანდი, შენი ჯერია!

პირიქით, ყველა: ცრუ, კოჭლი, მავნე,
ძალით მწვეს უკან, იჭერს ჩემს ალაგს,
და პოეტების გვირგვინს ადგამენ
ვიღაც მანჭია რითმების დალაქს!

და ამის შემდეგ ვარჩიე გაცლა,
გულს ვაყოლებდი ნისქვილის ჩხრიალს;
ხან ბარს დავკრავდი ჩონგურის ნაცვლად,
ხან ნადირს ვდევდი ველურს და რქიანს.

ალარ მოგიტხრობთ ჩემს დაქორწილებას – გადავსახლდი სოფელში. ვე-
ნეოდი მეურნეობას. ზემოდ რომ ვახსენე ჩვენი სიძე სვანიძე, მისი დახმარე-
ბით ავაშენე ნისქვილი, შევიძინე სალენი მანქანა. მე თვით ვიყავ მენისქვი-
ლეც, მანტიორიც. არავის აღარაფერში არ ვენდობოდი. ვცხოვრობდი ასერი-
გად ჩემი ფიზიკური შრომით, ათასში ერთხელ მაინც დავამღერებდი ხოლმე
და ამ დამღერებულს თბილისშიაც ჩამოვიტანდი, მაგრამ გული მაინც გაბ-
ზარული მქონდა ახლობელ მეგობრებისგან. და კიდევ მოხდა ოქტომბრის
რევოლიუცია. საქართველოში შემოვიდა წითელი არმია და ალარ იყო ხსენება
ალარც მენშევიკის და ალარც ნაციონალ-დემოკრატიის. ყველანი მოისრისნენ,
მაგრამ იმდენად ვერა, რომ ველარ მოეწყოთ 1924 წლის ავანტიურა ბურჟუა-
ზიულ ქვეყნების წაქეზებით, რომელმა ავანტიურამაც მრავალი იმსხვერპლა
და პირადად მეც დიდი ტანჯვა და მწუხარება მომაყენა. ამაზე სხვა დროს.

როგორც ვსთქვი, მწერლობა დავინყე და თავი პოეტად მომქონდა 1905
წლიდან ეს ის ხანა იყო, როდესაც ძველი ბუმბერაზები უკვე ამ ქვეყნი-
დან მიდიოდნენ, ან აპირებდნენ წასვლას – ყველას პირადად ვიცნობდი,
მაგრამ უფრო დაახლოვებული ვიყავ ვაჟა-ფშაველასთან. მასზე მე უკვე
მქონდა მოგონება. სამი თუ ოთხი წლის შემდეგ პოეტები და ბელეტრისტე-
ბი ისე გამრავლდნენ, როგორც სოკოები ავდრის შემდეგ. ყველა მათზე მე
წლოვანებითაც უფროსი ვიყავ და სამწერლო სტაჟითაც. ადვილი გასაგებია,
უმრავლესობა ამ მწერლებისა პირველ ხანებში მე მბაძავდნენ, არა თუ მბა-
ძავდნენ, ხან ჩემი მთელი სტრიქონები და ხან მთელი ლექსებიც გადამღერე-
ბული ჰქონდათ. ნახეთ ძველი ჟურნალ-გაზეთები და ამაში დარწმუნდებით.

ვგონებ, ხუთმეტის წლის შემდეგ წამოიზარდა ახალი თაობა მწერლებისა – გამოიშალნენ დიდის რიხით და დიდის ტრაბახით. მათ დაარღვიეს მწერლის მოკრძალება, ჰბაძავდნენ უცხო დებოშიორებს და დეკადენტ-ფუტურისტებს – მათ ნაყოფი გამოიღეს, მაგრამ არც იმდენი, რამდენადაც ქუხდნენ. მათ ჩემს წინააღმდეგაც (პირველ ხანებში) გამოილაშქრეს და მიპირობდნენ გაბურთავენას. რამდენჯერმე სცადეს კიდეც, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, როდესაც რქები დაუმტვრია სინამდვილემ, ასე თუ ისე კალაპოტშიაც ჩადგნენ და მეც ისე რიგად დამიახლოვდნენ, რომ უერთმანეთოდ ველარ ვძლებდით, „ერთად ვსვამდით და ვლხინობდით, ჰარალოს გავიძახოდით!“

ამ მწერლებში ბევრი ნიჭიერი იყო და სანიმუშო ლექსებიც დასტოვეს. მათ შორის თავიდანვე გამოირჩეოდა გიორგი ლეონიძე. პირველ მის გამოსვლებს მე ჩემს გაზეთში დიდ ადგილს ვუთმობდი და დიდს ყურადღებასაც ვაქცევდი. მე მოხარული ვარ, რომ ჩემი ალლო და იმედი გამართლდა. და დღეს გიორგი ლეონიძე არის ჩვენი ლიტერატურის და კერძოდ პოეზიის ერთი დამამშვენებელთაგანი. უფრო ვრცლად შემეძლო შევხებოდი ამ მწერლებს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

შეიძლება, მკითხველს გაუკვირდეს, რომ ჩემს დრამატურგობაზე და თეატრთან დამოკიდებულებაზე არაფერს ვლაპარაკობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრების მეტი წილი ამ საქმეს მოვანდომე – წარმოიდგინეთ, ოცამდე ორიგინალური პიესა მაქვს, რამდენიოდე კიდეც ნათარგმნი – მაგრამ მათგან მე მხოლოდ ოთხიოდე მიყვარს და მომწონს.

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი უმთავრესად ჩემს პიესებზე იყო (და ნაწილობრივ დღესაც არის) დამყარებული.

იყო ერთ დროს ყალბი შეხედულება, რომ თეატრში არის მთავარი რეჟისორი, შემდეგ მსახიობი და ბოლოს დრამატურგი თავის პიესით. ანუ სხვანაირად, პიესა იყო მხოლოდ მასალა,¹ რომელსაც რეჟისორი ისე გამოიყენებდა, როგორც მას მოესურვებოდა – ასეთი შეხედულების მიხედვით, ხანდახან პიესას ისეთს ქირურგიულ ოპერაციებს უკეთებდნენ, რომ ავტორის მხოლოდ გვარი და სახელი ლა რჩებოდა. ასეთი შეხედულება ნიჭიერმა რეჟისორმა – კოტე მარჯანიშვილმა გაამეფა ჩვენში, თუმცა ბოლო ხანებში მან უკან დაიხია, მაგრამ მისი მოწაფეები კიდეც დიდხანს განაგრძობდნენ ამ გზაზე სიარულს. ასეთი შეხედულების წინააღმდეგ დრამატურგები აცხადებდნენ პროტესტს, პირადად მეც მოვათავსე წერილები: „თეატრი რეჟისორის, თუ დრამატურგის“. მაგრამ არც სხვისას და არც ჩემს ხმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. შეურაცხყოფად მიაჩნდათ ამ პანია მანიაკებს, რომ შექსპირი თავის თანატოლად მიეჩნიათ.

არსებობს ხანდახან რალაც ფსიხოზი. კაცი რომ ამ ფსიხოზით ავად გახდება, მას მხოლოდ დრო და გარემოება გაჰკურნავს, რჩევა და მოსაზრება არ

1. ამასვე ამბობდნენ მამინდელი რეცენზენტ-კრიტიკოსები: ძველი დრამატურგია, როგორც ლიტერატურული მოვლენა... სადაც ლიტერატურა ბატონობდა თეატრზე, ველარ გამოდგება ახალ თეატრ. კულტურისთვის, სადაც დრამატურგია – უშუალოდ თეატრალური ხელოვნების ელემენტად და ისიც მასალობრივ ელემენტად უნდა განიხილებოდეს. „ქართული მწერლობა“, №6-7, გვ. 143.

მოქმედობს – პირიქით, აღიზიანებს და უკიდურესობაში აგდებს. გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო და ერთ დროს ჩვენი თეატრები ასეთ ნებას მიშვებულნი იყვნენ – ბოლოს პარტიას და ხელისუფლებას მოუხდა თეატრის საქმეებში ჩარევა, თორემ კლდეზე იჩეხებოდნენ.

ერთ ფაქტს აღვნიშნავ ჩემის ცხოვრებიდან, თუ თეატრში დიქტატორულ-მა ჟინიანობამ რა ნყენა და შეურაცხყოფა მომაცენა პირადად მე.

რუსთაველის თეატრი ნავიდა მოსკოვში საგასტროლოდ და წაიღეს უმთავრესად ჩემი პიესები. არავის არც უფიქრია, რომ ავტორიც თან წაეყვანათ. რა ღირსი იყო, ვინ იყო ავტორი, ეს ვილაც „მასალის“ მიმწოდებელი?! თეატრი კი ნავიდა და ჩვენ მათ გამარჯობაც ვუსურვეთ, მაგრამ აქ დარჩენილ ავტორებს (და უმთავრესად მე) გვერგებოდა სამი-ოთხის თვის დარჩენილი ჰონორარი. მე ვეუბნებოდი თეატრის რეჟისსორ-ხელმძღვანელს: თქვენ კი საზეიმოდ მიდისხართ და გზასაც დაგილოცავთ, მაგრამ იზრუნე და ჩვენც მოგვეცი ჩვენი ხვედრი ჰონორარი, დაგროვილი თითქმის თვრამეტ ათას მანეთამდე. ვითომ ძალს უყეფნია, ყურადღებაც არ მომაქციეს.

ავტორები ძალიან შეწუხდნენ და მე დამავალეს ცეკაში მივსულიყავ. მიველ ცეკაში და ავუხსენ მდგომარეობა. მეორე დღესვე ბანკიდან თეატრს ჩამოსწერეს თვრამეტი ათასი მანეთი და ავტორებმა გავინანლიეთ.

ეს გარემოება სწყენოდა თეატრის ხელმძღვანელს და რეჟისსორს და ასე რიგად გადამიხდა სამაგიერო: მიჩვილა სასამართლოში, რომ „ანზორის“ და „Latizannos“ (შილლერის „ყაჩაღების“) მთარგმნელი მე არ ვიყავ, და რაც სამი-ოთხის წლის განმავლობაში ჰონორარი ამელო, უკანვე მოითხოვდა. წარმოიდგინეთ რალაც მახინციებით ეს საქმე ჩემს დაუსწრებლად სასამართლოს გაერჩინა, საქმე რეჟისორის სასარგებლოდ გადაეწყვიტა (ო, ამას დიდი ისტორია აქვს. თურმე ვეჩილები, მსახიობები ჩემს წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ, როგორც ავტომატები) და მე დამადეს ყადაღა. გავშრი. გავწბილდი. სხვის შეუმჩნეველად გული მიტიროდა. ობოლო, ვის დაჰკრავ და ვინც გამზარდაო. ორ დღეში ჭალარა გამომერია... არ მოველოდი ასეთს უკიდურესობას. რასაკვირველია, ქვეყანა ჩალით არ არის დახურული და მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლების დროს – გავაგებინე, სადაც საჭირო იყო და ყველანი დაცოცხეს და, ვგონებ, მოსამართლეს გადააყენეს სამსახურიდან.

ეს ერთხელ ასე იძიეს შური. ხოლო მეორედ უარესი დღე დამაცენეს. რატომღაც ცხოვრებაში „ილბალი“ არ მაქვს. უთუოდ ვისთანაც მე სიკეთე მიმიძღვის, მან უნდა ან გული მატკინოს, ან სიკეთე ბოროტად გადამიხადოს.

ალბად თეატრის ხელმძღვანელებს ძალიან ეწყინათ, რომ გამარჯვებული გამოველ და ეძებდნენ მომენტს, რომ რამეში შარი მოედოთ.

ერთხელ თეატრში დავპატიჟე პოეტი შალვა აფხაიძე და ახლო მეგობარი ბორის შვარცი და მათთვის ორი კონტრამარკა ვთხოვე ადმინისტრატორს. იდგმებოდა ჩემი პიესა, უფრო ნამდვილი გითხრათ, ჩემმიერ გადმოქართულებული „ანზორი“. ადმინისტრატორმა კატეგორიული უარი მითხრა და მიმითითა შ. აფხაიძეზე, მაგას მე ბილეთიანსაც თეატრში არ შემოვუშვებო. თურმე შალვაზე ნაწყენნი იყვნენ რეცენზიის გამო.

მაშინ მეც კატეგორიულად მოვთხოვე, რომ ფასიანი ბილეთები მოეცა. ამაზედაც უარი მითხრა – მაშინ მე ვუნოდე მას რუსთაველის თეატრის წურბელა

და გამოველ. ნახეს მიზეზიც. საბუთიც. შეთხზეს ჭორები, რომ მე მთვრალი მივეჭერი, კოსტიუმი ლოჯაში მყოფს დავახიე. მისწერეს წერილი „კომუნისტის“ რედაქტორს, გაზეთში გამოსაშვებად. რედაქტორმა დამიბარა, ავუხსენ ყველაფერი დანვრილებით და წერილი არ დაიბეჭდა. ალბად ამან უფრო გააცეცხლა თეატრის „დიქტატორები“ და დაადგინეს: დახშულ იქმნეს ჩემთვის რუსთაველის თეატრის კარები, როგორც დრამატურგისთვის, ისე უბრალო მაყურებლისთვისაც! და ეს დადგენილება ჩამაბარეს კურიერის ხელით. ეს დადგენილება მქონდა სადღაც ქალაქებში და ამ ჟამად ვეღარ ვიპოვნე. რომ ეს ფაქტი მართალია, ამის მოწმენი არიან შალვა აფხაიძე, გუგული ბუხნიკაშვილი და სხვები.

მე ვფიქრობ, თეატრის ხელმძღვანელს აგულიანებდნენ მისი ცრუ-მეგობრები და განსაკუთრებით ერთი პატივმოყვარე და ინტრიგანი ქალი, მაგრამ სად ჰქონდა საკუთარი ჭკუა ამ ხელმძღვანელს? ეს ქალი ისე გათავხედდა, რომ თბილისის სცენა არაფრად მიაჩნდა და პრეტენზიები ჰქონდა პარიზის სცენაზე ეთამაშნა. აქ კატის კნუტს ჰგავდა და მას ეგონა, იქ ძუ ვეფხვად გამოჩნდებოდა. რეჟისორსაც ჩასჩინებდა: შენ ხარ, დრამატურგი ვინ ოხერია, რომ შენს გვერდით ახსენებენო.

ორი ათეული წლის მეგობრობა გვქონდა, ტკბილი და უწყინარი, რა მოხდა ბოლო დროს? რამ აამხედრა ასე რიგად ჩემს წინააღმდეგ. მე ხომ მისთვის სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია. თუ ცეკას საშუალებით ჩემი და ჩემი ამხანაგების კუთვნილი ჰონორარი ავიღე, განა ეს ასე რიგად სანყენად უნდა დარჩენოდა? დღემდე კიდევ ვერ გავიგე მაინც რა ამოქმედებდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სიღნაღის ადგილობრივი ხელისუფლებაც ძალიან ეჭვის თვალთ მიცქერდა.

რამდენჯერმე გამჩხრიკეს და დამიჭირეს კიდევ. მაგრამ ბოლოს გამოიკვია, რომ ვინც მე მიჭერდა და მაპატიმრებდა, თვით ისინი ყოფილან არა თუ დასაჭერნი, არამედ დასახვრეტნიც და ბოლოს დაიხვრიტნენ კიდევ.

კიდევ დამრჩა ერთი მუხლი: ამ ხნის განმავლობაში რა დამინერია? დამინერია ჩემი სულიერი ცხოვრების ავტობიოგრაფია და თუ ღირსეული აღმოჩნდა, შერჩება მომავალს და ფართე მასსაც გაიცნობს.

ისე კი არ ღირს, რომ მე ვისმე ყური გამოვუყრუო და ვიყვირო საკუთარ ნაწარმოებებზე. ის ნაწარმოებნი მე აღარ მეკუთვნიან და დაე, მათზე სხვამ იმსჯელოს. მხოლოდ ერთი ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობამ მომცა სახელწოდება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწისა და ორჯერ დამაჯილდოვა ორდენებით.

სანდრო შანშიაშვილი
1944 წ. 2. X

პარმენ რურუა

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	რურუა პარმენ იონას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ოდიშელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე სექტემბერი დღე 14
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბანძაში (გეგეჭკორის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1911 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	საქარ. პრ. მწერალთა ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დაბალი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>ხანდაზმულობის გამო მოხსნილია</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა, ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ტეხ. რედაქტორი აჭარ-გამომ-ცემლობისა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>აჭარის შ. 5</p>

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1901	3	შავი მუშა	მანთაშევის ქარ- ხანა	ბათუმში
1903	17	მკერავი	სამკერვალო სახელოსნო	„-“
1928	30	ლიტწრის ხელ- მძღვანელი	ბათუმის მუშათა კლუბში	ბათუმში
1930	37	ოპერატორი	ნავთის ქარხანა	
1937		გამომშვები	აჭარის სახელ- მწიფო გამომ- ცემლობა	

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პარმენ იონას-ძე რურუას ავტობიოგრაფია

დავბადებულვარ 1888 წლის 14 სექტემბერს (ახალი სტილით) ღარიბი გლეხის ოჯახში, სოფელ ბანძაში (სამეგრელო).

თორმეტი წლის ვიყავი, როდესაც ხელზე მოსამსახურედ დამაყენეს სასულიერო პირის ოჯახში იმ მიზნით, რომ წერა-კითხვაც მესწავლა.

1900 წელს მამა, თავისი ხელმოკლეობისა და სიღარიბის გამო, იძულებული გახდა, მიეტოვებია სოფელი და წამოსულიყო ბათუმში, სადაც დაიწყო მუშაობა მანთაშევის ქარხანაში. 1901 წელს სამუშაოდ იმავე ქარხანაში მეც მოვეწყვე, სადაც დავყავი 1902 წლის ბოლომდე, რის შემდეგაც, ავათმყოფობის გამო, მივატოვე ქარხანა და 1903 წელს შევირდად მივებარე თერძს. სამი წლის შევირდობის შემდეგ 1912 წლამდე ვმუშაობდი ქარვლად.

1913 წ. 1917 წლამდე მქონდა პატარა სახელოსნო. 1911 წელს შევედი რ.ს.დ.მ. პარტიაში. ამავე წელს დავიწყე ლექსების წერა. პირველი ლექსი „იმედი“ დაიბეჭდა 1911 წელს „ბათუმის გაზეთში“, პ. ოდიშელის ფსევდონიმით. ვთანამშრომლობდი, როგორც ბათუმის, ისევე ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. წერილებსა და ლექსებს ვბეჭდავდი პ. ოდიშელისა და სხვა ფსევდონიმებით.

1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ომის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელებისათვის, როგორც შემჩნეულ პირს, ღამით თავზე დამესხნენ ჟანდარმები, მაგრამ მე მოვასწარი გაქცევა. მათ წაიღეს ჩემი როგორც დაბეჭდილი, ისე ბევრი დაუბეჭდავი ლექსების ხელნაწერები. ამის შემდეგ თებერვლის რევოლუციამდე არალეგალურ პირობებში მიხდებოდა ცხოვრება.

1917-1918 წწ. ვიყავი ბათუმის რ.ს.დ.მ.პ. კომიტეტის წევრი. 1919 წ. 1920 წლამდე ვმუშაობდი სოფელში და ვენეოდი სოფლის მეურნეობას.

1919 წელს, როდესაც ჩემთვის ნათელი გახდა მენშევიკების მიერ რევოლუციისათვის ღალატი, საბოლოოდ დავტოვე მათი რიგები.

1920 წელს კვლავ ბათუმში დავბრუნდი. 1930 წ. – 1937 წლამდე ვმუშაობდი ბათუმის ნავთის გადასამუშავებელ ქარხანაში. 1937 წლიდან ვმუშაობ აჭარის სახელგამის საწყობში.

ჩემი პირველი ლექსების წიგნი გამოიცა 1927 წელს. 1937 წ. გამოიცა საბავშვო ლექსების კრებული „ბუნება და ბავშვები“ და 1939 წ. საბავშვო პოემა „კუდაბზიკები“.

პ. რურუა

ჩემი ნაწარმოებების სია

1. „ლექსების კრებული“. 2. „ბუნება და ბავშვები“. 3. „ნაცარქექია“. 4. „ოქტომბერს“. 5. „მხატვრული სიმღერები“. 6. რჩეული ლექსების კრებული. 7. ლექსების ციკლი ლაზისტანზე და სხვ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლდიაშვილი 1956 წ.

ვადასტურებ სამდევ. გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დანელია სერგი¹

დანელია სერგი იესეს ძე დაიბადა 1888 წ. 15 ოქტ. (ახ. სტ. 28 ოქტ.), სა-
მეგრელოს განაპირა კუთხეში (სოფ. ნაჯახუ), რომელიც ცხენის-წყლის მარ-
ჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ხონის მახლობლად. მისი მამა ცნობილი იყო
მეზობელ გლეხებს შორის თავისი ენერგიით და ინიციატივით და ერთ დროს
შეძლებულ კაცად ითვლებოდა სოფელში, მაგრამ ბოლოს, მრავალ არა-ხელ-
საყრელ შემთხვევათა გამო, გაღარიბდა და ადგილობრივ მევახშეებს ჩაუვარ-
და ხელში. ორი წლის იყო ს. დანელია, როდესაც მას დედა გარდაეცვალა, და
ნორჩი ბავშვი წაიყვანა ბებიამ თავის სოფელში (აბაშა) მოსავლელად. 1894
წელს ს. დანელია დაუბრუნდა მამას, რომელმაც იმავე წელს შეიყვანა ის
ბანძის სამრევლო სკოლაში, სადაც უკვე სწავლობდნენ ს. დანელიას უფროსი
ძმები. უნდა ითქვას, რომ იესე დანელიას, თუმცა მას თვითონ დიდი სწავლა
არ მიუღია, ესმოდა სწავლის მნიშვნელობა, აფასებდა მას არა მხოლოდ უტი-
ლიტარული თვალსაზრისით და, მიუხედავად თავისი უკიდურესი სიღარიბისა,
ძალიან მონდომებული იყო, მიეცა შვილებისათვის განათლება. სამრევლო
სკოლაში ს. დანელიას სწავლის კარგი ნიჭი აღმოაჩნდა, და ის სწრაფად დაწი-
ნაურდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა, სილოვან გაბუნიაშვილმა, რომელიც თვითონ
გიმნაზიის უფროსი კლასის მონაწილე იყო და ხალხოსნურ იდეების ერთგვარ
გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მიაქცია ს. დანელიას ყურადღება, წაიყვანა ის
ქუთაისში და მოამზადა გიმნაზიისათვის. გიმნაზიაში დანელიამ დაჰყო 1898
წლიდან 1905 წლამდე, ძალიან მძიმე მატერიალურ პირობებში. 1905 წელს მო-
წაფეთა ანტი-მონარქისტულ გამოსვლებთან დაკავშირებით, დანელია გამოვიდა
გიმნაზიის მეექვსე კლასიდან, ხოლო 1906 წელს მან ჩააბარა გამოცდა სიმწი-
ფის მონმობაზე და შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც ის აქტიურად
ჩაება ქართველ სტუდენტების სათვისტომოს საზოგადოებრივ მუშაობაში.
1908 წ. დანელია გადაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილო-
ლოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიურ განყოფილებაზე. მოსკოვის უნივერ-
სიტეტის დასრულების შემდეგ (1911 წ.), დანელია ეწვეოდა მასწავლებლობას
(ხერსონის, ფოთის, სტანიცა მიხაილოვსკაიას და ახალციხის გიმნაზიები), ხო-
ლო 1919–1921 წწ. ასრულებდა საქართველოს უმაღლეს და საშუალო სას-
წავლებელთა მთავარგამგის მოვალეობას ტფილისში. 1922 წლიდან დანელია
მუშაობს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ დოცენტის, ხოლო
1929 წლიდან – პროფესორის თანამდებობაზე.

სამეცნიერო მუშაობა დანელიამ დაიწყო 1910 წელს (დაუბეჭდავი სა-
კანდიდატო გამოკვლევა „რენე დეკარტის გნოსეოლოგია“), ხოლო ლიტერა-
ტურულ-კრიტიკული მოღვაწეობა – 1926 წელს (ნარკვევი ვაჟა-ფშაველა და
ქართველი ერი“). დანელიას წერილები ლიტერატურულ თემებზე იბეჭდებო-
და ჟურნალ-გაზეთებში: „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურული გაზეთი“,
„ჩვენი თაობა“, „მნათობი“, „კოლექტივიზაცია“, „კომუნისტი“, „ტფილისის

1. ავტობიოგრაფია სერგი დანელიას მიერ მესამე პირობა დაწერილი (გამომ-
ცემლის შენიშვნა).

სახ. უნივ. შრომები“, „ბოლშევიკური კადრებისათვის“, „На рубеже Востока“ და „Литература и Марксизм“. ეს წერილები ეხებიან, როგორც რუსულს, ისე ქართულ ლიტერატურას (წერილები ნ. ჩერნიშევსკიზე, აკაკი წერეთელზე, დ. შენგელაიას რომანზე, პუშკინის ქართულ თარგმანებზე). დანელიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ ავტორი ცდილობს კერძო ლიტერატურული საკითხი ჯერ აიყვანოს ზოგადი პრობლემის დონემდე და შემდეგ გადანყვიტოს იგი ფილოსოფიური არგუმენტაციის საშუალებით. მხატვრულ ნაწარმოებში დანელიას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ ნაწარმოების იდეური შინაარსი, რომლის ზუსტს დახასიათებას ის თვლის თავის მთავარ გამოცანად. დანელიას ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებიდან ყველაზე უფრო მეტი ოპოზიციაცია გამოიწვია მისმა ნარკვევმა „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, სადაც ატორმა, წინააღმდეგ ტრადიციად ქცეულ შეხედულებისა (კიტა აბაშიძე და სხვ.), პირველად სცადა დაემტკიცებია, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიაში სრულიად არ მოიპოვება სიმბოლიზმის ნიშნები, რომ იქ მოცემულია წარმართული (ანიმისტური) მსოფლგაგება, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება სიმბოლიზმს და იმ სოციალური წრის ნაცოფს წარმოადგენს, სადაც ვაჟა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ერთი შეხედვით, ცდა მწერლის შემოქმედების გაგებისა, მისი სოციალური წრის გათვალისწინების საშუალებით, უახლოვდება მარქსისტულ მსოფლმხედველობას. მაგრამ თავისი დამოკიდებულება მარქსიზმთან გარკვეულს ფორმულეებში დანელიას არ ჩამოუყალიბებია, რის გამო მას ერთ დროს მარქსიზმის მოწინააღმდეგედ თვლიდნენ და ძალიან ცხარედ აკრიტიკებდნენ („კომუნისტი“, 1927 წ., 30 მარტი; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1928 წ., 13 დეკემბერი; „На рубеже Востока“, 1928 წ., №8; „განათლების მუშაკი“, 1930 წ. 29 დეკემბ.; „სალიტერატურო გაზეთი“, 1931 წ., 21 ნოემბ.; „კომუნისტი“, 1934 წ., 8 აგვისტო), რაც თვითონ დანელიას განცხადებით არ იყო სწორი („კომუნისტი“, 1934 წ., 10 აგვ.). 1934 წ. დანელია აირჩიეს საქართველოს ს.ს.რ. მწერალთა კავშირის წევრად: ის შედის კრიტიკოსთა სექციის ბიუროში. 1935 წელს საქ. ს.ს.რ. მთავრობის განკარგულებით დანელია დაინიშნა პუშკინის საიუბილეო რესპუბლიკანურ კომიტეტში და მონაწილეობა მიიღო პუშკინის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემის მომზადების საქმეში.

1926 წელს დანელიამ წარადგინა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისსერტაცია „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“, რომელიც ანტიკური ქვეყნიერების ერთ-ერთი მოაზროვნისა და გამოჩენილი პოეტის გამოკვლევას წარმოადგენს. დისსერტაცია მოწონებული იქნა, და 1927 წელს დანელიამ საჯაროდ დაიცვა იგი, რისთვისაც მას მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დანელიას სამეცნიერო მუშაობა მომეტებულად ეხება ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებს („ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“, „Теория нравственности Гелленика“, „დავით იუმი, როგორც მოაზროვნე“, „სოკრატის ფილოსოფია“ და სხვ.). აქვს მას ნაწერები პედაგოგიკის საკითხებზედაც, რომლებიც მომეტებულად დაბეჭდილია ჟურნალებში („განათლება“, 1916 წ., 1919 წ., 1920 წ.; „მნათობი“, 1927 წ.; „განათლე-

ბის მუშაკი“, 1928 წ.), ზოგიერთი კი ცალკე წიგნად არის გამოცემული („Оценке знаний“, 1917 წ.). დანელიას პედაგოგიური შეხედულებით, აღზრდის მიზანია ბავშვის გადაქცევა პიროვნებად, რის შესაძლებლობა თვითონ ბავშვში არის მოცემული, როგორც გამოუვლენელი მიდრეკილება. აღმზრდელის მთავარი ფუნქცია კი იმაში შედგება, რომ დაიცვას ბავშვის ეს მოცემული მიდრეკილება გარედან მომდინარე მავნე გავლენებისაგან. დანელიას სამეცნიერო ნაშრომებს შორის ყველაზე მეტი გამოხმაურება ჰპოვა გამოკვლევამ „О философии Грибоедова“, რომლის შესახებ რეცენზია დაიბეჭდა გერმანულ ენაზედაც (საზღვარგარეთელ ჟურნალში *Balticoslavica*, 1934, I), ხოლო ყველაზედ უფრო მეტი პოპულარობით ქართველ მკითხველთა შორის სარგებლობს ნარკვევი „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, რომელიც ჯერ დაიბეჭდა 1925 წ. ჟურნალში „მარქსიზმის დროშა“ და შემდეგ ორჯერ იქნა ცალკე წიგნად გამოცემული (უკანასკნელად „სახელგამის“ პარტიგანყოფილების მიერ, 1933 წ.). დანელიას ფილოსოფიური წერილები დაბეჭდილია ჟურნალებში „ჩვენი მეცნიერება“ (1923 წ., №1), „განათლება“ (1920 წ., №2 და №5), „უნივერსიტეტის მოამბე“ (№3, №4, №6, №7 და №9), „მნათობი“ (1927 წ., №11-12). 1929 წელს დანელიამ მოათავსა მოსკოვის ჟურნალში „Научный работник“ (№9) წერილი „Научная жизнь в Грузии“, სადაც მან დაახასიათა მეცნიერული მუშაობა საქართველოში. უკანასკნელ დროს დაიბეჭდა დანელიას წიგნი „ნარკვევები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“, სადაც განხილული არიან რუსული მწერლობის კლასიკური ნარმომადგენლები (პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხვ.). დანელიას ნაწერებს საზოგადოდ ახასიათებს სადა და გასაგები ენა. ეს თვისება აქცევს ამ ნაწერებს ადვილად შესათვისებელ საკითხავ მასალად და ხელს უწყობს მეცნიერულ ცნებათა გავრცელებას ქართველ მკითხველთა ფართო მასსებში.

სეზმან ერთანმინდელი ავტობიოგრაფია (მოკლედ)

მე დავიბადე 25/XI, 1888 წ., სოფ. ერთანმინდაში (კასპის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. ადრე დავვობლდი და სოფლის სამრევლო სკოლის დაუმთავრებლად მივდევედი თვითგანვითარებას, როცა 10 წლისა ჩამომიყვანეს თბილისში და მიმაბარეს ხელობაზე (ვიყავი საზეინკლო, სადურგლო, საკონდიტრო და სასტამბო ხელობებზე – საქართველსა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში – 1914 წლამდე); აქედან – სანიტრად 1918 წლამდე; ამავე დროს – კორექტორად სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე; მერე – მეტაბელედ ფენსაცემლების სახელოსნოში, 1920 წლამდე. 1921 წლიდან 1927 წლის დასასრულამდე ვმსახურობდი წითელი არმიის ქართულ ნაწილებსა და გამომცემლობებში ლიტერატურულ და დრამატიულ ნრეების ხელმძღვანელად, მთარგმნელ-კორექტორ-გამომშვებად; ამავე დროს – 1921 წლის განმავლობაში – თბილისის რევკომის დრამწრის ავტორ-მსახიობ-ხელმძღვანელად; 1922 წლიდან 1926 წლამდე – საქ. კომკავშირის გამომცემლობაში ავტორ-კორექტორ-გამომშვებად; 1925 წლიდან 1928 წლამდე – საქ. სახელმწიფო და საგაჭრო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების კავშირთან არსებულ, ჩემს მიერ შექმნილ, ქართული „ლურჯი ხალათის“ დასის ავტორ-მსახიობად. 1927 წლიდან – ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ, სათადარგო მეთაური – ვმუშაობდი გამომშვებად ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებზე (გაზ. „კოლექტივიზაცია“ – 1934 წლამდე; ამავე დროს – შეთავსებით, ოთხ წელს – „სახელგამში“; მერე სხვებზე – „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, „საბჭოთა მასწავლებელი“ და სხვ.; ბოლოს – გაზ. „კომუნისტზე“ – 1943 წლის ოქტომბრამდე, სადაც გავხდი ავად და ახლა ვარ პენსიაზე).

1921 წლიდან ამ წლამდე ვიყავი ხელოვნების, მბეჭდავთა, და სარედაქციო-გამომცემლობების მუშაკთა პროფკავშირების აქტიური წევრი. როგორც წითელ არმიის, ისე რედაქციებსა და პროფკავშირებში ვწნეოდი საზოგადოებრივ მუშაობას და ბევრჯერ ვიყავი დაჯილდოებული (ფულად, საგზურებით და სხვ.).

1908 წლიდან 1928 წლამდე, დროგამოშვებით, ვმუშაობდი სცენაზე (თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქ-სოფლების თეატრებსა, სახალხო სახლებსა, მუშათა, წითელარმიელთა კლუბებსა, რადიოში და სხვ.) ავტორად, მსახიობად, ხელმძღვანელად.

1905 წლიდან 1919 წლამდე ვიყავი რსდმ(ბ)-ში და ვასრულებდი ორგანიზაციის ყოველ დავალებას (ბროშურების, ფურცლების გავრცელება მოსახლეობასა და ჯარში; მონაწილეობა – მიტინგებსა, დემონსტრაციებში, სცენაზე – სიტყვა, რევ-ლექსების, პიესების წერვა, კითხვა თამაში და სხვ.); 1919 წლის დასაწყისში მოხდა მე-33 ლაზარეთის ლიკვიდაცია, სადაც ვმსახურობდი. დაიშალა ჩვენი ორგანიზაცია და აღარსად მივმავრებულვარ – ჩამოვრჩი უნებურად; დავრჩი უპარტიო ბოლშევიკად. რევოლუციურ-პროფკავშირულ მუშაობისათვის რამდენჯერმე ვიყავი მეფის მთავრობის მიერ დაპატიმრე-

ბული და ადმინისტრაციულად დასჯილი – 1905-6-7 და 1912-1913 წლებში (თბილისსა, აბასთუმანსა და გორში).

1910 წელს გამოველ სამწერლო ასპარეზზე – რევოლუციური ლექსებით, მოთხრობებით, პიესებით. ვწერდი მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, სტუდენტთა, მეზღვაურთა, წითელარმიელთა, კომკავშირელთა, პიონერ-ბავშვთა ცხოვრებიდან და ბოლო დროს დიდი სამამულო ომის თემაზე; ვიბეჭდებოდი და ვიბეჭდები თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; ცალკე წიგნებად (ლექსები, მოთხრობები, პიესები) გამოცემულია 40-მდე; შემოვიღე ქართულ ენაზე ერთმოქმედებიანი რევ-პიესები, რევ-აგიტ-სატირა, რადიო-პიესები; ბევრი მაქვს აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავი ნაწერები; მაქვს თარგმანები რუსულიდან (ლექსები, მოთხრობები, პიესები) და ვარ თარგმნილი სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე; ვწერდი აგრეთვე მრავალ სხვა ფსევდონიმებით; ჩემს პიესაზეა დაწერილი რევ-ოპერა „ცისანა“; ჩემს ლექსებზე არის რომანსები და ბევრი წითელარმიული სიმღერები – ცალკე კრებულად გამოცემული; სამჯერ ავიღე პირველობა (ერთ მოთხრობასა და ორ პიესაზე) რესპუბლიკურ კონკურსებზე; ჩემზეა ბევრი რეცენზია და კრიტიკული წერილები; ვარ დაბეჭდილი აგრეთვე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში (მე-4 ტომი); აქტიური წევრი ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა მისი დაარსებიდან, ნაწერებში ვარ ორიგინალური და ვითვლები მასიურ მწერლად. ამჟამად ვწერ პიესას სამამულო ომზე.

სეზმან ალექსის-ძე ბატკოშვილი – ერთანმინდელი
25. XII. 43 წ.

ვასილ ეგნატაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1956 წლის 20 აგვისტოს ეგნატაშვილი ვასილ იაკობის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1888 თვე დეკემბერი დღე 27
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქალ. გორში (თბილისის გუბერნია)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მოთხრობა
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1908
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	19...
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი 1937 წლიდან
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, დაუმთავრებელი, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი კიევის, ხარკოვის და თბილისის უნივერსიტეტებში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მოხსნილი აღრიცხვიდან</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>უმალლესი საბჭოს დეპუტატი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„შრომის ნიტელი დროშის“ ორი ორდენი; სამამულო ომის პირველი ხარისხის ერთი ორდენი; სამი მედალი: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1917	1933	მასწავლებლად	შრომის სკოლებსა და ტექნიკუმებში	გორი, თბილისი, თელავი
1927	1930	თანამშრომელი	გაზ. „კომუნისტი“	თბილისი
1930	35	რედაქტორ-კონ- სულტანტი	სახელგამი	„-“
1935	1938	რედაქტ. მოადგი- ლე	გაზ. „კომუნისტი“	„-“
1938	მაისიდან	ცაკის მდივნის აღმსრულებელი		„-“
1938	წლის ივ- ლისიდან	პრეზ. მდივანი	საქართველოს უმაღლესი საბ- ჭოსი	თბილისი
		დირექტორი	საქართველოს სალიტერატურო მუზეუმისა	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. გორში, თბილისის გუბერნიაში, 1888 წლის 27 დეკემბერს. მამა ჩემი იყო გლეხი, მცხოვრები სოფ. რუისში. 25 წლის ასაკამდე ვიყავი მოჯამაგირედ, ხოლო შემდეგ ვენეოდი მეღვინეობას და ღვინით ვაჭრობასაც.

პირველად ვსწავლობდი გორში, შემდეგ კი – თბილისის გიმნაზიაში. მეექვსე კლასიდან გარიცხული ვიქენი სხვებთან ერთად რევოლუციური მოძრაობისათვის, რის შემდეგ გადავედი სასწავლად ქართულ გიმნაზიაში (ქართულ ენაზე ასწავლიდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულსა და საქართველოს ისტორიას). ეს სასწავლებელი დავამთავრე 1912 წელს, იმავე წელს შევედი კიევის სახ. უნივერსიტეტში ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსზე გადასვლის შემდეგ დავბრუნდი საქართველოში საზაფხულო არდადეგებზე, 1913 წლის ივლისის დასაწყისში, სადაც ვიქენი დაპატიმრებული და ჩამსვეს მეტეხის ციხეში. ციხეში ჯდომის 4 თვის შემდეგ გადაგზავნილი ვიქენი ხარკოვში სამი წლით. შემოდგომაზე 1914 წ. შევედი ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ხარკოვში ცხოვრებისას, ისე როგორც კიევში, სისტემატურად ვმუშაობდი და ვხელმძღვანელობდი პოლიტიკურ ჟურნალებს.

მესამე კურსზე გადასვლისას მეც გამითავდა გადასახლების ვადა და 1916 წელს ყველა სტუდენტები გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და სასწავლებელში და ჩვენც გამოგვიშვეს სახლში, თითო თვით. ვინაიდან 1917 წლის რევოლუციამ მოგვისწრო, მეც აღარ ვიქენი წაყვანილი სამხედრო სასწავლებელში.

1919 წელს შევედი თბილისის სახ. უნივერსიტეტში და 1921 წლამდე მოვისმინე ხუთი უკანასკნელი სემესტრები (4, 5, 6, 7, 8).

1915-1916 წლებში ხარკოვში სტუდენტობის დროს ვმუშაობდი, სწავლასთან შეფარდებით, სხვადასხვა ქარხნებში.

1917 წლიდან მოღვაწეობა დავიწყე პედაგოგიური ხაზით, პირველად გორის საშუალო სასწავლებელში, შემდეგ 1922 წლიდან, უფროს კლასებში თბილისის შრომის სკოლებში და ტექნიკუმებში (ერთი წელი ვიყავი გამგის მოადგილეთ და მასწავლებლადაც თელავის ათწლედში და თელავის პედაგოგიური ტექნიკუმისაც). აგრეთვე თბილისში ვკითხულობდი ლექციებს სხვადასხვა კურსებზე და სარედაქტორო კურსებზედაც 1935-1936 წლებში.

რევოლუციური მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი 1905 წლიდან.

ლიტერატურული მუშაობა დავიწყე ადრე 1908 წლებში. პირველად ვწერდი მოთხრობებს და შემდეგ სხვადასხვა ხასიათის წერილებს (პუბლიცისტიკა, ისტორია მუშათა მოძრაობისა, ლიტერატურული კრიტიკა და სხვ.).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, 1922 წლიდან, ვმუშაობდი – პირველად მთარგმნელად, შემდეგ ლიტერატურულ რედაქტორად პარტიული ლიტერატურის ხაზით (აგრეთვე რედაქტირებას უკეთებდი მარქსიზმის კლასიკოსებს – მარქსსა და ლენინის ნაწერებს).

1927-1930 წლებში ვმუშაობდი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მთარგმნელად, შემდეგ კი 1935-1938 წლებში რედაქტორის მოადგილედ ვიქენი გადაყვანილი.

1938 წლიდან ვმუშაობ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვმუშაობდი აგრეთვე მეთოდისტად რადიო-ცენტრის უმაღლესი განათლების დაუსწრებელ კურსებზე, 1932–34 წლებში ვიყავი უფროსი მსწავლელი თანამშრომელი საქართველოს მუზეუმისა, ლიტერატურული მუშაკი გაზეთ „კოლექტივიზაციისა“. ვმუშაობდი აგრეთვე სახელგამში პირველად მთარგმნელად, შემდეგ რედაქტორად და რედაქტორ-კონსულტანტად პარტგამომცემლობაში და მრავალ სხვა ორგანიზაციებში.

პროფკავშირის წევრი ვარ 1917 წლიდან.

სკკპ წევრი ვარ 1937 წლიდან.

ვმუშაობ ამჟამად რედაქტორად ლენინის ტომების ქართულ გამოცემებზე.

ვარ საკავშირო უმაღლესი საბჭოს სამი არჩევის დეპუტატი, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამი არჩევის დეპუტატი და თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოვებული ვარ ექვსი ორდენით და მედლებით.

ჩემი ნაწარმოებები, 1946 წლამდე

1. „ჩვენება“,
2. „ქანდაკი“,
3. „ვაჩე ბრძენი“,
4. „გიორგი მერაბიშვილი“,
5. „გზაგაყრილები“,
6. „მოთეთრო ყვავი“,
7. „სტალინის თხზულებათა ქართული ტექსტის რედაქცია“.

1946 წლიდან: ვ. ი. ლენინის თხზულებათა (მეორე ტომიდან) სისტემატიური რედაქტორობა ქართული ტექსტებისა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1941 წელს, 1 თებერვალს ვალერიან ივანეს-ძე გაფრინდაშვილი
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1889 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	ცოლ-შვილიანი
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1915 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„ცისფერ ყანწელთა“ კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	–

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, იურიდიული ფაკულტეტი მოსკოვის უნივერსიტეტისა
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, რამდენიმედ ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მობსნილი სამხედრო სამსახურიდან</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ლიტერატორი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1939 წელს დაჯილდოებული ვიცავი „საპატიო ნიშნის“ ორდენით</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ცხოვრობდა რუსთაველის პრ. 31</p>

შეესებულება 1937 წ.

„ — “ _____ 195 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვალერიან ივანეს-ძე გაფრინდაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1889 წ. ქუთაისში მასწავლებლის ოჯახში.

საშუალო განათლება მივიღე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

შემდეგ ვსწავლობდი ყოფ. საიმპერატორო უნივერსიტეტში მოსკოვში, დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი 1914 წელს.

წერა დავიწყე გიმნაზიიდან რუსულ ენაზე. პირველი ჩემი თარგმანი ფრანგი პოეტი სიულლი პრიუდომისა დაიბეჭდა მოსკოვის „საორშაბათო გაზეთში“. დავბეჭდე მოსკოვში სერგეი გოროდეცკის ჟურნალში „ხელოვნება“-ში ჩემი ლექსები – რუსულად. მოსკოვში ყოფნისას ვნახე ლევ ტოლსტოი მისი სიკვდილის წინა დღეებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გაკვეთილებს ვაძლევდი ქუთაისის ერთ-ერთ გიმნაზიაში.

პირველი ჩემი ქართული ლექსი დაიბეჭდა 1915 წელს, 1919 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „დაისების“ სახელწოდებით. ვიყავი ყოფ. „ცისფერ ყანწელების“ ჯგუფის მიმდევარი, რომელიც გასაბჭოების დღეებიდანვე თანდათან დაიშალა.

1921 წლიდან გადმოვედი მუდმივ საცხოვრებლად თბილისში, რათა მთელი ჩემი მუშაობა გადამეტანა ლიტერატურის დარგში. ვთარგმნე ქართულიდან რუსულად ქართველი კლასიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც გამოვიდა ცალკე წიგნად სახელგამის მიერ. ვიყავი ჟურნ. „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორი.

ოქტომბრის რევოლუციის ზეგავლენით დავიწყე ინდუსტრიალურ თემებზე ლექსების წერა (ზაგესი, ფერო და სხვ.).

ჩემს მიერ გადათარგმნილია ალ. ბლოკის „თერთმეტი“, პუშკინის „ბრინჯაოს მხედარი“.

1926 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების მეორე წიგნი.

რამდენიმე წელი ვმუშაობდი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ლიტერატურის განყოფილების გამგედ.

კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის დავალებით ვთარგმნე მთელი რიგი საბჭოთა პიესებისა და აგრეთვე გუცკოვის – „ურიველ აკოსტა“ და შილერის „ყაჩაღები“, შელლის „ბეატრიჩე“ და სხვ.

ვიყავი ჟურნალ „დროშას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

უმთავრესად ჩემი მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების საზით. ვიყავი ერთ-ერთი პ/მგ. მდივანი, მასიური მუშაობის ხელმძღვანელი და მთარგმნელთა სექციის ხელმძღვანელი.

ჩემი ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვარ უმაღლესი ჯილდოთი – „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

ჩემი ნაწარმოებები: 1. წიგნი „დაისები“ – ლექსები, 1919 წ. 2. ლექსების კრებული, სახელგამის გამოცემა, 1927 წ. 3. „ურიველ აკოსტა“, გადათარგმნილი. 5. „ინტერესთა თამაში“, თარგმანი. 6. ალ. ბლოკის „თორმეტი“. 7. მაქვს თარგმნილი გოეტედან, ჰეგოდან, ბერანჯედან, და სხვ. 8. მაქვს კრიტიკული წერილები ქართველ და უცხოელ პოეტებზე: ნ. ბარათაშვილზე, დ. გურამიშვილზე, ს. მალარმეზე, ს. ესენინზე, ნ. ნეკრასოვზე და სხვებზე.

აგრეთვე თარგმნილი მაქვს პრ. პოეტების ლექსები ქართულ ენაზე: დ. ბედნი, ვ. მაიაკოვსკი, კაზინი, გერასიმოვი და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

* * *

დავიბადე 1890 წელს ქუთაისში, მასწავლებლის შვილი. დავამთავრე ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტი – იურიდიული ფაკულტეტი. პირველად დავიბეჭდე ტფილისის გაზეთში „Закавказская Речь“. ვბეჭდავდი თარგმანებს ნიკოლოზ ბარათაშვილიდან, რომელნიც შემდეგ გამოცემულ იქნა ცალკე წიგნად (1923 წ.). რუსულ ლექსებს ვბეჭდავ ჟურნალ „Иль“-ში. პირველი ქართული ლექსი დავწერე და დავბეჭდე უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ერთ ქუთათურ გაზეთში (1916 წ.). ვიღებდი მონაწილეობას ქართველი სიმვოლისტების ჟურნალში – „ცისფერ-ყანწებში“. ლექსების პირველი წიგნი „დაისები“ გამოვეცი 1919 წელს. გასაბჭოების შემდეგ ვცხოვრობ და ვმუშაობ ტფილისში. ვცემდი 1923 წლამდე ჟურნალს „მეოცნებე ნიამორები“ – სულ გამოვიდა 11 ნომერი. 1927 წელს სახელგამმა გამოსცა ჩემი ლექსების წიგნი. ვთანამშრომლობდი თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთებში, უმთავრესად ჟურნალ „დროშაში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“. მაქვს კრიტიკული წერილები – ბარათაშვილზე, გურამიშვილზე, მაღარმეზე, ესენინზე, ბრიუსოვზე და ლირიკაზე. ვთარგმნე ბლოკის „თორმეტი“, ეჟენ პოტიეს – „ინტერნაციონალი“, ბაგრაძკის „ათანასე“, დემიან ბედანის „მთავარი ქუჩა“. მაქვს თარგმანები პუშკინიდან, ჰაინეიდან. ვთარგმნე „ურთელ აკოსტა“ და „ყაჩაღები“ მარჯანიშვილის თეატრისათვის. მაქვს თარგმანები ედგარ პოდან. ეს თარგმანები ეკუთვნის წარსულს წლებს. ახლანდელი ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. მე მეკუთვნის ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“, რომლითაც მე მოვუწოდებდი ჩემს ლიტერატურულ თანამოღვაწეებს რეალისტური შემოქმედების პოზიციისკენ (1925 წ.). ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი მსოფლხედველობა და ჩემი მუშაობა. ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა უკვდავმა ბელადებმა – ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ, ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან. წელს (1938 წ.) გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი გამომცემლობა „ფედერაციაში“.

ვალერიან გაფრინდაშვილი

17. III. 1938 წ.

Родился в 1889 г. в гор. Кутаисе. Отец – учитель, дед – крестьянин.

Кончил кутаискую классическую гимназию в 1909 г. и в 1914 г. юридический факультет Московского Императорского Университета. Писал стихи на русском языке. Напечатал переводы из Сюлли Прюдома и два оригинальных стихотворения в „Московской газете“. Печатался в журнале Сергея Городецкого „Ars“ в Тифлисе. Начал писать и печатать грузинские стихотворения лишь с 1915 года. В 1918 году издал сборник стихотворений „Закаты“. Один из основателей школы грузинских символистов – так называемых „Голуборожцев“. Был редактором журнала „Меоцнебе Ниаморები“ („Грезящие Газели“), вышла 11 №№ с 1917 по 1924 г. В этом журнале главным образом печатались стихотворения моих литературных соратников – Григория Робакидзе, Паоло Яшвили, Тициана Табидзе и др. В целом ряде статей разработывал теорию символизма и в своей декларации „Новая Мифология“ дал теоретическое обоснование произведениям „Голуборожцев“. Идея моей „новой мифологии“ состоит в следующем. Поэзия всегда вдохновлялась религией. Но политеизм и христианство создав античное и европейское искусство, целый ряд мифов и универсальных образов, уже стали предметом научных исследований. Поэзия в поисках нового мифа должна использовать жизнь видоющихся деятелей искусства, поэтов, художников (Пушкин, Леонардо-да Винчи, Микель-Анжело, Верлэн). Поэты должны стать героями романа, лирики, драмы, иначе говоря, они должны, вытеснив античных богов и героев, стать героями новой мифологии. Гете создал „Фауста“, но после него другой поэт сделает самого Гете живым поэтическим образом, исходя из его биографии, из его многогранной личности. Этот интерес к личности поэта привел меня и моих товарищей к своеобразному приему. Мы вводим в наши стихи живую поэтическую личность. Мысля стих, как органическое целое, я старался не только вернуть ей все великолепие руставелевского яхыка, вводил слова забытые, но фонетически не утратившие своих прав. Я ввел „новые“ слова, которых не было в употреблений: закат (დაბიბი), двойник (ორეული), газель (ბიამბობი). Я отдал день так наз. свободному стиху, мало свойственному грузинскому стихотворению, но убедился „в иллюзорности его достижений“. Необходимо было сломать классические размеры, но следовало сохранить дисциплину в новых ритмах. У меня есть стихи без рифм, но это опасная забава для поэта, который хочет быть мастером. То, что сейчас пишут грузинские футуристы, плохая проза, напечатанный в форме стихов. Классицизм есть лучшее лекарство для всех писателей, чрезмерно увлекающихся развалом формы. В этих стихах, по словам одного критика, я создал так наз. закатный театр, предсказанный Бодлером в его статье об Эдгаре По. В этом закатном театре проходит целый ряд призраков, начиная с Офелии и кончая грузинским авантюристом Ашордия. Этот отрыв от действительности можно объяснить лишь тем, что эта действительность в условиях царской России была слишком неприемлема. В моих стихах периода „Закатов“ фигурируют также грузинские поэты сегодняшнего дня, введенные в лирику в качестве поэтического приема, провозглаяемого мною в моей статье „Новая мифология“. В результате по-

лучено поэзия исключительного интима, связанная с именами тех или других поэтов. В современной литературе много есть примеров, которые могут быть подтверждением моей идеи. Тынянов написал целый роман из жизни декабриста и друга Пушкина – Кюхельбекера, французский писатель Карко написал роман из жизни поэта 15 века Вийона „Горестная жизнь Франсуа Вийона“. Я сам постарался в своих стихах воскресить образ бесследно исчезнувшего Ванно Мачабели – переводчика Шекспира. Поэты, погребенные в библиотеках ждут своих певцов, которые воскресят их и еще больше приблизят к жизни. В своей статье „Магия имен“ я говорю о том, что лирическая поэзия вполне сознательно должна использовать имена, концентрирующая в себе больше идеи и больше чувства: Ленин, Гамлет, Мэри, Беатриче, Офелия и т. д.

Печатался во всех почти грузинских газетах и журналах: „Кавкасион“, „Мнатобы“, „Дроша“, „Картули Мцерлоба“ и другие.

Много переводил из французских поэтов: Эжен Потье („Интернационал“), Руже де-Лилия (Марсельеза), Барбье, Маллармэ, Бодлера, Лафорга, Рембо, Верлен, Корбьера. Из русских: Пушкина, Есенина, Брюсова, многих пролетарских поэтов. С английского Эдгара По („Юлалюм“, „Аннабель-Ли“, „Червь-победитель“), с немецкого перевел экспрессионистов (Вердка, Газенк-Лавера). С грузинского на русский язык перевел всего Н. Бараташвили, изданного наркомпросом. Переводил многих современных грузинских поэтов: Ак. Церетели, Гришашвили, Галактиона и Тициана Табидзе, Гуриели, П Яшвили, Н. Чхиквадзе, Елену Дариани и др. Антология „Поэты грузии“, антология на русском языке содержит в себе много моих переводов. Перевел „Двенадцать“ Блока, „Главная улица“ Демина Бедного. Переводил пьесы для театра. Перевел книгу Троцкого „Литература и революция“ (издание Госиздата Грузии). Грузгосиздат издал в 1926 году сборник моих стихотворений (220 страниц), где напечатана поэма „Парижская Коммуна“. Посвятил стихотворение на русском языке „Загесу“ (в „Заря Востока“). Написал стихотворение на смерть Ленина. Мне принадлежит лозунг „Возврат к земле“, под знаком которого произошло сближение „Голуборожцев“ с современной действительностью.

Считаю лично, что способствовал интернационализации грузинской поэзии переводами и отчасти своими стихотворениями. Развивался под влиянием Тютчева, Бодлера в поэзии, Достоевского, Гюисманса, Эдгара По и М. Горького в прозе. Считаю обязательным реализм для художественной прозы и думаю, что лирическая поэзия в основе своей всегда связанная в действительностью, характеризуется уклоном в сторону романтики. В последних моих стихах целый ряд тем из повседневной жизни: „Старое пальто“, „Загэс“, „Октябрь“, „Рион“ „Сакко и Ванцетту“. Среди поэтических форм, разработанных мною, на первом месте стоит сонет, затем триолет, баллада. По мере сил старался обогатить и обновить устаревший поэтический лексикон новыми словами, работал над возрождением рифмы, часто употреблял ассонансы и диссонансы, кроме новых рифм. Напечатал статьи о Бараташвили, Гурамишвили, Стефане Маллармэ, Корбьере, об экспрессионистах, о Пушкине, Есенине, Брюсове и др.

იოსებ გრიშაშვილი – მამულაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გრიშაშვილი იოსებ გრიგოლის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ი. გრიშაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1889 თვე აპრილის დღე 11 ახ. სტ. 23/IV
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ლიტმცოდნეობა
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1906-7 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური ჯგუფი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სსმკ გამგეობის წევრი და მრავალი სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოება</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1949 წელს ჩემი ერთგომეულის გამოცემასთან დაკავშირებით მომენიჭა „სტალინური პრემია“, დაჯილდოებული ვარ „წითელი დროშის“ ორდენით; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღნიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად, ლიტერატურული მუშაობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ლენინის 20, ტელ. 3-38-11</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1941	1947	საბავშვო ლიტ- სექციის თავმ- ჯდომარე	საქ. მწერალთა კავშირში ბილის- ში	
1947	წლიდან	ნამდვილი წევრი	საქ. მეცნიერება- თა აკადემიისა	
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

ოსებ გრიგოლის-ძე გრიშაშვილის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1889 წლის 11 აპრილს (ძვ. სტილით) ქალ. თბილისში, ხელოსნის ოჯახში. ქართული ანბანი შემასწავლა დედამ, რის შემდეგ შემიყვანეს ქართულ გიმნაზიაში.

წერა დავიწყე 1904 წლიდან, ვწერდი ლექსებს, პიესებს, ნარკვევებს და ვთანამშრომლობდი დრამატულ თეატრში.

პირველი ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა 1906 წელს, ამის შემდეგ სისტემატურად ვიბეჭდებოდი პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში.

ჩემი ლექსების პირველი ტომი გამოვიდა 1914 წ., მეორე კი – 1922 წელს.

1918 გამოვიდა ჩემს მიერ შედგენილი და დამუშავებული მონოგრაფია ერეკლე მეორის კარის პოეტის საიათნოვასი.

1927 წელს გამოვიდა ჩემი მეორე მონოგრაფიული ნაშრომი „თბილისის ლიტერატურული ბოგემა“.

ამასთანავე ვმუშაობდი თარგმანებზედაც. ჩემი თარგმანებით გამოსულია სომხეთის გამოჩენილი მწერლების – ოვანეს თუმანიანისა და შირვანზადეს და აგრეთვე აზერბაიჯანელ პირველი დრამატურგის – მირზა ფატალი ახუნდოვის ნაწარმოებები. ჩვენი ქართული თეატრებისა – მარჯანიშვილის სახ. და რუსთაველის სახელ. თეატრის შეკვეთით ჩემსა და პოეტ ქალის – მარიჯანის მიერ თარგმნილია სხვადასხვა პიესები.

დიდი სიყვარულით დავწერე ლიტერატურული ნარკვევი რუსი და ქართველი მწერლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ: „ლერმონტოვი და ქართული ლიტერატურა“, „პუშკინი და ჩვენი მთარგმნელები“, „ოსტროვსკის დრამატურგია და ქართული თეატრი“, „შევჩენკო და საქართველო“, „კრილოვი და აკაკი წერეთელი“, „გორკი და თბილისი“, „გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე“. აგრეთვე ჩემი წვლილი შემაქვს ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. 20 წიგნამდე არის ჩვენი მხატვრების მიერ ილუსტრირებული ჩემი საბავშვო წიგნები. ჩემი რედაქციით გამოცემული იქნა ცნობილ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – ალექსანდრე ჭავჭავაძის მონოგრაფია, გამოცემა აკაკი წერეთლისა, ლექსები და სიმღერები პოეტ საიათნოვასი, აგრეთვე ნაწარმოებები ქართველ კომედიოგრაფის აქ. ცაგარელისა და სხვ.

ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულსა, უკრაინულსა, სომხურ და აზერბეიჯანულ, ფრანგულ, ჩინურ ენებზე.

ყველაზე საინტერესო ხანა ჩემი ცხოვრებისა იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ დროდან მოყოლებით გამოცემული იქნა ჩემი ლექსებისა და ახალ ნაწარმოებთა მრავალი გამოცემები, აგრეთვე რჩეული ლექსების კრებული.

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ჩემი პატრიოტული ლექსები იბეჭდებოდა როგორც ცალკე კრებულებად, აგრეთვე პლაკატებადაც.

ბევრი ჩემი ლექსი გადატანილია მუსიკაზე თანამედროვე კომპოზიტორების მიერ და მღერიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

1944 წლის 30 ნოემბერს ჩემი ლიტერატურულ სარბიელზე ორმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით გადახდილი იყო ჩემი იუბილე ოპერი-სა და ბალეტის სახ. თეატრში, თბილისში.

პარტიამ და მთავრობამ ჩემ ლიტერატურულ მოღვაწეობას მისცა მაღალი შეფასება და დამაჯილდოვა ორდენით „შრომის წითელი დროშისა“.

საიათნოვას გარდაცვალების 150 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ჩემი ნაშრომების საფუძველზე, რომელიც ჩემს მიერ არის გამოცემული ქართულ ენაზე, სომხეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოვებული ვარ „სომხეთის დამსახურებული მოღვაწის“ სახელწოდებით.

1946 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე მე დავწერე ლექსების კრებული სათაურით „მე შენზე ლექსი არ მომწყინდება“. 1946 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1948 წელს არჩეული ვიქენი თბილისის ქალ. საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემულია სამი მონოგრაფია („ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, „ალ. ყაზბეგი, როგორც მსახიობი“ და „ივანე მაჩაბელი“).

1948 წელს საბავშვო გამომცემლობამ გამოსცა ჩემი საბავშვო ლექსების ერთტომეული. 1949 წელს ლექსების ერთტომეულის გამოცემასთან დაკავშირებით მომენიჭა უმაღლესი ჯილდო „სტალინური პრემია“.

აგრეთვე დაჯილდოვებული ვარ მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ი. გრიშაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების ტომი 1, 1914 წ. 2. ლექსების ტომი 2, 1922 წ. 3. „საიათნოვა“, მონოგრაფია, 1918 წ. 4. „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, მონოგრაფია, 1927 წ. 5. „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, მონოგრაფია, 1940 წ. 6. „ასიკო ცაგარელი“, მონოგრაფია, 1936 წ. 7. „აკაკის პოემების შესახებ“, 1940 წ. 8. „ლენინის მოედანის მიმოხილვა“, 1945 წ. (თბილისის ყოფ. თავისუფლების მოედანი). 9. „კრილოვი და ქართველი მთარგმნელები“, მონოგრაფია, 1944 წ. 10. „შევეჩენკო და ქართული ლიტერატურა“, 1939 წ. 11. „ლერმონტოვი და ქართული ლიტერატურა“, 1939 წ. 12. ომის პერიოდში გამოცემული მაქვს საბავშვო წიგნი ოცამდე დასურათებული და სხვ. 13. საბავშვო ლექსების კრებული, 1948 წ. 14. „აკ. ნერეთლის დრამატურგია“, 1949 წ. 15. „ი. ჭავჭავაძე და ქართული ლიტერატურა“, 1948 წ. 16. „დრამატურგი ოსტროვსკი საქართველოში“, 1948 წ. 17. „ალ. ყაზბეგი როგორც მსახიობი“, 1948 წ. 18. „ივანე მაჩაბელი და ქართული შექსპირიანა“, 1948 წ. 19. ერთტომეული, ლექსები, 1949 წ. 20. „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული სცენა“, 1950 წ. 21. 1951 წელს გამოვიდა ლექსების კრებული – რუსული და სომხური თარგმანი, მაქვს უამრავი თარგმანები. 22. ამჟამად ვმუშაობ ლექსების ახალ ციკლზე. 23. „ლიტერატურული ნარკვევები“ (კრებული), 1957 წ.

ი. გრიშაშვილი
1957, 26/III

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1889 წელს 23 აპრილს (ახალი სტილით) ქ. თბილისში ხელოსნის ოჯახში. პაპაჩემი – დათია მამულაშვილი – გურული გლეხი ყოფილა – ბატონს გამოჰქცევია და ორთაჭალაში მებაღედ დამდგარა. აქ დაქორწინებულა ვინმე ლამაზ „იაგუნდაზე“ და ჰყოლია ცხრა ქალ-ვაჟი. მამაჩემი გრიგოლი – (გრიშა) მესამე შვილი ყოფილა.

მე ქართული ანბანი პირველად დედაჩემმა დამასწავლა. ამის შემდეგ მიმაბარეს ქართულ გიმნაზიაში, რომელიც, მამის სიკვდილის გამო, არ დამიმთავრებია. მიყვავი თვითგანვითარებას ხელი.

ბავშვობიდანვე გამიტაცა თეატრმა. ჯერ კიდევ, 15-16 წლის ბიჭი ვიყავი, როცა რამდენიმე ვოდევილი დავწერე: „ტიმოთეს ლეღვი“, „ბოიკოტი“, „გაფიცვა“, „ლოთები ორთაჭალაში“ და სხვ. ჩემს უბანში მე თვით შევქმენი თეატრი, რომლის ავანჩავანი სულ მე ვიყავი.

პირველად ლექსებს შეკვეთით ვწერდი საფლავის ქვებზე („ეპიტაფიებს“); მერე, როცა ასაკში შეველი, სატრფიალო ლექსები ამომეთქვა. ჩემი უბნის რევოლიუციონერების გავლენით გატაცებული ვიყავი სამოქალაქო მოტივებით, მაგრამ ალბად ჩემი ჟანრი არ იყო და ამ თემამ თავი დამანება, მაინც დამრჩა ამ ციკლიდან რამდენიმე ჩემი კარგი ლექსი... ამ ხანებში გამოვეცი ორი წიგნი „ვარდის კონა“ (1906 წ.) და „ფანტაზია“ (1907 წ.).

1908 წელს ვალერიან გუნიამ მიმიღო სუფლიორად ქართულ თეატრში. აქ გავიზარდე, აქ დავვაჟკაცდი, ყოველწინადად. მე ვუკარნახებდი ისეთ მსახიობებს, როგორებიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვ. გუნია, ნატო გაბუნია, კ. მესხი, კოტე ყიფიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი და სხვ. წაკითხულმა პიესებმა (მათ შორის ნათარგმნ პიესებმა) დიდად განმავითარეს. უნივერსიტეტი არ მომცემდა იმდენს, რამდენიც ქართულმა თეატრმა მომცა.

მე ვარ პოეტი „ლირიკული ლექსის ახალი ოსტატი“ (შალვა¹ შენთვის ვამბობ). მე ვარ *литературед*-ი და აგრეთვე ქართ. კლასიკოსების რედაქტორი. მე ვარ მთარგმნელი (მოძმე ერთა ლიტერატურისა). მე ვარ საბავშვო ლექსების ავტორიც. მე ვარ კარგი დეკლამატორი (ასე ამბობენ და შენც დასწერე – რა გენაღვლება, დე, დარჩეს ისტორიაში ჩემი „ლექსთა კითხვა“).

ერთი სიტყვით, რასაც ხელს ვკიდებ, ყველაფერს პირნათლად ვასრულებ.

1910 წელს გამოვიდა – „ოცნების კოცნა“ (ლექსები), 1914 წელს – I ტ. ლექსებისა, 1918 – მონოგრაფია „საიათნოვა“, 1922 წ. – II ტ. ლექსებისა, 1924 წ. – ოვ. თუმანიანის ლექსების ქართ. თარგმანები, 1927 წ. – „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

მაქვს აგრედვე: ნარკვევები ქართულ-რუსული ლიტერატურის ურთიერთობისათვის: 1. ლერმონტოვი და ქართული ლიტერატურა. 2. შევჩენკო და ქართული ლიტერატურა. 3. დრამატურგი ოსტროვსკი და ქართული თეატრი და აგრეთვე წერილები პუშკინის, კრილოვის და გორკის ქართველ მთარგმნელებზე.

1. ავტობიოგრაფია დაწერილია შალვა რადიანის თხოვნით (გამომცემლის შენიშვნა).

1947 – საბავშვო ლექსების კრებული.

1949 – ერთტომეული.

ერთი სიტყვით, 50-მდე სახელწოდების წიგნია გამოცემული.

ვარ ცნობილი როგორც ქართული თეატრის მემკვიდრე.

ჩემი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

1944 წელს მთავრობამ გადამიხადა 40 წლის იუბილე.

დაჯილდოვებული ვარ შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941–1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცი შრომისათვის“.

მომენიჭა აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1947 წელს ერთხმად ამირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

როგორც საზოგადო მოღვაწე, დატვირთვის ხაზით ვმუშაობ თითქმის ყველა კულტურულ ორგანიზაციებში. არჩეული ვარ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრად. ვირიცხები თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში სამეცნიერო საბჭოს წევრად, თეატრ. საზ. პრეზიდიუმის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატი და სხვ.

არ დარჩენილა არც ერთი კრიტიკოსი, რომ ჩემზე კრიტიკა არ დაენეროს: 1. კიტა აბაშიძე, 2. იაკობ ფანცხავა და რომანოზ ფანცხავა, 3. ჭოლა ლომთათიძე, 4. ლეო ნათაძე, 5. და მრავალი სხვა 40-მდე. ახლებიდან აღსანიშნავია: გიორგი ჯიბლაძე, ბესო ჟღენტი, შალვა რადიანი, ჭილაია სერგო, ალ. სულავა.

ჩემს მდიდარ ბიბლიოთეკაზე შესანიშნავი მოხსენება წაიკითხა და დაბეჭდა (იხ. „მნათობი“, 1944 წ. №11) განსვენებულმა ბიბლ-მცოდნემ – ივ. ციციშვილმა.

ი. გრიშაშვილი

1949. 14/XI

ი. გრიშაშვილი – იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილი

მე დავიბადე ქალაქ ტფილისის (ხარფუხის უბანში), 1889 წელს. ჩემი გვარია მამულაშვილი, თუმცა ზოგიერთ საბუთების ქალაქებში რუსულის დაბოლოვებით მამულოვად ვწეროვარ. ხმა დაირხა, რომ მე სომეხი ვარ – ქართველი გრიგორიანი. ამის შესახებ პრესაშიც კი სწერდნენ (1916 წლის გაზეთები: „Baky“ №253, „სამშობლო“ №167 და ტფილისის სომხური გაზეთები „მშაკი“ და სხვ.) ამან მაიძულა, რომ ჩემი ვინაობა წარმედგინა „სახალხო ფურცლის“ რედაქციისთვის და დამეწერა წერილი ჩემი ტომის შესახებ (იხ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., №741).

მე მართლ-მადიდებელი ქართველი ვარ: დედა სომეხი მყავს, სოლოლაკელი, ოჰანეზიშვილის ასული (მეტსახელად „კამბეჩუაანთ ქალი“), მამა კი ქართველი მყავდა. იმ ერთი ლექსის არ იყოს:

„მამა მომიკვდა, დავრჩი ობლადა,

დედაც სხვას გაჰყვა პურის მცხოვლად!“

მამაჩემი გარდაიცვალა 1904 წელს. დედაჩემიც გათხოვდა მესამედ: პირველად ქმრად ჰყოლია ერთი Шкафчик-ი, გვარად არშაკ მანუშაკიანი, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ მოჰკდომია; მეორედ მამაჩემს შეურთავს, ხოლო მამიჩემის სიკვდილის შემდეგ გათხოვდა მესამედ და შეირთო ვინმე ვანო კაკაჩელი (ქართველი). თვით მამაჩემისთვისაც დედაჩემი მესამე ცოლი ყოფილა (პირველი და მეორე ცოლი სოფ. დიღმიდან ჰყოლია). ასე რომ, ერთი მეორეს არ დაემდურებიან – დედაჩემმაც სამაგიერო გადაუხადა. ამ უხმად დარჩენილი ვარ „ობლადა“, არც ძმა, არც დაა არ გამაჩნია! დაა – ელენე (მეტსახელად ასტლიკა) დედაჩემმა, ჩემი დის ნებადაურთველად, მიათხოვა ვინმე ჩიტაშვილს, და 16 წლის სალსალამათი გოგონა, ერთი წლის შემდგომ იმსხვერპლა ძვლის ქლექმა. მყავს აგრედვე ერთი გერი დაა – სახელად ვარინკა – რომელიც ჯალალოღლშია გათხოვილი ბერძენ კიპრიანა ლაზრევზე, მაგრამ ეს სულ აღარ მახსოვს, ვინაიდან ბაღლობაშივე დამაშორეს.

მამაჩემი ჯერ კალატოზი ყოფილა, შემდგომ ღვინით ვაჭრობდა ბითუმად, და ბოლოს კი – ხარფუხშივე გააღო პატარა მიხანა (სამიკიტნო), სჭამდა „ერთ ლუკმა პურს და სხვის დაუხმარებელივ იკვლევდა გზას უპროტექციოდ და უდავიდარაბოდ“. მამაჩემმა თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ საოცარი გამჭრიახი და მახვილგონების ადამიანი იყო, რამდენიმე სახლი ჰქონდა ხარფუხში, და 30–40 წლის განმავლობაში სულ თვითონ აწარმოებდა მის შესავალ-გასავალს, და, როგორც ყველა ყარაჩოღელს, ჰქონდა თავისებური შედგენილი ანბანიც (დღეს ასეთ ანბანს „ფურნულს“ უწოდებენ). ამ ანბანს მხოლოდ თვითონ თუ წაიკითხავდა, სხვა ვერაფერს იგებდა, „ავტორი“ კი თავისუფლად კითხულობდა და სწერდა, ასოები რაღაც ოთხკუთხედური იყო, იეროგლიფებს ჩამოჰგავდა! და აი, ამ თავისებურ ანბანით ნიშნავდა ნისიად წაღებულ საქონელს, და ნუსხავდა ყოველივე საჭირო ცნობებს. კალატოზობის დროს, მოკრივეც ყოფილა და, როგორც მისი დროის ჰამსონები გადმოგვეცემენ, მისი ცაცია (მარცხენა მუშტი) განთქმული ყოფილა ყველა გარეთუბნელებში. მართალია, სკოლის კედლებს არ გაჰხახუნებია მისი ტანი, მართალია, მისი ტვინი არ იყო ფილოსოფიურ ქობინებით ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ მისი ფიქრი ყოველთვის დაყურთმაჯავებული იყო, აზრიანი, იცოდა სიტყვის მნიშვნელობა და მისი ჩხუბი თუ ოხუნჯობა ზედმიწევნით სასიერო საგანი უნდა ყოფილიყო იმდროინდელ მაყურებელთათვის.

დედაჩემი კი მეტისმეტი ორიგინალური ადამიანია, ოხუნჯი და ჭკვიანი (ამ სიტყვის „ჭკვიანური“ მნიშვნელობით). ეს კია, რომ მესამე ქმრის ხელში თავკერძი (гоист) გახდა და თავის ქმარი – თავისი შემნახველ-მაცხოვრებელი უფრო აინტერესებს, ვინმე თავისი შვილის რაობა და მოვლა-პატივისცემა.

სულ პირველად, ჯერ კიდევ ბაღლს, ქართული ანბანი სომეხმა დედაჩემმა დამაწყებინა, რომელსაც გათხოვებამდე კათოლიკე-ფრანგებისაგან შეეძინა ქართული წერა-კითხვა.

შემდგომის მიმაბარეს ხარფუხშივე ერთ პატივისცემ ოჯახში და ქართულ წერა-კითხვას მასწავლიდა ამ ოჯახის უფრო ქალი (ან გარდაცვლილი) „კაჭანთ სონა“ (სოფილ გრიგოლაშვილი). ხოლო როცა რვა წლისა გავხდი, თვალი მრჩებოდა, როცა ჩვენი უბნის ბიჭები – შათირიშვილები, მეტრეველები, თითბერიძეები ქეჩის ქულებით და ჩანთა აკიდულები მიემგზავრებოდნენ

ხოლმე ყოველ დილით სკოლაში, მე მხოლოდ მაშინ მათი ქეჩის ქუდი მომ-
წონდა, რომელიც თავის კეფაზე საუცხოვოდ და ქეშად იყო წამოგდებული
და მათი ტილოს აბგა. მე ამ დროს ჩერქეზული ტანთსაცმელი მეცვა, და
ისე მიყვარდა ამ ჩერქეზულ ტანისამოსის ბოჭკოიანი ქუდის ჩამოჩაჩვა, რომ
სკოლის მოწაფეებშიც კი ამ ქუდით ვარ გადაღებული. გიორგი შათირიშვი-
ლის რჩევით, მამაჩემმა რის ვაინაჩრობით მეც მიმაბარა, და ხარფუხელებთან
ერთად, დათა მეტრეველთან, შალიკო შათირიშვილთან და ან განსვენებულ
ირაკლი იოსებიძესთან ერთად მეც მივხტოდი ხოლმე ჩვენი უბნიდან ქართულ
სათავად-აზნაურო სასწავლებელში (მაშინ გიმნაზიად არ იყო ჯერ). მაშინ ეს
სკოლა იმყოფებოდა რტიშევის ქუჩაზედ (სადაც ეხლა). მაშინ ამ სკოლის ინ-
სპექტორი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მასწავლებლებიდან მახსოვს გიორგი
იოსელიანი (სამღრთო სჯული), ალ. ნათაძე, შემდეგ არსენ მამულაიშვილი
(ქართული ენა), დ. ქადაგიძე (ანგარიში), განსვენებული პ. მ. კორხანიდი (რუ-
სული ენა), ზ. ი. ჩხიკვაძე (გალობა), მრეველიშვილი (ხატვა-ხაზვა) და სხვ...
აღმზრდელებიდან: ს. ციმაკურიძე, კ. მაყაშვილი და სხვ. სკოლაში დაგყავი
სულ ხუთი წელიწადი: თითო განყოფილებაში ორ-ორი წელიწადი ვიმყოფებო-
დი: პირველ განყოფილებაში ორი წელიწადი გავატარე, მეორე განყოფილება-
შიც ორი წელიწადი, ხოლო მესამე განყოფილებაში რომ დამატყეს, კიდევ
მეორედ უნდა დავრჩენილიყავ სიცელქის გამო, მაშინ კი დაიბარეს დედაჩემი
და დამითხოვეს, ამას ზედ დაერთო ჩემი აუტანელი ცელქობა, და რამდენიმე
ამხანაგთან ერთად (ანგელიკოვსკი, თუმანიშვილი, ქავთარაძე, ამ „შაიკის“ მე-
თაური მე ვიყავი – ცელქობაში) სამუდამოდ ამომიქოლეს სასწავლებლის კარი.

ეს კი უნდა ვსთქვა, რომ ქართულ მართლწერაში და ქართულ კითხვაში
პირველ შეგირდად ვითვლებოდი და ყოველთვის 5 მყავდა ნიშნებში. დანარ-
ჩენ საგნებს კი, განსაკუთრებით რუსულს, ვერ შევეგეუე და მას შემდეგაა,
აღბად, რომ დღევანდლამდე რუსული ხეირიანად ვერ ვისწავლე. არადადეგებ-
ზე ცალკე ოჯახებშიც მიმაბარეს, ჯერ თვით ალ. ნათაძის ოჯახში (კოლორ-
თაღში), გიორგი დიაკვანთან (ხარფუხში – ან „განათლების“ სკოლის პირდა-
პირ), ქართველ მწერალ ნიკოლოზ ავალიშვილის ოჯახში (ორთაჭალაში) და
ვინ იცის, კიდევ სად არ გამამწესეს და ვინ არ აღმიჩინეს მასწავლებლად,
„პერევეზამენოვკა“ რომ მქონდა იმ დროს. მაგრამ მაინც თითო განყოფილე-
ბაში ორჯელ ყოფნას ვერ ავცდი – სულ კი რუსული ენის გამოისობით. მას
შემდეგ კი გადავწყვიტე, რომ ერთი ენა ვიციოდე კარგად, ვიდრე რამდენიმე
და არც ერთი კი – სავსებითი სავსედ და მეც ქართულ ენას და ქართულ სიტ-
ყვიერებას დავენაფე და ვკითხულობდი, რაც მომხვდებოდა ხელში. სკოლი-
დან (თუ რომელ წელს გამომაგდეს, უნდა ვნახოთ სკოლის არხივი, დანვრი-
ლებით აღარ მახსოვს) რომ გამოვედი, დედაჩემის ნუნუნმა ილაჯი წაიღო:
„შენის ონავრობით აგიმტუტებია მთელი სასწავლებელი“, „პატიოსანი ხალხი
(მასწავლებლები) გაგილანძლავს“... და ვინ იცის, რას არ მიკიჟინებდა, მე კი –
თავისუფლებას ვნატრობდი და ვცელქობდი აუტანელად! გადასარევად! სწო-
რე გითხრათ, დედაჩემს უნდოდა, რომ მე მამიჩემის კვალს არ გავყოლოდი და
ვინაიდან სკოლისთვის ველარ გამოვდექი, რაიმე ხელობა მაინც შემეწნავლა.
მე კი მეეტლობა მსურდა ძალიან და მეინტერესებოდა ცხენების ხათქახუთ-
ქი, აღვირის განურვა მკლავებში, „ხაბარდას“ ძახილი და ასე წარმოიდგინეთ

(ამას ჩემი იმდროინდელი მეგობრებიც დაამტკიცებენ), რომ, რაც ტფილისში ეტლი იყო, ყველას ნომერი ზეპირად ვიცოდი. მოდიოდა შორიდან ეტლი, და გეტყოდით, თუ რა № იყო. შეხედავდნენ ზურგის მისაყრდნობელ კეხს და ჩემი ნათქვამი მართალი აღმოჩნდებოდა. აკი, დედაჩემიც დამცინოდა ხოლმე ჩემს სურვილზე: „ქართველებს ნატვრაშიაც შნო არა გაქვთო!“ მამიჩემისათვის კი სულ ერთი იყო, იტყოდა: „მე თუ წიგნი არ მისწავლია, ხელად წინ არ გადამიდგეს ვინმეო, აი!“ „შენ თავი მომეცი, თორემ ქუდს, რამდენსაც გინდა, იმდენს ვიშოვიო!..“ მაგრამ, როცა რომელიმე ზღაპრის წიგნს ნავეუკითხავდი – გულში კი, ვატყობდი, მოსწონდა და „ჩემო ფირუზაო!“ – მეტყოდა (ფირუზა დიდდაჩემმა დამარქვა, ვინაიდან ჭროლა თვალები მქონდა ბალღობისას), ჩამსვამდა თავის მეგობრებში და მაკითხებდა (წინად კი ასეთი მკითხველი ყორღანანთ კოსტიუა ჰყავდათ) „ყარამანიანს“, „ბარამიანს“, „ალექსიანს“, „ქალვაყიანს“, „შვიდვეზირიანს“, „ჩარდავრიანიანს“, „შვიდთა იუღმთა ხელმწიფეთა ამბავს, ბარამ გურამიანს“ და ყველა „საამოდ სასმენელ“ ამბებს თუ მოთხრობებს. მე კი მომწონდა ძველი სიმღერების კრებული „სალხინო საზანდარი“ (სადაც მოთავსებული იყო: საათნოვას, ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, შამჩიმელქოს, ფერშანოვის, ალვან-ოლღანის, ბუდალ-ოლღანის, ბაგრატიონის, აკაკის, ჰაზირესი, გივიშვილის, სკანდაროვის და სხვათა ლექსები). მაგრამ ბოლოს დედაჩემმა ამიკრძალა ძველებურ ზღაპრების კითხვა, ვინაიდან ზღაპარში მოთხრობილი მომქმედნი პირნი ძილში მელანდებოდნენ და ერთი აურზაური მქონდა ლოგინში.

ამ დროს მე უკვე მამაჩემს ვეხმარებოდი დუქანში. დედაჩემი კი ცდილობდა, რომ მეღვინეობა არ დამეწყო და რაიმე ხელობა შემესწავლა! ჩვენს უბანში ერთს კაცს – მესამლე ჰიოვანეს – ნათესავი ჰყავდა ქართულ ამხანაგობის სტამბაში უფროს ოსტატად. აი, ერთ დღეს მე უკვე ამ კაცის შემწეობით ვარ სტამბაში და ვინაიდან ჯერ აწყობა არ ვიცოდი, უკვე აწყობილი ასოები მომცეს და ის უნდა ჩამერჩია ყუთის უჯრებში, და მე კი იმის ნაცვლად, რომ ყველა ასო ცალცალკე მიჩნეულ უჯრაში მომეთავსებინა, ყველა ასო ერთმანეთში აურთი და ისე ჩავარჩიე უკვე აწყობილი ტექსტი. გამლანძღეს. მე ვიამაყე და კიდევ სახლში მოვქუსლე. მეორე დღეს კიდევ დამიჭირა დედაჩემმა ხელი და ახლა ნოქრად უნდოდა, რომ დავეყენებინე მაღაზიებში. მთელ დღეს მოვიქანცეთ ადგილის შოვნით. ვის არ ჰკითხავდა დედაჩემი: „შეგირდი ხომ არა გსურთო“. ბოლოს „ყისმათმა გასჭრა“ და მელიქბახტამიანის (ბარხუდაროვის ამხანაგობით) სარძევეში ამიყვანეს ნოქრის თანაშემწედ. უფრო ნოქრები იყვნენ ვანო, კოსტა და სხვ. აქ კი წესიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, ცელქობას უკელი. ვინაიდან ალა სასტიკი იყო და არც მუჯღლუგუნები მაკლდა მისგან. ამ მაღაზიაში სულ რამოდენიმე თვე დავყავი, ვინაიდან მამა გარდამეცვალა და დედაჩემს აღარ ვეპოვებოდი და ხარფუხის უსაქმურ ყარაჩოლელებს მეც მივემატე!

ამას ზედ დაერთო ბახტამიანცთან მანვნების ოსტატ ხაჩატურას ჩაცევა: „ნადი, ეს ხელობა შენი საქმე არ არისო“ (ამას მაშინ მეტყოდა, როცა მე სომხურად ლექსს ვიგონებდი და ზეპირად ვეტყოდი ხოლმე).

ერთი ჯერობა წამიყვანა ჩემმა ბიძამ – გიგომ (დედის ძმამ) სოლოლაკში, რომელიც სხვათაშორის ლექსებსა სწერდა მაშინ და ოქრომჭედლების

ქუჩაზე სარდაფში, ხილის სანყოფიერებში, ხილს მარჩვევინებდა (მაშინ ქართლის ბაღები ჰქონდა ალებული, მოჰქონდა ხილი და ზამთარში ბითუმად ჰყიდდა ბაყლებზე). აქაც დიდხანს ვერ მოვისვენე. ბედად, სწორედ ამდროსვე ატყდა მოძრაობა, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა და წამოველ ხარფუხში, რომ ჩემი ქოხმახებისთვის მეპატრონა. მაშინ მთელი ჩვენი უბანი მოძრაობამ გაიტაცა, მე კი არც ერთ პარტიას არ მივკედლებივარ, ვიყავ ჩემთვის და ხან თეატრს ვმართავდი, ხან კიდევ წიგნებს ვკითხულობდი: წ.კ.ს ბიბლიოთეკა – სადაც გამგენი იყვნენ ჯერ ელენე დეკანოზიშვილი და მერე ანეტა კაპანაძე – სულ გადაკითხული მქონდა.

უპარტიოება დღევანდლამდე გამომყვა. ერთად ერთი კაცი ვიყავ მაშინ ხარფუხში, რომელსაც იმ ომსა და ოდიგარში, მხოლოდ ხელოვნება მიყვარდა, თუმც გარკვევით არ მქონდა წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავდა თეატრი, მხატვრობა თუ პოეტობა, ამიტომაც არის, რომ ჩემს „ბარაშკას“ ხალხური დავარქვი ჩემს „საათნოვაში“, რომლის დაწერის დროსაც არ ვიცოდი, ქვეყანაზე არსებობდა ლექსი და სხვ. (თუმცა დღევანდლამდე არ მისწავლია „გრამატიკა“, ლექსის თეორია და სხვა ამისათნები).

ერთხელ ჩვენი მეზობლის შვილმა, ჩემმა ტოლმა მ. ჩოჩიაშვილმა წამიყვანა ავლაბრის თეატრში, კვირა იყო და „დღეს თეატრობანაა, თეატრში წავიდეთ, ვიხსოვოთ!..“ წაველი. წარმოდგენა სომხურ ენაზე იყო. თამაშობდნენ „არშაკ II-ეს“ და ვოდევილს „ხეჩოს ლელვს“. დრამისა ვერაფერი გავიგე, რადგან „გრავარი“ (მნიგნობრულ) ენით იყო დაწერილი, ვოდევილმა კი მეტად გამახარა და მოსამსახურის ოინბაზობაზე გულწრფელად ვჭახჭახებდი! ბოლოს, ხარფუხელებმაც მოინდომეს წარმოდგენის დადგმა, ვინაიდან ხალხს არეულობისა ეშინოდა და დაბინდებოდა თუ არა, შეითანბაზარს ვერ ეკარებოდნენ ხოლმე. აი, ამ დროს იმართებოდა ინტიმიური სალამოები, წარმოდგენები, ლატარიები და სხვ... ხარფუხში წარმოდგენა სომხურად დასდგეს. წარმოდგინეს სომხურად „ციმბირელი“. მომეწონა პეტუას როლი, ვჯავრობდი მაზუთიანზე და ბოლოს მითხრეს, რომ ეს პიესა ქართულადაც არისო, და დამარწმუნეს, რომ პიესა ქართულიდან იყო ნათარგმნი სომხურად, და მეც მომესურვა, რომ ხარფუხში ქართული წარმოდგენებიც გამართულიყო. შევკრიბე ამხანაგები და ჩემს სახლში დავინყეთ რეპეტიციები. რადგან ჩვენს წარმოდგენაში ქალები ვერ იღებდნენ მონაწილეობას, ჩვენც ამოვარჩიეთ: „ყაჩაღების“ ბოლო მოქმედება, „ადვოკატი მელაძე“ (აქ ერთი ქალია, პატარა როლი აქვს და ესეც ვაჟმა ითამაშა, ტარალევანმა) და „ტიმოთეს ლელვი“. სად არ ვმართავდით წარმოდგენებს – სადაც დაქცეული სახლი იყო თუ დევარხანა დერეფნით, ის სათეატრო ადგილი იყო ჩვენთვის. ეს „ტიმოთეს ლელვი“ სომხური „ხეჩოს ლელვი“ იყო, მე რომ ვნახე რამდენიმე დღის წინად არაქსიანის თეატრში, და რადგან შიგ მხოლოდ ორი მოქმედი პირია: მოსამსახურე და ბატონი და ქალი – მაშინდელ ქალის ქესატობაში – არ იყო გამოყვანილი, გამეხარდა და იმ სალამოსვე – „ხეჩოს ლელვის“ მოსმენის შემდეგ – ზეპირად დავწერე (ე. ი. გადმოვთარგმნე) სომხურიდან ქართულად. თვით მოსამსახურის როლს მე ვასრულებდი და ტეტიური ხმის მიმოქცევით ბევრს ვაცინებდი ხოლმე საზოგადოებას.

თეატრი გონებას უხსნის კაცს! მეც კითხვა მიყვარდა და ეს სიყვარული

დღევანდლამდე სუფევს ჩემში, და რაც კი შემხვდებოდა, პიესა იქნებოდა თუ ლექსი, უეჭველად უნდა წამეკითხა... ამ დროს უკვე ვწერდი ლექსებს და სომხურიდან ვთარგმნიდი თითოთოქმედიან პიესებს: „ჯაშუში“, „ჩემი ცოლი სხვა ირთავს“, „ლოთები ორთაჭალაში“, „გასათხოვარი ქალი“, „აშული“, „ცანცარა მწერალი“, „მაჭანკლის ოინები“ ანუ „ნაცემი სიძე“, „ბებრების დარიგება“, „ჩემი ქმრის ქორნილია“, „უკანონო შვილი“, „საკანში“, „ბოიკოტი“ და სხვ...

ამ ყოფაში გავატარე თითქმის ერთი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში არცერთი წარმოდგენა არ გამომიტოვებია ავლაბრის დასის მიერ წარმოდგენილი, თუ არტისტების მიერ ნათამაშევი სახაზინო თეატრში (მაშინ არწრუნიხებურ ქართულს თეატრს აახლებდნენ, და ან დამწვარი თეატრი ჯერ ამენებული არ იყო და არტისტებიც „სახაზინო თეატრსა“ და „არტისტ. საზ. თეატრში“ თამაშობდნენ ხოლმე). ხან-და-ხან ეს დასი მოდიოდა ავლაბრის თეატრშიც. აი, ერთხელ ამ დასს სუფელიორი დაეკარგათ, თუ როგორ იყო მათი საქმე, აღარ მახსოვს და ავლაბრის თეატრის სცენის მოყვარეებს დარიკო რჩეულიშვილს და სანდრო მამულაშვილს ეთქოთ, რომ ჩვენ ერთი კაი მკითხველი გყავსო და მათი თხოვნით მასუფელიორეს „სამშობლოში“. ივანიძემ და დათიკო ჩარკვიანმა მადლობა გადამიხადეს და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მე არტისტებთან ვსუფელიორებდი ხოლმე და სრულებით ყურადღებას არ ვაქცევდი იმას, რომ მშიერ-მწყურვალი (მაშინ დედაჩემი გათხოვილი იყო და შავსოფელში გადასახლდა), უგროშ-უკაპიკო შუალამისას ვბრუნდებოდი სახლში და ბევრჯერ სიცივით აკანკალებული თოვლსა და ჭყაპსაც არ უკრთოდი ხოლმე. ამის შემდეგ ავჭალის აუდიტორიაში შევადგინე „დასი“ ა. გოგაშვილის დახმარებით და იქ ვთამაშობდი ხოლმე! ხშირად პროვინციებშიაც ვმოგზაურობდით და ჩვენი საგასტრო ადგილები იყო: ავჭალა, მცხეთა, დილომი და წყნეთი. სულ ბოლოს ორთაჭალაშიც გააღეს აუდიტორია.

ყველა ეს გაგრძელდა 1916 წლამდე. ამ დროს ლექსებსაც ვწერდი, და „სალხინო საზანდარი“ სულ ზეპირა ვიცოდი! დაწერე მეც ლექსები და 1916 წელს გამოსცა ეს ლექსები ცალკე წიგნად „ვარდის კონის“ სათაურით შიბრიამ (ალ. შახბარათოვმა), შემდგომ დავბეჭდე კიდევ მეორე წიგნი „ფანტაზია“. ამ წიგნში აწერილი მყავდა ყველა ხარფუხელი ქალი თავიანთ ღირსება-ნაკლებოვანობით, მაგრამ ეს წიგნი, ადგილობრივმა ვითომდა სოციალ-დემოკრატებმა, აკრძალეს და სამედიატორო სასამართლოც დამინიშნეს, თუ როგორ დავესაჯნეთ. საკითხი ასე დააყენეს: შიგ გალექსილია ჩვენი დები, ჩვენი შვილები, მერე ამ ლექსებს არღნებზე გადაიღებენ ადგილობრივი კინტოები და მთელს უბანს აიკლებენო – ძალიან აღელვებულნი იყვნენ და რამდენჯერმე, მოკვლა თუ არა, ცემა მაინც დამიპირეს, მაგრამ ბ-ნი გიორგი შათირიშვილი ჩაერია შიგ, და დაანიშნინა სამედიატორო სასამართლო. იმათ მხრივ იყვნენ: მენვრილმანე იოსება, კონა, მიკიტანი არუთინა, და ბოჰკა, მეც ჩემის მხრივ ავირჩიე მეჩემე სიმონა ზოიძე, ფრანგი ვანუა, მეტსახელად „დავახეთქე“ და მემანქანე რ. ჯ-ძე. თავმჯდომარეობდა გიორგი შათირიშვილი. ერთის სიტყვით, მე აღარ გავაგრძელებ მათ ყოყლოჩინობას იმ კრებაზედ, დაადგინეს ამ ვითომდა სოციალ-დემოკრატებმა, რომ წიგნი აეკრძალათ, წიგნი, მართლაც, გამოიტანეს „გუტენბერგის“ სტამბიდან და ჩააბარეს მენვრილმანე იოსებას. იმან კი, არ ვიცი, დასწვა თუ არა – ეს კია, რომ, როცა ან ყველს, ან შაქარს

ან ხილს ვყიდულობდი დუქნებში, ყველა ეს ნავაჭრი ჩემს ლექსებში იყო გახვეული და ისე მომერთმეოდა ხოლმე. ალბად მას შემდეგ დამებადა ზიზლი ყველა ყალბ სოციალ-დემოკრატისადმი, თორემ რად უნდა მძულდეს პროლეტარიატი მაშინ, როდესაც მეც მათ წრიდანა ვარ გამოსული.

ამის შემდგომ გული გამიტყდა! ხარფუხელები ჭირის დასანახავად მეჯავრებოდნენ. არც ერთთან აღარა მსურდა მეგობრობა. ერთ დღეს შემთხვევით ჩვენ უბნელ მეპურე ფრიდონამ მათხოვა ჟურნალი „ნიშადური“, „აჰა, შიგ თეატრებზე სწერიაო!..“ გამეხარდა, რომ გუნია იყო მისი რედაქტორი. სწორედ იმ ხანებში მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. მე გადავაკეთე მისი ტექსტი, „ტყეს ესხმება ფოთოლის“ ნაცვლად დავწერე „ტყეს სცვივდება ფოთოლი“-მეთქი და გაუგზავნე გუნიას შ. მღვიმელის შემწეობით (შ. მღვიმელს მონაფეობის დროს ვიცნობდი). მღვიმელმა გადასცა ვასო ედილაშვილს, ედილაშვილმაც გუნიას და ვნახოთ „ნიშადურის“ №9-ში პირველ გვერდზე დაბეჭდილია ეს „მიბაძვა“ და ქვეშ აწერია: „ი. გრიშაშვილი“ (შემდგომ ამ მიბაძვას მრავალმა მიბაძა). გაუგზავნე მეორე ლექსიც. დაგვიანდა იმის დაბეჭდვა. ველარ მოვითმინე და მე მიველ რედაქციაში (ყოფილ ქართულ სათავადაზნაურო ქარვასლაში, არტისტების კანტორაში).

- უკაცრავად, გრიშაშვილის ლექსი დაიბეჭდება?
- აწყობილია, არ ჩაეცია, და შემდეგ ნომერში იქნება.
- ვინ არის გრიშაშვილი?
- ნაცნობია, დამავალა გამეგო.

და გამოველი.

მიველ ნ.კ.-ს მაღაზიაში და წიგნებს ვარჩევდი. შ. მღვიმელთან ამ დროს შემოვიდა გუნია თავის „პლაშჩით“ და რაღაცა ჰკითხა, მერე მე რომ დამინახა, წიგნების არჩევის დროს, რაღაც ეუცხოვა და ჰკითხვა მღვიმელს:

- შიო, გრიშაშვილს ხომ არ იცნობო?

შიომ მე შემომხედა, ვუთხრა თუ არაო, და უთხრა:

- აი, გრიშაშვილი ეს არისო (შიო მამაჩემს იცნობდა).

- რად მომატყუე, ბიჭო?! - მითხრა გუნიამ, წამიყვანა რედაქციაში, გამომკითხა ყოველივე აფალი, გაიგო ჩემი ავანჩავანი და მითხრა:

- მაშ, უსაქმოდ ხარ, მოდი, ჩემს რედაქციაში იმსახურეო.

მე გამეხარდა - ჯერ ერთი, არტისტებთან ვიქნებოდი, და მეორეც, ცოტა „საარსებო ლუკმა“ მაინც მექნებოდა.

ვიყავი 1917-წლიდან 1909 წლამდე რედაქციაში, ვიდრე არ დაიხურა ჟურნალი. რაც შავი სამუშაო იყო, სულ მე ვაკეთებდი: კორექტურა, ადრესების დანერა, პროვინციის ხელისმომწერთათვის, დაკეცვა ჟურნალისა, ხელისმონერის მიღება, დატარება. ამ სამი წლის განმავლობაში გროში ჯამაგირი არ ვიცი რედაქციიდან, ან-და, რაც შემოდიოდა, სულ ხარჯს უნდებოდა და პირიქით, თვით გუნია აყრიდა ზედ ფულს, ხოლო მახსოვს კი სულ ბოლოს ერთი ხელი ტანისამოსი მიყიდა, ესაც მაშინ, როცა ჟურნალი ფუთობით გაყვიდეთ, შესახვევ ქალაღდის ფასად.

გუნიასთან თანამშრომლობის დროს, სცენაზედაც გამოვდიოდი გუნიას შემწეობით „ვიხოდებზე“ („ვიხოდი“ - 4 მანეთი); ბოლოს კი დავატყე, რომ მაინ-

ცადამინც არტისტი არ ვიყავი; მივატოვე არტისტობა და 1909 წლიდან სუფლორად (მოკარნახედ) ვირიცხებოდი, 35 მ. თვეში, ქართულ დრ. საზ. დასში.

ქართულმა დასმა ბევრი შემძინა: ჯერ ერთი, ამისრულდა წადილი და სულ ვკითხულობდი. მართალია, რუსულს ვერ ვკითხულობდი, მაგრამ თარგმნილ პიესებს ხომ ვსუფლორობდი და ერთგვარი წარმოდგენა მქონდა ყველა რუსის თუ უცხოელის მწერალ-მგოსანზე.

შემდეგ დიდათ შემინყო ხელი „არტისტების მოგზაურობამ“ პროვინციებში, ამ დროს პირველად ვნახე ბათომი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ქუთაისი და სხვა საინტერესო კუთხეები საქართველოსა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ვ. შალიკაშვილის რჩევით, თავი დავანებე სუფლორობას და დავენაფე კვლავ ცოდნის წყურვილს. კნ. ტასო მაჩაბელმა გამიმართა წარმოდგენა, და იქიდან შემოსულ ფულით შევიძინე წიგნები და ვმეცადინებოდი ჩემთვის სახლში, ჩუმად და ყურად. საზოგადოებაში აზრი ტრიალებდა აგრედვე, რომ გრიშაშვილი საზღვარ-გარედ გაეგზავნათ, მაგრამ შური თუ მეტოქეობა ჩრდილავდა ყველა მსურველის აზრს და, ვინ იცის, ზოგიერთ დღევანდელ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულთ რომ ვუცქერით, უმჯობესი იყო, რომ არ წავიდა, და თავისი ნიჭი მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ მწერლობას შეაღია!

პირველად სცენაზე გამოველი 1910 წ. (8 მარტს) გრ. რობაქიძის სალამოზე, ქართულ თეატრში და პირველად წავიკითხე ახალი ლექსი „გენაცვალე“ და „ბარაშკა“ გრ. რობაქიძის რჩევით. მე მცხვენოდა (მერე რაც სასიმღეროდ გადაიღეს, აღარ ვკითხულობ სცენიდან) და ხომ იცი, რა ამბავი იქნებოდა, ყველას დაავიწყდა რობაქიძე, ვაჟა და სულ ჩემზე ლაპარაკობენ დამინერეს კიდეც. ერთი „პატარა ბიჭი“ სიცოცხლით სავსე კორტი ხბოსავით გამოხტა და რა ლამაზად, რა მოხდენილად კითხულობდა და სხვ.“

გრიშაშვილმა გულგამთბარი და მგრძნობიერი წერილი უძღვნა ჭოლა ლომთათიძეს (იხ. 1915 წლის „სახალხო ფურცელი“, 6 ნოემბერი), ეს წერილი გადაბეჭდეს „თ. აზრში“ ამის შესახებ ნოე ჟორდანიას წერდა: „ჭოლა ბელეტრისტი არ არის შენიშნული და დაფასებული, ამ საერთო წესიდან გამონაკლისს შეიცავს გრიშაშვილის წერილი, რაც სიამოვნებით გადავიკითხე. პოეტმა იცნო პოეტი, მათ შორის, უეჭველია, რაღაც საერთოა, რაღაც ძაფებია გაბმული, წაიკითხეთ ჭოლას „თეთრი ლამე“ და სხვა მოთხრობები და დაინახავთ გრიშაშვილთან ნათესაობას, ნათესაობას, შინაგანს, გრძნობათა მორევში“.

გრიშაშვილი რომ დიდის პოეტურის ნიჭით და საოცარის აღმაფრენით არის დაჯილდოვებული, ამას მის პოეზიის მქირდავნი, მისი მტრებიც კი აღიარებენ. ეს პატარა კაცი პატარა საქართველოს მხოლოდ ქართველად მოეველინა, გრიშაშვილმა თავის მაგალითით დაგვიმტკიცა, რომ შეიძლება კაცი, თუ მას უნარი, ალლო, და ფხა არ აკლია, ქართულ მწერლობაზედაც შესძლებს აღზრდა-აღორძინებას. გრიშაშვილმა სხვა ენა არ იცოდა, გარდა ქართულისა და საქართველოს დამოუკიდებლობა აღბათ მას უფრო გაახარებდა – სადაც ყოველივეს ქართველი იქნებოდა და აღარ დასცინებდნენ პოეტს, რუსულის არ ცოდნას – და განუვითარებლობას.

„ჩვენს ლირიკას თითქო წყვილ-წყვილი მგოსნები დაეზადებოდეს; ამ შემ-

თხვევაშიაც ასეა. გრიშაშვილი და შანშიაშვილი – ეს ორი სახელი თითქმის განუყრელია მკითხველ საზოგადოებისათვის (კიტა, „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., №90); მაგრამ „საქართველოში მგოსანთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გრიშაშვილია“ (რობაქიძე, „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., №469); „გრიშაშვილი ლექსთა წყობის ნამდვილი ვირტუოზია“ (ალ. წერეთელი, „მეგობარი“, 1917 წ., №1); გრიშაშვილი „ჩვენი ჰეინეა“ (კონია გამსახურდია, იხ. გაზ. „მეგობარი“, №279, 1917 წ.); იგი „ჩვენი პეტრარკაა“ (გ. ჭუმბურიძე, იხ. გაზ. „შრომა“, 1914 წ., №16); „გრიშაშვილი მშვენიერების და სილამაზის მგოსანია“ (გრ. რობაქიძე, „სახ. გაზეთი“, 1912 წ., №538); „გრიშაშვილმა მთელი სკოლა შექმნა პოეტებისა“ (გრ. რობაქიძე, „სახალხო ფურცელი“, №469, 1916 წ.); „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მის გამოსროლილ სიტყვებს იტაცებენ, იმეორებენ და ათასის გადასხვაფერებით აწვდიან საზოგადოებას“ (ლეო ნათაძე, „თ. აზრი“, 1915 წ., №101); „გრიშაშვილმა შექმნა თავისი სტილი, გვარიც რომ არ წაიკითხოთ, ისეც იცნობთ გრიშაშვილის ლექსს“ (გომართელი, „თეატრი და ცხოვრება“, №4, 1917 წ.).

ბევრს მოსწონს ეს უცნაური ადამიანი, „В новейшей, грузинской поэзии Гришашвили является собой исключительное явление. Многими он признан, многими отвергается; но „мимо“ него никто не проходит... он для всех представляет исключительный интерес“ („Кавказ“, 1915 წ., №43, გრ. რობაქიძე-კავკასიელისა).

ასე მაგ:

„შოთას აქვს თავისი ენა – სტილი, და სულაც არ არის გვარის თქმა, რომ რომელიმე ტაეპის წამკითხველი მიხვდება, თუ ვინ არის მისი შემქმნელი. ან აიღეთ „გურამიანი“ – და იქაც საკუთარ სტილს აღმოაჩენთ. ილია-აკაკი-ვაჟა-მაც შექმნეს თავიანთი სტილი, ახლებში კი ყველაზე უკეთესად გრიშაშვილმა“ („განათლება“, 1914 წ., №9, ვახ. კოტეტიშვილის წერილი პოეტ კ. მაცაშვილზე).

ვის არ დაუწერა გრიშაშვილმა წერილი? ვინ არ შეხებია მის პოეზიას, უკანასკნელ წლებში არც ერთი მგოსანზე არ დაწერილა იმდენი, რამდენიც გრიშაშვილზე, ახალგაზრდა კრიტიკოსი გრიშაშვილიდან იწყება ხოლმე თავის კარიერას...

გრიშაშვილის ლექსებს ვრცლად შეეხნენ:

1) ფსევდონიმით ხასან (ჭ. ლომთათიძე), „მკითხველის შენიშვნები“, 1911 წ. „ცხოვრების საქმე“, №2. 2) აკაკი პაპავა „მშვენიერების პოეტი“, 1912 წ., „სახალხო გაზეთი“, №578. აკაკი პაპავასი, 1917 წ. „წლის ნაკვეთები“ (მიმოხილვა 1916 წლის „სიტყვანი მწერლობისა“, „სახალხო ფურც.“, №764–68. 1911 წ., „ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი“, „კოლხიდა“, №76, 1912 წ. „კრიზისის ხანა და მისი მთავარი მიზეზები“, „კოლხიდა“, №20. 1916 წ. კრიტიკული ესკიზი (სახალწლო მიმოხილვა), „სახალხო ფურც“, №472–76. 1914 წ. „სახალწლო მიმოხილვის მაგიერ“, „სახალხო გაზეთი“, №1081, 1913 წ. „ერი“, №47, „ახალი გზა ჩვენს ლიტერატურაში“. 1913 წ. „პასუხათ ვ. ბაქრაძეს“, „იმერეთი“, 106, 107, 108. 3) ალი (ალ. ცირეკიძე), „ობოლი პოეტი“, 1912 წ., „კოლხიდა“, №108. 4) ვახტანგ კოტეტიშვილი, „ი. გრიშაშვილი და მისი „ოცნების კოცნა“, 1913 წ., №815. 5) ტიგრან ფირუმანი, 1913 წ., „ჰორიზონი“, №189. 6) მ. ჭუმბურიძე, „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“, 1911 წ., „სახალხო გაზეთი“, №295. 7) კო-

კი აბაშიძე, „გრიშაშვილის ლექსები“, 1914 წ., „სახალხო გაზეთი“, №1166, 1167, 1168. 8) კიტა აბაშიძე, „ჩვენი ახალგაზრდა მწერლები“, 1913 წ., „სახალხო გაზეთი“, №901, 902, 904, 905. 9) გრ. რობაქიძე, „ფოთოლი“, ი. გრიშაშვილი, 1913 წ., „სახალხო გაზეთი“, №108. რობაქიძე, 1915 წ., „Кавказ“, №43. 1916 წ. „სახალხო ფურცელი“, №469. მ. აბრამაშვილი, „სიტყვა“ გრიშაშვილის პოეზიაში, 1915, „თეატრი და ცხოვრება“, №2, 3, 4. იბ. ვართაგავა, „კრიტიკა“ (ი. გრიშაშვილი), უურ. „განთიადი“, №8. ფრანგული (ლეო ნათაძე), „გზადაბნეული“, 1915 წ., „თანამედროვე აზრი“, 101, 103, 106, 107, 108, 109, 111, 119. ხომლედი (რომანოზ ფანცხავა), „ქართული მწერლობა“ 1915 წელს, 1916 წ. უურ. „ცხოვრება“, №2.

გაკვრით შეეხნენ (სიმბოლიზმის გარჩევის დროს, ან ახალი ხანის გარჩევის დროს, ან სხვადასხვა მწერლების გარჩევის დროს – მეც მეხებოდა: „დროების“ მეთაური (გრ. რცხილაძესი), 1910 წ., №48. გ. ბარელი „კრიტიკული შენიშვნები“ (ღმერთის ძიება), (არ. ჯაჯანაშვილი), 1911 წ., №29. მ. ნულუკიძე „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, 1912 წ., „ზაკ. რეჩი“, №148. კოკი აბაშიძე „დილეთანტის წერილები“, 1912 წ., „იმერეთი“, №43. ქ. განდევილი, 1912 წ., „თემი“, №64, „აზრი დღევანდელ ქართულ პოეზიის შესახებ“. აკაკი პაპავა, 1918 წ., „სახალხო საქმე“, №135, „ლეილა“, №1. ვლ. ბ-ძე (ბაქრაძე) „კრიტიკის კრიტიკა“, 1913 წ., „მერცხალი“, №1. ბ-ნ შხეფელი „ორიოდე სიტყვა ქართულ ლიტერატურაზე“, იასამანი – მ. კინწურაშვილი, 1910 წ., „მოსავალი“, №118. „ახალი საპასუხოდ შხეფელსა და მიმოზას“ (ვ. მაღაქიაშვილი) (შალვა მიქელაძე), 1910 წ., „სახალხო გაზ.“, №48. „შინაური“, 1914 წ., „შრომა“, №15, „ლექციები ხონში“. ლეო შენგელაია „მგოსანი და მოქალაქე თანამედროვე ჩვენს პოეზიაში“, 1916 წ., უურ. „სხივი“, გვ. 143. ტ. ტაბიძე – „საქართველო“, 1916 წ., №4 და „ცისფერი ყანნები“, №1. ია ეკალაძე, 1915 წ., „სამშობლო“, №225. უკიდურესი, „შინაური საქმეები“, №11-12, 1915 წ. ბარბარე სულხანიშვილი, „სიტყვა შ. მღვიმელის დილაზე“, 1916 წ., „თეატრი და ცხოვრება“. ალ. წერეთელი, „წერილი ქართულ მგოსნებზე“, 1917 წ., „მეგობარი“, №1. ЭН-ДОНАТО (ნ. აზიანი), „ბაკაი“, 1917 წ. ვასილ წერეთელი „ჩვენი სიმბოლისტ-ფუტურისტები“, 1917 წ., „სამშობლო“ №523. კ. ა. „ხელოვნებისთვის“, „ალიონი“, 1918 წ., №31. ისარი, „სახალხოლო“, 1916 წ., „სამშობლო“, №254. დ. კასრაძე, „ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო“, 1915 წ., „საქართველო“ (და მრავალი სხვა, სად ჩამოვთვალო).

რეცენზიები და გრიშაშვილის ლექსთა კითხვის გარჩევანი:

„ბროლის ღიმილის“ რეცენზია. ჩემი წიგნის რეცენზია, „კავკაზ“, 1914 წ., №82 (შ. დავითაშვილი, კ. ტყავაძე), „ოქროს ვერძი“, №2, 1913 წ. ჩემი წიგნის რეცენზია „ხმა კახეთისა“, 1914 წ., №155. შ. აფხაიძე, კრებული „ცხოვრება და მეცნიერება“, 1914 წ., გვ. 8, მე-III განყ. ი. გედევანიშვილი „გრიშაშვილის საღამო“, 1915 წ., „სახალხო ფურცელი“, №224. სამსონ დადიანი „ბალმონტის ლექციები“, 1914 წ., „ჩვენი ერი“, №28. ბაბო მჭედლიძის ასული „გრიშაშვილის ლექსთა კითხვა“, 1916 წ., „მეგობარი“, №81. კონია (გამსახურდია) „გერონტი ქიქოძის და გრიშაშვილის ლექციები“, „მეგობარი“, №279. ქ. რაჭველიშვილი „სახალხო საქმე“, 1917 წ., №79. პეტრე მირიანაშვილი „ზოგი

რამ (საათნოვაზე), 1917 წ., „სახალხო ფურცელი“, №797. ლევ. მეტრეველი „გრიშაშვილის საათნოვა“, 1917 წ., „სახალხო საქმე“, №80. მოსულთი „გრიშაშვილის სალამო და ვაჟა-ფშაველა“, 1913 წ., „მერცხალი“, №45. ა. კლარჯეთელი (სპ. ჭელიძე) „გრიშაშვილი და რობაქიძე“, „ბათომის გაზეთი“, №26, 1913 წ. გ. ახალციხელი „სახალხო“, 1912 წ., №526. ვარველი (ვ. შალიკაშვილი) „გრიშაშვილის სალამო ქუთაისში“, 1915 წ., სამშობლო, №29.

ლექციები თუ მოხსენებანი ნაუკითხავთ გრიშაშვილზე: კიტა აბაშიძე, ლეონათაძე, კოკი აბაშიძე, მ. ნულუკიძე, გრ. ამალლობელი, გრ. რობაქიძე, ღვამიჩავა, გ. ჭუმბურიძე და სხვ.

ერთი სიტყვით, არ ყოფილა ამ ათეულ წლის განმავლობაში ისეთი საქველმოქმედო დილა, სალამო, პროვინციებში თუ ქალაქებში, სადაც მე უსასყიდლოდ არ მიმეღოს და არ მომეჯადოვოს ხალხი. ვის არ ახსოვს მისი ლექსები მესხიშვილის და ვ. გუნიას იუბილეზე, ან ექსპრომტები ალ. სუმბათაშვილის, სარაჯიშვილის რაუტზე და სხვ. არ ყოფილა ამ ათეულ წელში ისეთი ლექცია თუ კრიტიკული წერილი, „სამშობლო ხელოვანებზე“ თქმული, სადაც მე არ მოვეხსენებინეთ ავად თუ კარგად!.. არ ყოფილა ამ ათეულ წელიწადში ისეთი საოხუნჯო ჟურნალი, სადაც გრიშაშვილი არ ყოფილიყოს გაკენწლული. მარტო მისმა „ოქროს ფეხმა“ მთელი ორომტრიალი გამოინვია. მაგ., ქუთაისში ჟურნალიც კი გამოსცეს „ოქროს ფეხის“ სათაურით, „ბარაშკა“ ხომ ყველამ იცის, ერთხელ „მათრახსა და სალამურში“ მთელი ნომერი „ბარაშკას“ ეძღვნა (იხ. 1913 წ. „მათრახი და სალამური“, №20). შარჟები მრავალმა ცნობილმა მხატვარმა უძღვნა, თითქმის ყველა ახალგაზრდა მგოსანმა უძღვნა ლექსი ავად თუ კარგად გრიშაშვილს, და გამოჰყავდათ მათ მასწავლებლად, და „ახალი სიტყვის“ მქადაგებლად.

ვთანამშრომლობდი: ჟურნალები: „ნიშადური“ (შემდეგ „საქართველო“), „ფასკუნჯი“, „ერი“ (შემდეგ „საქართველოს მოამბე“), „განათლება“, „ზურნა“, „კლდე“, „ოქროს ვერძი“, „სალამური“, „წმინდა გიორგი“, „ნაკადული“, „ჯეჯილი“, „ლეილა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „გრდემლი“, „მერანი“ („საქართველოს პრემია“), „პრომეთე“, „ცისფერი ყანები“, „აისი“, „ლიგია“, „განთიადი“ (შემდეგ „ცხოვრება“, „თავისუფლება“). გაზეთები: „სახალხო საქმე“ (და მისი წინაპარი გაზეთები), „ზვირთი“, „ივერია“ (კ. თუმანიშვილისა), „თემი“, „კოლხიდა“ (და მისი მომდევნო გაზეთები), „ჩვენი ქვეყანა“, „ხმა კახეთისა“, „ხმა ქართველი ქალისა“, „ბათომის გაზეთი“, „საქართველო“, „ქართლი“.

1915-16-17 გამოვეცი ცალკე წიგნაკები: „ვარდის კონა“, „ფანტაზია“, „ზურნა“ (მამულაშვილის გვარით), 1908 წელს „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან“ (უფსევდონიოდ და უგვაროდ), 1911 წ. „ოცნების კოცნა“, 1914 წ. სიტყვაკაზმულ მწერლობის ს-ებამ გამოსცა ჩემი ლექსები I ტომი. (მეორე ტომი მალე გამოვა). 1917 წ. დაარსდა ჟურნალი „ლეილა“, მაგრამ საერთო ორომტრიალის გამო I ნომრის შემდეგ შეჩერდა. 1915 წ. საათნოვა (ამაზედ ვრცლად უნდა შეეხო).

1917 წელს გამოვეცი ჟურნალი „ლეილა“, რომლის ვრცელი გარჩევა: „ახალი ხანა ქართულს სიტყვა კაზმულს მწერლობაში“ მოათავსა გ. ჭუმბურიძემ, 1917, „სახალხო“, №800, 801, 803 და ვარლამ ხუროძემ „თან. აზრი“, 1917, №45, 46.

ლექსებს გრიშაშვილის ფსევდონიმით სწერდა, და ის, საყოველთაოდ ნერილებს დღევანდელ ჭირვარამზე სწერდა შემდეგ ფსევდონიმებით: გრიგრი, ფირუზა, სიო ჩქარეული, სოსელი, არმან მამულ-ი, მამულისშვილი, გრილი და სხვ...

ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულად – ალ. ყანჩელის. ვალ. გაფრინდაშვილის, ნიკ. რეულოს, ნ. ბაბირიოვის, ა. არენსდენის, ნ. ჩარეკოვის, იუ-ჟანინის და სხვ.), სომხურად გრ. – გრიგორიანის... და სხვ.

მიყვარს ფაქიზად ჩაცმა, სუფთად და სადად! ფული არასოდეს არ მქონია, მაგრამ დარდიმანდი ყოველთვის ვყოფილვარ. არავის არ დავანახებ ჩემს გაჭირვებას – ამაყი ვარ! ვერავინ ვერ გაიგებს, მიჭირს რამ თუ მოყირჭებული ვარ?.. გაჭირვება კი ბევრჯელ გამომიცდია, ო, ბევრჯელ!

რა მეჯავრება? – კეკემალულობა, რიყისქვასავით მერყეობა, მიყვარს პირდაპირობა და სხვებისგანაც ამას ვთხოვლობ. მეჯავრება ორმაგობა, თვალთმაქცობა და ამიტომაც „მეგობარი“ (ამ სიტყვის მეგობრულ მნიშვნელობით) არა მყავს ბევრი. მყავს მხოლოდ ორი მეგობარი, რომელთა სიტყვაც მნამს ყოველთვის ვენდობი. ესენი არიან სამსონ ფირცხალავა და ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე).

რა მეჯავრება? – პაპიროსის წევა, თუთუნი! ღვინო! (ვერ ვიტანი!).

არასოდეს არ მიცრუვნი! და თუ ვინმე მიყვარებია – იმ წუთს წრფელი ვყოფილვარ, როცა რამოდენიმე ხნის შემდეგ აღარ მიყვარებია – ესაც გულწრფელად აღმიარებია.

საზოგადოდ, ჩემი მტრებისადმი, თუ ყოყლოჩინა ღვარძლიანებისადმი ერთადერთი ჩემი შურისძიება ის არის, რომ სალამს არ ვაძლევ!

მიყვარს ორი რამ – ქალი და ტკბილეულობა. ქალი მიყვარს ორნაირად: ზექვეყნიურად და ქვეყნურად. ნაზად და ტლანქად. როცა რაიმე სიტლანქეს ჩავდივარ, მერე სინაზე მსჯავრსა სდებს ხოლმე ამ ტლანქურ მოქმედებას. ხანდისხან ოცნებით წარმოვიდგენ ქალს და ამ ზექვეყნიურ არსებას, გადმოვასახლებ მიწაზე და რომელიმე ქალში ჩავნერგავ ხოლმე. ხოლო ვნების დასაოკებლად არ ვარჩევ ახალგაზრდას მოხუცისგან და მოხუცს ახალგაზრდისგან, სულ ერთია. ვნება ხომ უნდა დაკმაყოფილდეს? ეს არ არის დანაშაული. მე ხომ საჭურისი არა ვარ, რომ ქალი არ მიყვარდეს ვნებით, მაგრამ ამავე დროს ქალს პატივს ვცემ როგორც დედას და ამიტომაც არის, რომ მეგობრებად ყოველთვის ქკვიანი ქალები მყოლია.

კაპანელი კონსტანტინე გრიგოლის ძე¹

კაპანელი (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე დაიბადა სოფ. კაპანში, აბაშის რაიონში, მაისის 5, 1889 წ., გლეხის ოჯახში. წერა-კითხვა ისწავლა თავის სოფელში მასწავლებელი ვლად. თოფურიას ხელმძღვანელობით; შვიდი წლის იყო, როდესაც შეიყვანეს კვათანის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მამამ წაიყვანა ქ. ფოთში სწავლის გასაგრძელებლად; არც კვათანის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელში, არც ფოთში ქართულ ენას არ ასწავლიდნენ. ამ სასწავლებლებში ქართულად დალაპარაკებაც აკრძალული იყო; ვინც ქართულად დაილაპარაკებდა ან გაკვეთილის, ან დასვენების დროს, მას მაშინათვე მიაჩნებდნენ ხელში განსაკუთრებული ფორმის ფირფიტას, რაც ნიშნავდა გაკვეთილების შემდეგ დარაჯებთან სასწავლებლის შენობის დახვეტის ვალდებულებას.

ფოთში კონსტანტინე კაპანელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ზღვამ და მისმა ნავთსადგურმა: თითქმის ყოველ დღე გაკვეთილების შემდეგ მიდიოდა ზღვის პირად, ეცნობოდა ნავთსადგურს და გემებს; მაშინ აღეძრა მას საზღვარ გარედ გამგზავრების სურვილი. კ. კ-ლი არდადეგებში ჩამოდიოდა სოფლად და ეხმარებოდა მამას საოჯახო საქმიანობაში; მამის დახმარებით დაენაფა ქართულ ლიტერატურას: გატაცებული იყო განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანით“ და ნ. ბარათაშვილის ლექსებით.

უმალესი განათლება მიიღო საფრანგეთში, სადაც სწავლობდა განსაკუთრებით ფილოსოფიასა და ლიტერატურას, ჯერ ქ. ნანსში პროფ. კრონცის ხელმძღვანელობით, შემდეგ ქ. გრენობლეში პროფ. დიუმენილის და პროფ. მორიოს უშვალო ხელმძღვანელობით; დრო გამოშვებით ჩამოდიოდა პარიზში და ისმენდა ბუტრუს, ბერგსონის, ოდე-დიაპრუნის, შვეალიეს ლექციებს. 1914 წელს მან მიიღო ქ. გრენობლეს უნივერსიტეტში დოქტორანტის ნოდება და დისერტაციის წერის ნებართვა (*les idées morales et philosophiques de Rustaveli*).

კონსტანტინე კაპანელმა წერა დაიწყო რუსულად: პირველი მისი ნაწარმოები დაიბეჭდა გაზ. „ზაკავკასკაია რეჩში“ სათაურით „Идея страдания в грузинской литературе“; ამ ნარკვევმა, რომელიც იბეჭდებოდა ცალკე ფელეტონებად, მაშინათვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. კ. კ-ლი თანამშრომლობს ამის შემდეგ მრავალ პერიოდულ გამოცემებში: კაპანელის ნაწერები იბეჭდება გაზეთებში – „თემი“, „კლდე“, „სახალხო საქმე“, „ასპიროზი“, „მწვერვალები“, „ჩვენი ქვეყანა“, „ქართული სიტყვა“, „Кутаисская жизнь“, „ტრიბუნა“, „კომუნისტისტი“, „კომუნისტური განათლება“; ჟურნალებში – „Стрела Колхиды“, რომელშიაც დაბეჭდილია კ. კ-ლის ლექსი „К портрету Руставели“, აგრეთვე – „Жизнь“, „Огоньки“, „კრებული“ (გამოვიდა ქ. ქუთაისში 1923 წ.), „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „ჩვენი მეცნიერება“, „უნივერსიტეტის მოამბე“, „კომუნისტური აღზრდისათვის“ და სხვა.

1. ავტობიოგრაფია კონსტანტინე კაპანელის მიერ მესამე პირობა დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

კონსტანტინე კაპანელი მუშაობს განსაკუთრებით ფილოსოფიური და მხატვრული კრიტიკის დარგში; პარალელურად ის ცნობილია როგორც პედაგოგი: თორმეტი წლის განმავლობაში იყო საშუალო სასწავლებლის დირექტორად, ხოლო ორი წლის განმავლობაში (1931–1933) ითვლებოდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ; ამავე წლებში ხელმძღვანელობდა უცხო ენათა კათედრას საქართველოს პედ. ინსტიტუტში; 1925-26 წ. კითხულობდა ლექციებს ამიერ კავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებელში. 1934-1935 წლებში კითხულობდა ლექციებს სამხატვრო აკადემიაში; ამ უამად მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტში და სახელმწიფო კონსერვატორიაში ლიტერატურის თეორიისა, ლიტერატურათმცოდნეობის და ესთეტიურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრასთან. სახელმწიფო უნივერსიტეტში კონსტანტინე კაპანელი კითხულობს აგრეთვე ევროპის ლიტერატურის კურსს. კონსტანტინე კაპანელი ხშირად კითხულობს ამასთანავე საჯარო მოხსენებებს ხელოვნებასა, ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგებიდან, ამ მოხსენებებს ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრება. კონსტანტინე კაპანელის ნაწერების შესახებ მრავალი რეცენზია დაბეჭდილია გაზ. „კომუნისტში“, „პროლეტარულ ბრძოლაში“, „კავკასიონში“, „ილიონში“, „მნათობში“, „პროლეტარულ ლიტერატურაში“, საფრანგეთში მორის ვიულენის მიერ გამოცემულ წიგნში საბჭოთა კულტურის შესახებ (გამოვიდა 1926 წ. ქ. პარიზში).

გარდა ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული ნაწერებისა, კონსტანტინე კაპანელის აქვს გამოცემული შემდეგი ნაშრომები ცალკე წიგნებად:

1. „Страдание и творчество“, 1917 წ.
2. „სული და იდეა“, 1923 წ.
3. „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, 1925 წ.
4. „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, 1926 წ.
5. „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, 1928 წ.
6. „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, მეორე გამოცემა შესწორებული და შევსებული, 1931 წ.

ილია სიხარულიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	სიხარულიძე ილია ლუკას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1889 თვე აგვისტო დღე 16
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბუკისციხე (ჩოხატაურის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ლირიკული ლექსები (ბავშვები-სათვის)
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1912 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	–
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დამთავრებული მაქვს სამასწავლებლო სემინარია ქუთაისში
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, გერმანულის კითხვა
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>საბავშვო ლიტერატურის ბი-უროს წევრი, ჟურნ. „დილას“ სარედ. კოლეგიის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>საქარ. რესპუბლიკის დამსახურე-ბული პედაგოგი, მედალი „მამა-ცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>პენსიონერი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბაქრაძის მეორე შესახ. №3</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1913	15	მასწავლებელი	სუჟუნის ორკლა- სიან სასწავლებ- ლისა	
1915	17	„-“	ქუთაისის სასოფ- ლო-სამეურნეო სასწავლებელში	
1917	18	„-“	ბათუმის სამოქა- ლაქო სკოლისა	
1919	25	„-“	თბილისის უფ- როს დანყებით სასწავლებელში	
1925	32	„-“	თბილისის ვეტე- რინარულ ინსტი- ტუტში	
1932	37	„-“	თბილისის საც- დელ-საჩვენებელ სკოლაში	
1937	45	„-“	თბილისის პირვე- ლი საშუალო სკო- ლა	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ილია ლუკას-ძე სიხარულიძის ავტობიოგრაფია

მე, ილია ლუკას-ძე სიხარულიძე დავიბადე, 1889 წელს, 16 აგვისტოს სოფელ ბუკისციხეში ჩოხატაურის რაიონში, გლეხის ოჯახში. ბავშვობა გავატარე სოფლად.

რვა წლის ასაკში მიმაბარეს სოფლის საეკლესიო დაწყებით სასწავლებელში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდა ჩავაბარე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ არ ვიქენი მიღებული, ვინაიდან იქ ლებულობდნენ სასულიერო წოდების ბავშვებს და გლეხის შვილებს კი, მხოლოდ ერთს, და მე მათ რიცხვში ვერ მოვხვდი, ამიტომ არ მიმიღეს.

1909 წელს შევედი სამასწავლებლო სემინარიაში დაბა ხონში, რომელიც დავამთავრე 1913 წელს.

1913 წლიდან 1945 წლის ჩათვლით მე ვმუშაობდი პედაგოგად დაწყებით საშუალო სკოლაში სხვადასხვა სოფლებში და ქალაქებში, ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1949 წელს უმაღლესი საბჭოს მიერ მომენიჭა დამსახურებული პედაგოგის სახელი.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ვწეოდი ლიტერატურულ მოღვაწეობას, ვწერდი ლექსებს ბავშვებისათვის, სკოლამდელთა და სკოლის ასაკისათვისაც დაბალ ასაკამდე.

ლექსების წერა დავიწყე ბავშვობიდან 900-იან წლებში, რომლებშიაც ასახული იყო რევოლუციური სულისკვეთება. ჩემი ლექსები დაიბეჭდა 1912 წელს.

1952 წელს შემისრულდა 40 წელი ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელიც აღნიშნული იყო იუბილეს სახით.

გამოცემულია ათეული საბავშვო წიგნები, დაწერილი მაქვს ბევრი ლექსი და იგავ-არაკები, პოემები, ზოგიერთი მათგანი ჯერ არ არის ცალკე წიგნად გამოცემული.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მე დაწერილი მაქვს სახელმძღვანელოები ქართული გრამატიკისა, ლიტერატურისა და აგრეთვე მეთოდური ბროშურები ენის სწავლების საკითხებზე და სხვა.

1945 წელს დავტოვე სკოლა, რადგან მინდოდა, მთლიანად გადავსულიყავი ლიტერატურულ-სამწერლო მუშაობაზე.

ი. სიხარულიძის ნაწარმოებთა სია: 1. ლექსები „საბავშვო თამაშობანი“, 1925 წ. 2. „პურის მარცვალის თავგადასავალი“, მოთხრობა, 1926 წ. 3. „ბუნების გამოღვიძება“, პოემა, 1926 წ. 4. „ახალი თბილისი“, პოემა, 1934 წ. 5. „ნათელას ფისო“, პოემა, 1937 წ. 6. „საჰაერო განგაში“, პოემა, 1940 წ. 7. „ოქტომბრის ყვავილები“, ლექსების წიგნი, 1938 წ. 8. „თვალფუფუნა ფუფუნა“, ლექსების კრებული, 1947 წ. 9. „ბურთის სიმღერა“, ლექსების კრებული, 1949 წ. 10. „გამარჯობათ, პატარებო“, ლექსების კრებული, 1952 წ. 11. „მხიარული ლექსები“, ლექსები, 1955 წ. 12. „ბავშვები აგარაკზე“, ლექსების ციკლი, 1956 წ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია კონსტანტინე (კოკი) ილიას ძე აბაშიძის

დავიბადე 1889 წელს სოფ. დილიკოურში (ყოფილი შორაპნის მაზრა). მამაჩემი – ილია ზურაბის ძე აბაშიძე – წარმოშობით თავადი იყო, პროფესიით ვეჭილი. მან ახალგაზრდობაშივე დაკარგა ყოველივე კავშირი სოფელთან, სცხოვრობდა ქ. ბათომში და ეწეოდა ვეჭილობას. ჩვენი ოჯახი თავიდანვე ნივთიერ შევიწროებას განიცდიდა, ასე რომ, ჩემი აღზრდის საქმე უფრო ჩემი ახლობელი ნათესავების – გიორგი ზდანოვიჩისა და კიტა აბაშიძის ზრუნვას შეადგენდა. ვსწავლობდი ჯერ ბათომის გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოვედი 1912 წელს – ლიტერატურულ-კრიტიკულ ხასიათის წერილებით. ჩემი პირველი წერილები დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „კოლხიდაში“ – „დილეტანტის წერილების“ სათაურით (ექვსი ფელეტონი), რომელშიაც მე ვეხებოდი ი. გრიშაშვილის, ალ. შანშიაშვილის, ალ. აბაშელისა და გ. ქუჩიშვილის შემოქმედებას. ამის შემდეგ მე ვთანამშრომლობდი გაზეთ „სახალხო საქმესა“ და „კოლხიდაში“, სადაც სხვა და სხვა დროს მოთავსებული იყო ჩემი წერილები: ალ. გერცენზე, ლ. ანდრეევზე, თ. სოლოგუბზე, მ. გორკის, ლ. ტოლსტოის, ალ. ბლოკის შემოქმედებაზე. ჩემი ვრცელი წერილები იყო აგრეთვე მოთავსებული აღნიშნულ გაზეთებში: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე და არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიურ წერილების შესახებ. 1914 წლიდან მუდმივად ვთანამშრომლობდი გაზეთ „სახალხო საქმეში“, სადაც საბჭოთა ხელის უფლების დამყარებამდე დაიბეჭდა ჩემი წერილები: „ახალი საქართველო და ეროვნული შემოქმედება“ (ექვსი ფელეტონი), რომელშიაც ვეხებოდი ლიტერატურისა და კრიტიკის საკითხებს, „ი. გრიშაშვილის პოეზია“, „გიორგი მათაშვილი“, „ლიტერატურულ კრიტიკის შესახებ“ და მრავალი სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვთანამშრომლობდი თითქმის ყველა ჟურნალ გაზეთში: „ლომისში“, „ილიონში“, „ქართულ მწერლობაში“, „მნათობში“, „საბჭოთა ხელოვნებაში“, სადაც მოთავსებულია ჩემი წერილები, მოგონებები და მონოგრაფიები: კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, შალვა დადიანის შემოქმედებაზე, „აკაკი წერეთელი“, „ვასო აბაშიძე“ (დიდი მსახიობის სილუეტი), „გრ. აბაშიძის პოეზია“, ალიგიერი „დანტე“ და სხვ.

ჩემის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოვიდა: გრ. აბაშიძის თხზულებანი (გამოცემა „ფედერაციისა“), „ნ. აზიანის პიესების“ წინასიტყვაობა. იბეჭდება მონოგრაფია (მხატვართა კავშირის მიერ) მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეზე, გადაცემული მაქვს გამომცემლობაში ვრცელი მონოგრაფია „გიორგი ზდანოვიჩზე“ (გიორგი მათაშვილი). დამზადებული მაქვს დასაბეჭდათ ვრცელი წერილები: მიხ. ჯავახიშვილის, ირ. ევდოშვილის, პ. მ. საყვარელიძის შემოქმედების შესახებ, ვამზადებ მონოგრაფიას ვლ. ალექსი-მესხიშვილზე.

ჩემი პროფესია: ვეჭილი და მწერალი.

თავიდანვე ვიყავი „სახალხოელთა“ („სახალხო საქმე“) ჯგუფში.

კ. აბაშიძე

Автобиография

Ответственного Исполнителя по регулированию трудовых взаимоотношений, режима рабочего времени в учреждениях, улучшения культурно-бытовых условий инженерно-технических работников юриста ЗНКШ – Абашидзе Константина Ильича

Родился я в 1889 году в селе Диликоури (б. шорапанский уезд), в семье б. титулованного дворянина – Ильи Зурабовича Абашидзе. Отец мой был безземельный дворянином, интеллигент, с юридическим образованием. Разновременно – до 1902 года занимал должности мирового судьи, нотариуса, а в последнее время занимался адвокатурой в гор. Батуме. После смерти отца (1902 г.), мать моя урожденная Микеладзе, Екатерина Константиновна обремененная детьми, осталось в буквальном смысле без всяких средств к существованию, но с помощью близких родственников Георгия Феликсовича Здановича – известного общественного деятеля, участника процесса 50-ти и Ивана Георгиевича (Кита) Абашидзе – литературного критика, сумела дать детям образование... Я обучился в Батумской гимназии, а затем в Ленинградском университете на юридическом факультете будучи стипендиатом. В 1913 году по завершении образования, я вернулся в Грузию в Тбилиси, где и проживаю до настоящего времени.

Находясь с детства под большим влиянием таких выдающихся обществ. деятелей, как Георгия Здановича и Кита Абашидзе, а в последствии и Арчила Джорджадзе – лидера партии грузинских соц.-федералистов, я с 1910 года, еще совсем молодым, вступил в партию соц.-федералистов и до 1921 года был одним из деятельных членов ее.

Будучи еще юношей, молодым студентом, в 1910 году, я начал сотрудничать в литературных органах соц.-федералистов: „Сахалхо Сакме“ (тифлис. газ.), „Колхида“ (кут. газ.), в журналах „Грдемли“ и пр., помещая в них, главным образом, литературно-критического характера статьи и обзоры.

По возвращении в Тифлис в 1913 году я был приглашен в редакцию „Сахалхо Сакме“ постоянным сотрудником и до 1915 года работал в ней помещая преимущественно статьи литературно-критического характера. В 1915 году, после мобилизации ратников ополчения I разряда, я вынужден был устроиться на работу в Земском Союзе. Составя при Уполномоченном Земского Союза работником для особых поручений в гор. Батуме до октября 1916 года, я продолжал помещать статьи в газ. „Сахалхо Сакме“ о зверствах генерала Лохова в Аджаристане и Лазистане, за что был выслан из пределов гор. Батума, с воспрещением проживать в Батумской области. Вернувшись в Тифлисе я вновь продолжал сотрудничать в газ. „Сахалхо Сакме“ постоянным сотрудником газеты. После февральской революции, я вновь вернулся в Батум, а затем в Трапезунд, числясь сотрудником постройки железной дороги, как военно-обязанный. В Трапезунде, я как представитель партии соц.-федералистов – совместно с другими там находящимися товарищами, принимал ясное участие в выборах в учред. собрание пропагандируя среди партийных товарищей голосовать за №5 (боль-

шевилов). Таково было и постановление ЦК партии соц.-федералистов. Вообще в выборах в Трапезунде до марта 1918 года: я принимал участие и в работах трапезундского исполкома.

По возвращении в Тифлис, в апреле 1918 года, меня партия соц.-федералистов определила на работу в министерстве народного просвещения, где состоял личным секретарем министра (Георгия Ласхишвили – лидера партии соц.-федералистов), одновременно выполняя обязанности юристконсультанта. С основания Сената Грузии, я перешел туда на работу, занимая должность секретаря административного департамента Сената и одновременно работая в Груз. обществе красного кресла юристконсультантом. За это время я не порывал связи с партией соц.-федералистов и с газ. „Сахалхо Сакме“. Состоял членом президиума Союза писателей Грузии, членом общ. распространения грамотности среди грузин и драматического общества Грузии.

После советизации Грузии, я не выезжая из Тифлиса, с первых же дней советизации служил членом коллегии отдела юстиции тифлисского уезда, одновременно работая в органе левых соц.-федералистов „Федералист“, помещал статьи литературно-критического характера, хотя к левым соц.-федералистам не примыкал организационно. В 1921 году был избран членом Совета писателей Грузии и состоял таковым до 1924 года, принимая участие в всех изданиях Совета писателей и читая доклады на литературные темы. Совместно с товарищами в 1923 году издавал литературный журнал на груз. яз. „Илиони“.

В конце 1921 года я был приглашен юристконсультантом Горного отд. ВСЫК Грузии. С 1924 года по 1/VI, 1926 работал в качестве юристконсультанта в Госиздате РСФСР и Мопре Грузии. С июня 1926 года я был приглашен юристконсультантом Закнарком труда, где состою по настоящее время. За время работы в Зыски написал совместно с другими товарищами ряд брошюр по трудовым вопросам: об отпусках, о труддисциплине о среднем заработке, о кадрах, а также помещал статьи в журнале „Вопросы“...

სავლე ოსების ძე აბულაძე¹

დაიბადა 1890 წ. აპრილის 20-ს, ს. კიცხში (ზემო-იმერეთი), გლეხის ოჯახში. პირველი განათლება მიიღო კიცხის ორკლასიან სასწავლებელში. იქვე დაიწყო ლექსების წერა, მესამე განყოფილებაში სწავლის დროს.

1907 წ. შევიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც ოთხი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ნეტარ-ხსენებული მწერლის და პედაგოგის – ნიკო ლომოურის კეთილ გავლენის ქვეშ. ამ ხანებში ბევრს სწერდა რუსულადაც: მისი პირველი ლექსი რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1909 წ. გოგოლის საიუბილეოდ გამოცემულ კრებულში.

1911 წ. დაინიშნა მასწავლებლად კიცხის სკოლაში. იმავე წელს ჟურნალ „განათლების“ ივნისის №-ში განსვენებულმა ლუარსაბ ბოცვაძემ პირველად დაბეჭდა მისი ლექსი ქართულ ენაზე, სახელწოდებით „ელეგია“, ს. ა-ძის ფსევდონიმით, რის შემდეგაც ის გახდა „განათლების“ მუდმივი თანამშრომელი და ათავსებდა ლექსებსა და პედ. ხასიათის წერილებს, ნამდვილ სახელ-გვარს გარდა, „ციაგი“, „პავლე ა-ძე“ და სხ. ხელმოწერით.

1912 წ. დაინიშნა კიცხის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველად.

1914 წ. მსოფლიო ომის დროს გაიწვიეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

1915 წ. დაიბეჭდა ია ეკალაძის გაზეთ „სამშობლო“-ში მისი მოთხრობები: „იასამანი“, „სწავლის წყურვილი“, „პირველი სიყვარული“, „რა დავაშავე?“ და სხ.

ამავე დროს იბეჭდებოდა მისი ლექსები და ჩანერილი ხალხური ზღაპრები „ნაკადულში“ და „ჯეჯილში“.

1917 წ. ჟურნალ „მებრძოლთა ხმაში“ დაიბეჭდა მისი რომანი „სხვა და სხვა გზით“ და რამდენიმე ლექსი.

ტფილისის უნივერსიტეტის დაარსებიდანვე ჩაირიცხა სიტყვიერების დარგის სტუდენტად და ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები 1925 წ.

ამავე დროს ეწეოდა საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა აგრეთვე: „სახალხო საქმეში“, „ზვირთ“-ში, „ჯარის-კაც“-ში, „მხედარ“-ში, „მომავალ“-ში, „საქართველოს განათლების მუშაკ“-ში და სხ.

1921 წ. დაინიშნა კიცხის შვიდწლიანი შრომის სკოლის გამგედ და შორაპნის მაზრის სკოლების ინსტრუქტორად (შეთავსებით).

1924 წ. გამოსცა ქ. ჭიათურაში ლექსების პატარა კრებული „მზიანი ჩრდილები“.

ამჟამად განაგებს ხარაგოულის პედ. განხრით ცხრანლედს და თავისუფალ წუთებს კი ანდომებს პოეტურ შემოქმედებას.

1926 წ. 4 მაისი

დ. ხარაგოული

1. ავტობიოგრაფია სავლე აბულაძის მიერ მესამე პირობა დანერილი (გამომცემლის შენიშვნა).

სოლომონ თავაძე – ობოლი მუშა

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	თავაძე სოლომონ ეგნატეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ობოლი მუშა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი <u>1890</u> თვე <u>ივნისს</u> დღე <u>19</u>
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1912 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	1907 წლიდან 1919 წლამდე ვიყავი რსდმპ. „სხიველების“ ჯგუფში

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თვითგანათლება
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	არა
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მეფის რუსეთის დროს</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>კლ. ცეცკინის 59</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1904	1905	მუშად	ჩაქვის ჩაის მეურ- ნეობაში	
1907	10	მონაფედ	ბაქოს მექანიკურ ქარხანაში	
1918	20	ლიტმუშაკად	რედაქცია ჟურ- ნალ „ცისარტყე- ლას“	თბილისი
1923	34	„-“	გაზეთ „მუშას“ რედაქცია	„-“
1935	წლიდან	დღემდე ვენევი და არსად არ ვმუშაობ	ლიტერატურულ მოღვაწეობას	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

სოლომონ ეგნატეს-ძე თავაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1890 წელს გლეხის ოჯახში. 13 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა, დავრჩი დედის-ერთა. 1904 წელს დავეინყე მუშაობა ჩაქვში ჩაის მკრეფავად. აქ რამდენიმე ახალგაზრდას დავემეგობრდი. რევოლუციურ მოძრაობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ხელში ჩაგვივარდა საპირველმაისო ფურცლები. ამ პროკლამაციამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. გადავწყვიტეთ, მოგვეწყო საპირველმაისო გაფიცვა. ჩაის მკრეფავად უმთავრესად ქურთი ქალები მუშაობდნენ. ვიშოვეთ საჩიტე თოფები, დავტენეთ მარტოოდენ დენტით. 1 მაისს დილით ჩამოუარეთ ჯგუფებს. ამოვეფარებოდით ბურჩებს ან ბამბუკის ტყეს და ვისროდით. ქალები გაიფანტნენ. ასე მოვანყვეთ საპირველმაისო „გაფიცვა“. მეორე დღეს დაგვიჭირეს, ქობულეთში გაგვგზავნეს. ის ღამე სარდაფში გავატარეთ. დილით ჩაფრების უფროსმა ირონიულად აგვხედ-დაგვხედა და გვითხრა: „ნადით, ბიძია, სახლში, ჩაქვისაკენ პირი ანი აღარ იბრუნოთო“. მე სახლში მაინც არ წავედი, ისევ ჩაქვში დავბრუნდი. როგორც იყო მოვახერხე და ჩაის ფაბრიკაში მოვენყე მუშად. აქ დავუახლოვდი მოწინავე მუშებს, საიდუმლო წრეში მიმიღეს. ხარბად დავენაფე არალეგალურ ლიტერატურას.

1905 წლის მაისამდე ფაბრიკაში ვმუშაობდი. იმ ერთმა წელმა სავსებით გარდაამქმნა. 15 წლისა ვარ, მაგრამ ჩემი თავი უკვე დასრულებული ვაყვაცდი მგონია. წრის რამდენიმე წევრმა შევიძინეთ სახიზანო ყალობის რევოლვერები. ერთი ამხანაგი დაგვიპატიმრეს. ამის გამო ჩვენ შეიარაღებული გამოსვლა განვიზრახეთ, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა და მეც იძულებული შევიქენი, ჩაქვიდან წამოვსულიყავი.

1905 წლის მაისში ავედი მუხაყრუაში. რევოლუციური მოძრაობა იქაც ვითარდებოდა. სამსონ ნითელიშვილთან ერთად ვადგენდით ნითელ რაზმელთა ჯგუფებს სოფლებში. გვიხდებოდა შეტაკება ჩაფრებთან, კაზაკებთან.

ამავე წლის ოქტომბერში ჩავედი ქუთაისში. მონაწილეობა მივიღე, შორაპანში ჩაფრებს რომ იარაღი აჰყარეს. 1906 წ. ქუთაისში ჩამოვიდა ალიხანოვის დამსჯელი რაზმი. იმავე წლის თებერვალში დამაპატიმრეს. იმ დროს შემჩნეულებს მასიურად ასახლებდნენ. მე სახელი გამოვიცვალე. ბევრი არ უძიებიათ, ივლისში გადამასახლეს ციმბირში, ტობოლის გუბერნიაში. 3 თვე გვატარეს ციხიდან ციხეში. ოცი დღე დავრჩი ციმბირში და შემდეგ სამი ამხანაგი გამოვიპარეთ. რკინიგზის ბილეთი მე ბალაჯარამდე მქონდა, ჩემს ამხანაგებს კი თბილისამდე. ბალაჯარაში ერთი აბაზი ჩამომყვა. ავედი ბაქოში, მოვნახე ორგანიზაცია. მომცეს პასპორტი ვანო ნაფეტვარიძის სახელზე. 1907 წლის იანვარში ბაქოს სამხედრო ორგანიზაციამ მისწერა სარენავ „ოლეუმის“ დირექტორს, რომ მე მიველე მექანიკურ სახელოსნოში. დირექტორმა შიშით უარი ვერ სთქვა. მიმიღეს სახელოსნოში შეგირდათ, სადაც სამი წელი ვიმუშავე.

1909 წლის დასაწყისში სახელოსნოდან დამითხოვეს. ამ ხანებში არალეგალურად ცხოვრება მეტისმეტად გაძნელდა. გადავწყვიტე უცხოეთში წასვლა. საჭირო იყო ფული. სოფელში საყანე მინა მქონდა, მინდოდა, გამეყიდა. ჩავედი ჯუმათში, იქ ვილაცამ გამცა და დამაპატიმრეს, წამიყვანეს

ლანჩხუთში. ჩემმა მეგობრებმა მოახერხეს და ბოქაულს კაცი გაუგზავნეს, რომ მოეწყო ჩემი განთავისუფლება იმ პირობით, რომ იმ რაიონში აღარ გავივლიდი. გავეშურე ფოთისაკენ, იქიდან სამურზაყანოში. იქ რამდენიმე ხანს ვმუშაობდი ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მემანქანედ, შემდეგ ნისქვილში, რომელსაც ორთქლის მანქანა ამუშავებდა.

1910 წლის მარტის პირველ რიცხვებში ისევ ბაქოში გავბრუნდი. აქ დამაპატიმრეს 19 მარტს. თერთმეტი თვე ვიჯექი ბაქოს ციხეში, შემდეგ გადამიყვანეს ქუთაისში. 1911 წელს გამასამართლეს 1905 წლის საქმეზე, მომისაჯეს სამუდამო კატორღა, მაგრამ რაკი 1905 წელს მცირეწლოვანი ვიყავი (15 წლისა), იმდროინდელი კანონის მიხედვით (139 მუხლი), კატორღა ათი წლით ციხეზე შემეცვალეს. 1912 წელს ქუთაისის საპატიმროში დავინერე ჯვარი, ეს იმიტომ, რომ ჩემს საცოლეს ნახვის უფლება ჰქონოდა. 1915 წლის შემოდგომაზე გადამიყვანეს მეტეხში. ვმუშაობდი ციხის სტამბაში, ვისწავლე ასოთამწყობობა. 1917 წელს გამანთავისუფლა თებერვლის რევოლუციამ.

მთელი ამ შვიდი წლის განმავლობაში საპატიმროში სხვადასხვა პირობებში ვსწავლობდი, ვმეცადინეობდი. წერა დავიწყე ქუთაისის ციხეში. ჩემი პირველი ლექსი „მუშა“ დაიბეჭდა 1912 წელს „თემში“, შემდეგ იბეჭდებოდა ყველა სოც. დემოკრატიულ გაზეთებში „ობოლი მუშის“ ფსევდონიმით.

ცხადია, საპატიმროში ძალიან ძნელი პირობები იყო; ბევრჯერ წამართვეს ხელნაწერი. მაგალითად, მოთხრობა „წამებულნი“ ორჯერ მინახეს ჩხრეკის დროს. ბოლოს მაინც მოვახერხე და გამოვუგზავნე „თანამედროვე აზრს“, სადაც დაიბეჭდა, თუმცა ცენზორმა თითქმის ერთი მესამედი ამოშალა.

1918 წ. გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი ლექსებისა და პოემების „მომავალი“. ამ წიგნში მოთავსებული ლექსები და პოემები საპატიმროშია დაწერილი.

მას შემდეგ გამოვიდა რამდენიმე წიგნი „საპატიმროს დღიურიდან“, „შორი ნათელი“, „გზა მენამული“, „პოემები“, მწვერვალები“, „ფრთები“ და სხვ.

მონაწილეობას ვიღებდი მწერალთა კავშირის ყველა გამოცემაში გამომშვებად, მთარგმნელად და სხვ.

1938 წ.

სოლომონ თავაძის ნაწარმოებთა სია:

1. „მომავალი“, ლექსები და პოემები. 2. „საპატიმროს დღიურიდან“, მოთხრობები. 3. „შორი ნათელი“, ლექსები და პოემები. 4. „გზა მენამული“, რომანი. 5. „მამა“, რომანი. 6. „მეგობრები“, რომანი. 7. „კავკასიონის კარებთან“, რომანი. 8. „ლიდა“, ლექსები და პოემები. 9. „მაისის განთიადი“, რომანი. 10. „აბესალომ მუხიგული“, რომანი. 11. „კავკასიონი“, ლექსები და სხვ. 12. „მთელი გულით“, ნარკვევი. 13. „ფოლადი“, რომანი და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე – მარიჯანი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ალექსიძე მარიამ (მარიჯან) მარკოზის ასული
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	მარიჯან
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1890 თვე ივნისი დღე 25
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. თბილისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, პროზა, თარგმანი
8. რა ენაზე წერს	ქართული და რუსული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1916 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1935
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, თბილისის ფილოლოგიური ფაკულტეტი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ვიცი ფრანგული, კარგად რუსული და ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	-
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	არა
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	არა
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	სამწერლო ასპარეზი
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	არა
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	მედალი „მამაცური შრომისათვის“
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო სექციის კონსულტანტი
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	ჯაფარიძის ქ. 10

„ 4 “ მაისი 1952 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1948 წლიდან	დღემდე	საქართველოს საბჭოთა მწერ. კავშირში საბავ- შვო ლიტსექცი- ის კონსულტანტი		თბილისი
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ.		
		ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

მარიამ მარკოზის ასული (მარიჯანის) ალექსიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. თბილისში 1890 წელს, ივნისის 25-ს. მამაჩემმა დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, დედა იყო მასწავლებელი.

(ადამიანის ცხოვრებაში, ისევე, როგორც ბუნებაში, არის ოთხი დრო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. მე ჩემი ცხოვრების მანძილს ოთხ პერიოდს ვანაწილებ ჩვიდმეტ წლიან ნაკვეთების მიხედვით).

პირველი ჩვიდმეტი წელი ეს იყო ბავშვობის და ყრმობის უბედნიერესი ხანა, უდარდელი და უზრუნველი. პირველობა შინ და სკოლაში, სწავლა მუდამ ფრიადზე, მედლით დასრულება თბილისის ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლისა, და უშუალოდ გადასვლა ცხოვრების მეორე პერიოდში: ქორწინება, მეოჯახეობა.

1914 წელი, იმპერიალისტური ომი. მივდივარ ავსტრიის ფრონტზე ქალ. ჩერნოვიცაში, ვბრუნდები იქიდან ომის საშინელი შთაბეჭდილებებით სავსე.

ჩემი ლიტერატურული დაბადების თარიღი არის 1916 წელი. მაშინ განჯაში ვცხოვრობდი. ჩემი მეუღლე, სამხედრო ექიმი – ალ. ალექსიძე, ავსტრიის ფრონტიდან ა/კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს და რადგან ის ნაწილი, სადაც ის გაამწესეს, განჯაში ბინადრობდა, მეც იძულებული ვიყავი განჯაში მეცხოვრა (სამძიმო იყო ჩემთვის განჯაში ყოფნა: „გვწყენდა ეს მხარე, ეს ქაობი, ეს ქუჩა და ვნატრულობდი ალიაქოთს, თეატრსა და თბილისს“).

პირველი ლექსი „ტბა“ დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ და იმავე დღეს თარგმანი ლოხვიცკაიადან ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. (სახელწოდება „მარიჯანი“ ჩემს ლექსებზე უმაღლეს ნაწილშია. ამ მხრივ პავლე ინგოროყვა უნდა ჩაითვალოს უშუალო მონაწილედ).

რევოლუციის შემდეგ, როცა გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, შევედი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. პირველი ჩემი ლექსების კრებული დაიბეჭდა გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს. ყველაზე ნაყოფიერი, ემოციური, შინაგანი განცდებით მდიდარი და მრავალფეროვანი არის ჩემი ცხოვრების მესამე ხანა – შემოდგომის ხანა, 1924–1941 წ. ვიღებ მონაწილეობას საბავშვო ლიტერატურაში, ვთარგმნი თეატრების დავალებით პოეტ ი. გრიშაშვილთან ერთად მრავალ პიესებს. გამოვიდა ჩემი წიგნი „წელი ცირკში“, 1926 წ.

1938 და 1944 წლებში გამოვიდა ჩემი წიგნები: „ზურა ატმის ქალაქში“, ლექსები „ზვიად“, პოემა „ვოლგაზე“, „ბედნიერი თაობა“, „პარაშუტი“, „ჩვენი ქვეყანა“, და თარგმანები რუსულიდან: „რა უფრო სწრაფია“ შვარცისა, „მზიანა“ ჩუკოვსკისა, „ხევსურეთი“ დემიდოვის, „სამი გოჭი“ მიხალკოვის და სხვა.

ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს, ე. ი. სიბერის დასაწყისს, დაერთო მეორე სამამულო ომი. ეს წლები ჩემი ცხოვრების უმძიმესი წლები იყო. ახლა, როდესაც ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა ჩვენი საქმე და მტერი განადგურებულია, მე ჩემს თავს ახალ ანგარიშს ვუდგენ: არც ერთი წელი არ გავაცდინო.

1946 წელს გარდამეცვალა მეუღლე – ექიმი ალექსიძე.

1948 წელს იანვრის თვიდან ვმუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო სექციაში ლიტ-კონსულტანტად.

„მე მოვკვდები, თუ არ ვიმღერ,
რასაც გულში ვარწევ,
მე მოვკვდები, ალბათ, იმ დღეს,
როცა ლექსს ვერ დავწერ“.

მარიჯანის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსები, 1921 წ.
2. „ნელი ცირკში“, 1926 წ.
3. „ჩვენი წიგნი“, „პატარა მშენებლები“ (წ. ნაკაშიძესთან ერთად), 1927-1928 წ.წ.
4. „ზვიადა“, ლექსების ციკლი, 1927 წ.
5. „დაკარგული კბილი“, ერთმოქმედებიანი პიესა, 1927 წ.
6. „ვოლგაზე“ – პოემა 1930 წ.
7. „ზურა ატმის ქალაქში“, მოთხრობა, 1933 წ.
8. „ცხელი ქვეყნის მცენარეები“, ლექსები, 1936 წ.
9. „ჩვენი ქვეყანა“, ლექსები, 1938 წ.
10. „ბედნიერი თაობა“, მოთხრობა, 1938 წ.
11. „პარაშუტი“, ლექსები, 1938 წ.
12. „გულადი კურდღელი“, პიესა, 1940 წ.
13. მრავალი თარგმანები.
14. „მამიდა თეოს მარანი“ („ბატები“), 1948 წ.
15. ლირიკული ლექსები, 1949 წ.
16. „მზიური ქვეყნის ბავშვები“, ნოველები, 1949 წ.
17. „კეთილი გულით“, საბავშვო მოთხრობები, 1951 წ.
თარგმანები:
18. „პატარა მირონი“ – ფრანკო, 1949 წ.
19. პიესები – „სგანარელი“ მოლიერისა, 1946 წ.
20. მარგარიტა ალიგიერი – „ზღაპარი სინათლეზე“, 1947 წ.
21. „ამერიკის ხმა“ ა. ლავრენიევის, 1949 წ.
22. „ფიგაროს ქორწინება“ – ბომარშე, ი. გრიშაშვილთან ერთად.
23. „წმინდა ქალწული“ ბერნარდ შოუს, ი. გრიშაშვილთან ერთად.
24. „თოფიანი კაცი“ პოგოდინისა, ი. გრიშაშვილთან ერთად.
25. „მელოდე“ სიმონოვისა, ი. გრიშაშვილთან ერთად.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სანდრო ეული – ალექსანდრე ქურიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ქურიძე ალექსანდრე ქიშვარდის ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	სანდრო ეული
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1890 თვე ოქტომბერი დღე 23
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ზომლეთი (ჩოხატაურის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხის ოჯახი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1909 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	საქ. პროლეტმწერალთა ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ა/კავკასიის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტ., დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>საქ. მწერ. კავშირის გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>1936 წელს დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის ორდენით“; მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გრიბოედოვის 10, 3-63-55</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულე- ბა, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალა- ქი, რაიონი, ოლ- ქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1907	08	მუშად	ჩაქვის პლანტაციებში	
1908	09	„-“	ჩოხატაურის ფოსტის კანტორაში	
1909	10	„-“	ბაქოს რკ. გზის მუშად	ბაქოში
1910	11	პროფკავშირის თავმჯდომარედ		ბაქოში
1912	14	ლიტმუშაკი	ჟურნ. „წყარო“	
1914	17	„-“	ქალაქის სამმართველო	ბაქოში
1917	18	სტატისტიკოსი	სტატ. სამმართველო	თბილისი
1919	19	მოანგარიშედ	რკნგზ. სამმართველო	„-“
1919	20	რედაქც. მუშაკი	გაზეთის რედაქცია	„-“
1920	22	რედ. მოადგილე	ჟურნალ „ქურას“	„-“
1922	25	რედაქც. მდივანი	ჟურნ. „ნიანგი“	„-“
1925	27	განყ. გამგე	გლავლიტისა	„-“
1927	28	თავმჯდომარე	ხელოვნების მუშაკთა	
1928	30	სამდ. წევრი	ჟურნ. „ნიანგი“-სა	
1930	36	დირექტორი	სახ. საჯარო ბიბლიო- თეკისა, სადაც დღემ- დე მუშაობს შტატში	
1936	44	თავ-რის მოადგილე	მწერ. კავშირისა (შეთავსებით)	
1944		ჟურნ. „ნიანგის“ თანამშრომელი		

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სანდრო (ალექსანდრე) ქიშვარდის ძე ქურიძის (ეულის) ვტობიოგრაფია

დავიბადე 1890 წელს 23 ოქტომბერს, სოფელ ზომლეთში, ჩოხატაურის რაიონში (ოზურგეთის მაზრა). მამა იყო ღარიბი გლეხი უმიწა-წყლო. იგი მუშაობდა შავ მუშად ქალაქში, სატყეო საქმეზე. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა და უფროსი და ჩემთან ერთად ჩავარდით მძიმე მატერიალურ პირობებში.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთმა მასწავლებელმა, რომელიც გადავიდა ხონში სამუშაოდ, მეც თან წამიყვანა და მამზადებდა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში შესასვლელად, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, ერთი წლის შემდეგ, იძულებული გავხდი, სწავლისათვის თავი დამენებებინა და წავსულიყავი სოფელში და შევედი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში და იქვე არსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

რევოლუციური ნათლობა მივიღე 1905 წელს სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა მეშვეობით, საიდანაც გარიცხული ვიქენი მონაწილეობისათვის. შემდეგ სწავლა განვაგრძე ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელში და დავამთავრე 1907 წელს. ამის შემდეგ დავინყე დამოუკიდებელი ცხოვრება. 1907 წლიდან ვმუშაობდი სხვადასხვა სამუშაოებზე (იხ. ანკეცა).

1920 წელს, როგორც კომუნისტი, დაპატიმრებული ვიქენი მენშევიკური მთავრობის მიერ, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი და ვიჯექი ქუთაისის და ბათუმის ციხეში, საიდანაც განთავისუფლებული ვიქენი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო.

ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1909 წელს ქართულ ჟურნალ „ემშაკის მათრახში“. რეაქციის პერიოდში ვწერდი რევოლუციურ ლექსებს. მენშევიკების ბატონობის დროს ჩამოვყალიბე წრე პროლეტარული მწერლებისა. 1921 წელს ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორთაგანი საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსებისა და აგრეთვე ვიყავი ხელმძღვანელი ამავე ორგანიზაციისა.

ბევრჯერ ვიყავი არჩეული ხელმძღვანელ თანამდებობებზე მწერალთა კავშირის ხაზით. ამჟამად ვარ გამგეობის წევრი საკ. მწერალ. კავშირისა და საქართველოს საბჭოთა მწერ. კავშირის.

1934 წელს აღნიშნული იყო ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის-თავი და საზოგადო მოღვაწეობისა.

სანდრო ეულის ნაწარმოებთა სია: 1. „რევოლუციის საყვირი“; 2. „ქარხნის ტრიუმფი“; 3. ლექსები „ბარიკადებზე“; 4. „ათი წელი“; 5. „ლენინი“; 6. „შრომის და ბრძოლის ჰანგები“; 7. „რჩეული ლექსები და პოემები“; 8. „ქვეყნის სიამაყე ბელადი“; 9. „ლექსები“; 10. სასკოლო ლექსები; 11. ლექსები და პოემები; 12. რჩეული; 13. სატირა; 14. 2 პიესა; 15. „გმირი“, პოემა; 16. „წითელი ბლოკი“; 17. „ხელოვნება და რევოლუცია“; 18. პოემა „ფრიდრიხ ენგელსი“; 19. ლექსები რუსულად; 20. პოეზია რუსულად; 21. პოემები; 22. ლექსები და პოემები და მრავალი სხვა; 23. თხზულებანი 1947 წ.; 24. „სიცოცხლე სიხარული“, 1951 წ.; 25. ცალკეული ლექსები, რჩეული და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მოკლე ავტობიოგრაფია

დავიბადე 1890 წ. ოქტომბერში, ს. ზომლეთში (ოზურგეთის მაზრა) უღარბეს გლეხის ოჯახში. მამა ჩემი მუშაობდა მუშათ ქალაქადის ტყეში. მამა არ მახსოვს. მეზობლების დახმარებით გავათავე სოფლის სკოლა, შემდეგ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი და სამეურნეო სკოლა. რევოლიუციონურ მოძრაობას ვეცნობი ოზურგეთის სასწავლებელში ყოფნის დროს, საცა ვიღებ მონაწილეობას მონაფეთა პირველ გაფიცვაში. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ერთ წელს ვმსახურებ ფოსტალიონათ ჩოხატაურში. 1909 წ. 1910 წლამდე ვცხოვრობ ფოთის მუშებში. 1910 წ. მივემგზავრები ბაქოში. იქ ვცხოვრობდი რამდენიმე თვე ცნობილ ბოლშევიკთან აშხ. ა. დოლიძესთან. სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი შავ მუშათ ბალახანის ელექტრონის სადგურზე, შოლარის წყალსადენზე და ბაქოს რკინისგზაში. 1913 წლიდან ვიწყებ მუშაობას ხელზე მომუშავეთა კავშირში (კავშირის თავმჯდომარეთ), შემდეგ ქალაქის საბჭოში. ამავე დროს ვენევი არალეგალურ მუშაობას. იმ დროს ბაქოში იცემოდა ქართული მარქსისტული და ლიტერატურული ჟურნალი „წყარო“, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი. 1916 წელს არალეგალური მუშაობისათვის ვიყავი დაჭერილი და რამდენიმე თვე ვიჯექი ბაილოვის ციხეში. 1917 წლიდან ვმუშაობ საქართველოში. 1920 წ. ვიყავი დაჭერილი და ვიჯექი ქუთაისის და ბათუმის ციხეებში. 1921 წლიდან ვმუშაობ თფილისში პასუხისმგებელ თანამდებობაზე (პოლიტგანმანათლებელ მთავარმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, გაზეთ „ნითელ-არმიელის“ რედაქტორი, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, მთავარლიტის გამგე). ლიტერატურულ მუშაობას ვენევი 1908 წ. პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა ჟ. „ემმაკის მათრახში“ 1908 წ. მას შემდეგ ვთანამშრომლობდი ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. საქართველოში საბჭოთა წყობილების პირველ დღიდანვე ჩემი ინიციატივით არსდება საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაცია, რომლის ერთი ხელმძღვანელ თაგანი ვითვლები დღემდის (ვიყავი რედაქტორათ: 1) „ნითელი არმიელი“-ს, 2) „ნიანგი“-ს, 3) „ყუმბარა“-ს, 4) „ქურა“-ს, 5) „ორონი“-ს, 6) „ტარტაროზი“-ს, 7) „მნათობი“-ს). გამოცემული მაქვს შემდეგი წიგნები: 1. „რევოლიუციის საყვირი“ (ლექსები). 2. „ქარხნის ტრიუმფი“ (ლექსი). 3. ორი პიესა. 4. „სალამო“ – ენგელსის. 5. „Чатах“ რუსულათ. 6. ლექსები (გამოც. სახელგამის). 7. „ლენინ“ (ლექსები). 8. „ახალგაზდა საქართველო“. 9. „კომუნა საქართველო“. 10. „ბარიკადებზე“ (ლექსები). 11. „გადარეული საქართველო“ (იუმორი).

გარდა ქართულ გამოცემებისა, ვიბეჭდები რუსულ გამოცემებშიაც, ითარგმნება სომხურათ და თურქულათ...

სანდრო ეული

კონსტანტინე ჭიჭინაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ჭიჭინაძე კონსტანტინე არჩილის ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1891 თვე მაისის დღე 5 ძვ. სტ.
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ხიმში (ამბროლაურის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეტი, რუსთველოლოგი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1908
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დაუმთავრებელი მესამე კურსიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1915 წელს რიგითი ოფიცერი, 1916–18 წლამდე თეთრ წყაროზე
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1925 წელს ვიყავი იტალიაში (რომში) ერთი თვე, ფულის დაკარგვის გამო დაებრუნდი უკან სამშობლოში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ვიყავი ლიტკონსულტანტად სსმკ პოეტების სექციისა, სახელგამის სარედაქციო კოლეგიის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„საპატიო ნიშნის“ ორდენი, მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა, ამჟამად ვარ პენსიონერი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>საბჭოს ქ. 12, 3-50-15</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1913	15	მინისმზომავი	იუსტიციის სამი- ნისტრო	თბილისი
1916	18	პრაპორჩიკი	მე-6 სათადარი- გო ბატალიონი	თეთრ წყაროზე
1919	21	რევიზორი	მუშათა და გლეხ- თა ინსპექციაში	თბილისი
1921	23	ხელმძღვანელი	რაჭის მაზრ. თეს- ვის კამპანიისა	რაჭა
1924	25	სტილისტი	ჟურნ. „მნათობი“	თბილისი
1926	30	(ზემსატრუდნიკ)	მინსახკომი	„—“
1944 – 1948		აღნიშნული წლების შემდეგ ვცხოვრობ ლიტერატურული შრომით და აღარსად არ ვმსახურობ წლამდე ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარე		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

კონსტანტინე არჩილის-ძე ჭიჭინაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1891 წელს, 5 მაისს (ძვ. სტილით) სოფ. ხიმშიში (ამბროლაურის რაიონი). ჩემი ღარიბი მშობლები ენეოდნენ სოფლის მეურნეობას. პირველ-დანყებითი სწავლა მივიღე ქალ. ონში. შემდეგ ვსწავლობდი ქუთაისში, ბაქო-სა და თბილისში. საერთო ანგარიშით მივიღე განათლება – დაუმთავრებელი უმაღლესი.

პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1908 წელს გაზ. „ივერიაში“, გაზ. „თემში“ და „სახალხო გაზეთში“. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციის დროს ვიმყოფებოდი ჯარში, თეთრ წყაროში, სადაც ამირჩიეს გარნიზონის ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს წევრად.

ჩემი უფრო აქტიური და ლიტერატურული შემოქმედებითი, კვლევითი და თარგმნითი მოღვაწეობა მიეკუთვნება საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდგომ ხანას.

ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი და ლიტფონდთან არსებული მწერალთა საბჭოს წევრი.

1944 წლიდან 48 წლამდე ვიყავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარე.

დაჯილდოვებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედალით „მამაცური შრომისათვის“.

კ. ა. ჭიჭინაძის ნაწარმოებთა სია:

1. რჩეული ლექსები და პოემები, 1924 წ. 2. „შუა აზია“, პოემა, 1935 წ. 3. ლექსები და პოემები, 1939 წ. 4. ერთტომეული, 1947 წ. 5. ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა, 1925 წ. 6. რუსთაველის გარშემო, 1927 წ. 7. „ვეფხისტყაოსანი“ (კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოკვლევით და ვრცელი კომენტარებით), 1934 წ. 8. „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (თარგმანი), 1938 წ. 9. პუშკინის ლექსები და პოემები, 1937 წ. 10. „დემონი“ ლერმონტოვისა, 1941 წ. 11. „ჯოჯოხეთი“ დანტესი (კ. გამსახურდიასთან ერთად), 1933 წ. 12. „თქმულება ნიბელუნგებზე“, 1934 წ. 13. „მანფრედი“, „კაენი“, „ჩაილდ ჰაროლდი“ ბაირონისა, 1948 წ. 14. „ფარხადი და შირინი“ ნავოისა, 1946 წ. 15. „დავით სასუნცი“, 1938 წ. 16. ნიზამი, ლირიკული ლექსები, 1948 წ. 17. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი რუსულად პ. პეტრენკოს მიერ – ჩემი უშუალო მონაწილეობით და რედაქციით, 1937 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კონსტანტინე გამსახურდია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გამსახურდია კონსტანტინე სიმონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1891 თვე მაისის დღე 6
	(ძველი თუ ახალი სტილი) აბაშა
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	რომანისტი
8. რა ენაზე წერს	ქართულსა და რუსულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1920
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ფილოსოფიის დოქტორი ბერნის უნივერსიტეტის
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	ფილოსოფიის დოქტორი
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, გერმანული, ინგლისური, ვკითხულობ ფრანგულს, ლათინურს და ცოტა ბერძნულს
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	ვიყავი თურქების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ჩემი სურვილით
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>ვსწავლობდი საზღვარგარეთ 1911 წლიდან, 1923 წელს დავბრუნდი სამშობლოში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>1926–28 წლებში ვიყავი გადასახლებული ხალხის მტრების მიერ</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„ნითელი დროშის“ ორდენი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გრიბოედოვის 21, 3-08-11</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა წ. თოფჩიშვილი.

კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1891 წელს, მაისის 5-ს, სოფ. აბაშაში, აზნაურის ოჯახში. მამაჩემი ძალიან გატაცებული იყო ნადირობითა და ცხენოსნობით. ჩემი უფროსი ძმა აგრონომად გამოზარდა, რადგან თვითონაც უყვარდა ეს დარგი.

დედა იყო განათლებული ქალი, მან ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“, იგი კარგად უკრავდა ჩონგურზე და მღეროდა კიდევ.

1905 წლის რეაქციის გამარჯვებამ ჩვენს ოჯახს დიდი დაღი დაასვა. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდით, ოჯახმა სიღარიბე განიცადა. ჟანდარმერიამ მამას მოსთხოვა თავისი უფროსი ვაჟი, რომელიც ენეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას, მათთვის ჩაებარებინა, მაგრამ მამამ კატეგორიული უარი უთხრა ამაზე, რის გამო მამაჩემი დააპატიმრეს და ციხეში ყოფნის და დაავადების შედეგად მალე გარდაიცვალა. ჩემი ძმა დააპატიმრეს და გადასცეს საველე სასამართლოს. ამ საშინელმა ამბავმა ჩემს ბავშვობაზე ნაუშლელი დაღი დასტოვა.

1911 წელს დავამთავრე ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია ფრიადზე. დიდი პატივისცემა დარჩა ჩემში ამ გიმნაზიის მასწავლებლებისა, როგორც იყვნენ ოცხელი, ნიკოლაიშვილი, ხუნდაძე, უზნაძე (შემდეგ ცნობილი სწავლული პიროვნება) და სხვ.

ჩვენს ოჯახს დიდ მზრუნველობას უწევდა იმ დროისათვის საზოგადო მოღვაწე – დიმიტრი დადიანი. მან ბავშვობიდანვე აღმითქვა, რომ სასწავლებლად გამგზავნიდა პარიზში. 1911 წელს მე გავემგზავრე სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში და შევედი კენისბერგის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე მიტაცებდა ენა და ფილოსოფია და ამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი კანტს. კენისბერგში მოვისმინე ორი სემესტრი, შემდეგ გადავედი ლაიპციგის უნივერსიტეტში, სადაც ვუსმენდი ლექციებს – ვილჰელმ ვუნდტს ფსიქოლოგიაში და კოსტერს ლიტერატურის ისტორიაში. ლაიპციგში მე და ჩემი ამხანაგები ძალიან გატაცებული ვიყავით შოპენჰაუერის ფილოსოფიით, ვაგნერის მუსიკით, სტენდალის და ბალზაკის რომანებით. აქ მე დავუახლოვდი ახალგაზრდა ფრანგ მწერალს მენიოს. მასთან ერთად არდადეგებზე ვიმოგზაურეთ რეინის ოლქში, შვეიცარიაში და იტალიაში.

1913 წ. მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლის დროს დიდი ყურადღება დავიმსახურე პროფ. ფრიდრიხ ფონ დერ-ლაიენისა გერმანიის ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის. მიუნხენში გავეცანი ცნობილ ორიენტალისტს – ფრიც გომელს და გერმანელ რომანტიკოს ტომას მანს. მე დავუახლოვდი მათ ოჯახებს, რის საშუალებითაც მე ვეცნობოდი ცნობილ მწერლებს, მხატვრებს, ორიენტალისტებს, ისტორიკოსებს და მუსიკოსებს. ამ წლებში გატაცებული ვიყავი „შეგზინგეს“ სამხატვრო გამოფენის სალონით და სხვ.

1914 წელს მსოფლიო ომის გამოცხადების გამო დამაპატიმრეს და მოთავსებული ვიყავი ტრაუნშტანის საკონცენტრაციო ლაგერში. ამ ლაგერში მოთავსებული იყო 12 ათასამდე ევროპიელი პატიმრები – ფრანგები, ბელგიელები, ინგლისელები, პოლონელები, რუსები და სხვ. მათ შორის იყვნენ ბევრი გამოჩენილი სწავლული პირები – მწერლები, მუსიკოსები, მომღერლები და სხვა. ლაგერში ყოფნის დროს მე დავუახლოვდი ცნობილ პროფ. ემირს. ლაგერში იყვნენ ელლინისტები, რომლებთანაც ვატარებდით თათბირებს ელლინთა

ლიტერატურაზე და მათ კულტურაზე. ოქსფორდელ პროფესორებთან ერთად იყვნენ ბრიუსელის სწავლულები, ირლანდიელი მხატვრები, პარიზელი დენდები, რომლებთანაც ერთად მომიხდა ფიზიკური მუშაობა რკინიგზის მშენებლობაზე სამხრეთ ბოვარიის მიმართულებით. თავისუფალ დროს ლაგერში ეწყობოდა შესანიშნავი კონცერტები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები და სხვ. არაადამიანური მოპყრობა გერმანელ ფაშისტებისა სამხედრო ტყვეების მიმართ მე ავსახე ჩემს რომან „ევროპა გალიაში“, ფრაგმენტები მოთავსებული იქნა ჟურნალ „მნათობში“, 1936 წელს.

ტომას მანის უშუალო დახმარებით მე განთავისუფლებული ვიქენი ტყვეობიდან და დავბრუნდი მიუნხენის უნივერსიტეტში. ძალიან მძიმე მატერიალურ პირობებში ჩავარდი, მაგრამ ტომას მანიმ დიდი დახმარება გამინია ჩემი ნაშრომების მოთავსებით ჟურნალ „ზიუდ დოიჩე მონასტეფტი“-ში, რითაც მე მქონდა არსებობის საშუალება. ერთი წლის შემდეგ პროფ. ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენის დახმარებით საშუალება მომეცა, შეესულიყავი ბერლინის უნივერსიტეტში. 1919 წელს მე დავამთავრე ბერლინის უნივერსიტეტი და მივიღე ფილოსოფიის დოქტორის ნოდება. იმავე წელს ორჯერ ვიმოგზაურე იტალიაში, ფლორენციაში დავყავი ექვსი თვე, შემდეგ რომში – 3 თვე. ამ დროს მივიღე ნებართვა გადამეთარგმნა ქართულად დანტე.

1911–1923 წ.წ. არაერთხელ ვიმოგზაურე საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში, ავსტრიაში და სკანდინავიაში, ვყოფილვარ ისპანიაში და ბალკანეთში, ვიმოგზაურე ვენგრიაშიც.

1919 წელს გამოვემგზავრე საქართველოში 3000 ქართველ ტყვეებთან ერთად.

თბილისში მე დავაარსე ჟურნალი „პრომეთე“, სადაც თანამშრომლობდნენ: ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ს. ფაშალიშვილი და სხვები; ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, თაყაიშვილი და პროფ. შანიძე.

მე აქტიური მონაწილე ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზაციის საქმისა.

1923 წელს საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მე გავემგზავრე პარიზში და შევედი სორბონის უნივერსიტეტში.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1920 წლიდან და ამის შემდეგ განუწყვეტლივ ვწევი ლიტერატურულ მოღვაწეობას.

1921 წლიდან 23 წლამდე მე ვმუშაობდი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეთ, ხოლო მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფებათა გამო მე ჩემს ლიტერატურულ მეგობრებთან ერთად – ალ. აბაშელი, პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილთან ერთად – დავაარსეთ აკადემიური ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ვიყავი მე მის ლიკვიდაციამდე.

1921 წლიდან 26 წლამდე რედაქტორი ვიყავი ჟურნალ „ილიონისა“, „ლომისის“, „ქართული სიტყვა“-სი.

1924-25 წ.წ. გამოვიდა ჩემი ახალგაზრდობის ნაშრომი ნოველა „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“ და რომანი „დიონისოს ღიმილი“. შემდეგ გამოვიდა რომანები: „გოეთეს ცხოვრება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვ.

ჩემს მიერ თარგმნილია: „ახალგაზრდა ვერტერის ტანჯვა“, „გოეთე“, დანტეს „ჯოჯოხეთი“ (17 ქება, „სალხინებელი“ სრულად), რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, უოტ უიტმანის ლექსები, გოეტეს „ვერტერი“, ლექსები – გოეტესი, ჰაინესი, კლოდელის, სტეფან გეორგესი და მარია რილკესი.

1944 წელს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მე წამაყენა მეცნიერებათა აკადემიის წევრად, სადაც არჩეული ვიქენი.

დაჯილდოვებული ვარ „წითელი დროშის“ ორდენით.

კ. ს. გამსახურდიას ნაწარმოებებთა სია:

1. „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, 1924 წ. 2. „დიონისოს ღიმილი“, 1925 წ. 3. „მარცხენა თვალი“, 1929 წ. 4. „გოეთე“, მონოგრაფია, 1929 წ. 5. „ტაბუ“, 1930 წ. 6. „ხოგაის მინდია“, 1930 წ. 7. „უკრაინის თემიდი“, 1931 წ. 8. „მთვარის მოტაცება“, 1934 წ. 9. დანტე „ლვთაებრივი კომედია“, თარგმანი, 1939 წ. 10. „ბელადი“, 1939 წ. 11. „დიდოსტატის მარჯვენა“, 1939 წ. 12. „გოეთეს ცხოვრების რომანი“, 1939 წ. 13. გოეთე, კლოდელი, სტეფან გეორგე, მარია რილკე, პუშკინი, ბოდლერი და სხვ. თარგმანები. 14. „დავით აღმაშენებელი“, წიგნი პირველი, 1941 წ. 15. „დავით აღმაშენებელი“, წიგნი მეორე, 1943 წ. 16. „დავით აღმაშენებელი“, წიგნი მესამე. 17. „მოგზაურობა იტალიაში“. 18. „მოგზაურობა სომხეთში“. 19. ნარკვევი „სამგორი“, 1950 წ. 20. ნოველა „გამოუყენებელი ბინოკლი“, 1951 წ. 21. „ვაზის ყვავილობა“ და სხვა...

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

კონსტანტინე გამსახურდია

დიდად პატივცემულო ამხანაგო შალვა!

მე პირადად აგრე ვფიქრობ: ცოცხალი მწერლის ბიოგრაფიის გამოქვეყნება მაინც და მაინც სასურველი არაა, მაინც მოგანვდიდით ზოგ ცნობას.

მე დავიბადე სოფელ აბაშაში, 1891 წელს მთელს ქვეყანაზე, უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირად, რომელსაც ჰქვია ზანა. ეს მშვენიერი კამკამა მდინარე, გამოდის სოფლის ერთ კიდეში და მისსავე ბოლოში ერთვის აბაშას. „ზანას“ სახელის გამო ხშირად დავფიქრებულვარ, ხომ არ არის ეს ჭანების სახელი ბერძნულად „ზან“?

ძლიერ მიყვარდა ეს მდინარე, იგი მამაჩემის საკმაოდ ვრცელ მამულებში გადიოდა, მის ბეწოებში ხშირად დამიჭერია წავი, თევზი და კიბორჩხალები. ამ მდინარის პირად მივეჩვიე თევზაობასა და ნადირობას. მისტიური შიშით მავსებდა მისი მოშავო ტალღების დუდუნი შებინდებისას.

1. ავტობიოგრაფია დაწერილია შალვა რადიანის თხოვნით (გამომცემლის შენიშვნა).

მამაჩემის მამული განმარტოებით იყო, მგლები და ტურები ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე. ერთხელ ცხენის ქურდებიც თავს დაესხნენ უიარალო მამაჩემს ნაშუალამევს. მე პატარა ვიყავი, ჩვენი ცხენების მოსანახულებლად გავყევი მამას, რომელსაც წალდის მეტი სხვა იარაღი არ გააჩნდა. ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს მას. მამა არ შეუშინდა, ყიჟინი ასტეხა, წალდით ხელში გაეკიდა მათ. ეს იყო პირველი გაკვეთილი უშიშრობისა, რომელიც მივიღე ჩემს ცხოვრებაში. მამაჩემი აზნაური იყო, მიუხედავად ამისა, თავათ შრომობდა და უვლიდა სანაქებოდ მოწყობილ თავის მეურნეობას.

ჩემი პირველი მასწავლებელი იყო სოფლის დიაკონი – ეგგენ ქოიავა, რომელიც ისე მიყვარდა, რომ ჩუმად ვოცნებობდი, მეც დიაკონი გავმხდარ-ვიყავ, რათა ჩვენი სოფლიდან სხვაგან წასვლა არ დამჭირებოდა.

თითქმის ძალით წაგვიყვანა მამაჩემმა მე და განსვენებული ჩემი ძმა – ივანე და ძველ სენაკში ქართულ სკოლაში მიგვაბარა. მე საოცრად მომენატრა ჩემი ზანა, ჩემი ბადეები, ფაცერები, ანკესები, ცხენები და ძაღლები. განვაზრახე ჩემი ძმა და ერთ მშვენიერ დღეს გავიქეციტ სკოლიდან. ახლა უკვე მტკიცედ გადავწყვიტე: ქართული კარგად ვიცი, დიაკვნობას ეგეც ეყოფა და შინ დავრჩები მეთქი. მეორე დღესვე შეგვაგდეს ცხენებზე და ისევ წაგვათრიეს სენაკში. ამ სკოლის დასრულების შემდეგ მიმაბარეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

1911. მე და ჩემმა ამხანაგებმა შევადგინეთ პატრიოტული ფარული ორგანიზაცია, ვცემით რუსულის მასწავლებელი – შავრაზმელი კუსტინოვიჩი ქართული ენის შეურაცხყოფისათვის და პროკლამაციები დაგებქედეთ. ჟანდარმებმა დამიჭირეს და არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება მომისაჯეს, მაგრამ ჩვენმა დირექტორმა, იოსებ ოცხელმა მიშველა. მე დიდად დავალე-ბული ვარ ჩემი მასწავლებლების: ნიკო ჯანაშიას, არსენ წითლიძის, იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძისა და ანდრია ბენაშვილის მიმართ.

1912–19 წლებში ვსწავლობდი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში: კენიგსბერგში, ლაიპციგში, მიუნხენში, ჟენევაში. ბოლოს სადოქტორო გამოცდა ჩავაბარე ბერლინში 1919 წელს და მივიღე ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. კანიკულებში შემოვიარე თითქმის მთელი ევროპა კონსტანტინეპოლიდან ირლანდიამდის. ალპებზე გადავსულვარ ფეხით, იტალია არაერთგზის მაქვს მოვლილი, ვიმგზავრე ესპანეთსა და სკანდინავიაში.

მიუნხენსა, ბერლინსა და პარიზში ყოფნის დროს ვიცნობდი მრავალ ცნობილ მწერალს: ტომას მანს, ა. ფრანსს, გერჰარტ ჰაუპტმანს და სხვათა.

ჩემს მატრიკულებს ამშვენებენ ხელისმოწერა არაერთი ცნობილი მეცნიერისა, რომელთა ლექციებს ვისმენდი. აქ დავასახელებდი ვილჰელმ ვუნდტს, ედუარდ მაიერს, მაინეკეს, ა. რილს, ტანგლს, ფონდერლაიენს, კასირერს, კოსტერს და სხვათა.

1923 წელს ს. ორჯონიკიძის დახმარებით წავედი პარიზს და მთელი ორი სემესტრის მანძილზე ვუსმენდი ცნობილ ფილოსოფოსს – ბერგსონს. სტუდენტობის დროს გამოვაქვეყნე ბერლინში რამდენიმე ლექსი ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთში“, გამოვაქვეყნე ორი წიგნი გერმანულ ენაზე. ერთი მათგანი ამერიკაში გავრცელდა დიდი ტირაჟით.

განსწავლისა და მოგზაურობათა მოთავების შემდეგ, ვიყავი რედაქტორი და თანარედაქტორი ჟურნალ-გაზეთებისა: „პრომეთე“, „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“.

ვარ ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი საქართველოს მწერალთა კავშირისა. წლების მანძილზე ვიმუშავე ტფილისის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე, ბოლოს თავათვე დავანებე თავი, რადგან მწერლობასთან ვერ შევათავსე იგი. 1944 წელს ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ზოგი ჩემი რომანი და ნოველა თარგმნილია რუსულად, სომხურად, პოლონურად. ამა წლის ოქტომბერში „დიდოსტატის მარჯვენა“ გამოსცა პარიზში „ფრანგი გამომცემლების გაერთიანებამ“. იგივე რომანი ითარგმნება ამჟამად ინგლისურად. ჩემს „ხოგაის მინდიას“ სომხურად თარგმნის ჩემი მეგობარი, ცნობილი სომეხი რომანისტი – სტეფან ზორიანი. იგივე ნოველლა ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდება ფრანგულად, პარიზში.

კ. გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდია¹

დაბად. 1891 წ. 6.VI. სოფ. აბაშაში, სამეგრელოში. 1912 წელს ასრულებს ქუთაისის ქართულ გიმნაზიას. 1912–19 წლებს შორის სწავლობს სხვა და სხვა დროს კენიგსბერგის, ლაიპციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. 1919 წელს ასრულებს ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტს, ლებულობს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. 1917–23 წლების სხვა და სხვა დროს იგი მგზავრობს ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთში. 1917 წელს იგი ბერლინელ ქართულ კოლონიიდან იგზავნება ლოზანაში მონყობილ „დაჩაგრულ ერთა კონფერენციაზე“.²

ლიტერატურული კარიერა 1912 წ. დაიწყო. ხანგრძლივად თანამშრომლობდა „სახალხო საქმეში“. პარალელურად თანამშრომლობს გერმანულ ჟურნალებში: *Süd deutsche Monatshefte*, *D. neue Orient* და ბერლინელ გაზეთში: *დოიჩე რუნდშაუ*. 1916 წ. ვაიმარში იცემა მისი პირველი წიგნი გერმანულად: *D. Kaukasus in Weltkrieg*. ამავე წელს სთარგმნის ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელს“ გერმანულად, ლექსად. ხან გამოშვებით საქართველოში ყოფნის დროს იგი განაგრძობს ლიტერატურულ მუშაობას. 1917 წელს აარსებს ჟურნალ „პრომეთეს“. ამავე წელს აქტიურ მონაწილეობას იღებს სრ. საქ. მწერალთა კავშირის დაარსებაში, მის ლიტერატურულ საქმიანობაში. კ. მაყაშვილთან, გ. ტაბიძესთან, ლ. ქიჩელთან ერთად აარსებს 1922 წ. ჟურნალ „ლომისს“,

1. ავტობიოგრაფია კონსტანტინე გამსახურდიას მიერ მესამე პირშია დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

2. 1914–17 წლებში მონაწილეობას იღებს საზღვარგარედ ქართველ სეპარატისტების მუშაობაში. 1918 წელს მონაწილეობას იღებს საქართველო-ოსმალეთის ომში, როგორც მოხალისე.

გაზეთ „ლომისს“. ეს ორგანოები მისი თანარედაქტორობით გამოდიან. 1922 წელსვე აარსებს ჟურნალ „ილიონს“, გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“. 1923 წ. 13. VI სცემს თავის პირველ ნიგნს: „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“, ამზადებს გამოსაცემად დანარჩენ ნიგნებს: „ელექტროს ქალაქები“ (პოემები), „ეროსი ბერლინში“ (რომანი), „Aurora“ (კრიტიკული წერილები), „ევროპა“ (თარგმანები ევროპ. ლიტერატურიდან).

ძვირფასო ბატონო ვანო!

გიგზავნით პატარა ბიოგრაფიას. ეს კმარა. სურათს მერე გაახლებთ. გიგზავნით „ქვეყანას“ და ჟურნალ „ილიონს“, „პრომეთეს“ – 3 ნომერს. ამ ნიგნებიდან, ჩემის აზრით, თქვენი მიზნისთვის გამოდგება:

ლექსები: ბერლინი, ცეპელინს, საათები, ზარები გრიგალში, პორცელანი; ხოლო ჩემ სხვა ლექსებს: მამას, სარკმლის ყვავილები, ნოემბრის ქარი, ეს ყმანვილი გადმოგცემთ. გთხოვთ, პრომეთე, არ დამიკარგოთ. ლექსში „ბერლინი“ დაბეჭდილია „წ“, ყველგან ეს ასო „ხ“-თ შესცვალეთ.

თქვენი პატივისმცემელი კ. გამსახურდია

1. ავტობიოგრაფია დაწერილია ივანე გომართელის თხოვნით (გამომცემლის პენიშენა).

გალაკტიონ ტაბიძე¹

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გალაკტიონ ვასილის-ძე ტაბიძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1892 თვე ნოემბერი დღე 17
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	აკადემიკოსი
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1908
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიური მწერ. ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

1. გალაკტიონ ტაბიძე დაბადებულია 1891 წლის 17 ნოემბერს (გამომცემლის შენიშვნა).

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თბილისის სასულიერო სემინარია, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	აკადემიკოსი
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>1935 წელს პარიჟში მსოფლიო კონგრესზე, 1928 წელს მე-6 კონგრესის დელეგაციასთან ერთად ვიმოგზაურე ევროპაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ლენინის ორდენი; მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“; საქართველოს სახალხო პოეტი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მარჯანიშვილის 4, 3-30-55</p>

არსად არ უმუშავია. მუშაობს სამწერლო ასპარეზზე.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების პირველი ტომი, 1919 წ.
2. „ჯონ რიდი“, პოემა, 1924 წ.
3. ლირიული ლექსები, 1927 წ.
4. „ეპოქა“, 1930 წ.
5. რევოლუციური საქართველო, 1931 წ.
6. ლექსების კრებული, რუსულ ენაზე, 1933 წ.
7. ლექსები და პოემები, რუსულ ენაზე, 1933 წ.
8. ლექსების კრებული, სასკოლო ბიბლიოთეკა, 1937 წ.
9. „აკაკი წერეთელი“, პოემა, 1940 წ.
10. მესამე ტომი, 1940 წ.
11. რჩეული ლექსები, რუსულ ენაზე, 1940 წ.
12. ლექსები სამამულო ომზე, 1942 წ.
13. „-“, რუსულ ენაზე, 1942 წ.
14. „რჩეული“, ლექსები, 1944 წ.
15. 1943-4-5 ლექსების პატარა კრებული.
16. „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, 1944 წ.
17. „რჩეული ნაწერები“, ლენინგრადში, 1946 წ.
18. „ზღვა ახმაურდა“, 1949 წ.
19. „რჩეული“, რუსულად, გოსლიტიზდატ, 1950 წ.
20. საიუბილეო კრებული რჩეული ლექსებისა რუსულ ენაზე.
ცალკე ლექსები ჟურნალ-გაზეთებში და მრავალ სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

(მასალები)

1892 წ. – მდ. რიონის პირად მდებარე სოფ. ქყვიშში, მასწავლებლის ოჯახში – დაბადება.

1892–1898 წ.წ. – მამის გარდაცვალების შემდეგ ვიმყოფები დედის მზრუნველობის ქვეშ. როდის ვისწავლე წერა-კითხვა, არ მახსოვს.

1899 წ. – ვსწავლავ პირველ ლექსს და ვინცეშ შთაბეჭდილებათა დღიურს.

1900 წ. – ჩავყავართ ქუთაისში. იქ მიმაბარეს პირველდანიეებით შკოლაში. ვწერ ლექსს „ნანგრევები!“

1905 წ. – მონაწილეობას ვიღებ მონაფეთა არალეგალურ კრებებზე. იქ ვკითხულობ ლექსს „პირველი მაისი“. ვკითხულობ ძალიან ბევრს, თითქმის დღითა და ღამით. მთლიანად ვთარგმნი ჰომეროსის „ოდისეი“-ს.

1907 წ. – მოვითხოვ ლექსების წიგნის გამოცემას. ვწერ მოთხრობებს, პიესებს. ლექსით ვეხმაურები ილია ჭავჭავაძის მკვლელობას.

1908 წ. – ვამთავრებ სასულიერო სასწავლებელს; როგორც კარგი მონაფე, ვიგზავნები ტფილისის სემინარიაში – სახელმწიფო ხარჯზე, პანსიონში მიღებით. ჟურნალ „ახალ კვალში“ და გაზ. „ამირანში“ პირველად ქვეყნდება ჩემი ლექსები („სქელი ღრუბელი“, „მთვარე ანათებს“). ლექსები იქცევენ საერთო ყურადღებას. იბეჭდება მთელი რიგი ლექსების ალმანახებში „პირველი ტალღა“, „პირველი ნაბიჯი“ და სხვ. ვიმარჯვებ სემინარიელთა კონკურსზე აკაკი წერეთლის იუბილეზე გამოსასვლელი ლექსით. ვცემ ხელნაწერ რევოლუციურ ჟურნალს „შუქი“.

1909 წ. – მინვევენ თანამშრომლად ჟურნალ „ფასკუნჯში“ ისეთ კორიფეებთან ერთად, როგორც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. „ფასკუნჯის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება ჩემი ლექსი...

1910 წ. – სემინარიაში მთავრობასთან დამოკიდებულების გამწვავების გამო თავს ვანებებ სემინარიას. მივდივარ მასწავლებლად სოფლად. ვხდები აკტიური თანამშრომელი ჟურნალ „განათლების“. აქ იბეჭდება მთელი რიგი ჩემი ლექსები: „მესაფლავე“, „ფერფლი გრძნობათა“ და სხვ.

1911 წ. – ვთანამშრომლობ გაზ. „თემში“, რომელშიც იბეჭდება მთელი რიგი ლექსების და აგრეთვე პოემა „მწყემსი“. ვთანამშრომლობ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, მისი დაარსების დღიდან ვიდრე მის დახურვამდე.

1912 წ. – შკოლების უფროს თედო ჟორდანიასთან კონფლიქტის გამო, ვტოვებ მასწავლებლობას. იმ დღიდან უფრო აკტიურად ვებმები ლიტერატურულ ცხოვრებაში. ჟურნალ „ოქროს ვერძში“ იბეჭდება ჩემი „მე და ღამე“, „ქალი და ხელოვნება“ და სხვ. თანამშრომლობას ვინყებ უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში. გაზეთ „თანამედროვე ხმაში“ იბეჭდება ჩემი ლექსი „ავგუსტ ბებელის გარდაცვალების გამო“, ცენზურა ამ ლექსიდან იღებს მთელ ტაეპებს. ლექსის „გურიის მთების“ გამო მთავრობის მიერ კონფისკაციამქმნილია გაზ. „განთიადი“. ერთ-ერთ რედაქციის გაჩხრეკის დროს ჟანდარმერიას მიაქვს ყუთი ჩემი ლექსებით.

1913 წ. – იწყება პერიოდი მთელი რიგი სალიტერატურო საღამოებისა. ამ წელს მე გამოვედი აკაკი წერეთელთან ერთად საღამოზე ქუთაისში. ვმოგზაურობ სალიტერატურო საღამოებით იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში. აკაკისთან ერთად ვმოგზაურობ ქვემო იმერეთის სოფლებში.

1914 წ. – ხელისმონერით გამოდის ჩემი ლექსების პირველი ტომი. წიგნი იშვიათი პოპულიარობით სარგებლობს. ყველა დარჩენილი ეგზემპლიარები იყიდება ორი კვირის განმავლობაში. პრესა ეხმაურება წიგნს. აკაკი წერეთელი მე მალიარებს ყველა ახალგაზრდა მგოსნებში უნიჭიერეს პოეტად. პირველ იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, ვწერ მთელ რიგ ლექსებს, რომლის გამოცემის ნება მთავრობამ არ დამართო. სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ პატარა, ცივ ოთახში, ქუთაისში, უკანასკნელად ვხვდები აკაკი წერეთელს.

1915 წ. – 26 იანვარს, ღამის პირველ საათზე აკაკი გარდაიცვალა. ვესწრები როგორც მწერალთა დელეგატი მის დაკრძალვას. ვბეჭდავ ლექსებს: „აკაკის გარდაცვალების გამო“, „აკაკის ლანდი“ და სხვ. ვცხოვრობ საჩხერეში და ჭიათურაში. პირველად მივემგზავრები მოსკოვში. იქ საღამოს მიმართა-

ვენ, ვხვდები და ვეცნობი რუსეთის მწერლებს. მოსკოვში გამგზავრების წინ ქუთაისის ახალგაზრდობამ მისახსოვრა ვერცხლის კალამი წარწერით: „პოეტების მეფეს“.

1916 წ. – დაბრუნება საქართველოში. ქვეყნდება ჩემი ლექსები: „მერი“, „ატმის ყვავილები“, „მთანმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ვერხვები“, „ცამეტი წლის ხარ“, „საქართველოში შენ ერთი მაინც“ და სხვ. მეორედ მივემგზავრები მოსკოვში. იქიდან ჟანდარმერიის დევნის გამო არალეგალურად ვბრუნდები საქართველოში. ხალხის მდგომარეობის გასაცნობად მონაწილეობას ვიღებ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო აღწერაში.

1917 წ. – გუბერნატორის განკარგულებით, რამდენიმე დღით მაპატიმრებენ. ვახერხებ თავის დაღწევას და ვცხოვრობ ქუთაისში არალეგალურად. თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეს იბეჭდება „სოციალდემოკრატი“ ჩემი ლექსები: „დროშები ჩქარა“, „ათრობდა ხალხთა მწუხარება“. რევოლუციური ლექსებით გამოვდივარ მიტინგებზე ქალაქის თეატრში, ქალაქის თვითმმართველობაში, ჯარის ნაწილებში. ჩამოვდივარ ტფილისში. ვხვდები აქაურ მწერლებს და ვეცნობი მათ განწყობილებას, მათი დავალებით სასწრაფო მატარებლით მივემგზავრები მივემგზავრები მოსკოვში. მონაწილეობას ვიღებ მოსახლეობის მთლიან აღწერაში. ვამთავრებ სარეჟისსორო ინსტიტუტს საუკეთესო ატესტატით. ვდგამ ოსტროვსკის პიესას „ტყე“-ს. აქ იწერება ლექსები: „როგორ ებრძოდენ ზარები ზარებს“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „რამდენიმე დღე პეტერბურგში“. ვხვდები მაქსიმ გორკის და სხვა რუსის მწერლებს. ოკტომბერში მივემგზავრები ისევ პეტროგრადში, სმოლნიში ვხვდები ამხ. სტალინს. მოსკოვში ქართულ კოლონიის მიერ იმართება გრანდიოზული საღამო ჩემს პატივსაცემად. სიტყვით გამოდის ლადო მესხიშვილი.

1918 წ. – გერმანელების მიერ ოკუპირებულ უკრაინის ქალაქებში მოწმე ვხდები დიდი პარტიზანული ომების. ოდესიდან გემით „დალანდი“ ვბრუნდები საქართველოში დასაბეჭდათ გამზადებული წიგნით „Craine aux fleurs“. ვხდები ცენტრი საქართველოს ლიტერატურული მოძრაობის. ტფილისში, კონსერვატორიის დარბაზში ეწყობა ჩემი სალიტერატურო მოღვაწეობის 10 წლის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო. მწერლები ოფიციალურად მაცხადებენ პოეტების მეფედ.

1919 წ. – გამოდის წიგნი „Craine aux fleurs“. წიგნი გარდატეხას ახდენს ლიტერატურულ წრეებში.

1920 წ. – ვაწყობ სალიტერატურო საღამოებს ტფილისში, ქუთაისში, და სხვ.

1921 წ. – აკტიურად ვმუშაობ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში, რომელსაც მთავრობა ჩემის შუამდგომლობით გვითმობს სასახლეს მაჩაბლის ქუჩაზე. ჩემის რედაქტორობით გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ჟურნალი „ლომისი“, რომლის პირველ ნომერში მოთავსებულია ჩემმიერ დაწერილი და მწერალთა ფართო კრებაზე წაკითხული საპროგრამო წერილი. ჩემის მეთაური წერილით გამოდის გაზეთი „პოეზიის დღე“. ვაქვეყნებ მონოგრაფიას ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ.

1922 წ. – განვაგრძობ მუშაობას მწერალთა კავშირში. ვამზადებ მასალებს მომავალი წიგნისათვის. ვაწყობ სალიტერატურო საღამოებს საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში.

1923 წ. – გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“). იბეჭდება მთელი რიგი ლექსების „ეფემერების“ სახელწოდებით. ჟურნალი გამოვიდა 9 ნომერი.

1924 წ. – სხვებთან ერთად ვაარსებ ყოველთვიურ დიდტანიან ჟურნალს „მნათობს“, რომელიც დღემდე განაგრძობს არსებობას. ამ ჟურნალის გამოცემის დღიდან პირველი გვერდები იხსნება ჩემის ლექსებით. ჟურნალის გარშემო თავს იყრის მთელი ქართული მწერლობა. ქვეყნდება ჩემი ლექსები: „ქარი“, „ჯონ-რიდი“, „ეს ლექსი“ და სხვა. ცალკე წიგნად გამოდის „ჯონ რიდი“. ლენინგრადის აკადემია სცემს აკადემიკოს ნ. ი. მარის წიგნს: „იაფეთიურ სემინარიებს“, რომელიც მთავრდება ამონაწერებით ჩემი ლექსებიდან.

1925 წ. – „მნათობის“ ერთ ნომერში იბეჭდება ჩემი „ასი ლექსი“.

1926 წ. – „მნათობში“ იბეჭდება ლექსები...

1927 წ. – სახელგამის მიერ იცემა ჩემი დიდი წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია უმრავლესობა ჩემი ლირიული ლექსებისა. წიგნს ალტაცებით ეხმაურებიან დავით კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ვალერიან გუნია, განდევილი, ზაქარია ჭიჭინაძე. გამოდის ერთდღიური გამოცემა „გალაკტიონი“, რომელშიც მოთავსებულია წერილები და ლექსები ჩემს შესახებ. „შვენება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის“ დ. კლდიაშვილისა, „დიდი ლირიკოსი“ სანდრო შანშიაშვილის და სხვ. შიო მღვიმელის, გ. ქუჩიშვილის და სხვ. ლექსები. ყოფ. „ქართულ კლუბში“ ეწყობა ჩემი დიდი საღამო.

1928 წ. – „მნათობში“ იბეჭდება მთელი რიგი ლექსებისა. სოხუმში იმართება ჩემს პატივსაცემად დიდი საღამო. რუსთაველის სახ. თეატრში იმართება ჩემი სალიტერატურო მოღვაწეობის ოცი წლის იუბილეი. აფხაზეთში იმართება საღამო. სოხუმის მოსახლეობამ მისახსოვრა ოქროს ლირა წარწერით: პოეტების მეფეს.

1929 წ. – კომინტერის მე-VI კონგრესის, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნის დელეგატებთან ერთად ვმოგზაურობ საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში. კონგრესის დასრულების შემდეგ „მნათობში“ იწყება „ეპოქის“ ბეჭდვა.

1930 წ. – ცალკე წიგნად გამოდის „ეპოქა“. „მნათობში“ იწყება ბეჭდვა „რევოლიუციური საქართველოსი“.

1931 წ. – ცალკე წიგნად გამოდის „რევოლიუციური საქართველო“.

1932 წ. – მირჩევენ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის (ცაკ-ის) წევრად.

1933 წ. – სახელმწიფო ოპერის თეატრში ქართველმა ხალხმა დიდის ზეიმით გადამიხადა ჩემი სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის იუბილეი. ქვეყნდება საქართველოს მთავრობის დადგენილება ჩემი მთლიანი კრებულის გამოცემის შესახებ. მენიჭება სახელწოდება რესპუბლიკის სახალხო პოეტისა. მთელს საქართველოში ტარდება ჩემი შემოქმედებითი საღამოები (აქ საჭიროა მთლიანად მოყვანილ იქნას ეს დადგენი-

ლება). რუსულ ენაზე გაზ. „ზარია ვოსტოკა“ სცემს ჩემი რჩეული ლექსების კრებულს. დაჯილდოვება ლენინის ორდენით.

1934 წ. – ლენინგრადში ენათმეცნიერების ინსტიტუტი აწყობს ჩემთან საზეიმო შეხვედრას. „მნათობის“ ათი წლის თავზე იმართება სალამო ჩემი მონაწილეობით. დაჯილდოებულ ვიქმენი ა/კ. ცაკის „საპატიო სიგელით“ „ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის“.

1935 წ. – ვიგზავნები დელეგატად პარიზში – პირველ მსოფლიო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად. მოგზაურობა მოხდება გერმანიის, პოლონეთის და ბელგიის ტერიტორიებზე. არჩეული ვარ კონგრესის პრეზიდენტის წევრად. პარიზში ვხვდები და ვეცნობი მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებს. მწერალთა კავშირში ეწყობა ჩემი მოხსენება – პირველი ანტიფაშისტური კონგრესის მუშაობის შესახებ. სახელგამი უშვებს ჩემი ნაწერების პირველ ტომს (300 ლექსი). რუსულ ენაზე „ზ. ვ.“ სცემს ჩემს წიგნს „ლექსები და პოემები“.

1936 წ. – ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება მთელი რიგი ლექსებისა ფაშიზმის წინააღმდეგ.

1936 წ. – გალაკტიონი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

1937 წ. – ვარ რუსთაველისა და პუშკინის საიუბილეო კომიტეტების წევრი. მოსკოვში სცემს ჩემი რჩეული ლექსების წიგნს „სოვეტსკი პისატელი“. სახელგამი სცემს ჩემს ლექსებს „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიაში. იწერება ლექსები: „ქალაქი წყალქვეშ“, „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო“. სახელგამის „სასკოლო ბიბლიოთეკის“ მხატვრული ლიტერატურის სერიაში გამოდის გ. ტაბიძის ლექსების წიგნი. იწერება რკალი „საუბარი ლირიკის შესახებ“.

1938 წ. – მწერალთა კავშირში იმართება ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი სალამო. საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში იმართება ამნაირივე სალამოები. სალამო რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება ახალი ლექსები: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „რუსთაველისადმი“, „მთვარის ნაამბობიდან“, „მთებში“, „სამშობლოს“. „ზ. ვ.“ სცემს ჩემი ლექსების წიგნს სათაურით: რჩეული ლექსები. საუბარი ლირიკის შესახებ.

1939 წ. – ქვეყნდება ლექსები „პოეზიის ინტეგრალები“, „სამშობლოს“ და სხვ.

1940 წ. – გამოდის ჩემი „ლირიკა“, გამოცემა საბლიტგამისა. გამოდის ჩემი ნაწერების მე-III ტომი. სახელგამის გამოცემა. ქვეყნდება პოემა „აკაკი წერეთელი“. აკაკისადმი მიძღვნილი ლექსით იხსნება სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სპეციალური კრებული. ითარგმნება რუსულად. გამოდის ჩემი ნაწერების მე-III ტომი. მოსკოვში გამოდის ჩემი რჩეული ლექსების წიგნი, სცემს გამ-ბა „მხატვრული ლიტერატურა“.

1941 წ. – ლექსი „მშობლიურო ჩემო მინავ“, იხსნება ქართველი მწერლების – საქართველოს გასაბჭოების XX წლის თავისადმი მიძღვნილი კრებული. ესევე ლექსი ითარგმნება და იბეჭდება „Правда“-ში.

1943 წ. – ვინყებ თანამშრომლობას საბავშვო გამოცემებში „ოკტომბრელსა“ და „პიონერი“.

1942 წ. – სამამულო ომთან დაკავშირებით გამომცემლობა „ფედერაცია“ უშვებს ჩემს წიგნს. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე სცემს წიგნს „მშობლიური ჩემო მინაჲ“.

1943 წ. – სამამულო ომთან დაკავშირებით ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება ლექსები: „მამულო სიცოცხლე“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „თავდადებული მილიონები“ და სხვ. „საბლიტგამის“ მიერ იცემა მხატვრული პლაკატები. გამოვდივარ რადიოთი – საკუთარი ლექსებით, აგრეთვე ჯარის ნაწილებში და სალამოებზე.

აკლია: 1. სია ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა, კრებულებისა. 2. საბავშვო გამოცემები. 1941 წ. 3. „კომუნისტში“ თანამშრომლობა. 4. „გორი“ – ამბავი. 5. ორდენი. 6. სარეჟისორო ინსტიტუტი. 7. ორი წიგნი: „ლირიკა“ და „ლექსები“ – გამოცემა საბლიტგამისა.

[1944 წელი]

* * *

С 1945 по 1950 год я непрерывно сотрудничаю в грузинских и русских периодических изданиях. Устраиваются мои литературные вечера в Абхазии, Рача, Имеретии и в Тбилиси.

Вышли за это время четвертый и шестой том моих произведений.

В Абхазии отдельным изданием вышла книга „ზღვა ახმაურდა“. Цель книги утверждение в грузинской литературе тематики моря.

В театре им. Марджанишвили было отмечено сорокалетие моей литературной деятельности.

В настоящее время выходят из печати седьмой том моих произведений (на груз. и изд. „Сахелгами“) и избранные стихи (Москва. Гослитиздат).

Продолжаю работать над книгами о мире, стараюсь создать произведения, достойные Великой Сталинской эпохи.

1950, 16 октября

* * *

დავიბადე 1892 წ.

ვმუშაობდი ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ბუნებით პოეტად ვრჩებოდი. ჩემი ტრიბუნა იყო პოეზია, და მე არასდროს არ დამიტოვებია ეს ტრიბუნა და არ გადამიცვლია რაიმე სხვა სამსახურზე.

1907-8 წელს ძნელი იყო გარკვევა რევოლუციონური ცხოვრების რთულ პირობებში. პოეტისთვის ძნელი იყო, მიეცა სწორი პოლიტიკური შეფასება ყოველივე იმისთვის, რაც მაშინ ხდებოდა. მაგრამ მე ღრმად განვიცდიდი მაშინდელ ამბებს.

1898-1899. 1899-1900 – ვერ. შკ. 1900-1901 – I მ. 1901-1902 – II მოსამზ. 1902-1903 – III მოსამზ. 1903-1904 – IV მოსამზ. 1904-1905 – I კლასი. 1905-1906 – II კლასი. 1906-1907 – მე-III კლ. 1907-1908 – მე-IV კლ. 1908-1910 – სემინარია.

1911. მასწავლებლობა. თანამშრომლობა პოლიტ. და პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში. შეჯახება თ. ჟორდანიასთან. შკოლა დახურეს. მასწავლებლობას დაანებებინეს თავი. ვუბრუნდები ქუთაისს.

1912. ვთანამშრომლობ გაზეთებში. მძიმე ცხოვრების პირობები. ვინც მუშაობას არაღეგალურ ბოლშ. უჯრედში. ვბეჭდავ პროკლამაციებს – ღამით. მსურს, გამოვსცე პირველი წიგნი. წიგნი წინასწარ ხელის მოწერით უნდა გამოსულიყო. განზრახვა წარმოუდგენელი კატასტროფით თავდება. წიგნს წინასწარ ხელი მოაწერა მხოლოდ 15 კაცმა.

1913. წიგნის გამოცემის განზრახვა მეორეჯერაც სრული ფიასკოთი დამთავრდა. გამომცემლობები, როგორც ქუთაისისა, ისე ტფილისის კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩემი წიგნის გამოცემაზე. ეს გარემოება სულით ხორცამდე მაშფოთებს, მაგრამ მე თავს ვიჭერ და მოთმინებით ვუცდი: ვიცი, გამოიდარებს.

1908. როდესაც ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა, ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რალაც ახალი, მე მეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარები და მე ვინრო და ბნელი საკანიდან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც კი თვალი გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე. ამ სულიერმა განწყობილებამ გასტანა მხოლოდ რამდენიმე დღეს: მე მოველოდი უფრო მეტს.

1911. სულ ადვილი იყო დარწმუნება, რომ მე საქმე მქონდა არა ცოცხალ, კულტურულ ადამიანებთან, არამედ უხეშ ბიუროკრატთან.

1908. ტფილისში ჩამოსვლისთანავე ოცამდე დიდი პოემით, რამდენიმე ასეული ლექსით, რომანებით, დრამატიული ნაწარმოებით მიმაქვს მედგარი იერიშები ყველა რედაქციებზე. რედაქტორებისაგან ყველაზე ამხანაგურად მებყრობა რევოლიუციონერი – ლადო დარჩიაშვილი, რედაქტორი ჟურნალის „ახალი კვალი“.

* * *

დავიბადე 1892 წელს. მამა არ მახსოვს, ვინაიდან იგი, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა ჩემს დაბადებამდე ორი თვით ადრე. იგი თურმე იყო იშვიათად კულტურული ადამიანი. ილია ჭავჭავაძის მაშინდელი გაზეთი „ივერია“ აღნიშნავს მამაჩემის გარდაცვალებას, როგორც კულტურულ დანაკლისს. მას დარჩა იშვიათი წიგნთსაცავი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მთელს ჩემს ცხოვრებაში. ვიცოდი ბევრი ისეთი რამ, რაც სიზმრადაც არ მოეღანდებოდათ ჩემს მასწავლებლებს არც სოფლის სკოლაში, არც სასულიერო სასწავლებელში, არც ტფილისის სემინარიაში...

1902 წლიდან იწყება სალიტერატურო ცდები.

1905-6 წწ. სწერს რევ. ლექსებს და პიესებს, რომელიც იდგმება ოჯახებში.

1908 წ. პირველი ლექსები იბეჭდება რევოლიუციონურ ჟურნალში „ჩვენი კვალი“ და გაზ. „ამირანში“. აქტიური მონაწილეობა პირველ მარქსისტულ სალიტერატურო წრეში. რედაქტორობა არა-ღეგალური ხელნაწერი ჟურნალისა „შუქი“. ტფილისში იგი უკვე ცნობილი პოეტია. სემინარიაში.

1909 წ. თანამშრომლობა სამხატვრო ჟურნ. „ფასკუნჯში“, აგრეთვე ჟურნალებში „პირველი ტალღა“, „პირველი ნაბიჯი“ და სხვ. აქტიური თანამშრომ-

ლობა მარქსისტულ სალიტერატურო წრეში, რის გამო განიცდის დევნას. განიცდის დიდს სულიერ კრიზისს, რის გამოც პოეტს სურს, სისრულეში მოიყვანოს განზრახული თვითმკვლევლობა.

1912 წ. ცნობილი ლექსები: „მერი“, „მესაფლავე“, „ლურჯა ცხენები“, „მთან-მინდის მთვარე“, „ატმის ყვავილები“ და სხვ.

1914 წ. გამოდის ლექსების პირველი წიგნი, 1918 წ. – მეორე.

პოეტი ისე მძლავრად განიცდიდა რეაქციის სუსხს, რომ 1907 წლიდან დაწყებული, 1917 წლამდე პოეტმა სამჯერ განიზრახა თვითმკვლევლობა. მაგალითად, ერთხელ იგი გამვლელებმა გრძნობადაკარგული მიაცილეს საავადმყოფოში. მაშინდელი ერთ-ერთი ჟურნალი (იხ. ჟურნალი „ახალი ტალღა“, 1909 წ. ა. მინაშვილის წერილი: თვითმკვლევლობა) მწუხარებით აღნიშნავს ამ ფაქტს. მხოლოდ 1917 წელმა სრულებით შესცვალა პოეტის შეხედულება სიცოცხლისადმი. რევოლიუციის პირველ დღეებში ის მიეშურება პეტროგრადში, შედის სმოლნიში, ნახულობს ამხანაგ სტალინს, და ენერგიულად მოითხოვს მისგან მისთვის საყვარელ რევოლიუციონერ მუშაობაში ჩაბმას; ამხ. სტალინის თანხმობით, პოეტი პროფესიონალ რევოლიუციონერებთან ერთად ემზადება გადაიგზავნოს შუა-აზიისკენ, სადაც ეწყობოდა რევოლიუცია. მოულოდნელმა მძიმე ავადმყოფობამ ხელი შეუშალა პოეტს განეხორციელებინა თავისი მიზანი: შუა-აზიაში გამგზავრება. ავადმყოფობისაგან ცოტათი გამოკეთების შემდეგ, იგი ბრუნდება ისევ მოსკოვში, სადაც მუშაობს როგორც კომუნისტი, წევრი პარტიისა, ამასთანავე აგროვებს დიდძალ მასალებს წიგნთსაცავისთვის, აწარმოებს... ჯანმრთელობა მოითხოვს ისევ საქართველოში დაბრუნებას. მოსკოვის საზოგადოება პოეტს უმართავს გრანდიოზულს გამოსათხოვარს საღამოს. გერმანიიდან დაბრუნებულ ქართველ ტყვეების ეშელონთან ერთად პოეტი ბრუნდება. ეს იყო მეტად სახიფათო მოგზაურობა. ეშელონს მოუხდა გამძაფრებული სამოქალაქო ომის მიერ გამწვანებული ფრონტის ხაზით გავლა. ამ გზაზე პოეტმა დაჰკარგა ყველა ხელნაწერი, გარდა ერთი წიგნისა, რომლითაც იგი ჩამოვიდა ტფილისში. ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდობამ თავის დროშად გამოაცხადა პოეტი. კონსერვატორიის დარბაზში მოეწყო აგრეთვე მისი 10 წლის სალიტერატურო მუშაობის იუბილეი, ამავე ხანებში გამოვიდა მისი წიგნი „არტიტიული ყვავილები“, რომელიც გამოცემულ იქნა იმავე ახალგაზრდების მიერ.. უმთავრესად მოთავსებულია რევოლიუციამდე...

დავით მებუკე – ცვარნამი

ავტობიოგრაფია

დავითადე დაბა ხონში 1892 წელს, 5 სექტემბერს. მამა ჩემი, იაკობ როსტომის ძე მებუკე, საშუალოთ შეძლებული გლეხი იყო. დედა არ მახსოვს, ხუთი თვის ვიყავი, რომ გარდამეცვალა. დედის სიკვდილის შემდეგ აღსაზრდელათ მიმცეს ძიძას. ერთი წლის შემდეგ ისევ საკუთარ ოჯახში დამაბრუნეს და 11 წლამდე ვიზრდებოდი ბებიას ხელმძღვანელობით, რომელმაც შემასწავლა ანბანი და წერა-კითხვა.

6 წლის რომ გავხდი, მიმაბარეს ადგილობრივ სამოსწავლო სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში, სადაც დავყავი 2 წელი, მაგრამ ხანგრძლივი ავთიმყოფობის გამო სასწავლებელში თითქმის არ მივლია. ამ დროს ჩვენ ოჯახსაც საშინელი უბედურება ეწვია, ქუნთორუშამ იმსხვერპლა ჩემი უმცროსი ორი ძმა და ერთი და. მე დროებით გამხიზნეს ძიძასთან, მიქელ მებუკის ოჯახში. ჩემი გამზრდელები ღარიბი, მაგრამ მეტისმეტათ სათნო და კეთილი ადამიანები იყვნენ. ზამთრის გრძელ ღამეებში, შუა ცეცხლთან მესმოდა აქ დაუსრულებელი ზღაპრები, ხალხური შემოქმედების საგმირო ამბები, ღარიბი, მინის მუშა გლეხის გულნატკენი ჩივილი „ბედის უკუღმართობაზე“ და იმ ხანებში ხალხში მოარული რელიგიურ ცრუმორწმუნეობის სამოსელში გახვეული პირველი სოციალისტური ლოზუნგები: „ხელმწიფეს გადასახადს ნუ მისცემთ“, „მემამულეებს მიწები უნდა ჩამოერთვას“-ო და სხვა. ჩემი ბავშვობის ეს პირველი მწუხარებისა და გონების შემშფოთი წლები სიკვდილამდე მოსაგონრათ დამრჩება.

1900 წელს მიმაბარეს ხონის სამოქალაქო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში. აქედან იწყება ჩემი ნამდვილი და სისტემატიური სწავლა. ვსწავლობდი ბეჯითად და კარგათ. 1903 წელს, მასწავლებელთა რჩევით, მამამ წამიყვანა ქუთაისს, სადაც დავიჭირე მისაღები გამოცდა რეალურ სასწავლებლის უფროს მოსამზადებელ კლასში.

ქუთაისში ვცხოვრობდი მამიდასთან, პატო ბოკერიასთან. მამიდას ოჯახი მდიდარი ვაჭრის ოჯახი იყო და ბავშვებს არაფერი გვაკლდა, თითქმის გვანებივრებდენ კიდევ. მამიდა ქართულის კარგი მცოდნეა, ქართულ ლიტერატურას კარგათ იცნობს და წაკითხულსაც გატაცებით და მომხიბლავი ენით გვიყვებოდა. მისი მეოხებით მეც აღმეძრა კითხვის სურვილი. ჯეჯილიდან და საყმაწვილო მოთხრობებიდან მალე გაადვედი ყაზბეგზე, ეგნატე ნინოშვილზე და სხვა ქართველ კლასიკოსების ნაწარმოებებზე. ვკითხულობდი ბევრს, მაგრამ, სამწუხაროთ, შეურჩევლათ და უსისტემოთ. უფროს კლასებში, როცა რუსული ენა საკმაოთ მოვიმარჯვე, დავენაფე რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურასაც, უმთავრესათ კლასიკოსებს.

მამიდას სახლი ქალაქის ცენტრში იყო მოთავსებული, ბაღთან. სახლის წინა ნაწილი სავაჭროების ქვეშ იყო გაცემული. აქ იყო ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები, წიგნის მაღაზია და რკინეულო-

ბის სავაჭრო ვებერთელა სანყობით. სახელოსნოებში თავს იყრიდნენ და მთელი დღე ფუსფუსობდნენ ქარგლები, ხელოსნები, ნოქრები, შეგირდები და სხვა გარეშე პირები. ეს დრო 1905 წლის რევოლუციის დასაწყისი იყო. ხალხში მღელვარება თანდათან იზრდებოდა. ქუჩებში დაიწყო გამოსვლები და ტერორისტული აქტები. ჩვენ სახელოსნოშიც ღამ-ღამობით ხშირათ იმართებოდა ფარული კრებები, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ფარული მეცადინეობა. აქ უმთავრესათ კითხულობდნენ და არჩევდნენ ნაკითხულს. ბევრი არაფერი გამეგებოდა მაშინ, არც ის ვიცი, ვის ნაწარმოებს კითხულობდნენ, მე უფრო მოთვალთვალეთ ვყავდი მათ, რომ პოლიცია არ დასცემოდა, მაგრამ მახსოვს აქ საუბარი იყო რომის პაპებზე, ესპანეთის ინკვიზიციაზე, საფრანგეთის რევოლუციაზე, ერთი სიტყვით, როგორც შემდეგ გამოვარკვიე, მათი საუბარი საშუალო და ახალ საუკუნოების ისტორიას შეეხებოდა... მათ საიდუმლო კრებებზე დასწრებას ჩემთვის უშედეგოთ არ ჩაუვლია, რადგან მან პირველათ ამიხილა თვალი და ჩამახედა არსებულ მდგომარეობაში.

1905 წლის რევოლუცია ქარიშხალივით მოედო მთელ საქართველოს. ქუთაისშიც ყოველდღიურ ამბათ გადაიქცა დემონსტრაციები, მიტინგები, პოლიციელებთან და კაზაკებთან შეტაკებები, გაფიცვები და სხვა... ხალხის საერთო აღფრთოვანებამ მეც გამიტაცა და მარსელიოზის სიმღერით დავსდევდი მუშებისა და მოწაფეების დემონსტრაციებს. ერთ ასეთ დემონსტრაციის დროს კაზაკის მათრახიც ვიგემე და პოლიციაშიც მოვხვდი, უბეში რამდენიმე პროკლამაციით, მაგრამ როგორც მცირეწლოვანი არ გაუჩხრეკივართ და ორი თუ სამი საათის შემდეგ გამანთავისუფლეს მამიდაჩემის თხოვნით.

არეულობის გამო ქუთაისის სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყდა. ძალიან არ მინდოდა, მაგრამ ამიკრეს ბარგი და გამგზავნეს მშობლებთან, ხონში. ხონში ამ დროს უკვე თავისუფლათ მომქმედი პარტიული ორგანიზაციები იყო. აქ თავს იყრიდა დიდძალი ინტელიგენცია და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა. აქაც ხშირი იყო დემონსტრაციები, კრებები, მიტინგები, დისპუტები, საჯარო ლექციები და საღამოები. მე მაშინ გარკვეული პოლიტიკური რწმენა არ მქონდა და ჩემ ტოლ-ამხანაგებთან ერთათ ვასრულებდი ამა თუ იმ პარტიულ ამხანაგის სახელდახელო დავალებებს საღამოების მოწყობაში, დისპუტებზე და კრებებზე ხალხის მონვევის საქმეში და ა. შ. უფრო მიტაცებდა წითელი რაზმელები თავისი შვეიცარული თოფებით. ვკითხულობდი გატაცებით ჟურნალ-გაზეთებს და პოლიტიკურ ხასიათის წიგნებსა და ბროშურებს.

1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც პოლიტიკური მუშაობა ჭერქვეშ გადავიდა, ინტელიგენცია უფრო საზოგადო საქმიანობაში ჩაება. მაშინდელი საზოგადო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენდა თეატრი. ხონის თეატრს დიდი ხნის ისტორია აქვს. პროვინციალურ თეატრებში ჭიათურისა და ხონის თეატრს პირველი ადგილი ეჭირა მთელ საქართველოში. ყოველ ზაფხულს აქ 4-5 პროფესიონალი მსახიობი მუშაობდა მუდმივათ: ასეთები იყვნენ: ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, ნ. ჯავახიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ს. ყალაბეგაშვილი და ო. ლოლობერიძე. მთელი ზაფხული იმუშავეს აგრეთვე: ნ. ჩხეიძემ, მ. ქორელმა, ი. ზარდალიშვილმა,

პ. შოთაძემ და ნემომ. გასტროლებზე ხშირათ ჩამოდიოდენ: ვ. ალექსი-მეს-ხიშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ნ. დავითაშვილი და სხვები. სცენის მოყვარეთა ჯგუფიც საკმაოთ ძლიერი იყო: ამათში კ. მაჭარაძე და შ. ხონელი შემდეგში მუდმივათ დარჩნენ სცენაზე.

თეატრი ბავშვობიდან მიტაცებდა. 1907 წ. მუდმივ სცენისმოყვარეთა ჯგუფში ჩავენერე და შეუწყვეტლათ ვმუშაობდი 1923 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, დაბებში და სოფლებში მრავალ წარმოდგენაში და სალამოზე მივიღე მონაწილეობა საქველმოქმედო მიზნით (რედაქციების, პარტიების, სკოლების და სხვა) სრულიად უსასყიდლოთ. 1917 წლიდან პროფესიონალი მსახიობი გავხდი. 1921 წ. გასაბჭოების შემდეგ დავინიშნე ხონის თეატრის ხელმძღვანელ-რეჟისორათ. დიდი პიესების გვერდით ვმართავდი მუსიკალურ-იუმორისტულ წარმოდგენებსაც (მცირე ფორმის თეატრი). ასეთ წარმოდგენებზე ხალხი ძალიან გვეტანებოდა. ერთსა და იმავე წარმოდგენას 7-10-ჯერ ვიმეორებდით, რაც მაშინ უჩვეულო მოვლენა იყო. ამ ხანებში ოცამდე ვოდევილი და გროტესკი დავნერე და გადმოვაკეთე. მათ შორის: „სასაფლაოზე“, „უჩინმარინის სათვალე“, „ცხოვრების საბჭედურში“, „სამიკიტნოში“, „ქალის გული“, „იჭვიანი ცოლი“, „პრუკავროსტა“, „საპარიკმახერო“, „ლალატი სამშობლოში“, „კომისართან“, „იდიალური ცოლ-ქმარი“, „დეაბეტი“, „რადიო პოლკა“ და სხვა მრავალი სცენები და კუპლეტები.

დავუბრუნდები ისევ ჩემი მონაფეობის ხანას. რეაქციის შემდეგ სასწავლებლებშიც მკაცრი რეჟიმი შემოიღეს. განსაკუთრებით დაინყო ქართველების დევნა. ჭეშმარიტი რუსი ხულიგანი დირექტორები და მასწავლებლები – ლეონტიევი, უსტინოვიჩი, ტიმჩენკო-იარაშენკო და ძმანნი მისნი – ჩვენ ენას ძალის ენას უწოდებდენ და ასობით ნიჭიერ, ცოცხალ და მომზადებულ ახალგაზრდებს სკოლებიდან ერეკებოდენ. „ქართველებიდან კარგი არაფერი გამოვაო“, ასეთი იყო მათი საბოლოო განაჩენი ქართველ ახალგაზრდობაზე. მონაფეებში უკმაყოფილება იზრდება. მონაფეთა უკმაყოფილება განსაკუთრებით დიდი იყო რეალურ სასწავლებელში დირექტორ ლეონტიევის წყალობით. მკაცრმა რეჟიმმა და დევნამ გამოიწვია უფრო აქტიური უკმაყოფილო მონაფეების დაჯგუფება. ჩვენ ჯგუფში 10–12 მონაფე შედიოდა. იგი არ იყო ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებული ჯგუფი. არც გარკვეული პოლიტიკური მიზნები გვაქმედებდა. ეს იყო უფრო ერთ ბედქვეშ მოქცეული თანამგრძნობთა ჯგუფი... ახლო მეგობრების ჯგუფი... ჩვენი მიზანი იყო შურისძიება; ჩვენი შტაბი კი მოთავსებული იყო ა. (კოკოლა) თაყაიშვილის ოთახში. აქ დავბეჭდეთ პროკლამაციები სკოლებში გამეფებულ აუტანელ რეჟიმის შესახებ. პროკლამაციები დავყარეთ სასწავლებლებში და თეატრში. ამავე ოთახში გადაწყდა დირექტორ ლეონტიევის მოკვლაც, მაგრამ დიდხანს ვერ მოვახერხეთ, სანამ ერთმა ჩვენმა ამხანაგმა იონა ლორთქიფანიძემ არ იკისრა იგი (იონა ლორთქიფანიძე, შემდეგში ცნობილი ტერორისტი, იყო ცოცხალი, ნიჭიერი და მოხდენილი ახალგაზრდა, რომელიც, სამწუხაროთ, თებერვლის რევოლუციის წინა წლებში მოკლეს) და აი, სწორეთ 1911 წელს შემოდგომაზე, რეალურ სასწავლებლის ტრადიციულ სალამოზე აღნიშნულმა ამხანაგმა

დასჭრა ორი დირექტორი: ლეონტიევი და გლუშაკოვი (კლასიურ გიმნაზიის დირექტორი). გასროლილმა ტყვიამ ხალხში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა, შეიქმნა კლევა-ძიება, მაგრამ ვერც ერთი მონაფე ვერ გაგვტყხეს. ამხ. იონა კი მონაფეებში შეგროვილ უმნიშვნელო თანხით გავაპარეთ.

ამ ამბის შემდეგ გადავედი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1914 წელს და იმავე წელს გავემგზავრე მოსკოვს, სადაც ვსწავლობდი საიმპერატორო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტების დროს გამიტაცა რუსეთისა და უცხოეთის თანამედროვე ლიტერატურამ, განსაკუთრებით სიმფოლისტებმა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციას შევხვდი მოსკოვში. რევოლუციის პირველივე დღეებში დაარსდა ქართველ სტუდენტთა რაზმი, რაზმში ჩავენერე მეც. რაზმელებს გვგზავნიდნენ მეტათ საპასუხისმგებლო ადგილების დასაცავათ. იმავე წლის ივლისში, მეოთხე კურსის სტუდენტი, გამოვემგზავრე საქართველოსკენ და მას შემდეგ უკან არ გავბრუნებულვარ. 1931 წელს ტფილისში დავამთავრე საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი. 1932 წლიდან ვმუშაობ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ მომსახურების სამართველოში აგრო-მეტეოროლოგიის დარგში.

წერა ბავშვობიდან დავიწყე. პირველი ჩემი ლექსი „გლოვის ზარი“ დაიბეჭდა 1911 წელს მაისში გაზეთ „კოლხიდაში“. მას შემდეგ ლექსებს ვათავსებდი გაზეთ „იმერეთში“, „სამშობლოში“, „ჩვენ მეგობარში“, „სახალხო გაზეთში“, „თეატრი და ცხოვრებაში“ და სხვა. გასაბჭოების შემდეგ ვთანამშრომლობდი გაზეთ „ასპიროზში“ და ჟურნალ „კანდელში“. უკანასკნელ ხანებში ვთანამშრომლობ საბავშვო ჟურნალ „პიონერში“. არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას არ ვეკუთვნოდი. ჩემი ლექსების კრებული ჯერ არ გამოცემულა. გამოვიდა მხოლოდ საყმანვილო ორი პოემა „ხარაბუზას ქორწილი“ 1926 წელს და „ჩაის გმირი“ 1934 წელს – ორთავე სახელგამის გამოცემა.

დანერილი მაქვს კიდევ გარდა ლირიკულ ლექსებისა ერთი საბავშვო პოემა „ცელქი მავნებლები“ და ერთიც საყმანვილო – „პატარა მშენებლები“, აგრეთვე ორი ერთმოქმედებიანი დრამა: „მტრის ხმლით“ და „შურისძიება“. კრიტიკული წერილები ჩემ შესახებ იყო „სახალხო გაზეთში“ ა. პაპავასი; გაზეთ ახალგაზრდა კომუნისტში და მუშაში. დანარჩენი, სამწუხაროთ, არ მახსოვს...

დ. ცვარნამი

ქ. ტფილისი, 1936 წ., ნოემბერი

ნესტორ მალაზონია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	მალაზონია ნესტორ გლახუნის ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ნ. მანიძე
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1892 თვე ოქტომბერი დღე 12
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. მამათი (ოზურგეთის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1921 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დაუმთავრებელი უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1914–1917 წლებში რიგით ჯარისკაცად
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მოსხნილია ხანდაზმულობის გამო</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა, ბათუმის ბიბლიოთე-კათა წევრი და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ენგელსის 39</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1908	11	დამტარებელი	სასოფლო სამ- მართვ. ძიმითში	
1911	14	აღმზრდელი	სამასწავ. სემინარია	
1914	17	რიგითი ჯარისკაცი	მეფის არმიისა	
1918	19	აღმზრდელი	ხონის სამასწავლე- ბლო სემენარიისა	
1919	25	მასწავლებელი	შვიდწლელი	სოფ. აცანაში
1925	30	„-“	ინდუსტრ. ტექნი- კუმი	ბათუმში
1930	33	პ/მგ. მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე	განათლების განყ.	ბათუმში
1933	35	რედაქტორი	რაიონული გაზე- თისა	ხულოში
1935	37	კადრების გამგე	აჭარის განათლების კომისარიატისა	
1937	38	ლამის რედაქტორი	გაზ. „საბჭოთა აჭარა“	ბათუმი
1938	41	წარმოების უფროსი	სახელმწიფო გა- მომცემლობისა	„-“
1941	51	სტილისტი- მთარგმნ.	გაზ. „საბჭოთა აჭა- რა“	„-“
1951		რედაქტორი	სახელგამი	„-“

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ნესტორ გლახუნის-ძე მალაზონიას ავტობიოგრაფია

მე დავიბადე სოფელ მამათში, ლანჩხუთის რაიონში (ყოფილი ოზურგეთის მაზრა) 1892 წლის 12 ოქტომბერს. ჩვენი ოჯახი ძალზე ღარიბი გლეხის ოჯახი იყო. მშობლებს 9 შვილი ჰყავდათ და ვერ უთავდებოდნენ. სოფლის 2 კლასიანი სკოლა დავამთავრე 1905 წელს. შემდეგ შევედი შეგირდად გედევანიძის სახარაზოში, ქ. ოზურგეთში (ახლა მახარაძე). ნახევარი წლის შემდეგ იქიდან სამოქალაქო სასწავლებელში გადავედი ქ. ოზურგეთში და, როგორც ღარიბი, მომათავსეს სამეურნეო სკოლის პანსიონში. 1907 წელს მონაფეთა არეულობის გამო, 11 კლასი დახურეს და მეც ქუჩაში დავრჩი.

1908 წლიდან 1911 წლამდე ჩემს სოფელში ვარ სკოლის დამლაგებლად და შემდეგ შიკრიკად სოფლის სამმართველოში. ამავე დროს ვემზადებოდი სამასწავლებლო სემინარიაში შესასვლელად. 1912 წელს შევედი ხონის საოსტატო სემინარიაში. 1914 წელს სკოლიდან გამინვიეს სამხედრო სამსახურში. ვიმსახურე ქ. ტამბოვში და შემდეგ გერმანიის ფრონტზე. 1915 წელს აპრილში დავიჭერი ომში და ცარსკოე სელოს (ახლა პუშკინო) საავადმყოფოში ორი თვის მკურნალობის შემდეგ, შვებულებით დავბრუნდი ჩემს სოფელში. შემდეგ ჩამრიცხეს 221 სათადარიგო ბატალიონში ბათუმში, სადაც მომისწრო რევოლუციამ და დემობილიზაციამ. 1917 წლის ბოლოს დავბრუნდი სემინარიაში, მაგრამ 1918 წელს ხელმოკლეობის გამო (რასაც დაერთო მამისა და ძმის სიკვდილი) დავბრუნდი სოფელში. 1919 წლის 1 იანვრიდან დავინყე მასწავლებლობა ჯერ აცანაში, შემდეგ მამათში – ჩემსავე რაიონში. 1925 წლიდან უკვე ბათუმში ვმუშაობდი ჯერ ინდუსტრიალურ ტექნიკუმში აღმზრდელ-მასწავლებლად, შემდეგ, 1929 წლიდან – განათლების მუშაკთა კავშირის საოლქო გამგეობის პ/მგ. მდივნად, ხოლო 1931 წლიდან 1933 წლამდე – თავმჯდომარედ. იქიდან გადაყვანილი ვიქენი ხულოს რაიგაზეთის პ/მგ. რედაქტორად, ვმუშაობდი განსახკომის კადრების განყოფილების გამგედ, აჭარის მთავლიტის უფროსად, გაზ. „საბჭოთა აჭარის“ ღამის რედაქტორად და ბოლოს, 1938 წლის 1 მარტიდან, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილედ, სადაც ვმუშაობ დღემდე.

1910 წლიდან 1923 წლამდე ვიმყოფებოდი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე სარევოლუციო პარტიაში, რომელიც ამ წლამდე (1923 წლის შემოდგომამდე) ლეგალურად მუშაობდა. პარტიის დაშლიდან განცხადება მივეცი კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად. 1925 წლიდან მიმიღეს პარტიის კანდიდატად, ხოლო 1931 წლიდან ს.კ.პ.(ბ) პარტიის წევრად.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვედი 1921 წლიდან.

ნაწარმოებთა დასახელება: 1. „პატაკი ოქტომბერს“. 2. „გულიზარი“ (პოემა). 3. „გულის ხმა“ (ლექსების კრებული). 4. „ჩვენი ყვავილები“. 5. „თავვი“. 6. „დაბადებულან გმირები“ (ლექსების კრებული). 7. „ასმათ ჩიჯავაძე“. 8. „რჩეული“ (ლექსების კრებული) და სხვ.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პოლიკარპე კაკაბაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	კაკაბაძე პოლიკარპე მალხაზის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1893 თვე თებერვალი დღე 23
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. კუხი (ქუთაისის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1918 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>არა</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (ალინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გოგებაშვილის 43</p>

არსად არ მიმსახურია, ვმუშაობ ლიტერატურის დარგში.

„ — “ _____ 195 წ. სწორია: ნ. კლ., 1956 წ.
ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პოლიკარპე მალხაზის-ძე კაკაბაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1893 წელს, 23 თებერვალს, სოფელ კუხში (ქუთაისის მაზრა), გლეხის ოჯახში – მალხაზ ალექსის-ძე კაკაბაძისა. ბავშვობა გავატარე სოფლად ნათესავებში, ხოლო სასწავლებლად გამაგზავნეს ქალ. ბათუმში, სადაც ვსწავლობდი გიმნაზიაში. ბათუმში ცხოვრების დროს ავადმყოფობა დავინწყე მაღარიით, რის გამო იძულებული ვიყავი, გადმოვსულიყავი თბილისში, სადაც ვმკურნალობდი და გავიარე აგრეთვე გიმნაზიის კურსიც. ოცი წლის ასაკში მე აღმომაჩნდა ფილტვების ტუბერკულოზი (მარჯვენა მხარეს), რის გამო მე მეტ წილად ცხოვრებას ვატარებდი კურორტებზე.

წერა დავიწყე ბავშვობიდანვე. ვწერდი ლექსებს, ხოლო შემდეგ გადავედი დრამატურგიაზე და დღემდე განვაგრძობ დრამატურგიის ჟანრზე მუშაობას. თებერვლის რევოლუციის დროს ვიყავი პეტერბურგში. 1918 წელს ალ. ნუნუნავამ დადგა ჩემი პიესა „ჯვარედინ გზაზე“ ბაქოს თეატრში. ცნობილი რევოლუციონერ-კომუნარის – ალ. ჯაფარიძის ინიციატივით ის პიესა თარგმნილი იქნა რუსულ ენაზე და წარმატებით მიდიოდა გასაბჭოებულ ბაქოს თეატრში.

1918 წელს დავიწყე ჩემი პიესების ბეჭდვა ჟურნალებში.

1924 წელს აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი პირველ მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის „მნათობის“ დაარსებაში და მთელი წლების მანძილზე ვიყავი მხატვრულ-ლიტერატურული განყოფილების გამგეთ, ხოლო ავადმყოფობის გამო იძულებული ვიყავი, დამეტოვებინა სამუშაო და ოჯახობით სამკურნალოდ წავედი აბასთუმანში. სადაც გავატარე მთელი წელი.

1925 წლის ბოლოს კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრში დადგა ჩემი პიესა „ლისაბონის ტუსაღები“ და 1929 წ. მარჯანიშვილმა დადგა აგრეთვე ჩემი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“...

იროდიონ ქავჭარაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ქავჭარაძე იროდიონ ესტატეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1893 თვე აპრილი დღე 8
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ბათუმში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	
6. სოციალური მდგომარეობა	გლეხი
7. ლიტერატურული ჟანრი	მოსამსახურე
8. რა ენაზე წერს	ქართული, რუსული, ფრანგული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1915 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1940 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დამთავრებული უცხო ენათა კურსები ფრანგული განხრით
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1916-17 წლებში ვმსახურობდი
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჯანაშიას ქ. 9</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1918	19	მონაგარიშე	საავტომობილო სახელოსნოში	თბილისი
1919	21	ბუხჰალტერი	ცეკავშირში	„—“
1921	23	„—“	სამომხმარ. კოოპერატივი	„—“
1923	24	მთ. ბუხჰალტერი	წყალსადენი	„—“
1924	27	„—“	კომზაჰესი	„—“
1927	29	„—“	სოფლის კავში- რისა	„—“
1929	30	ინსტრუქტორ- მდივანი	საქართველოს კოლმეურნეთა ცენტრი	
1930	31	მასწავლებელი	ეკონომ. სამრეწვ. ტექნიკუმისა	
1930	32	ბუხჰალტერიის ლექტორი	შრომის სახ. კო- მისარიატისა	
1932	33	ინუსტრ. ტექნიკ. მასწავლებელი	სარეწაო კოოპე- რაციისა	
1933 წლიდან	დღემდე	ვმუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

იროდიონ ესტატეს-ძე ქაჯყარაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1893 წელს, ქალ. ბათუმში, მუშის ოჯახში. მე რომ 10–12 წლის ბავშვი ვიყავი, მამა-ჩემი უკვე ხანში შესული კაცი იყო, რევმატიზმით დაავადებული. მხოლოდ მსუბუქი სამუშაოს შესრულება შეეძლო. ამის გამო ხშირად იყო უმუშევრად. ვსწავლობდი ბათუმის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქართულ სკოლაში. 1907 წელს დავასრულე ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელი. 1911 წელს გამოცდა დავიჭირე გორის გიმნაზიის მე-6 კლასში. აქედან იწყება ჩემი დამოუკიდებელი არსებობა. თავს ვირჩენდი კერძო გაკვეთილებით, თან ვსწავლობდი. 1914 წელს, გორის გიმნაზიის დასრულების შემდეგ, შევდივარ მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

1916 წელს სტუდენტობის მობილიზაციასთან დაკავშირებით მგზავნიან მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც ვამთავრებ 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის წინ. შემდეგ სამსახური დავიწყე ბათუმში, ჯარის ნაწილში. 1918 წელს, თურქების მიერ ბათუმის აღების შემდეგ, გადმოვედი თბილისში და დავიწყე სამოქალაქო სამსახური.

სარჩენად დამანვა დედ-მამა და უმცროსი ძმის ცოლ-შვილი. იძულებული შევიქენი, შემესწავლა ბუხჰალტერია, რადგან ამ პროფესიაზე იყო მოთხოვნილება. 1918 წლიდან დავიწყე სამოქალაქო სამსახური.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე განუწყვეტლივ ვმუშაობ სხვადასხვა დაწესებულებებში (იხ. შრომის სია).

როცა კოლექტივიზაციის პირველი ტალღა მოედო საბჭოთა საქართველოს, ვმუშაობდი საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორად და ჩემი წვლილი შევიტანე ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

1929–33 წლებში დავიწყე მასწავლებლობა, ვასწავლიდი ანგარიშმცოდნეობის საგნებს ტექნიკუმებში და კურსებზე.

პარალელურად ვმუშაობდი ლიტერატურაში, რაც ბავშვობიდან მიზიდავდა (იხ. თანდართული სია ჩემი ლიტერატურული შრომებისა).

1933 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

1927 წელს დავასრულე უცხო ენათა უმაღლესი პედაგოგიური კურსები ფრანგული ენის განხრით და მივიღე ფრანგული ენის მასწავლებლის უფლება.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1907 წლიდან, ჩემი პირველი ნაწარმოები „დამზრალი სიცოცხლე“ (მოთხრობა) დაიბეჭდა 1915 წელს, რის შემდეგ სისტემატურად ვიბეჭდები პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე გამოცემულია ჩემი ორიგინალური და თარგმნითი ნაშრომები ცალკე წიგნებად.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ირ. ქავყარაძის ნაწარმოებთა სია

ორიგინალური:

1. ლექსი „გრიგოლ ვოლსკის საფლავზე“, 1907 წ.
2. მოთხრობა „დამზრალი სიცოცხლე“, 1915 წ.
3. „–“ „კურტან ქვეშ“, 1923 წ.
4. „–“ „ჩვენი ნაცნობები“, 1923 წ.
5. „–“ „ამბავი გულთამზის სურათისა“, 1823 წ.
6. პიესა „საზღვარზე“, 1929-30 წ.
7. „მეგობრობა განახლდა“, პიესა, 1947 წ.

თარგმანები ფრანგულიდან:

1. შატობრიანი „რენე“ და „უკანასკნელი აბენსერაჟი“, 1939 წ.
2. ჟან ჟიონო „დიდი ფარა“, რომანი, 1940 წ.
3. ეჟენ სკრიბი, კომედია „ჭიქა წყალი“, 1941 წ.
4. ჟან კასუ, რომანი „პარიზის სისხლის ღვრა“, 1941 წ.
5. ბერნარდ დესენპიერი, რომანი „პოლი და ვირჟინი“, 1941 წ.
6. „ბერლინის აღება“, ფრანგული ნოველები, 1942 წ.
7. ალფონს დოდე „ბერლინის აღება“, „უკანასკნელი გაკვეთილი“, „ჯა-შუში ბავშვი“, „ცუდი ზუავი“, „ბელიზერის გერმანელი“, „მედროშე“.
8. გი დე მოპასანი: „შეშლილი ქალი“, „ტყვეები“, „ორი მეგობარი“, „პოლკოვნიკის აზრები“, „დუელი“.
9. ემილ ზოლა, ნოველა „ნისქვილის დარბევა“, 1943 წ.
10. ჰონორე ბალზაკი „პოლკოვნიკი შაბერი“, 1947 წ.
11. ანატოლ ფრანსი „კრენკებილი“, 1947 წ.
12. შატობრიანი: „რენე“ „უკანასკნელი აბენსერაჟი“, „ატალა“, 47 წ.
13. ბალზაკი „გობსეკი“.

რუსულიდან:

1. ივან სნეგირიოვი „იაროსლავ ილესი“, პიესა, 1942-43 წ.
2. ვლ. ორლოვი „დენის დავიდოვი“, ნარკვევი, 1944 წ.
3. ლევ ტოლსტოი „სევასტოპოლის მოთხრობები“, 1946 წ.
4. გ. ბერეჟკო „გულადობა“, 1947 წ.
5. იულიუს ფუჩიკი „რეპორტაჟი სახრჩობელიდან“, 1948 წ.

ქართულიდან რუსულ ენაზე:

1. პ. ლორია „დელი მურადი“, ვთარგმნე ვ. ტატიშვილთან ერთად, 47 წ.
2. მამედ ჰანდი ენვერი „ულჟუმი“, 1947 წ.
3. მოლიერი კომედიების კრებული, პ. კემელავასთან ერთად, 37 წ.
4. ვარ თანავტორი საშუალო სკოლის ფრანგული ენის სახელმძღვანელოსი.
5. ნ. კოკოსკირია „ციცა“ (აფხაზური მოთხრობა), 37 წ.
6. „ფრანგული ნოველები“, 1956 წ. (თარგმანი ფრანგულიდან).

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ჰაიდარ ალის ძე აბაშიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. ბათუმში 1893 წლის 15 აგვისტოს. ვარ ბათუმის მკვიდრი. მამაჩემი, ალი სალხის-ძე აბაშიძე, იყო ბათუმის სანჯალ ბეგ აბაშიძის შთამომავალი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დავაღწიე თავი ხოჯა-მოლესის გავლენას და შევიგნე, რომ ქართველი ვარ.

შეგნება იმისა, რომ აჭარელი ქართველია, ყველაზე ადრე შთამინერგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარვცელებელი საზოგადოების“ ბათუმის ქართულმა სკოლამ და ბათუმისა და ქუთაისის ქართველ ახალგაზრდობასთან დაახლოებამ. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ამ შეგნების განმტკიცებაში ზაქარია ჭიჭინაძის ქართველი მაჰმადიანების შესახებ გამოცემულ შრომებში ჩვენი თავგადასავალის ახლო გაცნობამ. ბათუმის თეატრში ქართულ წარმოდგენებზე დასწრებამ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან დაახლოებამ ჩემს გულში უფრო გააღვივა და განამტკიცა საქართველოსა და მშობლიური ქართველი ხალხის სიყვარული.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის დროს, 1913 წლიდან ქართველი ხალხის მოწინავე შვილების შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად კალმით, სიტყვითა და საქმით აქტიურად ვიბრძოდი თურქ დამპყრობელთა მიერ საუკუნეობით ფეხქვეშ გათელილ და ძალით გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-განმტკიცებისათვის, მშობლიური ქართული კულტურის აყვავება-აღორძინებისათვის და ისლამის მიერ ხალხში ჩანერგილი მავნე ჩვევების აღმოფხვრისათვის. ვიბრძოდი იმისათვის, რომ აჭარელისათვის შთამეგონებია, რომ ის ქართველია და არა თათარი. 1913 წლიდან ბათუმის საქალაქო მეორე ქართულ სკოლაში, სადაც მუსლიმანთა ბავშვებისათვის ცალკე იყო გახსნილი განყოფილება, ვენეოდი მასწავლებლობის უღელს და გამაჰმადიანებულ ქართველთა ბავშვების გონებაში ვწერგავდი იმის შეგნებას, რომ ჩვენ ქართველი ხალხის ერთი სისხლი და ხორცი ვართ.

აგრეთვე მემამულური მინათმფლობელობის ლიკვიდაციისა და მშრომელ მოსახლეობაზე მიწის უსასყიდლოდ გადაცემისათვის.

ჩემი მოღვაწეობის ეკლიან გზაზე მიხდებოდა ბრძოლა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის მავნე იდეების მქადაგებელ ხოჯა-მოლესის, მოლაღატე ბეგებისა და ყველა რეაქციონერის წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ჩვენს ვინაობას, ჩვენს ეროვნულ სახეს, ჩვენს მშობლიურ ქართულ დედაენას, ქართველი ხალხის ერთიანობას და პანისლამიზმის ბოროტი დროშით ლამობდნენ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კუთხის, აჭარის გადაშენებას და გათქვეფას თურქეთა მოდგმაში.

ჩემი მოღვაწეობა არ მოსწონდათ ქართველი ხალხის მოლაღატე ხოჯა-მოლესს, ყველა რეაქციონერს, რომლებმაც მეფის ბოძოლა მოხელეებთან დაბეზლებით იმას მიაღწიეს, რომ 1916 წელს გამანთავისუფლეს ჯერ მასწავლებლობის მოვალეობისაგან, შემდეგ კი ამავე წლის ბოლო რიცხვებში, ბათუმის სამხედრო კომენდანტის ბრძანებით აჭარიდან გამასახლეს, რის შემდეგ ვცხოვრობდი ჭიათურაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

ყოველმხრივ ვიბრძოდი თურქეთის წინააღმდეგ, როცა ისინი 1914-1915

ნლებში ვერაგულად შემოიჭრნენ აჭარაში. 1918, 1919, 1920 წლებში დევნილი ვიყავი აჭარიდან ჯერ თურქი დამპყრობლების, ხოლო შემდეგ ინგლისელი ოკუპანტების მიერ. ამ წლების მანძილზე ქართველ ხალხთან და აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად, თავდადებით ვიბრძოდი თურქეთისა და ინგლისელი ოკუპანტებისაგან აჭარის განთავისუფლებისა და საქართველოსთან მისი შეერთებისათვის. ქართველი ხალხის მთლიანობისა და ერთიანობისათვის ვიბრძოდი „საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, „ამიერკავკასიის სეიმში“, „საქართველოს პარლამენტსა“ და „საქართველოს დამფუძნებელ კრებაში“, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტში“, „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისში“ და ყველგან, სადაც კი ხმა მიმიწვდებოდა.

ქართველი ხალხისა და საქართველოს განუყოფელი კუთხის – აჭარის პატრიოტულ ძალების თავდადებულ ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია, მას ხორცი შეასხა საბჭოთა ეპოქამ, და დღეს აყვავებული და მტკიცეთ გაერთიანებული ჩვენი სამშობლო – საბჭოთა საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ერთ-ერთი მონიწივე რესპუბლიკაა.

მახარებს ის, რომ ჩემს მიერ განეული პატარა ამაგი მშობლიური ქართველი ხალხის მთლიანობისა და ერთიანობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კარგად დაფასდა, რასაც მოწმობს თუნდაც ნ. ახვლედიანის შრომა – „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, გამოცემული 1957 წელს ქ. ბათუმში, სადაც ცალკე თავად არის დანვრილებით და დოკუმენტალურად აღწერილი ჩემი მოღვაწეობა შემდეგი სათაურით: „ჰაიდარ აბაშიძის როლი მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში“, აგრეთვე აჭარის სახ. გამომცემლობის მიერ 1960 წელს ხ. ახვლედიანისა და კ. რუსიძის რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოცემული ჩემი რჩეული წერილების კრებული, რომლებსაც ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააფასა სამშობლოს კეთილდღეობისათვის განეული ჩემი ამაგი: დამენიშნა საქართველოს სსრ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია, 1961 წელს საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებული ვარ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქტიური მონაწილე. დაჯილდოებული ვარ მედლით აგრეთვე „მამაცური შრომისათვის 1941–1945 წლების დიდ სამამამულო ომში“.

დიდად მახარებს ის, რომ მოვესწარი საქართველოსა და მისი განუყოფელი კუთხის – აჭარის განახლება-აღორძინებას, რაც ქართველ ხალხს მოუტანა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

ბედნიერი ვარ, რომ ახდა ის, რასაც ახალგაზრდობიდანვე ვნატრობდი და რისთვისაც ჩემი შეგნებული ცხოვრების მთელ მანძილზე ვიბრძოდი კალმით, სიტყვით და საქმით.

ჰაიდარ აბაშიძე
12 აგვისტო, 1961 წელი

პავლე ინგოროყვა

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ინგოროყვა პავლე იესეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1893 თვე ნოემბრის დღე 1
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქ. ფოთი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ლიტერატურათმცოდნეობა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1913
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წლიდან
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	მწერალთა აკადემიური კოორპორაცია
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	–
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ვკითხულობ ფრანგულსა და გერმანულს, რუსული კარგად ვიცი
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღგენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღგენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალთა კავშირის და რუსთაველის სახ. სალიტერატურო ინსტიტუტის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „შრომის წითელი დროშის“, მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად ვმუშაობ სახლში</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გოგებაშვილის 43</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1924		ვიყავი რედაქტორი ონისა“, ქართველ	ჟურნ. „კავკასი- მწერალთა ორგანო	თბილისი
1925	29	რედაქტორი	გამომც. „ქართული ნიგნი“	„-“
1929	38	ხელმძღვანელობდი საგამოფენო განყოფილებას იუბილესთან დაკავშირებით	სახ. მუზეუმის ოფილებას რუსთაველის შირებით	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

პავლე იესეს-ძე ინგოროყვას ავტობიოგრაფია

დავიბადე ქალ. ფოთში, 1893 წელს, ნოემბრის 1-ს, გლეხის ოჯახში. მამჩემი ეწეოდა სოფლის მეურნეობას და აგრეთვე დურგლობდა.

დაწყებითი და საშუალო სწავლა მივიღე ქალ. ფოთში და ვლადიკავკაზში. გიმნაზია დავამთავრე 1912 წელს, ექსტერნატი – ვლადიკავკაზში. უმაღლესი ცოდნა მივიღე პეტერბურგში – ამჟამად ლენინგრადად წოდებული, ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტი ლენინგრადის უნივერსიტეტისა.

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1913 წლიდან.

ჩემი მთავარი ლიტერატურული შრომები არის ქართულ ენაზე:

1. „საქართველოს უძველესი პოეზია“, გამოვიდა ცალკე წიგნად 1913 წელს.
 2. „ჩახრუხაძე“, ქართველი პოეტი, XI–XII საუკუნ., მონოგრაფია, დაიბეჭდა და ჟურნ. „კავკასიონში“, 1924 წ.
 3. „რუსთაველიანა“ (გამოკვლევა), გამოვიდა 1929 წ.
 4. გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწარმოებები, 1937 წ.
 5. კომენტარია ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა, „–“.
 6. „შოთა რუსთაველი“, მონოგრაფია, 1938 წ.
 7. „ლიტერატურული მემკვიდრეობა შოთა რუსთაველის ეპოქისა“, 1938 წ.
 8. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, მონოგრაფია, 1938 წ.
 9. „დავით სასუნელი“ (შესავალი წერილი), 1939 წ.
 10. მოკლე კურსი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 39 წ.
 11. „აკაკი წერეთლის“ შემოქმედება, 1940 წ.
 12. ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა რედაქტორი, რომელიც გამოვიდა 1927 წელს.
 13. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი მერჩულე დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“.
- „გიორგი მერჩულე“ იბეჭდება რუსულადაც.
„ილია ჭავჭავაძე – ცხოვრება და შემოქმედება“ დაიბეჭდა.
„ქართული ლიტერატურის ისტორია“ მზადდება დასაბეჭდად.
ბოლო ხანებში ვმუშაობ ლიტერატურის ისტორიის მასალებზე, რომელიც მზად მექნება ახლო მომავალში და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პლატონ გიორგის ძე კეშელავა

ავტობიოგრაფია

დავობადე 1893 წ., სოფ. ერკეთში, გურიაში. მამაჩემი იყო ნოვოროსისკის ცემენტის ქარხნის მუშა, დედა – დიასახლისი, რვა შვილის გამზრდელი და საზოგადო მოღვაწე. მე ვიყავი მეშვიდე შვილი.

პირველდანიყებითი სწავლა მივიღე სამშობლო სოფლის ორკლასიან სასწავლებელში.

1907 წ. მამაჩემი მუშაობის დროს დაზიანდა, დაჰკარგა შრომის უნარი და სოფელს დაუბრუნდა. ამის შემდეგ მომესპო სახსარი სწავლის გაგრძელებისა, მაგრამ რალაც განუზომელი სურვილი მქონდა სწავლისა და სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მთელი ენერგიით მოვკიდე ხელი თვითგანვითარებას. ბეჯითი მეცადინეობის შემდეგ გავბედე განცხადების მიცემა ქუთაისის სამასწავლებლო სამენარიაში, სადაც სწავლას შევძლებდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩავაბარებდი საკონკურსო გამოცდას, რომელიც იძლეოდა სახელმწიფო ხარჯით უზრუნველყოფას.

1912 წელს, საკონკურსო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ჩამრიცხეს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სტიპენდიანტის უფლებით ქუთაისის სამასწავლებლო სამენარიაში. ეს იყო ჩემი დიდი სიხარული და პირველი დიდი გამარჯვება.

მაგრამ ამ გამარჯვებას თან ახლდა შემზღუდველი პირობები, რომლების გამო, სამენარიის კურსის დამთავრების შემდეგ, უნდა მემსახურნა იქ, სადაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის განკარგულებით გავიგზავნებოდი.

1916 წ. დავამთავრე სამენარიის კურსი, რომელმაც კიდევ უფრო გამიღვივა წყურვილი სწავლისა, და, სადაც გამაწესეს, იქ კი არ წავედი სამსახურში სახელმწიფო ვალის მოსახდელად, ქ. ყაზანში ამოვყავი თავი და იქ შევედი უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ძალიან ჩქარა მიმაკვლიეს და უნივერსიტეტიდან პირდაპირ ჩუგუევის სამხედრო სასწავლებელში ჩამრიცხეს იუნკრად. ამით კი წავაგე, რადგან მასწავლებლად რომ წავსულიყავი, ჯარში აღარ წამიყვანდნენ და ავცდებოდი მაშინ ჩემთვის მეტად საძულველ სამხედრო სასწავლებელს და სამხედრო სამსახურს. აქ მომისწრო თებერვლის რევოლუციამ.

1917 წლის მარტში დროებითი მთავრობის ბრძანების გამო სამხედრო სასწავლებლის ჩვენი კურსი რიგგარეშე გამოუშვეს პრაპორშჩიკის ჩინით.

გამაწესეს სათადარიგო პოლკში, ქ. სიმბირსკში (ახლა ულიანოვი). იქ პირველ დღეებშივე ამირჩიეს პოლკის ჯარისკაცთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გამგზავნეს სიმბირსკის სამაზრო საბჭოში, აქედან კი – ყაზანის საოლქო საბჭოს წევრად.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ერთბაშად განაღდდა ის სურვილები ჩვენი ხალხისა, რისთვისაც 1905 წელში ჩემს თვალწინ დიდი ბრძოლები ხდებოდა გურიაში და ქ. ბათუმში ჩემი ახლო ნათესავების მონაწილეობით. ამიტომ გამოორკეცდა ენერგია, მომემატა თავდადებაც.

ყაზანის საოლქო საბჭოში განსაკუთრებული ენერგიით და თავგამეტებით ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ უპარტიო ვიყავი, ხშირად საპასუხისმგებლო დავალებებით მგზავნიდნენ სიმბირსკის, სიზრანის, კორსუნის, სენგილეის და სხვა მაზრებში.

აქტიური თანამშრომელი ვიყავი საოლქო და სამაზრო გაზეთებისა. ვწერდი ფსევდონიმით – მერაბ მარუშიძე, უფრო რედაქციების თხოვნით, რადგან მათ კეშელავა არ მიაჩნდათ ქართულ გვარად. უნდა აღინიშნოს, რომ იმ განსაკუთრებულ ნდობის მოპოვებაში ჩემს ქართველობასაც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა.

ერთხელ ერთ ამხანაგს ხელს ვუწერდი მივლინების ბარათზე, მან დაჟინებით მთხოვა, რომ „კეშელავაძე“ მომეწერა, იმდენად აინტერესებდაც მაშინაც ქართველობა და ქართველი.

1916 წელს დალუპულიყო ჩემი უფროსი ძმა, ერთი 1915 წელს დაიღუპა, 1918 წელს გარდაცვლილიყო მამაჩემიც. დარჩა ჩვენი ოჯახი უმამაკაცოდ – მოხუცი დედის ამარა.

1918 წელს მომანვდინეს ეს ცნობები ყაზანში, რამაც საშინელი თავზარი დამცა. გავინთავისუფლე თავი და გამოვემგზავრე საქართველოსაკენ ყაზანის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტის მოწმობით. მაინც გაჭირდა ჩემი საქართველოში შემოსვლის ნებართვის მიღება და რამდენიმე კვირა ვლადიკავკაეში მომიხდა ლოდინი. გამომგზავრების მოწყობაში დახმარება აღმომიჩინა სერგო ორჯონიკიძემ.

თბილისში 6 თვე უსამსახუროდ დავრჩი. როგორც საბჭოთა ქვეყნიდან გამოსულს, არ მაძლევდნენ სამსახურს. ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე. რადგან სწავლისა და არსებობის სხვა საშუალება არ მქონდა, ივ. ჯავახიშვილმა მომანყო მასწავლებლად თბილისის მეექვსე საქალაქო სკოლაში. ვასწავლიდი ლიტერატურას და ისტორიას. 37 გაკვეთილი მქონდა კვირაში და უნივერსიტეტშიაც დავდიოდი, დიდი მონდომებითა და წარმატებით ვსწავლობდი.

ვიყავი არჩეული თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული ჟურნალის – „მომავლის“ სარედაქციო კოლეგიის მდივნად. პირველი ნომრის მონინავე წერილი და წერილი „ქართული მეცნიერება“ ამ ჟურნალის პირველ ნომერში მე მეკუთვნის. წერილს მონერილი აქვს ფსევდონიმი პლ. გურიელი. ჟურნალის გამოცემას უწყობდნენ ხელს ივ. ჯავახიშვილი და აკ. შანიძე.

საქართველოს გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე, როგორც საბჭოთა ქვეყანაში ნამუშევარი, მეტად გადამტვირთეს – გამინვიეს ჯარში, დამნიშნეს ქართული დივიზიის პოლიტ. სამმართველოში ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების უფროსად. ამავე დროს ამირჩიეს ქალაქის საბჭოს წევრად, სადაც ვმუშაობდი განათლების განყოფილების ხაზით. ამავე დროს ვაგრძელებდი სწავლას უნივერსიტეტში და ვიყავი განათლების კომისარიატის ლექტორთა ჯგუფის აქტიური წევრი. თბილისის ყველა კლუბის გახსნის დროს ლიტერატურული საქმეების მოგვარება მე მქონდა დაკისრებული. 18

საათი მიხედვითა და მუშაობა დღე და ღამეში, უნივერსიტეტშიაც ბევრთად დავდიოდი. სისტემატურად ვთანამშრომლობდი გაზეთ „წითელ მხედარში“.

1921 წლის ოქტომბერში კომისართა საბჭომ დამნიშნა ხელოვნების სასახლის კომენდანტად, სამხედრო სამსახურთან შეთავსებით. ჩემი დანიშვნის მიზანი იყო, წესრიგში მომეყვანა ხელოვნების სასახლე და მომესპო ის ბოგემური უწესობა, რომელიც მწერალთა ერთმა ჯგუფმა შექმნა და რომლის გამო მთელი საზოგადოებრიობა გამოსთქვამდა აღშფოთებას.

მომიხდა ამ თანამდებობის გადმობარება პავლო იაშვილისაგან, რაც არც ისე ადვილი იყო, მაგრამ, რაკი განსაკუთრებული უფლებებით ვიყავი აღჭურვილი, მოკლე დროში შევძელი ხელოვნების სასახლის წესრიგში მოყვანა.

1923 წლიდან გამანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან და ხელოვნების სასახლეში შემითავსეს მეორე თანამდებობა – ხელოვნების კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტის მდივნობა. ეს მთავარი კომიტეტი აერთიანებდა მწერალთა კავშირთან მხატვართა, მუსიკოსთა კავშირებს და საკმაოდ რთული იყო მისი ხელმძღვანელობა. თავმჯდომარე იყო პოეტი კოტე მაყაშვილი. მთელი სიმძიმე მე მანვა.

1928 წლიდან ხელოვნების სასახლე გადაკეთდა მწერალთა სახლად, მწერალთა სახლში გაიხსნა მწერალთა კლუბი. დამნიშნეს მწერალთა სასახლის დირექტორად, მწერალთა კლუბის დირექტორად, თანამდებობის შეთავსებით.

როგორც მწერალთა სასახლე, ისე მწერალთა კლუბი მუშაობდნენ საქ. კ.პ.(ბ)ც. კომიტეტის ხელმძღვანელობით და ბევრი საპასუხისმგებლო დავალების შესრულება მიხდებოდა:

უცხოეთის დელეგაციების მიღების ორგანიზაცია, მათი გაყოლა რესპუბლიკის რაიონებში, იუბილეების გამართვა და სხვა მრავალი დავალება ართულებდა ჩემი თანამდებობების შესრულებას, მუდამ გადატვირთული ვიყავი, მით უფრო, რომ ვენეოდი მწერლობას, სისტემატურად ვათავსებდი წერილებს, როგორც ლიტერატურულ ორგანოებში „ქართულ სიტყვაში“ და „მნათობში“, ისე „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“.

1930 წელს გამოვიდა ჩემი ლიტერატურული ნარკვევის წიგნი „პოეტების შეჯიბრი“.

1925-1926 წლებში ვიყავი ჟურნალ „ხელოვნების“ სარედაქციო კოლეგიის მდივანი, აქვე იბეჭდებოდა ჩემი წერილების სერია თეატრისა და ხელოვნების საკითხებზე.

მწერალთა სასახლისა და მწერალთა კლუბის დირექტორის თანამდებობაზე ვმუშაობდი 1939 წლის ნოემბრამდე. აქედან გადავედი სახკინმრეწვების სასცენარო განყოფილების კონსულტანტად.

1941 წლის სექტემბერში გამიწვიეს სამხედრო სამსახურში, ჩამრიცხეს თბილისის დაცვის რაზმში და კავკასიის ჯარების პოლიტსამმართველოში ლექტორად. სისტემატურად მიხდებოდა მოხსენებებისა და ლექციების კითხვა სამხედრო ნაწილებში და ჰოსპიტლებში.

სამხედრო სამსახურში განვვიყვანე გამო განათლების კომისარიატის მეშვეობით ჩავაბარე ილია ჭავჭავაძის მთელი ქონება საქ. ლიტერატურულ მუ-

ზეუმს. ქონების დაცვამ და მოვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსახ-
კომის კოლეგიაზე, ამის გამო, როდესაც წამოიჭრა საკითხი ილია ჭავჭავა-
ძის ყვარლის ბიბლიოთეკა-მუზეუმის განახლებისა, 1943 წლის აგვისტოში
თბილისის მუზეუმის დირექტორ ნ. ბადრიაშვილთან ერთად მე გამომგზავ-
ნეს ყვარელში მუზეუმის მდგომარეობის გამორკვევაზე.

ყვარლის მუზეუმი მეტად ცუდ მდგომარეობაში დაგვიხვდა. არც შტატი,
არც გამოფენა არ იყო მუზეუმის შესაფერი, კარმიდამო არ იყო წესრიგში
მოყვანილი.

მე დამავალეს მუზეუმის გადახალისების პროექტის შედგენა, ასეთი
პროექტი შევადგინე და წარუდგინე განსახკომს. ამ პროექტის განხილვის
შემდეგ მთხოვეს შევდგომოდი ილია ჭავჭავაძის მუზეუმის მოწყობას, კარ-
მიდამოს წესრიგში მოყვანას და გამოფენის გამართვის საქმეს. აღმითქვეს
დიდი დახმარება.

1943 წლის ნოემბერში მე შევეუდექი მუშაობას. არც ბიუჯეტი, არც შტა-
ტი, არც გამოფენისათვის საჭირო მასალა მუზეუმს არ მოეპოვებოდა. არც
მოხერხდა ილიას იმ ფონდიდან, რომელიც მე ჩავაბარე ლიტ. მუზეუმს, რაი-
მე მასალის მიღება.

გაძნელდა მუზეუმის ახალი სახით გახსნა, მაგრამ დაძაბული მუშაობის
შედეგად, 1947 წლის 7 დეკემბერს, გაიხსნა ილია ჭავჭავაძის მუზეუმი ახალი
სახელწოდებით: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი მუზეუმი მესამე კატეგო-
რიის მინიჭებით, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მუზეუმის მუშაობამ ძალიან გამიტაცა, ბევრი რამ ახალი შევძინე ილიას
მემკვიდრეობის ახალი მასალების გამოყენებით და შესწავლით.

მუზეუმი დღესაც აღიარებულია ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის დაც-
ვის და შესწავლის ღირსეულ კერად.

ის პროექტი, რომელიც მე წარუდგინე განათლების კომისარიატს 1943 წ.
სრული სახით მხოლოდ 1953 წელს განხორციელდება, მაგრამ...

[1951 წელი]

ლადო ილიას ძე მაჭავარიანი

დავიბადე 1893 წელს სოფელ ილემში, ზესტაფონის რაიონი (ყოფილი შორაპნის მაზრა). დიდი მაჭავარიანები, ასე უწოდებდნენ ილმელებს. დიდი ზურაბი, ბაბუა ჩემი (აზნაური), ყველა თავადზე სახელგანთქმული, პოპულარული და გავლენიანი ყოფილა. დარბაისელი, დინჯი, მჭერმეტყველი – ასე ახასიათებდნენ მას თანამომსწრენი. თანამდებობით ის იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი.

ბატონყმობის გაუქმებას, დიდი მღელვარებით შეხვედრიან ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა. ქუთაისის საკრებულო ტაძარში, გუბერნატორი, რომელსაც უნდა გამოეცხადებინა ბატონყმობის გაუქმების აქტი, საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილა. აღშფოთებულ თავადებს უნდოდათ, შუა გაეგლიჯათ, ან ნაკუნ-ნაკუნად ექციათ იგი. ამ დროს გაისმის ზურაბის მჭექარე ხმა. აბობოქრებული ზღვა თავადებისა ცხრება, მშვიდდება. „ერთი ძალლი მე მაპატიეთო“, შესძახებს ერთხელ კიდევ ზურაბი, ჩაისვამს ეტლში, თითქოს მიწიდან ამოღებულ გუბერნატორს და გადაარჩენს მას.

ბებია ჩემი იყო საჩხერელი დიდი წერეთლის ქალი. შვილებზე მზრუნველობა არ გამოუჩენია. მამაჩემს არაფერი რგებია-რა თავის მამა-პაპიდან. იგი ჩამოსიძებული იყო დედაჩემის მამულზე.

ჩემი მშობლები მეტად ხელმოკლენი იყვნენ. ძალზე კეთილ და მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ ჩვენი სოფლის გლეხობასთან.

დედაჩემი შვილების აღზრდის საქმეში გასაოცარ ენერგიას იჩენდა. მამაც თანაგრძნობდა მას. უსახსრობის გამო, პირველ ხანებში ჩემს უფროს ძმას ჩამოვრჩი. ერთი წლის განმავლობაში ვემზადებოდი ზესტაფონში ვ. საყვარელიძესთან. 1903 წელს ჩავაბარე გამოცდები ქუთაისის სათავადაზნაურო ოთხკლასიან სასწავლებელში, რომელიც შემდეგ ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა. მიმიღეს მესამე განყოფილებაში.

ჩემი უფროსი ძმა პეტრე, მეტად ნიჭიერი და ენერგიული მოსწავლე იყო. 1905 წლის რევოლუციის დროს პირველი კლასიდან გამოვედი. ზაფხულის განმავლობაში ჩემ ძმასთან ერთად ჭიათურაში ვმუშავობდი.

დავაგროვეთ ცოტაოდენი ფული და 1906 წლის სექტემბერში მაინც მოვახერხე II კლასში ჩამებარებია გამოცდები.

1907 წელს ჩემი უფროსი ძმა შემთხვევით მდინარე წყალწითელაში დაიხრჩო. დავრჩი მარტო. V კლასიდან ვცხოვრობ კერძო გაკვეთილებით. მეტად გულთბილად და მშობლიური მზრუნველობით გვეპყრობოდნენ ჩვენი მასწავლებლები: ი. ოცხელი, ვ. ბერიძე, ს. წერეთელი, გ. სვანიძე, ს. ყიფიანი, ს. რობაქიძე, ა. გარსევანიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი და სხვები.

მეხუთე კლასიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას გვესწავლიდა ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე პროფესორი – ვუკოლ ბერიძე. შემდეგ კლასებში თავისთავად ვერკვევოდით ენისა და ლიტერატურის ყოველგვარ საკითხებში. მეტად საინტერესო, შინაარსიანი, მიმზიდველი და წარმტაცი იყო ბერიძის გაკვეთილები. ვ. ბერიძის ხელში ჩვენ საფუძვლიანად

შევისწავლეთ მთელი ძველი და ახალი ლიტერატურა. უნივერსიტეტს ამ მხრივ ბევრი აღარაფერი მოუცია.

გიმნაზია დავამთავრე 1916 წელს. ამავე წელს გამიწვიეს ჯარში. ვსწავლობდი ტფილისის სამხედრო სასწავლებელში, ტაშკენტში, დუშეთისა და თელავის სამხედრო სკოლებში. სრულებით ვერ ვეგუებოდი სამხედრო სამსახურს. შედეგებიც უმნიშვნელო იყო.

1917 წლის სექტემბრიდან გადმოვედი ტფილისში. 1918 წელს შევედი უნივერსიტეტში, დავამთავრე და დავინწყე პედაგოგიური მუშაობა.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1913 წელს. პირველი ჩემი ლექსი „მთის ყვავილი“ დაიბეჭდა გაზ. „ერში“. აქედან დაწყებული სისტემატიურად ვათავსებდი ლექსებს საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთებში: „იმერეთი“, „ერი“, „სამშობლო“, „ჩვენი ქვეყანა“, „საქართველო“ და სხვა.

1916 წელს ვრედაქტორობდი საკუთარ ჟურნალ „აისი“-ს. ჟურნალი „აისი“ გამოვიდა სულ ოთხი ნომერი, რომელშიაც მონაწილეობდნენ: ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, რ. გვეტაძე, გრ. ცეცხლაძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ნ. მინიშვილი, გ. რობაქიძე, გრ. მეგრელიშვილი, დემნა შენგელაია და სხვები.

არცერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას არ ვეკუთვნოდი. 1919 წელს გაზ. „კლდეში“ დავბეჭდე რამდენიმე ფელეტონი ლიტერატურულ საკითხებზე. გაზეთს რედაქტორობდა გრ. ვეშაპელი. გრ. ვეშაპელი ჩემი კარგი მეგობარი იყო. ვმოგზაურობდით ერთად მესხეთში, ჯავახეთში, აჭარაში და აფხაზეთში. მისმა მკვლელობამ ჩემში ღრმა კვალი დასტოვა. დავწერე ლექსი ვეშაპელზე და დავბეჭდე 1926 წ. ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“, №2.

1921 წლიდან ვთანამშრომლობდი საბჭოთა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „პოეზიის დღე“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“, „სალიტერატურო გაზეთი“ და სხვა. 1915 წელში დავბეჭდე ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ მოზრდილი პოემა „მთებში“. პოემა ეხებოდა იმპერიალისტურ ომს. 1924 წელს ტფილისში გამოვეცი ლექსთა კრებული „სარკოფაგები“. 1938 წელს დავბეჭდე დიდი პოემა „მტკვარი ჯავშნოსანი“. რამდენიმე ლექსი ითარგმნა რუსულად და დაიბეჭდა „მოლოდინი რაბოჩიში“ და „ზარია ვოსტოკაში“ 1934-35 წლებში.

ჩემ შესახებ ნაწერები აქვთ: აკ. პაპავა, „სახალხო ფურცელი“; გრ. რობაქიძე, „საქართველო“, 1919 წ.; ტიცინან ტაბიძე, „პოეზიის დღე“, 1921 წ.; ბ. ბუაჩიძეს თავის წიგნში. 1928 წ. ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია ჩემი პოემა „მტკვარი ჯავშნოსანის“ შესახებ. 1924 წ. ახალგაზრდობის ჟურნალ „გოლფმტრომში“ (ზესტაფონი) მოთავსებულია ზ. კავილაძის წერილი ჩემი ლექსების შესახებ. ამ ჟამად ლექსებზე ვმუშავებ ისევ გატაცებით, როგორც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს.

*სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა
„ფედერაციას“ ბიბლიოგრაფიული ლექსიკონისათვის
ლადო ილიას ძე მაჭავარიანი
25/X – 1936 წ.*

როდიონ ქორქია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ქორქია როდიონ კალენიკეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1894 თვე იანვარი დღე 1
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ქალაქი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1927
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1935 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, ხარკოვის უნივერსიტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1917 წლებში მომქმედ არმიაში პოდპორუჩიკი
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>პეროვსკაიას 10</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1916	17	არმიაში	ჯარისკაცი	ფოთში
1919		ისევ არმიაში	უფრ. შემადგენ- ლობა	
1920		მდივანი	პროფკავშირებისა	
1921		პედაგოგად	ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში	
1925	26	საფინ. ნან. გამგე		თბილისი
1927	33	ფინანსსპექტორი	თბილსაბჭოში	
1934	35	ლიტკაბინეტის უფრ.	ვოროშილოვის კლუბისა	
1938	40	ლექტორი	„—“	
1949		კაბინ. გამგე	თეატრალური საზ-ბისა	
1949	51	პ/მგ. მდივანი	ყურნ. „პიონერისა“	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

როდიონ კალენიკეს-ძე ქორქიას ავტობიოგრაფია

დავიბადე კოლხიდაში, 1894 წელს, იანვრის 1-ს, ს. ჭალადიღში, ყოფ. სენაკის მაზრაში.

პირველ დაწყებითი სწავლა სასოფლო-სამრევლო სკოლაში მივიღე, რომელიც 1904 წელს დავამთავრე. უსახსრობის გამო მშობლებმა დუქანში მიმაბარეს შეგირდად, სადაც დავყავი ნახევარი წელიწადი. ერთ დროს გაზეთებს ვყიდდი და ამავე დროს ვწერდი ლექსებს და კიდევ დაიბეჭდა ორიოდ ლექსი. ერთი ნათესავის დახმარებით შევედი ფოთის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1909 წელს დავამთავრე.

1908 წელს ფოთში გაიმართა აკაკი წერეთლის იუბილე. ამ იუბილეზე მე ნავიკითხე საკუთარი ლექსი. აკაკიმ უთხრა ნიკო ნიკოლაძეს – „ეს ბავშვი არ დაკარგოთ“. მართლაც, ნიკო ნიკოლაძის დახმარებით შევედი ფოთის გიმნაზიაში, რომელიც 1914 წელს დავამთავრე. ამავე წელს შევედი ხარკოვის უნივერსიტეტში.

1916 წ. მოხდა სტუდენტების განწვევა და ნამიყვანეს ჯარში. დავამთავრე ტაშკენტის სამხედრო სასწავლებელი. მონაწილეობას ვიღებდი იმპერიალისტურ ომში.

ოქტომბრის რევოლუციის დროს ვინეჩი ლაზარეთში. გამოწერისთანავე აქტიურად ჩავები ბოლშევიკებთან მუშაობაში პროფკავშირების ხაზით. ვარ მონაწილე სამოქალაქო ომისა. პირადათ ვიბრძოდი სამხრეთის ფრონტზე. ვიცავდი ჩვენი ჯარის მთავარი ძალების დახევას 1919 წ. ივნისში. ამ ოპერაციის დროს ვიყავი რაზმის უფროსი, დამჭრეს მძიმედ, მაგრამ დავალება შევასრულე და გზა არ დავუთმე მტერს, სანამ ჩვენი მთავარი ძალები სამშვიდობოს გავიდოდნენ.

საქართველოში მუშაობა დავიწყე 1920 წ. ვიყავი ქ. ფოთის გადამტვირთავ მუშათა პროფკავშირის პ/მგ. მდივანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიყავი მუშგლეხინის პ/მგ. მდივანი, გიმნაზიის მასწავლებელი, შემდეგ ტექნიკუმის მასწავლებელი ჯერ ფოთში, მერე თბილისში. დიდხანს ვმუშაობდი საფინანსო დარგში – 10 წელიწადი საპასუხისმგებლო ადგილებზე, ჯერ საქართველოს ფინსახკომში, შემდეგ თბილისის საბჭოში. თბილისის საბჭოშივე დიდი მუშაობა ჩავატარე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით. ვიყავი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის პარტ-პროფკურსებზე ლექტორად. ვიყავი საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის ლიტკაბინეტის გამგე, ვიყავი ჟურნალ „პიონერის“ პ/მგ. მდივანი. უკანასკნელ ხანებში ვმუშაობ ლიტწრეების ხელმძღვანელად მწერალთა კავშირის მასობრივ მუშაობის ხაზით.

ჩემი მოთხოვნათა პირველი წიგნი გამოვიდა 1927 წელს. სულ გამოსულია ჩემი 7 წიგნი. მაქვს რამდენიმე სკეტჩი. ჩემს მიერ თარგმნილია ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, გაიდარის „სკოლა“ და ა. ტოლსტოის „პური“. ჩემი პიესა „სირმიანი ხალათი“ შეტანილი იყო თეატრის რეპერტუარში.

ვმუშაობ აგრეთვე საბავშვო ლიტერატურაში. ჩემი მოთხრობები ფართო პოპულარობით სარგებლობს მოზარდ თაობაში და შეტანილია სახელმძღვანელოებში, როგორც, მაგალითად, „ბუდიონის პაპიროსი“, „მარილის აკვანში“, „ათას ორასი“, „შევარდენი“, „კოლმეურნეობამ დაგვიდგინა“, „ყველგან შინა ვართ“.

აგრეთვე დაწერილი მაქვს პიესები: „ობლიგაცია“, „ჩვენი პასუხი“, „ფიცის აღება“, „საიდუმლო მეგობარი“, „მართალი კაცი“, „ვინ გაიმარჯვებს“, „მომავალი გზა“, „ნუკრი“, „სიყვარულის ღიმილი“ და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პაოლო იაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	(თავი მოიკლა 1937 წელს) იაშვილი პაოლო ჯიბრიელის ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა აქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1894 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1916 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ცისფერ ყანწელთა კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, რამდენიმედ ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>იყო საფრანგეთში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა – საკავშირო მწერალთა კავშირის პრეზ. წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>1937 წელს მოიკლა თავი მწერალთა სასახლეში</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ლენინის ორდენი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ჯაფარიძის 7</p>

„ — “ _____ 195 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პაოლო ჯიბრიელის-ძე იაშვილის ნაწარმოებთა სია

1. ჟურნ. „ცისფერი ყანწები“ ჩემი რედაქტორობით. წერილები, ლექსები, კრიტიკული სტატიები (კ. აბაშიძის, ნულუკიძის, ფ. მახარაძის, 1916-1917 წ.წ. (კრ. წერილები).

2. ლექსები, წერილები, ნარკვევები (პ. გელეიშვილის, ბ. ბუაჩიძის, შ. რადიანის, ბეს. ჟღენტის. 1916–37 წ.წ. კრიტ. წერილები).

3. 1925 წ. მოთხრობა „ფერადი ბუმტები“ (კ. მელაძის, ალ. სულავას, ტ. ტაბიძის, ვალ. გაფრინდაშვილის, შ. აფხაიძის, ს. ცირეკიძის, ს. ჩიქოვანის კრიტიკ. წერილები).

4. პოემა „გზა მშვიდობისა“, ჟურნ. „მნათობში“, პოემა, 1936-37 წ.

5. კრებული – ა. ს. პუშკინის ლექსები (კრიტ. წერილები ქართულ პერიოდულ პრესაში) 1936 წ.

7. 1917 წლიდან 1937 წლამდე ჩემს მიერ გაკეთებულია ლექსთა თარგმანები – პუშკინის, მაიაკოვსკის, ბლოკის, ბალმონტის, ვაგიფის, რემბოსი, ბოდლერის და სხვ. საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, ლექსები (1916 წლიდან 1937 წლამდე რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბელორუსულ და სხვა მოძმე რესპუბლიკების პერიოდულ პრესაში).

შენიშვნა: ავტობიოგრაფიული ცნობები არ აღმონდა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შალვა აბხაიძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	აბხაიძე შალვა ნიკოლოზის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	არა მაქვს
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1894 თვე ივლისი დღე 20
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ძუყნური (ქუთაისის გუბერნია)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, კრიტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1919 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1936 წლიდან
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

<p>14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)</p>	<p>ფინანსიური დისციპლინის დარღვევისათვის მეცნ. აკადემიის გამომცემლობის მუშაობის დროს – საყვედური</p>
<p>15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)</p>	<p>უმაღლესი, ლენინგრადის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი</p>
<p>16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)</p>	<p>არა</p>
<p>17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)</p>	<p>ქართული, რუსული</p>
<p>18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)</p>	<p>არა</p>
<p>19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)</p>	<p>არა</p>
<p>20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p>	<p>არა</p>
<p>21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)</p>	<p>არა</p>
<p>22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)</p>	<p>არა</p>
<p>23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)</p>	<p>არა</p>

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მოხსნილი ვარ აღრიცხვიდან ასაკის გამო</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სსმკ გამგეობის წევრი, მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე, თეატრალურ საზ-ბის პრეზიდენტის წევრი და სხვ.</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენი „საპატიო ნიშანი“, მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტ-სექცია – კონსულტანტი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გოგებაშვილის ქ. 43</p>

„ 20 “ 11 1953 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უნწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1918	1919	განყოფილების მდივანი	ერობაში	ქუთაისი
1920	21	ლიტ. მდივანი „იზვესტიისა“	დამფუძნებელი კრება	თბილისი
1921	22	სამხატვრო კომიტეტ. მდივანი	განათლების კომისიართან	„—“
1922	24	განყოფილების გამგე	გაზ. „მუშა“	„—“
1924	1939	გამომც. გამგე	გამომც. „ტექნიკა და შრომა“	„—“
1939	41	დირექტორი	საქ. ლიტფონდისა	„—“
1941	1951	გამომც. გამგე	მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობისა	„—“
1949	1951	მმართველი	ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან რეპერტკომისა	შეთავსებით თბილისში
1951		კონსულტანტი	საქ. მწერალთა კავშირის ლიტსექციისა	თბილისი
1952		მხატვრ. განყ. გამგე	მთავლიტისა	შეთავსებით
—	—	სპეც. განყოფილების გამგე	თბილისის კინოსტუდიისა	
ამჟამად		ლიტ. კონსულტანტი	სსმკ	თბილისი

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

შალვა ნიკოლოზის-ძე აბხაიძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1894 წელს, ივლისის 20-ს სოფელ ძუყნურში (ქუთაისის გუბერნია). მამა იყო საქმის მწარმოებელი ქუთაისის საოლქო სასამართლოსი, დედა – დიასახლისი.

საშუალო განათლება მივიღე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რის დამთავრების შემდეგ 1913 წელს შევედი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ლენინგრადის სახ. უნივერსიტეტში.

1913-1914 წლებში სტუდენტთა მოძრაობის გამო გარიცხული ვიქენი უნივერსიტეტიდან, ხოლო აღმადგინეს ორი თვის შემდეგ.

მონაწილეობას ვღებულობდი თებერვლის რევოლუციაში.

1917 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი ქუთაისში და დავიწყე მუშაობა ერობაში მდივნის თანამდებობაზე ერთ-ერთ განყოფილებაში.

1920 წელს საცხოვრებლად გადმოვედი თბილისში და დავიწყე მუშაობა დამფუძნებელ კრების ჟურნალში ლიტმუშაკად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე დავიწყე მუშაობა განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებაში მდივნად. 1922 წლიდან 24 წლამდე ვმუშაობდი გაზეთ „მუშაში“ განყოფილების გამგედ, და სხვ. ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1919 წლიდან.

ჩემი ლექსები და კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. გამოცემული მაქვს სამი წიგნი (ლექსები და მონოგრაფია სახ. არტისტ აკ. ხორავაზე).

ვარ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი, თეატრალურ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და მთარგმნელთა სექციის გამგე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში. აგრეთვე სამხატვრო საბჭოს წევრი ფილარმონიისა, ვარ წევრი კინომატოგრაფიის სამინისტროს კოლეგიისა.

შეთავსებით ვმუშაობ მთავლიტში.

უმაღლესი საბჭოს დადგენილების თანახმად, დაჯილდოვებული ვარ ორდენით „საპატიო ნიშანი“ და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

შ. აბხაიძის ნაწარმოებთა სია:

1. ლექსების რამდენიმე კრებული.
2. კრიტიკული წერილები და ლექსები.
3. ლექსების კრებული, 1950 წელს.
4. მონოგრაფია „აკაკი ხორავა“.
5. კრიტიკული წერილები და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

Автобиография

Я родился в 1894 году в сел. Дзукнури расположенного в бывшем кутаисском уезде, бывшей кутаисской же губернии, в семье мелкого служащего делопроизводителя Кутаисского Окружного Суда.

Рано лишившись матери, рос в деревне у бабушки. Начальное образование получил в Кутаиси у частного преподавателя, после чего поступил в первое отделение Кутаисского реального училища, по окончании которого в 1913 году поступил в бывш. Петербургском университете на филологический факультет.

В среднем училище принимал активное участие как в политических, так и в литературных ученических кружках, сочувствуя национальным устремлениям классиков грузинской литературы. Принимал участие в издании (в качестве одного из редакторов) рукописного литературного журнала, в котором помещались произведения исключительно учеников нашего училища.

Принимал близкое участие в политических выступлениях студентов. За это был временно уволен (в 1913/14 году) из университета. Был секретарем грузинского землячества.

Во время февральской революции работал в качестве связного между восставшими воинскими частями, печатал на ремингтоне и распространял в стенах университета прокламации, призывающие к восстанию против царской власти.

В студенческие годы напечатал свою первую критическую заметку о поэзии И. Гришашвили. Здесь же, в Петербурге, слушал лекции Н. Марра и И. Джавахишвили.

Сочувствуя большевикам принимал участие в июньских демонстрациях. В 1917 году, до Октябрьской революции возвратился на родину – в Кутаиси, где и начал свою литературную деятельность, начал печатать как стихи, так и критические заметки. Принимал участие в работе таких общественных организаций, каким был, например, Кутаисское Драматическое Общество.

В то же время начал служить в местном земстве в качестве секретаря одного из отделов.

В 1920 году переехал в Тбилиси с целью поступления в местный университет на археологическом факультете. Слушал лекции в продолжении трех месяцев, но за неимением средств принужден был оставить университет и начать служить литработником в журнале Учредительного Собрания „Вестник“.

В Кутаиси близко познакомился с группой „Голуборожевцев“, поэтов символического направления, к которой и примкнул. Первое стихотворение написанное под влиянием этого направления напечатал в 1919 году. Потом систематически печатал свои как стихи, так и статьи в изданиях названной группы, какими были „Меоцнебе Ниамореби“ (Мечтающие газели), „Швилдосани“ (копыносец), „Баррикади“, „Бахтриони“.

Сочувствуя большевистской партии с первых же дней установления Советской власти в Грузии, начал работать по линии Народного Комиссариата Просвещения в качестве секретаря Главхудкома и комитета научных учреждений.

С 1922 года по 1924 год работал в центральном органе профсоюзов Грузии „Муша“ (рабочий), заведывая отделом рабочих корреспонденции.

С 1924 года по 1934 год руководил издательским отделом „Гостехиздата“ Грузии, после чего до 1941 года работал директором Литфонда Союза Советских Писателей Грузии, а с 1941 года по сей день работаю в качестве директора издательством Ак. Наук Грузинской ССР.

За это время с перерывами до 1936 года в местных периодических изданиях печатал стихи, критические заметки и очерки. После распада группы „Голуборожевцев“ начал печататься систематичнее. Изданы две книги моих стихотворений, в которых помещены исключительно стихи, написанные с 1936 года, считая ненужным для советского читателя всю ту поэтическую продукцию, которая носит глубокие следы влияния декадентской литературы.

Состою членом Правления Союза Советских писателей Грузии и членом президиума Театрального общества Грузии. В 1945 году был принят членом ВКП(б).

Постановлением Верховного Совета ССР награжден медалями: „За оборону Кавказа“, „За доблестный труд“ и орденом „Знак почета“.

III. Абхаидзе

სიკო – სიმონ ფაშალიშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ფაშალიშვილი სიმონ ილიას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	სიკო ფაშალიშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1894 თვე ნოემბერი დღე 6
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქვემო-მაჩხაანი (სიღნაღის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, დრამატურგია, სატირა, იუმორი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1910 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერ. ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ლიტერატორობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>რედაქცია ჟურნ. „ნიანგის“</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>პეტრიაშვილის 24</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1908	10	მოჯამაგირედ	სოფ. მაცხანში	თბილისი
1910		შიკრიკად, ექსპედიტორად, კორექტორად	რედ. „დროება“	
1911		რეპორტიორად, მთარგმნელად, სტილისტად, ლიტ. განყ. გამგედ	რედ. გაზ. „სახალხო გაზეთი“	
1921	23	პ/მგ. მდივანი – ჟურნ. „მოამბე“ სტილისტი	შინაგან საქმეთა კომისარიატი რედ. გაზ. „მუშა“	
1929	წლიდან	პ/მგ. მდივანი სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.	რედაქცია ჟურნ. „ნიანგისა“	

სიკო (სვიმონ) ილიას-ძე ფაშალიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1894 წელს, ნოემბრის 6-ს, სოფელ ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის რაიონში) ლარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობის დიდი ნაწილი გავატარე მინდვრად მეხრობაში. 1905 წელს დავამთავრე ს. ქვემო-მაჩხაანის ორწლიანი სამრევლო სკოლა. სწავლის გაგრძელებაზე მშობლებმა უარი მითხრეს და მოჯამაგირედ დამაყენეს ქვემო-მაჩხაანში მდიდარ ვ. ნადირაშვილის ოჯახში (ხალხოსან მწერალ დიმიტრი მაჩხანელის ძმა), სადაც მძიმე მუშაობასთან ერთად წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით თვითგანვითარების შეძენასაც ვახერხებდი.

პირველი ლექსები ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის დახმარებით დაიბეჭდა განახლებულ „ივერიაში“. 1910 წ. თბილისში ჩამოვედი და გაზეთ „დროების“ რედაქციაში მცირე სამუშაოზე მოვეწყე. მალე დავინაურდი და როგორც „დროებაში“, ისე იმდროინდელ სხვა გამოცემებში განუწყვეტილად ვბეჭდავდი ლექსებს – სწავლასაც შევეუდექი სკოლის გარეშე. საშუალო სასწავლებლის პროგრამით სიმწიფის მოწმობაზე ჩაბარებისა და უმაღლეს სასწავლებელში მონყობის მიზნით. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია აკაკი წერეთელმა, კიტა აბაშიძემ, ვახტანგ ორბელიანის ასულმა, ნინო ყიფიანმა და სხვებმა. 1918 წელს შევედი თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე მსმენელად. მაგრამ პირველი კურსის შემდეგ სწავლა დავტოვე.

დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ს. ფ. მხატვრულ მწერლობასთან ერთად აქტიურად ვმუშაობდი ბოლშევიკურ პრესაში და სატირა-იუმორის დარგში. თვალსაჩინო წვლილი მიქვს შეტანილი საბჭოთა საესტრადო და მსუბუქი ფორმის სათეატრო რეპერტუარის ტრადიციის ჩამოყალიბებაში. აგრეთვე აქტიურად ვმუშაობდი მხატვრულ კლასიკურ ლიტერატურის ნიმუშების თარგმანებზედაც.

1921 წ. ჩემს მიერ თარგმნილი იქნა ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რომელიც საქართველოს რევკომის მიერ გამოცხადებული იქნა ქართულ ენაზე სავალდებულო შესასრულებლად და სრულდებოდა 1944 წლამდე (საბჭოთა კავშირის ჰიმნის შექმნამდე). ჩემს მიერვე იქნა თარგმნილი უ. შექსპირის კომედიები: „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, ა. გრიბოედოვის „ვაიჭკუისაგან“, ე. ვერჰარნის „რიჟრაჟი“, ა. პუშკინის მრავალი ლექსი და კლასიკოსთა სხვა ნიმუშები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ს. ფაშალიშვილის ნაწარმოებთა სია:

1. ჩანგი, ლექსების კრებული, 1917 წ.
2. „ძველ ყამირებზე“, 1937 წ.
3. „კურტნის ხელები“, 1942 წ.

4. „პატარა გმირი ახმედ“, 1943 წ.
თარგმანები:
5. „რიჟრაჟი“ ე. ვერჰარნის, 1921 წ.
6. „ინტერნაციონალი“ პოტიესი, 1922 წ.
7. „კაკანათი“, 1950 წ. (კინო სცენარი).
8. „ქეთო და კოტე“, 1948 წ.
9. „არგონავტები“, 1938 წ.
10. „გაცოცხლებული უდაბნო“, 1951 წ.
11. უ. შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ (თარგმანი).
12. „მეთორმეტე ღამე“.
13. ნართები (ოსური ეპოსი, ლეონიძესთან, დ. გორგაძესთან ერთად).
14. ჰ. ლებერხტის „სინათლე კოორდში“, 1950 წ.
15. ო. ნეოჩარის „ზღაგა პრალა“, 1950 წ.
16. შექსპირის „შეცდომების კომედიები“.
17. „ორი ვერონელი“.
18. ლოპე-დევეგას „ცეკვის მასწავლებელი“.
19. გრიბოედოვის „ვაი ქკუისაგან“.

რამდენიმე ასეული ლექსი დაბეჭდილია ჟურნალ-გაზეთებში და კრებულებში, როგორც საკუთარი, ისე თარგმნილი.

დანერილი მაქვს ორი წიგნი სატირულ-ჰუმორისტულ მოთხრობებისა და ფელეტონების სკეჩების.

მოგონებათა წიგნი აკაკისთან, ვაჟა-ფშაველასთან, დ. კლდიაშვილთან, ნ. ლომოურთან, რაზიკაშვილთან და სხვებთან პირადი შეხვედრების შესახებ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

საფო მგელაძის ავტო-ბიოგრაფია

მე დავიბადე 1894 წელს. ს. ჯურუყვეთში (ოზურგეთის მაზრა) სოფლის აზნაურის ოჯახში. მამაჩემი ახალგაზრდობაში მასწავლებლობდა გურიაში, ს. ჯუბათში, მაგრამ შემდეგ მასწავლებლობას თავი მიანება და სოფლის მეურნეობას მოკიდა ხელი. ხუთი წლის ვიყავი, წერა-კითხვა რომ მასწავლეს. ექვსი წლის რომ გავხდი, სასწავლებელში მიმაბარეს. რვა წლისამ პირველი ლექსი დავსწერე. 1908 წელს გავგზავნე ლექსი „საქართველო“ ჟურნალ „საქართველო“-ში, რომელსაც რედაქტორობდა ვალერიან გუნია. ლექსი დაიბეჭდა და გუნიადგან მამა-შვილური დარიგებით სავსე ბარათი მივიღე. ამ ბარათმა ისე გამახარა, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ბარათი თან დამქონდა. დავკარგე ის 1918 წელს, ოზურგეთში, მთელ ქონებასთან ერთად. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ოზურგეთს აჭარის მხრიდან ზარბაზნები დაუშინეს და დღესაც არ ვიცი, რომლის დაკარგვა უფრო მენანება – იმ სპარსული ნოხების, რომლებიც აჭარლებმა გაიტაცეს, თუ იმ ბარათის, რომელმაც ჩემი ბავშობის საუკეთესო წლებში ისე აღმაფრთოვანა. გუნიას თანაგრძნობით გამხნეებულმა, კიდევ გაუგზავნე მას ორი ლექსი „აკაკის იუბელიის გამო“. ეს ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ფასკუნჯში“, რომელსაც იგივე გუნია რედაქტორობდა.

ლექსები დაიბეჭდა „სოფიო გოგონა“-ს ფსევდონომით. „გოგონა“ ვალერიანს მიეკერებინა ჩემი სახელისათვის, ალბათ წლოვანობის მიხედვით. ჩემდა საუბედუროდ, ეს ჟურნალი მალე დაიხურა და დანარჩენმა ჟურნალ-გაზეთებმა ჩემი ლექსების დაბეჭდვა არ ინებეს.

1915 წელს გაზეთ „საქართველო“-ში გავგზავნე ხუთი ლექსი. ამ გაზეთს რედაქტორობდა სანდრო შანშიაშვილი. სანდროს ბარათიც მივსწერე, რომელშიც ვსთხოვედი დაებრუნებინა ჩემთვის ლექსები, თუ ლექსები არ დაიბეჭდებოდა და მიზეზიც ეცნობებინა. ლექსები უკანვე დამიბრუნდა, მაგრამ ამ ლექსებზე შანშიაშვილის დასკვნა ვერ აღმოვაჩინე. მენყინა, გული მომივიდა და გადავსწყვიტე, გამეგო, მქონდა თუ არა ნიჭი მწერლისა და პოეტის. შანშიაშვილის მიერ დაწუნებული ლექსები ქუთაისში წავიღე და გაზეთ „სამშობლო“-ს რედაქციაში შევიტანე. პასუხისათვის ხვალ შემოიარეთო, მითხრა ია ეკალაძემ. მეორე დღეს დილის თერთმეტ საათზე რედაქციისკენ გავეშურე. წინ გაზეთ „სამშობლო“-ს დამტარებელი შემხთა. გაზეთი ვიყიდე, გავშალე და თვალსაჩინო ადგილზე ფელეტონის სათაურით ჩემი ხუთი ლექსი დაბეჭდილი დავინახე. გახარებული შევედი რედაქციაში, იქ მხოლოდ ვასილ წერეთელი დამხთა.

ბატონო ვასილ! მივმართე მას: დიდი მადლობელი ვარ, რომ ყურადღება მომაქციეთ და ლექსები დამიბეჭდეთ, მაგრამ თქვენი შენიშვნა კი არ არის სწორი. თქვენ დაგინერიათ, რომ ვითომ მე ვიყო ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც პირველათ გამოდის სამწერლო ასპარეზზე. ვასილმა შემომხედა და ხმა-მალლა გადინარხარა. არა უშავს რა, მომიგო მან. თქვენ ისეთი ახალგაზრდა ხართ, რას ვიფიქრებდი, ქმარიანი იქნებოდითო. ამ დროს რედაქციაში ია ეკალაძეც შემოვიდა, მეგობრულათ მომესალმა და ასე მითხრა:

თქვენ გაქვს მწერლის ნიჭი და ტემპერამენტი, სწერეთ, გამოგვიგზავნეთ, კიდევ დავბეჭდავთო. ქუთაისიდან კმაყოფილი დავბრუნდი და ამის შემდეგ ხშირათ იბეჭდებოდა ჩემი ლექსები: გაზეთ „სამშობლო“-ში, „ხმა ქართველი ქალი“-ში, რომელსაც რედაქტორობდა კატო მიქელაძე, „თეატრსა და ცხოვრება“-ში და სხვა. 1921 წელს თბილისში ავედი და „ტრიბუნის“ რედაქციას რამოდენიმე ლექსი შეუტანე. ლექსები დაბეჭდეს და ამ ლექსებში პირველი ჰონორარი მივიღე. იმავე წელს „მშრომელ ქალში“ დავბეჭდე ლექსი „მშრომელი ქალი“ „გურული ქალი“-ს ფსევდონომით. 1922 წელს მე გადავედი საცხოვრებლათ თბილისში. ვბეჭდავდი ლექსებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და ამავე წელს მიღებული ვიქენ მწერალთა კავშირის წევრათ. სხვათა შორის, მე ვითვლებოდი მუდმივ თანამშრომლათ ქალთა ჟურნალ „ჩვენი გზის“ და ვბეჭდავდი ამ გაზეთში: ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, როგორც ჩემი სახელით და გვართ, აგრეთვე ფსევდონიმით: „ენრიელი ქალი“, „საანი“, „ახალი ქალი“ და სხვა. 1927 წელს მე თვითონ გამოვეცი პოემა „ბახმარო“. 1931 წელს გამოვეცი ლექსების პატარა წიგნი „პრელიუდია“. 1928 წელს მწერალთა კავშირის მარკით გამოვეცი „ლიანა ლორდია“. წიგნი მალე გაიყიდა და ამ წიგნმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. 1935 წელს გამომცემლობა „ფედერაცია“-მ გამოსცა რომანი „ქარიშხლის ფრთებზე“. ამავე წელს მე თვითონ გამოვეცი მეორეთ „ლიანა ლორდია“. ჩემს უკანასკნელ რომან „გზადაგზა“, რომლის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობ“-ში, გამოსცემს წელს სახელგამი. მაქვს დაუბეჭდავი ლექსების და პოემების კრებული, რომელსაც ალბად ახლო მომავალში გამოსცემენ.

საფო მგელაძე

P. S. ვინაიდან ამ ჟამად ავად ვიმყოფები და ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვწევარ, ჩემი ავტობიოგრაფია ჩემის კარნახით სხვას დავაწერინე.

*საფო
არამიანცის საავადმყოფო
1936 წ. 14 აპრილი*

კოლაუ – ნიკოლოზ ნადირაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ნადირაძე ნიკოლოზ (კოლაუ) გალაქტიონის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	კოლაუ ნადირაძე
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე თებერვალი დღე 26
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, მთარგმნელი
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1915 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„ცისფერ ყანწელთა“ კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული, გერმანული და ფრანგული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>თავისუფალი</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>სტუდენტობის დროს ვიყავი ფილიანდიაში, იმ დროს შემოდოდა ფილიანდია რუსეთის იმპერიაში</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არ ვიცი</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ლიტერატურა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>კლ. ცეცკინის 17</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1922	34	სტილისტი	რედაქცია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“	
1934		მთარგმნელი	ალკკ ცეკაში	
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

ავტობიოგრაფია

ჩემი სამშობლო – საჩინოა, სოფელი ბზოვანი. საჩინო იმერეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოსავლიან კუთხეთ ითვლება.

ორპირი ემხრობა მას ჩრდილოეთ-დასავლეთით თავისი დავიწყებული ფონებით და უძველესი რომანტიკით.

არსად არ მნიფდება ხეხილი და სიმინდი ისე კარგად, როგორც ჩვენში. წინათ აქ ანადასტურის, ანუ ანდასეულის, მალლარი მოდიოდა. სიზმარივით მახსოვს, რომ ოდნავ შემეჭვნარ ყურძენს, გვიანი შემოდგომით, ჰკრეფდენ ხეებზე და სავსე კალათებით შემოჰქონდათ მარანში.

ეხლა მალლარი გადაშენდა: მისი მოვლა ხელსაყრელი აღარ არის და, ვინ იცის, ეგებ ჰაერიც აღარ უწყობს ხელს მის გაშენებას. ანადასტურის ნაცვლად ეხლა აქ სხვა ჯიშები ხარობენ – უფრო მოსავლიანი, თითქოს, და უფრო მომგებიანი, თუმცა ანადასტურის დაბლარიც, აქა-იქ გაშენებული, იძლევა შესანიშნავ ღვინოს.

მე დავიბადე ქ. ქუთაისში, 1894 წელს, დეკემბრის ბოლო რიცხვებში (26) ძველი სტილით. ბავშვობის პირველი წლები ქუთაისში (ზამთრობით) და საჩინოში გამიტარებია. სამი წლიდან მე უკვე მახსოვს ჩემი თავი, თუმცა სიზმრად, ამბროლაურში, სადაც მამაჩემი მსახურებდა ექიმად.

პირველი გაზაფხული მე ვიგრძენი აქ; ოთხი წლიდან მე უკვე კარგად მახსოვს ჩემი თავი და ის გარემო, სადაც მე მიხდებოდა ყოფნა.

მაგონდება პეპლებით ავსილი ფართო ეზო – მინა გეორგობიანის, უცოლ-შვილო, მხიარული, უკვე გაჭალარებული კაცის მამული; მინა გეორგობიანი მეტად კეთილი და სანდომიანი კაცი იყო; მახსოვს – მას ძლიერ უყვარდა ხალვა, რომელიც ჩამოჰქონდა ქუთაისიდან თეთრი თუნუქის ყუთებით და ხშირად მიმასპინძლდებოდა მეც.

მაგონდება ორი უზარმაზარი, ფუტკრებით აგუგუნებული, ცაცხვი, პატარა ეკლესია, მაღალი კოშკი, წყარო იშვიათი, ღარიდან უხვი ნაკადით მომდინარე და მოჩუხჩუხე და პატარა, ანკარა მდინარე კრიხულა, რომელიც რიონს ერთვის. ასეთი დარჩა ჩემს მეხსიერებაში მინა გეორგობიანის კარ-მიდამო, რომელიც შემდეგ, ისე როგორც ამბროლაური, მე არასოდეს აღარ მინახავს და არც მსურს ვნახო, რომ ჩემში უცვლელად დარჩეს, სიკვდილის დღემდე, ეს, ჩემთვის უტკბესი, ზღაპარი.

შემოდგომაზე ისმოდა წეროების ყვირილი და მოღურალულ ცაზე მოსჩანდა მათი კუთხური მწკრივი, ლურსმული წარწერის მსგავსად. ხუთი წლისა ვიქნებოდი, როდესაც დედა ჩემმა „დედა-ენა“ მომიტანა და ან-ბანის სწავლება დამიწყო. ლექსი, რომელიც მე პირველად დავიზეპირე, იყო: „ნეტავ, არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა“...

დაახლოვებით ამ ხანებშივე დამაწყებებს რუსული წერა-კითხვის სწავლა. რუსული ლაპარაკი მე უკვე კარგად ვიცოდი.

ცოტა ხნის შემდეგ მამა ჩემი გურიაში გადაიყვანეს და მე სამუდამოთ დავმორდი ამბროლაურს...

გურია კარგად მახსოვს. მახსოვს მდინარე სუფსა, ანკესებით ღორჯოების ქერა, ძენის ჩრდილებში მამასთან ერთად ცურვის სწავლა. ჩვენ ვცხოვრობდით ჩოხატაურში. შემოდგომის სალამობით მამა ჩემი, რომელიც შესანიშნავი მონადირე და მსროლელი იყო, ბრუნდებოდა ნადირობიდან და მოჰქონდა მწყერები და ტყისქათამები. მოუთმენლად მოველოდი მის დაბრუნებას. ვათვლიერებდი ტყისქათამების გრძელ ნისკარტებს და მაკვირვებდა, თუ როგორი სიყვარულით ეაღერებოდა ნანადირევს ძალი. ტყისქათამებს თავისებური მძაფრი სუნი ჰქონდათ, რომელიც მე ახლაც მიყვარს.

მე უკვე ვოცნებობდი ნადირობაზე, თუმცა თოფის გასროლა კიდევ არ შემიძლო. დიდი ბედნიერება იყო, როდესაც ის სადმე ახლომახლო დააპირებდა სამწყეროთ ნასვლას და გამომიცხადებდა, რომ თან გავყოლოდი მას. დახოცილ მწყერებს, ვიდრე შევძლებდი, დავატარებდი იაგტაშით, რასაკვირველია, მე. შვიდი წლისა ვიყავი, როდესაც ცელქობის დროს (ერთობ მოუსვენარი და მეტად ცელქი ბავშვი ვიყავი), ქვის კიბეზე დავეცი და ცხვირი გავიტყეხე. მამამ გადამარჩინა ტვინის ანთებიდან ოპერაციის საშუალებით, მაგრამ სახე დამახინჯებული დარჩა.

თითქმის ყოველ ზაფხულს საჩინოში ავდიოდით. ეს დღესასწაული იყო ჩემთვის, როგორც, საერთოდ, ყოველი მოგზაურობა.

შვილდ-„კოდალით“ შეიარაღებული, დავდევი შაშვებს და სხვა ბავშვებთან ერთად ვიჭერდი ღელეში ცხრაფეხებს. ბაბუა ჩემი – ასი წლის მღვდელი სტეფანე – დამისვამდა მუხლებზე და მასწავლიდა იმ ლოცვებს, რომელნიც მე უკვე შესწავლილი მქონდა დედისაგან. სალამობით, შუაღამისთან, სწავდნენ სიმინდის ტაროებს, კვახებს და ჰყვებოდნენ ზღაპრებს ქაჯებზე, ცხრათავიან დევებზე, მეფეებზე, ზღვებზე და მზეთუნახავებზე.

წივილით იწოდდა ცეცხლში ნედლი ჯირკი, რომლის ერთი თავიდან შუშხუნით წვეთავდა თეთრი, ადუღებული ქაფი.

მაგონდება ქვათეთროვანზე უფროსებთან ერთად საკურდღლეთ ნასვლა; ავალისშვილებში გამგზავრება და მდინარე სულორში სასროლი ბადით კალმახების ქერა; მამა საუცხოვოთ ისროდა ბადეს. მოუთმენლად მოველოდი ყურძნის შეთვალებას და ღელეების დამნიფებას.

რთველი უდიდეს დღესასწაულს წარმოადგენდა ჩემთვის, მაგრამ, მასთან ერთად, ახლოვდებოდა ნასვლის დროც, თუმცა ამაშიდაც თავისებური სიამოვნება იყო: გამოთხოვების მსუბუქი სევდა, შვილდ-ისარის ქერის თავზე შენახვა, აკიდოების და კიდევ ნედლ ჩურჩხელების, ტკბილიკვერების წამოღება, ცხენით მოგზაურობა. ვის არ განუცდია ეს!

რატომღაც მიყვარდა რიონის სანაოსთან მიახლოვება, ბორანით რიონზე გადასვლა, რიონის ნაპირთან შესვენება. გაშლილი, ფართო სივრცე რიონის ველისა ეაღერებოდა თვალებს, სმენას მდორეთ მიმდინარე რიონის ბუტბუტი ატკობდა. რვა წელი შემისრულდა, როდესაც მოსამზადებლად მიმბარეს.

ეს იყო ჩემი პირველი დაშორება დედ-მამასთან, პირველი დიდი მწუხარება.

შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შესვლა, გაკვეთილებზე სიარული.

ვსწავლობდი კარგად. მიყვარდა მასწავლებლების წვალება; ამიტომ, ისინი, მაინც და მაინც, არ მწყალობდნენ სიყვარულით, გარდა რუსული ენის და

ისტორიის მასწავლებლებისა, რომელთა გაკვეთილებს მე ყოველთვის სულ-განაბული ვუსმენდი.

1905 წლის რევოლიუცია, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომს და რუსეთის დამარცხებას მოჰყვა, კარგად მახსოვს. მაგონდება განუწყვეტელი ზარების ცემა და ქუჩებში აგებული ბარიკადები. მახსოვს ქუთაისის ბაღში რუს ოფიცერის – ხადეცკის მოკვლა. ხადეცკის მკვლელი – რუბენ გეორგაძე – შემდეგ ჩვენს სახლში, საჩინოში, ინახავდა თავს თითქმის ორი წლის განმავლობაში. მაგონდება, თუ როგორი გულის ფანცქალით, მე და რამოდენიმე ამხანაგი – გიმნაზიელი, გავიპარეთ ფარულ კრებაზე, რომელიც გოჭოურას სასაფლაოსთან იყო გამართული. ჩვენს სახლში ერთი თუ ორი თვის განმავლობაში, კონსპირაციული ბინა იყო, სადაც თავს იყრიდნენ რევოლიუციის მეთაურები ალიხანოვის ქუთაისში შემოსვლამდე. რაც შეეხება რუსეთ-იაპონიის ომს – ჩემს მეხსიერებაში საოცარი სიცხადით ჩარჩა ამ ომის მთავარი მომენტები: პორტ-არტურის აღება, ცუსიმის კატასტროფა, მუკდენის ლიასიანის და ვაფანგოუს ბრძოლები, დამარცხებული რუსი გენერლების კუროპატკინის, ლინევიჩის, სტესელის, რენენკამპფის და გრიპენბერგის, ადმირალების – როჟდესტვენსკის, ნებოგატოვის, ენკვისტის სახელები და გამარჯვებულ იაპონელ გენერლების სახელები: ოიამა, კუროკი, ოკუ, ნოდბუ, ნოგი, რომელმაც პორტ-არტური აიღო და 11 შვილი დაჰკარგა ბრძოლებში, ხოლო შემდეგ, იმპერატორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხარაკირით დაამთავრა თავის სიცოცხლე, ადმირალი ტოგოცუსიმოს გმირი – ადმირალი კამიმურა...

რევოლიუციონურად განწყობილი მონაფეოდა და ხალხი იმეორებდა ამ სახელებს რაღაც ფარული სიამოვნებით, თითქოს შურისძიების გრძნობით გამსჭვალული. როდესაც ალიხანოვის პლასტუნები მოუახლოვდნენ ქალაქს – ჩვენ საჩინოში გავიხიზნეთ. ღამით სოფლიდან მოსჩანდა ხანძრებით აელვარებული ქუთაისი. სოფლის ხალხი შიშით გასცქეროდა ამ სანახაობას და მთელი ღამე ფეხზე იდგა.

დაახლოვებით 10-11 წლისა ვიქნებოდი, როცა დავინწყე ჩუმად ლექსების წერა; რომელ ქართველ ახალგაზრდას არ უწერია ლექსები! უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთი შემდეგაც განაგრძობს ლექსების წერას და მხოლოდ სიკვდილის დროს გრძნობს, როგორც მოლიერის გმირი, რომ მთელი სიცოცხლე იგი ლაპარაკობდა არა ლექსებით, როგორც დარწმუნებული იყო, არამედ ჩვეულებრივი პროზით... მე მახსოვს ჩემი პირველი ლექსი, ან და როგორ შეიძლება არ გახსოვდეს იგი, როგორც პირველი სიყვარული, გადაივიწყო იგი – საბედისწერო პირველი ცეცხლი – ამოდენ ტანჯვის, სიხარულისა და ცრემლების დასაწყისი! აი, ეს ლექსიცი:

„აღარ იქნება თოვა,
მაღე აღდგომა მოვა.
იები აყვავდებიან,
მერცხლები მოფრინდებიან,
ჟუჟუნა წვიმა წამოვა
მინდვრად ბალახი ამოვა,

ხეზე გაჩნდება ბალი,
წითელი, როგორც ლალი.
ბალის საკრეფად წავალ,
ხის კენწეროზე გავალ“.

მამა ინდიფერენტულად უცქერდა ლექსების წერას, როგორც ჩვეულებრივ სენს, არ მიაჩნდა ეს სიამაყის საგნად და, რაც მთავარია, არ მაიძულებდა, როგორც ჩვეულებრივ მამები ჩადიან, გამოვსულიყავ სტუმრების წინაშე ჩემი ლექსებით.

დაახლოებით 1907-1908 წ. მამაჩემი გადაყვანილ იქნა შორაპნის მაზრაში მაზრის ექიმად და მე დედასთან ქუთაისში დავრჩი.

პირველი კლასის მოწაფე ვიყავ, როდესაც ჩვენი გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელს, პოეზიის მოტრფიალეს, პუსტავოიტოვს, წარუდგინე კარგ ქალაქში გადანერილი ჩემი რუსული ლექსი. მეორე დღეს, დიდი შესვენების დროს, მან გამომიხმო, მეგობრულად და სიყვარულით მესაუბრა, მომცა შენიშვნები, მიმითითა ლექსის კომპოზიციურ სისუსტეზე და, რაც მნიშვნელოვანია, გულახდილად მითხრა: „У вас, голубчик, что-то есть... Да, да... есть дар. Но, мой совет, пишите стихи по-грузинский, только по-грузинский! писание по-русски, даже хороших стихов, верьте, ничего Вам не даст...“ დამიბრუნა ხელნაწერი, რომელზედაც ქვემოდ წაენერა: „Хорошо“. ეს ლექსი ასეთია:

„Цветет земля; цветут и облака,
Когда заря каснется их лучами...
А в небеса росистыми очами
Глядят цветы; и лес издалека
Шлет шелест свой с прохладой родника
На крыльях ветерка,
Что веет над лугами.
Риона шум баюкает мечты,
Баграта виден храм в величьи красоты.
Восходит солнце так, так наступает день,
И с гор в ущелия сползает ночи тень“.

ზაფხულს იმ ხანებში ხშირად ვატარებდით ლეჩხუმში. დავდიოდით სანადიროთ. ლაილაშიდან საკურდღლეთ ხშირად უცხერს გავდიოდით, სადაც ჩემი ნათესავები – ჩიქვანები ცხოვრობდნენ. გვივლია ხშირად არჩევებზე სანადიროთ მონადირე ძმებთან – ვიქტორ და გიორგი ჩაჩხიანებთან ერთად. ლაჯანურის ხეობით ავსულვართ ლეხერაში და მე იქ არჩვი მომიკლავს. ნადირობა, ვარჯიშობა და ცურვა ძლიერ მიტაცებდნენ.

მაგრამ ყველაზე უფრო მიტაცებდა კითხვა – განსაკუთრებით პოეზიისა და ისტორიული წიგნებისა. განსაკუთრებული როლი ჩემს სულიერ აღზრდაში ითამაშა მამამ, რომელმაც საუცხოვოთ იცოდა რუსული და ქართული ლიტერატურა და ბავშვობიდანვე მიკითხავდა რუსთაველს და პუშკინს; იგი პირადათ კარგ განწყობილებაში იყო აკაკი წერეთელთან და, თუ არ ვცდები,

იცნობდა ილია ჭავჭავაძესაც. აგრეთვე მამის საშუალებით გავეცანი პირველად ბარათაშვილის პოეზიას.

მესამე კლასიდან იწყება ჩემი დაახლოვება იმ ამხანაგებთან, რომელთა სახელები დაკავშირებულია ქართულ სიმბოლიზმის შექმნასთან; როგორც ყოველი ლიტერატურული მიმართულება, ქართული სიმბოლიზმიც, „ცისფერი ყანწების“ წოდებით, ხასიათდებოდა უკიდურესობით, გადამლაშებით, ბუნტარული ხასიათით. ასე იყო ყველგან და ყოველ დროს... და, როგორც ყველგან, ქართულ სიმბოლიზმშიც, ჩემის აზრით, უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „ცისფერი ყანწების“ შემდეგ აღარ შეიძლებოდა იმ პოეტური ენით მეტყველება, რომელიც გაცვეთილ შტამპათ იყო გადაქცეული...

ეს პერიოდი, საერთოდ, არაჩვეულებრივი დრო იყო ქუთაისის ცხოვრებაში: აკაკი წერეთლის ქალარა და გედივით მოღერებული თავი კიდევ ამშვენებდნენ ქუჩებს. ვაჟა-ფშაველა ჩამოხეული თვალით ხშირად მინახავს ქუთაისში, აკაკის გვერდით მორიდებული ნაბიჯით მიმავალი, ჩოხაში გამონყობილი, ფართე ხანჯლით. მომისმენია აკაკის „მთანმინდა ჩაფიქრებულა“ და ვაჟას „არწივი ვნახე“... ქუთაისის თეატრის სცენიდან. ლადო მესხიშვილის ფრანც მორი და ურიელი ცოცხლობდნენ სცენაზე. კიტა აბაშიძის სიტყვები იზიდავდნენ ახალგაზრდობის ყურადღებას. ეს იყო დრო უდიდესი კულტურული მუშაობისა, მომზადების, ხელოვნებით, ფილოსოფიით და პოლიტიკით გატაცებისა.

მე-7 კლასიდან დამითხოვეს გიმნაზიიდან – პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მურომცევის ხსოვნის ფეხზე ადგომით აღნიშვნისათვის გაკვეთილის დროს. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი ამ გამოსვლისა, გამორიცხული ვიყავი ეგრედ წოდებული „ვოლჩი ბილეთით“. ორი წელიწადი დამეკარგა, რადგან არსად არ მიმიღეს – არც ფოთში, არც კავკავში, არც პიატიგორსკში.

1913 წელს, წვიმიანი ღამით, სოფელ საქარაში, მშობლების სურვილის წინააღმდეგ, დავინერე ჯვარი თამარ საყვარელიძეზე. მშობლებთან შერიგების შემდეგ, რაც 3-4 თვის შემდეგ მოხდა, მე შეუდექი მზადებას და ექვსი თვის შემდეგ ჩავაბარე სიმწიფის მონაშობის გამოცდები ექსტერნად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაშივე, მიუხედავად იმისა, რომ ეს, მით უფრო ჩემთვის, ერთობ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

1914 წელს მე გავემგზავრე მოსკოვს იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დამიმთავრებია მამა ჩემის ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო. ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც მე დამატყდა თავს...

შემდეგ დაიწყო რევოლიუცია. სახელმწიფო გამოცდები ჩაუბარებელი დარჩა, თუმცა ამ გარემოებას არავითარი როლი არ უთამაშია ჩემს ცხოვრებაში.

„ცისფერი ყანწების“ მე-2 ნომრის გამოსვლის შემდეგ ჩვენი ჯგუფის ნაწილი გადავიდა თბილისში, ხოლო მე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი და ჩვენი თანამოლაშქრეები დარჩნენ ქუთაისში. ამ ხანებში, ვიდრე ჩვენც თბილისში გადავიდოდით, გამოცემულ იქნა „მეოცნებე ნიამორები“-ს რამოდენიმე ნომერი, „შვილდოსანი“, ვ. გაფრინდაშვილის ლექსების კრებული „დაისები“, „ახალი ქართული პოეზიის ან-

ტოლოგია“, „სტ. მაღარმე“, ს. ცირეკიძის „მთვარეულები“ და ჩემი ლექსების პირველი წიგნი „ბალდახინი“.

საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარებამ ქუთაისში მომისწრო.

1921-22 წ.წ. ბათომში ვიმყოფებოდი, სადაც ჩვენ გაღებული გვქონდა პოეტების კაფე: „არმაზი“.

1923 წელს გადაველ თბილისს, სადაც განვაგრძობდი ლიტერატურულ მუშაობას. 12 წელი ვიმსახურე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციაში მთარგმნელად.

1939 წ. გამოიცა ჩემი ლექსების კრებული.

1946 წ. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ჩემი ლექსების კრებული „დიდ გზასთან“.

ამჟამად ვითვლება ქ. თბილისის მცხოვრებლად, ვცხოვრობ კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩაზე, სახლში №17. მყავს ორი ქალიშვილი და ორი შვილისშვილი – ქალ-ვაჟი. მყავს ცოლი, რომელიც 1939 წ. 28 ივლისს შევირთე. ჩემს ცოლზე 27 წლით უფროსი ვარ.

ვამზადებ ლექსების ახალ კრებულს და პოემას. მიზნად მაქვს, ავწერო რამოდენიმე კრიტიკული წერილი თანამედროვე პოეტებზე, განსაკუთრებით იმ პოეტებზე, რომელთაც ვულგარული ტონი შეაქვთ ქართულ პოეზიაში და აგრძელებენ ჩვენში არა მაღალი პოეზიის გენერალურ ხაზს, არამედ აშუღური პოეზიის მოტივს, საიათ-ნავას მიერ წამოწყებულს – იმ მსუბუქი, დაბალი ჟანრის პოეზიას, რომელიც, სამწუხაროდ, სამსახურს უწევს ამჟამად ესთეტიურად განუვითარებელ და უვიც დაბალი გემოვნების დონეზე მდგომ ქართული საზოგადოების ნაწილს.

ეს ბრძოლა, ვახტანგ ორბელიანის მიერ პრინციპიალურად დაწყებული, ერთ დროს წარმატებით ვითარდებოდა, შემდეგ შეწყდა სრულებით... ამჟამად ეს ბრძოლა ისევ-ისე განახლებული უნდა იქნეს მთელი სიმწვავეით და შეურიგებლობით.

*კოლაუ ნადირაძე
16.VII. 1947 წ.
თბილისი*

ვასო პატარაია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	პატარაია ვასო ბათლომეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ვასო პატარაია
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე მარტის დღე 19
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ბანძა
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1922 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1952 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გუმანიტარულ მეცნ. ფაკულტეტი, სახ. გამოცდები არ ჩამიბარებია
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1915 წელს მსახურობდა ჯარისკაცად
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მობსნილია</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „კავკასიის დაცვისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბაქრადის ქ. 11</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1919	21	ინსტრუქტორი	სტატისტიკური განყ.	თბილისი
1921	22	განყ. გამგე	„-“	„-“
1922	25	აქტიორი	რუსთაველის სახ. თეატრი	„-“
1925	29	განყ. გამგე	ხელოვნ. მუშაკ. კავშირი	„-“
1929	31	უფრ. ადმინის- ტრატორი	ოპერის თეატრი	ბათუმი
1931	32	დირექტორი	ბათუმის თეატრისა	თბილისი
1932	35	„-“	ქართული სიმფო- ნიური ორკესტრი- სა	„-“
1936	39	რეჟისორი	ოპერის თეატრი	„-“
1939	40	სამხატვრო ნან. გამგე	ქართული სახ. ესტრადისა	„-“
1940	44	ლიტ. განყ. გამგე	მარჯანიშვილის თეატრი	„-“
1944	46	„-“	ოპერის თეატრი	
	1952 წელი	სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს	გამგე: ნ. თოფჩიშვილი.	

ვასილ ბათლომეს-ძე პატარაიას ავტობიოგრაფია

დავიბადე სოფ. ბანდაში, 1895 წელს, 19 მარტს (ახ. სტ.). დავამთავრე ბანდის ორკლასიანი საეკლესიო სკოლა წარჩინებით. 16 წლისა ვიყავი, როდესაც საშუალება მომეცა სწავლის გაგრძელებისა. დიდი ვაივაგლახის შემდეგ მშობლებმა ნება დამრთეს და გავემგზავრე დონის ოლქში ალექსანდროვოში. მიუხედავად დიდი კონკურსისა, მოვეწყვე სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1915 წელს. დამთავრების შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში და დავიწყე სამსახური მასწავლებლად, სადაც ვიმუშავე მხოლოდ ორი თვე, რადგან გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ჯარში ყოფნისას ვენეოდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო მუშაობას. იმავე წელს გადაყვანილი ვიქენი ქ. ქუთაისში 115 სათადარიგო დივიზიაში, რის შემდეგ გამაგზავნეს სამხედრო სასწავლებელში. 1917 წელს მომისწრო რევოლუციამ. რევოლუციის მოძრაობაში ვიღებდი მონაწილეობას, ვენეოდი ჯარში საგანმანათლებლო მუშაობას – აგიტაცია-პროპაგანდას რევოლუციის გაღრმავების მიზნით.

შემდეგ, ისევ დემობილიზაციის შემდეგ, გადავედი პედაგოგიურ მუშაობაზე 1918 წელს ისევ თბილისში და სწავლაც დავიწყე უნივერსიტეტში. ვინაიდან მშობლებს არ შეეძლოთ ჩემი დახმარება, მე იძულებული ვიყავი მემსახურა და თან სწავლაც გამეგრძელებინა.

1922 წელს შევედი ახლად დაარსებულ დრამატიულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე რუსთაველის სახ. თეატრში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით – მსახიობად.

1922 წელს ვთანამშრომლობდი გაზ. „ტრიბუნაში“ სხვადასხვა ფსევდონიმებით. ვათავსებდი სატირულ წერილებს, ლექსებს და სხვა „ცისფერყან-წელების“ წინააღმდეგ.

1925 წელს თეატრიდან გადავედი ხელოვნების მუშაკთა კავშირში, შემდეგ გადავედი ოპერისა და ბალეტის თეატრში მთავარ ადმინისტრატორად. ვიყავი ბათუმის თეატრის დირექტორი, შემდეგ ისევ ოპერის თეატრის რეჟისორი. ჩემს მიერ დადგმული იყო ოპერა „ტრუბადური“ და ოპერა „აიდა“. 1932 წელს დანიშნული ვიყავი მხატვრულ ხელმძღვანელად ქართული ესტრადისა. 1940 წელს გადაყვანილი ვიქენი მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად, 1944 წელს ისევ გადავედი ოპერის თეატრში ლიტ. ნაწილის გამგედ.

1946 წელს სამსახურს საერთოდ დავანებე თავი და სავსებით გადავედი ლიტერატურულ მუშაობაზე.

1945 წელს პირველმა დავწერე პიესა კავკასიის დაცვის თემაზე, მაგრამ იგი სცენას ვერ ეღირსა.

1948 წელს დავწერე კომედია „უჩა უჩარდია“, რომელიც დაიდგა რუსთაველის სახ. თეატრში და საქართველოს სხვა თეატრებშიც.

1950 წელს მარჯანიშვილის თეატრმა დადგა ჩემი პიესა „სანაპიროზე“, რომელიც დაიბეჭდა ცალკე წიგნად ქართულ და რუსულ ენაზე.

დავწერე აგრეთვე პიესა „თეთრკანიანები“ და „რუსთაველები“, 1951 წელს დავწერე საოპერო ლიბრეტო 4 მოქმედებად „ნაილი“, რომელიც მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ. დაწერილი მაქვს პიესა „მელიას კუდი“, რომელიც მზადდება მარჯანიშვილის თეატრისათვის და „ქალაქები ზღვის პირად“ და სხვ.

ვ. ბ. პატარაიას ნაწარმოებთა სია:

1. „ნარნარა“, დრამა 4 მოქ.
2. „უჩა უჩარდია“, კომედია 4 მოქმ., 1948 წ.
3. „სანაპიროზე“, კომ. 4 მოქმ.
4. „თეთრი ჯურღმული“, დრ. 4 მოქმ.
5. „მელია და მისი კუდი“, სატირა 4 მოქმ.
6. „ქალიშვილი ზღვის პირას“, 3 მოქმ. პიესა.
7. „ის მეძახის“, 4 მოქმ. პიესა.
8. „ნაილი“, ლიბრეტო ოპერისათვის.
9. „ეს ცხოვრება ჩვენია“.
10. „ჭორი“, სატ. კომ. 4 მოქმ.

სკეტჩები:

1. „უბილის ექიმთან“.
2. „მთვარეული“.
3. „დავალების შესრულება“.
4. „არევადის მოღვაწეობა“.
5. „მამის გასაჭირი“.
6. „ჩემი მეთოდი“.
7. „ინგლისური ნამალი“.
8. „ტარასი აგიტატორი“.
9. „ნერვიული ავადმყოფი“.
10. „ტელეფონის ბრალია“.
11. „რუსთაველები“.

და საერთოდ მრავალი ფელეტონები და მინიატურები, რომლებიც სრულდება და სრულდებოდა ესტრადაზე.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვლადიმერ გაზაევი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გაზაევი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე მარტის დღე 25
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. კორნისი
4. ეროვნება	ოსი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	მთარგმნელობა, მოთხრობა
8. რა ენაზე წერს	ოსურ ენაზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1924 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1941 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ წერი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არცერთს

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალღესი, 1927 წელს დაავამთავრე მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ოსური, ქართული, გერმანული, ფრანგული, ლათინური
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	ვიყავი წითელ გვარდიაში ხარკოვში 17 წ. მონაწილეობას ვიღებდი კონტრევოლუციურ ბრძოლების წინააღმდეგ
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	ემსახურობდი ბაქოს არმიაში უფროს ექიმად 1946 წ., მედსამსახურის მაიორის ჩინით
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	-
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	არა
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	არა
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	-
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	არა
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	ორდენი „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსანი“, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	-
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	სტალინის ქ. 85

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1917	25	ვმუშაობდი სხვადასხვა ორგანიზაციებში სტალინირსა და თბილისში		
1925	27	სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაგზავნილი ვიყავი სასწავლებლად მოსკოვის პირველ მედინსტიტუტში		
1927	31	ვმუშაობდი სხვადასხვა სამკურნალო და სამედიცინო თანამდებობებზე სამხრეთ ოსეთში		
1931		ექიმი სტაჟიორი კურორტოლოგიის ინსტიტუტი		თბილისი
1932	40	სხვადასხვა სამკურნალო და სამედი- ცინო თანამდებობებზე		სტალინირში
1938	40	დირექტორი სამედიცინო ტექნიკუმისა		სტალინირში
1940	46	პოლკის მთავარი ექიმი საბჭოთა არმიაში		ბაქო
1946-დან		დირექტორი	მედტექნიკუმი	სტალინირი
		1952 წელი სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე გაზაევის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1895 წლის მარტის 25-ს, სოფ. კორნისში, ს-ოსეთი, გლეხის ოჯახში. 1903 წელს შევედი სოფლის დაწყებით სკოლაში. 1914 წელს დავამთავრე ქალ. გორის კლასიკური გიმნაზია, ხოლო 1927 წელს მოსკოვის პირველი მედიცინისტიტუტი. ამ დროიდან 1940 წლამდე ვმუშაობდი სამედიცინო დაწესებულებებში ექიმის თანამდებობაზე. 1940–46 წლამდე ვიმყოფებოდი საბჭოთა არმიის რიგებში ქალ. ბაქოში ლეგიონის მთავარ ექიმად. დემობილიზაციის შემდეგ, 1946 წლიდან დღემდე ვარ სტალინირის სამედიცინო სკოლის დირექტორი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვედი 1924 წელს, ვენევი მთარგმნელობით მუშაობას რუსულიდან ოსურ ენაზე. აგრეთვე ვმუშაობ პროზის დარგში, ვმუშაობ ფოლკლორის ჟანრზეც.

ჩემი ნაწარმოებები იბეჭდება ჟურნალ „ფიდიოგში“ და სტალინირის გაზეთ „კომუნისტში“. აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის სახელგამში.

ჩემი თარგმანებიდან ყველაზე შესანიშნავად მიმაჩნია გორკის ნაწარმოებთა თარგმნა, ლერმონტოვის და გოგოლის ნაწარმოებები.

კომპარტიის რიგებში შევედი 1938 წელს.

ჩემი ნაწარმოებების სია:

1. „გოლიათთა კლდეებთან“, 1924 წ. 2. „სტუმარი“ (თარგმანი). 3. „გაზაფხული“. 4. „დანკოს გული“ (გორკი). 5. „ტრიბუნი“. 6. „ჩრდილები“ (კოროლენკო). 7. „სიმღერა შევარდენზე“ (გორკი). 8. „სიმღერა ქარიშხალაზე“ (გორკი). 9. „ზიკარა“. 10. „მამის ანდერძი“. 11. „საპირველმასისო ნადიმი“ (კუპრინისა). 12. „დედა“ გორკისა. 13. „ხანი და მისი შვილი“ (გორკისა). 14. „მაკარ ჩუდრა“ (გორკისა). 15. „ტარას ბულბა“ (გოგოლისა). 16. „გვირაბი“ (გორკისა). 17. „სამხრეთ ოსეთის მთებში“. 18. „სიმღერა მეფე ივანე ვასილის-ძეზე“ (ლერმონტოვისა). 19. „თქმულება იგორის ლაშქრობის შესახებ“. 20. „შინელი“ (გოგოლისა). 21. „სიცოცხლის სიყვარული“ (ჯეკ ლონდონისა). 22. „სიმართლე მერხების შესახებ“.

აღნიშნული ნაწარმოებები იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ტიციან ტაბიძე¹

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	(რეპრესირებულ იქნა 1937 წელს) ტაბიძე ტიციან იუსტინეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	—
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1893 თვე _____ დღე —
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	ცოლიანი, მყავს ერთი შვილი
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1913 წლიდან
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„ცისფერ ყანწელთა“ კორპორაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არ ვყოფილვარ არცერთ პარტიაში

1. ტიციან ტაბიძე დაბადებულია 1895 წლის 2 აპრილს (გამომცემლის შენიშვნა).

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი, 1917 წელს დავამთავრე მოსკოვის უნივერსიტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ვიცი ქართული და რუსული ენა; ლათინურს, ბერძნულს, გერმანულს და ფრანგულს ვსწავლობდი უნივერსიტეტის კურსებზე, მაგრამ დამავიწყდა, რადგან არ ვსარგებლობდი
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს ნითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>უვადო შვებულებაში</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არავინ</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>–</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>–</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გრიბოედოვის 18</p>

„ — “ _____ 195 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ტიციან ტაბიძის ნაწარმოებთა სია:

1. „როაღდ ამუნდსენ“, პოემა, 1928 წ.
 2. „რიონი-პორტი“, პოემა, „ამუნდსენი“, „გულდაგულ“, „შარაზე“, 1929 წ.
 3. „ორი პოემა“, საშუალო სერიაში სახელგამის გამოც. 1929 წ.
 4. ლექსები და პოემები, „ფედერაციის“ გამოცემა, 1932 წ.
 5. „გულდაგულ“ (ნარკვევის წიგნი), 1932 წ.
 6. „აბელალა-მაარი“, ი. ისაკიანის (თარგმანი), პოემა, 1929 წ.
 7. „ამორძალები“, კინო პოემა, 1930 წ.
 8. „რევოლუციონერი პოეტები“, თარგმანი, 1932 წ.
 9. „რჩეული ლექსები“, სახელგამის გამოცემა, 1934 წ.
 10. „იზბრანნიე“, მოსკოვის „გოსლიტიზდატის“ გამოცემა, 1936 წ.
 11. „აბულ აღარ მაარი“, ისაკიანისა თარგმანი, 1935 წ.
- სხვა მასალები არ აღმოჩნდა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ვასო – ვასილ გორგაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გორგაძე ვასილი ვასილის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ვასო გორგაძე
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე ივლისის დღე 21
	(ძველი თუ ახალი სტილი) ზედა ილეში (ზესტაფონის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	სასულიერო წოდება
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	ლირიკა, თარგმანი
8. რა ენაზე წერს	ქართული, რუსული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1929 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1935 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არცერთში
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სახელმწიფო არ ჩამიბარებია
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	მსახურობდა პირველ იმპერი-ალისტურ ომში
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	1921 წლიდან 1922 წლამდე ქუთაისის სამხედრო კომისარიატის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგის მოადგილეთ
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>ვყოფილვარ სხვადასხვა საზოგა-დოებრივი ორგანიზაციის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ამჟამად არსად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბროსეს ქ. 3, ტელ. 3-72-51</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში				
(შრომითი საქმიანობა)				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1916	წლიდან	როტის კამანდ.	პირველი ფეხოსა- ნი პოლკი ახალ პეტერგოფში	
1917		კურსების მსმენელი	ოფიცერთა სასწავლ.	
1918	წლიდან	სტუდენტი	თბილისის სახ. უნივერსიტეტისა	თბილისი
1921		პროზაგანდისა და აგიტაც. განყ. გამგის მოადგილე	ქუთაისის გუბერ- ნიის სამხედრო კომისარიატისა	თბილისი
1922	23	პედაგოგი	ქუთაისის ქალთა საშ. სკოლა	
1923	24	მხატვრულ. ლიტე- რატ. განყ. გამგე	გაზეთ „მუშა და გლეხი“	ქუთაისი
1924	26	რედაქტორის მოადგ.	უ. „მნათობი“	თბილისი
1926		ლიტმუშაკი	გაზ. „მუშა“	„-“
1926	36	ტეხ. რედაქტორი	სახელმწიფო გა- მომცემლობისა	„-“
1936	41	მასიური მუშ. განყ. გამგე	საქართველოს საბჭ. მწერლების კავშირში	
1942	43	დირექტორი	საქ-ლიტფონდისა	
1945		ლიტ. სექციის თავმჯდომარე	თბილისის სალექ- ციო ბიუროსი	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს	გამგე: ნ. თოფჩიშვილი.	

ვასო გორგაძის შრომების სია:

1. ლექსების წიგნი „ექსპრესი“, 1929 წ.
 2. საბავშვო ლექსები „ჩვენი სასარგებლო ფრინველები“, 1931 წ.
 3. ლექსების წიგნი „მინა და ფოლადი“, 1934 წ.
 4. ლექსები სამამულო ომზე „ჩვენი დროშა“, 1942 წ.
 5. „რჩეული ლექსები“, 1948 წ.
- თარგმანები:
1. ალ. ბლოკი „თორმეტი“, 1923 წ.
 2. ლიდინი „მოთხრობა მრავალ დღეზე“, 1926 წ.
 3. ი. ლიბედინსკი „შვიდი დღე“, 1927 წ.
 4. ალ. პუშკინი „სადგურის ზედამხედველი“, 1940 წ.
 5. „ჯანგარი“ (ყალმუხი ეპოსი), ერთი თავი, 1940 წ.
 6. სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კრებული, 1946 წ.
 7. ჯამბულის ლექსები (სხვადასხვა პოეტებთან ერთად), 1946 წ.
 8. ნ. ნეკრასოვი, „რუსი ქალები“ (პოემა და სხვ.), 1946 წ.
 9. „ნართები“ (ოსური ეპოსი, თარგმ. ლეონიძესთან და ს. ფაშალიშვილთან ერთად), 1947 წ.
 10. „სამშობლო“ (ს.-ოსეთის მწერლების კრებული), 1947 წ.
 11. ჰაფეზი, ლექსები და პოემები, 1949 წ.
 12. მ. შავლოხოვი, ლექსები და პოემები, 1949 წ.
 13. რ. ასაევი „გულის სიმღერა“, ლექსები და პოემები, 1950 წ.
 14. ალ. პუშკინი, „მებადურისა და თევზის ზღაპარი“, 1949 წ.
 15. ა. პუშკინი „სლავური ლექსები“ და რამდენიმე სხვა ლირიკული ლექსები.
 16. ვ. მაიაკოვსკი, „ახალი თარგმანები“, დაახლოებით ერთი ფორმა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

Pro domo sua

დავიბადე 1895 წ. 21 ივლისს სოფელ ზედა ილემში (ზემო იმერეთი). კითხვა ადრე ვისწავლე (5 წლის). მახსოვს წითელი წიგნი – „დედა ენა“ გოგებაშვილის. ეს იყო ჩემი ბავშობის პირველი სიხარული. შემდეგ სოფლის სკოლა. სასულიერო სასწავლებელი. ტფილისის სასულიერო სემინარია. სასწავლებელი და სემინარია დავასრულე პირველი ხარისხით. 1915 წ. წავედი კიევის უნივერსიტეტში. გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. დავამთავრე პეტერგოფის სამხედრო სასწავლებელი. იმპერიალისტური ომი, ოფიცრობა. ავსტრიის ფრონტი. სტოხოდის ტრადედია. 1917 წელი. პირველი ალტაცება რევოლიუციით. არჩევნები ფრონტზე. ხმა მივეცი №4 (ბოლშევიკებს). 1918 წლის დასაწყისი. დაბრუნება საქართველოში. ისევ სამხედრო სამსახური. ტფილისის უნივერსიტეტი.

1921 წ. ქუთაისში მე და სანდრო ცირეკიძემ ქუთაისელ მწერლებთან ერ-

თად სამაზრო აღმასკომის აქტიური დახმარებით დავაარსეთ მწერალთა სახელი და გამომცემლობა. გამოვეცით „უქიმერიონი“-ს ორი ნომერი. დავასრულეთ დიდტანიანი „კრებული“ (სალიტერატურო-სამხატვრო) ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით. აკადემიური მუშაობა მწერალთა სახლში. 1921-2-3 წ.წ. ვიყავი მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეთ (ქუთაისში). შემდეგ ავადმყოფობა. აბასთუმანი. 1924 წლიდან – ტფილისი. ჟურნალი „მნათობი“. 1926 წლიდან ვმუშაობ სახელგამში.

პირველი ლექსი დავბეჭდე „ჯეჯილ“-ში. სულ გამოქვეყნებული მაქვს 300 ლირიკული ლექსი, ბიბლიოგრაფიები, კრიტიკული წერილები.

პოეზიაში ჩემი საყვარელებია: რუსეთის პოეტებიდან: პუშკინი და ტიუტჩევი, საქართველოს – ვაჟა და ბარათაშვილი. მიყვარს პეიზაჟი, ბუნება, ლექსი. ამ ჟამად იბეჭდება ჩემი ლექსების პირველი წიგნი: „ორბის სიახლე“.

12/IX-29
ვასო გორგაძე

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1895 წ. 21 ივლისს (ძვ. სტილით) ს. ზედაილემში (ზემო იმერეთი, სოფ. შორაპნის მაზრა). მამაჩემი – ვასილ ბესარიონის ძე გორგაძე მღვდელი იყო. პირველად მამა მასწავლებლობდა. სკოლა გახსნილი ჰქონდა თითონ ჩვენს სახლში. 5 წლის რომ ვიყავი, მამა უკვე ს. ლაშეში მსახურებდა და იქვე ცხოვრობდა ოჯახით. ვყავდით ხუთი ვაჟი (შემდეგ მოგვემატა კიდევ ძმა და და) და ცხადია, სიღარიბეს განვიცდიდით.

ს. ლაშეში გადასვლისას, მე დაუტოვებივარ მამას ჩემს სამშობლო სოფელში – ზედაილემში თავის დედასთან – ბებია ნინოსთან, ამ უკანასკნელის თხოვნით. ბებია ნინომ მრავალი ხალხური ლექსი და ზღაპარი იცოდა ზეპირად. „არსენას ლექსი“ თითქმის ბავშვობაშივე ვისწავლე ზეპირად.

ანბანი სახლშივე ვისწავლე მამაჩემის უმცროსი დის – თაბას ხელმძღვანელობით. მანვე შემაყვარა ქართული წიგნების კითხვა. თითონ მამიდა ჩემი კარგად იცნობდა ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურას. უყვარდა ძალიან წიგნების კითხვა. კარგად იცოდა „ვეფხის ტყაოსანი“.

თითონ მამაჩემიც ლიტერატურის მოყვარული იყო. მას კარგად ეხერხებოდა ხატვაც. მან დახატა ვეებერთელა ტილო ბიბლიურ თემაზე „ნათლის ღება“. ეს სურათი ქუთაისში გაუგზავნა თავის მეგობარს საჩუქრად. მანვე გადაიღო ტილოზე შოთა რუსთაველის პორტრეტი (სოფელში გვაქვს), თავის მამის (ბესარიონის) პორტრეტი და სხვა. ახალგაზრდობაში მას უთარგმნია რამდენიმე მოთხრობა რუსულიდან და პოლონურიდან. ხოლო არ გამოუქვეყნებია. სახლში გვქონდა რუსული და ქართული წიგნებისაგან შემდგარი საკმაროდ კარგი ბიბლიოთეკა. ქართველი თანამედროვე პოეტებიდან მამას მოსწონდა ძალიან აკაკი წერეთელი. გამონერვილი ჰქონდა აკაკის „კრებული“. ხშირად, მთვარიან ღამეებში, გამოიტანდა გიტარას ეზოში და მღეროდა აკაკის ლექსებს. დიდის პატივით იხსენიებდა ილიას, როგორც დიდ მოაზროვნეს და „ღრმა პოეტს“ (მამაჩემის ტერმინით რომ ვთქვათ).

პირველად მამამ სოფლის სამრევლო სკოლაში მიმბარა. აქ გამეფებულ იყო ჟანდარმული რეჟიმი და სახაზავის ხელზე დარტყმა, ცემა-ტყეპა.

ამ სკოლაში არავითარი ცოდნა არ შემიძენია.

8 წლის რომ გავხდი, მამამ წამიყვანა ქუთაისში სასულიერო სასწავლებელში მისაღებად. გამოცდები დავიჭირე. მიმიღეს. აქ მამამ მე და ჩემი უფროსი ძმა – გრიგოლი მიგვაბარა თავისი ძველი მეგობრის, ჩვენი სახალხო პოეტის, გალაქტიონ ტაბიძის მამის, ოჯახში. გალაქტიონიც ამ დროს სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში სწავლობდა, ხოლო მამა ამ დროს მას ცოცხალი აღარ ჰყავდა.

სასწავლებელი 1909 წელს დავამთავრე პირველი ხარისხით (მეორე მონაფეთ) და იმავე წელს გადმოვედი ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში. ჩემს დროს სემინარიაში სწავლობდნენ: ახალგაზრდა პოეტები: დემონი – ქუჩუ ქავთარაძე, კიკნა-ფშაველი (სიმონ ბადურაშვილი) ორივე ადრე დაიღუპნენ, გალაქტიონ ტაბიძე, ჩემის სკოლის ამხანაგი – ილო მონაშვილი და, ცოტა დაგვიანებით, გიორგი ლეონიძე.

სემინარიის რეჟიმი მეტად სუსხიანი იყო. ბევრმა გაუძლო, ბევრმა ვერ გაუძლო. იმ შავი რეაქციის დროს ერთად ერთ ჩვენს იმედს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის მასწავლებელი – ჩვენი დიდი ბელეტრისტი ვასილ ბარნოვი და გალობის მასწავლებელი – ნიჭიერი კომპოზიტორი ია კარგარეთელი. ამ ორი მასწავლებლის ბრძნული დარიგება გვაფრთოვანებდა ჩვენი შემდგომი ბრძოლისა და შემოქმედებისათვის.

სემინარია დავამთავრე 1915 წელს. ამავე წელს ნავედი კიევის უნივერსიტეტში, მაგრამ მსოფლიო ომის დროს სტუდენტები გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, და მეც მეფის ჯარში მოვხდი. სრულიად უშინაარსოდ დამეკარგა ხუთი წელი.

წერა ადრე დავიწყე. პირველი ლექსი „აღსდგა“ დავბეჭდე მონაფეობისას ჟურნალ „ჯეჯილში“, 1910 წელს. მაგრამ მწერლობა ჩემს პროფესიად არ მიმაჩნდა. ჩემი მუშაობა, როგორც პოეტის, ნაყოფიერი გახდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.

ლიტერატურულ დაჯგუფებებში არ ვყოფილვარ.

ერთად ერთი ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, იყო „არიფიონი“. არიფიონმა მხოლოდ ორ წელიწადს იარსება.

პირველი წიგნი „ექსპრესი“, რომელშიაც შევიდა საბჭოთა პერიოდის ლექსები (1921–23 წ.წ.) გამოვიდა 1929 წ. გამოსცა სახელგამმა.

მეორე წიგნი – „მინა და ფოლადი“ (1930–34 წ.წ. დაწერილი ლექსები) გამოვიდა 1934 წ. ესეც სახელგამმა გამოსცა.

მესამე წიგნი „ჩემი სამშობლო“, რომელშიაც შევა უკანასკნელ წელში გამოქვეყნებული ლექსები და დაუბეჭდავი პოემები „ვალენტინ კოტელნიკოვი“ და „აჭარა“, გამოვა მიმდინარე წელს. მას გამოსცემს „ფედერაცია“.

აგრეთვე მაქვს ნათარგმნი და ცალკე წიგნებადაც არის გამოცემული რუსეთის პოეტებიდან: პუშკინის პროზა – „სადგურის ზედამხედველი“, ბლოკის – „თორმეტი“, ნეკრასოვის, ტიუტჩევის, კოლცოვის და სხვა ლექსები.

ვასო გორგაძე

ხარიტონ ვარდოშვილი – ნიკოლაიშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ნიკოლაიშვილი ხარიტონ ივანეს ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ხარიტონ ვარდოშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე სექტემბერი დღე 24
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ცხემლისხიდი (ოზურგეთის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, ლირიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1914 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	აკადემიურ მწერალთა კორპორაცია
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი, დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედროვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ათარბეგოვის 56, 3-71-63</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, სანარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, სანარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, სანარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1912	15	გამყიდველი	წიგნის მაღაზიაში	გორში
1915	16	კორექტორი	რედაქც. გაზ. „თანამედროვე აზრი“	თბილისში
1916	17	ქრონიკორი	გაზ. „სამშობლო“	ქუთაისი
1919	–	კორექტორი	გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“	თბილისი
1922		„–“	გაზ. „მუშა“ და „ნიანგი“	
1924		სტილისტი	სახელგამის გამომც.	
1939		პროზის განყ. გამგე	ჟურნ. „მნათობში“	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ხარიტონ ივანეს-ძე ვარდოშვილის – ნიკოლაიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1895 წელს, 24 სექტემბერს ძვ. სტ. სოფელ ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი, ყოფ. ოზურგეთის მაზრა, დასავლეთ საქართველო), ლარიზი აზნაურის ოჯახში. სოფლის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1912 წლიდან მუშაობა დავიწყე წიგნის მალაზიაში და თანმიმდევრულად ვმეცადინეობდი სასწავლებელში შესასვლელად. ერთი წლის შემდეგ შევედი მეხუთე კლასში, მაგრამ მატერიალური სიღინწოვის გამო სწავლას თავი მივანებე.

ლიტერატურა მაინტერესებდა ბავშვობიდან, ვწერდი ლექსებს 12 წლის ასაკში მყოფი ბავშვი. პირველი ჩემი ლექსი დაიბეჭდა 1914 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრში“, თბილისში.

1916 წლიდან, ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინაიდან ვიმალებოდი ჟანდარმთა მეთვალყურებიდან, იძულებული ვიყავი წავსულიყავი ჭიათურაში, იქიდან კი წავედი ქუთაისში, სადაც მომისწრო თებერვლის რევოლუციამ. ქუთაისში ცხოვრების დროს ვმუშაობდი გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ და ვიბეჭდებოდი ადგილობრივ გაზეთსა და ჟურნალებში.

1918 წელს დავბრუნდი თბილისში და შევედი სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად, სადაც დავყავი ორი წელიწადი ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას მუშაობა დავიწყე სახელმწიფო გამომცემლობაში კორექტორის თანამდებობაზე, აგრეთვე ვბეჭდავდი ლექსებს ჟურნალსა და გაზეთებში: „ხომალდი“, „კავკასიონი“, „ლომისი“, „ილიონი“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“ და სხვა.

1924 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული, ამ ხნიდან მოყოლებული სისტემატურად ვიბეჭდები სხვადასხვა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და დღემდე გამოსულია ჩემი ნაწარმოებები ცალკე წიგნებად:

1. ლექსები, 1924 წ.
2. ლექსები, 1942 წ.
3. ჰაინეს რჩეული ლექსები, 1938 წ.
4. შილერი, ბალადები და ლექსები, 1940 წ.
5. გოეთე, რჩეული ლექსები, 1946 წ.
6. ლექსების კრებული რუსულ ენაზე, 1945 წ.
7. ლექსების კრებული, 1947 წ.

ჩემი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“.

აგრეთვე ვენევი მთარგმნელობით მუშაობას: ჩემს მიერ თარგმნილია, პუშკინის, მიცკევიჩის, ტიხონოვის, პოლონსკის და ორი პოეტების ლექსები.

აგრეთვე დაბეჭდილია პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, ნეკრასოვის, შევჩენკოს, ფრანკოს, ნავოის და სხვათა ლექსები.

ვთარგმნე ფრანგულიდან რაჟდენ გვეტაძესთან ერთად „სიმღერა როლანზე“.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

სერგო კლდიაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	კლდიაშვილი სერგო დავითის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1895 თვე ოქტომბერი დღე 18
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. სიმონეთი (ჩხარის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური მწერლის ოჯახიდან
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, დრამატურგია
8. რა ენაზე წერს	ქართული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1911
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	„ცისფერ ყანწელთა“ კორპარაცია
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი, იურიდიული ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	ვმსახურობდი მობილიზაციით 1920 წელს 8 თვის განმავლობაში
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ორდენები: „შრომის წითელი დროშისა“, „საპატიო ნიშნისა“, მედალი: „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>არსად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ლენინის 63, 3-6-32</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1918	19	თანამშრომელი	ქუთაისის სახ. თეატრისა	თბილისი
1919	21	პედაგოგი	კომერციულ სას- წავლებელში	
1921	22	განყ. გამგე	განსახკომისა	
1922	27	რედაქციის მდი- ვანი	გაზ. „მუშა“-სი	
1929	31	რედაქციის განყ. გამგე	გაზ. „კოლექტი- ვიზაცია“	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

სერგო დავითის ძე კლდიაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1895 წ. სოფელ სიმონეთში ჩხარის რაიონში, მწერალ დავით კლდიაშვილის ოჯახში.

ვსწავლობდი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რისი დამთავრების შემდეგ გავემგზავრე მოსკოვს და შევედი იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1917 წელს.

პირველი ჩემი ნაწარმოები (პროზა) დაიბეჭდა 1911 წელს გაზ. „სინათლეში“. ამის შემდეგ ხშირად ვიბეჭდებოდი გაზეთებსა და ჟურნალებში: „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „სამშობლო“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „დროშა“, „ქართული სიტყვა“, ჟურნ. „მნათობი“, „კომუნისტი“ (ქართულ ენაზე) და სხვ.

რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში დაიდგა ჩემი შემდეგი პიესები: „შემოდგომის აზნაურები“, „გმირთა თაობა“, „გრაფის ქვრივი“, „უკანასკნელი რაინდი“, „დღესასწაული საკრეულაში“, „გლოვის დღე“, „შემოდგომის წვიმა“, „ირმის ხევი“.

ცალკე წიგნებად გამოსულია ჩვენი 8 წიგნი და ორი პიესა.

ჩემს მიერ დაბეჭდილია კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

რუსულ ენაზე გამოცემულია გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ ჩემი ნაწარმოებების ხუთი წიგნი.

1939 წელს ჩემი ლიტერატურული მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვიქენი „საპატიო ნიშნის ორდენით“.

სამამულო ომის პერიოდში გამოვიდა ჩემი პროზაული ნაწარმოები საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლებზე ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ წლებში დავწერე პიესა „ირმის ხევი“, სადაც ასახულია კავკასიის ხალხთა ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ, რომელიც დაიდგა აგრეთვე რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში.

ამჟამად ვმუშაობ დიდ შრომაზე, სადაც ასახული იქნება სოფლის ცხოვრება სამამულო ომის პერიოდში და სხვ.

ს. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „სვანური მოთხრობები“, 1922 წ.
2. „ლაზუნდარელის თავგადასავალი“, 1929 წ.
3. „პროვინციის მთვარე“, 1929.
4. „ფერფლი“, 1931 წ.
5. პიესების კრებული, 1948 წელს.
6. ნოველების წიგნი, 1948 წ.
7. „რთველი“, 1950 წ.

აგრეთვე დავწერე მოგონება დავით კლდიაშვილზე და მრავალი ნოველა და გაკეთებული მაქვს თარგმანები.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ავტობიოგრაფია

დავიბადე იმერეთში. რამოდენიმე დღით ადრე ოჯახში სტუმრად ყოფილა ეპისკოპოსი გაბრიელი. დედა დაულოცნია. მორწმუნე არა ვარ, მაგრამ ის კი მნამს, რომ გაბრიელის დალოცვას უქმად არ ჩაუვლია.

საყმანვილო რომ ამშორებოდა, ბებიამ ახალ დაბადებულს პირში ჩამასხა წითელ ფხვნილში გალესილი წამალი, რომელმაც დროებით მომკლა. საღამოს გამოირკვა, რომ ცოცხალი ვარ. საყმანვილო ამშორდა, მაგრამ მას შემდეგ ენა მებმის.

ბაბუა ახირებული კაცი მყავდა. როცა მოხუცდა, წინასწარ კუბო მოიმზადა და სარდაფში დადგა. პირველად კუბოსი მეშინოდა, შემდეგ კი, როცა შიგ ქათმებს საბუდრები გაუკეთეს, შევეჩვიე.

ბავშობა ბათუმში გავატარე. მამა ჩემი აფიცერი იყო. მეც აფიცრობა მინდოდა. მშობლებს ვთხოვდი, კადეტების კორპუსში გავეგზავნე. მაშინ კიდევ არ ვიცოდი, როგორ ეზარებოდა მამას მეფის მხედრობა.

ჩვენ სახლში უმეტესად არა სამხედრო პირებს ვხედავდი. დადიოდე ყველა ისინი, ვინც ახალი ცხოვრების სათავეში იყვნენ.

ბათუმიდან გამომყვა მოგონება ზღვის, თავზეხელაღებულ მეზღვაურების და დიდი გემების, რომელნიც ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ.

13 წლის ვიყავი, როცა სამმა ამხანაგმა შორეულ ქვეყნებში წასვლა დავაპირეთ. გემით გაპარვა გვინდოდა. ვერ მოვახერხეთ. მაშინ ნავით წასვლა ვარჩიეთ. დაღამებამდე ვიარეთ. შემდეგ ლელვა ატყდა და დავბრუნდით.

მიყვარდა ერთხელ, როცა ცხრა წლის ვიყავი. დილით ერთად მივდიოდით გიმნაზიებისკენ, ღამით კი ღმერთს ვთხოვდი, სიზმარში ენახვებინა. ღმერთმა სურვილი ერთხელაც არ შემისრულა. შეიძლება, ამიტომაც იყო, რომ ბავშობიდან ღმერთი არ მნამდა და ზიარებაზე განზრახ მაძლარი მივდიოდი.

პირველად წავიკითხე მამას მოთხრობები, როცა მეოთხე კლასის გიმნაზიელი ვიყავი. არ მომეწონა. უფრო მიყვარდა ყაზბეგი, ილია და აკაკი. ეხლა დავითის მოთხრობები, მაპატიეთ მამის ქება, ბევრისას მირჩევნია.

მამას დიდ პატივს ვცემ, თუმცა ძალიან მიშლის, რომ მისი შვილი ვარ. მერჩია, მამა სოფლის მჭედელი მყოლოდა. ეხლა კი იმას უნდა ვეცადო, რომ გვარი ორმაგად დავამკვიდრო.

სახით და ტანით დავითს ვგევარ. ერთში ძალიან განვმსხვავდებით – დავითს ქვეყანა მიღებული აქვს, როგორც დიდი სიხარული და მუდამ აღფრთოვანებულია, მე კი მხოლოდ მისი ესენცია მათრობს და ცოტა სკეპტიკი ვარ.

მაქვს მხოლოდ ერთი სურვილი – ჩემმა შვილმა აღარ სწეროს. ვისაც შეუძლია, დასთმოს და არ სწეროს, ვურჩევდი, ეს შხამი დროით მოიშოროს.

1913 წლიდან 1918 წლამდე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. იურისტობა არაფერში გამომიყენებია. არც ვაპირებ. მოსკოვი კი ყოველმხრივ გამოვიყენე. იმ ხანებში ლიტერატურა მძაგდა, სამაგიეროდ შევიშვრე ყველაფერი მის გარდა. ჩემი მოსკოვი იყო: მოსკოვი თეატრების და მოსკოვი ღამის, თითქმის გათენებამდის.

ვერხარნის ნახვამ საფრანგეთის პოეზიის კარები გამიღო, გაგებით კი უფრო მაშინ გავიგე, როცა ცისფერ ყანწლებს დაუახლოვდი.

რევოლიუციას მოსკოვში თოფით ვიცავდი. პუშკინის ძეგლის წინ მიტინგებზე სიტყვებს ვამბობდი. ერთხელ ქალებმა და მედუქნეებმა გადმომათრიეს და მკლავდენ. გადამარჩინეს ფრონტიდან ჩამოსულმა ჯარისკაცებმა.

ომში ვიყავი ორჯერ. ორივეს უვნებლად გადაურჩი. მესამედ წასვლა აღარ მინდა.

ყოველ დილით გახარებული ვდგები. მიხარია, რომ ვცოცხლობ. ერთხანს მწამდა, რომ მეცნიერები მალე მოიგონებდნენ უკვდავების ელექსირს. ამიტომ სიკვდილზე არასოდეს მიფიქრია. მცხვენია გავამხილო, თორემ ვიტყოდი, რომ ეხლაც მწამს და ველი.

სიცოცხლე ძალიან მიყვარს და ვერავითარი უბედურება ვერ გამტეხს, ოღონდ ვხედავდე ჩემი ქვეყნის ცას და ჩემი ბავშვის ცოცხალ თვალებს.

მაქვს კარგი სმენა და ზეპირად ვიცი ყველა მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც კი მომისმენია. მოსმენილი კი ბევრი მაქვს. თბილისის ოპერაში ხშირად დავდიოდი 1919 წელს, როცა ცივი ოთახი მქონდა. ეხლა კი მხოლოდ აფიშებს ვკითხულობ.

პირველი მოთხრობა დავწერე რუსულად, როცა 8 წლის ვიყავი. შინაარსი კარგად მახსოვს. ჯარისკაცის ტრაგიული თავგადასავალი იყო. მაშინ გონორარზე არ ვფიქრობდი, მაგრამ მაინც მინდოდა, გრძელი ყოფილიყო.

ბეჭდვა დავიწყე 1911 წლიდან. დიდხანს ვწერდი მინიატიურებს. მახალისებდა გიგო დიასამიძის მოპყრობა. როცა მის გაზეთში დაბეჭდილი ჩემი მინიატიურა რუსულად ითარგმნებოდა, ამის შესახებ ყოველთვის ქრონიკას ათავსებდა. გაცნობისას მომიალერსა, მაგრამ შევატყვე, ეწყინა, რომ ძალიან ახალგაზრდა მნახა. მაშინ მეც ვინაღვლე, რომ მოწინააღმდეგე არ ვიყავი. ეხლა კი იმას ვნაღვლობ, რომ ისეთი ახალგაზრდა აღარ ვარ.

მინიატიურის გავლენისგან სავსებით დღესაც ვერ განვთავისუფლდი. ძალიან კი ვებრძვი. ამის მიზეზია სანდრო ცირეკიძესთან მეგობრობა.

ყველაზე უფრო მინდა, დავწერო ისეთი საბავშვო მოთხრობა, რომელიც მათთვის საყვარელი იქნება. ეს იქნება ერთად-ერთი წიგნი, რომლის დაბეჭდვას არასოდეს აუჩქარდები. დავიწყე კიდევ. შინაარსი ნაცარქექიას და ჭინჭრაქას ამბავია.

ლიტერატურულ გამართლებათ მიმაჩნია „ცისფერ ყანებში“ ყოფნა. მათი გავლენა ჩემზე დიდია, უფრო – ლიტერატურულ გემოვნების განვითარებაში. ცხოვრებაშიც ყველაზე მეტად ისინი მიყვარს.

პატივს ვცემ ყველა ქართველ მწერალს. რამოდენიმეთი აღტაცებული ვარ. ზოგს კი ბოლომდე ვერ ვკითხულობ.

უფრო მეტს ვკითხულობ, ვიდრე ვწერ. ნაკითხული მაქვს თითქმის ყველა მწერალი. რამოდენიმე შევისწავლე და მინდა, მეტი მოვასწრო.

არა ქართველ მწერლებში ყველაზე მეტად მიყვარს პუშკინი პოეზიაში, ტოლსტოი პროზაში და გიოტი ცხოვრებაში. მაკვირვებს და მახარებს ადამიანის ასეთი სისავსე.

ვნატრობ, ვიცხოვრო ლიტერატურული შრომით.

ყოველდღიურად ვმუშაობ გაზეთ „მუშა“-ს რედაქციაში და ხშირად წერის სურვილს კორესპონდენციების სწორებით ვიკმაყოფილებ.

თუ განზრახულ მოგზაურობიდან უვნებლად დავბრუნდი, შევისრულე, რაც მინდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ბევრის დანერას ვაპირებ, რა თქმა უნდა, კარგისას. 17 წლის შემდეგ ნახევარი საუკუნე შემისრულდება. მაშინაც ახალგაზრდა ვიქნები. ჩემი გვარი ჯიუტი და გაუტყეხელია.

*სერგო კლდიაშვილი
[1929 წელი]*

სერგო კლდიაშვილი

დავიბადე 1893 წლის ოქტომბრის 18, ზემო იმერეთის სოფელ ზედასიმონეთში. 1909 წლამდე ვსწავლობდი ბათუმის სახელმწიფო გიმნაზიაში, შემდეგ კი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც 1913 წ. დავასრულე. უმაღლესი განათლება – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი – დავამთავრე 1917 წელს.

ჩემი პირველი მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნდა 1911 წელს გაზეთ „სინათლეში“. ამ დროიდან ჩემი ნაწერები იბეჭდებოდა და იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მოთხრობების პირველი კრებული გამოვეცი 1927 წელს (გამომცემლობა „შრომა“, თბილისი).

ჩემი მოთხრობები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, ესტონურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ჩეხო-სლოვაკურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე.

დანერილი მაქვს რამდენიმე პიესა, რომლებიც დაიდგა ქ. თბილისის რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში.

სერგო კლდიაშვილი

ილო – ილია მოსაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1954 წლის 2 აგვისტოს მოსაშვილი ილია ონისიმეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ილო მოსაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1896 თვე იანვარი დღე 7
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩარგალში (დუშეთის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, დრამატურგია, პროზა
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1915 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წელი
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	1917-18 წლებში ვიყავი რადიკალ-დემოკრატი

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	ხარკოვის საიმპერატორო იურიდიული ფაკულტეტი, 1914–1917 წ.წ.
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	არა
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>მობხნილია – გარდაიცვალა</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ლენინის ორდენი, „წითელი დროშის“ ორდ., სტალინური პრემიის ლაურეატი, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>–</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ლენინის 20</p>

„ — “ _____ 195 წ. ნ. კლ., 1956 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ილია ონისიმეს-ძე მოსაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1896 წელს, 7 იანვარს სოფ. ჩარგალში (დუშეთის რაიონი).

პირველ დაწყებითი სწავლა მივიღე თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ შევედი თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1914 წელს შევედი პეტერბურგის ფსიქო-ნერვოლოგიური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1915 წელს გადავედი ხარკოვის უნივერსიტეტში ამავე იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც განვაგრძე სწავლა 1917 წლის შემოდგომამდე.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ვმუშაობდი სხვადასხვა დაწესებულებებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მუშაობა დავიწყე სიღნაღის მაზრაში, ვმუშაობდი მუშათა და გლეხთა ინსპექციის საზოგადოებრივ ბრალმდებლის თავმჯდომარედ და პროკურორად სიღნაღის მაზრაში, აგრეთვე ვიყავი განათლების განყოფილების უფროსის მოადგილეთ, პოლიტგანათლების უფროსი და სხვა.

1926 წელს რედაქცია „ახალი სოფელის“ და გაზ. „კომუნისტი“-ს (საქ. კ. პ/ბ ცეკას ორგანო) და ჟურნალ „მოლტის“ პასუხისმგებელი მდივანი.

სალიტერატურო ასპარეზზე გამოვედი დაახლოებით 1915 წელს, რის შემდეგ ვიბეჭდებოდი სხვადასხვა პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და სხვა გამოცემებში. უმთავრესად ვმუშაობდი პოეზიის დარგში. დაწერილი მაქვს პოემებისა და ლექსების რამდენიმე კრებული, დაწერილი მაქვს ოთხი პიესა, მხატვრული ნარკვევების კრებული და რამდენიმე კინო-სცენარი.

ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩემს ბიოგრაფიაში მე მიმაჩნია ჩემი დეპუტატად არჩევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში, სამივე შეკრებისა.

ჩემი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი დამსახურებისათვის 1939 წელს დაჯილდოვებული ვიქენი „ნითელი დროის“ ორდენით და 1950 წელს დამაჯილდოვეს „ლენინის ორდენით“. აგრეთვე ამავე 1950 წელს ჩემი პიესა „ჩაძირული ქვების“-ათვის მომენიჭა სტალინური პრემია. აგრეთვე მიღებული მაქვს მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

ი. მოსაშვილის ნაწარმოებთა სია: 1. ლექსების კრებული, გამოც. 1936 წელს. 2. მოთხრობა „თოლია“, 1938 წელს. 3. პოემა „როზგა ჩაფარი“, 1938 წელს. 4. ლექსების კრებული, 1938 წელს. 5. პოემა „ბაზალეთი“, 1931 წელს. 6. პოემა „ბაზალეთი“, 1941 წელს. 7. საბავშვო პოემა „ორი მონადირე“, 1941 წ. 8. საბავშვო პოემები, 1942 წ. 9. ნარკვევების კრებული „ჩვენ ვნახეთ ისინი“ (თანაავტორი კ. ლორთქიფანიძე). 10. რჩეული ლექსები, 1930–1946 წწ. 11. „ორი ნაპირი“ (პიესა). 12. „სადგურის უფროსი“, „–“, 1947 წ. 13. „ჩაძირული ქვები“, „–“, 1949 წ. 14. „არშაულა“, კინოსცენარი, 1933 წ. 15. „მდინარის იქით“, 1935 წ. 16. „ორი მეგობარი“, „–“, 1936 წ. 17. „ქალიშვილი გალმიდან“, „–“, 1937 წ. 18. „სადარაჯოზე“, „–“, 1941 წ. 19. „ის კვლავ დაბრუნდება“, „–“, 1942 წ. 20. „სალამურის საიდუმლო“ (თანაავტორი გაჩეჩილაძე დ.). 21. „აბესალომ და ეთერი“ (თანაავტორი ლ. ესაკია) და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

გრიგოლ ცეცხლაძე

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ცეცხლაძე გრიგოლ მოსეს ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1894 თვე აპრილის დღე 6
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ჩანჩეთი (ლანჩხუთის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	მოსამსახურე, სოფლ. მასწავლებელი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, თარგმანი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1917 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1935 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არასამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ამჟამად ვმუშაობ მწერალთა შემოქმედებითი სახლის დირექტორად ქვიშხეთში</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ენგელსის 64</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გომდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1915	17	ბიბლიოთეკის ინსპექტორი	წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა	ქუთაისში
1918	20	რეპარტიორი	გაზეთ „მეგობ- რის“ რედაქცია	„-“
1920	21	„-“	გაზ. „სახალხო გაზეთი“	თბილისი
1921	23	ლიტმუშაკი	გაზ. „წითელარ- მიელი“	„-“
1924	27	მდივანი	ჟურნ. „ხელოვნე- ბას“ რედაქცია	„-“
1927	29	გამგ. მდივანი	გამომც. „ქართუ- ლი წიგნი“	„-“
1930	38	ვენეოდი ლიტე- რატურულ მუ- შაობას		„-“
1939	41	ლიტ. მუშაკი	საქ. რადიოკომი- ტეტი	„-“
1942	47	„-“	რედ. ჟურნ. „ნიანგი“	„-“
1948	49	დირექტორის მოადგილე	საქლიტფონდი	„-“
	ამჟამად	არის ქვიშხეთის შემოქმედებითი სახლის დირექტორი		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

გრიგოლ მოსეს-ძე ცეცხლადის ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1894 წელს, 7 აპრილს, სოფ. ჩანჩეთში (ლანჩხუთის რაიონი), საქართველოს სსრ-ში, სოფლის მასწავლებლის ოჯახში.

უმალლესი განათლება მივიღე თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ლექსების ბეჭდვა დავიწყე 1917 წლიდან.

1924 წელს გამოვიდა ჩემი პირველი ლექსების წიგნი „პოეტის ხმა“, მას მოჰყვა მეორე წიგნი ლექსებისა და პოემების.

ჩემს მიერ გაკეთებულია მრავალი თარგმანები ქართულ ენაზე – ა. პუშკინისა, მ. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის, ვ. მაიაკოვსკის და სხვა მრავალი კლასიკოს მწერლებისა და საბჭოთა მწერლებისა. თარგმნილი მაქვს აგრეთვე ევროპიელი კლასიკოსები და თანამედროვე პოეტები და მოძმე რესპუბლიკების პოეტები.

ჩემი ნაწარმოებები და თარგმანები:

1. ლექსების კრებული „ოთხი მაუზერი“.
2. „ფერად-ფერადი ლექსები“.
3. „საკუთარი ხმა“.
4. „ახალი ლექსები“.
5. „რჩეული ლექსები“.

თარგმანები:

6. „ევგენი ონეგინი“.
7. მაიაკოვსკის ლექსები და პოემები.
8. ნეკრასოვის ლექსები და პოემები და სხვა.
9. „ლექსების“ კრებული, ცალკეული ლექსები ორიგინალური და თარგმანი.
10. ნეკრასოვის „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ და სხვა მრავალი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

მოკლე ცნობა ავტობიოგრაფიული და წიგნები

დავიბადე 1896 წ. გურიისში. პირველად ვსწავლობდი ოზურგეთში, სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზია დავამთავრე ტფილისში. მერე ვსწავლობდი ტფილისის სახ. უნივერსიტეტში. ლექსების ბეჭდვა დავიწყე 1917 წ.

გამოვეცი წიგნები: „პოეტის ყეფა“, „ფერად-ფერადი ლექსები“, თარგმანი – ესენინის „ანნა ონეგინა“, და ჩემი რედაქციით გამოდიოდა 1919 წ. ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“, 1928 წ. ჩემის რედაქციით გამოვიდა ალმანახი „მოქმედება“.

დამზადებული მაქვს დასაბეჭდად და მალე გამოვა სახელგამის გამოცემა: ლექსების კრებული და გამოცე. „ქართული წიგნის“ გამოცე. – პოემა „ოთხი მაუზერი“.

დემნა – დიმიტრი შენგელაია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	შენგელაია დიმიტრი კონსტანტინეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	დემნა შენგელაია
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1896 თვე მაისის დღე 8
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. საჭილაო (ქუთაისის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, კრიტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1915
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველ მწერალთა კავშირი
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმალლესი – გეოლოგიური ინსტიტუტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	ვმსახურობდი რიგით ჯარისკაცად 1917–21 წ.
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	მსახურობდა მწერლის თანამდებობაზე
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	მსახურობდა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>პოლიტნაწილი, უფროსი პარტხელი</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>სსმკ გამგეობის წევრი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>„წითელი დროშის“ ორდენი, მედალები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>სხვადასხვა გამომცემლობებში რედაქტორად</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>მარჯანიშვილის 4, 3-31-54</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1919 წლიდან		ვმუშაობ მწერალთა კავშირში სხვადასხვა საზოგადოებრივი დატვირთვის სახის საპასუხისმგებლო სამუშაოებზე		
1941	43 წლამდე	ვიყავი მე-46-ე არმიის გაზეთ „სამშობლოს გმირის“ რედაქტორი		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

დემნა (დიმიტრი) კონსტანტინეს-ძე შენგელაიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1896 წ. 8 მაისს, სოფელ საჭილაოში (ქუთაისის მაზრა, სამტრედიის რაიონი), რკინიგზელის ოჯახში.

დავამთავრე თბილისის ქართული გიმნაზია. შემდეგ ვსწავლობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1922 წელს გამოვედი მესამე კურსიდან. 1932 წელს შევედი გეოლოგიურ ფაკულტეტზე თბილისის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში კიროვის სახ. დავამთავრე, მხოლოდ არ დამიცავს დიპლომი.

1940 წელს შევედი სკკ პარტიაში.

ლიტერატურულ მუშაობას ვწევი 1915 წლიდან. კავშირის ნევრად ვითვლები დღიდან მწერალთა ორგანიზაციის დაარსებისა.

1948 წ. ვიყავი ჩემს მიერ დაარსებულ საქართველოს მწერალთა კავშირში მთარგმნელთა სექციის ხელმძღვანელი, აგრეთვე ვიყავი გამგეობის წევრი. ვიყავი სახელგამის უფროსი რედაქტორი და „საბჭოთა მწერალი“-სა.

ჩემს მიერ თარგმნილია ქართულ ენაზე ლერმონტოვის, პუშკინის, ოსტროვსკის, ჩეხოვის, მ. გორკის და სხვ. ნაწარმოებები, აგრეთვე ქართველი და რუსი კლასიკოსები.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ვმუშაობდი სამხედრო გაზეთის „სამშობლოს გმირი“ სამხედრო კორესპონდენტად. დაჯილდოვებული ვიყავი „ნითელი დროშის ორდენით“ და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“.

რომანებსა და მოთხრობებს გარდა ვწერ პუბლიცისტურ წერილებს, კრიტიკასა და ფოლკლორულ წერილებს.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ: ნ. თოფჩიშვილი.

დემნა შენგელაიას ნაწარმოებთა სია:

1. „სანავარდო“;
2. „თბილისი“;
3. „ბათა ქექია“;
4. „შთაგონება“;
5. „ყრმობა“;
6. „ფიცი“;
7. მოთხრობების კრებული, ნოველები და სხვ.
8. „ნითელი ყაყაჩო“;
9. „მერხეულა“;
10. ნოველები;
11. კრიტიკული წერილები, თარგმანები და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

დემნა შენგელაია

დავიბადე 1897 წელს, მაისის 8-ს (ძვ. სტ.), სოფელ საჭილაოში, დედუღეთში. მამაჩემი კონსტანტინე – რკინიგზის მოსამსახურე, დედა ოლღა – გლეხის ქალი, უსწავლელი, შვილებისათვის თავგანწირული ადამიანი და თუ ჩვენ სამ ადამიანს მამაჩემმა საშუალო განათლება მოგვცა, ეს დედაჩემის თავგანწირულების წყალობით.

5 წლიდან მე ტფილისში ვიზრდებოდი. ვტრიალებდი მუდამ რკინიგზელებში. ჩვენ 1914 წლამდე ნაძალადევეში ვცხოვრობდით, მაგისტრალის ქუჩაზე, იმ ეკლესიის პირდაპირ, სადაც 905 წლის გული სცემდა და სადაც მიტინგები და პათოსი ხანძარივით იყო დანთებული.

905 წელმა სიზმარივით გაიარა ჩემ ბავშობაში. მახსოვს: რევოლუციონური წითელი მილიცია (მაშინ რაჟდენ სტურუა ჩვენთან ცხოვრობდა), პროვოკატორი დაშკოვსკი, ტერორისტები, მიტინგები, წითელი დროშები, ყაზახები, ცხრა ძმა და როცა მიტინგიდან ყაზახების სროლით დაშლილი ხალხი ნაძალადევის ტყით მოსილ მთებს შეეფინა, ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩირგვებიდან დამფრთხალი ორი კურდღელი გამოვარდა. მე არ მესმოდა, რა იყო სიკვდილი და ტყვია, მეშინოდა ხიშტის და, როცა რეაქცია დაიწყო, მამაჩემს ვეხვეწებოდი: „ოღონდ ხიშტით ნუ მომკლავენ და რაც უნდათ, ის მიყონ მეთქი“. მერე რეაქციის დროს დაიწყო ჯვაროსანთა მსვლელობები ადგილობრივი მღვდლის მეთაურობით. ჭეშმარიტ რუსთა ჯვაროსნები მიდიოდნენ ხატებით ლილოში, გლდანში. არ ვიცი, იქ რას აკეთებდნენ, არასოდეს გავყოლივარ. ბავშვები რევოლუციონურ სიმღერებთან ერთად ვმღეროდით ყაზახურ რეაქციონურ სიმღერებს. ჩვენი რეპერტუარი: „მარსელეზა“, „რევოლუციონური სამგლოვიარო მარში“, „Дубинушка“, „Машинышка“, „что я вижу, что я слышу“ და... ყაზახური „Ой-да в Таганроге“... მამაჩემი მუდამ გვიან მოდიოდა სახლში, ფარულ კრებებზე დადიოდა და მე მახსოვს, როგორ ელოდა დედაჩემი თვალგანწყალებული მამას. მე ახლა მესმის, რათ იყო ის ასე ბედის მორჩილი, გადაფითრებული და რათ მოტყედა ასე ადრე.

პირველი წიგნი რომელიც მე დედამ წამიკითხა, ასეთ მოლოდინის დროს, ეს, მგონი, დე-ამიჩის „დედა-შვილის თავგადასავალი“ იყო, მე მთელი ღამე ვტიროდი. პირველი წიგნი, რომელიც მე საკუთრად წავიკითხე, ეს ლ. აღნიამ-ვილის პატარა წიგნაკი იყო და ამ წიგნმა მომწამლა მე. მას მერე წიგნი გახდა ჩემი საუკეთესო მეგობარი, მაგრამ მე ხელმძღვანელი არავინ მყავდა და მალოსა და ტვენის გვერდით ვკითხულობდი ყაზბეგს, ნინოშვილს და თვალცრემლიანი ზედ ღამეებს ვათენებდი.

1908 წელს მე ტფილისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში შემეყვანეს. პირველ წელიწადს მე ყველაფერს ქართულად მასწავლიდნენ და კარგა ვსწავლობდი, მეორე წელს საოლქო მზრუნველის განკარგულებით უეცრად რუსულად დაგვანწყებინეს სწავლა და მე გული ამიცრუვდა სასწავლებელზე, არაფერი მესმოდა, ვსწავლობდი უმსგავსად. ჩემს ირგვლივ აუტანელი სიღარიბე იყო გამეფებული და მე, პატარა ბავში, ვიყავი მოწამე ნამდვილი

დოსტოევსკისებური სცენებისა. მეისრეები, კონდუქტორები, გადამბმელები და მათი შვილები. ყველას უსაზღვრო წყურვილი სწავლისა და აუტანელ სიღარიბის გამო ამ სურვილების განუხორციელებლობა.

საშუალო განათლება 1917 წელს დავასრულე. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ყაზარმული ცხოვრება. 1921 წლამდე მე ხან ჯარისკაცი ვიყავი, ხან მოხელე და ეს ხანი უნაყოფოდ დაიკარგა ჩემს ცხოვრებაში, მე ერთი წიგნი არ წამიკითხავს ამ ხნის განმავლობაში, დრო არ მექონდა. ირგვლივ სიმშვილი იყო, ომები, [...] და სამოქალაქო ომები. 1919 წელს დედა პარტახტიან სახადით გარდამეცვალა.

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ, სალიტერატურო ასპარეზზე რომ გამოველ. 1916 წელს, აპრილს, გაზ. „თემში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „ნირვანა“, რამაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია და ამ მოთხრობის შესახებ წერილიც კი იყო დაბეჭდილი ამავე გაზეთში. მე მაშინ სიმბოლისტების გავლენის ქვეშ ვიყავ. 1917 წელს კიდევ დავბეჭდე ორიოდ მოთხრობა გაზ. „ალიონში“. 1921 წელს ჟურნალ „ცისარტყელაში“ დავბეჭდე დიდი მოთხრობა „ანდრო სავანელი“. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დავიწყე მე ნამდვილი ლიტერატურული მუშაობა. ვმუშაობდი თითქმის ყველა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ნამდვილი დებიუტი ჩემი იყო „სანავარდო“, რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. აქედან იწყება ჩემი შეგნებული მუშაობა ლიტერატურაში, რამაც მე მემარცხენე მწერლობასთან მიმიყვანა.

დემნა შენგელაია

პარმენ ლორია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ლორია პარმენ ონისიმეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1896 თვე ივლისის დღე 17
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ქვაყუდე (ქუთაისის მაზრა)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, დრამატურგია, იუმორი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1923 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიულისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	ს.კ.კ.პ. წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1915 წლიდან 1917 წლამდე კავკასიის ფრონტზე რიგით ჯარისკაცად
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	1921 წლიდან მე-2 ქართულ პოლკში, უფროს ტყვიამფრქვევთა ნაწილში
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>ხანდაზმულობის გამო მოხსნილია აღრიცხვიდან</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>(იხ. ავტობიოგრაფია)</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათ-ვის“, „მამაცური შრომისათვის“ და საპატიო სიგელი</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ამჟამად პერსონალური პენსი-ონერია</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ბათუმი, ცხაკაიას ქ. 54</p>

„ — “ _____ 1952 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1910	12	შავი მუშა	ჩაქვის ჩაის მეურნეობაში	
1912	15	„—“	ცემენტის ქარხა- ნაში	ნოვორასისკში
1915	21	ჯარისკაცი	პეტროვსკში, ერევანში, თბი- ლისში, ბათუმში, ადიგენში	
1921	26	ადგილკომის თავმჯდომარე	ქალ. მილიციაში	ბათუმი
1926	32	კლუბის გამგე	პროფკავშირები	„—“
1932	1953	პ/მგ. მდივანი	საქ. საბჭოთა მწერ. კავშირის აჭარის განყოფი- ლებისა	„—“
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

პარმენ ონისიმეს-ძე ლორიას ავტობიოგრაფია

დავიბადე 1896 წელს, სოფ. ქვაყუდეში (ქუთაისის მაზრა). მამაჩემი იყო უმინაწყო გლეხი და ეწეოდა ხელოსნობას – დურგლობას, დედა კი – დიასახლისი.

1903 წელს მიმაბარეს საეკლესიო ერთკლასიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მამამ მოისურვა შემესწავლა მისი ხელობა – დურგლობა.

1911 წელს წავედი ჩაქვში ჩაის საკრეფად და იქ მთელი ზაფხული გაატარე.

1912 წლის შემოდგომაზე გავემგზავრე ნოვორასისკში და 1915 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი ცემენტის ქარხანაში, აგვისტოს თვეში კი, ორი წლით ადრე სამხედრო სავალდებულო სამსახურისა, გამიწვიეს ჯარში და ვმსახურობდი 220 სათადარიგო ბატალიონში ქალ. პეტროვსკში.

1916 წელს გადმოყვანილი ვიყავი ერევანში, იქ გავიარე ტყვიამფრქვეველთა კურსები და 1917 წელს გამაგზავნეს თურქეთის ფრონტზე.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რადგან კავკასიის ფრონტი მოიხსნა, რამდენიმე თვე ვიყავი ალექსანდროპოლში, იქიდან დემობილიზაციასთან დაკავშირებით დავბრუნდი 1918 წლის იანვარში მშობლიურ სოფელში, მაგრამ თებერვალში ისევ გამიწვიეს სამხედრო სამსახურში და მონაწილეობას ვიღებდი ბათუმის ბრძოლებში, იქ ბრძოლის დროს ჩავარდი ტყვედ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩარიცხული ვიქენი მეორე ქართულ წითელარმიელთა პოლკში და ვიმსახურე 1921 წლამდე.

1921 წლის ოქტომბრის თვიდან მუშაობა დავიწყე ბათუმის მილიციის სამმართველოში და იქ ვიმუშავე 1926 წლამდე.

1926 წელს გადაყვანილი ვიქენი პროფესიონალურ კავშირებში სამუშაოდ, შემდეგ კი – მუშათა კლუბის დირექტორად. კლუბის დირექტორად ვიმუშავე 1923 წლამდე.

1932 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პ/მგ. მდივნად.

1921 წელს დავწავლე თვითგანვითარებას. ბათუმის გაზეთებში დაიბეჭდა ჩემი პატარა ლექსები. 1923 წელს იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ დაიბეჭდა ჩემი ნაწარმოებები, რის შემდეგ სისტემატურად ვიბეჭდე ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში. დაიბეჭდა აგრეთვე რამდენიმე ნოველა და საკლუბო პიესები და მოთხრობები.

1939 წელს მიღებული ვიქენი საკ. კ.პ.(ბ) წევრობის კანდიდატად, ხოლო 1940 წლიდან ვარ საკ. კ.პ. წევრი.

ვარ სხვადასხვა თავისუფალ საზოგადოებრივ ორგანიზაციის წევრი.

ჩემი ლიტერატურული მუშაობისათვის დაჯილდოვებული ვიქენი აჭარის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საპატიო სიგელით.

1941 წლიდან 1944 წლამდე შეთავსებით ვმუშაობდი აჭარის რადიოკომიტეტის თავმჯდომარედ.

1931 წელს გარდამეცვალა მამა, რომელიც იყო აქტიური კოლმეურნე.

1934 წელს გარდამეცვალა ძმა, რომელიც აგრეთვე იყო კოლმეურნე.

მყავს სამი შვილი, ქალიშვილი გათხოვილი, მეორე ქალიშვილი სწავლობს სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ვაჟი კი ამთავრებს საშუალო სასწავლებელს.

1952 წ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

პარმენ ლორიას ნაწარმოებთა სია:

1. „ჩაი“, პირველი და მეორე ნიგნი, 1922–1932 წლები.
 2. „დელი მურადი“ (პიესები).
 3. „მეკლუდი“.
 4. „გმირობა და მეგობრობა“.
 5. „საუკუნის დაბადება“.
 6. „შეხვედრა“.
 7. „მანდარინები“.
 8. „ძვირფასი საჩუქარი“.
 9. „დაბრუნება“.
 10. „მეფის ჯარისკაცის დღიურიდან“.
 11. „ალისფერი დილა“ (რომანი).
 12. „ნაირა“ (რომანი).
 13. „მეგობრობა“, პიესა.
- და სხვ.

სწორია: ნ. კლ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ანდრია სინაურიძე – სინაური

მოკლე ავტობიოგრაფია

მე, ანდრია ივანეს ძე სინაურიძე (ანდრია სინაური) დავიბადე 1896 წლის 5 ნოემბერს (ძველი სტილით), დღევანდელ ვანის რაიონის სოფ. ინაშაურში.

1905 წელს სწავლა დავიწყე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, მაგრამ მშობლების ეკონომიურად ხელმოკლეობის გამო სწავლის ფულის შეუტანლობამ აღნიშნული სასწავლებელი დამატოვებინა 1912 წელს და 1913 წლის სექტემბრიდან სწავლა განვაგრძე ქალ. კრონშტადტის სამხედრო-საზღვაო იუნგთა სკოლაში, სადაც, როგორც სამხედრო სკოლა, თავისუფალი ვიყავი ყოველგვარი ხარჯისაგან, რაც მთავარია, სწავლის ფულისაგან.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სკოლა დროებით დაიხურა – გამიყვანეს მოქმედ არმიამში. მოკლევადიან საოფიცრო სასწავლებლის დამთავრებისთანავე გადამაგზავნეს ჯერ დასავლეთის ფრონტზე გენერალ ბრუსილოვის არმიის რიგებში, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ კავკასიის ფრონტზე გადამისროლეს. ამ ფრონტზე სხვადასხვა დროს მსუბუქე „ჭრილობებთან ერთად მიღებული მაქვს მძიმე კონტუზიაც, მაგრამ ღრმა ზურგში აქიმობის შემდეგ ფრონტს ისევ ვუბრუნდებოდი.

კავკასიის ფრონტიდან ოქტომბრის რევოლუციის დროს რევოლუციონურად განწყობილ ნაწილს გავყევი ჩრდილო კავკასიაში თერგის ოლქის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასამყარებლად. იქ ვებრძოდი პარტიზანთა რიგებიდან საბჭოთა ხელისუფლების მტრებს...

1918 წლის თებერვალი ჩემთვის გახდა საბედისწერო – ერთ ღამით ტყეში მითვლემილს ღრმად ჩამძინებოდა და დილით პარტიზანებმა მოყინული ძლივს ამაგლიჯეს მიწას...

1918 წლის სექტემბრიდან განვაგრძე სწავლა მსოფლიოსა და სამოქალაქო ომებით შეწყვეტილი – მოვენყვე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის პირველ კურსზე, ხოლო 1919 წელს პარალელურად დავიწყე მეცადინეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველ კურსზე. ორივე უმაღლეს სასწავლებელში დავყავი საქართველოს გასაბჭოებამდე. საქართველოს გასაბჭოების დღიდან კი ჩავდექი საქართველოს წითელი ლაშქრის რიგებში, სადაც დავყავი 1925 მაისამდე. ამავე წლის მაისიდან კი მსოფლიოსა და სამოქალაქო ომებში მიღებულმა მძიმე კონტუზიამ და უმძიმესმა მოყინვამ საბოლოოდ დამცეს, მიმჯაჭვეს რკინის სარეცელს, რომელსაც დღემდე ვეჭიდები, ვებრძვი.

პოეზიაში მუშაობა ადრიან ქაბუკობიდან დავიწყე, მაგრამ ნაწარმოებების გამოქვეყნებას დაგვიანებით შევუდექი, რადგან ჯერ მსოფლიო და სამოქალაქო ომები არ მაძლევდნენ ამის საშუალებას, შემდეგ კი დავრდომილობის პირველი წლები...

ვარ ხუთი წიგნის ავტორი, ხოლო ჯერ კიდევ უცდიან წიგნებად თვალის ახელას ჩემი მრავალი ლირიკული ლექსი, საკმაოდ სონეტი, ბალადა, ხუთი

პოემა, ორი დრამატული ნაწარმოები და რამდენიმე ათეული დოკუმენტური ნოველაც.

დაჯილდოებული ვარ სსრ კავშირის ორი მედლით: 1. „1941–45 წლებში ზურგში მამაცური შრომისათვის“, 2. „მამაცური შრომისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნად“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან საპატიო სიგელით. ვარ რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

არჩილ კორინთელი

ავტობიოგრაფია

1897 წლის 2 იანვარს დავიბადე ქ. დუშეთში სამაზრო სასამართლოს მდივნის – გიორგი ალექსანდრეს-ძე კორინთელის ოჯახში.

სასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიმიყვანეს, სადაც მონაწილეობი სახელმძღვანელო პედაგოგების და საზოგადო მოღვაწეების: ალექსანდრე მიქაბერიძის, პეტრე მირიანაშვილის, დავით კარიჭაშვილის, ლუარსაბ ბოცვაძის, სეით იაშვილის, იოსებ მონადირაშვილის, პეტრე სურგულაძის, ალექსანდრე მრელიძის, ზაქარია ფალიაშვილის, გიორგი ეგნატაშვილის, დავით პარკაძის, ქადაგიძის, შირსკის და სხვების მზრუნველობით ვიზრდებოდი.

საზაფხულო არდადეგებს ვატარებდი: დუშეთში მშობლებთან, სოფელ ილტოზში ბებია პელაგიასთან და სოფელ იკოთში დედის ძმასთან (ვახტანგ ფიცხელაურთან). ადგილობრივ მცხოვრებ მოხუცების და ტოლ-ამხანაგების მიერ ნაამბობ ამბებს, ზღაპრებს, ლეგენდებს და თვალთ ნახულს ჩემ დღიურში სიტყვა-სიტყვით ვინერდი, ვინიშნავდი და შემდეგ ვქმნიდი სხვადასხვა ნაწარმოებებს.

ახალგაზრდობის წლებში დანერილი მაქვს: ოთხმოცამდე ლექსი, მოგონება, მოთხრობა, ნაკვესები, პიესები და სხვა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს თბილისში ვიმყოფებოდი და თვალს ვადევნებდი რევოლუციის მსვლელობას. გოლოვინის პროსპექტზე (ამ ჟამად შოთა რუსთაველის) აქა-იქა გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე სხვადასხვა პარტიების ლიდერების სიტყვებს და მოწოდებებს ვისმენდი. რამდენიმე წერილიც, მოქალაქეთა წესრიგის და ყოფაცხოვრების შესახებ მეც გამოვაქვეყნე გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

1918 წელს ქ. თბილისში უნივერსიტეტის დაარსებიდანვე დავინყე ლექციების მოსმენა ისტორიოფილოლოგიურ ფაკულტეტზე, თანაც ვმუშაობდი ქ. თბილისის მეორე უბნის საგადასახადო ინსპექციაში საქმეთა მმართველად. თავისუფალ დროს ვქმნიდი სიმბოლიურ ლექსებს, მინიატიურებს და პიესებს. თანდათან დაუახლოვდი მაშინდელ ახალგაზრდა პოეტებს, მწერლებს და მათთან შეთანხმებით, ცოტაოდენ სახსრების შეგროვების შემდეგ შევეძელით 1919 წლის მაისის თვეში №1 ყოველკვირეულ სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთის „ია“-ს გამოშვება. გაზეთის მუდმივ თანამშრომლებად ითვლებოდნენ: ვ. გორგაძე, ს. ერთანმინდელი, ს. კოლხიდელი, აპოლონ კულაშვილი, აკ. ბერიკაშვილი, მ. ჟღენტი, ტერენტი წალენჯიხელი, არჩილ კორინთელი, ერეკლე ყანჩელი, ივანე ქილდეგი, დემნა, ივერიკო, დონ-ლანი და სხვები. უსახსრობის გამო გაზეთის შემდეგი ნომრების გამოშვება ველარ შევეძელით. ამავე წლის ბოლო კვარტალში, ცოტაოდენ სახსრების შეგროვების შემდეგ გამოვეცი სალიტერატურო ჟურნალი „კრონოსის სარკე“, ოქტომბერში №1 და ნოემბერში №2. ამ ჟურნალშიც ზემოთ დასახელებული პოეტები და მწერლები ლებულობდნენ მონაწილეობას, დამატებით: კონე სპერელი, ვლ. გაფრინდაშვილი და სხვები.

აღნიშნული ჟურნალი და მასში მონაწილე ავტორები კრიტიკოსმა – იპოლიტე ვართაგავამ რუსულ გაზეთში ვრცელი წერილით გააკრიტიკა.

ქ. თბილისში ცხოვრების პირობების გაუარესების გამო 1919 წლის დეკემბერში საცხოვრებლად ქ. დუშეთში გადავედი და მუშაობა სამაზრო ერობაში დავიწყე, ამ მდგომარეობამ გამოიწვია ჟურნალ „კრონოსის სარკის“ გამოცემის შეწყვეტაც.

დუშეთში ყოფნის დროს, 1920 წ. დასაწყისში, ადგილობრივ ლიტერატორების, მწერლების და სხვა დარგის მოხელეების მონაწილეობით შექმნილი ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ხელნაწერ ჟურნალის „დუშეთის სარკის“ შაპიროგრაფზე გამრავლებით №1 გამოშვება. შემდეგი ნომრების გამოშვება ველარ შექმნილი სხვა და სხვა დაბრკოლებების გამო.

1920 წელს გავიცანი ახალგაზრდა პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელიც თავის უფროს ძმას, ლევანს – დუშეთის სამაზრო ერობის ვეტერინალ ექიმს ეწვია სტუმრად (იხილეთ ჩემი მოგონება „გიორგი ლეონიძე პირველად დუშეთში“).

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების დღიდან დავინიშნე დუშეთის მაზრის რეკომისის საფინანსო განყოფილების უფროსად. ამავე დროს ჩაბმული ვიყავი საზოგადო მუშაობაში. ადგილობრივ სცენის მოყვარეების მონაწილეობით ჩამოვაყალიბეთ სცენის მოყვარეთა წრე. დავიქირავეთ სამხედრო-თა ტერიტორიაზე შესაფერისი შენობა (კაზარმა) და ადგილობრივი ძალებით დავიწყეთ პიესების დადგმა, სადაც მონაწილეობდნენ: ქაიხოსრო ბახუტაშვილი (ავტორი კომედიის „ძველ სასამართლოში“). დავით კობიაშვილი, სიმონ ნავაძე და მისი მეუღლე – გიგუცა ლაგაზაშვილი, ვანო მეზვრიშვილი, ნატალია ავალოვა და სხვები. თეატრის მოყვარულ ხალხის დიდმა ნაკადმა გვაფიქრებინა თეატრის ძალების გაზრდა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, თბილისიდან მოვიწვიეთ რეჟისორი ბორის ლითანიშვილი და მსახიობები: ნუნუ მაჭავარიანი, ნიკ. მამულაშვილი, იოსებ თარალაშვილი, ყვიძიძე, რევაზიშვილი, მარო აბრამიშვილი და სხვები. ყოველდღე თუ არა, ყოველ კვირა იდგებოდა ცნობილი პიესები „ლალატი“, „სამშობლო“ და სხვა რევოლუციური პიესები. ამ თეატრისათვის დავწერე ოთხ მოქმედებიანი პიესა „რევოლუციის მსხვერპლი“, ერთ მოქმედებიანი კომედია „ვაჟი ქალის კაბაში“, დრამა ოთხ მოქმედებად „დალუპული სიყვარული“ და სხვა, რომლებიც რამდენჯერმე დაიდგა დუშეთის თეატრის სცენაზე. გარდა ზემოხსენებულისა, დუშეთში დავწერე შემდეგი პიესები: „კაციჭამიას დაკრძალვა“, „ემმაკის ჯოხი წითელი დროში“, „ხატობა“, „მალაროს საიდუმლოება“, „ცხენაობა“ და სხვა, რომლებიც „ორონის“ სახელწოდებით ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამომცემლობამ 1925 წელს გამოსცა ცალკე წიგნად და იოსებ იმედაშვილმა წაუშდღვარა წინასიტყვაობა: „ცხოვრების ანარეკლი“, აღნიშნულ პიესათა კრებულის შესახებ ახალგაზრდა ლიტერატორმა-კრიტიკოსმა (დოცენტმა) – რომან ფიცხელაურმა თავის კრიტიკულ მიმოხილვაში: „ქართული დრამატიული მწერლობა“ დაწვრილებით განიხილა ყველა პიესა (იხილეთ რომან ფიცხელაურის წიგნი: „ქართული დრამატიული მწერლობა“, პირველი ნაწილი, გამოცემა ბორიო მარრესი, თბილისი, 1928 წელი).

1921–25 წლებში რესპუბლიკურ გაზეთებში: „კომუნისტში“, „მუშაში“, „სა-სოფლო გაზეთში“ ვათავსებდი სხვადასხვა ადგილობრივ საყოფაცხოვრებო წერილებს შემდეგი ფსევდონიმებით: „ერთი დღის სტუმარი“, „დუშელი“, „ილტო-ზელი“, „კორნელი“, „ს. მაისურაძე“ და სხვა.

1922 წ. თებერვალში დუშეთში დაარსდა ცეკავშირის სავაჭრო პუნქტი. რევკომის განკარგულებით გადაყვანილ ვიქმენ ამ პუნქტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მისაღებად და აღრიცხვა-ანგარიშგების საქმიანობის დასაყენებლად. პუნქტის გამგედ თბილისიდან გამოგზავნილ იქნა მიტროფანე ბარკალაია. ჩამოყალიბებულ დამზადების და სავაჭრო წერტები: თიანეთში, ყაზბეგში, ფასანაურში, ანანურში, მცხეთაში, დუშეთში და სხვა დიდ სოფლებში. ერთი წლის მუშაობის შემდეგ შევეძელით დუშეთის მაზრაში სამომხმარებლო კოოპერატივების დაარსება, რომელ დღიდანაც კერძო ვაჭრობა ძალაუწებურად დახურეს თავიანთი სავაჭროები.

1925 წლის მინურულში ცეკავშირის პუნქტის დახურვის გამო ცეკავშირის გამგეობამ სამუშაოდ გადამიყვანა თბილისში თავის საფინანსო განყოფილებაში სამუშაოდ.

1927 წელს სავაჭრო დარგში აღრიცხვის წარმოების გასამარტივებლად დავამუშავე აღრიცხვის ახალი ფორმა და დავწერე სახელმძღვანელო, რაც 1927 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა შემდეგი სახელწოდებით: „Новейшая система практической бухгалтерии“.

1930 წელს ცეკავშირის გამგეობამ ჩამოაყალიბა მოძრავი დასი, მოიწვია ხელმძღვანელად და რეჟისორად გოძიაშვილი (ვასო გოძიაშვილის ძმა) მსახიობები: იოსებ თარალაშვილი და სხვები. ცეკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით გადასწავიტეს პირველად ხევსურეთში გამგზავრება და წარმოდგენების დადგმა. ამ დასისათვის კოოპერატიულ შინაარსის ხევსურულ კილოზე დავწერე პიესა და პოემა. დასმა მოამზადა და გასასინჯად პირველად ცეკავშირის კლუბში დადგა, ხოლო შემდეგ ამ პროგრამით მთელი ფშავხევსურეთი და საქართველოს სხვა რაიონები შემოიარა.

ამავე წელს დავწერე რევოლუციური პიესა „ოქტომბრის ღალადი“. ოთხ მოქმედებად, 1917 წლის ისტორიიდან. რაც თეატრალურ საზოგადოების მიერ იქნა მონონებული დასადგმელად, მაგრამ სცენაზე არ დადგმულა სირთულის გამო.

1932 წელს ცეკავშირის გამგეობამ დამნიშნა აღრიცხვის დარგში უფროს ეკონომისტ-კონსულტანტად და ცეკავშირის მთელი სისტემის მთავარ ბუღალტრად. ამავე წელს სწავლის გასაგრძელებლად შევედი ამიერკავკასიის საფინანსო ეკონომიურ მეცნიერებათა დაუსწრებელ ინსტიტუტში „Закзифუნ“-ში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ერქომაიშვილი.

სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირში „ცეკავშირში“ თითხმეტი წლის მუშაობის შემდეგ მუშაობა განვაგრძე საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარი მთვარის საზოგადოების ახლად ჩამოყალიბებულ მედიკოსანიტარულ სამმართველოში, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ, 1941–1963 წლამდე, ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობაში „საქვაჭრობაში“.

შიგადაშიგ თავისუფალ დროს და საზაფხულო შვებულებებს ვიყენებდი სალიტერატურო მუშაობაზე. ვწერდი გაგონილ და ნახულ მოგონებებს, ამბებს, მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, ზღაპრებს, ნაკვესებს და სხვას.

დანერლილი მაქვს: „ამბავი შოთა რუსთაველზე“, „ამბავი დავით გურამიშვილზე“, ჩვენ წელთა აღრიცხვამდე მომხდარ ამბავზე „გარინ და ლელა“. მოგონებები: „აკაკი მთანმინდაზე“, „ვაჟა-ფშაველა დუშეთში“, „გალაკტიონის დახმარებით“, „ივანე გომართელთან“, „გიორგი ლეონიძე პირველად დუშეთში“ და სხვა მოგონებები. დანერლილი მაქვს სათავგადასავალო რომანები 1941 წლის სამამულო ომის პარტიზანთა ცხოვრებიდან: „ვახტანგ და ლარისა“, „ცირა“; თანამედროვე ცხოვრებიდან „დაბრუნებული სიყვარული“, ისტორიული რომანი ხევსურების ცხოვრებიდან „სულხანაური“; ფანტასტიური რომანი: „ქორწინება მარსზე“; წვრილი მოთხრობები და ზღაპრები 70-მდე; საბავშვო მოთხრობები და ზღაპრები 50-მდე. ლიბრეტოები კინოსთვის „გზა ბედნიერებისაკენ“, „მამინაცვალი“, „კატო და რეზო“ და სხვა. პიესები: „დეიდები“, „რევიზორის ქორწინება“, „აიდოსტ“ და სხვა. ნაკვესები და ანდაზები ორი ათას ხუთასამდე. ნამდვილი ამბები: „ექიმის ხელი“, „ვის დავდოთ ბრალი“, „ბარგიანი ლუკმა“; ფანტასტიური მოთხრობა-ზღაპარი: „ბაჭიების საჩივარი“, „შეხვედრა ღმერთთან“ და სხვა.

შეგროვილ მასალებიდან განზრახული მაქვს დავწერო: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ქ. დუშეთში, 1864–1874 წლებში“, „პლატონ იოსელიანის ცხოვრება დუშეთში“, „შოი არაგვისპირელი დუშეთში“ და სხვა.

არჩილ კორინთელი

გუგული – გრიგოლ ბუხნიკაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ბუხნიკაშვილი გრიგოლ ვარდენის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	გუგული
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1897 თვე მაისის დღე 8
	(ძველი თუ ახალი სტილი) სურამი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	დრამატურგი, თეატროვედი
8. რა ენაზე წერს	ქართული, რუსული
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1914 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	პროლეტ. მწერალთა ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ-ს წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	თბილისის რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი, თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა (მაქვს დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება)
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	ადმ. შემადგენ.
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>ასაკის გამო მოხსნილია აღრიცხვიდან</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>თეატრალური მუზეუმის დირექტორი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>რუსთაველის გამზ. 19, 3-77-26</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1914	1915	კანტორის მოხელე	რკ, გზის სამმარ.	–
1915	1921	ტელეგრაფისტი	ა/კ რკ. გზებზე	თბილისი
1921	1922	პ/მგ. მდივანი რკ. გზ. პროფკავშირი	პროფესიონალ. კავშ.	ხაშური
1922	1923	პ/მგ. მდივანი	გორის აღმასრ. კ-ტი	გორი
1922	1923	აგიტპროპის გამგე	გორის კ.პ. კომიტეტის	გორი
1923	1925	განათლების განყ. გამგე	თბილისის საბჭოსი	თბილისი
1926	1927	რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორი	განათლების კომისარიატი	თბილისი
1927	1930	გამგის მოადგილე	მუშათა და გლეხ- თა აღმასრულებელი ბიუროსი	„–“
1930	1933	პ/მგ. მდივანი	ა/კ და საქართვე- ლოს დრამკომისა	„–“
1933	1936	დირექტორი	სამხატვრო აკა- დემიისა	„–“
1936	1939	დირექტორი	მეტეხის მუზეუმისა	„–“
1939	დღემდე	დირექტორი	თეატრალური მუზეუმისა	თბილისი
<p>სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.</p>				

გრიგოლ ვარდენის-ძე ბუხნიკაშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1897 წელს ქალ. სურამში, საქართველოს სსრ. ვსწავლობდი გორის გიმნაზიაში. შემდეგ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1920 წელს შევედი ბოლშევიკური პარტიის რიგებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დღემდე ვმუშაობ სხვადასხვა ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე 1914 წლიდან, ვათავსებდი ფელეტონებს თბილისის რუსულ გაზეთებში. შემდეგ ვწერდი იუმორისტულ მოთხრობებს, რომელთაც ვათავსებდი ქართულ ჟურნალებში.

1921 წლიდან დავიწყე პიესების წერა, ამ დღიდან მოყოლებული დანერგილი მაქვს დიდი რაოდენობის პიესები მცირე და დიდი ფორმის მოცულობისა. აღნიშნული პიესები იდგმებოდა, როგორც ჩვენი რესპუბლიკის წამყვან თეატრების სცენებზე, აგრეთვე რაიონის თეატრებსა და კლუბებში.

უმრავლესობა ჩემი ნაშრომებისა გამოცემულია ცალკე წიგნებად.

1921 წლიდან განუწყვეტლივ ვათავსებდი ჩემს ნაშრომებს ქართულ და რუსულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში თეატრების საკითხებზე და სხვ.

1939 წელს გამოვიდა ჩემი ნაწერების წიგნი რუსულ ენაზე „გორი“ (ისტორიული ნარკვევი). ეს წიგნი შემდეგ გადათარგმნილი იქნა უკრაინულ, სომხურ, ოსურ ენაზე.

ვმუშაობ თეატრალური ჟანრის დარგში. გამოცემული არის მთელი რიგი ჩემი ნაშრომებისა.

გ. ბუხნიკაშვილის ნაწარმოებთა სია:

1. „ჯარის კაცის ნაამბობი“ (იმერული სცენა), ჟურნალი „ემმაკის მათრახი“, 1915 წელი.
2. „ონისიმეს სიმამაცე“ (იმერული სცენა), ჟურნ. „ემმაკის მათრ.“.
3. „საქორწინო ჯარის კაცის წერილი“, ჟ. „ემმაკის მათრახი“, 1915.
4. „ნომერნოი“ (იუმორისტული მოთხრობა), ჟ. „ემმ. მათრ.“, 1915.
5. „თათრების ტყე“ (იმერული სცენა), „-“, „-“.
6. „ვინ ვის ეომება“ (საუბარი სოფლად), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ.
7. „ტოტიას მოგზაურობა“, ი. სცენა, „-“, „-“.
8. „საამდროვო“ (სცენა), ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ.
9. „ვერცხლის ფული“ (იმერული სცენა), „-“, „-“.
10. „ბედნიერი ცხოვრება“ (სცენა), „-“, „-“.
11. „გამატყავეს კაცი“ (იმერული სცენა), „-“, „-“.
12. „არტუა სასწავლებელში“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“.
13. „სესხი“ (იუმორისტული სცენა), „-“, „-“.
14. „არყი“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“.
15. „ახლანდელი სიძვირე“ (იმერული სცენა), „-“, „-“.
16. „ანკეტა“ (იუმორისტული მოთხრობა), ჟ. „ემმაკ. მათრ.“, 1916 წ.
17. „ბარათი“ (პატარა მოთხრობა), „-“, „-“.
18. „რა მაცინებს“ (მიბაძვა „რა მასმევს ღვინოს“), „-“, „-“.
19. „თავდაცვის ტაქტიკა“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“.
20. „ლამაზ ქეთოს რომ ჰკითხავენ“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“.
21. „ასფალტის ამბორი“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“.
22. „მაიმუნთა ლაშქრობა“, „-“, „-“.
23. „სტატისტიკა“, „-“, „-“.
24. საქუას ხიფათი, „-“, „-“.
25. „მსაჯულ-

თან“ (იუმორისტული სცენა), ჟ. „ეშმაკ. მათრ.“, 1916. 26. „მსხვერპლი“ (იუმორისტული მოთხრობა), „-“, „-“. 27. „საჩივართა ყულაბა“ (იუმორისტული მოთხრობა), ჟ. „ეშმაკ. მათრ.“ 1916 წ. 28. „სიყვარული“, „-“, „-“. 29. „მოგზაურობა“, „-“, „-“. 30. „შაქარი“, „-“, „-“. 31. „ოფიციალური გაპარსვა“, „-“, „-“. 32. „პირველი ნაფაზი“, „-“, „-“. 33. „მე და კარიკატურა“, „-“, „-“. 34. „პური“, „-“, „-“. 35. „გაკვეთილი გამბედაობისა“, „-“, „-“. 36. „ბუღიას სიკვდილი“, „ყაჩაღი“ (იმერული სცენები), „-“, „-“. 37. „სარედაქციო კალთა“, „-“, „-“. 38. „რიცხვი თვისა ოცი“, „-“, „-“. 39. „ანგარიში (იუმორისტული მოთხრობა), ჟ. „ეშმაკ. მათრ.“ 1916 წ. 40. „პაემანი“ (მოთხრობა), ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1917 წ. 41. „მეგობრული საუბარი“, „-“, „-“. 42. „თავი შაქარი“ (მოთხრობა), „-“, „-“. 43. „ორი თამრიკო“, „-“, „-“. 44. „მენშევიკები პარიზში“ (ოპერეტა-სატირა 3 მოქმედებად), ჟურნალი „მომავალი“, 1923 წ. 45. „ქოხ სამკითხველოები“, „თბილისის საბჭოს მოამბე“, ჟურნ., 24 წ. 46. „სოფლის ექიმი“, ჟ. „საუნჯე“, 1924 წ. 47. „მისცეთ სოფელს კარგი მასწავლებელი“, 1924 წ. 48. „გლეხის შვილს სწავლა სჭირდება“, გაზ. „მინის მუშა“, 1924 წ. 49. „ყველამ ისწავლეთ წერა-კითხვა“, გაზ. „მინის მუშა“, 1924 წ. 50. „გადატრიალება“ (თანამედროვე სურათი 1 მოქ.), „-“. 51. „შეშინებული ანთიმოზი“ (კომ. 1 მოქმ.), 1924 წ. 52. მ. დმიტროვი „საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები და საბჭოების ხელახალი არჩევნები“ (თარგმანი), 1924 წ. 53. „მოვანესრიგოთ ინფორმაცია“, 1925 წ. 55. „ჩინი და ჩინელი“ (პატარა ფელეტონი), 1925 წ. 56. „აფეთქება“ (პატარა ფელეტონი), 1925 წ. 57. „ევროპის განსაცდელი“, „-“. 58. „ბოლშევიკების ბრალია“, „-“. 59. „ჩვენი ტრამვაი“, „-“. 60. „გაზეთების გაერცელების შესახებ“, „-“. 61. „გადატრიალება“ (თანამედროვე სურათი 1 მოქმ.), „-“. 62. „ლენინის ანდერძი“, „-“. 63. „პოლიტგანათლება სოფლად“ სახელმძღვანელო პოლიტ-განათლების მუშაკთა მოსამზადებლად, შედგენილი ი. მეტრეველის და გ. ბუხნიკაშვილის რედაქციით, 1925 წ. 64. „როგორ უნდა მოეწყოს საშუალო საზოგადოება (თარგმანი), „-“. 65. „კინოსა და თეატრის გაერთიანება შეუძლებელია“, 1926 წ. 66. „კოოპერაციის გზით“ (პიესა 2 სურათად), 1927 წ. 67. „კულტურული რევოლუცია“ (სატირა 1 მოქმ.), 1928 წ. 68. „ექსპლოატაცია“ (სატირა 1 მოქმ.), „-“. 69. „მოგება“ (გადმოკეთებული რუსულიდან), „-“. 70. „შეთქმულება“ (აგიტ-პიესა სამ მოქმედებად), „-“. 71. „დასილოსება“ (1 მოქმედ.), 1929 წ. 72. „წმენდა“ (1 მოქმედ.), „-“. 73. „სოციალისტური შეჯიბრება“, „-“. 74. „აშენდა კოოპერაცია“ (სატირა 4 სურათად), „-“. 75. „ჩაშლილი ბედნიერება“ (პიესა 2 სურ. გადმოკეთებული რუსულიდან), 1929 წ. 76. პიესები გამოცემული სახელგამის მიერ: „განსვენებული კირტაძე“, „სტატისტიკა“ (სატირა 5 სურათად), „ალიმენტი“ (1 მოქმედებად), „ოთხი ორდერი“ (სატირა 4 სურათად), „ქალი პროტექციით“ (სატირა ერთ მოქმედებად), „თვითკრიტიკა“ (სატირა ორ მოქმედებად), „შეშინებული ანთიმოზი“ (კომედია ორ მოქმედებად). 77. „ჟანგი“, პიესათა კრებული, სახელგამი, 1929 წ., „ჟანგი“ (პიესა 7 ს-რათად), „ომი“ (კომედია ორ მოქმედებად), „25000“ (კომედია 3 მოქმედებად), „ყოფა-ცხოვრება“ (სატირა ერთ მოქმედებად), „კლუბის გამგე“ (სატირა 1 მოქმედებად), „სცენარისტი“ (სატირა ერთ მოქმედებად), „კრიტიკოსი“ (სატირა ერთ მოქმედებად). 78. სესიას სიზმარი

(4 სურათად), 1929 წ. 79. „დაზღვევა“, პიესა ორ მოქმედებად, „-“. 80. კოოპერატიულ პიესათა კრებული“, „-“. 81. „კომისარი მოსკოვიდან“, კომედია ოთხ მოქმედ., „-“. 82. 25000 (კომედია სამ მოქმედებად). 83. „კიდევ თბილისი“, მიმოხილვა რვა სურათად. 84. „თეატრალური მუშაობის ზოგიერთი საკითხები“, 1930 წ. 85. „ორი ბანაკი“ (პიესა ხუთ სურათად). 86. „საბჭოთა არჩევნებისათვის“ (აგიტ-პიესები), 1930 წ. 87. „სწრაფი ცნობა“ (სატირა ერთ მოქმედ.), „-“. 88. „სოფლის იმედი“ (კომ. სამ მოქმედებად), „-“. 89. „პროდუქციის ღირსება“ (სატირა 1 მოქმედებად), „-“. 90. „შემნახველ სალაროსაკენ“ (აგიტ-პიესა 6 სურათად), „-“. 91. „სესხი“ (კომედია 3 მოქმედებად). 92. „შემოდგომის თესვა“ (აგიტ-პიესათა კრებული). 93. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად (სახელმძღვანელო). 94. „საქართველოს დრამკომი“, 1931 წ. 95. „გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა მხატვრულ მუშაობაზე“, „-“. 96. „უკრაინის კულტურის დეკადა“, „-“. 97. „ჯანყი“ (დრამატიული სურათი), „-“. 98. „უკრაინის კულტურის დეკადა“, „-“. 99. ათი წელი – პიესათა კრებული, „-“. 100. პატარა პიესები, გამოცემული „ქართული წიგნის“ მიერ, „-“. 101. „წარსულიდან“ (პიესა 4 სურათად). 102. „წითელი ჯვარი“ (აგიტპიესა 3 მოქმედებად). 103. „სიყვარულის რვეულიდან“, „-“. 104. „ფრიც და შაქრო“ (პიესა 4 სურათად), „-“. 105. „წმენდა“, მონოგრაფია, „-“. 106. „ექსპლოატაცია“, მონოგრაფია, „-“. 107. „სწრაფი ცნობა“ (პიესა ერთ მოქმედებ.), „-“. 108. „შემცირება“ (პიესა ერთ მოქმედებ.) 1931 წ. 109. „საქმე გრძელი“, „-“, „-“. 110. „კლუბის გამგე“, „-“, „-“. 111. „კრიტიკოსი“ (მონოგრაფია), „-“. 112. „სცენარისტი“, „-“, „-“. 113. „ყოფა-ცხოვრება“, „-“, „-“. 114. „ომი“ (კომედია 2 მოქმედებად), „-“. 115. „ათი წელი“, საცირკო დადგმა, „-“. 116. „ჩამოსულა“, „-“. 117. „ოქტომბერი“ (პანტომიმა) ცირკისათვის, 1932 წ. 118. „4 პიესა“, „-“. 119. თერთმეტი პიესა (კრებული), „-“. 120. „ლიტერონიკა“ (ტელეფონი), 1933 წ. 121. „განცხადების დაფა“, „-“. 122. „მეტეხი“, „-“. 123. „არქიტექტურა სოციალისტური მშენებლობის სამსახურში“. 124. „კრიტიკოსი ყალბაძე“, 1934 წ. 125. „სამი მანეთი სასამართლოს ხარჯები“, „-“. 126. „ყურადღება პროვინციის კლუბებს“, „-“. 127. „გერმანია საქმიანობს“, „-“. 128. „კრება დრამკომში“, „-“. 129. „ლენინი – სტალინი“, „-“. 130. „ქალაქის ნახევები“, „-“. 131. „გუგულის რჩევა-დარიგებანი“, „-“. 132. „მთები გაინგრეს“, „-“. 133. „გაზეთის დაბადება“, „-“. 134. „სოფლის წარმოდგენა“, „-“. 135. „რუსთაველის თეატრი“, „-“. 136. „ბრძანება ნომერი ხუთი“, „-“. 137. სასოფლო-სამეურნეო პიესები (8 რვა პიესა), „-“. 138. „ყრილობის შემდეგ“, 1935 წ. 139. „ანგარიშის მოლოდინში“, „-“. 140. „ყვავილნარი“, „-“. 141. „აკაკი თანამედროვე მწერლებს“, „-“. 142. თბილისის სამხატვრო აკადემია საბჭოთა საქართველოს ხუთმეტი წლისთავზე, 1936 წელი. 143. „ქართველი დრამატურგები მოსკოვში“, „-“. 144. „საქართველოს ოქტომბერი“, „-“. 145. „შეშინებული ანთიმოზი“ (კომედია ორ მოქმედ.), „-“. 146. „ერთი მრავალთაგანი“, 1937 წ. 147. „იაკობ ნიკოლაძე“, 1938 წ. 148. „ნათლია ისიდორე“ (პიესა ერთ მოქმედებად). 149. „ერნესტი როსი საქართველოში“, „-“. 150. „ბელადის სამშობლო ქალაქი“, „-“. 151. „ნიკო ფიროსმანიშვილის გამოფენა“, წინასიტყვაობა, „-“. 152. პიესები გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის, „-“. 153. „წვრილმანი“ (ერთ მოქმედებიანი პიესა), „-“. 154. „უკ-

რაინული თეატრი საქართველოში 50 წლის წინათ“, „-“. 155. „გორის აღწერა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, „-“. 156. „ავთანდილ თუმანოვის წიგნი“, „-“. 157. „გორელი ვაჭრები მე-19 საუკუნის დამდეგს“, „-“. 158. „გორის სასულიერო სასწავლებელი“, „-“. 159. „გორის თვითმართველობა წარსულში“, „-“. 160. „სოციალისტური ქალაქი გორი“ 1939 წ. 162. „ქალაქ გორის ისტორია“ (მიმოხილვა), „-“. 163. „გორი“ (ისტორიული ნარკვევი), 1940 წ. 164. „ქალაქ გორის ისტორია“ (განმეორება). 165. „რომანოზ სერგეის-ძე გამსახურდია“, 1939 წ. 166. „გიორგი ერისთავი“, „-“. 167. „საბჭოთა ცირკის 20 წლისთავი“, „-“. 168. „ავთანდილ თუმანოვი და მისი წიგნი“, „-“. 169. „გიორგი ერისთავი“, „-“. 170. „ნათლია ისიდორე“ (პიესა ერთ მოქმედებად), „-“. 171. „ნატო გაბუნია ცაგარლისა“, 1940 წ. 172. „სამი სპექტაკლი“, „-“. 173. მაკო საფაროვა-აბაშიძე, „-“. 174. „სოციალისტური ქალაქი გორი“, „-“. 175. „ქართული თეატრი მშენებლობის დროს“, „-“. 176. „მივცეთ საკუთარი პიესები ჩვენ თეატრს“, „-“. 178. „აკაკი“ (მონინავე), „-“. 179. „ახალი თეატრალური სეზონი“, „-“. 180. „მოვემზადოთ ღირსშესანიშნავ დღესასწაულისათვის“, „-“. 181. „დავით ერისთავი“, „-“. 182. „გიორგი ერისთავი“, „-“. 183. „სიყვარულის ხვეულები“ (პიესა 1 მოქმედებად), „-“. 184. „დებდემონას ცხვირსახოცი“, „-“. 185. „გორი“ (სომხურად) ერევანი, 1940 წ. 186. „გორი“ (უკრაინულად) კიევი, „-“. 187. „გორი“ ისტორიული ნარკვევი“, 1941 წ. 188. „თეატრის მდგომარეობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს“, „-“. 189. „შემოქმედებითი ზრდის წლები“, 1943 წ. 190. ძველი თბილისის მხატვარი“ (მამინოვი), 1944 წ. 191. „მზის დაბნელება მუსიკალურ კომედიის თეატრში“, „-“. 192. „ვახტანგ მჭედლიშვილი“, „-“. 193. „სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის ახალი ექსპონატები“, „-“. 194. „ზურაბ ანტონოვი“, „-“. 195. „ბულბული გალობს“ (პიესა ერთ მოქმედებად), „-“. 196. „სახიფათო ნაცნობობა“, „-“, „-“. 197. „სამშობლოს ძახილი“ „-“ (თარგმანი), „-“. 198. „სასტუმროში“, სცენა, გადმოქართულებული, 1944 წ. 199. „ალაპარაკა“, 1944 წ. 200. „ქართული საბჭოთა თეატრი“, 1945 წ. 201. „თეატრების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები“. 202. „კოტე მარჯანიშვილი ქალ. ვიატკაში“, 1945 წ. 203. ბოლოსიტყვაობა „გუშინდელნი“ (კომ. 3 მოქმ.), „-“. 204. წინასიტყვაობა „ლალატი“ (დრამა-ლეგენდა 5 მოქ.), „-“. 205. „ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი“, 1948 წ. 206. „კოტე ყიფიანი“, 1949 წ. 207. „ბათუმის თეატრი“, „-“. 208. „ბათუმის თეატრის იუბილე“, „-“. 209. „ნიკო გოცირიძის ხსოვნას“, „-“. 210. „ღიადი შემოქმედებითი მეგობრობა“, „-“. 211. „ბათუმის თეატრის 70 წელი“, „-“. 212. „კოტე ყიფიანი“, „-“. 213. „ბათუმის თეატრის იუბილე“, „-“. 214. „მნიშვნელოვანი თარიღი ქართული თეატრის ისტორიაში“, „-“. 215. „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“, „-“. 216. „მოსკოვის მცირე თეატრი საქართველოში“ (ბროშურა), „-“. და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

რაჟდენ გვეტაძე

პირადი ბარათი	
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	გარდაიცვალა 1952 წლის 1 დეკემბერს გვეტაძე რაჟდენ მათეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1897 თვე ივლისის დღე 28
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისში
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეზია, პროზა, თარგმანი
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1913 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	1916 წლიდან 1922 წლამდე ვეკუთვნოდი ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფს
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	საშუალო
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურისადმი:</p> <p>ა) ჯარის სახეობა</p> <p>ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი)</p> <p>გ) №</p> <p>დ) სამხედრო წოდება</p>	<p>არა სამხედრო ვალდებული</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>არა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>—</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>რუსთაველის პრ. 42</p>

რ. გვეტაძის მუშაობის შესახებ იხილეთ ავტობიოგრაფია.

შენიშვნა: ამასთანავე ვარდგენ მთავრობის დადგენილებას რაჟდენ გვეტაძის გარდაცვალების გამო, დადგენილებას №1923.

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

რაჟდენ მათეს-ძე გვეტაძის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1897 წელს, 28 ივლისს (ძველი სტილით), ქუთაისში. მამაჩემი იყო ქვისმჭრელი. პეტრიაშვილის სახელობის სამკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, უსახსრობის გამო, 12-13 წლის შევედი სტამბაში შევირდათ. იმავე დროს სწავლა განვაგრძე საღამოს სკოლაში, თანაც გამუდმებით ვკითხულობდი სხვადასხვა წიგნებს.

ლექსების წერა დავიწყე სულ ბავშვმა.

პირველად ჩემი მოზრდილი ლექსი დაიბეჭდა 1913 წელს. ეს იყო უფრო პოემა, დაწერილი ციხიდან გაქცეულ ყაჩაღ ბიბილაშვილზე. იგი ცალკე წიგნადაც გამოცა შახბარათოვმა, რომელიც იაფფასიან პატარა წიგნებს ბეჭდავდა ბ. კურცხალიას სტამბაში, სადაც მე ვმუშაობდი.

შემდეგ რამდენიმე ლექსი დავბეჭდე გაზ. „კოლხიდაში“.

1916 წელს ზესტაფონში გამოვეცი ლექსების წიგნი „მთვარის ზღაპარი“.

1917 წელს იქვე გამოვეცი „თეთრი წიგნი“.

1919 წელს ქუთაისში გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „დაბინდული ქარვები“. ამავე წელს ბოლშევიკ მუშების ინიციატივით არჩეული ვიქენი ქუთაისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კავშირის თავმრედი.

7-საათიან სამუშაო დღის მოთხოვნისა და ამ მოთხოვნების გასატარებლად გაფიცვის მოწყობისათვის, 1920 წლის დასაწყისში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამიკრძალა ქუთაისში ცხოვრება და გადმოვსახლდი თბილისში.

თბილისში სწავლა დავიწყე პროფ. ნუცუბიძის ხელმძღვანელობით არსებულ საღამოს კურსებზე.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, პოეტ გ. ქუჩიშვილთან ერთად, დავიწყე კორექტორად მუშაობა გაზ. „კომუნისტში“.

ორი წლის შემდეგ რეპორტიორად ვმუშაობდი. ხოლო 1924 წლიდან ამავე გაზეთის ლამის რედაქტორად ვიქენი დანიშნული. ამავე დროს, 1922 წლიდან 1925 წლამდე, ვიყავი „კომუნისტი“-ს ოფიციალური რეცენზენტი. რეცენზიებს ვწერდი უმთავრესად რუსთაველის სახელობის თეატრის წარმოდგენებზე.

1924 წ. გამოვიდა თბილისში ჩემი ლექსების წიგნი „ღამეები“.

1925 წელს ლექსების კრებული.

1927 წელს „მარულა“ (ლექსების წიგნი).

იმავე დროს ვწერდი ნარკვევებს გაზ. „კომუნისტში“.

შემდეგ ეს ნარკვევები გამოვიდა ცალკე წიგნად, „გადამწყვეტი წელი“-ს სახელწოდებით.

1927-28 წლებში არჩეული ვიქენი მწერალთა კავშირის ერთ-ერთ მდივნად.

1929 წელს დავწერე რომანი „თეო“.

1930 წელს, ერთი წლის განმავლობაში, ვრედაქტორობდი ჟურნალ „დროშას“.

1931 წელს გამოვიდა ჩემი მეორე რომანი „ჭიაკოკონა“.

1931 წლიდან ვმუშაობდი მწერალთა კავშირის გაზ. „ლიტერატურულ გაზეთის“ კოლეგიის წევრად და პ/მგ. მდივნად.

1935 წელს დავინიშნე მწერალთა კავშირის გამომცემლობის „საბჭოთა მწერალის“ (ყოფ. „ფედერაციის“) დირექტორის მოადგილედ, 1937 წლიდან – დირექტორად. ამ თანამდებობაზე ვმუშაობ დღემდე.

1935 წელს გამოვაქვეყნე მესამე რომანი „ლაშაური საღამოები“.

1936 წელს გამოვიდა ჩემი „ბელორუსული ნოველები“.

1939 წელს დავბეჭდე ლექსების წიგნი.

სამამულო ომის პირველ წლებში გამოვიდა ჩემი ლექსების ორი წიგნი: „თავდადებულნი“ და პოემა „ლელა“ (სამამულო ომის თემაზე).

1942 წელს ს. აბაშელთან და ხ. ვარდოშვილთან ერთად ვთარგმნე „სიმღერა როლანზე“.

1943 წელს გამოვეცი ინდური ეპოსი „რამაიანა“, რომელსაც ვთარგმნიდი თითქმის 7 წლის განმავლობაში.

ამავე წელს სიმონ ჩიქოვანთან ერთად ვიყავი ფრონტზე ყუბანში, რის შედეგადაც დავწერე წიგნი: „მართალი ნოველები“.

1945 წელს გამოვეცი სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსების წიგნი.

1946 წელს გამოვიდა ჩემი პროზაული ნაწარების ერთტომეული სახელწოდებით „პროზა“.

1916 წლიდან 1922 წლამდე ვეკუთვნიდი ქართველ სიმბოლისტების ჯგუფს, რომელსაც ეწოდებოდა „ცისფერი ყანწები“.

1940 წელს მიღებული ვიქენი სკკპ წევრობის კანდიდატად.

1941 წლის თებერვლიდან ვარ კპსს წევრი.

1922 წლიდან დღემდე ვირიცხები საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრად.

1939–1945 წლებში ვიყავი ამავე კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

იაკინთე ხომერიკი – ლისაშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ხომერიკი იაკინთე ბარნაბის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	იაკინთე ლისაშვილი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1897 თვე სექტემბრის დღე 19
	(ძველი თუ ახალი სტილი) ს. ზედაბანი (ოზურგეთის რაიონი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პოეტი, პროზაიკოსი
8. რა ენაზე წერს	ქართულზე
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1918 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წლიდან
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	პროლეტ. მწერალთა ასოციაცია
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	სკკპ – წევრი
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლის ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დამთავრებული მაქვს კომუნისტური უნივერსიტეტი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	1916-1917 წ. ვიყავი ჯარისკაცი
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	ემსახურობდი ჯარში, მაგრამ ვმუშაობდი როგორც ასოთამწყობი 1919–1921 წ.
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>უფროსი პოლიტმემადგენლობა</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერალი</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველო – დირექტორი</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გოგებაშვილის 43</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1913	1914	ასოთამწყობი	თავართქილაძის სტამბა	ბათუმი
1916	1917	ჯარის კაცი		
1917	1921	ასოთამწყობი	სამხედრო სამი- ნისტროში	თბილისი
1921	22	პოლიტგანყოფ. უფროსი	ქართული დივი- ზიისა	„-“
1922	26	სტუდენტი კომ. უნივერსიტეტისა	განათლების კომისარიატისა	„-“
1926	1928	ინსტრუქტორი	საქ. სახკომსაბ- ჭოს	
1928	31	რედაქტორი	ცეკავშირის გაზეთ „კოოპერაცია“	„-“
1931	36	დირექტორი	გამომც. „ფედერა- ცია“	„-“
1936	-	თავმჯდომარე	სარეპერტუარო კომიტეტისა	„-“
1936	39	დირექტორი	საქლიტფონდისა	
1939	დღემდე	საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს დირექტორი		თბილისი
სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.				

ი. ლისაშვილი-ხომერიკის ნაწარმოებთა სია:

პოეზია:

1. „უნაყოფო ნუგეში“, პიესა, 1919 წ.
2. „მანქანების ქრადები“, ლექსები, 1923 წ.
3. „ზვირთების ქარავანი“, პოემა, 1926 წ.
4. ლექსები და პოემები, 1927 წ.
5. „გაშლილი ფლოტი“, ლექსები, 1931 წ.
6. ლექსები, კრებული, 1935 წ.
7. პოემები.

პროზა:

8. „ვარდნილი“, რომანი, 1933 წ.
9. „კადონა“, მოთხრობა, 1934 წ.
10. „ძახილი მთაში“, რომანი, I ნიგნი, 37 წ.
11. „კოლხეთის მზე“, მოთხრობა, 39 წ.
12. „ძახილი მთაში“, რომანი, 1-2 ნიგნი, 40 წ.
13. მოთხრობები, 1940 წ.
14. „კეცხოველი“, რომანი, 1941 წ.
15. მოთხრობები სამამულო ომზე, 1942 წ.
16. სამი მოთხრობა რუსულად, 1942 წ.
17. „სიცოცხლისათვის“, რომანი, 1946 წ.
18. „ნათელა“, „-“.
19. „ერთგულება“, „-“.
20. „პროზა“, ტომი I, 1948 წ. და სხვ.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1897 წელში, 8 სექტემბერს. მამაჩემი იყო ღარიბი გლეხი. ექვსი წლიდან დავიწყე მუშაობა ყანაში და სოფლად სწავლისაგან თავისუფალ წუთს, 1923 წლამდე, მუშაობაში ვატარებდი. მუდამ ყანა და ტყე – მეტის მეტად მძიმე შრომა. წინამძღვრობა, თონა, ხვანა, შემის, შპალების და ხე-ტყის სხვა მასალების დამზადებაზე მუშაობა. აშშ-ში მყოფი საქონლის ნაკვალევში ჩამდგარი ყვითელი წყლის სმა და კოლოების მწვავე კბენა მინდვრებში თუ ტყეებში. სოფლადვე სკოლაში სწავლის დროს ძალიან ცელქი ხშირი ჩხუბი და გარტყმა, რის გამო მასწავლებელი ხშირად მაგდებდა სკოლიდან და ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ მასწავლებელთან ცუდი დამოკიდებულების გამო მეოთხე განყოფილებაში ორი წელი ვიჯექი (მანამდე ვსწავლობდი კარგად) – მასწავლებელი (კ. სვანიძე) არც მკითხავდა რასმეს და არც მე ვუპასუხებდი. ჩვენ „გადაკიდებულები“ ვიყავით. ამის გამო მივატოვე სწავლა და გავყევი ბიძას ბათომში, სადაც მიმაბარეს მოწვევად სტამბაში გ. თავართქილაძესთან სამი წლით. აღნიშნული მეპატრონე მეტის მეტად სასტიკი და ძუნწი აღმოჩნ-

ნდა. აქ სტამბაში ჩემი მუშაობა იწყებოდა დაახლოებით დილის 5 საათიდან. სტამბის გაღება და მისი გამოგვა-გასუფთავება ხშირად ფანჯრებისა და იატაკის მორეცხვით. მუშების სტამბაში მოსვლის შემდეგ მეპატრონეს სახლში გაქცევა და „ხაზეიკასთან“ ბაზარში კალათით გამგზავრება „პროვიზიის“ მოსატანად, შემდეგ საჩქაროდ ისევ სტამბაში დაბრუნება და იქ მეპატრონის საყვედურები იმის შესახებ, თუ „სად დავიკარგე“. შემდეგ თავაუღებელი მუშაობა ასოთ-ამწყობად, დღის ორ საათისათვის გაქცევა მეპატრონის სახლში „ბორშის“ ამოსახვლეპად, სადაც ქვის გამხეთქი თვალებით დარაჯად იჯდა „ხაზეიკას“ დედა და მისი ხშირი შენიშვნები იმის შესახებ, რომ იერიში მომეტანა არა პურზე, არამედ წვენზე, რომელიც მაინც ტყვილად უნდა გადაეღვართ. ისევ სტამბაში. მუშების უმრავლესობა საღამოს 6 საათისათვის მიდიან, ხოლო რჩება მცირე ნაწილი 1–3 კაცამდე ნარდ სამუშაოზე. მეც სტამბაში ვრჩები ღამის 12–2 საათამდე (ერთხელ ღამის პირველი საათი იქნებოდა, მე ვმუშაობდი მანქანა „ამერიკანკაზე“, მეძინებოდა და საკუთარი ხელი შიგ მივაბეჭდე, ძლივს მეორე ხელით უკანვე დავაბრუნე მანქანა და ჩემი ხელი დაემსგავსა თორნის პურს. სასტიკი ტკივილები). ვბრუნდები შემდეგ სტამბის შენობის ჩერდაკში – ერთ პატარა ოთახში, სადაც ენყო ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმის“ რამდენიმე ათასი ცალი (რომელსაც ზოგჯერ კვირაობით ვკითხულობდი). სტამბაში მუშების დიდი უმრავლესობა რევოლიუციონერად იყვნენ განწყობილნი, რომელთა რიცხვში „ხაზეიკამ“ მეც ჩამწერა და უაქტივესად გამომაცხადა, ხოლო იყო აგრეთვე ორიოდ რწმენის არ მქონე მუშა, რომლებიც არა ნაკლებ 16 საათს მუშაობდა დღე და ღამეში იმისათვის, რომ მეპატრონეს გული მოეგოთ. მეპატრონეც აფასებდა მათ და სახლში ხშირად სადილად პატიჟებდა. სტამბაში აღმოჩნდა ერთი ძველი პროვოკატორი, რომელიც რუსეთიდან ბათომში ჩამოვიდა სამუშაოდ. და მან გასცა რამდენიმე ამხანაგი, რომელთა ნაწილი გადაასახლეს. მე ვხდები ავად და ორ თვეს საავადმყოფოში ვწევარ, ხოლო გამოსვლის შემდეგ, ვინაიდან მეტის მეტად განადგურებული აღმოვჩნდი, მეპატრონემ უარი განაცხადა, ჩემი სტამბაში მიღებამდე რომ ჩემს ნაცვლად აეყვანა ვინმე სხვა უფრო ჯანსაღი, 1914 და მე ვბრუნდები სოფელში. ცოტათი მოვსულიერდი: იწყება მსოფლიო ომი. მიჰყავთ ჩემი უფროსი ორი ძმა. მე ვმუშაობ სოფლად, ხოლო 1916 წ. მეც მეფის ჯარში გამინვიეს. ვიმსახურე ერთი წელი, ომში გასვლა არ მომწევია, ხოლო სამხედრო სასურსათო მაღაზიებში დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში ჩემს ზურგზე გადაიარა ასეულმა ვაგონმა ტვირთმა. ვსცლიდით ვაგონებს და 5 საყენის მანძილზე მიგვქონდა 5–8 ფუთიანი ტომრები პურის ფქვილით, შაქრით და სხვა. მე ჯარში უახლოეს ამხანაგებს ვაიმედებდი მომავალი რევოლიუციით. ხშირად მაყენებდნენ თოფის ქვეშ, ხოლო განსაკუთრებით მახსოვს ფუთნახევარი ქვა აკიდული დგომა 4 საათი ერთად.

1917 წ. თებერვლის რევოლიუცია მოხდა. ვბრუნდები სახლში 1917 წ. სოფელში არაჩვეულებრივი სიძლიერით ჩემში გაიღვიძებს ცოდნის შეძენის სურვილი. ჩვენს სოფელში რამდენიმე ახალგაზრდებმა მოაწყო წარმოდგენები და მისი შთაბეჭდილებით ვსწერ ერთ მოქმედებთან პიესას, სადაც დაცინვით არის გამოყვანილი მემამულე, რომელმაც მინები დაჰკარგა. თათრებთან ბრძოლის დროს მეც მივიღვიარ და მონაწილეობას ვიღებ თათრების

წინააღმდეგ ბრძოლაში მდინარე ჩოლოქთან. 1918 წ. დასაწყისში მოვდივარ ტფილისში და ვინყებ მუშაობას სამხედრო სტამბაში (აქ სამხედრო მოვალეობასაც ვიხდიდი). ამავე წელს ვენერები მბეჭდავთა კავშირის წევრად. სოფლად დაწერილ ვოდევილს „უნაყოფო ნუგეში“ სცემს „თეატრი და ცხოვრება“-ს გამომცემლობა პატარა წიგნაკად. დაწერე ოთხ მოქმედებიანი დრამა თათრებთან ომის შთაბეჭდილებიდან 1919 წ. „ომის ბრალია“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მხედარში“. მუშაობის შემდეგ ვმაცადინობდი და ვწერდი. ვწერდი ლექსებსაც 1918 წლიდანვე, ჩემში თანდათან დაიწყო მენშევიკების ქორების გაფანტვა ბოლშევიკებზე და („დაკეტილი ვაგონის“ შესახებ ლენინზე და სხვა), ხოლო 1919 წლის დასაწყისში მე უკვე გარკვეული ბოლშევიკი ვიყავი. დავიწყე მუშაობა სტამბის მუშებში, რისთვისაც ძალიან ხშირად ეჭვით ციხეში ვიგზავნებოდი, ხოლო გამოსვლის შემდეგ 3-4 დღეში ისევ მაპატიმრებენ.

1920 წლის დასაწყისში ოფიციალურად ვენერები კომპარტიაში და მბეჭდავ მუშათა შორის ვაცხოველებ მუშაობას. ვთანამშრომლობ გაზეთ „კომუნისტში“. ბოლშევიკების ბლოკიდან მე გამიყვანეს მბეჭდავთა პროფკავშირის გამგეობის წევრად ამხ. ვ. ბოლქვაძესთან, სიაშვილსა და სხვებთან ერთად, ხოლო ჩქარა ჩვენ დაგვაპატიმრეს და გადაგვაგზავნეს ქუთაისის ციხეში, სადაც ვრჩები გასაბჭოებამდე. გასაბჭოების შემდეგ ჩამოვდივართ ტფილისშივე და აქ ვმუშაობ სხვადასხვა ადგილას. სტამბაში მუშაობის დროს მე მოვახერხე თვითმომზადებაც კლასიკურად (მხოლოდ მათემატიკურ საგნებში მეხმარებოდა ერთი ამხანაგი) და 3 თვის მეცადინეობით გამოცდა ჩავაბარე მე-5-თე კლასში, პროფ. ნუცუბიძის კურსებზე (სალამოს მეცადინეობა), რომელიც დავასრულე გასაბჭოების შემდეგ.

1922–26 წლებში დავამთავრე ა/კ. კომუნისტური უნივერსიტეტი. 1920 წ. ციხეში იჯდა სანდრო ეული და ჩვენ ვლაპარაკობდით პროლეტმწერალთა კავშირის დაარსებაზე. გასვლის შემდეგ, მართლაც, 1921 წ. მე მოვძებნე ი. ვაკელი და ჩვენ სამმა კაცმა დავიწყეთ ზრუნვა პროლეტმწერალთა ასოციაციის მოწყობის საქმეზე, რომელიც რ. კალაძისა და ს. თოდრიას დახმარებით კიდევაც მოვანყვით. 1923 წ. გამოდის ჩემი პირველი ლექსების კრებული „მანქანების ქრალეები“. ვთანამშრომლობდი ჟურნალ „მუქურაში“, „მნათობში“, „დროშაში“, „მერცხალში“, „ლიანდაგში“, „მომავალში“, „პროლეტარულ მწერლობაში“, „ქართულ მწერლობაში“, „ნა რუბეჟე ვოსტოკაში“ და სხვა. გაზეთებში: „კომუნისტში“, „ორიონში“ და სხვა. 1926 წ. დაიბეჭდა ცალკე წიგნად ჩემი პოემა: „ზვირთების ქარავანი“. 1927 წ. ლექსების და პოემების მეორე კრებული (გამოცემა სახელგამის). 1931 წ. სახელგამში დაიბეჭდა ჩემი ლექსების მესამე კრებული „გაშლილი ფრონტის“ სათაურით. 1933 წ. დაიბეჭდა გამომცემლობა „ფედერაცია“-ში ჩემი რომანი „ვარდნილი“. 1935 წ. გამოვიდა ცალკე წიგნად „სალიტერატურო გაზეთის“ გამოცემით ჩემი მოთხრობა „კადონა“. ამავე წელს დაიბეჭდა სახელგამის გამოცემით ჩემი ყველა პოემები ცალკე წიგნად. დაიბეჭდა აგრეთვე ჩემი ლექსების მეოთხე კრებული (გამომც. „ფედერაცია“). ამას გარდა, ცალკე ჟურნალებში მაქვს დაბეჭდილი პატარა მოთხრობები, პიესები და სხვა.

იაკინთე ლისაშვილი

ალექსანდრე ქუთათელაძე – ქუთათელი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ქუთათელი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	ალექსანდრე ქუთათელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1897 თვე აგვისტოს დღე 25
	(ძველი თუ ახალი სტილი) ქუთაისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, პოეზია, კრიტიკა
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1927 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1934 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	არსად
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი დაუმთავრებელი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	რუსული, ვკითხულობ გერმანულს, აგრეთვე ძვ. ბერძნულს
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	4 თვე ვიყავი მენშვევიკური მთავრობის დროს, როცა თურქები შემოესია საქართველოს
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>3 რაზრიადის სათადარიგო ოფიცერი – ვუს</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>მწერლობა</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>მე არა, ჩემი ძმა იყო დაპატიმრებული 1937 წელს თავისი ოჯახობით, რაზე, დღემდე ჩემთვის გაურკვეველია</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მწერლობა</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>გოგებაშვილის 43</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში

(შრომითი საქმიანობა)

თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ად- გილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1922	24	კლუბის გამგის მოადგილე	ქართული დივიზიის პირველი პოლკისა	თბილისი
1924	26	პედაგოგად	თბილისის მერვე სკოლა	
1926	30	პედაგოგად	მე-7 შრომის სკოლა	
1930	34	ლექტორად	ცენტრალური პარტიული სკოლა	
1934	36	ლექტორად	მარქსიზმ-ლენი- ნიზმის კურსებზე	
1936	40	პროზის განყ. გამგე	ჟურნალ „მნათო- ბის“ რედაქცია	
1952		იმავე თანამდე- ბობაზე	საქ. მწერალთა კავ- შირის სექციაში	
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ქუთათელის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1897 წელს 25 აგვისტოს, ქალ. ქუთაისში, იურისტის ოჯახში.

1917 წელს დავამთავრე თბილისის მესამე გიმნაზია, 1917–20 წლებში ვსწავლობდი თბილისის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ შემდეგ 1920 წლიდან გადავედი სიტყვიერების ფაკულტეტზე, უკანასკნელი კურსიდან კი გამოვედი უნივერსიტეტიდან.

1922 წლიდან 1936 წლამდე ვმუშაობდი პირველ ქართულ სამხედრო ნაწილის კლუბის დირექტორის მოადგილეთ და მასწავლებლად სამხედრო პოლკში, მე-7 შრომის სკოლაში, აგრეთვე ცენტრალურ პარტიულ სკოლაში – ლექტორად (კომუნისტურ უნივერსიტეტში). აგრეთვე ვასწავლიდი მარქსიზმ-ლენინიზმის თბილისის ცენტრალური კომიტეტის კომუნისტურ კურსებზე.

1938 წლიდან 40 წლამდე ვიყავი ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგე (საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო).

ჩემი პირველი დრამატიული ნაშრომი პიესა „ხირსეს გველი“ დაიბეჭდა 1927 წელს თეატრის საიუბილეო ჟურნალ „სახიობაში“. შემდეგ ჩემი ნაშრომები იბეჭდებოდა პერიოდულ ჟურნალებში.

ჩემი რომანები, ნოველები და ლექსები გამოცემულია ცალკე წიგნებად. დაჯილდოვებული ვარ მედლით „მამაცური შრომისათვის“.

ალ. ქუთათელის ნაწარმოებთა სია:

1. „ხირსეს გველი“, პიესა; 2. შუალამე გადავიდა პიესა; 3. სივილა; 4. „მუზარა“; 5. „ხობის ბირჟა“; 6. „გლოვა“; 7. „ცხენოსანი“; 8. „საავადმყოფო“; 9. „გაიანე“; 10. „თაგეები“; 11. „მომღერალი ცოლი“; 12. „მხოლოდ ათი ქიქა“; 13. „პარტიზანები“; 14. რომანი „პირისპირ“; 15. ლექსთა ორი კრებული; 16. კრიტიკული და პუბლიცისტური ნერილები; 17. ესქილე, პრომეთე (თარგმანი); 18. „იონა და მავრა“; 19. აბესალომ და ეთერი; 20. მხოლოდ ათი ქიქა; 21. პირისპირ მეორე, მესამე წიგნი.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვდასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ალექსანდრე ქუთათელი¹

გამოჩენილი ქართველი მწერალი ალექსანდრე – ნიკოლოზის ძე ქუთათელი 1898 წელს ქალაქ ქუთაისში დაიბადა. იგი იურისტის და განათლებული ქალის მეცხრე – უკანასკნელი შვილი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა და პირველდანიყებითი განათლების მიღების მერმე, ყმანვილი უფროსმა ძმამ, პროფესორმა, იმჟამად პედაგოგმა – ნიკო ქუთათელაძემ თბილისში წაიყვანა და იქ ზრდიდა.

1. ავტობიოგრაფი ალექსანდრე ქუთათელის მიერ მესამე პირშია დაწერილი (გამომცემლის შენიშვნა).

ქუთათელმა თბილისში რუსული კლასიკური გიმნაზია 1917 წელს დაამთავრა და კიევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა...

თურქეთთან ომში მონაწილეობის მერმე იგი თბილისში 1918 წელს დაარსებულ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ მალე ფილოლოგიური ფაკულტეტი აირჩია. აქ იგი პეტროგრადის უნივერსიტეტიდან პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისში მონწვეულ, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს, ანტიკური ფილოლოგიის დოქტორს, პროფესორს – გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს დაუახლოვდა. წერეთელი მას თავის ბინაზეც ამაცადინებდა, ძველი ბერძნულის იონიურ, დორიულ კილოკავებში წვრთნიდა, თავის კათედრაზე დატოვებას უპირებდა.

უნივერსიტეტის დამთავრებისას – 1923 წელს ა. ქუთათელმა ბერძნული მითოსის სიუჟეტზე აგებული დრამა – „ქრისე“ დასწერა და იგი თავის საყვარელ პროფესორს მიუძღვნა. ის დრამა მწერალმა ქართული თეატრის 70 წლისთავის ჩატარებისათვის შექმნილ სახელმწიფო კომიტეტში წარადგინა და კონკურსზე პირველობა აიღო. დრამა ზეიმისათვის მიძღვნილ ჟურნალში – „სახიობაში“ დაიბეჭდა. ეს ქუთათელის მიერ დაბეჭდილი პირველი მხატვრული ნაწარმოები იყო. მეორე ნაწარმოები გახლდათ კომედია – „ნაშუალამევს“, რომელიც ცნობილმა რეჟისორმა – კოტე მარჯანიშვილმა თავის თეატრში დადგა.

ალექსანდრე ქუთათელის ძირითად ნაწარმოებად ითვლება ლენინის პრემიის მოსაპოებლად 1963 წელს წარდგენილი ორტომიანი რომანი „პირისპირ“. რომანში მოთხრობილია მეოცე საუკუნის ახალგაზრდა კაცის ცხოვრება, მისი ზრდა და განვითარება, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ფონზე იმდება.

1925–1936 წლებში მწერალი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ასწავლიდა ქართულ, რუსულ ენასა და ლიტერატურას სამხედრო სკოლაში, ტენიკუმში, საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტთან არსებულ მარქსიზმისა და ლენინიზმის შემსწავლელ კურსებზე.

რომანის „პირისპირის“ გარდა ქუთათელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ცალკე ნიგნებად გამოცემული მოთხრობები და ლექსები. ცნობილია მისი მოთხრობები: „აბესალომ და ეთერი“, „იონა და მანანა“; ლექსები – „პეპლების ასული“, „ჩალვადრები“, „ალისმერეთი“... მწერალმა ბევრი იმუშავა თარგმნის დარგშიც. მან ძველი ბერძნულიდან თარგმნა და აკადემიკოსის – ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა ესქილეს ტრაგედია „პრომეთე“. ჟურნალ „მნათობმა“ გამოაქვეყნა ქუთათელის მიერ გერმანულიდან თარგმნილი გოეთეს „ფაუსტის“ პირველი ნიგნი, ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა მისი წერილები და სტატიები.

ა. ქუთათელის რომანი „პირისპირ“, აგრეთვე ზოგიერთი მოთხრობა და ლექსი თარგმნილია რუსულ, ბელორუსულ, ჩეხურ, პოლონურ, ფრანგულ და სხვა ენებზე. მწერალმა ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა პოემა გრიგოლ ორბელიანზე „ბედის მდევარი“, და რომანი: „სათვალთვალ“, რომელსაც გამომც. „მერანი“ 1933 წელს გამოსცემს.

შალვა ალხაზიშვილი

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	ალხაზიშვილი შალვა ილიას-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	–
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1899 თვე მარტი დღე 27
	(ძველი თუ ახალი სტილი) თბილისი
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	გლეხი, მწერალი
6. სოციალური მდგომარეობა	მოსამსახურე
7. ლიტერატურული ჟანრი	კრიტიკა (ლიტერატურა და ხელოვნება)
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1923 წ.
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1936 წ.
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	ქართველი მემარცხენეები „ფუტურისტები“
12. პარტიულობა, № პარტიბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არსად

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	დაუმთავრებელი უმაღლესი
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	ქართული, რუსული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	არა
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემადგენლობა (უფრ. მეთაურთა შემადგენლობა, უმცროს მეთაურთა შემადგენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო ნოდება</p>	<p>მობსნილია აღრიცხვიდან</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, როდის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედალი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედალი „მამაცური შრომისათვის“</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>ჟურნ. „მნათობის“ რედაქცია</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ნაკადის შეს. 3</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

მუშაობა წარსულში				
(შრომითი საქმიანობა)				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშ- ვნით	უნწყება, რომელშიც შედის დანესებუ- ლება, ორგანიზა- ცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღ- გულმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1921	23	სააგიტაციო ნაწ. მდივანი	ქართული დივიზი- ის პოლიტ განყო- ფილება	თბილისი
1923	26	კულტგანყოფი- ლების მდივანი	საბჭოთა მუშაკე- ბის პროფესიონა- ლური კავშირი	„—“
1928	34	სასცენარო განყ. გამგე – კინოსტუდია	სახკინმრეწვი	„—“
1935	–	პ/მგ. მდივანი	დრამსექციისა მწე- რალთა კავშირი	„—“
1935	38	თეატრისა და დრამატურგიის რედაქტორი	სარეპერტუარო კომიტეტი	„—“
1938	41	ლიტმუშაკი	ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“	„—“
1941	45	რედაქტორი- კონსულტ. კინო- სცენარ. განყ.	სახკინმრეწვი	„—“
1945	47	უფრ. რედაქტო- რი თეატრსა და დრამატურგიაზე	სარეპერტუარო კომიტეტი	„—“
1948		ბიბლიოგრაფ. განყოფ. გამგე	ჟურნ. „მნათობის“ რედაქცია	„—“
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

შეკვ. №193. ტ. 1000

ხელმოწერა _____

შალვა ილიას-ძე ალხაზიშვილის ავტობიოგრაფია

დავიბადე 1899 წელს, 27 მარტს (ახ. სტ.) ქალ. თბილისში.

მამაჩემი იყო ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (ილია სოლომონის-ძე ალხაზიშვილი, 1853–1921) წარმოშობით გლეხი იყო.

1917 წელს დავამთავრე რუსული კლასიკური გიმნაზია ქალ. გორში. შემდეგ ვსწავლობდი თბილისის სახ. უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ მატერიალური სივინროვის გამო სწავლას თავი დავანებე და დავინწყე მუშაობა. პირველად ვმუშაობდი მასწავლებლად ქართული ენისა საშუალო სკოლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდიდან სამუშაოდ გადაველი კულტ-მუშაკად ქართულ დივიზიაში, ამის შემდეგ კი მუშაობა დავინწყე პროფკავშირებში.

პირველად ლიტერატურულ სარბიელზე გამოვედი, როგორც თეატრის კრიტიკოსი და რეცენზენტი. წერილებს ვათავსებდი ჟურნ. „სანახაობა“ და „ხელოვნების დროშა“, 1923 წ.

1924 წელს თბილისში ჩამოყალიბდა მემარცხენე ფრონტი და მეც გავხდი მათი წევრი. მონაწილეობას ვღებულობდი ჟურნალებსა, კრებულებსა და გამოსვლებში ამ ორგანიზაციის წევრებთან ერთად.

1928 წელს ჩამოვშორდი ამ ორგანიზაციას და მუშაობა დავინწყე ქართული კინემატოგრაფიის ხაზით, პირველად როგორც სცენარისტი, ხოლო შემდეგ დანიშნული ვიქენი სასცენარო განყოფილების გამგედ.

ვათავსებდი რეცენზიებს და წერილებს კინოსურათებზე ქართულ გაზეთებში, ჟურნალებში და სხვ.

1935 წლიდან მუშაობა დავინწყე საქართველოს საბჭოთა მწერ. კავშირის დრამატიულ სექციაში პ/მგ. მდივნად, შემდეგ მთავარ რედაქტორად რეპერტკომისა, სადაც ვიმუშავე 1938 წლამდე.

სამამულო ომის წლებში ვმუშაობდი კინემატოგრაფიის ხაზით. გაზ. „ლიტ. გაზეთში“ ვათავსებდი წერილებს სამამულო ომის თემაზე და თანამედროვე საკითხებზე.

ჩემი ნაწარმოებები (წერილები და რეცენზიები):

1. „მხატვარი თეატრში“, 1924 წ.
2. თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება რუსეთში, 1924 წ.
3. „ლუდვიგ ბეთხოვენი“, 1927 წ. (წერილი).
4. „შენიშვნები კინემატოგრაფიაზე“.
5. „ქართული კინემატოგრაფია 10 წლის განმავლობაში“.
6. „მხატვარი ა. მრევლიშვილი“, 1934 წ.
7. „ფრანსუა რაბლე“, 1938 წ.
8. „მიქელ ანჯელოს ქანდაკებანი“, 1939 წ.
9. „შევჩენკო, როგორც მხატვარი“, 1939 წ.
10. „მხატვრობის ზოგიერთ საკითხებზე“, „-“.
11. „მარგარიტა გოტიე“ მარჯანიშვილის თეატრში, 1940 წ.

12. „რეალიზმი და გაბაშვილი“, „-“.
13. „ჩაიკოვსკი და ქართული კულტურა“, „-“.
14. „შენიშვნები კინო რეპერტუარზე“, „-“.
15. „თანამედროვეობა და ისტორიული თემა“, „-“.
16. „შექსპირის პატრიოტიზმი“, „-“.
17. „ილია რეპინი და ივანე თარხნიშვილი“.
18. „ქართული მხატვრობა გამოფენაზე „იზო“, 1947 წ.
19. „ქართული საბჭოთა ხელოვნება“.
20. „ბრძოლა სურათისათვის“.
21. „ქეთო მაღალაშვილის მხატვრობა“, 1948 წ.
22. „ირაკლი გამრეკელი“, „-“.
23. „რუსული პოეზიის ანთოლოგიაზე“, 1948 წ.
24. „ს. კლდიაშვილის ნოველები“, „-“.
25. „ნ. აბაშიძის მოთხრობები“, „-“.
26. „თბილისის ოპერის თეატრის ისტორია“, 1952 წ.
27. „ლეონარდო და ვინჩი“.

1952 წ.

სწორია: ნ. კლდიაშვილი., 1956 წ.

ნ. თოფჩიშვილი.

პოლიო აბრამია

პირადი ბარათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრისა (კანდიდატისა)	
1. გვარი, სახელი და მამის სახელი	აბრამია პოლიო ერმილეს-ძე
2. ლიტერატურული ფსევდონიმი	პ. ოდიშელი
3. დაბადების თარიღი და ადგილი	წელი 1899 თვე აგვისტო დღე 28
	(ძველი თუ ახალი სტილი)
4. ეროვნება	ქართველი
5. სოციალური წარმოშობა	ყოფ. აზნაური
6. სოციალური მდგომარეობა	ინტელიგენტი (ცოლიანი)
7. ლიტერატურული ჟანრი	პროზა, პოეზია
8. რა ენაზე წერს	ქართულად
9. ლიტერატურული მუშაობის დასაწყისი	1918 წელი
10. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლის დრო და ბილეთის №	1943
11. რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციებში ირიცხებოდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში შესვლამდე	პროლეტარულ მწერლობას
12. პარტიულობა, № პარტბილეთისა, შესვლის დრო და სად არის აღრიცხვაზე	უპარტიო
13. იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე	არა

14. აქვს თუ არა პარტიული სასჯელი (როდის, რისთვის და ვინ დაადო სასჯელი)	არა
15. განათლება (სასწავლებლის დასახელება, დაამთავრა თუ არა, სწავლისა ან დამთავრების წლები, რომელი ფაკულტეტი)	უმაღლესი დაუმთავრებელი (ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსიდან)
16. აქვს თუ არა სამეცნიერო ხარისხი (წოდება)	არა
17. უცხო ენათა და სსრკ ხალხთა ენების ცოდნა (რა ენები იცის: კითხულობს, წერს, ლაპარაკობს)	კარგად ვიცი რუსული და ქართული
18. მსახურობდა თუ არა ძველ არმიაში, სად, როდის, რა თანამდებობაზე (წოდება)	არა
19. მსახურობდა თუ არა არმიებსა და რაზმებში, რომლებიც ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას (რომელში, სად, როდის, რა თანამდებობაზე)	არა
20. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს წითელ არმიაში, (სად, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	სამხრეთ და ჩრდ. კავკასიის ფრონტზე მწერლის თანამდ. მთარგმნელად, რედ. მუშაკად
21. მსახურობდა თუ არა სამამულო ომის დროს საბჭოთა არმიაში (სად, როდის, რა თანამდებობაზე და იღებდა თუ არა მონაწილეობას ბრძოლებში)	იხ. მუხ. 20
22. იყო თუ არა ტყვედ (სად, როდის, რა გარემოებაში ჩავარდა ტყვედ და როდის განთავისუფლდა ტყვეობიდან)	არა
23. იმყოფებოდა თუ არა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამამულო ომის პერიოდში (სად, როდის და რა სამუშაოს ასრულებდა ამ დროს)	არა

<p>24. დამოკიდებულება სამხედრო სამსახური-სადმი: ა) ჯარის სახეობა ბ) შემაღენლობა (უფრ. მეთაურთა შემაღ-გენლობა, უმცროს მეთაურთა შემაღ-გენლობა, რიგითი) გ) № დ) სამხედრო წოდება</p>	<p>რიგითი 134 „ვუს“</p>
<p>25. იყო თუ არა საზღვარგარეთ (სად, რო-დის, რამდენ ხანს)</p>	<p>არა</p>
<p>26. ცხოვრობს თუ არა ვინმე ნათესავთაგან საზღვარგარეთ</p>	<p>არა</p>
<p>27. საზოგადოებრივი მოღვაწეობა</p>	<p>–</p>
<p>28. იყო თუ არა მიცემული პასუხისგებაში ადმინისტრაციული სასჯელი</p>	<p>არა</p>
<p>29. მთავრობის რა ჯილდოები (ორდენი, მედა-ლი) აქვს, როდის არის დაჯილდოებული და რისთვის</p>	<p>მედეგები: „გერმანიაზე გამარჯვე-ბისათვის“, „მამაცური შრომისათ-ვის“ სამამულო ომის დღეებში</p>
<p>30. მუშაობის ადგილი (აღინიშნოს, შტატშია თუ ხელშეკრულებით მუშაობს)</p>	<p>მთარგმნელი (ხელშეკრულებებით)</p>
<p>31. ბინის მისამართი და ტელეფონი</p>	<p>ლენინგრადის 10</p>

„ — “ _____ 195 წ.

ხელმოწერა _____

<p style="text-align: center;">მუშაობა წარსულში (შრომითი საქმიანობა)</p>				
თარიღი (თვე, წელი)		თანამდებობა, დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს აღნიშვნით	უნწყება, რომელშიც შედის დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო	დანესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ადგილმდებარეობა (უჩვენეთ ქალაქი, რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა)
შეუდგა	წავიდა			
1923	1932	რედაქტორის მოადგ. ჟურნ. „რემედასი“		
1932	1933	გაზ. „კინომუშაკი“-ს რედაქციის მდივანი	საქ. კინომრეწველობა	თბილისი
1934		ჟურნ. „ავტოდორი“-ს მდივანი	მდივანი	„-“
1934	1936	გაზ. „მუშას“	კორესპონდენტი კოლხოზცენტრისა	„-“
1938		მთ. რედაქტორად რადიოგადაცემათა	რადიოკომიტეტი	„-“
1942		რედ. ფრონტის გაზ. „სამხრეთის ფრონტი“ („სამშობლოს ღირსებისათვის“)	რედაქტორად	წავედი მომქმედ არმიაში
1942		ჩრდილო-კავკასიის ფრონტის გაზეთ „წინ გამარჯვებისაკენ“, პირველად მთარგმნელად, შემდეგ გამომცემის მოადგ.	რედაქტორი და მთარგმნელი	ომის დამთავრებაამდე
1945	1947	ჟურნ. „მნათობის“ რედაქციაში	განყ. გამგე	თბილისში
1947	1949	გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია	მთარგმნელად და ვნერდი ნარკვევებს	„-“
		ამის შემდეგ გადავედი ლიტერატურულ მუშაობაზე		
		სწორია: ნ. კლ., 1956 წ. ვადასტურებ სამდივნოს		
		გამგე: ნ. თოფჩიშვილი.		

პოლიო ერმილეს-ძე აბრამიას ავტობიოგრაფია

მე დავიბადე 1899 წელს აგვისტოს 28-ს, ხობის რაიონში, სოფ. ხორგაში. ჩემი მშობლები მეურნეები იყვნენ. 1915 წელს დავამთავრე სოფ. ხორგის ორკლასიანი სასწავლებელი, 1918 წ. ქ. ფოთის სამოქალაქო სასწავლებელი. იმავე წელს შევედი ქ. ფოთის გიმნაზიაში. 1919 წ. გადავედი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრე 1921 წ. 1922 წ. შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მესამე კურსიდან თავი მივანებე მეცადინეობას. მას შემდეგ ვცხოვრობ ლიტერატურული შრომით.

ლექსების წერა დავიწყე ჯერ კიდევ მონაფეოების დროს. ჩემი პირველი ლექსები პ. ოდიშელის ფსევდონიმით დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“, „მუშათა ცხოვრებაში“, „პირველ ნაბიჯში“, 1918 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიბეჭდე-ბოდი გაზეთებში: „ასპიროზი“, „ფუხარა“, „მწვერვალები“, „კომუნისტი“, „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „განათლების მუშაკი“, „წითელ არმიელი“, „ზარია ვოსტოკა“, „ფოთის მუშა“, „მგზნებარე კოლხიდელი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „მებრძოლი“.

ჟურნალებში: „მომავალი“, „მერცხალი“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“, „რემედასი“, „დროშა“, „მნათობი“.

სხვადასხვა დროს ვთარგმნე და დაიბეჭდა პიესები: „პროლეტარი ქალი“ (დრამა ორ მოქმედებად), „უდიდესი კომუნარი“ (ტრილოგია), „ჩვენ კვლავ მოვალთ“ (დრამა ორ მოქმედებად), „პროვაკატორები“ (დრამა ორ მოქმედებად).

პროზა: „გრიცკო“ – მოთხრობა ივ. ფრანკოსი, „თამილა“ – რომანი ფერ. დიუმენისა, „ტევეტონი და არაბი“ – რომანი ივ. ნიკიტინისა, „სადაგელი ბავშვები“ – რომანი ა. ანოშჩენკოსი, „რა ღირს ზანგი“ – მოთხრობათა კრებული საუტამისა, „მწვანე ძმები“ – მოთხრობა.

ლექსები: ივ. ფრანკოსი, ი. უტკინისა, ა. ჟაროვისა, ვლ. მაიაკოვსკისა, მ. ისაკოვსკის, სტ. შჩიპაჩევისა, ე. მიუზამის, ე. ტოლერის, ს. მიხალკოვის და სხვ.

პოემები: „ქალწულის კოშკი“ – ჯაბარ ჯაბარლისა (აზერბაიჯანულიდან), „მიძღვნა“ (შვიდი სომეხი პოეტის ნაწარ. მიძღვნ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი).

გარდა ამისა, რუსთაველის ინსტიტუტის დაკვეთით კოლხიდაში დავაგროვე 4 ათასი სტრიქონი ფოლკლორული მასალა, ლექსად ვთარგმნე და ჩავაბარა ცალკე წიგნად გამოსაცემად.

სამამულო ომის დაწყების პირველსავე წელს ვთარგმნე ნ. ოსტროვსკის ცნობილი რომანი „ქარიშხლით შობილნი“ (გამომცემლობა ფედერაციისა, 1941 წ.), კ. სიმონოვის „ზღვის არწივი (მოთხრობების კრებული გამოცემა სახელგამის, 1942 წ.), ივ. ფრანკოს დიდი საბავშვო პოემა „ნიკიტა მელია“ (გამომცემა „საბლიტგამისა“, 1944 წ.).

1942 წ. საკ. კ.პ.(ბ) ცენტრ. კომიტეტმა, როგორც მწერალი, მიმავლინა სამხრეთის ფრონტის გაზ. „სამშობლოს ღირსებისათვის“ რედაქციაში სამუშაოდ. შემდეგ ვმუშაობდი ჩრდილო კავკასიის ფრონტის გაზ. „წინ გამარ-

ჯვებისაკენ“. ორივე ფრონტზე ყოფნის დროს სისტემატურად ვბეჭდავდი ლექსებს და ნარკვევებს ჩვენი სახელოვანი მებრძოლების საგმირო საქმეების შესახებ. იმავე დროს, როგორც ქართული გაზეთის, ისე რუსული გაზეთისათვის „ვო სლავუ როდინი“ ვთარგმნიდი მასალებს. 1943 წლის ბოლოს გამაგზავნეს სამუშაოდ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო გამომცემლობის განყოფილებაში ა/კ ფრონტთან. ვმუშაობდი აქ ჯერ მთარგმნელად, შემდეგ განყოფილების გამგედ, შემდეგ განყოფილების უფროსის მოადგილედ.

ჯერ კიდევ ფრონტზე ყოფნისას დავინწყე ვ. ვესიოლოვსკაიას დიდი მოთხრობის „ცისარტყელას“ თარგმნა. ეს მოთხრობა მთლიანად დავბეჭდე ჟურნალ „მნათობის“ 1943-44 წ.წ. ნომრებში. მოკლე ხანში ეს მოთხრობა გამოვიდა ცალკე წიგნად სახელგამის გამოცემით.

ამჟამად გამომცემლობისათვის ვამზადებ ლექსების წიგნს „სამშობლო“, რომელშიაც შევა როგორც ფრონტზე, ისე ზურგში დაწერილი ლექსები. ამასთანავე ერთად ვამთავრებ ბ. კორბატოვის წიგნის „დაუმორჩილებელი“ (ტარასის ოჯახი) თარგმნას.

თარგმანები არის ჩემს მიერ გაკეთებული აგრეთვე: ალ. ფადეევისა „ახალგაზრდა გვარდია“, 1949 წ.; ნ. ოსტროვსკის „ქარიშხალში შობილი“, რომანი, მეორე გამოცემა, 1949 წ.

ორიგინ.: „თემურ თარბა“ (ნარკვევი), 1950 წ., „ალაზნის პირას“ (ნარკვევი), 1950 წ.; „მელია და ცხვარი“ – იგავი.

ბ. პოლევოი „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, იბეჭდება 1951 წ.
ვას. აჟაევი „მოსკოვიდან დაშორებით“ და სხვა.

სწორია: ნ. კლ., 1956 წ.

ვადასტურებ სამდივნოს გამგე: ნ. თოფჩიშვილი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ილია ქავჭავაძე	5
ანასტასია თუმანიშვილი-ნერეთელი	10
ეკატერინე გაბაშვილი	12
სოფრომ მგალობლიშვილი	18
ნიკო ლომოური	21
მარიამ ორბელიანი	23
იონა მეუნარგია	25
ივანე როსტომიშვილი	28
მოსე ჯანაშვილი	36
კონსტანტინე ნიკოლაძე	41
ალექსი მირიანაშვილი	43
დავით კლდიაშვილი	49
ივანე მაჭავარიანი	52
შიო მღვიმელი	56
არტემ ახნაზაროვი	67
ვასილ კოპტონაშვილი	71
იაკობ ფანცხავა	80
დუტუ მეგრელი	100
შიო არაგვისპირელი	112
ნინო ყიფიანი	118
ლუარსაბ ხელაძე	122
თედო სახოკია	125
სიმონ ქვარიანი	160
თედო კიკვაძე	166
ანასტასია ერისთავი-ხოშტარია	179
დავით გაბრუაშვილი	188
ალექსანდრე მიქაბერიძე	193
ელისაბედ ორბელიანი	196
ნიკო შიუკაშვილი	200
ლადო ბზვანელი	205
ვარლამ ჩიხლაძე	211
ნინო ნაკაშიძე	213
იპოლიტე ვართაგავა	222
ია ეკალაძე	227
ილია აგლაძე	239
ნიკოლოზ კურდღელაშვილი	245
ილია ზურაბიშვილი	257
დარია ახვლედიანი	269
დიმიტრი გულია	274
შალვა დადიანი	279
დავით ნახუცრიშვილი	289

ვარლამ რუხაძე	292
ალექსანდრე ყანჩელი	295
იოსებ იმედაშვილი	299
დომენტი ოყრეშიძე	306
კოტე მაყაშვილი	311
კატო მიქელაძე	316
ნატალია აზიანი	325
ამბაკო ჭელიძე	340
კორნელი კეკელიძე	342
გიგო ხეჩუაშვილი	347
მიხეილ დევაძე	349
ნიკო ლორთქიფანიძე	351
მიხეილ ჯავახიშვილი	356
ნოე ზომლეთელი	366
პავლე სანაკოევი	368
მარიამ გარიყული	373
ლიდია მეგრელიძე	383
ვარლამ მალაქიაშვილი	391
ლეო ქიაჩელი	394
დავით სულიაშვილი	401
ალექსანდრე აბაშელი	415
გიორგი მუმლაძე	421
ბაბილინა ხოსიტაშვილი	423
მიხეილ კინწურაშვილი	431
გერონტი ქიქოძე	448
დავით კასრაძე	454
ალექსანდრე ჩახუნაშვილი	463
ლევან მეტრეველი	464
ანა ხახუტაშვილი	473
არისტო ჭუმბაძე	478
გიორგი ქუჩიშვილი	484
იოსებ ტატიშვილი	499
გიორგი ლომთათიძე	505
ფუცუ დგებუაძე-ფულარია	507
დავით თურდოსპირელი	513
იოსებ მჭედლიშვილი	518
ვლადიმერ გეგეჭკორი	522
სანდრო შანშიაშვილი	527
პარმენ რურუა	545
სერგი დანელია	550
სეზმან ერთანმინდელი	553
ვასილ ეგნატაშვილი	555
ვალერიან გაფრინდაშვილი	561
იოსებ გრიშაშვილი	568

კონსტანტინე კაპანელი	587
ილია სიხარულიძე	589
კოკი აბაშიძე	594
სავლე აბულაძე	597
სოლომონ თავაძე	598
მარიჯანი	604
სანდრო ეული	610
კონსტანტინე ჭიჭინაძე	616
კონსტანტინე გამსახურდია	621
გალაკტიონ ტაბიძე	630
დავით მებუკე	641
ნესტორ მალაზონია	645
პოლიკარპე კაკაბაძე	650
იროდიონ ქავჭავაძე	654
ჰაიდარ აბაშიძე	660
პავლე ინგოროყვა	662
პლატონ კეშელავა	667
ლადო მაჭავარიანი	671
როდიონ ქორქია	673
პაოლო იაშვილი	679
შალვა აბხაიძე	683
სიკო ფაშალიშვილი	690
საფო მგელაძე	696
კოლაუ ნადირაძე	698
ვასო პატარაია	708
ვლადიმერ გაზაევი	714
ტიციან ტაბიძე	719
ვასილ გორგაძე	723
ხარიტონ ვარდოშვილი	730
სერგო კლდიაშვილი	735
ილია მოსაშვილი	743
გრიგოლ ცეცხლაძე	747
დემნა შენგელაია	752
პარმენ ლორია	759
ანდრია სინაურიძე	765
არჩილ კორინთელი	767
გუგული ბუხნიკაშვილი	771
რაჟდენ გვეტაძე	779
იაკინთე ლისაშვილი	784
ალექსანდრე ქუთათელი	791
შალვა ალხაზიშვილი	797
პოლიო აბრამია	803

